კ ა ვ კ ა ს ი ა

ავტორი: ალ. დიუმა

შესავალი
პირველი პერიოდი

პრომეთედან ქრისტიანულ ერამდე

ჩვენ შევეცდებით, რამდენადაც შეიძლება, მოკლე ნარკვევი მივაწოდოთ მკითხველს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს კავკასია ტოპოგრაფიულად, გეოლოგიურად და ისტორიულად.

კავკასიის ქედი მდებარეობს ჩრდილო განედის 40 და 45 გრადუსებსა და აღმოსავლეთ გრძედის 35 და 47 გრადუსებ შორის კასპიის ზღვიდან აზოვის ზღვამდე, ე.ი. ანაპიდან ბაქომდე. აქ ყველაზე მაღალი მწვერვალებია იალბუზი, სიმაღლით 167000ფუტი, ყაზბეგი სიმაღლით 14400 ფუტი, საქართველოში ცნობილი მყინვარის სახელწოდებით, და შატ-აბრუზი 12. 000 ფუტი.

ჯერ არავის შეუდგავს ფეხი იალბუზის მწვერვალზე.მთიელები ამბობენ, ამისათვის საჭიროა ღვთის საგანგებო ნებართვაო. თანახმად ბიბლიური გადმოცემისა, სწორედ მის მწვერვალზე დამჯდარა კიდობნის მტრედი. მყინვარი იალბუზზე 2000 ფუნტით დაბალია და წარმოადგენს კლდოვან მთას, რომელზეც მითოლოგიური გადმოცემით, პრომეტე იყო მიჯაჭვული.რუსები ამ მთას ყაზბეგს ეძახიან, რადგტანაც მის ძირში მდებარე სოფელი სტეფანწმინდა უწინაც ყოფილა და ამჟამადაც არის ამ ხეობის მცველთა თავად ყაზიბეგთა რეზიდენცია. ამ სახელწოდებამ დღევანდლამდე მოაღწია, რაც შეეხება შატ-იალბუზს, იგი აღიმართება დაღისტნის საზღვარზე და მისი მწვერვალი ქანდარად ემსახურება ფრინველ ანკას, რომლის გვერდიტ არწივი პატარა მწერს ჰგავს, სვავი კი კოლიბრის.

ეს გიგანტური ბურჯი, ეს დიდებული ციხე-სიმაგრე, ეს გრანიტის ზღუდე მუდმივთოვლიანი ქონგურებით, ჩრდილოეთის მხრიდან ეყრდნობა ქვიშებს. რომლებიც ოდეზღაც იმ ვებერთელა ზღვით ყოფილა დაფარული, სადაც კუნძულების სახით აღიმართებოდა არა მარტო კავკასია, არამედ ტავრისიც, დემავენდიც და თავრიდაც. უძველეს დროში ტბა კასპიად წოდებული კასპიის ზღვა წარმოადგენდა მხოლოდ ნაწილს ამ დიდებული ზღვისა, და საფიქრებელია, იგი ჩრდილოეთის მიმართულებით ერთ მთლიან ზღვას შეადგენდა თეთრ და ბალტიის ზღვებთან ერთად.

ისტორიის რომელ ეპოქას, საღმრთოს თუ სამოქალაქოს შეიძლება მიეკუთვნოს ის დიდი სტიქიური უბედურება, რომელმაც ერთმანეთს დააშორა ექვსინის პონტი. არალის ზღვა, ერევნის, ურმიის და ვანის ტბები და გათხარა ენიკოლის, დარდანელის, მესინის და

ჰიბრალტარის სრუტეები? ებრაელთა ბიბლიურ ნოეს წარღვნას, თუ ქალდეველთა ქსიტუსუსის წარღვნას, ან იქნებ ბერძენთა დევკალიონისა და ოჟიგესისას? ამის თქმა ძნელი იქნებოდა, მაგრამ არის უტყუარი ფაქტი, რომელიც ამტკიცებს, რომ კასპიის ზღვა ახლაც უკავშირდება სხვა ზღვებს მიწისქვეშა არხებით და მათი საშვალებით კარგავს იმ წყლებს, რომლებსაც იღებს ურალიდან, ვოლგიდან, თერგიდან და მტკვრიდან; რომ მისი სიღრმე ცვალებადია; რომ წყლის დაკლების დროს იქ შიშვლდება ზოგიერთი ადგილები, რომლებიც მოწმობენ წყლის აწევ-დაწევას. წაუკეთესო საბუთი იმისა, რომ კასპიის ზღვა მიწის ქვეშ სხვა ზღვებს უკავშირდება ის არის, რომ ყოველ წლიურად ზამთრის დამდეგს სპარსეთის ყურის ზედაპირზე გამოჩნდება ხოლმე ბალახი და ფოთლეული, რომელიც მხოლოდ კასპიის დიდი ტბის ნაპირებსა და სიღრმეებში იზრდება.

კავკასიონი წარმოადგენს ქედების ორ პარალელურ მწკრივს, რომელთაგან უფრო მაღალ;ი მიემართება სამხრეთით, ხოლო უფრო დაბალი ჩრდილოეთით. პირველ ჯაჭვს შეიძლება დაერქვას თეთრი მთები მეორე ჯაჭვის საწინააღმდეგოდ, რომელსაც შავი მთები ეწოდება. მეორე ჯაჭვის ცნობილი მწვერვალებია მელოტი მთა, ქურდების მთა, ქარიშხლის მთა, ბნელი ტყე და ხანჯალი.

ამ ვებერთელა მანძილზე ბუნებამ მხოლოდ ორი გასავალი გააჩინა: დარიალის ხეობა (Pylae Caucasiae პლინიუსისა), რომელიც ცნობილია აგრეთვე კავკასიის კარის, სარმატების კარის, კასპიის კარის, ალბანთა კარის, რკინის კარის და ჯაჭვის კარის სახელწოდებით, და დარუბანდის ხეობა, რომელსაც ტრადიციის თანახმად უწოდებენ ალექსანდრეს კარს.

თოვლიანი მთების ქედი შედგება ბაზალტის პორფირის, გრანიტისა და სიენიტისაგან. პორფირი რამდენიმე ფერისაა:ცისფერი პორფირი-ყვითელი ან თეთრი ლაქებით, წითელი აღმოსავლური პორფირი და მწვანე პორფირი. გრანიტი-ვარდისფერი, რუხი, შავი და ლურჯია.

რაც შეეხება იმ მთათა ჯაჭვს, რომელსაც შავი მთები ეწოდება, შედგება კირქვისა, მერგელიანი ქვიშაქვისა და ფიქალისაგან, რომელიც შპატისა და კვარცის ძარღვებითაა დაღარული.

სტრაბონი დაბეჯითებით ლაპარაკობს კოლხეთის ოქროს საბადოებზე. ამ საბადოებიდან წვიმებისაგან ღელეებში ჩარეცხილი ოქრო ძვირფასი ქვიშით ამდიდრებდა კოლხებს. სვანები ანუ დღევანდელი მეგრელები მათ კრეფდნენ ცხვრის ბალნიანი ტყავის შემწეობით, რომელიც ბრჭყვიალა ქვიშას აკავებდა. აქედან წარმოსდგება ლეგენდა ოქროს საწმისის შესახებ.

ოსეთში, ნუზალის ეკლესიაში დღესაც შენახულია წარწერა ქართულ ენაზე, რომელიც გვაუწყებს, რომ ამ ქვეყანაში ოდეზღაც იმდენივე კეთილშობილი ლითონი ყოფილა, რამდენიც დღეს მტვერია. ამოდენა სიმდიდრე შეიძლებოდა საეჭვოდ მიგვეჩნია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იქ ნამდვილად არსებობს ერთი, მართალია, ნაკლებად ძვირფასი, მაგრამ უფრო იშვიათი ბუნებრივი პროდუქტი. ეს არის ნავთობი. იგი არსებობს, მას ხედავენ და უხვად იღებენ კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე.

ჩრდილოეთით ყუბანი და თერგი, სამხრეთით კირუსი და არაქსი ქმნიან კავკასიის ყელის საზღვრებს.კირუსი არის დღევანდელი კური ანუ მტკვარი. ხოლო არაქსი სკვითების იელისი და ალექსანდრეს თანამგზავრთა ტანაისია. ამ უკანასკნელი სახელწოდებით მას ურევდნენ დონთან, როგორც ხანდახან ურევენ ფაზისთან, დღევანდელ რიონთან. ვერგილიუსი ამბობს: Pontem indignatus Araxes .

არაქსი და რიონი ერთმანეთის მოპირდაპირე მიმართულებით მიედინებიან. პირველი ერთვის კურს, გველებით სახელგანთქმული მუღანის ველის ზემოთ, მეორე კი შავ ზღვას ფოთსა და რედუტ-კალეს შუა. რაც შეეხება ყუბანს, რომელსაც ჩვენი მოგზაურობის დროს მარჯვნივ

მოვიტოვებთ, სათავე აქვს იალბუზთან, ჰკვეთს მცირე აფხაზეთს, გარს ევლება მთელ ჩერქეზეთს, და შავ ზღვას ტამანს ქვემოთ ერთვის. ეს არის ჰეროდოტეს და სტრაბონის ჰიპანისი და პტოლომეუსის ვარდანესი. მეცამეტე საუკუნეში, როცა თათრებმა სქვითია დაიკავეს, ეს მდინარე ყუმანად და ყუბანად მონათლეს. რუსებმა მიიღეს უკანასკნელი სახელწოდება, რომლითაც იგი დღესაც ცნობილია, თუმცა მისი ეტიმოლოგიის ახსნა ჭირს. ამ მდინარის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ კაზაკთა კოლონიებია.

არ შეიძლება იგივე ითქვას კავკასიაზე, რადგანაც მისი სახელწოდება მოდის იმ პირველი მკვლელობიდან, რომელიც ერთ-ერთმა უძველესმა ღმერთმა ჩაიდინა.როცა სატურმა თავისი მამა დაასახიჩრა და შვილები შთანთქა, მას ბრძოლა მოუხდა თავის შვილ იუპიტერთან. ამ გოლიათურ ბრძოლაში შვილის მიერ დამარცხებული სატურნი უკუ იქცა, მას გზაზე შემოხვდა მწყემსი კავკაზოსი, რომელიც ნიფატის მთაზე ცხვრის ფარას მწყემსავდა. ეს მთა ჰყოფს არმენიას და სირიას და მის ძირში, სტრაბონის ცნობით. ტიგროსის სათავეა.კავკაზოსს გაუფრთხილებლობა ეყო გაქცეულისთვის გზა შეეკრა. სატურნმა იგი ცელის ერთი მოქნევით აჰკაფა, იუპიტერმა ამ მკვლელობის ხსოვნის უკვდავსაყოფად მსხვერპლის სახელი დაარქვა კავკასიის მთების მთელ ჯაჭვს, ხოლო არმენიის, მცირე აზიის, ყირიმისა და სპარსეთის მთები სინამდვილეში მხოლოდ მის დანაწევრებას წარმოადგენენ.

დაარქვა თუ არა ეს სახელი კავკასიურ ჯაჭვს იუპიტერმა, მისი ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი ყაზბეგი სასჯელის ადგილად აქცია. სკვითების ფრომ-თეუტი, ბერძნების პრომეთეუსი ვულკანმა ამ მთაზე ალმასის ჯაჭვით მიაბა, იმის გამო, რომ მან შექმნა ადამიანი. უფრო მეტიც, ციური ცეცხლი შთაბერა მას, რომელიც ცას მოსტაცა და ლერწმის ფუღუროში დამალა.გაკვრით უნდა აღვნიშნოთ. რომ ფრომ-თეუტი სკვითურად „ქველ ღვთაებას“ ნიშნავს, ხოლო პრომეთეუსი ბერძნულად-„წინასწარმეტყველ ღმერთს“.ეჭვგარეშეა ეს წინდახედულება იყო.- ამბობს მითიური წყარო,-როცა მან ადამიანს მიანიჭა კურდღლის სიმხდალე, მელიის ცბიერება, გველის ვერაგობა, ვეფხვის მძვინვარება და ლომის ღონე...არ ვიცი, შემთხვევითია თუ სიმბოლური ის, რომ ახალდაბადებული ქვეყნის ჰორიზონტზე ადამიანი კაცობრიობის პირველი კეთილისმყოფლის სახრჩობელას შენიშნავს...ოთხი ათასი წლის შემდეგ კიჯვარს კლდის ადგილი უნდა დაეჭირა, ხოლო გოლგოთას უნდა დაემხო მყინვარი.

პრომეთეს იქ უნდა ეცხოვრა ოცდაათი ათას წელს. ამ ხნის განმავლობაში ორბს, ტიფონისა და იქედნეს შვილს, რადგანაც ესოდენ ხანგრძლივი შურისძიებისათვის არჩეული იქნა ღმერთი-ჯალათი, მისთვის ღვიძლი უნდა ეკორტნა. მაგრამ ოცდაათი წლის დამლევს ჰერკულესმა, იუპიტერის ვაჟმა მოკლა ორბი და პრომეთე გამოიხსნა.

იმ ბნელით მოცულ ეპოქაში, სადაც ყველაფერი თქმულებებზეა დამყარებული, პრომეთეს ოკეანე ეწვევა ხოლმე, ოკეანიდები კი ნანას უმღერიან, ხოლო ის წყევლის ტლანქ ძალას, განუწყვეტლივ რომ აიძულებს დაიოკოს სურვილი, უშედეგოდ ებრძვის უმეცრების ორბს, რომელიც უკორტნის არამარტო ღვიძლს, არამედ გულსაც. იმ ბნელ დროში კავკასიის კლდეების ბინადარნი მხოლოდ გოლიათი დევები არიან, რომელთაც უჭირავთ დედამიწის სფეროს მთელი ხმელეთი. უძველეს აზიურ ენაზე Dive ნიშნავს ერთდროულად კუნძულსაც და გოლიათსაც: Maldives, Loqneedives, Serendives. და მართლაც, ყოველი კუნძული განა ზღვიდან ამოსული გოლიათი არ იყო?ყველა ის ტიტანები იუპიტერს რომ ერკინებოდნენ. განა ეგეოსის ზღვის კუნძულები არ იყვნენ? ანდა დღევანდელი ჩამქრალი ვულკანები, განა ოდეზღაც ცეცხლისმფრქვევი გიგანტები არ ყოფილან? ერთმა ასეთმა დევმა სახელად არჟენკმა კავკასიონის ერთ-ერთმწვერვალზე სასახლე ააგო, სადაც გადმოცემის თანახმად დღესაც შენახულია იმ ეპოქის მეფეთა ქანდაკებები.ვიღაც უცხო ტომის კაცი, სახელად პუშენკი თორმეტფეხა ზღვის რაშზე მჯდარი დევებს თავს დასხმია. დემავენდის წვერიდან გადმოვარდნილ კლდეს იგი თავისი ცხენიანად ძირს დაუცია. აქ ჩვენ ადვილად შეიძლება ვიცნოთ ხომალდი თორმეტი ნიჩბით.

დღეს კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე შემმართებელი ხალხი-ჩერქეზები თავის თავს ადიგეებს უწოდებენ. ამ სახელის ფესვის „ადა“, რაც თათრულად კუნძულს ნიშნავს, ადასგან განასხვავებს მხოლოდ ერთი ასო და ვფიქრობ, არავინ შეგვედავება თუ ვიტყვით, რომ არსებობს ბევრად ამაზე უფრო ბუნდოვანი ეტიმოლოგიებიც.

ზარატუსტრას იალბუზის მწვერვალზე მოუთავსებია ბოროტი სული არისმანი, რომლისაგანაც ჩვენ სემდეგ არიმანი მივიღეთ. „იგი ვარდება იალბუზის მწვერვალიდან,- ამბობს ზარატუსტრა,-და უფსკრულზე გართხმული მისი სხეული სამყაროებს შორის გადებულ ცეცხლის ხიდს ჰგავს“.

დაბოლოს, შატ-იალბუზზე ცხოვრობდა ანკა, ორბი გიგანტი, რომელიც, „ათას ერთ ღამეში“ცნობილია როკის სახელით და რომლის გაშლილი ფრთები თურმე მზის სინათლეს აბნელებდა.

შეხედეთ თვალუწვდენელ ზღვას, რომელზეც მისცურავს უზარმაზარი ხომალდი. ეს ზღვა წარღვნაა, ხომალდი კი-კიდობანი.ქრისტეს დაბადებამდე 2348 წლის წინათ კიდობანი არარატის მწვერვალთან შეჩერდა. გადარჩენილ იქნა მომავალი კაცობრიობის ჩანასახი. ორი საუკუნის შემდეგ ჰააკი ქმნის არმენიის სახელმწიფოს, თარგამოსი კი საქართველოს. ამ დახლართულ წელთაღრიცხვაში სომხები და ქართველები ამბობენ, თითქო ჰააკი და თარგამოსი ნამროდისა და ასურის თანამეასაკენი არიან.

ახლა შეხედეთ, როგორი უხორცო აჩრდილებივით ჩაივლიან მარპეზია და მისი ამორძალები.ეს მეომარი დედოფალი თერმოდონის ნაპირებს სტოვებს და თავის სახელს არქმევს დარიალის კლდეს. იორნანდესი დედოფალს ახსენებს, ვერგილიუსი კი მთას უმღერის. ხედავთ,- სინათლეც გამოჩნდა?აი, სემირამიდაც მტრედების ასული. იგი იპყრობს არმენიას, აშენებს არტემიზას და როდესაც თავის საყვარელ მეფე აზაის ბრძოლაში მოკლულს ნახავს, არარატის მთასთან დამარხავს, თვითონ კი ბაბილონში ბრუნდება და თავისი ვაჟის, ანტიკური ჰამლეტის, მამის მკვლელობისთვის შურისმაძიებლის, ნინიასის ხელით კვდება.

ქრისტეს დაბადებამდე 1219 წლით ადრე (წელთაღრიცხვას ამ დროიდან უკვე ისტორიული მნიშვნელობა ეძლევა),ხოლო ტროას ომამდე ოცდათხუთმეტი წლით ადრე, ერთი ისეთი ხომალდი, რომლის მსგავსიც მანამდე კოლხეთში არ ენახათ, ფაზისში შევიდა და ღუზა ჩააგდო მედეას მამის მეფე აიეტის სატახტო ქალაქის კედლებთან. ეს იყო ხომალდი არგო თესალიის ქალაქ იოლქოსიდან, მას მეთაურობდა ოქროს საწმისის საძებნელად წამოსული იაზონი. იაზონისა და მედეას დრამატული ამბის მოყოლა ზედმეტად მიმაჩნია, რადგანაც იგი მთელმა ქვეყანამ ზეპირად იცის.

აღმოსავლეთს აშუქებს სარდანაპალის კოცონის ალი, იუსტინეს მიხედვით, ქრისტეს დაბადებამდე 800 წლით ადრე, ევსევის მიხედვით კი 820 წლით ადრე. იმ შფოთიანობაში ფულიუსის ვაჟიშვილის სიკვდილს რომ მოჰყვა, ხოლო როცა მისი იმპერიის ნაფლეთებისაგან სამმა მეფემ თავისთვის სახელმწიფოები შეადგინეს, ბარუირი არმენიის დამოუკიდებლობას ქმნის.

მალე არმენიაში შემოდიან არზენუნები, შვილები სენაქერიბისა, რომლის არმია გამანადგურებელი ანგელოზის მიერ ძლეული, ერთ ღამეში 185000 კაცს კარტგავს და რომელსაც შეუძლია თავიანთი ღვთაების საკურთხევლის წინ კლავენ. ისინი მხოლოდ ოცი წლით უსწრებენ სალმანასარის ტყვე ებრაელებს, რომლებიც ამ დამპყრობელმა საქართველოსა და ლაზისტანში დაასახლა. ლაზისტანსა და რაჭის ოლქში დღესაც შეხვდებით ამ მეომარ იუდეველთა ტომებს, იმ ტყვეთა შთამომავლებს, რომლებიც ისრაილის სამეფოს

გამანადგურებელმა სალმანასარმა აქ გადმოასახლა. ამათი მამა-პაპანი თანამედროვენი იყვნენ მცხოვანი ტობიუსისა რომლის ვაჟიც ანგელოზ რაფიელის თანხლებით გაბელუსთან მივიდა რათა გამოერთმია ერთ დროს მისი მამისაგან ნასესხები ათი ტალანტი.

ოცი წლით უფრო გვიან იწყება ბაგრატიდების გვარი. ამ გვარის წარმომადგენლი არიან თავადი ბაგრატიონები, რომელთა შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

განვლო საუკუნის ორმა მესამედმა.სკვითები დარიალის ხეობით არმენიაში შეიჭრნენ, დაიპყრეს მცირე აზია და ეგვიპტეში შევიდნენ. დირკან I რომელიც შემდეგ ტიგრანად გადავაკეთეთ, და რომლის შთამომავლებს პომპეუსის წინააღმდეგ ბრძოლაში ვხედავთ, ისტორიაში შევიდა, როგორც არმენიანთა დინასტიის შემქმნელი. იგი წარმოსდგება იმ ჰააკისაგან, რომელმაც დააარსა არა დინასტია, არამედ სამეფო და თანამედროვეა იმ კირუსისა რომლის მოკვეთილი თავი სისხლით სავსე ლარნაკში ჩადეს. მაგრამ ვიდრე მკვდარი კირუსი გაძღებოდა სისხლით, რომელსაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სვამდა, მან სიცოცხლეშივე დაიპყრო კოლხეთი და არმენია.ჩვენ აქ ვხვდებით დარიუს II შვილს არტაქსერსე მნემონს ის კუნაქსის ბრძოლაში თავისი ხელით კლავს უმცროს კირუსს, რომელმაც აჯანყება მოაწყო. ამ უკანასკნელს სამსახურში ჰყავდა ქსენოფონტე რომელიც სოკრატემ სიკვდილს გადაარჩინა დელიის ბრძოლაში. ქსენოფონტემ კი, მისივე ცნობით უხელმძღვანელა 10000 ჯარისკაცის იმ ცნობილ უკანდახევას ტაგროსის ნაპირებიდან ქრიზოპოლისამდე რომელიც ისტორიაში სტრატეგიის ნიმუშად არის ცნობილი.

სამოცი წლის შემდეგ ალექსანდრე მიდის მაკედონიაში, გაივლის ჰელესპონტს და გრანიკას ნაპირებზე დარიუსის არმიას გაანადგურებს. ისუსსა და არბელასთან დამარცხებული დარიუსის ურდოებში იბრძვიან აგრეთვე კავკასიელი და არმენიელი ტომები ორონთეს და მიფროსტეს წინამძღოლობით. ამ პერიოდში სპარსეთის მძლევლისა და ინდოეთის დამპყრობლის სახელი და დიდება იქამდე აღწევს, რომ ლეგენდა და ისტორია ერთმანეთში ირევა. კავკასიური გადმოცემების მიხედვით, ალექსანდრემ თავის გზას გადაუხვია და ორი ხეობა ჩაკეტა:ერთი დარუბანდში რკინის კარით, მეორე კი დარიალში იმ ცნობილი ზღუდით, რომელიც ანტიკური ცნობების მიხედვით კასპიის ზღვიდან აზოვის ზღვამდე იყო გადაჭიმული.

მაქმადი ყურანში აშუქებს თქმულებას, რომელიც იმ დროიდან უდავო ჭეშმარიტება ხდება მუსლიმანური კავკასიის ხალხებისათვის, მით უმეტეს, რომ იგი წინასწარმეტყველის პირიდან გამომდინარეობს. მხოლოდ ის მაკედონელს უწოდებს ზულ-კარნაინს, ესე იგი ორრქიანს.დახედეთ ალექსანდრეს მედალს, სადაც მას იუპიტერის შვილის ამონის მსგავსად მამის რქები გამოჰყოლია და სახელ ზულ-კარნაინის განმარტება თქვენთვის ნათელი გახდება.

აი, რას ამბობს მაჰმადი:

„როცა ზულ-კარნაინი ორი მთის ძირში მივიდა, იქ შეხვდა ხალხი, რომელსაც ძლივს ესმოდა მისი მეტყველება.

-ო, ზულ-კარნაინ,-უთხრეს მათ,-იადგუგები და მადგუგები აოხრებენ ჩვენს მიწებს, ხარკს გადაგიხდით, თუ მათგან დასაცავად კედელს აგვიშენებ.

მან უპასუხა:

-ზეცის ნაბოძები თქვენს ხარკზე უმჯობესია. თქვენ სურვილს შევასრულებ.მომიტანეთ რკინა და ისე დაახორეთ, თქვენი მთების სიმაღლეზე დადგეს.

შემდეგ დასძინა:

-უბერეთ რომ რკინა გაღვივდეს.

შემდეგ კიდევ უთხრა:

-მომიტანეთ გადამდნარი ბრინჯაო, რკინას დავასხა.

მას შემდეგ იადგუგებმა და მადგუგებმა ვერც გადალახეს ეს კედელი და ვერც გაარღვიეს.

ეს ღვთის წყალობით მოხდა, მაგრამ როცა მის მიერ დანიშნული დრო მოვა, ის ამ კედელს დაანგრევს. ღმერთი ტყუილად არაფერს გვამცნობს.

რამდენიმე ისტორიკოსი არჩევს ამ ტექსტს. ისინი დეტალურად აღწერენ კედლის აშენების პროცესს და ამბობენ, რომ კედელი ააგეს ერთმანეთთან მიდურებული რკინისა და სპილენძის ძელაკებისაგან და დაფარული იყო მდნარი ბრინჯაოს ფურცლით.დროდადრო ამ კედლის გუშაგები ბრინჯაოს კარებს დაუვლიდნენ და ჩაქუჩს ურტყავდნენ, რითაც მადგუგებსა და იადგუგებს ანიშნებდნენ , კარგად ვიცავთ კედელსო.

ნახევარი საუკუნე გავიდა, რაც ალექსანდრემ ვითომდა აქ გაიარა, და ფარნავაზი საქართველოს სპარსელთა ბატონობისაგან ათავისუფლებს და ქართულ ანბანს ადგენს. არტაქსიასი და ზარიადასიც თავის მხრივ სარგებლობენ ანტიოქე დიდის დამარცხებითა და სიკვდილით და არმენიას სირიელთა უღლისაგან ათავისუფლებენ. ანტიოქე დიდის სიკვდილით ჰანიბალს საყრდენი ეცლება. მაშინ არმენია დაინახავს, თუ როგორ გადმოლახავს მის საზღვრებს ტრაზიმენესთან გამარჯვებული და ძმასთან დამარცხებული. მისი გეგმით აგებენ ქალაქ არტაქსადს, რომელსაც უფრო მოგვიანებით კორბულონი დაანგრევს, ხოლო ტირიდატი ისევ ააშენებს და ნერონის პატივსაცემად ნერონიას დაარქმევს. ხოლო ამ რეკონსტრუქციამდე ორასი წლით ადრე საქართველოში ნებროთიდების დინასტიას აარსებს მირვან I, სომხეთში კი არშაკიდების დინასტიას - ვაგარშაკი, რომელიც მალე საქართველოს ტახტს იგდებს ხელთ. ეს ვაგარშაკი, ისტორიაში ტიგრან მეორედ ცნობილი, მამაა ტიგრან დიდისა. რომელმაც თავის თავას მეფეთა მეფე უწოდა.ვაგარშაკი ომს უცხადებს რომაელებს, დალაშქრავს კაპადოკიას, დაიპყრობს სირიას, მაგრამ შეხვდება ლუკულს, რომელიც სძლევს მას, დაადებს ხარკს ოცდაცამეტ მილიონს ჩვენი ფულით, ჩამოართმევს სირიას, კაპადოკიას და მცირე არმენიას, კოლხეთს რომის პროვინციად გახდის, ფაზისით იალბუზსა და ყაზბეგამდე ავა და მხოლოდ მაშინ შეაჩერებს თავის ლეგიონებს, როცა წინ მუღანის სტეპის გველები შემოეყრებიან.

ათი წლის შემდეგ პომპეუსის მიერ დამარცხებული მითრიდატე გაივლის კავკასიას, გადალახავს დონს და თავს შეაფარებს თავრიდას. მითრიდატე ლაპარაკობდა თავისი ქვეშევრდომი ოცდაოთხი ერის ყველა ოცდაოთხ ენაზე. რომაელები იკავებენ კავკასიას, იმერეთს და ალბანეთს, დღევანდელ კახეთს. პონტის ხელმწიფის გარდაცვალებიდან ოცდაათი წლის შემდეგ არმენიას იპყრობს მარკ ანტონიუსი.

ბოლოს დაიბადება ქრისტე. და თუმცა მისმა დაბადებამ სწრაფად მოახდინა ცვლილება სამყაროში, მის შესახებ არაფერი ისმის კავკასიაში. მხოლოდ ქრისტეს სიკვდილის წელს ედესის მეფე ავგარი იღებს წმიდა ნათლობას, შვიდი წლის შემდეგ კი წმიდა ანდრია და წმიდა სიმონი ქრისტიანული რელიგიის მქადაგებლად შემოდიან მესხეთში, ახლანდელი ახალციხის მაზრაზში.

ეს არის პირველი გამოცხადება იმ უდიდესი მსხვერპლისა, რომელიც თანამედროვე კაცობრიობისათვის იგივე უნდა ყოფილიყო, რაც პრომეთე ანტიკური ქვეყნისათვის.

მეორე პერიოდი

ქრისტედან მაჰმადამდე

რომაელი იმპერატორები ერთმანეთს სცვლიდნენ:ტიბერიუსმა ავგუსტეს ადგილი დაიკავა, კალიგულამ ტიბერიუსისა, კლავდიუსმა კალიგულასი. ნერონი თორმეტ წელს ზის ტახტზე იგი საბერძნეთში მოგზაურობს, როგორც მუსიკოსი და პოეტი, და გვირგვინს გვირგვინზე იხვეჭს, მაშინ, როცა გალიაში ვენდექსი ოცნებობს აჯანყებაზე, ესპანეთში კი გალბა . პართელთა დამპყრობი კორბულონი არმენიაში შეიჭრება, ხელში ჩაიგდებს და დაანგრევს არტაქსადს, ამ ჰანიბალის მიერ დაარსებულ მეორე კართაგენს და აიძულებს ტირიდატს, რომელიც პარტელებს რომაელთა თანხმობის გარეშე თავიანთ ხელმწიფედ ჰყავთ დასმული, მოიხსნას გვირგვინი, რათა იგი ხელახლა იმპერატორის ხელიდან მიიღოს. შურით აღვსილი იმპერატორი კორბულონს თავის მოკვლას უბრძანებს. კორბულონი ემორჩილება და კორინთოში გულს ხანჯალს ჩაიცემს.

ცამეტი წლის შემდეგ ბრძოლის ველზე, სადაც სპარსელებმა დაამარცხეს ეროვანი, რომელმაც არდაშესს არმენიის ტახტი წაართვა, აღმოცენდება ქალაქი ერევანი. ნერონის მიერ ნაშვილები ერთი სვებედნიერი ჯარისკაცი ადის რომის ტახტზე, რომელიც მალე მთელი მსოფლიოს ტახტი ხდება. ტახტზე ასვლისთანავე იგი იპყრობს არმენიას, იბერიას და კოლხეთს, ალბანეთში დასვამს მეფეს და ეფრატის მიმართულებით გაქრება. მალე შეარყევს არშაკიდთა დინასტიას, რომელიც საბოლოოდ მხოლოდ სამი საუკუნის შემდეგ დაეცემა. ეს გადამთიელი ტრაინეა, რომლის მეფობის დროს ხალხი ოდნავ ამოისუნთქებს კალიგულას, კლავდიუსისა და ნერონის ტირანიისაგან.

გაივლის ნახევარი საუკუნე და კავკასიაში გამოჩნდება ქერათმიანი ხალხის ავანგარდი. ესენი არიან გოთები, სკანდინავების, კიმბრების, ვენეტთა, ბურგუნდთა, ლაზიგების და ფინების დამპყრობნი. ისინი ავიწროებენ თავიანთი ჯოგებით ვრცელ მინდვრებში მომთაბარე ალანებსმ დასახლდებიან შავი ზღვის სანაპიროზე. აქ გოთებს შეხვდებიან ჰუნები და ერთიანად გაჟლეტენ.

დაახლოვებით ამ დროს შეიქმნება არმენიის ახალი სატახტო ქალაქი ვაგარშაპადი, რომელიც დღეს ამავე სახელწოდების სოფელია ეჩმიადინის მონასტრის მიდამოებში. მაგრამ დამთავრდება თუ არა ქალაქის აშენება, კავკასიას მოაწყდებიან ხაზარები და მის კარიბჭეებს უკვე ვეღარ შველით ალექსანდრეს მოგონება. ხაზარები მოდიან ვოლგის დაბლობებიდან, გაივლიან დარიუსის ხეობას,-გადმოცემის თანახმად სპარსეთის ამ მეფემ მისცა თავისი სახელი დარიალს (?), დაიქსაქსებიან არმენიაში და აიძულებენ ავარელებს, უკან დაიხიონ გიმრის ხეობაში, სადაც ჩვენ კიდევ შევხვდებით მათ ნარჩენებს ყარანაის მწვერვალებზე ასვლისას. ხაზარები მოწმენი ხდებიან გადატრიალებისა, რომლის შედეგად სპარსელი სასანიდები საქართველოს ტახტზე ადიან.

დაახლოებით ამავე ხანებში ტიბრის ნაპირზე გაწოლილი ლომი ისევ კავკასიისკენ გაიწვდის თათებს. იმპერატორი ტაციტი, რომლის წინაპარტა რიცხვში ერთი დიდი ისტორიკოსი იყო, ტახტზე დასვეს სამოცდაათი წლის ასაკში. „იგი არჩეული იყო,-ამბობს სენატის დადგენილება,-მის მაღალ ზნეობრივ თვისებათა გამო“. მაგრამ იმპერატორი ექვსი თვის შემდეგ მოკლეს. დაჩაჩანაკებულ ხალხს არაფრად მოსწონს მაღალზნეობრივი იმპერატორები. მან ამ ექვსი თვის განმავლობაში დაამარცხა გოთები და კავკასიის ხეობებში შეავიწროვა ალანები.ტირიდატ II სარგებლობს ამ გამარჯვებათა შორის ჩამომდგარი სიმშვიდით და არმენიის ტახტზე ადის. მის სახელმწიფოში ფეხს იკიდებს ქრისტიანობ. წმიდა ნინოს რჩევით არსდება ეჩმიაძინის მონასტერი. კერპთა ადგილებზე აღიმართება ჯვრები. ტირიდატ & არმენიიდან და საქართველოდან ხაზარებს გააძევებს და გარდაიცვლება.

ბაკურ I, საქართველოს მეფე,-უფრო სწორად, იბერიის მეფე, რადგანაც საკუთრივ საქართველო მხოლოდ XII საუკ. იწყებს არსებობას და მას ამ სახელს არქმევს XIII საუკ. სომეხი ისტორიკოსი მხითარ აირივანკი,-პირვლი ეომება სპარსეთს, რომელსაც დაპყრობილი ჰყავს არმენია. ხოლო არმენიის მეორე მხრიდან ემუქრებიან ჩრდილოელი ბარბაროსები. ეს უკანასკნელნი მოიგერია ვაჰან ამატუნიმ, რომელმაც ისინი ვაგარშაპადტთან გაანადგურა იმავე ბრძოლის ველზე, სადაც 1827 წელს რუსებმა სპარსელები დაამარცხეს. მაგრამ სპარსელებმა მაინც შეაღწიეს კავკასიის მთათა ძირში და ციხე-სიმაგრე ააგეს იმ ადგილას, სადაც ერთი საუკუნით უფრო გვიან მეფე ვახტანგი საფუძველს ჩაუყრის ქალაქ თბილისს. ამ დროის განმავლობაში არმენია თავისი ახალი ენის განვითარებაზე ზრუნავს, ხოლო მომავალი საქართველო საღვთო წერილის თარგმანზე იღწვის.

არშაკიდების აღსასრულიც დადგა. დინასტია, რომლის დამხობას უშედეგოდ ცდილობდა ტრაიანე, შეცვალა სასანიდების დინასტიამ, რომელიც პართის მეფეთა მემკვიდრე და მუსლიმანი ხალიფების წინაპარია. ამ დინასტიის პირველი სუვერენი საქართველოს ტახტზე ხედავს ვახტანგ გორგასალს, რომელიც აარსებს თბილისს, იპყრობს სამეგრელოსა და აფხაზეთს, აზევებს სპარსელებს და იმორჩილებს ოსებსა და პაჭანიკებს. ვახტანგ I კვდება. 499 წელს, სწორედ იმ დროს, როცა სომხები ვარდებიან ერესში, სუევები კი, რომელთაც ჰუნები მალე ჩააბამენ თავიანთ სრბოლაში დასავლეთის მიმართულებით, მიტრიდატეს უძველეს სახელმწიფოში გამოჩნდებიან.

სწორედ ამ ხანებში კავკასიის ყველაზე მიუვალ სტეპებში გაისმის იმ ხალხთა ნაბიჯების ხმა, რომელიც დედამიწის ერთ ნახევარს ფეხქვეშ გათელავს, მეორე ნახევარს კი შიშის ზარსა ჰგვრის. იგი მოედინება ყუბას უდაბნოების ჩრდილოეთით მდებარე ტიბეტის დიდი ზეგნებიდან, დაიმორჩილებს მანჯუს, აიძულებს ჩინეთს ააგოს დიდი კედელი, შემდეგ ორ უზარმაზარ ორდად გაიყოფა და ორმაგ ნაკადად მოედება კასპიის ზღვის ორივე მხრიდან. ერთი შეჩერდება ოქსუსის ნაპირებზე, დღევანდელ თურქესტანში, სადაც სატახტო ქალაქად დააარსებს უძველეს ბაჰტრიანს და სპარსელებთან ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ, აირევა თურქებში. ესენი არიან თეთრი ჰუნები ანუ ეფტათეტები. მეორე ორდა შავი ჰუნები ანუ სიდარიტები, ერთხანს კასპიის ზღვის დასავლეთით შეჩერდებიან თერგის შესართვას და დარუბანდს შუა, გაარღვევენ დარიალის კარს, რომელიც ხაზარების მიერ უკვე საკმაოდაა შერყეული, დასავლეთისკენ გაიშლებიან, პალუს-მეოტიდესზე გაივლიან და მოიწევენ წინ. გზის მჩვენებლად მათ მოუძღვის ირემი, რათა ამ თვალუწვდენელ ჭაობებში არ ჩაინთქან. შემედგ ისინი იმორჩილებენ ალანებს და ანადგურებენ გოთების იმპერიას. ბოლოს შამპანის ველებში დამარხდებიან მომაკვდავი გალიისა და ახალდაბადებული საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამდროიდან იწყება სომხური ქრონოლოგია და იქმნება ბაგრატიდების დინასტია, დინასტია იმ გვარისა რომელიც უკვე 1200 წელია ცნობილია.

უეცრად კავკასიის ქვეყნებში გამოჩნდება მოულოდნელი მტერი და დაიპყრობს თბილისს. ეს არის იმპერატორი ჰერაკლე, აფრიკის ეგზარქოსის ვაჟი, დაუღალავი თეოლოგი. მან ტახტიდან გადმოაგდო ფოკასი და 610 წელს თავი იმპერატორად გამოაცხადა. მაგრამ 610 წლიდან 621 წლამდე მის მეფობას უბედურების მეტი არაფერი მოუტანია. ავარებმა მცირე აზია მოსტაცეს, სპარსელებმა კი ეგვიპტე. კონსტანტინოპოლის კედლებით დაცულმა, ჰერაკლემ უკიდურესად მოიკრიბა ძალ-ღონე, სათავეშჯ ჩაუდგა თვაის არმიას, დაამარცხა ხოსროვ II, დაიპყრო მცირე აზია, და კავკასიის კარამდე მოახწია. მაგრამ ვიდრე ჰერაკლე ჩრდილოეთისკენ მიიწევს, ხალიფა აბუ-ბექრის მემკვიდრეები მას დამასკოს წაართმევენ, იერუსალიმი კი ხალიფა ომარს ნებდება. ჰერაკლეს სამეფოს ეთიშებიან მესოპოთამია, სირია და პალესტინა.

ახლა არაფთა ჯერი დგება. ეს არის ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქა. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ვერც ერთი ერი თავს ვერ გრძნობს კარგად ბუნების მიერ მისთვის შექმნილ აკვანში და სხვა ღმერთებისა და სამშობლოს საძებნელად მიდის. არაბებს მოაქვთ მაჰმადის რჯული, რომელმაც დიდი ხანი არ არის, მათი იმპერია დაარსა. ისინი ხელთ იგდებენ სირიას, ეგვიპტეს, სპარსეთს, გაივლიან აფრიკას, ესპანეთს, საფრანგეთს და თუ ღმერთს სწორედ იმ დროს მათთვის იქ არ დაეხვედრებინა შარლ მარტელი, ერთ მშვენიერ დღეს აღმოსავლეთის გველის თავი და კუდი ვენაში შეერთდებოდა, მიუხედავათ სობიესკის წინააღმდეგობისა.

მაგრამ იმ დროს, როცა იუსტინიანე II, რომელსაც მისმა ქვეშევრდომებმა ამბოხების დროს ცხვირი მოაჭრეს, კუნძულ ტამანზე გადაიხვეწება, როცა მურვან-ყრუ საქართველოსა და არმენიას დალაშქრავს, როცა ქართველები თავის ქორონიკომს 780 წლის პასექის დღესასწაულით დაიწყებენ, კავკასიის მეორე მხარეზე ყალიბდება სხვა ხალხი, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს დედამიწის ზურგზე იმდენ ადგილს დაიკავებს, რამდენიც ჯერ არც ერთ მის წინამორბედს ძველ ხალხს არ სჭერია.

ეს ხალხი თითქმის უცნობია რომაელთათვის, რომლებმაც ყველა ხალხთა ზღუდეები შეანგრიეს და უკვე უცნობი სამყაროს კარიბჭესთან იყვნენ. ესენი არიან სლავი ხალხები, რომლებიც დაიძრნენ სამხრეთ რუსეთიდან და მთელი ქვეყანა დაიპყრეს. არხანგელსკიდან კასპიის ზღვამდე. ამაოდ იცავდნენ მიწის ყოველ გოჯს ოთხი საუკუნის განმავლობაში გოთები, ჰუნები, ბოლაგარები და იკავებდნენ ტერიტორიას ვოლგიდან დნეპრამდე. მათი თანმიმდევრული დაპყრობები მხოლოდ დროებით აჩქრებდა სლავებს. დროებით დაგუბებული ნიაღვარივით დაიძვრებიან სლავები. ზოგი დასავლეთისკენ გაემართება, ზოგიც სამხრეთისაკენ და ამ წარღვნაში აღმოცენდებიან დიდი ნოვგოროდი და კიევი, რომელნიც თავიანთი ზღუდეების სიმაღლიდან გულგრილად უცქერიან, თუ როგორ ეხეთქება მათ ბურჯებს ტალღები.

ბოლოს, 862 წელს სლავებმა თავიანთი იმპერიის სამართავად მოიწვიეს სამი ვარიაგი უფლის წული, რიულიკი, სინაფი და ტრუვორი. მალე ძმები შეცვალა რიულიკმა, ხოლო გარდაცვალების შმდეგ თავის ვაჟს მცირე წლოვან იგორს რეგენტად დაუტოვა ძმა ოლეგი. ამ გენიალურმა ადამიანმა დაიპყრო სმოლენსკი და ლიუცბიცი, მოხარკეებად გაიხადა სერბები, რადონიჩები, დრევლიანები, და შემდეგ კონსტანტინოპოლისკენ დაიძრა 2000 მეომრით, რომლებიც ისე ჰყავდა გაწვრთნილი, რომ არავითარი დაბრკოლებისა და საფრთხის წინაშე არ ჩერდებოდნენ. კონსტანტინოპოლი შედრკა. როცა თავის კარიბჭესთან ხმალ აღმართული დაინახა ის ხალხი, რომელსაც ბარბაროსებათ თვლიდა. ლეონ IV-ემ რუსთა მიერ წამოყენებულ პირობებს ხელი მოაწერა და რუსები უკან იხევენ. მაგრამ მათ გზათ ხელში ჩ აიგდეს ციხე-სიმაგრე ბარდა, სადაც დღეს სოფელია ელიზავეტპოლის ოლქში. ცამეტი წლის შემდეგ რუსებმა დაიკავეს ტაბარისტანი (?) და ნავთის მიწა. გზა უკვე გაკაფული იყო. მაშინ დიდი თავადი სვიატოსლავი გადაჭრის მთელ ყუბანს და კავკასიონის ძირში ამარცხებს ოსებსა და ჩერქეზებს. რუსების ერთი გარნიზონი ტამაანში რჩება.

ამასობაში აფხაზეთისა და ქართლის მეფე ბაგრატIII ქუთაისში ტაძარს აშენებს. ამ ტაძრის კედლის ერთ წარწერაში ჩვენ ვხვდებით არაბული ციფრების პირველ ნიშნებს. ქუთაისის ტაძარი 1003 წლითაა დათარიღებული.

1064 წელს როსტისლავ ვლადიმერის ძე კუნძულ ტამანს თავის სამთავროდ ხდის.

ვიდრე რუსები ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მოიწევენ, თურქები სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მოდიან. ესენი არიან თურქესტანის სტეპებიდან გამოსული სელჯუკები. მათ მეთაურობს არსლანი, ძმის შვილი იმ ტოღრულ-ბეგისა, რომელიც იმ ხანებში თავის მიერ

დაპყრობილ ბაღდადში კვდება. არსლანი ხელთ იგდებს მცირე აზიას, არმენიას და საქართველოს. მათ ჯერჯერობით რუსეთისაგან ჰყოფს კავკასიონის გრანიტის ქედი. როცა ორი გოლიათი ჰერკულესისა და ანთეუსის მსგავსად ერთმანეთს დაეჭიდება, დათმობა არცერთს არ უნდა. რუსეთი ჰერკულესია, თურქეთი-ანთეუსი.

საქართველოს საბედნიეროდ, ტახტზე ადის ერთი მისი უდიდესი მეფეთთაგანი. ეს არის დავითIII, ბრძენათ წოდებული. ის ერთმანეთს მიუსევს ბარბაროსებს, ხაზარებს აუმხედრებს თურქებს და როცა თავის ქვეყანას გაანთავისუფლებს, ტახტს გადასცემს დემეტრე I. უკანასკნელი აოხრებს ქალაქ დარუბანდს, მას რკინის კარს მოხსნის და გადაიტანს გელათის მონასტერში, სადაც დღესაც ინახება მისი ნახევარი. კარის მეორე ნახევარი თურქებმა გაიტაცეს.

შემდეგ 1184 წლიდან 1212 წლამდე მეფობს თამარი. ეს არის უდიდესი ეპოქა საქართველოს ისტორიაში. სახელგანთქმული ამაზონი, რომლის სახელი პოპულარული დარჩა კავკასიონის კალთაზე. ამარცხებს სომხებს, თურქებს და სპარსელებს, იმორჩილებს მთიელებს, რომელნიც მანამდე არავის დაუმორჩილებია, მათი ნების წინააღმდეგ ქრისტიანობას მიაღებინებს და ბოლოს, ცოლათ გაჰყვება რუსი თავადის ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟს.

დიდი ხნის დაკრძალული არ იყო თამარ მეფე სახელოვან აკლდამაში, რომელსაც საქართველოს პოეტები დღემდე უმღერიან, რომ აღმოსავლეთის მხრიდან გაისმის გრგვინვა. ეს არის ჩინგისყაენი თავისი მონღოლებით, რომლებიც ჩრდილოეთ ჩინეთისა და აღმოსავლეთ სპარსეთის დაპყრობის შემდეგ თავიანთ გამანადგურებელ სვლას ამთავრებენ ირანის თავრიზში. ამ დიდი ნიაღვრის უკანასკნელი ტალღები საქართველოს მოეხეთქებიან, მაგრამ ვერაფერს დააკლებენ მას.

ასე არ იქცევა თემურ-ლენგი ჩინგიზის შთამომავალი დედის მხრიდა. ის დაიმორჩილებს აზიას აღმოსავლეთიდან კასპიის ზღვამდე, დაიპყრობს სპარსეთს, მიახწევს, ყირგიზეთის სტეპებს, გადაჰკვეთს დაღისტანსა და საქართველოს, ჩაჰყვება ორივე მხრით კავკასიონს, რომელიც უზარმაზარ წყალქვეშა ლოდსა ჰგავს, ბარბაროზთა ზვირთები რომ ზედ ასკდებიან. მართალია ლანგ-თემური მხოლოდ გზად გაივლის, მაგრამ ყველაფერს აოხრებს გრიგალისა თუ ხანძრის მსგავსად. ამსხვრევს აზოვს, შემდეგ გაემართება ინდოეთისაკენ,მ ბრძოლას მართავს დელისთან, სისხლითა და ნანგრევებით აავსებს ინდუსტანს, ბრუნდება ანსირში (?), სძლევს და ტყვეთ ჩაიგდებს ბაიაზეთს, შემდეგ ჩინეთში ბრუნდება ორასათასიანი ჯარით, რათა დაიპყროს, მაგრამ ოცარის გზაზე სიჰონგში მოკვდება.

ამასობაში ალექსანდრე I საქართველოს თავის შვილებს უნაწილებს. ასე იქმნება იმერეთის სახელმწიფო.

ამავე ეპოქაში უდიდეს მოვლენასა აქვს ადგილი:

სეპტიმუს სევერის მიერ ერთ დროს დანგრეული და აოხრებული უძველესი ბიზანტია, რომელიც ხელახლა ააშენა და განაახლა კონსტანტინემ და ტავისი სახელით მონათლა, ეს ბერძენ იმპერატორთა დროის აღმოსავლეთის პირველი, ხოლო რომაუელ იმპერატორთა დროის მსოფლიოს მეორე სატახტო ქალაქი, უშედეგოდ რომ უტევდნენ ავარელები, სპარსელები და არაბები, ქვეყანა, რომელიც ვარიაგებმა გამოისყიდეს, ლათინებმა აიღეს და იქ ლათინური იმპერია დაარსეს, რომელიც შემდგომში მიქაელ პალეოლოგმა ჩიგდო ხელში და ბერძენთა იმპერიათ გააქცია,-ახლა ახალ პატრონს უვარდება ხელში.

1453 წელს ბიზანტიას მაჰმადII იპყრობს და მას ოტომანთა იმპერიის სატახტო ქალაქად ხდის.

მესამე პერიოდი

მაჰმად II-დან შამილამდე

კავკასიის მოსახლეობა, რომელსაც სათავეში უდგანან კოლხები (?) დამყრობელს დეპუტაციას უგზავნის მილოცვით. სომხები მაჰმად II -ისგან ნებართვის ღებულობენ, რათა მათ ჭატრიარქს კონსტანტინეპოლში თახტი მიეცეს.

ქრისტიანული ხალხი’ თავისი მხრივ უკავშირდება ქრისტიანულ სახელმწიფოებს. კახეთის მეფე ალექსანდრე ელჩებს უგზავნის ივანე III-ს, რომელიც ამ დროს რუსეთიდან თათრების გაძევებითა გართული.

საქმე ისაა, რომ კავკასიის ქრისტიანულ მოსახლეობას ემუქრება არა მხოლოდ თურქი, ეს ახალი მტერი, რომელიც მას ხეირიანად არც კი უნახავს, არამედ მისი ძველი მტერი სპარსიც. სპარსეთის პირველი შახი სეფიდების დინასტიიდან ისმაილ სეფი შირვანსა და საქართველოს იპყრობს. ეჭვგარეშეა, რომ რომ სწორედ ეს აძულებს პიატიგორსკის ახლოს მდებარე მთა ბეშთაუის მოსახლეობას, დამორჩილდეს ივანე მრისხანეს, რომელსაც ერთი წლით ადრე, ესე იგი 1552 წელს, ყაზანი აქვს აღებული. სამი წლის შემდეგ ივანე მრისხანე ცოლად ირთავს ჩერქეზი თავადის თემრუკის ქალს, მარიამს. გასაკვირი არ არის, რომ რუსები კასპიის ზღვაზე კავკასიონის მთების ძირში დაუყოვნებლივ თარღის ციხე-სიმაგრეს აგებენ. ხოლო სპარსელები და თურქები, იმის მაგივრად, რომ ერთმანეთი რომ გაეჟყლიტათ, რისი იმედიც ერთხანს კავკასიის ქრისტიანულ მოსახლეობას ჰქონდა, ერთმანეთში იყოფენ ბარსა და მთას. სპარსელებს მიაქვთ შემახია, ბაქო, დარუბანდი, რომელსაც კასპიის ზღვის სანაპიროთი უკავშირდებიან. თურქები ხელთ იგდებენ თბილისს, იმერეთს, კოლხეთს და აარსებენ ფოთსა და რედუტ-კალეს.

ამ სახიფათო ვითარებაში კახეთის მეფე ალექსანდრე II მეგობრობას სთხოვს თედორე ივანეს ძეს, იმ ბედუკუღმართ მეფეს, რომელიც თავისი საშიში მეურვის ბორის ბოდუნოვის ხელში ციებ-ცხელებით გარდაიცვლება. მაგრამ ამ დროს სპარსეთში ხდება გადატრიალება, რაც გავლენას ახდენს საქართველოზეც. შაჰაბასი, რომელიც პროვინცია ხორასანს განაგებდა, ჩამოაგდებს თავის მამას, კლავს ორ ძმას, და სპარსეთის ტახტზე ადის. მოადგება კავკასიონის ძირს, თბილისიდან გაყრის თურქებს, მათს ადგილზე განმტკიცდება, უკნ დაბრუნებისას კი კვდება ისპაჰანში, რომელიც, თავისი სახელმწიფო სატახტო ქალაქად ჰქონდა გამოცხადებული. თავის თავად ცხადია, ადამიანმა, რომელმაც საკუთარი მამა ტახტიდან გადმოაგდო და ორი ძმა მოკლა, განსაკუთრებული სახელი დაიმსახურა. ეს კაცი ისტორიაში ცნობილია როგორც შაჰ-აბას დიდი.

კავკასიონის მეორე ფერდობზე რუსები თვაიანთი მიზნის მიხწევას ცდილობდნენ. ბუტურლინი და პლეშჩეევი შამხალის სამფლობელოში თარეშობენ, თემირ-ხან-შურადან თარღამდის გადაჭიმულ მიწებზე. ქართლის მეფე გიორგი კი ბორის გოდუნოვს ხარკის გადახდას უწყებს. დაახლოებით ამ ხანებში შაჰ-აბასი, რათა უფრო დაიმსახუროს თავისი დიდებული სახელი, კახეთს ისე ანადგურებს, რომ მისი მეფე თეიმურაზI მიხეილ თედორეს ძეს, რომანოვების პირველ მეფეს, დახმარებას სთხოვს სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ოცი წლის შემდეგ, კახეთი მიხეილ თედორეს ძის პროვინცია ხდება თავისი სუვერენიტეტის შენარჩუნების ნებართვით. იმერეთის მეფე გიორგი III, გურიის მთავარი მამიაII და სამეგრელოს მთავარი დადიანი რუსეთთან ასეთსავე ხელშეკრულებას დებენ. მაშინ ალექსი მიხეილის ძე ქუთაისში ჩამოდის, სადაც თავისი ახალი მოკავშირეების მორჩილებას მიიღებს (ეს ფაქტი ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ სადაოდაა მიჩნეული). კახეთის მეფე თეიმურაზი კი რუსეთს მიემგზავრება, სადაც მას მეფურად იღებენ. დარიალის ხეობა გადაიქცევა მთავარ გზად. სომხებს ნება ეძლევათ ამ დიდი გზის საშუალებით რუსეთში გაიტანონ თავისი და სპარსელების ნაწარმი აბრეშუმი.

პეტრე დიდი ცდილობს თავის იმპერიას მიუმატოს ორივე ზღვა. მუსინ-პუშკინი იღებს ბრძანებას დაამყაროს აღებ-მიცემობა დარუბანდსა და შემახიასთან. ეს ხერხი ნაყოფს გამოიღებს. 1718 წელს ყუმუხის შამხალი პეტრე დიდის პროტექტორატში შედის და ყარაბახის მფლობელნი მას ელჩებს უგზავნიან. რუსეთი დარუბანდის კარს მიდგება.

სამი წლის შემდეგ, 1722 წლის 22 აგვისტოს ეს კარები გაიხსნება. ალექსანდრეს ძველისძველ ქალაქში ჩვენ დავინახავთ პატარა სახლს, სადაც პოლტავის მძლეველი ცხოვრობს. აქვეა, ზარბაზნები, რომლებიც მან თავისი ვორონეჟის ქარხნებიდან გადმოზიდა. პეტრე დიდი, მადლიერი შემოქმედისა, რომ საწადელ მიზანს მიახწია, დაღისტანით უკან ბრუნდება და მდინარეებს ყოისუს, სულაკს და აგრახანს, შორის ეგრეთწოდებული წმინდა ჯვრის ციხე-სიმაგრეს აგებს. ის დარუბანდში ტოვებს კასპიის სანაპირო ხაზის კომენდანტს. ერთი წლის შემდეგ კომენდანტი გენერალი მატუშკინი იკავებს ბაქოს.

რამდენადაც პეტრე დიდი მიიწევს სამხრეთისაკენ იმდენად ჩრდილოეთისკენ მოიწევენ თურქები. თბილისი, რომელიც მათ შაჰ-აბაზს დიდს ჩააბარეს, ისევ მათ ხელში გადადის, მეფე ვახტანგ VI კი ურიცხვი ქართველი ჯარის თანხლებით რუსეთში გაიხიზნება. ღაბარდოს მთავარიც მასავით მფარველობას სთხოვს იმპერატრიცა ანა ივანეს ასულს მაგრამ იმ დროს, როცა რუსეთის მონარქიაში ასპარეზიდან გადადის ერთი დიდი ადამიანი, სპარსეთის მონარქიაში გამოჩნდება მეორე დიდი ადამიანი. ვინმე აქლემების გამრეკი სათავეში ჩაუდგება ავაზაკთა ჯგუფს, ხელში ჩაიგდებს ხორასნის არმიას, სარგებლობს იმ არევ-დარევით, რომელიც 1722 წელს ჰუსეინის გადაგდებას მოჰყვება, დაიპყრობს ისპაჰანს, თავისი გამარჯვებებით პოპულარობას მოიპოვებს, სახელად დაირქმევს თამასპა-ყულიხანს, რაც თამასპის მსახურთა წინამძღოლს ნიშნავს, ამ უკანასკნელ ტახტიდან გადმოაგდებს, მის ადგილზე დასვამს თავის რვა თვის ვაჟს, რომელიც ჩქარა კვდება, შემდეგ თავს იმპერატორად გამოაცხადებს ნადირ-შაჰის სახელით, ისევ აიღებს ბაქოს და დარუბანდს, ქართლიდან და კახეთიდან გააძევებს თურქებს, ხელახლა დაიპყრობს თბილისსა და ერევანს, ძლევამოსილად გაივლის დაღისტანს, დასჯის აჯანყებულ დარუბანდს, დაბრუნდება ანდაარის დასაპყრობად, თავს დაესხმის დიდ მოგოლს ინდუსტანში, აიღებს დელის და იქიდან წამოიღებს ნადავლს ხუთი მილიარდის რაოდენობით ჩვენი ფულით ბოლოს მოკლული იქნება 1747 წლის ივნისის თვეში, სწორედ მაშინ როცა საქართველოს მეფე ერეკლე სპასელებს ერევანთან დაამარცხებს და როცა თეიმურაზ II, კახეთის მეფე, ასტრახანში გადახვეწილი, გარდაიცვლება. შემდეგ რუსეთის ტახტზე ადის ეკატერინე II. იგი დაარსებს ყიზლარის პროვინციას და იქ ვოლგის კაზაკთა ხუთასჩვიდმეტ ოჯახს გადმოასახლებს, თერგზე კი დაასახლებს დონის კაზაკთა ას ოჯახს, მათგან შექმნის მოზდოკის კაზაკთა პოლკს და ყოველ ჯარისკაცს აჯილდოვებს მანეთით, ხმლითა და უამრავი სამხედრო პატივით.

ამ დროიდან მოყოლებული რუსეთი თითქმის ბატონ-პატრონად უხდება კავკასიის ქალაქებს. გენერალი ტოტლედენი შედის სამეგრელოში და ქუთაისის ბრძოლაში თურქებზე გაიმარჯვებს.

ოთხი წლის შემდეგ ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულება საქართველოსა და იმერეთს თურქებისაგან ანთავისუფლებს. მოსდოკსა და აზოვს შუა არსდება რუსეთის სამხედრო ხაზი, იქმნება კაზაკური სტანციები და ყაზი-კუმუხის მოსახლეობა ისჯება რუსი მოგზაურის გმელინის დატყვევების გამო.

1781წელს თურქეთი რუსეთს საბოლოოდ უთმობს ყირიმსა და ყუბანს. 1782 წელს კვდება იმერეთის მეფე სოლომონ I. 1783 წელს სუვოროვი იმორჩილებს ნოღაელ თათრებს, ეკატერინე II კი თავის პროტექტორატის ქვეშ აიყვანს კახეთისა და ქართლის მეფეს-ერეკლეს. 1785 წელს იქმნება კავკასიის სამეფის ნაცვლო, რომელშიაც შედიან ეკატერინოგრადის, ყიზლარის, მოზდოკის, ალექსანდროვსკისა და სტავროპოლის ოლქები. სამეფისნაცვლოს

ადმინისტარციულ ცენტრად ინიშნება ეკატერინოგრადი. უცხოელები ღებულობენ ნებართვას, დასახლდნენ კავკასიის სამეფისნაცვლოში, იმუშაონ და სრულიად თავისუფლად ივაჭრონ. ბოლოს, 1801 წელს იმპერატორი პავლე გამოსცემს ბრძნებულებას, რომელიც გამოაცხადებს საქართველოსა და რუსეთის გაერთიანებას, ხოლო მისი მონაცვლე ალექსანდრე I გამოსცემს მეორე ბრძანებულებას, სადაც საქრთველოს მართველად ინიშნება გენერალი კნორინგი.

იმ დროს, როცა სანკ-პეტერბურგში სულს ლევდა ეკატერინე II ვაჟი, დაღისტნის მთებში თავისუფლების შესანარჩუნებლად შეხიზნული, დაქსაქსული ავარელის ხალხის ნარჩენ ლეკების ტომში დაიბადა ბავშვი რომელსაც შამული დაარქვეს.

მეოთხე პერიოდი

თანამედროვე ეპოქა

თუ კავკასიის ისტორიას თვალს ჩავაწვდენთ, უპირველეს ყოვლისა წარმოგვიდგება გიგანტური მთაგრეხილი, რომლის ხეოაში თავს აფარებს ყველა ჯურისა თუ ეროვნების დევნილი და გადმოსახლებული.

ბარბაროსთა ალანების, გოთების ავარების, ჰუნების, ჰაზარების,სპარსელების, მონგოლების, თურქების ყოველ ახალ მოქცევაზე ცოცხალი ტალღები ეხეთქებიან კავკასიონის ფერდობებს, შემდეგ რომელიმე ხეობაში ჩადიან, იქ ჩერდებიან, ისადგურებენ. ახალი ხალხი სხვა ხალხში ირევა, ახალი ერი სხვა ერში ითქვიფება. ჰკითხეთ კავკასიის ხალხთა უმრავლესობას, ვისი შთამომავლები არიან და დარწმუნდებით, რომ თვითონაც არ იციან. მათ წარმოდგენა არა აქვთ, რა დროიდან დასახლდნენ მათი წინაპრები ამ ველებსა და მთებში. მაგრამ ყველამ იცის, რომ ისინი იქ მოვიდნენ თავისუფლების შესანარჩუნებლად და მზად არიან მას სიცოცხლე შესწირონ. თუ მოისურვებთ გაიგოთ, რამდენ სხვადასხვა ტომს შეადგენს კავკასიის ხალხი დაწყებული აპშერონის კონცხიდან ტამანის ნახევარკუნძულამდე, გიპასუხებენ:იმდენი, რამდენიც მაისის განთიადზე ჩვენი ველების ბალახზე ნამი ციმციმებს, ან რამდენი ქვიშის მარცვალსაც ააყენებს დეკემბრის ქარიშხალიო.

ისინი არ ტყუიან. როცა მათი მთაგრეხილების ნაოჭებს თვალს აყოლებ, თავბრუ გეხვევა, როცა მათ ტომებად დაყოფილ სხვადასხვა თაობებს ეძებ, გონება გებნევა.ზოგიერთი ამ ტომიდან, როგორც მაგალითად, უდები ისეთ ენაზე ლაპარაკობენ, რომელიც არამც თუ არავის ესმის, მას ვერც ერთ ძირს ვერ გამოუნახავთ რომელიმე სხვა ცნობილ ენაში. ჩვენ შევეცდებით ჩამოვთვალოთ ეს ტომები და მოგახსენებთ, თუ რამდენი ადამიანი შედის თვითეულ მათგანში.

აფხაზური ტომი იყოფა თოთხმეტ გვარად და შეიცავს.....144,552 კაცს,

სვანური ტომი იყოფა სამ გვარად და შეიცავს.....1, 639 კაცს,

ადიღეული ანუ ჩერქეზული ტომი იყოფა თექვსმეტ გვარად და შეიცავს.....290, 549 კაცს,

უბიხური ტომი იყოფა სამ გვარად და შეიცავს...25, 000 კაცს,

ნოღაური ტომი იყოფა ხუთ გვარად და შეიცავს.....44, 989 კაცს,

ოსური ტომი იყოფა ოთხ გვარად და შეიცავს.....27, 339 კაცს,

ჩეჩნური ტომი იყოფა ოცდაერთ გვარად და შეიცავს.....117, 080 კაცს,

თუშური ფშაური და ხევსური ტომები იყოფიან:

თუშები სამ გვარად და შეიცავს.....4, 079 კაცს

ფშავები თორმეტ და გვარად შეიცავს.....4, 232 კაცს,

ლეკური ტომი იყოფა ოცდაჩვიდმეტ გვარად და შეიცავს.....393, 701კაცს

სულ----------11 ტომი, 122 გვარი----------1, 059, 665 კაცი.

აფხაზური ტომი დასახლებულა კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე შავი ზღვის სანაპიროზე, სამეგრელოდან გაგრის სიმაგრემდე, იგი ებჯინება იალბუზის ძირს.

სვანური ტომი დასახლებულია მდინარე ენგურის ზემო წელის გასწვრივ, იგი აღწევს მდინარე ცხენისწყლის სათავემდე.

ადიღეური ანუ ჩერქეზული ტომი დასახლებულია მთა ყუბანიდან ამავე სახელწოდების მდინარის შესართავამდე, შემდეგ მაჰყვება კასპიის ზღვას და უკავია დიდი და პატარა ყაბარდო.

უბიხური ტომი დასახლებულია აფხაზეთსა და მდინარე სუეპს შორის.

ნოღაური ტომი მოქცეულია სტავროპოლის გუბერნიასა და ჩერქეზეთს შორის.

ოსური ტომი დასახლებულია დიდ ყაბარდოსა და ყაზბეგს შორის. აღმოსავლეთით მას ესაზღვრება დარიალის ხეობა, ხოლო დასავლეთით მთა ურუტპიხი (?).

ჩეჩნური ტომი დასახლებულია ვლადიკავკავიდან, თემირ-ხაშურამდე და მთა ბორბალოდან თერგამდე.

თუშები დასახლებული არიან კოისუსა და იორის სათავეებს შორის.

ლეკურ ტომს უჭირავს ლეკეთი, ესე იგი მთელი ართობი მდინარე სამურსა და ყოისუს შორის.

პოლიტიკური კავშირი ძნელად თუ შეაერთებდა ასეთი განსხვავებული წარმოშობის, ზნე-ჩვეულებებისა და ენის ხალხს. ამისთვის აუცილებელი იყო რელიგიური კავშირი. ყაზი-მოლამ დააწესა მიურიდიზმი, რომელიც უახლოვდება ვაჰაბიზმს, მაჰმადიანობაში უდრის იმას, რასაც პროტესტანტიზმი ქრისტიანულ რელიგიაში: კანონში დიდი სისასტიკეა შეტანილი. მისი მოციქულნი თავს მიურშრიტებს ეძახიან, ხოლო შეწირულნი - მიურიდებს. მიურიდთა რელიგიის უმთავრესი მოძღვრება არის ამქვეყნიური კეთილდღეობის უკიდურესი უარყოა და მხოლოდ და მხოლოდ ჭვრეტას, ლოცვასა და მორჩილებას გულისხმობს. ეს მორჩილება ერთისა ყველასადმი და ყველასი ერთისადმი გამომდინარეობს ყველაზედ უფრო სრული დემოკრატიულობიდან, მაგრამ მისი მთავარი საფუძველია სრული მორჩილება ბატონის, ესე იგი იმამის წესებისადმი. მიურიდი უნდა ემორჩილებოდეს იმამს უკამათოდ, შეუსიტყვებლად, უბრძანებს იგი მას მლვლელობას, თუ თვითმლვლელობას.

მთელი კაცის ერთ-ერთი პირველი მოთხოვნილება თამბაქოა. ერთხელ შამილმა ბრძანება გასცა, რომ აღარავის მოეწია თამბაქო და მის საყიდლად განკუთვნილი ფული მოეხმარათ თოფის წამლის შესაძენად. ყველამ შეწყვიტა თამბაქოს წევა. ყაზი-მოლამ ოცი წელი მოანდომა თავისი უფლებამოსილების განმტკიცებას ამ საფუძველზე, ძლივს მოჰკრა ყური ბარმა მის არსებობასა

და სახელს, რომ იგი უკვე განუსაზღვრელი იყო მთაში. და აი, 1831 წელს პირველ ნოემბერს ყაზი-მოლას გამოჩენამ საშინელი ხმაური გამოიწვია; ის ჩამოვიდა მთებიდან, თავს დაესხა ქალაქ ყიზლარს, გააცამტვერა და ექვსი ათასი თავი მოჰკვეთა. შემდეგ ამ წარმატებით გათამამებულმა ალყა შემოარტყა დარუბანდს. მაგრამ აქედან უკუიქცა და ისევ მთას დაუბრუნდა. ლაშქრობებში მას გვერდით ჰყავს ახალგაზრდა ოცდაექვსი-ოცდარვა წლის კაცი, სახელად შამუილ-ეფენდი. მან იცის წერა-კითხვა და დიდად ყვთისმოსავია. ხაზი-მოლა ჯერ ნუკერად დანიშნავს მას, ხოლო შემდეგ მიურიდად გახდის. ბოლოს შამუილ-ეფენდი ყაზი-მოლას საჭურჭლეთმტვირთველისაგან მისი მოწაფე და მომდევარი გახდება. ეს ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ყაზი-მოლას წყალობით ყველამ ყურადღება მიაქცია, გიმრიში დაბადებულა. ზოგიერთის მოწმობით ის სოფლის მოედანზე და ყავახანაში ხშირად უნახავთ მომღერალი და მოცეკვავე. თხუთმეტი წლისა რომ შესრულდა, სადღაც გამქრალა და არავინ იცოდა, სად გაატარა ხუთი წელიწადი. ზოგიც ირწმუნებოდა, თურქეთიდან გამოქცეული მონაა და მთებში იმალებაო. ამ უკანასკნელ ვერსიას ნაკლებად უჯერებდნენ და ამბობდნენ, მტრები უვრცელებენ ამ ხმასო. თუმცა ძალზე ახალგაზრდა იყო, მტერი მაინც ბევრი ჰყავდა ყაზი-მოლას სიყვარულის წყალობით. ყაზი-მოლას წარმატებები და გამბედაობა გამომდინარეობდა იმ გარემოებიდან, რომ რუსები იძულებულნი გახდნენ ომი ეწარმოებინათ ორ ახალ, უფრო სწორად, ორ თავის ძველ მტერთან, სპარსელებთან და თურქებთან.

1826 წლის 6 სექტემბერს თურქებმა ომი გამოუცხადა სპასეთს. იმავე წლის 13 სექტემბერს გენერალმა პასკევიჩმადაამარცხა სპასელები ელიზავეტ პოლში. 1827წლის 26 მარტს გენერალი პასკევიჩი დაინიშნა კავკასიაში მთავარ სარდლათ. იმავე წლის 5 ივნისს რუსებმა დაამარცხეს აბას-მირზა ჯავან-ბულაკთან (?), 7 ივლისს აღებულ იქნა აბას-აბადის ციხე-სიმაგრე, 20 ივლისს სარდარ-აბადის ციხე-სიმაგრე, 1 ოქტომბერს ერევნის ციხე-სიმაგრე. ბოლოს გადალახეს არაქსი, ხელში ჩაიგდეს ქალაქები არდებილი, მარანი, ურმია და 1828 წლის 10 თებერვალს ხელი მოაწერს ზავის ხელშეკრულებას თურქმენჩაიში. ამ ზავის შედეგად ერევნისა და ნახჭევანის სახანოები რუსეთის ხელში გადავიდა.

სპარსელები თურქებმა შეცვალეს. ამავე წლის 14 აპრილს მათ გამოეცხადათ ომი. 11 ივნისს ჩამოერთვათ ციხე-სიმაგრე ანაპი, 23-ში ყარსი, 15 ივლისს ფოთი 24 ივლისს ახალქალაქი, 26-ს სერთვისი, 15 აგვისტოს ახალციხე, 28 აგვისტოს კი ბაიაზეთი. ბოლოს, 1829 წლის 20 ივნისს გენერალი პასკევიჩი საბოლოოდ გაიმარჯვებს სოფელ ყანდთან. 2 სექტემბერს ხელს აწერენ ზავს ადრიანოპოლში და ამ ზავის შედეგად თურქეთი რუსებს უთმობს ყველა სიმაგრეებს, რომელიც მან ომის დროს წაართვა.

სპარსეთთან დაზავების და თურქების დამარცხების შემდეგ რუსებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. გადაწყდა გენერალ ბარონ როზენს მოეწყო ექსპედიცია დაღისტანში და შესულიყო ავარიასა დაჩ ეჩნეთში. ის მართლა ჩამოდის ყარანაის მთით და ალყას შემოარტყამს გიმრის.

მთიულთა სოფელი საკუთარი თვალით უნდა ნახო რათა წარმოდგენა იქონიო, როგორ არტყამენ მას ალყას. ყოველი სახლი თავისი ქონგურებით ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს და ისე იცავს თავს, რომ მხოლოდ ცეცხლით ხდება შეასაძლებელი მისი აღება. გიმრი გაშმაგებით იცავდა თვას. აქ იყვნენ ყაზი-მოლა, მისი ნაიბი ჰამზად-ბეგი და შამუილ-ეფენდი. ბოლოს ჰამზად-ბეგი გაიქცა, მოკლული ყაზი-მოლა და მსუბუქად დაჭრილი შამუილ-ეფენდი მარტო რჩებიან ბრძოლის ველზე. რატომ დარჩა მსუბუქად დაჭრილი შამუილ-ეფენდი ბრძოლის ველზე? ჯერ ერთი იმიტომ, რომ ცხენი მოუკლეს, ხოლო თვითონ ჭრილობა ღია ქონდა და სხეული მთლიანად დასისხლიანებული. მან ამით ისარგებლა და რუსეთთან თავი მოიკატუნა, თითქოს მოკვდა, გარდა ამისა, როცა რუსებმა ბინდისას ბრძოლის ველი დატოვეს შამუილი წამოდგა მოძებნა თავისი ბატონის სკამი, რომელსაც ბრძოლის დროს თვალი შეასწრო, იპოვა ის და ისე დასვა, თითქოს ლოცვაში მომკვდარიყოს. მართალია, ყაზი-მოლა მაინც მკვდარი იყო,

მაგრამ ეს იყო მიურიდიზმის ტრიუმფი, შამუილ-ეფენდი კი დიდ იმედებს ამყარებდა მიურიდიზმზე თავისი მომავალი აღზევებისთვის. შემდეგ შამუილი კვლავ შეუერთდა თანამებრძოლეებს, ყაზი-მოლა წამებულად გამოაცხადა, რომელმაც ვითომ და მას უკანასკნელი დარიგება მისცა და მართალია, მაშინვე არ გამოუცხადებია თავი მის მონაცვლეთ, ირწმუნებოდა მისი საყვარელი მოწაფე ვარო. რუსების წასვლის შემდეგ ბრძოლის ველზე მოყვანილ მთიელებს ყაზი-მოლას გვამი იმავე მდგომარეობაში დახვდა, როგორც შამუილმა უამბო და როცა ის ირწმუნებოდა, მისგან უკანასკნელი დარიგებები მივიღეო, ეჭვი აღარავის შეპარვია.

მაგრამ შამუილის დრო ჯერ არუყო მოსული. იგი გრძნობდა, რომ მასა და იმამის წოდებას შორის ცოცხალი და დაუძლეველი დაბრკოლება არსებობდა: ეს იყო ყაზი-მოლას ნაიბი ჰამზად ბეგი. თვითონ ჰამზად-ბეგს, მიუხედავად მისი პოპულარობისა, სრულიად არ ჰქონდა იმედი, რომ უზენაეს ხელისუფლებას დაიმკვიდრებდა. ამ მიზნის მიღწევაში თავის გამბედაობას უნდა უმადლოდეს. როცა ჰამზად-ბეგი ყაზი-მოლას დაღუპვაში დარწმუნდა, მან დაღისტნის ყველა მოლოებს კაცები გაუგზავნა, ყარადაღში შეგროვბილიყვნენ, სადაც თვითონვე აპირებდა მისვლას მათთვის მნიშვნელოვანი ამბის შესატყობინებლად. მოლები შეგროვდნენ დანიშნულ ადგილზე. შუადღისას, ანუ იმ დროს, როცა მუეძინები მართლამორწმუნეთ სალოცავად ეძახიან, ჰამზად-ბეგის სოფელში შევიდა ყველაზე უფრო მამაცი და ერთგული მჯიურიდების თანხლებით. იგი თამამათ გაემართა მიგზითისაკენ, ილოცა, შემდეგ ხალხს მიუბრუნდა და მაღალი და ურყევი ხმით მიმართა:

„ტარიკატის ბრძენო ამხანაგო, პატივსაცემო მოლებო და ჩვენი სახელგანთქმული კავშირის ბელადებო, ყაზი-მოლა მოკლულია და იგი ახლა თქვენთვის ლოცულობს. მადლობა გადაუხადოთ მას ჩვენი წმინდა საქმის ერთგულებისათვის. მოვიკრიბოთ უფრო მეტი სიმამაცე, რადგანაც მისი გულადობა ამიერიდან ვეღარ მოგვეხმარება. ის მფარველობას გვიწევდა ყველა საქმეში და რადგანაც ცაში ჩვენზე ადრე წავიდა, თავისი ხელით გაუღებს სამოთხის კარს ყველას, ვინც ბრძოლაში დავიყუპებით. ჩვენი სარწმუნოება მოგვიწოდებს ვიბრძოლოთ რუსების წინააღმდეგ, რათა თანამემამულენი მათი უღლისაგან გავათავისუფლოთ. ვინც მოკლავს ერთ რუსს, ესე იგი ჩვენი წმინდა რელიგიის ერთ მტერს, ის სამარადისო ნეტარებას იგემებს. ვინც მათთან ბრძოლაში მოკვდება, ის სიკვდილის ანგელოზის მკლავებიდან ბედნიერი და უბიწო ჰურიათა მკლავებში გადავა. ყველანი თქვენს აულებში დაბრუნდით, შეაგროვეთ ხალხი, გადაეცით მათ ყაზი-მოლას რჩევა, უთხარით, თუი სამშობლოს გათავისუფლებას არ შეეცდებიან, ჩვენს მიზგითებს ქრისტიანული ეკლესიები შეცვლიან და ურწმუნონი ყველას დაგვიმორჩილებენ. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავრჩეთ იუმამოთ. შეყვარებული ღვთისა შამუილ-ეფენდი, რომელმაც ჩვენი მამაცი ბელადის უკანასკნელი სიტყვები მიიღო გეტყვით, რომ ყაზი-მოლამ მე დამასახელა თვაის მემკვიდრეთ. ახლა მე, რომელიც ამ წუთითად თქვენი ბელადი ვარ, რუსებს წმიდა ომს ვუცხადებ!

ამ კრების დამსრეთა შორის ბევრი აღმოჩნდა ისეთი ვინც წინააღმდეგი იყო ჰამზად-ბეგისთვის უზენაესი ხელისუფლება მიეცათ. ხალხში ყრუ დრტვინვა გაისმა. მაშინ ჰამზად-ბეგმა ხელით ანიშნა გაჩუმებულიყვნენ. ჩამოვარდა დუმილი.

-მაჰმადიანნ, -თქვა მან,-ვხედავ, თქვენი რწმენა შეირყა. ჩემი ვალდებულებაა იმამისა მაიძულებს ისევ დაგაბრუნოთ იმ გზას, რომელსაც ასცდით. ახლავე უდრტვინველად დამმორჩილდით! უსმინეთ ჰამზად-ბეგის ხმას, თორემ ის თავისი ხანჯლით გაიძულებთ მორჩილებას.

ორატორის გადამწყვეტმა გამოხედვამ, მისმა გაშიშვლებულმა ხანჯალმა, მისმა თავზეხელაღებულმა მიურიდებმა ბრბოზე ისე იმოქმედეს, რომ უმალვე სიჩუმე დამყარდა.

ერთ კაცსაც არ გაუბედია წინააღმდეგობის გაწევა. ჰამზად-ბეგი კი მიზგითიდან გამოვიდა. ცხენს შემოახტა და მიურიდების ამალით თავისი ბანაკისკენ გაქუსლა.

ჰამზად-ბეგმა სულიერი ხელისუფლება დაამკვიდრა. ახლა მას საერო ხელისუფლების მოპოვება დარჩა. ეს ხელისუფლება კი ავარიის ხანების ხელში იყო. შამუილ-ეფენტი რომელიც ჰამზად-ბეგის ნაიბი გახდა ისე, როგორც ეს უკანასკნელი იყო ყაზი-მოლას ნაირი, ამბობენ იგი დაარწმუნა, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, ქვეყნის კანონიერი მართველები მოიცილე თავიდანო. ბევრი, პირიქით, ამტკიცებს, ეს რჩევა ჰამზად-ბეგს ავარეთის ხანების დაუძინებელმა მტერმა ყაზი-ყუმუხის ხანმა ასლანმა მისცაო. ავარეთის ხანების ურთიერთობა ასეთი იყო: მამით ობოლი სამი ძმა მათმა დედამ ფახუ-ბიკემ აღსარდა. უფროსს აბუ-ნუნცალი ერქვა, შუათანას უმა-ხანი, უმცროსს ბულაჩ-ხანი. მათი დედის გაზრდილი იყო აგრეთვე ჰამზად-ბეგი, და თუ მათი ღვიძლი ძმა არ იყო, ძუძუს მტეთ მაინც ერგებოდათ. რუსების დაღისტანში შესვლისას ხანებმა უკან დაიხიეს და ხუნძახს შეაფარეს თავი.

ჰამზად-ბეგი განუწყვეტლივ უტევდა რუსებს, დღედაღამ მოსვენებას არ აძლევდა და ისე შეავიწროვა, რომ ისინი იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ავარეთი, სადაც მხოლოდ ორი თუ სამი დაბის დანგრევა მოასწრეს, ჰამზად-ბეგმა ხუნძახთან გაშალა ბანაკი, ახალგაზრდა ხანებს აცობა და მოუხმო. მათ, რასაკვირველია ეჭვიც არ აუღიათ რაიმე ღალატზე და მიამიტათ წამოვიდნენ მასტან. მაგრამ ჯერ მისულიც არ იყვნენ, რომ თავს დაესხნენ ჰამზად-ბეგის ნუკერები თოფებითა და ხანჯლებით. ახალგაზრდა ხანებს მამაცობა არ აკლდათ, თუმცა მესამეჯერ სულ ბავშვი იყო. გარდა ამისა მათ ახლდა ერთგული ამალა. ამიტომ მათი დახოცვა ადვილი არ აღმოჩნდა და სასტკი ბრძოლა გაიმართა. უფროსი ძმები დახოცეს, უმცროსი კი ტყვეთ წაიყვანეს. მაგრამ ჰამზად-ბეგს ბრძოლაში ორმოცი კაცი დაეკარგა, რომელთა რიცხვში მისი ძმაც იყო.

ამრიგად შამუილ-ეფენდის თავის გზაზე ერთი დაბრკოლება კიდევ დააკლა, რადგანაც ჰამზად-ბეგის ძმასშეეძლო ჰქონოდა უფლება თუ არა, ყოველ შემთხვევაში პრეტენზია მაინც მის შენაცვლებაზე. როგორც უკვე მოგახსენეთ, სამი ძმიდან უმცროსი, ბულაჩ-ხანი ცოცხალი გადარჩა და ვიდრე ის ცოცხალი იყო, ჰამზად-ბეგი ვერ გახდებოდა ავარეთის კანონიერი ხანი. მაგრამ მკვლელი, რომელმაც უყოყმანოდ დახოცა უფროსი ძმები, როცა ისინი შეიარაღებულნი თავს იცავდნენ, ვეღარ ბედავდა მცირეწლოვანი, უმწეო ბიჭის მოკვლას. ამავე ხანებში, 1934 წელს თვით ჰამზად-ბეგიც მოკლეს.

ისტორიკოსის თვალი ძნელად აღწევს კავკასიის ამ ბნელ ხეობებს იმ დაუცხრომელ ხმაურში, რომელიც იქიდან მოისმის. ეს ხმაური ქალაქებამდე აღწევს და გაურკვეველ გამოძახილად იქცევა, რომელიც მუდმივ ცვალებადობას განიცდის მანძილისა თუ რელიფიის ცვალებადობასთან დაკავშირებით. ჰამზად-ბეგის მკვლელობის სესახებ შემდეგი გადმოცემა არსებობს:

ახალგაზრდა ხანების დახოცვის შემდეგ ჰამზად-ბეგი ხუნძახში დაბინავდა მათს სახლეში. ეს ხანები თავიანთ ქვეშევრდომებში დიდი სიყვარულით სარგებლობდნენ და ხალხმა მკვლელის მოქმედებაში საზიზღარი ღალატი და უსვინდისო მკრეხელობა დაინახა. ატყდა ხალხში დრტვინვა ჰამზად-ბეგის წინააღმდეგ. ამ ამბავმა შამუილ-ეფენდის ყურამდეც მიაღწია, და ის მიხვდა, რა სარგებლობის გამოტანა შეეძლო ამ არეულობიდან. და აი, მისგან წაქეზებული ოსმან-სული ჰაჯიევი თავისი ორი შვილიშვილით ოსმანითა და ჰაჯი-მურატით,-ეს უკანასკნელი სახელი კარგად დაიმახსოვრეთ, რადგანაც მისი მატარებელი მოწოდებულია დიდი როლი ითამაშოს ჩვენს მოთხრობაში,-განიზრახავენ შეთქმულება მოუწყონ ჰამზად-ბეგს.

ახლოვდებოდა 19 სექტემბერი. ეს არის დიდი მაჰმადიანური დღესასწაული. ჰამზად-ბეგს, როგორც იმამს, ხუმნძახისმიზგითში საჯარო ლოცვა უნდა ეთქვა. შეთქმულება თავიანთი

განზრახვის შესასრულებლად ეს დღე და ეს ადგილი აირჩიეს. მრავალჯერ მიუვიდა ხმა ჰამზად-ბეგს ამ შეთქმულების შესახებ, მაგრამ არ იჯერებოდა. ბოლოს, როცა ერთი მისი მიურიდი სხვაზე მეტად ჩააცივდა, ჰკითხა:

-განა ძალგიძს შეაჩერო ანგელოზი, როცა შენი სულის წასაღებად მოვა?

-რასაკვირველია, არა, -მიუგო მიურიდმა.

-მაშ შინ წადი და დაწექი,-უთხრა ჰამზად-ბეგმა, -რაც გვიწერია, იმას ვერ გავექცევით. თუ ალაჰმა სასიკვდილოდ ხვალინდელი დღე დამინიშნა, წინ ვერაფერი დაუდგება.

და მართლაც, 19 სექტემბერი ბედმა ჰამზად-ბეგის სიკვდილის დღედ დანიშნა. ის მოკლეს მიზგითში იმ ადგილზე და იმ დროს, როგორც შეთქმულებას ჰქონდათ გადაწყვეტილი, და მისი გვამი სრულიად განძარცული ოთხი დღის განმავლობაში მიზგითის წინ ეგდო დიდ მოედანზე.

შამუილ-ეფენდის ყველაზე მოსისხლე მტრებიც კი იძულებულნი იყვნენ ეცნოთ, რომ ამ მკვლელობის დროს ის ხუნძახში არ ყოფილა, მაგრამ ირწმუნებობდნენ, შოპრიდან ხელმძღვანელობდა შეთქმულებასაო. მისი მონაწილეობის ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთი, როგორც გადმოგვცემენ, ის არის, რომ თითქოს სწორედ იმ დროს, როცა ჰამზად-ბეგი მოკლეს, ოცდაათ ვერსზე მყოფი შამუილ-ეფენდი ლოცვად იყო. უცბად იგი გაფითრებული და ჭირის ოფლში გაწურული წამოვარდა, თითქოს მოსესა და სამეულის მსგავსად ღმერთს ესაუბრებოდაო და გარშემომყოფთ იმამის სიკვდილი აუწყა. არავინ იცის, თუ რა ხერხები იხმარა ახალმა წინასწარმეტყველმა, რათა თავისი მიზნებისთვის მიეღწია. უეჭველია, მან ამას სრულიად უბრალოდ, თავისი გენიის ძალით მიაღწია. ასე იყო, თუ ისე, ჰამზად-ბეგის სიკვდილის ერთი კვირის შემდეგ შამუილ-ეფენდი საყოველთაო ხმის მიცემით იმამად იქნა გამოცხადებული. ამ ტიტულის მიღების შემდეგ მან პირდაპირ შამილი დაირქვა. ჰაჯი-მურატი, რომელიც ტავის მამა-პაპით ჰამზად-ბეგის წინააღმდეგ შეთქმულებას ედგა სათავეში, ავარეთის მმართველად დაინიშნა. დარჩენილი იყო ახალგაზრდა ბულაჩ-ხანი, ჰამზად-ბეგის ტყვე, რომელზეც მან ხელი ვერ აღმართა, მაგრამ რომელსაც შეეძლო ერთ მშვენიერ დღეს ავარიის სახანოზე პრეტენზია განეცხადებინა, როგორც მის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრეს. და აი, რას გვამბობს ჭაბუკი ხანის ტრაგიკული ბედის შესახებ გადმოცემა, რომლის სისწორეზეც ჩვენ პასუხს ვერ ვაგებთ: ჰამზად-ბეგმა ჭაბუკ ბულაჩ-ხანს მცველად მიუყენა თავისი ბიძა იმან-ალი. როგორც კი შამილი იმამი გახდა, მან დაჟინებით მოითხოვა ტყვეც და ჰამზად-ბეგის დატოვებული სიმდიდრეც. იმან-ალიმ ქონება უსიტყვოთ გადასცა, ტყვეზე კი უარი უთხრა. როგორც ამბობენ ამ უარს თავისი მიზეზი ჰქონდა: იმან-ალის ჰყავდა ვაჟი, სახელად ჩობან-ბეი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ბულაჩ-ხანის ძმებთან შეტაკებაში, და სასიკვდილოთ იქნა დაჭრილი. მომაკვდავი შვილი მამას მიუყვანეს. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში იგი მონანიების გრძნობამ შეიპყრო, რომ მონაწილეობას იღებდაბოროტმოქმედებაში და იმან-ალის შეევედრა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა ბულაჩ-ხანისთვის მზრუნველობა გაეწია და დროთა განმავლობაში ავარეთის სახონისდაბრუნებაში დახმარებოდა. იმან-ალიმ ჩობან-ბეის აღუთქვა, თხოვნას შეგისრულებო და ამიტომაც უთხრა შამილს უარი. მამა თავს ვალდებულად თვლიდა, შვილისთვის დაპირება შეესრულებინა. მაგრამ, როგორც ამბობენ, შამილმა თვაისი მიურიდებით ალყა შემოარტყა იმან-ალის საცხოვრებელს და დაემუქრა, თავს მოგკვეთ, და შენს ოჯახს მუსრს გავავლებ, თუ არ მომცემ ბულაჩ-ხანსო. იმან-ალის შეეშინდა და შამილს ყმაწვილ კაცი ჩააბარა. მაშინ იმავე გადმოცემის თანახმად შამილმა ჭაბუკი ყოი-სუზე გადმომყურე მთის წვერზე აიყვანა, იქ დასწამა ჰამზად-ბეგი შენი წაქეზებით მოკლესო და მდინარეში გადააგდო. ამბობენ, ეს მოქმედება საბაბი გახდა ჰაჯი-მურატის ლტოლვილებისაო.

ბულაჩ-ხანის მოკვლის შემდეგ შამილმა სრულიად შეუფერხებლად ჩაიგდო ხელში, როგორც სასულიერო, ისე საერო ხელისუფლება. ყველა ეს ამბავი 1834 წელს მოხდა. ცნობილია, თუ რაოდენ დაუძინებელი და შეუპოვარი მტერი გაუჩნდა ამ დღიდან რუსეთს ამ მთიელი მბრძანებლის სახით.

თბილისი, 1858 წლის 1 დეკემბერი.

თავი I
ყიზლარი

ყიზლარში ჩამოვედით 1858 წლის 7 ნოემბერს, ნაშუადღევის ორ საათზე. ეს იყო პირველი ქალაქი ასტრახანის შემდეგ. ექვსასი ვერსი სტეპებზე ვიარეთ, სადაც არავიტარი თავშესაფარი არ შეგვხვედრია სადგურებსა და კაზაკთა საგუსაგოებს გარდა. რაც უფრო ვუახლოვდებით ყიზლარს, მით უფრო მატულობდა დასახელებული ადგილები და ვამჩნევდით, რომ ყველა მოგზაური, მხედარი იყო თუ ქვეითი, კბილებამდე იარაღში იჯდა. ერთ მწყემსი შეგხვდა გზაზე, რომელსაც გვერდზე ხანჯალი ეკიდა, ქამარზე დამბაჩა, მხარზე კი თოფი ჰქონდა გადაგდებული. თვით მისი ტანისამოსიც კი საომარ ხასიათს ატარებდა. უვნებელი რუსული ტყაპუჭი, გულუპრყვილო „ დუბლიონკა“ შეეცვალა რუხ ან თეთრ ჩერქეზულ ჩოხას მკერდის ორივე მხარეს ჩამწკრივებული მასრებით. მხიარული გამოხედვა შეეცვალა ეჭვიან მზერას და ყოველი შემხვედრი მრისხანედ იყურებოდა მისი რუხი, თეთრი თუ შავი ფაფახის ბეწქვეშ. იგრძნობოდა, ისეთ მიწაზე შევდგით ფეხი, სადაც ყოველ ადამიანს მტერთან შეხვედრი შიში აქვს, სადაც ყოველგვარ ხელისუფლებასთან სიშორის გამო, ყველა ცდილობს თვითონვე დაიცვას თავი.

და აი, შევედით ყიზლარში, რომელიც 1831 წელში აღებული და განადგურებული იყო ყაზი-მოლას მიერ. ხალხში ჯერ ისევ ცოცხლობდა მოგონება იმ საშინელი დღეებისა, რომელნიც ჯერაც კიდევ მეორდებიან, მაგრამ უფრო მცირე მასშტაბით. ყველა იგონებდა დაღუპულ მეგობარს თუ ნათესავს, დაკარგულ სახლს თუ ქონებას.

-სად წაგიყვანოთ? -გვკითხა მეეტლემ.

-საუკეთესო სასტუმროში.

მან თავი გააქნია და მოგვიგო:

-ყიზლარში სასტუმროები არ არის.

-მაშ სად ჩერდებიან ჩამოსულები?

-პოლიციის უფროსს უნდა მიმართოთ და ის მიგითითებთ რომელიმე სახლს.

მაშინ ჩვენი ესკორტიდან ერთი კაზაკი მოვიმხეთ, მივეცით ჩვენი „პოდოროჟნი“ და „ოტკრიტი ლისტი“ ჩვენი პირადობის დასადგენად, და ვუბრძანეთ, რაც შეეიძლება სწრაფად მისულიყო პოლიციის უფროსთან და მისი პასუხით ქალაქის შესასვლელში დაგვლოდებოდა. მან ცხენი დააოთხა და ჩქარა გაქრა მიხვეულ-მოხვეულ გზაზე, რომელიც მღვრიე მდინარის მსგავსად ორრობეში იკარგებოდა. ეს ღობეები გარს ევლო ბაღებს, რომლებიც, ეტყობოდა, ჩინებულად იყო მოვლილი. მეეტლეს რომ ვკითხეთ, გვიპასუხა, ეს ვენახეები სომხებს ეკუთვნითო. ეს ის ვენახეები იყო, რომელთა ყურძნიდან ცნობილ ყიზლარის ღვინოს აყენებენ. ყიზლარის და კახეთის ღვინოები, რომელთაგან, ჩემი აზრით, პირველი სჯობს, იმის გამო, რომ კახური ღვინო გადააქვთ ტიკებით და მას ტიკის გემო დაჰკრავს, სამეგრელოს ოჯალეშთან და ერევნის ღვინოსათან ერთად, წარმოადგენენ ერთადერთ ღვინოს მთელ კავკასიაში, რომელსაც ყველა

სვამს. ამ ქვეყანაში, მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით, თუ არ ჩავთვლით მაჰმადიანურ მოსახლეობას, მეტი ღვინო ისმევა, ვიდრე სადმე სხვაგან. გარდა ამისა ყიზლარში ხდიან შესანიშნავ არაყს, რომელიც მთელ კავკასიაში ცნობილია „ყიზლარკას“ სახელწოდებით. სომხები ღვინოსაც აყენებენ და არაყსაც ხდიან. საერთოდ კავკასიასა და მის მეზობელ პროვინციებშიმთელ მრეწველობას სომხები თაოსნობენ. ყოველ ხალხს თავისი სპეციალობა აქვს. სპარსელი ყიდის აბრეშუმის ნაწარმს, ლეკი-მაუდს, თათარი-იარაღს. სომეხს სპეციალობა არა აქვს, იგი ყიდის ყველაფერს, რაც იყიდება თუ არ იყიდება. საერთოდ სომხების რეპუტაცია არ არის აქ მაღალი. ხშირად გაიგონებთ: თუ თათარმა თავი დაგიქნია, -ენდე, თუ მთიელმა პატიოსანი სიტყვა მოგცა - მასაც ენდე, ხოლო თუ სომეხთან გაქვს საქმე, უსათუოდ ხელწერილი დაადებინე და ორი კაციც დაიმოწმე, რომ თავის ხელწერილზე უარი არა თქვასო.

ხუთი დღის განმავლობაში არც ერთი ხე არ გვენახა და გული გაგვინათდა, როცა ამ ოაზისში შევედით, თუმცა ოაზისს უკვე ფოთოლი სცვიოდა. რუსეთში ზამთარი დავტოვეთ, ყიზლარში შემოდგომა დაგვხვდა, გავრწმუნებდნენ, ბაქოში ზაფხულს ჩუსწრებთო. აქ მთლად ყირამალა გადატრიალებულიყო წელიწადი.

დაახლოებით ოთხი ვერსი გავიარეთ სამაგელ გზებზე და ბოლოს ქალაქის კართან მივედით. ჩვენი კაზაკი უკვე იქ გვიცდიდა. პიოლიციიის უფროსს ჩვენთვის ბინა მიეჩინა საგუშაგოდან ასი ნაბიჯის მოშორებით. კაზაკი წინ გაგვიძღვა და ეტლი სახლის კართან გავაჩერეთ.

ახლა კი ნამდვილ აღმოსავლეთში ვიყავით. მართალია, ეს ჩრდილოეთის აღმოსავლეთი იყო, მაგრამ იგი სამხრეთის აღმოსავლეთისგან მხოლოდ ჩაცმულობით განსხვავდებოდა. ზნე-ჩვეულებები ორივეგან ერთნაირია. მუანემ ეს შეამჩნია, როცა ოთახში შესვლისას თავს კარი აჰკრა: კარი თითქოს ათი წლის ბავშვისთვის იყო გაკეთებული, მე ოთახში პირველი შევედი და იქაურობას შეშფოთებით მოვავლე თვალი. საგუშაგო პოსტები, რომლებზეც აქამდე ვჩერდებოდით, რასაკვირველია ნაკლებად იყვნენ მოწყობილნი ავეჯით, მაგრამ იქ ხის მერხი, ხის მაგიდა და ორი ხის სკამი მაინც იდგა ხოლმე. ამ ოთახში კი ყოველგვარ ავეჯს ცვლიდა ერთ კედელზე ჩამოკიდებული გიტარა. ნეტავ, ვინ უნდა ყოფილი ის მეოცნებე ესპანელი, ჩვენამდე რომ ამ ოთახში ეცხოვრა და ბინის ქირა რომ შემოჰკლებოდა, ეს უცხო ავეჯი დაეტოვებინა მასპინძლისთვის, რომელიც მას, ალბათ, ყიზლარის მუზეუმისთვის ინახავდა. ჩვენ ეს ვკითხეთ თხუთმეტიოდე წლის ბიჭს, იქვე რომ იდგა ჩერქეზულ ჩოხაში გამოწყობილი მკერდზე მასრებითა და ქამარში გაყრილი ხანჯლით. ალბათ, ეს კარიც მისთვის იყო გამოჭრილი. მაგრამ ბიჭმა ჩვენს კიხვაზე მხოლოდ მხრები აიჩეჩა, რაც ნიშნავდა, რაში გაინტერესებთო.

- მანდ იმიტომ ჰკიდია, რომ მანდ დაჰკიდეს.

მეტი არ იყო უნდა დავჯერებოდით ამ ბუნდოვან განმარტებას. მაშინ ვკითხეთ, რაზე გვეჭამა, რაზე დავმსხდარიყავით ან რაზე დავწოლილიყავით მან იატაკზე მიგვითითა და აბეზარი კითხვებით თავმობეზრებული ოთახიდან გავიდა. პატარა ძმამ რომელსაც თავისთავზე გრძელი ხანჯალი ეკიდა გვერდზე და ველურად აბრიალებდა თვალებს შავი ფაფახის გაბურძგნული ბეწვის ქვემოდან, ბიჭს ფეხდაფეხ გაჰყვა.

მათი გასვლის შემდეგ მწარე ფიქრებმა შეგვიპყრო, ნუთუ ეს არის ესოდენ ნაქები აღმოსავლური მასპინძლობა, რომელიც ახლოდან ისევე კარგავდა ფასს, როპგორც ყველაფერი ამ ქვეყნად? ამ დროს თვალი მოვკარით ჩვენს კაზაკს, რომელიც კარს უკნა მოხრილი იდგა და ამიტომაც სახე მოუჩანდა.

-ხომ არაფერი გინდა ძმაო? - ჰკითხა კალინინომ ალერსის კილოთი, რაც რუსებს უმცროსებთან მიმართვაში ახასიათებთ.

-მე მინდოდა გენერლისთვის მეთქვა, რომ პოლიციიის უფროსი ავეჯის გამოგზავნას დაჰპირდა.

-ძალიან კარგი! - მიუგო კალინომ.

კაზაკი ქუსლებზე შემობრუნდა და გავიდა. ჩვენი ღირსება მოითხოვა. ეს ამბავი გულგრილად მიგვეღო და ისე შეგვეხედა პოლიციის უფროსის ამ ყურადღებისთვის, თითქოს მისი პირდაპირი მოვალეობა ყოფილიყოს. ძვირფასო მკითხველო, გენერალი, რომელიც ახალახან კაზაკმა ახსენა, მე გახლავართ. ამას განმარტება სჭირდება:

რუსეთში ყველაფერი დამოკიდებულია ჩინზე, რაც ნიშნავს ხარისხს. თუ დიდი ჩინი გაქვთ, ისე გექცევიან, როგორც ბატონს, თუ არადა ზედაც არ გიყურებენ. ჩინის გარეგნული ნიშნებია სამხრეები, მედლები, ჯვრები, ვარსკვლავები და სხვა. ვარსკვლავს აქ მხოლოდ გენერლები იკეთებენ. მოსკოვიდან რომ მოვდიოდი მითხრეს:

-რუსეთში მოგზაურობისას საჭიროა რაიმე წარჩინების ნიშანი გაიკეთოდ ღილკილოზე, მკერდზე ან ყელზე, თორემ სასტუმროებში ვერაფერს იშოვით, საფოსტო პუნქტებში ცხენებს არ მოგცემენ, სტანციებში კი ვერცერთ კაზაკს ვერ ნახავთ.

მე სასაცილოდაც არ მეყო ეს ღონისძიება, მაგრამ სულ მალე მივხვდი, იგი არამცთუ სასარგებლო, არამედ აუცილებელიც ყოფილა. ამგვარად ჩემს რუსულ არმიელის ტანისამოსს გავუკეთე კარლოს III დროინდელი ესპანური ვარსკვლავი და მართლაც მაშინვე ყოველივე გამოიცვალა ჩემს მიმართ: ყველგან ცდილობდნენ დაუყოვნებლივ დაეკმაყოფილებინათ ჩემი სურვილი და რადგანაც რუსეთის გენერლებს, მცირე გამონაკლისით, უფლება აქვს რომელიმე ვარსკვლავი ატარონ, მეც გენერალს მეძახდნენ.

ჩემი სრულიად საგანგებოდ შედგენილი „პოდოროჟნი“ და თავად ბარიატინსკის მიერ ხელმოწერილი „ოტკრიტი ლისტი“ უფლებას მაძლევდნენ ყველა სამხედრო პოსტზე ამეყვანა შესაფერისი ბადრაგი და ყველას, ვისაც მივმართავდი, ეგონა სამხედრო ავტორიტეტის ქონე პითან გვაქვს საქმეო. ეს არის, რომ მე მიღებდნენ, როგორც ფრანგ გენერალს და რადგანაც რუსები ფრანგებს დიდი სიმპატიით ეპყრობიან, ყველაფერი საუცხოოოდ ეწყობოდა. აი, ამიტომ ჩათვალა საჭიროდ ჩემმა კაზაკმა „გენერლისთვის“ მოეხსენებინა, პოლიციის უფროსი ავეჯს გამოგიგზავნითო.

მართლაც, ათი წუთის შემდეგ ურმით მოიტანეს ავეჯი და თან ბრძნებაც მოაყოლეს, იმდენი ოთახით გვესარგებლა რამდენიც მოგვესურვებოდა. მანამდე კი, როგორც მოგახსენეთ, ჩვენს ახალგაზრდა მასპინძელს არ გამოუჩენია მაინცდამაინც დიდი ხელგაშლილობა და მხოლოდ ერთი ოთახი გაგვიღო, სადაც გიტარის მეტი არაფერი დაგხვედრია. ავეჯის დანახვაზე და ბრძანების მოსმენაზე, რასაკვირველია, სრულიად შეიცვალა ჩვენდამი დამოკიდებულება. ავეჯს შეადგენდა სამი მერხი, რომლებიც განკუთვნილი უნდა ყოფილიყო საწოლებად, სამი ფარდაგი ლეიბის მაგივრობას გაგვიწევდა, სამი სკამი, რომელთა დანიშნულება ყველამ იცის, და ერთი მაგიდა. ახლა ჩვენ გვაკლდა ის, რაც ამ მაგიდაზე უნდა დალაგებულიყო. გადაწყდა, მასპინძელი კვერცხებისა და ქათმის საყიდლად გაგვეგზავნა, ჩვენკი სამგზავრო სამზარეულო გავხსენით და ამოვალაგეთ ქურა, ქვაბები, თეფშები და დანა-ჩანგალი. ჩაის მოწყობილობაში შედიოდა ჭურჭელი და სუფრები, რაც აგრეთვე ხელსაწმენდებად გვემსახურებოდა.

ჩვენს კაცს მარტო კვერცხები ეშოვა და ქათმის ნაცვლად გთავაზობდა ისეთ რამეს, რასაც კავკასიაში ყველგან იშოვით: შესანიშნავ ცხვრის ხორცს. უარი არ მითქვამს, მითუმეტეს, რომ შემთხევვა მეძლეოდა მწვადი გამეკეთებინა. ასტრახანში ყოფნისას ერთი ღარიბი სომხის

ოჯახშო ვიყავით სტუმრად, სადაც ყიზლარის ღვინითა და საუცხოო მწვადით გაგვიმასპინძლდნენ. მწვადის გაკეთების წესი ჩავიწერე, აი ისიც:

აიღეთ ცხვრის ხორცის ნაჭერი, თუ სუკს იშოვით, უკეთესია, დაჭერით პატარა კაკლისოდენა ნაჭრებად და თხუთმეტი წუთით ჩააწყვეთ ჯამში, სადაც გექნებათ დაკეპილი ხახვი ძმრით, მარილითა და პილპილით. თხუთმეტი წუთის შემდეგ მზად უნდა იყოს ქურა. ხორცის ნაჭრებს წამოაცმევთ ხის ან რკინის შამფურზე და ნაკვერჩხალზე იქამდე ატრიალებთ, სანამ ხორცის ნაჭრები არ შეიწვება. ასე უბრალოდ კეთდება ეს საუცხოო კერძი, რომლის უკეთესი ჩემი მოგზაურობის დროს არაფერი მიჭამია. მწვადი უფრო კარგი გამოვა, თუ ხორცს ძმარში მთელი ღამე დატოვებთ და შამფურიდან გამოღებისას ზედ თუთუბოს წააყრით. თუ დრო ან თუთუბო არა გაქვთ, გულს ნუ დაგაკლდებათ, - ეს აუცილებელი არ არის. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არც შმფური გაქვთ და არც პატარა ჩხირი რამე მოიპოვება ახლო მახლო, მისი შეცვლა შესანიშნავად შეიძლება თოფის ზუმბით. ჩემი კარაბინის ზუმბა უცვლელად მემსახურებოდა შამფურად მთელი მოგზაურობის განმავლობაში და მე ვერ შევამჩნიე, რომ ზუმბის ამ დამამცირებელ თანამდებობას ევნოს იმ იარაღის ღირსებისათვის, რომელსაც ეკუთვნოდა.

მწვადის კეთებაში ვიყავი გართული, მუანე და კალინო კი სამზარეულოს საქმეს აგვარებდნენ, როცა კომენდანტის გამოგზავნილი კარაქი, ორი ვარია და ოთხი ბოთლი ძველი ღვინო მოგვიტანეს. მადლობა გადავუხადე და კომენდანტს შევუთვალე, ნასადილევს გინახულებთ-მეთქი. კარაქი და ვარიები მეორე დღისთვის შევინახეთ ერთ ბოთლ ღვინოს კი სადილზე ავუგეთ წესი. ვეღარაფერი ვუსურვე მას, რადგანაც ისევე არ აკლდა ღვთის წყალობა.

ნასადილევს რაკი დანაპირები ვიყავი, კომენდანტთან წავედი და ტარჯიმნად კალინო წავიყვანე. შინ დავტოვენ მუანე, რომელიც ხატავდა შვიდი წლის ბიჭის პორტრეტს ხანჯლით, ან უკეთ, ხანჯალს პატარა ბიჭით. ჩვენ თავგამოდებით გავტოპეთ ჭაობში, სადაც ტალახი წვივებამდე გვადგებოდა, რომ ვიღაცამ რედინგოტის კალტაზე მომწია. ჩვენმა ახალგაზრდა მასპინძელმა დიდი მოწიწებით მაუწყა შერეულ თათრულ-რუსულ ენაზე, უიარაღოთ საშიშია გარეთ გასვლაო. მართლაც, იარაღი თან არ გვქონდა. ნაშუიადღევის ოთხი საათი თუ იქნებოდა, და გარეთ ჯერ ისევ სინათლე იყო, ამიტომ საჭიროდ არ ჩავთვალე გაფრთხილება და ყური არ ვათხოვე თათრის რჩევას. მაგრამ, როცა გზის გაგრძელება დავაპ[ირე, ისე გაჟინიანდა, რომ არ შეიძლებოდა არ დამეთმო, მით უმეტეს, რომ ვერავითარ საბაბს ვერ ვხედავდი, რატომ უნდა ავეგდეთ ამ კაცს მასხრად.

სახლში შევბრუნდი და ქამარზე ასტრახანში ნაყიდი თხუთმეტი გოჯის სიგრძის ხოროსნის ხანჯალი ჩამოვიკიდე. იგი მოგზაურობაში მუდამ ტან მქონდა. მაგრამ ქალაქში ტარება ზედმეტად მიმაცნდა. კალინომ გაიკეთა მამის ნაანდერძევი დიდი ფრანგული სატევარი, რომელიც მამამისს მონმირალის ბრძოლის ველზე მოეპოვებინა. ჩვენ მასპინძელს უნდოდა ამ საკმარისად ძლიერი აღჭურვილობისათვის კიდევ ორადლიანი თოფები დაგვემატებინა, მაგრამ ჩვენ თავს ვუშველეთ, მოანეს კი დავუბარეთ ფხიზლად დაეჭირა თვალი არა მარტო ნივთებზე არამედ თავსაც გაფრთხილებოდა.

თავი II
საღამო ყიზლარის კომენდანტთან

კომენდანტიქალაქის მეორე ბოლოში ცხოვრობდა, ისე, რომ მთელი ქალაქის გავლა დაგვჭირდა. სანამ მასთან მოვიდოდით. ბაზრობის დღე იყო და გზა უნდა გაგვეკვლია ურმებს, ცხენებს, აქლემებსა და ვაჭრებს შუა.თავდაპირველად დავილად მოვდიოდით:გადავჭერით ციხის მოედანი, რომელზეც ციხე-კოშკია აღმართული. ეს მოედანი იმოდენაა, რომ ზედ ოცდახუთი ათასი ჯარისკაცი შესძლებს მანევრირებას. მაგრამ, როდესაც აქედან ბაზრის მოედანზე გავედით , დაიწყო ჭედვა.

ორმოცდაათი ნაბიჯიც კი არ მქონდა გავლილი ამ კბილებამდე შეიარაღებულ ბრბოში, რომ მივხვდი თუ რაოდენ მცირეა ამ ხალხის პატივისცემა უიარაღო ადამიანისადმი. იარაღი აღმოსავლეთში მარტო თავის დასაცავად კი არ არის საჭირო, იგი გარიდებთ საერთოდ თავდასხმას. შეიარაღებული კაცი თვით თავის დუმილშიც კი გეუბნებათ, „პატივი ეცით ჩემს სიცოცხლეს, ან არადა უფრთხილდით საკუთარს“, ბაზრის მოედანი რომ უკან მოვიტოვეთ, ქალაქის ნამდვილ ქუჩებში აღმოვჩნდით.კაცი ვერაფერს ნახავს ამ ქუჩაზე უფრო თვალწარმტაცს, თავისი უსიმეტრიოთ მდგარი ხეებითა და ტალახის გუბეებით, სადაც იხვები და ბატები ჭყუმპალაობენ და აქლემები გზისთვის წყალს იმარაგებენ.

თითქმის ყველა ქუჩებში მიწის ზედაპირიდან სამი-ოთხი ფუტის სიმაღლეზე მიიმართება ორმოცი სანტიმეტრის სიგანის ქვაფენილი ქვეითად მოსიარულეთათვის. თუ ორი გზადმიმავალი აქ ერთმანეღს პირისპირ შეხვდა და ისინი მეგობრები არიან, მოახერხებენ იოლად აუქციონ მხარი ერთმანეთს, მაგრამ თუ მტრები არიან, მაშინ ერთმა მათგანმა აუცილებლად თავი უნდა გასწიოს და ტალახის გუბეში გასტოპოს. საღამოობით ეს ქუჩები, ალბათ, ჩინებული ბუნაგია ავაზაკთათვის და მოგვაგონებს არა ბუალოს პარიზს,-ბუალოს პარიზი ყიზლართან შედარებით მყუდრო სავანედ ვეჩვენებათ, -არამედ უფრო ანრიIII პარიზს.

მივედით კომენდანტთან და ჩვენი მისვლა ვაუწყეთ. მასინვე კარებში გამოგვეგება. მან ფრანგული ერთი სიტყვაც არ იცოდა, მაგრამ ეს დაბრკოლება კალინოს წყალობით დაძლეული იქნა. კომენდანტმა პირველსავე ფრაზაში გაგვაგებინა, რომ მისი მეუღლე, რომელსაც ჩვენ მესამე დარბაზში შევხვდებოდით, ცვენს ენაზე ლაპარაკობდა.

საერთოდ შევამჩნიე, რომ რუსეთსა და კავკასიაში ამ მხრივ ქალებს დიდი უპირატესობა აქვთ თავიანთ ქმრებთან შედარებით. ქმრებს, თითქმის ყველას, ბავშვობაში ცოტად თუ ბევრად უსწავლია ფრანგული, მაგრამ შემდეგ სამხედრო თუ სამოქალაქო სამსახურში დავიწყნია.ხოლო ქალები, რომელთაც თავისუფალი დრო მეტი რჩებათ, და განსაკუთრებით რუსეთში, არ იციან ეს დრო რაში დახარჯონ, ბევრს კითხულობენ, ჩვენს რომანებს,და ამგვარად ვარჯიშობენ და წარმატებასაც აღწევენ ჩვენი ენის შესწავლაში.

ქ-ნი პოლნობოკოვი, მართლაც ჩინებულად ლაპარაკობდა ჩვენს ენაზე. ბოდიში მოუხადე რომ ასე მეომრულად აღჭურვილი წავსდექი თქვენს წინაშე-მეთქი, და მოვინდომე ოხუნჯობაში ჩამეტარებინა ჩვენი ახალგაზრდა მასპინძლის შიში. მაგრამ ჩემდა განსაცვიფრებლადეს მხიარულება ნაკლებ გადამდები აღმონდა. ქ-მა პოლნობოკოვმა სერიოზული სახე მიიღო და მითხრა, მართალი იყო თქვენი მასპინძელი, რომ გირჩევდათ, ფრთხილად ყოფილიყავით.და რადგანაც მე სახეზე ისევ უნდობლობა გამომესახა, მან ქმარს მოუხმო და დაიმოწმა. როცა დავინახე კომენდანტიც ამ საერთო აზრს ინაწილებდა, საქმე სერიოზული მეჩვენა.მაშინ დავინტერესდი დაწვრილებით გამეგო ამბავი. თურმე წინადღით, საღამოს ცხრა საათზე ყიზლარის ერთ ქუჩაზე მკვლელობა მომხდარიყო, თუმცა ის არ მოეკლათ, ვისი მოკვლაც ჰქონდათ განზრახული.

ოთხი თათარი,-თათრებს კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილში ისევე, როგორც ლეკებს სამხრეთის სანაპიროზე, საერთოდ ავაზაკს ეძახიან, რომელ მთიელ თემსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, -ხიდსქვეშ ჩასაფრებული ელოდა, რომ ამ ხიდზე გაივლიდა მდიდარი სომეხი.მაგრამ გაიარა ერთმა ღარიბმა კაცმა, რომელიც მდიდარ ვაჭრად მიიჩნიეს და როცა მოკლეს მარტო მაშინღა მიხვდნენ თავის შეცდომას. მაგრამ ამან ხელი არ შეუშალი მძარცველებს მსხვერპლისთვის ჯიბიდან რამდენიმე გროში ამოეცალათ. ამის შემდეგ გვამი ჩააგდეს არხში, რომელიც ბაღებს რწყავს. ყიზლარელი სომხების ვენახები,-ამას გავლით ავღნიშნავ,-მთელ რუსეთს ამარაგებენ ღვინით, რომელთაც სხვადასხვა ფრანგული სახელწოდება აქვთ.

აი, კიდევ ერთი შემთხვევა, რამდენიმე თვის წინათ სომეხი სამი ძმა, ერთ ამხანაგთან ერთად დარუბანდის ბაზრობიდან ბრუნდებოდნენ. მათ თავს დაესხნენ ავაზაკები, მაგრამ იცოდნენ, რომ სომხები მდიდრები იყვნენ და არ დახოცეს. ისინი წაიყვანეს მთებში , რომ ნათესავებისათვის კარგი გამოსასყიდი გადაეხდევინებინათ. გზაზე, თერგის ყინულოვანი წყალის გადაცურვის შედეგად, ორი ძმა ფილტვების ანთებით მოკვდა, მესამე კი, თუმცა ათი ათას მანეთად ჰქონდა თავი გამოსყიდული, ჭლექმა გადაიტანა. მათი ამხანაგი არ იყო ისე მდიდარი, როგორც ის სამი, მაგრამ მან როგორღაც დააღწია თავი ამ საქმეს იმით, რომ თათრებს დაჰპირდა, ჯასუშად გემსახურებით, როცა რომელიმე მდიდარი სომეხი სადმე გაემგაზავრება, გაცნობებთო. მაგრამ მან ყიზლარში დაბრუნებისას ეს დაპირება ვერ შეასრულა, ისე, რომ გარეთ გასვლას ვერ ბედავს და ყოველ წუთში საკუთარ სახლშიც კი სიკვდილის მოლოდინშია.

არც ქალები არიან მამაკაცებზე ნაკლებ საფრთხეში. თათრები თავიანთ ტყვეებს მთაში დაბრუნებისას ორჯერ ატარებენ თერგში, ქალები კი ვერ იტანენ თერგის ყინულოვან წყალს. ერთი ქალი თერგის გადაცურვისას მოკვდა, ორიც ფილტვების ანთებამ იმსხვერპლა ვიდრე მათი გამოსასყიდი ფული მიუვიდოდათ და მათმა ოჯახებმა უსარგებლოდ ჩათვალეს ვაჭრობის გაგრძელება. ასეთი სპეკულაცია, როგორც ჩანს, თათრებს ხელს აღარ აძლევს და ქალების მოტაცება, რაც ჯერ კიდევ წარმატებით ხდება კავკასიის სამხრეთ ნაწილში, თითქმის მოისპო მის ჩრდილოეთ ნაწილში. თათრებს სხვისი ცოლების მოტაცებაც სცოდნიათ და არც თავიანთ თანამემამულეთა ქალებს აკლებენ ხელს და რაც უფრო ძნელია ამ საქმის შესრულება, მით უფრო მეტი წონა ეძლევა მათ ვნებას. შემდეგ მზითვის შესახებ ხდება მოლაპარაკება მამასთან. რომელის უმეტეს შემთხვევაში თანხმდება სიძის მიერ წარდგენილ ყველა პირობაზე. ამის შემდეგ სიძეს, როგორც ქალის პატრონს, უპირატესობა აქვს მამასთან. ხანდახან ხდება, რომ მამა გაჯიუტდება. ამის მაგალითიც ბევრი გვიამბეს.

კიდევ ერთსაათს ვესაუბრეთ ქ-ნ პოლნობოკოვს, რომელსაც სხვათა შორის ფეხქვეშ ეგო საუცხოო სპარსული ხალიჩა, რის მსგავსიც ჩემს სიცოცხლეში არაფერი მენახა. ქალმა საღამოს ჩაიზე მიგვიწვია, ქმარი კი, საშიშროების თავიდან ასაცილებლად, ორი კაზაკის გამოგზავნას შეგვპირდა.

ჩვენ მოგვეჩვენა, რომ ეს მეტისმეტი შეწუხება იქნებოდა და შორს დავიჭირეთ.

-მაშინ უკან უნდა წავიღო ჩემი8 ცოლის მოპატიჟება, - თქვა კომენდანტმა, - სულაც არ მინდა, ჩემთან მოსვლა რაიმე ხიფათის საბაბი გაგიხდეთ.

ამ მუქარამ იმოქმედა და დავთანხმდით, ორ კაზაკს გამოვეცილებინეთ.

კართან კომენდანტის შესანიშნავად შეკაზმული სამცხენა დაგვიხვდა. მხოლოდ რუსეთში შეიძლება შეხვდეს მოგზაური ასეთ ყურადღებას ყოველ ნაბიჯზე და თუ იგი ამას ბ-ნი კუსტინივით მხოლოდ თავის დამსახურებას არ მიაწერს, უსათუოდ დიადად მადლიერი დარჩება. მე კი ვაპირებ ეს არერთგზის აღვნიშნო და ვინაიდან იგი ერთადერთი ხერხია, რომელიც საშუალებას მაძლ;ევს მადლობა გადაუხადო ყველას, ვინც ჩემ მიმართ თავაზიანობა გამოიჩინა, ნება მიბოძეთ, ასე მოვიქცე, რათა მათ ვალში არ დავრჩე.

სამცეხანმ შინ მიგვიყვანა. მინდოდა ჩექმა გამომეცვალა პოლიციის უფროსთან წასვლის წინ, მაგრამ ის თვითონ მოსულიყო და ჩვენსას გველოდა. შემცბარმა ბოდიში მოვუხადე, ვერ დაგასწარით დარბაზობა-მეთქი. და მუხლებამდე ტალახში ამოსვრილი ჩექმა ვაჩვებნე. რაკი გაგონილი მქონდა ჩუდ გზებზე მოგვიხდებოდა სიარული, სათადარიგოთ ყაზანში მეორე წყვილი ჩექმა ვიყიდე, რომელშიც თეძოებამდე ვძვრებოდი. პოლიციის უფროსმა თავისი სამსახური შემოგვთავაზა, მაგრამ ჩვენ უკვე საკმარისად ვისარგებლეთ მისი თავაზიანობით. აღარაფერი გვქონდა სათხოვარი, მხოლოდ მადლობის გადახდა გვამრთებდა. ფანჯრის რაფაზე

დაწყობილი ოთხი თუ ხუთო ბოთლი ჩემთვის უცნობი მარკის ღვინო ერთ ყურადღებას ნიშნავდა ჩვენდამი. წასვლისას აღგვითქვა, საღამოზე კომენდანტთან შეგვხვდებითო.

მემუანეს ვუამბე იმ ქუჩის შესახებ, რომელზეც ზემოთ შევეცადე მკითხველისთვის წარმოდგენა მიმეცა. მან ერთ იღლიაში ალბომი ამოიდო, მეორე ხელი კალინოს გაუყარა, ჩემი დაჟინებული თხოვნის შემდეგ ქამარში ხანჯალი გაირჭო და გამბედავად სახლიდან გავიდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ყიზლარში არტისტული ბუნების ადამინი ბევრი მომხიბლავსა და თვალწარმტაცს რამეს იპოვის ეს პირველი შემთხვევა იყო როცა განცვიფრებაში მოგვიყვანა ჩაცმულობის ასეთმა მრავალფეროვნებამ ქუჩაში ირეოდნენ სომხები, თათრები ყალმუხები, ნოღაელები, ებრაელები და ყველას თავისი ეროვნული ტანსაცმელი ეცვა. აქ მუდმივი მოსახლეობა ათიათას სულს ახწევს. იგი ორმაგად იზრდება ბაზრობის დღეებში და როგორც გვახსოვს, ჩვენც სწორედ ბაზრობის დღეს მოვხვდით ყიზლარში. აქ ვაჭრობის საგანს, გარდა იმისა, რომელსაც თათრები ეწევიან, ესეიგი კაცების, ქალების თუ ბავშვების მოტაცებას და მერე მათი ოჯახებისთვის მიყიდვას, უპირველეს ყოვლისა შეადგენს ის ცნობილი ღვინო, რომელიც სომხებს მოჰყავთ, არაყი, რომელსაც აგრეთვე სომხები ხდიან, აბრეშუმეული, რომელსაც ქსოვენ ამ ქვეყნის მცხოვრებნი, ბრინჯი, ენდრო, შირბახტი და ზაფრანი, რომელსაც ქალაქის მიდამოებში კრეფენ.

მუანე ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა ერთიანად ტალახში ამოსვრილი, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ყიზლარით ახტაცებული ყოფილიყო. ქუჩას მეტად მოეხიბლა, რის შედეგადაც მშვენიერი ესკიზი ჩაეხატა.

რვის ნახევარზე კომენდანტის „ტროიკა“ უკვე ჩვენს კართან იდგა. მას წინ მიუძღვოდა ორი მეფარნე. ფარნების მკრთალ შუქზე ბრჭყვიალებდნენ ქამრებში გაკეთებული დამბაჩის ტარები და ხანჯლის სადავეები. ორი კაზაკი გვერდზე ხმლებითა და მუხლებზე თოკებით „ტროიკის“ ორსავ მხარეზე ცხენებზე ისხდნენ. ადგილები დავიკავეთ და გზას გავუდექით წყალსა და ტალახში, რომელიც შხაპუნით ზედ გვესხმოდა. გზაზე, თითქოს რამდენჯერმე თოფის სროლა შემომესმა.

პირველი სტუმრები ჩვენ ვიყავით. დილას, ქ-მა პოლნობოკოვმა არ იცოდა, ვინ ვიყავით და ჩემს ტანისამოსში, მასაც სხვებივით, ფრანგი გენერალი ვგონბოდი, მაგრამ წმინდა სტუმართმოყვარეობის გამო ისე კარგად მიგვიღო, რომ უკეთესი არც წარმოიდგინება. თურმე ვცდებოდი. ახლა როცა გაიგო, რომ მე ის ადამიანი ვიყავი, რომელიც, მისი სიტყვით, საუკეთესო წუთჩებს ანიჭებს ცხოვრებაში, აღარ იცოდა, როგორ გადაეხადა მადლობა. მოვიდა კიდევ რამდენიმე სტუმარი, და ყველანი, მეტადრე ქალები, ჩინებულად ლაპარაკობდნენ ფრანგულად. მე კომენდანტის თვალებ ვეძებდი. მისმა მეუღლემ დაასწრო ჩემ კითხვას.

ნუთუ არ გაიგონეთ თოფის სროლა, როცა აქ მოდიოდით? - გვკითხა მან.

-როგორ არა, მე მემგონი, სამჯერ ისროლეს.

-მართალია. მთელუის მხრიდან ისროდნენ. იმ მხრიდან სროლა კი მუდამ სერიოზულ რამეს ნიშნავს. ჩემი ქმარი ახლა პოლიციის მეთაურთან არის. მე მგონია კაზაკები გააგზავნეს დასაზვერად.

-მაშასადამე ახალ ამბებს გავიგებთ?

-უეჭველად. შესაძლებელია, ახლავეც გავიგოთ რამე.

სხვა სტუმრებს სრულიად არ ეტყობოდათ, რომ სროლით ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი. საუბრობდნენ, იცინოდნენ, თავი პარიზის რომელიმე სალონში გეგონებოდათ. კომენდანტი და პოლიციის უფროსი დარბაზში შემოვიდნენ და საუბარში ჩაერივნენ ისე, რომ სახეზე იოტისოდენა მღელვარებაც არ ეტყობოდათ.

გაშალეს ჩაი, მოიტანეს უამრავი ერთმანეთზე უცნაური სომხური მურაბები. სუფრაზე იყო ხართუთის მურაბა, ანგელოზას მურაბა და სხვა იშვიათი, აღმოსავლური ტკბილეულობა. ეს ტკბილეულობა უფრო თავისი სურნელებით იყო შესანიშნავი, ვიდრე გემოთი. ამ დროს ერთი ჩერქეზულ ტანისამოსში გამოწყობილი მოსამსახურე შემოვიდა და კომენდანტს ყურში რაღაც უთხრა. კომენდანტმა პოლიციის მეთაურს ნისანი მისცა და ოთახიდან გავიდა. პოლიციის უფროსი უკან გაჰყვა.

-უკვე პასუხია? -ვკითხე ჰ-ნპოლნობოკოვს.

-შესაძლებელია, -მომიგო მან, -ჩაის ხომ არარ მიირთმევთ?

-სიამოვნებით დავლევ.

ჩაი დავშაქრე, შიგ ერთი კოვზი ნაღები გავხსენი და პატარა ყლუპებით შეუდექი სმას. არ მინდოდა სხვაზე უფრო შემემჩნევინებინა, თუ რაოდენ დაინტერესებული ვიყავი, მაგრამ მაინც თვალს არ ვაშორებდი კარს. ოთახში მარტო კომენდანტი შემოვიდა. ის არ ლაპარაკობდა ფრანგულად და მე იძულებული ვიყავი მომეთმინა, ვიდრე ქ-ნი პოლნობოკოვი მოისურვებდა ჩემი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას. ქალი მიხვდა ჩემს მოუთმენლობას, შეიძლება იგი გადაჭარბებულიც ეჩვენა.

-რა მომხდარა?- ვკითხე მე.

-ჩვენი სახლიდან ორას ნაბიჯზე ორი ტყვიით განგმირული კაცის გვამი უპოვიათ, -მიპასუხა მან. -მაგრამ ტანისამოსი სრულიად განძარცული ჰქონდა და ვინაობა ვერ გაიგეს. ალბათ, რომელიმე ვაჭარია დღევანდელ ბაზრობაზე სანოვაგისა და შინაური წამლების გასაყიდად ჩამოსული, წასვლა შეაგვიანდებოდა. რაკი სიტყვა მოიტანა, უნდა გითხრათ, ამაღამ თუ სინათლეს დატოვებთ, დარაბები აუცილებლად ჩაკეტეთ. ადვილი მოსალოდნელია, ფანჯარაში ტყვია შემოგიგზავნონ.

-რა აზრი აქვს ფანჯარაში სროლას, თუ კარები დაკეტილი გვექნება?

-უბრალო ჟინია...ვერ წარმოიდგენთ, რა უცნაური ხალხია ეს თათრები!

-გაიგონეთ? მივუბრუნდი მოანეს, რომელიც დიასახლისის ალბომში რაღაცას ხატავდა.

-გაიგონეთ? - ჰკითხა თავისი მხრივ მოანემ კალინოს.

-გავიგონე. - გვიპასუხა კალინომ ჩვეულებისამებრ სერიოზული კილოთი.

მე ქ-ნ კოლობონოკოვს ალბომში ლექსი ჩავუწერე მოანეს ნახატის მომდევნო ფურცელზე და უკვე აღარ ვფიქრობდი მკვლლობაზე, ისევე, როგორც სხვები. კავკასიაში გატარებული ორი თვის შემდეგ ჩემთვის გასაგები გახდა მათი გულგრილობა, რომელიც თვადაპურველად ასემაკვირვებდა.

თერთმეტ საათზე სტუმრები დაიშალნენ. დერეფანი საგუშაგოს წააგავდა. ყოველი სტუმარი ერთი ან ორი კბილებამდე შეიარაღებული მოჯამაგირით მოსულიყო. ჩემი „ტროიკა“ გარეთ

მელოდა ორი მეფარნითა და ოორი კაზაკით. ეს ბადრაგი სამი მანეთი დამიჯდა, რადგანაც ყველას თითო მანეთი დავურიგე. მაგრამ როცა მხედველობაში ვიღებ იმ უჩვეულო გრძნობებს, რომელთაც მაშინ განვიცდიდი, ის სამი მანეთი რაღა დასანანია. დარაბების დაკეტვა არარ მოგვიხდა. მასპინძელს, რომელიც დიდ ყურადღებას იჩენდა ჩვენდამი, თვითონვე ეზრუ ამაზე.

ქურქში გავეხვიე, თავქვეშ „კარსინკა“ ამოვიდე და ჩემს მერხზე დავწექი. ასე ვიძინებდი თითქმის ყოველ ღამეს, მას შემდეგ, რაც ელპატოვოდან წამოვედი.

თავი III
გავრილოვიჩები

როცა ღამით შიშველ მერხზე წევხარ და ქვეშაგებად ერთი ბეჩავი ქურქის მეტი არაფერი გიგია, დილას საწოლის მიტოვება არ დაგენანება. ამიტომ ინათა თუ არა, წამოვდექი, პირზე წყალი შევისხი სპილენძის ტაშტიდან, რომელიც ყაზანში მქონდა ნაყიდი, ყოველივე შემთხვევისათვის, რადგანაც ტაშტი რუსეთში იშვითი ხილია,-და ჩემი თანამგზავრებიც გავაღვიძე. მადლობა ღმერთს, ღამემ მშვიდობიანად გაიარა, ახლა უნდა გვესაუზმა და რაც შეიძლება სწრაფად გავდგომოდით გზას, რადგანაც დროზე უნდა მივსულიყავით სადგურ შჩუკოვაიაში, სადაც ღამე უნდა გაგვეთია. ხოლო იქამდე უნდა გაგვევლო ძალზე სახიფათო ადგილები. ეს არის ტყესაკაფი, რომელიც ხეობის მსგავსად თანდათან ვიწროვდება და მიიმართება გზიდან მთის ძირამდე.

ჩვენამდე ათი დღით ადრე თურმე ერთი ოფიცერი შჩუხოვაიაში მიეშურებოდა. მას ვერ უშოვია კაზაკები ნოვოუჩრეჟდენაის სადგურზე და მიუხედავად გაფრთხილებისა, მოუნდომებია გზის გაგრძელება. ოფიცერი იჯდა „კიბიტკაში“, რაც გადახურულ ოთხთვალას მოგვაგონებს. ზემომოხსენებულ ტყეში შესვლისას უეცრად შენიშნა, რომ ერთი ჩეჩენი მხედარი ჩირგებიდან გამოხტა და პირდაპირ მისკენ გამოაჭენა ცხენი. ოფიცერმა დამბაჩა მოიმარჯვა და როცა ჩეჩენი ოთხნაბიჯზე მიუახლოვდა, ჩახმახს მოსწია. მაგრამ პისტოლეტმა უმტყუნა. ჩეჩენსაც პისტოლეტი ჰქონდა ხელში, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ოფიცრისათვის ესროლა, ერთი ცხენს ესროლა და თავგახეთქილი ძირს დასცა. „კიბიტკა“ გაჩერდა.სროლაზე ათამდე ჩეჩენი გამოცვივდა ხშირიანიდან და ოფიცრისკენ გაიქცა. მან ორი თუ სამი კაცი ხმლით დასჭრა, მაგრამ დანარჩენებმა წააქციეს,ტანისამოსი გააძრეს, ხელ-ფეხი შეუკრეს და კისრით ცხენის კუდზე მიაბეს. მთიელებმა ამ ოპერაციისთვის ერთი კარგი ხერხი იციან:მუდამ მზად აქვთ თოკი მოლაღებული მოსაწევი ყულფით. ტყვეს მიაბამენ ცხენს, ცხენი გააჭენებს ისე, რომ მსხვერპლი დაყვირებას ვერც კი ასწრებს.

ოფიცრის საბედნიეროდ, კაზაკები, რომლებიც მან უკანასკნელ სადგურზე ვერ ნახა, წინა სადგურიდან ბრუნდებოდნენ. მათ შორიდანვე შენიშნეს შეტაკება და მიხვდნენ, რომ რაღაც უბედურება მოხდა. საჩქაროდ მიაჭენეს მეეტლესთან და რა გაიგეს რაშიც იყო საქმე, უკან დაედევნენ ჩეჩნებს. ბანდიტები, რომლებიც ქვეითად იყვნენ, მიწაზე გაწვნენ, და ამიტომ კაზაკებმა ვერ შეამჩნიეს. მხედარი კი რაც ძალი და ღონე ჰქონდა ცხენს აჩქარებდა. ტყვეს კი მათრახს ურტყამდა. მაგრამ ცხენი ისე იყოპ გახლართული თოკში, რომ ჩქარა ვერ მიდიოდა. როცა ჩეჩენმა დაინახა, რომ უკან კაზაკები მისდევდნენ, ხანჯალი იშიშვლა, ოფიცერს ეგონა, სიცოცხლეს უნდა გამომასალმოსო, მაგრამ მთიელმა საბედნიეროდ მხოლოდ თოკები გადასჭრა, რომლითაც ტყვე ჰყავდა ცხენზე მიბმული. ნახევრად გაგუდული ოფიცერი მიწაზე გაგორდა; მთიელმა კი თავისი ცხენით თერგს მიაშურა. კაზაკებმა სროლა აუტეხეს, მაგრამ ტყვია ვერ მიაწვდინეს. მთიელი სიხარულით ყვიროდა და თოფს იქნევდა. მეორე ნაპირზე რომ გავიდა, იქიდან თავის მდევარს ტყვია გამოუგზავნა და ერთი კაზაკი ხელში დასჭრა. ორი კაზაკი თავიანტ მეგობარს ეხმარებოდა, სამნი კი ოფიცერს ადგნენ თავს. ჩეჩენს ტყვე შიშველი გამოეტარებინა ხშირ ტყეში, სადაც დერჟიდერევო იზრდებოდა, ისე რომ ოფიცრის სხეული

მთლიან იარას წარმოადგენდა. ერთმა კაზაკმა თავისი ცხენი და ნაბადი მისცა და ცოცხალ-მკვდარი შჩუკოვაიას სადგურში მიიტანეს.

ეს შემთხვევა ქ-მა პოლნობოკოვმა გვიამბო და ადგილიც აგვიწერა. ჩვენ მას სიტყვა მივეცით, რომ ამ malo-sifio-ზე, როგორც ესპანელები იტყვიან, რაც შესაძლებელია დღენათლივ გავივლიდით.მაგრამ უზმოზე წასვლა მაინც არ შეიძლებოდა და მე განკარგულება მივეცი, ერთი ქათამი გაეპუტათ საუზმისათვის. ქათამს რომ შეწვას ვუპირებდი, პოლიციის უფროსი შემოვიდა. საუზმეზე გვეპატიჟებოდა.უკვე ყველაფერი მზად ყოფილიყო და ჩვენ მხოლოდ ქუჩის გადასვლა მოგვიხდებოდა, მეტი არაფერი. მე უარი მინდოდა მეთქვა, მაგრამ პოლიციის უფროსმა მითხრა , ჩემი ცოლი გუშინ საღამოს თავის დასთან ქ-ნ პოლნობოკოვთან უნდა მოსულიყო, მაგრამ შინიდან გამოსვლა ვერ გაბედა უგამცილებლოდ, რადგანაც, როგორც მოგეხსენებათ, კაზაკები სროლის ადგილზე იყვნენ გაგზავნილიო. მას თქვენი გაცნობა უნდა და დამავალა უსათუოდ წაგიყვანოთ.

რა გაეწყობოდა, უნდა დავთანხმებულიყავით.კალინო შინ დარჩა, რომ სურსათ-სანოვაგის ჩალაგებისთვის ეხელმძღვანელა. ჩვენ გვქონდა მხოლოდ ცხრა ბოთლი საუკეთესო ღვინო და საჭირო იყო მისი ყაირათიანად დახარჯვა. ის უნდა დაგვწეოდა პოლიციის უფროსთან ტარანტასით და ოთხთვალათი. მე და მუანე პოლიციის მეთაურს გავყევით.იქ ორი მანდილოსანი დაგვხვდა. დიასახლისის მულს არ სდომებოდა შემთხვევის გაშვება, რომ არ ენახა „მონტე კრისტოსა“და „მუშკეტერების „ავტორი და ამ მიზნით დილითვე მოსულიყო რძალთან. ორივენი ლაპარაკობდნენ ფრანგულად. პოლიციის უფროსის მეუღლე შესანიშნავი მუსიკოსი გამოდგა. მან ფორტეპიანოზე დაუკრა და გვიმღერა რამდენიმე საუცხოო მელოდია და სხვათა შორის ლერმონტოვის ტექტზე დაწერილი სიმღერა- „მთის მწვერვალები“.

მალე კალინოც მოვიდა თავისი ტარანტასითა და ოთხთვალათი და რადგანაც მის გარდა სხვას აღარავის ველოდით საუზმეზე სუფრას შემოვუსხედით. რასაკვირველია, საუბარი თათრებზე ჩამოვარდა. დიასახლისმა იგივე დაგვიმოწმა, რაც ადრე მისმა ქმარმა გვითხრა. ქ-ნი პოლნობოკოვის მიერ მოცემული დარიგება კიდევ იქნა გამეორებული, მაგრამ უფრო დაჟინებით. შემდეგ მანდილოსნებმა გვითხრეს, არ გვინდა დაგაგვიანოთ და შეგიძლიათ წაბრძანდეთო. მთავარი საქმე იყო შტუკოვაის ტყე დაბინდებამდე გაგვევლო. ეს საშიში ადგილი ყველასთვის სალაპარაკოდ იყო გამხდარი. შიში ჩვენც გადაგვედო და მალე ჩინებულ მასპინძლებს დავეთხოვეთ, რომლებმაც კარებამდე მიგვაცილეს. ტარანტასში ჩავსხედით ოილიციის უფროსის მეუღლეს შეშფოთება ეტყობოდა. როგორც ჩანდა, მას ვერ აკმაყოფილებდა ექვსი კაზაკისაგან შემდგარი ჩვენი ბადრაგი.

- თქვენ რაღაც გაფიქრებთ ქალბატონო,-ვუთხარი მე.

-მართალს ამბობთ,-მომიგო მან,- ნუთუ მაგ ხანჯლების იმედზე ხართ?

მაშინ მე წინა საჯდომის გადასაფარებელი ავწიე და დიასახლისს დავანახე სამი ორლულიანი თოფი, ორი კარაბინი, რომელთაგან ერთი ფეთქვადი ტყვიით იყო, და ერთი რევოლვერი.

-ო, მაშინ არაფერი გიჭირთ,-მითხრა მან,-ოღონდ ქალაქიდან რომ გახვალთ, ხელში თოფები დაიჭირეთ, რათა შეიარაღებულები დაგინახონ. აი, ამ ხალხში, ჩვენ რომ გვახვევია, რამდენიმე თათრის ჯაშუში იქნება (ჩვენ გარშემო, მართლაც, წრე შეეკრათ ცნობისმოყვარეებს).

ჩვენ, რასაკვირველია შევასრულეთ დიასახლისის ესოდენ დიდი მზრუნველობით მოცემული რჩევა. თითოეულმა მუხლებზე ორლულიანი თოფი დავიდეთ და ზედ დავეყრდენით. შემდეგ მანდილოსნებს დავეთხოვეთ და დავტოვეთ ყიზლარი ცნობისმოყვარე გამცილებელთა შესაზარ შიშსა და დუმილში.როგორც კი ქალაქს გავცდით, თოფები უფრო მოხერხებულ

მდგომარეობაში გადავიტანეთ. პაროზულ ცხოვრებას და საფრანგეთის უშიშარ გზებს შეჩვეული კაცი ისე ადვილად არ დაიჯერებდა, თუ წინ რამე საფრთხეა მოსალოდნელი, მაგრამ წინადღის შეხვედრები, თოფის სროლა და ამდენი დარიგება იმაზე მიგვითითებდა, რომ ვიმყოფებით ქვეყანაში, რომელიც თუ სავსებით მტრული არ არის, ყოველშემთხვევაში, ძალზე არასანდოა. სინამდვილეში კი, თურმე მხოლოდ მეორე დღეს უნდა შეგვედგა ფეხი ნამდვილ მტრულად განწყობილ მხარეში.

ნებისყოფის დიდი მოკრება დამჭირდა, რათა თავი დამერწმუნებინა, რომ იმ თითქმის საარაკო ქვეყნის შუაგულში ვიმყოფებოდი, რომელშიც რუკაზე ამდენჯერ მიმოგზაურია. რომ ჩემს მარცხნით რამდენიმე ვერსზე მდებარეობდა კასპიის ზღვა, რომ მე გადავსერე ყალმუხის და სათათრეთის სტეპები, და რომ ეს მდინარე, რომლის ნაპირზე იძულებული გავხდი შევჩერებულიყავით, სწორედ ის თერგი იყო, ლერმონტოვი რომ უმღეროდა, სწორედ ის თერგი, რომელიც სათავეს პრომეთეს კლდის ძირში იღებს და ნიადაგს ანადგურებს, და სადაც მითოლოგიური დედოფალი დარია მეფობდა.

ჩვენ მართლაც მოგვიხდა თერგის ნაპირას შეჩერება ბორნის მოლოდინში, რომელსაც უნდა გადმოვეყვანეთ, როცა ცხენებს, აქლემებსა და კამეჩებს გადაიყვანდნენ. ყველა ბორანი რუსეთის მდინარეებზე, ყოველ შემთხვევაში იმ ნაწილში, რომელიც ჩვენ მოვიარეთ, ხელისუფლების კუთვნილებას წარმოადგენს და მას უფასოდ გადაჰყავს ხალხი. ამ მხრივ რუსეთი დედამიწის ზურგზე ყველაზე ნაკლები სახაზინო ანგარების ქვეყანაა.

იმ ადგილას, სადაც გადასასვლელია, თერგი ორჯერ უფრო ფართოა სენაზე.

ბექობი ძალიან დამრეცი იყო და ტარანტასიდან გადმოსვლა მოგვიხდა. შემდეგ ბორანზე ადგილები დავიკავეთ, თან ერთი ეტლიც ავიტანეთ, რადგანაც მეორე ერთდროულად არ დაეტეოდა...თერგის სიღრმე რომ გავზომეთ, შვიდი-რვა ფუტი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა ჩეჩნებს მასზე ცურვით გადაჰყავთ ტყვეები. როგორც ყიზლარის კომენდანტის ცოლმა გვითხრა, თურმე სწორედ ამ ადგილზე „ცივდებიან“ ტყვე ქალები.

გავედით მდინარის მეორე ნაპირას. ოთხთვალას მოლოდინში გადავწყვიტეთ ესკორტის წინამძღოლისთვის გვეჩვენებინა ჩვენი იარაღის უპირატესობა აზიურ იარაღზე და ჩემი კარაბინით, დევიმის ჭეშმარიტად საუკეთესო იარაღად ითვლება, ვესროლე ორ თოლიას, ჩვენგან ექვსასიოდე ნაბიჯის მანძილზე რომ ფარფატებდა. ტყვიამ ზუსტად შუაში გაუარა, იმ ადგილას, რომელიც წინასწარ მოვნიშნე.ამასობაში მუანემაც მოკლა აფრენილი ჭინჭრაქა, რამაც ისევე გააკვირვა ჩვენი კაზაკი, როგორც ჩემი ტყვიის მანძილმა და სიზუსტემ.კავკასიელები არაბებივითკარგად ისვრიან, მხოლოდ მიზანში.

ამასობაში ოთხთვალაც დაგვეწია და ჩვენ შევედით თერგის ჭაობიან კალაპოტში. ამიტომ ისევ მოგვიხდა თერგის გადალახვა, მაგრამ ახლა უკვე ფონით იმ ცხენებთან, კამეჩებთან და აქლემებთან ერთად ბორანზე რომ წინ მიდიოდნენ. ფონის გადასვლა მეტად თვალწარმტაცი სანახაობაა. როცა ჩვენი ექსკორტი ქარავანში აირია, თვალწინ გადაიშალა საუცხოო სურათი. ცხენები და კამეჩები სიამოვნებით შედიოდნენ წყალში, აქლემები კი რომელთაც წყლის შიში აქვთ, ათასნაირად ეშმაკობდნენ, რომ წყალში არ შესულიყვნენ. გაისმოდა ყვირილი, და უფრო სწორად ბღავილი, რომელსაც უფრო სისხლისმსმელი მხეცი გამოსცემდა და არა მშვიდობიანი პირუტყვი, პოეტებისაგან „უდაბნოს ხომალდად“წოდებული.უეჭველია აქლემს ეს სახელი იმის გამო შეარქვეს, რომ მისი ჩორთი გემის რწევის მსგავსად ზღვის ავადმყოფობას იწვევს. და თუმცა ძალიან გვეჩქარებოდა ადგილზე მისვლა, თუნდაც იმის გამო, რომ ცუდმა გზამ საკმარისად შეგვაფერხა, ვერაფრით მოვახერხეთ ქარავნისათვის გადაგვესწრო.

როგორც იყო ცხენებმა წყურვილი მოიკლეს, თავაწეულმა კამეჩებმა ცურვით გაიარეს ფონი, გამრეკებმა კი გაიყვანეს აქლემები, რომლებიც თავიანთი გრძელი ფეხების წყალობით, ოდნავ ეხებოდნენ წყალს მუცლით. როცა ყველანი მეორე ნაპირზე აღმოვჩნდით, მხოლოდ მაშინ მოვახერხეთ გადმოგვესწრო ქარავნისთვის და შემდეგ სადგურამდე აღარაფერს შეუჩერებივართ. იმ სადგურზე მხოლოდ ოთხი კაზაკი მოგვცეს გამცილებლად, რადგანაც საგუშაგოზე ექვსი კაზაკის მეტი არ აღმოჩნდა და ორიც ძალიან ცოტა იყო მის სადარაჯოდ. ესეც არ იყოს, ჩვენ ჯერ არ ვიყავით სახიფათო ზონაში შესული, იმ ადგილიდან კი კაზაკთა საგუშაგოები ერთგვარი სამტრედეებით, რომელთაც ჯიხურად ხმარობენ და ზედ დღე და ღამე გუშაგი დგას, ერთმანეთისაგან ყოველი ხუთი ვერსით არიან დაშორებული და მთელ გზას უთვალთვალებენ. ამ გუშაგებს მუდამ ხელთ აქვთ გაფისული ტივის კონა, რომელსაც ღამით საგანგაშო შემთხვევაში ცეცხლს უკიდებენ. ეს ნიშანი გარშემო ოცი ვერსის მანძილზე ჩანს და ერთ წუთში შეყრის ხოლმე ყველა მეზობელ საგუშაგოებს იმ ადგილზე, სადაც შველას მოითხოვენ.

წავიყვანეთ ოთხი კაზაკი და გზას გავუდექით. გზაზე ხშირად გვეძლეოდა ნადირობის შემთხვევა ძირს ჩამოუსვლელად. გზის ორსავე მხარეს ბევრი ჭინჭრაქა დაფრინავდა, ეს იყო, რომ ნჯღრევა ქვიან გზაზე სროლას ძლიერ აძნელებდა. როცა მოკლული ნანადირევი ძირს ეცემოდა, რომელიმე კაზაკი დაედევნებოდა და ხშირად პირდაპირ გაჭენებული ცხენიდან აიტაცებდა მიწიდან. კოჭებში ეტყობოდათ, მარჯვე მოჯირითეები იყვნენ. ნანადირევს ვალაგებდით „საკუჭნაოში“-ეს გასართობი მალე მოგვესპო, რადგანაც ამინდი დილიდანვე არ ვარგოდა და ახლა სულ გაფუჭდა. ველებში სქელი ნისლი ჩამოწვა, ისე რომ, გარშემო ხუთ ნაბიჯზეც ძლივს ვარჩევდით საგნებს.

ჩეჩნებისთვის სწორედ ხელსაყრელი ამინდი იყო.ამიტომ კაზაკებმა უფრო მჭიდროდ შეკრეს რკალი ჩვენს გარშემო და გვირჩიეს სანადირო თოფები მწყრის საფანტის მაგივრად ტყვიებით დაგვეტენა. იმავ წუთში ტყვიები შევცვალეთ და ისე შევემზადეთ, რომ ოცი კაცის გამკლავება შეგვეძლო. ერთ დატენასე თითოს ათჯერ შეგვეძლო თოფის გასროლა. გარდა ამისა ყოველ სადგურზე კაზაკებს და მეეტლეს ბრძანება ეძლეოდა, როგორც კი ჩეჩნებს შენიშნავდნენ, მაშინვე ორი ეტლი ერთ ხაზზე გაეჩერებინათ ერთმანეთისაგან ოთხ ნაბიჯზე. მეწინავე ცხენები ცარიელ ადგილს შეავსებდნენ და უსულო და სულიერი ბარიკადის საფარველიდან სროლას დავიწყებდით. ამ დროს კაზაკებიც მონაწილეობას მიიღებდნენ შეტაკებაში მფრინავი რაზმის სახით. ჩინმა, რომელსაც მცდარად მომაწერდნენ, ამ შემთხვევაშიც სამსახური გამიწია, ყველა მემორჩილებოდა.

ვინაიდან ბადრაგის ყოველ გამოცვლაზე ვცდილობდი კაზაკებისათვის ჩვენი იარაღის სიზუსტე და შორსმსროლელობა მეჩვენებინა. ისინი ჩვენდამი ნდიბით განიმსჭვალნენ, რასაც ვერ ვიტყოდით მათ მიმართ. მეტადრე, როცა ჩვენი დამცველები „გავრილოვიჩები“ იყვნენ. ეს სიტყვა განმარტებას მოითხოვს:

„გავრილოვიჩებს“ეძახიან დონის კაზაკებს, რომელთა შერევა არ შეიძლება შთამომავლობის კაზაკებში. შთამომავლობითი კაზაკი დაბადებულია ისეთ ადგილებში, სადაც მას პირისპირ უხდება მტერთან შეტაკება და ბავშვობიდანვე შეჩვეულია ფათერაკებს.იგი თორმეტი წლის ასაკიდან ჯარისკაცია და წელიწადში მხოლოდ სამ თვეს ატარებს თავის სტანციაში. ორმოცდაათ წლამდე იარაღ ასხმული ცხენზე ზის და შესანიშნავი მეომარია, არტისტულად იბრძვის და სიკვდილში მხოლოდ სიხარულს ჰპოვებს. ეს კაზაკობა, რომელიც როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ეკატერინემ ჩამოაყალიბა, შემდგომში აირია ჩეჩნებსა და ლეკებში (რომელთაც ისინი ქალებს სტაცებდნენ), როგორც რომაელები შეერივნენ საბინებს და მათგან შეიქმნა შეჯვარებული თაობა, მგზნებარე მეომარი, მხიარული, მკვირცხლი, შემმართებელი, მუდამ მოცინარი და მომღერქალი. მათ მიაწერენ არნახული მამაცობის თვისებებს.

გადმოვარდნილიყო. ამის შემდეგ სხვა კაზაკები და თათრებიდონის კაზაკებს „გავრილოვიჩებს“უწოდებენ. როცა მთიულები რუსების ხელში ჩავარდნილ თავიანთ კაცებს გამოისყიდიან, ერთ ჩეჩენსა, ჩერქეზსა თუ ლეკში ოთხი დონის კაზაკს ან ორ თათარ მილიციელს იძლევიან.ხოლო როცა შთამომავლობითი კაზაკი იცვლება მთიელზე, მაშინ კაცზე კაცს სცდონის კაზაკი კი პირიქით, მშვიდობიანი ველებიდანაა გამოსული, იგი თავისი დიადი და წყნარი მდინარის ნაპირებიდან მშფოთვარე თერგისა და ყუმას მწირ ნაპირებზეა გადმოსული, მოშორებულია თავის მიწათმოქმედ ოჯახს და მიმაგრებულია გრძელ ბარჯზე, რომელიც უფრო ხელს უშლის, ვიდრე იცავს. თოფის ხმარებაში და ცხენის ტარებაში გაუწვრთნელი დონის კაზაკი მინდორში საკმარისად კარგ ჯარისკაცად საღდება, მაგრამ ყოვლად საძაგელი ჯარისკაცია საფარებსა, ხევხუვებსა, ჯაგნარებსა და მთებში. ამის გარდა შთამომავლობითი კაზაკები და თათრებისაგან შემკების დროს, გამუდმებით მასხრად იგდებენ დონის კაზაკებს მეტსახელი „გავრილოვიჩები“ და ია, რატომ:

ერთხელ დონის კაზაკები ვიღაცას ბადრაგობდნენ. მათ თავს დაესხნენ ჩეჩნები, მაგრამ ესკორტმა თავს უშველა. ერთ ახალგაზრდა კაზაკს, რომელსაც სხვაზე უკეთესი ცხენი ჰყოლოდა, დაეყარა ბარჯი, პისტოლეტი, ხმალი, ფაფახი და შისისაგან თავზარდაცემული პოსტის ეზოში შეეგელვებინა ცხენი, თან ყვიროდა:

-დაგვიხსენი , გავრილოვიჩ!-და ცხენიდან გულშემოყრილი ვლიან.მთიელები არასოდეს გამოისყიდიან თავიანთ ამხანაგს, თუ იგი დაჭრილია შუბით, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ის დაუჭრია დონის კაზაკს.მათი შეხედულებით კი მხოლოდ მხდალს შეუძლია თავი დააჭრევინოს დონის კაზაკს.ისინი არ გამოისყიდიან აგრეთვე კაცს, რომელიც ზურგშია დაჭრილი, ესე იგი გაქცევის დროს დასჭრეს. და აი, ახლა ჩვენს გამცილებლებს შეადგენდნენ „გავრილოვიჩები“, რაც სრულიად ვერ გვანუგეშებდა ასეთ ნისლიან ამინდში.

ასე მუხლებზე დაწყობილი დატენილი თოფებით გავიარეთ ათი-თორმეტი ვერსი, რომელიც შემდეგ პოსტს გვაშორებდა, გავიარეთ ორი გამაგრებული და შემორობილი დაბა, კარგატემსკაია და შჩერბაკოვსკაია.

უპირველესი თავდაცვის საშვალება ამ სოფლებისა, რომელნიც ყოველ წუთში ჩეჩნების თავდასხმას ელიან, ფართო თხრილია მათს ირგვლივ შემორტყმული. ქალაქის ზღუდეს ომიანობის დროს სცვლის ასევე ძნელად გადასალახი „დერჟიდერევოს“ცოცხალი ღობე. გარდა ამისა, ყოველ სახლს, რომელიც შეიძლება ციხე-სიმაგრედ გადაიქცეს, გარს არტყია ექვსი ფუტის სიმაღლის გისოსიანი მესერი. ზოგიერთს პატარა კედელი აუშენებია შიგდატანებული სათოფურებით. სოფლის ყოველ კარში გუშაგი დგას, რომლის ამაღლებული პოსტიდან მთელ მეზობელ მიდამოებს სწვდება თვალი. გუშაგი პოსტს ფრთხილად სდარაჯობს და ყოველ ორ საათში იცვლება. თოფები მუდამ მზადაა, ცხენების ნახევარი-შეკაზმული. ასეთი სტანციის ყველა მცხოვრები ჯარისკაცია. ყველა სოფლს აქვს თავისი სისხლიანი, ზარისმომგვრელი ლეგენდა, რომელიც ადვილად გაუწევს მეტოქეობას კუპერის მიერ ესოდენ პოეტურად გადმოცემულ ლეგენდებს.

ჩვენ მივედით სუხოი პოსტის სადგურში, სადაც საუცხოო სანახაობა გველოდა, და ახლა მის სხივებს გაერღვიათ ნისლი.ორთქლი თანდათან ფართო ზოლებად დანაწილდა, ჯამჭვირვალე გახდა და შორს უძრავი მყარი სილუეტები გამოჩნდა.

ერთ ხანს ვიდექით და ვერ გადაგვეწყვიტა რა იყო ეს, მთები თუ ღრუბლები. მაგრამ მალე მზემ უკანასკნელად მოიკრიბა ძალა, ნარჩენი ნისლი ორთქლის ბოლქვებად იქცა და ჩვენს წინაშე გაიშალა კავკასიონის დიდი ჯაჭვი მყინვარწვერიდან იალბუზამდე. ყაზბეგი, პრომეთეს ეს პოეტური ეშაფოტი თავისი ტეთრი მწვერვალით გამოისახა. ჩვენ ერთხანს მდუმარედ ვიდექით ამ ხვთაებრივი პანორამის წინაშე. ეს არ ჰგავდა არც ალპებს, არც პირენეებს, ეა არ ჰგავდა

არაფერ იმას, რაც უკვე ნახული გვქონდა, ან რასაც ჩვენი მეხსიერება მოგვაგონებდა, რაზეც ჩვენს წარმოდგენას ოდესმე უოცნებია.

ჩვენ თვალწინ იყო კავკასიონი, ესე იგი ის თეატრი, სადაც პირველმა ანტიკურმა დრამატულმა პოეტმა თავისი პირველი დრამა დადგა, რომლის გმირი ტიტანია, ხოლო მსახიობები ღმერთები!

როგორ ვნატრობდი ჩემს ესქილეს! იქ უსათუოდ გავჩერდებოდი, წმოვწვებოდი და ხელახლა გადავიკითხავდი მას უკანასკნელ ლექსამდე. ახლა გასაგებია, რატომ ჩამოიყვანეს ადამიანთა მოდგმა ბერძნებმა ამ საუცხოო მწვერვალებიდან. აი, ამაშია ისტორიული ქვეყნების უპირატესობა უცხო ქვეყნებთან. კავკასია ისტორიაა ღმერთებისა და ადამიანებისა. ჰიმალაი და ჩიმბორაზო მთებია, რომელთაგან ერთი ოცდაშვიდი ათასი ფუტია სიმაღლით, მეორე კი ოცდაექვსი ათასი. კავკასიონის ყველაზე მაღალი მწვერვალი თექვსმეტი ათას ფუტს არ აღემატება, მაგრამ იგი ესქილეს კვარცხლბეკად ემსახურება!

მუანე ვერ დავითანხმე დაეხატა მის თვალწინ გადაშლილი სურათი. როგორ უნდა გამოხატო ფანქრის წვერითა და ქაღალდის ფურცლით ერთ-ერთი ყველაზე უფრო კოლოსალური ქმნილება შემოქმედისა?მან მაინც სცადა. ერთ-ერთი პირველი დამამტკიცერბელი საბუთი ადამიანის გენიის ღვთაებრივი ძალისა ცდა არის, ხოლო წარმატება მისი უკანასკნელი საბუთია.

თავი IV
რუსი ოფიცრები კავკასიაში

როცა ცხენები დააბეს და მუანმაც ნახატი დაამთავრა, ისევ გზას გავუდექით, იმდენად ვიყავით მოხიბლული კავკასიონის თვალწარმტაცი სანახაობით, რომ უკვე აღარ ვფიქრობდით არც ჩეჩნებზე, არც ჩერქეზებზე. გამყოლებიც რომ არ მოეცათ, ალბათ ვერ შევამჩნევდით. მედიდური მზე თვალის მომჭრელად კაშკაშებდა და თითქოს ნისლზე გამარჯვებას ზეიმობდა. ეს უკვე აღარ ჰგავდა ყიზლარის შემოდგომას, ეს იყო ზაფხული მთელი ტავისი სიკაშკაშით და სითბოთი. დიდრონი არწივები ფართო ირაოს სცემდნენ ცაში ისე, რომ ფრთებსაც არ არხევდნენ. ორი არწივი მინდვრიდან აფრინდა და ერთი ვერსის მოშორებით ხეზე ჩამოჯდა, სადაც მათ გასულ ზაფხულზე ბუდე გაეკეთებინათ.

ჩვენ მივდიოდით ვიწრო და ტალახიან შარაზე, რომელსაც ორთავ მხარეზე დიდი ჭაობი მოჰყვებოდა. ჭაობში ყველა ჯურის წყლის ფრინველი ბინადრობდა: ვარხვი, გარეული ინდაური, სავატი, გარეული იხვი, აქ ყველა ამ ჯიშს თავისი წარმომადგენელი ჰყავდა. ეს თითქმის უდაბური, ადამიანისთვის საშიში ადგილები მხოლოდ ადამიანური მოდგმის მტაცებლებითაა დასახლებული და უსაფრთხოებას უქმნიან ყოველგვარ პირუტყვს. აქ მონადირეს ეშინია თვითონვე არ გახდეს ნანადირევი. ყველა მოგზაური , რომლებიც გზაზე შენოგვხვდა, კბილებამდე იყო შეიარაღებული. ერთი მდიდარი თათარი თხუთმეტი წლის ვაჟიშვილით, ოთხი ნუკერითა და ამალის თანხლებით თავისი ცხვრის ფარის სანახავად მოსულიყო. იგი საშუალო საუკუნეების ბატონს ჰგავდა. ფეხით მოგზაურს იშვიათად შეხვდებით. ყველა ატარებს ხანჯალს, ქამარში გაკეთებულ დამბაჩას. მხარზე თოფსა და სავაზნეს. ყველა ისეთი სიამაყით გამოიყურება, როგორსაც ადამიანს საკუთარი გულადობის შეგნება სძენს. რაოდენ შორს იყვნენ ერთმანეთისაგან ეს თათრები და ის მშვიდი გლეხები, რომელთაც ტვერში და ასტრახანში შევხვდით!წინა სადგურზე კალინომ ზანტ მეეტლეს მათრახი მოუღერა.

-აბა , ფრთხილად!-უთხრა მეეტლემ და ხანჯალზე ხელი წაივლო ,-თქვენ

მართალი გითხრათ, თვითონ ჩვენ მეტად გვიზიდავდა დამოუკიდებელ ადამიანთა ეს მტკიცე , ანუ უფრო სწორად, ეს ამაყი ხასიათი. გვეჩვენებოდა, თითქოს უცნობი საფრთხის პირისპირ შეხვედრის მოლოდინში ჩვენი გრძნობები მეტ სიმკვეთრეს იღებდნენ, ხოლო ჩვენი გული მეტ ენერგიას იძენდა. უცნაურირამ არის ფათერაკი: თავდაპირველად მისი გვეშნია, შემდეგ კი იგი გვეამაყება. ბოლოს უკვე გვსურს, ხოლო, როდეს დიდი ბრძოლის შემდეგ დაგვშორდება, ისე გვაკლია, როგორც მკაცრი მეგობარი, რომელიც მუდამ გვირჩევდა თავს გავფრთიხლებოდით. ჩემი აზრით გულადობა მხოლოდ და მხოლოდ ჩვევის საქმეა.

ნოვოუჩრეჟდენნაიაში, ესე იგი იმ სადგურზე, სახიფათო ადგილებამდე რომ გავიარეთ, უთი კაზაკის მეტი ვერ მოგვცეს. პოსტის უფროსმა თვითონვე აღიარე, რომ ეს საკამარისი არ იყო და შემოგვთავაზა დაგვეცადა, ვიდრე მისი კაცები არ დაბრუნდებოდნენ. მე ვკითხე, შევძლებთ თუ არა, თქვენი კაცების თანხლებით ღამით მგზავრობას-მეთქი. მან გვიპასუხა, არაო, ღამეს პოსტზე გაათევთ, ხოლო ხვალ დილას გზას განაგრძობთ თხუთმეტი-ოცი კაცის ბადრაგითო.

- ეგ ხუთი კაცი კი დაგვიცავს, თუ გზაზე თავს დაგვესხნენ? -ვკითხე საგუშაგოს უფროს.

- ამათზე მე ვაგებ პასუხს. ეგენი კვირაში სამეჯერ ეომებიან მთიელებს. არც ერთი არ დაიხევს უკან.

-მაშ რვა კაცი ვიქნებით და მეტი არც არის საჭირო.

მე გაუმეორე მეეტლეებს მითითება, ახალ კაცებს თავდაცვის გეგმა გავაცანი და ცხენები დავაოთხეთ.

მზე სწრაფად ეშვებოდა ჰორიზონტზე. კავკასიონი ჯადოსნურად იყო განათებული. თვით სალვატორ როზა ტავისი გენიით ვერ მისწვდებოდა ფერების ასეთ ჯადოქრობას, მომაკვდავი მზის სხივები რომ ხაზავდნენ ამ გიგანტურ მთაგრეხილზე. მთის ძირები მუქ ლურჯად იყო შეხებილი, წვეროები ვარდისფრად, შუალედ ადგილებში კი შეფერილობა საფეხურებად გადადიოდა ისსფერისა და ლილისფერის ყველა ნიუანსებში. ცას მდნარი ოქროს ფერი გადაჰკროდა. არც კალამს, არც ფუნჯს არ შესწევს უნარი მისდიოს შუქის სწრაფ ცვალებადობას, იმ დროის განმავლობაში, ვიდრე დასახატი საგნიდან მზერას ქაღალდზე გადაიტან, საგანი უკვე ფერს იცვლის და ამიტომ შესაძლებლობაც ეცვლება.

სამი თუ ოთხი ვერსის მანძილზე შევამჩნიეთ მუქი ზოლი, ეს ჩვენი გასავლელი ტყე იყო, საიდანაც გზა ორად იყოფოდა. ერთი მიდის მოზდოკისა და კავკავისაკენ, კავკასიონს შუაზე ჰკვეთს, მისდევს დარიალის ხეობას და თბილისისაკენ მიემართება. აქ მოძრაობს ფოსტა, და მართალია, ეს გზა სახიფათოა, მაგრამ არა იმდენად, რომ კავშირი შეფერხდეს. მეორე გზა, რომელიც დაღისტნის ნაწილზე გადადის, შამილის რეზიდენციიდან ოც ვერსზეა დაშორებული და ყოველ ნაბიჯზე მტრულად განწყობილ მოსახლეობას ეხება. ამიტომ საფოსტო კავშირი 60-80 ვერსზე გაწყვეტილია. ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელი გზით გადავწყვიტეთ წასვლა და წინდაწინვე დავგეგმე, რომ თფილისიდან დარიალის ხეობით თრეგის სანახავად ავიდოდით. ეს გზა საქართველოს დედაქალაქში მიგვიყვანდა თემურხან-შურაზე, დარუბანდაზე, ბაქოზე და შემახიაზე გავლით, ესეიგი, ეს ისეთი გზა იყო, რომლითაც ჩვეულებრივ არავინ დადის მისი სიძნელის და მეტადრე მისი საშიშროების გამო. ამ გზაზე, ნამდვილად ყოველ ნაბიჯზე ფათერაკი გელის. კაცი ვერ იტყვის, აი, აქ არის ჩასაფრებული მტერი ან აგერ იქაო. მტერი ყველგანაა. ხშირი ტყე, ღრანტე თუ კლდეები, ყველა თქვენი მტერია. მტერი რომელიმე ერთ ადგილზე კი არ არის, თვითონ ადგილმდებარეობაა თქვენი მტერი. ამიტომ ყველა ადგილს თავისი დამახასიათებელი სახელწოდება აქვს: სისხლიანი ტყე, ქურდების ხევი, მკვლელობის კლდე.

უნდა ითქვას, რომ ეს საშიშროება მნიშვნელოვნად შემცირდა ჩვენთვის, თავად ბარიატინსკის მიერ ხელმოწერილი ქაღალდის წყალობით, რომლის ძალითაც იმდენი კაცის წაყვანა სეგვეძლო ამალაში, რამდენსაც მდგომარეობა საჭიროებდა. თუმცა საუბედუროდ, როგორც დავინახავთ, ეს ნებართვა ხშირად გამოყენებული გვრჩებოდა, მაგრამ როგორ მოგვცემ,დნენ ოც კაცს, როცა ხშირად საგუშაგოში მხოლოდ შვიდი კაცი დაგვხვდებოდა ხოლმე?

სწრაფად ვუახლოვდებოდით ტყეს. ჩვენმა კაზაკებმა თოფები და პისტოლეტები ჩალითებიდან ამოიღეს, ფალიები დაუთვალიერეს და ჩვენც იგივე გვირჩიეს გვექნა. ბინდდებოდა. შევედით თუ არა ტევრში, მწყრების გუნდი აფრინდა და წინ ოცდახუთ ნაბიჯზე დაეშვა. ჩემში მონადირის ინსტიქტმა გაიღვიძა. თოფიდან ტყვიები გამოვიღე, შიგ საფანტი ჩავაწყე, ეტლი გავაჩერებინე და გადმოვხტი. კალინო და მუანე თავიანთი თოფებით ტარანტასში დარჩნენ და მოემზადნენ, რომ ჩემი უკან დახევა დაეცვათ, თუ ეს საჭირო გახდებოდა. აქეთ-იქიდან მომდევდა ორი თოფმოღერებული კაზაკი. ათი ნაბიჯიც არ მქონდა გავლილი ხშირიანში, რომ მწყრები ისევ აფრინდნენ. ერთი მწყერი გუნდს დაშორდა და სროლა გამიადვილა. მეორე გასროლაზე ჩამოვაგდე და ტარანტასის ჩანთაში ჭინჭრაქებს მივუმატე შემდეგ ტარანტასში ავედი და საჩქაროდ ისევ გზა განვაგრძეთ.

-ახლა თუ თათრებს თავდასხმა უნდათ, ნისანი მიცემული აქვთ, - თქვა ერთმა კაზაკმა.

მაგრამ თათრები იქ არ იყცვნენ. ჩვენ მთელ სიგრძეზე გადავჭერით სახიფათო ადგილები და თუმცა ბინდმა უკვე შეცვალა დღე, ხოლო სულ მალე შეენაცვლებოდა ბინდს, მაინც სახ-სალამათნი ჩავედით სჩუკოვაიაში. ერთმა კაზაკმა ათი წუთით გაგვასწრო წინ, რათა სადგურის უფროსისთვის ეთხოვა ჩვენთვის ბინა შუკოვაიაში, უკვე პოლკოვნიკთან გვქონდა საქმე და არა პოლიციის უფროსთან, როგორც ყიზლარში. ქალაქს საგუშაგოები ყარაულობდნენ და თუმცა მთელი ერთი ბატალიონი იდგა, ესეიგი ატასამდე კაცი, ეტყობოდა, რომ აქ იგივე გამაფრთხილებელი ზომები იყო მიღებული, რაც უბრალო კაზაკთა სტანციებში.

ჩვენ მოგვცეს ორი ოთახი, რომლებიც უკვე ეკავა ორ ახლგაზრდა რუს ოფიცერს. ერთი შვებულებაში ყოფილიყო თავის მშობლებთან და ახლა მოსკოვიდან ბრუნდებოდა. ის მიემართებოდა დარუბანდში, სადაც მისი ნაწილი იდგა. მეორე, ნიჟნონოვგოროდელი დრაგუნთა პორუჩიკი ჩირ-იურთიდან ჩამოსული ცხენების შესავსებად, ელოდა ჯარისკაცებს, რომლებიც მეზობელ სოფლებში ყავდა გაგზავნილი ნაწილისთვის ქერის შესასყიდად შვებულებაში ნაყოფი ახალგაზრდა ოფიცერი ძალზე ჩქარობდა დარუბანდში დაბრუნებას, მაგრამ მას არავითარი უფლება არ ჰქონდა ბადრაგის წაყვანისა და მარტოდ რომ წასულიყო, რამდენიმე ვერსს იქით თავი აღარ შერჩებოდა, ამიტომ, როგორც იტყვიან, „ოკაზიას“ (ხელსაყრელ შემთხვევას) ელოდა.

„ხელსაყრელი შემთხვევა“ ეწოდება მრავალრიცხოვან მოგზაურთა ჯგუფს, რომელიც ერთსადაიმავე პუნქტში მიემართება. მას ბადრაგს უნიშნავს ადგილობრივი კორპუსის უფროსი და ჩვეულებრივად შედგემა ორმოცდაათი ქვეითი ჯარისკაცისა და ოცი ან ოცდახუთი კავალერისტისაგან. ვინაიდან მოგზაურთა შორის თითქმის ყოველთვის გარკვეული რაოდენობის ფეხით მომავალნიც ურევია, ჯგუფი ჩვეულებრივი ნაბიჯით მიდის და ყოველ ხუთ-ექვს ლიეზე ხანგრძლივად ისვენებს. ამგვარად ჩვენს ახალგაზრდა ოფიცერს სულ ცოტა ორი კვირა დასჭირდებოდა ცჩუკოვაიდან ბაქოში მისასვლელად. იგი სასოწარკვეთილებაში იყო, მითუმეტეს, რომ შვებულების ვადა უკვე გასული ჰქონდა. ჩვენი გამოჩენაა მისთვის ჭეშმარიტი ხსნა იყო. მას შეეძლო ესარგებლა ჩვენი ბადრაგით და თავისი „კიბიტკა ჩვენი ტრანტასისა და ოთხთავალასშუა მოეთავსებინა, რაც შეეხება მეორე ოფიცერს, მითუმეტეს დიდად გაეხარდა ჩვენი მისვლა, რომ უკვე უხვად ჰქონდა ნაგემი ყიზლარის ღვინო, ვინაიდან, როგორც ამობობენ, ყიზლარის ღვინო იმ ღვინოების რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც უმაღლეს

ხარისხში ანვითარებენ ფილანთროპიულ გრძნობებს. მთელი ქვეყნის ადამიანებისთვის რომ ყიზლარის ღვინო დაელევინებინა, ყველანი უმალ დაძმობილდებოდნენ.

კავკასია ისევ მოქმედობს რუს ოფიცრებზე, როგორც ატლასი ჩვენს აფრიკის ოფიცრებზე: განმარტოვებამ გამოიწვია უქმად ყოფნა, უქმად ყოფნამ მოწყენილობა, მოწყენილობამ კი ლოთობა. აბა, რა გააკეთოს უბედურმა ოფიცერმა საზოგადოების გარეშე, ქალებისა და წიგნების გარეშე ოცდახუთი კაცისაგან სემდგარ პოსტზე? რასაკვირველია, ლოთობას დაიწყებს, ოგონდ ისინი, ვისაც უფრო დიდი ფანტაზიის უნარი აქვს, ამ ერთფეროვან მოქმედებას, რაც გულისხმობს ღვინის თუ არყის გადასხმას ბოთლიდა ჭიქაში და ჭიქიდან ყელში, ცოტად თუ ბევრად მხატვრულ დეტალებს უფარდებს. მაგალითად თემირხან-შურაში ჩვენ გავიცანით ბატალიონის მეთაური, რომელსაც 1856 წლის კამპანიაში პირადად ჰქონდა თურქებთან საქმე და გულში ბოღმას ინახავდა მათ მიმართ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ფერდში ტყვია დაუტოვეს, მეორეც იმიტომ, რომ სახე ჰქონდა ჭრილობებით დასერილი. ეს იყო შესანიშნავი კაცი, თავდავიწყებამდე გულადი, მაგრამ ცოტა ველური გუნებისა. იგი განდეგილად ცხოვრობდა და არცერთ ამხანაგთან არ ჰქონდა ურთიერთობა. ერთი პატარა განცალკავებული სახლი ეჭირა ქალაქის განაპირას და მის საზოგადოებას შეადგენდა ძაღლი და კატა. ძაღლს ერქვა „რუსი“, კატას კი“თურქი“. ზაღლი ერთი ბრაზიანი ჭრელი გოშია იყო და სამ ფეხზე დარბოდა, რადგანაც ერთი ფეხი ჰაერში აწეული ეჭირა, ცალი ყური ჩამოგდებული ჰქონდა, მეორე კი აცქვეტილი. კატა უჯიშო იყო და რუხი ფერი ჰქონდა. სადილის დაწყებამდე „თურქი“ და „რუსი“ ქვეყანაზე საუკეთესო მეგობრები იყვნენ. ერთი ერთ მხარეზე უჯდა ბატალიონის მეთაურს, მეორე-მეორე მხარზე. მაგრამ სადილის შემდეგ ბატალიონის უფროი ჩიბუხს მოუკიდებდა, „რუსსა“ და „თურქს“ კისრებში ჩაავლებდა ხელს, დენშჩიკის მიერ კარებში ჩადგმულ სკამზე დაჯდებოდა და ჯერ კატას ეტყოდა:

-შენ რომ თურქი ხარ, ხომ გახსოვს?

შემდეგ ძაღლს მიუბრუნდებოდა:

-შენც ხომ იცი, რომ რუსი ხარ?

მერე ორივეს ეტყოდა:

-მაშ ისიც გეცოდინებათ, რომ მტრები ხართ და ერთმანეთი კარგად უნდა მიბეთქოდ.

ამ გაფრთხილების შემდეგ ორივეს ერთმანეთს ცხვირებით მიაჯახებდა იქამდე, სანამ ეს გულითდი მეგობრები ერთმანეთზე აიღრინებოდნენ. მაშინ იწყებოდა „ერთმანეთის მიბეთქვა“ და ბრძოლა იქამდე გრძელდებოდა, ვიდრე ერთ-ერთი არ დაიხევდა. თითქმის ყოველთვის იმარჯვებდა „რუსი“. იმ მომენტში როცა ჩვენ პატივი გვქონდა გაგვეცნო ბატალიონის უფროსი, მისი კარტა და ძაღლი, „თურქს“ ცხვირი ჰქონდა მოჭმული, ხოლო „რუსს“ ცალი თვალი ამოგდებული. გულს სევდა მაწვება, როცა წარმოვიდგენ, რა უნდა იყოს ამ გულადიმ ოფიცრის ცხოვრება, თუ ოდესმე უბედუურება ეწვია (რაც ადვილი მოსალოდნელი) და ეს ცხოველები დაკარგა. ის უსათუოდ შუბლში ტყვიას იკრავს.

რაც შეეხება უბრაო კაზაკებს, მათ საყვარელ ცხოველებს წარმოადგენენ მამალი და თხა. ყოველ კავალერიის ესკადრონს თავისი თხა ჰყავს, ყოველ კაზაკთა პოსტს თავისი მამალი. თხას ორგვარი სარგებლობა მოაქვს: მისი სუნი ტავლიდან აძევებს ყველა მავნე ქვეწარმავლს: მორიელს, ფალანგას, ასფეხას. ეს არის დადებითი, მატერიალური სარგებლობა, მაგრამ აი, პოეტური მხარე ამ სარგებლობისა: იგი აფრთხობს ყველა მავნე სულს, რომლებიც ვითომდა ღამით თავლაში დაბორიალებენ, ცხენებს ფაფარს უწნავენ, კუზზე ძუას აგლეჯენ, ზურგზე აძრებიან და ძილში ახტუნებენ. თხა ესკადრონის უფროსია და მან თვითონაც იცის თავისი

ღირსება. თუ ცხენმა ჭამა ან წყლის დალევა დაასწრო, თხა ასეთი თავხედობისათვის უსათუოდ ურქენს. ცხენი გრძნობს, რომ დანაშაული მიუძღვის და არც კი ფიქრობს თავი დაიცვას. რაც შეეხება მამალს, მასაც აქვს თავისი მატერიალური და პოეტური დანიშნულება. სხვა ყველაფერს რომ ტავი დავანებოთ, მამალი კაზაკებს ზარს ურეკს, რადგანაც დონის თუ შთამომავლობით კაზაკებს იშვიათად მოეპოვებათ საათი, მით უფრო კედლისა.

თავი V
აბრეკი

შჩუკოვაიაში რომ მივედით, ჩემი პირველი საზრუნავი იყოამის შესახებ პოსტის უფროს პოლკოვნიკისთვის მომეხსენებინა.

უნდა გითხრათ, ტალახის მიხედვით შჩუკოვაია ფრიად ღირსეული მეტოქეა ყიზლარისა.შინ დაბრუნებისას სადილზე ფიქრს შეუდექი. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე უკვე გაკეთებული იყო.ერთ ჩვენ თანამგზავრ ოფიცერს, იმას, რომელიც დარუბანდში მიდიოდა, სომეხი მოჯამაგირე ჰყავდა. ეს კაცი მწვადის შეწვის პირველი ოსტატი ყოფილიყო.ის გვიკეთებდა არა მარტო ცხვრის წვადს, არამედ ფრინველისასაც. რაც შეეხება ღვინოს, წამოღებული გვქონდა ცხრა ბოთლი, ხოლო ნეტარი მდგომარეობა, რომელშიც ჩვენი ახალგაზრდა პორუჩიკი იმყოფებოდა, მოწმობდა, რომ არც შჩუკოვაიაში უნდა ყოფილიყო ღვინის ნაკლებობა.

ნასადილევს პოლკოვნიკი მოვიდა საპასუხო ვიზიტით.ჩვენი პირველი კითხვა გზის მდგომარეობას შეეხებოდა.მხედველობაში მიიღეთ, რომ ასორმოცდაათი ვერსის მანძილზე საფოსტო კავსირი შეწყვეტილია, რადგანაც ცხადია, არც ერთი სადგურის უფროსს არ უნდა, რომ ყოველ ღამე ჩეჩნებმა ცხენები მოსტაცონ და თვითონაც წააგოს თავი. პოლკოვნიკი გვარწმუნებდა თვრამეტ-ოც მანეთად ყველა აქაური მეეტლე წქაგიყვანთო და დაგვპირდა, ამ საღამოსვე ცხენების გამქირქავებელს გამოგიგზავნით და მოურიგდითო. ჩვენმა დარუბანდელმა ოფიცერმაც დაგვიმოწმა ეს იმედი. თვითონ ის უკვე მოლაპარაკებოდა ერთ კაცს სამ ცხენზე თავისი „კიბიტკისათვის“ და თორმეტ მანეთად გარიგებულიყვნენ.

მართლაც, თხუთმეტი წუთის წასული არ იქნებოდა პოლკოვნიკი, რომ ორი მეეტლე მოვიდა და თვრამეტ მანეთზე შევთანხმდით, რაც სამოცდათორმეტ ფრანკს უდრის. ეს ძალიან კარგი ფასი იყო ოცდაათი ლიეს გასავლელად, მით უმეტეს, რომ ჩვენი ბადრაგის წყალობით, რომელთაც მეეტლეები უკან წამოჰყვებოდნენ, მათ ცხენებს არავითარი საფრთხე არ ელოდათ. სრულიად დამშვიდებულები, რომ უკვე გარიგებული ვიყავით მეეტლეებთან, მეხებზე გავიშოტეთ და ისე გემრიელად ჩავიძინეთ, თითქოს ამაზე რბილი ქვეშაგები ჯერ არასოდეს გვშლოდეს. გაღვიძების თანავე მეეტლეებთან კაცი გავგზავნეთ, რომ წასვლა შეეტყობინებინა,მაგრამ მეეტლეები თვითონ გამოცხადნენ. პატიოსან კაცებს გადაეფიქრათ, თვრამეტ მანეთს აღარ სჯერდებოდნენ და ახლა ოცდახუთ მანეთს,ესე იგი ას ფრანკს თხოულობდნენ, ვითომდა იმ მიზეზით, ღამე გზები მოიყინაო.ასეთი აშკარა ღლეტა ძალიან მაღიზიანებს და მიუხედავად იმისა, რომ სრულიად არ მქონდა წარმოდგენილი, როგორ უნდა გაგვეგრძო გზა, ვირეშმაკა მეეტლეები გარეთ გავყარე.

-კი მაგრამ ახლა რა გვეშველება?-მითხრა მუანემ მათი წასვლის შემდეგ.

-რა გვეშველება და ისეთ მშვენიერებას ვნახავთ, როგორსაც ჩვენს სიცოცხლეში ვერ ვნახავდით, ამ ცუღლუტებთან რომ საქმე არ დაგვეჭირა.

-ვითომ რა არის ასეთი?

-გახსოვთ თუ არა, ჩემო კარგო, ჩვენი მეგობრის ჟიროს „ათსაათიანი შვებულება?“

-როგორ არა.

კავკასიაში არის ერთი თვალწარმტაცი კაზაკთა სოფელი, რომელიც ცნობილია თავისი სტუმართმოყვარე მოსახლეობით, კეთილთვისებიანი მშობლებითა და ლამაზი ქალებით. არ არის კავკასიაში ოფიცერი, რომელსაც ერთხელ მაინც არ ეთხოვოს შვებულება იქ წასასვლელად.

-ეს ის სოფელი ჩერვლიონაია ხომ არ არის, დანდრე რომ გველაპარაკა და გვირჩია, გზად გავლისას გვენახა?

-სწორედ ეგ არის.წავიდეთ და თქვენი აკვარელის ყუთიც წავიღოთ, იქ კარგი პორტრეტის დახატვა მოგიხდებათ.

-პორტრეტის?

-დიახ, იქ თქვენ მოგიხდებათ მშვენიერი ავდოტია დოგადინსკაიას დახატვა.ამ ქალის შესახებ პარიზშიც ბევრი მსმენია, და ზედმეტი არ იქნება თითომ ორლულიანი თოფი წავიღოთ და თორმეტი კაზაკიც გავიყოლოთ.ჩემო კარგო კალინო, მოითხოვეთ თორმეტი კაზაკი.

ნახევარი საათის შემდეგ შეკაზმული ხუთი ცხენი და თორმეტი კაზაკი კარებთან გვიცდიდა.

-ახლა, ჩემო კალინო, გთხოვთ ჩემი სავიზიტო ბარათი წაუღოთ პოლკის უფროსს-პოლკოვნიკ შატინოვს და მის დეწშჩიკს უთხრათ, რომ ამ საღამოს ჩერვლიონაიდან დაბრუნებისას პატივი მექნება მას ვეწვიო, ხოლო თუ ამ საღამოს გვიან დავბრუნდი, მაშინ ხვალ დილით ვეწვევი.

კალინო მალე უკან დაბრუნდა და მითხრა:

-პოლკოვნიკი ჯერ არ ამდგარა. წუხელის ცოლთან ერთად ქორწილზე ყოფილა და შინ გვიან დაბრუნებულა.მაგრამ მისმა პატარა ვაჟმა თქვენი გვარის გაგონებისას მითხრა: „მე ვიცნობ ბატონ დიუმას, მან ხომ გრაფი მონტე-კრისტო დაწერა“.

-ყოჩაღ, ბიჭო! ეგ სიტყვები ხვალ ჩვენ რამდენიმე ცხენს გაგვიჩენს.

-ღმერთმა ქნას!

-არხეინად იყავით, ღმერთი ყველაფერს ისე იზამს, როგორც ჩვენ გვინდა. აბა, ახლა კი ცხენებზე!

ცხენებზე შევსხედით, მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ კაზაკურ უნაგირზე მაინცდამაინც ვერ ვგრძნობდი თავს მოხერხებულად, რადგანაც რვა გოჯით მაღალია ცხენის ზურგზე, თუმცა სამაგიეროდ უზანგებია ექვსი გოჯით უფრო მოკლე. საათ-ნახევარში შჩედრინსკაიას სიმაგრეში მივედით. იქ შევჩერდით, რომ ცხენები შეგვესვენებინა და ბადრაგი გამოგვეცვალა. შემდეგ ისევ გზას გავუდექით ჩვენი ძველი მეგობრის თერგის ნაპირის გასწვრივ, რომელიც კვლავ შემოგვხვდა გზაზე. როგორც უკვე მოგახსენეთ, თორმეტი კაცი გვახლდა თან. ორი წინ მიდიოდა, ორი უკან, რვა კაცი კი მე მომყვებოდა. გზას ორთავ მხარეს სამი ფუტის სიმაღლის ბუჩქნარი მისდევდა. მარჯვნივ, თვალუწვდენელ სივრცეზე, მარცხნივ კი თერგის ნაპირამდე ადგილ-ადგილ სხვა ჯიშის ხეები მოჩანდა ჯგუფ-ჯგუფად.ჩემი ცხენი რატომღაც სულ მარცხნივ მიიწწევდა და გზიდან თხუთმეტ ნაბიჯზე მწყრის გუნდი ააფრინა. მე ინსტიქტურად მხრიდან თოფი გადმოვიღე და დავუმიზნე, მაგრამ მომაგონდა, რომ ტყვიით მქონდა

დატენილი და ტყუილად გავისვრიდი. მწყერები ორმოცდაათ ნაბიჯზე ჩაფრინდნენ, ცდუნება იმოდენა იყო, რომ ტყვია საფანტით შევცვალე და ცხენიდან გადმოვხტი.

-დამიცადე, მეც წამოვალ,-მითხრა მუანემ და ისიც ჩამოხტა.

-მაშინ ცალ-ცალკე წავიდეთ და გუნდი შუაში მოვიქციოთ.

ამ დროს კალინო წამოგვეწია და გვითხრა:

-ჩვენი ამალის უფროსი ამბობს, სროლა სახიფათოაო.

-მწყერები ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე იქნებიან, გარეულები არიან და მძიმედ იძვრიან ადგილიდან. ეგეც არ იყოს, თან ხუთი-ექვსი კაზაკი გვახლავს.

ავანგარდს გაჩერების ნიშანი მივეცით, უკან მომავალთ კი ვუთხარით ნაბიჯი აეჩქარებინათ.ოთხი კაზაკი გამოეყო ჯგუფს და გავემართეთ მწყრებისაკენ, ესე იგი, თერგის მიმართულებით ოციოდე ნაბიჯი რომ გავიარეთ, მწყრები ისევ აფრინდნენ. ერთი პირველსავე გასროლაზე ფეხში დავჭერი, მაგრამ მეორედაც ვესროლე და ჩამოვაგდე.

-სად ჩამოვარდა, თუ დაინახეთ?-დავუყვირე მუანეს,-ალალბედზე ვესროლე და მგონი მოვკალი.

-მოიცადეთ, მოვიტან, -მიპასუხა მუანემ. სიტყვა გათავებული არ ჰქონდა, რომ ასიოდე ნაბიჯზე თოფი გავარდა.

როგორც კი ბოლს თვალი მოვკარი იმავ წუთში სამ ნაბიჯზე ტყვიამ გაიზუზუნა და ტოტები წაამტვრია ბუჩქნარს, სადაც ქამრამდე ვიყავით ჭაობში ჩაფლული. კაზაკები, თან რომ გვახლდნენ რამდენიმე ნაბიჯით წუნ წავიდნენ და აგვეფარნენ. ერთი ცხენიანად დაეცა, რადგანაც ტყვია საბრალო ცხოველს წინა ფეხის წვივში მოხვდა და გადაუტეხა. ამასობაში მე გზისკენ მივდიოდი და თოფს ტყვიით ვტენიდი. ერთ კაზაკს ჩემი ცხენი აღვირში ეჭირა.ცხენს შევახტი და უზანგებზე დავდექი, რომ უფრო შორს დამენახა. ჩეჩნების ჩვეულება რომ ვიცოდი, მიკვირდა, რატომ არ ჩქარობდნენ თავდასხმას. ჩვეულებრივად ისინი სროლას მაშინვე იერიშს მოაყოლებენ ხოლმე.

დავინახეთ, რომ შვიდი თუ რვა კაცი თერგისკენ მირბოდა.

-ვაშა!-შესზახეს ჩვენმა კაზაკებმა და უკან დაედევნენ. მაგრამ ამ დროს ერთი ჩეჩენი ბუჩქნარიდან გამოხტა და თოფის ქნევით დაიყვირა:

-აბრეკ! აბრეკ!

-აბრეკ!-დაიყვირეს კაზაკებმაც და შეჩერდნენ.

-რას ნიშნავს „აბრეკ?“-ვკითხე კალინოს.

-ეს არის კაცი, შეფიცული, რომ არავითარ ფათერაკს არ შეუშინდება და არავის ზურგს არ უჩვენებს.

-მერედა მარტო აპირებს თხუთმეტ კაცთან შებმას>

-არა, მაგრამ ალბათ, სათითაოდ გვიწვევს ბრძოლაში.

ჩეჩენმა კიდევ თქვა რაღაც.

-რომელიღაც კაზაკს იწვევს პირისპირ.

-კაზაკებს უთხარით, რომელიც გავა, ოც მანეთს მივცემ!

კალინომ ჩემი ნათქვამი კაზაკებს გაუმეორა. ერთი წუთის სიჩუმე ჩამოვარდა და მათ ერთმანეთს გადახედას, თითქოს ერთმანეთს შორის ყველაზე გულად ირჩევდნენ. ამასობაში კი, ასე ორასი ნაბიჯის მანძილზე, ჩეჩენი ცხენს აჯირითებდა და განაგრძობდა ყვირილს „აბრეკ! აბრეკ!“

-დასწყევლოს ეშმაკმა! ჩემი კარაბინი მომეცით, კალინო!- შევძახე მე,- ახია, ეგ ცუღლუტი ცხენიდან გადმოვაგდო!

-თავი დაანებეთ, კარგ სანახაობას ნუ ჩაგვიფუშავთ. კაზაკები ერთმანეთს ეთათბირებიან, რომელი გავიდეს. იცნეს, საკმაოდ ცნობილი აბრეკია. აგერ, ხედავთ უკვე გამოდის კაცი.

მართლაც, ის კაზაკი, რომელსაც ცხენი დაუჭრეს, მოგვიახლოვდა, რათა თავისი წადილი გამოეცხადებინა, მსგავსად იმისა, როგორც პალატაში თხოულობენ ხოლმე რაიმე პირად საქმეზე სიტყვის უფლებას. საერთოდ, კაზაკი თვითონ იმაგრებს ცხენსა და იარაღს. მხოლოდ, როცა კაზაკს ცხენს მოუკლავენ, მთავრობა მას ოცდაორ მანეთს უხდის. ის რვა ან ათ მანეთს კარგავს ამ საქმეში, რადგანაც ხეირიანი ცხენი ოცდაათ მანეთზე ნაკლებ არ ფასობს. ჩემ მიერ შეთავაზებული ოცი მანეთი უცხენოდ დარჩენილ კაზაკს ათ მანეთს სუფთა მოგებას აძლევდა. მისი თხოვნა-შებრძოლებოდა ჩეჩენს, რომელმაც ცხენი დაუჭრა, სამართლიანი მეჩვენა და მხარი დავუჭირე. ამასობაში მთიელი ჯირითს განაგრძობდა, წრეს უვლიდა და ყოველ შემოვლაზე გვიახლოვდებოდა.ჩვენი კაზაკები თვალებიდან ცეცხლს ყრიდნენ. ყველა თავს ბრძოლაში გამოწვეულად თვლიდა, მაგრამ გამოწვევის შემდეგ არც ერთს მტრისთვის ტყვია არ უსვრია.რადგანაც ეს არ იყო საპატიო საქციელი.

აბა,-უთხრა ამალის მეთაურმა ჩვენს კაზაკს,-გასწი!

-ცხენი არა მყავს,-უპასუხა კაზაკმა,-რომელი მათხოვებთ?

არც ერთს ხმა არ ამოუღია, ალბათ, არავის ეპრიანებოდა ცხენი შეეწირა. მაშინ გადმოვხტი და ჩემი საუცხოო ცხენი კაზაკს დავუთმე. ისიც მაშინვე შეახტა უნაგირს. ერთი კაზაკი ჩვენი ამალიდან, რომელსაც გზაზე რამდენჯერმე გავესაუბრე კალინოს შემწეობით და რომელიც საკმარისად გონებაგახსნილი კაცი მეჩვენა, მომიახლოვდა და რაღაც მითხრა.

-რა მინდაო?-ვკითხე კალინოს.

-თხოულობს, უფლება მომეცით ჩემი ამხანაგი შევცვალო თუ დამარცხდაო.

-ოდნავ ჩქარობს, მაგრამ ყოველშემთხვევისთვისუთხარით,რომ თანხმა ვარ.

კაზაკი მწკრივში დაბრუნდა და იარაღის შემოწმებას შეუდგა, თითქოს უკვე დამდგარიყოს მისი ჯერი. ამდროს მისმა ამხანაგმა მთიელს გამოწვევაზე შეძახილით უპასუხა, ცხენი ოთხით გააჭენა მისკენ და ისროლა. აბრეკმა თავისი ცხენი ყალყზე შეაყენა, ცხენს მხრის რბილში მოხვედროდა ტყვია. თითქმის იმავე წუთში მთიელმაც ისროლა და კაზაკს ფაფახი წააცალა.მაშინ ორივემ თოფები მხრებზე წამოიგდეს. კაზაკმა ხმალი იშიშვლა, მთიელმა კი ხანჯალი.აბრეკი შესანიშნავი ოსტატობით მართავდა თავის ცხენს და თუმცა პირუტყვს

ჭრილობიდან სისხლი მოსდიოდა, სრულიად არ ემჩნეოდა დასუსტება, ისე კარგად ამხნევებდა მას პატრონი მუხლებით, ლაგმითა თუ შეძახილებით, თავის მოწინააღმდეგეს კი საშინლად ლანძღავდა. მხედრები ერთმანეთს დაუახლოვდნენ. ერთ წუთს მომეჩვენა თითქოს ჩვენმა კაზაკმა მთიელს ხმალი გაუყარა, რადგანაც მის ზურგს უკან გაელვებული ხმალი დავინახე. მაგრამ ხმალმა მხოლოდ თეთრი ჩოხა გასჭრა. ამ წუთიდან მოყოლებული ვეღარაფერს ვარჩევდით, გარდა პირისპირ შებმული ორი მეომრისა. ერთი წუთიც არ გასულა, რომ ერთი მათგანი, უფრო სწორედ, ერთ-ერთის მოკვეთილი ტანი ცხენიდან ჩამოცურდა, თავი კი გამარჯვებულს შერჩა ხელში. გამარჯვებული მთიელი აღმოჩნდა. მან გარეული მხეცის საზარელი ენერგიით გამარჯვების ყიჟინა დასცა, სისხლიანი თავი გაიქნია და თავისი უნაგირის კოტას მიაბა. უმხედრო ცხენი გაიქცა, წრე შემოუარა და ბუნებრივი ინსტიქტის კარნახით, ისევ ჩვენ შემოგვიერთდა.თავმოკვეთილი ცხედარი მიწაზე ეგდო. მთიელმა გამარჯვების ყიჟინას ისევ გამოწვევის ყვირილი მოაყოლა. მე მივუბრუნდი იმ კაზაკს, რომელსაც უნდოდა მთიელს შებმოდა. ის მშვიდად აბოლებდა ჩიბუხს, თავი დამიქნია და მითხრა, ახლავე გავალო, და შეჰყვირა იმის ნიშნად , რომ ბრძოლა მიიღო. მთიელი, რომელიც აქამდე ჯირითობდა, შედგა, რათა დაენახა, რომელი ახალი მოასპარეზე გადიოდა მის წინააღმდეგ.

-ჯილდოს ათმანეთს ვუმატებ,!-ვუთხარი კაზაკს.

კაზაკმა პასუხად მხოლოდ თვალი ჩამიკრა. მას თითქოს აღრჩობდა ბოლი, რომელსაც პირში იგროვებდა და აღარ უშვებდა.და ვიდრე აბრეკი თოფის დატენას მოასწრებდა, კაზაკმა ცხენი მიუშვა, მისგან ორმოც ნაბიჯზე შეაყენა, თოფი მოიხსნა და ესროლა. მისი სახე მსუბუქმა ბოლმა დაფარა და ცვენ გადავწყვიტეთ, რომ ააცდინა ან ფალია დაეწვა. აბრეკმა გაიფიქრა თოფს ვეღარ იხმარსო, მკლავში პისტოლეტი დაუმიზნა და ათი ნაბიჯიდან ისროლა. კაზაკმა ცხენი ისე მოაბრუნა, რომ ტყვია აიცდინა. შემდეგ თოფი სწრაფად მხარზე წაიგდო და ჩვენდა განსაცვიფრებლად (რადგანაც არავის შეგვიმჩნევია, როდის დატენა ისევ თოფი), კიდევ გაისროლა. მთიელმა საშინლად გაიბრძოლა და მივხვდით, რომ მიზანს მოხვდა. აბრეკმა სადავეს უშვა ხელი და ცხენს კისერზე შემოეხვია, რომ არ ჩამოვარდნილიყო. ჭრილობისაგან გამწარებულმა ცხენმა მართვა რომ დაკარგა, მხედარი ბუჩქნარში გაიტაცა თერგის მიმართულებით. კაზაკი უკან გამოუდგა, ჩვენც იმავე მიმართულებით გავრეკეთ ცხენები და დავინახეთ, რომ მთიელის ტანმა თანდათან დაკარგა წონასწორობა და მიწაზე დაგორდა. ცხენი ადგილზე შეჩერდა, კაზაკმა იფიქრა, ფანდი არ იყოს, თავს არ იკატუნებდესო და ვიდრე ახლოს მივიდოდა, ჯერ შორიდან შემოუარა. ეტყობოდა, ცდილობდა მტრის სახე დაენახა, მაგრამ მტერი შემთხვევით თუ განზრახ, სახით მიწაზე იყო დამხობილი. კაზაკი ნელ-ნელა მიუახლოვდა. მთიელი არ ინძრეოდა.ჩვენს კაზაკს კი ხელში გამზადებული პისტოლეტი ეჭირა. მერე ათ ნაბიჯზე მიუახლოვდა, შეჩერდა, დაუმიზნა და ესროლა. ჩეჩენი არ შენძრეულა. ეს ტყვია ტყვილად დაიკარგა, რადგანაც კაზაკმა ცხედარს ესროლა.

მთელმა ამალამ ვაშა შესძახა.კაზაკმა კი ოცდაათი მანეთი მოიგო, თავისი ნაწილის პატიოსანი სახელი იხსნა და მეგობრის შურიც იძია. ერთ წუთში მთიელს ყველაფერი შემოაფცქვნეს.კაზაკმა მისი ტანისამოსი იღლიაში ამოიდო, დაჭრილ ცხენს აღვირში ხელი ჩაავლო. ზურგზე ნადავლი დაუწყო, მოაჯდა და მოგვიახლოვდა. მხოლოდ ესღა ვკითხე:

-ფალია რომ დაგეწვა, როგორღა ისროლე?

-ფალი სულაც არ დამწვია,-მომიგო მან სიცილით.

-მაშ, ბოლი რომ დავინახეთ?-წამოიძახეს მისმა ამხანაგებმა.

-ეგ თოფის კი არა, ჩემი ჩიბუხის ბოლი იყო, რომელიც პირში მქონდა დაგროვილი.

-აჰა, შენ ოცდაათი მანეთი, -გაუწოდე ფული, -თუმცა მგონია, ცოტა ითაღლითე.

თავი VI
რჯულგანდგომილი

თანახმად ჩვეულებისა, შიშველი გვამი მტაცებელი მხეცებისა და ფრინველების საკბილოდ დატოვეს, კაზაკის ცხედარი კი ფრთხილად აიღეს და მთიელის ცხენზე მოათავსეს. ერთმა კაზაკმა ცხენი უკან დააბრუნა სიმაგრეში. ხოლო ის ცხენი, რომელსაც ჩემთვის განკუთვნილი ტყვიით თეძო ჰქონდა გატახილი, წამოდგა და კოჭლობით ჩვენს ჯგუფს შემოუერთდა. მისი გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდათ და ერთმა კაზაკმა ხევთან მიიყვანა, საძილე არტერიაზე ხანჯალი დაარტყა და სისხლი გამოუშვა. პირუტყვმა იგრძნო, სიკვდილი არ ასცდებოდა, ყალყზე შედგა, შემოტრიალდა, საღი ფეხით წაიჩოქა და ზანტად გვერდზე გადაწვა. შემდეგ რამდენჯერმე თავი წამოწია და ადამიანურად გამომეტყველი თვალებით შემოგვხედა. ცხენს თვალი ავარიდე და ჩვენი ამალის უფროსთან მივედი, რომელსაც ვუთხარი, თუ რაოდენ დიდ სისასტიკეთ მეჩვენებოდა არწივებისა და ტურების დასაფლეთად დატოვება მამაცი აბრეკისა, რომელისც უფრო ვერაგულად იქნა მოკლული, ვიდრე ძალაში ჯობნებით, და ვთხოვე დაემარხათ იგი. მაგრამ უფროსმა მიპასუხა, მის დაკრძალვაზე მისივე მეგობრები იზრუნებენ და თუ მოისურვეს უკანასკნელი წესი აუგონ ამ საბრალოს, ვისი გულიც ასე მხურვალედ ფეთქდა, ღამით მოსვლას და მის წაღებას არ დააყოვნებენო.

მთიელებს ეტყობოდათ, სწორედ ეს ჰქონდათ განზრახული, რადგანაც თერგის გაღმა ერთ პატარა ბექობზე შეყრილიყვნენ. ხელების ქნევით იმუქრებოდნენ და რაღაცას გვიყვიროდნენ, და თუ ამ ყვირილის აზრს ვერ ვიგებდით, ხმა მაინც კარგად გვესმოდა. მათთვის სასირცხვილი საქმე იყო ამხანაგის მიტოვება, მითუმეტეს მისი გვამის ბედის ანაბარა დაგდება. ეს იმას ნიშნავდა, რომ სოფელში ვეღარ გაბედავდნენ მისვლას. მის მაგივრად მტრის გვამი რომ მიეტანთ, მაშინ სულ სხვა საქმე იქნებოდა.

მთიელთა ზნე-ჩვეულება ასეთია:თუ ექსპედიციაში კაცი მოუკლეს, მოკლული სოფლის საზღვრამდე მიაქვთ და თოფის სროლით ქალებს ატყობინებენ, დავბრუნდითო. ქალები გამოდიან, კაცები გვამს მიწაზე დებენ, უკან მიდიან და შინ აღარ ბრუნდებიან. ვიდრე იმდენი მტრის გვამს არ მიიტანენ, რამდენი ამხანაგიც დაკარგეს. თუ შეტაკება სოფლისგან შორს ხდება, გვამებს ოთხად ჭრიან, ამარილებენ, რომ არ გაიხრწნას და ისე მიაქვთ შინ. ასეთივე ზნე-ჩვეულებები აქვთ ფშავებს, თუშებს და ხევსურებს. ამ მხრივ, ისინი განსაკუთრებით პატივს სცემენ თავიანთ წინამძღოლებს და მათ გვამს არავითარ შემთხვევაში მტერს არ ჩაუგდებენ ხელში. ეს ჩვეულება ხშირად მეტად ორგინალურ სახეს ღებულობს.

თუშთა ერთი ბოქაული, თავადი ჩოლოყაშვილი გარდაიცვალა და მის ადგილზე სხვა ბოქაული დანიშნეს. ამ უკანასკნელს არ ჰქონდა პატივი, ყოფილიყო გვარად ჩოლოყაშვილი, თუშებს კი მაინცდამაინც ჩოლოყაშვილი უნდოდათ ბოქაულად. ისე დაჟინებით მოითხოვდნენ ამას თუშები, რომ ხელისუფალნი შეუდგნენ ძებნას და ძლივძლივობით აღმოაჩინეს ჩოლოყაშვილთა გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი. და მიუხედავად იმისა, რომ სუსტი აგებულების ჯანდაგი კაცი იყო, მაინც დანიშნეს ბოქაულად დიდად გასახარელად თუშებისა, რომელთაც, როგორც იყო ეღირსათ საწადელი ბოქაული.

გავიდა დრო და დაინიშნა ექსპედიცია, სადაც თუშებიც იღებდნენ მონაწილეობას. მათი ბოქაული, რასაკვირველია წინ მიუძღოდა ლაშქარს, მაგრამ გზის სიძნელემ ცუდად იმოქმედა მის ისედაც სუსტ ჯანმრთელობაზე და აშკარად დაეტყო, რომ მხოლოდ და მხოლოდ დიდი სიმამაცე,-რაც იმდრნად ბუნებრივია ქართველებისათვის, რომ მათ ეს უკვე ღირსებად აღარ მიაჩნიათ,-აძლებინებდა მას. თუშებმა გაიფიქრეს, ამ კაცს სააქაო პირი აღარ უჩანს და ადრე თუ

გვიან მოკვდებაო, სათათბიროდ შეიკრიბნენ და მსჯელობა გამართეს, რის შედეგადაც ბოქაულთან დეპუტაცია გაიგზავნა. ბოქაულმა დაუყონებლივ მიიღო დეპუტაცია. თუშები დიდი პატივით მიესალმნენ თავიანთ უფროსს და ერთმა ასე მიმართა:

-საყოველთავო აზრია, რომ ღმერთმა ახლო მომავალში სიკვდილი დაგინიშნა და შორს წასვლა აღარ ძალგიძს.

თავადმა ყურები ცქვიტა. თუშმა განაგრძო:

-თუ ორ-სამ დღეში გრდაიცვალე, ესე იგი, როცა მთებში შორს ვიქნებით წასული, ჩვენთვის დიდი დაბრკოლება შეიქმნები, რადგანაც, როგორც მოგეხსენება, ვალდებული ვართ შენი გვამი ოჯახს მივუტანოთ. სწრაფი უკანდახევის დროსაც პასუხს ვერ ვაგებთ, რომ შენი პატივსაცემი გვამის არც ერთი ნაწილი არ დაიკარგება. ჩვენ ხომ იძულებული ვიქნებით, ოთხად დაგჭრათ.

-მერე რა გინდათ? -ჰკითხა განცვიფრებისაგან თვალებგაფართოვებულმა თავადმა.

-ასეთ წინადადებას გაძლევთ: თუ გინდა, შენს გვამს არავითარი ფათერაკი არ შეემთხვეს, დაუფიქრდი მდგომარეობას და ნება მოგვეცი ახლავე მოგკლათ. და ვინაიდან შენი სახლიდან სულ ხუთი-ექვსი დღის სავალზე ვართ, შენს გვამს საღად და უვნებლად დავუბრუნებთ ოჯახს.

ეს ფრიად ალერსიანი წინადადება თავადმა უარჰყო. უფრო მეტიც, ამ წინადადებამ ის გააკეთა, რაც ვერ მოახერხა ქინაქინამ: თავადი სწრაფად განკურნა ციებ-ცხელებისაგან. საერთოდ ამის შემდეგ მისი ჯამრთელობა გაუმჯობესდა და ისე ყოჩაღად ჩაატარა ლაშქრობა, რომ ერთი ნაკაწრიც არ მიუღია და თვითონვე იკისრა თავისი ოჯახისათვის სრულიად უვნებელი სხეულის მიტანა. ოღონდ ეს იყო, რომ თუშების წინადადებამ ისე აუჩუყა გული, რომ ამ ამბავს აუღელვებლად ვეღარ იგონებდა.

ახლა საქმე იმაში იყო, თუ როგორ შეგვებრძოლებოდნენ ჩვენზე მცირერიცხოვანი ჩეჩნები?მარტონი რომ ყოფილიყვნენ, რასაკვირველია გაინაბებოდნენ და თავს უშველიდნენ. მაგრამ მათ შორის იყო აბრეკი და მიცემული ფიცის გამო პატივაყრილად ჩათვლიდნენ, თუ ესოდენ ახლოსმყოფ საფრთხეს გამოუწვევლად ხელიდან გაუშვებდა. ამიტომ იყო, რომ როცა აბრეკის ამხანაგები თავს არიდებდნენ მეტად სახიფათო შეტაკებას, თვითონ იგი თავხედურად მოითხოვდა ბრძოლას. არ მინდოდა ისე წავსულიყავი, რომ გვამი არ მენახა. მთიელი პირქვე იწვა მიწაზე. ტყვიას მარცხენა ბეჭის ქვეშ გაეარა და მარჯვენა ძუძუს ქვემოთ გამოსულიყო. ისეთ ნაირად ჰქონდა მოხვედრილი ტყვია, თითქოს გაქცეულს ესროლესო. ეს ცოტათი მაწუხებდა. არ მინდოდა, რომ ეს მამაცი აბრეკი სიკვდილის მერე შეერისხათ. პისტოლეტის ტყვია კი მკლავზე მოხვედროდა. კაზაკმა თავისი ნადავლი დაათვალიერა. მთიელს გვარიანი თოფი ჰქონდა, სპილენძისტარიანი ხმალი, უეჭველია, რომელიმე კაზაკისთვის წართმეული, ერთი უხეირო პისტოლეტი და საკმარისად კარგი ხანჯალი. რაც შეეხება ფულს, ეტყობოდა აბრეკის ყველაზე დიდ აღთქმას უანგარობის აღთქმა წარმოადგენდა. საწყალს ერთი გროშიც არ აღმოაჩნდა ჯიბეში. მას ჰქონდააგრეტვე საპატიო ნიშანი:შამილისაგან ნაბოძები პატარა მოსევადებული ვერცხლის მრგვალი ბალთა, რომელზეც ეწერა: შ ა მ ი ლ ე ფ ე ნ დ ი . ამ ორ სიტყვას შუა სატევარი და ჩუგლუგი იყო დახატული. მთიელის ზოგიერთი ნივთი ოცდაათ მანეთად შევისყიდე. სამწუხაროდ, თოფი და პისტოლეტი სამეგრელოს ჭაობებში დავკარგე, ხანჯალი და ორდენი კი შემრჩა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, შთამომავლობითი კაზაკები საუცხოო ჯარისკაცები არიან. ისინი დამორჩილებულ თათრებთან ერთად მთელი კავკასიის გზებს იცავენ. შთამომავლობითი კაზაკები იყოფიან ცხრა ბრიგადად და ავსებენ უკვე ფორმირებულ თვრამეტ პოლკს. ჩემს იქ ყოფნასი კიდევ ორი პოლკი ყალიბდებოდა. მისი ბრიგადები შემდეგნაირად იყო დაყოფილი:

ყუბანსა და მალკაში, ესე იგი მარჯვენა ფლანგზე-ექვსი ბრიგადა იმყოფებოდა, თერგსა და სუნჯაზე, ესე იგი მარცხენა ფლანგზე -სამი ბრიგადა. როცა ახალი პოლკის შედგენა იწყება, ჯერ ექვს სტანიცას აყალიბებენ, რომლებიც თავიანთ შემადგენლობას იძლევიან;ამ შემადგენლობას ასეულს ეძახიან, თუმცა მისი კონტიგენტი ას ორმოცდა ექვს კაცს შეადგენს ოფიცრებითურთ. ახალ სტანიცებს ჰმნიან ძველი სტანიცებიდან გადმოყვანილი კაზაკებით, რომლებიც თერგისა და ყუბანის ნაპირებიდან მოჰყავთ და ახალ ადგილზე ასახლებენ, ვიდრე ას ორმოცდაათი ოჯახი არ შეგროვდება. შემდეგ მათ უმატებენ დონის კაზაკთა ას ოჯახს და ორმოცდაათიდან ასამდე ოჯახს შუა რუსეთიდან, ან უფრო ხშირად მალოროსიიდან. კაზაკმა ოცდაორი წელი უნდა იმსახუროს, მაგრამ დასაშვებია, რომელიმე ნათესავმა შეცვალოს. მასინ მას ორის მაგივრად ოთხი წელი ეთვლება. კაზაკი სამსახურს ოცი წლის ასაკში იწყებს, ორმოცდაორი წლისა კი თავს ანებებს და მოქმედი სამსახურიდან სტანიცის სამსახურში გადადის, ესე იგი ერთგვარი ნაციონალური გვარდიის ჯარისკაცი ხდება. ორმოცდათხუთმეტი წლისა ის სრულიად ტოვებს სამსახურს და უფლება აქვს დადგეს მნათედ ან მოსამართლედ სტანიცაში. ყოველ სტანიცაში არის ხალხის მიერ არჩეული მამასახლისი და ორი მოსამართლე. არჩევნები მოსახლეობის უფლებას წარმოადგენს.

კაზაკები მიწათმოქმედი ხალხია. მამასახლისს ათასი არპანი მიწა აქვს, ოფიცერს ორასი არპანი, კაზაკს კი სამოცი. ამრიგად ეს კოლონიები ერთსა და იმავე დროს მიწათმოქმედი და სამხედრო კოლონიებია. ყოველი კაზაკი წლიურად ორმოცდახუთ მანეთს იღებს ჯამაგირს. როგორც უკვე ვთქვით, იგი თვითონ იმარაგებს თავს, ხოლო თვითოეულ დაჭრილსა და მოკლულ ცხენში ხელისუფლებისაგან ოცდაორ მანეტს იღებს. თავდასხმის დროს გარნიზონიდან საუბრად გამოდის ას ორმოცდასამი კაცი, დანარჩენი კი სტანიცის საზღვარს იცავს ერთგვარი კედლის უკან, რომელიც ციხე-სიმაგრის ზღუდის მაგივრობას სწევს. ომიანობასა თუ ხანძრის დროს ქალებს ხელში წყლით სავსე ვერდოები უჭირავთ. ხუთ წუთში ყველა თავის პოსტზეა. საგანგაშო ნისანს ზარბაზნის გასროლით ან ზარის რევით იძლევიან. ჩერვლიონაიაზე ჩემი ნაამბობის მიხედვით, თქვენ შეიძლება გაიფიქროთ რომ ამ თვალწარმტაცი აულის ქალებს თავის ისტორიაში მხოლოდ „ამურთა შეხების“ ღირსეული ფურცლები აქვთ ჩაწერილი, როგორც პოეტი პარნი ან კავალერი ბერტინი იტყოდნენ. ნურსა უკაცრავად! თუ საჭირო გახდა ეს კაზაკი ქალები ჭეშმარიტი ამორძალები ხდებიან. ერთხელ ჩეჩნებმა შეიტყვეს, რომ სტანიცის მამაკაცთა შემადგენლობა სალაშქროდ იყო წასული და თავს დაესხნენ ჩერვლიონაიას. ქალები უმალ სამხედრო თათბირზე შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს სტანცია საკუტარი ძალებით დაეცვათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. შეაგროვეს იარაღი, საფანტი, ტყვია. სოფელში მოიკრიბეს ფქვილი, შინაური ცხოველი, მთელი სანოვაგე, რაც კი საჭირო იყო არსებობისთვის და მტრისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. ალყა ხუთ დღეს გაგრძელდა. ოცდაათამდე მთიელი დაეცა სახლების ღობეებთან. ბრძოლის შემდეგ სტანიცაში მხოლოდ ორი ქალი ნახეს მოკლული, სამი კი -დაჭრილი. ჩეჩნები იძულებულები იყვნენ, ალყა მოეხსნათ და პირში ჩალაგამოვლებულები მთებში დაბრუნებულიყვნენ.

შერვლიონაია გრებენსკოელ შთამომავლობით კაზაკთა უძველესი სტანიცაა. ის შეიქმნა რუსული კოლონიიდან, რომლის წარმოშობა ისტორიულად არ არის გარკვეული. ამბობენ, როცა ერმაკი ციმბირის დასაპყრობად წავიდა, ერთი მისი თანამებრძოლე გამოსთიშვია რამდენიმე კაცით და დაუარსებია სოფელი ინდრე, რაც წარმოსდგება მისი სახელის ანდრეასაგან. ერთი რამ მაინც აშკარაა: როცა პეტრე პირველმა მოინდომა შეექმნა სტანიცების პირველი ხაზი, მის მიერ ამ საქმის შესასრულებლად დანიშნულმა დრაფმა აპრაქსინმა იმ ადგილებში საკმარისი რაოდენობით შეაგროვა თანამემამულენი, რომელთაგან სოფელი ჩერვლიონაია შექმნა. ამიტომ არის, რომ სტანიცა ჩერვლიონაიაში საინტერესო საბუთები და დროშებია შემონახული. რაც შეეხება მამაკაცებს, ესენი თითქმის ყველანი ფანატიკოსი რასკოლნიკები არიან, და მათში კარგადაა შერჩენილი ძველი რუსული ტიპი.

დავუბრუნდეთ ქალებს: ჩერვლიონელი ქალები ქმნიან განსაკუთრებულ სახეობას, რომელიც ერთსა და იმავე დროს რუსულსავ და მთიულურ რასას მიეკუთვნება. მათი სილამაზის გამო ეს სტანიცა შეიძლება კავკასიის კაპუად ჩავთვალოთ. ქალებს სახის ოვალი რუსული ტიპისა აქვთ, ხოლო ტანად კოხტა და მოხდენილები არიან. როცა კაზაკები, მათი მამები, ქმრები, ძმები, თუ სატრფონი ლაშქარში მიდიან, ქალები მხედარს ერთ უზანგში შეადგებიან, კისერზე ან წელზე ხელს მოხვევენ, ბოთლით ღვინოს უსხავენ და ასმევენ. ასე ჭენებით ისინი რამდენიმე ვერსზე აცილებენ თავიანთ მამაკაცებს. ლაშქრობის დამთავრებისას ქალები სტანიცასთან ხვდებიან კაზაკებს და მათთან ერთად ბრუნდებიან შინ. ჩერვლიონელი ქალების ზნე-ჩვეულებათა სიმსუბუქ ე საოცარ კონტრასტს ქმნის მკაცრ რუსულ ზნე-ჩვეულებებსა და მოუქნელ აღმოსავლურ ადათ-წესებთა შედარებით. ბევრმა მათგანმა სიყვარული გაუღვიძა ოფიცრებს, რაც ხშირად მათი შეუღლებით დამთავრებულა.

ჩვენი მოსვლისას სტანიცას ისეთი შესახედაობა ჰქონდა. თითქოს შინ ადამინის ჭაჭანება არ ყოფილიყოს. მთელი მოსახლეობა გასულიყო სოფლის ბოლოს, სადაც თურმე სერიოზული ამბავი ხდებოდა.

ერთი ჩერვლიონელი ცოლშვილიანი კაზაკი ორი წლის წინათ ჩეჩნებს ტყვეთ წაეყვანათ. ერთი მშვენიერი მთიელი ქალიშვილი მისი ბედით დაინტერესებულიყო და კაზაკი სიკვდილისაგან ეხსნა. იგი გაანთავისუფლეს ქალი ძმის თავდებობის ქვეშ და მალე კაზაკი თავისი მხსნელის სატრფო გახდა. ერთ დღეს კაზაკმა თავისდა სამწუხაროდ გაიგო, რომ რუსებსა და მთიელებს შორის დაწყებული მოლაპარაკების შედეგად თავის ამხანაგებთან ერთად გამოსყიდულია. ეს ამბავი ჩვენს კაზაკს აგერ რიგად არ გახარებია, მაგრამ ის მაინც დაბრუნდა თავის ოჯახში. გადიოდა დრო და კაზაკს მოსვენებას არ აძლევდა მოგონება მიტოვებულ ლამაზ მიჯნურზე. ბოლოს სდა ბოლოს ვეღარ იგუა ბარის ცხოვრება, ერთ მშვენიერ დღეს მთაში გაიქცა და გამაჰმადიანდა. მალე ის ჩეჩნის ქალიც შეირთო და სახელი მოიხვეჭა, როგორც მამაცმა მოლაშქრემ და უოლმობელმა დამრბევმა. ერთ დღეს კაზაკი თავის ახალ მეგობრებს დაჰპირდა, რომ მათ დახმარებას გაუწევდა ჩერვლიონაიას დარბევაში, რომელიც მანამდე არავის დაურბევია. მან ახუთქვა ჩეჩნებს სტანიცის ერთ-ერთ კარს გაგიღებთო და სოფელში შეიპარა. მაგრამ სტანიცაში რომ შევიდა, ცნობისმოყვარეობამ სძლია და თავისი სახლის ეზო მოინახულა. როცა საწოლი ოთახის ფანჯარასთან მიიპარა დაინახა, რომ მისი ცოლი მუხლმოდრეკილი ლოცულობდა. ამ სურათმა ისე იმოქმედა მასზე, რომ თვითონვეც დაეცა მუხლებზე და ლოცვა დაიწყო. შემდეგ, როგორც ჩანს, სინდისის ქენჯნა იგრძნო და სახლში შევიდა, ღმერთს ქმრის დაბრუნებას შესთხოვდა და რა დაინახა, სიხარულისა და მადლიერებისაგან შეჰყვირა, მერე გადაეხვია. კაზკმა ნაზად ჩაიკრა გულში ცოლი და სთხოვა, ბავშვები მაჩვენეო. დედა გვერდით ოთახში გავიდა, ბავშვები გააღვიძა და მამას გამოუყვანა.

-ამათთან მე დავრჩები შენკი მამასახლისის დასაძახებლად წადი, - უთხრა მან ცოლს.

ცოლმა თხოვნა შეუსრულა დ მოუყვანა მამასახლისი, რომელიც მისი ქმრის ახლო მეგობარი ყოფილიყო. საშინლად გაკვირვებულ მამასახლისს კაზაკმა აუწყა, სტანიცას ამაღამ თავს დაესხმიან მთილები და გაფრთხილებთ, ზომები მიიღოთო. შემდეგ დასძინა, ღმერთმა ჩამაგონა, ვაღიარო ჩემი დანაშაული და ამ წუთიდან თქვენს ტყვეთ ვთვლი თავსო. სასამართლო მალე დასრულდა დამნაშავემ ყოველივე აღიარა და სიკვდილით დასჯა მოითხოვა. სამხედრო საბჭომ მას დახვრეტა მიუსაჯა. ჩვენ სწორედ სასჯელის სისრულეში მოყვანის დროს მივედით. ამიტომ იყო რომ სტანიცის მთელი მოსახლეობა სოფლის ბოლოში შეგროვილიყო. კარში მდგარი გუშაგი, რომელმაც ეს ამბავი გვიამბო, საშინლად ნანობდა პოსტის მიტოვება არ შემიძლიაო. სასჯელის სისრულეში მოყვანა თორმეტ სათზე იყო დანიშნული, საათი კი უკვე პირველის დასაწყისს აჩვენებდა, და გუშაგიც გვაჩქარებდა.

სწრფად გადავჭერით ჩვეულებრივი ღობეებითა და მესერებით დაცული სტანიცა. ჯერ არცერთ კაზაკთა სტანიცაში არ მენახა ასეთი გემოვნებით მოვლილი კარ-მიდამოები. სასჯელის ადგილად არჩეული იყო სასაფლაოს მოსაზღვრე მინდორი, სიკვდილმისჯილი, ორმოცამდე წლის კაცი მუხლებზე იყო დაჩოქილი, ახლად ამოთხრილ ორმოს პირას. მას თვალები ღია ჰქონდა, ხელები თავისუფალი. შარვალს გარდა ტანზე არაფერი ემოსა. გვერდით მღვდელი ედგა და ახსარებას უსმენდა. ჩვენ რომ მივედით, დამნაშავეს ახსარება დაესრულებინა და მღვდელი საზიარებლად ემზადებოდა. ოთხი თუ ხუთი ნაბიჯის მოშორებით გამწკრივებულიყო ცხრა კაცისაგან შემდგარი რაზმი თოფებით მომარჯვებული. ჩვენ წრის გარეთ დავრჩით და ვინაიდან ცხენებზე ვისხედით, სანახაობა ზემოდან გადმოვყურებდით, და მართალი, შორს ვიდექით, მაგრამ არც ერთი წვრილმანი არ გამოგვპარვია.

ზიარება რომ დამთავრდა სტანიცის მამასახლისი სიკვდილმისჯილს მიუახლოვდა დ უთხრა:

-გრიგორიევიჩ, შენ ცხოვრობდი, როგორც რჯულგანდგომილი და ავაზაკი, ახლა კი კვდები, როგორც ქრისტიანი და გულადი კაცი. ღმერთი მოგიტევებს რჯულიდან ხელის აღებას, ხოლო შენი ძმები მოგიტევებენ ღალატს.

კაზაკმა ეს მოკლე სიტყვა მშვიდად მოისმინა, შემდეგ ამხანაგებს თავი დაუკრა და თქვა:

-ძმებო, მე უკვე ვთხოვე პატიება ღმერთს, მან შემინდო. თქვენც გთხოვთ პატიებასა და შენდობას.

და დაიჩოქა, რათა შენდობა ეთხოვა ადამიანებისთვის ისევე, როგორც ღმერთის წინაშე ითხოვდა პატიებას. შემდეგ დაიწყო სანახაობა, ერთსა და იმავე დროს ახსავსე სიდიადითა და უაღრესი უბრალოებით: ყველა, ვინც დამნაშავეს რაიმეს უჩიოდა, რიგრიგობით მიდიოდა მასთან. პირველად ერთი მოხუცი მიუახლოვდა და უთხრა:

-გრიგორი გრიგორიევიჩ, შენ მომიკალი ერთადერთი ვაჟი. რომეოლიც ჩემი სიბერის ნუგეში იყო. მაგრამ ღმერთმა გაპატია და მეც გაპატიებ. განისვენე მშვიდათ.

მერე ახალგაზრდა ქალი მიუახლოვდა:

-შენ მე ქმარი მომიკალი, გრიგორი გრიგორიევიჩ! შენი წყალობით დავქვრივდი, ჩემი შვილები კი დაობლდნენ, მაგრამ რაკი ღმერთმა გაპატია, მეც უნდა გაპატიო. განისვენე მშვიდათ!

თავი დაუკრა და გაშორდა. ქალის შემდეგ ერთი კაზაკი მიუახლოვდა და უთხრა:

-შენ მომიკალი ძმა, მომიკალი ცხენი და დამიწვი სახლი, მაგრამ ღმერთმა შეგინდო და მეც გაპატიე. განისვენე მშვიდათ, გრიგორი გრიგორიევიჩ!

ასე რიგრიგობით მიდიოდა ყველა, ვის წინაშეც რაიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. შემდეგ ცოლი და ბავშვები მიუახლოვდნენ. ერთმა ბავშვმა, რომელიც ორი წლისა ძლივს იქნებოდა, ამოთხრილ მიწაში კენჭებით დაიწყო თამაში. ბოლოს მიუახლოვდა მოსამართლე და უთხრა:

-გრიგორი გრიგორიევიჩ, უკვე დროა.

გარწმუნებთ, რომ ეს იყო ყველაზე საზარელი სცენა, რომელიც მე ჩემს სიცოცხლეში მენახა. თუმცა შეუბრალებელი მონადირე ვარ, ქათმის დაკვლასაც ვერ ვუყურებ, ცხენი მოვაბრუნე და სტანიცისკენ წავედი. ათი წუთის შემდეგ თოფის ხმა გავიგონე გრიგორი გრიგორიევიჩმა არსებობა დაასრულა, ხოლო ხალხი მდუმარედ ბრუნდებოდა სტანიცაში. ერთი ჯგუფი უფრო ნელა და მჭიდროდ მოდიოდა: ესენი აცილებდნენ იმათ, ვინც ადამიანთა სამსჯავრო ქვრივ-

ობოლი დატოვა. თუმცა სამხიარულოდ ნაკლებად ვიყავი განწყობილი, მაინც ვიკითხე, სად ცხოვრობდა მსვენიერი ერდოკია დოგადინსკაია. ისე შემომხედეს, თითქოს ჩინეთიდან ვყოფილიყავი ჩამოსული. უკვე ოთხი თუ ხუთი წელი გასულიყო, რაც ეს ქალი გარდაცვლილიყო,. მაგრამ ისევე, როგორც პერლაშეზის ზოგიერთი საფლავის ქვაზე ვკითხულობთ: „მისი უნუგეშოდ დამწუხრებული ქვრივი განაგრძობს ვაჭრობას“... მეც მიპასუხეს:

-ევდოკია ახლა მისმა უმცროსმა დამ შესცვალა და საკმარისი წარმატებაც აქვს...

-მისი პატივსაცემი მამა სადღაა? - ვკითხე მე.

-ის ჯერაც ცოცხალია, ღვთის წყალობით!

ჩვენც გავწიეთ ევდოკიასა და გრუშას მამასტან, ივან ივანოვიჩ დოგადინსკისთან, რათა მისთვის ტავშესაფარი გვეთხოვა.

უკან დაბრუნებისას მნიშვნელოვანი არაფერი შეგვმტხვევია. მოკლული აბრეკის გვამი, როგორც ეს ჩვენ ბადრაგის უფროსმა იწინასწარმეტყველა, ღამით მის ამხანაგებს წაეღოთ.

თავი VII
რუსები და მთიულები

ჩერვლიონაიდან დაბრუნების მეორე დღეს, ვიდრე პოლკოვნიკ შატოვთან წავიდოდი, ჩვენი მეეტლეების დასაძახებლად კაცი გავგზავნე. მუანე მართალი გამოდგა. ისინი ახლა ოცდაათ მანეთს თხოულობდნენ, იმ საბაბით, რომ სიცივემ იმატაო.მე ფაფახი დავიხურე, შემოვირტყი ხანჯალი, ეს აუცილებელი თანამგზავრი ყოველი სეირნობისა, და პოლკოვნიკ შატოვს ვესტუმრე. ავუხსენი ხასავ-იურთში მისასვლელად ექვსი ცხენი მჭირდება-მეთქი, იქ კი, თავადი მირსკი რომელთანაც რეკომინდირებული ვიყავი, შეეცდებოდა ჩემთვის ჩიურ-იურთამდემისვლის საშვალება გამოენახა, სადაც, ალბათ, საფოსტო ცხენებს ვიშოვიდი. იმედი არ გამიცრუვდა:პოლკოვნიკმა მთელი თავისი საჯინიბოშემომთავაზა. გარდა ამისა, მან საუზმეზე დამპატიჟა და თავისი პატარა ვაჟიშვილი გამაცნო. საუზმეზე საუბარი იარაღზე ჩამოვარდა. პოლკოვნიკმა შემატყო, რომ იარაღის დიდი მოყვარული ვიყავი და შემოიტანა ვერცხლით მოჭედილი ჩეჩნური პისტოლეტი, რომელსაც გარდა მატერიალური ფასისა, ისტორიული ღირებულებაც ჰქონდა. იგი ყოფილიყო კუთვნილება ნაიბის მელუქმ-რაჯასი, რომელიც მოკლული იქნა თავად შამისოვის მიერ ლეკების ხაზზე. სანამ ჩვენ ვსაუზმობდით, პოლკოვნიკმა ექვსი ცხენი გააგზავნა ჩვენი ტარანტასისა და ოთხთვალას მოსაყვანად, და განკარგულება გასცა შეედგინათ ბადრაგი თხუთმეტი კაცის შემადგენლობით, რომელთაგან ხუთი დონის კაზაკი უნდა ყოფილიყო, ათი კი შთამომავლობით კაზაკი.

პოლკოვნიკსა და მის ცოლშვილს დიდი მადლობით დავემშვიდობეთ. რაც უფრო წინ მივიწევდით კავკასიისაკენ, მით უფრო ფართო და თავაზიანი ხდებოდა რუსული სტუმართმოყვარეობა. პოლკოვნიკმა გვკითხა, იარაღი თუ გაქვთ წესრიგშიო. შემდეგ ჩვენს ამალას პატარა დარიგება მისცა და გზას გავუდექით.წინ მიგვიძღოდა ხუთი დონელი კაზაკი, ათი შთამომავლობითი კაზაკი კი გვერდით მოქყვებოდნენ ეტლებს. უგუნებოდ გვაცილებდნენ გაწბილებული მეეტლეები.ახალგაზრდა ოფიცერმა თავისი „კიბიტკა“ ტარანტასსა და ოთხთვალას შუა მოათავსა, თვითონ კი ტარანტასში წინა სკამზე დაჯდა კალინოს გვერდით. ამრიგად ჩვენს შემადგენლობას მიემატა არა მარტო ერთი მამაცი ოფიცერი, არამედ საუცხოო თანამგზავრიც, თუ არ ჩვთვლით მწვადის ჩინებულ ოსტატს სომეხ მზარეულს.

შჩუკოვიას უკანასკნელი სახლიდან ხუთასი ნაბიჯი რომ გავიარეთ, უკანასკნელად გადაგვიღობა გზა უკვდავმა თერგმა,რომელიც აქ მიჯნავდა რუსეთის ქვეშერვდომ მიწა-წყალს.მეორე მხარეს მტრულად განწყობილი ქვეყანა იწყებოდა.იმ ხიდს გადაღმა, ჩვენ წინ რომ გაჭიმულიყო,ყველა შემხვედრს ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შეეძლო ტყვია ეთავაზა, ამის გამო, ხიდის თავში, დამრეც ბექობზე გრაფი ვორონცოვის მიერ აგებული საგუშაგო იდგა, სადაც ჯიხურში მუდმივად დარაჯობდა ერთი კაცი.ამ ადგილიდან უბადრაგოთ წასვლა სახიფათოა.თუ მოგზაური მნიშვნელოვანი პერსონაა, მას თან ამალა უნდა ახლდეს, ხოლო თუ ჩვეულებრივი მოკვდავია, უნდა ხელსაყრელ შემთხვევას უცადოს, რომ ამალას შეუერთდეს.

ხიდის გადაღმა საზღვრის ხაზად ყუბანი და თერგი ითვლება, ესეიგი, ორი დიდი მდინარე, რომლებიც კავკასიონის ჩრდილოეთი კალთიდან მომდინარეობენ.ეს მდინარეები თითქმის ერთი და იგივე სათავიდან გამოდიან, გავაკების შემდეგ ერთმანეთს შორდებიან, და თერგი ერთვის კასპიის ზღვას, ყუბანი კი შავ ზღვას.

წარმოიდგინეთ, მთაგრეხილის გასწვრივ გაჭიმული უზარმაზარი კავი, რომელიც სათავეს იღებს მთა ყუბანის ძირში და მთავრდება აღმოსავლეთით ყიზლარში, დასავლეთით კი ტამანში.ამ ორმაგ ხაზზე, ყოველოთხ ლიეზე აშენებულია ფორტები.შუაში, ესე იგი ორმაგი კავის ძირში, რომელსაც ორი მდინარე ქმნის, მდებარეობს დარიალის ხეობა.. შემდეგ, იმის მიხედვით, თუ როგორი წარმატება აქვს გამარჯვებას, პატარ-პატარა ფორტები სცილდებიან დიდ სიმაგრეებს და წინ იწევენ. ხოლო პატარა ფორტებს ეთიშებიან პოსტები და ისინიც წინ იწევენ.ბოლოს, პოსტებს შორდებიან საგუშაგოები და ქმნიან სწორედ იმ ნაკლებ საიმედო საზღვარს რუსეთის სამფლობელოსი, რომელსაც ყოველ წუთში მთიელთა რბევა სისხლის ტალღებით ფარავს. ამგვარად, მოყოლებული შემახიდან,სადაც 1812 წელს ლეკებმა სამასი სოვდაგარი მოიტაცეს, ვიდრე ყიზლარამდე, სადაც 1831 წელს ყაზი-მოლამ შვიდი ათას კაცს მოჰკვეთა თავი, საჟენიც კი არ არსებობს ამ უზარმაზარ სარტყელზე, რომელსაც სისხლის ლაქა არ აჩნდეს.

თუ თქვენ მიერ გავლილ ადგილზე, სადაც ადვილი მოსალოდნელია, თქვენც დატოვოთ თავი, თათრები არიან დახოცილნი, დაინახავთ ბრტყელ მოგრძო ქვებს ზემო ნაწილში ამოკვეთილ ჩალმითა და არაბული წარწერებით, რომლებშიც ამოიკითხავთ მიცვალებულის ხოტბასა და მოწოდებას მისი ოჯახის სისხლის აღებისათვის. მაგრამ თუ ესენი არიან ქრისტიანები, მასინ აქ აღმართულია ჯვარი, სიმბოლო მიტევებისა და სისხლის დავიწყებისა. ქრისტიანთა ჯვრები და თათართა საფლავის ლოდები ისე ხშირად გვხვდება ამ გზაზე, რომ ყიზლარიდან დაბრუნებამდე თითქოს ერთ დიდ სასაფლაოზე მიდიხარ. არის ადგილები, სადაც მათ ვერ შეხვდები, მაგალითად ხასავ-იურთში და ჩიურ-იურთში. როგორც ჩანს, ეს ადგილები იმდენად სახიფათო ყოფილა, რომ მიცვალებულთა დამარხვას და ზედ ქვისა თუ ჯვრის დადგმას ვერ ბედავდნენ. აქ გვამებს უტოვებდნენ ტურებს, არწივებსა და სვავებს. ამ ადგილებში ცხენებისა და აქლემების ჩონჩხთა გვერდით თეთრად გამოიყურებოდა ადამინთა ძვლები, მაგრამ, ვინაიდან თავი, ეს დამახასიათებელი ნიშანი მოაზროვნე ცხოველისა,მკვლელის მიერ წაღებულია, მხოლოდ სახელდახელო გასინჯვით თუ ვიტყვით, რის ძვლებთან გვაქვს საქმე.

მთიელთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი კომერციის ტყვეებით ვაჭტობაა. ყაბარდოული ხმლები, ჩერქეზული ნაბადები, ჩეჩნური ხანჯლები და ლეკური მაუდი მხოლოდ და მხოლოდ მეორეხარისხოვან მრეწველობას წარმოადგენს მათთვის, ისინი ტყვეს იქამდის აჩერებენ, მანამ პატრონი გამოსასყიდს არ გაუგზავნის. თუ მოთმინებიდან გამოსული ტყვე შეეცადა თავის დახსნას, მთიელებს აქვთ ცოტად თუ ბევრად უტყუარი საშვალებები, რომლებისც ამ ცდის განმეორებას სპობენ. თუ ტყვის ოჯახმა გამოსყიდვაზე უარი თქვა, ან არა არის საკმარისად მდიდარი, რომ მთიელთა მოთხოვნილებადააკმაყოფილოს, ტყვეები მიჰყავთ ტრაპიზონში, სადაც მონებივით ყიდიან.ამიტომ არის, რომ ორივე მხრიდან ამ სამკვდრო-სასიცოცხლო

ბრძოლაში ჭეშმარიტად საგმირო საქმეები ხდება. ყველა საფოსტო სადგურში შეხვდებით სურათს, რომელიც ასახავს რომელიმე საბრძოლო გმირობას, ისეთივე პოპულარულს რუსთში, როგორც მაზაგრანის დაცვაა საფრანგეთში. ეს სურათი გვიხატავს პოლკოვნიკს, რომელიც ასიოდე ჯარისკაცით დახოცილ ცხენებს ამოფარებული თავს იცავს ხუთასი მთიელის წინააღმდეგ.

გენერალი სუსლოვი, რომელიც იმ დროს პოდპოლკოვნიკის ხარისხში იმყოფებოდა, სოფელ ჩერვლიონაიაში იყო.1846 წლის 24 მაისს მას შეატყობინეს, რომ ათას ხუთასი კაცისაგან შემდგარი პოლკი მთებიდან ჩამოვიდა და ხელში ჩაიგდო აკბულატ-იურთი. რაც სიტყვასიტყვით რკინის ხანჯლების სოფელს ნიშნავს.მარცხენა ფლანგის მთავარსარდალი გენერალი ფრეიტაგი იმყოფებოდა გენერალი ერმოლოვის მიერ აგებულ ფორტ გროზნაიაში. ჩვეულებრივათ, როცა მთიელები მრავალრიცხოვანი რაზმით ჩამოდიან, კაზაკთა პატარა პოსტები მათ არ უწევენ წინააღმდეგობას. ისინი ამას ატყობინებენ გენერალს და მის ბრძანებას ელიან.სუსლოვს გროზნაიადან მოუვიდა ბრძანება, რომ ის ჩეჩნების შესახვედრად წასულიყო, თან ჰპირდებოდნენ, დაგეხმარებითო, ორ ბატალიონ ქვეით ჯარსა და ორ ზარბზანს გამოგიგზავნითო. ბრძანება რომ მოვიდა,უკვე შეკრებილი იყო სამოცდაათი ცხენი და კაზაკებიც მზად იყვნენ.

პოდპოლკოვნიკი სამოცდაათი კაზაკით გზას გაუდგა. მაგრამ ოცდათერთმეტ ვერსზე ისე სწრაფდ აჭენეს ცხენები, რომ ამირ-ადიურთის ბორანთან მხოლოდ ოცდაათი საუკეთესო მხედარი მივიდა. დანარჩენები გზაზე ჩამორჩნენ. აქ მათ შეუერთდა შვიდი დონელი და ორმოცი შთამომავლობით კაზაკი. მტერს უკვე დაეტოვებინა სოფელი აკბულატ-იურთი და ტყვეები თან წაეყვანა. როცა იგი ბორანიდან ერთი ვერსის მანძილზე დადგა, რუსებს თერგის მხრიდან ცეცხლი დაუშინეს ხუთი მრავალკალიბრიანი იარაღიდან. პოდპოლკოვნიკი ბორანზე გადავიდა ოთხმოცდათოთხმეტი კაცით, რომელთაგან, შვიდი ოფიცერი იყო, ხოლო მათ შორის მისი ადიუტანტი ფედიუშკინი და მისი უახლოესი მეგობარი მათორი კამკოვი იყვნენ. მათ თერგის გადალახვა უმთავრესად იმ გარემოებამ გადაწყვეტინა, რომ კურნისკის მხრიდან მომავალი ზარბაზნის სროლა გაიგონეს და გაიფიქრეს, ქვეითი ჯარის ორი ბატალიონი ისვრის ნიშნის მისაცემადო. ცოტა ხანში კანონადა შეწყდა, მაგრამ პოდპოლკოვნიკი სუსლოვი თავისი კაზაკებით მაინც უკან დაედევნა ჩეჩენთა ლაშქარს. შემდეგ, რა დაინახა, რომ აღარც ზარბაზნის ხმა ისმოდა და აღარც ბოლი ჩანდა, მან ოცდახუთი კაცი გააგზავნა ერთ პატარა ბორცვზე, რომელიც მინდორს გადაჰყურებდა. რომ დაენახათ, რა ხდებოდა ჰორიზონტზე. ჩეჩნებმა, მზვერავები რომ დაინახეს გორაკზე, ოთხმოცი კაცი გააგზავნეს, დაატყვევეს ისინი და თავიანთი ოფიცრით მთავარ რაზმს მიჰგვარეს. ჩეჩნებმა დაინახეს, თუ არა მცირერიცხოვან მტერთან ჰქონდათ საქმე და ეს ამბავი თავისიანებს შეატყობინეს.გადაწყდა, რომ ამ ერთ მუჭა რუსებს გაანადგურებენ, და ჩეჩნების სარდალმა ბრძანა უკან შემოტრიალება და ველის გათავისუფლება ამ გაუფრთხილებელი თუ მეტისმეტად ცნობისმოყვარე რაზმისაგან. პოდპოლკოვნოკმა სუსლოვმა დაინახა, რომ მათკენ მიემართებოდა მტრის ურიცხვი ლაშქარი. მან დაუყონებლივ პატარა სამხედრო თათბირი მოაწყო. ერთი წუთითაც არ უფიქრიათ რუსებს უკან დახევა, მაგრამ ხომ უნდა დაფიქრებულიყვნენ იმაზე, თუ როგორ დახოცილიყო ოთხმოცდათოთხმეტი კაცი ათას ხუთას კაცთან შეტაკებაში? პოდპოლკოვნიკმა და ადიუტანყმა გდაწყვიტეს შეექმნათ დიდი რკალი ცხენებისაგან, ადამიანები ცხენებს უკან დაეყენებინათ და ესროლათ უნაგირზე დაყრდნობით, რათა სროლის მიმართულება სწორი ყოფილიყო. ეს მანევრი რომ შეასრულეს, პოდპოლკოვნიკმა თავის კაცებს უბრძანა:

-ესროლეთ მხოლოდ ორმოცდაათი ნაბიჯიდან!

ჩეჩნები გრიგალივით მოდიოდნენ. როგორც კი ორმოცდაათ ნაბიჯზე მოახლოვდნენ პოლკოვნიკმა იყვირა:

-ცეცხლი!

კაზაკებმა ბრძანება შეასრულეს. პატარა ჯგუფი დაფარა ბოლის ღრუბელმა. რომელიც თანდათან გაიფანტა.ვიდრე ჰაერი არ გაიწმინდა, შედეგის დანახვა ძნელი იყო,გაიფანტა თუ არა ბოლი, კაზაკებმა დაინახეს, რომ მთლიანად გარშემორტყმულები იყვნენ, გარდა ერთი მხარისა. ასე სჩვევიათ ჩეჩნებს:ისინი მუდამ უტოვებენ მტერს უკან დასახევს, რათა მთლიანად იმედიარ გაუწყვიტონ. სამაგიეროდ ისინი მუდამ დარწმუნებულები არიან , რომ თავიანთი შესანიშნავი ცხენებით გაქცეულებს დაეწევიან და უწესრიგოდ არეულებს ხელში იოლად ჩაიგდებენ. არც ერთი კაზაკი არ განძრეულა, რადგანაც ღია ადგილი უკვე ნაცნობი ფანდი იყო. ამ გულად ჯარისკაზებს თავის შველა შეეძლოთ, მაგრამ მაინც არც ერთს არ უფიქრია გაქცევა. დაიწყო ორივე მხრიდან ძლიერი სროლა, მაგრამ რუსებს იცავდა ცხენების საფარი. და მათ მსხვერპლი ნაკლები ჰყავდათ. საათნახევრის შემდეგ ფეხზე იყო მხოლოდ ოცი ცხენი. რკალი თანდათან დავიწროვდა, მაგრამ შიგ მომწყვდეული ადამიანები მაინც განაგრძობდნენ სროლას. მაშინ ჩეჩნები კაზაკებს ოცდახუთ ნაბიჯზე მიუცოცდნენ და ცხენების ფეხებიდან დაუწყეს სროლა. ადიუტანტი ფედიუშკინი ბარძაყში დაიჭრა. სუსლოვმა ეს შეამჩნია და უთხრა:

-ნუ გეშინია, მე მომეყრდენ, ცხენს მიეყრდენ, რასაც და ვისაც შეგიძლია, მიეყრდენ, ოღონდ კი ნუ დდაეცემი. მამაც ჯარისკაცად გიცნობენ და მოკლულად რომ ჩაგთვალონ, გულს გაიტეხენ.

-დამშვიდებული იყავით, არ დავეცემით,-მიუგო დაჭრილმა.

მართლაც, დიდხანს გასძლო ფეხზე. ადიუტანტმა ფედიუშკინმა მხოლოდ თავის ტავში იპოვა საყრდენი, რაიცა მისი სიმამაცე იყო.

ბრძოლის დაწყებისთანავე პოდპოლკოვნიკს სუსლოვს თოფში ტყვია მოახვედრეს. იარაღი ხელში შეატყდა. ბრძოლის ორი საათის შემდეგ თითო მებრძოლს ორ ვაზნაზე მეტი აღარ რჩებოდა. იყო კიდევ ორმოცი ვაზნა, რომელთაც პოდპოლკოვნიკი სათადაგიგოდ ინახავდა. მწყობრიდან გამოსულ დხოცილებსა და დაჭრილებს ვაზნები მოხსნეს და ხელახლა გაინაწილეს. რაღაც სასწაულის წყალობით არც პოდპოლკოვნიკი სუსლოვი და არცმაიორი კანკოვი არ იყვნენ დაჭრილი. ჩეჩნები მძვინვარებდნენ, რომ ვერ მოახერხეს ამ ერთი მუჭა რუსების განადგურება. ისინი მიბრჯნით მიადგნენ ცოცხალ ზღუდეს, ცხენებს აღვირში სწვდნენ და შეეცადნენ გაერღვიათ ცოცხალი, გადაულახავი ჯაჭვის წრე, რომნელსაც ცხენები ქმნიდნენ. ერთმა ურიადნიკმა, გვარადმ ვოლკოვმა ერთ ჩეჩენს ხმლით ხელი მოჭკვეთა. პოდპოლკოვნიკს სუსლოვს თავი აღარ ახსოვდა, იგი იცავდა ცხენს, რომელიც ძალიან უყვარდა. პირუტყვი შვიდ ადგილას იყო დაჭრილი და პოდპოლკოვნიკი მას მარცხენა ხელით თავს უჭერდა, მარჯვენათი კი თავისი შემზარავი ხმლით იგერიებდა ყველას, ვინც უახლოვდებოდა. ჭეშმარირად, ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო იარაღი რომლებიც მეთექვსმეტე საუკუნეში ვენეციელებმა კავკასიაში შემოიტანეს.

პოდპოლკოვნიკს ოთხმოცდათოთხმეტი კაციდან ხუთი მოკლული ჰყავდა და სამოცდაოთხი დაჭრილი, რომლებიც თვითონვე იხვევდნენ ჭრილობებს პერანგის ნახევებით და თუ ოდნავ მაინც სეეძლოთ ბრძოლის გაგრძელება, მტერს არ ეპუებოდნენ. ამ უმაგალითო ბრძოლის დაწყებიდან ორი საათის შემდეგ კურინსკის მხრიდან ზარბაზნის ხმა გაისმა. ამასობაში ამირ-ადიურთის ბორანს გაღმა დარჩენილ კაზაკებს სროლის ხმა გაეგონათ და მიმხვდარიყვნენ, რომ მათი ნაწილი წინააღმდეგობას უწევდა ჩეჩნებს. ისინი შეუერთდნენ ამხანაგებს და ჩადგნენ ცეცხლის რკალში. ზარბაზანი გაესროლა გენერალ მიდელის რაზმს, რომელსაც მიმართულება არეოდა.

-აბა, მამაცად, ბიჭებო, აგერ ორივე მხრიდან დახმარება მოგვივიდა!

დახმარება მართლაც მოვიდა და დროც იყო. ოთხმოცდა თოთხმეტი კაციდან სამოცდაცხრა წყობიდან იყო გამოსული. როგორც კი ჩეჩნებმა გენერალ მიდელის რაზმს მოჰკრეს თვალი და ზარბაზნების ხმა გაიგონეს, უკანასკნელად მისცეს ბათქი და სვავების გუნდივით თავის მთებს შეაფარეს თავი. გენერალ მიდელს კაზაკები სისხლიდან დაცლილები დახვდნენ, საჭურველიც გათავებულიყო. მხოლოდ მაშინ ამოისუნთქეს და ცოტა შეისვენეს. კაზაკებმა შუბებისაგან საკაცეები გააკეთეს, მძიმეთ დაჭრილებისთვის და ჩერვლიონაიასკენ გასწიეს. გენერლის საყვარელ თეთრ ცხენს ცამეტი ჭრილობა ჰქონდა მიღებული და ის ძლივს მოიყვანეს რამდენიმე დღის შემდეგ. მეორე დღეს ხუთი დაჭრილი გარდაიცვალა. ცხენი მხოლოდ სამი კვირისშემდეგ მოკვდა. პოლკოვნიკმა სუსლოვმა ამ შესანიშნავი ბრძოლისთვის წმიდა გიორგის ჯვარი მიიღო, რომელსაც რუსეთში დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. კავკასიის მმართველმა გრაფმა ვორონცოვმა კი წერილი გაუგზავნა:

„ძვირფასო ალექსანდარ ალექსეევიჩ,

ნება მიბოძეთ, მოგილოცოთ წმიდა გიორგის ჯვარი და გთხოვოთ, ვიდრე თქვენი ჯვარი მოვიდოდეს პეტერბურგიდან, ჩემი ინებოთ. გენერალ ფრეიტაგის რაპორტმა იმის შესახებ, თუ როგორ გმირულად იბრძოდით თქვენ გრებენსკოის კაზაკებით, დიდი სიხარული და აღტაცება გამოიწვია თბილისში. მარტო ის რად ღირს, რომ წმიდა გიორგის კავალრები ყველანი ერთხმად თხოულობენ თქვენთვის ამ ორდენს, რომელსაც ესოდენი პატივისცემა აქვს რუსულ არმიაში. მე შევეცდები დავაჯილდოებინო ყველა , ვინც თქვენთან არის, მეტადრე მხედველობაში მყავს პატივსაცემი მაიორი კამკოვი....და ა.შ.“

ეს დეტალები მე ადგილზე შევაგროვე და დავწერე. ავძვერი იმ ბორცვზეც, რომელიც იმ არემარეში ოცდაათი ვერსის მანძილზე ერთადერთი ამაღლებული ადგილია. ცვენმა კაზაკებმა, რომელნიც ამ ბრწყინვალე ბრძოლის მოგონებას რელიგიური სასოებით ინახავდნენ, მაჩვენეს ამ მეორე მაზაგრანის მოქმედების ადგილი. შემდეგში კი როცა მთელი მარცხენა ხაზი გავიარეთ, გადავჭერით აფშერონის კონცხი ბაქოსა, შემახიასა და ცარსკიე კოლოდცის გავლით და თბილისში ჩავედით, ერთხელ საფრანგეთის კონსულ ბარონ ფინოსთან ერთად ქუჩაში მივდიოდი. ამ დროს გზა გადაგვიჭრა ერთმა ოფიცერმა, რომელსაც ბ-ნი ფინო თავაზიანად მიესალმა.

-იცით, ვის მივესალმე ამ წუთში?

-არა. საიდან მეყოლება ნაცნობები გუშინდელ ჩამოსულს?

-ო, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ კაცს იცნობთ, გვარით მაინც ეს არის ცნობილი გენერალი სუსლოვი.

-როგორ, შჩუკოვაიას გმირი?

-აი, ხომ ხედავთ, გცოდნიათ.

-ოღონდაც, მეცოდინება! სულ აღწერილი მაქვს მაგისი ბრძოლები ჩეჩნებთან. ერთი მითხარით!....

-რა?

-არ შეიძლება ვესტუმროთ? მე მინდა წაუკითხო, რაც დავწერე მის შესახებ და ვთხოვო გამისწოროს, თუ სადმე სინამდვილეს გადავუხვიე.

-დიდი სიამოვნებით. შინ დაბრუნებისას ბარათს გაუგზავნი და ვთხოვ, დაგვინიშნოს დღე და საათი.

ბარონმა იმავე დღეს მიიღო გენერლის პასუხი. იგი მეორე დღეს შუადღისას გველოედა. სუსლოვი ორმოცდახუთი წლის კაცი იქნება, ტანით დაბალი და ჩაფსკვნილი, ღონიერი და სადა მანერების მქონე. მას ძალიან გაუკვირდა ჩემი აღტაცება „ესოდენ ჩვეულებრივი საქმის „ გამო. ყველაფერი სწორი იყო, მხოლოდ გენერალმა დამატებით შემახსენა ცნობა გრაფ ვორონცოვის წერილის შესახებ, რომელიც მე უკვე ხელთ მქონდა. წასვლის წინ მე, ჩემი ცუდი ჩვეულების კარნახით, მიუახლოვდი ტროფეილ იარაღს, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიზიდა. კედელზე ხუთი ხმალი ეკიდა.

-რომელი ხმალი გქონდათ შჩუკოვაიაში, გენერალო?-ვკითხე მე.

გენერალმა მაჩვენა ყველაზე უფრო სადა ხმალი, რომელიც ქარქაშიდან ამოვიღე. პირმა გამაკვირვა თავისი სიძველით. მასზე დაჭდეული იყო ორმაგი დევიზი, თითქმის წაშლილი დროისა თუ ხშირი ლესვისაგან: Fide, sed cui vide, მეორე მხარეზე კი: pro fide et patria. ჩემმა არქეოლოგიურმა ცოდნამ უფლება მომცა ამომეკითხა ლათინური სიტყვები, რომლებიც გენერალს გადავუთარგმნე.

რადგანაც თქვენ ამოიკითხეთ ის, რასაც მე ვერასოდეს შევძლებდი,-მითხრა მან,-ეს იარაღიც თქვენი უნდა იყოს.

უარი ვთქვი, არ ვიმსახურებ ამისთანა საჩუქარს-მეთქი.

-მხოლოდ გთხოვთ მამათქვენის ხმალთან ერთად დაკიდოთ.

მეტი გზა არ იყო, უნდა მიმეღო საჩუქარი და მეც სიამოვნებით დავთანხმდი მის წაღებას.

მთიელებსაც აქვთ რუსებზე არა ნაკლებ სახელოვანი ჩანაწერები. ერთ-ერთი მათგანია ახულგოს აღება, რომლის დროსაც შამილს მისი ვაჟი ჯემალ-ედინი მოსტაცეს. შამილი თავისი ცოცხალი და ღრმა გონების წყალობით მიხვდა, თუ რაოდენ დიდი უპირატესობა აქვთ ევროპულ ფორტიპიკაციებს აზიურ სიმაგრეებზე, რომლებიც ისე წამოყუნტულან მიწაზე, რომ მხოლოდ ზარბაზნების სამიზნოდ თუ გამოდგებიან. მან თავის რეზიდენციად შეარჩია აული ახულგო, რომელიც ერთი განმარტოვებული მთის წვერზე მდებარეობს. ამ მთას გარს არტყია თავბრუდამხვევი სიღრმის უფსკრულები და მიუვალი კლდეები. ამ განმარტოვებულ მწვერვალზე პოლონელმა ინჟინრებმა, რომლებიც ვარშავის ომს გაჰყვნენ კავკასიაში, ისეთი ფორთიფიკაციული სისტემა ააგეს, რომ მასზე უარს არ იტყვიან არც ვობანი და არც ჰაკსო. ახულგოში, სხვათა შორის, მომარაგებული იყო დიდი რაოდენობის სანოვაგე და საომარი აღჭურვილობა. 1839 წელს გენერალმა გრაბემ გადაწყვიტა იერიში მიეტნა შამილზე მის არწივის ბუდეში. ამ საქმეს ყველა შეუძლებლად თვლიდა. მაშინ დაადგნენ იმ გზას, რომელსაც გამბედავი ექიმები დაადგებიან ხოლმე, როცა ავადმყოფი უიმედო მდგომარეობაშია. მნან იკისრა პასუხისმგებლობა და დაიფიცა სახელი, -გრაბე ნიშნავს კუბოს, -რომ შამილს, ცოცხალს თუ მკვდარს ხელთ იგდებდა.

შამილს მისმა მზვერავებმა აუწყეს რუსი ჯარის მოძრაობა. მან ბრძანება გასცა მოსვენება არ მიეცათ რუსუს ჯარისთვის. არგვანის კომენდანტს დაავალა რაც შეიძლება დიდხანს შეეკავებინა რუსის ჯარი მისი ციხის კედლებთან, ავარების უფროსებს კი რომლებზეც დიდ იმედებს ამყარებდა, უბრძანა არც ერთი გოჯი არ დაეთმოთ კოისუს გადასასვლელზე. თვითონ კი თავის სიმაგრე ახულგოში დაუცადა მტერს, რომელსაც მისი ვარაუდით იქამდე ვერ უნდა მოეღწია. მაგრქამ შამილი შეცდა. ჩეჩნებმა ერთი დღით ძლივს შეაკავეს რუსის ჯარი. არგვანიმ

მხოლოდ ორი დღე დააკარგვინა მათ და ყოისუს გადასასვლელი, რომელიც დაუძლეველი ეგონათ, პირველივე შეტევით იქნა აღებული. შამილმა თავისი მაღალი კლდიდან მომავალ რუსის ჯარს მოჰკრა თვალი. გენერალმა გრაბემ ალყა შემოარტყა ადგილს. იგი ფიქრობდა, რომ შიმშილით აიძულებდა შამილს დანებებას. ალყამ ორ ტვეს გასტანა. გენერალმა გრაბემ გაიგო, რომ შამილს კიდევ ექვსი თვის სამყოფი მარაგი ჰქონდა. საჭირო იყო იერიშის დაწყება. ალყის განმავლობაში გენერალს დრო არ დაუკარგავს: გზები მოაკირწყვლინა, ააგო ბასტიონები იმ კლდეების პლატეებზე, რომლებიც მიუწვდომელი ჩანდა, უფსკრულებზე ხიდები გაიყვანა. მაგრამ ციხე-სიმაგრეს მაინც ვერ სწვდებოდნენ. გენერალმა შეამჩნია ერთი ფრიალო ადგილი, სადაც მოხვედრა შეიძლებოდა, თუ მოწინააღმდეგე მხარეს ერთ მთაზე ავიდოდნენ. იქიდან შესძლებდნენ თოკებით ზარბაზნების, სამუხტე ყუთების და არტილერისტების ჩაშვებას.

ერთ დღეს რუსებმა დაიკავეს ეს ბაქანი და თავისი იქ ყოფნა ჩეჩნებს იმით აუწყეს, რომ ციხე-სიმაგრეს ცეცხლი დაუშინეს. მაშინ სარდალმა ბრძანება გასცა იერიშის მიტანაზე და 17 აგვისტოს რუსმა მესანგრეებმა ძველი ახუგოს სიმაგრე აიღეს, რუსებმა ამ სიმაგრის ზღუდეთა ძირში ოთხიათასი კაცი დატოვეს. მაგრამ კიდევ დარჩენილი იყო ახალი ახუგო, ესე იგი, თვითონ ციხე. და აი, ერთი იერიში კიდევ მიიტანეს. შამილი თავისი თეთრი ტანისამოსით ციხის კედელზე იდგა. ერთი მხრით მთავარსარდალი იყო სასიკვდილო განსაცდელში, მეორე მხრივ - იმამი. იმდღეს ისეთი ხოცვა-ჟღლეტა იყო როგორიც კავკასიონის მწვერვალებზე მონავარდე არწივებსა და ორბებს ჯერ არ ენახათ. ყველაფერი სისხლში ცურავდა. ერთმანეთზე გორებად ეყარა გვამები, რომელთა საშვალებით ჯარისკაცები ქალაქში ძვრებოდნენ. ჩაკვდა გამამხნევებელი მუსიკა, იგი შეცვალა მომაკვდავთა ხროტინმა. მთელი ერთი ბატალიონი დამრეც ბილიკზე მიცოცავდა, ამ დროს უზარმაზარი კლდე თავის გრანიტის საფუძველს მოსწყდა, თითქოს მთაც მთიელებს ემხრობოდაო, დაღმართზე ტრიალით წამოვიდა და თან ჩაიტანა ბატალიონის მესამედი. ვინც ცოცხალი დარჩა, ქორაფებს ან ხის ფესვებს ეჭიდებოდნენ და როცა თავი ასწიეს, მთის წვერზე დაინახეს ნახევრად ტანშემოძარცული თმა აწეწილი ქალები, რომლებიც ხმლებსა და დამბაჩებს იქნევდნენ. ერთმა მათგანმა ქვა ვეღარ იპოვა გადმოსაგდებად, კლდეზე თავის ბავშვს თავი გაუჭეჭყა და რუსებს დააგდო ზემოდან. შემდეგ წყევლა-კრულვით თვითონაც გადმოეშვა და ცოცხალ-მკვდარი მათ შორის ჩავარდა.

რუსები განაგრძობდნენ მაღლა ბობღვას. მათ მიაღწიეს სიმაგრის წვერს და ახალი ახულგოც აიღეს. გენერალი პასკევიჩის პოლკის სამი ბატალიონიდან მხოლოდ ერთიღა დარჩა, იმასაც ასი კაცი აკლდა. ახულგოზე რუსული დროშა ფრიალებდა, მაგრამ თვითონ შამილი ჯერ არ ჰყავდათ ხელში ჩაგდებული. მკვდრებშიც ეძებეს, მაგრამ ვერ ნახეს. მზვერავები ირწმუნებოდნენ, ამა და ამ გამოქვაბულში დაიმალაო. გამოქვაბულიც მოჩხრიკეს, მაგრამ ვერ იპოვეს. რა იქნა, სად დაიმალა შამილი? რომელმა არწივმა აიტაცა ღრუბლებში, ან რომელმა ტყის კაცმა გაუხსნა გზა დედამიწის წიაღში? ვერაფერი გაიგეს. და აი, რაღაც სასწაულით იგი ისევ გამოჩნდა ავარელთა ჯარის სათავეში თავის ყველაზე უფრო ერთგულ ნაიბთა გარემოცვაში, და ახლა უფრო დაჟინებით გაისმა რუსების გასაგონად:

-ალაჰს ორი წინასწარმეტყველი ჰყავს, პორველი მაჰმადი, მეორე კი -შამილი.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ თითქმის კავკასიის ხალხები უკლებლივ უგუნურებამდე მამაცნი არიან. გამუდმებული ომიანობის წყალობითუმთავრესი ხარჯი მათ იარაღზე მოდის. ლეკებს,ჩეჩნებს, თუ ჩერქეზებს, რომელთაც დაკონკილი ძველმანები აცვიათ, აქვთ თიფი, ხმალი, ხანჯალი, ან დამბაჩა, რომელიც ორ-სამ ათას მანეთად ფასობს თითოეული. გარდა ამისა მათ თოფის ლულას , ხმლისა თუ ხანჯლის მახვილს აუცილებლად აწერია ოსტატის გვარი თუ ვენზელი. მე მაჩუქეს ერთი ხმალი, რომლის პირი ოცი მანეთი ღირდა, ხოლო მისი ვერცხლის ბუდე ოთხ-ხუთ მანეთად ფასობდა. მე მაქვს აგრეთვე ერთი ხმალი, რომელიც მუჰამედ-ხანს გავუცვალე რევოლვერში და რომლის პირი ადგილობრივად შეფასებული იყოოთხმოც მანეთად, ესე იგი სამას ფრანკზე მეტად. თავადმა თარხნიშვილმა მაჩუქა თოფი, რომლის

ლულა მხოლოდ უბუდოდ, ღირს ასი მანეთი, ესე იგი ორჯერ უფრო ძვირი, ვიდრე ბერნარდის ორლულიანი თოფი. ზოგ მთიელს სწორი ხმლის პირი აქვს, რომელიც ჯვაროსანთა დროისაა, ზოგნი კიდე ატარებენ ჯაჭვის პერანგს, მე-13 საუკუნის ფარებსა და ჩაჩებს. ზოგს მკერდზე უკეთია წითელი ჯვარი, რომლითაც მათმა წინაპრევმა იერუსალიმი და კონსტანტინეპოლი აიღეს, მათ კი ეს არ იციან. ეს ხმლის პირები ტალკვესივით ნაპერწკლებს ისვრიან და საპარსავივით სჭრიან წვერს. არის ერთი რამ, რისთვისაც მთიელები არაფერს ერიდებიან,-ეს არის ცხენი. მთიელის ცხენი მისი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შეტევითი და თავდაცვითი იარაღია. მთიელის ტანისამოსი, რაც უფრო ძველი იყოს, არ არის მოკლებული სიკოხტავეს და ყოველ შემთხვევაში ძალზე მხატვრულად გამოიყურება. ეს არის თეთრი ან შავი ფაფახი, ჩერქეზული ჩოხა, რომელსაც მკერდზე ორივე მხარეს მასრები აქვს ჩამწკრივებული, განიერი შარვალი, მუხლებიდან შემოჭრილი ვიწრო, ორი ფერის საცვეთებით, წითელი ან ყვითელი წაღები თავისივე ფერის მესტებით და ნაბადი, რაც ერთგვარი ზედა ტანსაცმელია და არა მარტო წვიმა, ტყვიაც კი არ აღწევს მასში. ზოგიერთი მთიელი ლენქორანამდე მიდის პელიკანის ფრთის ნაბდის ძებნაში და იქ სამოც, ოთხმოც და ხან ას მანეთსაც კი არ იშურებს. ერთი ასეთი საუცხოო ნაბადი თავადმა ბაგრატიონმა მაჩუქა. როცა ასეთნაირად ჩაცმული მთიელი თავის პატარა არაბულის მსგავს ცხენს მიაჭენებს, მართლაც რომ ჩინებული სანახავია.

არა ერთხელ ყოფილა დამოწმებული, რომ ჩეჩენთა რაზმს ერთი ღამის განმავლობაში ასოცი, ას ოცდაათი და ას ორმოცდაათი ვერსი გაუვლია.მათი ცხენები აღმართებსა თუ დაღმართებზე მუდამ ოთხით მიდიან ისეთ ადგილებშიც, სადაც ქვეითი მგზავრიც ძნელად გაივლის. გარდა ამისა, როცა მთიელს მდევარი მოსდევს, იგი არასდროს წინ არ იყურება. თუ გზაზე ღრმა ხრამი შეხვდა, ცხენს რომ არ შეეშინდეს, ნაბდით თავს შეუხვევს და ყვირილით „ალაჰ, ილ ალაჰ!“ თითქმის ყოველთვის უვნებლად გადაევლება ოცფუტიანი სიმაღლის ხრამს.

ჰაჯი-მურატმა, რომლის ამბავსაც ქვემოთ მოგითხრობთ, ერთი ასეთი დამღუპველი ნახტომი გააკეთა და ორივე ფეხიც მოიტეხა. მთიელები არაბებივით უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იცავენ თავიანთ მეგობრის სიცოცხლეს . მაგრამ არ არის მართალი, როცა ამბობენ, მათ თავს არ ანებებენო.ჩვენ აულ ჰელის მახლობლად ერთ თხრილში ჩეჩნების ნაიბის და მისი თოთხმეტი ამხანაგის გვამები ვნახეთ. იმ ნაიბის თოფი ადგილობრივ მთიელთა პოლკის უფროსმა თავადმა ბაგრატიონმა მე მაჩუქა.

თავიVIII
თათართა ყურები თავისმომკვეთენი

დავუბრუნდეთ ხიდს. ჩვენი მხლებლების წყალობით ხიდზე ადვილად გადავედით და მხოლოდ იმდენ ხანს შევჩერდით, რომ მუანეს მისი ჩახატვა მოესწრო. ამ დროს კაზაკები გველოდნენ ხიდის ყველაზე ამაღლებულ ადგილას და თავიანთი სილუეტით შესანიშნავ სანახაობას ქმნიდნენ კავკასიონის თოვლიან მწვერვალთა ფონზე.ეს ხიდი დიდი გაბედულებითაა აგებული. იგი აღიმართება არა მარტო წყალზე, არამედ ორივე ნაპირზეც და სიმაღლით ათ მეტრს აღწევს.ასე მაღალი კი იმიტომაა, რომ წყლის მატებაა მოსალოდნელი.მაისში, ივნისში და აგვისტოში წყალდიდობას ყველა მდინარე კალაპოტიდან გამოჰყავს და ველებს უზარმაზარ ტბებად აქცევს.ამ დროს მთიელები იშვიათად ჩამოდიან ბარში. მაგრამ მაინც არის ხოლმე შემთხვევები, როცა შედარებით უფრო თამამი მთიელი არ უშინდება წყალდიდობას და ბარში თარეშს განაგრძობს. მაშინ ის ადიდებულ მდინარეში ცხენიანად გაღმა გადის.ცხენზე ჰკიდია თიხის ტყავის გუდა, რომელშიაც უწყვია ხმლები, პისტოლეტები, ხანჯლები. თოფი მთიელს მუდამ თან აქვს და მდინარეში გასვლისას აწეულ ხელში უჭირავს. ეს ყველაზე სახიფათო დროა ტყვეებისთვის. ამ დროს მთიელი საკუთარ თავზე ზრუნავს და ცდილობს ნაპირს მშვიდობიანად გააღწიოს,ცხენის კუდზე ავშარათი მიბმული ტყვე კი თითქმის ყოველთვის იღუპება.

გავედით თუ არა ხიდზე, ერთ ფართო დაუმუშავებელ მიწაზე აღმოვჩნდით. ამ მიწაზე არაფერი ეთესა, რადგანაც ის უკვე აღარ ეკუთვნოდა მთიელებს და ჯერ არც რუსებისა იყო. აქ ურიცხვი მწყერი და ჭინჭრაქა ბინადრობდა. ვინაიდან იმ დღეს მხოლოდ ორმოცი ვერსი უნდა გაგვევლო, გადავწყვიტეთ წაგვენადირა. მე და მუანე ტარანტასიდან გადმოვედით და ოთხ-ოთხი კაზაკის თანხლებით გულმოდგინედ შეუდექით სადილისათვის ნანადირევის შოვნას. ნახევარ საათსი ხუთი ჭინჭრაქა და ხუთი მწყერი მოვკალით. მინდვრის მეორე ბოლოში ათი თორმეტი კაცისაგან შემდგარი პატარა ჯგუფი გამოჩნდა. ისინი ნელი ნაბიჯით მოიწევდნენ და არ ჰგავდნენ მტერს, ამიტომ ეტლში ჩაჯდომა და თოფების დატენა არ გვიფიქრია. ხდება, რომ მთიელები, რომელთაც ბარის თათრებივით აცვიათ, მგზავრებს არ ესხმიან თავს.ისინი მშვიდობიანად განაგრძობენ გზას და ხელს არ გახლებენ, ყოველ შემთხვევაში თუ რამით არ გააღიზიანე.

ჩვენკენ მომავალი ჯგუფი შედგებოდა თათარი თავადისა და მისი ამალისაგან. თავადი ოცდაათი წლის კაცი იქნებოდა. უკან მოსდევდა ორი ნუკერი, მათ ხელზე შევარდნები ესვათ, ცოტა უფრო შორს კიდევ ერთ ჯგუფს მოვკარით თვალი, რომელიც ჩვენსავე გზაზე წინ მიდიოდა. ეს ხალხი ურმებითა და ქვეითად მიდიოდნენ, ამიტომ მალე წამოვწიეთ. აღმოჩნდა, რომ თემირხან-შურაში ციხის ასაგებად მიმავალი ინჟინრები იყვნენ, თავიანთი მხლებლებით. რუსები შამილს თანდათანობით სარტყელს უჭერდნენ და იმედი ჰქონდათ, რომელიმე ვიწრობში მოემწყვდიათ. ხასავ-იურთში მისვლისას ჩვენ აღმოვჩნდით ავანპოსტებიდან ნახევარი ლიეს მანძილზე, მის სატახტო ქალაქს კი ხუთი ლიე გვაშორებდა.

ყიზლარიდან გზამ და პეიზაჟმა სრულიად იცვალა სახე. ეს აღარ იყო სწორი და პირდაპირი შარა, როგორც ასტრახანიდან ყიზლარამდე. ახლა ეს იყო კლაკნილი გზა, როგორიც მუდამ მთებთან ახლოს მდებარე ადგილებში გვხვდება, და სულ აღმართ-დაღმართ მიდიოდა. ამისთანა უსწორმასწორო, ღორღიან გზაზე ვერც ერთი ჩვენებური მეეტლე ვერ გაივლიდა, მაგრამ ჩვენი „იამშჩიკი“ აინუნშიც არ აგდებდა ტარანტასის ღერძებს და ჩვენს ხერხემლებს, და ყოველ დაღმართზე ისე მიერეკებოდა ცხენებს, რომ სული გვეკროდა. რაც უფრო თავბრუდამხვევი იყო დაღმართი, მით უფრო აქეზებდა მეეტლე ცხენებს მათრახითა თუ შეძახილებით. რკინის ეტლი და ფოლადის სხეული იყო საჭირო, რომ ასეთი ნჯღრევა აგეტანათ.

ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, როცა ხასავთ-იურთი გამოჩნდა. ჩვენმა მეეტლემ სიჩქარეს უმატა. მდინარე გარა-სუზე ფონით გავედით და შევედით ქალაქში. ჯერ ოთხ თუ ხუთ ვერსზე ვიქნებოდით, რომ ერთი კაზაკი წინ გავგზავნე ბინის საკითხის მოსაგვარებლად. ქალაქში შესვლისას ის გზაზე შემოგვხვდა ყაბარდოს პოლკის ორ ოფიცერთან ერთად, რომლებსაც გაეგოთ თუ არა, რომ ჩემთვის ბინას ეძებდნენ, გამოგვიცხადეს, ჩვენი ბინა თქვენს განკარგულებაშიაო. რასაკვირველია ასეთ თავაზიან წინადადებაზე უარის თქმა აღარ შეიძლებოდა, მით უმეტეს, რომ უკვე გაეთავისუფლებინათ ორი მშვენიერი ოთახი. მე ერთი ოთახი დავიკავე, მუანე და კალინო კი მეორეში დაბინავდნენ. ოფიცრები სინანულს გამოსთქვამდნენ, რომ თავადი მირსკი ხასავ-იურთში არ დაგვხვდა, მაგრამ იმედი ჰქონდათ, პოლკოვნიკი არაფერს დაგვაკლებდა. საქმე ჩირ-იურთამდე ცხენების შოვნა იყო. იქ კი მე უნდა შევხვედროდი თავად დუნდუკოვ-კორსაკოვს, რომელსაც კარგად ვიცნობდი, როგორც მეტად გულთბოლ და სტუმართმოყვარე ადამიანს. თუმცა საფრანგეთში დუელი მქონდა მის ძმასთან, რომელიც შემდეგ ყირიმის კამპანიაში დაიღუპა, თავადის რაინდული ხასიათი მაინც ნებას მაძლევდა მეფიქრა, რომ იგი არაფერს დაიშურებდა და კარგად მიგვიღებდა.

მე და კალინო პოლკოვნიკთან გავემართეთ, მაგრამ შინ არ დაგვხვდა. დაუტოვეთ ბარათი და გამოვბრუნდით. გზაზე შევხვდით გენერალ გრაბეს ვაჯს და თან წავიყვანეთ. მივედით თუ არა სახლში, ხუთი წუთის შემდეგ გვაუწყეს პოლკოვნიკ კონიარის მოსვლა. გვარი მენიშნა. ეს იყო ერთ-ერთი ჩემი მეგობარი. მართლაც წინათგრძნობამ არ მიღალატა. თუ ვინმეს შეეძლო

შეეცვალა ჩემთვის თავადი მირსკი, ეს უსათუოდ კონიარი იქნებოდა. მან იმედი მოგვცა, არ შევფერხდებოდით, რადგანაც უკვე ყველაფერი მზად იყო. ცხენებიც და ესკორტიც წინასწარ გაეთვალისწინებინათ. ყაბარდოს პოლკი, რომლის მთავარსარდალი თავადი მირსკია, ხოლო მეთაური პოლკოვნიკი კონიარი, ყველაზე უფრო მოწინავეა რუსების პოსტებში მტრის ტერიტორიაზე. ხშირად ხდება რომ დაუმორჩილებელი მთიულებიც თხოულობენ ნებართვას, რათა ხასავ-იურთში გასაყიდად საქონელი და ცხვარი ჩამოიყვანონ. ამის ნებას მათ აძლევენ, მაგრამ თვითონ საქონლის შესყიდვა აკრძალული აქვთ. სწორედ ჩვენი ჩასვლის დღეს პოლკოვნიკის ფორმალური ნებართვით გაეყიდათ ოცდაათი ხარი. გარდა საქონლისა მთიელებს ქალაქში გასაყიდად ჩამოაქვთ თაფლი, ერბო და ხილი. მათი მოთხოვნილება კი უმთავრესად ჩაია, რაც სასტიკადა აქვთ აკრძალული. ტყვის გამოსასყიდზე მოლაპარაკების დროსაც მთიულები მოტაცებულის ოჯახს უსათუოდ რამდენიმე გირვანქა ჩაის სთხოვენ, შემდეგ ერთ გაინავარდებენ ქალაქში და ისე ღამე არ გავა, რომ ვინმე არ მოიტაცონ.

საუბრის დროს ოთახში ერთი კაცი შემოვიდა და პოლკოვნიკ კონიარს ყურში რაღაც უთხრა. პოლკოვნიკმა გაიცინა და მომიბრუნდა:

-ნება მიბოძეთ ერთი მთხოვნელი მივიღო. ახლა მოწმე გახდებით აქაური ჩვეულებისა, რაც თქვენთვის ინტერეს მოკლებული არ იქნება.

-ძალიან კარგი, დაუძახეთ!-მიუგე მე.

ერთი თათრის ქალი, ისეთნაირად შესუდრული, რომ თვალების მეტი არაფერი უჩანდა, შემოსასვლელთან ცხენიდან გადმოხტა და ოთახში შემოვიდა. იგი მაშინვე მიხვდა, რომელი იყო პოლკოვნიკი და მისკენ გაემართა. პოლკოვნიკი მაგიდასთან იჯდა. თათარი ქალი მაგიდის მეორე მხარეს დადგა, ქამარზე მიბმული პატარა პარკი გაიხსნა დაიქიდან ორი ყური ამოიღო. პოლკოვნიკმა ყურები ჯოხის ბოლოთი მოსინჯა და დარწმუნდა, რომ ორივე ყური მარჯვენა იყო. შემდეგ აიღო საწერ-კალამი, ქალს ოცი მანეთის ხელწერილი მისცა, ყურები მიუყარა და თათრულად უთხრა:

-ხაზინადართან წადი!

ამორძალმა ყურები და ქაღალდი პარკში ჩააწყო, ცხენს შეახტა და ხაზინადართან გააჭენა ფულის მისაღებად.

მთიელის თავში გასამრჯელოდ დაწესებული იყო ათი მანეთი. თავადმა მირსკიმ რომელსაც არაფრად ესიამოვნებოდა ეს სისხლიანი ტროფეები, მხოლოდ მარჯვენა ყურის მოტანა დააწესა. მაგრამ მონადირენი ვერ შეეწყვნენ ამ სიახლეს. თათრებთან შეტაკების შემდეგ ისინი ძველებურად თავებს ჭრიან მათ, ვითომდა ვერ ვარჩევთ მარჯვენა ყურს მარცხენისაგანო.

სანამ ჩვენ პოლკოვნიკ კონიარს ვესაუბრებოდით, კალინომ რომელსაც ორი დიდი უპირარტესობა ჰქონდა ჩვენთან შედარებით-სიჭაბუკე და ენის ცოდნა, სადღაც ჩერქეზი დიასახლისი გამონახა და ჩვენს ოთახში შემოიყვანა. ეს იყო ოცი თუ ოცდაორი წლის ძალზე ლამაზი ქალი ჩაცმული ვლადიკავკაზურ ყაიდაზე. და, რასაკვირველია, მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ თავბრუსდახვევა უფრო კარგი საქმეა, ვიდრე თავის მოკვეთა.

კალინოს არ სცოდნოდა თუ ჩვენ პოლკოვნიკთან წასვლას ვაპირებდით და მშვენიერი ჩერქეზი ქალი სადილად მოეპატიჟნა. ძალზე ვინანეთ, მაგრამ პოლკოვნიკისთვის სიტყვა მიცემული გვქონდა. საბედნიეროდ კალინოს და ჩვენს ახალგაზრდა დარუბანდელ ოფიცერს არავითარი დაპირება არ ჰქონდათ მიცემული და შეეძლოთ შინ დარჩენილიყვნენ, ხოლო მთავარი მზარეული წარმატებით გასწევდა ჩვენ მაგივრობას. მშვენიერ ლეილასთან ბოდიში მოვიხადეთ

და დავპირდით, რომ ნასადილევს შინ ჩქარა დავბრუნდებოდით და დავტკბებოდით მისი ცეკვით. ამის შემდეგ სახლიდან გავედით კაპიტან გრაბესთან ერთად. ის ცხოვრობდა ერთპატარა კოხტა სახლში, რომლის ფანჯრები მშვენიერ ბაღში გადიოდა. კაპიტანმა თავისი ალბომები გვაჩვენა.

გავხსაკუთრებით ნიჭიერად იყო შესრულებული პორტრეტები. მეტადრე რამდენიმე პორტრეტში ჩაექსოვა მთელი თავისი არსება. ყველა სახეზე აღბეჭდილი იყო რაღაც საუცხოო გამომეტყველება. ტანისამოსი კი ყველას ერთნაირი ეცვა.მე დავინტერესდი ამ ადამიანებით. კაპიტან გრაბემ მიამბო, რომ ესენი იყვნენ თავადი ბარიატინსკის მიერ ყაბარდოს პოლკის უფროსად ყოფნის დროს შედგენილი ასეუის კაზაკები, რომელთაც ფიცი ჰქონდათ დადებული, რომ ყოველ ღამეს ერთ ჩეჩენს მოსჭრიდნენ თავს. მათ შორის გამოირჩეოდა სამი კაზაკის პორტრეტი, რომელთა გვარები იყო ბაჟენიუკი, იგნატიევი და მიხაელუკი. მე მოვისურვე მათთან შეხვედრა.

-მე მგონია, პოლკოვნიკს განზრახული აქვს ამ საღამოს ჩვენს კლუბში შეხვედრა მოგიწყოთ. ეს კლუბი უბრალო საბაყლო დუქანია. ხოლო ვინაიდან არცერთი დღესასწაული ჩვენი მონადირეების გარეშე არ ტარდება, მათ იქ უსათუოდ შეხვდებით.

-მაშინ ისინი ამაღამ ვეღარ მოასწრებენ თავიანთ ლაშქრობას.

-როგორ არა, მოასწრებენ, ოღონდე ცოტა უფრო მოგვიანებით.

ამ წუთიდან თავში ერთი აზრი ჩამესახა, რომელიც ვეღარ მოვიშორე. განვიზრახე ღამით მონადირეებს გავყოლოდი სალაშქროდ. მგონია, იმავე წუთში მუანესაც დაებადა ეს აზრი, რადგანაც მაშინვე ერთმანეთს გადავხედეთ და გავიცინეთ. ოღონდარც ერთს კრინტი არ დაგვიძრავს.სადილმა გაიარა ზნე-ჩვეულებებსა, ადათწესებსა და თქმულებებზე საუბარში. პოლკოვნიკი კონიარი, ჩამომავლობით ფრანგი, როგორც ამას მისი გვარი გვეუბნება, დიდი და გამჭრიახი ჭკუის კაცია და ისე ლაპარაკობს ფრანგულად, თითქოს თავისი მთელი სიცოცხლე საფრანგეთში გაეტარებინოს.ამიტომ ეს სადილიც ისე სწრაფად გათავდა, როგორც თავდებოდა სკარონის ცნობილი სადილები, რომლის დროსაც მისი ცოლის ენამჭევრობაშემწვარ კერძს ავიწყებინებდა ხალხს.

რვა საათზე ჩვენ უნდა ვყოფილიყავით კლუბში ყაბარდოს პოლკის ოფიცერთან ერთად. ცოტახნით პოლკოვნიკს დავეთხოვეთ, რათა შეგვესრულებინა დაპირება ჩვენი დიასახლისისათვის, რომელსაც ჩვენთვის უნდა ეჩვენებინა ჩერქეზული და ლეკური ცეკვები.

მშვენიერი ლეილა საუცხოოდ იყო გამოწყობილი: თავზე ეხურა პატარა, ოქრომკერდით ნაკერი ჩაჩი თეძოებამდე ჩაშვებული გაზის ლეჩაქით. ტანს ემოსა შავი ატლასის გრძელი კაბა, ისიც ოქრომკერდით ნაკერი. გაჭრილი სახელოებიდან თითქმის მთელი მკლავები მოუჩანდა.კაბაზე ეცვა მკრთალი ვარდისფერი აბრეშუმის მოკლე ტუნიკა, რომელიც შესანიშნავად ევლებოდა სხეულს და მუხლებზე ეცემოდა. წელზე ერტყა ვერცხლის ქამარი, რომელზეც ეკიდა პატარა მოღუნული ხანჯალი ოქროთი ინკრუსტირებული სპილოს ძვლისა. ბოლოს ეს ჩაცმულობა, რომელიც ჩემი აზრით უფრო ქართულს ჰგავდა, ვიდრე ჩერქეზულს, მთავრდებოდა ოქრომკერდით ნაქარგი შინდისფერი ხავერდის ჭვინტიანი ქოშებით, რომლებიც დრო და დრო მოუჩანდა შავი ატლასის ნაოჭებში. ამბობენ, ჩერქეზები დედამიწის ზურგზე ყველაზე ლამაზი ხალხიაო. ეს შეიძლება ითქვას მხოლოდ მამაკაცებზე, ქალების მიმართკი სადავოა. ჩემი შეხედულებით ქართველს სრულიად თავისუფლად შეუძლია შეეცილოს ჩერქეზს სილამაზეში. ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის შთაბეჭდილება, რომელიც ნოღაის ველებში პირველი ქართველის შეხვედრამ გამოიწვია. ერთი თვის წინათ ჩვენ ვნახეთ ყალმუხები და მონღოლები, რომელთა შორისაც ვიმოგზაურეთდა რომლებიც უცილობლად წარმოადგენდნენ ადამიანური

სიმახინჯის ორ აშკარად გამოკვეთილ ტიპს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი , ევროპელების თვალსაზრისით.ყვითელი ფერის ქონიანი ტანი, წვრილი და განზე გაზიდული თვალები, მიჭეჭყილი თითქმის უჩინარი ცხვირი, თხელი წვერი, აბურძგნული თმა, უსუფთაობა,რაც უკვე ყველას მიერაა ყბადაღებული,-აი, რა ასიამოვნებდა ჩვენს თვალს დილიდან საღამომდე

-უეცრად ერთ სადგურზე მისვლისას, ჩვენ შევამჩნიეთ ასე, ოცდახუთი წლის კაცი, რომელიც კარებში იდგა და მოხდენილად ეყრდნობოდა კარის საპირეს. მას თავზე ეხურა რაღაც სპარსული ფესის მაგვარი, მაგრამ უფრო დაბალი ქუდი, ფერმკთალ სახეს გარს ევლებოდა საუცხოო აბრეშუმივით მბზინავი რბილი თმა, შავი წვერი და წარბები მხატვრის კალმით მოხატულს უგავდა. ცეცხლოვან შავ თვალებს უჩრდილავდა ხავერდოვანი წამწამები. ცხვირი ისეთი ფორმისა ჰქონდა, თითქოს მის ყალიბზე ყოფილიყოს გამოკვეთილი აპოლონ პითიელის ცხვირი. შავი წვერიდან გამომზირალი მარჯნისფერი ტუჩები შესანიშნავად აჩენდა სადაფის კბილებს.ყოველივე ამასთან ერთად, ეს მიწაზე ჩამოსული ბერძენთა ღვთაება, ეს დიოსკური, რომელსაც დაგვიანებოდა ოლიმპზე ასვლა, შემოსილი იყო დახეული ჩოხით, დაძონძილი ბეშმეთით, ლეკური მაუდის განიერი შარვლიდან კი ტიტველი ფეხები მოუჩანდა.

მე და მუანემაღტაცებისაგან შევყვირეთ. იმდენად ფასობს სილამაზე ცივილიზებულ ხალხებში, რომ უსარგებლოა შეედავო მას, შეუძლებელია არ აღიარო იგი, გვევლინება ის მამაკაცისა თუ ქალის ნაკვთევში. ახალგაზრდა კაცის ეროვნება რომ ვიკითხეთ, გვიპასუხა ქართვლი ვარო. ამგვარად, ჩვენი აზრით ერთადერთი უპირატესობა, რომელიც ჩერქეზს ქართველის წინაშე აქვს, ეს არის ის, რაც საერთოდ მთის მცხოვრებს აქვს ქალაქელის წინაშე:ესე იგი სრულყოფილ ფორმებს მიმატებული ერთგვარი ცხოველმყოფელი ძალა. მჯიღზე შევარდენ დასმული ჩერქეზი მხრებზე წამოგდებული ნაბდით, თავზე ყაბალახითა და ქამარზე ხანჯლით, შეიარაღებული ხმლითა და თოფით,-ეს არის აღმდგარი, მეცხრამეტე საუკუნეში მოვლენილი მეთხუთმეტე საუკუნე. ქართველი კი, თავით ფეხებამდე აბრეშუმისა და ხავერდის ტანისამოსში გახვეული,-ეს არის მეჩვიდმეტე საუკუნის ცივილიზაცია, ეს არის ვენეცია, სიცილია, საბერძნეთი.

რაც სეეხება ჩერქეზ ქალებს, მათი მეტისმეტად ნაქები სილამაზე, შესაზლებელია ვნებთ კიდეც მათ, მეტადრე პირველი შეხვედრისას. მართალია, ჩვენ მხოლოდ ბარის ჩერქეზი ქალები ვნახეთ, მთისა კი არ გვინახავს, და შესაძლებელია მათი პირველყოფილი სილამაზე ბარში ჩამოსვლის პროცესში გადაგვარდა. რათა ამაზე ვიმსჯელოთ, სათანადოდ შევაფასოთ და ვაღიაროდ, საჭიროა საკითხის შესწავლა, როგორც ამას აკეთებს ზოგიერთი მოგზაური და მათ შორის ჰოლანდიელი ჟან სტრეისი.რომელსაც მითუმეტეს უნდა ვენდოთ, ვინაიდან, იგი მიეკუთვნება ეროვნებას, რომელიც ასე ადვილად არ აღიგზნება. აქ მოვიყვანთ ჟან სტრეისის ციტატას. რადგანაც მას სავსებით ვემხრობით:

„კავკასიელ ქალებს მრავალი სასიამოვნო თვისებები აქვთ და ძნელი სათქმელია მათ შორის რომ ელი აღვიძებს მათდამი სიყვარულის გრძნობას. ისინი ლამაზები არიან,გამოირჩევიან კანის სითეთრით, რომელსაც ისეთი ლამაზი შეფერილობა აქვს, რომ მხოლოდ შროშანის და ვარდის ფერებია საჭირო, რომ ამაზე სრულყოფილი სილამაზე შეექმნათ. მათ აქვთ ფართო და გადატკეცილი შუბლი და ყოველგვარი ხელოვნების დაუხმარებლად, ისეთი წვრილი წარბები, რომ მოღუნული აბრეშუმის ძაფი გეგონებათ, აქვთ დიდრონი , ალერსიანი, ანთებული თვალები, სწორი ფორმის ცხვირი, ალისფერი ტუჩები, პატარა მოცინარი პირი და ისეთი ნიკაპი, როგორიც სრულყოფილ სახის ოვალს ახასიათებს. მათ აქვთ სავსე თეთრ-ყირმიზი ყელ-კისერი, როგორსაც მოითხოვენ დასრულებული სილამაზის მცოდნენი. თოვლივით თეთრსა და სრულ ზურგზე ეცემა საუკეთესო გიშრისფერი ხშირი თმა. თმა ხან ჩამოშლილი აქვთ, ხან დაწნული და სასიამოვნოდ გარს ევლება სახის ოვალს. არაფერია უფრო იშვიათი და ყურადღების ღირსი, ვიდრე მათი მკერდი.ორი არაჩვეულებრივად მკვრივი და ზომიერი სიდიდის ბორცვი გადაუჭარბებლად ულამაზესი და უსპეტაკესია დედამიწის ზურგზე.

რადგანაც ამ ქალთა უპირველეს საზრუნავს წარმოადგენს ყოველდღე მკერდის ბანა და მოვლა, რათა როგორც თვითონ ამბობენ, საკუთარი დაუდევრობის გამო არ გავხდეთ უღირსი იმ მოწყალებისა, რომელიც ზეცამ ჩვენთვის გაიმეტაო. ტანი აქვთ კოხტად მოყვანილი დამაღალი, მოძრაობა ძალდაუტანებელი. მთელ მათ პიროვნებას ახლავს სილაღისა და დამოუკიდებლობის იერი. მიუხედავად იმისა, რომ ასე არიან დაჯილდოებულნი, არ ახასიათებთ სიმკაცრე, არ ეშინიათ მამაკაცის ქათინაურებისა, სადაურიც არ უნდა იყოს იგი. თუ ქალები ასეთი თავისუფალნი არიან, სამაგიეროდ მამაკაცები სათნონი არიან, გულგრილად იღებენ ქალების ალერსს, არც ჭკუას კარგავენ მათთვის და არც ეჭვიანობენ. იმ სამართლიანი საბუთით, რომ ქალები ყვავილებს ჰგვანან, რომელთა სილამაზე უსარგებლო იქნებოდა, თუ მათ საცქერლად არ ყოფილიყო თვალები, მათ შესახებად კი ხელები“.

ამ პატარა გადახრამ სრულიადაც არ დაგვაშორა ჩვენს მასპინძელ ქალს, პირიქით უფრო დაგვაახლოვა. მან შეგვისრულა დანაპირი. მხოლოდ, ვინაიდან ჩვენ ვერ შევძელით მისთვის მემუსიკის მოყვანა, იგი იძულებული იყო ეცეკვა ინსტრუმენტის ხმაზე, რომელსაც თვითონ უკრავდა. ხოლო ეს მის ცეკვას ნაკლებ ელეგანტურს ხდიდა ხელების უმოძრაობის გამო. მაგრამ სანახაობა ისეთი კარგი იყო, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ კლუბიდან დაბრუნებისას მოგვეყვანა დამკვრელი, რათა მშვენიერ ლეილასთვის საშუალება მიგვეცა მოეპოვებინა მისი დამსახურების ღირსიმ წარმატება.

რვა საათზე ჩვენს წასაყვანად მოვიდამ კაპიტანი გრაბე. კლუბში უკვე შეგროვილიყვნენ და ჩვენღა გვიცდიდნენ. კლუბი, მართლაც ბაყლის დუქანი გამოდგა, როგორც გვითხრეს. დახლი, რომელიც დუქანს მთელს სიგრძეზე დაჰყვებოდა და რომლის უკან მხოლოდ პრივილეგირებულ პირებს შეეძლოთ გასვლა, სავსე იყო მრავალნაირი ყველითა და ყველა ქვეყნის ახალი ხილითა თუ მურაბით. მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შამპანური ღვინოების ორმაგმა მწკრივმა, გაწყობილმა მთელ დახლზე ისეთი წესრიგით, რაიცა რუსულ დისციპლინას დიდ პატივს ანიჭებს. არ დამითვლია, მაგრამ ოთხმოცი ბოთლი მაინც იქნებოდა. თითო სტუმარზე ორი თუ სქამი ბოთლი მოდიოდა იმ ანგარიშით, რომ სარდაფში აღარ წასულიყვნენ ღვინის მოსატანად. არსად იმდენს არ სვამენ, რამდენსაც რუსეთში, თუ საქართველო არ მივიღეთ მხედველობაში. საინტერესო სანახავი იქნებოდა რუს და ქართველ ღვინისმსმელთა შეჯიბრება. შემიძლია სანაძლეო დავდო, რომ დალეულ ბოთლთა რიცხვი თითო ადამიანზე თორმეტამდე ავა, მაგრამ წუნდაწინ ვერ ვიკისრებ იმის თქმას თუ ვის დარჩება გამარჯვება. მეკი უკვე გაკაჟებული ვარ ასეთ ბრძოლებში. ყოველდღე ოდნავ ღვინით შეფერილ წყალს ვსვამ, ხოლო როცა წყალი კარგია, შიგ არაფერს ვურევ. საერთოდ ღვინის შეფასებაში ფრიად უვიცი ვარ და ერთმანეთისგან ვერ ვასხვავებ ბორდოსა და ბურგუნის ღვინოებს. სამაგიეროდ წყალს ვაფასებ ძალიან ზუსტად. მე საკმაოდ ძნელად ვთვრები, როგორც ყველა ნაკლებად მსმელი კაცი, თუმცა ეს შეიძლება პარადოქსად მოგვეჩვენოს. დიდი მსმელის დათრობა იმიტომ არის ადვილი, რომ იგი წინა დათრობის შემდეგ მუდამ ოდნავ ნაბახუსევია. ამიტომ მე საკადრისი პქატივი მიუგე ოთხმოც ბოთლ შამპანურ ღვინოს, შეგროვილს ჩემს პატივსაცემად.

ამასობაში მეზობელი ოთახიდან მოისმოდა თათრული დოლისა და ლეკური სალამურის ხმა. ყაბარდოს პოლკის მონადირენი, ჩვენთვის თავიანთი ქორეოგრაფიული ნიმუშების საჩვენებლად მოსულიყვნენ. როგორც კი მეორე ოთახში გაგვიყვანეს, მაშინვე ვიცანი ნანახი პორტრეტების ორგინალები, ბაჟენიუკი, იგნატიევი და მიხაელუკი. მათ ძალზე გაუკვირდათ გვარებით რომ მივმართე და ამ წინასწარმა ზომამ ცოტათი როდი შეუწყო ხელი ჩვენს ახლო გაცნობას. ათი წუთის შემდეგ ჩვენისთანა მეგობრები ქვეყანაზე არავინ იყო და ისინი ბავშვებივით ხელში გვიტაცებდნენ და გულში გვიკრავდნენ.ჩვენი ყაბარდოელი მონადირენი ჩერქეზულად და ლეკურად ცეკვავდნენ, კალინო კი, ერთ-ერთი დაუღალავი მოცეკვავე, რომელიც მე ოდესმე მინახავს, ტრეპაკატი პასუხობდა. ცოტა და კინაღამ მეც არ გავიხსენე ჩემი ახალგაზრდობის დღეები და არ წამოვიწყე ჩვენი ეროვნული ცეკვა.

საღამო ათ საათზე დასრულდა. გამოვეთხოვეთ პოლკოვნიკს, რომელსაც ჩვენი გამგზავრება მეორე დღის თერთმეტი საათისთვის დაენიშნა, რადგანაც უნდოდა დრო ჰქონოდა თათარი თავადისთვის შეეტყობინებინა, რომ გზად გავლისას მასთან ვისადილებდით. შემდეგ ახალგაზრდა ოფიცრებს დავემშვიდობეთ. მათ შორის ზოგს ჯარისკაცული ფარაჯა ეცვა, რადგანაც ესენი რაღაც პოლიტიკური დანაშაულის შედეგად დაქვეითებული ოფიცრები იყვნენ. ამით თავიანთი ამხანაგების თვალში სრულიად არაფერი ჰქონდათ დაკარგული, პირიქით, ასეთები კავკასიაში ისეთი სოციალური მდგომარეობით სარგებლობენ, რასაც მოკლებულნი არიან მოსკოვსა თუ სანქტ-პეტერბურგში. წასვლისას პოლკოვნიკს ვთხოვეთ ჩვენთვის გამოეყოლებინა ბაჟენიუკი, იგნატიევი და მიხაელუკი, რაზეც ის დათანხმდა იმ პირობით, თუ ღამის თორმეტი საათისთვის გავათავისუფლებდით. იყო ერთი საიდუმლო საქმე, რომელიც იმ ღამეს უნდა მოეგვარებინათ. ასე ეწოდება ღამის ექსპედიციას, ადამიანთა მტაცებლების წინააღმდეგ. სამ მონადირეს განთავისუფლებას შევპირდით, როგორც კი მოისურვებდნენ. მათ ერთმანეთს ჩუმად რაღაც გადაულაპარაკეს და წამოგვყვნენ. შინ კი დიასახლისი გველოდა, რომელიც როგორც ჭეშმარიტი მსახიობი თავისი ცეკვით იმდენსავე სიამოვნებას ღებულობდა, რამდენსაც ჩვენ გვანიჭებდა.

თავი I X
საიდუმლო საქმე

ჩვენი ყაბარდოელები მარტო საუცხოო მოცეკვავენი როდი იყვნენ, მათ შორის ერთი შესანიშნავი მემუსიკეც იყო. ეს გახლდათ იგნატიევი, დაბა- დაბალი, ჩასუქებული, ჰერკულესის აღნაგობის კაცი. მას ტავზე ეხურა მისი მხრებივით ფართო ფაფახი, რომლის ხუჭუჭი ბეწვი ცხვირზე სცემდა. ქარცი წვერი, ქამრამდე სწვდებოდა და ერთსს და იმავე დროს სასაცილო და მრისხანე შესახედაობას აძლევდა. იგი თავისი მოკლე და ღონიერი ხელებით ვიოლინოზე უკრავდა, მაგრამ ქამანს მარცხენა ხელით უსვამდა. ისე ენერგიულად აჭერდა სიმებს ინსტრუმენტს, თიოთქოს რკინას ხერხავსო. ახლა ჩვენს დიასახლისს შეეძლო ხელებითაც ეცეკვა. როგორც კი იგნატიევმა ჩოხიდან ვიოლინო გამოიღო და ააწრიპინა, ლელას თხოვნა აღარ დასჭირებია, იმ წუთში ცეკვა დაიწყო ბაჟენიუკთან ერთად.

მე უკვე ვთქვი, თუ რაოდენ დიდი სევდა გამოსჭვივის რუსულ ცეკვაში. იგი ჰგავს სამგლოვიარო ცეკვას, რომელსაც ბერძნები მიცვალებულთა საფლავებზე ცეკვავდნენ. აღმოსავლეთის ცეკვები როდია უფრო მხიარული, თუ არ ჩავთვლით იმ შემთხვევებს, როცა ალმეებისა და ბაიადერების ცეკვების მსგავსად ისინი უფრო გამომსახველნი ხდებიან.გარდა ამისა ეს ცეკვები უფრო თავისუფალნი და ოდნავ ცინიკურნიც კი არიან, მაგრამ არ არიან მხიარულნი. ეს უფრო ნელი სიარულია წინ და უკან, ვიდრე ცეკვა, რომლის დროსაც ფეხი არ სცილდება მიწას, ფეხებზე უფრო მეტად მკლავები იტვირთებიან და აკეთებენ მიზიდვისა და უკუგდების მოძრაობას. ამ დროს მელოდია სულ ერთი და იგივეა და დაუსრულებლად გრძელდება, იმ იმედით, რომ მემუსიკეებს და მოცეკვავეებს შეუძლიათ მთელ ღამეს გასძლონ.

ცეკვა შუაღამემდის გაგრძელდა. ამ დროს ეზოში და დერეფანში ხმაური გაისმა. ჩვენი მონადირეების წასაყვანად მათი ამხანაგები მოვიდნენ. ახლა მათ ყოველდღიური ჩოხები ეცვათ. ეს იყო მათი საომარი ტანისამოსი, ღამის ექსპედიციების დროს ეკალ-ვარდებში დაძენძილი. ყველა მათგანს აჩნდა ნატყვიარი თუ ნახვმლევი, ყველა ჩოხაზე მოჩანდა სისხლის ლაქა. მათ რომ ენა ქონოდათ, გვიამბობდნენ სასიკვდილო ბრძოლებს, ხელჩართულ შეტაკებებს დაჭრილთა გმინვას, მომაკვდავთა უკანასკნელ წყევლა-კრულვას. დღის განმავლობაში მომხდარი საბრძოლო საქმე, დროშას ეკუთვნის -ღამის სისხლიანი ლეგენდა კი ჩოხას აწერია. ყოველ მათგანს მხარზე ორ ლულიანი კარაბინი ჰქონდა, წელზე კი გრძელი ხანჯალი ეკიდა. მათი ყოველი ტყვია შეუცდომლად მიზანში ხვდებოდა, ყველა ხანჯალს რამდენიმე თავის წაცლა შეეძლო. სხვა იარაღი არ არსებობდა. ამხანაგებმა ბაჟენიუკს, იგნატიევს და მიხაელუკს

საომარი ჩოხები და კარაბინები მოუტანეს. ხანჯლებს ისისნი საერთოდ არ იშორებდნენ, ხოლო სავაზნეები მუდმივად გატელი აქვთ საფანტითა და ტყვიით. ყველანი ერთდოულად ვიყავით მზად.

-აბა, გავწიოთ!- ვუთხარი მე მათ რუსულად.

მონადირეებმა გაკვირვებით შემოგვხედეს.

-აუხსენით მაგათ, -ვუთხარი კალინოს, -რომ ჩვენც გვინდა მონაწილეობა მივიღოთ ექსპედიციაში და თან მივდევთ.

-მაშინ საჭიროა, ფრანგებმა ჩვენი კანონები იცოდნენ,- თქვა ბაჟენიუკმა, - თუმცა შეუძლიათ არც გამოიყენონ ეს კანონები, რაკი ჩვენს ჯგუფში არ იქნებიან.

-გვითხარით თქვენი წესები, -მივმართე მე.

-მაგალიტად, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რომ ერთ ჩეჩენს შეეტაკოს ორი მონადირე: კაცი კაცზე გადის. მეორე მხოლოდ საშველად შეგიძლიათ მოიხმოთ, მაგრამ მოშველიება წესად არა გვაქვს. თუ ერთ მონადირეს რამდენიმე მთიელმა შეუტია, მაშინ იმდენივე მონადირე გადის. თუ შორიდან შეგიძლია მოკლა, მით უკეთესი. ასეთი შემთხვევისთვის გვაქვს კარაბინი. ახლა თქვით, როგორ მოიქცევით.

-ჩვენ ისევე მოვიქცევით, როგორც თქვენ.

-სამი ცალკე ჩასაფრდებით, თუ ჩვენთან ერთად იმოქმედებთ?

-მე მინდა და ალბათ ჩემს კომპანიონებსაც ასე ენდომებათ, რომ ყოველი ჩვენგანი ერთ-ერთ თქვენგანთან იყოს.

-კეთილი. ჩემთან იყოს გენერალი. იგნატიევი იკისრებს მის ადიუტანტს, თქვენ კი ვინაიდან რუსი ხართ, ისე მოიქეცით, როგორც გენებოთ.

კალინოს აუცილებლად იქ უნდოდა ყოფნა, სადავ ხიფათი მეტი იყო. შეებრძოლო ჩეჩენს და მოკლა, ამას მისთვის, როგორც მოყვარულისთვის იმდენივე ფასი ჰქონდა, როგოც წმიდა გიორგის ჯვრის, საუკეთესო რუსული წარჩინების ნიშნის მიღებას.

ღამით თორმეტი საათი იქნებოდა, როცა გავედით. თავდაპირველად ისეთი სიბნელე იყო მხოლოდ ძაღლები წამოდგებოდნენ ხოლმე დროდადრო ჭიშკრებში ან გზაზე გადაგვირბენდნენ, მათ უსათუოდ ინსინქტი უკარნახებდა, რომ მეგობრებტან ჰქონდატ საქმე, რადგანაც არ გვიყეფდნენ. ქალაქიდან რომ გავედით, მდინარე იარაყ-სუს მარჯვენა ნაპირზე აღმოვჩნდით. იქ ჩვენი ფეხის ხმაური წყლისა და ქვების ჩხრიალმა დაფარა. ჩვენ წინ მთების შავი მასა აყუდებულიყო. საუცხოო ღამე იყო, ცა მთლიანად მოჭედილი იყო ალმასებით, არასოდეს ასე შესაფერისი არ ყოფილა კორნელის სესანიშნავი ლექსი: „ეს პიქუში შუქი, ვარსკვლაები რომ გვიგზავნიან“...

დაახლოებით მეოთხედი ლიე გვქონდა გავლილი, როცა ბაჟენიუკმა გვანიშნა შევჩერებულიყავით. დაუყოვნებლივ ყველა დაემორჩილა. იგი დაწვა, მიწას ყური დაადო და გაირიდა. შემდეგ წამოდგა და თქვა:

-ბარის მშვიდობიანი თათრები არიან.

-როგორ გაიგო? - ვკითხე კალინოს, რომელმაც მისი სიტყვები გადმომითარგმნა.

-ბარის თათართა ცხენები თოხარიკით დადიან, -თქვა ბარენიუკმა, -მთიელთა ცხენები კი კლდეებზე ჩვეულებრივი ნაბიჯებით სიარულს არიან შეჩვეულები.

მართალც, რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენს წინ სიბნელეში გაიარა მხედართა პატარა ჯგუფმა, რომელიც შვიდი თუ რვა კაცისაგან შედგებოდა. მათ ვერ დაგვინახეს, რადგანაც ბაჟენიუკმა წინასწარ იარაყ-სუს ბექობიან ნაპირს უკან დაგვმალა. მე ვიკითხე, რა საჭიროა ასეთი სიფრთხილე-მეთქი. თურმე მთიელ თათრებს ხშირად ჯაშუშები ჰყავთ ბარის თათრებში. ამ ჯგუფშიც შეიძლებოდა ყოფილიყო ჯაშუში, რომელიც ჩამოშორდებოდა თავიოსიანებს და მთიელებს ჩვენს იქ ყოფნას აუწყებდა. ცოტა ხანს შევიცადეთ, მანამ კარგად არ დაგვშორდნენ და შემდეგ განვაგრძეთ გზა. ნახევარ საათს რომ ვიარეთ, მარცხნივ რაღაც თეთრი შენობა გამოჩნდა. ეს იყო რუსების ყველაზე უფრო მეწინავე ფორტი მთელ ხასზე, ვნეზაპნაია. მთის ფერდობთა დაქანება აღარ იგრძნობოდა ამ კედლების ძირას, რომლებიდანაც შემოგვესმა ღმის გუსაგის ხმა: ისმინე! ეს ხმა გაიმეორა მეორე გუშაგმა უფრო სუსტათ, მესამეზე თითქმის მიწყდა, ხოლო მეოთხე ძახილი მკაფიოდ ვერარ გავიგონეთ და იგი ჰაერში გაქრა, როგორც ყვირილი ღამის სულისა. ათიოდე წუთს კიდევ ვიარეთ, თითქმის მშრალად გადავედით ფეხით იარაყ-სუზე, და გავყევით ეკალ- ვარდების მწკრივს, ვიდრე არ მივადექით ასეთივე დამშრალ მდინარეს, რომელიც აგრეთვე ადვიილად გადავლახეთ და გავედით მწყემსების მიერ გაკვალულ გზაზე. ამ გზამ გაგვიყვანა მესამე მდინარესთან, რომელიც უფრო ფართო და ღრმაც იყო პირველ ორ მდინარესტან შედარებით. ეს იყო აქსაი, თერგის ერთ-ერთი შენაკადი, კიდევ ერთი მდინარე, რომელიც ჩვენ გადავლახეთ თითქმის მის სათავესთან იყო იამან-სუ. ვიდერ ანგარიშს მივცემდი ჩემ თავს, თუ რანაირად გადავსულიყავით მდინარეზე, ბაჟენიუკმა მანიშნა მხრებზე დამეკიდეო. ასეთივე წინადადება მიიღეს ორმა ჩემმა ამხანაგმაც. მონადირეებს წყალი მუხლებამდე წვდებოდა. გაღმა რომ გაგვიყვანეს, ბაჟენიუკი მდუმარედ წინ გაგვიძღვა, ამჯერზე დინების მიმართულებით. აქსაის მარცხენა ნაპირის გასწვრივ. მე კარგად ვე ვხვდებოდი ამ მანევრის მიზანს, მაგრამ ვდუმდი, რადგანაც მესმოდა, აუცილებელი იყო სიჩუმე, და ვფიქრობდი მოგვიანებით გამომერკვია, რისთვის იყო ეს საჭირო. რაც უფრო წინ მივდიოდით, მით უფრო ფართოვდებოდა აქსაი და ალბათ, ღრმავდებოდა კიდეც. ერთმა ჩვენმა კაცმა ბაჟენიუკს რაღაც ანიშნა და შედგა. მისგან ასიოდე ნაბიჯზე შეჩერდა მეორეც, ხოლო კიდევ ას ნაბიჯზე - მესამე. მივხვდი, ჩასასაფრებლად ემზადებოდნენ. მდინარე, ვიდრე მთებში მიედინებოდა ადვილგასავლელი იყო, მაგრამ ღამის ექსპედიციიდან დაბრუნებული ჩეჩნები სრულიად არ ეძებდნენ ფონს და სადაც მოუხდებოდათ იქ შეცვივდებოდნენ. ამიტომ იყო, რომ მონადირეები ერთმანეთისაგან ას-ასი ნაბიჯის მანძილზე მოთავსდნენ მდინარის გასწვრივ. ბაჟენიუკი, რომელიც წინ მიდიოდა, ბუნებრივია, ყველაზე უკანასკნელი შეჩერდა და მეც მასთან ერთად გავჩერდი. იგი მიწაზე გაწვა და მანიშნა, მეც გავწოლილიყავი. რადგანაც ერთმანეთის ენა არ გვესმოდა, სათქმელს ხელებით ვანიშნებდით ერთმანეთს. მე დავწექი და ბუჩქებს ამოვეფარე. მთებში მოხეტიალე ტურები ისე გაჰკიოდნენ თითქოს ბავშვები ტირიანო. ღამის სიჩუმეს მხოლოდ ტურების ტირილი და აქსაის ხმაური არღვევდა. ხასავ იურთიდან ძალზე შორს ვიყავით, რომ კოშკის საათის ხმა გაგვეგონა, ვნეზნაპნაიადან კი გუშაგების ყვირილი. მთების ამ ნაწილში მხოლოდ მტრული ხმები ისმოდა ადამიანისა თუ პირუტყვისა. მე არ ვიცი, რა ხდებოდა ჩემი კომპანიონების გონებაში, მე კი ის მაკვირვებდა თუ რა ცოტა დროა საჭირო ადამიანის ცხოვრებაში, რათა ასეთ უცნაურ წინააღმდეგობებში ჩავარდე. ორი საათიც არ გასულა მას შმდეგ, რაც ქალაქში თბილ, ნათელ და მყუდრო ოთახში ვიყავით. ლეილა ცეკვავდა და როგორც შეეძლო კეკლუცობდა თვალებითა და ხელებით. იგნატიევი ვიოლინოზე უკრავდა, ბაჟენიუკი და მიხაელუკი მასთან ერთად ცეკვავდნენ. ჩვენ ტაშს ვუკრავდით და ფეხებს ვაბაკუნებდით. მხოლოდ და მხოლოდ მხიარული ფიქრები გვიტრიალებდა თავში, მაგრამ გავიდა ორი საათი და აღმოვჩნდით უცნობი მდინარის ნაპირას ცივსა და ბნელ ღამეში. მტრულ მიწაზე გაწოლილები ხელში კარაბინებით, გვერდზე ხანჯლებით და ისე კი არა, ხშირად რომ ვყოფილვართ გარეულ ნადირს ჩასაფრებული, არამედ

ახლა ვუსაფრდებოდით ადამიანს და ამ ნადირობაში შეიძლებოდა თვითონ დავყუპულიყავით. უცნაურია რომ უდარდელად ჩავერიეთ ამ საქმეში, თითქოს სხვისი ან საკუთარი სისხლის დაქცევა ასე უბრალო საქმე ყოფილიყოს. ცხადია, ის ადამიენბი, რომელტაცჩვენ ვუსაფრდებოდით ავაზაკები, მტაცებლები და მკვლელები იყვნენ და ტავის უკან სასოწარკვეთისა და ცრემლების კვალს სტოვებდნენ, მაგრამ ესენი დაიბადნენ ჩვენგან ათასხუთას ლიეზე სრულიად განსხვავებული ზნე-ჩვეულებებით. რასაც ისინი ახლა აკეთებდნენ, უწინ მათ მამებს გაუკეთებიათ, ხოლო მანამდე მათ პაპეს, უფრო ადრე კი მათ შორეულ წინაოპრებს. განა ჭეშმარიტად შემეძლო მე ღმერთისთვის დახმარება მეთხოვა ესოდენ უსარგებლო და გაუფრთხილებელ საქმეში გარეულს? მაგრამ ერთი რამ ცხადი იყო, მე,მ აქსაის ნაპირზე ეკალ-ბარდებში ცასაფრებული, ჩეჩნებს ველოდი და თავდასხმის შემთხვევაში ჩემი სიცოცხლე დამოკიდებული იყო ჩემი თვალების სიზუსტესა და მკლავის ღონეზე. ასე გავიდა ორი საათი.

არ ვიცი ღამე განათდა თუ თვალი შეეჩვია წყვდიადს. და უკეთ სჭრიდა სიბნელეს, ახლა მშვნივრად ვხედავდი მდინარის გაღმა ნაპირს. მოწინააღმდეგე ნაპირს მხედველობიდან არ ვკარგავდი, ამ დროს მარჯვნიდან სუსტი ხმაური შემომესმა. ამხანაგს გადავხედე. მან ვერ გაიგონა ეს ხმაურ, თუ იგი უმნიშვნელო ეჩვენა, ყურადღება არ მიაქცია. ხმაური თანდატან გაიზარდა და მომეჩვენა თითქოს რამდენიმე ადამიანის ნაბიჯის ხმა ფგავიგონე. შეუმჩნევლად მივცოცდი ბაჟენიუკთან, მკლავზე ხელით მოვწიე და მერე ხელი გავიშვირე იქითკენ საიდანაც ამჯერზე უკვე საკმარისად გარკვეულად მოდიოდა ხმაური.

-არაფერია, - მიპასუხა ბაჟენიუკმა.

-მე მაინც დაკვირვებით ვიყურებოდი იქით, საიდანაც ხმაური მოდიოდა და ოციოდე ნაბიჯის მანძილზე დავინახე დიდი ირემი საუცხოო რქებით. ,ას მოსდევდა დედა ირემი და ორი ნუკრი. ისინი უშიშრად მიუახლივდნენ წყალს და ხარბად დაეწაფნენ. მართლაც ეს არ იყო ის ნადირი, რომელსაც ჩვენ ველოდით,მაგრამ მე თავი ვერ შევიკავე, რომ მიზანში არ ამომეღო... ახ, გასროლა რომ შემძლებოდა, როგორ დავცემდი ძირს!

უეცრად ირემმა ტავი ასწია, კისერი მოწინააღმდეგე ნაპირისკენ გაიწოდა, ჰაერი შეისუნქა, დაიყვირა, თითქოს ფათერაკის მოახლოება იგრძნოო და ისევ მთებისკენ იბრუნა პირი. მე საკმაოდ კარგად ვიცნობდი ველურ ნადირთა ზნეს და მივხვდი, რომ ირმის მთელი ეს პანტომიმა რაღაც არაჩვეულებრივ ამბავს მოასწავებდა მდინარის მეორე ნაპირზე. ბაჟენიუკისკენ მივბრუნდი,

-წყნარად, გადმომიგდო მან.

ხელის მოძრაობაზე მუვუხვდი, მეუბნებოდა, არ გაინძრე და რაც შეიძლება გაეკარი მიწასო. დავემორჩილე. თვითონ კი გველივით მდინარის გასწვრივ გაცურდა ქვემოთ და დამშორდა. რამდენ ხანსაც შევძელი, თვალს ვადევნებდი და როცა თვალიდან დავკარგე, ბუნებრივია, აქსაის მეორე ნაპირს გავხედე. მაშინ ცხენების თქარათქური შემომესმა და იმავე წუთში სიბნელეში გავარჩიე მხედართა იმდენად მჭიდრო ჯგუფი, რომ ისინი მშვიდობიანი ცხენოსნები არ უნდა ყოფილიყვნენ. ჯგუფი ახლოვდებოდა. თვალებზე უკეთესად გულის ძგერამ მაუწყა, რომ ჩვენს წინაშე მტერი იყო. იგნატიევისკენ გავიხედე. არავინ იძვროდა ადგლიდან. გეგონებოდათ ადამიანის ჭაჭანება არ იყო მდინარის პირზე. ახლა ბაჟენიუკისკენ გავიხედე. ისიც კარგა ხანი იყო, არარ ჩანდა. მაშინ გაღმა ნაპირს შევავლე თვლი და გავირინდე. ერთი მხედარი აქსაიას ნაპირს მიუახლოვდა. ის ჩემს წინ დიაგონალურად იდგა და მე კარგად ვხედავდი, რომ უკან ადამინი ჰყავდა მიბმული. იმ წუთში, როცა მან ხენი წყალში შეაგდო, გაისმა ტყვის გულგამგმირავი კივილი. ქალის ხმა იყო, უკვე მთელი ჯგუფი მდინარეში იყო შესული ორას ნაბიჯზე ჩემს ქვემოთ. რა მექნა? როგორც კი თავს ეს კითხვა მივეცი, მდინარის

ნაპირი ერთიანად განათდა. გავარდა თოფი, ცხენმა წყალში ფეხების ცემა დაიწყო და მთელი ჯგუფი შუა მდინარეში ამდგრმა ქარიშხალმა დაფარა. მეორედაც გაისმა იგივე ხმა, ხმა საშინელი სასოწარკვეთისა. მე გავიქეცი იქით, სადაც დრამა ხდებოდა. მდინარეში ამტყდარ ქარიშხალში მეორედ გავარდა თოფი და ალმა გაანათა მიდამო. შემდეგ მესამედ გაისმა სროლა ნაპირიდან, ამას მოჰყვა ისეთი ხმა, ტითქოს ვირაც წყალში შევარდა და მე თვალი მოვკარი ლანდს, რომელიც შუამდინარისაკენ მიიწევდა. გაისმა ყვირილი, წყევლა. შემდეგ უეცრად ხმაურიც და მოძრაობაც შეწყდა. ყოველივე მიჩუმდა.

გარშემო მიმოვიხედე. ჩემი ამხანაგები ახლოს მოსულიყვნენ და ჩემსავით უძრავად იდგნენ. მაშინ დავინახეთ, რომ ჩვენკენ მოიწევდა რაღაც სხეული, რომელსაც ხეირიანად ვერ ვარჩევდით. რამდენიმე წამში აშკარად გამოიკვეთა ჯგუფი რომელიც უკვე კარგად გავარჩიეთ. ეს იყო ბაჟენიუკი, მას კბილებით ხანჯალი ეჭირა, მარჯვენა მხარზე კი ცოცხალ-მკვდარი ქალი ჰყავდა გადკიდებული, რომელსაც მკლავებში ბავშვი ჩაებღუჯა. მარცხენა ხელით მამაცი მონადირე წყალში მოათრევდა ჩეჩნის თავს. ნაპირზე რომ გამოვიდა, თავი იქვე დააგდო, ქალი და ბავშვი დააწვინა და სრულიად აუღელვებლად იკითხა:

- ახლა, მეგობრებო, ვისა გაქვთ არაყი?

არ იფიქროთ, რომ ტავისთვის უნდოდა საცოდავ ტყვეებზე ზრუნავდა. ორი სათის შემდეგ ხასავ-იურთში დავბრუნდით და მოვიყვანეთ ქალი და ბავშვი, რომლებიც ამასობაში მოსულიერდნენ. მაგრამ მე აქამდე ვეკითხები თავს, რა ნება გვაქვს ჩვენ, ადამიანებს, ასე ჩავუსაფრდეთ ადამიანს, როგორც ირემს ან ტახს ვუსაფრდებით ხოლმე?

თავი X
თავადი ალი-სულთანი 202

მეორე დილის თერთმეტ საათზე, როგორც წინადღით გვქონდა გადაწყვეტილი, პოლკოვნიკი კონიარი ჩვენს წასაყვანად მოვიდა. მუანემ მთელი დილა მოანდომა ბაჟენიუკის დახატვას, რომელიც ნახევარი საათის განმავლობაში ქანდაკებასავით იყო გაჭიმული, მაგრამ უეცრად ციებ-ცხელება აუტყდა და უარი თქვა პოზირებაზე.იგი გაციებულიყო. ერთი ჭიქა არაყი დავალევინეთ, ხელი ჩამოვართვით და ლოგინსი ჩასაწოლად გავგზავნეთ, სეანსის დროს კალინოს ვთხოვე დაწვრილებით გამოეკითხა გუშინდელი მისი თავგადასავალი.მან ისე უბრალოდ გვიამბო ყოველივე, თითქოს არაფერი მომხდარიყოს მნიშვნელ;ოვანი.

დიასახლისს გამოვეთხოვეთ და თან წავიღეთ ხსოვნა არა მარტო მისი მასპინძლობისა, არამედ მისი პორტრეტიც, რომელიც წინა დღით მუანემ დახატა, როცა ქალი ლეკურს ცეკვავდა. თათარ თავადთან აულსი სადილად რომ მივსულიყავით, ან შამილის მიწებზე უნდა გვეარა, ან შორი გზა მოგვევლო. პოლკოვნიკი კონიარი არ გვიმალავდა, რომ პირველ შემთხვევაში ცოტა იყო შანისი მშვიდობიანი მგზავრობისა. მაგრამ მან გამოიჩინა თავაზიანობა და თან გაგვატანა ორმოცდაათი კაცისაგან შემდგარი ამალა და მთელი ის შტაბიახალგაზრდა ოფიცრებისა, რომლებმაც წინადღით მეჯლისი გაგვიმართეს.

ხასავ-იურთს რომ გავცდით, დავადექით ყუმუხის ველს. ამ საუცხოო უდაბნოს, სადაც ბალახი არ იცვლება და იმ სიმაღლეა, რომ ცხენს მუცლამდე სწვდება. ეს ველი ხელმარჯვნივ იშლებოდა იმ მთების ძირამდე, რომელთა უკან იმყოფებოდა შამილი და რომელთა მწვერვალებიდან მისი გუშაგები თვალს გვადევნებდნენ. ხელმარცხნივ იგი ქმნიდა თვალუწვდენელ სივრცეს, ისეთი ჰორიზონტალური ხაზით, რომ ერთ წუთს გავიფიქრე, კასპიის ზღვა ეკვრის-მეთქი. ყუმუხის ველი, სადაც მხოლოდ ქარი მეფობს, სადაც არავინ სტესს და არავინ იმკის, სავსეა ფრინველით. შორს დახტოდნენ ნიამორები და ამაყად დასეირნობდნენ დიდრონი ირმები. ჩვენი ცხენების ფეხქვეშ კი მწყრების გუნდები ფრინავდნენ და კურდღლები

დახტოდნენ. ამბობენ თავადი მირსკი ხანდახან ამ უდაბნოში ას კაცს წამოიყვანს სანადიროდ და ორასი ნანადირევით ბრუნდება შინო.

ხასავ-იურთიდან ორ ლიეზე გზის ერთ მოსახვევში უცბად დავინახეთ ჩვენკენ მომავალი ჯგუფი, რომელიც სამოცი მხედრისაგან შედგებოდა. ერთ წუთში გამიელვა, სეტაკება მოგვიხდება-მეთქი, მაგრმ შევცდი.პოლკოვნიკმა კონიარმა თვალზე მონოკლი მიიდო და დინჯად თქვა:

-ეს ალი-სულთანია.

მართლაც თათარ თავადს გადაეწყვიტა, რომ ჩვენ მოკლე გზას ავირჩევდით, შეშინებოდა, გამოსძღოლოდა თავის ამალას და ჩვენს შესახვედრად წამოსულიყო. არაფერი მინახავს ამ პატარა რაზმზე უფრო თვალწარმტაცი.ლაშქარს წინ მოუძღოდა თვითონ თავადი თავისი თორმეტი თუ თოთხმეტი წლის ვაჟიშვილით. ორივეს შესანისნავად ეცვა და საუცხოო იარაღით იყვნენ აღჭურვილნი.მათ ცოტა მოშორებით მოსდევდა თათარი დიდებული, ვინმე ყუბანი. თურმე ამ ყუბანმა თორმეტი წლისამ ჩერქეზებთან შეტაკების დროს პირველივე გასროლაზე მოკლული კაპიტანი შეცვალა და მტერი უკუაგდო. ეს იმპერატორმა გაიგო , მოაყვანინა და წმიდა გიორგის ჯვარი უბოძა. ...თორმეტი წლის ბიჭს, წარმოგიდგენიათ?ამათ უკან მოდიოდნენ ოთხი ბაზიერი და ექვსი პაჟი. შემდეგ ჩინებულად საომრად აღჭურვილი ორმოცდაათი თუ სამოცი თათარი მხედარი. ისინი თოფებს იქნევდნენ, ცხენებს ყალყზე აყენებდნენ და ყვიროდნენ: ვაშა! ორი ჯგუფი ერთმანეთში აირია და ჩვენ აღმოვჩნდით ას ორმოცდაათი კაცისაგან შემდგარი ამალის რკალში. უნდა გამოვტყდე, რომ ამის დანახვაზე სიხარული და სიამაყის გრძნობა ერთდროულად მეუფლებოდა. ამგვარად, გონებრივი მუშაობა ამაო შრომა არ ყოფილა, ხოლო სახელი-წარმავალი კვამლი. ხელოვნებისათვის ბრძოლას შეუძლია მოგვანიჭოს მეფური საზღაური. რას უკეთებდნენ მეფეებს იმაზე მეტს, რაც ამ ხალხმა ჩემთვის გააკეთა? ო, იბრძოლეთ, ნუ შედრკებით, ძმებო!თვენც მოესწრებით დღეს როცა საფრანგეთიდან ასასხუთასი იეს დაშორებით სრულიად სხვა ტომის ადამიანები უცხო ენაზე წაიკითხავენ თქვენს წიგნებს, დასტოვებენ კლდის ქიმიბზე არწივის ბუდეებივით მიკრულ აულებს და ხელში იარაღით ჩამოვლენ, რათა აზროვნების წინაშე მატერიალური ძლიერება დახარონ, მე საკმარისად ბევრი ტანჯვა გამომივლია ცხოვრებაში, მაგრამ კეთილსა და დიდი ღმერთს ხანდახან ერთ წუთში მეტი ნათელი სიხარული მოუნიჭებია, ვიდრე ჩემს მტრებსა და თვით მეგობრებსაც კი ბოროტება ჩაუდენიათ ჩემ მიმართ.

ასე ვაჭენეთ ორი თუ სამი ლიე. ეტლები ისე მიგორავდნენ ხშირ ბალახში, როგორც ხალიჩაზე და ორსავ მხარეზე უკან იტოვებდნენ ადამიანებისა და ცხენების ჩონჩხებს. ბოლოს მივედით ერთ ადგილას, სადაც მიწა თითქოს აღარ იყო ფეხრთქვეშ. წინ გაიშალა ვებერთელა ხეობა. მის ძირზე მიჩუხჩუხებდა მდინარე აქთაში. პირდაპირ, მთის წვერზე ცვენი მასპინძლის აული მოჩანდა. მარცხნივ, უფრო შორს, თვალუწვდენელი ველის ლაჟვარდისფერ ფონზე თვალი არჩევდა მტრის ქალაქის მოთეთრო ზღუდეებს. იქ კი, სადაც ცვენ ვიმყოფებოდით ის ციხე-სიმაგრე იდგა, რომელიც თორმეტი წლის პოლკოვნიკმა ყუბანმა მტერს არ დაანება. ეს ციხე პეტრე პირველმა ააშენა კავკასიაში მოგზაურობის დროს. კლდოვან ღრანტეზე სწრაფად დავიწყეთ დაშვება. ორ მთას შორის მოქცეული პეიზაჟი თვალწარმტაცად ისახებოდა თვალწინ. ერთ წუთს შევჩერდით, რომ მუანეს გარემო ჩაეხატა. ამ დროს ჩვენი ამალაც საკმარისად მხატვრულ სანახაობას წარმოადგენდა. მხედრები, ზოგნი წყვილ-წყვილად ჩამოდიოდნენ, ზოგნიც ჯგუფ-ჯგუფად. სხვები მდინარის ფონით გადადიოდნენ და ცხენებს წყალს ასმევდნენ. ავანგარდი უკვე მეორე ნაპირზე გადიოდა. ჩაიხატა თუ არა მუანემ, გზა განვაგრძეთ, გადავედით მდინარეზე და ავფოფხდით ციცაბო გზაზე, რომელიც აულისკენ მიიმართებოდა.

ეს იყო ჩვენ მიერ ნახული პირველი ნამდვილი აული. ვერსად ნახავთ უფრო ლამაზ მოსახლეობას, ვიდრე ამ მთებში დასახლებული ხალხია. კავკასიასი შემოსული უმახინჯესი

მონღოლთა რასა ადგილობრივ მოსახლეობას შეერია და ქალებთან ერთად მზითვად მიიღო მათი სილამაზე. მათ განსაკუთრებით თვალები აქვთ მშვენიერი. ქალებს, რომელთა გარეგნობაში ჩვეულებრივად მხოლოდ თვალებს ხედავს კაცი, ისინი ორ სხივს, ორ ვარსკვლავს, ორ შავ ბრილიანტს უგავთ. შესაძლებელია, სახის დანარჩენი ნაწილი რომ ჩანდეს, თვალებმა აღარ მოახდინონ ასეთი შთაბეჭდილება, მაგრამ შუბლისა და ცხვირის ნაწილებთან ეს თვალები საუცხოონი არიან. ძალიან ლამაზები არიან ბავშვებიც თავიანთ დიდრონ ფაფახებში და გვერდზე ვებერთელა ხანჯლით, რომელსაც ფეხის ადგმის თანავე გვერდზე ჰკიდებენ. ხშირად შევჩერებულვარ კოჭაობაში ან სხვა რაიმე თამაშში გართულ ათწლიანი ბიჭების ჩხუბთან და დიდის აღტაცებით მიცქერია მათთვის. როგორ განხავადებიან ისინი ველის თათრებისაგან! შესაძლებელია, ველის თათრები წმინდა მონღოლური წარმოშობისა იყვნენ, ხოლო კავკასიონის ძირას მოსახლე თათრები თურქული წარმოშობისა, ამის გადაწყვეტას მეცნიერებს ვანდობ. სამწუხაროდ მეცნიერები კვლევა-ძიებას თავიანთ კაბინეტებში აწარმოებენ და იშვიათად მიდიან იმ ადგილების დასათვალიერებლად, რომელსაც ესათუ ის საკითხი ეხება.

შევედით თავად ალი-სულთანის აულში. იქაც, როგორც ყველგან განცვიფრებაში მოგვიყვანა ხალხის სილამაზემ. მაგრამ არა ნაკლებ გაგვაკვირვა იმან, რომ ძაღლები სასინელი ყეფით შეგვხვდნენ. გეგონებოდათ, ეს წყეული ოთხფეხა ცხოველები გრძნობდნენ, რომ ქრისტიანები ვიყავით. კიდევ ერთმა რამმემ გაგვაოცა: ღობის სარებზე ცხენის თავის ქალები იყო წამოცმული ფრინველთა დასაფრთხობად. თავადს საკმარისად გამაგრებული სასახლე ჰქონდა. თვითონ თავადი დაწინაურებულიყო და სახლის ზღურბლზე გველოდა. მისვლის თანავე თავისი ხელით ჩამოგვხსნა იარაღი, რაც ნიშნავდა, მას შემდეგ, რაც ჩემ სახლში შემოდგით ფეხი, მე ვარ პასუხისმგებელი თქვნი სიცოცხლისაო. მისაღები დარბაზი გრძელი და ვიწრო იყო. მარცხენა მხარწეს სპეციალურად გაკეთებულ ნიშნებში ერთიმეორის მიყოლებით დაკეცილი ლოგინები ელაგა: ლეიბები, ყურთუკები და საბნები, ყველაფერი, რაც ასე დიდი ხანი იყო არ გვენახა. კედლებს ამშვენებდა იარაღი. დარბაზის ბოლოში, შესავლის პირდაპირ იდგა ორი დიდი სარკე და ფაიფურით სავსე ეტაჟერები. ორი სარკის შუალედში კედელზე ოქრომკერდით ნაქარგი სუფრა ეკიდა. აულს ეწოდება ევროპული სახელი ანდრეი. ეს ის აულია, რომელიც ჩვენ ჩერვლიონაიაში ვახსენეთ, ვიდრე სუფრაძე დავხსდებოდით, თავადმა აულის დათვალიერება შემოგვთავაზა.

თავადის სახლის გარდა, აულში ყველა სახლები ერთ სართულიანია და ბანიანი. ბანებზე ისეთივე გაცხოველებული მოძრაობაა, როგორც ქუჩებში. ეს არის საკუთრება, მამული, უპირატესად მანდილოსნების სასეირნო ადგილი. ისინი თავიანთი გრძელი ჩადრებით ბანიდან თითქოს სათოფურებიდან უყურებენ გამვლელებს. ბანს სხვა დანიშნულებაც აქვს. ხშირად მასზე აგროვებენ თივის მარაგს საქონლისათვის. იქ არჩევენ სომინდს. სიმინდი სარებზე გაბმულ თოკებზე ჰკიდია ყველა სახლზე და ლამაზად გამოიყურება თავისი ოქროსფერი ტაროებით.

აული ანდრეი განსაკუთრებით თავისი იარაღის ოსტატებითაა ცნობილი. ეს ოსტატები ხანჯლებს აკეთებენ. მათ მიერ გამოჭედილი ხანჯლის პირები, რომელსაც განსაკუთრებული შიფრი აქვთ, მთელ კავკასიაშია ცნობილი. ამ ხანჯლის წვეტი ოდნავადაც რომ დააჭირო კაპიკიანს, თან აგყვება. ოღონდ ეს არის, რომ კავკასიელ ვაჭრებს დუქნებში სხვა არაფერი აქვთ, გარდა იმ საგნებისა, რომელთაც სპეციალურად აკეთებენ. ასე მაგალითად, იარაღის ოსტატებს აქვთ მხოლოდ პირები, სადავეები კი არა აქვთ. ხოლო ჭედვის ოსტატებს სადავები აქვთ, პირები კი არა. ერთ ოსტატთან უნდა იყიდო, მეორეს მოაჭედვინო, მესამეს კი ქარქაში გააკეთებინო. ჩვენი ხელოსნების ოცნება 1848 წლამდე ვერ ასრულდა, აქ კი ეს თავისთავად მოხდა, ყოველგვარი ჩარევის გარეშე. აქედან იქმნება ის გარემოება, რომ გზად მიმავალი უცხოელი აქ ვერ ასწრებს რამის ყიდვას. უნდა შეუკვეთო და შემდეგ უცადო, როდის დაგიმზადებენ. უფრო მეტიც: თუ ისეთი ნივთი შეუკვეთე, რომელიც წინასწარ ხარჯს

მოითხოვს, ფული წინდაწინ უნდა გადაიხადო. იგულისხმება, რომ თათარ ხელოსანს ერთი გროშიც არ გააჩნია.ოთხ თუ ხუთ სახელოსნოში შევედით და მხოლოდ ერთს ჰქონდა ვერცხლისბუდიანი ხანჯალი ცისფერი და ოქროსფერი მინანქრით. მე დავინტერესდი და ფასი ვიკითხ, თუმცა მაინცდამაინც არ მომწონებია. ხანჯალი გაყიდული აღმოჩნდა. ამ დროს სადილზეც დაგვიძახეს და სახლში მი9ვბრუნდით. სუფრა მხოლოდ ოთხ კაცზე იყო გაშლილი. ალი-სულთანი, მისი ვაჟი და კარის დიდებულნი მაგიდის გარშემო იდგნენ. სადილზე მსახურნი დაგვტრიალებდნენ. ჩემთვის ძნელია იმის აღწერა, რა ვჭამეთ. ადამიანთა საჭმელად განკუთვნილი უბრალო სანოვაგე ისეთნაირად გარდაიქმნება თათართა სამზარეულოში, რომ ვისაც შია, უმჯობესია ჭამოს და არ იფიქროს, რას ჭამს. ვერ დავამტკიცებ, მაგრამ მგონია, ქათმისა და კვერცხისგან გაკეთებული წვნიანი კერძი ვჭამეთ. შემდეგ მოიტანეს თაფლიანი კოტლეტები. ამის შემდეგ კი გნოლი მურაბით, ვაშლი , მსხალი, ყურძენი, მაწონი, ყველი და ერთი ფხიანი კერძი , რამაც კინაღამ დამახრჩო და მაშინ მივხვდი, რომ თევზი უნდა ყოფილიყო. სადილი ორ საათზე დასრულდა. წამოვდექით და გამოთხოვება დავაპირეთ, მაგრამ თავადმა თავაზიანად გვითხრა, ჩემი ვალი ჯერ არ მომიხდია, რადგანაც დახვედრა საკმარისი არ იყო, უნდა გაგაცილოთ კიდევაცო. რას გავაწყობდით, დავეთანხმეთ. ცხენები მზად იყო, თავადმა, მისმა ვაჟმა, პოლკოვნიკმა ყუბანმა, მსახურებმა და ბაზიერებმა თავიანთი ადგილი დაიკავეს ეტლის გარშემო და ქარავანი ოთხით დაიძრა.

ხუთი თუ ექვსი ვერსი რომ გავიარეთ, გამოთხოვების დროც მოვიდა და შევჩერდით. აქ ჩვენ დაგვხვდა ორმოცი კაცისგან შემდგარი ბადრაგი, რომელიც წინა დღით ხასავ-იურთიდან გამოსულიყო ჩვენს შესახვედრად და ახლა აქ გვიცდიდა. მოგზაურობის ერთადერთი სევდიანი მხარე განშორებაა. იომდენი სიხარულია სტუმარმასპინძლობაში, იმდენი სიახლეა ერთად გატარებულ დროში, რომ უნებურად თავს ეკითხები, როგორ შეიძლება განშორება იმის შემდეგ, რაც ამდენი სიამოვნება მიიღე ერთად ყოფნით. გამოთხოვებისას ახალგაზრდა თავადიშვილი მომიახლოვდა და მამის სახელით მომართვა ხანჯალი, რომელსაც დილით ოსტატს ვევაჭრებოდი. მე და პოლკოვნიკი კონიარი ერთმანეთს მხურვალედ გადავეხვიეთ, ათასი დაპირება აღვუთქვით, რომ პარიზში ან პეტერბურგში შევხვდებოდით და განვშორდით, რათა, ალბათ, შემდეგში აღარასდროს შევხვედროდით ერთმანეთს. თავადი თავის აულს დაუბრუნდა, პოლკოვნიკი თავის სიმაგრეს, ჩვენ კი ჩირ-იურთისაკენ ვქენით პირი, უკვე საღამო იყო, როცა ჩირ-იურთის სახლები გამოჩნდა. იმავე წუთში ერთი მთის ქიმზე, ასე ნახევარი თუ სამი მეოთხედი ვერსის მანძილზე. გარკვევით შევნიშნეთ ჩეჩნების საგუშაგო. საგუშაგო ისე იყო ჩასაფრებული, როგორც მსხვერპლზე თავდასაცემად გამზადებული ორბი. მაგრამ ჩვენი ორმოცდაათკაციანი ამალით მეტისმეტად ძნელად მოსანელებელი ლუკმა ვიყავით. ჩეჩენი უთუოდ ტელეგრაფისა და გუშაგის როლს ერთად ასრულებდა, რადგნაც ოთხ ფეხზე სიარულს მოჰყვა, რითაც ალბათ, იმის თქმა უნდოდა, რომ ჩვენ მხედრები ვიყავით. შემდეგ მან მკლავები ხუთჯერ ზემოთ ასწია, რაიცა ალბათ, უნდა გადათარგმნილიყო :ეს კავალერია ორმოცდაათი კაცისაგან შედგებაო.გუშაგი თავისი ნიშნებით შორს დავტოვეთ და მეეტლეს ვთხოვეთ, ცხენები გაერეკა. ჩირ-იურთსი რომ შევედით, უკვე საღამოს შვიდი საათი იყო.

თავი XI
ნიჟნი ნოვგოროდის დრაგუნები

ჩირ-იურთში შესვლისთანავე თავად დუნდუკოვ-კორსაკოვის სახლი ვიკითხეთ. მოწინააღმდეგე მხარეს ერთ მაღლობ ადგილზე მიგვითითეს.შჩუკოვალდან დაწყებული განუწყვეტლივ გვესმოდა თავად დუნდუკოვ-კორსაკოვის სახელი. ყოველ პატარა საბაბზე ახსენებდნენ და ხოტბას ასხავდნენ ამ კაცს. არის ისეთი მდინარეები, ქალაქები და ადამიანები, რომელთა სახელს ბევრად უფრო ადრე გაიგონებ, ვიდრე ნახავ. თავად დუნდუკოვსაც ასეთი სახელი ჰქონდა.აქ ცვენ არც კი დავინტერესებულვართ ბინით, რადგან უკვე შეჩვეულები

ვიყავით რუსულ მასპინძლობას, რომელიც დედამიწის ზურგზე ყველაზე გულუხვი მასპინძლობაა. პირდაპირ გავწიეთ მასთა.

ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკის ყაზარმებს შორის მოჩანდა ერთი დიდი, უხვად გასუქებული შენობა.მივხვდით, რომ ეს იქნებოდა თავადის სახლი და მისი სადარბაზო შესასვლელისკენ გავემართეთ.მსახურები ისე შეგვხვდნენ, როგორც ნანატრ სტუმრებს, ჩვენც ისე გვეჭირა ტავი, თითქოს დაპატიჟებულნი ვყოფილიყავით. პირველ დარბაზში რომ შევედით, უცნობი შტაბს-ოფიცერი შემოგვეგება. თავადს სახით არ ვიცნობდი, გავიფიქრე ეს იქნება-მეთქი და მივესალმე.მაგრამ სიტყვა მომიჭრა და მითხრა, თავადი მე არა ვარ, მე მისი მოადგილე გრაფი ნოსტიცი გახლავართო. თავადს ის-ის იყო გენერლის წოდება მიეღო და გრაფი ნოსტიცი მას სცვლიდა, როგორც ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკოვნიკი. ახლა სწორედ ის იყო ჩვენი მასპინძელი. თავადისათვის ეცნობებინათ ჩვენი მოსვლა და მას ელოდნენ. გრაფს ჯერ წინადადება არ დაესრულებინა, რომ თავადიც მოგვიახლოვდა. მას ცალი ხელი შეხვეული ჰქონდა და ვერ ამოძრავებდა.ჩეჩნების წინააღმდეგ უკანასკნელ ექსპედიციაში მიეღო ეს ჭრილობა.თავადი, მართლაც ისეთი აღმოჩნდა, როგორიც წარმომედგინა:ამაყი შემოხედვა, მოღიმარი გაშლილი სახე. ჩვენ შევედით მეორე დარბაზში, რომელიც მორთული იყო გრაფი ნოსტიცის მიერ თბილისიდან ჩამოტანილი საუცხოო სპარსული ხალიჩებით.პირველი საგანი, რამაც ამ დარბაზში თვალი მოგვტაცა, დიდი სურათი იყო. მასზე მხატვარს აესახა ჩერქეზთა ბელადი, რომელიც თავისი კაცებით მთის ერთ თხემს იცავდა.მე ვიკითხე, ვინ არის ეს სარდალი, ასეთი სურათის ღირსი რომ გახდა-მეთქი. მიპასუხეს, ეს ჰაჯი-მურატიაო. როგორც ჩვენს მკითხველს ახსოვს, ეს ის ჰაჯი-მურატია, რომელიც ჩვენ ვნახეთ, როგორც მოქმედი პირი ჰამზად-ბეგის მკვლელობის დიდ დრამაში. მართლაც, ჰაჯი-მურატი კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული სახელია. იგი ლეგენდის გმირია. რაც უფრო გავა დრო, მით უფრო გაიზრდება მისი აჩრდილი.როცა შამილი იმამი გახდა, ჰაჯი-მურატი ვითომდა შემოსწყრა მას და რუსების სამსახურში შევიდა. 1835-36 წლებში იგი მილიციის ოფიცრად მუშაობდა. ციხე-სიმაგრე ხუნძახის კომენდანტმა პოლკოვნიკმა ლაზარევმა ეჭვი შეიტანა, რომ მურატს კავშირი ჰქონდა შამილთან.გაიცა განკარგულება, რომ მურატი დაეჭირათ და საიმედო ბადრაგით თბილისში წაეყვანათ. ერთ მთაზე რომ ავიდნენ, ცოტახნით შეისვენეს. უეცრად მურატი თოფების კონას მივარდა, ერთი თოფი ამოაძრო, ერთ ჯარისკაცს სავაზნე მოაგლიჯა და თვალის დახამხამებაში თავისი ცხენიანად ხრამში გადაეშვა.მაგრამ დავარდა და ორივე ფეხი მოიტეხა.ჯარისკაცებმა ბრძანება მიიღეს, უკან დასდევნებოდნენ:ოთხი მდევარი ველებისკენ დაიძრა.თვითონ მურატმა ცოცვაში ოთხჯერ ისროლა და ოთხივე მდევარი მოკლა.შემდეგ ოს შამილს შეუერთდა.მურატის შემწეობით, შამილმა ხუნძახი დაიბრუნა. და 1843 წელს ის ცნობილი კამპანია ჩაატარა, რომელიც ესოდენ საბადისწერო იყო რუსებისათვის. 1851 წლის დამლევს შამილმა მას ერთ-ერთი ექსპედიციის სუსტად ჩატარება დააბრალა, ისევ წაეკიდნენ ერთმანეთს და მურატი თბილისში წავიდა გრაფ ვორონცოვთან თავშესაფრის სათხოვნელად. მაგრამ იქ მაინც უნდობლად უყურებდნენ ჰაჯი-მურატს.გრაფ ვორონცოვს ეჭვი ჰქონდა, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ იმისტვის დაბრუნდა, რათა ადგილ-მდებარეობა კარგად შეესწავლა, და ისეთი ამალა დაუნიშნა, რომელიც ბადრაგს უფრო ჰგავდა.საფიქრებელია, რომ ჰაჯი-მურატს, რომელიც ფართო დამოკიდებულებაში იყო ლეკებთა, ზაქათალაში ჰქონდა განზრახული გადასვლა, რათა დამოუკიდებელი გამხდარიყო, როგორც რუსებისა, ისე შამილისგანაც. 1852 წლის აპრილის დამდეგს ის ნუხაში შევიდა. ქალაქის კომენდანტმა თავადმა თარხნიშვილმა, რომელიც გაფრთხილებული იყო, ბრძანება გასცა, რათა ჰაჯი-მურატისთვის კვლავინდელზე მკაცრად ეთვალთვალნათ. 29 აპრილს ჰაჯი-მურატი ერთი სალდათის, ერთი პოლოციის ოფიცრისა და სამი კაზაკის თანხლებით ქალაქიდან გავიდა. გასცდნენ თუ არა ქალაქს, მან პისტოლეტით მოკლა სალდატი, ხანჯლის ორი დარტყმით სიცოცხლეს გამოასალმა პოლიციის ოფიცერი და ხანჯლითვე სასიკვდილოთ დასჭრა ერთი კაზაკი. ორმა თავს უშველა და ამბავი ჩაუტანა თავად თარხნიშვილს. თავადი დაუყოვნებლივ სათავეში ჩაუდგა სახელდახელოდ შეყრილ რაზმს და ჰაჯი -მურატს დაედევნა. მეორე დღეს მას ბელაჯიქსა და კახს შორის დაეწივნენ. ჰაჯი-მურატს თავისი ნუკერით ტყეში

დაებანაკებინა. ტყეს ალყა სემოარტყეს და სროლა დაუწყეს. ნუკერი პირველსავე გასროლაზე მოკლეს. ჰაჯი-მურატმა კი ოთხი კაცი გაისტუმრა საიქიოს, ხოლო შვიდი დასჭრა, შემდეგ ხმალი ხეს მიამსხვრია და თვითონაც ექვსი ჭრილობით დაეცა. იქვე მოჰკვეთეს თავი, ზაქათალაში ბალზამი გაუკეთეს და თბილისში წაიღეს. მე მაქვს ამ მოჭრილი თავის ნატურიდან გადაღებული ნახატი. ეს ის ჰაჯი-მურატი გახლავთ, რომლის პორტრეტი გრაფი ნოსტიცის სასტუმრო ოთახში ვნახეთ. ხოლო სურათი შემდეგი შემთხვევის გამო შეიქმნა: რუსი ჯარის მიერ დევნილი ჰაჯი-მურატი კასპიის ზღვის პირად კართმატალაში გამაგრდა რვაასი კაცით. რუსებმა კართმატალაში სხვადასხვა პუნქტებიდან ჯარები გაგზავნეს, რომელთა შორის ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნებიც იყვნენ, ორმა ესკადრონმა არ დაუცადა ქვეით ჯარს, დაქვეითდა და მაიორ ზოლოტუხინის მეთაურობით იერიში მიიტანა. ას ორმოც კაცში ოთხმოცი მანამდე დაეცა, სანამ მთიელებთან ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდნენ. შვიდ ოფიცერში ექვსი დაიღუპა. მაიორმა ჰაჯი-მურატს ხელიდან დროშა გამოსტაცა. ჰაჯი-მურატი მივარდა და რევოლვერი დაახალა. მაგრამ მომაკვდავმა მაიორმა მაინც იხელთა დრო და დროშა მის უკან მომავალ ჯარისკაცებს გადაუგდო. ამასობაში ქვეითმა ჯარმაც მოუსწროთ. მხოლოდ ორმოცდაათი დრაგუნი იყო დარჩენილი ცოცხლად, მაგრამ მათ დროშა მაინც არ გაუშვეს ხელიდან. მე შენახული მაქვს ამ დროშის ნაჭერი, რომელიც გრაფმა ნოსტიცმა და თავადმა დუნდუკოვმა მომცეს. შამილმა ჰაჯი- მურატი, როგორც ერთ-ერთი თავისი ყველაზე საყვარელი ნაიბი, დააჯილდოვა ჯვრით, რომელსაც იმამი ყველაზე ერთგულებს აძლევდა. ეს ჯვარი მის თავთან ერთად თბილისში გააგზავნეს. თავი ახლა პეტერბურგშია, ჯვარი კი თბილისში იყო და თავადმა ბარიატინსკიმ მე მაჩუქა. გრაფი ნოსტიცის სასტუმრო ოთახი ნახული სურათი ზუსტად წარმოსახავს ჰაჯი-მურატს, რომელიც იბრძვის ნიჟნის დრაგუნების წინააღმდეგ კართმატალას დასაცავად.

ეს სახელმოხვეჭილი პოლკი პეტრე დიდის მიერაა დაარსებული. მას თავის ანალებში უნიკალური ფაქტი აქვს შემონახული:იგი რვაჯერ იყო შეტაკებაში, რვაჯერ მოუკლეს პოლკოვნიკი და ოფიცრებიდა და რვაჯერვე ხელახლა ჩამოყალიბებულა. 1701 წელსმეფეს ბოიარ შეინისთვის დაუვალებია დრაგუნთა პოლკის შედგენა უკრაინის პროვინციებიდან. 1708 წელში, როცა რუსული არმია იქმნებოდა, პოლკი ნიჟნი-ნოვგოროდში იმყოფებოდა და მას ამ ქალაქის სახელი შეერქვა. იგი გახდა ბირთვი ექვსი რუსული კავალერიიი პოლკისა, რომელიც 1709 წლიდან 1856 წლამდე ჩამოყალიბდნენ 1846 წლიდან ის კავკასიაშია. დარბაზის მთელი ერთი კედელი სავსე იყო ამ პოლკის მიერ მოპოვებული საპატიო ნიშნებით. მისი დროშები ყველა წმიდა გიორგისაა. ეს დროშები მას თურქეთის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიებში მიეცა 1827, 1828 და 1829 წლებში. დროშებს მოჰყვება ნუზარადები. ყოველ ჯარისკაც მუზარადზე წარწერა ჰქონდა: „წარჩინებისათვის“. შემდეგ 1853 წლისთვის მას მისცეს ვერცხლის საპატიო საყვირები, ზედ გამოხატული წმიდა გიორგის ჯვრით. ბოლოს 1854წელს, როცა იმპერატორმა ყველა საბოძვარი გასცა, ბრძანა, ყველა ჯარისკაცს ფორმის საყელოზე ნაქარგი ჰქონოდა. თავადმა დუნდუკოვმა და გრაფმა ნოსტიცმა ეს წარჩინების ნიშნები ჭეშმარიტად მამობრივი სინაზით დაგვათვალიერებინეს. პირველი მათგანი გამოთქვამდა სინანულს იმის გამო, რომ ახალ მიღებული მაღალი ხარისხისთვის იძულებული იყო მიეტოვებინა ესოდენ მამაცი ჯარისკაცები. მეორე დიდად ამაყობდა ეგზომპატივსაცემი მემკვიდრეობის მიღების გამო.

ვიდრე ჩვენ ამ ღირსებათა მიღებას ვათვალიერებდით, გრაფის დარბაზები შეუმჩნევლად გაივსო ოფიცრებით. თავად კორსაკოვს ყოველ საღამოს რვა საათზე ვახშმის გამართვა ჰქონდა ჩვეულებად. ერთხელ და სამუდამოდ დაპატიჟებული იყო პოლკის ყველა ოფიცერი. მოდიოდა ის, ვისაც სურვილი ჰქონდა. გრაფი ნოსტიცი აგრძელებდა იმავე ჩვეულებას როცა გამოაცხადეს, ვახშამი მზადააო, სასადილო დარბაზში გავედით, სადაც რიცხვი25-30 კაცისთვის იყო გაშლილი სუფრა. ვახშმობის დროს სულ პოლკის ორკესტრი უკრავდა, შემდეგ, როცა მუსიკოსებმაც ივახშმეს, დაიწყო ცეკვები ჩვენს პატივსაცემად. დაპატიჟებულები იყვნენ პოლკის საუკეთესო მოცეკვავენი და ყველა მთისა თუ ბარის ცეკვები ისე გვაჩვენეს, როგორც

პარადზე. გრაფმა ნოსტიცმა მუანეს უჩვენა ალბომი კავკასიის სურათებითა და ფოტოგრაფიებით, რომლებიც თავისი ხელით ჰქონდა შეკრებილი. განსაკუთრებით სჭარბობდა სურათები თბილისისა, სადაც გრაფ ნოსტიც უცხოვრია ჩირ-იურთში ჩამოსვლამდე. აქ იყო მრავალი თვალწარმტაცი ხედები და ლამაზი ქალები. საქართველოს დედაქალაქში არ აღმოჩნდა რცერთი მზეთუნახავი, რომელიც ჩვენ უკვე სამი კვირით ადრე არ გვყოლოდა გაცნობილი ჩირ-იურთში. პირველად იქ შევამჩნიე განსხვავება რუსეთსა და კავკასიაში მყოფ რუს ჯარისკაცთა შორის. რუსი ჯარისკაცი რუსეთში ღრმად სევდიანად გამოიყურება, მას ზიზხსა ჰგვრის თავისი მდგომარეობა, ამძიმებს სიშორე თავის უფროსებთან. კავკასიაში კი რუსი ჯარისკაცი მხიარულია, სიცოცხლით სავსე, ოხუნჯობს კიდეც და ბევრიც წააგავს ჩვენს ჯარისკაცს. მუნდირით იგი ამაყობს, მას აქვს შანსები წინ წაიწიოს, წარმატება მიიღოს. განსაცდელი აკეთილშობილებს, თავის შეფებთან აახლოვებს. ფათერაკი მხიარულსა ხდის და სიცოცხლის ფასს უნერგავს. ჩვენმა ფრანგმა მკითხველმა რომ იცოდეს მთის ექსპედიციის ყველა წვრილმანი, მას განცვიფრებაში მოიყვნდა ის, თუ რამდენი გაჭირვების ატანა შეუძლია რუს ჯარისკაცს. იგი ჭამს ცომს შავ პურს, სძინავს თოვლზე თვითონვე მიათრევს ტავის არტილერიას, ბარგსა და ზარბაზნებს ისეთ გზებზე, სადაც ჯერ ადმიანისშვილს ფეხი არ დაუდგამს, სადაც არც ერთ მონადირეს არ შეუღწევია, სადაც მხოლოდ არწივი დანავარდობს თოვლიან კლდეებზე. და ეს ყველაფერი ისეთი ომისთვის რისთვისაც მადლობას არავინ ეტყვის, სადაც არ არსებობს ტყვეობა, სადაც ყოველი დაჭრილი მკვდრათ ითვლება, სადაც ყველაზე ულმობელი მოწინააღმდეგე თავსა გკვეთს, ყველაზე შემბრალებელი კი ხელს. ჩვენ ორი თუ სამი წლის განმავლობაში გამოვცადეთ ამგვარი რამ აფრიკაში, მაგრამ იქ ბევრად უფრო იოლი ადგილები იყო, და ჩვენ ჯარისკაცებს კარგი ჯამგირი, კარგი სმა-ჭამა და კარგი ტანისამოსი ისეთ ხალისსა ჰგვრიდა, რომ განუზომლად წინ მიიწევდნენ. მაგრამ მე ვიმეორებ, რომ ჩვენთან ეს გრძელდებოდა ორ-სამ წელიწადს. რუსეთში კი აგერ უკვე ორმოცი წელია ეს კამპანიები გრძელდება.

თავი XII
ქვიშის მთა

ისევ სევდამ მოგვიცვა, როცა მეორე დილას იძულებულნი ვიყავით გამოვთხოვებოდით ჩვენს შესანიშნავ მასპინძლებს. ვალდებულებად ვთვლი კიდევ გავიმეორო, რომ სტუმართმასპინძლობას რუსეთში რაღაც განსაკუთრებული სიმშვენიერე და სილაღე აქვს, რასაც ვერც ერთ ხალხში ვერ შეხვდებით. მუანეს თან მოჰქონდა რამდენიმე ფოტოგრაფია, მე კი ერთი პორტრეტი ცოცხალი ჰაჯი-მურატისაგან. მე ვიცოდი, რომ თბილისში ვიშოვიდი მისი მოჭრილი თავის სურათის ასლს. გარდა ამისა, ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნებისგან სახსოვრად მიმქონდა დროშის პატარა ნაჭერი. ეს საჩუქრები არ გვაკმარეს და სახაზინო ცხენებით წაგვიყვანეს, რადგანაც ფოსტა მხოლოდ უნტერ-კალეში იყო, ესე იგი ჩირ-იურთიდან კარგი ორმოცი ვერსის დაშორებით.ჩვენს ამალასი ოცდახუთი კაცი შედიოდა, მაგრამ ისინი ორმოცდაათს უდრიდნენ, რადგანაც ჩამომავლობითი კაზაკები იუვნენ. ცხენები ქარივით მიჰქროდნენ. ერთი საათი რომ გავიდა, უკვე ციხე-ციმაგრეში ვიყავით. თათრები ამ ციხეში შესვლისას იარაღს მის კარებში სტოვებენ. ერთგვარი მღელვარება იგრძნობოდა, როგორც მოსახლეობაში, ისე ჯარისკაცთა შორის. ყველა ციხე-ციმაგრეში მყოფი კაზაკი მზად იყო განგაშისთვის. დილას მზვერავებმა ამბავი მოიტანეს, რომ სამოცი ლეკი,-ჩვენ კი ჩეჩნეთისა და ლეკეტის საზღვარზე ვიმყოფებოდით, - ბურთუნაიდან მოდიოდა თავდასასხმელად. არავინ იცოდა რომელი მხრიდან დაეცემოდნენ მძარცველები, მაგრამ ადგილიდან რომ დაიძრნენ, ეს ყველამ იცოდა. ჩვენ მოგვცეს ექვსი დონის კაზაკი. შესაბრალისი სანახავი იყვნენ ეს საცოდავები თავიანთი გრძელი შუბებით მსუბუქთოფებიან შთამომავლობით კაზაკებთან შედარებით. ერთხელ კიდევ შევამოწმეთ ჩვენი იარაღი და რა დავრწმუნდით, რომ ყველაფერი რიგზე იყო, გზას გავუდექით. ალი-სულთანთან დასვენებული და თივით ყელთამდე მაძღარი ცხენები ოთხით მიაჭენებდნენ ვრცელ სტეპში, რომელიც მთების ძირას იშლებოდა. ისინი უსწრებდნენ ჩვენი კაზაკების ცხენებს და ერთი მათგანი კარგად ჩამოგვრჩა. შემდეგ ორი მიჰყვა

მათ. მერე კიდევ სამმა დაგვტოვა, და როცა ერთი ბორცვიდან გადმოვიხედეთ, დავინახეთ, რომ ცხენები ისევ ციხე-სიმაგრისკენ ბრუნდებოდნენ. ახლა საკუთარ ძალებზე ვიყავით დამოკიდებულნი, მაგრამ ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ უნტერ-კალეში კაზაკთა პოსტს და შემცვლელ ცხენებს ვიშოვიდით. ამას გარდა, ჩვენ ვიცოდით, რომ გზიდან მარჯვენა მხარეზე ერთ საკმაოდ დიდ საოცრებას დავინახავდით. ამ სტეპში , სადაც ერთ მარცვალ ქვიშასაც ვერ იპოვით წამლად, ექვსასი თუ შვიდასი მეტრის სიმაღლის ქვიშის მთა დგას. თავალი უკვე აშკარად არჩევდა მის ოქროსფერ მწვერვალს, რომელიც საერთო პეიზაჟის მორუხო ფონზე ისახებოდა. რამდენადაც ვუახლოვდებოდით, თითქოს იმდენად უფრო იწევდა მიწიდან, მიწა კი თითქოს ძირს მიდიოდა მის გარშემო. მთა თვალისდახამხამებაში იზრდებოდა და პატარა მუხასავით მხრებგაშლილი კავკასიონის უკანასკნელი ფერდობების განშტოებას ქმნიდა. ამ მთას სამი თუ ოთხი მწვერვალი ჰქონდა, რომელთაგან ერთი დანარჩენებზე მაღალი იყო, და ექვსასი თუ შვიდასი მეტრი იქნებოდა სიმაღლით. სხვათა შორის, ამ მთის სიმაღლე რომ ზუსტად დაინახო, მასთან ახლოს უნდა მიხვიდე. მანამ ის კავკასიონს არ აეფარება, პატარა ბორცვსა ჰგავს. ეტლიდან ჩამოვედი, რომ ქვიშა ახლოს მენახა. ეს იყო საუცხოო წვრილი, მერყევი ქვიშა. ყოველი ქარბუქის შემდეგ მთა ფორმას იცვლის, მაგრამ რაც არ უნდა ძლიერი იყოს ქარბუქი, ქვიშა ველებში არ იფანტება და მთა თავის სიმაღლეს მუდმივად ინარჩუნებს. ამ მთას რომ დავშორდით, უკეთესად გამოჩნდა რუსების მიერ დამორჩილებული თათართა აული უნტერ-კალე. კონსტანტინას მსგავსად იგი აშენებულია მაღალი, მიუვალი კლდის ქიმზე. პატარა გამშრალი მდინარე, რომელიც თოვლის ლხვობის დროს დიდდება და ვფიქრობ, შენაკადი ინდა იყოს მდინარე სულაქისა, ამ გიგანტური სიმაგრის ძირში ანკარა წყალს მოაჩხრიალებს. ეს არის მდინარე ლოზანი. უსარგებლო იყო სადგურამდე მისვლა, რომელიც კარგა მოშორებით იმყოფებოდა და ერთ ხრეშოვან კუნძულზე შევჩერდით. ცხენებს აქ მოგვაშველებდნენ და რამის გასათევად მივდიოდით სოფელ ჰელიში, ან შეიძლება თემირ-ხან - შურაშიც მიგვესწრო. მეეტლეებმა ცხენები გამოუშვეს. ისინი ხასავ-იურთში უბადრაგოთ უნდა დაბრუნებულიყვნენ, რადგანაც, როგორც მკითხველს ახსოვს, ჩვენმა კაზაკებმა გზაზე მიგვატოვეს. მათ მიიღეს თავიანთი საზღაური და ჩორთით გააჭენეს ცხენები უკან. ცხადი იყო, ლეკების თავდასხმაზე დაგდებული ხმა მეეტლეებსაც აჩქარებდა.

ამგვარად, მდინარის კალაპოტში დავრჩით მუანე, ჩვენი ახალგაზრდა ოფიცერი, სახელად ვიქტორ ივანოვიჩი, პორუჩიკი ტროისკი, თემირხან-შურას ინჟინერი, რომელსაც ხასა-იურთში გავეცანით კალინო და მე. ჩვენ გარშემო შეგროვდნენ თათრები, რომელთაც საკმარისად საეჭვო გარეგნოდა ჰქონდათ. ისინი ხარბი თვალით შეჰყურებდნენ ჩვენს ბარგს და საშინელ ეჭვს გვიღვიძებდნენ. გადავწყვიტეთ, რომ კალინო და ინჟინერი სადგურში ასულიყვნენ და ცხენები ჩამოეყვანათ. მუანე, ვიქტორ ივანოვიჩი და მე ბარგს დავუდგებოდით. ერთ ხანს თავს ვიქცევდით იმით, რომ თათრის ქალებს ვუყურებდით, როგორ ჩამოდიოდნენ დაღმართზე წყლისთვის და ზურგზე წამოკიდებული ან თავზე დადგმული ტოლჩით წყნარი ნაბიჯით უკან ბრუნდებოდნენ. კალინო და ტროისკი აგვლანებდნენ. მე დროს გასატარებლად ქვიშის მთის დახატვას შეუდექი, მაგრამ , რადგანაც არასდროს ბოროტად არ ვიყენებ ჩემს ტალანტს, ალბომი დავხურე, ტარანტასის ბალიშზე დავდე და აილისაკენ გაუდექი გზას.

თოფი და ხანჯალი დატოვეთ, თორემ მთლად მარკო სპადას ჰგავხართ!

-ჩემო კარგო, თუმცა არაფრად მეჭაშნიკება ჩემი თანამოკალმის სკრიბის გმირთან შედარება, მაგრამ ყოველთვის მაგონდება ქ-ნი პოლნობოკოვის დარიგება, გარეთ ნურასდროს გახვალთ უიარაღოთ, თუ არ დაგიცავთ, პატივს მაინც გცემენ მისთვისო. ამიტომ თან მიმაქვას თოფი და ხანჯალი.

-მე კი ალბომსა და ფანქარს დავჯერდები, -მომიგო მუანემ.

მე წინ წავედი, სხვათა შორის ჩემი პრინციპია ადამიანს მიეცეს სრული თავისუფლება, არა მარტო აზრებში, არამედ მოქმედებებშიც. მუანემ იარაღი შემოისხნა, ფანქრითა და ალბომით აღიჭურვა და უკან გამომყვა. ჩვენ გავედით ერთგვარ ვიწრო გასასვლელში, რომელიც ქუჩას წააგავდა და თავი ამოვყავით ერთ ეზოში. მე მივხვდი, რომ გზა ამერია და უკან გამოვბრუნდი:შემდეგ მეორე ასეთივე დზით წავედი და ისევ რომელიღაც ეზოში მოვხვდი. პირველი ეზოდან ძაღლები დაგვედევნენ ღრენით. თათართა ძაღლებს განსაცვიფრებერლი ინსტიქტი აქვთ ქრისტიანთა მოსაგერიებლად. მათ მეორე ეზოს ძაღლებიც შეუერთდნენ, მხოლოდ ეს უკანასკნელნი უფრო შმაგად ყეფდნენ.ძაღლების ყეფაზე სახლიდან პატრონი გამოვიდა. მართალია, სხვის ეზოში შესვლა დანაშაულია, მაგრამ ეს უნებურად მოგვივიდა. მე მომაგონდა, როგორ იკითხავდნენ ხოლმე რუსულად საფოსტო სადგურს და ვკითხე, საფოსტო სადგურია-მეთქი? მაგრამ თათარს არ ესმოდა, თუ თავს ისე გვაჩვენებდა, თითქოს არ ესმოდა რუსილი. მან თავისი ძაღლებივით შემოგვიღრინა და კბენა რომ შესძლებოდა, ალბათ, დაგვკბენდა კიდეც. ერთმანეთის სიტყვები ვერ გავიგეთ, მაგრამ ხელის ჟესტზე მივხვდი, რომ ეზოდან გასვლას მეუბნებოდა. მე დავემორჩილე, ძაღლებმა კი ზურგშექცეული რომ დამინახეს, ეგონათ გავრბოდი და დამედევნენ. ჩვენ უკან დავიხიეთ იმ მიმართულებით, რომელიც თათარმა მიგვითითა. ორღობე მართლაც ქუჩაზე გაგვიყვანა, მაგრამ თათართა აულების ქუჩები ისეთნაირ ლაბირინთს ქმნიან , რომ იქიდან გამოსასვლელად არიადნას ძაფია საჭირო. ჩვენ კი არც ეს ძაფი გვქონდა და არც მე ვიყავი თეზეოსი, გარდა ამისა მინოტავრის მაგივრად ჩვენ უნდა შევბრძოლებოდით ძაღლების მთელ ხროვას. მართალი გითხრათ, მაშინვე იეზაბელის სავალალო ხვედრი გამახსენდა. ბოლოს ჩვენმა უბედურმა ვარსკვლავმა, რომელიც სტრატეგიულ მოქმედებაში გვხელმძღვანელობდა ერთ ფარღალალა საყაზბოსთან გაგვიყვანა. თათარი ყაზბები ხორცს ხელოვნურად გაკეთებული ხის ტოტებზე ჰკიდებენ, რომლის გარშემო თავს იყრიან მშიერი ძაღლები. ჩვენი ძაღლები ყაზბის ძაღლებს შეუერთდნენ და მდგომარეობა დამაფიქრებელი გახდა.ყასაბი, რომელიც, ბუნებრივია, ძაღლების მხარეზე იყო, ადგილიდან წამოდგა და დოინჯშემოყრილი დამცინავი ღიმილით შემოგვაჩერდა. მეყაზბის შესახედაობამ მთლად გაგვიფუჭა გუნება. მივხვდი, რომ თუ უკან დახევას განვაგრძობდით, საქმე კარგად არ წავიდოდა.

-სადმე დავსხდეთ, -ვუთხარი მოანეს.

ერთ ჭიშკართან სკამზე ჩამოვსხედით. ჩვენ თემისტოკლეს მსგავსად მტრების კერასტან მოვედით დასასვენებლად. სახლიდან პატრონი გამოვიდა. მე ხელი გავუწოდე და ვუთხარი „კუნაკ“, ვიცოდი, ეს სიტყვა ამხანაგს ნიშნავდა. ერთხანს ყოყმანობდა, შემდეგ ხელი გამოგვიწოდა და გვიპასუხა: „კუნაკ“. ამის შემდეგ შიში არარ იყო, უკვე მისი მფარველობის ქვეშ ვიყავით.

-ფოსტის სადგური? - ვკითხე მე.

-კარგი, - მოგვიგო მან. ძაღლები გაყარა და წინ გაგვიძღვა. ამის შემდეგ აღარც ძაღლები გვიღრენდნენ და აღარც თათრები.

მივედით ფოსტის სადგურში. კალინო და ლეიტენანტი უკვე ყოფილიყვნენ იქ და ზედამხედველთნ ისევ წასულიყვნენ. მართალია, გზა ვიპოვეთ, მაგრამ ჩვენს თათარს მაინც ვთხოვეთ გავეცილებინეთ. გზის მოსახვევიდან დავინახეთ, რომ ხევის ძირში ჩვენი თანამგზავრები ერთიანად შეგროვილიყვნენ. ფოსტის უფროსიც იქ იყო. ჩვენც შეუერთდით. მე გჰადავწყვიტე ჩვენი კუნაკისთვის რამე მეჩუქებინა იმ სამსახურისთვის, როპმელიც გამიწია და კალინოს ვთხოვე, ეკითხა რა უფრო ესიამოვნებოდა. მან ბერძენივით უყოყმანოთ მიპასუხა, ტყვია და საფანტიო./ ავიღე და ერთი დიდი საპირისწამლე ფაფახში დავუცალე, მოანემ კი სათადარიგო პარკი მომჩხრიკა და ერთი მუჭა ტყვია ამოიღო. ჩვენი კუნაკი ახტაცებული დარჩა, მან მკერდზე ხელი დაიდო და გამდიდრებულმა ორი მეგობრით, რომელსაც ალბათ,

ველარასოდეს ნახავდა, ნახევარი გირვანქა საფანტით და ორი თუ სამი გირვაქა ტყვიით სახლისკენ გასწია, თან გზიდან ორ-სამჯერ შემოტრიალდა და ხელი დაგვიქნია.

ჩვენ ცხრა ცხენი გვჭირდებოდა. ზედამხედველმა კი გამოგვიცხადა, საჯინიბოში სამცხენას მეტი არაფერი მაქვსო. აულში უკვე გავრცელებულიყო ამბავი, ლეკები აპირებენ დაცემასო. მილიციელებს ცხენები წაეყვანათ და სალაშქროდ წასულიყვნენ, არავინ იცოდა, როდის დაბრუნდებოდნენ უკან. ჩვემი აზრი იყო, კარავი დაგვედგა, კოცონი აგვენთო და ცხენებისთვის მოგვეცადა, მაგრამ ეს წინადადება მოანემ უარყო და მას სხვებმაც მხარი დაუჭირეს. ის და ბ-ნი ტროისკი წასვლას მოითხოვდნენ, რატა თემირ-ხანშურაში ადრე ჩავსულიყავით. კალინოც მუდამ მომხრე იყო, რომ რომელიმე ქალაქში დავბინავებულიყავით. მხოლოდ ვიქტორ ივანოვიჩი ყოყმანობდა და ამბობდა, რომ დათანხმდებოდა უმრავლესობის გადაწყვეტილებას. უმრავლესობამ გადაწყვიტა, ზედამხედველის სამცხენა ჩემს ტარანტასში შეებათ, მუანე, ტროისკი, კალინო და მე ტარანტასით წავიდოდით, ხოლო ვიქტორ ივანოვიჩი და მისი სომეხი მსახური, წვადის ოსტატი, ჩვენი ბარგის და საკუთარი ეტლის სამეთვალყუროთ დარჩებოდნენ. ცხენების დაბრუნებამდე ის ჩვენ შენოგვიერთდებოდა თემირ-ხან-შურაში, სადაც ერთ დღეს დავუცდიდით. იქიდან გაგვაყოლებდნენ ოთხი ოთხი კაცისგან შემდგარ ბადრაგს. უნდა დავტანხმებულიყავით. ცხენები შევაბით, ტარანტასში ჩავსხედით და გავწიეთ.

კაზაკთა პოსტზე რომ მივედით უკვე შებინდებული იყო. ბადრაგი საჩქაროდ უკან დაბრუნდა, კალინო კი ციხის ეზოში შევიდა, რათა კაზაკთა ოფიცრისთვის ახალი ბადრაგი მოეთხოვა. ოფიცერი კალინოს გარეთ გამოჰყვა, რომ ფრანგ „გენერალს“ პირისპირ მოლაპარაკებოდა. ძალიან წუხდა, მაგრამ ოთხი კაცის მეტს ვერ გვაძლევდა, რადგანაც კაზაკები ველში იყვნენ. სიმაგრეში მხოლოდ ექვსი იყო დარჩენილი და აქედან ოთხს ჩვენ გვითმობდა. რას გააწყობდა ორი კაზაკი ასეთ საგანგაშო დროს? წვიყვანეთ ოთხი კაცი, რომლებიც ბუზღინით შეასხდნენ ცხენებს და წავედით.

დაღამებამდის ნახევარი საათიც კი არ იყო დარჩენილი.ჟინჟლავდა. კაზაკთა პოსტიდან მეოთხედი ვერსი რომ გვქიოონდა გავლილი, მარჯვნივ პატარა ჭალა შევვნიშნეთ, რომელშიც ოცდახუთი ჯვარი დავთვალეთ. აქამდე სულ თათართა საფლავებს ვხვდებოდით. ახლა ეს ჯვრები რომლებიც უკვე ჩამოწოლილი ბინდისა და წვიმის გამო უფრო პიქუშად გამოიყურებოდნენ, თითქოს გზას გვიკრავდნენ. ჩვენ მაინც გავიარეთ დახლოებით ასი ნაბიჯი თემირ-ხან-შურას მიმართულებით, მაგრამ გზა გაფუჭდა და ჩვენმა მეეტლეებმაც ცხენები შეაჩერა და კაზაკებთან დაიწყო თათბირი. გამოირკვა, რომ გზა უვარგისია და ადგილი სახიფათო, მით უმეტეს, რომ გამყოლებად მხოლოდ ოთხი კაზაკი გვყავდა. ეჭვი არ იყო, კაზაკებს დაგვიხოცდნენ, უეჭველი იყო ისიც, რომ ჩვენისთანა შეიარაღებული ხალხი დიდხანს შესძლებდა თავდაცვას, მაგრამ მით იოლად როდი გადავრჩებოდით, პირიქით, ასეთ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა გააფთრებულ მოწინააღმდეგესთან. სხვა დროს კაზაკი და მეეტლე ვერ გაბედავდნენ ჩემი „აღამტებულებისთვის“ ასეთი რჩევა მიეცათ, მაგრამ მე კარგად მესმოდა, რომ მათ მხედველობაში ჰყავდათ დასარბევად წამოსული ლეკები. ამიტომ რჩევა უყოყმანოდ მივიღე. ჩვენ გავწიეთ კაზაკთა პოსტისაკენ და ათი წუთის შემდეგ შევედით ციხის გალავანში, რომლის კარს გუშაგი იცავდა.

ტალახით შელესილი და კირით შეთეთრებული სახლის ერთ ყველაზე უკეთეს ოთხში შეგვიყვანეს, სადაც ღუმელიც იყო და ბუხარიც. ავეჯეულობას შეადგენდა ერთი მაგიდა, ორი ტაბურეტი და კედელში ჩატანებული მერხი, რომელიც საველე საწოლის მაგივრობას სწევდა. საჭირო იყო საჭმელზე ზრუნვა. არავიტრი სანოვაგე არ გვქონდა წამოღებული, რადგანაც ვარაუდობდით, რომ ამ ჰელიში ან თემირ-ხან-შურაში უნდა გაგვეთია ღამე. შეგვეძლო აულში გაგვეგზავნა კაზაკი, მაგრამ როგორ გაგვეწირა კაცი თორმეტი კვერცხისა და ოთხი კოტლეტისთვის. კალინომ, როგორც ვითომ რუსმა, უპირველეს ყოვლისა ჩაიზე დაიწყოპ ზრუნვა და ორი ჭიქა ჩაი გაიკეთა, რაც მხოლოდ ჭიის დასაოკებლად იყო საკმარისი. ასევე

მოიქცა პორუჩიკი ტროისკი. კიდევ კარგი, რომ ჩვენს სამგზავრიო ჩანთაში იყო ჩაი, შაქარი და სამოვარი. გარდა მისა გვქონდა სამზარეულო, რომელშიც შედიოდა ღუმელი, ტაფა, წვენის მოსახარში ქვაბი, ოთხი მოთუთიებული თეფში და ამდენივე ჩანგალი და კოვზი. მაგრამ სამზარეულო მაშინ არის კარგი, როცა მოსახარში ან შესაწვავი გვაქვს რამე, ჩვენ კი სრულიად არაფერი გაგვაჩნდა ქვაბში ჩასადები. სანოვაგის საძებნელად კალინო გავგზავნეთ, რადგანაც მან ადგილობრივი ენა იცოდა. მ,ისი კრედიტი იყო ერთი მანეთიდან ათ მანეთამდე. მაგრამ ამაოდ. არც ფულად და არც ოქროს ფასად არაფერი იშოვებოდა. ბოლოს მან ცოტაოდენი შავი პური და ერთი ბოთლი უხეირო ღვინო მოგვიტანა. მე და მუანემ ერთმანეთს შევხედეთ და თითქოს ორივემ ერთმა აზრმა გავიელვა. ღამის სიბნელეში, წვიმის ფარდის უკან, საბძელზე მიდგმულ კიბეზე მამალი იყო ჩამომჯდარი. მუანე გარეთ გავიდა. ათი წუთის შემდეგ უკან შემობრუნდა და პალტოს უბიდან მამლი გამოიყვნა. თვალის დახამხამებაში გავპუტეთ, გამოვფატრეთ და გავტრუსეთ. შემდეგ ბუხარში ლურსმანი შევარჭეთ, მმალს ფეხებზე კანაფი გამოვაბით და ლურსმანზე ჩამოვკიდეთ. ქვეშ ერთი თეფში დავუდგით, რომ წვენი მასზე ჩამოდენილიყო და ტრიალი დავუწყეთ, რომ ყოველი მხირიდან ერთნაირად კარგად შებრაწულიყო. ორმოცდახუთ წუთში მამალი მზად იყო. შემდეგ სამგზავრო ჩანთაში ერთი ბოთლი აღმოვაჩინეთ, რომელშიც ასტრახანში ნაყიდი ზეითუნისზეთი დარჩენილიყო. იგი კარაქის უქონლობის გამო მამალს მივაბკურეთ და ჩინებული კერძი გამოვიდა. ისე გავათავეთ მთელი ამმალი, რომ ძვალიც კი არ დაგვიტოვებია, მერე კი იმაზე დავიწყეთ ფიქრი, როგორ დაგვეძინა. სამ ჩვენგანს ღუმელზე შეეძლო დაწოლა, ოღონდ, რა საკვირველია ყველაზე გამხდრებს. იყო ერთი სამგზავრო საწოლი, რომელიც, რათქმა უნდა მე მარგუნეს, რადგანაც მარტო მე ნახევარ ღუმელს დავიკავებდი. ორი ერთმანეთის დახმარებით ღუმელზე აძვრნენ მესამეც აითრიეს. ეს იოლი საქმე არ იყო, რადგანაც ღუმელსა და ჭერს შორის თვრამეტი გოჯი ძლივს იქნებოდა. მათ მე თავქვეშ თივის კონა შევუდე თვითონ კი ჯუბაში გავეხვიე და დავწექი. ერთი საათის შემდეგ ჩემი სამი მობინადრე ერთმანეთს ხვრინვაში ეჯიბრებოდა. მე კი ცუდათ ვიძინე და როგორც კი გათენდა ჩემს თნმგზავრებს გამოვეხმაურე. ისინი შებრუნდნენ და მუცლით ჩამოცურდნენ იატაკზე. საჩქაროდ კაზაკები და მეეტლეები გავაღვიძეთ დ ისე გავედით, რომ ერთ კაცსაც არ შეუმჩნევია, რა იქნა მამალი, ან რატომ არ დარეკა საათმა.

ცა ისევ მოღრუბლული იყო. წვიმა ცრიდა და თოვლად გაქცევას გვემუქრებოპდა. მე ყაბლახი თავზე კარგად შემოვიხვიე და დავიბარე, ახლობელ ფოსტამდე ან ჩეჩნების თავდასხმამდე არ გავეღვიძებინეთ. დაახლოებით ორი საათი მძინებოდა, როცა გამაღვიძეს. ტარნტასი გაჩერებულიყო და მე ვიფიქრე საფოსტო სადგურზე მივედით მეთქი. მაგრამ ჩვენი ტარანტასი თურმე ნახევარზე ტალახში ცაფლულიყო. კოკისპირულად წვიმდა. მუანეს ლეკებზე უფრო მეტად წვიმისა ეშინოდა, რადგანაც ციება ჰქონდა ტანში გამჯდარი და ადვილად ცივდებოდა.

გარემოს ტვალი მოვავლე. ჩვენს ირგვლივ საუცხოო პეიზაჟი იშლებოდა, მაგრამ ახლა მუანესტან პეიზაჟზე ლაპარაკისდრო არ იყო. ჩვენ წარმოვადგენდით ტალახში ჩაფლული რამდენიმე ქარავნის ცენტრს. ოცდახუთი ეტლი უმთავრესათ კამეჩ შებმული, ზუსტად ჩვენს დღეში იმყოფებოდნენ. ისეთი ძილქუში დამწოლოდა, რომ გარშემო ამდგარმა ხმაურმა ვერ გამაღვიძა. თათრებს გნიასი ედგათ და მე ვნანობდი, რომ ჩინგის-ყაენის ენა არ ვიცოდი, რადგანაც ბევრ ენერგიულ გამოთქმას შევძენდი ფრანგული ლანძღვის ლექსიკონს. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ერთი ბორცვის ძირას ვიდექით და ეს მთა თავიდან ბოლომდე ჩამორეცხილი იყო. კალინო ამ სურათს მისთვის ჩვეული ფილოსოფიური სიმშვიდით შეჰყურებდა, ამისთანები ბევრი მინახავს მოსკოვში თოვლის ლღობის დროსო, -ამბობდა ის.

-რა ღონისძიებას მიმართავენ ამ დროს მოსკოველები? -იკითხა მუანემ.

-არავიტარ ღონისძიებას არ მიმართავენ, - უპასუხა მშვიდათ კალინომ.

ამასობაში წვიმა თოვლად გადაიქცა და ისე სწრაფად დაიწყო თოვა, რომ თუ არ გადაიღებდა, დილისთვის უსათუოდ ექვს ფუტს დასდებდა.

-სხვა გამოსავალი არა გვქვს, ამ ბიჭებს ერთი-ორი მანეთი უნდა მივცეთ, რომ ტარანტასში კამეჩემი შეგვიბან, - ვუთხარი კალინოს, -რამდენიც დასჭირდება იმდენი შეაბმევინეთ.

ეს აზრი მათ ვუთხარით და დაგვთანხმდნენ. ჯერ ოთხი კამეჩი შეაბეს, შემდეგ ექვსი და შემდეგ რვა, მაგრამ ეტლი მაინც ადგილიდან ვერ დასძრეს. საცოდავ კამეჩებს ორკაპ ფლოქვები თიხაზე უცურდათ და გულსაკლავი ბღავილით მუხლებზე ეცემოდნენ. უნაყოფო ცდაში ნახევარი საათი გავიდა და იძულებული გავხდით, ამ ხერხისთვის თავი დაგვენებებინა. ქარი თანდათან გაძლიერდა და ნამდვილ გარბუქად გადიქცა. მიუხედავად საშინელი დარისა მე თვალი ვერ მოვწყვიტე ერთ აუზს, რომელიც ველის მეორე ბოლოში ისახებოდა. თვალწინ ჩმოფარებულ თოვლის ფარდაში ვგრძნობდი, რომ იგი რარაც მშვენიერი რამ უნდა ყოფილიყო. მინდოდა მუანესთვისაც გამენაწილებინა ჩემი ახტაცება, მაგრამ ახლა ამის დრო არ იყო. საცოდავი სიცივისაგან კანკალებდა. ასეთი სიცივე სულ სხვანაირად მოქმედებს, იგი ძვალში ატანს და თითქოს შიგნიდან გამოდის გარეთ და არა პირუკუო, - ამბობდა ის. რა გვექნა? კამეჩები გამოხსნეს. ვერცერთი ნაბიჯით ვერ წასწიეს წინ ტარანტასი, ერთი აზრი დამებადა:

-კალინო, აბა ჰკითხეთ რა მანძილზე ვართ თემირ-ხან-შურასაგან.

-ორ ვერსზეო, - მიპასუხა მან.

-კეთილი, ახლავე გაგზავნეთ კაზაკი თემირ-ხან-შურას პოსტში ჩვენი „საგზაო ქაღალდით“, რომ ხუთი ცხენი მოგვიყვანოს.

ეს გეგმა იმდენად უბრალო იყო რომ ყველას გაუკვირდა. რატომ აქამდე არ მოგვაგონდა. ხომ ხედავთ, რომ ყველგან შეიძლება ქრისტეფორეკოლუმბის კვერცხი გამოგვადგეს. კაზაკმა ცხენი გაქუსლა და ჩვენ უნებურად მ ისთვის უნდა დაგვეცადა. ოდნავ რომ გადაიდარა, მუანეს შევეხვეწე იმ ზღაპრული აულისთვის შეეხედა.

-რაო, ის აული ცავხატო? ისე გავითოშე, რომ თითებს ვეღარ ვგრძნობ. კიბორჩხალს უფრო ადვილად დააჭერინებთ ნემსს ვიდრე მე ფანქარს.

გავჩუმდი. შედარება, რომელიც მხატვრულობის თვალსაზრისით საუკეთესო იყო, არავიტარ იმედს არ იძლეოდა შესრულების მხრივ. მაგრამ მან ცოტა ხანში დაფიქრებით გახედა აულს და დასძინა:

-ძალზე დასანანი კია, დალახროს ეშმაკმა! ლამაზო სოფელი ჩანს, როცა სინათლე ადგება. რა მშვენიერი ქვეყანაა ეს კავკასია, ასეთი ცივი თოვლი რომ არ იცოდეს და ასეთი ცუდი გზები არა ჰქონდეს...ბრრ!

მართლაც, სახლების ჯგუფის შუაზე ამოწვდილ სალ კლდეზე აშენებული იყო კარგად გამაგრებული სახლი, რომლის პატრონი კარის ზღურბლიდან წყნარად გვიყურებდა, თუ როგორ ვებრძოდით ტალახს.

-ერთი იკითხეთ, ვინ არის ის ვაჟბატონი, იმ სიმაღლეზე რომ დასახლებულა?

-შამხალი ტარკოვსკიაო.

-ერიჰაა! გესმით, მუანე, შაჰ-აბასის ხალიფათა შტამომავალი ყოფილა. მაგრამ, აგერ, ცხენებიც მოჰყავთ.

მუანემ მიიხედა, ხუთი ცხენი მოაჭენებდა ჩვენკენ.

-რა ბედნიერებაა! - თქვა მან.

-ჰეი! ცხენები, აბა, იჩქარეთ! -ვიყვირე მე.

ძველი ცხენები შეხსნეს და ახალ მოსულებიც შეცვალეს. მათ ბუმბულივით აიტაცეს ტარანტასი. ჩვსხედით და თხუთმეტ წუთში უკვე თემირ-ხან-შურაში ვიყავით. ჩვენ ბადრაგს კი უკან დაბრუნებისას გავატანეთ ერთი მამალი და ოთხი დედალი ნაცულად უკვე შეჭმული მამისა. თემირ-ხან-შურაში გიზგიზა ცეცხლი გველოდა. ლეიტენანტი ტროისკი იქ ტავის ამხანაგით ცხოვრობდა. მან ცხენებისთვის გაგზავნილი კაზაკის პირით ამახანაგს ჩვენი მისვლაშეატყობინა, და მასაც ჩვენთვის ბუხარი და ღუმელი აენთო. მუანე გათფა თუ არა, მასში არტისტმა გაიღვიძა.

-ის თქვენი აული მართლა ლმაზი იყო!

-ლამაზი იყო, არა?

-რა გვარი იყო ის ბატონი, ზღურბლიდან რომ გვიყურებდა?

შამხალი ტარკოვსკი.

-კარგი კარ-მიდამო ჰქონია. კალინო, სახატავი რვეული მომაწოდეთ, უნდა ჩქარა სდავხატო მისი სამტრედე, თორემ შემაციებს და ვერ მოვასწრებ.

მუანეს სწრაფად შეუდგა ხატვას.

-ვგრძნობ-წყეული ციება მიახლოვდება. უკვე მომედო ტანში... ცოტა ხანს მაინც დამაცდიდეს, რომ სურათი დავამთავრო.

სურათი კი, თითქოს პირდაპირ ნატურიდან იყო გადაღებული, სულ უფრო მკვეთრად ისახებოდა ქაღალდზე რარაც ჯადოსნური ძალით. მიუხედავათ ტემპერატურისა, თუ სწორედ მისი წყალობით, მუანემ შექმნა საუკეთესო სურათი, რომლებიც კი მთელ ამ მოგზაურობაში დაუხატავს.

თავი XIII
ლეკები

დროულად მიღებულმა ქინაქინის დიდმა დოზამ სასწაულერივად ჩააქრპ ციებ-ცხელება. მეორე დილამდი ერთი შეტევაც აღარ მოსვლია მუანეს. მე ვიკითხე , თუა რამე ღირშესანიშნაობა თემირ- ხან -შურაში-მეთქი, მითხრეს, არაფერიო. და მართლაც თემირ-ხან -შურა ანუ, როგორც მას მოკლედ ეძახიან შურა, თანამედროვე ქალაქია. ეს იყო აპშერონის პოლკის სადგომი.როცა ტავადი აღღუმინსკი დარწმუნდა, თუ რაოდენ არახელსაყრელი პოზიცია ჰქონდა ამ პუნქტს მეომარსა და დაუმორჩილებელ ხალხთა შუაგულში, იგი დაღისტნის შტაბ-ბინად გადაიქცა. ამ შტაბს ჩვენი იქ გავლის დროს მეთაურობდა ბარონი ვრანგელი, მაგრამ ის სამწუხაროდ თბილისში იყო. შურას შამი9ლმა ალყა შემოარტყა, მაგრამ მას გენერალი სკლოროვი მიეშველა და შამილი იძულებული გახდა, ალყა მოეხსნა.ერთ ღამეს ამ ქუჩებს მოულოდნელად ჰაჯი -მურატი შემოესია, მაგრამ დროზე განგაში მისცეს და უკუგდებული ჰაჯი-მურატი მთაში დაბრუნდა. გადმოცემა გვეუბნება, რომ იმ ადგილას, სადაც

ახლა შურა მდებარეობს, უწინ ტბა ყოფილა.ჩვენი ჩამოსვლის მეორე დღეს ეს ლეგენდა ფრიად დამარწმუნებელი მოგვეჩვენა:მთელი ქალაქი ერთ მთლიან ბუდეს წარმოადგენდა.

რაკი შურაში სანახავი არაფერი იყო და მუანესაც ციებ-ცხელებამ გაუარა, აღარაფერი დაგვრჩენოდა გარდა იმისა, რომ ჩვენს მასპინზელს გამოვთხოვებოდით, ექიმისთვის მადლობა გადაგვეხადა, ქინაქინა სხვა შემთხვევისთვის შეგვენახა და გზას გავდგომოდით. ცხენები და გამცილებლები მოვითხოვეთ და დილის ცხრა საათი იყო, რომ ადგილიდან დავიძარით. დამავიწყდა მეთქვა, რომ ღამით ვიქტორ ივანოვიჩი შემოგვიერთდა ბარგით. ათი საათისთვის ნისლი გაიფანტა და საუცხოო დარი დადგა, თოვლი, რომელმაც მუანეს ციება დამართა , იმ ციებასავით გაქრა. ცხრათვალა მზე მედიდურად დაგვქცქეროდა და თუმცა უკვე ოქტომბრის მიწურული იყო და ჩვენც კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე ვიმყოფებოდით. ჰაერში რაღაც ცხოველმყოფელი სითბო იგრძნობოდა.

შუადღისას მივედით ფარაულში. უბრალო საფოსტო სადგურსი, რომელსაც მხოლოდ ერთი რამ აკლდა: ეს იყო ცხენები. ბუნებრივია, ზედამხედველს აღარ ვენდეთ და ჩვენ თვითონ დავათვალიერეთ თავლა. სრულიად ცარიელი აღმოჩნდა. რაღა გვეთქმოდა. გული კი ძალიან გვწყდებოდა, რო0მკ დღეში ოც ვერსზე მეტს ვერ გავდიოდით. ღამით ცხენები დაბრუნდნენ, მაგრამ მხოლოდ ორი სამცხენა იყო. საწყალი ვიქტორ ივანოვიჩი ისევ უნდა ჩამოგვრჩენოდა. მხოლოდ დილის ათ საათზე მოვახერხეთ ადგილიდან დაძვრა.ღამით განგაში ატეხილიყო, რომელიც ჩვენ არ გაგვეგონა.სოფლის შემოსავალში ორი კაცი გამოცხადებულიყო და ეთქვათ: ძლივს გადავურჩით ლეკებსაო. მაგრამ ვინაიდან ლეკები ხშირად მიმართავენ ამისთანა ფანდებს აულში შესაპარად, კაზაკები მათ დაემუქრნენ, თოფს გესვრითო დაისინიც გაშორდნენ იქაურობას. გამცილებლად ათი კაცი მოგვცეს. იარაღი გავსინჯეთ და გზას გავუდექით. საათ-ნახევარი ვიარეთ სქელ ნისლში, რომელიც თანდათან გაიფანტა, და ცხენები გავაჩერებინეთ სიფელ ჰელიდან მეოთხედი ლიეს მანძილზე. ეს იყო შამხალ ტარკოვსკის აულის სრული მსგავსება.მთელი წინა ნაწილი , ესე იგი ის ადგილი, რომელზეც ჩვენ ვიდექით, წარმოადგენს საუცხოო ჭალას ხეებით, რომელთა ძირში მიედინებოდა ჭეშმარიტად იდელაური ნაკადული.ზაფხულის ცხელ დღეებში პეიზაჯის მთელი ეს ნაწილი ა ბათ თვალწარმტაცი უაზისი იყო. უფრო შორს მზის სხივებში, რომელნიც ჯერ ისევ კვეთდნენ ბურუს, მოჩნად აოსფელი ჰელი. მაღალ ბრცვზე გაშენებული თათართა თვალწარმტაცი აული მასზე უფრო მარალ ორმთასშუა მდებარეობდა, ხოლო ამ მთათა ძირში იშლებოპდა ორი მშვენიერი მინდორი. თვითონ სოფელს ამ თეატრული მდებარეობა ჰქონდა. შიგ, ეტყობოდა, დიდი მღელვარება იყო. მისზიგითს ოედანი, რომელიც ამ მიზგითზე მაღლა მდებარეობდა, ხალხით იყო სავსე. ადამიანები ერთმანეთს თითქოს რაღაცას ანიშნებდნენ და თითქოს ყველა ერთიდაიგივე საგანს უყურებდა. ათი წუთით შევჩერდით რომ მუანეს სურათი ჩაეხატა. დაამთავრა თუ არა ხატვა დავინახეთ, რომ ჰელის გზაზე ცხენებს მაჭენებდნენ. ცხადი იყო, იქ რაღაც უჩვეულო ამბავი ხდებოდა. და ერთი სული გვქონდა, სანამ გავიგებდით. ჰელის მილიციელებს ლეკებთან ჰქონდათ შეტაკება. გათენებისას ჰელიში ორი ხელებშეკრული მწყემსი შემოსულიყო და მცხოვრებთათვის შემდეგი ამბავი მოეტანა: ორმოცდაათი კაცისაგან შემდგარი ლეკების რაზმი, რომელსაც გუბდენის სახელგანთქმული აბრეკი თაიმას გუმიშბურუნი მოუძღოდა, წინადღით თავს დასხმოდა ცხვრების ბაკს და ცხვარი ტავიანთი წყემსებიანად წაესხა. მაგრამ მათ ნისლში გზა დაბნეოდათ და ღამით ჩაუარეს ფარაულს, სადაც ჩვენ ვათევდით ღამეს. იმწამსვე პირი ებრუნათ, მაგრამ ამჯერად მოხვედრილიყვნენ სოფელ ჰელში. მაშინ მთიელები მიმხვდარან, რომ საშიშ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, მიუტოვებიათ ფარა და მწყემსები და გეზი აუღიათ ტყით დაფარულ მთებისაკენ, რომლებიც ჰელის და ყარაბადაკენტს აკავშირებენ. ჰელი სამიათასი კომლი მოსახლე გამოეხმაურა ამ ნაამბობს. მაშინვე იასაულმა მუჰამედ-იმან-გაზალიევმა ორასამდე თათარი მილიციელი შეაგროვა, ასმდე მონადირეც მოიხმო და ლეკებს დაედევნა. ნაშუადღევი მოტანებული იყო და უკვე სამი საათის წასულები იყვნენ. ჩვენ დავინახეთ დიდი ბოლი, რომელიც ამოდიოდა ქალაქიდან დაახლოებით ორი მილის მანძილზე ყარაბადაკენტის გზიდან მარჯვნივ მდებარე ზილი-კაკას

ხეობიდან. ეს იყო ის გზა, რომლითაც ჩვენ მივემართებოდით. სასწრაფოდ ცხენები შევაბით. ჩვენდაუთქმელად უკვე თორმეტი კაცი მომზადებულიყო გასაცილებლად. რომ მოგვენდომებინა, ალბათ, ისევ მთელი სოფელი წამოგვყვებოდა ქალიან-ბავშვიანად. განსაკუთრებით ქალები აჟღავნებდნენ დიდ მღელვარებას: ხელებს იქნევდნენ, გამწარებით ყვიროდნენ, პატარებს კი გაშიშვლებული ხანჯლები ეჭირათ, თითქოს უკვე მზად იყვნენ მტრის შესახვედრად.

ჰელიდან რომ გავედით, ჩვენ თვალწინ გადაიშალა მთელი ის მინდრორი და მთების ჯაჭვი, სადაც ეს ამბავი ხდებოდა. შორს ბუნდოვნად მოჩანდნენ სწრაფად მოძრავი შავი წერტილები. მანძილი, რომელიც ჩვენ გვყოფთა, შეუძლებელს ხდიდა, გაგვერჩია ადამიანები ცხენებისაგან, მხედრები ჯოგისაგან. მთების გასწვრივ თითქმის ერთ ლიეზე სრულიად სწორი ველი იშლებოდა. ჩემი ორი თანამგზავრის თანხმობის სემდეგ მეეტლეებს ვუთხარი, ეტლები ამ ველით წაეყვანათ პირდაპირ ზილი-კაკას მიმართულებით. ჩვენი ამალა ამ გადაწყვეტილებას სიხარულის ყიჟინით შეხვდა. ბევრ მათგანს ძმა და მეგობარი ჰყავდა ლაშქარში და ჩქარობდა გაეგო მათი ხვედრი. გზას გადავუხვიეთ და მინდორზე გავედით. მაგრამ პერსპექტივის ბუნებრივი კანონის სედაგად, რამდენადაც ვუახლოვდებოდით, პირველი მთა იზრდებოდა, იმ დროს, როცა მეორე, პირიქით, თითქოს დაბლდებოდა. პირველი მთის ძირში რომ მივედით, სრულიად დავკარგეთ მხედველობიდან ის, რაც მეორე მთაზე ხდებოდა. გამაკვირვა, რომ არავიტარი სროლა არ ისმოდა და არც ბოლი ჩანდა. ჩვენმა თათრებმა ეს ასე აგვიხსნეს: მთიელები და მილიციელები მაშინ ისვრიან თოფს, როცა ერთმანეთს პირისპირ დაუახლოვდებიანო. მერე იძრობენ ხმლებსა და ხანჯლებს და საბოლოო საქმეს ცივი იარაღი სწყვეტსო. მაგრამ გაისმა სროლა და ხეობაზე ცეცხლი და ბოლი დადგა. მოვიდა ცივი იარაღის ჯერი. წინ წასვლა აღარ შეიძლებოდა და ეტლები მთის ძირში შევაჩერეთ. თათრებს წინანადება მივეცით ჩვენთვის თავიანთი სამი ცხენი დაეთმოთ. ცხრა მხედარი ჩვენ ამოგვყვებოდა მთაზე, სამი დაქვეითებული კი ეტლებტან დარჩებოდა. ბრძოლა რომ გაჭიანურებულიყო ცხრა კაცისაგან შემდგარ მაშველ რაზმს, - ჩვენ თავმდაბლობა გვეყო, რატა საკუთარი თავი არ ჩაგვეთვალა, - შეეძლო დახმარება გაეწია მილიციელებისათვის. მათ ეს წინადადება მიიღეს. სამი ცხენი ჩვენ მოგვცეს. მე, საკუტარი ავტორიტეტით, როგორც „ გნერალმა“ მეთაურად ის დავნიშნე, რომელიც მტაში ყველაზე უფრო გამჭრიახი მეჩვენა და თოფებმომარჯვებულებმა გავწიეთ. პირველ პლატოზე რომ ავედით, ფაფახების ჯგუფი შევნიშნეთ, რომელიც თითქოს ჩვენკენ მოდიოდა. ჩვენმა კაცებმა როგორცკი თვალი შეავლეს მთ, მაშინვე თავისიანები იცნეს და ყვირილით გააჭენეს ცხენები მათკენ. ჩვენ არ ვიცოდით, საით მივდიოდით, ან ვის ვხვდებოდით მტერს თუ მოყვარეს. მაგრამ ფაფახიანებმაც იცნეს თავისი ამხანაგები, მათაც ვაშა შესძახეს, ხეები ასწიეს და დაგვანახეს ისეთი რამ, რაც თითქოს ვიცანით.

გაისმა ყვირილი: თავები! თავები! ორი ჯგუფი შეერთდა, მესამე კი აუჩქარებლად მოდიოდა უკან. ეს იყო დამკრძალავი რაზმი: მას მოჰქონდა დაჭრილები და დახოცილები. ჩვენ გარშემო გაიბა საუბარი, რომელსაც პირველ წუთებში ვერაფერს მივუხვდით, რადგანაც რუსმა თარჯიმანმა თათრული ვერ გაიგო. მაგრამ საქმეზე უფრო ცხადათ ლაპარაკობდა ოთხი თუ ხუტი მოჭრილი თავი, ხოლო კიდევ უფრო უჩვეულო სანახავი იყო ის, რომ თავები ყურებით მათრახის ტარზე იყო აცმული. ამასობაში არიერგარდიც შემოგვიერთდა. მათ მოჰქონდათ სამი მკვდარი და ხუთი დაჭრილი კაცი. უკან ცხენებზე ისხდნენ სამნი მსუბუქად დაჭრილნი. თვითონ რუსებს თხუთმეტი ლეკი მოეკლათ. ცხედრები იმ ადგილიდან ნახევარ ლიეზე ზილი-კაკას ხრამებში დაეტოვებინათ.

-სთხოვეთ ასეულის მეთაურს, ერთი კაცი მოგვცეს, რათა ბრძოლის ადგილზე გავიძღვეს და შეეხვეწე დაწვრილებით გვიამბოს, როგორ მოხდა ეს შეტაკება, - მივმართე კალინოს.

ასეულის მეტაურმა თითონ მოისურვა ჩვენი წაყვანა ბრძოლის ველზე. იგი დაჯილდოვებული იყო წმიდა გიორგის ჯვრით და პირისპრ ბრძოლაში ორი ლეკი ჰყავდა მოკლული. ყველას,

ვისაც ლეკი მოეკლა, წამოღებული ჰქონდა მტრის მთელი აღჭურვილობა. ერთ მათგანს აღმოაჩნდ საუცხოო თოფი. ვერ გავუბედე, მეთქვა, მომყიდე-მეთქი, თუმცა ძალიან მინდოდა მისი შეძენა. ჯგუფი აულისაკენ დაიძრა. მე ასეულის მეთაურს შევტვაზე, თუ დასჭირდებოდა, ესარგებლა ჩვენი ეტლებით მკვდრებისა და დაჭრილების გადასაყვანად. შემდეგ მებრძოლები სოფლისაკენ დაბრუნდნენ, ჩვენკი ბრძოლის ველისკენ გავწიეთ.

აი, რა გვიამბო მუჰამედ-იმან-გაზალიევმა: მან შეგროვა ასი კაცი და მწყემსს ჰელის გზაზე გაჰყვა. ჰელისთნ ისინი შეხვდნენ ფარას, რომელიც მთიელებს მიეტიოვებინათ. მან ცხვრის გარეკვა მწყემს მიანდო, თვითონ კი მთიელების კვალს დაუწყო ძებნა. მალე ორი კარგად გამოცდილი მეკვლეს თანხლებით კვლს მიაგნეს და სამი ვერსი გაიარეს. მიადგნენ ზილი-კაკას ხეობას, სადაც ამ დროს სქელი ნისლი ცამოწოლილიყო. უეცრად ხევში თითქოს მოძრავი ადამიანები სენიშნეს, მაგრამ იმავე წუთში მილიციელთა რაზმს ტავზე ტყვიაების სეტყვა დაუშინეს. პირველ სროლაზე ერთი კაცი და ორი ცხენი დაეცა. მაშინ იმან-გაზალიევმა შეჰყვირა: გადააგდეთ თოფები! იშიშვლეთ ხმალ-ხანჯლები! და ვიდრე მთიელები ცხენებზე შეჯდომას მოასწრებდნენ, მილიციელები მიიჭრნენ და გაჩახდა ხელცართული ბრძოლა. იმან-გაზლიევი გაშმაგებით იბრძოდა და აღარაფერს ამჩნევდა თავის გარშემო. ის ჯერ ერთ ლეკს შეებრძოლა, მერე მეორეს და ორივე მოკლა. ძლიერი შტაკება იყო, რადგანაც გარშემო რომ მოიხედა ცამეტი მკვდარი დათვალა. ესეიგი ლეკებს თხუთმეტი კაცი მოუკლეს, დანარჩენები გაქცეულიყვნენ. ბრძოლა ცივი იარაღით წარმოებდა, ერთხელაც არავის უხმარია თოფი.

ამასობაში კარგა გზა გავიარეთ. სისხლის ერთმა დიდმა გუბემ გვანიშნა, რომ უკვე ბრძოლის ველზე ვიყავით. მარჯვნივ ერთ ღატაფში ნახევრად შიშველი გვამები ეყარა. ხუთ მათგანს თავები მოკვეთილი ჰქონდა. ვისაც თავი შერჩენოდა, მარჯვენა ყური აკლდა. შემაზრზენი სანახავი იყო ნახანჯლევი ჭრილობები. ტყვია გახვრეტს და გავა, ან შიგ დარჩება და პატარა ღრმულს სტოვებს გარშემო ლურჯი ლაქით. ცივი იარაღის ჭრილობები კი ნამდვილი სასაკლაოს შთაბეჭდილებას ქმნიან. დაფლეთილი სხეული, შუაზე გაპობილი ტავის ქალ, მოჭრილი სახსრები, ისე ღრმად გამოფატრული მკერდი, რომ გულიც კი ჩანს!

იმან-გაზალიევს ვთხოვე, თავისი იარაღი ეჩვენებინა. ეს იყო სულ უბრალო ძვლის ტარიანი ხანჯალი. მხოლოდ პირი მას კარგ ოსტატთან ეყიდა და მოეჭედრინებინა. ეს სულ რვა მანეთი დასჯდომოდა. მე ვკითხე ხომ არ დასთანხმდები ამ იარაღის გაყიდვას და თუ გაყიდი რამდენად-მეთქი.

-რამდენიც დამიჯდა, იმდენად გავყიდი, - მიპასუხა მან უბრალოდ, -ახლა ამ ორი მოკლული ლეკის ხანჯლებიც შემომემატა და ეს ხანჯალი არარ მჭირდება.

ხანჯალი გამოვართვიო, ათ მანეთიანი მივეცი და იგი კავკასიში შეგროვებულ იარაღთა კოლექციას მივუმატე, სადაც თითქმის ყვლა იარაღს ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ცოტა ხანს კიდევ შევიცადეთ, სანამ მუანე გვამებით დაფარულ ხრამს ჩახატავდა. შემდეგ ეს ადგილი რამდენიმე ორბს დავუთმე, რომლებიც თითქოს მოუთმენლად ელოდნენ ჩვენს წასვლას, და უკან გამოვბრუნდით. გადავწყვიტეთ კიდევ, ეტლში არარ ჩავმსხდარიყავით. როცა იმან-გაზალიევს ვემშვიდობებოდით, შევამჩნიეთ, რომ ჩვენ თათრებს მასთან ერთად უნდოდათ დაბრუნება ჰელიში, ასეთი სადღესასწაულო შემთხვევის გამო გავანტავისუფლეთ ისინი. ცხადი იყო, მიღებული გაკვეთილის შემდეგ მთიელები მოკლე ხანში აულჰელის მიდამოებში აღარ გამოჩნდებოდნენ.

ყარაბადკენტში მშვიდობიანად მივედით. იგი გვითხრეს, თავადი ბაგრატიონი ჩასულიყო და რომ ვერ ვნახეთ, ჩვენს შესახვედრად წამოსულიყო. არაფერი დაგვრჩენოდა, უკან უნდა გმოვდგომოდით თავად ბაგრატიონს. ბუინაკში რომ ცავედით, ერთი სახლის შესასვლელტან

თვლი მოვჯკარით ასე ოცდაათი თუ ოცდათხუთმეტი წლის კაცს, რომელსაც ზალზე შვენოდა მოხდენილი ჩერქეზული ჩოხა. ეს იყო თავადი ბაგრატიონი.

თავი XIV
ყარანაის ქედი

ტავადი ბაგრატიონი თურმე მართლა გვეძებდა. მე გაგონილი მქონდა, რომ ტავადი ბაგრატიონი რუსული არმიის ერთ-ერთ უმამაცეს ოფიცრად ითვლებოდა. ეს ჭეშმარიტებასტან ახლოს უნდა იყოს, რადგანაც იგი მეთაურობს ადგილობრივ მთიელთა პოლკს. ქართველი, ესე იგი ბარის კაცი, მთიელთა სარდალი, ყველა თავის მამაც ჯარისკაცზე უფრო მამაცი უნდა იყოს. რაც შეეხება მის წარმოშობას, თავადი ბაგრატიონი საქართველოს იმ უძველეს მფეთა შთამომავალია, რომლებიც 885 წლიდან 1079 წლამდე საქართველოს ტახტზე ისხდნენ. მის გვარს ვხვდებით კავკასიის ისტორიის ქრონოლოგიაში და იგი ქრისტეს დაბადებამდე შვიდასი წლით ადრე თარიღდება. როგორც ხედავთ, თავადი ბაგრატიონის წარმოშობას ჰერცოგ ლევის გვარის უძველესი წარმოშობაც კი ვერ შეედრება საყვედური მაქვს თქვენთვის სათქმელიო, - გვითხრა თავადმა, - შურაში ისე ჩამოხვედით, წინასწარ არ შემატყობინეთო. საამისოდ საპატიო მიზეზი მქონდა. არ ვიცოდი, თუ ის შურაში იმყოფებოდა. შემდეგ ვუამბე, რაც გამოვიარეთ: ქარბუქი, ტბად გადაქცეული ქალაქი, ბოლოს როგორ გაგვიხდა მუანე ავად და როგორ სწრაფად დავტოვეთ ის ადგილი, სადაც მისი პულსი წუთში ასოცჯერ სცემდა.

-სამწუხაროა, - თქვა თავადმა, - მაგრამ ისევ იქ უნდა დაბრუნდეთ.

-სად, შურაში? - ვკითხე მე.

-არა, არავიტარ შემთხვევაში! - წამოიძახა მუანემ, - მადლობთ, იქ მე კარგი განძი შევიძინე.

-კი მაგრამ, თქვენ არ შეგიძენათ ერთი რამ, ბატონო მუანე, - უთხრა თავადმა, - ეს არის ყარანაის ხედი.

-ყარანაი რა არის? - ვკითხე თვადს.

-ეს ისეთი ლამაზია, როგორსაც თქვენს მოგზაურობაში ვერსად შეხვდებით.

-გესმით, მუანე?

-წარმოიდგინეთ მთა... მაგრამ არა, ნურაფერს წარმოიდგენთ. პირდაპირ წაგიყვანთ და ყოველივე თქვენი თვალით ნახეთ.

მუანემ თავი გაქნია.

-ბატონო მუანე, ნუ დაიზარებთ და წამობრძანდით. ვიცი, მადლობელო დამრჩებით.

-აქედან შორს არის, თავადო? -ვკითხე მე.

-ორმოცი ვერსი იქნება, ესეიგი ათი ლიე. თქვენი ტარანტასი და ოთხთვალა აქ დატოვეთ. ჩემს მოჯამაგირეს მივაბარებ. ჩემი ეკიპაჟით წავალთ და ორ საათნახევარში იქ ვიქნებით. იქვე ვივახშმებთ. ნავახშმევს მაშინვე დავწვებით. ხუთ საათზე კი გაგაღვიძებთ. ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე უნდა ავიდე. კარგი ცხენებით ეს არაფერია. სამაგიეროდ ისეთ რამეს ნახავთ...

-ასე რომ ვიაროთ, თბილისამდე ვერასდროს მივაღწევთ, - ამოიხვნეშა მუანემ.

-ჩემო კარგო, თბილისში მხოლოდ ოცდაოთხი საათით დავიგვიანებთ, სამაგიეროდ ისეთ სანახაობას ვნახავ რაც თქვენს სიცოცხლეში არ შეგხვედრია, მერე კი თავადი დარუბანდამდისგაგვაცილებს.

-გეფიცებით, გაგაცილებთ. თუ თქვენ ისე შურაში წამომყვებით და ხვალ ჩემტან დარჩებით, სიტყვას გაძლევთ, რომ ხვალ ღამეს ყარაბადაკენტში გაგათევინებთ.

-კი მაგრამ, იცით, თავადო, რომ საღამოს ექვსი საათის სემდეგ ცხენებს აღარ გვაძლევენ?

-თუ მე გეყოლეთ, შუაღამითაც მოქცემენ.

-წავიდეთ, მუანე, წავიდეთ!

-წავიდეთ, მაგრამ წინასწარ გაფრთხილებთ რომ მძულს ყოველგვარი ხედი.

-იმ ხედის უგულვებელყოფა არ შეიძლება, ბატონო მუანე.

-თუ ასეა, თავადო, დროს ტყუილად ნუღარ ვკარგავთ. მგონია, ვახშამს გვპირდებოდით. ცოტა არ იყოს მოგვშივდა.

-კეთილი, ნუღარ დავკარგავთ დროს, ხუთი ცხენი ჩემს ეტლში და ჰაიდა!

სანამ ცხენებს ეტლში აბამდნენ, მე თვადის იარაღს ვათვალიერებდი.

-რა საუცხოო ხანჯალი გაქვთ, თვადო.

ასეთი რამ ქართველს არასოდეს არ უთხრათ, თორემ იგი იმ წამსვე ისე მოიქცევა, როგორც ბაგრატიონი მოიქცა - მაშინვე ხაჯალი ქამრიდან მოიხსნა.

-მოხარული ვარ, რომ მოპგეწონათ, - წარმოთქვა მან, - თქვენი საჩუქარი იყოს. ეს არის კავკასიაში პირველი იარაღის ოსტატის მურთაზალის ნაკეთობა. სპეციალურად მე გამიკეთა. აგერ თათრული წარწერაც: „ეს ხანჯალი გააკეთა მურთაზლმა თვად ბაგრატიონისთვის“.

-კი მაგრამ, ბატონო თვადო...

-ინებეთ, ინებეთ, მე კვლავაც გამიკეთებენ.

ჩემს ხანჯაკლს დავხედე. ისიც საკმარისად კარგი დაღისტნური იარაღი იყო. მაგრამ მწვანე ძვლისტარიანი ოქროთი მოოჭვილი იარაღი სრულიად არ იყო თვადის შესაფერისი. ეგეც რომ არ ყოფილიყო, ხანჯალში ხანჯლის გაცვლა სასაცილო გამოვიდოდა და გავიფიქრე, ჩემს შტუცერიან კარაბინს ვაცუქებ-მეთქი. ეს კარაბინი ჩვენმა იარაღის დიდმა ხელოვანმ დევიმმა რევორველთან ერთად მომართვა წამოსვლის წინა დღეს. „კავკასია ისეთი ქვეყანაა, სადაც არ შეიძლება სროლა არ მოგიხდეთ, თქვენ გიყვართ კარგი იარაღი, გამომართვით და წაიღეთ“, - მითხრა მან. ეს კარაბინი თადს მივეცი და მისი მექანიზმი ავუხსენი. მ,ას თურმე სმენოდა ამ ახლი გამოგონების სესახებ, მაგრამ თვითონ იარაღი ჯერ არ ენახა.

-კარგია, - თქვა მან, - ახლა, როგორც კავკასიაში იტყვიან, კუნაკები ვართ. დღეიდან უფლება აღარა გაქვთ, რამეზე უარი მითხრათ და ვინაიდან თქვენი მოვალე ვარ, ნება მომეცით ანგარიშები გაგიქვითოთ.

მოგვახსენეს, ეტლები შებმულიაო. თავადის მეეტლე, როგორც გადაწყდა, ჩვენი ბარგის და ეტლების სამეთვალყურეოდ უნდა დარჩენილიყო. ჩვენ კი გზას გავუდექით.

-ეჰე, მე ვატყობ, ამ ადგილებში ყველა გიცნობს, თავადო!

-ოღონდაც მიცნობენ, ერთავად შურასა და დარუბანდის გზაზე ვარ გამდგარი.

თავადს, მართლაც, მთელი ქვეყანა იცნობდა, პატარა ბავშვებიც კი. ყარაბადაკენტში სანამ ცხენებს გვიცვლიდნენ, რამდენიმე ბავშვს თათრულად გამოელაპარკა და წასვლისას ერთი მუჭა აბაზიანები გადაუყარა. გზაზე მას ვუამბე ჩვენი დილანდელი თავგადასავალი და ვაჩვენე ხანჯალი, რომელიც იმან-გაზალიევისგან ვიყიდე, თან სინანულით დავსძინე იმის გამო, რატომ არ ვცადე მისგან ლეკთა ბელადის თოფი შემესყიდა-მეთქი.

-ის თოფი უკვე ნაყიდია, - მითხრა თვადმა.

-როგორ, ვინ იყიდა?

-მე ვიყიდე, ბატონო, ეს ჩემი ხანჯლის დამატება იქნება. ის თოფი დღეიდან თქვენს საკუთრებად იგულეთ.

-კი მაგრამ, ის ახლა უკვე შორს იქნება.

-შესაძლებელია, მაგრამ დაეწევიან. ისე ჩათვალეთ, ვითომ უკვე ხელში გაქვთ. თავად ბაგრატიონს ტყუილი ლაპარაკი არ უყვარს. აი, ნახავთ, - დასძინა მან სიცილით, - ჩვენ საკმარისად ჩქარა წავალთ, რადგან თქვენ თოფს დავეწიოთ.

-მე მგონია, ასე უნდა მოვიქცეთ, თორემ ტყვია თვითონ დაგვეწევა.

საღამოს რვა საათზე შევედით შურაში, რომელიც წინა დღით დილის ათ საათზე დავტოვეთ. სამ საათ-ნახევარში გავიარეთ ის გზა, რომელსაც დღე-ნახევარი მოვანდომეთ. ათი წუთის შემდეგ ვახშამზე მიგვიწვიეს. ეს იყო ნამდვილი ფრანგული ვახშამი და ბაგრატიონმა მაშინვე პარისზე ჩამოაგდო საუბარი. მხოლოდ ორი წელიწადი გასულიყო, რაც თვადს პარიზი დაეტოვებინა. თურმე მთელ პარიზს იცნობდა. ჩვენი მანდილოსნებისთვის რომ გეთქვათ, ყარანაის ქედის ძირას დარუბანდისა და ყიზლარის გზაზე თქვენზე გვქონდა საუბარიო, არ დაგვიჯერებდნენ. ნაცახშმევს კი ნამდვილ ლოგინებში ჩაგვაწვინეს. დილის ხუთ საათზე გაგვაღვიძეს. ჯერ ისევ ღამე იყო. ცა ვასკვლავებით მოჭედილიყო, კარებზე ცხენების ჭიხვინი და მათი ფეხების ბაკუნი ისმოდა. თავადი ჩვენს ოთახში სემოვიდა.

-ახლა თითო ჭიქა ჩაი ან ყავა დავლიოთ და გზას გავუდგეთ. მზის ამოსვლას კასპიის ზღვაზე დავინახავთ. ვისაუზმებთ ციხე-სიმაგრე იშკარტში, სადაც კარგ მდაზე ვიქნებით, შემდეგ... შემდეგ კი თქვენ ნახავთ... არ მინდა წინდაწინ სიამოვნება გაგიფუჭოთ.

თითო ჭიქა ყავა დავლიეთ და გამოვედით. კარზე გვიცდიდა თავადის რაზმი ასი კაცის შემადგენლობით. უკვე მოგახსენეთ, რომ ეს პოლკი ადგილობრივი მთიელებისაგან შედგებოდა. შეიძლება თქვენ იფიქროთ, რომ ეს ადგილობრივი მთიელები ლეკები, ჩეჩნები ან ჩერქეზებია. არა ესენი არიან, როგორც კორსიკაში იტყვიან, ყველა ღარიბ-ღატაკნი, „რომელთაც ტყავი გახვრიტეს“. როცა მთიელს მოსისხლე მტერი ემუქრება, იგი სტოვებს თავის ადგილებს და თვას აფარებს ბაგრატიონის პოლკს. ახლა წარმოიდგინეთ როგორი თავგამოდებით იბრძვიან ეს ვაჟბატონები. აქ არ ვარდებიან ტყვეთ. რამდენიც ტყვეა, იმდენი მოჭრილი თავია. ამ ჯოჯოხეთის მოციქულთ მარტო ყაბარდოელი მონადირეები თუ შეედრებიან. დაახლოებით ნახევარ საათს ტყიან ბორცვზე მივდიოდით. ნელ-ნელა თენდებოდა. მხოლოდ მთის ერთი

ტოტი გვიშლიდა ხელს, რომ კასპიის ზღვა დაგვენახა, რომელსაც თემირ-ხან- შურასგან სამ ვერსზე თვალი მოვკარით, როგორც უზარმაზარ ლურჯ სარკეს. მეორე მზარეს მიწის ნაოჭებში დილის პირველ სხივებზე თეთრად ლაპლაპებდა იშკარტის შეთეთრებული ყაზარმები. რომლებიც თეთრი მარმარილოს სასახლეებს წააგავდა.

გადავჭერით პატარა ველი, ჩვენი ცხენების ფეხქვეშ გუნდგუნდათ დაფრინავდნენ მწყრები და ტყის ქათმები. იშკარტში რომ მ ივედით, დილის რვის ნახევარი იყო. თხუთმეტი ვერსი გავიარეთ. წინადღით ბაგრატიონის მიერ გაფრთხილებული ციხე-სიმაგრის უფროსი უკვე გველოდა. სუზმე მზად იყო. ჩვენს გასაცილებლად დანიშნული ხუთასი კაცი უკვე იარაღში იჯდა. სწრაფად ისაუზმეთ, მაგრამ გვარიანათ დავნაყრდით და ცხრა საათზე გავუდექით გზას. შუადღემდე მოვასწარით ასვლა. ქვეითმა ჯარისკაცებმა სამჯერ ათ წუთიანი შესვენება მოაწყეს. თავადმა მათ სამივეჯერ პატარა ჭიქებით რაყი დაურიგა. ჯარს უკან მოსდევდა ზურგზე კასრ სეკიდებული ცხენი. უკვე რვა თუ ათი ვერსი იყო, რაც ტყიანი ადგილები გაქრა და ადგილი დაუთმო ბალახიან კორდებს, რომლებიც დაუსრულებლად ერთმანეთს სცვლიდნენ. თვითეულ ბორცვზე რომ ავდიოდით, გვეგონა ის უკანასკნელი იყო, მაგრამ ვცდებოდით, ახლა მეორე აიმართებოდა ჩვენ წინ და ისიც უნდა გადაგველახ.

ამასობაში, ვიდრე რუსების მიერ 1842 წელს დანგრეულ ერთ დიდ სოფელტან მივიდოდით, ოდნავ გაკვალულ ბილიკს დავადექით. თითო სახლს ერთი ან ორი კედელიღა ჰქონდა შერჩენილი. უცნაური სანახავი იყო ნახევრად დანგრეული მიზგითი. იმ სოფელს რომ გავცდით, ბილიკი აღარ ჩანდა, მაგრამ ისე ბორცვებზე გვიხდებოდა სვლა-ჩასვლლა. ბოლოს უკანსკნელ ბორცვზე ავედით და იქ ყველა ჩვენთაგანმა ერთბაშად ცხენი უკან დასწია. მიწა თითქოს ფეხიდან გამოგვეცალა. კლდე თავდებოდა და შვიდი ატასი ფუტის სიღმის უფსკრულს გადასცქეროდა. თავბრუ რომ არ დამხვეოდა, ცხენიდან გადმოვხტი. ესეც არ იყოს, სურვილი მქონდა ფეხქვეშ მიწა მეგრძნო. არც ეს მეყო. პირდაღმა დავწექი და თვალზე ხელი ავიფარე. კაცმა თვითონ უნდა გამოსცადოს ეს ენით გამოუთქმელი დაუოკებელი თავბრუსხვევა, რათა გაიგოს, თუ რაოდენ ტანჯვის მომგვრელია იგი. ნერვიულმა კანკალმა ამიტანა, რომელიც მერე თითქოს ჩემგან მიწას გადაედო. მიწა თითქოს ცოცხლდებოდა, მოძრაობდა, ფართხალებდა ჩემ ქვეშ, მაგრამ ეს ჩემი გულის ცემა იყო. ბოლოს თავი ავწიე და საშინელი ძალდატნება დმჭირდა, რომ უფსკრულში გადამეხედა. თავდაპირველად ვერაფერი გავარჩიე, მხოლოდ თვალუწვდენელი ველი დავინახე, რომლის ბოლოშიც ორი ვერცხლ;ისფერი ძაფი მიიკლაკნებოდა. ეს ველი მთლიანად ავარია იყო, ორი ვერცხლის ძაფი კი ანდისყოისუ და ავარიის ყოისუ, რომელტა შეერთების ადგილას მდინარე ულაკი იღებს სათავეს. ჩვენს ფეხქვეშ ავარიის ყოისუს მარჯვენა ნაპირზე წერტილივით მოჩანდა გიმრი, შამილის დაბადების ადგილი, თავისი თვალწარმტაცი ბაღებით, რომელთა ხილი რუსებმა ერთის მეტად ვერ იგემეს. ეს მაშინ მოხდა, როცა ყაზი-მოლა ამ სოფლის დაცვას შეეწირა. აქვე პირველად გამოჩნდა შამილი. ავარიის ყოისუს მეორე მხარეს საკმარისად ამაღლებულ ვაკეზე, ჩვენსავე დონეზე იშლება სოფელი უნზუკული, სადაც ყოველი სახლი გამაგრებულია და გარს აკრავს ქვის ზღუდე. ჰორიზონტზე აქამდე ცხადად მოჩანს აულ ახულგოს ნანგრევები, აულში ადამიანის ჭაჭანება არ ისმის. აქ ჩაიგდეს ხელში რუსებმა ხალგაზრდა ჯემალ-ედინი, რომლის ისტორიას მაშინ გიამბობთ, როცა ქართველი თავადის ქალების მოტაცებაზე ვილაპარაკებთ. მარცხნივ თვალი ძლივს არჩევს სოფელ ხუნძაღს. იმის იქით, თვალშეუდგამი ველის დასალიევს, ავარიის ყოისუს სათავესთან ბუნდოვნად მოჩანს ერთი წერტილი: ეს არის აული კაბადა, სადაც უეჭველია, შამილი შიაფარებს თავს, თუ იგი იძულებული შეიქნა ვედენოდან გაიქცეს. კაბადას მარჯვნივ, თუ ანდის ყოისუს თვალს გააყოლებთ, ვიწრო ხვრელში დაინახავთ მოლურჯო ხეობას, სადაც ყველაფერი ორთქლშია გახვეული. ეს არის თუშეთი. ქრისტიანი თუშები რუსეთთან კავშირში არიან და გამუდმებით ეომებიან შამილს. კანტიკუნტად რომ ბოლი მოჩანს, ეს უხილავი სოფლებია. მათი სახელები ვიკითხე, მაგრამ ვერავინ მითხრა. მხოლოდ ყარნაის ქედიდან შეიძლება დაინახოთ ის არაჩვეულებრივი ნგრევა და განადგურება, რომელიც კავკასიონის ჯაჭვს განუცდია. დედამიწის ზურგზე არც ერთი ქვეყანა არ ყოფილა ასე

გადათხრილი ვულკანური ძვრბის შედეგად, როგორც დაღისტანი. აქ მთებიც ადამინთა მსგავსად დაფლეთილნი არიან დაუსრულებელი მძვინვარე ბრძოლებისაგან.

ყარანაის ქედზე თითქმის ერთ საათს დავრჩით. მე თანდათან შევეჩვიე ბუნების ამ საშინელ სიდიადეს და ბაგრატიონთან ერთად ვაღიარებ, რომ არაფერი მინახავს ამდაგვარი არც ფოლორნის, არც რიგიის, არც ეტნას და არც გავარნის მწვერვალბიდან გადმოხედვისას. და მაინც, უნდა გამოვტყდე, რომ აუწერელი შვების გრძნობა დამეუფლა, როცა ამ თავბრუ დამხვევ უფსკრულს ზურგი ვუჩვენე. ერთ სიურპრიზს კიდევ გვიმზადებდნენ: ჩვენმა ხუთასმა რუსული სიზუსტით ხუთასი თოფი დაცალა. არც ჭექა ქუხილს, არც მეხსა და არც ვულკანის ამოხეთქვას არასოდეს გაუპია ასეთი საშინელი გვრგვინვით ცის თვალუწვდენელი სივრცე. ერთხელ კიდევ მიმიყვანეს უფსკრულის პირას მიუხედავდ ჩემი ნებისა და მე შევძელი დამენახა ქვემოთ შვიდი ათასი ფუტის მანძილზე გიმრის მცხოვრებნი, რომლებიც ჭიანჭველებივით ირეოდნენ. გაოგნებული სოფლელები ფიქრობდნენ, ყარანი გვენგრევა თავზეო, და თავზარდაცემულები სახლებიდან გამორბოდნენ. ეს ბათქი ჩვენი წასვლის მაუწყებელი ნიშანი იყო.

დავიწყეთ მთიდან ჩამოსვლა. საბედნიეროდ ეს ძალიან ადვილი აღმოჩნდა და ამიტომ მხოლოდ სიამოვნება მოგვგვარა ყველას. ეს სიამოვნება იყო შეგნება იმისა, რომ ჩემი ცხენის ყოველი ნაბიჯი ერთი მეტრით მაშორებდა ყარანაის ქედს. როცა ვამბობ, ცხენის ყოველი ნაბიჯი-მეთქი, ეს მართალი არ არის, რადგანაც დანგრეულ სოფლამდე ფეხით ჩამოვედით და ცხენები აღვირებით მოგვყავდა. მხოლოდ ქვემოთ გავბედეთ და ცხენებზე შევსხედით.

სადილი იშკარტის ციხეში ვჭამეთ, ღამის გასათევად კი ბუინაკში შეგვეძლო ჩასვლა, მაგრამ ისეთი დაღლილები ვიყავით, თვითონვე ვთხოვეთ თავადს დარჩენა. ჩაი რომ ვსვამდით მითხრეს ცოტა ხნით თქვენს ოთახში მიბრძნდით კაცი გელითო. ეს იყო პოლკის მკერავი, რომელიც მოსულიყო, რათა ჩემთვის ზომა აეღო და ოფიცრის ტანისამოსი შეეკერა. თურმე პოლკოვნიკის წინადადებით მე ჯარისკაცთა მიერ ერთხმად ვიქენ არჩეული ადგილობრივ მთიელთა პოლკის საპატიო წევრად. ჩემს პატივსაცემად მთელი საღამო მუსიკა უკრავდა.

თავი XV
დარუბანდი

დილაადრეეან გზას გავუდექით. ისევ გამოიდარა, გაქრა თოვლი და ყინვა. გვითხრეს, დარუბანდის გზაზე გაზაფხული შეგხვდებათო. ისევ გავიარეთ ჰელისი.თავადმა ჩვენი მილიციელების მეთაურს იმან-გაზალიევს რაღაც უთხრა და ეტყობა, მისი პასუხით კმაყოფილი დარჩა. მე მივხვდი, რომ ლაპარაკი ჩემს თოფზე იყო. მაგრამ კრინტიც არ დამიძრავს. გარშემო ყველაფერი გვხიბლავდა.ყოველ ნაბიჯზე ვჩერდებოდით, იმდენად საინტერესო იყო ყველაფერი. ბუინაკში ჩვენი ეტლები და თავადის მოსამსახურე დაგვხვდნენ. მე ბაგრატიონს ჩავუჯექი ეტლში, მუანე და კალინო ჩემს ეტლში მოთავსდნენ. ხუთ წუთში ცხენები შეაბეს და გავემგზავრეთ. გზაზე ცოტა წავინადირეთ. ერთ ბორცვზე რომ ავედით, მწყრები დამავიწყდა.ჩემს თვალწინ კასპიის ზღვა გადაიშალა.მის გლუვ საფირონისფერ ზედაპირზე ერთი ჭავლი არ მოძრაობდა ისეთივე უკაცრიელი ჩანდა, როგორც ის უდაბნო, რომლის გაგრძელებასაც თითქოს წარმოადგენდა. არაფერი მინახავს უფრო დიდი და უფრო სევდიანი, ვიდრე ეს ჰირკანის ზღვა, როგორც მას ძველად ეძახდნენ, ზღვა, რომელიც ჰეროდოტმდე თითქმის ლეგენდარული იყო და რომლის სივრცე და საზღვრები პირველად ჰეროდოტემ დაადგინა. მაგრამ იგი დღესაც ისეთივე უცნობია, როგორც ჰეროდოტეს დროს იყო. ეს არის იდუმალი ზღვა, რომელიც ყველა ჩრდილოეთის, დასავლეტისა და სამხრეთის მდინარეებს იკრებს, ხოლო აღმოსავლეთიდან იღებს მხოლოდ ქვიშას.ნთქავს ყველაფერს განურჩევლად და არავინ იცის, რომელ მიწისქვეშა გზებით კარგავს თავის წყალს. კასპია თანდათან ქვიშით ივსება და ერთ მშვენიერ დღეს უზარმაზარ ქვიშის ტბად ან ისეთ მლაშე ჭაობად გადაიქცევა,

რომელიც ჩვენ ყირგიზეთის და ნოღაის სტეპებში შეგვხვდა.ნიადაგის მდგომარეობისა და გზის მიხედვით, უეჭველია, მას დარუბანდამდე თვალიდან აღარ დავკარგავთ. ბორცვიდან ჩამოვედით, ეტლებში ჩავსხედით, გადავიარეთ უკანასკნელი აღმართ-დაღმართები და ისევ სტეპებში გავივაკეთ. აქ აღარ იყო ის დაუძლეველი აღმართები და თავბრუდამხვევი დაღმართები,რომელთაც კავკასიელი მეეტლეები აინუნშიაც არ აგდებდნენ და ოთხით დააჭენებდნენ.ისინი ხანხდახან ვერც კი ამჩნევდნენ, მთებს შორის მდინარე თუ მიედინება და იმის გადასვლაა საჭირო. მართალია, ეს მდინარე წელიწადში ექვსი თვე დამშრალია, მაგრამ ტავის მოსაგონებლად, იქ ტოვებს რიყის ქვას, რომელზეც ეტლი საშინლად ხტუნავს.ეს არის სიმბოლო ადამიანის ბრძოლისა შეუძლებელთან. ბოლოს ადამიანი ძლევს შეუძლებელს და მიაღწევს მიზანს!მართალია ეს ადამიანი მუდამ ქანცგაწყვეტილია და ტარანტასიც დამტვრეული. მაგრამ რაღას დაეძებ, როცა გზა უკვე გავლილია, მიზანი კი მიღწეული?

ამჯერად ჩვენი მიზანი კარაკენტი იყო. იქ ნაშუადღევის ოთხ საათზე მივედით. ტარანტასიდან სანოვაგე ამოვალაგეთ და ვისადილეთ. ასეთ მოგზაურობაში სადილი დიდი რამ არის, და უმეტეს წილად კარგად სადილობა არასდროს არ ხერხდება.იტალიაში ცუდად ჭამენ.ესპანეთში ცოტას ჭამენ. სტეპებში კი საერთოდ არ ჭამენ. ხოლო რუსებს სრულიად არ ეტყობათ, თუ მათ ჭამის მოთხოვნილება აქვთ. და იმ სანოვაგის მიხედვით, რომელსაც ისინი უმეტეს წილად საჭმელად ხმარობენ, ჩანს, რომ მათთვის ჭამა, არამცთუ არავითარი ხელოვნება არ არის, არც ჩვეულებაა. ოღონდ კი სამოვარი თუხთუხებდეს, ოღონდ კი ჭიქებში ჩაის ოხშივარი ასდიოდეს, და ეს ჩაი ჩინეთის იმპერატორის ყვითელი ჩაია, თუ თავადი ტიუმენის ყალმუხური ჩაი,მათ ნაკლებად აწუხებთ. მაგრამ თავად ბაგრატიონთან ერთად, რომელსაც ჩვენში ეცსოვრა, უყვარდა საფრანგეთი და ასე კარგად აფასებდა იქაურ ხორცსა თუ ბოსტნეულს, მის ოთხფეხსა თუ ფრინველს, შიმშილს არ უნდა შევესინებინეთ. ახლაც მიკვირს, სად იშოვა მან ღვიძლის პაშტეტი, რომლის ჭამაც კარაკენტში დავიწყეთ და დარუბანდში ძლივს გავათავეთ. და ეს სტრანსბურგიდან ათას ორასი მილის დაშორებით. უნდა ითქვას , რომ ჩინეთიდან კიდევ უფრო შორს ვიყავით, მაგრამ საუცხოო ჩაის ვსვამდით. რუსული ლოგინის უპირატესობა იმაშია, რომ სიზარმაცისათვის არ განაწყობს ადამიანს.ცოტა თუ გამოვა იმისთანა სიბარიტი, რომელიც გაღვიძების შემდეგ კიდევ განაგრძობდეს მდგომარეობის შენარჩუნებას ნაძვის მერხზე,რომელზეც უამისოდაც ტარანტასის დამტვრეული ზურგისთვის მხოლოდ შეღებილი ძველი მუხის ფიცრები აქვს ლეიბად. დილის პირველივე სხივი დაუბრკოლებლად შემოდის ოთახში, რადგანაც ფანჯრებს არც დარაბები აქვს და არც ფარდები, და პოეტების გამოთქმა რომ ვიხმაროთ, თქვენს წამწამებზე ათამაშდება.

წამოვდექი თუ არა, გარეთ გამოვედი. სოფელი კარაკენტი განთიადზე ნისლში იყო ჩაძირული. წინა ნაწილი გაკაშკაშებული იყო, შემდეგ ფერები მკრთალდებოდნენ, დიდი ვარდისფერი ზოლი იისფერში გადადიოდა და ლურჯ შორეთში იკარგებოდა. ისეთი წარმტაცი სანახავიმ იყო ეს სოფელი, რომ მუანემ ვერ მოითმინა და ფანქრითაც და აკვარელითაც ჩახატა. დროც გვქონდა: დარუბანდი მხოლოდ ორმოცდაათი ვერსით იყო დაშორებული და დარწმუნებული ვიყავით, თუ გზაზე არაფერი შეგვემთხვეოდა, საღამომდის მოვასწრებდით მისვლას. გზაში, საერთოდ მეტადრე კავკასიაში მოგზაურობისას, ფათერაკი მუდამ სათვალავში უნდა გქონდეს, ფათერაკიც მოვიდა. დარუბანდიდან თვრამეტ ვერსზე ცხენები ვეღარ ვიშოვეთ. მაგრამ ბაგრატიონის თანხლებით ეს არ იყო დიდი უბედურება. ის შუა გზაზე გავიდა, გააჩერა რამდენიმე ურემი და ხან სიცილით, ხან მუქარით, ხან კი ფულით, მეურმეები მეეტლებად აქცია, მათი ჯაგლაგები კი ფოსტის ცხენებად. გზაზე, როცა დაბრუნებულ ცხენებს ვხვდებოდით, ურემს უკან ვაბრუნებდით, ჩვენ კი უფრო სწრაფად მივაქროლებდით ცხენებს.

ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, როცა თათართასასაფლაო გამოჩნდა. ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ დარუბანდს მიუახლოვდით, რომელსაც მხოლოდ ერთი მთა ეფარებოდა. მოზრდილი ბორცვი მთლიანად მოფენილი იყო აღმოსავლეთისკენ პირმობრუნებული

სამარხებით და ზღვას გადაჰყურებდა. ბაგრატიონმა ამ საფლავის ქვათა ტყეში ერთ საფლავზე მიმითითა, რომელიც შეღებილი იყო ვარდისფრად და მწვანედ.

-ეს სულთანეთის საფლავია,-მითხრა მან.

-მაპატიეთ, მაგრამ, ვინ არის სულთანეთი?-ვკითხე მე.

-ეს არის შამხალ ტარკოვსკის საყვარელი თუ ცოლი, როგორც გნებავთ ისე იფიქრეთ. გახსოვთ ის სახლი კლდის თავზე? ეს ზღაპრული ისტორიაა, რომელსაც დარუბანდში გიამბობთ. ასეტი რომანტიკული ამბავი დედამიწის ზურგზე არ არსებობს.

-ამ ამბავს წიგნად დავწერ.

-ნუთუ ფიქრობთ მ რომ პარიზელ მკითხველს დიდად დააინტერესებს ავარიის ხანის ცოლისა და თათართა ბეგის სიყვარული, თუნდაც ის სპარსეთის ხალიფების შთამომავალი იყოს?

-რატომაც არა, გული გულია დედამიწის ყველა ქვეყანაში.

-მართალია, მაგრამ ვნებები სხვასასხვანაირად იჩენენ თავს. ნუ ვიმსჯელებთ ყველა აზიელ ქალებზე ოროსმანის მიხედვით, რომელსაც არ უნდოდა, ნერესტანს მისთვის სულგრძელობაში გადაეჭარბებინა. სულთანეთას საყვარელი ამალათ-ბეგი, პოლკოვნიკი ვერხოვსკის მკვლელი, რომელმაც ჩამოხრჩობას გადაარჩინა, მის ცხედარს მიწიდან თხრის, რათა თავის სიმამრს ახმეტ-ხანს მოჭრილი ტავი მიუტანოს და სამაგიეროდ მისი ქალის ხელი მიიღოს. და თქვენ გინდათ ეს ამბავი გაიგონ სენ-ჟერმენის გარეუბნის გრაფის მეუღლეებმა, მონბლანის ქუჩის ბანკირებმა დაბრედას ქუჩის თავადის ქალებმა?

-ეს მათთვის სიახლე იქნება, ძვირფასო თავადო, და ამის იმედი მაქვს. მაგრამ ეს რა მოჩანს?

-ღმერთო, უკვე დარუბანდია!

მართლაც, უკვე გამოჩნდა დარუბანდი, ესე იგი პელაზგური ხანის უზარმაზარი კედელი,რომელიც გზას გვიჭრიდა მთის წვერიდან ზღვამდე. ჩვენს წინაშე და თითქოს გზას ნთქავდა მხოლოდ მასიური ჭიშკარი. რომელიც ფორმის მხრივ იმ ძლევამოსილ აღმოსავლურ არქიტექტურას მიეკუთვნება., საუკუნეებს რომ მეტოქეობას უწევს. ამ ჭიშკართან მოწყობილი იყო შადრევანი, ისივ ალბათ, პელაზგური ხანისა, სადაც თათრის ქალები თავიანთი გრძელი ჭრელი ჩადრებით წყლის წასაღებად მოდიოდნენ.კბილებამდე შეიარაღებული კაცები ქანდაკებებივით უძრავად და სერიოზულად იდგნენ კედელთან. ისინი არც ლაპარაკობდნენ, არც მათ წინ მოსიარულე ქალებს უყურებდნენ.მხოლოდ ოცნებობდნენ.

გზის გადაღმა მიიმართებოდა ერთი ის დანგრეული კედელი, რომლებიც ყოველთვის გვხვდება აღმოსავლეთის ქალაქების კარიბჭეებთან და შადრევნებთან, და რომლებიც, თითქოს შთაბეჭდილების მისაღებად არიან დატოვებული. კედლის გადაღმა, იქ სადაც ოდეზღაც, ალბად სახლი იყო, უზარმაზარი კაკლები და მუხები იდგნენ. ეტლები გავაჩერეთ. იშვიათია ისეთი ქალაქი, რომელიც ზუსტად შეესაბამებოდეს თქვენ მიერ მისი სახელისა, დაარსებისა, თუ მასში მომხდარი ამბების მიხედვით შექმნილ წარმოდგენას. დარუბანდი სწორედ ასეთი ქალაქია. ეს არის არა რკინისკარიანი ქალაქი, არამედ თვითონ ქალაქი მთლიანად რკინის კარებია. ეს არის ჭეშმარიტად დიდი ზღუდე აზიისა და ევროპის გასამიჯნავად, განკუთვნილი იმისთვის, რომ მას ტავისი ფოლადისა და გრანიტის ძალით შეეჩერებინა შემოსევა სკვითებისა, რომლებიც შიშის ძრწოლას გვრიდნენ ძველ სამყაროს და მის თვალში წარმოადგენდნენ ცოცხალ ბარბაროსულ ძალას,-სკვითებისა, რომელთა სახელი მათივე ისრების წივილისგანაა ნასესხები. როგორც იყო გავბედეთ ქალაქში შესვლა. ეს არის ნამდვილი სასაზღვრო ქალაქი,

აგებული ევროპისა და აზიის მიჯნაზე და ერთსა და იმავე დროს ეროპულიც და აზიურიც.ზემო ნაწილში თქვენ ხედავთ მიზგითს, ბაზერებს, ბანიან სახლებს, ციხე-სიმაგრისკენ მიმავალ მიხვეულ-მოხვეულ ქუჩაბანდებს; ქვემო ნაწილში მწვანესახურავიან სახლებს, ყაზარმებს, ეტლებს, ოთხთვალებს. ქუჩებსი ირევა სპარსული, თათრული, ჩერქეზული, სომხური, ქართული ტანისამოსი, ხოლო ყოველივე ამაში ზანტი, ცივი, სუდარაში გახვეული მოჩვენებასავით თეთრი, ანტიკური მხევალის მსგავსი სომხის ქალი.

ეტლები შეჩერდნენ ქალაქის კომენდანტის გენერალ ასეევის სახლის წინ. მსახურები შესავალშივე გვიცდიდნენ და სუფრაც გაშლილი იყო.ბაგრატიონს თავისი ჯადოქრული ჯოხი თემი-ხან- შურადან დარუბანდისკენაც გამოექნია და ყველაფერი გაემზადებინათ. სასწრაფოდ ვისადილეთ. გვინდოდა მზის უკანასკნელი სხივებით გვესარგებლა და ზღვის ნაპირზე ჩავსულიყავით. ბაგრატიონმა იკისრა გიდობა გაეწია ჩვენთვის. დარუბანდი მისი ქალაქია, ურო სწორად მისი სამეფო. აქ მთელი ხალხი იცნობდა, ესალმებოდა, უღიმოდა. ვგრძნობდით, რომ ყველას უყვარდა ისე, როგორც უყვართ ყველაფერი ბარაქიანი და კეთილსაიმედო, ისე, როგორც უყვართ ჭავლის მფრქვევი შადრევანი, როგორც უყვართ უხვნაყოფიანი და ჩრდილმფენი ხე. ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ ადვილია ძლიერებისთვის იყოს ქველი.

პირველი, რამაც ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, პატარა მიწური ქოხი იყო. იმას სდარაჯობდა ორი ზარბაზანი და გარს ევლო ჯაჭვი.ორი ქვის კვარცხლბეკზე გამოსახული იყო ორი თარიღი: 1722 და 1848, და წარწერა: „პირველი დასასვენებელი პეტრე დიდისა“. 1722 წელს პეტრე დიდი დარუბანდს ესტუმრა, ხოლო 1848 წელს ღობე გაუკეთეს იმ ქოხს, სადაც ის ცხოვრობდა.ზღვის მხრიდან ქოხს იცავს მესამე ზარბაზანი. ზარბაზნები გამოგზავნილია რუსეთიდან. ისნი ჩამოსხმულია დონის ვორონეჟში და დათარიღებულია 1715 წლით. ზარბაზანს, რომელიც ქოხის უკანაა დადგმული იმდროინდელი ლაფეტი აქვს.აი, კიდევ ერტი სადგომი, ამ გენიალური ადამიანისა, რომელიც ხალხის მადლიერებითაა ნაკურთხი. რუსები აღტაცებას იწვევენ იმით, რომ ას ორმოცდაათი წელია გასული პეტრე დიდის სიკვდილის შემდეგ, მათ კი აქამდე არაფრით შეუბღალავთ მისი ხსოვნის პატივისცემა. გაგვიკვირდა, როცა ნაპირზე არსად ჩანდა პორტი. დარუბანდს რეიდიც კი არა აქვს. გემი მას უდგება თხუთმეტი ფუტი სიგანის არხის საშუალებით. გარდა ამ ადგილისა, ზღვა ყველგან კლდეებს ეხეთქება.ერთგვარი მოლო, რომელსაც ზღვა ტავისი ტალღებით ეზიდება, ორმოცდაათი ნაბიჯის მანძილზე გადის ზღვაში. იგი ემსახურება გემების დასატვირთად წყალქვეშა ლოდების ხაზ გარეთ. კედელი, რომელიც ქალაქს სამხრეთის მხრიდან იცავს ამ მოლოს გასწვრივ მისდევს და ზღვაში შედის. რათა კარგი წინააღმდეგობა გაუწიოს ტალღათა ცემას. მას ძირში გაკეთებული აქვსდიდრონი სათოფურები. ღელვის დროს ამ ნახვრეტებში წყალი თავისუფლად მოძრაობს.კასპიის ზღვას არა აქვს მოქცევა და უკუქცევა. ზღვის ნაპირიდან შესანიშნავად მოსჩანს მთელი ქალაქი, რომელსაც ამფითეატრული მდებარეობა აქვს.ეს არის, ასე ვთქვათ, სახლების ჩანჩქერი, რომელიც ბორცვებზე ეცემა პირველი ჯაჭვის უმაღლესი წერტილიდან ზღვის ნაპირამდე. რაც უფრო ქვემოთ ჩამოვდივართ, მით უფრო ევროპული იერი აქვთ სახლებს.ქალაქის ზემო ნაწილი თათართა აულს გვაგონებს, ქვემო ნაწილი კი-რუსულ ყაზარმებს. ნაპირიდან როცა იყურებით, ქალაქი წარმოადგენს გეძელ ოთკუთხედს, რომელიც წააგავს შუაშუ მოკეცილ გასლილ ხალიჩას. სამხრეთის მხრიდან კედელი გამოზნექილია, თითქოს იგი უნებურად დაემორჩილა ქალაქის დაწოლას.

ყველგან, სადაც კედელი შელანძღული არ არის, აშკარად ჩანს მისი პელაზგური აღნაგობა. იმ ადგილებში, სადაც ჩამოქცეულია, ისევ ამოუშენებიათ ჩვეულებრივი ქვით თანამედროვე მშენებლობის წესების მიხედვით. მე მაინც ვეჭვობ, რომ კედელი პელაზგების დროიდან იყოს შემორჩენილი. ამ ფაქიზ დარგში ჩემი აზრის გამოთქმა თუ გავბედე, ვიტყოდი, რომ იგი ალბათ, ააშენა ხოსრო დიდმა.პელაზგური ტრადიციების მიხედვით დაახლოვებით 562 წლებში იუსტინიანბთან ომების დროს. ჩემი აზრით, ამ მისაზრებებისთვის დასაყრდენ საბუთად გამომადგებოდა სამხრეთის კარი მასზე აღმართული ცნობილი სპარსული ლომით, რომელიც

კობადის ვაჟმა ემბლემად აირჩია. იგი ყვლა იმ ლომთა ნაირსახეობაში, რომლებიც მოქანდაკეებმა შექმნეს, წარმოადგენს განსაკუთრებულ სახეობას და თავი ჟღარუნის მსგავსად აქვს გაკეთებული. ლომს ქვემოთ სპარსული წარწერა აქვს, რომლის ამოკითხვა თანამედროვე სპარსელთ არ ძალუძთ. ბაგრატიონი წარწერის ანაბეჭდის აღებას დამპირდა, მე კი აღუთქვი, რომ მას გადავათარგმნინებდი ერტ ჩემ მეცნიერ მეგობარს დე სასის. მხოლოდ დაღამებამ გვაიძულა სასახლეში დაბრუნება. და ცვენ შევთხოვეთ ღამეს, რომ იგი ხანმოკლე ყოფილიყო, როგორც გაზაფხულის ღამე. ძალიან გვეცქარებოდა დარუბანდის დათვალიერება. იგი გვიზიდავდა ჯადოქრული ძალით საღამოს ბინდში და მოველოდით, რომ ეს უნდა ყოფილიყო ყველაზე საინტერესო ქალაქი, რომელიც კი ჩვენ ოდესმე გვენახა.

თავი XVII
ოლინ ნესტერცოვი 248

ირიჟრაჟა თუ არა, უკვე ფეხზე ვიყავით, მე არ მინდა გამოვიჩინო უმადურება დარუბანდის კომენდანტის მიმართ და ვაღიარებ, რომ ეს მესამეჯერ გავათიეთ ღამე წესიერ ლოგინში. რუსულმა სტუმარტმოყვარეობამ დაასწრო ჩვენს გაღვიძებას. კარზე გვიცდიდა უთუოდ წინა საღამოდან შეკაზმული ეტლი. გარდა მეორეხარისხოვანი ქუჩებისა, დარუბანდს, ლათინურისაყდრების მსგავსად ჯვარედინად სჭრის ორი დიდი არტერია. გრძელი არტერია იწყება ზღვიდან და გადის სპარსელთა და თათართა ქალაქში. ოღონდ იგი წყდება ბაზრის ადგილზე, რადგანაც მიწის სიძნელეები აფერხებენ მის მაღლა ასვლას. განივი არტერია იწყება სამხრეთის კარიდან და გრძელდება ჩრდილოეთის კარამდე, ანუ ლომის კარიდან შადრევნის კარამდე. აღმავალ ქუჩას ორივე მხარეს დაჰყვება დუქნები. თითქმისმ ყველა დუქანი რკინა-კავეულისაა და სამჭედლოებია. ყველა ამ დუქნის სიღრმეში გამოჭრილია ნიში, ხოლო ამ ნიშში მისი ჯიშისთვის შესაფერისი უძრავი სერიოზულობით წამოჭიმულა შევარდენი. ამ შევარდნით ყოველ დღესასწაულს თუ უქმე დღეს მჭედელი და მეთუნუქე დიდი ბატონივით ტოროლაზე ან სხვა რამე წვრილ ფრინველზე ნადირობს.

ბაზარი რომ დავათვალიერეთ, მიზგითისკენ გავემართეთ. მე აღმოსავლური წესის მიხედვით ჩექმის გახდა მოვინდომე, მაგრამ მოლამ არ დამანება. მათ მხოლოდ წმინდა ხალიჩები აკრიფეს და იატაკზე გაგვატარეს. მიზგითიდან რომ გამოვედით, ერთმა საფლავის ძეგლმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. ვიკითხე, ვისია-მეთქი. რატომღაც გავიფიქრე, მას კავშირი უნდა ჰქონოდა რაიმე გადმოცემასთან. და არც შევცდი. ეს იყო ნამდვილი ამბავი.

ას ოცდაათი წლის წინათ, როცა სპარსული ქალაქი დარუბანდი ნადირ-შაჰს ექვემდებარებოდა, მოსახლეობა აუმხედრდა მეტად წყნარსა და მშვიდობიან მმართველს და ქალაქის კედლებიდან გააძევა. ნადირ-შაჰი ისეთი კაცი არ იყო, რომ ევროპის კარის ჩაკეტვაზე დათანხმებულიყო. მშვიდობიანი მმართველის სანაცვლოდიქ თავისი ყველაზე უფრო სასტიკი ფავორიტი გაგზავნა და დაავალა ქალაქი დაებრუნებიმა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ხოლო მოსახლეობის დასჯის საშუალება და ხერხები თვითონვე აეჩია. ახალი ხანი დარუბანდისკენ დაიძრა, კარი შელეწა და ქალაქი დაიბრუნა.მმართველობის დაწყების მეორე დღესვე ხანმა ბრძანება გასცა, ყველა მის ქვეშერვდომს მისგითში მოეყარა თავი. კეტილმოაზროვნე მუსლიმანები ეახლნენ. არაკეთილგანმზრახველები კი სახლიდან არ გამოსულან.ვი9ნც მისგითში მივიდა, ხანმა ყველას თითო თვალი დაათხრევინა.ყველათვალებმა შვიდი ბათმანი აიწონა. რაც ფრანგული საწყაოთი ას ათი გირვანქაა.თვალები ჩამარხეს იმ სვეტის ძირში, რომელიც მისგითის კარის პირდაპირ ორი ჭადრის შუა დგას.მე გართული ვიყავი ამ ამბით. რომელიც წააგავდა სულთანის მეუღლის შაჰ-რაზადას ზღაპარს, როცა ჩემკენ მომავალი ოციოდე სპარსელი შევამჩნიე.

-ეს რა ამბავია, თავადო, თვალების დასათხრელათ ხომ არ მოდიან?-ვკითხე ბაგრატიონს.

-ნუ გეშინიათ, ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ დაგიცვათ. ადგილობრივ მთიელთა პოლკის ესოდენ პატივსაცემ წევრს ასე ადვილად როდი სთხრიან თვალებს. ყოველ შემთხვევაში მე მათ მეთაურს ვიცნობ, კარგი ბიჭია. ეგ იმ კაცის შვილია, რომელმაც ქალაქის გასაღები ჩააბარა რუსეთის მეფეს. სახელად კავუს-ბეგ-ალი ბენდი ჰქვია.

თავადი სპარსელებს მიუახლოვდა და ჰკითხა, რა გინდათო.

-ცუდი განზრახვები არა ჰქონიათ, -მომიბრუნდა თავადი, ამ კაცს თქვენი ნაწარმოებები წაუკითხავს რუსულ თარგმანში და თავისი მოძმეებისთვის უამბნია, ხომ მოგეხსენებათ, როგორი მთხრობელები არიან სპარსელები, და ეს ხალხი ყველა „მუშკეტერების“, „დედოფალი მარგოსი“და „მონტე-კრისტოს“ თაყვანისმცემელია.

მართლაც, დეპუტაციის უფროსი მომიახლოვდა, ხელი მკერდზე მიიდო და რუსულად მომმართა:

„სახელოვანო მოგზაურო:!

თქვენი სახელი ჩვენთან კარგადაა ცნობილი თქვენი ნაწერების მიხედვით, რომლებიც რუსულადაა თარგმნილი. კარგა ხანია გაზეთებმა გვაუწყეს, რომ განზრახული გაქვთ პატივი დაგვდოთ და გვესტუმროთ. დიდი ხანია მოგელით, და აი, ჩამობრძანდით კიდეც, რითაც ფრიად გაგვაბედნიერეთ. ნება გვიბოძეთ თქვენო აღმატებულებავ, გამოვთქვათ სიხარული და მადლიერება დარუბანდის სპარსელი მოსახლეობის სახელით, და ნება გვიბოძეთ, იმედი ვიქონიოთ, რომ არასოდეს დაივიწყებთ ჩვენს ქალაქს, როგორც არც ერთი მისი მცხოვრები არ დაივიწყებს თქვენი აქ ჩამოსვლის დღეს“.

მე თავი დავუკარი.

-მიიღეთ, გულწრფელი მადლობა ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე საადისთან მეტოქეობას შესწირა, მაგრამ არასდროს არ ჰქონია იმედი, რომ მისი მეტოქე გახდებოდა,-მივუგე ორატორს.

როცა მათ ჩემი პასუხი გაიგეს, სახეზე დიდი კმაყოფილება გამოეხატათ.

ჩვენ კავუკ-ბეგ-ალი-ბენდისადილზე მივიპატიჟეთ, თან ვთხოვეთ მოეტანა ტავისი მომართვა, რომელიც მინდოდა თან წამეღო. შემდეგ შემოვახტი ბუცეფალს, ბაგრატიონს ვთხოვე, ქარავანს გასძღოლოდა და ციხე-სიმაგრეში მივედით. ალბათ, ალბათ, პატივცემული პოლკოვნიკი ჩვენს მოძრაობას ჭოგრით თვალს ადევნებდა, რადგანაც კარებში დაგვხვდა თავისი ადიუტანტით. ერთმანეთს რომ მივესალმეთ და მოვიკითხეთ, ვთხოვე, ნება მიბოძეთ ქალაქს გადავხედო მეთქი. ჩემ თვალწინ გადაიშალა თითქოს უკუღმა შებრუნებული ქალაქი, მაგრამ მე ის ამ მხრიდანაც მაინტერესებდა. იგი ახლა მთაზე კი აღარ იყო შეფენილი, თითქოს მხოლოდ ზღვის პირზე იშლებოდა სიგანით ერთ, სიგრძით კი სამ კილომეტრზე. იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, თვალი არჩევდა მხოლოდ ქუჩებით გადაკვეთილ სახლების სახურავებს. მთელ ქალაქში მხოლოდ ორრგან მოჩანდა მწვანე მასივი. ერთი იყო სახალხო ბაღი, მეორე მიზგითის ჭადრები, რომელთა ჩრდილში დამარხულია დარუბანდის ცხოვრებთა თვალები. მუანემ მიკროსკოპულად ჩაიხატა ქალაქი და განზრახული აქვს იგი ათჯერ გაზარდოს მასშტაბით. იშვიათად თუ მენახა ასეთი დიდებული სანახაობა. ბაგრატიონმა გვითხრა, საუზმე ცივდება და სახლში სევიდეთო. სახლში კი გველოდა მომხიბლავი ოჯახი, რომლის ყველა წევრი ფრანგულად ლაპარაკობდა. და ეს კასპიის ზღვისპირზე, წარმოგიდგენიათ? პირდაპირ საოცრება იყო!

საუზმის დროს გუბერნნატორის ნაამბობიდან გავიგეთ, რომ ამ ციხე-სიმაგრეში ბეზტუჟევ-მარლინსკის უცხოვრია ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ.

-იცით თუ არა თქვენ, რომ ოლინ ნესტერცოვი აქედან ხუთას ნაბიჯზეა დაკრძალული? - მკითხა გუბერნატორის მეუღლემ.

-არ ვიცი, - მივუგე მე.

შესანიშნავად ვიცოდი ვინ იყო ბესტუჟევ-მარლინსკი, მაგრამ არ ვიცოდი ვინ იყო ოლინ ნესტერცოვი.

-ჯერ საფლავს გაჩვენებთ, - მითხრა კომენდანტის მეუღლემ, - შემდეგ კი მის ამბავს გიამბობთ.

ამ წუთითად მოუთმენლობამ ამიტანა და ვნატრობდი, საუზმე ჩქარა გათავებულიყო. კარგი საუზმე ძალიან მიყვარს, მაგრამ საინტერესო ამბები მირჩევნია. სკარონის დროში რომ მეცხოვრა და მის სადილებს დავსწრებოდი, ყველაფერს ვამჯობინებდი მისი ცოლის მიერ მოტანილ შემწვარ კერძს. ნასაუზმევს მანდილოსნებმა ისურვეს წაგვყოლოდნენ ქრისტიანთა სასაფლაოზე. კიდევ ასიოდე ნაბიჯზე ვიცოცეთ და აღმოვჩნდით ერთ პატარა ვაკეზე, რომელიც ერთი მხრიდან დიდ ხევს გადმოჰყურებდა, მეორე მხრით კი პირიქით, ქმნიდა მთის აღმავალ ფერდობს. ამ მხრიდან ციხის კედლები ტყვიებითაა დაცხრილული. 1831 წელს ყაზარ-მოლასაგან ალყაშემორტყმული ციხე არ გატყდა, მაგრამ ძალიან დაზიანდა ერთი კოშკის მეზობლობის გამო, რომელიც მთიელებმა აიღეს. ასეთი შემთხვევა რომ აღარ განმეორებულიყო ეს კოშკი დაანგრიეს. იგი შეადგენდა ნაწილს იმ სიმაგრეთა სისტემისა, რომელიც პირველ ციხეს მეორესთან აკავშირებს. გარდა ამისა ეს კოშკი უერთდებოდა იმ ცნობილ კედელს, რომელიც მეტოქეობას უწევს ჩინეთის კედელს და რომელიც ზოგიერთი ისტორიკოსის სიტყვით, დარუბანდიდან ტამანამდე გრძელდებოდა, ჰკვეთდა მთელ კავკასიას და ჰყოფდა ევროპასა და აზიას. მაგრამ ამ წუთში ჩემს აზრებს ფლობდა არა ეს კედელი, თუნდაც ესოდენ ძველისძველი, გრძელი და გამოუკვლევი, არამედ ოლიმ ნესტერცოვის საფლავი. მთებიდან რომ გავედით, გზას მარცხნივ გადაუხვიეთ და მივადექით სასაფლაოს, რომელიც კასპიის ძღვას გადასცქერის. პატარა სასაფლაოსგან ოდნავ განზე აღიმართება მეტად უბრალო ფორმის საფლავის ქვა, რომელსაც ერთ გვერდზე აწერია:

აქ განისვენებს ნეშტი

ქალწულის ოლინ ნესტერცოვისა.

დაიბადა 1814 წელს, გარდაიცვალა 1833 წელს.

მეორე გვერდზე ამოჭრილია მეხისაგან გადატეხილი, ფურცელჩამოცვენილი ვარდი, რომელსაც ზემოდან აწერია „ბედისწერა“. ამ საცოდავ გოგონაზე შემდეგს გვიამბობენ: ბესტუჟევსა და ამ ქალს სამიჯნურო კავშირი ჰქონია. ერთი წლის მანძილზე არაფერს შეუშფოთებია მათი ბედნიერება. ერთხელ, ერთ საკმარისად გაჭინურებული ქეიფის დროს საუბარი ჩამოვარდა ოლინ ნესტერცოვზე. ქალის ერთგულებაში დარწმუნებულმა ბესტუჟევმა მას ქება დაუწყო. ამ დროს ერთმა მეინახემ წამოაყენა სანაძლეო, რომ შეაცდენდა ქალს. ბესტუჟევი დასთანხმდა, მაგრამ ამბობენ, ოლინა დამარცხდა, ხოლო ბესტუჟევს ამის დამამტკიცებელი საბუთიც მიუტანეს.

მეორე დღეს ახალგაზრდა ქალი თავის მეგობარტან მივიდა. რა მოხდა პოეტის ოთახში, ვერავინ გაიგო. ჯერ გაისმა სროლის ხმა, შემდეგ ყვირილი. ბოლოს, დაინახეს, რომ თვითონ ბესტუჟევი გაფითრებული და დაბნეული გამოვიდა სახლიდან. ოთახში რომ შევიდნენ ნახეს მომაკვდავი ოლინა იატაკზე სისხლში ცურავდა. ტყვია მკერდში ჰქონდა მოხვედრილი. გვერდით

დაცლილი პისტოლეტი ეგდო. მომაკვდავს ჯერ კიდევ შეეძლო ლაპარაკი. მან მღვდელი მოითხოვა, ხოლო ორი საათის შემდეგ გარდაიცვალა. მღვდელმა ფიცის ქვეშ განაცხად, ქალმა მიამბო, როცა ბესტუჟევისთვის ხელიდან მინდოდა პისტოლეტის გამოტაცება, იგი უნებლიედ გავარდაო. ბესტუჟევს ბრალი არ უდევს ჩემს სიკვდილშიო. დაიწყო ძიება ბესტუჟევის წინააღმდეგ. მაგრამ მღვდლის ჩვენებით იგი გაამართლეს. პოეტმა ოლინას საფლავზე ძეგლი დადგა წარწერითა და ვარდის გამოსახულებით. მეხდაცემული გადამტყდარი ვარდი საბრალო ოლინას ბედის საშინელი სიმბოლოა. ამ დღიდან ბესტუჟევი სრულიად გამოიცვალ. მის გულს დაეუფლა პირქუში მელანქოლია, საფრთხეში თავის ჩაგდებისა და სიკვდილის წყურვილი. იგი მოხალისედ მიდიოდა ყველა ექსპედიციაში და უცნაურია, რომ თუმცა ყველგან პირველი და უკანასკნელი იყო ბრძოლის ველზე, მაინც უვნებელი ბრუნდებოდა იქიდან. ბოლოს 1838 წელს აფხაზეთში ექსპედიცია გაიგზავნა და ლაშქარის სოფელ ადლერისაკენ დაიძრა. როცა ერთ ტყეში უნდა შესულიყვნენ, ლაშქარი გაფრთხილებულ იქნა, ტყე სავსეა მთიელებით, რომლებიც რიცხვით სამჯერ სჭარბობენ რუსებსო. გარდა ამისა, მთიელებს პოზიციაც უკეთესი ჰქონდათ, რადგანაც ტყეში იყვნენ ჩასაფრებულები. პოლკოვნიკმა ბრძანება გასცა, უკან დაეხიათ. ბესტუჟევი კაპიტან ალბრანდთან ერთად მსროლელებს მეთაურობდა. იმის მაგივრად, რომ ბრძანებას დამორჩილებოდნენ, ისინი ღრმად შევიდნენ ტყეში. შემდეგ კაპიტანი ალბრანდი მარტო დაბრუნდა, ბესტუჟევისა კი კვალიც გაქრა. თავადმა თარხნიშვილმა კაპიტანი ალბრანდი ორმოცდაათი მეგრელი მონადირით ბესტუჟევის საძებნელად გაგზავნა, მაგრამ ამასობაში გენერალ ექსპეგოს ერთი საათი მოუტანეს, ყველამ იცნო გამოჩენილი რომანისტის საათი. ამაზე მეტი მისი არც რამე უნახავთ და არც რამე გაუგიათ. მე ბაგრატიონს ერთი ლექსი დავტოვე და ვთხოვე ამოეჭრათ საბრალო ოლინ ნესტერცოვის საფლავის ქვაზე ჩემი დარუბანდში გზად გავლის სამახსოვროდ:

ოც წელს იცოცხლა...

უყვარდა...

იყო სათნო და მშვიდი...

ერთ დღეს დაეცა...

ემსგავსა ქარით მოწყვეტილ ვარდს.

ცოცხალთა მიწას აროდეს

არამძიმებდა იგი,

მიწაო მიცვალებულთა,

ნუ დაამძიმებ მას!

თავი XVII
კავკასიის დიდი კედელი255

მინდოდა ამეწერა ჩემი მოგზაურობა ამ გრანიტის გიგანტის გასწვრივ, როცა მომაგონდა, რომ ტავადმა ტარხნისვილმა ნუხაში ბესტუჟევის ხელნაწერი მომცა, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი ეს გზა. გადვწყვიტე მოვიყვანო პოეტის მიერ გავლილი გზის აღწერიდან ის ადგილი, რომელიც კავკასიის კედელს ეხება:

„კავკასიის კედელი მიემართებოდა სიმაგრე ნარინ-ყალას მარჯვენა კუთხიდან პირდაპირ დასავლეთისკენ და გადადიოდა მთებსა და ხევებზე. მას დაჰყვებოდა პატარ-პატარა კოშკები,

რომლებიც ერთმანეთისაგან არათანაბარი მანძილით იყვნენ დასორებულნი და ზომითაც არ იყვნენ ერთნაირნი. საფიქრებელია, რომ ისინი მთავარ საგუშაგოებად ყვნენ განკუთვნილნი; მათში ინახავდნენ იარაღსა და სანოვაგეს. იქვე ცხოვრობდნენ ჯარის უფროსები და ომიანობის დროს იქვე იწვევდნენ ლაშქარს. თვით კედელი სიმაღლით, სისქითა და წყობის წესით ძალიან ჰგავს დარუბანდის კედელს, თუმცა პირველის სიმაღლე იცვლება ნიადაგის უსწორმასწორობაშატნ დაკავშირებით და ციცაბო დაღმართებში იგი კიბისებურად დაბლდება. შიგა ნაწილი, ანუ მისი ზურგის ტვინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, შედგენილია პატარა ფილებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან თიხითა და ცემენტითაა დაკავშირებული. კოშკები ერთი არშინითაა კედელზე მაღალი. უნდა ითქვას , რომ ეს არის საერთოდ აზიური სიმაგრეების დამახასიათებელი ნიშანი წინაღმდეგ გოთური სიმაგრეებისა, სადაც კოშკები კედელზე ბევრად უფრო მაღლებია. მათში სიცარიელეა და თითქმის ყველას სიგრძისათოფურები დასდევს. მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა და ამ კედლის უდიდეს ანტიკურობას მოწმობს ის, რაც დენონმა ფარაონთა პირამიდებში აღნიშნა. ეს არის, ჩემი აზრით, ის რომ აქ სრულიად არსად გვხვდება თაღები. მე გავიარე ამ კოშკების ყველა მიწისქვეშა ხვრელებში, რომლებიც წყაროებსა თუ წყალსაცავებს უკავშირდებიან და არსად შემხვედრია თაღი. დარწმუნებული ვარ, კავკასიის კედლის მშენებლებმა არ იცოდნენ თაღი. მართალია, თაღებს ვხვდებით დარუბანდის კარებში, მაგრამ საფიქრებელია, რომ დარუბანდის კარები ხოსროს დროინდელია, მაშინ როცა კედელი, ვფიქრობ, ბევრად უსწრებს მეექვსე საუკუნეს. წინააღმდეგ რაბული არქიტექტული კანონებისა, რომელიც ანტიკური ხანის შეისრულ თაღებს იცნობდა, დარუბანდის კარებებს მრგვალი თაღები აქვთ. გასავლელები მოკირწყლულია სრულიად ბრტყელი ქვის ფილებით, ანდა ისე გაწყობილი, როგორც კრამიტი სახურავებზე. საფიქრებელია, ამ ქვებს მეზობელი კარიერებიდან მოეზიდებოდნენ, რომლებიც დღეს მივიწყებულები არიან. ამბობენ თითქოს ქვა ზღვის ნაპირიდან მოჰქონდათ, მაგრამ მე ეს საეჭვოთ მიმაჩნია, რადგანაც არ ჩანს ის ზღვის ნიჟარები, რიომლ;ებიც დამახასიათებელია კასპიის ზღვის ნაპირის კენჭებისთვის. გარდა ამისა ძალიან რთული, რომ არა ვთქვათ, შეუძლებელიო, იქნებოდა ასეთი ტვირთვის აზიდვა მთებზე. დაბოლოს ეს იქნებოდა ტყუილი შრომა, რადგან ქვა ხომ იქვე იყო.

დარუბანდიდან ოცი ვერსით დაშორებული პატარა ციხე კეჯალ-კალე რომ დავათვალიერეთ, გადავედით კედლის მეორე მხარეზე. მთიელთა ახლანდელ წინასწარმეტყველს ყაზი-მოლას, რომელიც გასულ წელს დარუბანდიდან უკუაგდეს, კეჯალ-კალეში სდომებოდა გამაგრება. მაგრამ ვერ შესძლო.

ვისადილეთ ერთ სოფელში, რომელიც მაღლა მთაზე მდებარეობს და ეწოდება მსტაგი. შემდეგ გზა განვაგრძეთ დარუბანდისაკენ და იმისთვის შევჩერდებოდით ხოლმე, რომ თვალი გადაგვევლო ისტორიული ქალაქის კამაკის კოშკებისთვის, რომელიც დარუბანდის ახლოს მაღალ კლდოვან კონცხზე მდებარეობს.

საინტერესოა, საით მიიმართებოდა ან სადამდისაღწევდა ეს კედელი, როდის დაიწყო მისი გატაცება სოფლების ასაშენებლად? აი, კითხვები, რომელთაც, ალბათ, ვერასდროს გავაშუქებთ. ერთმა ჩემმა გამცილებელმა თათარმა მითხრა, ერთი ზღვიდან მეორემდე ამბის წაღებას ამ კედლის საშუალებით ექვსი საათი სჭირდებაო. ჩვენ კი დღეს ამ კედლის შესახებ არაფერი ვიცით, გარდა იმისა რომ იგი არსებობდა, ძველი ხალხების ეს დიდი ძლიერება, ეს უტყუარი საბუთი. იგი ჩვენ დღეს გვამძიმებს თავისი იდეითა თუ შესრულებით. როგორი უნდა ყოფილიყო ძველი კავკასიის მოსახლეობა? თუ სკანდინავიის საცოდავ გრანიტებს ერების ქარხანა უწოდეს, მაშინ კავკასია იმსახურებს,, რომ მას ადამიანური მოდგმისაკვანი დაერქვას. მის მთებზე დღის სინათლე ნახეს სამყაროს პირმშოებმა. მის ხეობებში სახლობდნენ ტომები, რომელიც თანდათან დაბლა ჩამოდიოდნენ და დედამიწის ხელუხლებელ ზედაპირს ედებოდნენ. დევნიდნენ, ანადგურებდნენ სხვა ტომებს და სისხლით რწყავდნენ ნიადაგს, რომელზეც ცოტა ხნის წინათ ოკეანე ბობოქრობდა. ამ დრომდე კავკასიონის ჯაჭვი

წარმოადგენდა კუნძულების ჯგუფს, რომელთა მწვერვალები პირველყოფილი ოკეანიდან მოჩანდნენ. ამიტომაა, რომ ყაბარდოელებს, კავკასიის მთიელთა ყველაზე ძველ ოჯახს დღესაც ადიგელები ეწოდება, რაც მათ ენაზე კუნძულების მცხოვრებთ ნიშნავს.

დაუშვათ, რომ ეს კედელი სპარსელებმა და მიდიელმა მეფეებმა ააგეს. მაგრამ ხომ უნ და ყოფილიყო ძალა, რომელიც ბრძანებას შეასრულებდა? ეს ძალა სხვა არა იყო რა, თუ არა ხალხი ან ჯარი, ხოლო მას ჭირდებოდა კვება და განა შესაძლებელია, რომ საკვები აქ ხალხისთვის სპარსეთიდან მოეწოდებინათ? უფრო სარწმუნოა, რომ იმ ეპოქაში კავკასია უხვად ყოფილიყო დასახლებული და რომ ეს გიგანტური ნაგებობა ადგილობრივი მოსახლეობის ქმნილება ყოფილიყო? ამაში არის იოტისოდენა ჭეშმარიტება, მაგრამ რას მოგვცემს იოტისოდენა ჭეშმარიტება, მაშინ, როცა ჩვენ არ ვიცით თვით დიდი ჭეშმარიტება... მე ვთქვი ჩემი სათქმელი.

ბესტიჟევ-მარლინსკი.

ბესტიჟევის შემდეგ ოცმა წელმა გაიარა, ჩვენ განვვლეთ იგივე გზა, ოღონდ შვიდი ვერსით გავცილდით მას. ჩვენც მასავით ვინახულეთ დევების გამოქვაბული, ვიყავით წმინდა ძუძუს მღვიმეში, დავათვალიერეთ მიწისქვეშა წყალსაცავები, საიდანაც კოშკში მყოფი გარნიზონები წყლით სარგებლობდნენ, და როცა მისი ახწერა გადავიკითხეთ, ისეთი ზუსტი დამთხვევა ვპოვეთ, რომ ვარჩიეთ მკითხველისთვის ის მოგვეწოდებინა. და ახლა, როცა პოეტის ნეშტი ისკანდერების, ხოსროების და ნუშირვანების ნეშტებს შეხვდა, ნეტავ თუ გაიგო უფრო მეტი ამ კედლის შესახებ, ვიდრე სიცოცხლეში იცოდა? ან იქნებ მის სულს სხვა აღარაფერი საზრუნავი აქვს გარდა იმისა, რომ უპასუხოს შემოქმედის კითხვას:

-რადააწიე შენს დას ოლინ ნესტერცოვსო?

იმედი უნდა გვქონდეს, რომ მაღლა, ცაში, როგორც აქ, დედამიწაზე ნაზი ქმნილება ღმერთს მისთვის შენდობას სთხოვს.

თავი XVIII
შაჰ-აბასის ქარვასლა259

მოვიდა გამოთხოვების დრო, მოგზაურობის ეს სევდიანი წუთი. ოთხი დღე ვომოგზაურეთ ბაგრატიონთან ერთად. ერთი წუთითაც არ ვშორდებოდით ერთმანეთს. ის იყო ჩვენი ყველაფერი., ჩვენი გიდი, თარჯიმანი და მასპინძელი. ბაგრატიონმა ყველა საგნის ფასი იცოდა, ყველაფრის სახელი. შავარდენს რომ დაინახავდა, უსათუოდ მის ჯიშს გამოიკვლევდა, ხანჯალს რომ ნახავდა, მის ღირსებას შეაფასებდა. ვინატრებდით თუ არა რამეს, მაშინვე გვიპასუხებდა: „ბატონი ბრძანდებოდეთ, ეგ შესრულებული იქნება“.იმდენად, რომ მასთან ვეღარ ვბედავდით რაიმე გვენატრა. ეს იყო ქართველი თავადიშვილის ჭეშმარიტი ტიპი, მამაცი, ქველი, გულუხვი, სტუმართმოყვარე, პოეტური სულისა და წარმოსადეგი გარეგნობის კაცი.წასვლის წინ ჩვეულებისამებ ზოგი რამ სანოვაგის ყიდვა განვიზრახე, მაგრამ ბაგრატიონმა მითხრა:

-თქვენს ტარანტასშიაწყვია დედალი, ხოხბები, მოხარშული კვერცხი, პური, ღვინო, მარილი და წიწაკა. გარდა ამისა , ბაქომდე თქვენთვის შეკვეთილია საუზმე და სადილი, ისე რომ საჭმლის ჯავრი ნუ გექნებათ.

-ბაქოში რაღა ვქნათ?- ვკითხე მე სიცილით, რადგანაც თავისთავად ცხადია, წარმოდგენილიც არ მქონდა, თუ მისი წინდახედულობა ბაქოს გასცილდებოდა.

-ბაქოში თქვენ იცხოვრებთ ოლქის უფროს ბ-ნ პიგულევსკისთან. ეს ძალიან კარგი კაცია, ჰყავს მშვენიერი ცოლი და მიმზიდველი ქალიშვილი.

-ვერ ვბედავ გკითხოთ, ბაქოს იქით რაღა ვქნათ?

-ბაქოს იქით, შემახიაში თქვენ დაგხვდებათ ჩინებული სახელმწიფო სახლი და ქალაქის თავი, რომელიც აგრეთვე ძალიან კარგი კაცია. ნუხაში გეყოლებათ თავადი თარხნიშვილი, კაცი, რომელსაც თქვენ ფრანგები, თუ არ ვცდები, დარდიმანდ ბიჭს ეძახით. სხვა რა ვქნა, დედამიწის ზურგზე ყველაზე ლამაზ ქალსაც არ შეუძლია იმაზე მეტის მოცემა , რაც მას გააჩნია. სხვათაშორის დამიკოცნეთ მისი პატარა შვილი, რომელიც ფრანგულად თქვენზე ცუდად როდი ლაპარაკობს. ნახავთ, როგორი ფაქიზი გონების პატრონის ეს ბავშვი. ცარსკიე კოლოდცში დაგხვდებათ თავადი მელიქიშვილი და გრაფი ტოლი, რომლებიც ცხენებს მოგცემენ, რათა თამარ მეფის რომელიმე დანგრეული ციხის ნახვა შესძლოთ.ბოლოს თბილისში ჩამოხტებით თქვენს ელჩთან, ბარონ ფინოსთან. მე არ ვიცი, ეს პირველი საფრანგეთის ელჩია თბილისში თუ არა, მაგრამ, ვიცი, ის ერთადერთი ელჩია და მასთან თავს ისე იგრძნობთ, როგორც გენტის ბულვარზე. თბილისის იქით თქვენი მოგზაურობა მე აღარ მეხება, იქ უკვე სხვები იზრუნებენ.

-კი მაგრამ ამ ხალხს ყველას წინასწარ შეატყობინეთ ჩემი მისვლა?

-სამი დღის წინათ შიკრიკი გავგზავნეთ, გარდა ამისა, თქვენ ბაქოში წამოგყვებათ ნუკერი, რომელსაც დავალებული აქვს, გზაზე ჩიტის რძეც არ მოგაკლონ. ბაქოში მეთვალყურეს გამოგიცვლიან შემახიამდე, იქ კი ნუხამდე.

ჭეშმარიტად ვერავითარი მადლიერების გრძნობა ვერ აანაზღაურებდა ასეთ მზრუნველობას და როგორც ცვენმა მეგობარმა ნესტორ როკეპლანმა ფილოსოფიურად თქვა , მეტი აღარაფერი დაგვრჩენოდა, რომ ამისთანა მზრუნველობაზე უმადურობით გვეპასუხა. მე სხვა შემთხვევას დავუცადე, რათა ამ რჩევით მესარგებლა.

ბოლოს და ბოლოს ერთმანეთს დავემშვიდობეთ, კიდევ დიდხანს ეთხოვებოდნენ ერთმანეთს ჩვენი ფაფახები, მაშინაც კი, როცა უკვე ხმები აღარ გვესმოდა, შევხვდებით კიდევ ოდესმე?ღმერთმა იცის!ბოლოს ქუჩას მოუხვიეთ და ჩვენი მზერა ისევ ქუჩებისაკენ და კარიბჭისაკენ მივმართეთ. რომელიც ალბათ, ხოსრო დიდის მიერ არის აგებული. აზიის კარიბჭე! ამ კარით ჩვენ დედამიწის მეორე ნაწილში შევედით.

კალინო, რომელსაც ფიქრადაც არ მოსვლია, რა პოეტური გადასვლა გველოდა, ჩაფლული იყო რაღაც წიგნის კითხვაში, რამდენადაც ამას ეტლის ნჯღრევა ანებებდა. მე , როგორც ყოველივე იმის მაძიებელმა, რაც ჩემს მოგზაურობას შეავსებდა, თავს ნება მივეცი და ვკითხე, რას კითხულობ-მეთქი.

-ეს არის ლეგენდა „თოვლი მთა შაჰ-დარზე“.

-ვინ მოგცათ?

-თავადმა მომცა და მითხრა, დიუმას გადაუთარგმნეთ, დარწმუნებული ვარ, მასში სასარგებლო რასმე იპოვისო.

-საყვარელი თავადი! საკმარისი არ იყო, რომ ჩვენს კვებაზე ზრუნავდა, თურმე სულიერ საკვებსაც გვიმზადებდს.....წაიკითხეთ კალინო, და ჩქარა გადამითარგმნეთ, თუ ბაგრატიონმა აქო, უსათუოდ კარგი იქნება. აბა, მეეტლევ, ჰაიდა!

შემდეგ სადგურზე, ესე იგი კილაზში ჩვენს ამალაში მხოლოდ თხუთმეტი მილიციელი და სამი კაზაკიღა დარჩა. გარდა ამისა თავსაპირველი ამალა წმინდა საპატიო ამალა იყო. თუმცა დარუბანდიდან ბაქომდის გზა მთელ ლეკეთს სჭრიდა, მაგრამ არავითარი ხიფათი არ

გველოდა. ეს მაინც ხელს არ უშლის ადგილობრივ მოგზაურთ კბილებამდე შეიარაღებულებმა იარონ, ხოლო უცხოელ მოგზაურთ, როცა მათ ამალა არა ჰყავთ, როგორც ამბობენ, ოკაზიას დაელოდნონ. მესამე სადგურის შემდეგ სამურის ნაპირზე გავედით. ეს გიჯი წყალი,-ჩვენ არ გვინდა მას დავდოთ პატივი და მდინარე ვუწოდოთ,-რომელიც მაისში ძალზე დიდდება და ნახევარი ვერსის მანძილზე ათი ფუტის სიმაღლეზე ფარავს მიწას, ახლა ის დაპატარავებულიყო, რომ პატარა ნაკადულს ჰგავდა. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ეხმაურა და შევეფერხებინეთ. წყალი გაბედულად გადავლახეთ ტარანტასითა და ოთხთვალათი. სამური აქაფდა, აღრინდა, შეეცადა ჩვენს ეტლებში შემომძვრალიყო, მაგრამ ვერაფერს გახდა. ცხენები გავაჭენეთ და მათრახების გასამკეცებული ცემით მეორე ნაპირზე ავედით. უკვე მოგახსენეთ, რომ მხოლოდ კავკასიაში იციან ოღროჩოღროებზე ჭენება. თავდაღმართზე ცხენმა რომ წაიბორძიკოს, უსათუოდ მგზავრს დაამტვრევს, აღმართზე რომ უკან დაიხიონ, ვეც მაშინ გადარჩებით. მაგრამ, ცხენები არც ბორძიკობენ და არც უკან იხევენ, და ამიტომ მგზავრებს არაფერი მოსდით. დაბოლოს, თუ ეს მაინც მოხდა, დიდი საქმე არ არის, აღმოსავლეთში ადამიანის სიცოცხლე ჩალის ფასადაც არ ღირს!

ყუბანში საღამო ხანს მივედით. უკვე ბნელოდა, როცა ებრაელობის დაბაში შევედით. ეს იყო ქალაქის გარეუბანი.აქაური ებრაელები უმეტესად მიწათმოქმედნი არიან და არა კომერსანტები, რაც ებრაელებში იშვიათად გვხვდება. ისინი ლაზისტანის მეომარი ებრაელებივითსენაქერიბის ტყვეებისაგან წარმოსდგებიან. მათ დაბას რომ გასცდები, მიადგები პატარა მდინარე კულიდულჩაიზე გადებულ ხიდს, რომელსაც ყუბა ასი ფუტის სიმაღლიდან გადმოსცქერის. ღამე ამ უმოაჯირო ხიდზე გადასვლის პროცესს ფანტასტიკურ იერს აძლევდა და შიშს გვგვრიდა. გავიარეთ ერთი ვიწრო კარი და ყუბაში შევედით. ისეთი შთაბეჭდილება გვქონდა, თითქოს ტბაში შევედით, სადაც სახლები კუნძულებს წარმოადგენდნენ. ქუჩებმა ოდნავ მომაგონეს ვენეციის არხები. ჩვენი ტარანტასი ნახევრამდე წყალში ჩაიძირა. მე გადაჭრით უფრო მომწონდა სმური მთელი თავისი რისხვითა და ხმაურით. მის ანკარა წყალში კენჭების დანახვა მაინც შეიძლებოდა. ბადრაგის უფროსმა პირდაპირ ცვენი ბინისკენ წაგვიყვანა, სადაც ვახშამი იყო მომზადებული.

ყუბას სახანო დაღისტანში ერთ-ერთ- მნიშვნელოვანი სახანოა. მასში დაახლოებით ასი ათასი კომლი შედის სამოცდახუთი ათასამდე სულით. თვით ქალაქის მოსახლეობა დაახლოებით ხუთი ათას მცხოვრებს შეადგენს. უნდა ითქვას, რომ ყუბას, ყოველ შემთხვევაში თვითონ ქალაქს, ძალიან ცუდი სახელი აქვს ჰავის გამო. ეს არის კასპიის ზღვის ტერაჩინო. რუსი ჯარისკაცისთვის სამ წელისადს ყუბას გარნიზონში ყოფნ სიკვდილის განაჩენს უდრის.თითქმის ყველა გვამი განკვეთისას გნგრენულ ღვიძლსადა ფილტვებს აჩვენებს, რაც იმას მოწმობს, რომ ხალხი ჭაობის ჰაერითაა მოშხამული. არის ერთი საოცარი რამ, რაც არავითარ მეცნიერულ ვარაუდებს არ ეთანხმება: დაბლობში მობინადრე ებრაელებს, რომლებიც უარეს ჰავაში ცხოვრობენ, ვიდრე მათში მცხოვრები ყუბაჩელები, არ უჩნდებათ ციებ-ცხელება, რაც მათ მეზობლებს კუდიულ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე პირდაპირ მუსრს ავლებს ხალხს. ყველაზე დიდ კომერციას ყუბელები ეწევიან ხალიჩებით, რომელთაც მათი ქალები ქსოვენ, და ხანჯლებით, რომლებიც წარმოადგენს მათი იარაღის ოსტატთა ნაკეთობას, მინდოდა ერთ-ორი ასეთი ხანჯალი მეყიდა, მაგრამ თავადი ბაგრატიონისა და ალი-სულთანის გულუხვობამ ისე გამანებივრა, აღარაფერი მომწონდა, რომ ჩემი კოლექციისთვის მიმემატებინა.

ყუბიდან კარგად ჩანს კავკასიონის რამდენიმე მწვერვალი და სხვათა შორის შაჰ-დაღიც, ის თოვლიანი გიგანტი, რომლის შესახებ თავადმა ბაგრატიონმა მოგვცა წიგნი. დილის რვა საათზე ცხენები შეაბეს და ბადრაგი მზად იყო გასამგზავრებლად. ოლქის უფროსმა ბ-ნმა კოცეიოვსკიმ პატივი გვცა-შესანიშნავი ბინა მიგვიჩინა და მანამ ტარანტასში ჩაგვსხამდა არაფერი დაგვაკლო. ყუბიდან რომ გამოვედით, ისევ დაიწყო აღმართ-დაღმართები, ისევ მთათა ჯაჭვი შეძახილებისა და მათრახის ტყლაშუნის აკომპანიმენტის ქვეშ. კიდევ სამ მდინარეზე გადავედით. რამდენადაც წინ მივდიოდით, იმდენად უფრო წინ გამოდიოდა ჩვენს მარჯვნივ

უზარმაზარი აფშერონის კონცხი. ყოველ ვერსზე ველოდით, რომ მისი ბოლო გამოჩნდებოდა, მაგრამ ის სულ უფრო წინ გამოდიოდა. მშვენიერი დარი იდგა, ჰაერში გაზაფხულის სიმშვიდე ტრიალებდა.ხეებზე კი კვირტები ამოფეთქილიყვნენ.

ღამით სადგურ სუმგაითზე მივედით. ხუთასი ნაბიჯის მანძილიდან კასპიის ზღვის ქშინვა მოისმოდა, რომელიც რამდენიმე ხანიიყო, რაც თვალთაგან დაგვეკარგა. მე ერთი ქვიშის ყრილზე ავედი, რომ ზღვა ვარსკვლავთა შუქზე დამენახა. წყნარ და სარკესავით მოელვარე ზღვის ზედაპირიდან თვალი სტეპზე გადავიტანე, რომელიც ჩვენსა და აპშერონის ქიმს შუა გადაჭიმულიყო. ორი თუ სამი ვერსის მანძილზე რამდენიმე ადგილზე ცეცხლი მოჩანდა, სადაც ეტყობოდა, თათრები იყვნენ დაბანაკებული. მე მარდად ჩამოვედი ბორცვიდან და პოსტისკენ გაქვიქეცი. ცხენები ჯერ არ შეეხსნათ. მაშინ მუანესა და კალინოს შევთავაზე, ვისარგებლოთ საუცხოო ღამით, გავიდეთ იმ ველში და კიდევ ერთხელ დავწვეთ ჩვენი კარვის ქვეშ. რომელსაც ვეღარ ვიყენებთ მას შემდეგ, რაც ყირგიზეთის მლაშე ტბებზე ვიყავით-მეთქი. მინდოდა გულდასმით დამეთვალიერებინა თათართა ბანაკი.

ჩემი წინადადება მიღებული იქნა. მეეტლეს ერტი მანეთი მივეცით, ჩავსხედით ტარანტასში და გავწიეთ ერტი თათრის ტანხლებით, რომელსაც თარჯიმნობა უნდა გაეწია ახალ ნაცნობებში, ეს ის თათარი იყო, რომელიც დარუბანდში მოგვიჩინეს მომმარაგებლად. უნდა ვაღიარო, რომ თუ ეს მისია მნიშვნელოვანი იყო იგი მას საკმაოდ კეთილსინდისიერად ასრულებდა. მთელი დღე წინ მიგვიძღოდა. სადგურს რომ ვუახლოვდებოდით, წინდაწინ ცხენს გააჭენებდა და თვალს მოეფარებოდა. შემდეგ სადგურთან დაგვხვდებოდა და გამოგვიცხადებდა, ყველაფერი მზადააო.ამის შემდეგ ისევ გაქრებოდა და მხოლოდ მეორე დღეს გამოჩნდებოდა ჩვენი ბადრაგის თავში. სად ან როგორ ივახშმა, სად ან როგორ გაათენა?ეს საიდუმლოება იყო, რომელზეც მასინ სულ არ გვიფიქრია.

ათი წუთი რომ ვიარეთ, მარჯვენა მხარეზე თათართა ბანაკი გამოჩნდა. იგი გასლილი იყო შუა სტეპში. ერთი დიდი შენობის ნანგრევებთან და თითქოს გაზრდილიყო მთვარის შუქზე. უპირველეს ყოვლისა ვიკითხეთ, რისი ნანგრევები იყო, გვიპასუხეს შაჰ-აბასის ერთ-ერთი ქარვასლის ნანგრევებიაო. გადარჩენილი იყო კოშკებით დაცული ერთი დიდი კედელი. კოშკები რომ ჩამონგრეულან, შიგნიოდან ტერასები შეუქმნიათ. ბანაკის ცეცხლის მოცახცახე შუქზე დიდ კედელზე მოჩანდა ქვაში ამოკვეთილი რაღაც იეროგლიფური გამოსახულებები, რაც ალბათ, არქიტექტურული ორლამენტის როლს ასრულებდა. გარდა დიდი კედლისა და მისი კოსკებისა, თითქმის მიწის დონეზე მოჩანდა კიდევ სამი კამარა. იქ ჩადიოდა ქვითა და ღორღით მოფენილი პატარა ბილიკი. ხმელი ფიჩხის კოცონი ანათებდა თათრებს. რომლებიც აქ დაბანაკებულიყვნენ. ჩვენ თათრებს ვკითხეთ, შეიძლებოდა თუ არა მათს ახლოს კარვის გაშლა, რაზეც გვიპასუხეს, სადაც გნებავთ იქ გაშალეთ კარავი. რადგანაც ეს მინდორი ყველას ეკუთვნისო. მერე ვკითხეთ, შეიძლებოდა თუ არა, მათი ბანაკის დათვალიერება, რაზეც აგრეტვე გვიპასუხეს, კეტილი იყოს თქვენი მობრძანებაო.ერთ ბანაკში თათრები პურს აცხობდნენ, როცა მიუახლოვდით, ერთი მათგანი წამოდგადა შემოგვეგება ხელში პურითა და ქვამარილის ნაჭრით, რაიცა მატი სტუმართმოუვარეობის სიმბოლოს წარმოადგენდა. ჩვენ პური და მარილი გამოვართვით და ცეცხლის გარშემო ფქვილის ტომრებზე ჩამოვსხედით. შემდეგ მათ, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს, რომ მარტო პურითა და მარილით გმასპინძლება საკმარისი არ იქნებოდა. ერთმა მათგანმა კედელზე ჩამოკიდებულ ხორცს მოზრდილი ნაჭერი ჩამოაჭრა, დააქუცმაცა და ცეცხლზე დააწყო. ხორცმა ორტქლი აუშვა, აშიშხინდა და ხუთ წუთში მზად იყო.ხელით გვანიშნეს, მიირთვითო.ჩვენ მოვიმარჯვეთ პატარა დანები, რომელთაც იარაღის ოსტატები ამ მიზნისთვის ხანჯალს გამოიტანდნენ ხოლმე, და მადისაღმძვრელად შებრაწულ ხორცს შევექეცით. ხშირად ბევრად უკეთესად გაწყობილ სუფრაზეც არ გვივახშმია ასე მადიანად.

ვახშმობამდე ჩინგიზ-ყაენისა და კოჭლი თემურის შთამომავალთა გვერდით კასპიის ზღვის სტეპებში, შაჰ-აბასის მიერ აშენებულ ქარვასლის ნანგრევებთან, სადაც ჰორიზონტზე ერთი მხრიდან დაღისტნის მთები ისახება და საიდანაც ყოველ წუთში ავაზაკები შეიძლება დაგვესხან თავს, ხოლო მეორე მხრით უზარმაზარი ესოდენ უკაცური ზღვა გადაჭიმულა, რომელიც მიუხედავად კლაბროტისა დღესაც ისევე გამოუკვლეველია ევროპაში, როგორც ოდეზღაც საბერძნეთში იყოჰეროდოტეს დროს; ყურში გიჟღერდეს ორმოცდაათი აქლემის ეჟვნები, იყო თითქმის მარტო ისეთ ქვეყანაში, რომელიც ევროპისადმი მტრულადაა განწყობილი, იქ გედგას უცხო კარავი, როგორც პატარა წერტილი უსაზღვროებაში, მასზე კი ფრიალებდეȝს სამფეროვანი დროშა,-ეს ყველაფერი მუდამ არ ხდება, და როცა ხდება, იგი წარუშლელ მოგონებას სტოვებს ცხოვრებაში. ეს ისეთირამ არის, რაც სურვილისამებრ თვალის დახუჭვისას წარმოგვიდგება. რამდენადაც უფრო დიდია ასეტი სურათის კადრი, იმდენად უფრო პოეტურია მისი შორეული სივრცეები, იმდენად უფრო მხატვრულია მისი დაჯგუფებები. იმდენად უფრო მკვეთრია მისი კონტურები. გამოთხოვებისას მასპინძლებს ხელი ჩამოვართვით. წეღანდელმა თათარმა კიდევ შემოგვთავაზა პური. ეს მოხეტიალე ადამიანები არ სჯერდებიან მხოლოდ დრევანდელ ვახშამს, მატ უნდათ შენს ხვალინდელ საუზმეზეც იზრუნონ. მე ჩვენი პურისა და მარილის მომწოდებელს სახელი ვკითხე, მიპასუხა აბდელ-აზიმიო. ღმერთმა დალოცოს აბდელ-აზიმი!

თავიXIX
ბ ა ქ ო

დილაადრიან გამოგვეღვიძა და გარემოს მოვავლეთ თვალი, ჩვენი თათრები და აქლემები მოვძებნეთ. ღამით ბანაკი აყრილიყო. სტეპი ისეთივე უკაცრიელი ჩანდა, როგორც ზღვა. არაფერი მინახავს ისეთი სევდიანი, როგორც ეს უხომალდო ზღვა იყო. ჩვენ გამოღვიძებამდე თათარს ცხენები მოეყვანა, აღარაფერი დაგვრჩენოდა გარდა იმისა, რომ ეტლები შეგვება და წავსულიყავით. დედამიწის მოცისფრო ბოლი ბურავდა, რაც საუცხოო დარს გვპირდებოდა. ამ ორთქლში თითქმის ფეხის დაუკარებლად დახტოდნენ ნიამორები და ისე კრთოდნენ, და ისე გვიფრთხოდნენ, რომ ვერც ერთხელ ვერ მოვახერხე, თოფის გასროლაზე მაინც მივახლოვებოდი. მთის მწვერვალები ვარდისფრად ელავდნენ, მათ ფერდებს იისფერი დაჰკრავდა ლაჟვარდისფერი ჩრდილებით, სტეპები ოქროს ფრად ბრდღვიალებდნენ,ზღვა საფირონივით ელავდა. ჩვენ შემოვედით აფშერონის კონცხის იმ ადგილზე სადაც გზა კასპიის ზღვას მისდევს ყიზილ-ბურუნიდან, მკვეტრად უხვევს მარჯვნივ, შედის სტეპსი და სტოვებს შუბის წვერივით გაშვერილ კონცხს.პირველი ხუთი-ექვსი ვერსი ვაკეზე მიდიოდა სტეპში. შემდეგ შევედით იმ მკვრივ ნაოჭებში, რომლებიც მთათა ლირველ აღნაგობას ქმნიან. ბოლოს აღმართ-დაღმართები უფრო საგრძნობი გახდა ჩვენ გადავდიოდით კავკასიონის უკანასკნელ მწვერვალზე.

გზა კარგახანს ბორცვებში მიიკლაკნებოდა, ვიდრე ერთ ბევრად უფრო დამრეცსა და ციცაბო აღმართს არ მივადექით. ტარანტასიდან ჩამოვხტით, რათა ცხენებისთვის ტვირთი შეგვემსუბუქებინა და უფრო იმიტომაც , რომ ჩქარა გადავსულიყავით უკანასკნელი ბექობის წვერზე, რომელიც ბაქოს ფარავდა.მთის წვერზე რომ ავედით, თვალწინ ისევ კასპიის ზღვა გადაგვეშალა. ჩვენსა და ზღვას შორის მიწის ნაოჭებში ჩამჯდარიყო ბაქო. გავიდა კიდევ ცოტა დრო და ჩვენს თვალწინ ამოიზარდა ქალაქი, ჩვენ კი თითქოს ციდან ჩამოვფრინდით.

ერთი შეხედვით მოგეჩვენებათ, თითქოს ორი ბაქოა:თეთრი და შავი ბაქო. თეთრი ბაქო ქალაქის გარეუბანს წარმოადგენს და თითქმის მთლიანად გაშენდა იმ დროიდან, რაც რუსებს ეკუთვნის. შავი ბაქო ძველი ქალაქია, სპარსული ქალაქი, ძველი ხანების ადგილ-სამყოფელი, რომლის კედელი არ არის ისე ლამაზი, როგორიც დარუბანდისა, თუმცა იგიც საკმარისად დამახასიათებელია. თავისთავად ცხადია, რომ ყველა ეს კედელი აგებულია არა არტილერიის, არამედ ცივი იარაღისაგან დასაცავად. ქალაქის შუაგულსი თქვენ დაინახავთ აგრეთვე ძველი

მიზგითის დანგრეულ სამრეკლოს და ქალწულის კოშკს, რომელსაც ზღვაში უდგას საძირკველი. ვიდრე ამ უმანკოების ძეგლთან მივდიოდით, ჩვენ შევხვდით კიდე ერთ ძეგლს, რომელიც მუხანათობას მოგვაგონებს. იგი ეკუტვნიდ რუს გენერალს ციციანოვს.

საქართველოს მმართველი გენერალი ციციანოვი ბაქოს ალყაში იდგა. ხანმა, ვითომდა იმ განზრახვით, რუსებისთვის პირობების წარდგენა მინდა ქალაქის გადასაცემადო, გენერალ ციციანოვს შეხვედრა სთხოვა. რუსებთან მეგობრულად განწყობილმა სომხებმა გენერალი გააფრთხილეს, ხანი პაემნის დროს მოკვლას გიპირებსო. მან კეისარივით უპასუხა, „ვერ გაბედავენო“, პაემანზე მივიდა და მაშინვე მოკლეს.ბაქოს მოსახლეობა, შეშინებული რეპრესიებით, რომელიც ასეთი გამცემლობის შედეგად მათ ქალაქს ელოდა, აჯანყდა და მოინდომა მკვლელი რუსებისთვის გადაეცა. მაგრამ მან სპარსეთს შეაფარა თავი.

ბაქო, რომლის პირველი კედლები აშენებულია აბაზ I მიერ უძველესი დროიდან წმიდა ადგილად ითვლებოდა ღებრებისათვის. თავდაპირველად დამოუკიდებელი სახანო, იგი ჯერ სპარსეთის ვასალი გახდა, რომელსაც ის 1723 წელს რუსეთს დაუთმო, 1735 წელს ისევ დაიბრუნა, ხოლო საბოლოოდ დაკარგა უკანასკნელი ხანის მუხანათობის გამო. გენერალი ციციანოვის აკლდამა აგებულია ერთ მოტვლეპილ მთის ფერდობზე ქალაქსა და მის გარეუბანს შორის, იქ, სადაც მკვლელობა მოხდა.გენერალის გვამი თბილისშია დაკრძალული. ბაქოში რომ შედიხარ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ეს არის საშუალო საუკუნეების ერთ-ერთი უძლიერესი ციხე-ცსიმაგრე.სამი ერთმანეთზე მიყოლებული გალავნის გადალახვა მხოლოდ ვიწრო კართა საშუალებით შეიძლება. ჩრდილოეთის კარში გასვლისას აღმოჩნდებით ერთ მოედანზე სადაც ნაგებობათა ხუროთმოძღვრება მაშინვე ევროპელთა იქ ყოფას გვამცნობს. მარჯვენა მხარეს მოედანზე აღიმართება ქრისტიანული ეკლესია.

ჩვენ გავწიეთ ოლქის უფროს ბ-ნ პიგულევსკისთან, რომელიც კარებში გამოგვეგება და იმავე დღეს სადილზე მიგვიპატიჟა. ბ-მა პიგულევსკიმ ერთი სიტყვაც არ იცის ფრანგულად, მაგრამ რუსულად ყოველ სიტყვას ისე გულწრფელად, ხმის ისეთი გამომეტყველებით გამოთქვამს, რომ ყველაფერი კარგად გესმის. მან თავისი მხიარული და გულღია სახით იპოვა უნივერსალური ენის ანბანის პირველი ელემენტები. რომლებსაც ჩვენი მეცნიერები ბაბილონის დანგრევიდ დროიდან ეძებენ. კარებში შემოგვეგებნენ ორი თუ სამი ბავშვი და ბ-ნი პიგულევსკის მეუღლე ქალიშვილით, რომლებიც უფრო დებს გვანან ვიდრე დედა-შვილს და სილამაზესიც ერთმანეთს ექიშპებიან.

ნასადილევს ეტლები შებმული დაგვიხვდა. ჩვენ ვაპირებდით წასვლას ეგრეთ წოდებული ბაქოს ჩირაღდნების სანახავად, რაც დედამიწის ზურგზე ყველასათვის ცნობილია, გარდა ფრანგებისა.ვინაიდან მათ ყველაზე ნაკლებ უყვართ მოგზაურობა. ოცდაექვსი ვერსის მანძილზე მდებარეობს ცნობილი ატეშ-გაგის საკურთხეველი, სადაც მუდმივი ცეცხლი გაზგიზებს.ამ ცეცხლს კვებავს ნავთობი. ნავთობი ქვის ზეთია, მას ყოველთვის ცეცხლი ეკიდება.და როცა დაწმენდილია, მსუბუქი და გამჭვირვალეა. გემო არასასაიამოვნო აქვს, მაგრამ ეს ხალხს ხელს არ უშლის იხმარონ ყოველდღიურ ცხოვრებაში ლენქორანიდან დაწყებული დარუბანდამდე. ნავთობს უსვამენ ტიკებს, რომელთაც ღვინის გადასაზიდად ხმარობენ და ეს ღვინოს სრულიად განსაკუთრებულ გემოს აძლევს, რასაც ძალზე აფასებენ მოყვარულნი, მე კი უნდა გამოგიტყდეთ, ვერაფრით შევეჩვიე.მით პოხავენ ურმის ბორბლებსაც ღორის ქონის მაგივრად. უკანასკნელი საშინლად ეზიზღებათ, მეტნაწილად მუსულმან მეურმეებს. ბოლოს მისგან ამზადებენ იმ ცემენტს, რომელიც რომაული ცემენტის წინაპარია და იხმარებოდა, როგორც ამას მეცნიერები გვიმოწმებენ, ბაბილონისა და ნინევიის აშენებაში. ნავთობი წარმოადგენს მიწისქვეშა ცეცხლის მიერ დაშლილი მაგარი მთის ფისის ნაწარმს.მრავალ ქვეყანაში მოიპოვება ნავთობი, მაგრამ ყველაზე უფრო უხვად იგი ბაქოსა და მის მიდამოებშია.ყველგან, ქალაქის გარშემო, მთელი კასპიის ზღვის სანაპირზე ამოთხრილია ჭები, რომელთა სიღრმე სამი მეტრიდან ოც მეტრამდე აღწევს. ნავთობით გაჟღენთილი

თიხნარი მერგელიდან შავი და თეთრი გამოიყოფა. ასე ხდიან თითქმის ასი ათას ცენტნერ ნავთობს ერთი წლის განმავლობაში. ამ ნავთობს მოეზიდებიან რუსეთში , თბილისსა და ასტრახანში.

თითქმის ორი საათი ვიყავით გზაში, ხოლო აქედან ერთ საათს კასპიის ზღვის გასწვრივ მივდიოდით. შემდეგ ერთი პატარა გორაკის თავზე ავედით, საიდანაც ყველამ დავინახეთ უთვალავი კოცონი. წარმოიდგინეთ თითქმის ოთხკუთხი ადგილი ბარში, საიდანაც უამრავი უწესრიგო ნაპრალიდან ამოვარდნილ ცეცხლის კონებს ქაი ფანტავს, აფრიალებს, კლაკნის, ისევ ასწორებს, მიწაზე აწვენს, ცაში იტაცებს, მაგრამ მაინც ვერ აქრობს. შემდეგ ამ კოცონთა შორის გამოიკვეთა დიდი ოთხკუთხი, კირიტ შეთეთრებული შენობა დაკბილული ქონგურებით, რომელიც თითქოს ისევე მოძრაობდა, როგორც მის კედელზე მოცომციმე შუქი. ქონგურებზე ცეცხლის ენები ბრიალებდნენ, შუაში კი აღიმართებოდა ოთხკუთხა გუმბათი, რომელზედაც აგრეთვე ცეცხლი გაზგიზებდა, მაგრამ უფრო დაბალი იყო, ვიდრე აღმოსავლეთისკენ მიმართულ მთავარ კარზე ანთებული ცეცხლი. ვინაიდან ჩვენ დასავლეთის მხრიდან მოვდიოდით,მონასტრისთვის უნდა გარშემო მოგვევლო, რადგანაც მას არაერთი შესასვლელი აღმოსავლეთიდან ჰქონდა.

დიდი და უჩვეულო სანახაობა იყო!მონასტრის საერთო ილუმინაციას მხოლოდ დღესსწაულებზე აწყობენ. ბ-ნ პიგულევსკის წინასწარ შეეტყობინებინა ჩვენი მოსვლა და ეს იყო უქმე დღე, ანუ უფრო სწორად უქმე ღამე ამ საცოდავი ხალხისთვის, რომელსაც თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში დევნიდნენ, და ახლა ისინი ცდილობდნენ დამორცილებოდნენ ხელისუფლებას, რომლის სახით საყრდენი იშოვეს.

ცეცხლის ჯიღიან კართან ჩამოვხტით და შიგნით შევედით. შიგა ნაწილს წარმოადგენს ოთხკუთხი ეზო, რომლის შუა ადგილას აღიმართება გუმბათით დაბოლოვებული საკურთხეველი. საკურთხეველში მარადიული ცეცხლი გიზგიზებს.გუმბათთან ოთხ კუთხეში ოთხი გიგანტური სამფეხის მსგავსად ანთია ოთხი კოცონი, რომელიც მიწისქვეშა ცეცხლით იკვებება .საკურთხეველზე რამდენიმე საფეხურს ავყავართ. გარეშე კედელზე მიშენებულია ოცამდე საკანი, რომლებიც შიგნიდან იღება.ეს საკნები განკუთვნილია ზოროასტრას მოწაფეთათვის . ერტ-ერთ ამ საკნის კედელში გამოჭრილი იყო ნიში , რომლის რაფაზე ორი ინდური კერპი ესვენა.

ტაძრიდან რომ გამოვედით, ჭების სანახავად გავემართეთ. ყველაზე დიდ ჭას სამოცი დიუმის სიღრმე აქვს. ოდეზღაც ამ ჭიდან წყალს იღებდნენ, თუმცა მასში წყალი მომლასო იყო.ერთ მშვენიერ დრეს წყალი გაქრა, შიგ ანთებული ხრალი ჩააგდეს, რომ გაეგოთ, რა იქნა წყალი.ჭაში მაშინვე ალი ავარდა და მას შემდეგ აღარც გამქრალა. ვიდრე ჩვენ ჭებს ვათვალიერებდით, ერთმა ოფიცერმა სოფელ სურახანში მიგვიწვია ჩაიზე, მონასტრიდან ერთი ვერსის დაშორებით. ჩვენთვის ღამის გასათევად საუცხოოდ გაწყობილ ოთახში მას ჩინებული თათრული ვახშამი მოემზადებინა. ეს იყო ფლავი, მწვადი, მსახლი, ყურძენი და საზამთრო. თერთმეტ საათამდე ვუსხედით სუფრას.მეორე დილამდე მონდოდა დარჩენა. მაგრამ არ შეიძლებოდა ბ-ნ პიგულევსკის მარტო გაშვება ბაქოში. ჩვენ მასთან ერთად დავბრუნდითამ სოლფატერაზე გავლით, რომელსაც ნეაპოლიტანურ სოლფატერასთან ის უპირატესობა აქვს, რომ მუდმივად ანთია.

თავი XX
ქალაქი, ბაზრები, მიზგითი წყალი და ცეცხლი

მეორე დღეს დილის ცხრა საათი იყო, როცა თავადი ყაზარუცმიევის მოსვლა გვაუწყეს. ევროპიელზე უფრო დიდი ოუნქტუალობით გვესტუმრა ის ჩვენ და თავისი მსახური შემოგვთავაზა. პარიზელს რომ თათარ თავადიშვილზე დაუწყო საუბარი, ეს იმას ნიშნავს,

ვიღაც ველურ, ყელთამდე ცხვრის ტყავში ჩამჯდარ ადამიანზე ელაპარაკო, რომელიც, ტლანქ, ხორხისმიერ გაუგებარ ენაზე საუბრობს, ელაპარაკო ადამიანზე, რომელსაც ტანზე ხმლები, ხანჯლები, თოფები და პისტოლეტები აუჩონჩხია. არავითარი წარმოდგენა არა აქვს ჩვენს პოლიტიკაზე , ცვენს ლიტერატურაზე, ჩვენს ცივილიზაციაზე. ნურას უკაცრვად! თათარ თავადს, გვარად ყაზარ-უცმიევსამ სურათთან საერთო არაფერი აქვს. შესახედავად ეს არის ასე, ოცდახუთმეტი წლის ლამაზ-ლამაზი კაცი, სწორი სახის ნაკვთებით, ცოცხალი და ჭკვიანი თვალებით, რომელთა სიღრმეში თითქმის უხილავი ველურობის მოუსვენარი სხივი ბრწყინავს, თეთრად მოელვარე კბილებითა და მოწითალო წვწერით, რომელსაც თათრები და სპარსელები ჩვეულებისამებრ ინით იღებავენ. თავზე თავადს ახურავს შავი ხუჭუჭა მეტად წმიდა კრაველის კოხტა ქუდი, ქართულ ყაიდაზე აწოწოლავებული ტანთ გრძელი შავი ჩერქეზული ჩოხა აცვია, ოქროს სირმით შემოვლებული, მკერდზე კი გაკრული აქვს ორი სავაზნე ვერცხლით მოსევადებული მასრებით. გარდა ამისა, მას წელს უმშვენებს საუცხოო ოქროსსირმიანი სარტყელი, როგორსაც მხოლოდ აღმოსავლეთში აკეთებენ, და ზედ ჰკიდია სპილოსძვლისტარიანი კოხტა ხანჯალიოქროცურვებული ქარქაშითა და ნაჭედი პირით. სპარსული მაუდის შარვალი მუხლს ქვემოთ შეკრული აქვს მთიულური საცვეთებით, რომლის ბოლოში მოუჩანს ვიწრო და თხელი წაღები. წაღები ფარავს რაინდის ფეხს, რომელიც თითქოს არასდროს მიჰკარებია მიწას და შესახედავად ბავშვის ფეხს მოგვაგონებს.

თავადი უცმიევი, როგორც ყველა აღმოსავლეთის მცხოვრები, დიდი მოტრფიალეა იარაღისა.მას უყვარს არა მარტო ადგილობრივი მოლაპლაპე ტარიანი და მოსევადებულ პირიანი იარაღი,არამედ ცვენი ევროპული უბრალო, გამძლე, აუცდენელი იარაღიც.მან დაათვალიერა რამდენიმე ჩემი თოფი, ძალიან კარგად გაერკვა მათში, მიხვდა რომელი იყო დევიმისა და რომელი შემთხვევით მოხვდა მათ საზოგადოებაში, და ბოლოს მკითხა, შევძლებდი თუ არა გამომეგზავნა მისთვის ჩვენი საუკეთესო ოსტატის რევოლვერი. როგორც უკვე მოგახსენეთ, სწორედ პარიზიდან წამოსვლის წინ დევიმი მესტუმრა და მომიტანა ფეთქებად ტყვიანი კარაბინი და რევოლვერი. კარაბინი უკვე თავად ბაგრატიონს ვაჩუქე, ახლა ვიფიქრე, რევოლვერის გასაჩუქრების შემთხვევაც ეს არის-მეთქი, ამოვირე და თავადს მივართვი. ერთი საათის შემდეგ მისგან პატარა ბარათი მივიღე. ბარათი ფრანგულ ენაზე იყო შედგენილი და შიგ ფრანგული ორთოგრაფიისა თუ სტილის მხრივ ვერც ერთ შეცდომას ვერ ნახავდით:

„თქვენ, ბატონო, ფრიად მდიდარი კოლექცია გაქვთ იარაღისა, რომ მე კიდევ რამე დავუმატო მას. მაგრამ აი, ქისა და ახალუხის ორი გულისპირი, რომელთაც ჩემი მეუღლე გთხოვთ მიიღოთ. ქისა მისი ხელითაა მოქარგული.

თავადი ყაზარ-უცმიევი.“

ეს ლამაზი საჩუქარი რომ მომიტანეს, სალიდან გავდიოდი. ქ-ნ ფრეიგანგთან მისვლას ვაპირებდი, რომელიც პიგულევსკებთან გავიცანი, ბაზრები ერთად უნდა დაგვეთვალიერებინა.

ბაქოს მოსახლეობას შეადგენს განსაკუთრებით სპარსელები, სომხები და თათრები. მე შევეცდები რამდენიმე სიტყვით დავახასიათო ამ ეროვნებათა ტიპები. რაკი ჯერ სპარსელები ვახსენეთ, დავიწყოთ სპარსელებით.ცხადია, მხედველობაში გვყავს არა ირანელი სპარსელები, არამედ რუსეთის მიერ დაქვემდებარებული პროვინციების სპარსელები.

სპარსელი სახით შავტუხაა, ტანით საშუალოზე მაღალი და საკმაოდ კოხტად მოყვანილი. მას ბუნებით მოგრძო სახე აქვს, მაგრამ უფრო მეტად უგრძელებს ხუჭუჭა წოწოლა ქუდი და წვერი, რომელიც უცვლელად მოწითალოდ აქვს შეღებილი.სიარული უფრო თამამი აქვს, ვიდრე მკვირცხლი. ხანდახან ჩქარი ნაბიჯით დადის, თუ დასჭირდა სირბილიც ეხერხება, რაც მე არასდროს შემიმჩნევია თურქებში. ერთ საუკუნეზე მეტია, რაც სპარსელი, შეჩვეული თურქ,

თათარ და რუს დამპყრობელთ თავის ქვეყანქაში, ფატალიზმის იდეებით განიმსჭვალა, რომლებიც მაჰმადიანური რელიგიიდან გამომდინარეობდა. იგი თავის თავს უყურებს როგორც მსხვერპლს, განწირულს მონობისა და შევიწროებისათვის. წარიშალა ძველისძველი მოგონებანი ისტორიული წიგნების უქონლობის გამო. ახალი მოგონებანი მძიმე და სასირცხვოა. წინააღმდეგობის გაწევა მას გაუფრთხილებლობად და უსარგებლო საქმედ მიაჩნია, რადგანაც მის მეხსიერებაში წინააღმდეგობა მუდამ დასჯილი იყო. სპარსელები მოწმე იყვნენ თავიანთი ქალაქების განადგურებისა, მთელი სარჩო-საბადებლის გაცამტვერებისა, თანამემამულეთა გაჟღლეტისა. ისინი ხომ სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ქონებისა თუ საუნჯის გადასარჩენად იძულებული იყვნენ ყოველგვარი ხერხისთვის მიემართათ და არაფერი ეთაკილათ. აქედან შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ პირველი, რასაც ჩვენ დარუბანდში შესვლისას გვეუბნებოდნენ,-დარუბანდი კი სპარსულ ქალაქთა ავანგარდია ასტრახანიდან ბაქოს გზაზე,-ესაა, ნუ დაენდობით სპარსელს, ნუ იწამებთ მის სიტყვას, მის ფიცსო. მისი დაპირება მუდამ მერყევია და ეყრდნობა საკუთარი ინტერესების ცვალებადობას. ის არასდროს ერიდება ფიცის გატეხვას და მხოლოდ მასინ არის მისი ფიცი მტკიცე როცა რაიმე პოლიტიკური ან კომერციული პოზიციის გაუმჯობესებისაკენ მიმართავს.ძლიერის წინაშე ქედმოხრილი სპარსელი მძვინვარე და სასტილია სუსტთან. სპარსელთან საქმის დაჭერის დროს დიდი სიფრთხილე გმართებთ. ხელწერილიც კი საალბათოა და ვერ გაძლევთ რაიმე მტკიცე რწმენას.

სომეხი ტანით სპარსელს ჰგავს, მაგრამ მას სისრულისაკენ აქვს მიდრეკილება. სპარსელივით საოცრად წესიერი სახის ნაკვთები აქვს. ლამაზი თვალები, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მზერა ერთდროულად საზრიანი, სერიოზული, სევდიანი და მორჩილების გამომხატველი აქვს.სომეხმა შემოინახა პატრიარქალური წეს-ჩვეულებები. მისთვის აბრამი მხოლოდ გუშინ მოკვდა, იაკობი კი მუდმივად იცოცხლებს.მამა ოჯახში განუსაზღვრელი ბატონია.შემდეგ მამის ადგილს იჭერს მისი პირმშო. ძმები მისი მსახურნი არიან, დები-მოახლეენი. უფროსი ვაჟიც და მომდევნოც ქედმოხრილნი ასრულებენ მამის უცილობელ ნება - სურვილს.სუფრაზე შვილები იშვიათად სხდებიან მამასთან ერთად, ვერ გაუბედავენ წინ დაჯდომას.ამისთვის საკმარისი არ არის, რომ მამამ ისინი მოიწვიოს, მან უნდა ბრძანოს.რეკომენდირებული თუსაერთოდ პატივსაცემი სტუმრის ჩამოსვლისას, რაიცა სომხისთვის ერთი და იგივეა, სახლში ლხინი ეწყობა. კლავენ უშობელს, ცხვარს და იმართება ღრეობა. ახურებენ აბანოს და ქეიფზე ყველა მეგობარს იწვევენ. თუ კაცს ცოტაოდენი ფანტაზიის უნარი აქვს , ადვილად წარმოიდგენ, რომ ამ სუფრაზე იაკობმა და რახილმა უნდა გადაიხადონ ნიშნობა.ასეთია სომხების ცხოვრების გარეგნული, თვალსაჩინო მხარე, თავისი სასტიკი ყაირათიანობით.წესრიგისაკენ იშვიათი მიდრეკილებით და უდიდესი კომერციული ჭკუით. მეორე მხარე, რომელიც ჩრდილში რჩება და რომელიც მხოლოდ ხანგრძლივი ურტიერთობსა და ღრმა შესწავლის შედეგად ჩანს, მათ ახლოს აყენებს ებრაელებთან, რომელთაც სომხები სამყაროს დასაბამიდან მომდინარე ტრადიციებითა და ისტორიული მოგონებებით უკავშირდებია. სომხეთში იმყოფებოდა ამქვეყნიური სამოთხე. სომხეთში დაიდო სათავე ოთხმა ოირველყოფილმა მდინარემ, რომლებიც დედამიწას რწყავდნენ. სომხეთის უმარლეს მწვერვალზე შეჩერდა ნოეს კიდობანი, სომხეთში დაიწყო აღდგენა განადგურებულმა სამყარომ, დაბოლოს სომხეტში დარგო ვაზი ნოემ, და ოირველად აქ იგემა ღვინო. ებრაელებივით სომხებიც გაიფანტნენ, მარტალია არა მათსავით მთელ ქვეყანაზე, მაგრამ მთელ აზიაში, სადაც ტავიანთ მხრებზე გადაიტანეს ყველანაირი ბატონობა, ყოველთვის დესპოტური მუდამ სარწმუნოებით განსხვავებული, მუდამ ბარბაროსული. ბატონობა რომელიც, წესების მაგივრად ჟინით, ხოლო კანონების მაგივრად თვითნებობით ხელმძღვანელობდა. აქედან ის გამოვიდა, რომ როცა სომხებმა თავიანთი სიმდიდრე დევნის საგნათ დაინახეს, გადამალეს. როცა მიხვდნენ, რომ ყოველი გულწრფელი სიტყვა გაუფრთხილებლობა იყო და ამ გაუფრთხილებელ სიტყვას მხოლოდ მათი დაღუპვა მოჰქონდა, მდუმარენი და ცბიერნი გახდენენ. დარწმუნდნენ, რომ მათი სიცოცხლე საფრთხეში ჩავარდებოდა, თუ მადლიერნი დარჩებოდნენ გუშინდელი მფარველისა, რომელიც დღეს

სერისხული იყო.ამიტომ უმადურნი გახდნენ სომხები. გარდა ამისა, არ შეეძლოთ პატივმოყვარეობის გამოჩენა, რაკი მათი ცხოვრების სარბიელი, გარდა კომერციისა, დახურული იყო. ისინი გახდნენ ვაჭრები ამ წოდების მთელი სიცბიერითა და სიწვრილმანით.მიუხედავად ამისა, სომხის მიერ მიცემული სიტყვა მუდამ მტკიცეა, მისი ხელწერილი-მუდამ წმიდა.

რაც სეეხება ტათრებს, მათმა შერევამ კავკასიურ რასაში,გააუმჯობესა მათი პირველყოფილი პროფილი. თათარი დამპყრობი იყო, ახლა ის მეომარი დარჩა. იგი მოხეტიალე იყო, ახლა მოგზაური გახდა.თათარი ხალისიანი მენახირე, მწყემსი და მესაქონლეა. მას უყვარს მთა, დიდი გზები, სტეპები და საერთოდ თავისუფლება. როცა გაზაფხულზე თათარი ტავის სოფელს ტოვებს, რათა იქ შემოდგომამდე აღარ მიბრუნდეს, მისი ცოლი მატყლს ართავს, თვითონვე დაჰყავს ჯოგი საძოვრებზე, ქსოვსყუბურ, შემახიურ, ნუხურ ხალიჩებს, რომლებიც სპარსულ ხალიჩებს ჩუქურთმის მიამიტობით, ფერების სიმშვენიერით და ქსოვილის სიმკვრივით ექიშპებიან და მათთან ის უპირატესობა აქვთ, რომ ნახევარ ფასად ჰყიდიან.ეს თათრები აკეთებენ აგრეთვე უფაქიზესად ნაწრთობი ფოლადის ხანჯლებს, მდიდრულად მოჩუქურთმებულ ქარქაშებს და იმ სპილოს ძვლითა და ვერცხლით ინკრუსტირებულ თოფებს, რომელშიც მთიელი ბელადი ოთხ ცხენსა და ორ ქალს იძლევა. თათრებთან საქმის წარმოების დროს საჭირო არ არის ხელწერილი, მატი პატიოსანი სიტყვაც საკმარისია. აი,ამ სამი ერის საზოგადოებაში უნდა გვეცხოვრა ჩვენ დღეიდან.

მე არაფერს ვამბობ ქართველებზე, რომლებსაც საქართველოს გარეშე ვერსად ნახავთ და რომელიც იმდენად საუცხოო, კეთილშობილი, პატიოსანი, მამაცი, გულუხვი და შემმართებელი ერია, რომ მას სპეციალური გამოკვლევა უნდა მიეძღვნას.

ბაქოს აღებ-მიცემის საქმეს წარმოადგენს აბრეშუმი, ხალიჩები, შაქარი, ზაფრანა, სპარსული ქსოვილები და ნავთობი. აბრეშუმით ვაჭრობა მნიშვნელოვანია, თუმცა ვერ შეედრება ნუხის აბრეშუმით ვაჭრობას.ბაქოში მზადდება ხუთასი თუ ექვსასი ათასი გირვანქა აბრეშუმი წელიწადში, რომელიც თავისი ხარისხის წყალობით გირვანქა ათიდან ოც ფრანკამდე ღირს. ამას მოსდევს ზაფრანა. იგი მზადდება თექვსმეტიდან თვრამეტ ათას გიქვანქამდე წელიწადში. იყიდება რვიდან თორმეტ, ხანთოთხმეტ ფრანკადაც. ზაფრანას ზელენ ქუნჯუტის ზეთში და ამზადებენ ბრტყელ ნაზუქებს, რაც გზაში კარგი გამოსაყენებელია.ბაქოში ორი ხარისხის შაქარია. ერთი საუკეთესოა და ევროპიდან შემოდის, მეორე მზადდება მაზანდერანში, და იყიდება პატარა ტავებად ჩვენი მსხვილი შაქრის ფხვნილის ფასად. გასაგებია, რომ მე ყველაზე უფრო მაინტერესებდა ხალიჩები, სპარსული ქსოვილი და იარაღი.

მაგრამ ქალბატონმა ფრეიგანმა, როგორც ევას ჭეშმარიტმა ასულმა, უპირველეს ყოვლისა, თავის ოქრომჭედელთან მიმიყვანა. ეს იყო ჩინებული ოსტატი, ცნობილი სპარსელი მემინანქრე, სახელად იუსუფი. რა ბედნიერებაა, რომ ჩემი მოგზაურობა შტეტინისა და პეტერბურგის ნაცვლად ფოთიდან და თბილისიდან არ დავიწყე! ნამდვილად დარუბანდს ვერ გავცდებოდი. რა საუცხოო სანახაოდა იშლება შემოქმედის წინაშე, როცა ამ აღმოსავლურ სამკაულებს, ქსოვილებს, ხალიჩებს და იარაღს უყურებ!გამძლეობა მეყო, არაფერი მეყიდა, გარდა ერთი მარჯნის, ერტი სარდიონის კრიალოსნის და თათრული მონეტების ყელსაბამისა. ისე ვუშველე თავს ოქრისჯოხიანი ჯადოქრისაგან რომ არკი მომიხედავს უკან, მომდევდა თუ არა ქალბატონი ფრეიგანგი. საინტერესოა რომ ეს მარგალიტებისა და ალმასების საქმოსნები, ეს წოწოლაქუდიანი ბენვენუტო ჩელინები მინგრეულ-მონგრეულ კიბიან უბადრუკ ქოხმახებში ცხოვრობენ და მათ ქურებს დამტვრეული ფაანჯრებიდან შემოსული ქუჩის ქარი აღვივებს. ქ-ნ ფრეიგანგიმაინც დამეწია.ქვეწარმავალმა ხომ არაფერმა გიკბინათო,-მკითხა შეშინებულმა.

-ჩქარა, ბაზრისკენ!- შევძახე მე,-სხვანაირად ვერ გავექცევით მაგ თქვენს ოქრომჭედელს.

ოქრომჭედელმა, მართლაც ისეთი თასმები გვაჩვენა, რომელთა ნახვა მხოლოდ „ათას ერთ ღამეში ‘ შეიძლება:სულთანი9ს ჯიღები, სამოთხის მზეთუნახავთა ნაირ-ნაირი სარტყელი, ძვირფასი ნივთები, სურნელება, კეთილშობილი ქვები, იარაღი, ტალახი, მტვერი, -აი რ არის აღმოსავლეთი!

ახლა ბაზრისაკენ გავწიეთ. იქ უკვე სხვაგვარმა ცთუნებამ იჩინა თავი: სპარსული აბრეშუმი, თურქული ხავერდი, ყარაბაღული ხალიჩები, ლენქორანის ბალიშები, ქართული ნაქარგობა, სომხური ტოლომები, თბილისური სირმა და რა ვიცი, კიდევ რამდენი რამ! ყველაფერი გიზიდავს, ყველაფერი გხიბლავს, თვალს გტაცებს.ოო, ჩემო საცოდავო პარიზელო მეგობრებო მდიდარი რომ ვყოფილიყავი, რამდენ საკვირველებას ჩამოვკიდებდი თქვენი ატელიების კედლებზე, რა უცხო საუნჯეს გავიფენდით ფიანდაზად!

ქ-ნ პიგულევსკისთან მხოლოდ სადილობისას დავბრუნდი. მთელი დილა ქარიშხალი მძვინვარებდა და ზღვა საშინლად ღელავდა.მაგრამ ქარი მალე ჩადგა და ზღვაც იმდენად დაწყნარდა რომ ქ-მა ფრეიგანგმა დაგვაიმედა, ისეთ უჩვეულო სანახაობას გაჩვენებთ, რასაც ბაქოს გარდა ვერსად ნახავთო. ეს იყო ზღვის ჩირაღდნეგბი. მანამდეკი, ფატმას მისგითი უნდა გვენახა. ხუთ საათზე ნავი მზად იყო. ავჩქარდით, რადგანაც ერთდროულად ორი რამის ნახვას ვაპირებდით. ერტი დღის სინათლეზე უნდა მოგვესწრო, მეორე კი ღამის სანახაობა იყო. შებინდებამდე უნდა გვენახა ქარვასლის ნანგრევები, რომელსაც დღისით ზღვა ფარავს და რომლის კოშკის თავები წყნარ ამინდში წყლის ზედაპიროდან ერთ ფუტზე მოჩანს:კოშკებს აერთებს ნგრევას გადარჩენილი კედელი. ეს ნანგრევები, რომლებიც თორმეტი თუ თხუთმეტი ფუტის სიღრმით ზღვაში არიან ჩაძირულნი, ძნელად გადასაწყვეტ პრობლემას წარმოადგენს . მეცნიერები ირწმუნებიან, თითქოს კასპიის ზღვა ყოველწლიურად იწევს. 1824 წელს იგი კლებულობდა, თვრამეტ-ოც ფუტზე, დღეს კი არა ნაკლებ თორმეტ-თხუთმეტ ფუტს იკლებს. რა ფაეთობზე კლებულობდა იგი მაშინ , როცა ეს ქარვასლა ხმელეთზე იდგა? ერთ ვერსზე უფრო შორს გადაჭიმული ქარვასლა აშკარად ამტკიცებს, რომ, ზღვა, რომელიც დღეს ბაქოს კედლებს ევლება, ოდეზღაც ერტ ვერსზე იქნებოდა. უფრო საფიქრებელი ხომ არ არის , რომ ქარისაგან მოზიდულმა ქვიშამ, თერგის ურალისა და მტკვრის მიერ შემოტანილმა ქვამ თანდათანობით ასწიეს ზღვის დონე? მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას აღარ უნდა ჰქონდეს ის მიწისქვეშა სარქველი, რომელიც შავ ზღვასთან და სპარსეთის ყურესთან აერთიანებს. ეს ყველაფერი დაე მეცნიერებმა გადაწყვიტონ.

ჩვენ ცეცხლი მოვუკიდეთ ნავთობისა და ხრალისაგან მომზადებულ ერთგვარ სუშხუნას, რომელსაც შუაში ტყვიის ბირთვი ჰქონდა. იგი ერთ კოშკში ჩავაგდეთ და გავანათეთ მისი ფსკერი, რითაც თავზარი დავეცით თევზებს, რომლებიც სასოწარკვეთილებაში კედლებს ახლიდნენ ცხვირს, რადგანაც გასავლელი ვერ ეპოვათ. ეს ბერძნული შუშხუნა თათრების მიერაა დამზადებული და მან ის შუშხუნა მომაგონა, რომელთაც ჯუანვილის აღწერით თურქები ნილოსში ჯვაროსნებს ესროდნენ და თავზარს სცემდნენ. დამავიწყდა თავის ადგილზე მეთქვა, რომ ჩვენმა მატროსებმა ბარჯებითა და რკინის კაუჭებით სცადეს კოშკებისთვის ან კედლისათვის პატარა ნაწილი ჩამოეტეხათ, მაგრამ ვერ შესძლეს. გავედით შუა ზღვაში, ათ წუთში შემოუარეთ ბაილოგის კონცხს და მიუახლოვდით შახოვის კონცხს. კაპიტანმა ჩვენი ყურადღება მიაქცია ერთ ადგილს, სადაც წყალი თითქმის დუღდა. წყნარი ზღვის სარკისებური ზედაპირი ისე ირხეოდა, თითქოს მის ქვეშ ქურა ენთო.

ხმელეთზე მისგითიდან ას ნაბიჯზე გადმოვედით. ღამის სიბნელეში ჩვენ ვიცანით თავისი მოხდენილი სამრეკლოთი. უკვე საღამოს ექვსი საათი იყო და მიზგითი დაკეტილი დაგვიხვდა, მაგრამ გაგვიღეს. აბაზებმა აგვინთეს ნავთის ლამპები, რომელთაც ანტიკური ფორმა აქვთ შემონახული. წინ წაგვიძღვა ორი დევრიში. კარებში ჩექმის გახდა მოვინდომეთ, მაგრამ, აქაც, როგორც დარუბანდში, ნება არ მოგვცეს და ჩვენმა ჩიჩერონეებმა მხოლოდ წმინდა ხალჩა ასწიეს, რათა იგი არ შეელახა ურწმუნოთა ფეხის შეხებას. მიზგითი რომ დავათვალიერეთ, ისევ

ჩვსხედით ნავში და ბაილოგის კონცხის მიმარტულებით გავწიეთ. ღამე ისევ წყნარი და ბნელი იყო.მიუხედავად ამისა ზღვა ოდნავ აეღელვებინა მსუბუქ განივ ფრთონას, რაიცა გვაუწყებდა, რომ მალე ქარი გვეწვეოდა. ეს ფრთონა სანახაობას მეტ მხატვრულობას შესძენდა, მაგრამ უნდა ავჩქარებულიყავით, რადგანაც ,ქარი რომ ადრე ამოვარდნილიყო , შესაძლებელია სულ ჩაეშალა წარმოდგენა. ერთი წუთით გადავწყვიტეთ მოგვენახა ის ადგილი, სადაც წყლის თუხთუხი შევამჩნიეთ. ადგილი ადვილი მოსაძებნი იყო, ნავთობის სუნი მიგვიძღოდა წინ. მალე ადგილზეც მივედით. მატროსმა ორი ბღუჯა ხრალი აიღო, ლამპარზე აანთო და ორივე მხარეს გადააგდო. იმავე წუთში ჩვენს ირგვლივ მეოთხედი ვერსის მანძილზე ზღვა აინთო. ვებერთელა პუნშის ფიალასავით.ჩვენი კარჭაპი ჯოჯოხეთის მდინარეზე მცურავ ხარონის ნავს წააგავდა. შიგ შუა ცეცხლში მივცურავდით. საბედნიეროდ ეს საუცხოო ოქროს ფერი ალები ღვინის სპირტის ალივით სუსტი იყო და ჩვენ ოდნავ ვგრძნობდით მის საამურ სითბოს.რაკი საშიში არაფერი იყო, სრული ყურადღებით შეგვეძლო , ამ წარმტაცი სანახაობით დატკბობა. ზღვის ცეცხლი ეკიდა სხვადასხვა ზომის კუნძულებად. იყო ისეთი ადგილები, რომლებიც ზომით თორმეტ ადამიანზე გაშლილ სუფრას ჰგავდა, ზოგიც ტიულრის აუზის სიგანე იყო. ჩვენ მივცურავდით სრუტეში და მენიჩბე დროდადრო კაპიტანის ბრძანებით რომელიმე ამ ცეცხლოვან კუნძულზე გადაგვატარებდა ხოლმე. ეს ნამდვილად ყველაზე უფრო ჯადოქრული სანახაობა იყო, რაც კი ადამიანს უნახავს და მე მგონია, მას ვერსად შეხვდებით დედამიწის ამ კუთხის გარდა.მთელ ღამეს იქ გავატარებდით , თუ არ შეგვემჩნია, რომ ზღვის ფრთონა თანდათან გაძლიერდა და ქარიც ადგა. ცეცხლის კუნძულები ერთიმეორის მოყოლებით ჩაქრნენ, მხოლოდ ერთი დიდი კუნძული ენთო კიდევ.

-ახლა წავიდეთ,-გვითხრა კაპიტანმა,-თორემ წყალქვეშ მოგვიხდება იმ საიდუმლოების ძებნა, რომელიც ზედაპირზე ვნახეთ.

კარპაჭი ნაპირისკენ მოვაბრუნეთ. ჩრდილოეთის ქარი უბერავდა და ფატმას მიზგითისაკენ მიგვაცურებდა, მაგრამ ჩვენი რვა მენიჩბის მკლავებმა ზღვა ისე მოათვინიერეს, როგორც ზღვამ მოათვინიერა ცეცხლი. პორტს რომ მიუახლოვდით, ერთმა ჩვენმა მატროსმა ჩირაღდანი აანთო. ამ ნიშანზე კაპიტან ფრეიგანგის კარჭაპზე მთელი ილუმინაცია გაიმართა. ეს იყო აგრეთვე ნიშანი ყველა სახელმწიფო გემისთვის, რომლებიც ბაქოს პორტში ღუზაზე იდგნენ.ქალბატონი პიგულევსკი სპარსული მურაბებით გველოდა. ეჭვი არ არის, რომ თვით უმდიდრესი მეფეც კი დედამიწის ზურგზე, გარდა იმპერატორ ალექსანდრე მეორისა , ვერ გაიმართავს თავის სახელმწიფოში ისეთ საღამოს, როგორიც ჩვენ, უბრალო ხელოვნების მსახურთ, აქ გაგვიმართეს. საქმე იმაშია, რომ ხელოვნება მეფეა იმპერატორებისა და იმპერატორი ყველა მეფეებისა.

თავი XXI
ვეფხვები, ავაზები, ტურები, გველები, ფალანგები, მორიელები, კოღო და კალია.

ბაქო, რომლის სახელწოდებაც „ქართა სადგომს“ნიშნავს ტყუილად მოინდომებდა ევროპულ ქალაქთა ოჯახში შესვლას. თავისი ნიადაგით, ზღვით, შენობებით, ნაწარმით, თევზით, რომლითაც სავსეა მისი მდინარეები, ცხოველებით, რომლებიც მის ტყეებში დაძრწიან, მის სტეპებში მძრომი და კლდეებში დაბუდებული ქვეწარმავლებით, ატომებით, რომლებიც მის ატმოსფეროს ავსებენ, იგი აზიური და უპირველეს ყოვლისა სპარსული ქალაქია.

ნათქვამია: „მგელს მგლურად ეცი პატივი, მელას მელურადო“.და მეც ვეფხვივით დავიწყებ. იქ სადაც ლომია , ვეფხვს ვერ შეხვდებით, იშვიათია ორი ტირანი ერთ საბრძანებელში. ვეფხვს თითქოს საზღვრად მიუჩნევია მდინარე კირუსი ანუ მტკვარი. იშვიათად თუ შეხვდებით ვეფხვს კირუსის მარცხენა ნაპირზე. ამ მდინარეს სათავე ახალციხის მთებში აქვს, იგი გადის თბილისზე, აქსტაფაზე, უერთდება არაქსს მუღანის ველების დასავლეთ კუთხეში , გარს ევლება ამ ველებს და სამად განშტოებული კასპიის ზღვას ერთვის უიზილ-აგაჩის უბესთან.

მეოთხე შტო მტკვარს სალიანთან გამოეყოფა, აღმოსავლეთისაკენ მიიმართება და ზღვაში იკარგება. ვეფხვი, ლენქორანისა და მისი მეზობელი ტყეების ჩვეულებრივი მობინადრე , არაქსზე გადადის, შედის ყარაბაღში და ხანდახან საქართველოშიც ბედავს შეღწევას, თუმცა მტკვარზე იშვიათად გადადის. იყო რამდეჳნიმე შემთხვევა, რომ ვეფხვი ავარიაში მოკლეს.

ხუთი ექვსი წლის წინათ ერთმა ვეფხვმა სახელი გაითქვა, როგორც მოგზაურთა დიდმა მძარცველმა. ჩვეულებრივად იგი თარეშობდა ლენქორანისა და ასტარის გზაზე, რომელიც ზღვას ეკვრის და მიემართება შირვანის მთების ძირას. ერთ დღეს ერთი კაზაკი ლენქორანიდან ასტარაში მიდიოდა და დაინახა, რომ გზაზე ვეფხვი იწვა.კაზაკი მიუახლოვდა, მხეცმა თავი ასწია, დაიღრიალა და კბილები დაკრიჭა. კაზაკს თან პური ჰქონდა და ესროლა. ვეფხვმა თავი გამოსწია, პური მოითრია და ჭამა დაუწყო. კაზაკმა კი გზა განაგრძო და ასტარაში რომ მივიდა, ამხანაგებს ნანახი უამბო და გააფრთხილა, ისე არ წასულიყვნენ იმ გზაზე, რომ მისი მცველისთვის პური არ წაეღოთ. მეორე დღეს ვეფხვი იმავე ადგილზე იწვა. ერთი სომეხი სოვდაგარი მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ მხეცი მის ძაღლს ეცა. მას შემდეგ ლენქორანისა და ასტარას გზაზე ისე აღარავინ მიდიოდა, რომ ჯოჯოხეთში მიმავალი ენეონივით კარის მცველისათვის თან ნობათი არ წაეღო. თავდაპირველად პური მიჰქონდათ ხოლმე. მაგრამ, სულ მალე გამოირკვა, რომ ვეფხვს ცარიელი პური აღარ მოსწონდა.ღრენდა და ამით თითქოს ხალხს აშინებდა, პურიც მიეტანათ მაგრამ ზედ კიდევ რაიმე დაეყოლებინათ. ეს რაიმე გახლდათ ახალი ხორცი. ამის შემდეგ დაიწყეს ინდაურების, ქათმებისა და ხორცის ნაჭრების მიტანა, დიდი ბატონი ვეფხვი კი მოგზაურებს უვნებლად ატარებდა, ოღონდ კი მათ წესიერად გადაეხადათ ხარკი.ბოლოს ამ ამბავმა რუს ხელისუფალთა ყურამდე მიაღწია. ხელისუფალი, როგორიც არ უნდა იყოს იგი, არ დაუშვებს, რომ მის გზებზე ვინმე ხარკის ამკრეფმა მოიკალათოს ისე, თუ მას ჯიბეში არ უდევს ფინანსთა მინისტრის მიერ ხელმოწერილი ნებართვა.ვეფხვს, უთუოდ დავიწყნოდა ასეთი ნებართვის გამორთმევა კავკასიის ხელისუფალთათვის.განიზრახეს, ნადირის მოკვლა. ვეფხვი ჯერ ვერ მიხვდა, რომ მასზე ნადირობდნენ,მაგრამ როდესაც ფერდებში ტყვიები მიიღო, უკვე ყოველგვარი ეჭვი განეფანტა, თავხედებს ეცა და ორი მონადირე დაგლიჯა.მესამე, დაჭრილი, ძლივს დაბრუნდა უკან. დანიშნეს მეორე ნადირობა, მაგრამ ახლა უკვე მთელი ასეული გაგზავნეს. რვა ადგილას დაწრილი ვეფხვი ერთხელ კიდევ შეხტა თხუთმეტ ფუტზე, რომ მისწვდომოდა ხეზე ამძვრალ კაზაკს, რომელმაც მეცხრედ ესროლა. ვეფხვმა მას მუცელზე თათი დაჰკრა და შიგნეული გადმოეფატრა. ნადირი მოკლეს, მაგრამ მისი მოკვლა იმპერატორ ნიკოლოზს ხუთი კაცის ფასად დაუჯდა.

ავაზა ჩვეულებრივად ვეფხვივით მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გვხვდება. იგი ბინადრობს ლერწმიანში, ხშირ ტევრში, ძეძვნარში, თავს ესხმის ცხვარს, გარეულ თხას და წყალზე მისულ კამეჩებსაც. ძველ დროში ავაზას ისე წვრთნიდნენ, როგორც ახლა შევარდენებს წვრთვნიან. ოღონდ მას ხოხობზე ნადირობის მაგივრად ნიამორზე ანადირებდნენ და მუშტზე კი არ ისვამდნენ, უნაგირზე ჰყავდათ მიბმული. სამხრეთ საქართველოში სპარსეთის ბატონობის გაუქმებამ, სხვადასხვა სახანოების თანდათანობითმა შეერთებამ რუსეთთან, ხმარებიდან გამოიყვანა ასეთი თავშესაქცევი ნადირობა სპარსული ხანებისა. თბილისის საბაჯოს მმართველმა გაიხსენა, რომ იგი ახალგაზრდობაში დასწრებოდა ერთ ასეთ ნადირობას ყარაბადის ხანთან ერთად. ერთხელ, თურმე მის ახლოს მყოფმა მონადირემ ავაზას ესროლა და დაწრა. ავაზა ეცა და ვიდრე მონადირე თოფის გასროლას მოასწრებდა, თათის დაკვრით თავი წააცალა.

რაც შეეხება ტურას, ის გავრცელებულია ღრმა მთის სოფლებში, იმდენად, რომ ხშირად ძილს უფრთხობს მცხოვრებლებს. თუმცა ეს ცხოველი უვნებელია, ან უფრო სწორად გაუბედავი, მისი ყვირილი მაინც რაღაც შიშის ზარს ჰგვრის ადამიანს.

1800 წელს, როცა გენერალი ბუზოვისალიანის ალყაზე იდგა, გადაწყვიტა ზამთარი მუღანის სტეპებში გაეტარებინა, რომელთაგან მხოლოდ მდინარე მტკვარი აშორებდა. როცა მისი ჯარისკაცები კარვების ჩასადგმელად მიწას თხრიდნენ, მიწის ზედაპირზე ამოყარეს ათასობით სიცივისაგან გათოშილი გველი.ამ ფაქტს ანტიკური ეპოქის მატიანეც ამოწმებს: „უკანასკნელი ბრძოლის შემდეგ, რომელიც პომპეუსმა მდინარე აბასთან გადაიხადა, იგი გაემართა ჰირკანის ქვეყანაში, რათა კასპიის ზღვასთან გასულიყო. მაგრამ იძულებული გახდა შეეცვალა თავისი გეგმა, ვინაიდან იქ სამი დღის სავალ მანძილზე მოდებული ურიცხვი გველი ნახა. მაშინ პომპეუსი პატარა არმენიაში წამოვიდა“.(პლუტარქე).

ფალანგა ძალიან გავრცელებულია ბაქოსა და მის მიდამოებში. საზარელი შესახედაობა აქვს. ერთი შეხედვისთანავე დარწმუნდებით. რომ ეს არის დედამიწის ქმნილებათა შორის ყველაზე მდაბიო ქმნილება. ტანი თითის სიმსხო აქვს, ფეხები მეტად მოკლე, მაგრამ მიუხედავად ამისა ძალიან სწრაფად დარბის. კისერი გრძელი აქვს. ხახა აღჭურვილი კბილებით, რომელთაც წარმოუდგენელი გააფთრებით ჩაავლებს ხოლმე მსხვერპლს. უეჭველია ცუდი სახელის გამო ხასიათი აქვს გაფუჭებული, რადგანაც ეს არის ყველაზე ბრაზიანი ცხოველი, რომელთაც მე ვიცნობ. ერთ ქილაში რომ ორი ფალანგა მოვათავსოთ, იმწამსვე ერთმანეთს დაეტაკებიან და არ მოეშვებიან, მანამ ერთი მათგანი მთლიანად არ დაიგლიჯება.იგივე ხდება, თუ ფალანგა და მორიელი ჩასვით ერთად. მორიელი კეთილსინდისიერად იბრძვის, მაგრამ, თითქმის მუდამ მოწინააღმდეგის მსხვერპლი ხდება.მორიელი ევროპაშიც გვხვდება. ოღონდ, მისი წითელი ნაირსახეობა უფრო სახიფათოა ვიდრე ყვითელი, ხოლო ყვითელი მორიელი შავზე უფრო საშიშია. ჩვენ რომ ბაქოში ვიყავით, ნოემბერი იდგა და შედარებით გრილოდა, მაგრამ მაინც ხშირად შევხვდებოდით მორიელს დიდი ქვების ქვეშ ქალაქის კედლებთან.

მოგზაურისათვის, რომელიც იძულებულია ღამის გასათევად ცის ქვეშ დაიგოს კარავი, მორიელის, ფალანგის თუ გველის საწინააღმდეგოდ საუკეთესო საშუალებაა ცხვრის ტყავზე დაწოლა. ცხვარი დაუძინებელი მტერია ამ ქვეწარმავლებისა. ცხვარს საერთოდ ძალიან უყვარსმ მორიელი თუ ფალანგა და ანადგურებს მათ. ზაფხულობით ეს ქვეწარმავლები საძოვრებიდან გარბიან ისე რომ ბალახი ფუთფუთებს მათგან.

არის კიდევ ერთი მწერი, რომელიც საშიშიცაა, დამღლელიც და აუტანელიც, და მას ვერსად გაექცევი. ეს არის კოღო. მაისიდან მოყოლებული სექტემბრამდე მათ ეკუთვნის მთელი ატმოსფერო ყაზანიდან ასტრახანამდე. თვალით უჩინარი, ხელით შეუგრძნობელი კოღო,ორი ვერტიკალური ფრთით დაფრენს, უწვრილეს ქსოვილებში აღწევს და კბენის შემდეგ ისეთივე საგრძნობ ქავილს იწვევს, როგორც საერთოდ ნაკბენის ქავილი.

ახლა ორიოდე სიტყვა კალიაზე, ეგვიპტის ამ მეშვიდე და უკანასკნელ წყლულზე. კალია საქარტველოსა და სპარსეთში ნამდვილ შემოსევას ახდენს. მოულოდნელად მოწმენდილ ჰორიზონტზე შავი ღრუბელი გამოჩნდება. გეგონებათ, ცა საავდროდ ემზადებაო. მაგრამ ქუფრი ძალიან სწრაფად ახლოვდება, გარდა ამისა, მას მოლურჯო ფერი დაჰკრავს. მოდის ათიათასობით კალია. სადაც ის ჩნდება მოსავალი იღუპება, ერთი თავთავიც კი აღარ რჩება ყანებში. ტყეში ხეს ფოთოლი სცვივა, საბედნიეროდ ეს ღრუბელი კალიისა, რაც არ უნდა ფართოდ იყოს მოდებული, სწრაფად ქრება. მათ ერეკება გუნდ-გუნდი ფრინველი, რომელთაც ქარტველები და სპარსელები ისევე აღმერთებენ, როგორც ეგვიპტელები იბისებს. კალიების ამ გამანადგურებელს ადგილობროვად თარბი ეწოდება. ეს არის ცვენი მუზეუმის Paradisia tristis

ხშირად ცხოველებსაც სდაროჯობს უბედურება, ისე, როგორც ადამიანებს. მთელ სივრცეზე ორ ზღვას შუა ცხენებისათვის მომაკვდინებელი მცენარე იზრდება. ეს არის პონტის აბზინდა. ხშირად, თუ ეს ბალახი ცხენის ჯოგს მოხვდა საძოვარზე, ორმოცდაათი ცხენიდან ერთიც ვე გადარჩება ცოცხალი. გენერალმა ციციანოვმა, რომელიც უკვე ვახსენე, ასეთნაირად დაკარგა

მთელი ტავისი არტილერიის ცხენები. ცხვრებსა და ხარებს ეს მცენარე ვერაფერს ვნებს. მისი მოწამვლის საწინააღმდეგოდ საუკეთესო საშუალებაა სისხლის გამოშვება, მაწონი და ზეთი.

თავი XXII
შაჰი ჰუსეინი

როცა ფატმას მიზგითს აგიწერდით, გაკვრით ვახსენე თათართა დღესასწაული, რომელსაც ადგილი ჰქონდა დარუბანდში, ბაქოსა და შემახიაში ჰუსეინის გარდაცვალების გამო. ეს ჰუსეინი ვაჟია ალისა და იმ ფატმასი, რომლის სახელიც მიზგითს ჰქვია. ჰუსეინის სიკვდილა ათ ნოემბერს დღესასწაულობენ და ჩვენც ბედმა შემთხვევა მოგვცა დავსწრებოდით ამ ზეიმს. თავისთავად ცხადია, მკითხველს პირობას ვერ მივცემ, რომ აღწერა ზუსტი იქნება, რადგანაც ენის უცოდინარობა საკმარისად მიშლიდა ხელს და იძულებული ვიყავი დავყრდნობოდი დამტვრეული ფრანგულით მოწოდებულ ცნობებს.მაგრამ მაინც შევეცდები აღვწერო ეს დღესასწაული,რათა მკითხველს მივაწოდო ცნობა იმ საწყისთა შესახებ, საიდანაც მომდინარეობს დრამატული ხელოვნება, რომელიც დღეს ჩინგის-ყაენისა და თემურ-ლენგის შთამომავლებს აქვთ.

მაჰმადიანობა ორ სექტად განიყოფა: ერთ აბუ-ბექრისა და ომარ-სუნის სექტა, მეორე-ალი -შიის სექტა. თურქები უმეტეს წილად პირველი სექტის მიმდევრები ანუ სუნიტები არიან. სპარსელები კი მეორე სექტისაა ანუ შიტები. ამ ორი ხალხის სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ რელიგიის ამ განსხვავების მიზეზით , მათ დღეს ისევ გულით ეჯავრებათ ერთმანეთი, როგორც მეთექვსმეტე საუკუნეში ჰუგენოტებსა და კათოლიკებს ეჯავრებოდათ. შიიტები გამოირჩევიან ტავიანთი შეუწყნარებლობით. განსაკუთრებით ძლიერია აგრეთვე მათი სიძულვილიქრისტიანების მიმართ. შიიტი შიმშილით რომ კვდებოდეს, არავითარ შემთხვევასი ქრისტიანბთან ერთ სუფრაზე არ დაჯდება. ესენი არიან ჭეშმარიტი ძველი მორწმუნენი, მუჰამედის ნამდვილი მიმდევარნი. დარუბანდსა, ბაქოსა და შემახიაში მცხოვრები თათრები ამ სექტას მიეკუთვნებიან და უმთავრესად ისინი დღესასწაულობენ ამ წლისთავს ყველაზე მეტი თავდადებითა და გზნებით. ეს ჰუსეინი ბაღდადთან ვერაგულად მოკლა კუფის ხალიფის მოავიას ვაჟმა იეზიდმა.

სპექტაკლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ქალაქის მთავარ ქუჩაზე აღმართავენ თეატრს. სცენას ისეთნაირად დგამენ, რომ პარტერის მაგივრობა ქუჩამ გასწიოს. კარებთა ზღურბლზე მუსიკოსები მოთავსდებიან ხოლმე, ფანჯრები იჭერენ ლოჟების ადგილს, ხოლო ბანები ბალკონების მაგივრობას სწევენ. წარმოდგენის დაწყების წინ, საღამოს ცხრა საათისთვის თათრის ბავშვები დიდი კოცნების ანთებას იწყებენ, მის გარშემო ცეკვავენ თერთმეტ საათამდის და რაც ძალა და ღონე აქვთ, გაჰყვირიან, „ალი! ალი!“წარმოდგენა იწყება საღამოს თერთმეტ საათზე. პროცესია იწყება ბავშვებით, რომელთაც ჩირაღდნები მოაქვთ. ჰუსეინის როლისათვის ირჩევენ საუკეთესო გარეგნობის მამაკაცს, აცმევენ საუცხოო ტანსაცმელს, მდიდრული ატლასის წამოსასხამს დაყველაფერი ისე გათამაშდება, როგორც ეს სინამდვილეში მოხდა. ბრძოლა გრძელდება ათ დღეს. მემატიანის მიხედვით ბრძოლა გაგრძელდა მზის ამოსვლამდე, მაგრამ რაკი თვით ბრძოლას თათრები ყველაზე უფრო გასართობ სანახაობად თვლიან, სწორედ ამ მომენტს აჭიანურებენ და ყოველი მათგანი ამაში აქსოვს საუკეტესო რაინდის უდიდეს ოსტატობას. მაყურებლები, ასე ვთქვათ, წვეთ-წვეთობით იღებენ სიამოვნებას ამ სანახაობიდან, რომლის კვანძიც მხოლოდ მეათე დღეს იხსნება. კოცონები ყველაზე უფრო მძლავრად მეათე დღეს გიზგიზებენ, ბრბო ფუტკრის სკასავით ბზუის. სახლის ბანებზე მაყურებელთა ტევა არ არის. ჯგუფ-უჯგუფად მორბიან დაძონძილი ბავშვები, რომელთაც თათრები მოსდევენ უკან. ყოველ მათგანს მეზობლისთვის მარცხენა ხელი ქამარში ჩაუვლია, მარჯვენათი კი ნკერდში მჯიღს ირტყამს, თან არაბულ ლექსს მღერის. ამ ღრიანცელში მიზგითიდან გამოაქვთ ჰუსეინის კუბო. თითქმის ერთდროულად ქვემოდან მეორე პროცესია გამოჩნდება. მათ მოაქვთ მიზგითის მოდელი, სადაც ჰუსეინის ბიძაშვილმა

მუსელიმმა ჯვარი დაიწერა ჰუსეინის ქალზე.ყოველ კორტეჟს მოსდევს მდიდრულად შეკაზმული ცხენი, რომელიც მთლიანად ისრებითაა დაცხრილული და სისხლი სდის. საცოდავი პირუტყვი თავით ფეხებამდე იარაღში ზის, ერთ მხარეს ჰუსეინის ვაჟის ჰასანის იარაღიმ ჰკიდია, მეორე მხარეს მისი სიძის მუსელიმისა. როცა ორივე პროცესია ერთმანეთს შეხვდება, მკერდში მჯიღების ცემა ძლიერდება და ყვირილი ღრიალში გადადის. მაშინ ორივე პროცესია ცეცხლის იარაღის სროლით მიზგითისკენ გაემართება. ეზოში, მიზგითის წინ ორ კუბოს ერთმანეთის პირისპირ ათავსებენ და მაშინ იწყება ველური, ზარისმომგვრელი, განსავიფრებელი სანახაობა, რომელიც საერთოდ ძნელი ასაწერია. მთელი სპექტაკლი თამაშდება კედლის ხავსსა და სუროს ფონზე, ვეება ჭადრების მწვანე ფოთლებში, აივნებს რომ გარს ევლება. ეზოს გარშემო გამართული გალერეა სარკეებითა და ჭაღებით ბრწყინავს, შუა ეზოში მოწყობილ ჩანჩქერს ნაირ-ნაირად აჭრელებული ადამიანების ჯგუფი ეხვევა.ისინი ხარბად ხაპავენ სითხეს პეშვებით, რათა მწველი წყურვილი დაიცხრონ. ბოლოს, ყველა ამას მიუმატეთ მელანქოლიური ნამგალა მთვარე, ეს სიმბოლო ისლამიზმისა. რომელიც ნავთობის ბოლს ზევით, ღრუბლებში მიცურავს და ჩვეულებრივზე უფრო ფერმკთალი და სევდიანი ჩანს, რადგანაც განცვიფრებული შეჰყურებს თავის თაყვანისმცემლებს, ქრისტიანებში რომ არეულან. ეს სურათი ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენს და ერთსა და იმავე დროს გიტაცებს თავისი სიახლითა და საკვირველებით. ჩვენ მოწმენი ვიყავით თვით ბრძოლის ინსცენირებისა, ხოლო როდესაც ყველა მოქმედი პირი დაიხოცება, ყოველი მხრიდან გაისმის ქვითინი, მოთქმა, გოდება. მთავარი ის არის, რომ ხალხი ნამდვილი ცრემლით ტიროდა და ისე გულსაკლავად მოთქვამდა, რომ ავაზაც კი ჩამოვიდა მახლობელი ტყეებიდან და ჰუსეინის ცხედარს დაატირა. მას წინ მოუძღოდა ორი ანგელოზი თეთრად სემოსილი დიდი ფრთებით, რათა ცაში აეტაცნათ მიცვალებულის სული. ამ დროს სცენის სიღრმეში ფარშევანგის ფრთის უზარმაზარ სამწერობლებს არხევენ.

ბოლოს მთავრდება ეს საკვირველი დრამა, რომლითაც მთელი ათი დღის განმავლობაში ხალხი ოსეა გართული, რომ მივიწყებული აქვთ ყოველგვარი საქმე. და ვინაიდან ქალი თუ კაცი, ბავშვი თუ მოხუცი ყველა ღამეს თეთრად ათენებს წარმოდგენის ყურებაში და მხოლოდ გათენებისას იღვიძებს.მთელი ათი დღის განმავლობაში ეს ქალაქი დილაობით მძინარე მზეთუნახავის სამფლობელოს ჰგავს.თავისთავად ცხადია, რომ ამ ათ დღეს ხანჯლის ქნევისა და თოფის სროლის წყალობით საკმაოდ დიდი რაოდენობით გროვდება დახოცილები ჰუსეინისა და მისი ვაჟის პატივსაცემად. მაგრამ ესენი ითვლებიან მოწამეებად,რომლებიც ერთი ნახტომით უნდა აფრინდნენ ამ უბადრუკი ქვეყნიდან მუჰამედის სამოთხეში. ნეტარ არიან მორწმუნენი!

თავი XXIII
გამოთხოვება კასპიის ზღვასთან

კიდევ ორი რამე გვრჩებოდა სანახავი ბაქოსა და მის მიდამოებში. ერთი იყო ხანების სასახლე ბაქოში, რომელიც აგებულია სპარსეთის მეფის შაჰ-აბას დიდის მიერ, ხოლო ბაქოსაგან მოშორებით უნდა გვენახა მგლის კარი. ხანების სასახლე ნიმუშია არაბული არქიტექტურის საუკეთესო ეპოქისა და აშენებულია 1650-იან წლებში იმ აბაზ II-ის მიერ, რომელიც ოცდათექვსმეტი წლის მოკვდა, მას შემდეგ, რაც ყანდარი დაიპყრო და დიდი პატივით შეხვდა თავის სახელმწიფოში შარდენსა და ტავერნიეს, რომელთა გარეშეც ის ჩვენთვის სრულიად უცნობი დარჩებოდა. სასახლე უპატრონოდაა მიტოვებული და შერჩენილი აქვს საუცხოო ჭრილის მეტად ლამაზი ჩუქურთმებით შემკული დახურული ტალანი, და ერთი დარბაზი საინტერესო დეტალით. მას ეძახიან სამსჯავროს დარბაზს. შუა დარბაზში ამოთხრილია ჯურღმული. ამბობენ, თითქოს ოდეზღაც ეს თხრილი, რომლის დიამეტრი თვრამეტ ფუტს უდრის, სვეტით ყოფილა დაფარული. როცა რომელიმე დამნაშავეს სიკვდილს მიუსჯიდნენ და სასჯელის სისრულეში მოყვანა სქაიდუმლოდ უნდა შენახულიყო, მას დარბაზში შემოიყვანდნენ, სვეტს გადასწევდნენ, დამნაშავეს თხრილთან დააჩოქებდნენ და მახვილის

ერთი დარტყმით თავს წააცლიდნენ. ოსტატურად მოკვეთილი თავი ისე ვარდებოდა თხრილში, რომ მის კიდეს არც ეხებოდა. შემდეგ ტანს მოიშორებდნენ და თხრილს სვეტით დახურავდნენ. ეს ჯურღმული, როგორც ამბობენ, მიწისქვეშა გზებით ფატმას მიზგითთან იყო შეერთებული.

მგლის კარი სულ სხვა რამ არის, ეს არის ბაქოდან ერთი ვერსის მანძილზე კლდეში ჰათხრილი ხვრელი, რომელიც ველებს გადაჰყურებს. ეს გადასახედი ძალზე წააგავს ეტნას მიერ განადგურებულ სიცილიის ერთ-ერთ კუთხეს. მხოლოდ ეტნას შეუძლია შეგვიქმნას ამ პეიზაჟის წარმოდგენათავისი ყოველმხრივ გადაღვრილი ლავებით. გაშიშვლებული ნიადაგი, აშმორებული გუბეები, გადატრუსული ველი, ორ მთას შუა მიმავალი ხევი, არავითარი ნიშანწყალი მცენარისა. ასეთია არა მარტო მგლის კარი, არამედ ის სევდიანი პეიზაჟიც, რომელიც ამ კარიდან იშლება.

უკვე შებმული და დატვირთული ჩვენი ეტლები ბ-ნი პიგულევსკის შესასვლელთან გველოდნენ. სასადილო ოთახში საუზმე იყო გაწყობილი. ვისაუზმეთ, გამოვეთხოვეთ ყველას და გზას გავუდექით. გავცდით თუ არა ბაქოს, ზურგი ვაქციეთ კასპიის ზღვას, რომლის ნახვა თავშიც კი არ გამივლია, როცა ჰეროდოტესთან მის აღწერას ვკითხულობდი. უნდა ითქვას, რომ ეს აღწერა ყველა სახვა ძველი ავტორთა აღწერასთან შედარებით ზუსტია. სტრაბონი,პტოლომეუსი, მარკო პოლო, ჯენკინსონი, შარდენი და სტრეისი ვერ იძლევიან მის ისეთ სრულ აღწერას როგორსაც ჰეროდოტე იძლევა. ჩემს სიცოცხლეში არ მიფიქრია, რომ დამენანებოდა კასპიის ზღვა და აი, ახლა ვგრძნობდი, რომ ეს ასე იყო. საერთოდ ზღვა ჩემში რაღაც დაუძლეველ მიზიდულობას იწვევს. იგი მიზიდავს თავისი ტალღების ღიმილით, გამჭვირვალე ლურჯი წყლით.თუმცა ხშირად მიწყრება და მოწმე ვხდები მისი მრისხანებისა, მაგრამ, შესაძლებელია , სწორედ ამიტომაა, რომ ის თვალწარმტაცი მეჩვენება და ვუღიმი, როგორც უღიმიან საყვარელ ქალს მრისხანებაშიც კი.კასპიის ზღვის სახით მე ახალი მეგობარი შევიძინე. თითქმის ერთი თვე გავატარე მასთან. გარშემო სულ მის ქარიშხლებზე მელაპარაკებოდნენ, მაგრამ მან მხოლოდ ღიმილი მაჩვენა. მხოლოდ ერთხელ, დარუბანდში, ლამაზი ქალი რომ წარბს შეიჭმუხნის ისე მოზნიქა ფართო მკერდი და სახეზე ქაფი მოიყარა, მაგრამ, მეორე დილას კიდევ უფრო მშვენიერი, უფრო წყნარი და მშვიდი, უფრო ანკარა და წმინდა იყო. ბევრ პოეტს არ უნახიხარ შენ, ო, ზღვაო ჰირკანისა! ორფეუსი კოლხეთში შეჩერდა.ვერც ჰომეროსმა მოაღწია შენამდის. აპოლონიოს როდოსელს არასოდეს გადაულახავს ლესბოსი. ესქილემ თავისი პრომეთე კავკასიონზე მიაჯაჭვა. ვერგილიუსი დარდანელის კართან შეჩერდა. ჰორაციუსმა თავისი ფარი გადააგდო, მოკლე გზით გაიქცა და მივიდა რომში სადაც ავგუსტესა და მეცენატს ხოტბა შეასხა. ოვიდიუსმა თავის გადასახლებაში ძლივს იხილა მხოლოდ ევქსინის პონტი. დანტე, არიოსტო, ტასო. რონსარი, კორველი ავლიდაში აღმართა, ხოლო გიმონ დელა ტუშმა თავისი იფიგენიის ტაძარი-თავრიდაში. ბაირონმა ღუზა კონსტანტინეპოლში ჩაუშვა. შატობრიანმა იორდანესგან ისესხა წყალი, რომელმაც შუბლი უკურთხა წმიდა ლუდოვიკოს უკანასკნელ მემკვიდრეს. აზიის ნაპირებზე დაასრულა თავისი მომლოცავობა ლამარტინმა ერთი ჯვრის ძირში, მაგრამ არა ქრისტეს ჯვრისა. სალი კლდესავით უძრავი და მაგარი ჰიუგო ზღვის ქარიშხალში მოხვდა, მაგრამ პირველსავე შემხვედრ კუნძულზე ჩამოხტა. პირველად მარლინსკი, მანაც ლტოლვილმა გნახა, და შეუყვარდი. შენ იყავ ცეცხლი ამ ბაიკალის ყინულებიდან ჩამოსული ადამიანისთვის. მასაც ჩემსავით ენანები განშორების ჟამს და დაქტირის.

შენი ნაპირი მისთვის კეთილი მასპინძელი იყო. შენს ნაპირზე უყვარდა და იტანჯებოდა. ოლინ ნესტერცოვის საფლავის ქვაზე მჯდომი მიმზერდა ცრემლმორეული თვალებით. ისიც ჩემსავით სამუდამოდ გამოგეთხოვა. ვინ იცის, იქნებ ცოდვი გამოსასყიდლად მიდიოდა ადლერის ტყეში, სადაც მისი გვამიც კი ვეღარ იპოვეს? ჰოი, ზღვაო ატილასი, ჩინგის-ყაენისა, თემურ-ლენგისა, პეტრე დიდისა და ნადირ-შაჰისა, შემოინახე თუ არა შენ მისი უკანასკნელი მშვიდობის ხსოვნა?

თავი XXIV
შემახია

თერთმეტი ნოემბერი იყო რუსული სტილით, როცა ბაქოდან დაახლოებით რვა ვერსის დაშორებით ეტლში შემოვბრუნდი და კასპიის ზღვას უკანასკნელად დავემშვიდობე. ჩვენ გადავწყვიტეთ იმ დღეს ასოცი ვერსი გაგვეარა, - კავკასიის გზებზე კი ოცდაათი ლიე ვეებერთელა გზაა, - და ღამე გაგვეთია შემახიაში, ძველ შუმაკში. შუა გზაზე შეგვხვდა ოფიცერი, რომელიც შემახიის ვიცე-კომენდანტის ბრძანებით ჩვენს შესახვედრად წამოსულიყო, ამალის თანხლებით. თვით კომენდანტი იმ დროს თბილისში იმყოფებოდა. რამდენიმე დღე იყო, რაც ლეკებს ისევ თარეში გაეხშირებინათ. ჩვენ კვლავ ვუბრუნდებოდით ხასავ-იურთის, ჩირ-იურთისა და ყიზლარის საუცხოო დღეებს. ჩვენი ოფიცერი, რომლის განკარგულებაში იყვნენ ყველ ფოსტის უფროსები, ცხენებს შოულობდა დღისითაც და ღამითაც. უმისოდ იძულებული ვიქნებოდით საღამოს ექვს საათზე მოგზაურობა შეგვეწყვიტა. ახლა კი გზა განვაგრძეთ და შუაღამისას შემახიაში შევედით. იქ გველოდა ბინა მოგიზგიზე ბუხრითა და სანთლებით, რომელიც შუქს ფენდნენ საუცხოო ტახტებს ლამაზი ხალიჩებით და სუფრაზე გაშლილ ვახშამს. ნავახშმევს ჩემს ოთახში შემიყვანეს, სადაც საწერი მაგიდა იდგა, ზედ მომზადებული იყო ქაღალდი, ხელუხლებელი კალმები და გახსნილი ჯიბის დანა. ამაზე შესაფერისად ვერ დამხვდებოდა ისიც კი, ვინც უკვე დიდი ხანია მიცნობს და მეგობრობს ჩემთან. ოთახს ამშვენებდა სამი სურათი: „გამომშვიდობება ფონტენებლოში“, „კეთროვნები იაფაში“ და „ბრძოლა მონტერესოთან“. ღამით საუცხოო ხალიჩაზე მეძინა.

მეორე დღეს ადრიანად გვეწვია პოლიციის უფროსი და თავისი სამსახური შემოგვთავაზა. წინასწარ გაგონილი მქონდა, რომ ამ ქალაქში ბევრი რამ იყოსაინტერესო და ვთხოვე, დაგვათვალიერებინე-მეთქი. სახლიდან ერთად გავედით. პირველი, რამაც განმაცვიფრა, ცხვრის ფარა იყო, რომელიც სახლის სახურავზე სძოვდა. სახურავი მიწით იყო დაფარული და წარმოადგენდა პატარა, ბალახიან მინდორს თითქმის ისეთს, როგორიც ვერსალის ქუჩებია. ცხვრები ბალახს კი სძოვდნენ, მაგრამ როგორ ადიოდნენ ან ჩამოდიოდნენ ამ სახურავზე, ვერ გავიგე.

ქალაქი იყოფა ზემო და ქვემო ნაწილად. ცოტაა ქვეყანაზე ისეთი ქალაქი, რომელსაც ამდენი განეცადოს. ქვემო ნაწილში წელიწადის სამი თვის განმავლობაში საშინელი, შემმუსვრელი ციებ-ცხელება მძვინვარებს. მთაზე შეფენილი მოსახლეობა შედარებით დაცულია ამ სენისგან. სამაგიეროდ იგიარ არის დაცული მიწისძვრისგან. დღეს შემახიამ არ იცის, გადარჩება თუ არა იგი ხვალაც. ციებ-ცხელებასა და მიწისძვრას შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ციება ხანგამოშვებითია, ხოლო მიწისძვრა თითქმის განუწყვეტელი. მაგრამ მიწისძვრა და მალარია როდი ყოფილან შემახიას უმთავრესი მტერბი. ყველა უბედურებათაგან უარესი ყოფილა თვითონ ადამიანი. შემახია შერვანის დედაქალაქი იყო. მაშინ ეს იყო მდიდარი სახანო, რომელსაც თავისი ხანისთვის მილიონობით შემოსავალი მოჰქონდა. მაშინ ქალაქი ათასმცხოვრებს ითვლიდა.

ერთხელ მე ვკითხე არაბთა ბელადს, ელ-მოკრანის, რომელიც ალჟირის მიდამოებში მცხოვრებ ტომებში განსწავლულ კაცათ ითვლებოდა, გაგიგონიათ თუ არა ძველი, ბრინჯაოსა და გრანიტისაგან აგებული კეთილშობილი ქალაქები სუზან, პერსეპოლისი, ბაბილონი, ნემფისი, ბალბეკი და პალმირა-მეთქი? მან მიპასუხა: -თოკი, რომელზეც ჩემი კარავია დაბმული ერთი უბრალო თოკია, მაგრამ ისიც მოესწრო მათ დაღუპვას და მეც რაღა მოგახსენოთ მეტი მათ შესახებო. შეუძლებელია მაზე უკეთესად გამოთქმა იმ აზრისა, რომელიც მომთაბარე ცხოვრების დიდებას და დამჯდარი ცხოვრების გმობას შეიცავს. ვოლტერი თავის „პეტრე დიდის ისტორიაში“, ფრიად საშუალო ისტორიკოსის მიერ დაწერილ ამ უბადრუკ წიგნში ამბობს, შემახია იყო ძველი დედაქალაქი მიდიისა და რეზიდენცია იმ კირუსისა, რომელმაც

დამოუკიდებლობა დაუბრუნა სპარსეთს, დაიპყრო მიდიელები, დაპყრობილთ მეფედ გამოაცხადებინა თავი, სწლია კრეზოსს ტიმბრეაში, ხელში ჩაიგდო სარდები და მთელი მცირე აზია. გადააგდო ევფრატი, აიღო ბაბილონი და როცა თვაისი ბიძისკიაქსარის მემკვიდრეობა მიიღო, იმდენად ძლიერი შეიქნა, რომ მასა და მის მემკვიდრეებს „ დიდი ხელმწიფეები შეარქვესო“ , ამდროიდან მის იმპერიაში შედუიდა ბაბილონი, სირია, მიდია, მცირე აზია და სპარსეთი. როგორ დაიღუპა ეს ბუმბერაზი? ქსენოფონტე ამბობს, იგი ღრმად მოხუცებული თავისი შვილების ხელში გარდაიცვალაო. ვეროდოტე კი, ეს შვილი მითოლოგიისა და მამა ისტორიისა, ამბობს, მან დააპირა დაეპყრო მასაგეთის დედოფლის ტომირის სახელმწიფო, ჯერ ვაჟი მოუკლა მას, ხოლო შემდეგ თვით ჩაუვარდა დედოფალს ტყვეთ, სასტიკი შურისძიებით შეპყრობილმა დედამ კი ანტიკური მემეზიდას მსგავსად თავი მოჭკვეთა, თვითონვე ჩადო სისხლით სავსე ფიალაში და უთხრა:

-აჰა, გაძეხ სისხლით შენ, ვისაც მთელი სიცოცხლე სისხლი გწყურდაო.

თუ ეს მაბავი მართლაც მოხდა, სახელი კირუსისა, რომელიც კარგი ისტორიული საბუთი ყოფილიყო ვოლტერის სასარგებლოთ. „ლექსიკონის“ ავტორი დანვილი, რომელიც უფრო მეცნიერია ვიდრე ფილოსოფოსი, ჰეროდოტეზე დიდი ავტორიტეტია და ფიქრობს, რომ შემახია, როგორც გეოგრაფიული მდებარეობით, იისე სახელწოდების იგივეობით პტოლომეუსის მამაშია უნდა იყოს. ოლეოარიუსმა ამ ქვეყანაში იმოგზაურა 1645 წელს ჰოლშტეინის ჰერცოგის დესპანობის დროს და მაშინ შემახიამ მთელ თავის ბრწყინვალებაში იმყოფებოდა. როგორც სატრანზიტო ქალაქი, იგი წარმოადგენდა შემართებულ პუნქტს დასავლეთთან, სამხრეთთან და აღმოსავლეთთან. საუბედუროდ, ერთი ჩხუბის შედეგად მისმა მცხოვრებლებმა რუსი სოლდაგრები დახოცეს და ამ შემთხვევამ რუსეთსა და სპარსეთს შორის ომის დაწყებას საბაბი მისცა. პეტრე დიდი შემახიისკენ დაიძრა, აიღო ქალაქი და მთელი მისი მიდამოებით ნანგრევებად აქცია. შემდეგ დაიწყო შემოსევები, რომელთა ასპარეზი გახდა სპარსეთი, სამოქალაქო ომები, შავი ჭირი, რომელიც თავის მოქალაქეობრივ უფლებებს თხოულობს დაცემულ იმპერიებში და დანგრეულ ქალაქებში, ისე, რომ 1815-16 წლებში ეს უძველესი, ერთ დროს აყვავებული მოსახლეობა ოცდახუთ-ოცდაათიათას სულს შეადგენდა. უკანასკნელი ხანი ხედავდა, როგორ სწრაფად ეცემოდა მოსახლეობის რიცხვი, როგორ მძვინვარებდნენ მიწის ძვრები, მალარია, და მანშემახიის მოსახლეობა აიძულა მიეტეოვებინა ეს ნანგრევები, სადაც მხოლოდ ჩვეულების გამო დაბობღავდნენ, და წაიყვანა ერთგვარი არწივის ბუდის მსგავს ფიტაის ციხე-სიმაგრეში, სადაც იმედი ჰქონდა, რომ ხსენებულ მტერთაგან ვერცერთი ვერ მიაგნებდა. ამგვარად ქალაქი მთლიანად დაიცალა. როცა 1817 წელს ეს ქალაქი შევალიეგამბამ მოინახულა, მასში აღარცერთი შთამომავალი აღარ დარჩენილიყო იმ ასიათას მცხოვრებთაგან, რომელნიც პეტრე დიდის შემოსვლის მოწმენი იყვნენ. მდუმარე და უკაცო ქალაქში ადამიანი აღარ ჭაჭანებდა და მხოლოდ ტურებს დაესადგურებინათ. ამის მაგივრად მან იქ რვა ფრანკად ცხვარი ჭამა, და ისიც ძლივს უშოვეს რვა ვერსის მანძილზე. მაგრამ 1819 წლის დამლევს, ხანს, რომელიც თავის ფიტაის კლდის წვერიდან კიდევ აწუხებდა რუსეთს, ბრალი დასდეს რუსეთის წინააღმდეგ ინტრიგებში სდა თბილისს ჩამოსვლა უბრძანეს. ხანმა თავისი სათავადაზნაურო წოდებისთვის შეურაცხმყოფელად ჩათვალა ახსნა-განმარტების მიცემა, თუ ნამდვილა არ ჰქონდა სინდისი წმინდა, იგი სპარსეთში გაიქცა და თავისი სახანო, ციხე-სიმაგრე და ქვეშევრდომნი რუსეთს დაუტოვა. მაშინ გენერალმა ერმოლოვმა ნება დართო შემახიელებს, მიტოვებულ ქალაქში დაბინავებულიყვნენ. ქალქის კარებში დევნილთა ქარავანი შემოვიდა და ნგრევას გადარჩენილი სახლები აავსო. დანგრეული სახლები კი უფრო მეტად ინგრეოდნენ, რადგანაც მათ შეკეთებას არავინ ფიქრობდ. მაგრამ თუ ამ მღელვარებაში თვითონ ქალაქმა ბევრი განიცადა, კიდევ უფრო მეტად დაზიანდნენ მის გარშემო მდებარე ნაყოფიერი ველები, რომელნიც გერმანული მოგზაურის გიულდენშტედის მოწმობით ოდესღაც ვენახებითა და თუთის ბაღებით ყოფილიყვნენ დაფარული. არ დარჩენილა არცერთი ხე, რომელზედაც ვაზი დაეყრდნობოდა და რომლის ნოყიერ ფოთლებს

შესძლებოდა გამოეკვება ძვირფასი აბრეშუმის ჭია, რომლის ნაწარმი დღეს თითქმის ერთადერთი სიმდიდრეა შემახიისა.

ჩვენ დავათვალიერეთ ბაზარი, მას ერთი მთელი ქუჩა უკავია. აქ ყიდიან მშვენიერ, თუმცა პირველყოფილი გემოვნების ხალიჩებსა და აბრეშუმის ქსოვილებს. მე დამავიწყდა მეთქვა, რომ დილით, როცა ქალაქის ზემო ნაწილში დავდიოდით, ერთ დანგრეულ შადრევანთან გავიარეთ, რომელიც მოანემ ჩაიხატა, და ქააქის კომენდანტს შევხვდით. მას თურმე გაეგო ჩვენი ჩამოსვლა და შესახვედრად ჩამოსულიყო, რომ თავისთან წავეყვანეთ. სახლში მიგვიღეს მისმა ცოლმა, ახალგაზრდა, ლამაზმა ქალმა და დამ, მშვენიერმა შუახანს მიღწეულმა მანდილოსანმა, რომელიც საუცხოოდ ლაპარაკობდა ფრანგულად. სიტყვა ჩამოგვართვეს, რომ სადილად ისევ მივიდოდით. ჩვენ შევასრულეთ პირობა და სამ საათზე დავბრუნდით. შემდეგ კომენდანტმა ბ-მა ოშიშინსკიმ, მხიარულმა ჯან-ღონით სავსე სამოცი წლის მოხუცმა მთელი ქააქი დაგვატარა. ბაზარში სეირნობის დროს კიდევ ერთი მიწვევა მივიღეთ: შემახიის ერთ-ერთმა უმდიდრესმა თათარმა მაჰმუდ-ბეგმა სპარსულ ვახშამზე დაგვპატიჟა და შეგვპირდა საღამოზე ბაიადერეს გაჩვენებთო.

შემახიის ბაიადერებს საკმარისად აქვთ სახელი განთქმული არა მარტო შირვანში, არამედ კავკასიის ყველა პროვინციებში. უკვე დიდი ხანი იყო, რაც ამ მშვენიერ ქურუმებზე გველაპარაკებოდნენ. „შემახიაში ბაიდერების ნახვა არ დაივიწყოთ“, - გვითხრა თვადმა დუნდუკოვმა, ეს გაგვიმეოპრა თავადმა ბაგრატიონმა და მოგვაგონეს ბაქოშიც. ბაიადერები ხანების მბრძანებლების ნაშთია. ისინი კარის მოცაკვავენი იყვნენ. საუბედუროდ, შემახიაში მხოლოდ სამი ბაიადერიღა დარჩა, რომელთაგან ორი ქალია, ერთი კი პატარა ბიჭი.

საღამო დანიშნული იყო რვა საათისთვის, მაგრამ ოშოშინსკები დაგვპირნენ, რა დროსაც არ უნდა გათავებულიყო საღამო, უსათუოდ სასახლეში დავბრუნდებოდით, სადაც არა სპარსული, არამედ ფრანგული ყაიდის მეჯლისი გველოდა. ქ-ნ ოშიშინსკის, როგორც ახალგაზრდა ქალთა ინსტიტუტის საპატიო დირექტორს, ჩვენსპატივსაცემად მთელი პანსიონატი დაეთხოვა და რათა ამ მშვენიერ თხუთმეტი წლის თავებში უკეთესად აღბეჭდილიყო ბ-ნი დიუმას მოგონება, მეჯლისზე მიიწვიეს. როგორც ხედავთ, დიდ პატივში ვიყავი.

მივედით მაჰმუდ-ბეგთან. მას აქვს საუკეთესო სახლი, რომლებიც კი დარუბანდიდან თბილისამდე მინახავს, ხოლო მე ცოტა სახლი როდი ვნახე, თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ თვით ბატონი არშაკუნის, კასპიის ზღვის მეთევზეობის მოიჯარადრის სახლს თბილისში, რომელშიც მისმა პატრონმა უკვე ორი მილიონი მანეთი დახარჯა და ჯერ დამთავრებული არ არის.

შევედით მთლიანად აღმოსავლურ ყაიდაზე მორთულ დარბაზში. კალმით აღქწერა მისი ერთსა და იმავე დროს სადა და მდიდრული მოწყობილობისა ძალზე ძნელია. ყველა სტუმარი წამოწოლილი იყო ოქრომკედით მოქარგულ ატლასის ბალიშებზე, რომელთაც ტიულის პირები ეკრა, რაც ყველაზე უფრო მკვეთრ საღებავებს ზედმიწევნით საამო და ნაზ შესახედავს ხდიდა. დარბაზის სიღრმეში, დიდი ფანჯრის მთელ სიგრძეზე ისხდნენ სამი მოცეკვავე სა ხუთი მემუსიკე. თავისთავად ცხადია, ესოდენ ადგილობრივი ხასიათის ცეკვისათვის სრულიად განსაკუთრებული მუსიკაა საჭირო. ერთი მოცეკვავეთაგანი საკმაოდ საშუალო სილამაზის ქალი იყო, მეორე კი ოდესღაც უნდა ყოფილიყო ლამაზი. ახლა მისი სილამაზე შემოდგომის ყვავილის მსუყე და უხვ სილამაზეს ჰგავდა. ნისას,-ასე ერქვა მას,-სახეზე ფერ-უმარილი ეცხო,როგორც აღმოსავლეთის ყველა ქალს. წარბები მიუგავდა დიდებულ, ორმაგ პირქუშ თაღს, რომელთა ქვეშ მშვენიერი თვალები ბრწყინავდნენ. კოხტად მოყვანილი ცხვირი შესანიშნავი წონასწორობითესვენა პატარა მარჯნისფერ ვნებიან ბაგეზე, რომელიც პაწაწინა მარგალიტისებრ კბილებს უფარავდა. პატარა ხავერდის ქუდიდან მოუჩანდა ხშირი შავი თმა.

ქუდი დაფარული იყო ურიცხვი თათრული ფულით, რომელიც ჩანჩქერივით თმაზე ეცემოდა და ამ ახლად მოვლენილ დანაის მხრებსა და ყელზე ნამდვილ ოქროს წვიმას ასხურებდა. თეთრი ატლასის კაბაზე ოქრომკედით ნაკერი წითელი ხავერდის კამზოლი ეცვა ზემოდან გრძელი გაზის საბურველით. ფეხები არ უჩანდა. მეორე ბაიადერი სილამაზითაც ნაკლები იყო და ჩაცმულიც უარესად იყო. მესამეს სცვლიდა ბიჭი, რომელსაც ლამაზი გოგონას გარეგნობა ჰქონდა.

მუსიკამ ნიშანი მისცა. ანსამბლი შედგებოდა ერთი დოლისაგან, რომელიც რკინის ფეხებზე იდგა და უზარმაზარ, შუაზე გაყოფილ კვერცხს ჰგავდა; დაირისაგან, რომელიც საკმაოდ წააგავდა ჩვენსას; ანტიკური ტიბიცინას მსგავს სტვირისაგან, რკინის სიმებიანი პატარა მანდოლინისაგან რომელზეც ფრთით უკრავენ და ჭიანურისაგან, რომელიც ერთ რკინის ფეხზე დგას და დამკვრელის მარცხენა ხელში ისე ბრუნავს, თითქოს საკრავი უსვამს ქამანდზე სიმებით და არა ქამანდი. ყოველივე ეს ქმნის საშინელ ხმაურს, რომელიც, მართალია, ნაკლებ მელოდიურია, მაგრამ საკმაოდ ორიგინალური. პირველი ადგა ბიჭი, ხელში სპილენძის ჯიმჯიმები აათამაშა და ცეკვა დაიწყო. მას დიდი წარმატება ხვდა თათრებსა და სპარსელებში, ესე იგი მაყურებელთა უმრავლესობაში. შემდეგ გამოვიდა მეორე ბაიადერი. ამის შემდეგ გამოვიდა ნისა. აღმოსავლური ცეკვა ყველგან ერთნაირია. მე იგი მინახავს ალჟირში, კონსტანტინაში, ტუნისში, ტრიპოლში, შემახიაში. ეს არის მეტად თუ ნაკლებად გამომსახველი მუხლების მოძრაობა. ამ ორივე ღირსებას, ჩემი აზრით, მშვენიერი ნისა სრულყოფილად ფლობდა. „ ფუტკრის ცეკვის“ შესრულება შევბედე, მაგრამ მითხრეს, მას მხოლოდ მეგობართა პატარა წრეში ცეკვავენო და მეც გავჩუმდი.

ვახშმისთვის ცეკვები შეწყვიტეს. ყველაზე უფრო ორიგინალური კერძი სუფრაზე ფლავი იყო ქათმით და ბროწეულით შაქარსა და ქონში შეზავებული. ყველა სამზარეულოს უბედურება, ფრანგული სამზარეულოს გამოკლებით, იმაშია, რომ მათ შემთხვევითი ხასიათი აქვთ. მხოლოდ ფრანგული სამზარეულო არის მოფიქრებული, განსწავლული, ქიმიური. ვახშმის დროს უხვად იყო გამოტანილი მრავალნაირი ღვინო, მაგრამ სახლის პატრონი და კიდევ რამდენიმე სასტკი დამცველი მუჰამედის კანონისა, წყლის მეტს არაფერს სვამდნენ. ნავახშმევს ბალეტი განახლდა. უნდა ვაღიარო, რომ ის სრულიად არ გასცდენია წესიერების ფარგლებს.

კომენდანტთან რომ მივედით, უკვე შუაღამე იყო. მეკლისი მოსაწყენი ჩანდა. გარდა ორი უწვერულვაშო ახალგაზრდისა ქალიშვილები ერთმანეთთან ცეკვავდნენ. ჩვენ თან მივიყვანეთ ხუთი თუ ექვსი კავალერი, რომელთა რიცხვში იყო ერთი ლამაზლამაზი ქართველი თვადიშვილი, ძმა თბილისში წასული კომენდანტისა.

ქართველი მამაკაცები, ჩემი აზრით, არამარტო თვითონ არიან ულამაზესი მთელ დედამიწის სურგზე, არამედ მათ აგრეთვე საუცხოო ტანისამოსი აცვიათ. ამ ტანისამოსს შეადგენს: შავი კრაველის წოპიანი ქუდი, რომელიც შუაშია ჩაზნექილი. მას სპარსული ქუდის მოყვანილობა აქვს, მაგრამ ორჯერ უფრო დაბალია, ჩოხა, რომელიც მუხლებამდე სწვდებათ, გრძელი, ღია, დაკიდული, მაჯებზე შეჯკრული სახელოებით, ოქრომკედით ნაქარგი ატლასის ახალუხი, რომლის ნაოჭიანი სახელოები ჩოხის ღია სახელოებიდან მოჩანს, და განიერი აბრეშუმის შარვალი ჩაკეცილი ჭვინტიან წაღებში, რომელთაც ტანისამოსის შეფარდებით ხავერდისა და სირმის მორთულობა ამშვენებს. ჩვენ ნაცნობ თავადს ემოსა ბროწეულისფერი ჩოხა ღია ცისფერი თავთის სარჩულზე, თეთრი ატლასის ახალუხი შემკული ოქროს ბუზმენტებით და განუსაზღვრელი ფერის შარვალი, რომელიც მტრედის ყელისა და ხმელი ფოთლის ფერებში გადადიოდა. წელზე ოქროს ქიცვდაყრილი ქამარი ერტყა. სპილოსძვლისტარიანი, ოქროთი ნაჭედი ვერცხლის ბუდიანი ხანჯლით. ყველა ამას ემატებოდ კუპრივით შავი ხშირი თმა და თვალ-წარბი, ქალივით ნაზი სახის ფერი და მინანქრის კბილები. თავადმა გვირჩია, მიგვემართა მისი ბიძისა და ბიძაშვილისთვის, რომლებიც ნუხაში ცხოვრობდნენ. ბიძამისი იყო პოლკოვნიკი თავადი ტარხნიშვილი, ლეკების ტავზარდამცემი ნუხის მართებელი, ბიძაშვილი

კი ის ივანე თარხნიშვილი, რომლის შესახებაც, თუ მკითხველს ახსოვს, ბაგრატიონი გველაპარაკა.

ღამის სამი საათი რომ გახდა, დარბაზიდან ტალანში გამოვიპარე, ტალანიდან კი გარეთ გავედი და ჩემი სახელმწიფო ბინისკენ გავიქეცი, მეშინოდა, უკან არ დამდევნებოდნენ. უკვე დიდი ხანი იყო, რაც მეჯლისიდან ღამის სამ საათზე არ დავბრუნებულიყავი და მგონია, შემახია პირველად ხედავდა ასე დაგვიანებულ ევროპელ მოგზაურს.
თავი XXV
შამილი, მისი ცოლები და შვილები

ჩემი ასეთიო სწრაფი გაქცევა არ მიაწეროთ იმას, თითქოს მე გავურბოდი სახლს, სადაც ასე შესანიშნაცად მიმიღეს, და მასპინძელებს, რომელთა მიმართ ესოდენ დიდი მადლიერების გრძნობა შემოვინახე. მე მხოლოდ იმიტომ ვუშველე თვას, რომ როგორც მოგზაურთა საზოგადოების მამასახლისს ხვალინდელ დღეზე უნდა მეზრუნა. მეორე დღეს, ანუ უფრო სწორედ იმავე დღეს, თუ შემახიიდან უთენია გავიდოდით, ცხენებს წელში დაწყვეტდით და მეეტლეებსაც ყველა შესაძლებელი ხერხებით წავაქეზებდით, შეიძლება ღამით ნუხისთვის მიგვეღწია. მაგრამ ნათქვამია, კაცი სჯიდა, ღმერთი სჭრიდაო. შევედი თუ არა სახლში, იმწამსვე კარზე დამიკაკუნეს. გავიფიქრე, ასე გვიან ლეკების მეტი ვინ იქნებამეთქი, ხანჯალს ხელი წამოვავლე, კარაბინი დავათვალიერე და გავირინდე. თურმე ჩვენი კომენდანტი ყოფილიყო. მას ჩემი გაქრობა შეეშინდა და უკან გამომდგომოდა. ახლა თავისი ცოლისა და დის სახელით მთხოვდა, დილას ისე არ წახვიდეთ, რომ ჩვენთან არ ისაუზმოთო. რამდენჯერმე გავუმეორე, განზაზღვრული მაქვს, დღეს ღამითვე ნუხაში მივიდე-მეთქი, მაგრამ ბოლოს მაინც დამითანხმა დაპირებით, საუზმეზე მოვიყვან ერთ ოფიცერს, რომელიც მთიელებს ჰყავდათ ტყვედ და შამილზე თავისი თვალით ნახულ ბევრ ზუსტ და საინტერესო ფაქტს გვიამბობსო. ეს ისეთი ცდუნება იყო, რომ წინააღმდეგობა ვერარ გავუწიე. ესეც არ იყოს, კიდევ ერთი გარემოება მაფერხებდა: მაჰმუდ-ბეგს, რომელსაც გავუმხიარულე, შევარდენებით ნადირობის მხურვალე მოყვარული ვარ-მეთქი, გუბერნატორისთვის ჩემგან საიდუმლოდ დაევალებინა მეორე დღისთვის ორი საუკეთესო ბაზიერი მოემზადებინათ შევარდენებით. შემახიიდან ოც ვერსზე მდებარეობდა კურდღლითა და ტყის ქათმით მდიდარი ადგილი, სადაც შეგვეძლო შევჩერებულიყავით და ორ საათს გვენადირა. პატივცემულმა კომენდანტმა აღარ იცოდა, რა მოეგონა, რომ ერთ დღეს კიდევ გავეჩერებინეთ თავისთან. ერთი გარემოება მაინც მიშლიდა ხელს დ ამ გეგმას, რომელიც, უნდა გამოვტყდე, ძალიან მიზიდავდა, საბუთად წავუყენე, მუანეს ძალიან ეჩქარება თბილისში-მეთქი. კომენდანტმა მიპასუხა, მუანესთან უკვე გაკეთებულია საქმეო და ამის შემდეგ რაღა მეთქმოდა. შევთანხმდით, რომ ცხრა საათზე ვისაუზმებდით, თერთმეტზე სახლიდან გავიდოდით, ხოლო პირველიდან სამ საათამდე ვინადირებდით. იმ დღეს ტურმანჩაიში მივიდოდით და იქ გავათევდით ღამეს.

დილის ცხრა საათზე კომენდანტთან ვიყავით, სადაც ზემოხსენებული რუსი ოფიცერი დაგვხვდა. ეს იყო ორმოც-ორმოცდახუთი წლის კაცი, რომელიც სრულყოფილად ფლობდა ფრანგულ ენას. იგი ყუბასთან ჩაეგდოთ ტყვედ და შამილისთვის მიგვარათ. ლეკებს მის გამოსასყიდათ ჯერ თორმეტი ათასი მანეთი მოეთხოვათ, შემდეგ კი შვიდი ათასამდე დაეყვანათ. სამი ათასხუთასი მანეთი ოფიცრის ოჯახსა და მეგობრებს შეეგროვებინათ დანაჩენი კი დაემატებინა კავკასიის მაშინდელ მეფისნაცვალს გრაფ ვორონცოვს. ტყვეოსბის ხუთი თვის განმავლობაში რუსი ოფიცერი კვირაში ორჯერ ხვდებოდა შამილს. მან შემდეგი გვიამბო:

ამჟამად შამილი 56-58 წლის კაცი უნდა იყოს. მას წარმოდგენა არა აქვს თავის ხნოვანობაზე, ისევე, როგორც საერთოდ მუსულმანებს, რომელნიც არ არიან გატარებულნი სამოქალაქო მდგომარეობის ცხრილებში და თავიანთ წლებს მხოლოდ დაახლოებით ითვლიან მათს ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების შემწეობით. შესახედაობა ორმოცი წლის

მამაკაცისა უმთავრესად მელანქოლიური აქვს, თუმცა მისი სახის ნაკვთები ამტკიცებენ, რომ მათ შეუძლიათ მიაღწიონ უკიდურესი ენერგიულობის გამოხატულებას. სახე აქვს ფერმკრთალი, მკვეთრად მოხაზული წარბებით და აღმოსავლურ ყაიდაზე მუდამ ნახევრდა გავს. წვერი აქვს წითური, მბზინავი, ხოლო მარჯნისფერ ტუჩებს წვეტიან კბილებს აჩენს. ხელები აქვს პატარა, თეთრი და კარგად მოვლილი, სიარული იცის ნელი და ზვიადი. პირველსავე დანახვაზე იგრძნობთ, რომ ის მაღალი ღირსების ადამიანია, რომელიც მბრძანებლობისთვისაა შექმნილი. ჩვეულებრივად მის ტანისამოსს შეადგენს მწვანე ან თეთრი ლეკური მაუდისჩერქეზული ჩოხა, თავზე ახურავს ცხვრის ტყავის თოვლივით თეთრი ფაფახი. ფაფახზე მოხვეული აქვს თეთრი მარმაშისჩალმა, რომლის ბოლო უკან აქს ჩაშვებული. ფაფახის ძირი წითელი მაუდისაა შავი წვეროთი. ფეხებზე თეთრი ან ყვითელი ტარსიკონის შტიბლეტების მაგვარი ფესაცმელი აცვია. სიცივეში წითელი მუქი მაუდის ჯუბას იცვამს ქვეშგამოკრულს შავი კრაველით. ყოველ პარასკევს, როცა დიდი სასოებით მიზგითში მიემართება, გრძელ თეთრ ან მწვანე კაბაში იმოსება, დანარჩენი ტანისამოსი კი ძველებურად აცვია. ცხენზე იშვიათი მოხდენილობით ზის და სულ ადვილად დადის ისეთ ძნელ გზებზე, სადაც საუკეთესო ცხენოსნებსაც თავბრუ ესხმით. ბრძოლაში აღჭურბვილია ხანჯლით, ხმლით, ორი გატენილი დამბაჩითა და თოფით. ორივ გვერდით მოჰყვებიან მურიდები, აგრეთვე შეიარაღებულნი ორ-ორი გატენილი დამბაჩითა და თოფებით. თუ ერთი მათგანი მ ოკლეს, მას მეორე სცვლის. შამილისათვის დამახასიათებელია უაღესი ზნეობრივი სიწმინდე, იგი ვერ იტანს თავის გარშემო ვერავითარი სისუსტის გამოჩენას. თავშეკავებაში შამილი არაჩვეულებრივ ზომიერებას იჩენს. მის საკვებს შეადგენს ხორბლის პური, რძე, ხილი, ბრინჯი, თაფლი და ჩაი. ხორცს იშვიათ შემთხვევებში ჭამს.

ამჟამად შამილს სამი ცოლი ჰყავს. ჰყავდა მეოთხეც, რომელიც დედა იყო მისი უფროსი ვაჟის ჯემალ-ედინისა. მაგრამ, ახულგოს ალყის დროს, როცა რუსებმა ახალგაზრდა კაცი ტყვედ ჩაიგდეს, დედა ჯავრს გადაჰყვა. ფატიმატამ (ასე ერქვა ამ ქალს) შამილს კიდევ დაუტოვა შვილები. ვაჟები: ჰაჯი-მუჰამედი, რომელიც ახლა 23-24 წლისა უნდა იყოს და მუჰამედ-შაბე 15 წლისა. ქალები: 14 წლის ნაპიზეტა და 12 წლის ფატიმატა. ეს არის ხუთი წლის ცნობები, ესე იგი იმ დროინდელი, როცა ჩვენი ოფიცერი ვედენოში იმყოფებოდა. შამილს სამ დანარჩენ ცოლს, რომელთაგან უკანასკნელს ამასწინათ უშვილობის გამო გაშორდა ჰქვიათ ზაიდე, შუანეთა და ამინეთა. ზაიდე შვილია ერთი მხცოვანი თათრის, რომელსაც, როგორც ამბობენ, აღუზრდია შამილი და რომლის მიმართ იგი განსაკუთრებულ სიყვარულს გრძნობს. ამ მოხუცის სახელი მას დაურქმევია თავის პირმშო ჯემალ-ედინისთვის. ოცდაცხრა წლის ზაიდე ფატიმატას გარდაცვალების სემდეგ პირველი და უფროსი ცოლია. შვილები და მსახურნი მას ისევე ემორჩილებიან, როგორც თვით იმამს. გასაღებები მას აქვს ჩაბარებული და თვითონ არიგებს სანოვაგესა და ტანისამოსს. მისგან სამილს ლამაზი სახის და გონებრივად ძალზე განვითარებული გოგონა ჰყავს, მაგრამ ამ ბავშვს ფეხები აქვს მახინჯი. იმამს ყველა შვილები ძალიან უყვარს, მაგრამ იგი ნავაჯათის (ასე ქვია გოგონას) მიმართ განსაკუთრებულ სიბრალულსა გრძნობს მისი სიმახინჯის გამო, მამას ნავაჯათი უმეტეს წილად ხელით დაჰყავს, თუმცა ბავშვი თვითონაც ყოჩაღად დარბის მოგრეხუილი ფეხებით. გოგონას ყველაზე დიდ სიამოვნებას ჰგვრის კერიდან ან ბუხრიდან ნაკვერჩხლის მოტაცება ან აივანზე სირბილი. ერთხელაც იქნება, ნავაჯათი აულს ცეცხლს წაუკიდებს. როცა ზაიდე უწყრება, შამილი აჩერებს:

-დაეხსენ, ღმერთი არ შორდება მათ, ვისაც ლახვარი დასცა და თუ ისინი უბიწონი არიან, ხიფათისაგანაც იცავს.

შამილს მეორე ცოლი შუანეთა ოცდაათი წლისაა. ეს არის ტანმორჩილი ქალი, სახით ლამაზი, მაგრამ საკმარისად ჩვეულებრივი აღნაგობისა. მას საუცხოო ბაგე აქვს, ულამაზესი თმა, თეთრი კანი, მაგრამ მსხვილი ხელები და ფართო ფხები. იგი მდიდარი მოზდოკელი სომხის ქალია. ოცი წლის წინ შამილი თავს დაესხა მოზდოკს, მოიტაცა შუანეთა მთელი თავისი ოჯახით და დარღოში ჩაიყვანა, სადაც მაშინ მისი რეზიდენცია იყო. შემდგომში, როცა გენერალმა გრაფმა

ვორონცოვმა დარღო აიღო, შმილი ვედენოში გადავიდა. სომეხმა სოვდაგარმა თავისი და თავისი ოჯახის გამოსაყიდლად ასი ათასი მანეთი გაიღო. მაგრამ სამილს უყვარდა შუანეთა, რომელსაც მაქამდე ანა ერქვა, და ნახევარ მილიონზეც კი არ დათანხმდა. მან ქალს ხელი შესთვაზა, ოჯახს კი გათავისუფლება აღუთქვა. ანას, ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და გარიგებაზე თანხმობა მისცა. მაშინ ქალი თექვსმეტი წლისა იყო. მთელი ოჯახი გათავისუფლებულ იქნა. ორი წლის განმავლობაში ანამ შეისწავლა ყურანი, გადაუდგა სომხურ სარწმუნოებას და შამილის ცოლი გახდა, რომელმაც ის შუანეთად მონათლა. დედ-მამის სიკვდილის შემდეგ ქალმა გამოითხოვა თავისი წილი მემკვიდრეობისა და მთლიანად შამილს გადასცა.

შუანეთა მფარველი ანგელოზია შამილის ტყვეებისა, განსაკუთრებით ტვე ქალებისთვის. ცნობილმა თავად ჭავწავაძისა და ორბელიანის მეუღლეებმა მისი სახით მფარველი და მხსნელი ჰპოვეს. მათთვის შუანეთა დიდი ნუგეში და იმედი იყო ტყვეობის მძიმე წუთებში.

შამილის მესამე ცოლი, ანუ უკეთ, ცოლი იყო ამინეთა. ის ოცდახუთი წლისა იყო, მაგრამ უშვილო აღმოჩნდა, რაც დანაშულად ჩაეთვლა ამ საბრალო არსებას. იგი დანარჩენ ცოლებზე უფრო ახალგაზრდაცაა და უფრო ლამაზიც. ამინეთა ცოლების ეჭვის საგანი გახდა, განსაკუთრებით ზაიდესი, რომელიც გამუდმებით უშვილობას უსაყვედურებდა და თვლიდა, რომ ამის მიზეზი სახის ოვალი აქვს, მომსხო ბაგე ჩაწყობილი ჭეშმარიტი მარგალიტებით. მის აბზეკილ ცხვირს კიდევ უფრო ეშმაკურ გამომეტყველებას მატებს ჭუტები ლოყებსა და ნიკაპზე, რომელტაც თვრამეტი საუკუნის პოეტი აუცილებლად „ სიყვარულის ბუდეებს“ დაარქმევდა. ეს ქალი ხუთი წლის იყო, როცა მოიტაცეს, დედამისმა ვერ შეძლო მისი გამოსყიდვა და მოითხოვა ნება მიეცათ, გაენაწილებინა ტავისი ქალის ტყვეობა, რაზეც თანხმობა მიიღო. ამათ გარდა იმამის ჰარამხანაში შედის ერთი მოხუცი ქალი, სახელად ბაკო. ეს არის ფატიმატას დედა და ბებია ჯემალ-ედინისა, რომელმაც სამილმა ახლა მეორედ დაკარგა. მას ცალკე ბინა აქვს, ცალკე მეურნეობა და იკვებება ცალკე, მაშინ, როცა სხვა ქალები ერთად ჭამენ. შამილის ცოლები ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებიან. როცა შამილი ლოცვად დგას ან თავის მიურიდებში თათბირობს, ცოლებს უფლება აქვთ მასთან შევიდნენ. მიურიდები იმამთან ყოველი მხრიდან მოდიან სათათბიროდ და იქ იმდენი ხნით რჩებიან სტუმრად, რამდენიც მოესურვებათ. მაგრამ ისინი ცალკე ჭამენ და თავითავად ცხადია, სტუმარს, ვინც არ უნდა იყოს იგი, ჰარამხანაში შესვლის უფლება არა აქვს.

შამილის ცოლების სიყვარული თავიანთი ბატონის მიმართ, -სიტყვა ბატონი აღმოსავლეთში უფრო ზრდილობიანად ჟღერს, ვიდრე სიტყვა ქმარი, - უკიდურესობას აღწევს, თუმცა იგი თავს იჩენს ხასიათის სხვადასხვაობასთან. ზაიდე ევროპელი ქალივით ეჭვიანია. იგი ვერაფრით შეეჩვია სიყვარულის გაყოფას. სძულს თავისი მეტოქეები და მათ ადვილად გააუბედურებდა, თუ რომ იმამის სიყვარული, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, სამართლიანობა, მუდმივად არ ფხიზლობდეს. შუანეტას ჭეშმარიტად უყვარს ტავისი მბრძანებელი და უსაზღვრო ერთგულებით ემსახურება მას. შამილი რომ წინ გაუვლის, თვალები გაუბრწყინდება, როცა ის ლაპარაკობს, ქალის გული თითქოს მის ბაგეებზე ჰკიდია, მისი სახელის ხსენებაზე, სახეზე შუქი ეფინება. ამინეტასა და შამილს ხნოვანებაში იმოდენა განსხვავებაა, - ოცდათხუთმეტი წელი, - რომ ქალს ის უფრო უყვარს როგორც მამა, ვიდრე ქმარი. ზაიდეც მასზე უფრო ეჭვიანობდა შამილს და შვილები რომ არ უჩნდებოდა, ემუქრებოდა გაგყრითო, ამინეთა აინუნშიაც არ აგებდა ამ მუქარას, რაც შემდგომში მაინც ასრულდა. სასტიკ იმამს შეშინდა, მისი სიყვარული უშვილო ქალის მიმართ გარყვნილებად არ ჩაეთვალათ და აგერ უკვე რამდენიმე თვე იქნება დიდი გულისტკივილით, მაგრამ მაინც მოიშორა. სამილი ზუსტად ასრულებს მუჰამედის მოძღვრებას, რომელიც ყველა კეთილ მუსლიმანს უბრძანებს. თავისი ცოლი კვირაში ერთხელ მაინც ინახულოს. დილას შამილი წინასწარ შეატყობინებს რომელიმე ცოლს, რომ იმ საღამოს ეწვევა. ნაკლებ მოურიდებელი ლუდოვიკო XIV იმას სჯერდებოდა, რომ

ქინძისთავს ურჭობდა მოქარგულ ხავერდის ბალიშში, რომელსაც ამ მიზნით ქალის ღამის მაფიდაზე დებდნენ. ვიზიტის მეორე დღესა და ღამეს შამილი ლოცვაში ატარებს.

ამინეთა, როგორც უკვე ვთქვით, ხუთი წლის ასაკში მოტაცებული, სამილის შვილებში გაიზარდა. რვა წლისა ის ჩამოაშორეს ჯემალ-ედინს და ეს მეგობრობა და სიყვარული ქალმა შემდეგ ჰაჯი-მუჰამედზე გადაიტანა, რომელიც მისი ტოლი იყო. ჰაჯი მუჰამედმა ერთი მშვენიერი ქალი შეირთო და ის გაგიჟებით უყვარს. ეს არის ქალიშვილი დანიელ-ბეგისა, რომლის ძმისწულს ჩვენ ნუხაში შევხვდებით. კარნუატას კეთილშობილური წარმოშობა მის ქცევასა, სიარულსა და ხმაშიც კი შეიმჩნევა. ეს არის ლეკის ქალი, რომელიც დიდ ფუფუნებაში ცხოვრობს, რაიცა შამილის საყვედურებს იწვევს. ყოველ მისვლაზე მამამთილი ხან ხუმრობით და ხან წყრომით თითო რამე საუკეთესო მოსართავს ცეცხლში უგდებს. როცა ჰაჯი-მუჰამედი, ვედენოში ჩამოდის, მამამისის ოტახში წვება, მის ცოლს კი ხან ზაიდესთან, ხან შუანეთასთან სძინავს. ამ დროის განმავლობაში არც შამილი და არც ჰაჯი-მუჰამედი თავის ცოლებთან არ დადიან. ეს არის მამობრივი რიდისა და შვილობრივი პატივისცემის მიერ ურთიერთ გაღებული მსხვერპლი.

ჰაჯი-მუჰამედი მთელ კავკასიაში ცნობილია, როგორც ყველაზე ლამაზი და დახელოვნებული ცხენოსანი. ის მგონი თვით შმილსაც ექიშპება, რომლის სახელი ამ დარგში უცილობლადაა აღიარებული. როგორც მნახველები ირწმუნებიან და მეც ერთხელ უკვე მოგახსენეთ, არაფერია იმაზე კარგი სანახავი, როგორც მისი ლაშქარში გამგზავრება. აულს გარს არტყია სამი ზღუდე და ყოველი მათგანი თავდაცვის ხაზს ქმნის მხოლოდ ერთი შესავლით, რომელშიც ცხენოსანი ტავდაუწველად ვერ გაივლის. შამილი ამ კედელში ჭენებით გადის და ყოველ კარში მოხერხებულად ღუნავს ტავს, შემდეგ ისევ წელში იმართება, რატა მეორე კარში ისევ მოიხაროს და ასე შემდეგ. ამგვარად თვალის დახამხამებაში ის უკვე ვედენოს გარეთაა. როცა ჰაჯი-მუჰამედი მამას ესტუმრება მის პატივსაცემად ვედენოს ყველა მოჯირითეებს იხმობენ. შეჯიბრება ჩვეულებრივად აულთან ახლოს ხდება ერთ-ერთ მინდორზე. ჩეჩნები, ჩერქეზები და ლეკები ისეთ რთულსა და პირდაპირ შეუძლებელ ვარჯიშს ასრულებენ, როგორიც მხოლოდ აღმოსავლურ ფანტაზიას შეუძლია გამოიგონოს. მათი მარჯვე და ოსტატური ჯირითი განცვიფრებაში მოიყვანდა და შურს აღუძრავდა ჩვენი ცირკების ყველაზე უფრო დახელოვნებულ ბერეიტორებს. ასპარეზობა ორ-სამ დღეს გრძელდება. ვინც უნაკლოდ შეასრულებს ურთულეს ვარჯიშს, მისთვის გასამრჯელოთ დანიშნულია საუკეთესო თოფი, ძვირფასი ცხენი და მდიდრული უნაგირი. ყოველთვის ყველა ჯილდო ჰაჯი-მუჰამედს ერგება, ის რომ უხვად არ უთმობდეს თავის მეგობრებს. მიუხედავად ფულის და საომარი საჭურველის ნაკლებობისა, ამ დღეებში მრავლად ისარჯება თოფის წამალი და ტყვია. ესეცაა, რომ რამდენიმე ხნის წინათ სამილმა მთებში ტყვიის წამლის ქარხანა ააგო.

როცა სამილის ცოლთა ამალიდან რომელიმე ქალიშვილი გათხოვებას დააპირებს, დღესასწაულში მთელი ამალა იღებს მონაწილეობას. ასეთი შემთხვევისთვის სახლის ყველა ქალებს საყურეებს, კრიალოსნებს, მარჯნისა თუ ქარვის სამაჯურებს და მთლიან სამოსელს ურიგებენ. რაც შეეხება საქორწინო ცერემონიალს. ამის შესახებ ყოფილმა ტყვემ შემდეგი ტავისი თვალით ნახული გვიამბო: პატარძალს ახალ შარვალს, პერანგს, წამოსასხამს და წითელი ტარსიკონის მაღალქუსლიან ჩექმებს აცმევენ. იწყება გამასპინძლება, მაგრამ პატარძალი არ იღებს ამაში მონაწილეობას. იგი მოფარებით ზის გრძელი ხალიჩის უკან. ნეფე-პატარძალი სამ დღეს მარხულობენ. იატაკზე მოაქვთ მწვადი, - ერთადერთი ხორციანი კერძი, - ფლავი ქიშმიშით, თაფლი, ნაზუქი, შარბათი და სუფთა წყალი. პური აქვთ ხორბლისა, ხშირად რძეზე მოზელილი. მწვადი საუკეთესო კერძისა იმ კერძებს შორის, რომლებიც მე მოგზაურობის დროს შემხვდა და ღირსია მიემატოს საფრანგეთის ცნობილ კერძებს. იგი განსაკუთრებით მონადირეებისათვის იქნება კარგი სიახლე. საჭმელს ჭამენ ინით შეღებილი თითებით. ამ ჩვეულებას თქვენ შეხვდებით აზიის როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის ქვეყნებში. სხვათა შორის ბევრი ქალი ჩინელების მსგავსად დიდი ოსტატობით ჭამს ბრინჯს

ჯოხებით. ქეიფი საღამოს ექვს საათზე იწყება. ათ საათზე პატარძლის ამხანაგები სუფრიდან დგებიან და იღებენ საქმროს საჩუქრებს. საჩუქრებში შედის წყლის სურა, სპილენძის ფიალა წყლის ამოსაღებად, ერთგვარი კრაველის საგები, რომელიც ლეიბის მაგივრობას სწევს, ნაცარწმენდილის გასაკეთებელი ქვაბი, მთიულური ნაკეთობის სკივრი წითლად შეღებილი ტლანქი ყვავილებით. თუ ის მაკარიევკის ბაზარზეა ნაყიდი, მაშინ შეკრულია გალაქული ფურცლვანი რკინისაგან და ყვითელი ან თეთრი ფერისაა რკინის სალტეებით, რომლებიც სანამ ახალია, ვერცხლსა ჰგავს. ჩვეულებრივად ამას უმატებენ კიდევ ლეჩაგს, სარკეს, ორ ან სამ ქაშანურის ჯამს, ფულარს, საკერავ და საქარგავ შალისა და აბრეშუმის ძაფს. პატარზალი ცხენზე ჯდება, ამხანაგები ჩირაღდნებით გზას უნათებენ და მიჰყავთ მის ახალ სახლში, მის მომავალ ოჯახში. კარის ზღრუბლზე კი ქმარი ელის. ქალი ყოველთვის ცდილობს, არ დატოვოს მამის სახლი, მანამ მთლიანად არ მიიღებს ტავის კუთვნილ მზითვს. ეს მზითვი შედგება ოცდახუთი მანეთისაგან. ტავისთავად ცხადია ეს კანონი არ არის და გარიგება იმისდამიხედვით ხდება, თუ რამდენად მდიდარი და რამდენად ლამაზია პატარძალი. ჩვეულებრივად ვაჭრობა ქვრივის გარშემო იმართება.

შამილს ძალიან უყვარს ბავშვები და სანამ მას ტყვედ ჰყვადა ტავადი ჭავწავაძის და თავადი ორბელიანის ცოლები, ყოველ დილას მოაყვანინებდა თავადიშვილებს და მათთან თამაშში ატარებდა დროს. გაშვებისას უსათუოდ დაასაჩუქრებდა. ბავშვებიც ისე შეეჩვივნენ შამილს, რომ განშორებისას ტიროდნენ. ჯემალ-ედინზე ჩვენმა ოფიცერმა ვერაფერი გვაცნობა, რადგანაც ის იმ დროს რუსებს ჰყავდათ ტყვედ და ვერ ენახა. მაგრამ მის შესახებ გიამბობთ, მაშინ, როცა ქართველ თავადის მეუღლეთა მოტაცებისა და ტყვეობის ამბავს ევეხებით.

თავი XXVI
გზა შემახიიდან ნუხამდე

ზუსტად შუადღის თორმეტ საათზე, როგორც წინადღით ვიყავით შეთანხმებული, დავემშვიდობეთ ჩვენს კეთილ კომენდანტს და მის ოჯახს, რომელმაც ტან გაგვაყოლა ოცი კაცისაგან შემდგარი ამალა, საუკეთესო იასაულის ნურმატ-მატის მეთაურობით. მას ნუხამდე უნდა მივეცილებინეთ. ლეკები მოსახლეობას ავიწროებდნენ, ხალხში ლაპარაკი იყო, საქონელს მიერეკებიან, ბარის ადამიანებს იტაცებენ და მთაში მიჰყავთო. ნურმატ-მატი თავით აგებდა პასუხს ჩვენთვის.

შემახიიდან ჩვენი გასვლა ერთგვარად წააგავდა საშუალო საუკუნეების ჩვეულებას ორი მონადირის წყალობით, რომლებიც მუშტზე დასმული შევარდენებით მიგვიძღოდნენ წინ. ეს სურათი სიამოვნებას მიანიჭებდა საფრანგეთში ახლაც შემორჩენილ 1830 წლის ისტორიული სკოლის მომხრეთ. შემახიიდან აქსუმდე - ახალ შემახიამდე, გზატკეცილის მაგვარი გზა მიდის, რომელიც არ არის ურიგო. გარდა ამისა, ამ გზის ორივ მხარეს დროდადრო დაინახავთ იმ სახელგანთქმულ „დერჟიდერევოს“, რომელთაც მხოლოდ ლეკური მაუდი უწევს წინააღმდეგობას. ბაქოდან მოყოლებული ერთი ხეც არ შეგცხვედრია. შემახიის გზაზე კი ისევ დავინახეთ ხეები და ისიც ასწლოვანი. ჰაერში სითბო ტრიალებდა, ცა მოკრიალებული იყო, ჰორიზონტს საუცხოო ლაჟვარდისფერი დაჰკრავდა. საათ-ნახევარში გავიარეთ ის ოცი ვერსი, რომელიც დათქმულ ნადირობის ადგილას გვაშორებდა. ადგილი შორიდანვე ვიცანით. იქ გველოდა ორი თათარი ორი სანადირო ცხენითა და ძაღლებით საბელებზე, რათა ნადირობაში ჩვენც მიგვეღო მონაწილეობა. როცა ცხენებიდან გადმოვხტით, შევამჩნიე, რომ გზის ორივე მხარეს კურდღლები დახტოდნენ. თათარი და ცხენი გავიყოლე და ფეხდაფეხ გავყევი ჯაგნარს კურდღლის კვალზე. მუანემ ჩემს მაგალითს მიბაძა. ასი ნაბიჯიც კი არ გვქონდა გავლილი, რომ ორივემ თითო კურდღელი მოვკალით. შემდეგ ხოხბების გუნდი ავაფრინე და მათ გეზს გავაყოლე თვალი. მერე ცხენზე შევჯექი, ჩვენი ბაზიერები მოვიმხე და ტყის ქათმების დაშვების ადგილი ვაჩვენე. ძაღლები წინ გავიგდეთ და იმ მიმართულებით გავწიეთ. სულ მალე აღმოვჩნდით ხოხბების გუნდში, რომლებიც გარშემო გვიფრენდნენ. მაშინ აუშვეს

შევარდენები. მე ერთს გავყევი, მუანე მეორეს. ორასი ნაბიჯი რომ გავიარე, ჩემი ხოხობი შევარდნის ბრჭყალებში აღმოჩნდა. მაშინვე შევარდენს ბრჭყალებიდან ჯერ ისევ ცოცხალი ხოხობი გამოვტაცე. საუცხოო მამალ ხოხობს ტავზე უმნიშვნელო ჭრილობა ჰქონდა. ჩვენმა ბაზიერმა ტყავის ჩანთიდან ხორცის ნაჭერი ამოიღო და შევარდენს ხოხბის სანაზღაუროდ მისცა. ადამიანმა ფრინველი ცხადლივ მოატყუა, მაგრამ ის კმაყოფილი ჩანდა და ერტყობოდა, მზად იყო კვლავ დაეწყო ნადირობა იმავე პირობით. მხლებლებისკენ გამოვბრუდით. მუანეც ჩემსავით ბედნიერი ჩანდა, მასაც საუცხოო ცოცხალი მამალი მოჰყავდა, თუმცა ის ჩემსაზე უფრო დასახიჩრებული იყო. იმწამსვე კისერი წააცალეს და ეტლის ყუთში ჩააგდეს მოკლულ კურდღლებთან ერთად. შემდეგ ამოვირჩიეთ ერთი მაღლობი ადგილი, რომელიც მთელ არაემარეს გადაჰყურებდა, ზედ დავდექით, როგორც ორი მხედრის ქანდაკება, და ბაზიერები ფრინველის კვალზე გავუშვით. ისინი ჯაგნარს შეერივნენ სევარდენებითა და ძაღლებით.

აგერ, აფრინდა ერთი ხოხობი. ერთმა ბაზიერმა შევარდენი აუშვა, მაგრამ ხოხობი გაუსხლტა. აფრინდა მეორე ხოხობიც და მას მეორე შევარდენიაჰყვა. ხოხობი პირდაპირ ჩვენკენ მოფრინდა, როცა უეცრად შევარდენი, რომელსაც მხოლოდ ორ-სამ-ჯერ უნდა შემოეკრა ფრთები, რათა მსხვერპლ დასწეოდა, სწრაფად ჯაგნარში ცეშვა, თითქოს ტყვიამ მოკვეცა ფრთები. მაღლა ავიხედე, რათა ამ მოულოდნელი დაშვების მიზეზი გამეგო. ასიოდე მეტრის სიმაღლეზე ჩემს ტავზე დიდი არწივი დაფარფატებდა. ჩემს შევარდენს შეემჩნია იგი, ესოდენ ყოვლისშემძლე სინიორთა შედარებით თავი ბარკორნიერად ეგრძნო და ჩირგვებს შეჰფარებოდა. არწივმა არხეინად განაგრძო გზა. მე გავიქეცი იქიტკენ, სადაც შევარდენი ჩაეშვა და ძლივს ვიპოვე. ბალახში დამალულიყო, თავით ფეხებამდე თრთოდა. ხელი მოვკიდე და ძალით გამოვათრიე, მაგრამ თათები ისე გაშეშებოდა რომ ვერც მუშტზე დავისვი და ვერც მხარზე. მაშინ მკლავი მოვხარე და ზედ წამოვიწვინე. საცოდავი შიშისაგან თვალებს აცეცებდა. არწივი უკვე შორს იყო. ბაზიერი მომიახლოვდა, ფრინველი გამომართვა და დაამშვიდა მაგრამ შევარდენმა მხოლოდ დახევარი საათის შემდეგ გაბედა ისევ უკვე გამოსდგომოდა მიტოვებულ ხოხობს. ორი საათი გავიდა მხოლოდ სამი ხოხობი გვყავდა მოკლული. დრომ მიდიოდა, წინ კი ოცდაათი ვერსი გვქონდა გასავლელი პურმანჩაიმდე, სადაც ღამე უნდა გაგვეთია. გარდა ამისა დაღამებამდე უნდა გადაგვეარა უზარმაზარი მთა. გავათავეთ ნადირობა, ბაზიერებს რამდენიმე მანეთი ვაჩუქეთ და გავისტუმრეთ. ხოლო ნანადირევი ჩვენ წავიღეთ, რადგანაც ეს ერთადერთი საზრდო იყო ჩვენს მგზავრობში.

ჩვენი ამალა განახლდა, მაგრამ ნურმატ-მატი ისევ ჩვენთან დარჩა მან ჩვენი თორმეტი კაზკის მეთაურობა იკისრა, ორი წინ გაუშვა, ორიც უკან ჩმოიტოვა და დანარჩენი რვა კაზაკით ტარანტასს გარს შემოერტყა. საერთოდ ასე ფრთხილობდენენ, როცა გზა სულ მთლიანად უშიშარი არ იყო. თვალი გადავავლ;ეთ ჩვენს არსენალს. რომელსაც ბაგრატიონისთვის მიცემული კარაბინი და ყაზარ-უცმიევისთვის ნაჩუქარი რევოლვერი მოაკლდა. საფანტი ტყვიებით შევცვალეთ და გზას გავუდექით. მთას რომ შევუდექით, ტარანტასმა სვლას უკლო ამით ვისარგებლეთ და თოფებში ისევ საფანტი ჩავდეთ, შემდეგ ორი კაზაკის თანხლებით ფეხით გავწიეთ. ამ თავდასხმის მსხვერპლი გახდნენ ერთი ხოხობი და ერთი დურაჯი. უეცრად ერთ მიუწვდომელ ადგილას გავარდნილმა თოფმა და ტყვიამ, რომელმაც ჩვენს ფეხებში გაიზუზუნა, გვაუწყა, რომ ტარანტასთან დავბრუნებულიყავით და მეტი სიფრთხილე გამოგვეჩინა. მაგრამ აღარავინ გამოჩენილა და ერთი საათის ფოფხვის შემდეგ უიკვე მთის ქიმს მივექეცით. მთას ძალზე დამრეცი ფერდობები ქონდა, მაგრამ როგორც სენის მთის ზოგიერთ ადგილებში, აქაც გზა უზარმაზარი გველივით მიიკლაკნებოდა ციცაბო ფერდობზე. და სულ ნჯღრევით მიგვაგრიალებდა. გზა საშიში იყო, თუმცა ფართო, ისე, რომ ორი ეტლი ერთმანეთს გვერდს აუხვევდა, მაგრამ ჰორიზონტი ისეთი თვალწარმტაცი სანახავი იყო, რომ გზას ყურადღებას აღარ ვაქცევდით. მივდიოდით კავკასიონის ორ ქედს შორის. მარჯვენა ქედს ტყიანი ძირი, მოტვლეპილი და ხრიოკი შუაწელი და თოვლიანი თავები ჰქონდა. მარცხენა კი უფრო დაბალი იყო და ლაჟვარდისფერი ძირი და და მოოქრული ქიმი ჰქონდა. ორივე ქედს შორის გადაჭიმულიყო ფართო ველი, ანუ უკეთ, ვაკე. სანახაობა თავლისმომჭრელი იყო,

მაგრამ როცა ქვემოთ ვიყურებოდი და თვალით ვზომავდი მანძილს, რომელიც ამ ვაკეს გვყოფდა, გზის ყოველ მოსახვევზე მთელ ტანში ჟრუნტელი მივლიდა შიშისაგან. ჩვენს მეეეტლეს კი თითქოს ეშმაკი უჯდა ტანში. როგორც კი ტავქვეზე დაშვება დავიწყეთ, არ ვიცი თოფის გავარდნამ შეაშინა, თუ რა იყო, ისე გარეკა ცხენები, რომ უკან მომდევნ კაზაკებს უცბად დავშორდით, გვერდით მომყოლნი უკან ჩამოგვრჩნენ, ხოლო წინ მიმავალთ დავეწიეთ და გავასწარით კიდეც. ბევრი უყვირა კალინომ მეეტლეს დაეოკებინა გადარეული ცხენები, მაგრამ ის პასუხსაც არ გვაძლევდა და კიდევ უფრო ურტყამდა, რომ სვლა არ შეენელებინათ. მიუხედავათ ამისა, იგი ნერონივით მიაჭენებდა ეტლს შუაგზაზე მათემატიკური სიზუსტით და კიდევ უფრო დამამშვიდებელი ის იყო, რომ თუ ჩვენ ერთხელ დაგვხოცავდა, თავისი თავი აუცუილებლად ათჯერ უნდა მოეკლა კოფოზე წამომჯდარს. თავბრუ დამხვევ დაღმართს ორ საათს უნდა მოვდომებოდით, მაგრამ ორმოცდაათ წუთში ჩამოვათავეთ. ახლა სწრაფად ვუახლოვდებოდით ვაკეს. ბოლოს აღმოვჩნდით თითქმის ვაკის დონეზე, ხოლო წინ კლაკნილი გზის მაგივრად შოლტივით გადაჭიმული გრძელი გზა იდო, რომელიც აქსუს პირველ სახლებთან წყდებოდა.

უეცრად, სწორედ იმ დროს, როცა თავი უკვე გადარჩენილი გვეგონა, მეეტლე მის გვერდით კოფოზე მჯდარ კალინოს დაუყვირა:

-სადავე გამომართვით და წაიყვანეთ. ხელში ძალა მელევა ვეღარ მიმყავს! .

ჩვენ არ გვესმოდა მეეტლის ყვირილი, მაგრამ ხელების მოძრაობასა სახის გამომეტყველებაზე ვატყობდით, რომ რაღაცას შეეშფოთებინა. ჩვენს ცხენებს, იმ ის მაგივრად, რომ გზა განეგრძოთ პირდაპირ ბლაგვი კუთხით, დიაგონალური ხაზით მიემართებოდნენ. ამ მიმართულებას კი ისინი სწორედ ხევისკენ მიჰყავდა, რომელსაც სახურავივით დაქანებული გვერდები ჰქონდა. კალინომ მეეტლეს სადავე გამოსტაცა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. გარდა ამისა, თვითონაც დაიბნა ყოველივე ელვის უსწრაფეს მოხდა. მეეტლე პირველი გადავარდა, ცხენებში ჩაცურდა და გაქრა. კალინო კი, პირიქით, გვერდით გადაფრინდა ჰაერში. ტარანტასი კლდის გამონაშვერს გამოედო, რამაც მუანე ეტლიდან გადააგდო, მაგრამ პატარა ნაკადულით მორწყულ ბალახში ჩასვა ნაზად და კოხტად. მე კი, როგორღაც მოვახერხე და ხის ტოტს ჩამოვეკონწიალე და ისე ამოვძვერი ტარანტასიდან, როგორც იარაღის პირი ქარქაშიდან. ჩემი სიმძიმის ქვეშ ტოტი დაიზნიქა და მიწიდან ერთი ფუტის სიმაღლეზე აღმოვჩნდი დაკიდული. რომ ჩამოვარდი, მუანეს გავხედე. ეს უკვე ფეხზე იდგა. დანარჩენები ასე იოლად ვერ გადარჩნენ. მეეტლე ისევ ცხენების ფხებში ეგდო, ტავი და ხელები სისხლში ჰქონდა ამოსვრილი. კალინო კი მიწაზე დაცემულიყო და დიდად არ დაშავებულიყო, მაგრამ ერთ რამეზე იყო შეწუხებული: მას მიბარებული ჰქონდა ჩემი საათი, რუდოლფის ნაკეთობის ძვირფასი ნივთი და ევალებოდა ყოველთვის ეცნობებინა დრო. მაგრამ ტავმომწონე კალინოს იმის მაგივრად, რომ საათის ძეწკვი ჟილეტის კილოზე დაება, სერთუკზე მიემაგრებინა. ფაერში გადაფრენისას ძეწკვი პატარა ხის ტოტს გამოედო, საათი ჯიბიდან ამოუვარდა და სადღაც ეშმაკებში გადავარდა. ღილზე გაწყვეტილი ძეწკვი ეკიდა, საათი კი აღარსად ჩანდა. კალინომ თავის გაჭირვებამიამბო. მე ვუთხარი, ჯერ მეეტლეს მივხედოთ, მერე კი საათის ძებნას შეუდგეთ-მეთქი.

მუანემ ცხენებს დაუწყო შეხსნა. მაგრამ კავკასიაში ცხენებს სრულიად სხვა წესით აბამენ. სადაც ჩვენ ტასმას უკეთებთ, ისინი თოკს აბამენ, სადაც ჩვენ აბზინდა გვაქვს, ისინი ნასკვს აკეთებენ. მე ხანჯალი ამოვიღე და ღვედი გადავჭერი. იმ დროს კაზაკებიც მოვიდნენ. მათ შორიდან დაენახათ ჩვენი ხტუნაობა, ვერ გაეგოთ, რა ტანვარჯიში გაგვემართა და საშველად გამოქცეულიყვნენ. სულზეც მოგვისწრეს, სწორედ ძალიან გვჭიროდა მათი თავი. ბოლოს როცა კაცი ვერაფრით გამოათრიეს ცხენებიდან, ცხენები გადაიყვანეს კაცის ზურგიდან. მეეტლეს თავი და ხელები დაშავებული ჰქონდა. ჭრილობები არ იყვნენ მაინცდამაინც სახიფათო, წყაროს წყლით მოვბანეთ და ცხვირსახოცებით შევუხვიეთ.

ვიდრე მე მეეტლეს ვუვლიდი, კალინო თურმე საათს ეძებდა. მეეტლეს ჭრილობები რომ გადავუხვიეთ, ვიფიქრე ახლა კი ვკითხავ, რა ბუზმა უკბინა, ასე რომ გადაირია და კინაღამ ყველანი დაგვხოცა-მეთქი. მეეტლე გამოგვიტყდა, თავბრუ დამეხვა და მხოლოდ ინსტიქტურად მიმყავდა ცხენები შუახასზეო, უფრო სწორად, ისინი თვითონ მიდიოდნენო. განგებამ ისურვა, რომ მთის ძირამდე მშვიდონიანად მივსულიყავით, მერე კი მან იგრძნო, რომ ხელში ძალა და ნებისყოფა ერთად გამოეცალ და აი, მაშინ უყვირა კალინოს, მომეხმარეთო. ამ განმარტებამ დამკმაყოფილა და ჩვენ ისღა დაგვრჩენოდა რომ ღმერთისთვის მადლობა შეგვეწირა ასეთი სასწაულ მოქმედი გადარჩენის გამო.

ღმერთი დასჯერდა მხოლოდ ამ სასწაულს, რაიცა, მართალი გითხრათ, სრულიად საკმარისი იყო, და არ გაგვხადა საათის პოვნის ღირსი, რამაც დიდად დაამწუხრა კალინო. კაზკებმა ტარანტასი სწრაფად მოაწესრიგეს. მას შესანიშნავად გდეტანა ავარია და ახლა მზად იყო ორჯერ უფრო მაღალი ნახომი გაეკეთებინა. ცხენები შეაბეს და შუა გზაზე დააყენეს. ჩვენი ადგილები დავიკავეთ. მეეტლე და კალინო ისევ კოფოზე დასხდნენ, მაგრამ ადგილები იცვალეს, ისე, რომ ახლა კალინო მართავდა ეტლს, საათის ძებნას თავი მივანებეთ და გზას გავუდექით. თხუთმეტ წუთში აქსუში, ახალ შემახიაში ვიყავით. ამჟამად აქსუში ნაცვლად ოცდათხუთმეტი თუ ორმოცი ათასი მცხოვრებისა მხოლოდ სამი თუ ოთხი ათასი მცხოვრებია. ამიტომ ჩვენ მხოლოდ ცხენები გამოვცვალეთ და წინ გავწიეთ. საღამოს რვა საათზე მივედით სადგურ ტურმანცაიზე. სადაც ყველაზე შესანიშნავი რამ რაც ჩვენ ვნახეთ, ეს იყო ფოსტის მოხელის ლოგინთან კედელზე გაკრული ხალიჩა, რომელზეც გამოსახული იყო რაინდ ბუაგილბერტის მიერ რებეკა კუანიეს მოტაცება. აქედან დილის შვიდ საათზე გავედით. რაც უფრო წინ მივდიოდით,იმდენად ხშირად გვხვდებოდა მცენარეულობა. ცხრათვალა მზე თავის მოალერსე სხივებს გვიგზავნიდა. ამ საუცხოო ზაფხულის დღეს ჩვენ მივდიოდით ერთ-ერთი ყველაზე მზატრული გზით. ეს იყო ნოემბრის თვეში თერთმეტ სათზე ფოსტის სადგურს მივაღწიეთ. როგორ მოვქცეულიყავით? აქ გაგვეთია ღამე თუ მეოპრე დღეს ნუხა გაგვეარ შეუჩერებლივ, თუ შევცულიყავით ნუხაში, ღამე იქ გაგვეთია და ერთი დღეც თავად თარხნიშვილთან გაგვეტარებინა? ჩემი აზრი იყო ნუხაში გაგვეთია ღამე და დაგვეტოვებინა იგი მეორე დღესცვე, მიუხედავად იმისა, ვნახავდით ტუ არა, თავად თარხნიშვილს. და თუმცა უკვე გვიან იყო, გადაწყდა, განგვეგრძო გზა სახზინო სახლისაკენ. ეტლი სწრაფად მიდიოდა. გავიარეთ რამდენიმე ხევი, გადვჭერით რამდენიმე ნაკადული, ასე მეოთხედი საათი კიდევ ვიარეთ, შევედით ორღობეში და შევჩერდით ერთი სენობის წინ რომელსაც პიქუში ფანჯრები და გამოკეტილი კარები ჰქონდა. ეს არ გვაძლევდა არავითარი მასპინძლობის იმედს.

თავი XXVII
თავადი თარხნიშვილი

მეეტლე ჩამოხტა და დიდ სახლში შევიდა, რომელიც ვითომდა ჩვენს მისაღებად განკუთვნილი სახლის პირდაპირ იდგა.მას უნდა ეუწყებინა ჩვენი მისვლა და გამოერთმია გასაღები. მეეტლეს დავაბარე არ ეხსენებინა ჩემი სახელი, რადგანაც ღამე იყო და თავადის შეწუხება არ მინდოდა. მეეტლე დაბრუნდა თავადის კაცის თანხლებით, რომელსაც არ სძინებოდა და გუშაგივით ტანს იარაღი ესხა: მარცხენა მხარეზე ხმალ-ხანჯალი, მარჯვენაზე კი დამბაჩა. ჩვენი იარაღი რომ დაინახა, გვკითხა, გატენილი თუა და რითო. ცვენ ვუპასუხეთ, ორი თოფი მსხვილი საფანტითაა, ხოლო სამი ტყვიითო. ამ პასუხმა ეტყობოდა, დიდად ასიამოვნა. კეთილი, კეთილიო, გაიმეორა მან რამდენჯერმე.

ამ დროის თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, რადგანაც არავითარი საბაბი არა მქონდა შევსიტყვებოდი ამ ვაჟკაცს, რომელმაც სწორედ იმ წუთებში მკითხა, ხომ არაფერი გნებავთო, როცა ჩემმა კუჭმა თავი მომაგონა.სამივემ ერთხმად დასტური მივეცით. ნუკერი ვახშმის მოსატანად გავიდა, ჩვენ კი ამასობაში ჩვენი ახალი ბინის დათვალიერებას შევუდექით. იგი შედგებოდა ხუთი თუ ექვსი ოთახისაგან, მაგრამ არც ერთში არავითარი ავეჯი არ იდგა, გარდა

ორსამფეხაზე დადგმული სამი ფიცრისა. სამაგიეროდ კედლებში დატანებული იყო მრავალი ნიში. ვინაიდან სკამები არ გვქონდა, მერხებზე ჩამოვსხედით და დავიწყეთ ლოდინი, თან გეგმებს ვაწყობდით, რომ ხვალ დილიდანვე ეტლს შევაბამდით წასასვლელად, ხოლო მანამდე ცოტა ხნით, თავადს ვესტუმრებოდით.

შემოვიდა მსახური, რომელსაც ხელში შებოლლილი თევზი, ხორცი, ღვინო და არაყი ეჭირა. საჭმელს კი შევექეცით, მაგრამ სიცივისაგან ვკანკალებდით, რადგანაც ღუმელში შეშას არ ეკიდებოდა, იმიტომ, რომ ახალი დაპობილი იყო. ბოლოს ეს სიძნელეცყველა სხვა სიძნელეებივით გადალახული იქნა. ამასობაში სამოვარიც ათუხთუხდა და თავისი ორთქლით ოთახს სითბო მიუმატა. ერთი სიტყვით, ამ ცარიელმა, უსიცოცხლო სადგომმა გაიღვიძა და სული ჩაიდგა. ჩაი,-ეს ცხელი სასმელი, რომელსაც რუსეთში უამრავს სვამენ, და თითქოს განკუთვნილია იმისთვის, რომ ჩრდილოეთის ხალხთა გათოშილ სხეულებში თავისი სითბო შეუშვას და აღმოსავლეთიდან უდაბნოები მხოლოდ ამ მიზნისთვის აქვს გამოვლილი,-აშკარად ხელს უწყობდა ჩვენს ფიზიკურ და მორალურ გახალისებას. ბოლოს უკვე ყველა კარგ ხასიათზე დავდექით. და ჩვენს ოთახებში შევედით, სადაც დაგვხვდა ნაბდის საბანგადაფარებული საწოლები და კედლის ნიშებში ჩადგმული სანთლები. ღუმელთა ფართო ტიხრებიდან მთელ ბინაში სასიამოვნო მოალერსე სითბო იღვრებოდა. მხოლოდ მაშინღა მოგვაგონდა რომ აქეთობას ღამის წყვდიადში შევამჩნიეთ უზარმაზარ ბაღებში ჩამალული სახლები, საუცხოო ხეებში ჩაფლული ქუჩები და ყველა ამათ შუა ბუნებრივი ჩანჩქერებივით მოჩუხჩუხე რუები.

-ეს ნუხა ლამაზი ქალაქი უნდა იყოს,-გავბედე თქმა.

-დიახ, მხოლოდ ზაფხულში,-მომაგება მუანემ.

მუანეს პასუხებს შეჩვეული ვიყავი. ეს იყო შეპასუხება მისი მცივანა ხასიათისა,-რათა ჩემი აზრი უკეთ გასაგები გავხადო, მე მინდა წმინდა მორალური ცნებისათვის ეს წმინდა ფიზიკური ეპითეტი გამოვიყენო,-ასეთი იყო მისი მცივანა ხასიათის პასუხი ყოველთვის, როცა კი რომელიმე განვლილ ადგილს შევაქებდი.მე მესმის, რომ მასში ლაპარაკობდა პეიზაჟისტი და ერთნაირად უჩიოდა იმასაც, რომ პეტერბურგიდან წამოსვლის შემდეგ ვეღარ ხედავდა მცენარეულობას, და იმასაც, რომ სიცივისაგან გამუდმებით უქეიფოდ იყო, რაც ეპატიებოდა, თუ ეს საერთოდ საჭიროებდა პატიებას, სამჯერ თუ ოთხჯერ გადატანილი მაგარი ციების გამო. ყველანაირი მზრუნველობა გაგვიწიეს, რაც კი წარმოსადგენია ასეთი მოულოდნელი და უდროო სტუმრობის დროს და როცა მსახური შემოვიდა და გვკითხა, ხომ არაფერი გსურთ კიდევო,მე ვუპასუხე, მშვენივრად ვართ, თავს ისე ვგრძნობთ როგორც მაჰმუდ-ბეგის სასახლეში-მეთქი.

-ბაიადერი გვაკლია, მეტი არაფერი,-გაიხუმრა მუანემ.

ნუკერი რომ გავიდა, ყველანი ჩვენს ოთახებში მოვთავსდით. მუანემ და კალინომ ყველაზე დიდი ოთახი დაიკავეს, მე- ყვეელაზე მომცრო. მთვარე ისე იყოამოსული და მისი შუქი თითქოს სახლიდან გამოსული სინათლით შემკრთალი ჩემს ფანჯრებს ეალერსებოდა. სახლს გარშემო დიდი აივანი ჰქონდა და მე გავედი, რათა მშვენიერი პეიზაჟით დავმტკბარიყავი. მაგრამ რარიგ გამიკვირდა, როცა დავინახე, ჩემი ფანჯრების ქვემოთ ღამის გუშაგი მიდი-მოდიოდა. ჩვენს ბარტგს ყარაული არ სჭირდებოდა, რადგანაც იგი უკვე სახლში იყო შემოტანილი. არცტუ ჩემი ჩინისთვის იქნებოდა გაწეული ეს სიფრთხილე, რადგანაც ნუხაში ჯერ არავის ენახა ჩემი „პოდოროჟნი“, თუმცა შიგ, როგორც მკითხველს ახსოვს, გენერლად ვიყავი ჩაწერილი. ნუთუ დამატყვევეს და ბაიბურშიც არა ვარ-მეთქი, გავიფიქრე. და რადგანაც ეს იყო ერთადერთი საშფოთავი და ისიც საეჭვო, ოთახში შევბრუნდი, დავწექი, სანთელი ჩავაქრე და მაგრად ჩავიძინე.

გათენდა თუ არა, გამეღვიძა კიდეც. თვალის დახამხამებაში ფეხზე ვიყავი, რაც სეეხება წყალს, იგი ბევრია ჩანჩქერებში, ხოლო დასაძინებელი ოთახები, დაწყებული მოსკოვიდან დიდ ანთიპატიას განიცდიან ამ სითხის მიმართ. უწყლობა და ბრძოლა წყლის მოსაპოვებლად, რაც მთელ დღეს მართმევდა მოსკოვიდან მოყოლებული ფოთამდე, ზოგიერთი სახლის გამოკლებით, შეადგენდა ჩემს მთავარ საზრუნავს, დიდად მქანცავდა და გამუდმებით უიმედობაში მაგდებდა. მინდა წინასწარ გავაფრთხილო ჩემი მკითხველი, რომ ტუ ის ოდესმე მოისურვებს ჩემსავით იმოგზაუროს, თადარიგი უნდა დაიჭიროს ჩვენი ცივილიზაციის ზოგიერთი საგნების, რომლებიც სრულიად უცნობია რუსეთში, რათქმა უნდა ზოგიერთი დიდი ქალაქის გამოკლებით. მე ვთხოვ ყველას, ვისაც ბედნიერება აქვს ჰქონდეს რუსული ლექსიკონი, მოძებნოს შიგ სიტყვა „ტაშტი“, რაც მათ მაინც ხელს არ შეუშლის თავის საგზაო ჩანთას ერთი ტაშტიც მიუმატოს.

მსახური უკვე გვიცდიდა, რათა ეთქვა, თავადი თარხნიშვილი ძალიან ნანობს, რომ გუშინ არ გააღვიძეს და სახელმწიფო სახლში მოგიხდათ ღამის გათევაო. მას ებრძანებინა, ჩვენი ბარგი დაუყონებლივ მასთან გადაეტანათ და ჩაიზე გველოდა. როგორც მოგახსენეთ, თავადის სახლი სახელმწიფო სახლის პირდაპირ იდგა, ამიტომ ჩვენი გადაბარგება სწრაფად და იოლად მოხდა. უნდა ვთქვა, რომ ჩვენ მხოლოდ საკუთარი თავის გადაბარგებაზე ვზრუნავდით, რადგანაც ბარგის გადატანაზე მსახურებმა იზრუნეს.

თავადის ეზოს შესასვლელი მხატვრულ სანახაობას წარმოადგენდა. ირიბად დადგმული დიდი ჭიშკარი ადვილად თავდასაცავს ხდიდა შესასვლელს. შიგ დატანებული მომცრო კარი ისეთი ვიწრო იყო, რომ მხოლოდ ერთი ადამიანის შესასვლელად კმაროდა, რაც აგრეთვე ნიშანი იყო სიფრთხილისა თავდასხმის შემთხვევაში. ეს ჭიშკარი შედიოდა ვეებერთელა ჭადრებთან ვრცელ ეზოში. თითო ხის ძირში საბრძოლველად აღჭურვილი ორი-სამი ცხენი ება. მათ შორის მიდი-მოდიოდა ოცამდე იასაული მხრებზე ნაბდებით, ყურზე მოგდებული წოპიანი ფაფახებით, ორთავ მხარეზე ხმალხანჯლითა და დამბაჩებით. ამ იასაულების უფროსი, ასე ორმოციოდე წლის დაბალ-დაბალი, ჩაფსკვნილი კაცი ელაპარაკებოდა ერთ ათი-თორმეტი წლის ბიჭს, რომელიც ჩერქეზულ ჩოხაში იყო გამოწყობილი და ხანჯალი ეკიდა. ბიჭს ძალიან ლამაზი სახე ჰქონდა. ეს იყო წმინდა წყლის ქართული ტიპი: ანთინოესავით წარბებზე ჩამოცვენილი შავი კულულები, შავი წარბ-წამწამი, ხავერდოვანი თვალები, სწორად მოხაზული ცხვირი, მარჯნისფერი მგრძნობიარე ტუჩები, საუცხოო კბილები. ბავშვმა როგორც კი დამინახა, პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა.

-თქვენ ალექსანდრე დიუმა ბრძანდებით, ხომ?

-დიახ, -მივუგე მე,-თქვენ კი ალბათ თავადი ივანე თარხნიშვილი ბრძანდებით.

ის ვიცანი ბაგრატიონის აღწერილობის წყალობით. ბიჭი იასაულთა უფროსს მიუბრუნდა და მკვირცხლად გამოელაპარაკა ქართულად.

-თუ შეიძლება გამიმეორეთ, რა უთხარით ამ ოფიცერს თავადო?

-სიამოვნებით. მე ვუთხარი, რომ აღწერით გიცანით. ამ დილას როცა შეგვატყობინეს, სახელმწიფო სახლში მოგზაურები შეჩერდნენო, მამაჩემს ვუთხარი, ეს ნამდვილად ბ-ნი ალექსანდრე დიუმა იქნება-მეთქი. ჩვენ წინასწარ შევიტყეთ, რომ უნდა ჩამობრძანებულიყავით, მაგრამ ძალიან რომ დაგაგვიანდათ, შეგვეშინდა, ელიზავეტპოლის გზითხომ არ ირჩიეთ წასვლა.

შემდეგ ბავშვმა პირი იბრუნა სახლისკენ და დაუძახა აივანზე მდგომ ასე ორმოცდაათი წლის ძარღვმაგარ კაცს, რომელსაც რუსი პოლკოვნიკის ვიც-მუნდირი ეცვა.

მამა, მამა, ბ-ნი ალექსანდრე დიუმა ჩამობრძანებულა!იფიცერმა თავი დაიქნია დაკიბეს ჩამოჰყვა.

-ნება მიბოძეთ გულში ჩაგიკრათ, პატარა მასპინძელო, ასეთი გულთბილი დახვედრისათვის.

-სიამოვნებით,-მიპასუხა მან და ყელზე შემომეხვია.-ჩემი სიზარმაცის წყალობით, ჯერ თქვენი არაფერი წამიკითხავს, მაგრამ, ახლა კი, გაცნობის შემდეგ, ყველა თქვენს ნაწარმოებებს წავიკითხავ.

ამასობაში მამამისიც ჩამოვიდა ეზოში და მოგვიახლოვდა. ბიჭი სიხარულის ნიშნად ტაშისცემით და ხტუნვა-ხტუნვით შეეგება მამას.

-ხომ გეუბნებოდი, მამა, ალექსანდრე დიუმა არის-მეთქი,მართლაც ასე გამოდგა. მთელ ერთ კვირას ჩვენთან დარჩება,-გამომითარგმნა ბავშვმა უკანასკნელი სიტყვები.

მე გავიღიმე.

-თავადო, ჩვენ ამ საღამოსვე, ან უკიდურეს შემთხვევაში ხვალ დილას უნდა წავიდეთ.

-ამ საღამოს არავითარ შემთხვევასი არ გაიშვებთ, ლეკების ხელში ვერ ჩაგაგდებთ. რაც შეეხება ხვალ წასვლას, ამას კიდევ ვნახავთ.

მე და ბავშვის მამა ერთმანეთს მივესალმეთ.

-მამაჩემი ფრანგულად არ ლაპარაკობს და თარჯიმანი მე ვიქნები,-მითხრა ბავშვმა.-მამაჩემი ამბობს, რომ ჩვენს ოჯახში სასურველი სტუმარი იქნებით, მე კი თქვენს მაგივრად ვუპასუხე, იღებს თქვენს მოწვევას-მეთქი. დემეტრე ამბობს, რომ კარგი თოფები გაქვთ. ძალიან მიყვარს კარგი თოფები, ხომ მაჩვენებთ თქვენს თოფებს?

-დიდი სიამოვნებით გაჩვენებთ თავადო.

-ახლა კი სახლში ავიდეთ, იქ თქვეთვის ჩაია გამზადებული.

ბავშვის მამა გზას გვაჩვენებდა და მაინცდამაინც უნდოდა ჩვენ გავეშვით წინ. ბიჭმა მამას რაღაც ჩაულაპარაკა ქართულად. მივედიტ კიბესთან, რომელსაც ორიევე მხარეს ღია გალერეა დაჰყვებოდა.

-აი, ოთახი ამ ბატონებისთვის,-თქვა ბავშვმა,-თქვენი ოთახი კი მაღლაა. ბარგს სხვა ოთახში დაალაგებენ, რომ არ შეწუხდეთ. მიბრძანდით, ბატონო, თორემ მამაჩემი თქვენზე წინ არ გაივლის.

წინ წავედი, კიბე ავიარე და აივანზე აღმოვჩნდი. ბავშვი გაიქცა და ერთი დარბაზის კარი გაგვიღო.

-ახლა საკუთარ სახლში ხართ, -დაგვიკრა თავი ბავშვმა.

ვცდილობ გადმოქცეთ ის მოქცევები, რომლითაც ნათქვამი იყო ეს წინადადებები. არ იყო ჩვეულებრივი მოვლენაის, რომ მე ვისმენდი გალიციზმებს იმ ბავშვის ენაში, რომელიც პარიზიდან ათას ხუთასი მილის მანძილზე იყო დაბადებული შირვანის ერთ კუთხეში და თავის დღეში არ გასულა სამშობლოს საზღვრებიდან. ეს იყოსასწაული და მეც დიდად

მოხიბლული ვიყავი. შემოვუსხედით მაგიდას, რომელზეც სამოვარი თუხთუხებდა. ხელში ჭიქა ავიღე, -როგორც უკვე მოგახსენეთ რუსეთსა და კავკასიაში ჩაის ჭიქებით სვამენ და მხოლოდ ქალებს შეუძლიათ მისი ფინჯნებით დალევა,-და თავადს მისასალმებელი სიტყვით მადლობა გადავუხადე. ბავშვი მამას სხაპასხუპით უთარგმნიდა ჩემს სიტყვებს, თითქოს მთელი თავისი სიცოცხლე თარჯიმნად მუშაობს. უეცრად ჩემი გუშაგი მომაგონდა.

-ჰო, მართლა, წუხელ ის გუშაგი იმისთვის ხომ არ დაგვიყენეთ, რომ გეშინოდათ, გავიპარებოდით?-ვუთხარი ახალგაზრდა ტავადს.

-არა,-თქვა სიცილით ახალგაზრდა კაცმა. ვეღარ ვბედავ მას ბავშვი ვუწოდო.-ეს ჩვენი სიმშვიდისთვის გავაკეთეთ.

-როგორ თუ თქვენი სიმშვიდისთვის!განა ჩვენს სიმშვიდეს ვინმე ემუქრებოდა?

-ჰოც და არაც. ჩვენ გაგვაფრთხილეს, ლეკები აპირებენ თავდასხმას ნუხის აბრეშუმის ქარხანაზეო და დასძინეს, რომ....

-ვინ გაგაფრთხილათ?-გავაწყვეტინე სიტყვა ახალგაზრდა თავადს.

-ჩვენმა ჯაშუშებმა. მთიელებში ჩვენი კაცები გვყვანან, ისევე, როგორც მათ ჰყავთ ჯაშუშები ჩვენთან.

-რა დასძინესო?

-რომ უკან არ დაიხევენ ჩემს მოტაცებაზეც, მამაჩემმა ხომ მათ დიდი ზიანი მიაყენა.

-როგორ, ნუთუ იმ ავაზაკებს თქვენი მოტაცება უნდათ, ჩემო პატარა ტავადო?

-მგონია, უნდათ, ბატონო, -მიპასუხა მან.

მე ბავშვს ხელი მოვკიდე და გადავკოცნე.

-მაგრამ ისინი ჭკვიანები არიან და კარგი გამოსასყიდი ურჩევნიათ. მათ იციან, რომ მამაჩემს ძალიან ვუყვარვარ და თუ მომიტაცეს, ჩემს გამოსასყიდლად ყველაფერს გაყიდის თავისი მუნდირის უკანასკნელ ღილამდე.

ამ დროს ოთახში მაღალ-მაღალი, გამხდარი, ფერმკთალი კაცი შემოვიდა. თავადი თარხნიშვილი მას ალერსიანად შეხვდა, ისე, როგორც საკუთარი ოჯახის წევრს ხვდებიან ხოლმე. ივანეს ვანიშნე, ვინ არის-მეთქი.

-ეს არის მირზა-ალი, მამაჩემის თათარი თარჯიმანი. თქვენ ალბათ, გიყვართ სხვადასხვა ამბები, ბ-ნო დიუმა?

-ძალიან. მეტადრე, თუ თქვენ მიამბობთ, პატარა თავადო.

-მაშ მაგ კაცს ჰკითხეთ, რატომ კანკალებს.

მართლაც, როცა მირზა-ალიმ თავადს ხელი ჩამოართვა, აშკარად შევატყე, რომ კანკალებდა.

-ფრანგული არ იცის, მაგრამ მე ვკითხე და პასუხსაც გადმოგითარგმნით. ქაღალდი და ფანქარი მომიმარჯვეთ.

-ვატყობ, მთელი რომანი იქნება.

რომანი არ არის, მაგრამ გრძელი ამბავი კია, არა, მირზა-ალი?

თათარი მოტრიალდა, ბავშვს სევდიანად გაუღიმა და რაღაც უთხრა, ალბათ, იმ განზრახვით, რომ უცხოურად ნათქვამი სიტყვების მნიშვნელობა გაეგო. ბავშვმა ჩემი სურვილი, ანუ უფრო სწორად, მის მიერ ჩაგონებული სურვილი , თუ რატომ კანკალებდა მირზა-ალი, მას გადასცა. თათარი მაშინვე დაემორჩილა და ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე შემდეგი გვიამბო:

გენერალმა როზენმა ალყა შემოარტყა შამილის სამშობლოს გიმრის. ჩვენ მოთხრობის დასაწყისში უკვე გიამბეთ ამ აულის გარემოცვისა და ბრძოლის ამბავი. ბარონ როზეს ოცდათექვსმეტი ათასი კაცი ჰყავდა, ყაზი-მოლას კი ოთხასი კაცი. ალყამ სამ კვირას გასტანა. შეტევა კი თორმეტ საათს გრძელდებჰოდა. ყაზი-მოლა და მისი ოთხასი კაცი ბრძოლის ველზე დაეცა. მხოლოდ შამილი გადარჩა რაღაც სასწაულით. ჩვენ აგრეთვე მოგახსენეთ, რომ ამ დროიდან თარიღდება შამილის გავლენიანობა მთიელებზე.

მაგრამ ერტ დღეს, როცა ჯერ გიმრი აღებული არ იყო და ალყა ერტყა, ყაზი-მოლამ, რომელიც ხუმარა კაცი იყო, გენერალ როზენს შიკრიკი გაუგზავნა, მუქასი ხომ არ გამიშვებ მომლოცავად, რაც დიდი ხნის დათქმული მაქვსო. გენერალმა როზენმა უპასუხა, მე არ შემიძლია ვიკისრო ამის გადაწყვეტა და კავკასიის მეფისნაცვალს, თავად პასკევიჩსმივმართავო. მეორე დღეს კიდევ მოვიდა ელჩი ყაზი-მოლასაგან, რომელიც კითხულობდა, შეეძლო თუ არა, თან წაეყვანა ამალა იმ შემთხვევაში, თუ მომლოცავობის უფლებას მისცემდნენ. მესამე დღეს ისევ მოვიდა კაცი. ამჯერად ყაზი-მოლა კითხულობდა, იკისრებს თუ არა რუსეთის მთავრობა ამ ამალის კვებისა და ბინის ხარჯებს, იმ შემთხვევაში, თუ ის ორმოცდაათი ათასი კაცისაგან იქნება შემდგარიო. გენერალი როზენი უცბად ვერ ჩასწვდა ყაზი-მოლას ხუმრობის მიზანსა და სიფაქიზეს, მაგრამ მიხვდა, რომ იგი ხუმრობდა და თავისი თარჯიმანი მირზა-ალი გაუგზავნა, რომ საბოლოოდ გაეგო, რა სწადდა ყაზი-მოლას. მირზა-ალი მუსლიმანიასუნიტების სექტიდან. იგი ყაზი-მოლასთან შეიყვანეს და მან როზენის შეკითხვა გადასცა. ყაზი-მოლამ არაფერი უპასუხა, ორი ჯალათი მოაყვანინა, მირზა-ალის გვერდებზე დაუყენა, ყურანი გადაშალა და კანონის ის მუხლი წაუკითხა, სადაც ნათქვამია, რომ ყველა მუსლიმანი, რომელიც მუსლიმანისავე წინააღმდეგ იარაღს აღმართავს, სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ეს მუხლი სწორედ მირზა-ალის უდგებოდა, ვინაიდან იგი ემსახურებოდა ქრისტიან გენერალ როზენს წინასწარმეტყველ ყაზი-მოლას წინააღმდეგ. მირზა-ალის შიშისაგან კანკალი აუვარდა.მან თავის გასამართლებლად ყოველგვარი საბუთების მოტანა დაიწყო. მეო,-ამბობდა ის, -ერთი საცოდავი თათარი ვარ და ჩემზე არ არის დამოკიდებული, ვისაც მინდა იმას ვემსახურო, იძულებული ვარ, იმას ვემსახურო, ვისაც ჩემი თავი ბედმა არგუნაო. ახლა რუსებს ვყავარ ხელში და ძალადობით ვემსახურები მათო.

ყაზი-მოლამ არაფერი უპასუხა, მაგრამ ეს საბუთი უეჭველად არასაკმარისი ეჩვენა, რადგანაც შუბლი თანდათან მოეღუშა. რამდენიც უფრო შეიკრა შუბლი ყაზი-მოლამ, იმდენი უმატა კანკალმა მირზა-ალის. მან მჭერმეტყველებას მიმართა და თავდასაცავად სიტყვა თხუთმეტ წუთს გააგრძელა. ბოლოს ყაზი-მოლამ გადაწყვიტა, ჩვენება საკმარისიაო, და უბედურ თარჯიმანს გამოუცხადა, ამჯერზე გაპატიებ, მაგრამ სხვა დროს მიფრთხილდი, თვალით აღარ დამენახოო.

მირზა-ალი მხოლოდ შიშით გადარჩა, მაგრამ ეს ისეთი შიში იყო, რომ კანკალი, რომელიც კავკასიელი იუპიტერის შეჭმუხნილი წარბების დანახვაზე დასჩემდა, დღევანდლამდე შერჩა და ალბათ, სიკვდილამდეც არ გაუვლის.თავადიშვილ ივანესთვის კი ამ ამბის მოყოლა დიდი

ბედნიერებაა და მან ასეთი კარგი შემთხვევა არ გაუშვა, რათა საცოდავი მირზა-ალისთვის შიში განეახლებინა და კანკალი აეტეხა.

სანამ ჩაის შევექცეოდით კიდევ ორი ამბავი მოვისმინეთ. მე ტავი ვალდებულად ჩავთვალე რითიმე სამაგიერო მიმეზღო ძვირფასი თარჯიმანისათვის,და შევთავაზე ჩემი თოფები დაეთვალიერებინა და მეორე ეზოში გამოეცადა. ამის გაგონებაზე ის ნამდვილ ბავშვად იქცა, სიხარულისაგან ხტუნვას მოჰყვა, გარეთ გავარდა და სულ სირბილით ჩაირბინა კიბე. საფრანგეთიდან წამოღებული ექვსი თოფიდან ოთხიღა მქონდა დარჩენილი:ერთი გავაფუჭე, ერთიც გადავცვალე. ორი უბრალო ორ ლულიანი თოფი იყო, ერთი-მარსელელი ხელოსნის ზაცესი, მეორეც პერენ-ლეპაჟისა. დანარჩენი ორი კი დევიმის საუცხოო თოფი იყო. ერთი მათგანი, რომელსაც აგერ ოც წელზე მეტია ვხმარობ, დევიმის მიერ ლეფოშოს სისტემის მიხედვითაა გადაკეტებული, მეორე კი არის კარაბინი, მსგავსი იმისა, როგორიც ლომების მონადირეს ჟერარს „მონადირეთაჟურნალმა“აჩუქა. ამ კარაბინს საოცარი სიშორე და შესანიშნავი დაუცდენლობა ახასიათებს. მაგრამ ჩემი პატარა თავადი ძალიან კარგად იცნობდა ჩვეულებრივ ორლულა თოფებსა და კარაბინებს. სამაგიეროდ მას არასოდეს ენახა თოფი, რომელიც საფალიე ხრახნით იტენებოდა და ამან აღტაცებაში მოიყვანა. ბავშვი სწრაფად და განსაცვიფრებელი საზრიანობით მიხვდა სამხრეს მექანიზმსა და ვაზნების შემზადებისწესს. სასაცილო შესახედავი იყო, როცა ჩემს განმარტებებს ყურს უგდებდა დაყრდნობილი მოშინაურებულ ირემზე, რომელიც თითქოს მასავით იყო დაინტერესებული. ამ დროს იქვე, რამდენიმე ნაბიჯზე მწოლარე ვეებერთელა შავი ცხვარი ირემზე ნაკლებ ცნობისმოყვარეობას იჩენდა და თითქოს ჩვენს საუბარს ყურადღების ღირსად არ თვლიდა, დროდადრო თავს მაღლა სწევდა და ზიზღით გვიყურებდა.

მე შემესინდა ახალგაზრდა თავადს მარცხი არ4 მოსვლოდა და მოვინდომე, უწინ მე გამესინჯა სამხრიანი თოფი. მოვიტხოვე, რომ ეზოს მეორე ბოლოში დაეყენებინათ ფიცარი, ანუ უფრო სწორად ხის მორი, ორივე ლულაში ტყვიები ჩავაწყე, სამხრე ჩავკეტე და ორივე ერთად ვისროლე, თან ცალი თვალით ირემსა და ცხვარს გავხედე, რომ დამენახა როგორ ახტებოდნენ. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, აც ერთი არ შენძრეულა. ორივენი კარგად იყვნენშეჩვეულები თოფის ხმას და რომ მათ სამხედრო აღზრდაღე ცოტა კიდევ შეეწუხებინათ თავი, დოლიდ დაკვრასა და დამბაჩის გასროლასაც ისწავლიდნენ იმ კურდღლებივით, ბაზრებზე რომ აჩვენებენ ხოლმე. ამ დროს პატარა ივანე სიხარულისაგან ჭყიოდა. ის მორისკენ გაიქცა. ერთი ტყვია მორს გვერდით მოხვედროდა, მეორე კი პირდაპირ შიაგულში.

-ახლა ჩემი ჯერია, ჩემი ჯერია!- ყვიროდა ბავშვი.

მისი მოთხოვნა სამართლიანი იყო. ვაზნები გადავეცი და თოფის დატენა ვაცალე, ბავშვმა ეს არამცთუ შეუცდომლად , არამედ სრულიად უყოყმანოდ გააკეთა. მისთვის საკმარისი აღმოჩნდა ერთხელ დაენახა, რომ ყველაფერი ისევე გაეკეთებინა ზუსტად. როგორც მე გავაკეთე. თოფი რომ დატენა, ხელის დასაყრდნობი მოძებნა. მე ვურჩიე, ასე არ ესროლა, მაგრამ არ დამიჯერა. აზიელები კარგი მსროლელები არიან, მაგრამ თითქმის ყოველთვის მხოლოდ ხელდაყრდნობით ისვრიან თოფს. მან იქვე ერთი კასრი იპოვა, დაეყრდნო და ისროლა, მაგრამ ვერც ერთხელ მიზანს ვერ მოახვედრა. ბიჭს ჯავრისაგან სახეზე წამოანათა.

-შეიძლება, ერთხელ კიდევ ვისროლო/- მკითხა მან.

-როგორ არა, რამდენიც გინდათ ისროლეთ. ვაზნები და თოფი თქვერნს განკაერგულებაშია. ოღონდ ნება მიბოძეთ, სამიზნე ისე დაგიყენოთ, რომ თქვენი თვალი მხოლოდ მასზე იყოს ფიქსირებული, მაშინ აღარ ააცდენთ.

-კეთილი, მაგრამ თქვენ ამას ჩემს დასამშვიდებლად ამბობთ.

-არა, იმიტომ ვამბობ, რომ ეს ასე უნდა.

-მაშ თქვენ როგორ მოხვედრეთ დაყრდნობის წერტილი რო არ გქონდათ?

-მე მქონდა ერთი წერტილი რომელსაც ვუყურებდი.

-რომელი?

აგერ ის ლურსმანი, რომელსაც თქვენ თითქმის ვერ ხედავთ, მე კი ვხედავ.

-იმ ლურსმანს მეც ვხედავ.

-მაშინ იმ ლურსმანს პატარა ქაღალდის ნაჭერს მივაკრავ და პასუხს ვაგებ, რომ უსათუოდ ძელში მოარტყამთ ტყვიას.

მან თავი ისე გააქნია, როგორც მსროლელმა, რომელსაც პირველმა მარცხმა გული გაუტეხა. ვიდრე ბავშვი ძველ ვაზნებს ახლით ცვლიდა, მე ხის მორს ხელისგულისოდენა მრგვალი ქაღალდის ნაჭერი მივაკარი, შემდეგ ათიოდე ნაბიჯი9თ ჩამოვდექი და ვუთხარი:

-ისროლეთ!

-ბიჭმა ისევ დაიჩოქა, კასრს დაებჯინა, დიდხანს უმიზნა და გაისროლა. ტყვია პირდაპირ მორს მოხვდა ქაღალდისგან ექვსი დიუმის დაშორებით.

-ყოჩაღ!-წამოვიძახე მე, -მაგრამ გასროლის დროს თქვენ ჩახმახს ოდნავ უბიძგეთ და ამან ნასროლი ცოტათი მიზნისგან გადახარა.

-მართალია, - თქვა მან, - მეორედ გავფრინდები.

კიდევ ისროლა და ახლა პირდაპირ ქაღალდში მოარტყა.

-აი, ხომ გითხარით!-წამოვიძახე მე.

-მოვარტყი? -იკითხა ბავშმა.

-შიგ შუაგულში, მოდით, ნახეთ.

მან თოფი დააგდო და მოირბინა. არასოდეს დამავიწყდება ეს ლამაზი, აქამდე ბავშური სახე, რომელმაც უეცრად ვაჟკაცური და ამაყი გამომეტყველება მიიღო. ბავშვი მიუბრუნდა მამას, რომელმაც აივნიდან დაწვრილებით დაინახა ეს სცენა.

-მამა, შეგიძლია ექსპედიციაში წამიყვანო, ხომ ვისწავლე თოფის სროლა.

-სამი-ოთხი თვის შემდეგ, საყვარელო თავადიშვილო, - ვუთხარი ბავშვს, - პარიზიდან ჩემი თოფის მსგავს თოფს მიიღებთ.

ბავშმა ხელი გამომიწოდა.

-მართალს მეუბნებით?

-პატიოსან სიტყვას გაძლევთ.

-გაცნობამდე ხომ მიყვარდით, მაგრამ რაც გაგიცანით უფრო შემიყვარდით, - მითხრა პატარა ბიჭმა და ყელზე შემომეხვია.

საყვარელო ბავშვო, დანაპირებს აუცილებლად მიიღებ და დაე, მან შენ ბედნიერება მოგიტანოს!

თავი XXVIII
ნუხა, ქუჩები, ლეკები, ბაზარი, ოქრომჭედლები, სასირაჯოები,

აბრეშუმი, მრეწველობა, ხანთა სასახლე

საუზმის შემდეგ თავადიშვილს ვკითხე, შეგიძლია, თუ არა დამათვალიერებინო ქალაქი და განსაკუთრებით ბაზარ-მეთქი. ბავშმა მამას შეხედა და მისგან დასტური მიიღო. საოცარი ურთიერთგაგება არსებობდა ამ ორ კეთილშობილ არსებათა შორის. ვგრძნობდი, რომ ერთმანეთი გულითადად უყვართ. თავადმა ბრძანება მისცა ნიკოლოზს, -ნიკოლოზი ახალგაზრდა თავადის მსახური იყო, - მან და ოთხმა ნუკერმა მაგრად შემოიჭირეს სატრყელები, ხანჯლები შეისწორეს, ფაფახები ცამოიფხატეს და ჩვენს გასაცილებლად მოემზადნენ. თავადიშვილმა ხანჯლის გარდა დამბასაც წამოიღო, შეამოწმა კარგად იყო თუ არა დატენილი და სარტყელში ჩაიდო. თორმეტმა თუ თხუთმეტმა იასაულმა თავიანთი უფროსის ბადრიძის წინამძღოლობით ერთმანეთს რარაც გადაულაპარაკეს და ბადრიძემ თავად თარხნიშვილს მოახსენა, რომ ამჯერად მის ვაჟს არავითარი საფრთხე არ ელოდა და თავისუფლად შეეძლო ქალაქში გასვლა. ორი ღამე იყო, რაც ის ნუხის გარშემო მდებარე ტყეებს ზერავდა, მაგრამ საეჭვო არაფერი ენახა. ესეც არ იყოს, დღისით ლეკები ასეთ საქმეზე ქალაქში არ მიდიოდნენ, სადაც თორმეტი თუ თოთხმეტი ათასი მცხოვრები იყო.

ქალაქში აგვედით. ნიკოლოზი ათი ნაბიჯით წინ მიდიოდა. მას მივდევდით მუანე, კალინო, და მე თავადიშვილითურთ. უკან მოდიოდნენ ოთხი ნუკერი. ამგვარად ჩვენ ვიმყოფებოდით საუკეთესო არმიის პირობებში, რომელზეც არ შეიძლებოდა მოულოდნელი თავდასხმა მისი ავანგარდისა და არიერგარდის წყალობით. ასეთი სტატეგიული განლაგება უსაფრთხოების გრძნობას გვინერგავდა და ნებას გვაძლევდა ქალაქი ისე დაგვეთვალიერებინა, როგორც გვსურდა. ეს ქალაქი წარმოადგენს თვალწარმტაც მოზრდილ სოფელს, სადაც გარდა ცენტრის და სავაჭრო ქუჩათა სახლებისა, ყოველ სახლს თავისი შემოფარგლული საკარმიდამო ადგილი აქვს საუცხოო ხეხილითა და წყაროთი. ბევრ ადგილას წყარო ღობიდან ქუჩაზე გადმოდის და პირდაპირ გზაზე მოჩუხჩუხებს.

თავადი თითქმის ქალაქგარეთ ცხოვრობს და ამიტომ იძულებულია გაფრთხილდეს. ერთ ვერსამდე გავიარეთ, მანამ მთავარ ქუჩაზე გავიდოდით. იგი წარმოადგენს პატარა მდინარის კალაპოტს, რომელიც ქვიშიან ნიადაგს მხოლოდ ორ გოჯზე ფარავს. ამ ქუჩაზე სამნაირად შეიძლება გავლა: ქვაფენილით, რომელიც ორივე მხარეზე დაჰყვება კალაპოტს, მაგრამ ისე ვიწროა, რომ მხოლოდ თხებსა და ჯამბაზებს თუ შეუძლიათ მასზე სიარული, ბოლოქანქალა ჩიტივით, ერთი ქვიდან მეორეზე ხტუნვით, ანდა გაბედული სიარულით შიგ შუა წყალში. ჩვეულებრივი წამებულნი ამ უკანასკნელ გზას არჩევდნენ, უფრო ნებიერნი კი დანარჩენ ორ გზას. ქუჩის ეს ნაწილი რომ მთავრდებოდა, მდინარე საკმარისად მაღალ ნაპირებში მიედინებოდა. მარცხენა ნაპირზე ჩამწკრივებული იყო სახლები, რომელტაგან ზოგიერთს საფუძველი წყალში ედგა. მარჯვენა ნაპირი ქმნიდა მაღალ ბულვარს, რომელსაც დუქნები დაჰყვებოდა. ორივე ნაპირს ფარავდა ხეები, რომელთა გვირგვინები ერთდებოდნენ და მოჩუხჩუხე წყალზე ტალავერს ქმნიდნენ. ერთი ნაპირიდან მეორეზე გადადებული იყო ფიცრით შეკრული ბოგირები, ანდა პირდაპირ წამოქცეული ხეები ძირით ერთ ნაპირზე, წვერით კი მეორეზე. ხეებს ტოტების ნაწილი მოჭრილი ჰქონდა, რათა სიარული არ

შეეფერხებინა, ნაწილი კი მიწაში დარჩენილი ფესვების წყალობით ისევ ყვაოდა მიუხედავად მისი მკვებავი ტანის ჰორიზონტალური მდგომარეობისა. სიღრმეში კლდიანი, მხატვრულად დაღარული მთები ერთ-ერთ იმ შორეულ თვალწარმტაც პეიზაჟს ხატავენ, რომელიც მხოლოდ ბუნებას შეუძლია შექმნას.

არაფერს შევხვედრივარ ამ სანახაობაზე უკეთესს. იგი უფრო ვრცელ პროპორციებში ცოტათი ყიზლარს მაგონებდა. ბოლოს მარცხნივ შევუხვიეთ რაღაც ფერდობითა თუ ბუნებრივი კიბით, რომელზეც ალბათ, არასდროს ეტლს არ გაუვლია და მივედით ნამდვილ ბაზარში, სადაც ირეოდა უამრავი გამვლელი, ცნობისმოყვარე, მყიდველი თუ გამყიდველი. გარდა იმ ვაჭრებისა, რომლებიც საცოდავ, მაგრამ ეგზოტიკურ დუქნებში ისხდნენ, თქვენ ნახავდით აგრეთვე ხელზე მოვაჭრეებს, რომლებიც ხალხში ტრიალებდნენ თავიანთი საქონლით. ზოგს ხმლები ეჭირა, ზოგს ხანჯლები, ზოგს ყუბანური დამბაჩები და თოფები. ერთნი შემახიის ხალიჩებით ვაჭრობდნენ, მეორენი მთიდან ჩამოტანილი ნედლეული აბრეშუმის შულოებით. ამ ვაჭრებში ირეოდნენ ლეკები მათი ცოლების მიერ მოქსოვილი მაუდით სავსე დიდი ხურჯინებით. ეს თეთრი, მოყვითალო და მორუხო მაუდები დიდ გასავალშია კავკასიაში. იგი გამძლეა და ვერავიტარი ეკალი ვერ ხევს, პირიქით ეს მაუდი, თვითონ გლეჯს ბუჩქს ეკლებს. თითოეული თოფი მაუდი, რომლისაგანაც გამოდის ჩვეულებრივი ტანის მამაკაცის ერთი ჩერქეზული ჩოხა და შარვალი, ექვსიდან თორმეტ მანეთამდე ღირს, ესეიგი ოცდარვიდან ორმოცდარვა ფრანკამდე, მისი ხარისხის მიხედვით. ეს მაუდი წყალს არ ატარებს და მიუხედავათ მისი მოქნილობისა, უფრო ტრიკოს ჰგავს, ვიდრე ქსოვილს. წყალი შიგ არ ახწევს და ზედაპირზე მისრიალებს. ორი თოფი მაუდი ვიყიდე. შესაძლებელია ჩვენმა ნეგოციანტებმა ლურიმ და ელბეფმა ამ ნართის შესწავლის შემდეგ, თავისთვის რაიმე სასარგებლო შეიძინონ.

საწინააღმდეგო მოხეტიალე ვაჭრებისა, რომელნიც თავისდამცირებამდე გემუდარებიან ჩემი საქონელი შეისყიდეთო, მედუქნე ვაჭრები, რითაც არ უნდა ვაჭრობდნენ, ამაყად სხედან და ელიან მყიდველს, და სრულიად არ ზრუნავენ, რომ მოიზიდონ ან შეაკავონ მუშტარი. გეგონებათ, ამ ქედმაღალ ვაჭრებს სრულიადაც არ სურთ საქონლის გაყიდვა. „აი, ჩემი საქონელი, თუ მოგწონთ, აიღეთ, ფული გადაიხადეთ და თქვენი იყოს. თუ არ მოგწონთ და გაიარეთ. ცხოვრება უთქვენოდაც კარგად შემიძლია, და თუ ეს დუქანი ქუჩაზე გავხსენი, ეს იმისთვის, რომ ჰაერსა და მზეზე ვიჯდე. ჩიბუხი მოვწიო და გამვლელებს ვუცქირო“. მართალია ეს მედუქნეები ამ აზრს არ გამოთქვავენ, მაგრამ მათ სახზე სიტყვა-სიტყვით ასე სწერი.

ამ ბაზარზე ყველაფერი კეთდება და ყველაფერი იყიდება. ჩემ მიერ ნახულ ბაზრებში საუკეთესო ბაზრები აქვს დარუბანდს, ბაქოს და ნუხას. სათვალვში არ მაქვს თბილისის ბაზრი, რომელიც ბევრით უთმობდა მათ. როცა ვამბობ, აქ ყველაფერი კეთდება და ყველაფერი იყიდება-მეთქი, ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ აქ ყველაფერი ის კეთდება და იყიდება, რასაც მოითხოვ სოარსული ქალაქი, ქალაქი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რუსული გახდა, მაგრამ არასოდეს ევროპული არ გახდება. აქ კეთდება და იყიდება ხალიჩები, იარაღი, უნაგირები, სავაზნეები, ბალიშები, სუფრები, ფაფახები, ჩოხები, ყოველგვარი ფეხსაცმელი, დაწყებული მთიულირი ქალამნებით და ქართული წუღებით გათავებული. აქ მზადდება და იყიდება ბეჭდები და სამაჯურები, რამდენიმე აცმა თათრული ფულის ყელსაბამი, თავსამკაული, რომელსაც ჩვენი თეატრის მსახიობებიც კი შეჰნატრებდნენ და თვით მშვენიერ ნისასაც კი მოაჯადოვებდნენ. და ეს ყველაფერი ბრწყინავს, ცომცომებს, მოძრაობს, კამათობს, კინკლაობს, დანას ატრიალებს, მათრახს იქნევს, ყვირის, იმუქრება, იწყევლება, მკერდზე ხელებ გადაჯვარედინებული სალამს იძლევა, ერთმანეთს ეხვევა და ცხოვრობს ჩხუბსა და სიკვდილსა, დამბაჩისა და ხანჯალს შორის.

უცბად ყვირილი შემოგვესმა და იქითკენ მივიხედეთ. სამმა თუ ოთხმა მორჩილმა ლეკმა იმათგან, რომლებიც მაუდის გასაყიდად ჩამოდიან, ერთი ცხენოსანი კაცი შეაჩერეს. ვერ გავიგე,

რა უნდოდათ მისგან, ან რა დაუშვა მათ. კაცი რარაცას იმუქრებოდა, ლეკები კი ყვიროდნენ. ცხენოსანმა შოლტი მოიქნია და ისე გადაუჭირა ლეკს, რომ წააქცია. იმავე წუთში მისმა ცხენმა წაიფორხილა და მხედარი ხალხის მორევში გაქრა. მაგრამ მოულოდნელად საიდანღაც მისი ნუკერი გაჩნდა და საქმეში ჩაერია. ყოველ მის მუშტისკვრაზე ერთი კაცი ეცემოდა. მაშინ მხედარი წამოიჭრა, ცხენს მოახტა, მარჯვნივ და მარცხნივ მათრახით ბრბო გაარღვია და გააჭენა. ნუკერი ცხენს გავაზე შემოახტა და უკან ორი თუ სამი დასახიჩრებული ლეკი მოიტოვა.

-ვინ არის ეგ კაცი და რას ერჩოდნენ ლეკები? - ვკითხე თავადს.

-წარმოდგენა არა მაქვს, - მიპასუხა მან.

-და არც გინდათ იცოდეთ?

-რად მინდა, ამისთანა ამბები ყოველ წუთში ხდება. ლეკებმა იმ კაცს ალბათ რამე აწყენინეს, მანამ ერთი კარგად მიბეგვა ისინი. ახლა კი უნდა გაფრთხილდეს, თორემ თუ სადმე ქალაქგარეთ გაიმარტოვეს, ხანჯალსა და ტყვიას არ ასცდება.

-ქალაქში ლეკები იარაღს არ ხმარობენ?

-არა, მათ კარგად იციან, რომ თუ ნუხაში ვინმე მოკლეს ან დაჭრეს, მამაჩემი შავ დღეს დააყრის.

-თუ მათრახით მოკლეს ერთმანეთი?

-მათრახი სულ სხვა საქმეა. მათრახი აკრძალული იარაღი არ არის. მით უკეთესი მისთვის, ვინც ბუნებამ კარგი მუშტებით დააჯილდოვა. ის თავისი მუშტებით სარგებლობს და ვერავინ უბედავს რამეს. უყურეთ, რა მშვენიერი უნაგირებია, თუ უნაგირების შეძენა გსურთ, გირჩევთ იქ იყიდოთ. აქ უფრო იაფად იშოვით, ვიდრე სხვაგან.

ორი მოქარგული უნაგირი ვიყიდე ოცდაოთხ მანეთად. საფრანგეთში ამისთანებს ორას ფრანკათაც ვერ იშოვის კაცი, უფრო სწორად ოქროს ფასადაც ვერ იშოვის.

ამ დროს ერთი ჩერქეზულ ჩოხაში გამოწყობილი ლამაზ-ლამაზი ოფიცერი შემოგვიერთდა. თავადიშვილს მიესალმა და მოიკითხა. თავადი მომიბრუნდა და წარმომიდგინა.

-გაიცანით მოჰამედ-ხანი, -მითხრა მან.

ეს სახელი რასაკვირველია, არაფერს მეუბნებოდა, მაგრამ მაინც მივესალმე. ახალგაზრდა ოფიცერს მკერდზე წმიდა გიორგის ჯვარი ეკეთა და საუცხოო იარაღით იყო აღჭურვილი. წმიდა გიორგის ჯვარი ყოველთვის დიდი პატივია ადამიანისთვის, რომელიც მას ატარებს. ამ ორდენს მხოლოდ რაიმე ბრწყინვალე დამსახურებისთვის აძლევენ, რაინდთა სათათბიროს გადაწყვეტილებით.

-ვინ არის ეგ მუჰამედ -ხანი, თავადო?-ჩავეკითხე ივანეს.

-ახლავე მოგახსენებთ, - მითხრა მან და მუჰამედ-ხანს მიუბრუნდა.

მივხვდი, რომ ჩემ იარაღზე იყო ლაპარაკი. ბავშვი ისევ დამეწია.

-მგონი ჩემ თოფებზე ლაპარაკობდით, თავადო.

-მართალია. მუჰამედ-ხანმა მაგ იარაღის ოსტატი იცის. იგი ჩვენთან ცნობილია ქერიმის სახელით. თუ ნებას დართავთ დაათვალიერებს.

-დიდი სიამოვნებით.

-ახლა მოგახსენებთ მუჰამედ ხანის ვინაობას: უპირველეს ყოვლისა, იგი მუხის უკანასკნელი ხანის შვილიშვილია. ქალაქი და მისი პროვინციები რუსეთის ხელში რომ არ გადასულიყო, მათი მფლობელი ეს კაცი იქნებოდა. მას დამსახურებული აქვს მაიორის წოდება და დანიშნული აქვს პენსია. ეს არის ცნობილი დანიელ-სულთანის ძმისწული.

-როგორ! შამილის საყვარელი ნაიბის, ჰაჯი-მუჰამედის სიმამრისა?

-დიახ, დიახ, იგი სათავეში უდგას შამილის ყველა ექსპედიციას და დიდ ზიანს გვაყენებს.

-მომხდარა ოდესმე, რომ ბიძა და ძმისწული ერთმანეთს ბრძოლაში შეხვედროდენ?

-ორჯერ იყო ასეთი შემთხვევა.

-როგორ იქცევიან ასეთ შემთხვევაში?

-ერთმანეთს მიესალმებიან და შემდეგ ყოველი მათგანი თავის ვალდებულებას ასრულებს.

ახლა მე უფრო დიოდი ინტერესით შევყურებდი ამ 28-30 წლის ლამაზ კაცს, რომელიც მარლინსკის ამალად-ბეგს მაგონებდა, თუ არ ჩავთვლით მის დანაშაულს. ის დაიბადა იმ სასახლეში, რომლის სანახავადაც ახლა მივდიოდით და რომელიც 1817 წელს რუსების ხელში გადავიდა. რატა მჰამედ-ხანში სამწუხარო მოგონებები არ გამეღვიძებინა, ახალგაზრდა თვადს შევთავაზე ეს ექსკურსია სხვა დროისთვის გადაგვედო. თვადამა ჩემი აზრი მუჰამედ-ხანს გადასცა. მუჰამედ-ხანმა თვი დამიკრა და ჰკითხა:

-დიდი მთავრების გავლის შემდეგ ამ სასახლეში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი.

განვაგრძეთ გზა. ხანების სასახლე, როგორც ჩვეულებრივად ყველა ასეთი შენობა, ქალაქის ყველაზე ამაღლებულ ადგილზეა აგებული. ხოლო იგი აშენებულია უახლესი არქიტექტურით 1794 წელს მუჰამედ-ხასან-ხანის მიერ. დინასტია, რომელსაც ეს ხანი მიეკუთვნებოდა, 1710 წელს დაიწყო. ყველაზე თვალსაჩინო ადამიანი ამ დინასტიაში იყო მისი შემქმნელი ჰაჯი-ჯელაბ-ხანი. 1735-დან1740 წლამდე. იგი რამდენჯერმე შეებრძოლა ნადირ შაჰს და ყველა შეხვედრის დროს დამარცხდა. მან დაიქვემდებარა მთელი შირვანი, ხელშიჩაიგდო თავრიზი, იქ თავისი ნაცვალი დასვა და თავისი მბრძანებლობა თბილისამდე განავრცო.

როცა ორი ქართველი უფლისწული ალექსანდრე და გიორგი 1798 წელს თავისი ცოცხალი მამის ტახტს ერთმანეთს ედაცვებოდნენ, დევნილმა ალექსანდრემ ნუხაში შეაფარა თავი სადაც მუჰამედ-ხასან-ხანმა მიიღო და დამალა. და მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მუსლიმანური რწმენისა იყო ნება მისცა, წირვაზე ბერძენი მღვდელი მიეყვანა. ამ შემწყნარებლობამ თათრებს აფიქრებინა. ჩვენი ხანი ქრისტიანობის მიღებას აპირებსო. აუჯანყდნენ და ალექსანდრე იძულებული შეიქმნა სპარსეთში გაქცეულიყო. 1825 წელს ის ისევ დაბრუნდა და ახლა იგი მიიღო ოჯახის ტრადიციებისადმი ერთგულმა მუჰამედ-ხანის ძმისწულმა ხასან-ხანმა. მან ალექსანდრე საქართველოს მეფედ სცნო, თუმცა საქართველო უკვე ოცდაორი წელი იყო, რაც რუსეთს დაუკავშირდა. 1726 წელს რუსთა გამარჯვებამ სპარსელებზე ხანი და მისი პროტეჟე აიძულა გაქცეულიყვნენ ერევანში, რომელიც იმ დროს ჯერ ისევ სპარსელებს უკუთვნოდა. იქ, 1826 წელს გარდაიცვალა ლექსანდრე. 1828 წელს კი რუსებმა ნუხა დაიკავეს და მას შემდეგ იქ სხედან.

ეს სასახლე შესანიშნავი ნაგებობაა და მისი გაუვალი ნანგრევებისა და დაუსრულებელი არაბესკების აღწერა მხოლოდ ფუნჯს თუ შეუძლია. დიდ მთავართა ჩამოსვლისათვის ძველი სურათების მიხედვით, აღდგენილი იყო შიგნითა ნაწილი და ისიც მხოლოდ პირველი სართული.

უკან ისევ ბაზრით დავბრუნდით. სასახლეში მისასვლელად და უკან დასაბრუნებლად სხვა გზა არ არის. ან ამ ერთადერთი ქუჩით უნდა იარო, ან ქალაქს გარშემო მოუარო. მუჰამედ-ხანმა თავად თარხნიშვილის სახლამდე მიგვაცილა. ეტყობოდა მოსვენებას არ აძლევდა ივანეს ნაამბობი ჩემი თოფების შესახებ. როგორცკი მივედით, პირველად თოფები მოიკითხა. მოიტანეს იარაღი რაც ისევ გრძელი და გულმოდგინე დაკვირვების საგანი გახდა. მე მინდოდა ახალგაზრდა თვადისთვის მეჩვენინა, როგორ ვიცით ჩვენ მიზანში სროლა ჰაერში, რაც აშკარად სჯობს მათს ხელდაყრდნობილ სროლას. ამიტომ თოფი ავიღე, ჰაერში კაპიკიანი ავისროლე და რამდენიმე საფანტი მოვახვედრე. ივანემ იფიქრა, შემთხვევით მოარტყაო და მთხოვა კიდევ გამემეორებინა. მაშინ მე ჰაერში ორი კაპიკინი ავისროლე და ორივე ლულიდან მოვარტყი. საცოდავი ბავშვი კინაღამ ჭკუიდან შესცდა. მზად იყო ერწმუნა, რომ ჩემს თოფს ასტოლფის ხმალივით ჯადო ჰქონდა და ეს წარმატება იარაღისა იყო და არა მსროლელისა. ბავშვი წამდაუწუმ იმეორებდა:

-ხომ სწორედ ასეთი თოფი მექნება, ჰა?

-დიახ. თავადიშვილო, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, სწორედ ასეთი თოფი გექნებათ.

ამან მუჰამედ-ხანი გაახალისა. მან პატარა თავადი გვერძე გაიხმო და ჩუმად რაღაც უთხრა. ივანე მომიახლოვდა და მითხრა:

-მუჰამედ-ხანს ძალიან უნდა, ჰქონდეს ერთი წყვილი რევოლვერი, მაგრამ უსათუოდ დევიმისა, როგორ შეიძლება მისი შეძენა?

-ძალიან ადვილად, თავადიშვილო, როგორც კი მეტხვის მუჰამედ-ხანი, მაშინვე გამოვუგზავნი.

ჩემი პასუხი უმალვე გადაითარგმნა. მუჰამედ-ხანი მომიახლოვდა და შეწუხებისთვის ბოდიში მოიხადა. შემდეგ მკითხა, რამდენი ეღირება ერთი წყვილი დემირის რევოლვერიო. მე მივუგე, ამაზე ნუ შეწუხდებით, მე თვითონ მოვაგვარებ ამ საქმეს მეთქი, რევოლვერებს რომ მიიღებთ, პირველსავე შესაძლებლობისთანავე მათ ნაცვლად კავკასიური იარაღი გამომიგზავნეთ-მეთქი. თანხმობის ნიშნად თავი დამიკრა, ხმალი შემოიხსნა, დამბაჩა მოიძრო და ორივე გამომიწოდა, თან დასძინა, ხმალს ვერ დაძლევთ, რადგანაც ერთი პიროვნების ნაჩუქარია და დავპირდი არასოდეს მოვიშორებ-მეთქი. ეს გაცვლა იმდენად ხელსაყრელი იყო ჩემთვის, რომ ერთხანს ვყოყმანობდი, მაგრამ ივანემ მითხრა, ამით ძალიან აწყენინებთ მუჰამედ-ხანსო. მეც დავთანხმდი, თავი დავუკარი და ხმალი და დამბაჩა გამოვართვი. ერთიც და მეორეც ნატიფი გემოვნებისა და სილამაზის ნიმუშია. ეს ხმალი საქვეყნოდ ყოფილიყო ცნობილი და ნუხიდან მოყოლებული ვიდრე თბილისამდე მივედი, მთელ გზაზე თათართა ოფიცრების ყურადღებას იქცევდა. როცა ხმალს ასეთი სახელი აქვს, ეს მისი პატრონის სახელიცაა. დიურანდალი იმიტომ იყო ცნობილი, რომ იგი როლანდს ემსახურებოდა ხმლად.

თავი XXIX
უდიუხები, ყოჩების ჭიდილი. თათართა ცეკვები და ჭიდაობა.

შიკრიკი ბადრიძე

დილას, საუზმის დროს უდიუხებზე ჩამოვარდა ლაპარაკი. ვინ არის უდიუხებიო, მკითხავთ თქვენ. მე არა მაქვს ბევრი ცნობა მათ შესახებ, მაგრამ გიამბობთ, რაც ვიცი. უდიუხები არის კავკასიელთა ერთ-ერთი ტომი, მაგრამ ეს ტომი რიცხობრივად ფრიად უმნიშვნელოა, და ეჭვი მეპარება, იგი შეტანილი იყოს სხვადასხვა რასების კალენდრის ცხრილში, მაშინ, როცა ეს ტომი სხვა ტომებზე არა ნაკლებ ყურადღებას იმსახურებს. უდიუხების წარმოშობა არ არის ცნობილი. მათი ენა, რომელიც არავის ესმის, არცერთ ენას არ ჰგავს. თვითონ ისინი იკარგებიან მთის გარემომცველ სიბნელეში. ამ ტომის წარმომადგენელს ეწოდება უდი მხოლობით რიცხვში, მარვალობითში კი უდიუხები. მოსე ხორენაცი თავის „საქართველოს ისტორიაში“ ახსენებს უდიუხებს, მაგრამ მან არ იცის მათი წარმოშობა და არც ის, თუ რომელ რასას მიეკუთვნება ეს ტომი. მათ აგრეთვე ახსენებს სომეხი ისტორიკოსი ჩამჩიანცი თავის „სომხეთის ისტორიაში“, რომელიც ვენეციაშია გამოცემული. დაბოლოს, შარშან რუსეთის აკადემიის ერთ-ერთი წევრი პეტერბურგიდან კავკასიაში იყო გაგზავნილი, რათა შემლებისდაგვარად შეეგროვებინა ყველა სიმღერები და ძეგლები უდურ ენაზე. მაგრამ მიუხედავად დიდი შრომისა, მას ვერაფერი გამოუკვლევია ყურადღების ღირსი და ხელცარიელი დაბრუნებულა. უდიუხთა ტომი შედგება სამი ათასისულისგან. მათ თვითონვე არ ახსოვთ, თუ ოდესმე მეტი ან ნაკლები იყვნენ. ისინი ცხოვრობენ ორ სოფელში. ერთი მათგანია ვოსტაშინი, რომელიც ნუხასთან ოცი ვერსის მანძილზე მდებარეობს და შედგება 120 კომლი ქართველისაგან, 100 კომლი სომეხისგან და 69 კომლი თათრისგან. მეორე სოფელი ოცდაათ ვერსზეა ვოსტაშინისაგან შემახიის მიმართულებით და შედგება სამასი კომლი სომეხისაგან. ჩვენ მოსახლეობას ვასხვავებთ მათი რელიგიის მიხედვით. უდიუხებს თავისი რელიგია არა აქვთ, ზოგი ბერძნულ რელიგიას აღიარებს, ზოგიც მაჰმადიანურს. მე მოვინდომე უდის ნახვა და თავადმა თარხნიშვილმა მაშინვე მოაყვანინა ერთი უდი: ეს იყო ასე, ოცდაათი წლის საშუალო ტანის კაცი, მას შავგვრემანი, ცოცხალი თვალები და შავი წვერი ჰქონდა. სკოლის მასწავლებლად მსახურობდა ნუხაში. მე ვკითხე, რას ფიქრობენ უდები თავიანთ წარმოშობაზე-მეთქი, მან მიპასუხა, საერთო აზრით უდები შთამომავალნი არიან ნოეს ერთ-ერთი შვილიშვილისა, რომელიც წარღვნის შემდეგ სომხეთში დარჩენილა, ხოლო ენა, რომელზეც უდები ლაპარაკობენ თანამედროვე ხალხებისთვის უცნობია მისი სიძველის გამო და საფიქრებელია, მას პატრიარქები ხმარობდნენო. ამ კაცის სახელი და გვარი იყო სორგი ბეჟანოვი. მე ვთხოვე უდურ ენაზე ეთქვა რამდენიმე პირველყოფილი სიტყვა, რომელთაც თითქმის ყოველთვის საერთო ფესვები აქვთ წინამორბედ ან მეზობელ ენებთან. სიტყვებს ვწერს არა ორთოგრაფიულად, არამედ უდური გამოთქმის მიხედვით. ღმერთი არის ბიხანცხუნკ, პური-შუმ, წყალი-კეხე, მიწა-ხულ. სიტყვა ცა მათ არა აქვთ და ხმარობენ თათრულ გუაქ-ს. ვარსკვლავი არის ხაბუმ, მზე-ბეგ, მთვარე-ხაზ. ორი უკანასკნელი სიტყვა შემორჩენილია პირველი ინდოეთის ომების შემდეგ და ინდურად წარმოითქმება მამრობით სქესში ლინგამ, ხოლო მდედრობითში-ჟუნი. უდურ ენაზე ესენი ითქმის მამრობითში ხალ, მდედრობითში კი ხუტ. კაცი არის ადამარ, ქალი-ჩებუკ.

მე ჩემი უმეცრებით მაინც შევეცადე ცოტა რამ ამეხსნა და როგორც იტყვიან, ნაყოფი მოვწყვიტე. ახლა კი მისი გემოს გასინჯვა ჩემი მეცნიერი მეგობრის სასის საქმე იყო. ჩემი უდი სადილობამდე არ გავუშვი, მაგრამ მეტი ვერაფერი ვათქმევინე.

მასპინძელს რამდენჯერმე შეაწყვეტინეს სადილი ვიღაც ცხენიანმა ადამიანებმა, ხოლო როცა სადილი დავასრულეთ, ისევ ბაზარში გავლა მოგვინდა, მაგრამ თავადმა გვთხოვა ჩემს ვაჟს ნუღარ წაიყვანთო.

-უნდა გითხრათ, რომ მრავალი მიზეზის გამო, რომელსაც ვერ გეტყვით, უკეთესი იქნებოდა თქვენი სეირნობა ხვალისთვის გადაგედოთ. დღეს კი მინდა სავსებით თათრული ყაიდის საღმო გაგიმართოდ.

ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ იმ შიკრიკებს, რომლებმაც თავადი იანხულეს ლეკებზე მოჰქონდათ ცნობები, ამიტომ ძალა აღარ დავატანეთ. ნასადილევს შემოვიდა თვითონ ბადრიძე, რომელიც

სიამოვნებისაგან ხელებს ისრესდა და ეტყობოდა რაღაც უხაროდა. მან თავადი განზე გაიხმო და ორივენი მეზობელ ოთხში გავიდნენ. შემდეგ თავადი მარტო შემობრუნდა, ბადრიძე კი მეორე ოთახიდან გაქრა. სუფრიდან წამოვიშალეთ და აივანზე გავედით ყავის დასალებათ. ეზოში ვიღაც კაცი იდგა ვეებერთელა წითელი ვერძით, რომელსაც თავადის შავი ცხვარი ისე უვლიდა გარშემო, თითქოს ბრძოლაში იწვევსო. თათრული საღამო უნდა დაწყებულიყო ყოჩების ჭიდილით. ბოლოს ივანემ თავისი მამის საიდუმლოება გასცა და გვაუწყა, რომ ყოჩების ბრძოლის შემდეგ გვაჩვენებდნენ თათრულ ცეკვას და ჭიდაობას, ხოლო ჭიდაობის შემდეგ გაიმართებოდა მეჯლისი. მეჯლისზე კი მოპატიჟებული არიან ქალაქის ყველაზე უფრო პატივსაცემი მანდილოსნები, რომლებიც ლეკურს იცეკვებენო.

მართალც საღამოზე სტუმრებმა იწყეს დენა. ახლო მეზობლები ფეხით მოდიოდნენ, უფრო შორს მცხოვრებნი კი ეტლებით, რამდენიმე კაცი ცხენით მოვიდა. ესენი სულ ასიოდე ნაბიჯზე ცხოვრობდნენ თავადის სახლისგან, მაგრამ აზიელები ფეხით მხოლოდ იმ შემთხვევაში დადიან, როცა სხვა გზა არა აქვთ. სტუმრები მამაკაცები თუ მანდილოსნები ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ ადგილს იჭერდნენ აივანზე, რომელიც თანდათან თიატრის იარუსს დაემსგავსა. ზოგიერთი მანდილოსანი ძალიან ლამაზი იყო განსაკუთრებით ქართველი და სომხის ქალები. საღამოს ექვსი საათისთვის თითქმის ყველა სტუმარი შეიკრიბა. ბოლოს შემოვიდა ორმოცამდე მილიციელი. ესენი იყვნენ დარაჯები, რომლებიც ყოველდღიურად მეთვალყურეობდნენ თავადი თარხნიშვილის სახლს და ეზოს. ზოგი გუშაგებად დააყენეს, ზოგიც ყოჩის პატრონს შემოეხვია. მისცეს ნისანი. ხალხი გაიწია, რატა მოჭიდავეებისთვის ადგილი დაეთმო. ნიკოლოზმა, ახალგაზრდა თავადის მსახურმა, რომელიც მას მუდამ თან დასდევს, ღამით მის კარებთან სძინავს და დილიდან საღამომდე თვალ არ აშორებს, შავ ყოჩს რქაში მოსჭიდა ხელი და მის წითურ მოქიშპეს ათი ნაბიჯით მოაშორა. წითურ ყოჩს პატრონმა მიუალერსა, ხელი გადაუსვა და მერე შავი ყოჩის წინ დააყენა. შემდეგ დაიწყო მოჭიდავეების წაქეზება ყვირილით, მაგრამ მათ ეს არ სჭირდებოდათ. როგრც კი გაინთავისუფლეს თავი, ისე დაეტაკნენ ერთმანეთს, როგორც რაინდები, რომელთაც მსაჯებმა თარჯი გაუხსნეს. ისინი შეეჭიდნენ მოედნის შუა და ერთმანეთს შუბლები დაატაკეს გაისმა ძლიერი, ყრუ ხმა, რომელიც, ალბათ, იმ ძველი მანქანის ხმას ჰგავდა, რომელსაც აგრეთვე „ცხვარი“ ერქვა. ორივენი უკანა ფეხებზე ჩაჯდნენ, მაგრამ არც ერთმა უკან არ დაიხია. მერე თვითონვე დაბრუნდნენ პირვანდელ ადგილებზე, რომელთაც მათი პატრონები იცავდნენ, შავი ყოჩი თავ აწეული, წითელი და ყურების ცანცარით. ეზოს წრე, რომელიც მილიციელებისაგან, სახლის მსახურთგან და ქუჩიდან შემოსულ ცნობისმოყვარეთაგან შედგებოდა, წითელი ყოჩის პატრონის გარშემო შექუჩდა: მათ ეს ყურების ცანცარი ავის მომასწავებელ ნიშნად მიიღეს. ეზო, იმ ადგილიედან, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, ესეიგი ყველაზე მაღალი წერტილიდან, თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენდა. ეზოში შემოსული მაყურებელთა რიცხვი იყო ერთი კაცი, რომელსაც სამი აქლემი ჰყვადა. აქლემებს უეჭველია, თავი ქარვასლაში ეგონათ და კი8სერ წაგრძელებულები იწვნენ, ხოლო მათი გამრეკი ერთ-ერთი აქლემის საპალნეზე წამომჯდარიყო და ამგვარად საუკეთესო პოზიცია დაეჭირა ესოდენ საინტერესო წარმოდგენაზე. ეზოში შემოდიოდნენ ცხენოსნები, თავადს ესალმებოდნენ და ცხენზე მჯდომარე უცქერდნენ სანახაობას. თათრის ქალები ფართო წამოსასხამებით, სომხის ქალები გრძელ, თეთრ ნაოჭიან კაბებში ქანდაკებებივით გაუნძრევლად იდგნენ გულუბრყვილო არტისტულ პოზებში, საუცხოო ტანისამოსში გამოწყობილ ოცდაათმდე მილიციელს მზის უკანასკნელ სხივებზე იარაღი უკრიალებდა. მათ ჯაჭვში რამდენიმე ბავშვი შეპარულიყო. აქა-იქ ქალებს გამოეყოთ თავი. სულ ასამდე მაყურებელი იქნებოდა. როგორც ხედავთ, ხალხი საკმარისად იყო იმისთვის რომ გამარჯვებული წაექეზებინათ, დამარცხებული კი სასაცილოდ აეგდოთ. დამარცხებული-მეთქი, ვამბობ, მაგრამ უნდა გაგაფრთხილოდ, რომ წითელი ყოჩი სრულიადაც არ იყო დამარცხებული, ის ჯერ მხოლოდ ყურებს აცანცარებდა და მეტი არაფერი. მართალი გითხრათ რაც არ უნდა მაგარი ყოჩი იყოს, ამისთანა დარტყმისაგან უსათუოდ გაიქნევს ყურებს. მაგრამ ეტყობოდა ჯერ მის დამარცხებას ბევრი აკლდა, რადგანაც პატრონი ძლივ იკავებდა. გეგონებოდა, გრძნობსო, რომ ხალხს მისი გამარჯვების რწმენა შეერყა. მეორე დაჯახების ხმა

უფრო ძლიერად გაისმა, ვიდრე პირველი. წითელ ყოჩს ფეხები მოეკეცა. წამოიწია და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. ეტყობოდა, უპირატესობა შავი ყოჩის მხარეზე იყო. მესამე დარტყმაზე ეს უპირატესობა აშკარა გახდა. წითელმა ყოჩმა ახლ ყურები კი არა, თავიც გაიქნია. სავმა ყოჩმა თავის მოწინააღმდეგეს სულის მობრუნება აღარ აცალა, საშინელი სიშმაგით გაემართა მისკენ და რქები უთავაზა გავაში, გვერდებში, შუბლში, თან ყოველ თავის დარტყმაზე ძირს აქცევდა. დამარცხებულმა ღირსების დაკარგვასთან ერთად თითქოს წონასწორობაც დაკარგა. ააღარ იცოდა საით გაქცეულიყო, და ბოლოს გაარღვია წრ, მაგრამ შავი ყოჩი არ ეშვებოდა. მთელი პარტერი ყიჟინით აცილებდა შავ ყოჩს. საღამოს ბინბუნდში ხალხი დაიძრა და ერთმანეთში აირია. ბოლოს წითელმა ყოჩმა თავს უშველა და ერთი ეტლის ქვეშ გაძვრა. ისე, გარდა იმისა, რომ დამარცხებულად თვლიდა თავს, შებრალებასაც თხოულობდა. ამ დროს ქუჩიდან თათრული დოლის და ქართული ზურნის პირველი ხმები გაისმა, რამაც ეზოშისრული სიჩუმე ჩამოაგდო. ყველას უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ სმენამ არ უღალატა. შემდეგ, როცა დამშვიდნენ, რადგანაც ხმები ახლოვდებოდა, ყველამ ქუჩას მიაშურა და ეზო თვალის დახამხამებაში დაცარიელდა. მაგრამ სულ მალე უწინდელზე უფრო აივსო ხალხით. ჭიშკარში ორი მეჩირაღდნე გამოჩნდა. ისინი წინ მიუძღოდნენ ორ მემუსიკეს, რომელტაც უკან კიდევ ორი მეჩირაღდნე მოსდევდა. მათ მოჰყვებოდათ სამი მოცეკვავე, უკან კი მოგორავდა ხალხის ტალღა, რომელიც პროცესიას ქალაქშივე ასდევნებოდა და ეზოს ხალხში არეულიყო. მოცეკვავენი პირდაპირ აივანზე ავიდნენ და თავადს მიესალმნენ. ხალხმა ვაშა შესძახა და წრე შეკრა. ოთხი მეჩირაღდნე ისეთნაირად მოთავსდნენ, რომ რაც შეიძლება კარგად გაეშუქებინათ საცეკვაო მოედანი. ორ მოცეკვავეს ერთგავრი მოკლე, მაგრა, კვერთხები ეჭირა, მესამეს თოკით დაჭიმული რკალივით მოღუნული მშვილდი ზედ ასხმული რკინის რგოლებით, რომელთა ჟღარუნი თან ახლდა მუსიკას. ორი მემუსიკე ზურნას უკრავდა, ორიც ერთგავრ დოლებს ურტყავდნენ. მემუსიკეები რიგრიგობით უკრავდნენ ზურნას, რადგანაც იგი საშინლად ღლის დამკვრელს. მხოლოდ ქართულ მკერდს შეუძლია ასე დაუღალავად უბეროს თავის ნაციონალურ ინსტრუმენტში. აქ ჩვენ საქმე გვქონდა თათრულ მკერდებთნ და თუმცა ისინიც გამძლე არიან, მაინც იძულებული იყვნენ მონაცვლებით ებერათ.

უეცრად მუსიკის პირველი ხმები და ცეკვის პირევლ;ი ილეთები საშინელმა თოფის სროლამ შეწყვიტა, რომელიც თითქოს ნახევარი ვერსის მანძილიდან მოდიოდა. მოცეკვავეებს აწეული ფეხები ჰაერში შერჩათ, მეზურნეებს სული შეუგუბდათ, მედოლეები შეჩერდნენ, მილიციელები მწკრივებიდან გამოცვივდნენ და იარაღს მიაშურეს, იასაულები ცხენებს შემოახტნენ და პარტერისა და აივნის მაყურებლებმა ერთმანეთს გადახედეს.

-არაფერია, შვილებო, არაფერი, - დაიძახა თვადამა. - ბადრიძე თავის მილიციელებს სროლას ასწავლის. განაგრძეთ ცეკვა განაგრძეთ!

-ლეკები ხომ არ არიან? - ვკითხე ახალგაზრდა თავადს.

-ალბათ, ლეკები არიან, - მიპასუხა მან, - მაგრამ ბადრიძე იქ არის და საშიში არფერია, - და მაინც რამდენიმე სიტყვით გაამხნევა მუსიკოსები და მოცეკვავეები.

მუსიკა და ცეკვა განახლდა. შემდეგ ნელ-ნელა თავისი ადგილი დაიჭირა და თუმცა პირველი სროლის პასუხად რამდენიმე განმარტოვებული სროლა კიდევ გაისმა, მაგრამ ამას უკვე აღარავინ აქცევდა ყურადღებას.

თათრების ცეკვა ჭეშმარიტად საოცარი რამ არის და იგი ღირსია ყურადღებისა: კვერთხებით ახჭურვილი ორი მოცეკვავე წრის მოპირდაპირე მხარეზე დადგნენ, მესამე, რომელსაც ხელში დაჭიმული მშვილდი ეჭირა, შუა წრეში ჩადგა. ისინი თავიანთ კვერთხებს თავზე იტრიალებდნენ, ერთი ხელიდან მეორეში გადაჰქონდათ, ფეხებშორის ატარებდნენ და ამას ისეთი სისწრაფით და მოქნილობით აკეთებდნენ რომ ელისეს მინდვრები ჟონგლიორებიც კი

ვერ შეედრებიან მათ ამ საქმეში. ამ დროს მესამე მოცეკვავე თავისი მშვილდით უცნაურ მოძრაობებს აკეთებდა, რგოლებს აჭყრიალებდავ და უამისოდაც ველურ მუსიკას უფრო ველურ იერს აძლევდა. ორი მეზურნე ერთმანეთს ენაცვლებოდა და გამაღიზიანებლად აჭყვიტინებდა ზურნას, რაც ქართველებში დიდ აღტაცებას იწვევდა. ეს მუსიკა მოცეკვავეებს თითქოს ძალს მატებს და მათ არაადამიანურ ილეთებს ასრულებინებს. ასეთი ვარჯიში რომელსაც ვერც ერთი ჩვენგანი სამ წუთსაც ვერ გაუძლებდა, თხუთმეწუთზე მეტს გაგრძელდა, ხოლო მოცეკვავეებს ჩვევისა თუ მათი ოსტატობის წყალობით სრულიად არ ეტყობოდათ დაღლა. ბოლოს მუსიკა შეწყდა და მოცეკვავენიც გაჩერდნენ.

ცეკვა კვერთხებით, ისევე, როგორც მთელი აღმოსავლური ქორეოგრაფია, ძალიან მარტივია. იგი შედგება წინა და უკან ხტომისაგან არა წინდაწინ განსაზღვრული ილეთებით, არამედ თვით მოცეკვვის სურვილის მიხედვით. არასოდეს მოცეკვავე არ ცდილობს ასცილდეს მიწას ისე, როგორც ჩვენში და ამ ცეკვაში კლავები საერთოდ უფო დიდ როლს თამაშობენ ვიდრე ფეხები.

ცეკვას უნდა მოჰყოლოდა ჭიდაობა. ორმა მოცეკვავემ გაიძრო ზემოთა ტანსაცმელი და მხოლოდ ფართო შარვლები დაიტოვეს, თავი დაუკრეს თვადს, ხელები ქვიშით დაიზილეს და მიიღეს მდგომარეობა ველური მხეცებისა, რომლებიც ესაა ერთმანეთს დაეტაკნონ. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ჭიდაობა მეტად ერთფეროვანი და პირველყოფილი სანახაობაა. ვისაც უნახავს მათვეტი ნ რაბასონი, ადამიანი, რომელიც არასოდეს ძირას არ დაუციათ, და უნახავს აგრეთვე თათარი მოჭიდავენი, შეუძლია წარმოიდგინოსშერკინება ალკიდამესი და მილონ კროტონელისა.

ცოტა ხნის შემდეგ ბადრიძეც მოვიდა. ლეკები ხაფანგში გაბმულიყვნენ. მას თავისი კაცებისთვის ებრძანებინა ლეკებისთვის ბრძოლა აეტეხათ და სამი ლეკი მოეკლათ. ჩვენ წეღან რომ გავიგონეთ ეს სროლა იყო. ლეკებმა სროლითვე უპასუხეს, მაგრამ ბადრიძე მათ წინამძღოლს პირისპირ შეეტაკა და გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, რომლის დროსაც ბადრიძემ მოწინააღმდეგეს ხანჯლით გუპო თავი. ლეკებმა რომ თავიანთი უფროსი მოკლული დაინახეს გაიქცნენ. არაფერი ხელს არ უშლიდა, რომ მეჯლისი გარძელებულიყო და მანდილოსნებს ლეკური ეცეკვათ.

თავი XXX
გამგზავრება

ნუხა, როგორც უკვე ვთქვით, მშვენიერი ქალაქია, ანუ უფრო სწორად, ჩვენი აზრით თვალწარმტაცი სოფელია. აპრილიდან ოქტომბრამდე მისი მოსახლეობა თორმეტი ათასი სულიდან სამოციათასი სულამდე იზრდება, რადგანაც ეს არის საუკეთესო სააგარაკო ადგილი, რომლის ხშირი ჩრდილები და მორაკრაკე მდინარეები და ნაკადულები უამრავ ხალხს იზიდავს. ნუხის მთავარი არებ-მიცემობის საგანს წარმოადგენს აბრეშუმი. აქ არის ერთი აბრეშუმ მსახვევი ქარხანა და წელიწადში იყდება ექვსი მილიონი მანეთის ყაჭი. უმეტესი წილი იმ საუცხოო ხეებისა რომლებიც ნუხის სახლებს უჩრდილავენ, თუთის ხეებია რომელთა ფოთლით იკვებება ამ ქვეყნის სიმდიდრე- აბრეშუმის ჭია.

-ერთი წლის წინათ პიემონტი სამხრეთ ნაწილში და მილანში გაჩენილა ეპიდემია, რომელსაც გაუნადგურებია აბრეშუმის ჭიის სამი მეოთხედი და იატალიელი ვაჭრები ნუხაში ჩამოსულან თუთის ხის თესლის შესასყიდლად, მაგრამ ამაზე უარი მიუღია მეტოქეობის თავიდან ასაცილებლად. მაშინ იტალიელები იძულებულნი იყვნენ ლეკებისთვის მიემართად. თბილისის თეატრის ერთმა ახალგზრდა დეკორატორმა, ფერარიმ , რომელიც კავკასიის თითქმის ყველა დიალეკტზე ლაპარაკოსბ, გადაწყვიტა მოგაზურობა მოეწყო. იგი მთიელის ტანისამოსით შეიმოსა და გზას გაუდგა 200000 ფრანკი ოქროსი და ვერცხლის ფულით.

დაუმორჩილებელ ლეკებს მხოლოდ ოქრო და ვერცხლი სწამთ, მათ არფრად მიაჩნიათ ქაღალდის ფული. ახალგაზრდა კაცმა წარმატებას მიაღწია და იტალიელებმა სამშობლოში წაიღეს საკმარისი რაოდენობის თესლი იმ დანაკარგის ასანაზღურებლად, რაც ევროპაში განიცადეს.

ეჭვი არ არის, იმ დამორჩილებულ ლეკთა რიცხვში, რომლებიც ნუხაში მაუდის, აბრეშუმის ჭიისა და ცხვრის გასსყიდლად ჩამოდიან, ადვილად იპარებიან დაუმორჩილებელი ლეკებიც. ბარისა და მთის მცხოვრებნი ერთმანეთს ადვილად სცნობენ, მაგრამ არ აბეზღებენ. დაუმორჩილებელი ლეკები კი საავაზაკოთ, საძარცვავად ჩამოდიან. ეს გამუდმებული არევ-დარევა მტრულად და მშვიდობიანად განწყობილი ლეკებისა ნუხის ქუჩებში, განუწყვეტლივ შიშსა ჰგვრიდა თვად თრხნიშვილს მისი ვაჟის გამო. მართლაც, ისეთი ჩხუბი ჩვენ რომ გუშინ ბაზარზე ვნახეთ, შესაძლებელია განზრახ ყოფილიყო მოწყობილი. ჩოჩქოლში ერთ ღონიერ კაცს შეეძლო ხელი ჩაევლო ბავშვისთვის, ცხენე გადაეგდო და გაექუსლა. ბავშვი ასი ათას მანეთადაა შეფასებული და ლეკები ბევრ რამეს ბედავენ ამ საფასურისთვის.

ნუხის მედუქნეთა რიცხვში მე დამავიწყდა მეხსენებინა მწვადის გამყიდველნი, რომლებიც მაგონებენ შემწვარი კარტოფილით მოვაჭრე ფრანგებს. რაც არ უნდა ეცადო კარგად მოამზადო იგი ოჯახში, - მე ვამბობ შემწვარ კარტოფილზე, მაინც ისეთი კარგი არ გამოვა, როგორიც ახალ ხიდზე იყიდება. იგივე შეიძლება ითქვას ნუხის მწვადზე. იმ წყეულ მწვადს ისეთი მადის აღმძვრელი სუნი ჰქონდა, რომ ცდუნებას ვერ გაუძელ და თვადს ვთხოვე, ნება მოეცათ ცოტა მეყიდა საუზმისთვის. ნუხაზე გამვლელო მოგზაურნო, ჭამეთ მწვადი სუფთა ჰაერზე! კავკასიაში საერთოდ ცუდათ ჭამენ, მაგრამ თქვენ აქ შემთხვევა გეძლევათ გერიელად ჭამოთ და უარს ნუ იტყვით! ახლა, ფოთსი ამ სტრიქონების წერისას რომ მწვადი მქონდეს, რა ბედნიერი ვიქნებოდი.

გადაწყდა, შუადღის პირველ სათზენუხიდან გავდიოდით. შეჩერებას ვარაუდობდით ერთ, ან უკიდურეს შემთხვევაში, ორ სადგურზე, ხოლო მეორე დღეს ღამის გათევას ვაპირებდით ცარსკიე კოლოდცისში, უკანასკნელ სადგურზე თბილისამდის. ამგვარად საკმარისად ბევრი დრო გქონდა და ისევ ბაზარზე გავიარეთ. წინაგრძნობა გვეუბნებოდა, რომ ნუხაზე უკეთესს ვეღარაფერს ვნახვდით, თან ისეთი მასპინძლებით, როგორიც იყვნენ თავადი და მისი ვაჟი. ამ ხალხს ჩვენ სრულიად შემთხვევით შევხვდით, მათთან ოცდაოთხი საათის მეტი არ გაგვიტარებია, მაგრამ მთელი სიცოცხლე გვემახსოვრება!

ბაზარზე ერთი სუფრის ყიდვა მოვინდომე, მაგრამ ივანემ ნება არ მომცა, მამაჩემა ძალიან კარგი ხალიჩა მოგიმზადათ საჩუქრადო, მითხრა მან.

ამ გვარად, დარწმუნებული ვიყავი, რომ დაბრუნებისას კარგი საჩუქარი მელოდა და მართლაც, ჩემს ლოგინზე დამხვდა მშვენიერი ხალიჩა, ხოლო მის გვერდით ულამაზესი თათრული თოფი. ეს იყო მადლობის ნისნი იმ უმნიშვნელო საჩუქრისთვის, რომელსაც მე თავადიშვილს შევპირდი. უფრო სწორად, ეს იყო ქართული ხასიათის გამომჟღავნება. ქართველ ხალხს ისევე უყვერს გაჩუქება, როგორც სხვა ხალხს საჩუქრის მიღება.

-რა აზრისა ხართ ქართვეებზე? - ვკითხე ბარონ ფინოს, ჩვენს კონსულს თბილისში, რომელიც სამი წელია აქ ცხოვრობს.

-არავითარი ნაკლი მათ არ გაჩნიათ, მხოლოდ ღირსებებით არიან დაჯილდოვებულნი. - მიპასუხა მან.

ხედავთ, როგორ ხოტბას ასხავს ქართველებს ფრანგი, რომელსაც ყველა ადამიანივით სხვისი გაქირდვა უყვარს, ყველაზე უფრო კი თავი მოსწონს? ერთი ციმამაცით განთქმული რუსი, გვარად შერემენტიეი მეუბნებოდა:

-ქართველები უნდა ნახოთ ომში, როცა მათ ესმით თავიანთი წყეული ზურნის ხმა, რომელიც თოჯინების ასაცეკვებლადაც კი არ ვარგა. ამ დროს ისინი ნამდვილ ტიტანებს მოგვაგონებნ და მზად არიან ცაზე მიიტანონ იერიში.

-ახლა სუფრაზე უნდა ნახოთ ქართველები! - მეუბნებოდა ერთი პატივსაცემი გერმანელი რომელიც სიამაყით იგონებდა როგორ დალია ჰადელბერგის ლუდხანაში თორმეტი ტოლჩა ლუდი შუადღისას, - მათ შეუძლიათ შესვან თხუთმეტი, თვრამეტი, ოცი ბოთლი ღვინო, ისე, თითქოს აქ არაფერიაო.

ფინოც მართალს ამბობდა, რუსიც და გერმანელიც.

თბილისში ერთ იარაღის მაღაზიაში ხანჯალს ვყიდულობდი. გაიარა თვადმა ერისთავმა, ოთხი კაცი ახლდა. ერთმანეთს არ ვიცნობდით. როცა მოახსენეს ვინ ვიყავი, მოგვიახლოვდა და ჩვენს თარჯიმანს ჲტხრა:

-ბატონ დიუმას უთხარით, ამათგან არაფერი იყოდეს. ფულს დასტყუებბენ და უხეირო საქონელს მისცემენ.

მე თვად ერისთავს კეთილი რჩევისთვის ადლობა გადავუხადე და გზა განვაგრძე თან ქამარში გაკეთებულ ხანჯალს გავაყოლე თვალი. შინ რომ დავბრუნდი თავადი ერისთავისაგან გამოგზავნილი სურათი და ხანჯალი დამხვდა. ხანჯალი ოთხმოცი მანეთის ღირებულების იყო, სურათი კიდევ უფრო ძვირფასი. მხედველობაში მიიღეთ, რომ ქართველს რომელიც რაიმეს გთავაზობთ, უარი არ ეთქმის, - სრულიად საწინააღმდეგოთ ესპანელისა, - უარიქართველის შეურაწყოფაა. ყოველ სემთხვევაში მე სრულიად არ მიფიქრია უარი მეთქვა თავდი თარხნიშვილსთვის ხალიცასა და თოფზე, მითუმეტეს, რომ ეს საუცხოო ნივთები ასეთი კეთილი გულით იყო მოძღვნილი.

ვისაუზმეთ, ვაი, რომ დრო მოდიოდა და უკვე ნაშუადღევი იყო. პირველ საათზე უნდა დავძრულიყავით. თავადმა აღარ იცოდა რას დაგვპირებოდა და რა შემოეთავაზნა, ოღონდ კიდევ დავრჩენილიყავით. აღარაფერი გაუვიდა. პეტერბურგისა და მოსკოვის სიამოვნებანი ჩემთვის იგივე იყო, რაც კაპუის სიამოვნებნი ჰანიბალისთვის, ესეიგი მათ ჩვენ წაგვახდინეს. ახლა მე მოხეტიალე ებრაელს ვგავდი, რომელსაცმმუმივი მოძრაობა აქვს მისჯილი. განუწყვეტლივ ერთი ხმა ჩაგვძახოდა: წინ! წინ! წინ!

გამოსათხოვარ საუზმეზე თვადმა მოიწვია ყველა, ვინც აქ ჩამოსვლისას გავიცანით: ერთი სასიამოვნო ახალგაზრდა ექიმი, რომლის გვარი სამწუხაროდ აღარ მახსოვს და ერთი ოფიცერი, რომელმაც პირველსავე დანახვაზე მთხოვა დევიმის სანადირო თოფი გამომიგზავნეო. მე რომ კავკასიაში ვინმეს პოპულარობა შემშურებოდა, ეს უსათუოდ დევიმი იქნებოდა. მაგრამ ვერიდები ასეთ მეშურნეობას. დევიმი ძალიან მიყვარს და საკმარისად დიდ ხელოვნად ვთვლი, რომ არვცნო მისი სრულიად დამსახურებული პიპულარობა. ოფიცრის დაკვეთა მივიღე და თუ კიდევ ოდესმე დავბრუნდები კავკასიაში საკუთარი პატარა გემით, რაც განზრახული მაქვს უახლეს დროში, უსათუოდ თან ჩამოვიტან დევიმის თოფების დიდ ტვირთს და საფრანგეთში მილიონერი დავბრუნდები.

სუფრიდან წამოვდექით. ტარანტასი და ორთვლა მზად იყო. გარდა ამისა, თავადის ეტლში შეებათ ცხენები. ივანემ, წინააღმდეგ ჩვეულებისა, ცხენზე შეჯდომაზე უარი თქვა და ეტლი

მოისურვა რომ ჩემთან უფრო მეტი დრო გაეტარებინა. ეს საყვარელი ბავშვი ძლიან დამიმეგობრდა და მეც ამითვე ვპასუხობდი.

ჩვენს პატივსაცემად იასაულები და ნუკერები ფეხზე დაეყენებინათ. ბადრიძე თხუთმეტი მილიციელით უახლეს სადგურამდე გვაცუილებდა. მე თავადთან და მის ვაჟთან მოვთავსდი ეტლში. მუანე, კალინო და ახალგაზრდა ექიმი ტარანტასში ცასხდნენ. დანარჩენები ცხენითინ გამოგვყვნენ.

ქარავანი დაიძრა. ჩვენი ეტლი ყველაზე მსუბუქი იყო და მან გაასწო უფრო დატვირთულ ტარანტასსა და ოთხთვალას. გზად გავიარეთ მუხის გარე უბანი კინტაკი, სადაც წინა დღით ლეკებთნ მოხდა შეტაკება. ზოგან ისევ მოჩანდა სისხლი. ბადრიძემ დაწვრილებით გვიამბო ეს ამბავი. რამდენიმე ხან შეშფოთებული უკან ვიხედებოდი, რადგანც ტარანტასს ვეღარ ვხედავდი. ივანეს ვკითხე, რად მოეფარა თვალს ტარანტასი-მეთქი, მან ნიკოლოზს რაღაც გადაულაპრაკა. ნიკოლოზმა ცხენი უკან დააბრუნა და ხუთ წუთში ამბავი მოგვიტანა, ტარანტასს ბორბალი გასტეხია და ბატონები გზაზე არიან გაჩერებულიო. იმავე წუთში ცხენებით მივიდნენ მუანე და კალინო, და ეს ამბავი დაადასტურეს. საბედნიეროდ ყველა კარგად გადარჩენილიყო, მხოლოდ ტარანტასი დაზიანდა. ბორბლის შესაკეთებლად საჭირო იყო ერთ დღე-ღმე და ივანე სიხარულით ცას ეწეოდა, რომ ერთი დღე მუხაში დავრჩებოდით. სამაგიეროთ მე ვიყავი ძალიან უკმაყოფილო, მუანეს კი საშინლად გაუფუჭდა გუნება. თავადმა თარხნიშვილმა ეს შეამჩნია და ნიკოლოზს ჩუმად რაღაც უბრძანა.ნიკოლოზმა ნუხის მიმართულებით ცხენი დააოთხა. ამასობაში ყველანი შევქუჩდით, ტარნტასიდან ბოთლები და ჭიქები ამოვიღეთ. ბოთლებში, რასაკვირველია შამპანიური ღვინო იყო. კავაკსიაში, ისევე როგორც რუსეთში შამპანური ღვინით უსეურვებენ ერთმანეთს კეთილ მგზავრობასაც და დაბრუნებასაც ულოცავენ. რუსეთში ნამდვილი ტუ ყალბი შმპანური ურიცხვი რაოდენობით იხარჯება. ისე, რომ მთელი საფრანგეთი რომ შამპანურად და მის ვენახებად გადაიქცეს, მთელ რუსეთს მაინც ვერ გააძღებს. დავლიეთ, ვისაუბრეთ და ოცდაათამდე ბოთლი შამპანური ღვინო გამოვცალეთ, თითოეული სამ მანეთად ღირებული. ნახევარი საათის შემდეგ, დავინახეთ, ჩვენკენ დიდის ამბით მოქროდა ტარანტასი. რა სასწაული მოხდა? თვადას თურმე ებრძანებინა მისი ტარანტასიდან ბობრბალი გამოეძროთ და ჩვენი გატეხილი გამოეცვალათ. მე და ჩემმა ღმერთმა, ქართველი თავადები სუ არ არიან შექმნილნი საქმოსნებად! გამოთხოვების მძიმე წუთიც მოვიდა, პატარა თვადს ორივე ხელი გავუწოდე. მან ტირილი დაიწყო. მამამისი შურით შეჰყურებდა ამ სცენას.

-როცა მე მივდივარ სადმე, ასე არა სწუხს, - თქვა მან.

-შესაძლებელია. ეს იმიტო, რომ შენ მალე ბრუნდები ხოლმე. შენ ხომ სამუდამოდ არ მტოვებ! ბატონი დიუმა კი...

ყელში მომდგარმა ცრემლმა სიტყვა გააწყვეტინა. ბავშვი მოვიზიდე და საკუთარი შვილივით გულში ჩავიკარი. ო, ეჭვი არ არის რომ კიდევ გნახავ, ჩემო კარგო ბიჭიკო, კიდევ ჩაგიკრავ გულში! რამდენადაც ადამიანს, ამ ქარის წისქვილს, რამის დაპირება შეუძლია, იმდენად გპირდები მე შენ! შემდეგ მამას გადავეხვიე, ბადრიძეს გამოვეთხოვე, ტარანტასში ჩავსხედით და წავედით. ამ ჩემი შესანიშნავი მოგზაურობის დროს რუსეთში განსაკუთრებით ორმა გამომშვიდობებამ დამწყვიტა გული. ერთი იკისროს პატარა ივანე თარხნიშვილმა, მეორე კი იმან, ვისაც კარგი მეხსიერება აქვს. დიდხანს ერთმანეთს ხელებს უქნევდით და როცა გზამ მოუხვია და თვალს მოვეფარეთ, ერთმანეთს საბოლოოდ გამოვეთხოვეთ. ყველასგან თითო რამე მიმქონდა სახსოვრად: თავადამა თარხნიშვილმა თოფი და ხალიჩა მაჩუქა, მუჰამედ-ხანმა სატევარი და დამბაჩა, თავადიშვილმა დამბაჩის ბუდე და საწოლის გადასაფარებელი. ამთ გარდა მე მიმქონდა ბადრიძის ნაჩუქარი შარვალი და ჭაბუკი ექიმის მოცემული ქამაქრი.

ერთ წუთს მინდა შეგაჩეროთ ამ უკანასკნელ ფაქტზე, რომელიც ძლზე საინტერესოა: ხელგაშლილ ადმიანზე ჩვენში იტყვიან, საკუთარ შარვალს გაიხდის და მოქცემსო. მაგრამ ეს მეტაფორაა და ფრანგული მეტაფორა ქართულ რიალობათ გაიქცა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ნუხაში ორი თოფი ლეკური მაუდი ვიყიდე, რომლიდნაც საფრანგეთში უნდა ქართული შარვალი შემეკერა. ჩოხასა და ბეშმეთზე აღარ ვზრუნავდი, რადგანაც ბაგრატიონი დამპირდა, მათ თბილისში გამოგიგზავნიო. მაგრამ ჩვენ მაშინ შარვალი დაგვავიწყდა და ახლა დაფიქრებული ვიტავი, როგორ შემეკერა პარიზში ქართული შარვალი უთარგოთ. ბადრიძეს ჩოხის :·ვეშ ქართული შარვალი ეცვა.

-ბადრიძეს სთხოვეთ ჩემ მაგივრად თავისი შარვალი დამათვალიერებინოს, - ვუთხარი თავად ივანეს, - საფრანგეთში დაბრუნებისას უნდა მაგისთანა შევკერინო და კარგად მინდავნახო, როგორაა შეკერილი.

თავადამა ჩემი თხოვნა ბადრიძეს გადასცა. ბადრიძემ იმ წამსვე ქამარი შეიხსნა, მარჯვენა ფეხზე წამოიწია და მარცხენა ტოტიდან ფეხი ამოიღო, შემდეგ მარცხენაზე წამოიწია, მრცხენა ტოტიც გაინტავისუფლა, უნაგირს ქვეშიდან მთლიანად გამოიძრო შარვალი და მომაწოდა. მე გაშტერებული სევყურებდი.

-რას აკეთებს? - ვკითხე ახალგაზრდა თვადს.

-შარვალს გთავაზობთ.

-როგორ თუ შარვალს მთავაზობს?

-თქვენ ხომ გინდოდათ შარვლის ნახვა?

-მე მხოლოდ ნახვა მინდოდა, წაღება ხომ არა!

-რადგანაც გაძლევთ, უნდა წაიღოთ.

-არა, არა, თვადიშვილო, მაგ კეთილ კაცს შარვალს ვერ გამოვართმევ.

-იცოდეთ, რომ უარი ძალიან ეწყინება.

-ბატონო, შარვალი როგორ უნდა გამოვართვა ეს ხომ შეუძლებელია?

ამასობაში ბადრიძემ ჩოხა შეისწორა უნაგირში გასწორდა და ლაპარაკში ჩაგვერია.

-რას ამბობს? - ვკითხე მე.

-ამბობს, სულ ახალი შარვალია ჩემი ცოლის შეკერილია, ამ დილას ჩავიცვი პირველადო. მხოლოდ იმას ნანობს რომ ქამარი ძველი აქვს.

-ო, მაგაზე ნუ შეწუხდება, - თქვა ხალგაზრდა ექიმმა, - მე მაქვს სულ ახალი ქამარი გუშინ ვიყიდე ბაზარზე.

-მიიღეთ, მიიღეთ, ნუ აწყენინებთ, - მითხრა თავადმა.

მართლაც, ბადრიძის სახეზე წყენის იერმა გადაჰკრა.

-დალახვროს ეშმაკმა! - წამოვიძხე მე, - ნუხაში უშარვლოდ ხომ არ დაბრუნდება?

-რატომაც არ, - მითხრა თვადმა, - მაგის ჩექმასა და ჩოხაზე უსარვლობას ვინ შეამჩნევს?

მე მაინც ვერ გადამეწყვიტა საჩუქრის გამორთმევა.

იქნება ბატონი დიუმა იმიტომ ამბობს შარვალზე უარს, რომ ერთხელ უკვე მეცვა? - თქვა შეწუხებული სახით ბადრიძემ, - უთხარით, ჩვენში საპატიო ითვლება იმ ჭიქიდან დალევა, რტომლითაც შენი მეგობარი სვამდა.

-მაშ კარგი, - მივუგე მე - მეც დავლევ შენი ჭიქიდან, - და გამოვართვი შარვალი შიგ გაყრილი ექიმის ქამრით.

მაგრამ როცა მისი ჩაცმა მოვინდომე აღმოჩნდა, რომ ექვსი დიუმით მოკლე იყო. ამიტომ ბადრიძის ჭიქით დალევა ბედმა ჩემს მაგივრად კალინოს არგუნა. უშარვლოდ დარჩენილმა ბადრიძემ კი ჩვენი ამალის უფროსობა ერთ უმცროს ოფიცერს გადაულოცა.

თავი XXXI
თამარ მეფის ციხე

რაც უფრო შორდები მუხას, იმდენად ფართოდ იშლება და მთელი თავისი სიმშვენიერით წარმოგვიდგება პანორამა. ნუხა, ისეა ჩაძირული ხეებში, რომ ძლივს მჩანს და შეჭრილია კავკასიონის ჯაჭვის ერთ კუთხეში. ამ დიადი მთების თოვლიან მწვერვალებს საუცხოო შეფერილობა აქვთ. ჩვენ მივდიოდით კავკასიის ერთ-ერთი ულამაზესი ველის გასწვრივ და ორჯერ ფონით გადავედით მდინარე ალაზანზე, რომელიც ამ ველს რწყავს. ლეკები უწინ ვერ ბედავდნენ ალაზანზე გადმოსვლას, ერთ მშვენიერ დღეს კი წინანდალში ჩამოვიდნენ და მოიტაცეს თავადი ჭავჭავაძისა და თვადი ორბელიანის მეუღლეები. ჩვენ თავის დროსა და თავის ადგილზე გიამობობთ ამ მოულოდნელ, თავზარდამცემ ამბავს.

გზიდან ხელ მარხნივ მდებარეობდა კახეთი, ეს ბაღნარი კავკასიისა, ეს ვენახი საქართველოსი. აქ მოჰყვადათ ღვინო, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება ყიზლარის ღვინოს და მეტოქეობას გაუწევს ფრანგულ ღვინოებს, მოსახლეობამ რომ მისი დაყენება და მეტადე შენახვა იცოდეს. აქ ღვინოს თხის ან კამეჩის ტყავებში ასხამენ, რაც დროთა განმავლობაში ერთგვარ გემოს აძლევს და დიდად ფასდება მცოდნეთა მიერ, მაგრამ მე იგი არასასიამოვნოდ მეჩვენება. ზოგი ღვინოს მიწაში ჩაფლულ ვეებერთელა ქვევრებში ინახავს, არაბებიც ასე ინახავენ ხორბალს ორმოებში. აქ გვიამბეს, თითქოს ერთხელ ერთი რუსი დრაგუნის ფეხქვეშ მიწა ჩაწვა და იგი ღვინით სავსე ქვევრში ჩავრადა და დაიხჩო, როგორც კლარენციუსი მალვაზიის კასრში.

ჩვენს მარჯვნივ გადაჭიმულიყო ხრიოკი მთების ჯაჭვი თოვლიანი მწვერვალებითა და მიუვალი ფერდობებით, რომელთა ნაოჭებში თავს აფარებენ დაუმორჩილებელი ლეკები. მათ საპოვნელად იმ მთებში ძრომაა საჭირო. არც ალჟირში და არც ატლასის მთებში არავითარი წარმოდგენა არა აქვთ, რა არის სიძნელისა და საშიშროების მხრივ ექსპედიცია კავკასიის მთებში. მე მინახავს მუზაიას ხეობა, მინახავს სენ-ბერნარის გასავალი და ვფიქრობ, ესენი სამეფო გზებია ლეკების ხაზის სამხედრო ბილიკებთან შეადარებით.

ჩვენ გავაკეთეთ უზარმაზარი წრე ალაზნის წყალობით, რომელიც იმდნად დაკლაკნილია, რომ ყოველ ერთ ვერსზე უნდა გადალახო. ამიტომ სამი საათის სიარულის შემდეგ პირდაპირი ხაზით ორი ლიე ძლივს გავიარეთ. შემდეგ ერთ სადგურზე შევჩერდით, საიდანაც ნუხის ისეთი საუცხოო ხედი იშლებოდა, რომ მუანემ ცდუნებას ვერ გაუძლო და ჩაიხატა. ეს სურათი ამჟამად თავად ბარიატინსკის აქვს.

ნაშუადღევის სამ საათზე ისევ გზას გავუდექით, ხუთი-ექვს საათს თვალწარმტაც ალაზნის ველზე ვიარეთ და უკვე ღამე იყო, როცა სადგურ ბარაბატლინსკაიაზე მივედით. აქ ორი ხის ტახტი, ორი მაგიდა და ორი სკამი გველოდა. ამ საგნებს უკვე დიდი ხნის შეჩვეულები ვიყავით, მაგარმ ვრაფრით შევეგუეთ იმას, რომ არავითარი საჭმელი არ დაგვხვდა. საბედნიეროდ საკუთარ სამზარეულოში აღმოგვაჩნდა შემახიაში ნანადირევი ორი შემწვარი ხოხობი და ერთი კურდღელი. ამ სადგურიდან რაც შეიძლებოდა ადრე გავედით, გვინდოდა, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, იმავე საღამოს ცარსკი კოლოდციში მივსულიყავით. ჩემს ალბომში გენერალ დუნდუკოვ-კორსაკოვის ხელიც ჩაწერილი იყო რამდენიმე ბწკარი გრაფი ტოლისთვის, რომელიც პერიასლავის პოლკის უფროსი იყო. დაღამებამდის ესადაის ველებზე მივქროდით და კახეთის ერთი კუთხეც კი გადავსერეთ. ბოლოს, საღამოს შვიდი საათი იყო, როცა ცარსკი კოლოდციში შევედით. ეს არის ახლად აშენებული ქალაქი, რომელიც ბანაკს უფრო ჰგავს ვიდრე ქალაქს. ერთ მომაღლო ადგილზე შევამჩნიეთ სახლი, კართან მოვედით და პოლკოვნიკი ტოლი ვიკითხე. მსახური, რომელსაც კალინომ მიმართა, სახლის პატრონს დაეკითხა, მერე გამოვიდა და შინ შეგვიწვია. ტალანში შემოგვეგება შტაბს-ოფიცერი, რომელსაც საუცხოო მანერები ჰქონდა.

-ბატონი ალექსანდრე დიუმა ბრძადებით? მკითხა მან. თავი დავუკარი და გადევეცი ალბომი, სადაც დუნდუკოვ-კორსაკოვსკისგან ბარათი იყო.

-ბატონი გრაფი ტოლი ბრძანდებით? - ვკითხე ახლა მე, როცა ბარათის კითხვა დაასრულა.

-არა, მე თავადი მელიქიშვილი ვარ, - მიპასუხა მან, - და თქვენს სტუმრობას დიდ პატივად ჩავთვლი. ნებას ვერ მოგცემთ, სხვაგან დადგეთ. გრაფტოლს ჩემთან ნახავთ, შევუთვლი, ვახშმად მოვიდეს.

ეს ფანდი ისე ზრდილობიანად იქნა შემოთავაზებული, რომ ვეღარაფერი ვაწამეთ. ჩვენი ბარგი გადმოიღეს და დერეფანში დაალაგეს, ჩვენ კი შეგვიწვიეს მშვენიერ დამთბარ ოთახებში. ნახევარი საათის შემდეგ გრაფიტოლიც მოვიდა. მას პარიზში დიდხანს ეცხოვრა და ძალიან კარგად ლაპარაკობდა ფრანგულად. თვად მელიქიშვილს კი ოდნავ უჭირდა თავისუფლად ლაპარაკი. დუნდუკოვის ფარათს შემდეგი მინაწერი ჰქონდა: „ბატონ დიუმას დაათვალიერებინეთ თამარ მეფის ციხე“.

თამარ მეფე საქართველოში ყველაზე საყვარელი და პოპულარული პიროვნებაა. იგი თანამედროვეა საფრანგეთის მეფის წმინდა ლუდოვიკოსი და ისიც მასავით, მაგრამ უფრო ბედნიერად მთელი სიცოცხლე შეუპოვრად ებრძოდა მაჰმადიანებს. ისევევ, როგორც ნორმანდიაში ყველა ძველ ციხეს ეშმაკი რობერტის სახელი ჰქვია, საქართველოშიც ყველა ძველ ციხეს თამარ მეფის სახელს მიაწერენ. საქართველოში ასორმოცდაათამდე ძველი ციხეა, რომელთაგან ზოგი ერთ მეფეს უკუთვნოდა, ზოგიც მეორეს, ზოგი კიდევ რომელიმე მთავარს და ისინი ამჟამად არწივებისა და ტურების სადომად გამხდარა. ახსანიშნავია ის, რომყველა ეს ძველი ძეგლები ულამაზეს ადგილებში არიან აგებულნი და საუცხოო შესახედაობას ქმნიან. ყველგან ვეძებდი და ყველას ვეკითხბოდი თამარ მეფის ისტორიას, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე გარდა ბუნდოვანი გადმოცემებისა და ლერმონტოვის რამდენიმე ლექსისა, მაშინ, როც თამარ მეფის ციხეები თითქმის ყვლას ვერსზე გვხვდებოდა.

ცხრა საათზე ვისაუზმეთ. სუფრიდან რო ავდეგით ცხენები უკვე შებმული იყო. დილა გავატარეთ ერთი მოხუცი მხატვრის სურათების თვალიერებაში, რომელიც შესანიშნავად ლაპარაკობდა ფრანგულად. რა ეროვნებას ეკუთვნოდა იგი, მე არ ვიცი, ხოლო რაც შეეხება მის რელიგიას, ის ჭეშმარიტად თამარისტი იყო. მის მოზრდილ ალბომში სამი ფერი სჭარბობდა: ყვითელი, ლურჯი და მწვანე, რომლებიც სავსებით აკმაყოფილებდა მის განზრახვას, შეეგროვებინა თამარ მეფის ციხეთა მრავალნაირი ხედის სურათები. ის ციხე, რომელიც უნდა

დაგვეთვალიერებინა, მას შვიდი სხვადასხვა მხრიდან დაეხატა. ცხენებზე შევსხედით და ოციოდე წუთში გავლიეთ ოთხი თუ ხუთი ვერსი, რომლებიც სამეფო ნანგრევებს გვაშორებდა.

უეცრად ერთ მთის მოსახვევში ჩვენ თვალწინ შემოიხაზა დიდებული შესახედაობის ციცხე. იგი განმარტოებულ მთის წვერზე იდგა და ალაზნის ველს გადმოჰყურებდა. მის ჰორიზონტზე უკან გადაჭიმულიყო კავკასიონის თვალწარმტაცი ჯაჭვი, რომლის გასწვრივაც წინადღით ვიარეთ. ჩვენ უფრო მაღლა ვიმყოფებოდით. ვიდრე ამ მთის ძირი, ხოლო მისი მწვერვალი ჩვენ გადმოგვყურებდა. მას დიადი და საუცხოო დარანები ჰქონდა და ეტყობოდა, ამ ნაპრალებში არამარტო დროს, არამედ მრავალ რევოლუციასაც გაეარა. მუანემ ჩაიხატა ის მხარე, რომლითაც ჩვენ ციხეს მივადექით. ეს შესაძლებელია, ერთადერთი წერტილი იყო, რომელსაც ჩვენი მოხუცი მხატვრის ფუნჯი არ შეხებოდა.

თამარ მეფის ციხიდან ექვსი ვერსის დაშორებით აღიმართებოდა კიდევ ერთი მთა, რომლის შესახებ გადმოცემა არსებობს. ამ მთის წინ მზის ჩასვლისას გავიარეთ, ჩვენი ყურადღება მიიქცია მისმა ლამაზმა მოყვანილობამ და საუცხოო განათებამ. ამ მთას ელიას მთ ჰქვია, ძირს მლაშე ტბა ევლება. შუა მთაში გამოჭრილ ფართო მღვიმეში აშენებულია სამრეკლო, სადაც ხშირად დადიან მცხოვრებლები. გადმოცემა ამბობს, ამ მღვიმეში ილია წინასწარმეტყველისთვის ყვავს საჭმელი მოჰქონდა და რომ მან თავისი წამოსასხამი ტავის ოწაფეს ელისეს დაუტოვა თვითონ კი მთის მწვერვალიდა ცაში ამაღლდა. ეს იყო პირველი ბიბლიური ლეგენდა, რომელიც ჩვენ შეგვხვდა. იგრძნობოდა, რომ სომხეთს (?) ვუახლოვდებოდით.

თავადთან რომ დავბრუნდით, იქ დაგვხვდა მისი ადიუტანტი , რომელიც თავისი ალბომით გველოდა. თურმე ისიც ხატავდა. მას მონაწილეობა მიეღო უკანასკნელ ექსპედიაციაში ლეკების წინააღმდეგ და ბევრი საინტერესო ხედის ჩანახატი გაეკეთებინა. ერთი მათგანი იყო ხედი გორუკმეერისა, ესიგი იმ მთისა, რომელზეც უკანსკნელ ექსპედიციაში უნდა ასულიყვნენ, რათა ლეკები ხელში ჩაეგდოთ, მეორე ნახატი წარმადგენდა ხედს ბეჟიტ-აულისა, რომელიც რუსებმა ხელში ჩაიგდეს მას შემდეგ, რაც ყოველი მისი სახლი სათითაოდ იქნა აღებული. როცა უკანასკნელი სახლიც დაინგრა, აული საბოლოოდ დანებდა რუსებს. ბოლოს, მესამე იყო ცეცხლმოდებულ აულ ფიტურის ხედი. ამ აულის აღების დროს 1858 წლის 21 აგვისტოს გენერალმა ვრევსკიმ ორი ჭრილობა მიიღო მკერდსა და ფეხში, რის გამოც ათი დღის შემდეგ გარდაიცვალა. პოლკოვნიკმა ყორყანოვმა ექსპედიციის უფროსობა იკისრა და შეტევით აიღო და გაანადგურა აული დიდო. მოასახლეობა ათასი სულის რაოდენობით მთლიანად დამორჩილდა მას. მეოთ\ხე ნახატი წარმოადგენდა ლეკი მოსახლის კარებს შემკულს მოჭრილი ხელებით. ხელები ისე იყო კარებზე მილურსმული როგორც ჩვენი ფერმების კარებზე აჭედებენ მგლის თათებს. ეს ხელები დიდხანს ინახება ერთგავრი ხსნარის წყალობით, რომელშიც ხარშავენ. ერთი დიდოელი ლეკის სახლის კარი შემკული იყო თხუთმეტი ხელიღთ. ზოგნი, უფრო ღვთის მოსავნი ხელებს მიზგითის კედლებზე აჭედებენ. დიდოს მიზგითზე ორასამდე ხელი ყოფილა მილურსმული.

მაგრამ თუშებსაც, ქრისტიან ტომებს, ლეკებისა და საერთოდ ყველა მაჰმადიანთა დაუძინებელ მტრებს, რომლებიც ხელისუფალთ დიდ სამსახურს უწევენ ექსპედიციებში, იგივე ჩვეულება ჰქონიათ. რამდენ მტერსაც ჩაიგდებს ხელში თუში, იმდენი მოჭრილი ხელი იკიდება მის კედელზე უკანასკნელ ექსპედიციაში ერთ თუშების მამასახლისს, რომელიც სამი ვაჟიშვილით რუსთა რაზმებში იბრძოდა, უფროსი ვაჟი დაუჭრეს. მამას გაგიჟებით უყვარდა უფროსი ვაჟი და გული ჰქონდა გაბზარული დარდისგან, მაგრამ სისუსტის გამოჩენა თავისი ღირსების დამცირებად ჩასთვალა. მამას შეთი ერქვა. შესაძლებლია ეს იყო დამახინჯებული სიტყვა „შაითან“, რაც ეშმაკს ნისნავს. შეთს დაანახეს სახლი, სადაც დაჭრილი ყმაწვილი იწვა. ის შვილტან მივიდა. მძიმე ტკივილბით შეწუხებული ყმაწვილი საშინლად კვნესოდა. შეთი შვილს მიუახლოვდა, თოფს დაეყრდნო და შუბლშეკრულმა ჰკითხა:

-ვაჟკაცი გამიჩენია ქვეყანაზე თუ დედაკაცი?

-ვაჟკაცი, მამაჩემო, - მიუგო შვილმა.

-თუ ვაჟკაცი ხარ, მაშ რა გაკვნესებს?

დაჭრილი დადუმდა და ისე განუტევა სული, რომ ხმა აღარ ამოუღია. მამამ ცხედარს ტანისამოსი გახადა და მაგიდაზე დააწყო. შემდეგ თვასი ხანჯლით კედელზე ოცდათხუთმეტი ნაჭდევი გააკეთა, ხოლო ამის მერე შვილის გვამი სამოცდათხუთმეტ ნაჭრად დააქუცმაცა. ესე იგი იმდენ ნაჭრად, რამდენი იარაღის მატარებელი ნათესავი და მეგობარიც ჰყავდა.

-რას სჩადიხარ? - ჰკითხა პოლკოვნიკმა, როცა ეს საზარელი საქმიანობა დაინახა.

-ჩემი შვილის სისხლია აღება მინდა, - წარმოთქვა მან, - ერთ თვეში ლეკთა იმდენ ხელშ შევაგროვებ, რამდენი ნაჭერიც აქ არის.

მართალც, ერთი თვის დამლევს შეთმა თავისი ნათესავ-მეგობრებისაგან სამოცდათხუთმეტი ხელი მიიღო. თვითონაც თხუთმეტი დაუმატა და ამრიგად ლეკთა ოთხმოცდაათი ხელი შეაგროვა. ასწილ აიღო შეთმა თავისი შვილის სისხლი.

ბრძოლაში თუში თავის დღეში მეგობარს არ მიეშველება, თუ ამ უკანასკნელმა არ დაუძახა, და თვითონაც იშვიათად თუ ვინმეს მოუხმობს საშველად, მარტოც რომ დარჩედს სამი აცის წინააღმდეგ.

ერთ თუშს თიანეთელი ახალგაზრდა ქალი შეჰყვარებია და მისთვის ცოლობა უთხოვნია.

-რამდენი ლეკის ხელს მომიტან მზითევში? - ჰკითხა სასძლომ.

ყმაწვილი თუში ჯერ ბრძოლაში არ იყო ნამყოფი და ნირწამხდარი უკან დაბრუნდა. ის შეთთან მივიდა და თავისი გაჭირვება უამბო.

-გასწი, ჰკითხე, რამდენ ხელსა გთხოვს, - უთხრა შეთმა.

-სულ ცოტა სამი უნდა მოიტანო, - შემოთვალ ახალგზრდა ქალმა.

-მომავალ ექსპედიციაში რომ წავალ, წამომყევი, - შესთავაზა ყმაწვილს შეთმა.

-დაგვიანდება- უპასუხა ახალგაზრდა კცმა.

-კეთილი, ახლავე წავიდეთ, მე სამზადისი არ მჭირდება.

ორი კვირის შემდეგ კაცები თორმეტი ხელით დაბრინდნენ. შეთს შვიდი ხელი მოეჭრა, საქმროს-ხუთი. ვაჟმა დანიშნულ რიცხვს ორით გადააჭარბა, რის გამოც ქორწილი დიდი ამბით გადაიხადეს და მთელი სოფელი მიიწვიეს.

შეთის მოტანილ ხელებში ერთი ბავშვის ხელი ერია. საიდან აღმოჩნდა ბავშვის ხელი? ამასაც მოგახსენებთ: შეთი ლეკების ჯადოქარია, როცა დედებს ავშვების დაოკება უნდათ, ეუბნებიან: დაჩუმდი, თორემ შეთს დაუძახებო, შეშინებული ბავშვებიც ჩუმდებიან. ერთ ღამეს ერთი ბავში გაჟინიანდა და დედამ რომ ვერაფრით დააშოშმინა, ხელში აიყვანა, ფანჯარა გააღო და დაიყვირა:

-შეთ! შეთ! აბა, მოსჭერი ხელი ამ მტირალა ბავშვს! - თან ბავშვი რომ უფრო შეტეშინებინა, ფანჯარაში გაჰყო. უეცრად ბავშვმა საშინლად შეჰყვირა. დედამ იგრძნო რომ ეს უფრო ტკივილის ტირილი იყო, ვიდრე შიშისა და ბავშვი უმალ სახლში შეათრია. თურმე შეთი შემთხვევით სწორედ იმ სახლის წინ იყო ჩასაფრებული და გაუფრთხილებელ დედას თხოვნა დაუყოვნებლივ შეუსრულა.

თბილისამდე დაახლოებით კიდევ ას ოცი ვერსი გვქონდა გასავლელი. უხეირო გზების გამო თბილისში მისვლა მხოლოდ მეორე დღის თორმეტი ან პირველი საათისთვის უნდა გაგვევარაუდნა. გარდა მისა მთელი ღამე შეუსვენებლივ უნდა გვეარა. პირველ ორ სადგურზე ყოველივე კარგად მიდიოდა და ცხენებს გვაძლევდნენ, მაგრამ სიღნაღის შემდეგ , როცა გზა უკვე უშიშარი გახდა, ბადრაგზე უარი ვთქვით, რის გამოც მესამე სადგურზე ისე მიგვიღეს, როგორც უმნიშვნელო ხალხი. ამას ის მოჰყვა, რომ სადგურის მეთვალყურემ ჩვენს „პოდოროჟნის“ ყურადღება არ მიაქცია და გამოგვიცხადა ცხენები არა მყავსო. ეს პასუხი ჩვენთვის ნაცნობი იყო, მაგრამ რადგანაც უნდა გვესადილა და ეს კი ერთ საათს მაინც წაგვართმევდა, ვუპასუხეთ, დავიცდითო.

-რამდენიც გინდათ, იცადეთ, - გადმომიგდო ზედამხედველმა თავხედურათ, - არც ღამისთვის იქნება ცხენები.

მაგათ მართლა არ უნდა ჰყავდეთ ცხენები, - მითხრა კალინომ.

-ამას სადლის შემდეგ ვნახავთ. ჯერ კი ჩემი მათრახი ამოიღე ჩემოდნიდან.

სანამ კალინო მათრახს ეძებდა, მე და მუანე მოსაცდელ დარბაზში შევედით, რომელიც სავსე იყო მოგზაურებით. ყველას ჩვენისთანა პასუხი მიეღო, მაგრამ იცდიდნენ. დარბაზის კუთხეში ერთი ქართველი თავადი იჯდა თავისი ვაჟიშვილით და მოხარშულ დედალსა და არაყს შეექცეოდა. რომ დაგვინახეს, ფეხზე წამოდგნენ, მოგვიახლოვდნენ და გვთხოვეს მათი ვახშამი გავენაწილებინა. დავთანხმდით, მაგრამ იმ პირობით, რომ ისინიც გაინაწილებდნენ ჩვენს ვახშმს. უარი რომ ეთქვათ, ძალიან სამართლიანი იქნებოდა, რადგანაც ჩვენი ვახშამი მხოლოდ შემახიის ნადირობიდან დარჩენუილი ერთი კურდღლისა და ორი შემწვარი ხოხბისაგან შედგებოდა, რომელიც თავადი მელიქიშვილის მზარეულმა მოგვიმზადა. ამას გარდა ერთი ღვინით სავსე ვეებერთელა ბოცაც გვქონდა. რამდენიმე მოგზაური, რომელთაც ეტყობოდათ, გათვალისწინებული არ ჰქონდათ ამ სადგურზე შეჩერება, დაღონებულნი ჩაის შეექცეოდნენ, რადგანაც ამ სადგურზე მეტი არაფერი იშოვებოდა. კავკასიაში სტუმარ-მასპინძლობა ისეთი უბრალო საქმეა, რომ ყველანი არხეინად შემოუსხდნენ საერთო სუფრას და გემრიელად შეექცნენ ჩვენს ვახსამსა და ღვინოს. ხოხბები, კურდღელი და ექვსი თუ რვა ბოთლი კახური ღვინო თვალის დახამხამებაში შეიჭამა და დაილია, ისე, რომ ნამცეციცა და წვეთიც კი არ დარჩენილა. ამის შემდეგ კალინომ, რომლის თავიც სსმელის შემდეგ სწორედ იმ წერტილზე იყო, რომელზეც აუცილებლად უნდა ყოფილიყო, წინანადება მიიღო მათრახით აღჭურვილიყო და უკან გამომყოლოდა. ზედამხედველი ეზოში იდგა სადგურის ფარდულის სვეტზე მიყრდნობილი. მივუახლოვდით. გვერდზე გადმოგვხედა.

-აბა, კალინო, ცხენები მოსთხოვეთ, - ვუთხარი მე.

კალინომ გადასცა ჩემი მოთხოვნა. სადგურის უფროსმა მოუთმენლად ხელი გაიქნია და გვიპასუხა:

-ხომ გითხარით, არა მყავს-მეთქი?

-კალინო, უთხარით, რომ გავიგონეთ, მაგრამ დარწმუნებული ვართ, ტყუის.

კალინომ ეს წინანადებაც გადასცა, მ,აგრამ სადგურის უფროსი ადგილიდანაც არ დაიძრა.

-როგორ გავიგოთ, მართალს ამბობს, თუ არა?

-მაგაზე ადვილი არაფერია, უნდა საჯინიბო ვნახოთ.

-მეც წამოგყვებით, -თქვა მუანემ.

მე დავრჩი ზედამხედველთან, რომელიც ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. ხუთი წუთის შემდეგ გულმოსული კალინო უკან მობრუნდა მათრახმოღერებული.

-თავლაში თოთხმეტი ცხენია, - თქვა მან.

-ჰკითხეთ, ძვირფასო კალინო, როგორ არის, რომ თავლა ცხენებით სავსეა, ეგ კი გვეუბნება, არა გვყავსო.

-ეგ ცხენები სხვა სადგურებიდანაა, - თქა ზედამხედველმა.

-კალინო, წადით, შიამოწმეთ, თ ოფლიანები არიან, მართალი ყოფილა, თუ არა და ტყუის.

კალინო სირბილით დბრუნდა.

-ტყუის, - თქვა მან, - ცხენები დასვენებული არიან.

-რამდენი ცხენი გჭირდებათ? - როგორც იყო მოლბა ზედამხედველი.

ექვსი.

-ახლავე მოგცემთ, ოღონდ სხვას არ უთხრათ.

საუბედუროთ უკვე გვიან იყო: სხვებმა ყურადღება მიქციეს ჩვენს დავას და შეგროვდნენ. მაშინ აშკარა გახდა, რომ ექვსი ცხენი რომ წაგვეყვანა, მაინც კიდევ რვა რჩებოდა. ის ცხენები მოგზაურებმა უფროსბით გაინაწილეს, მე კი, თუმცა ყველაზე უმცროსი ვიტავი, მაინც არავინ დამიჭირა ცხენები, რადგანაც ისინი მე აღმოვაჩინე.

ხუთ წუთში ტარანტასი და ოთხთვლ შეაბეს, უკანასკნელად თითო ჭიქა კიდევ გადავკარით და ერთმანეთს ბედნიერი გზა ვუსურვეთ. ქართველი თავადი და მისი ვაჟი დამპირდნენ, თბილისში გინახულბთო, ბოლოს ჩავსხედით ტარანტასში და რაც შეიძლებოდა გავაჭენეთ. მთელ ღამეს ვიარეთ, მხოლოდორი საათით შევჩერდით სადგურ სართიჭალაში. ამ სადგურიდან უთენია გავედით, რადგანაც კიდევ იცდათხუთმეტი ვერსი გვქონდა გასავლელი საქართველოს დედაქალაქამდე. მაგრამ გზა ისეთი საძაგელი აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, როცა ჩვენმა მეეტლემ ერთი მთის წვერიდან დაგვანახა მოლურჯო ორთქლი, რომელშიც ძლივს გავარჩიეთ რამდენიმე პატარა თეთრი წერტილი, და გვითხრა:

-აი, თბილისიც.

ისე გამიკვირდა, თითქოს ვინმეს ეთქვას, „აი, სატურნი, ან აი, მერკურიო“. ჩვენ უკვე გადაწყვეტილი გვქონდა, რომ თბილისი ისეთი პლანეტაა, რომელსაც ვერასდროს ვეღარ მივახწევთ, მითუმეტეს, არაფერი გვაუწყებდ, თუ რომელიმე ქალაქსა და განსაკუთრებით

დედაქალქს ვუახლოვდებოდით. არცერთი სახლი, არცერთი ხე, არავითარი დამუშავებული მიწა. გარშემო უდაბნოსავით შიშველი, გადამწვარი ადგილი. მაგრმ მიახლვებითანავე შევამჩნიეთ დაკბილული მთა, რომელიც ძლიან ჰგავდა ციხესიმაგრის ნანგრევებს. მეორე ნისანი, რომელმაც გვაუწყა, რომ ცივილიზირებულ ქვეყანაში ვიმყოფებოდით, იყო თვალწინ მარჯვნივ აღმართული სამი სახჩობელა. შუა სახრჩობელა ცარიელი იყო, ორზე კი ტომრბი ეკიდა. დიდხანს ვიკამთეთ, რა უნდა ყოფილიყო მ ტომრებში. მუანე ირწმუნებოდა შიგ ადამიანები არიანო. მე ვიმტკიცებდი, ცარიელია ტომრები-მეთქი. ჩვენი დავა მეეტლემ გადაწყვიტა: სახრჩობელაზე ტომარ გადაცმული ადმიანები ეკიდა. ვინ ყვნენ ისინი? ამ საკითხში მეეტლე ჩვენსავით უცოდინარი აღმოჩნდა: ყოველ შემთხვევაში აშკარა იყო, რომ ესენი არ იყვნენ მონტიონის პრემიის ლაურეატები. ჩვენ გავაგრძეთ გზა იმ იმედით, რომ ეს საიდუმლოება თბილისში გაიხსნებოდა. ამასობაში ქალაქი თანდათან გამოჩნდა. პირველად ისევე, როგორც პეტერბურგში შესვლისას, თვალში მოგვხვდა, ორი უხეირო შნობა, რომლებიც ალბათ ყაზარმებს წარმოადგენდნენ, და სევდიანად თავი გავაქნიეთ. ნუთუ ეს თბილისი, ეს ქართული სამოთხე, რომელსაც ამდენხანს ველოდით, მხოლოდ ოცნებაში დარჩა? - ამოვიოხრეთ უნებურად. მაგრამ აი, უეცრად სიხარულისაგან შევყვირეთ. გზის გადაღმა, უფსკრულ;ის სიღრმეში ბობოქრობდა მტკვარი. მთის ფერდებზე კი იარუსებად გაშლილიყო და მდინარის ნაპირებამდე ეშვბოდა ქალაქი, თავისი სახლებით მსგავსი დაწიოკებული ჩიტების გუნდისა, რომლებიც თითქოს ისე დამსხდარიყვნენ აქა-იქ, როგორც მოხვედროდათ. როგორ უნდა ჩავსულიყავით ამ ქვაბურში, როცა გზა არსად ჩანდა. მაგრამ გამოჩნდა გზაც, თუ საერთოდ შეიძლებოდა მისთვის გზის დარქმევა. ყოველ ნაბიჯზე ახტაცებული შეძახილები ისმოდა:

-აქეთ მოიხედეთ!... ამ კოშკს შეხედეთ!... აგერ ხიდი!... ციხე! იქით, იქით იყურეთ!...

უფრო იქით, უფრო შორს საუცხოო სანახაობა იშლებოდა. ჩვენი ეტლები მეხივით მიგრიალებდნენ მეეტლეთა ყვირილში: „ხაბარდა! ხაბარდა!“ უეჭველად ქალაქში რაღაც ზეიმი გაემართად, რადგანაც ქუჩები ხალხით იყო სავსე. მართალც, ორი კაცი ჩამოეხრჩოთ.

ჩვენ გადავიარეთ ხის ხიდი, რომელიც ვერ გავიგე, როგორ ეკიდა სამოცი ფუტით მდინარეზე. ქვემოთ, მტკვრის ფართო ქვიშიან ნაპირზე ასამდე აქლემი იწვა. ქალაქში გარეუბნდან შევდიოდით. როგორც იქნა მივედით თბილისში. ახლა, დანახულის მიხედვით უკვე შეგვეძლო გვეთქვა, რომ თბილის ამართლებდა ჩვენ მიერ შექმნილ წარმოდგენას.

-სად წავიყვანო ეს ბატონები? - იკითხა მეეტლემ.

-ბარონფინოსთან, საფრანგეთის ელჩთნ, - ვუპასუხე მე.

ტარანტასი დაიძრა, გაარღვია ბრბო და ისევ სწრაფად გაქანდა აღმრთზე, როგორც წერან დაღმართზე.

თავი XXXII
თბილისი 367

ბარონი ფინო ცხოვრობდა ქალაქის მაღლობ ნაწილში, მეფის ქუჩაზე, მამადავითის მთის ძირში. იგი ჩვეულებრივად სადილობდა თავად ჭავჭავაძის მეუღლესთან, მაგრამ რაკი ყოველდღე მოგველოდა, წასვლისას მსახურისთვის დაებარებინა, ჩვენთვის გამზადებულ ბინაში წქავეყვანეთ. მიგვიყვანეს საუცხოო ბინაში თეატრის მოედანზე, სადაც მოგვცეს ორი ოთახი და ერთი დარბაზი მდიდარი ქართველის ბ-ნ ივანე ზუბალაშვილის სახლში. მუანემ და კალინომ ერთი ოთახი დაიკავეს, მე კი მეორე. დარბაზი დავტოვეთ, როგორც საერთო შესაკრები ოთახი. ჩემი ოთახის ფანჯრიდან მშვენივრად მოჩანდა სახჩობელა და მათზე მოქანავე ტომრები. ესენი

მართლაც ჩამოხრჩობილები იყვნენ. სასჯელის სისრულეში მოყვანა მომხდარიყო სწორედ ჩვენი ჩამოსვლის დღეს. მე ვიკითხე, რა დანაშაული მიუძღვით ამ კაცებს-მეთქი. აღმოჩნდა, რომ მათ დაეხოცათ მესაათე ჟორჟაევის ნოქრები მაღაზიის გაქურდვის მიზნით. უბრალო შემთხვევითობის წყალობით ერთი და იგივე ფანჯრიდან მარცხენა მხარეს სახრჩობელას ვუყურებდი. მარჯვენა მხარეს ლო ჟორჟაევის მაღაზიას.

სანამ ახალ ბინაში ვეწყობოდით, ცვენი ჩამოსვლა ბარონ ფინოს შეატყობინეს თავად ჭავჭავაძის მეუღლესთან და ისიც სულ მალე გამოგვეცხადა იმ მხიარული განწყობილებითა უდარდელობით, როგორითაც მას საფრანგეთში იცნობენ. როცა საქმე საკონსულოს და მის თანამემამულეებს ეხება, ბარონი ფინო სერიოზულია, ხოლო საყოველდღეო ურთიერთობაში მუდამ ფართო, ღია გულს და ფაქიზ აზროვნებას ინარჩუნებს. ფინო 1848 წლის შემდეგ აღარ მენახა, გაჭაღარავებული მეჩვენა, მას კი გასუქებული ვეჩვენე. თბილისში თაყვანს სცემენ. ასორმოცდაცამეტ ფრანგ ქალსა თუ კაცში, აქაურ კოლონიას რომ შეადგენს, ერთიც არ გამოერევა, მას ქებით არ იხსენებდეს. და ეს ქება თავაზიანობით კი არ არის გამოწვეული, არამედ გულიდან მოდის. რაც შეეხება ქართველებს, მათ საშინლად ეშინიათ, არ წაართვან ბარონი ფინო. მე თბილისში იმდენ ხანს არ დამიყვია, რომ გამეგო, რა აზრისა არიან მასზე ქართველი მანდილოსნები.

ფინომ გვითხრა, რამდენხანსაც არ უნდა დარჩეთ თბილისში, ჩემთან სვით და ჭამეთო. მე ეს წინადადება შორს დავიჭირე.

-სადამდის აპირებთ დარჩენას?-მკითხა მან.

-ასე, ერთ თვეს.

-ერთი თვე აქ სამი ათასი მანეთი დაგიჯდებათ, გაქვთ მაგდენი?

-არა, ამდენი არა მაქვს.

-მაშინ გირჩევთ, ისევე მიიღოთ ჩემი წინადადება, როგორზუბალაშვილის მასპინძლობა მიიღეთ. მე კარგად აწყობილი მეურნეობა მაქვს და თქვენი სტუმრობა ვერაფერს დამაკლებს, პირიქით, სიამოვნებას მომგვრის. ხოლო თუ საკუთარი მეურნეობა გაიჩინეთ, მე მარტო კარაქიანი პურიც როვმ ჭამოთ, - კარაქი კი აქ საკამარისად უვარგისია, - თბილისიდან მთლიანად გაკოტრებული წახვალთ.

ამ ფრაზამ ვერ მოახდინა ჩემზე ისეთი ჩათბეჭდილება, რომ ერთი თვე კონსულს დავწოლოდი ზურგზე, მაგრამ ამ დროს შემოვიდა დალაქი, რომლის დასაძახებლად კაცი მყავდა გაგზავნილი.

-რამდენს აძლევთ პარიზში დალაქს თმისა და წვერის გაკრეჭვაში? - მკითხა ფინომ.

-ერთ, ან უკიდურეს შემთხვევაში ერთ-ნახევარ ფრანკს.

-ახლა ნახეთ, რამდენი დაგიჯდებათ თბილისში.

დალაქმა თმა და წვერუი შემისწორა, შემდეგ მუანე გაკრიჭა, ხოლო რაც შეეხება კალინოს, ის როგორც სტუდენტი არ ატარებდა წვერს, თმა კი მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი, ამიტომ დალაქი არც მიჰკარებია.

-რამდენი უნდა მოგართვათ? - ვკითხე ჩემს თანამემამულეს, როცა საქმეს მორჩა.

-რამდენი? სამი მანეთი.

გამიკვირდა და გავამეორებინე.

-სამი მანეთი, - გამიმეორორა მან მოურიდებლად.

-როგორ, სამი მანეთი ვერცხლი?

- დიახ, სამი მანეთი ვერცხლი ბატონმა ალბათ, იცის, რომ იმპერატორ ნიკოლოზის უკაზით გაუქმებულია ასიგნაციებით ანგარიში.

სამი მანეთი ამოვიღე და მივეცი. ეს იყო თორმეტი ფრანკი ჩვენი ფულით. დალაქმა თავი დამიკრა და გავიდა, თან მთხოვა თამ მომეცა, რათა მის ცოლს ჩემს დიდ თაყვანისმცემელს ნემსების ბალიში გაეკეთებინა.

-მისი ცოლი რომ ჩემი დიდი თაყვანისმცემელი არ ყოფილიყო, მაშინ ნეტავი რა დამიჯდებოდა თმის გაკრეჭვა? - ვკითხე ფინოს, როცა დლაქი გავიდა.

-ძნელი გასარკვევია, - მიპასუხა ფინომ, - აბა, გამოიცანით, რამდენი თხოვა დალაქმა, რომ ტავისი შეგირდი კვირაში საჯერ გამოეგზავნა, და ისიც ხედველ;ობაში მიიღეთ, რომ მე წვერს თითქმის შეუკრეჭავად ვატარებ.

-პარიზში ერთი დალაქი მყავს, რომელიც მონმარტრიდან კვირაში ორჯერ მოდის ჩემტან ექვს ფრანკათ.

-წელიწადში ათასხუთასი ფარნკი, ჩემო კარგო!

-ფინო, გადაწყვეტილია, თქვენთან უნდა ვიაროთ საჭმელად.

-მაშ, რაკი ჩემს სურვილს უკვე მივაღწიე, მე კი მხოლოდ ამისთვის ვიყავი მოსული, თავად ჭავჭავაძის მეუღლესტან ვბრუნდები სადილის დსამთავრებლად. ხოლო თქვენ ხვალ მიგიყვანთ მასთან.

ამაზე მეტი პატივი და სიამოვნება არ შეეძლო ფინოს ჩემთვის მოენიჭებინა. ჯერ ერთი თავად ჭავჭავაძე შთამამომავალი იყო კონსტანტინეპოლისიმპერატორის ანდრონიკესი, ხოლო მისი მეუღლე, ქართველი თავადის ასული, ის პიროვნება იყო, რომელიც შამილმა მოიტაცა და შემდეგ ჩირ-იურთში თავის შვილზე ჯემალ-ედინზე გაუცვაკლა რუსებს.

-ჰო, მართლა, - შემობრუნდა უკან ფინო, - ამ საღამოს შემოგივლით და თეატრში წაგიყვანთ. აქ იმყოფება იტალიური დასი და ამ საღამოს „ლომბარდიელებს“ აჩვენებენ. გარდა ამისა, ჩვენ დარბაზსაც ნახავთ.

-თქვენ დარბაზს? - ვკითხე მე სიცილით, - ნუთუ თქვენ ისეთი პროვინციელი გახდით, რომ ამბობთ, „ჩვენი დარბაზი თბილისში“, როგორც ამბობენ, „ჩვენი დარბაზი ტურში, ბლუაშიო“?

-რამდენი დარბაზი გინახავთ თქვენ სიცოცხლეში, ჩემო კარგო?

-ძალიან ბევრი: მე მინახავს საფრანგეთის ყველა სათეატრო დარბაზი, იტალიის, ესპანეთის, გერმანიის და აგრეთვე რუსეთის დარბაზები. ახლა აქაური დარბაზის ნახვაღა დამრჩენია.

-ამ საღამოს ნახავთ და გარწმუნებთ, რომ იგი შთაბეჭდილებას დასტოვებს თქვენზე, ოღონდ ესაა, იმ შეჩვენებულმა დალაქმა ძალიან მოკლედ შეგკრიჭათ თმა. მაგრამ არაუშავს რა, ეგონებათ, ახალი მოდაა ჩამოიტანეთ პარიზიდან. აბა, ნახვამდის, ამ საღამოს რვა საათზე მზად იყავით.

ფინო წავიდა, მე კი სარკეში ჩავიხედე, რომ დამენახა რა დღეში შეიძლება ჩააგდოინ ჩემი თავი სამ მანეთად. შეშინებულმა შევყვირე. ჩემი მოკლედ შეკრეჭილი თმა წააგავდა ჯაგრისს, მაგრამ არა ტანისამოსისას, არამედ იატაკისას. მაშინვე მუანესა და კალინოს მოვუხმე, რათა ისინიც დამტკბარიყვნენ ჩემი გარეგნობით. მათ სიცილი აუვარდათ.

-ოო, ერთი კარგი გმოსავალი მოვიფიქრე, - თქვა მუანემ, - თუ ფული შემოგვაკლდა, კონსტანტინე პოლში გაგიყვანთ და ხალხს გაჩვენებთ, ვითომ კასპიის ზღვაში დაჭერილი სელაპი ხართ.

მუანემ, როგორც მხატვარმა პირველივე შეხედვაზე გამოიცნო ჩემი სელაპის მსგავსება. მეც ვერ ვუარყოფ, როცა თმა ძალიან მოკლედ მაქვს გაკრეჭილი, სახით ამ საინტერესო ცხოველს ვგავარ. ამბობენ, თითქოს ყოველ ადამიანს რომელიმე ცხოველტან აქვს მსგავსება და როცა დავფიქრდი, გადავწყვიტე, მირჩევნია სელაპს ვგავდე, ვიდრე, რომელიმე ამფიბიას-მეთქი. სელაპი მეტად წყნარი, უვნებელი და ნაზი ცხოველია, ესეც არ იყოს, მისგან ხომ ზეთს აკეთებენ. არ ვიცი რამდენად წყნარი, უვნებელი და ნაზი ვარ მე თვითონ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ სიცოცხლეშივე ბევრი ზეთი გმომწურეს. „თქვენ ნამდვილი გახვრეტილი კალათი ხართ, ძვირფასო ვიკონტ“, -უთხრა კარლოს X შატობრიანს, „მართალია, მეფევ, - უპასუხა „ქრისტიანიზმის გენიის“ სახემოხვეჭილმა ავტორმ, - ოღონდ იმ ნახვრეტებს მე თვითონ როდი ვაკეთებ კალათაში“.

ბარონი ფინო დაპირებულ დროს მოვიდა.

-მზადახართ? - მკითხა მან.

-სავსებით.

-მაშ აიღეთ თქვენი შლიაპა და წავიდეთ.

-ჩემი შლიაპა, ჩემო მეგობარო, ვოლგას ვაჩიქე სარატოვსა და სარიცინს შორის, რადგანაც მან ისეთი ფანტასტიკური ფორმა მიიღო, რომ მაგონებდა ჟიროს ჩასაკეც ცილინდრს მაგრამ ეგ არაფერია, ახალს ვიყიდი.

-თუ იცით, რა დაგიჯდებათ ახალი?

-თექვსმეტ-თვრამეტი ფარნკი, მეტი ხომ არა?

-მაღლა ასწიეთ.

-პირველი ხარისხის შლიაპები თუ არის?

-არა, უბრალო აბრეშუმის შლიაპებია. ხომ იცით, არაფერი ისე სწრაფად არ ვრცელდება ქვეყანაზე როგორც უხეირო გამოგონება.

-მაშინ ოცი ან ოცდახუთი ფრანკი ეღირება.

-უფრო მაღლა ასწიეთ.

-ოცდაათი, ოცდათხუთმეტი, ორმოცი?

-სამოცდაათი ტურის ლივრი. ჩემო მეგობარო, ესეიგი თვრამეტი მანეთი.

-ბარონ, უშნო ხუმრობას თავი დაანებეთ.

-ჩემო კარგო, მას შემდეგ, რაც კონსული გავხდი, ოხუნჯობას გადავეჩვიე. აბა, რაღადროს ოხუნჯობაა, როცა თბილისში ჯამაგირი ოთხი ათასი მანეთი მაქვს, შლიაპა კი თვრამეტი მანეთი ღირს.

-აჰა, აი, თურმე რატომ ატარებ უბრალო ქუდს.

-სწორედ ამიტომ დავსვი დიპლომატიური ფორმის შემოღების საკითხი. ყველგა, გარდა თავად ბარიატინსკისა, ამ ქუდით დავდივარ, ამგვარად იმედი მაქვს, რომ ჩემი შლიაპა სამ წელიწადს გამიძლებს.

-სწორედ ამის გამო მე შემიძლია თქვენი შლიაპით ვისარგებლო.

-რაც გინდათ მთხოვეთ, სახლი, სუფრა, გული, ოღონდ შლიაპას ნუ მთხოვთ. ეს შლიაპა იგივეა ჩემთვის, რაც მარშალ სულტისთვის ჯამაგირი იყო, მას მხოლოდ სიცოცხლესთან ერთად გავეყრები.

-უბრალო ქუდით რომ წამოვიდე?

-მაგის უფლება არა გაქვთ, რადგანაც კონსულის თანაშემწე არა ხართ.

-დიახ, არა მაქვს ეგ პატივი.

-არც მდივანი ხართ პირველი, მეორე თუ მესამე კლასისა.

-არა, ჩემო კარგო მეგობარო, მე ყოველთვის შორს ვიყავიო ყოველგვარი კლასებისაგან.

-მაშინ შლიაპა...

-ასეთ შემთხვევაში, - ვიკითხე მე ფრთხილად, - ხომ არ შეიძლება, ფაფახი დავიხურო? ერთი ძლიან კარგი ფაფახი მაქვს.

-ფორმის ტანისამოსიც ხომ არა გაქვთ?

-არავიტარი ფორმის ტანისამოსი არა მაქვს, აკადემიკოსისასც კი.

-დასანანია, იმიტომ, რომ აკადემიკოსის ფორმაზე ფაფახი დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა.

-გამოდის, თიატრში წასვლაზე უარი უნდა ვთქვა.

-მე ვერ ვიტყვი თქვენზე უარს. რასამბობ, რამდენი ხანია თბილისელ მანდილოსნებს თქვენ თავს ვპირდები, უკვე ყველამ იცის, რ უბედურება შეგემთხვათ თბილისში. ყველამ იცის, როგორი ოხუნჯი ხართ. მართალია, ოდნავ გადვაჭარბე ჩემებურად, მაგრამ უკვე ყველა გიცნობთ და გელით. იცით, რატომ გაგიშიშვლეს თავის ქალა?

-არა.

-ამაში მხოლოდ თვითონვე ხართ დამნაშავე. აგერ უკვე ერთი თვეა, რაც თბილისში მოუთმენლად გელიან. ჩვენი თვადების მეუღლენი, ისევე, როგორც დალაქის ცოლი, თქვენი ნაწერების დიდი თაყვანისმცემლები არიან. და აი, მათ გადაწყვიტეს, რომ ესოდენ ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ მაინც ვერ გაექცევით თმნის გაკრეჭას... თქვენ აღმოჩნდით პიპელეს მდგომარეობაში, და სწორედ მათ ხელში მოხვდით, ვისაც ყველაზე მრავალრიცხოვანი მოთხოვნა ჰქონდათ თქვენს თმაზე. ამიტომ იყო, რომ დალაქმა ერთიანად გაგპარსათ. მაგრამ, ნუ გეშინიათ, ღმერთი შეგიმსუბუქებთ მაგ ტვირთს. წამოიღეთ თვრამეტი მანეთი და წავიდეთ, შლიაპა ვიყიდოთ.

-არა, არა, არავიტარ შემთხვევაში. მირჩევნია ფორმის ტანისამოსი ჩავიცვა და ფაფახი დავიხურო. ფაფახში ვერავინ შემატყობს, რომ თმა არ მაქვს.

-ეგ უკვე სხვა საქმეა. ფორმის ტანისამოსი ორასი მანეთი დაგიჯდებათ.

-ვხედავ, რომ გამოსავალი არ არის. თქვენ ლოგიკური ხართ, როგორც არითმეტიკის სამი კანონი.

-მოიცა, კი8დევ არის ერთი საშუალება, აგერ ამას შეხედეთ, - მითხრა მან და ჩემს მასპინძელ ზუბალაშვილზე მიმითითა, რომელიც ის იყო ოთახში შემოვიდა, - ჩვენი მასპინძელი დიდი მოკოხტავე კაცია და ქუდების მთელი კოლექცია აქვს. თვრამეტ მანეთად რომ რამე ხარახურა არ იყოდოთ, თქვენი მასპინძელი ვერ მოგცემთ ერთ შლიაპას?

-სიამოვნებით, - თქვა ზუბლაშვილმა, - მაგრამ ბატონ დიუმას ჩემზე დიდი თავი აქვს.

-თქვენ გინდათ თქვათ ოდესღაც ჰქონდაო, ჩემო მეგობარო, ხოლო მას შემდეგ, რაც ერთი უბედურება შეემთხვა ყველა ქუდი მოერგება თავზე.

-მაგრამ მაინც... - ვყოყმანობდი მე.

-დათანხმდით, - მითხრა ფინომ, - თქვენი ნატარები ქუდი ამ ოჯახში რელიკვიად დარჩება, მამისაგან შვილზე გადავა და კედელზე ჩამოიკიდება დიუბუფის სინანულსა და მოგონებათა შორის.

-თუ ასეა, ჩემს თავაზიან მასპინძელს უარს ვერ ვეტყვი.

-მართალც ბ-მა ზუბალაშვილმა შემოიტანა შლიაპა, რომელიც თითქოს პირდაპირ ჩემს თავზე იყო გამოჭრილი.

-ახლა კი ეტლში ჩავსხდეთ და თეატრში გავწიოთ.

-რას ამბობთ, მოედნის გადასასვლელად რა საჭიროა ეტლი?

-თქვენ გავიწყდებათ, რომ მე შინიდან მოვდივარ. ეგეც არ იყოს, განა ვერ შეამჩნიეთ, როცა ამ სახლში გადმოდიოდით, ოდნავ წამოწვიმა. ეს საკმარია, რომ კოჭებამდე ტალახში ჩავიძიროთ. თუ წვიმა გაგრძელდა, ხვალ მუხლებამდე ამოვილუმპებით. ხოლო თუ კიდევ არ გადაიღო, ზეგ უკვე ქამრამდე მოგვწვდება ლაფი. თქვენ არ იცით რას ნიშნავს თბილისური ტალახი, ჩემო მეგობარო, მას კარგად გაიცნობთ საქართველოს დედაქალაქში ყოფნისას. ზოგიერთ შემთხვევაში ტალახი თქვენი ეტლის ღერძებს სწვდება და მაშინ სკამზე უნდა დდგეთ, როგორც ოტომედონი. როცა სახლთან მიხვალთ, შესასვლელთან ფიცარს გამოგიდგავენ და ამ კიდული

ხიდით სახლში შებრძანდებით. 1856 წლის 28 აგვისტოს საშინელი ქარიშხალი ამოვარდა- ამას იმიტომ გიამბობთ, რომ ეს წელს უკანასკნელი ქარიშხალი იყო. და აი, მთებიდან ტალახი ისეთ ნიაღვრებად წამოვიდა, - აქ ჩვეულებრივად ქუჩის ტალხს გარდა, არსებობს მოგზაური ტალახიც, - რომ ოცდაათი სახლი მთლიანად დაანგრია, სამოცდაორი კაცი დაიხჩო და რამდენიღაც ეტლი მდინარეში გაიტანა. ახლა, ვნახოთ ჩვენი ეტლი თუ დგას კარებთან.

ეტლი მართლაც გვიცდიდა, ჩავსხედით და ათ წუთში თეატრის ვესტიბიულში ვიყავით.

თავი XXXIII
თეატრის დარბაზი, ქარვასლა, ბაზრები

უნდა გამოვტყდე, რომ ვესტიბიულში შესვლისთანავ განცვიფრებაში მომიყვანა ორნამენტის სადა და დახვეწილმა სტილმა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს პომპეუსის თეატრის ვესტიბიულში შევედი. ზემოთა ფოიეში ორნამენტი არაბული ჩუქურთმით შეიცვალა. შევედით დარბაზში, რომელიც ფერიათა სასახლე გეგონებათ, არა მისი მდიდრული მორთულობით არამედ იმით, რომ უფაქიზესი გემოვნებითაა შესრულებული. შესაძლებელია, იქ სულ ასი მანეთის ვარაყიც კი არ არის დახარჯული, მაგრამ უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ თბილისის სათეატრო დარბაზისთანა თვალწარმტაცი დარბაზი ჩემს სიცოცხლეში არსად მენახა. ისიც უნდა დავძინო, რომ პირმშვენიერი მანდილოსნები კიდევ უფრო ამშვენებენ ამ ლამაზ დარბაზს, რომელსაც მადლობა ღმერთს, ვერც არქიტექტურისა, ვერც დეკორატული თვალსაზრისით ვეღარაფერს ვუსურვებ. ფარდა საუცხოოა:მოხატულობის ცენტრში აღიმართება ქანდაკების კვარცხლბეკი ზედ დახატული ჯგუფით, რომელიც მაყურებლისაგან მარჯვნივ წარმოადგენს რუსეთს, მარცხნივ კი საქართველოს. რუსეთის ჯგუფში მოჩანს პეტერბურგი და ნევა, მოსკოვი თავისი კრემლით , ხიდები, რკინიგზები, გემები, ცივილიზაცია. საქართველოს მხარეზე მოჩანს თბილისი თავისი ციხის ნანგრევებით, ბაზრებით, წამოშვერილი კლდეებით , თავისი ბობოქარი დაუოკებელი მტკვრით, სპეტაკი ცითა და მთელი თავისი პოეზიით. კვარცხლბეკის ძირში რუსეთის მხარეზე მოჩანს კონსტანტინეს ჯვარი, წმიდა ვლადიმირის დევნა, ციმბირის ბეწვები, ვოლგის თევზები, უკრაინის ხორბალი, ყირიმის ხილი, ესეიგი რელიგია, მიწათმოქმედება, კომერცია, სიუხვე. საქართველოს მხარეზე მოჩანს საუცხოო ქსოვილები, შესანიშნავი იარაღი, ვერცხლის სევადიანი თოფები, სპილოს ძვლითა და ოქროთი დამუშავებული ხანჯლები. სადაფით მოჭედილი ჩონგურები, დოლები სპილენძის ეჟვნებით, შავი ხის ზურნა, ესე იგი სამკაული, ომი, ღვინო, ცეკვა, მუსიკა.

„ლომბარდიელების“ პირველ მოქმედებაზე ეს ლამაზი ფარდა გაიხსნა. თვითონ ოპერა მეტად მოსაწყენი და ერთფეროვანია, მაგრამ მშვენივრად მღეროდნენ მადმუაზელ შტოლცი, ახალგაზრდა ოცი წლის პრიმადონა , რომელიც ახლა თბილისის სცენაზე გამოდის, რათა აქედან გადავიდეს ნეაპოლის, ფლორენციის, მილანოს, ვენეციის, პარიზისა და ლონდონის სცენაზე, და აგრეთვე მსახიობები მასინი და ბრიანი. ასეთი დასის ნახვა თბილისში მართლაც რომ განსაცვიფრებელი მოვლენაა. მე მხოლოდ ის მენანებოდა, რომ „ლომბარდიელების“მაგივრად არ იდგმებოდა „ვოლჰემ ტელი“ და რომ თავადმა გაგარინმა მის აქ ყოფნაში დარბაზთან ერთად ეს დეკორაციებიც არ დახატა. როცა თავადმა გაგარინმა მორთო ჯოჯოხეთის ტალანი, როგორც ამას თეატრს უწოდებენ, მან ხელი მიჰყო სამოთხის კარის შესრულებას, რასაც ეკლესიას ეძახიან. თბილისის კათედრალური ტაძარი მთლიანად მოხატულია ამ დიდი ხელოვანის მიერ და მსგავსად თბილისის თეატრისა, რომელიც თუ ყველაზე უკეთესი არა, ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთი ელეგანტური ეკლესიაა მთელს რუსეთში. სიტყვა ელეგანტური შესაძლებელია უცნაურად მოეჩვენოს მკითხველს შეჩვეულს კათოლიკური ეკლესიების პირქუშ და დიდებულ შესახედაობას. ცხადია ისიც, რომ ერთიანად ოქროთი, ვერცხლით, მალაქიტითა და ლაჟვარდოვანი ქვებით შემკული ბერძნული ეკლესიები ვერ დაიჩემებენ კათოლიკური მღვდელთმსახურების დიადსა და სევდიან მხარეს.

თბილისში ლოჟებში სტუმრობა არ იციან, როგორც იტალიაში. ეს იმაზეა დამოკიდებული, რომ ავანსცენის და მთავრობის სამი ლოჟის გამოკლებით, რომლებიც გალერეის შუა ნაწილში მდებარეობენ და პირით თეატრისკენ იყურებიან . ყველა ლოჟა ღიაა. ეს არის ერთადერთი ნაკლი, მაგრამ არა არქიტექტურისა, ეს კეთილშობილი კონსტრუქტორის თავაზიანობაა. ქალის სახე ოქროს ჩარჩოში. მუდამ უფრო ლამაზად გამოიყურება წითელსა თუ ძოწისფერ ფონზე. აქ კი მხატვარი უეჭველია ფიქრობდა ქართველ მანდილოსნებს ეს ხელოვნურობა არ სჭირდებათო.

სპექტაკლის გათავებისას ფინომ შინ მომიყვანა . ის მართალი ყოფილიყო: თქორი გრძელდებოდა და ტალახი წვივებამდე მომდგარიყო. წასვლისას გამომიცხადა, რომ მეორე დღეს წამიყვანდა, ბაზრებს დამათვალიერებინებდა და რამდენიმე ოჯახს წარმადგენდა.

მეორე დღეს ფინო ზუსტი იმ ზარბაზანივით, რომელიც თბილისში შუადღეს აუწყებს, თავისი ეტლით ზუბალაშვილის სახლის კართან გაჩნდა. წინა საღამოს ცვენი გვარები თავად ბარიატინსკის მისაღებში ჩავწერეთ და მისი უდიდებულესობა მეფის ნაცვალმა გვაცნობა, რომ მეორე დღის სამ საათზე მიგვიღებდა. შიკრიკმა დასძინა, უსათუოდ მობრძანდით, რადგანაც თავად ბარიატინსკის საჩქარო წერილი აქვს ბატონ დიუმასთვის გადასაცემათო. ამიტომ ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ ქარვასლა დაგვეტვალიერებინა, შემოგვევლო ბაზრები, ორი ან სამი ვიზიტი გაგვეკეთებინა და თავადთან მისვლამდე შინ დავბრუნებულიყავით ტანისამოსის გამოსაცვლელად.

თბილისის მთავარი ქარვასლა სომხის მიერაა აშენებული. ამ კაცს მარტო მიწაში, რომელიც სიგანით რვა, ხოლო სიგრძით ორმოცი საჟენია, ოთხმოცი ათასი ფრანკი მიუცია. აქედან ჩანს, რომ თბილისში, სადაც მიწა არც თუ ისე ცოტაა, სხვა საქონელზე იაფი არ ღირს. ეს ქარვასლა საინტერესო სანახავია. მის ყველა შესასვლელში შედიან და გამოდიან აქლემებით, ცხენებითა და ჯორებით ყველა აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენელნი: თურქები, სომხები, სპარსელები, არაბები, ინდოელები, ჩინელები, ყალმუხები, თურქმენები, თათრები, ჩერქეზები, ქართველები, მეგრელები, ციმბირელები და კიდევ რა ვიცი ვინ. ყველა თავისებურ ტიპს წარმოადგენს, ყველას თავისი ტანისამოსი აქვს, თავისი იარაღი, თავისი სახე და განსაკუთრებით თავსამკაული. ამ მთავარ შენობას დამხმარე შენობებით ემსახურება კიდევ ორი ქარვასლა, მაგრამ მათ ბევრა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ. აქ დგომისთვის გადასახადი არ არსებობს. აქ დაინახავთ ირკუტსკიდან ჩამოსულ ციმბირელსა და ბაღდადიდან ჩამოსულ სპარსელს.აქ აღმოსავლეთის ხალხთა ყველა სავაჭრო წარმომადგენელი თითქოს ერთ თემშია გაერთიანებული. ქარვასლის პატრონები მათ უკავებენ ერთ პროცენტს იმ შემთხვევაში, თუ მაღაზიაში დალაგებული საქონელი გაიყიდება. ამ ბაზრებს უერთდება სავაჭრო ქუჩების ქსელი, რომელიც სრულიად გამოყოფილია ქალაქის არისტოკრატიული ნაწილისაგან. ყოველ ქუჩას ტავისი წარმოების სახე აქვს, არ ვიცი, რა სახელები აქვთ ამ ქუჩებს თბილისში და თუ საერთოდ აქვთ სახელები, მე კი მათ დავარქმევდი ოქრომჭედელთა ქუჩას, ჭონების ქუჩას, მეიარაღეთა ქუჩას, მეხილეთა ქუჩას, თოქმაჩების, თერძების ქუჩას, ხარაზთა, მეფლოსტეთა და მექოშეთა ქუჩას.თბილისის მრეწველობაში, სადაც ვგულისხმობ თათართა, სპარსელთა, სომეხთა და ქართველთა ვაჭრობას, ისეთი წესია, რომ მეჩექმე არ ამზადებს სხვა ფეხსაცმელს, ხარაზი არ ამზადებს ფლოსტებს, მეფლოსტე კი ფლოსტების მეტს არაფერს აკეთებს.უფრო მეტიც: მეჩექმე, რომელიც ქართულ ჩექმას კერავს, არ კერავს ჩერქეზულ ჩექმას. ყველა ხალხის ყოველი სამოსელის თვითეულ ნაწილს თავისი ოსტატი ჰყავს. ამგვარად, თუ თქვენ გინდათ შეუკვეთოთ ხმალი, ჯერ ყიდულობთ ხმლის პირს, შემდეგ უკვეთავთ ტარსა და ხის ქარქაშს, შემდეგ ამ ქარქაშისთვის უნდა იყიდოთ ტყავი ან ტარსიკონი, და ბოლოს ტარი და ქარქაში ჩაასმევინოთ ვერცხლის ბუდეში. ეს ყველაფერი ცალკ-ცალკე კეთდება, სულ მაღაზიებში სირბილით. აღმოსავლეთმა, როგორც უკვე მოგახსენეთ, გადაწყვიტა დიდი კომერციული პრობლემა: აკრძალა შუამავლობა. უეჭველია, ამგვარი ვაჭრობა უფრო იაფია, მაგრამ ეს ეკონომია ისეთ ქვეყნებში არსებობს, სადაც დროს არავითარი ღირებულება არ აქვს. ამერიკელი

მოუთმენლობისაგან ერთ კვირასაც ვერ გასძლებდა თბილისში. ყველა დუქნის ფასადი ღიაა, ყველა ხელოსანი ხალხის თვალწინ მუშაობს. თავის ხელობაში რაიმე საიდუმლოების მქონე ხელოსნები აღმოსავლეთში ძალიან უბედურად იგრძნობდნენ თავს. მეტად საინტერესოა ამ ქუჩებში სეირნობა, უცხოელს ეს არასოდეს მოსწყინდება. მე თითქმის ყოველდღე დავდიოდი ქუჩებში. სწორედ ამიტომ იყო, რომ ეს ჩვენი საინტერესო სეირნობა უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე ნავარაუდევი გვქონდა.უკვე ორი საათი სრულდებოდა, როცა ვიზიტები გაგვახსენდა. ჩექმისა და შარვლის გამოსაცვლელად შინ შევბრუნდით, -მოგზაურნო, ვინც ჩემს შემდეგ ესტუმრებით თბილისს, გთავაზობთ ჩემს დიდ ჩექმასა და ტანისამოსს, -და თავად დიმიტრი ორბელიანთან წავედით.

უკვე მოგახსენეთ, ვინ არიან წარმოშობით თავადი ორბელიანები. ესესნი არიან თავადნი არა „წმინდა იმპერიისა“, არამედ „უმაღლესი იმპერიისა“, მათი წინაპრები მოსული არიან საქართველოში ჩინეთიდან, თუ არ ვცდები მეუთე საუკუნეში. ოჯახური სურათი წარმოადგენს წარღვნას. უსაზღვრო წყლის ზედაპირზე დაცურავს ადამიანი და ნოეს აჩვენებს უზარამაზარ გრაგნილს, რათა მიღებულ იქნას კიდობანში. ეს თავად ორბელიანის ერთ-ერთი წინაპარია. გრაგნილი აღნიშნავს სიგელს მის კეთილშობილ წარმოშობაზე. თვადმა დიმიტრი ორბელიანმა იცის გველების მომაჯადოვებელი ლოცვა და ფლობს იმ ცნობილ ქვას, ანუ უკეთ თილისმას, რომელიც სარწმუნოს ხდის იგალს სასაწულმოქმედ ინდურ ბეზუარზე. ეს ქვა მას ერგო საქართველოს მეფის ერეკლესაგან, რომლის ქალიც დედამისი იყო. ეს ძვირფასი მემკვიდრეობაა, რომლითაც თავადს ბევრი გადაურჩენია სიკვდილისაგან.

თავადი ორბელიანის მეუღლე ორმოცი წლის მანდილოსანი იქნება. ის უნდა ყოფილიყო თბილისის ულამაზესი ქალი. პუდრი, რომელსაც ახლა, ალბათ, სიკოხტავსის მიზნით ისვამს, მის სახეს მე-18 საუკ, ელფერს აძლევს. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს სხვა წარჩინებული მანილოსანი, რომელსაც ესოდენ მედიდური გარეგნობა ჰქონდეს. თუ თქვენ თავად ორბელიანის მეუღლეს ქუჩაში პირისპირ შეხვდით, რომ არ იცნობდეთ კიდეც, უსათუოდ მოწიწებით თავს დაუკრავთ, ისეთი პატივისცემით იმსჭვალება მნახველი მისადმი. თავადის მეუღლე დედაა თბილისის ერთ-ერთი ულამაზესი, სიცოცხლით სავსე, გონება მახვილი და მშვენიერია ახალგაზრდა ქალის ქ-ნ დავიდოვ-გრამონისა.

ამ მშვენიერ თავად ოჯახში ერთი პატარა გოგონა დარბოდა, რომელსაც ისე ექცეოდნენ როგორც თავისიანს.

-ამ ბავშვს დააკვირდით, - მითხრა ჩუმად ფინომ, - საინტერესო ამბავს გოამბობთ.

არ ვიცი ამ საინტერესო ამბის გაგების სურვილმა დააჩქარა ჩვენი დარბაზობა, თუ სხვა რამემ, მაგრამ წამოვდექი და ფინოს მოვაგონე, რომ სამ საათზე თავად ბარიატინსკისთან უნდა ვყოფილიყავით. როცა გავედით, ვკითხე:

-ახლა მითხარით, ვინ არის ის გოგონა?

-კარგად ნახეთ?

-დიახ, კარგი ბავშვია, მაგარმ უბრალო წარმოშობისა უნდა იყოს.

-მართალია, უბრალო წარმოშობისაა, თუ ეს უბრალო წარმოშობა ზოგჯერ მაღალი თვისებით არ გამოისყიდება.

-ჩემო კარგო, პირწყალი მომადგა, ჩქარა მიამბეთ იმ ბავშვის ამბავი!

-აბა, მისმინეთ: ამბავი მოკლეა და ნაამბობი უნდა იქნას უკიდურესი სისადავით. ამ ბავშვის დედა, როცა მასზე ფეხმძიმედ იყო, და ბებია, სამოცდაათი წლის მოხუცი ქალი, ლეკებმა გაიტაცეს. მთელი ოჯახი დატრიალდ და ვაი-ვაგლახით შეგროვეს შამილისაგან გამოსაყიდად დანიშნული თანხა. დედა ტყვეობაში მოლოგინებულიყო და როცა ქალები სამშობლოში წამოვიდნენ, თან მოჰყავდათ ოთხი თვის ბავშვი. ჯერ ფეხი არ ჰქონდათ შედგმული სამშობლო მიწაზე რომ გზაში გარდაიცვალა მოხუცი, რომელმაც სიკვდილის წინ ქალს სთხოვა, ჩემს გვამს მტრის ქვეყანაში ნუ დტოვებთო. ქალი ფიქრობდა, რაკი დედა ცოცხლად იყო გამოსყიდული, მის ცხედარსაც ადვილად წაიღებდა. მაგრამ მთიელები სხვანაირად მსჯელობდნენ და მოხუცის გვამი ექვსას მანეთად შეაფასეს. არავითარმა მუდარამ და ხვეწნამ არ გასჭრა. მაშინ ქალმა სთხოვა გაეშვათ და შეჰფიცა, უსათუოდ გამოუგზავნიდა გამოსასყიდს, ან თვითონვე დაბრუნდებოდა უკან. მთიელები არც ამ პირობაზე დათანხმდნენ და გამოუცხადეს, რომ მხოლოდ იმ პირობით დაანებებდნენ დედის გვამს, თუ შვილს დაუტოვებდა მძევლად. შვილობრივმა სიყვარულმა სძლია დედობრივ სიყვარულს. დედამ ტირილითა და ვაი-ვიშით დატოვა შვილი და თბილისში დაბრუნდა. დამარხა დედა წმიდა მიწაში, როგორც ეს მოხუც ქალს უნდოდა და რადგანაც მისი ოჯახი მთლიანად გაღარიბდა მათი გამოსყიდვის შემკდეგ, ძაძები ჩაიცვა და კარიდან კარში დაიწყო სიარული მოწყალების სათხოვნად. ერთ კვირაში ექვსასი მანეთი შეაგროვა და ერთი წუთიც კი არ დაუყოვნებია, ისე მივიდა ფეხით იმ სოფელში სადაც ბავშვი ჰყავდა დატოვებული. როგორც კი მივიდა, ძლიერი სულიერი ელდითა და ფიზიკური დაღლილობით დაძაბუნებული ქალი დაეცა და აღარც ამდგარა. საცოდავი მესამე დღეს გარდაიცვალა. ამჯერად შეასრულეს ლეკებმა დაპირება, ექვსასი მანეთი აიღეს და დედა-შვილი რუს ფოსტის უფროს მიუყვანეს. დედა დამარხეს, ბავშვი კი ეგზარქოსს გადასცეს. ეს არის ის პატარა ობოლი, რომელიც თვადმა ორბელიანმა იშვილ. ამიტომ გეუბნებოდით, ამ ბავშვს კარგად დააკვირდით-მეთქი.

თავი XXXIV
წერილი

სრულ სამ საათზე თავად ბარიატინსკისთან ვიყავით. თუმცა თავადი ბარიატინსკი ერთ-ერთ ყველაზე უფრო ცნობილ გვარს ატარებს რუსეთში, - იგი შტამომავალია წმ. მიხეილ ჩერნიგოველისა, რიულიკის შთამომავლისა მეთორმეტე თაობაში და წმ. ვლადიმერისა მერვე თაობაში, - იგი ყოვეივეს თავის ტავს უნდა უმადლოდეს. იმპერატორ ნიკოლოზის დროს ის დიდხანს იყო შერისხული, მიუხედავად ტახტის მემკვიდრე პრინცთან მეგობრობისა თუი სწორედ ამ მეგობრობის წყალობით. კავკასიაში, სადაც მას ბედმა სრულუფლებიან მთავრამართებლად ყოფნა არგუნა, პორუჩიკის ხარისხში მოვიდა, ჯერ დანიშნული იყო ხაზის კაზაკთა ასეულის უფროსად, შემდეგ ბატალიონის, ბოლოს კი ყაბარდოელთა პლკის უფროსად. სწორედ ამ პოლკის სარდლობის დროს შექმნა მან ის ცნობილი ყაბარდოელ მონადირეთა რაზმი, რომელთან ერთად უკვე ჩვენს მიერ ნაამბობი ღამის ექსპედიცია მოვაწყეთ ხასავ-იურთში. მუარვიოვის დროს ის გახდა შატბის უფროსი, შემდეგ მთავარსარდალი, სამსახურიდან გადადგა, დაბრუნდა პეტერბურგში და ბოლოს, ახალი ხელმწიფის ტახტე ასვლის შემდეგ თბილისში დაინიშნა კავკასიის მთავარმართებლად.

ეს არის ორმოცი-ორმოცდაორი წლის კაცი, ლამაზი გარეგნობისა, ლაპარაკობს მეტად სასიამოვნო ხმით, და დიდი გონება მახვილობით. მან გვიამბო საკუთარი მოგონებები და მრავალი სხვადასხვა ანეგდოტი. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბატონია, ანდა უფრო სწორად იმიტომაც, რომ დიდი ბატონია, გულღია და თავაზიანი ხასიათი აქვს. ხასიათის სიმშვიდე მასში არ უარყოფს საოცარ ენერგიას, რაშიაც ახლავე დარწმუნდებით.

ჯერ კიდევ პოლკოვნიკად ყოფნის დროს თავადმა ბარიატინსკიმ ერთი აულის წინააღმდეგ მოაწყო ექსპედიცია. ჩვეულებრივად ასეთი ქსპედიციები საფხულობით ხდება. მაგრამ თავადს თავისი მოსაზრებები ჰქონდა და თხუთმეტ გრადუსიან ყინვაში განიზრახა ექსპედიციის

მოწყობა. ზაფხულობით მთიელები ტყეებში იხიზნებიან და იქ იცდიან, ვიდრე რუსები არ გვლენ მათი აულებიდან, რაც მათ არაერთხელ გაუკეთებიათ. ამის შემდეგ მთიელები ისევ აულში ბრუნდებიან და თუ იგი გადამწვარი და დანგრეული დახვდათ, ისე აშენებენ. მაგრამ ასე არ მოხდა ზამთარში, როცა ყინვა 15 ახწევდა. ტყეში ცხოვრების ერთი კვირის შემდეგ მთიელები ძალიან დასუსტდნენ და მორჩილება განაცხადეს. თვადმა ბარიატინსკიმ ეს წინადადება მიიღო და მთიელებმა რუსებს ჩააბარეს თავიანთი თოფები, ხანჯლები, ხმლები, რისგანაც უზარმაზარი ზვინი დადგა აულის მოედანზე. შემდეგ ყველანი ამ მოედანზე მიიყვანეს და ფიცი დაადებინეს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზ. ამის შემდეგ თვადმა ბრძანა მათთვის იარაღი დაებრუნებინათ და შემდეგი სიტყვებით მიმართა:

-უკვე ერთი კვირაა რაც მე და ჩემს ხალხს თქვენ გამო არ გვძინებია. ახლა მინდა დავიძინო, მაგრამ ჩემი კაცები დაღლილი არიან, თქვენ უნდა მიდარაჯოთ.

თავადმა ბარიატინსკიმ რუსი გუშაგები დაითხოვა, კარებთან და შიგნით ჩეჩნები დააყენა და ექვსი სათი იძინა, თუ თავი მოიკატუნა, თავისი მტრების მეთვალყურეობის ქვეშ. ერთ კაცსაც არ მოსვლია აზრად დადებული ფიცისთვის ეღალატნა.

თავადმა ერთ მშვენიერ პატარა სპარსულ დარბაზში მიგვიღო, რომელიც უფაქიზესი გემოვნებით მოეწყო რუსეთის ერთ-ერთ საუკეთესო მწერალს სოლოგუბს. ოთახის კედლები შემკული იყო საუცხოო იარაღით, უძვირფასესი ვერცხლის ლარნაკებით, ინკრუსტირებული ქართული მუსიკალური საკრავებით, ყველაფერი ბრწყინავდა ქართველი მანდილოსნების მიერ ნაქარგი ბალიშებითა და სუზანებით. ეს კეკლუცი უსაქმურები ხომ მხოლოდ იმისთვის იღებენ ხელში ნემსს, რომ ოქრომკედის ვარსკვლავებით შეამკონ თავიანთი ქმრების უნაგირები და დამბაჩის ბუდეები. თავადი დიდი ხანია გველოდა. როგორც უკვე მოგახსენეთ, მთელ გზაზე გაცემული იყო ბრძანება მივეღბთ მეფურად ან როგორც ხელოვნების მსახურნი მათი სურვილის მიხედვით.

ჩემი ჩამოსვლა ბარიატინსკის არევე აუწტა გრაფ როსტოფჩიბნის მეუღლემ, რომლისგანაც მან გადმომცა წერილი, ანუ უკეთ, მთბლი პაკეტი. თავადმა ერთი საათი გაგვაჩერა და იმავე დღეს სადილად მიგვიპატიჟა. უკვე ოთხი საათი იყო, სადილი კი ექვსისთვის იყო დანიშნული. მე მხოლოდ იმს დრო მრჩებოდა, რომ სახლში მივსულიყავი და წამეკითხა, თუ რას მწერდა საცოდავი გრაფის მეუღლე. ვიდრე ამ ქალს მოსკოვში გავიცნობდი, მასთან ხელოვნებაზე მიწერ-მოპწერა მქონდა. როცა გაგო, რომ მოვდიოდი, ამისთვის სოფლიდან ჩამოვიდა და თავითან დამიბარა. მეც გავეშურე მასთან და ვნახე დასნეულებული და ძალზე ცუდ გუნებაზე მყოფი ქალი, მითუმეტეს, რომ მისი ავადმყოფობა სასიკვდილო იყო. უნდა ვაღიარო, რომ ავადმყოფმა მძიმე შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე.

მუდამ ასე მშვენიერ მის სახეს უკვე ესვა ის პირველი დაღი, რომლიტაც სიკვდილი დიდი ხნით ადრე ნიშნავს თავის მსხვერპლს, მსხვერპლს, რომლის მიმართაც ის იმდენა უფრო მეტ სიხარბეს იჩენს, რამდენადაც ძვირფასია მისი სიცოცხლე. მე ბლოკ-ნოტითა და ფანქრით შევიარაღდი, რათა მისი პოლიტიკური და ლიტერატურული მოგონებები ჩამეწერა. პოლტიკური მოგონებები ეხებოდა მის მამამთილს, სახელგანთქმულ გრაფ როსტოფჩინს, რომელიც მთელი სიცოცხლე ებრძოდა ბრალდებას, მოსკოვის დაწვაში რო ედებოდა და განუწყვეტლივ იცილებდა, მაგრამ მაინც სიზიფის კლდესავით ენგრეოდა თავზე. მთელი საღამო საუბარში გავატარეთ. ამ პატივსაცემი სნეულის ბაასმა ძალზე გამიტცა. დამპირდა გამოეგზავნა ყველაფერი, რასაც კი ჩემი ცნობისმოყვარეობის ღირსად ჩათვლიდა, და როცა ორი საათი საუბრის შემდეგ წასვლა დავაპირე, რათა ავადმყოფი მეტისმეტად არ დამეღალა, მან ჩემი ბლოკ-ნოტი აიღი და პირველ გვერდზე ჩამიწერა: „არასოდეს დაივიწყოთ რუსი მეგობრები და მათ შორი ავდოტია როსტოფჩინა.

მოსკოვი.14/26აგვისტო, 1858 წ.“

მართალც, ჩემთან შეხვედრის მეორე დღეს როსტოფჩინა სოფელში წავიდა და თავისი მოგონებები გამომიგზავნა. მოგონებებს დართული ჰქონდა ეს წერილი, რომელიც აქ მთლიანად მომყავს, რათა წარმოდგენა იქონიოთ მ ჩემი კეთილი, ჭკვიანი და პოეტური ერთი დღის მეგობრის შესახებ, რომელიც ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება და რომელიც ისე წერდა ლექსად თუ პროზათ, როგორც ჩვენი ყველაზე უფრო გენიალური ქალები.

„ვორონოვო, ორშაბათი, 18/30აგვისტო 1858წ.

სულიკო დიუმა, როგორც ხედავთ, ადამიანი ვარ და კალამიც მემორჩილება, რადგანაც მინდა შეგატყობიბნოთ ახალი ამბები ჩემს შესახებ და გავამართლო ჩემი მამამთილი მოსკოვის ხანძართან დაკავშირებით, რომლის ალმა ისე სასტიკად დაწვა იგი ამ ქვეყანაზე, რომ იმედია, ამის გამო ღირსი გახდება, აიცილოდ ჯოჯოხეთის ცეცხლი.

დანარჩენი თავის დროზე და ადგილზე მოვა.

აქ დაბრუნებისას ისე დამხვდნენ, როცა კაენს აბელის შემთხვევის შემდეგ. მთელი ოჯახი შემომეხვია და მეკითხებოდა, სად იყო დიუმა. რას აკეთებდით და რატომ არ ჩამოიყვანეთო. დარწმუნებული იყვნენ, უსათუოდ მოგიტაცებდით. ჩემი ქმარი და ქალიშვილი ძალიან სწუხან, რომ ვერ მოუხერხდათ თქვენი ნახვა. უნდა გამოგიტყდეთ, მხოლოდ იმ პირობით დამრთეს წამოსვლის ნება, რომ თქვენ წაგიყვნდით. ყოველივე დაწვრილებით გამომკითხეს თქვენი პიროვნების შესახებ. მათ უნდათ იცოდნენ, ჰგავხა\რთ თუ არა თქვენს პორტრეტებს, თქვენს წიგნნებსად და იმ წარმოდგენას, რომელიც მათ თქვენზე შექმენს. საერთოდ მთელი ჩემი ოჯახი ჩემსავით მეტად გართულია ჩვენი სახელგანთქმული ძვირფასი მოგზაურით, რომელსაც მეგობრობისათვის დიდ მადლობას ვუძღვნით. გზამ ჩემზე ძალიან ცუდათ იმოქმედა და ციებ-ცხელება აღარ მანებებს ტავს, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის, ჩემი სუსტი ძალებით, რაც შეიძლება მაგრად ჩამოგართვათ ძლიერი ხელი, ხელი, რომელმაც გახსნილ მდგომარეობაში ამოდენა კეთილი საქმე გააკეთა, ხოლო დახურული ასეთ მშვენიერ ნაწარმოებებს ქმნის. მინდა არეთვე დაგიბრუნოთ, როგორც მოძმეს და როგორც ძმას ამბორი, რომელიც თქვენ ჩემს შუბლზე აღბეჭდეთ. აუცილებელ შეხვედრამდე, თუ ამ სამყაროში არა, სხვა სამყაროში მაინც. თქვენი ოცდაათი წლის მეგობარი.

ავდოტია როსტოფჩინა“.

დაპირებული ჩანაწერები და წერილი, რომლებიც ამ ქალს ჩემთვის თავის დროსა და ადგილზე უნდა გამოეგზავნა, გადმომცა კავკასიის მეფისნაცვალამ თავადმა ბარიატინსკიმ, რომელმაც შუაკაცობა იკისრა ამ ორ მწერაკლ შორის. აი, მეორე წერილიც, რომელიც პირველზე უფრო მელანქოლიურია. ოღ თარიღს 18/30 აგვისტოსა და 27/10 სექტემბერს შორის საცოდავი გრაფის მეუღლე კიდევ უფრო დაუახლოვდა სიკვდილს.

„ვორონოვი, 27/10 სექტ. 1858წ.

აი, ძვირფასო ბატონო დიუმა, დაპირებული ჩანაწერები. ყველა სხვა დროს ჩემთვის მხოლოდ სიამოვნება იქნებოდა, თქვენთვის, როგორც ახალი მეგობრისთვის, მოგონებათა დაწერა ორ ძველ მეგობარზე. მაგრამ დღეს განსაკუთრებული პირობებია საჭირო, რათა ეს ჩემი ჯღაპნა როგორმე დავასრულო. წარმოიდგინეთ, რომ ასე შეუძლოთ არასოდეს ვყოფილვარ. იმდენად სუსტად ვარ, ლოგინიდა ვერ ვდგები და გონებაც ისე მაქვს არეული, რომ თავს ველარ ვცნობ. მაგრამ ეჭვი ნუ შეგეპარებათ, ჩემს მიერ დაწვრილებით აღწერილი ამბების ჭეშმრიტებაში. ისინი გულის მეხსიერებითაა ნაკარნახევი და მერწმუნეთ, ეს გონებრივ მახსოვრობაზე მეტს

იცოცხლებს. ხელი, რომელსაც ეს წერილი გადმოგცემთ, იმის დამამტკიცებელიო საბუთია, რომ მე რეკომენდაციას გიწევთ. მშვიდობით, ნუ დამივიწყებთ.

ავდოტია.

ეს წერილი გადავიკითხე და სულელური მეჩვენა. განა შეიძლება, რომ თქვენ ადამიანმა ასე სულელურად მოგწეროთ წერილი? მაგრამ ჩემთვის კარგი საპატიო მიზეზი ის იქნება, რომ როცა ამ წერილს მიიღებთ, ან უკვე მკვდარი ვიქნები, ანდა სიკვდილის პირზე მისული“.

უნდა გამოვტყდე, რომ ამ წერილმა მტკივნეულად შემიკუმშა გული. და პეტროვის პარკში შესვლისას ჩემს კეთილ მასპინძლებს ვუთხარი:

-საცოდავი ავდოტია როსტოფჩინა, ალბათ ორ თვესაც ვერარ იცოცხლებს!

რა მწარე წინასწარმეტყველება იყო! ნუთუ ის ასე ზუსტად უნდა შესრულებულუიყო? მწარედ ამოვიოხრე და გადავხედე მის მიერ გამოგზავნილ ჩანაწერებს. ეს მოგონებები უპირატესად ეხებოდა ლერმონტოვს, რუსეთის პირველ პოეტს პუშკინის შემდეგ. ზოგი მას პუშკინზე მაღლაც აყენებს. ვინაიდან ლერმონტოვი უმთავრესად კავკასიის პოეტია, სადაც იგი განდევნილი იყო, სადაც წერდა, იბრძოდა და მოკლული იქნა. ჩვენ ამ შემთხვევით ვისარგებლებთ და რამდენიმე სიტყვით გაგაცნობთ ამ გენიალურ ადამიანს, რომელიც მე საფრანგეთს პირველად გავაცანი, როცა „მუშკეტერში გამოვეცი მისი საუკეთესო რომანის „პეჩორინი, ანუ ჩვენი დროის გმირის“ ფრანგული თრგმანი. აი, ჩანაწერების ტექტი, რომელიც თბუილისში გამომიგზავნა თავად როსტოფჩინის მეუღლემ. ხოლო იქ მოტანილი ლექსები ფრანგულად გადათარგმნილია ჩემ მიერ.

მიხეილ იურის-ძე ლერმონტოვი

„ლერმონტოვი დაიბადა 1814 თუ 1815 წელს, მდიდარსა და პატივსაცემ ოჯახში. მან ბავშობაშივე დაკრგა დედ-მამა და აღიზარდა ბებიის-ქალბატონ არსენიევას ოჯახში. ჭკვიანსა და ღირსეულ მანდილოსანს ბავშვი ბრმა, ნამდვილი დედობრივი სიყვარულით უყვარდა. ბავშვის განათლებისთვის არაფერს იშურებდნენ. თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ლერმონტოვი უკვე ლექსებს წერდა, მაგრამ მათ ჯერ არ ეტყობოდათ ავტორის ბრწყინვალე და ძლიერი ტალანტი. იგი ადრე მომწიფდა, როგორც მის ტანამედროვეტა მთელი თაობა და ცხოვრებაზე ოცნებობდა უფრო ადრე, ვიდრე იგი გაიცნო, ამიტომ თეორიამ შერყვნა მასში პარქტიკა. მას არ უსარგებლია სიჭაბუკის სიმშვენიერითა და ბედნიერებით. ერთმა გარემოებამ იმოქმედა მის ხასიათზე და სამწუხაროდ დიდი გავლენა მოახდინა მთელ მის მომავალზე. ლერმონტოვი ძალიან მახინჯი იყო და ეს სიმახინჯე, რომელიც მოგვიანებით სახის გამომეტყველების სიძლიერეში გადავიდა და თითქმის გაქრა, როცა გენიამ გაასხივოსნა მისი უბრალო სახის ნაქვთები, უცნაურად თვალში გვხვდებოდა მისი პირველი ახალგაზრდობის წლებში. ამავე სიმახინემ მისცა მიმართულება მ ახალგაზრდა ფიცხელი და განუზომლად პატივმოყვარე ადამიანის გინების განვითარებას, მის გემოვნებას, მისი სიარულის მანერას. რაკი გარეგნობით არ მოსწონდათ, იგი ფიქრობდა შეცდენას და დაშინებას და გაეხვია ბაიონიზმში, რაც მაშინ დიდ მოდაში იყო. დონ-ჟუანი გახდა არამარტო მისი გმირი, არამედ მისი ნიმუშიც. მისი მიზანდასახულება გარდა იდუმალება, პირქუშობა და ირონია. ამ ბავშურმა თამაშმა წარუშლელი დაღი დაასვა მის ცვალებად და შტაბეჭდილებიან გონებას. მას გამუდმებით თავი წარმოდგენილი ჰყავდა ლარასა მამფრედი და მამფრედის როლში და ბოლოსდაბოლო შეეჩვია მ მდგომარეობას. იმ დროს მე ის ორჯერ ვნახე საბავშვი მეჯლისზე სადაც თვითონ ნამდვილი ბავშვივით დავხტოდი, მაშინ, როცა ის, ჩემივე ასაკისა, თუ კიდევაც უმცროსი ჩემ ბიძაშვილს, კეკლუც გოგონას ეტრფიალებოდა. მაგონდება კიდევ, თუ რა უცნაური შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე ამ საკვირველმა ბავშმა თავისი ბებრულად დაჭმუჭნული სახით, რომელმაც წინ

გაასწრო ვნებათა ასაკს და მათი გულმოდგინე მიბაძვის გზით. მე ჩემი ბიძაშვილის გულის მესაიდუმლე ვიყავი და ის მაჩვენებდა ალბომში ლერმონტოვის მიერ ჩაწერილ ლექსებს. ლექსები არ მომწონდა მეტადრე იმიტომ რომ სამართლიანი არ მეჩვენებოდნენ. იმ დროს მე დიდად გატაცებული ვიყავი შილერით, ჟუკოვსკით, ბაირონით, პუშკინით. თვითონაც ვსინჯავდი ძალებს პოეზიაში. მაში დავწერე ოდა შარლოტა კორდეზე, რომელიც მალე დავწვი. პირადად მე სრულიად არ ვცდილობდი ლერმონტოვის გაცნობას, იმდენად არასიმპატიური მეჩვენებოდა იგი. მაშინ ისიმყოფებოდა კეთილშობილთა პანსიონში, რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებობდა, როგორც მოსამზადებელი სკოლა. მოგვიანებით ის გვარდიელ პოდპრაპორშჩიკთა სამხედრო სკოლაში შევიდა. აქ მისმა ცხოვრებამ და გემოვნება სხვა სახე მიიღო. მის ყველაზე უფრო გულმოდგინე საქმიანობად იქცა გესლის ნთხევა, დაცინვა, სიჩაუქე, ოინბაზობა, ყოველგვარი უსაქციელობა და ქილიკობა. ამსთან ერთად დაჯილდოვებული უბრწყინვალესი ჭკუით საუბარში, მდიდარი და დამოუკიდებელი, იგი მაღალი მაშინდელი წრის ახალგაზრდობის სულისჩამდგმელი გახდა. ის იყო მოთავე ყოველგვარი გართობისა, საუბრებისა, ახირებული ოინებისა და ყველაფრისა, რაცკი ამ ასაკში ცხოოვრებას შეადგენს./ სკოლის დამთავრების შემდეგ ლერმონტოვი გვარდიელტა მსროლელ პოლკში შევიდა. რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო და ნარჩევბი პოლკი იყო. აქაც ლერმონტოვი მისმა სიმკვირცხლემ, მახვილმა ჭკუამ, სიამოვნებისადმი ლტოლვამ თავისი ამხანაგების სათავეში დააყენა, რომელთაც იმპროვიზირებულ ლექსებს უკითხავდა თავისი ყაზარმის თუ ბანაკის ცხოვრების სრულიად ჩვეულებრივ ამბებზე. ამბობენ, თითქოს ეს ნაწრმოებები, რომლბიც მე არ წამიკითხავს მის გამო, რომ ქალისთვის არ არიან დაწერილი, ბრწყინავენ ავტორისთვის დამახასიათებელი მგზენაბრებიტა და გონება მახვილობით. თვითონ ყველას მეტსახელს არქმევდა და ბუნებრივი იყო, რომ მასაც შერქვეს მეტსახელი. ხალხური ტიპი, რომელთანაც მას მსგავსება ჰქონდა, პარიზიდან შემოვიდა ჩვენთან, საიდნაც ჩვეულებრივად ყველაფერს ვიღებთ. ეს ტიპი იყო კუზიანი მაიო. ლერმონტოვს მაიო შეარქვეს მის დბალი ტანისა და მსხვილი თავის გამო, რაც ერთგვარ ნათესაურ მსგავსებას ქმნიდა მასა და მაიოს შორის. მხიარული ახალგაზრდული ცხოვრება, რომელსაც ძალზე ხელგაშლით ეწეოდა, ხელს არ უშლიდა ეტრიალა საზოგადოებაში,სადაც ქალებს ჯერ ტავგზას უბნევდა, შემდეგ თავს ანებებდა, თვალთმაქცური ვნებიანობით ერეოდა რამდენიმე დღით ადრე საქმეში და ქორწილებს ფუშავდა. ის თითქოს ცდილობდა თავისთვ ის დაემტკიცებინა, რომ ქალებს შეუძლიათ მისი შეყვარება მ,იუხედავად იმისა, რომ დაბალი ტანი და მახინჯი გარეგნობა აქვს. მე რამდენჯერმე მქონია შემთხვევა მომესმინა მისი მსხვერპლის ახსარება და ხშირად თვაი ვერ შემიკავებია და გულახდილად გამიცინია ჩემი ამხანაგების ცრემლებზე იმ ორგინლურ საქმის შებრუნებაზე და კომიკურ დაბოლოებაზე, რომელთაც ტავი დონ-ჟუანურ და დანაშაულბრივ ცდებს აძლევდა, მახსოვს, ერთხელ მან ერთ ქალს მდიდარი საქმრო დატოვებინა და როცა ყველა ფქირობდა, რომ ლერმონტოვი მის ადგილს დაიკავებდა, ამ დროს საცოლის მშობლებმა მიიღეს ანონიმური წერილი, სადაც ავტროი მათ აფიცებდა სახლში არ შეუშვათ ლერმონტოვი და მასზე უამრავ საძაგლობას სწერდა. ეს წერილი ლერმონტოვს საკუთარი ხელით დაეწერა. მას შემდეგ იმ სახლში ფეხიც არ შეუდგავს.

სწორედ ამ ხანებში დაიღუპა პუშკინი. ლერმონტოვი ისევე, როგორც მთელი რუსეთის ახალგაზრდობა ახშფოთებული იყო საზოგადოების იმ ნაწილით, რომელიც ორ მოწინააღმდეგეს ერთმანეთის მიმართ აქეზებდა, და მან დაწერა რამდენიმე საშუალო, მაგრამ მგზნებარე ლექსი, სადაც პიორდაპირ იმპრეტარორს მიმართავდა და თხოვდა საზღაური მიეგო დამნაშავისთვი. ამ აზრთა საყოველთაო მღელვარებაში ახალგაზრა კაცის ესოდენ ბუნებრივმა მოქმედებამ სრულიად სხვა განმარტება ჰპოვა. მალე დაღუპული პოეტის ქომაგი ახალგაზრდა პოეტი დააპატიმრეს და კავკასიის ერთ-ერთ პოლკში გაგზავნეს. ეს კატასტროფა, რომელიც ასე გამოიტირეს ლერმონტოვის მეგობრებმა, დიდად სასარგებლო გამოდგა მისთვის. პეტერბურგის უაზრო ცხოვრებასთან მოშორებული, მკაცრ ვალდებულებებსა და დაუსრულებელ საფრთხეში მყოფი, მ უდმივი ომების სარბიელზე გადასროლილი პოეტი ამ ახალ ქვეყანში, ამ საუცხოო მხარეში, იძულებულია თავისტავში ჩაიფლოს, და იგი სწრაფად

იზრდება და ვიტარდება. მანამდე მისი მრავალი ცდები ლიტერატურაში მხოლოდ პირველი ნაბიჯები იყო. ამ დროიდან მოყოლებული ის შრომობს შთაგონებითა და პატივმოყვარეობით, იმ ისთვის, რომ რაიმე კაპიტალური მიაწოდოს საზოგადოებას, რომელიც მას მხოლოდ გადასახლებით იცნობს და ჯერ არაფერი წაუკითხავს მისი. აი, აქ უნდა გავავლოთ პარალელი ლერმონტოვსა და პუშკინს, როგორც პოეტებსა და ავტორებს შორის.

პუშკინი მთლიანად აღმაფრენაა, პირველ;ი აღმონაცემი, მისი სულისა და ტვინიდან აზრი სავსებით შეიარაღებული გამოდის, ანუ უკეთ რომ ვთქვათ მოსჩქებს. შემდეგ ის მას სცვლის, ასწორებს და სწმენდს, მაგრამ იგი მაინც მთლიანი და სავსებით განსაზღვრულია. ლერმონტოვი კი ეძიებს, თხზავს, იგონებს. გონიერება, გემოვნება, ოსტატობა მას მიუთითებენ საშუალებაზე, რომლიტაც ახერხებს დაამრგვალოს ფრაზა, სრულყოფილი გახადოს თვაისი ლექსი. მაგრამ პირველი მისი აზრი მუდამ ცამოუსხმელია, არასრულია და ნაწვალები. დღესაც კი, მისი ლექსების სრულ გამოცემაში ჩვენ ვხვდებით ერთიდაიგივე ტაებს, ერთიდაიგივე აზრს, ოთხტაეპიან ლექსს, ჩართულ ორ სრულიად სხვადასხვა ნაწარმოებში. პუშკინი მაშინვე აძლევდა თავს ანგარიშს თავისი პატარა ჩამოსხმული ლექსების წვრილმანებსა თუ მთლიანობაში. ლერმონტოვი შავად წერდა ქაღალდზე ერთ ან ორ ლექსს, რომლებიც თავში მოუვიდოდა და რომ არ იცოდა, როგორ გამოეყენებინა ისინი, ჩაურთავდა რომელიმე ნაწარმოებში, რომელსაც მისი აზრით, უფრო შეეფერებოდა ეს ლექსი. იგი განსაკუთრებით მომხიბლავია პეიზაჟის ახწერაში. თვითონაც კარგი პეიზაჟისტი იყო და მხატვრობას პოეზიით ავსებდა. მაგრამ იმ საგანთა სიუხვემ, რომლებიც ხანგრძლივად აღელვებდნენ მის აზრებს, აბრკოლებდა მათ მოწესრიგებას და მხოლოდ დროგამოშვებით მოცალებამ კავკასიაში საშუალება მისცა სავსებით დაეჭირა თავი, შეეცნო თავისი ძალები და, ასე ვთქვათ, სტრატეგიულად დაემუშავებინა თავისი ნაირფეროვანი ნიჭი. როცა დაასრულებდა, გადასინჯავდა და გაასწორებდა თავისი ლექსების რვეულს, მას პეტერბურგში მეგობრებს უგზავნიდა და სწორედ ამის ბრალია, რომ ჩვენ დღეს დაკარგული გვაქვს რამდენიმე მისი საუკეთესო ნაწარმოები. თბილისელ შიკრიკს ხშირად თავს ესხმოდნენ ყაბარდოელები და ჩეჩნები, მას ხშირად უქადდა მდინარეში დახრჩობა ფონზე გადასვლისას, ღრანტეში ჩავარდნა ბოგირზე გადასვლისას, ის იძულებული იყო თვაის გადასარჩენად ტვირთისგან განთავისუფლებულიყო, და ასე დაიკარგა ლერმონტოვის რამდენიმე რვეული. კერძოდ, ეს ბედი ეწია ლერმონტოვის უკანასკნელ რვეულებს, რომელთაც იგი თვაის გამომცემელს უგზავნიდა და ჩვენ მხოლოდ შავებიღა დაგვრჩა იმ დამთავრებული ლექსებისა. კავკასიაში ლერმონტოვის ჭაბუკური მხიარულება შეცვალ შავი მელანქოლიის შეტევებმა, რაიცა უფრო ღრმად არყევდა მის არყევდა მის ფიქრებს. ამან მის პოეზიას უფრო დიდი ინტიმურობის ბეჭედი დაასვა. 1833 წელს ნება დართეს პეტერბურგში ჩამოსულიყო და ვინაიდან მისმა ტალანტმა და გადასახლებაში ყოფნამ უკვე პიედესტალი აუგო, ყველა გულითადად შეხვდა. რამდენიმე გამარჯვებამ ქალებზე, რამდენიმე სალონურმა ფლირტმა მამაკაცები აუმხდრა. პუშკინის სიკვდილთან დაკავშირებით ის წაეკიდა ბ-ნ ბარანტს, საფრანგეთის ელჩის ვაჟს. სულ მალე კიდევ დაინიშნა დუელი ფრანგსა და რუსს შორის, მაგრამ ვინაიდან ქალების ლაქლაქის შედეგად დუელი წინასწარ გამოაშკარავდა, ამ საერთაშორისო შუღლის მოსასპობად ლერმონტოვი ისევ კავკასიაში გაამწესეს.

ჩვენი პოეტის ყველაზე საუკეთესო და მომწიფებული ნაწარმოებები დაკავშირებულია კავკასიაში, ამ გამუდმებული ომებისა და დიადი სილამაზის ქვეყანაში მისი მეორედ ყოფნი დროსთან. იგი უეცრად საწაულებრივი ნახტომიტ გასცილდა თავისთავს და მისი საუცხოო ვერსიფიკაცია, მისი დიდი და ღრმა აზრები 1840 წ. უკვე აღარ ეკუთვნის ახალგაზრდა კაცს, რომელიც გასულ წელს მხოლოდ ცდიდა თვას. მასში მეტი ჭეშმარიტება ჩანს, მეტი რწმენა საკუთარი თავისა. ახლა ის უკეთ იცნობს და უკეთ ესმის თვისი თავისა. მასში ქრება წვრილმანი პატივმოყვარეობა და თუ მარალ საზოგადოებას მაინც სინანულით იგონებს, მხოლოდ იმიტომ, რომ იქ მეგობრები ჰყავს დატოვებული. 1841 წლის დამდეგს ბებიამისმა ქ-მა არსენიევამ ნებართვა მიიღო, რომ ლერმონტოვი პეტერბურგში მის სანახავად ჩამოსულიყო,

რადგანაც მოხუცი ქალი ავადმყოფობის გამო ჩქარობდა თავისი საყვარელი შვილიშვილის დალოცვას. ლერმონტოვი პეტერბურგში ჩავიდა 7 თუ 8 თებერვალს, მაგრამ მას არ ეწერა ბებიის ნახვა, რომელიც შორეულ გუბერნიაში ცხოვრობდა. უეცარ თოვლის დნობას გზები გაეფუჭებინა.

პირადად მე სწორედ იმ ხანებში გავიცანი ლერმონტოვი და ორ დღეში დავმეგობრდით. როგორც ხედავთ, ჩემო კეთილო დიუმა, თქვენს გარდა კიდევ მყავდა მეგობარი. მაგრამ ნუ იეჭვიანებთ. ჩვენ ხომ ერთსადა იმავე წრეს ვეკუთვნოდით, გამუდმებით ერთმანეთს ვხვდებოდით და დილიდან საღამომდის ერთად ატარებდით დროს. ამან ძალიან დაგაახლოვა ერთმანეთს და მე ყველა ოინები გამოულაგე, რაც კი მახსოვდა მისი ახალგაზრდობის დროიდან. ამაზე ბევრი ვიცინეთ და ისე დავახლოვდით, თითქოს პატარობიდანვე მეგობრები ვყოფილიყავით. ამჯერად დედაქალქში გატარებული სამი თვე, მე მგონია, ლერმონტოვისთვის ყველაზე ბედნიერი და ბრწყინვალე თვეები იყო მის ცხოვრბაში. საზოგადოებაში მუდამ სიხარულით მიღებული, ვიწრო მეგობრების წრეში მუდამ საყვარელი პოეტი დღისით საუცხოო ლექსებს თხსავდა. საღამოობით კი გვიკითხავდა მათ. ამ მეგობრულს ატმოსფეროში გაიღვიძა მისმა მხიარულმა ხასიათმა ის ყოველდღე იგონებდა რაიმე ფანდს ან რაიმე ხუმრობას და მისი დაუშრეტელი ჭკუამახვილობის შედეგად მთელ საათეს გიჟურ სიცილში ვატარებდით.

ერთხელ გამოგვიცადა, რომ უნდა წაგვიკითხოს თვაისი ახალაი რომანი სათაურით „სტოსი“. მისი ანგარიშით ამ რომანის წაკითხვას მუნდებოდა არანაკლებ ოთხი საათისა. ყველას შეგვეხვეწა, საღამოს ადრე შეგროვდით და რაცმთავარია უცხო არავინ შემოუშვათო. რასაკვირველია, ყველა მზად ვიყავით შეგვესრულებინა მისი თხოვნა. ამორჩეულთა რიცხვი ოცდაათ კაცს ახწევდა. შემოვიდა ლერმონტოვი იღლიაში ვეებერთელა ხელნაწერით. ავანთეთ სანზთლები, ჩავკეტეთ ყველა კარი და დაიწყო კითხვა. მაგრამ თხუთმეტი წუთიც არ გასულა, რომ კითხვა დასრულდა. გამოუსწორებელმა მისტიფიკატორმა მოგვატყუა წინა დღით დაწერილი ერთი შემზარავი ისტორიის პირველი თავით, რომელიც ოც გვერდს არ აღემატბოდა. რვეულის დანარჩენი ნაწილი ცარიელი იყო, ის რომანი ამაზე შეჩერდა და აღარასოდეს დამთავრებულა.

ამასობაში მისი შვებულების ყავლი ილეოდა, ბებიამისი კი ვერ ჩამოდიოდა. დაიწყეს თხოვნა შვებულების გასაგრძელებლად. თავდაპირველად უარი უთხრეს, ხოლო შემდეგ გავლენიან ქომაგთა წყალობით, ვადა გაუგრძელეს. ლერმონტოვს ძალზე ეზარებოდა უკან დაბრუნება. მას უცნაური წინათგრძნობები აწუხებდა. ბოლოს, აპირილის დამლევს თუ მაისის დასაწყისში მეგობრები ერთ გამოსათხოვარ ვახშამზე შევიყარეთ, რატა მისთვის კეთილი მგზავრობა გვესურვა. მე უკანასკნელმა ჩამოვართვი ხელი. სუფრაზე სამნი ვისხედით: ის, ერთი კარგი ნაცნობი, რომელიც აგრეთვე საშინელი სიკვდილით დაიყუპა უკანასკნელ ომში და მე. ლერმონტოვი მთელ საღამოს მხოლოდ თვაის მოახლოვებულ სიკვდილზე ლაპარაკობდა. მე ვცდილობდი გამეჩუმებინა და სასაცილოდ ამეგდო მისი მცდარი წინაგრძნობები, მაგრამ ისინი ჩემდაუნებურად მეუფლებოდნენ და მძიმე ლოდად მაწვებოდნენ გულზე. ორი თვის შემდეგ ეს წინაგრძნობა ახდა და დამბაჩის ტყვიამ მეორედ მოსტაცა რუსეთს კიდევ ერთი მისი ეროვნული სიამაყე. ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ ამჯერზე სასიკვდილო ლახვარი მეგობრული ხელიდან გამოდიოდა.

კავკასიაში დაბრუნებული ლერმონტოვი ექსპედიციის ცდაში პიატიგორსკის წყლებზე წავიდა და იქ შეხვდა ერთ თავის ამხანაგს, რომელიც დიდი ხანი იყო თვაისი დაცინვისა და მისტიფიკაციების საგნად ჰყავდა გამხდარი. პოეტმა რამდენიმე კვირის განმავლობასი მარტინოვი ისევ თავდასხმების მიზნათ გაიხადა. ერთხელ, ქალების თანდასწრებით, ლერმონტოვმა დაინახა მარტინოვი, რომელსაც ჩეჩენთა ჩვეულების მსგავსად ორი ხანჯალი კეთა, რაც სრულიად არ უხდებოდა მის კავალერგარდის მუნდირს. ლერმონტოვი

მიუახლოვდა და სიცილით მიაძახა: „ახ, მარტინოვ, რა კარგი შესახედავი ხართ! თქვენ გავხართ ორ მთიელს ერთად!“ ამ სიტყვებმა აავსეს მოთმინების ფიალა. ამას მოყვა დუელში გამოწვევა და მეორე დღეს მეგობრები პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს. ამაოდ ეცადნენ მოწმეები საქმის მოგვარბას, მასში თვიტონ ბედისწერა ჩაერია. „ნუთუ ამ ჭაბუკს დამბაჩა უნდა დავუმიზნო?“ - არ სჯეროდა ლერმონტოვს, როცა გატენილი დამბაჩა გადასცეს. დაუმიზნა მან დამბაცა თუ არა, არავინ იცის. მოხდა ის, რომ ორი ტყვია გავარდა და მოწინააღმდეგის ტყვიამ სასიკვდილოდ განგმირა პოეტი. და აი, ლერმონტოვსაც, რომელსაც შეეძლო შეევსო რუსეთისთვი ის უდიდესი დანაკარგი, პუშკინის მოკვლით რომ განიცადა, ოცდამერვე წელზე იგივე ბოლო ხვდა წილად: უცნაური ამბავია! დანტესიც და მარტინოვიც კავალერგარდთა პოლკში მსახურობდნენ...

ავდოტია როსტოფჩინა“.

კითხვას ვამთავრებდი, როცა ფინომ გამომიარა. ექვსი საათი იყო. ეტლში ჩავსხედით და თავადს ვესტუმრეთ. ბევრი არავინ ყოლია თვადს.

-თავადო, - მივმართე მასპინძელს და ჯიბიდან გრაფი როსტოფჩინის მეუღლის წერილი ამოვიღე, - ჩვენი მეგობრის მისამართის წაკითხვაში უნდა დამეხმაროთ.

-რისთვის გინდათ? - ჰკითხა თავადმა.

-მინდა ვუპასუხო, ისეთი კარგი წერილი მომწერა...

-როგორ, განა არ იცით?...

-რა?

-ის ხომ უკვე აღარ არის.

მინდა მკითხველს წარმოდგენა მივცე იმ ადამიანის გენიაზე, რომლის ფიზიკური და მორალური პორტრეტი ასე ცოცხლათ წარმოგვიდგინა გნცსვენებული ქალბატონი როსტოფჩინას კალამმა. მამაკაცი რომ მამაკაცმა შეაფასოს და გადათარგმნოს, კარგია, მაგრამ მოთხრობა მამაკაცზე ქალებს უფრო ეხერხებათ. ჩვენ ამოურჩევლად, ალალბედზე ვიღებთ ლექსს. ვნანობთ, რომ არ შეგვიძლია მკითხველს გავაცნოთ მისი მთავარი პოემა „დემონი“, როგორც გავაცანით მისი საუკეთესო რომანი „პეჩორინი“ მაგრამ ლერმონტოვუის გენია ყველგან ჩნას და შესაძლებელი ხდება იგი უკეთესად შეაფასო იმ ცვლილებათა წყალობით, რომელთაც ის განიცდის და იმ ფორმათა მიხედვით, რომლებიც მას შეუძლია მიიღოს.

ავიღოთ მაგალითად ლექსი „ფიქრი“. ეს არის გოდება, სადაც ავტორი შეიძლება ოდნავ მიზანთროპულად აფასებს თავის თაობას. განზე დატოვეთ თარგმნის სისუსტე და დაინახავთ, რომ არც ბაირონი და არც მიუსე არაფერს დაწერდნენ ამაზე მწარეს. აი, კიდევ ერთი ლექსი სულ სხვა ყაიდისა: ეს არის ორი მთის ყაზბეგისა და იალუზის, თუ არ ვცდები კავკასიაში, ორი ყველაზე უფრო მაღალი, მთის ბაასი. იალბუსი ისეთ მიუვალ ადგილას მდებარეობს, რომ აქამდე ვერ მოექცა რუსეთის ბატონობის ქვეშ, ყაზბეგი კი, პირიქით, დდი ხანია მისი ქვეშევრდომია. ეს არის დარიალის კარი. მისი მფლობელნი შვიდასი წლის განმავლობაში ხარკს ართმევდნენ სხვადასხვა სახელმწიფოებს, რომლებიც რიგრიგობით ფლობდნენ კავკასიას და იმის მიხედვით, წესიერად თუ უწესოდ უხდიდნენ ხარკს, ხსნიდნენ და კეტავდნენ კარს. აქედან გამომდინარეობს ის საყვედური, რომელსაც იალბუზი ყაზბეგს ეუბნება, რაც აუხსნელად შეიძლება გაუგებარი ყოფილიყო ჩვენი მკითხველისათვის.

ამ ლექსში პოეტი პოულობს ხერხებს, რათა ერთსა და იმავე დროს იყოს მქირდავიც და კეთილშობილიც, რაიცა ფრიად ძნელი საქმეა, ვინაიდან მქირდავი ხასიათი და სიდიადე

ხასიათისა თითქმის მუდამ გამორიცხავს ერთმანეთს. რამდენიმე ლექსში მხოლოდ მელანქოლია ისმის. ყველა ისინი დაწერილია სიკვდილის წინ. თავად როსტოფჩინის მეუღლე გვეუბნება, რომ მას წინათგრძნობები ჰქონია, რასაც ჩვენ ყოველ ლექსში ვხვდებით. ეს ლექსები იმდენად პოპულარულია რუსეთში, რომ მათ ყველა როილაზე შეხვდებით და ვერ იპოვით ვერც ერთ ახალგაზრდა ვაჟსა თუ ქალს, რომელმაც ეს ლექსები ზეპირად არ იცოდეს. ერთი ლექსი, სათაურად „მთის მწვერვალები“ მე ვფიქრობ, დაწერილია გოეთეს თუ ჰაიმეს წაბაძვით.

მთის მწვერვალნი სდუმან,

სდუმს ხეობა ბნელი,

გრილი ბინდით ჩუმად

ავსებულა ველი

არც ფოთოლი შფოთავს,

არც მტვერდება შარა,

მოიცადე ცოტა

შენც დაცხრები ჩქარა.

ლერმონტოვი მართლაც მალე დაცხრა. მაგრამ რადგან ნანატრი სიკვდილი მოსვლას არ ჩქარობდა, პოეტი მას იწვევდა მსგავსად იმ რაინდებისა, რომლებიც უმოქმედობისაგან მოწყენილნი ბუკს აყვირებდნენ მოწინააღმდეგის მოსაწვევად. ერთი ასეთი გამოწვევა ისმის მის ლექსში, რომლის სათაურია „მადლობა“, თუმცა უფრო სწორი იქნებოდა მას სათაურად „მკრეხელობა“ ჰქონოდა.

მკრეხელი სურვილი შესმენილი იქნა: ერთი კვირის დამლევს ლერმნტოვი მოკლეს და სიკვდილის შემდეგ მის მაგიდაზე სხვა ქაღალდთა შორის ეს ლექსებიც იპოვეს.

თავი XXXV
სპარსული აბანოები

ფინო მთელი დღე გვპირდებოდა, სარამოსთვის ერთ სიურპრიზსგიმზადებთო. ავდოტია როსტოფჩინას გადაცვალების ახლახან გაგებული ამბის გამო მაინცდამაინც არ ვიყავი სიურპრიზების ხასიათზე და მერჩი სხვა დღისთვის გადამედო ეს სიამოვნება, მაგრამ მარტო როდი ვიყავი, და ფინოს წინააღმდეგობა ვერარ გავუწიე, რომ საღამო მის გემოზე გაგვეტარებინა. ეტლში ჩავსხედით.

-აბანოში! -თქვა მან რუსულად.

იმდენი რუსული კი ვიცოდი, რომ ეს სიტყვა გამეგო და გაკვირვებულმა ვკითხე:

-როგორ თუი აბანოში, აბანოში რა გვინდა?

-გაქვთ რამე ამის საწინააღმდეგო? - მიპასუხა მან.

-საერთოდ აბანოს საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს, მაგრამ თქვეგან დიდი თავხედობაა, თუ გგონიათ, რომ აბანო ჩემთვის ასეთი სიურპრიზია.

-სპარსული აბანო თუ გაგიგონიათ როდესმე?

-გამიგონია.

-თუ დაგიბანიათ ასეთ აბანოში?

-არა.

-ჰოდა, სწორედ სიურპრიზიც ეს არის.

ამ ლაპარაკში ჩვენ მოვქროდით თბილისის ბნელ ქუჩებში, რომლებსაც მხოლოდ დაგვიანებულ ვისტის მოთამაშეთა ფარნები ანათებს. თბილისში ყოფნის თვე-ნახევრის განმავლობაში ხუთმეტი კაცი მაინც ვნახე ისეთი, რომელთაც წინადღით რომ საღი ხელ-ფეხი ჰქონდათ, მეორე დღეს კოჭლობდნენ ან ხელი ჰქონდათ აბმული.

-რამოგივიდათ? - ვკითხავდი.

-წარმოიდგინეთ, წუხელის რომ შინ ვბრუნდებოდი, ქვაფენილს დავეჯახეთ და ეტლიდან გადმოვვარდი.

ასეთ პასუხს იძლეოდა ყველა. ბოლოს უკვე მხოლოდ თავაზიანობის გამო ვეკითხებოდი ხოლმე და როცა მიპასუხებდნენ „წარმოიდგინეთ, წუხელის რომ შინ ვბრუნდებოდი“...მე ვაწყვეტინებდი:

-ქვაფენილს დაეჯახეთ, არა?

-დიახ.

-და ეტლიდან გადმოვარდით.

-სწორედ აგრეა, მაგრამ თქვენ საიდან იცით?

-მივხვდი, ბატონო.

და ყველას უკვირდა ჩემი გამჭრიახობა. ახლაც ისე მივქროდით, რომ დარწმუნებული ვიყავი ხვალ არც ჩვენ აგვცდებოდა ის ავბედითი კითხვა. საბედნიეროდ, როცა მივადექით ერთ თავდაღმართს, რომლისაც ცოტა არ იყოს მეშინოდა, დავინახე, ქუჩა აქლემებით იყო გაჭედილი. მეეტლემ სვლა შეანელა და ძლივს გავახწიეთ იმ ადგილს. როგორც უკვე ვთქვი, ღამით თბილისის ქუჩებში სწრაფი სიარული მგზავრისთვის ერთგვარად მოუხერხებელია, მაგრამ კიდევ უფრო მოუხერხებელია ქვეითად მოსიარულეთათვის. ვინაიდან არცერთი ეტლი და არც ქუჩები განათებული არ არის, ხოლო ქუჩა ზაფხულობით მტვრის სქელი ფენით იფარება, ზამთარში კი მეტნაკლებად სქელი ტალახით. ქვეითი მოგზაური, თუ ის ფარნით არის აღჭურვილი, უსათუოდ „დროშკის“ ქვეშ მოხვდება, და ვინაიდან „დროშკაში“ ორი ცხენი აბია, თუ ერთ ცხენს დაახწიეთ თავი, მეორეს ვერაფრით გადაურჩებით. თხუთმეტი წუთი დაგვჭირდა, რათა თავი გაგვეხწია აქლემებისთვის, რომელთაც ღმის სიბნელეში მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ფანტასტიკური შესახედაობა ჰქონდათ. ხუთ წუთში აბანოს სესასვლელთან ვიყავით. იქ უკვე გველოდნენ. ფინოს დილიდანვე დაეკვეთა ჩვენთვის ერთი ნომერი. წოწოლა ქუდიანმა სპარსელმა ჯერ ერთ გალერეაში გაგვატარა, რომელიც ზედ მორევზე ეკიდა, შემდეგ ვრცელ აბანოში შეგვიყვანა, და როდესაც დავაკვირდი, დავინახე, რომ აბანო მობანავე ქალებით იყო სავსე.

-სამსაბათი, ქალთა დღე, განზრახ ავირჩიე, -თქვა ფინომ, - თუ სიურპრიზია ბოლომდე სიურპირიზი იყოს.

მაგრამ ეტყობოდა, იმ ქალებისთვის ეს არ იყო ისეთი სიურპრიზი, როგორც ჩვენთვის, რადაგანაც მათ სრულიად არ ეტყობოდათ გაკვირვება. მე, ცოტა არ იყოს, სინანულითაც შევატყვე, რომ ჩვენმა გავლამ ამ ქალებზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა. ორმა თუ სამმა, სამწუხაროდ ბებრებმმა და მახინჯებმმა ხელი წამოავლეს ზეწრებს, რომლებსაც მობანავეებს შესვლისას აძლევენ, და სახეები დაიფარეს. უნდა მოგახსენოთ, რომ მათ ჩემზე საზარელი კუდიანების შთაბეჭდილება დატოვეს. ამ საერთო აბანიოში ორმოცდაათამდე ქალი იბანდა. ზოგს პერანგი ეცვა, ზოგი უპერანგო იყო. ზოგი იჯდა, ზოგიც იდგა, ზოგი იცვამდა, ზოგი კი იხდიდა. ეს ყველაფერი იძირებოდა ორთქლში, რომელიც იმ ღრუბელს ჰგავდა, ენეოსს რომ ხელს უშლიდა დედამისი ეცნო, აქ შეჩერება არ იქნებოდა კეთილგონიერება და , მართალი გითხრათ, არც სურვილი მქონდა ამისა, ნომრის კარი ღია იყო და წოწოლა ქუდიანი კაცი მასში გვიწვევდა. შევედით. ჩვენი აბანო ორი ოთახისაგან შედგებოდა. პირველ ოტახში სამი ისეთი ფართო საწოლი იდგა, რომ თითოზე ორი კაცი დაწვებოდა. მეორეში... მაგრამ მეორეში ახლავე შევალთ. აბანოს წინა ოთახში ტანსაცმელს იხდიან. გამოსვლისას წვებიან და შემდეგ იცვამენ. ოთახს შესანიშნავად ანათებდა იატაკზე დადგმული ხის კანდელაბრი ექვსი სანთლით. ტანზე გავიხადეთ, ზეწრები ავიღეთ რათქმა უნდა იმისთვის, რომ სახეები დაგვემალა თუ ქალები გაივლიდნენ, და აბანოში შევედით. უნდა გამოგიტყდეთ, საჩქაროთ უკან გამოვარდი, რადგანაც ჩემს პილტვებს ამ ორთქლში სუნთქვის ძალა არ შესწევდა. მას თანდათან უნდა შეჩვეოდი და ამიტომ წინა ოთახის კარი ღია დავტოვე, რომ ორივე ოტახში ჰაერი გათანაბრებულიყო. აბანოს ინტერიერს ბიბლიური სისადავე აქვს. იგი მთლიანად მოუპირკეთებელი ქვისაა, სამი ქვის ოტხკუთხი აბაზანით. მათში მოდის სხვადასხვა ტემპერატურის თბილი წყალი, ანუ უფრო სწორად ბუნებრივი ცხელი წყალი, და დგას სამი ხის მერხი მობანავეთათვის.

ერთი წუთით ჩემი თავი ფოსტის სადგურზე მეგონა. ამ აბანოს დიდი მოყვარულნი პირდაპირ 40-მდე გაცხელებულ აბაზანაში ჩადიან და შიგ მამაცურად წვებიან. შედარებით ზომიერი ტემპერატურის მოყვარულნი ჩადიან 35-აბაზანაში. ახალბედა მობანავენი კი ფრთხილად და დარცხვენით ჩადიან მესამე აბაზანაში, რომელიც 30 -თაა გამთბარი. შემდეგ ამ უკანასკნელიდან უფრო ცხელში გადადიან, და აქედან კი სულ ცხელში. ამგვარად ისინი შეუმჩნევლად გრძნობენ ტემპერატურის მომატებას. კავკასიაში არის მინერალური წყლები, რომელთა ბუნებრივი ტემპერატურაა 65 ახწევს. ისინი სასარგებლოა რევმატიზმით დაავადებულთათვის და მხოლოდ ორთქლის სახით მიიღება. მობანავე ზეწარზე წევს და ოთხ კაცს ოთხი კუთხით ზედ აბაზანაზე უჭირავს, ამ აბაზანს იღებენ მხოლოდ ექვს-რვა ან ათ წუთს. ათ წუთს მხოლოდ გულმაგარ მობანავეს შეუძლია გაძლება.

ფინო უშიშრად გაემართა ორმოცგრადუსიან აბაზანისკენ. მე ვურჩევ სატანას განსაკუთრებული ქვაბი მოამზადოს იმ დღისთვის, როცა საფრანგეთის კონსული ფინო ჯოჯოხეთში იქნება მიღებული. მე თვითონ კი გაუბედავად გავწიე ოცდაათგრადუსიან აბაზანისკენ და ფრთხილად ჩავედი შიგ. შემდეგ აქედან უფრო გაბედულად გადავედი ჯერ ოცდათხუთმეტგრადუსიან, შემდეგ ორმოცგრადუსიან აბაზანაში. აქედან რომ ამოვედი, მექისეტა ხელში მოვხვდი. სწორედ მაშინ ჩამიგდეს ხელში, როცა ნაკლებად ველოდი. თავის დაცვა რომ მოვინდომე, ფინომ დამიყვირა.

-ნუ გაუძალიანდებით, თორემ რამეს მოგტეხენ!

ასე რომ მცოდნოდა უფრო აქტიურად გაუწევდი წინააღმდეგობას, მაგრამ რაკი წარმოდგენა არაფრისა მქონდა, ადვილად დავნებდი. ჯალათებმა ერთი ხის ტახტსე დამაწვინეს. თავქვეშ

სველი ბალიში ამომიდეს და ხელ-ფეხი გამაჭიმინეს. მერე სათითაოდ ხელებში მეცნენ და სახსრების მტვრევა დამიწყეს. ეს ოპერაცია მხრებიდან დაიწყო და თითების უკანასკნელი სახსრებით გათავდა. შემდეგ ფეხებს მიჰყვეს ხელი. ფეხებს რო მორჩნენ, კეფაზე, ხერხემალზე და წელზე გადავიდნენ. ეს ვარჯიში, რომელსაც თითქოს სახსრების სრული დამტვრევა უნდა გამოეწვია, სრულიადვ ბუნებრივად მიმდინარეობდა და არმცთუ უმტკივნეულო იყო, არამედ ერთგვარად სასიამოვნოც. თუმცა ჩემს სახსრებს თავისდღეში ამგვარი არაფერი განუცდიათ, ისე გაუძლეს ამ მტვრევას თითქოს მთელი სიცოცხლე ასე მევარჯიშოს. პირსახოცით რომ დამკეცონ და კარადის თავზე რო დამდონ, მაინც არაფერი მეტკინება-მეთქი, ვფიქრობდი. ზელვის პირველი ეტაპი რომ დაასრულეს, მექისეებმა შემატრიალეს და ვიდრე ერთი მათგანი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხელებს მიზელდა, მეორე ჩემს ზურგზე ცეკვას შეუდგა, თან დროდადრო ფეხი უცურდებოდა და შლაპუნით იატაკზე ეცემოდა. უცნაური, რომ ეს კაცი, რომელიც ალბათ, ასოცგირვანქას იწონიდა, პეპეკასავით მსუბუქი მეჩვენებოდა. იგი ზურგზე მაძვრებოდა, შემდეგ გადადიოდა, ისევ მაძვრებოდა, და ეს ქმნიდა შეგრძნებათა მთელ ჯაჭვს, რომელიც აუწერელ ნეტარებას მგვრიდა, ისე ვსუნთქავდი, როგორც არასდროს. კუნთებში სრულიად არ ვგრძნობდი დაღლილობას, პირიქით, ისინი უფრო მოქნილნი გახდნენ, ყოველ შემთხვევაში მე ასე მეჩვენებოდა. იმ წუთში სანაძლეოს დავდებდი, რომ გაშლილი ხელებით მთელ კავკასიას ავწევდი. შემდეგ მექისეებმა ხელისგულის ცემა დამიწყეს წელზე, მხრებზე, გვერდებზე, ბარძაყებსა და წვივებზე. მე დავესგავსე ერთგავრ საკრაბს, რომელზეც ისინი რაღაც არიებს უკრავდნენ და ეს არიები ბევრად უფრო მომწონდა, ვიდრე „ ვილჰელმ ტელისა“ და „რობერტ ეშმაკის ყველა არია გარდა ამისა, მათ ის უპირატესობა ჰქონდათ ჩემ მიერ ხსენებული ორი პატივსაცემი ოპერის არიებთან შედარებით, რომ მალბრუკის არია ერთხელაც ვერ ვიმღერე ისე, ათჯერ მაინც რო არ გადამეხია კილოსთვის, ამ აბანოს ხმას კი არცერთხელ არ ავცდენილვარ და სულ მის კილოზე ვაქნევდი თავს. მე იმ ძილში წასული ადამინის მდგომარეობაში ვიყავი, რომელსაც ესმის, რომ სძინავს, და რადგანაც ეს დიდ სიამოვნებას ჰგვრის, ყველანაირად ცდილობს, არ გამოფხიზლდეს. სამწუხაროდ ტანის ზელვა დამთავრდა და ახლა უკანასკნელ ეტაპზე გადავიდნენ. ეს არის გასაპნვა. ერთმა მექისემ იღლიაში ამომიდო და ისე წამომსვა, როგორც არლეკინმა პიერო. როცა გადაწყვიტა, მოვკალიოო. ამასობაში მეორე მექისემ მარჯვენა ხელზე ძუის თათმანი წამოიცვა და ტანის ზელვა დამიწყო. მეორე კი ამ დროს ორმოცგრადუსიანი აბაზანიდან ვედროთი წყალს იღებდა და კეფაზე და ზურგზე მასხავდა. მალე ქისიანმა კაცმა აგადწყვიტა, ჩვეულებრივი წყალი საკმარისი აღარ არისო და აიღო პარკი. უეცრად დავინახე, რომ პარკი გაიბერა და გამოუშვა საპნის ქაფი, რომელშიც თავით ფეხებამდე გავეხვიე ოდნავ თვალები მეწვოდა, თორემ ამგვარი სასიამოვნო გრძობა ჯერაც არ განმიცდია. როგორ მოხდა, რომ პარიზში, ამ გრძნობიერ სიტკბოებათა ქალაქში ჯერ არავინ შემოიღო სპარსული აბანო? ნუთუ ვერც ერთმა სპეკულანტამ ვერ გამოიწერა თბილისიდან ორი მექისე? თან ფილანთროფულ მიზანს განახორციელებდა, და რაც უფრო უეჭველია, აურაცხელ სიმდიდრეს დაიგროვებდა. როცა თავით ფეხებამდის რძესავით თბილსა და თეთრ, ჰაერივით მსუბუქ ქაფში გამხვიეს, აბაზანასტან მიმიყვანეს სადაც ისეთი განუსაზღვრელი გატაცებით ჩავხტი, თითქოს მასში დასახლებული ყოფილიყვნენ ნიმფები, ჰილასი რომ მოიტაცეს. ყველა ჩემი ამხანაგი ჩემსავით დაბანეს, მაგრამ მე მხოლოდ საკუთარი თავით ვიყავი გართული. მხოლოდ აბაზანაში ვიგრძენი ტავი ისე, თითქოს გამეღვიძა და ერთგავარი ზიზღის გრძნობით ისე შევხედე გარეშე საგნებს. დაახლოებით ხუთ წუთს დავრჩით აბაზანაში და შემდეგ გამოვედით. წინა ოთახის ტახტებზე გრძელი ქათქათა ზეწრები იყო გაშლილი. ერთ წუთს თითქოს შეგვცივდა, მაგრამ ამანაც ახალი სიამოვნება გვაგრძნობინა. ტახტებზე რომ დავწექით, ჩიბუხები დაგვირიგეას. ახლა მესმის, რას ნიშნავს თამბაქოს წევა აღმოსავლეთში, სადაც თუთუნი ნელსურნელებას წარმოადგენს. აქ ბოლი სურნელოვან წყალში და ამბრის ღეროში გადის. ჩვენი „კაპრალი“ კი თიხის ჩიბუხში მიედინება, ხოლო ჩვენი ალირიდან თუ ბელგიიდან შემოტანილი ვითომ და გავანის სიგარა, რომელსაც იმდენსავე ღეჭენ, რამდენსაც ეწევიან, ღმერთმა შეინახოს!

შეგვეძლო აგვერჩია ყალიონი, ჩიბუხი და ჰუკა, და ჩვენი სურვილის თანახმად თურქი, სპარსელი ან ინდოელი გავმხდარიყავით. მაშინ, ამ საღამოს რომ არაფერი დაჰკლებოდა, ერთმა მეაბანოემ ხელში რარაც გიტარის მსგავსი საკრავი აიღო, რომელიც ერთ ფეხზე ტრიალებდა იმგვარად, რომ ქამანდი კი არ ეძებდა სიმებს, არამედ სიმები ქამანდს, და დაუკრა სევდიანი ჰანგი საადის ლექსების აკომპანიმენტზე. ამ მელოდიამ ისე ტკბილად დაგვარწია, რომ თვალები მოვლულეთ და ხელიდან გავიცვივდა ვის ყალიონი, ვის ჩიბუხი და ჰუკა. იმ თვე-ნახევრის განმავლობაში, რაც თბილისში დავყავი, ყოველ ორ დღეში ერთხელ სპარსულ აბანოში დავდიოდი.

თავი XXXVI
თავად წავჭავაძის მეუღლე

ფინო დამპირდა, თავად ჭავჭავაძის მეუღლესთან წაგიყვანო, მაგრამ პირველ მისვლაზე იგი შინ არ დაგვხვდა. ფინომ აბანოს მიღების მეორე დღესაც გამოგვიარა ნაშუადღვის ორ საათზე. ამჯერად მასპინძელი შინ იყო და მიგვიღო.

თავად ჭავჭავაძის მეუღლე საქართველოში, ამ ლამაზი თვალებით სახელგანთქმულ ქვეყანაში, ცნობილია, როგორც ულამაზესი თვალების მქონე მანდილოსანი. მაგრამ შეხედვის თანავე გაოცებთ მისი წმინდა ბერძნული პროფილი, უკეთ რომ ვთქვათ, მისი წმინდა ქართული პროფილი, რაიცა გულისხმობს ბერძნულ სიწმინდეს, თუ მას სიცოცხლე მიუმატეთ. საბერძნეთი არის გალათეა, ოღონდ მარმარილოსი, საქართველო კი სულჩადგმული და ქალადქცეული გალათეაა. ამ საუცხოო პროფილიდან თავადის მეუღლის სახეს ღრმა სევდის იერი გადაჰკრავს. რა უნდა იყოს საწყისი ამ მელანქოლიისა, ის ხომ ბედნიერი ცოლი და მრავალი შვილის დედაა? იმიტომ ხომ არ არის ის სევდიანი, რომ ბუნებამ ისურვა მეტისმეტად დიდი სილამაზით დაეჯილდოებინა, როგორც ზოგიერთ ყვავილს აჯილდოვებს იმდენად დიდი სილამაზით, რომ მათ სურნელების გარეშე არსებობა აღარ შეუძლიათ? ან იქნებ დღემდე გრძელდება მოგონება იმ საშინელი შემთხვევისა, რომლის მიზეზუითაც თითქმის ერთ წელიწადს იყო თავს იჯოხს მოშორებული? უცნაური ის არის, რომ ამ წარჩინებულმა ტყვე ქალმა შამილსადმი ნამდვილი ახტაცება შეინარჩუნა. ეს არის მაღალი თვისებების მქონე ადამიანი და მისი სახელი სრულიადაც არ არის გაზვიადებულიო, - მითხრა თავადსის მეუღლემ.

მინსდა დაწვრილებით გიამბოთ ამ მოტაცების ამბავი, რაც შამილისაგან დიდი ხნით ადრე იყო მოფიქრებული თავისი შვილის ჯემალ-ედინის დაბრუნების მიზნით. ჯემალ-ედინი, როგორც ამ წიგნის დასაწყისში მოგახსენეთ, რუსეთის კარზე მძევლად იყო დატოვებული, მაგრამ იგი ტყვეობაში თავს ბედნიერად თვლიდა და როგორც კი უბედური ახალგაზრდა კაცი გაამნთავისუფლეს, მაშინვე გარდაიცვალა დარდისგან.

თავად ჭავჭავაძის მეუღლეს თბილისიდან ორმოცდახუთი ვერსის დაშორებით საუცხოო მამულ;ი აქვს, რომელსაც წინანდალი ეწოდება. ეს მამული მდებარეობს იმ მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, რომლის გასწვრივაც ჩვენ ნუხიდან ცარსკი-კოლდცებამდე ვიმოგზაურეთ. კახეთის ეს ერთ-ერთი საუცხოოო კუთხე თელავიდა რამდენიმე ვერსზე მდებარეობს. თავადის მეუღლეს ჩვეულებად ჰქიონდა თბილისიდან წინანდალში გადასახლება მაისში და იქ ოქტომბრამდე დარჩენა. 1854 წელს ლეკების თარეშზე ხმები დადიოდა და თვადის მეუღლეს ჩვეულებრივზე მეტად შეაგვიანდა თბილისში. თავადი სთხოვდა, ცოტახანს კიდევ შეეცადა, ვიდრე ცნობებს შეაგროვებდა. ცნობები, რომელთაც თავადი ენდობოდა, დამამშვიდებელი აღმოჩნდა და გადაწყდა თბილისიდან 18 ივნისს წასვლა. ქალაქიდან სოფელში გადაბარგება დიდ საქმეს წარმოადგენს აზიაში, სადაც თვით ყველაზე უფრო მდიდრებსაც თითქოს ყველაფერი ხოლოდ სადღეისოდ აქვთ მზად. მათ ქალაქისა და სოფლის სახლი ერთდროულად არა აქვთ მოწყობილი. როცა მამულში მიდიან, ავეჯი თან მიაქვთ; ხოლო როცა ბრუნდებიან,

უკან ჩამოაქვთ ქალაქში. გარდა ამისა, თბილისში ხომ ძნელია სანოვაგის შოვნა, სოფელში უარესი მდგომარეობაა და ყველაფერი თბილისიდან უნდა წაიღო: ჩაი, შაქარი, საბაყლო სანოვაგე, ფართალი მოსამსახურეთათვის და სხვა. ყოველივე ამას ალაგებენ ურმებში, რომელთაც წინ მიუძღვის ტარანტასი. კავკასიის გზებზე მხოლოდ ურმები და ტარანტასები დადიან.

გამგზავრება დანიშნული იყო კვირა დღეს, მაგრამ სადგურში ცხენები არ აღმოჩნდა. რუსეთში საფოსტო სადგურებზე ვერასოდეს ცხენებს ვერ იშოვი. მე მოგზაურობის ოთხი თვ ის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ სრული ერთი თვე ცხენების ცდაში დაგვეკარგა. რაკი კვირას ცხენები არ იყო, ორშაბათს უნდა წასულიყვნენ, მაგრამ ორშაბათი იქ იგივეა, რაც პარასკევი საფრანგეთში. მძიმე დღეა და ამიტომ მხოლოდ სამშაბათს გავიდნენ თბილისიდან. პირველ დღეს ორი ურემი გაუტყდათ, მეორე დღეს ტარანტასი გაფუჭდა. მაშინ ურემზე თივა გაშალეს, ნოხები გადააფარეს და თავადის მეუღლეს სამი უმცროსი შვილით, ოტი წლის თამარით, წლისა და ორი თვის ალექსანდრეთი და სამი თვის ლიდათი მასზე მოთავსდა. ორი უფროსი შვილი სალომე და მარიამი მეორე ურემში ისხდნენ ფრანგი აღმზრდელის ქ-ნ დრანსეს თანხლებით. ქარავანს მეთვალყურეობდა ცხენზე მჯდომი თავადი ჭავჭავაძე.

მეორე დღის ორ საათზე უკვე მამულში იყვნენ. სასახლე მდებარეობს მაღლობ ადგილზე, რომელსაც მისადგომი მხოლოდ ერთი მხრიდან აქვს, ესაა საკმარისად დამრეცი ბექობი. მეორე მხრიდან მიუდგომელია, რადგანაც მისი დაკიდული კლდე პირდაპირ უფსკრულში იყურება. თერთმეტი მილის გავლას თავადის მეუღლემ თვრამეტი საათი მოანდომა და თქვენ განსაჯეთ, თუ როგორია ესოდენ ნაქები მიმოსვლის სისწრაფე რუსეთში. ალ;ბათ, იტყვით, საქართველ;ო ხომ რუსეთი არ არისო, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რუსეთში ის ამავე მანძილის გავლას ოცდათექვსმეტ საათს მოანდომებდა.

წინანდალი ივნისის თვეში ფერიების სასახლე გეგონებათ: აქ ერთმანეთში არეულია ყვავილები, ყურძენი, ბროწეული, ლიმონი, ნარინჯი ცხრატყავა, ვარდები. მცენარე და ხილი ერთდროულად ყვავის, იფურჩქნება და მწიფდება. ჰაერი გაჟღენთილია მრავალი ერთმანეთში არეული სურნელებით. ქალები და ბავშვები ხარბათ მოეფინნენ ამ დიდი ედემის ბაღს, თითქოს ქალაქის ყვავილები და ხილი შეერიაო სოფლის ყვავილებსა და ხილს. ქალბატონ ანა ჭავჭავაძეს წინანდალში დაბარებული ჰყავდა თავისი და, თავადი ორბელიანის მეუღლე, რომელიც ორი დღის შემდეგ ცამოვიდა ვაჟიშვილით- შვიდი წლის გიორგითა და დისშვილით-თავადი ბართაშვილის ასულით. მან თან ჩამოიყვანა ორი ძიძა და ორი მოახლე გოგო. თვითონ თავადის მეუღლე მგლოვიარეთ იყო, რადგანაც მისი მეუღლე თვადი ილიკო ორბელიანი ამ ცოტახნისწინათ ტურქებტან ომში დაღუპულიყო. მათ თან ახლდა ანა ჭავჭავაზის მოხუცი დეიდა თვადის მეუღლე თინა.

სწორედ ამ დროს თავად ჭავჭავაძეს განკარგულება მისცეს ციხე-სიმაგრეს უფროსობა მიეღო წინანდლიდან ორი დღის სავალზე. ამ დანიშვნამ ანა შეაშფოთა, ქმართან დაშორების ერთგვარმა შიშმა შეიპყრო. მაგრამ ქმარმა დაამშვიდა, ბრძანებაა მოსული, თბილისიდან თელავში ჯარი გაიგზავნოსო. გარდა ამისა, რამდენიმე დღე იყო, რაც გადაუღებლად წვიმდა, ალაზანი ადიდდა და ლეკების გადმოსვლა მდინარეზე თითქმის შეუძლებელი გახდა. თავადი დანიშნულების ადგილზე წავიდა, სამი დღის შემდეგ კი მისმა მეუღლემ ქმრის წერილი მიიღო, ხუთი თუ ექვსი ათასი ლეკი უტევს ციხე-სიმაგრეს, რომელსაც მე ვიცავო. მაგრამ თან ამშვიდებდა, ციხე მაგარია, გარნიზონი მამაცი, შიში არ არისო. თვითონ თავადი რომ ასე დამშვიდებული არ ყოფილყო, აუცილებლად ურჩევდა მეუღლეს წინანდლიდან გაქცევას. ქალბატონ ჭავჭავაძეს ქმრის სახიიფათო მდგომარეობა უფრო აფიქრებდა, ვიდრე თავისი. პირველ ივლისამდე ყოველივე კარგად მიდიოდა. საღამოზე თელავის მიმართულებით უშველებელი ანშუქი გამოჩნდა. თელავს მაღლიდან გადახედეს, რომ მთელი ქალაქი ცეცხლის ალში გახვეულიყო. ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ ეს ლეკების ნახელავი იყო. თავადი შეცდა

წინასწარმეტყველებაში: ლეკები ალაზანზე გადმოვიდნენ. საღამოს თერთმეტ საათზე სასახლეში გლეხები შეგროვსდნენ. ისინი მზად იყვნენ მტრის მოსაგერიებლად და უნდოდათ ქალბატონი დაერწმუნებინათ, მათთან ერთად ტყეში გახიზნულიყო. მაგრამ თავადის მეუღლემ ამაზე უარი თქვა იმ საბუთით, ქმარმა დამიბარ,სასახლე არ მიატოვო, ვიდრე მე არ შეგატყობინებო. დილას გლეხებმა ტავს უშველეს. დღის ორ საათზე ახლა მეზობელი სოფლის გლეხები მოვიდნენ თავადის მეუღლესტან და დაუწყეს ხვეწნა, ტყეში წავიდეთო. გლეხები ფიქრობდნენ, ბარგის წაღებასაც ვეღარ მოვასწრებთო, ისე რომ, მნთელ ავლა დიდებას სოფელში სტოვებდნენ. საღამოზე ბანიდან გადახედეს და შეამჩნიეს რომ ცეცხლი გაძლიერებულიყო და უფრო ახლოს ჩანდა. ცეცხლის წრე შიშს იქწვევდა. თავადის მეუღლე ხალხი რჩევას დაეთანხმა და დაიწყო ვერცხლის, სამკაულების და ყველაზე ძვირფასი საგნების ჩალაგება. ღამის თორმეტ სააათზე თავადის ერთმა გლეხმა, სახელად ზურიკამ, ითხოვა, დასაზვერად გამიშვითო. ქალბატონმა ნება მისცა და ბიჭი სამი საათის შემდეგ უკან დაბრუნდა. ლეკებს მისთვის სროლა აეტეხათ. სამ-ოთხ ადგილას ტანისამოსი გახვრეტილი ჰქონდა. მაგრამ ლეკები ალაზანზე როდი გადმოსულიყვნენ, როგორც მათ ეგონათ. ისინი მდინარის გაღმა დაბანაკებულიყვნენ. ცეცხლი კი თურმე მარცხენა ნაპირზე პურის ძმებს ეკიდა. მოტანილ ამბავში დამამშვიდებლი ის იყო, რომ თავადის თქმისა არ იყოს, ჩანდა, ლეკები მართლა ვერ გადმოსულიოყვნენ ალაზანზე. ზურიკას დაბრუნებამდე ცოტახნით ადრე სასახლეში ერთი სომეხი ვაჭარი მოვიდა, თან მნიშვნელოვანი ტანხა მაქვს და გზის გაგრძელებას ვერ ვბედავ,- თქვა მან. მაგრამ ეს კაცი ისეთი გამოთქმით ლაპარაკობდა სომხუარდ, რომ მთიელი უნდა ყოფილიყო. ქალბატონმა ტავის კაცებს უბრძანა, მოსულისთვის იარაღი აეყარათ, ხოლო თუ გაქცევას მოისურვებდა, კიდევაც ესროლათ მისთვის. მ,აგრამ ხომ შეიძლებოდა, რომ შემცდარიყვნენ, ამიტომ დასძინა, ვახშმი ეჭმიათ და მზრუნველობა გაეწიათ. გაქცევა გადაწყვეტილი იყო დილის ექვს საათზე. თელავში ცხენებისთვის ორი შიკრიკი დაადევნეს ერთმანეთს, მაგრამ ორივემ ერთი და იგივე პასუხი მიიღო. ერთი ცხენიც არა გვყვავს, მხოლოდ კვირას გვეყოლება შვიდ საათზეო.

მთელი დღეს სკივრებში ბარგს ალაგებდნენ. ზურიკა დაჟინებით მოითხოვდა, ახლავე წავიდეს ქალბატონი, თუნდაც ფეხითაო. ბარგს მეორე დღეს დავაწევთო. იმ დღეს კიდევ რამდენიმე გლეხი გამოვიდა ტყიდან, რომ ქალბატონი მათთან შეერთებაზე დაეთანხმებინათ, მაგრამ თავადის მეუღლემ უპასუხა, ხვალ დილას, როგორცკი ცხენებს მომგვრიან დაუყოვნებლივ წავალო. საღამოს ყველაფერი მზად იყო, რომ დილას სასახლიდან გასულიყვნენ. ყველა გრძნობდა ერთად ყოფნის აუცილებლობას. ყველანი ქ-ნ ბარბარეს ოთახში შეგროვდნენ, ბავშვები ხალიჩებზე დააწვინეს და სანთლები ჩააქრეს. შემდე, როცა შეატყვეს, რომ სიცხისა და სიბნელის გამო შეუძლებელი იყო დიდხანს ჯდომა ამ ტავისებურ ტყვეობაში, აივანზე გამოვიდნენ. აქედან კარგად ჩანდა ცეცხლი, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა. ხანძარი იმოდენა შუქს ფენდა, რომ ლეკების შემოსვლის შემთხვევაში სრულიად შეუძლებელი იქნებოდა ჩუმად გაქცევა.

დილის ოთხი საათი იქნებოდა, როცა ბაღისმხრიდამ თოფის ხმა გაისმა და შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. ეს თავდასხმას არ ჰგავდა, რადგანაც მხოლოდ ერთხელ გიგონეს სროლა. მაგრამ ეს შეიძლებოდა ნიშანი ყოფილიყო. ფრანგმა აღმზრდელმა ქ-მა დრანსემ ბაღში ცასვლა გაბედა და მიუახლოვდა სამრეკლოს, რომელიც მოშორებით იდგა ვენახში. იქიდან დაინახა, რომ ტყის პირზე ხევთან ერთი კაცი იდგა თოფით ხელში. ვინ იყო, მტერი თუ მოყვარე? ქ-მა დრანსემ ვერ გაიგო, მაგრამ კარგად შეამჩნია, რომ თავადის არცერთკაცს არ ჰგავდა. უცნობი სასახლის მიმართულებით გაუჩინარდა. მაშინ ქალი ხევის ნაპირზე ავიდა, საიდნაც ჰორიზონტი ფართოდ მოჩანდა. თავდაპირველად ვერაფერი შეამჩნია, მაგრამ, როცა ჰორიზონტს თავლი გამოაყოლა, დაინხა, რომ ღელე, რომელიც ხევში მიედინებოდა, ძალიან შემცირებულიყო. მეორე ნაპირზე ორ კაცს ცხენები მოჰყავდა, ეტყობოდათ ფონს ეძებდნენ, რომ გამოღმა გამოსულიყვნენ.

ქ-ნი დრანსე ძალზე შეშფოთებული დაბრუნდა სასახლეში. აშკარა იყო, ყველა ეს ნიშნები ლეკების თავდასხმას მოასწავებდა. მან მოინდომა ქ- ნ ანასთან შესვლა, მაგრამ დაღლილ ქალბატონს ცოტა ხნით ჩასძინებოდა. მაშინ ქალი ქ-ნ ბარბალესთან შევიდა და ნახა, რომ ის ლოცულობდა. მეტი რა გზა ჰქონდა საბრალო ქვრივ ქალს, რომ აღარც ელოცნა?

-რა უნდა ვქნათ, ჩემო კარგო? - უთხრა მან, - უნდა დაუცადოთ ცხენებს, და როგორც კი გამოგვიგზავნიან, ადგილოდნ დავიძრათ.

ხუთ საათისთვის ქალბატონის მოახლეებმა ჩაის მზადება დაიწყეს. ჩაი მნიშვნელოვანი რამაა რუსეთის ყველა მცხოვრებისთვის. ყველა სახლში პირველად სამოვრის ცეცხლი შემოგანათებს. სამოვარი პირველი სიტყვაა, რომელსაც მსახური გაღვიძებისას წარმოთქვამს. პეტერბურგიდან თბილისამდე შეიძლება უსაუზმოდ იოლად წახვიდე, თუ დილას ორი ჭიქა ჩაი გაქვს, შეიძლება უსადილოდაც გასძლო, თუი საღამოზეც ორი ჭიქა ჩაი დალიე.

ხუთ საათზე თელავიდან თავადის სახლის მკურნალი ჩამოვიდა. ის ჩქარობდ, უნდოდა ქალბატონისთვის ერჩია, რაც შეიძლება სწრაფად გაიქეციო. თუ ცხენით წახვალთ, აგერ ჩემი ცხენი ინებეთ, თუ ფეხით გაიქცევით ყველანაირად დაგეხმარებითო. ან ცხენით როგორ გაიქცეოდა ქალბატონი, ან ფეხით. როცა გარს ექვსი თუ შვიდი ბავშვი ეხვია, რომელთაგან ორი ძუძუთა იყო. როგორ ივლიდა ფეხით მოხუცი დეიდა თინა? როგორც არ უნდა სდომებოდა დაშინებოდა, ერთ ვერსსაც ვერ გაივლიდა საბრალო.

ამასობაში ეტლები დატყვირთეს. თავადის მეუღლის ნივთები უკვე ჩალაგებული იყო, რომ უეცრად შემზარავი ყვირილი გაისმა:

-არიქაა, ლეკები!

ერთ წუთში ენით აუწერელი ორომტრიალი ატყდა. ექიმმა თოფს ხელი წამოავლო და ქალბატონის რამდენიმე მსახურთან ერთად ეზოში გავარდა მტრის შესახვედრად. ქალები სხვენში ჩაიკეტნე იმ იმედით, ლეკები მხოლოდ ქვედა სართულებს დაარბევენ და ზემოთ ამოსვლას ვერ მოიფიქრებენო. როცა ყველაზე ბნელ კუთხეში შეგროვდნენ, გაისმა ქალბატონის ხმა:

-ვილოცოთ, სიკვდილი გვიახლოვდება.

მართლაც, ლეკები უკვე შეცვივდნენ სახლში. წარმოიდგინე სხვენის კუთხეში შეყუჟული სამი თავადის მუღლე, რომელთაგან ერთი სამოცი წლისა იყო, თორმეტამდე ქალი, რომელთა შორის თვად ჭავჭავაძის მამის ძიძა, ასი წლისა იყო და შვიდი-რვა ბავშვი, რომელთაგან სამი ჩვილი იყო. მოიგონეთ კუანიეს „უმანკოთა ჟლეტა“, დები რომ თავიანთ პატარებს გულში იკრავენ. ზოგი ლოცულობს, ზოგი ქვითინებს, ზოგი ხმამაღლა მოსთქვავს. რამდენიმე ბავშვი საკმარისად მოზრდილი იყო და ყველაფერი ესმოდა იმ გოგონას მსგავსად, მიქელ-ანჟელოს „განკითხვის დღეში“ შიშისაგან დედის სამოსში რომ უნდა, უკან შეძვრეს. ბავშვები გარს ეხვევიან თვადის მეუღლეს და გაკვირვებულნი გარშემო აცეცებენ გაფართოებულ თვალებს.

უკვე მოისმოპდა ლეკების ყვირილი, ფანჯრებისა და სარკეების მსხვრევის ხმა, ვერცხლეულის წკრიალი, ავეჯის მტვრევა. ორიროიალი გმინავდა ლეკების ხელებქვეშ, შეძრწუნებული ამ არტისტული ალერსისაგან. სხვენის სამერცხულიდამ ბაღი მოჩანდა. იგი ივსებოდაგაშმაგებუილი სახეებით, რომელტაც ტავზე ყაბალახები და ფაფახები ჰქონდათ. ხევის ფერდობზე, უქწინ რომ მიუდგომელი ეგონათ, ახლა ლეკები მოცოცავდნენ და ცხენებს მოათრევდნენ. ცხენებიც თითქოს ტავიანთი პატრონებივით ქაჯების მოდგმისა იყვნენ. მუხლმოდრეკილი ქალები ღმერთს ევედრებოდნენ. თავადი წავჭავაძის მეუღლე გულში

იკრავდა თავის უმცროს ქალს სამი თვის ლიდას, სუსტსა და ყველაზე საყვარელ არსებას. როცა კიბეზე ლეკების ხმა გაისმა, რმდენიმე ქალმა სხვენის კარებთან მიირბინა და მიაწვა. მაშინ ტავადი ორბელიანის მეუღლე წამოდგა, დლოცა თავისი შვილი თავადი გიორგი და განცვიფრებული ზეიმურობით დადგა კარის წინ. პირველად მე დამინახავენ ლეკები და პირველი მსხვერპლიც მე ვიქნებიო, - ფიქრობდა ქალი. ძველ მოწამეთა მსგავსად მას უნდოდა თავისი დისა და სხვა ქალთათვის ეჩვენებინა, თუ როგორ უნდა სიკვდილი ღვთის ვედრებაში. ამ ქალისთვის ეს უფრო ადვილი იყო, ვიდრე სხვისთვის, რადგანაც სამი თვის წინათ იგი სამუდამოდ გამოეთხოვა მეუღლეს. რომელსაც თაყვანსცემდა და უკანასკნელი წუთები მისთვის სიკვდილი კი არა, მის მეუღლესთან შეკავშირება იყო.

ლეკების ნაბიჯები თანდათან ახლოვდებოდა. მალე მათ ფეხქვეშ სხვენზე მიმავალი ხის კიბის ჭრიალი გაისმა. აგერ, კარი შეარყია მათი მუშტების ცემამ. კარი არ ნებდება და ლეკებს უკვირთ. ბოლოს მიხვდებიან, თუ რა უშლით ხელს და რამდენიმე ტყვიას გზავნიან ფიცრის სიმაგრეში. ერთ ქალს სისხლი სდის, ის ეცემა, დანარჩენები მოწინააღმდეგე მხარეს გარბიან, კლარი იღება... და ყველანი სიკვდილის, არა, სიკვდილზე უარესის-ტყვეობის ინაშე აღმოჩნდებიან. მაშინ თითო ლეკი ალალ ბედზე თითო ქალს იღცევს და გასასვლელისკენ მიათრევს. კიბე, რომელზეც ქალბატონებს მიათრევენ, ჩაიქცევა და ლეკები, ქალები, ბავშვები, ყველანი ერტად ქვედა სართულში ცვივიან. იქ საშინელი ზედახოცვა შეიქმნება. ყოველ ლეკს საუკეთესო ნადავლი უნდა დაიჩემოს, რადგანაც ეს უფრო ხელსაყრელია. ელავენ ხანჯლები, ჭექენ დამბაჩები.

როცა მ საზარელიო სცენის მოქმედმა პირებმა გარშემო მიმოიხედეს, დაინახეს, რომ თავადი ჭავწვაძის მეუღლე მიწაზე ეგდო კასანდრეს მსგავსად ჩამოშლილი სავი, აბრეშუმისებრი საუცხოო თმით და გულზე იკრავდა სამი თვის გოგონა. დედას ტანისამოი მთლიანად შემოძარცული ჰქონდა, გარდა ქვედა ტანისა. ბავშვი შეუხვეველი იყო, პერანგის ამარა. აქვე ტრიალებდნენ ლეკთა ცხენები და ყოელ წუთში გათელას უქადდნენ. ფრანგი ქალი თათარს ჰყავდა დატყვევებული და მას ორი ნუკერი დარაჯობდა. დრანსეს საბრალო თავადის მეუღლეს მივარდა და შესძახა:

-ქალბატონო, ქალბატონო!

ქალბატონმა სასოწარკვეთით თავი მაღლა ასწია და შეჰყვირა:

-ბავშვები! ბავშვები!

-მარი უკვე ცხენზეა, სალომე წინ არის, - უპასუხა ქ=მა დრანსემ, მაგრამ იმავე წუთში ერთმა ნუკერმა გაშმაგებით ხელი სტაცა და უკანგაათრია.

ფრნგი ქალის ყვირილზე, „ქალბატონო, ქალბატონოო“, ლეკები მიხვდნენ, რა მნიშვნელოვანი ტყვე იყო მიწაზე გართხმული და ოთხმა თუ ხუთმა კაცმა მას მიაშურა. ამ დროს ხანჯლებმა იელვეს და ორი ლეკი დაეცა. გამარჯვებულმა ქართულად იკითხა:

-ვინ ხარ? თავადის ცოლი?

-დიახ, - უპასუხა ქალბატონმა, - ჩემი ვაჟი! ჩემი ვაჟი!

ლეკმა დედას ცხენზე მჯდომი ვაჟი დაანახა. მაშინ ქალმა, ბედნიერმა რომ შვილს ცოცხალს ხედავდა, ალმასის საყურე სეიხსნა და ავაზაკს აჩუქა. შემდეგ გულშეღონებული, სიკვდილის პირას მისული უკან გადავარდა. ეზოს მეორე კუთხეში თავადი ბარათაშვილის თვრამეტი წლის მშვენიერი ასული უკვე ცხენზე იჯდა. მის ტნისამოსს არავიტარი ცვლილება არ ეტობოდა. კაბა, ქართული ქუდი, ლეჩაქი ისე ჰქონდა შენახული, თითქოს ის იყო ეკლესიიდან

გამოსულიყო. მოხუცი დიდა თინა კი პირიქით, საცოდავ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მას თითქმის მთლიანად შემოძარცოდა ტანსაცმელი. სახეს ჩამოწეწილი თმა უფარავდა. რაც შეეხება, ასი წლის მოხუც ძიძას, ნახევრად შიშველ ხეზე იყო მიბმული და ისიც მხოლოდ მეორე დღეს მოხსნეს. ლეკებს ეს მოხუცები არ წაუყვანიათ.

რბევასა და საშინელებას სასაცილო ამბავი მოჰყვა: ვისაც რა შეეძლო, ის მიჰქონდა, ანგარიშ მიუცემლად. ზოგი სალებს იტაცებდა, ზოგი ჭურჭელს, ზოგი სამკაულს, ზოგი არშიებს. ლეკები ეგმოს უსინჯავდნენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ: ბანქოს სათამაშოთ განკუთვნილ ცარცს, ფერ-უმარილს. ერთნაირად ბოთლებით იყუდებდნენ ვარდისა და აბუსლათინის ზეთს. ერთი ლეკი ულამაზეს ვერცხლის ლანგრებს ამტვრევდა, რათა ისინი თავის ტომარაში უკეთ ჩაეტია. მეორე შაქარს, ყავას, ჩაის იმარაგებდა და ამ უბრალო სანოვაგისათვის უყურადღებოთ სტოვებდა უფრო ძვირფას ნივთებს. მესამე გულდაგულ მალავდა სპილენძის შანდალსა და ძველ ხელთათმან. ეს იყო ბარბაროსული, საზარელი, მაგრამ ამავე დროს სასაცილო სანახაობა.

ასე, ერთი საათი რომ გავიდა, უფროსებმა წასვლის ნისანი მისცეს. ლეკებმა ქალები ცხენებზე შემოისვეს და ქარავანი დაიძრა. თავად ჭავჭავაძის მეუღლე, რომელსაც ხელში თოთო ბავშვი ჰყავდა, რატომღაც ქვეითად დატოვეს.

თავი XXXVII
თყვე ქალები

ავაზაკები ხევისკენ მიმავალ ვიწრო ბილიკს დაჰყვნენ. თავადის ეტლებიც ამ გზაზე იდგნენ, ლეკებმა მათ ცეცხლი შეუნთეს და დასწვეს. წყალზე ცხენებით გადავიდნენ, გარდა თავად წავჭავაძის მეუღლისა, რომელიც ფეხით მიდიოდა და ხელში პატარა გოგონა ეჭირა. შუა წყალში თავადის მუღლემ მძაფრმა ტალღამ წააქცია და ის ერთ ხანს ლოდებს ებღაუჭებოდა, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეუშვია ხელი ბავშვისთვის. ორი კაცი ცხენიდან გადმოხტა და ფეხზე წამოდგომა უშველა. შემდეგ ძალით შეუსვეს ერთნ ლეკს უკან. ცხენიდან რომ არ გადმოვარდნილიყო, ქალს ერთი ხელი მხედრისთვის უნდა შემოეხვია, მეორე ხელში კი პატარა ეჭირა. მიუხედავთ მთელი თავისი დედობრივი ძალებისა, გრძნობდა, რომ ხელი უბუჟდებოდა. თანდათან ისე გაუშეშდა ხელი, რომ ბავშვუი ჩამოუცურდა და ყოველ ნაბიჯზე უნაგირს ეხეთქებოდა.

-ღვთის გულისათვის, ღვთისგულისათვის მჰმადისგულისათვის! - ყვიროდა საცოდავი დედა, - თუ შეიძლება რამე მომეცით ბავშვი დავიბა, ლამის ხელიდან გამივარდეს!

პატარა ლიდას უფროსი ძმა- წლისა და ორი თვის ბიჭი ძიძისთვის მკლავებიდან გამოეგლიჯათ და შუა ეზოში დაეგდოთ. მაგრამ ის ქალბატონის ერთმა ოჩაღმა მოახლე გოგომ, სახელად ლუციამ აიყვანა, წყალი დაალევინა და დააშოშმინა. თავადი გიორგი ორბელიანი ტავის ძიძას დაუტოოვეს. ის უკვე მაგარი და ღონიერი ბავშვი იყო და ამიტომ მოეწონათ ლეკებს. ძიძამ თოკი მოითხოვა და ბავშვი ზედ მაგრად მიიკრა. სალომე და მარი დააშორეს თავიანთ აღმზრდელებს ქ-ნ დრანსეს. აქ თავი იჩინა ამ ბავშვთა განსხვავებულმა ხასიათმა: ამაყი და ფიცხი სალომე იმუქრებოდა, მის მომტაცებელ ლეკს პატარა მუშტებს ურტყამდა, წყნარი და სათნო მარი კი შიმშილს შეეწუხებინა და საცოდავად ტიროდა. ერთმა პატარა ლეკის ბიჭმა შეიცოდა და ვაშლი მიაწოდა:

-აჰა, დაიჭი, თქვენ, ქართველები შეჩვეულნი ხართ ყოველდღე ჭამას.

მარიმ გამოართვა ვაშლი და შეაჭამა.

ლეკებმა ბატონებთან ერთად მათი გლეხის ბიჭი ილოც მოიტაცეს ეს ორი ბავშვი შემთხვევამ ერთმანეთს დაუახლოვა. გოგონა ერთ ლეკს უჯდა უკან. ბიჭმა დაუძახა მარის, რომელმაც იცნო და ბავშვებმა ტიტინი და სიცილი გააბეს. ოთხი ლის თამარი შეჩვეული თავად ორბელიანის მეუღლეს, რომელიც გოგონას დედის მაგივრობას უწევდა, გჰკიოდა და კეთილ ბარბარეს უხმობდა. ლეკებს მისი ყვირილი მობეზრდათ, გოგონას ტომარში უკრეს თავი და ცხენოსანს მიაბეს უნაგირზე. მალე ბავშვი დამშვიდდა და ჩაიძინა.

რაზმი საკმარისად მრავალრიცხოვანი იყო, იი შედგებოდა თითქმის სამიათასი ლეკისაგან. ცხენოსნები არავიტარ გზას არ მიჰყვებოდნენ. გადადიოდნენ მინდვრებზე, ლეწნენ ვენახებს, თელავდნენ ყანას. ბოლოს მიადგნენ მდინარეს, რომლის ადიდებამ ასე დაამშვიდა თავადი. წყალი ისევ ადიდებული იყო და ტყვეებს ერთ წუთს იმედი მიეცათ, რომ ლეკები ვერ გაბედავდნენ მის გადასვლას. მაგრამ პირველად მისულმა მხედრებმა საოცარი გამბედაობით შეაგდეს ცხენები წყალში.ვისაც უკან ბავშვები ესხდათ, ცალ ხელში დაიჭირეს წყლის ზედაპირზე, მეორეთი კი ცხენებს ერეკებოდნენ. ქალებს უბრძანეს წყალში თავი მაგრად დაეჭირათ.

წყალი კისრამდე სწვდებოდა ცხენებს და ისინი მალე ცურვაზე უნდა გადასულიყვნენ, რატა მეორე ნაპირისთვის მიეხწიათ. შუა წყალში პატარა მარიმ თავის აღმზრდელ ქალს დაუძახა:

-ჩვენო კეთილო დრანსევ, ქვედა ტანი არ დაკარგო!

ასეც მოხდა: საცოდავი ქალი გაღმა ნაპირზე პერანგისა და კორსეტის ამარა გავიდა მთლიანად გათოშილი, რადგანაც ალაზანი გალხობილი თოვლისგან იყო ადიდებული. ერთმა ლეკმა შეიბრალა და თავისი ნაბადი მისცა.

ალაზანს რომ გადავიდნენ, მთიელებმა ცოტა ხნით შეისვენეს. შორი ახლოდან თოფის სროლა გაისმა. ქართველთა პატარა ჯგუფი მათთვის დამახასიათებელი შეუოკებელი სიმამაცით უკან დასდევნებოდა ლეკებს, რმელნიც ათჯერ სჭარბობდნენ რიცხობრივად, და სდომებოდათ ლეკებთან შებმა ქალბატონის გასანთავისუფლებლად. ლეკებს შეეშინდათ, ამ მეწინავე რაზმს უკან დიდი რაზმი არ მოსდევდესო და იმის მაგივრად, რომ თავდაცვაზე გადასულიყვნენ, ცხენები მინდვრებზე, ხნულებზე, ხეებსა და კლდეებზე გააჭენეს. ყვირილით „შამილ-იმამ! შამილ-იმამ!“ ისე მიერეკებოდნენ ცხენებს მათრახებით, რომ ტყვეებს სული ეკვროდათ. ეს იყო ყველაზე საშინელი საათი თავადის მეუღლე ანასთვის. საბრალოს თვითონ ძალა არ შესწევდა დაწვრილებით ეამბნა ყოველივე და მისმა დამ ჩამოართვ სიტყვა. და როგორც დანტეს „ჯოჯოხეთში“ ვიდრე ფრანჩესკო ამბავს ჰყვება, პაოლო ტირის, თავადი ჭავჭავაძის მეუზღლეც ტიროდა, სანამ მისი და ამბავს მოგვითხრობდა.

იმ მომენტში, როცა ლეკებმა ჩოჩქოლი ატეხეს და ცხენებს შეუტიეს, ქ-ნი ანა ძლივსღა იკავებდა ტავის ბავშვს დაბუჟებული ხელით. მან მოიკრიბა მთელი ძალა, ნაძაბა ნერვები და რომ აღარ იცოდა რა ეთქვა ან რა ემოქმედნა, რარაც არაადამიანურ ხმებს უშვებდა. ის შეეცადა ბავშვი პირთან მიეტანა, რომ კბილებით მაინც დაეჭირა. ბოლოს საშინლად დასუსტდა და აი, ცხენის ერთ შეხტომაზე ბავშვი ხელიდან გაუვარდა. ქალი შეეცადა ცხენიდან გადმოხტომას, მაგრამ კაცმა არ გაუშვა, ცხენს მათრახი გადაუჭირა და შორს გადახტა. ბავშვი უკან დარჩა. სასოწარკვეთილი ქალი ამაოდ ცდილობდა გადმოხტომას. ცხენები ცხენებს მოსდევდნენ და ბავშვს ფეხქვეშ სთელავდნენ. პატარა წიოდა, აქეთ-იქით ეხეთქებოდა. მაშინ ერთმა ლეკმა ხანჯალი ჩასცა. კარგა ხნის შემდეგ დედამ გაიგო საშინელი ჭეშმარიტება. ბავშვის გვამი იპოვეს, იცნეს და მამამისს მიუტანეს. მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი მსხვერპლი. იმ დროს, როცა ლეკებმა ბრძოლას გაქცევა არჩიეს, მათ გადაწყვიტეს თავიდან მოეცილებინათ ის ტყვეები, რომლებიც ხელს უშლიდნენ. ამ ასამდე მოტაცებული ადამიანიდან, სამოცი, ვინც ნაკლებ მნიშვნელოვანიეგონათ, დახოცეს. შემდეგში ყველა გვამი გზაზე იპოვეს. დახოცილთა

რიცხვიდან მხოლო სამი იყო თავად ჭავჭავაძის სახლიდან: თავადის ჩვილი გოგონა, სახლის მოურავის ცოლი და ფოფოდია.

ლეკები ცეცხლს უკიდებდნენ ყველა ქართულ სოფელს, რომელიც გზაზე ხვდებოდათ და ჯგუფს ახალ ტყვეებს უმატებდნენ. ღამით ისინი ერთ ტყეში შევიდნენ. როგორც მე უკვე არაერთხელ მოვახსენე ჩემს მკითხველს ასეთი ტყეები საქართველოში ხშირად დაჰყვება მთების ძირას. იგი მთლიანად გაუვალი ეკალბარდიანი ძეძვნარისაა და შიგ ხმლითა და ხანჯლით იკაფავენ გზას. რა უჭირდათ მთიელებს მაგარი მაუდის ტანისამოსში, რომელიც ძალიან კარგად უძლებს ეკლებს. ქალებს კი მთლიანად დასისხლიანებული ჰქონდათ ტანი, თმა კი ერთავად ეკლებში ებლანდებოდათ. მაგრამ ამას არავინ აქცევდა ყურადღებას, რადგანაც მთიელებს მდევრისა ეშინოდათ და რაც შეეძლოთ ჩქარობდნენ. ჩქარობდნენ და კიდევაც მიიწევდნენ წინ. ეს იყო საშინელი ღამე. საღამოს ათი საათისთვის მთაზე იწყეს ასვლა. შუა ღამისას კი მთებში ცეცხლი შენიშნეს და იმ მიამრთულებით გაემართნენ. სუსტად გაისმოდა სულთმობრძავთა ხმები: „წყალი! წყალი!“. ერთგან ცეცხლთან ჩამოსხდნენ და შეისვენეს, ტყვეებს წყალი მისცეს და ორი საათის შემდეგ ისევ გზას გაუდგნენ. თანდათან გზა გაფუჭდ. უნდა მთიელი და მისი ცხენი იყო, რომ ასეთ გაუვალ გზებზე იარო. ქვეითათ მიმავალთ ფეხები და წვივები ერთიანად დასისხლიანებული ჰქონდათ. დროდადრო რომელიმე დაოსებული ტყვე ჩაიფერხებდა კვნესით, მეტი აღარ შემიძლია სიარული, სჯობს აქვე დავლიო სულიო, მაგრამ მათრახით ისევ ფეხზე აყენებდნენ და ძალით მიათრევდნენ. ბოლოს გაივაკეს და ისევ გააჭენეს ცხენები. ადგილ-ადგილ ხვდებოდნენ მწყემსებს, მზვერავებს, რომელნიც მხოლოდ ერთ წინადადებას ეტყოდნენ ლეკურად: „შეგიძლიათ გაიროთ, გზა თავისუფალია“. მთიელებიც წინ მიიწევდნენ. თერთმეტ საათზე მეორედ შეასვენეს ტყვეები. მხედრებმა მიწაზე ოთხი ნაბადი გაშალეს და ზედ თავადის მეუღლეები დასვეს. ერთმა ნაიბმა, სახელად ჰაჯი-კერატმა თავისი დახეული ჩოხა გაიხდა და ქლბატონ ბარბალეს მისცა დასაკერებლად. ამ დროს მათ ფანგი აღმზრდელი ქალი მიუახლოვდა.

-გიორგისთვის ხომ არ მოგიკრვთ თვალი?- ჰკითხა მას ორბელიანის მეუღლემ.

-ტყეში ომ შევდიოდით, ძიძას ეჭირა ხელში ქალბატონიო.

ქალბატონმა ანამ ისეთის გაჭირვებით ასწია ტავი, თითქოს მკვდარი შეიძრა კუბოში.

-ლიდა? - იკითხა მან.

-ლიდა არ მინახავს, - წაილუღლუღა ფრანგის ქალმა.

ანა ჭავჭავაძემ სასოწარკვეთით თავი ცქინდრა.

მაგას რას აკეთებთ, - ჰკითხა გუვერნანტმა ქალბატონ ბარბალეს.

-როგორც ხედავთ, ჩემო დრანსე, ჩემი ბატონის ჩოხას ვაკერებ, - უპასუხა მან სევდიანი ღიმილით.

ფრანგის ქალმა ძალით გამოართვა ხელიდან ჩოხა და თვითონ დაუწყო დაკერება. ამ დროს ქალბატონ ანას ბავშვების ძიძამ, ქართველი ქალი ნანუკა მოიყვანეს. საწყალი ქალისთვის სამჯერ დაერტყათ თავში ხმალი. მხოლოდ ხშირი თმის წყალობით არ ჰქონდა თავი გახეთქილი, სისხლი კი უხვად სდიოდა მხრებსა და ზურგზე. ხელიც ხნჯლით ჰქონდა დაჭრილი. ერთი თითი მოეკვეთათ და მხოლოდ ძარღვზე ეკიდა. ორბელიანის მეუღლემ საყელო და სახელოები მოიხია და საცოდავ ნანუკას ხელი შეუხვია. თავზე კი უკეთესი იქნებოდა ხელი არ ეხლოთ, სისხლი შედედებულიყო და აღარ მოსდიოდა, თვითონ ბუნებას შეეხვია მისთვის თავი.

დაიძრნენ. ახლა ორივე თავადის მეუღლეები ცხენებზე დასვეს და ისევ დააცილეს ერთმანეთს. სხვები ფეხით მიჰყავდათ. ფრანგი აღმზრდელი და ნანუკა გვერდიგვერდ მიაბიჯებდნენ. სისხლისგან დაცლილი დაჭრილი ძიძა ძლივს მიათრევდა ფეხს, მაგრამ ყოველ გაჩერებაზე არაქათ გამოლეულ ქალს ლეკი მათრახს ურტყავდა და ისე ფეხს ადგმევინებდა. ბოლოს, საბრალომ იგრძნო, რომ ღონე მთლიანად გამოელია, მათრახის ქვეშ უნდა დალიოს სული, და გულგამგმირავი ხმით დაუწყო ქალბატონს ყვირილი: „სულიკო, სულიკო!“ თავადის მეუღლემ ხმა იცნო და ლეკს ცხენი შეაჩერებინა. ლეკები მას სხვებთან შედარებით ერთგავარ უპირატესობას აძლევდნენ მისი წოდების გამო. ქალბატონი ცხენიდან გადმოხტა, ზედ ნანუკა შესვა, თვითონ კი ფეხით დააპირა სიარული. მართალც ორი თუ სმი საათი იარა ქვეითათ, მაგრამ ტალახი უშლიდა ისე სწრაფად ევლო, როგორც ეს მის გამცილებლებს სურდათ და ისევ ცხენზე შესვეს, ნანუკას კი ნება მისცეს უკან მიჯდომოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ილაჯგაწყვეტილ თავადის მეუღლეს გული შეუღონდა. მაშინ ერთი თათარი გადმოსვეს და მის ცხენზე თავადის მეუღლე შესვეს. გზაზე ეწეოდნენ და უსწრებდნენ ტყვეთა სხვა ჯგუფები. ერთ ჯგუფში თავადის მეუღლემ ერთი წინანდლელი გოგო იცნო. მომაკვდავი დედამისი გზაზე დაეტოვებინათ, მას თან ბებია და ძმა ახლდა. ბიჭს ხელში ოთხი თვის გოგო ეჭირა. ორი დღე იყო, ბავშვს პირში არაფერი ცასვლოდა. გზაზე წყალი შეხვდათ, უბედური დაჭრილი ქალი უამისოდაც ძლივს იჭერდა თავს უნაგირზე და ცხადი იყო, მეორე ნაპირს ვერ გაახწევდა. ორბელიანის მეუღლემ ცხენი შეაჩერა.

-ეგ ქალი უკან შემომისვით, - თქვა მან.

ლეკებმა ვითომ ვერ გაიგონეს ეს სიტყვები.

-მე მინდა, ეგ ქალი ჩემს ცხენზე დასვათ, - კიდევ ერთხელ მოიკრიბა ღონე თავადის მეუღლემ.

მაშინ დაჭრილი ქალი ქალბატონის ცხენზე შესვეს და წყალში შევიდენე. შუა წყალში ცხენი შეჩერდა, თითქოს ტვირთისგანთავის გათავისუფლება უნდოდა. ქალები რომ წყალში ჩაცვივნულიყვნენ, უსათუოდ დაიღუპებოდნენ. ხევს დამრეცი ფერდობები ჰქონდათ. ერთი თათარი ქალბატონის ცხენს აღლში სწვდა და ძალით დასძრა ადგილიდან. მაგრამ მეორე ნაპირზე გასვლისას ეს რომ აღარ გამეორებულიყო, ნანუკა ცხენიდან გადმოსვეს.

ლეკები პოხალი ციხისაკენ მიდიოდნენ, სადაც მათ შამილი უნდა შეხვედროდათ. ის აქ ვედენოდან უნდა ჩამოსულიყო, რათა ამ კლდიდან ექსპედიციისთვის თვალი ედევნებინა. ადგილები, რომლებზეც ახლა მიფოფხავდნენ, მხოლოდ პირველი საფეხურები იყო ამ არწივის ბუდეზე ასასვლელად. ხუთი საათი მოანდომეს მთაზე ასვლას. ცხენზე მხოლოდ თავად ორბელიანის მეუღლე შეესვათ, რადგანაც მეტად დასუსტებულიყო. ყოველ ნაბიჯზე ცხენი უფსკრულში გადაგდებას უმექრებოდა. მაგრამ ქალი თითქოს სრულიად ვერ გრძნობდა ვერც საფრთხეს და ვერც დაღლილობას. დიდი მწუხარების შედეგია, როცა ადამიანი საკუთარი უბედურებისადმი უგრძნობელი ხდება. თავადის მეუღლეს მხოლოდ სხვა ეცოდებოდა. იგი ზედმიწევნით ასრულებდა სახარების კანონს: თავისი მახლობელი თავზე მეტად უყვარდა ბოლოს გამოჩნდა სიმაგრე, მაგრამ ისეთ სიმაღლეზე, რომ გაუგებარი იყო როგორ უნდა მისდგომოდნენ მას. ტყვეები სანახავდ ყოველი მხრიდან ლეკი მწყემსები მორბოდნენ და თავიანთი თხებივით ხტუნვა-ხტუნვით გადმოდიოდნენ კლდეებსა და ხევებზე. ბოლოს, საქართველოს საზღვარს გასცდნენ და მტრის მიწაზე შედგეს ფეხი. შევიდნენ მთებში, მიყრუებულ ადგილებში. რამდენმე ხანში ერთ ისეთ ადგილს მიახწიეს, საიდანაც ულამაზესი მწვანე ხალიჩა იშლებოდა. ეს ბალახი ისეთივე მუდმივი ჩანდა როგორც მის ტავზე გადაფენილი თოვლი. გზა კი თანდათან უარესდებოდა. ყოველ წუთში ჩერდებოდნენ, რადგანაც წამდაუწუმ რომელიმე ტყვე ეცემოდა და მათრახის ცემითაც ვეღარ აყენებდნენ. აქეთ-იქიდან მოსული ლეკები ცნობისმოყვარეობით გარს ეხვეოდნენ ტყვე ქალებს. ერთმ

მათგანმა ფრანგ ქალს ხელი ჩაავლო და თავისკენ გაითრია.შეშინებულმა ქ-მა დრანსემ ყვირილი მორთო, მაგრამ მეორე ლეკი, რომელიც ჯერ კიდევ თვადის ეზოში დაეპატრონა, ჩაერია და მოცილეს ნადავლი წაართვა.

-მაგან პერანგების კერვა თუ იცის? - იკითხა მეორე ლეკმა.

-იცის, როგორ არა, - უპასუხა ერთმა რუსის ქალმა.

-მაშინ სამ მანეთს გადავიხდი მაგის თავში, -თქვა ლეკმა.

ლაპარაკში ტავად ორბელიანის მეუღლე ჩაერია.

-ეგ ფრანგი გენერლის ცოლია, გამოსასყიდს გადაიხდის.

-თუ აგრეა, - თქვა პირველმა, - მაშინ-იმამისთვის დავტოვოთ.

ამ სახელის ხსენებაზე ყველანი დადუმდნენ.

ციხე-სიმაგრეს უახლოვდებოდნენ. მოედანზე, საიდანაც კიბე იწყებოდა, ორწყებად იდგა ჯარი დაახლოებით ოთხი ათასი კაცის რაოდენობით. ისინი თითქმის შიშველნი იყვნენ. ტყვეებს ამ ორ მწკრივში უნდა გაეარათ. კაცები ისეთი თვალებით უყურებდნენ, რაც მათთვის ნაკლებად დამამშვიდებელი იყო. ლეკები პირველად ხედავდნენ სახეშეუბურავ ქალებს, და მერე როგორ ქალებს! ქართველ ქალებს! ისინი ახტაცებისაგან ხრუინწიანად ყვიროდნენ, ქალები კი სახეს ხელებით იფარავდნენ, რომ არც თვითონ დაენახათ ლეკები და არც თავი დაენახებინათ. ამ კაცებში შამილის ნაიბები ტავიანთი ორდენებით გამოირჩეოდნენ. ესენი იკავებდნენ მთიელებს, რომლებიც მზად იყვნენ ქალებს მივარდნოდნენ. წმდაუწუმ რომელიმე მწკრივიდან გამოვარდნილ კეკს უკან აგდებდნენ მუშტისა და მათრხის ცემით.

ბოლოს შამილის ინტენდანტი ჰაჯი-კერი გამოვიდა, რატა იმამის ბრძანებით თავადის მეუღლეები ბავშვებითა და ამალით მათთვი მიჩენილ ადგილზე წაეყვანათ. თავადი ორბელიანის მეუღლე პირველი ადიოდა ციხეში მიამავალ კიბეზე. სასახლეში რომ შევიდნენ ტყვეები რამდენიმე სათულით ქვევით ჩაიყვანეს და ოდნავ განათებულ ერთგვარ სარდაფში მოათავსეს. ტუსაღებმა თანდათან გაარჩიეს ერთმანეთი. ოთხი ბავშვი იყო იქ: გიორგი ორბელიანი, სალომე, პატარა თამარი და პატარა ალექსანდრე. ნახევარი საათის შემდეგ თავად ჭავჭავაძის მეუღლე შემოვიდა. მისი პირველი კითხვა იყო:

-ლიდა სად არის? რომელმა ნახეთ ლიდა? პასუხი არავინ გასცა და სბრალო დედა გულშეღონებული მიწაზე დაეცა. ქალს დაღლილობისა და ჯავრისაგან სული აღარ ედგა. ამ დროს ერთმა თოთო ბავშმა ტირილი დაიწყო.

-ჩემი გოგო! - წამოიძახა თავადის მეუღლემ, - ჩემი გოგონა.

-არა, ქალბატონო, - გაისმა სიბნელეში, - ეს თქვენი შვილი არ არის, ეს ჩემი დაა ოთხი თვის ძუძუთა ბავშვი. გუშინდელს აქეთ პირში ცვარი არ ჩასვლია, საცაა შიმშილით მოკვდება.

-მოიტა, აქ მომეცი, - უთხრა თავადის მეუღლემ, ბავშვი ხელში აიყვანა, ძუძუ მისც და აქვითინდა.

ამ დროს ჰაჯი-კერი შემოვიდა.

-შამილი იხმობს ტავად ჭავწავაძის მეუღლეს.

-რა უნდა? - იკითხა თვადის მეუღლემ.

-მასთან ლაპარაკი.

-თვითონ მოვიდეს, მე ხომ არ ვეალები.

-შამილი იმამია, - მიუგო ჰაჯი-კერიმ.

-მე კი თავადისმეუღლე ვარ, - უპასუხა ტყვე ქალმა.

ჰაჯი-კერი გავიდა და შამილს თავდის მეუღლის პასუხი გადასცა. შამილი ერთხანს დაფიქრდა და თქვა:

-კეთილი, ვედენოში წაიყვანეთ და იქ ვნახავ.

თავი XXXVIII
თავადი ილიკო ორბელიანი 410

ამასობაში მიწისქვეშა დილეგიცნობისმოყვარეებით გაივსო. იქაურობას მოედოახალი ამბავი, პახალის ციხეში თავადი ილიკო ორბელიანის ქვრივი მოიყვანეს თავისი ვაჟითო. თავად ილიკო ორბელიანს დიდი სახელი ჰქონდა ლეკებში. ეს ისეთი მტერი იყო, რომლისაც ეშინოდათ, მაგრამ პატივს სცემდნენ და აღტაცებული იყვნენ მისი ვაჟკაცური საქმეებით. ოდესღაც თავადი ტყვეთ ჩაიგდეს ლეკებმა და შამილს მიჰგვარეს ვედენოში. როდესაც იმამმა გაიგო, ვინ იყო ორბელიანი, საშინლად გაეხარდა ყოველი ასეთი მნიშვნელოვანი ტყვე მას იმედსა და საშვალებას აძლევდა თავისი ვაჟი ჯემალ-ედინი დაებრუნებინა. ამიტომ სამილმა თავადი ილიკო მოაყვანინა და უთხრა:

-შენი თავისუფლება შენზედვეა დამოკიდებული.

-დანიშნე გამოსასყიდი და თუ ის ჩემს სიმდიდრეს არ აღემატება, გადავიხდი.

-საქმე ფულს არ ეხება.

მაშ რას თხოულობთ?

-ადამიანთა გაცვლას.

-არ მესმის.

-იმპერატრორ ნიკოლზს მისწერე, ჩემი ვაჟი გაანთავისუფლოს და შენს მიიღებ თავისუფლებას.

-ხომ არ გადარეულხარ, ამისთანა რამეები იმპერატორს როგორ უნდა ვთხოვო! - მიუგო თავადმა ილიკომ და შამილს ზურგი უბრუნა.

შამილმა აღარაფერი უპასუხა და ბრძანა ორბელიანი ისევ საპყრობილეში ჩაეგდოთ. გავიდა ექვსი თვე. შამილმა ისევ მოაყვანინა თავადი და წინადადება გაუმეორა. ორბელიანმა პირვანდელიმ პასუხი მისცა.

-კეთილი, - თქვა იმამა, - ორმოში ჩასვით.

ვედენოს ორმო ძალიან ჰგავს მამერტინის დილექს რომში. პატიმარი შიგ კიბით ჩაჰყვათ, და როცა კიბეს ამოიღებენ, ნახვრეტი ღიაც რომ იყოს, ორმოდან ამოსვლა შეუძლებელია. დოქით წყალი და შავი პური ავსებს მსგავსებას მასა და მაერტინის დილექს შორის. ერთშიც და მეორეშიც ჯალათის ყოველგვარი ჩარევის გარეშე სულ მალე მოდის სიკვდილი. საამისოდ სინესტეც საკმარისია.

დრო და დრო შამილი ორბელიანს კაცს უგზავნიდა და ეკითხებოდა, ხომ არ დათანხმდები, იმპერატორს ჩემი თხოვნა მისწეროო. თავადი კი ბილოს სულ აღარაფერს უპასუხებდა. საპყრობილემ ისე დაასუსტა, რომ ლაპარაკის თავიც აღარ ჰქონდა. შამილს უთხრეს, ერთ კვირას რომ დაჰყოს კიდევ ორბელიანმა დილეგში, ცოცხალი ვეღარ გამოვაო. მან ბრძანა თავადი ხაროდან ამოეყვანთ და ჰარამხანის წინ ეზოში გაეყვანთ. ერთი სახლის ფანჯრიდან სამილი თვითონ უყურებდა ყველაფერ, რაც ეზოში ხდებოდა. თავადს წინ ერთი ნაიბი შეხვდა ცხრა შეიარაღებული კაცის თანხლებით.

-ილიკო ორბელიანო! -მიმართა მან, - შამილი განრისხებულია შენი ჯიუტობით და გადაწყვეტილი აქვს სიკვდილით დაგსაჯოს. მაგრამ სასჯელის არჩევა შენვე მოგანდო.

-მე ისეთ სასჯელს ვირჩევ, რომელიც ყველაზე ადრე გამანთავისუფლებს მისი მოსაწყენი ტყვეობისაგან. დამხვრიტონ მაგ შეიარაღებულმა კაცებმა.

ორბელიანი კედელტან დააყენეს იმ ფანჯრის პირდაპირ, რომლის უკანაც შამილი იდგა, თოფები დატენეს, დაუმიზნეს და ის იყო უნდა ესროლათ, რომ ეზოში შამილი გამოვიდა, ხელით ნისანი მისცა და მთიელებმა თოფები დაუშვეს.

-ილიკო, - უთხრა შამილმ, - შენი მამაცობა გაგონილი მქონდა, ახლა კი ჩემი თვალით დავრწმუნდი, რომ მართალი უთქვამთ. აღარაფერს გთხოვ, გარდა პატიოსანი სიტყვისა რომ არ გაიქცევი. ამ პირობით გაგანთვისუფლებ.

თავადი დაჰპირდა არ გავიქცევიო. მაშინ ის თათარ ტყვეებში გაცვალეს და ამბობენ, შამილმა ამ მოლაპარაკებაშიდიდი დათმობა გამოიჩინაო. თავადი ორბელიანი ვედენოდან ცხრა თვის ტყვეობის შემდეგ წავიდა, მაგრამ მან მთიელებში მუდმივი ხსოვნა დატოვა. ამიტომ გასაკვირი არ იყო, როპმ მთიელებს, რომელთაც იცოდნენ, თავადი ორბელიანი თურქებთან ომში დაიღუპა, აინტერესებდათ მისი ცოლ-შვილის ნახვა. უფრო მეტიც: ამ შეუბრალებელ ხალხს ერთგავარად გული მოულბო თავადის უსაზღვრო ვაჟკაცობის მოგონებამ და ისინი შეეცადნენ თავისებურად ნუგეში ეცათ მისი მეუღლესთვის. ერთნი ეუბნებოდნენ, პატარა გიორგი გამოცხადებული მამაა და რომ არ გვცოდნოდა ვინ იყო, მაინც ვიცნობდითო. მეორენი უმტკიცებდნენ დნამდვილებით ვიცით, არ მოუკლავთ, ტყვედაჰყავთ თურქებს და ერთ მშვენიერ დღეს ისევე დაგიბრუნდება როგორც აქედან დაგიბრუნდაო. საერთოდ საცოდავ, ორი დღის ნასიარულებ, ნაშიმშიევსა და დატანჯულ ქალს ისე ეპყრობოდნენ, როგორც ნამდვილ დედოფალს. თავადის მეუღლემ ისარგებლა ამ კეთილგანწყობილებით და ლეკებს ჰკითხა, რამდენი დანიშნა შამილმა ჩემი, ჩემი დისა და ჩვენთან ერთად წამოყვანილი სხვა ოჯახის პირთა გამოსასყიდადო. ნაიბმა შამილს პასუხი მოუტანა, იმპერატორმა ნიკოლოზმა დამიბრუნოს ვაჟი, თავადმა ჭავჭავაძემ კი ერთი ურემი ოქრო გამომიგზავნოსო. საცოდავმა თავადის ცოლებმა უიმედოდ ჩაქინდრეს თავი. მათ ორივე პირობა სრულიად განუხორციელებელი ეჩვენათ. რაეშველებათ უბედურებს? ჯერ არ იცოდნენ, თუ შამილს განზრახული ჰქონდა მათი ვედენოში წაყვანა, დანიელ-ბეგი, მოჰამედ-ხანის ბიძა, რომელიც უკვე გაგაცანით, რუსეთის სამსახურში იყო ნამყოფი და იცნობდა თავად დავით ჭავჭავაძის მამას. ის თბილისში იყო ნაცხოვრები და კარგად იცოდა, ფუფუნების როგორ პირობებს საჭიროებდნენ ქართველი მანდილოსნები. მას კარგად ესმოდა, როგორ დაიტანჯებოდნენ

ქალები და რამდენი რამ დააკლდებოდათ ტავიანთი ველური მასპინძლის ხელში. ამიტომ სამილს შესთავაზა, ქალებს ჩემს სახლში წვიყვან და თავით ვაგებ მათზე პასუხსო.

შამილმა ეს წინანადება შორს დაიჭირა.

-ჩემთან იცხოვრებენ, - თქვა მან, - ისე მოუვლიან, როგორც ჩემ საკუთასრ ცოლებს.

მეტი რარა უნდა ენატრათ ქართველ თავადის მეუღლეებს, თუ მათ ისე მოეპყრობოდნენ, როგორც წინასწარმეტყველის ცოლებს! ეს პასუხი ქართველ მანდილოსნებს გადასცეს და უთხრეს, რომ თბილისში თავისიანებისთვის წერილები მიეწერათ და ათთვის შამილის პირობა გაეცნოთ. თავად ჭავჭავაძის მეუღლემ ერთი წერილი თავის ქმარს გაუგზავნა, მეორე კავკასიის მეფის ნაცვალს. წერილები ჯერ შამილს წაუღეს, მან გადაათარგმნინა, ყოველი წინადადება დიდხანს ასწონ-დასწონა და ბოლოს ერთ თათარს გაატანა თბილისში. პასუხის მოლოდინში კი მაინც ვედენოში წასვლა ბრძანა. მაშინ თავადის მეუღლეებმა მოითხოვეს რაიმე ტანისამოსი მიეცათ მათთვის, რადგანაც თითქმის შიშვლები იყვნენ. ერთი ქალის შარვალი, ერთი ყელზე მოსახვევი ყილაბანდი და ერთი ძველი მეეტლის ჯუბა მოუტნეს. ცოტა ხნის შრმდეგ კიდევ ერთი კაცის პალტო მისცეს. ქ-მა ჭავწავაძემ თავისთვის შარვალი დაიტოვა, ხილაბანდი და პალტო დას მისცა, მეეტლის ჯუბა კი ფრანგ გუვერნანტ ქალს ჩააცვა. თავად ბარათაშვილის ასულ ნინოს არაფერი სჭირდებოდა. ის იმავე ტანისამოსში იყო, როგორც წინანდლიდან წამოიყვანეს, თუ არ ჩავთვლით ჯაგნარში დახეულ ლეჩაგს. მართალია, ქალის სისუსტემ დაუთმო მტაცებლებს, მაგრამ მისი კლდემამოსილება არაფრით იყო შელახული.

მეორე დღეს ტყვეები იმავე კიბით გამოიყვანეს ცოხიდან, რომლითაც წინა დღით შეიყვანეს. შამილის ბრძანებით, ისინი ყველაზე უშიშარი, ესეიგი ყველაზე ძნელი გზით უნდა წაეყვანთ ვედენოში, რათა თავიდან აეცილებინათ ტყვეების გათავისუფლების ყოველგვარი ცდა ქართველთა მიერ. თვითონ თვალიტაც არ შჩვენებია მათ, ისე წავიდა ტავისი გზით. ჩვენ არარ მივყვებით საბრალო ქალებს ამ გზაზე, სადაც მათ ყოველ ნაბიჯზე ხიფათი ელოდათ. ისინი ხან ისეთ ბილიკებზე მიჰყავდათ, სადაც თხაც ვერ აძვრება, ხან კი - ივლისის თვეში, - ისეთ ადგილებში მიდიოდნენ, რომ ცხენებს მკერდამდე თოვლი სწვდებოდა. ხან თეთრი და წითელი დეკითა და ზიზილებით მოქარგულ თავლწარმტაც მინდვრებს სთელავდნენ, ხან ოთხასი თუ ხუთასი წყრთის სიმაღლიდან ხელებზე მისრიალებდნენ. ადგილ-ადგილ კლდეებზე ბობღავდნენ და ფეხქვეშ რომ ლოდები უცურდათ ეკლიან ბუჩქებს ეჭიდებოდნენ და ხელებს იგლეჯდნენ. გზაზე ქარავანს ერთი ტყვე კიდევ შეუერთდა. ეს იყო ახალგაზრდა თავადი ნიკო ჭავწავაძე. დავით ჭავჭავაძის ბიძაშვილი. ის წამოეყვანათ ერთი სიმაგრიდან, სადაც ოცდაათი ქართველით სამი დღე ალყაში ყოფილიყო ხუთასი ლეკის წინააღმდეგ. ტყვია რომ გამოლეოდა, იძულებული გამხდარიყო ლეკებს დანებებოდა. მას მიაბარეს ქალბატონის გოგონა, პატარა მარო, რომელიც უკან შემოისვა ცხენზე. ხანდახან აულთან მცხოვრებნი კარს არ უღებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ შამილის ბრძანებაც იყო და მათი მხლებელი მოლაც მოითხოვდა. ამ ღირსეულ მაჰმადიანებს ფანატიზმი უფლებას არ აძლევდა, გიაურებთან რაიმე დამოკიდებულება ჰქონოდათ. ასეთ შემთხვევაში, სადაც მოუხდებოდათ, იქ ათევდნენ ღამეს. თუ ბედი გაუღიმებდათ და დანგრეული სახლი შეხვდებოდათ სადმე, ხომ კარგი, თუ არადა პირდპირ ცისქვეშ წყალსა და ტოვლში წვებოდნენ.

ძიძები სისუსტისაგან ფეხზე ძლივ იდგნენ. თავად ჭავჭავაძის მეუღლე რიგრიგობით აჭმევდა ძუძუს პატარა ლექსანდრეს დასხვის თოთო ბავშვს. ეს იმ ქალის ბავშვი იყო, მოტაცების დღეს წინანდლისა და პახალის გზაზე რომ გარდაიცვალა და დატოვეს. გზა ისეთი დამღლელი იყო, რომ გამცილებლებსაც ჭირდებოდათ დასვენება ერთ აულში შედარებით უკეთ მიიღეს და იქ დაბანაკდნენ. ერთმა მოხუცმა მოლამ ტავადის მეუღლენი და მათი მხლბელი ქალები ტავის სახლში დააბინავა. ათი-თორმეტი სული ერთ პატარა ოთახში მოთავსდა, მაგრამ თვაზე ხომ მაინც ჰქონდათ ჭერი. იატაკზე ჭილობებიც კი დაუგეს. მასპინძელი მოლა კეთილი კაცი

აღმოჩნდა: მან ცხვარუი დააკვლევინა და ტყვეებმა პირველად წამეს ხორცი სახლიდან წამოსვლის შემდეგ. ეს მოლა ცხრ წელიწადი ყოფილიყო რუსეთში ტყვედ და რუსულად კარგად ლაპარაკობდა. ის განსაკუთრებულ ზრუნვასა და ალერსს ბავშვების მიმართ იჩენდა. ერთხელ პატარა ალექსანდრე შიმშილისაგან ტიროდა, დედამისს რძე ჰქონდა გამშრალი, სხვა საჭმლის ჭამა კი ბავშვს არ შეეძლო. მოლა ბავშვს მიუახლოვდა და ხელში აბაზიანი ჩაუდო. თავადის მეუღლემ თავი უხერხულად იგრძნო და ფულის დაბრუნება უნდოდ, მაგრამ მოლამ უთხრა:

-მაგ ფულით ქათამი იყიდეთ და ბავშვს წვენი გაუკთეთ.

თავადის მეუღლემ კეთილ კაცს ხელი ჩამოართვა და მადლობა გადაუხადა. სამაგიეროდ მეოპრე დღეს ქალებისაგან მოისმინეს შეურაწყოფა და მუქარა, ერთი მოხუცი თათრის ქალი, რომლის შვილი რუსებს მოეკლათ, რამდენიმე ქალთან ერთად ორბელიანის მეუღლეს მიუახლოვდა და მუშტების ქნევით უთხრა:

-სამაგიეროს გადაგიხდის დღე მშვენიერი დღეა! ერთი შვილი მყავდა, სიამაყე და სიხარული ჩემიცხოვრებისა, ისიც რუსებმა მომილსე. დიდია ალაჰი, სამართლიანია ალჰი, სამაგიეროს გადახდა იცის!

ორბელიანის მეუღლემ იკითხა, რას ამბობს ეს ქალიო და როცა გადაუთარგმნეს თქვა:

-უთხარით ჩემ მაგივრად, რომ სიკვდილს არ შეუძლია სიცოცხლის დაბრუნება. მე მომკალი, მაგრამ შენი შვილი რომ არ გაცოცხლდება? თურქებმა მომიკლეს ქმარი, რომელიც იყო გული ჩემი გულისა, ჩემი ვაჟი ტყვეა, ჩემი და, მისი შვილები და მე თვითონ შამილის ხელში ვართ. რომელი უფრო უნდა უჩიოდეს ბედს, მე თუ შენ? წადი, საცოდაო, დაივიწყე შენი რისხვა და სიძულვილი. ჩვენ სხვა ალაჰი გვწამს, იგი დედათა ალაჰი: მხოლოდ პატიება და შეწყალება იცის.

ეს სიტყვა სიტყვით გადაუთრგმნეს მოხუც ქალს, რომელმაც მოისმინა, შემდეგ თვალზე თავსაბურავი ცამოიფარა, რომ ცრემლი დაემალა და დინჯად და მდუმარედ განშორდა ქალს.

პახალის ციხიდან გასვლის ორი კვირის შემდეგ ქარავანი ისვენებდა ერთ-ერთიმ უაზისში, რომელსაც მთა თავის ნაოჭებში მალავს, თეთრი და სოსნისფერი იებითა და ზიზილებით მოფენილ მწვანე მოლზე. გზაზე ერთი ცხენოსანი თათარი გამოჩნდა. ის თითქოს ვირაცას ეძებდა და როცა ქართველი მანდილსნები შეამჩნია,მ მატკენ გამოაჭეა ცხენი. ეს იყო შიკრიკი, რომელმაც თბილისში წერილები წაიღო. ახლა მას პასუხი მოჰქონდა. პასუხს ქ-ნ ბარბალეს მაზლი ორბელიანი იწერებოდა. წერილი შეძლებისდაგავრად მანუგეშებელი იყო: „გწამდეთ, ელოდეთ და იმედს ნუ დაკარგავთ, - ეწერა წერილში, - თქვენი განტავისუფლებისთვის მიღებული იქნება ყოველგავრი ზომები, რაც კი შესაძლებელია“. წერილიმა ძალა შემატა სასოწარკვეთილ ტყვეებს.

ერთ საღამოს, როგორც ყო, მიახწიეს აულს, რომელიც ვედენოდან მხოლოდ ათი-თორმეტი ვერსით იყო დაშორებული. მოლამ ერთი ქალი მოიყვანა, მან თავადის მეუღლეთ აუწყა, ხვალ შამილთან მიგიყვანენ და ის იმავე დღეს გინახულებთო. იმამი ქალებს ურჩევდა სახეები შებურვილი ჰქონოდათ, რადგანაც მაჰმადის კანონი ქალებს უკრძალავს კაცს ღია სახით ეჩვენოს, თუ ის ქმარი არ არის. მოლამ მაშინვე აბრეშუმის ნაჭრები, ნემსები და საკერავი ძაფი მოატანინა. ქალები შუაღამემდის საბურველებს იკერავდნენ. გაიცა ბრძანება, ომ მეორე დღეს ყველა ტყვე ქალს მიუხედავდ მისი მდგომარეობისა, ცხენი და გამყოლი ჰყოლოდა. ორი საათი იარეს და ვედენოში მივიდნენ. ორი თუ სამი ვერსით ადრე პროცესია შეივსო ცნობისმოყვარეებით, სადაც უმრავლესობა ქალები იყვნენ.

ქართველი მანდილოსნები თვალით ეძებდნენ იმამის სახლს, როცა უეცრად აღმოჩნდნენ ერთი ექვსი თუ შვიდი ფუტის სიმაღლის შენობასთან,. რომელსაც მესერი ჰქონდა შემოვლებული და ცხვრის ფარეხს უფრო ჰგავდა. ვიდრე ადამიანის საცხოვრებელს. გიარეს სამი ჭიშკრი და ამდენივე ეზო. მესამე ეზოში ჰარმახანა იყო. შიგ შესვლამდე ყველამ ფეხთ გაიხადა. ტყვე ქალებს დიდი, გიზგიზა კოცონი დაახვედრეს, რაც მათთვის მისწერება იყო, რადგანაც წვიმაში ერთიანად გალუმპულიყვნენ. კედლებს წყალში გახსნილი მოყვითალო თიხა ჰქონდა წასმული. იატაკზე გაშლილ დახეულ ხალიჩებში მოჩანდა ცუდათ დაგებული იატაკის ფიცრები. ჭერი ისეთი დაბალი იყო, რომ მაღალი ტნის კაცი მოუხრელად ვერ შევიდოდა. მომცრო ოტახი განათებული იყო ერთი ცხვირსახოცისოდენა სამერცხულით. შემოიტანეს თათრების ყველაზე უფრო საყვარელი საჭმელი ფლავი, რომელსააც თაფლდასხმული ხილი ჰქონდა ლანგარზე შემოწყობილი. ამას მოაყოლეს უმარილო პური და წმინდა წყალი. ეს ნამდვილი ლხინი იყო იმ სადილებთან შეადერბით, რომლებსაც ქართველი ქალები მოტაცების შემდეგ ჭამდნენ. შამილმა შემოთვალა, ბოდიშს ვიხდი, რომ ამის მეტს ვერაფერს შემოგთავაზებთ ღარიბი ქვეყნის უფროსი, თვითონაც ამ ქვეყანაზე უფრო ღარიბიო. სადილს შამილის სამი ცოლი მასპინძლობდა.

ნასადილვს მანდილოსნებს უთხრეს, საბურველები გულდასმით ჩამოეწიათ, რადგანაც იმამი აპირებდა მოსვლას. მაშინ მისთვის კართან ხისა და ლერწმისაგან სელი გააკეთეს. სამი თათარი თარჯიმანი კრის ზღურბლზე მოთავსდა ოთახს გარეთ. ერთი მათგანი იყო ჰაჯი-კერი, შამილის ნდობის პირი. დანარჩენი ორიდან, ერთი რუსულად თარგმნიდა, მეორე-ქართულად. შემოვიდა შამილი. მას გრძელ თეთრ კაბაზე ზემოდან მწვანე ტუნიკა ეცვა. ტავზე თეთრ-მწვანე ჩლმა ჰქონდა შემოხვეული. იმამი კარებში დადგმულ სელზე დაეშვ, მსახური ტავზე დაადგა ქოლგით. შამილი არავის უყურებდა, იგი ჩვეულებისამებრ მთვლემარე ლომის გსგავსად თვალმოჭუტული სივრცეში იყურებოდა.

-ბარბალე, - მიმართა პირველად ორბელიანის მეუღლეს ყოველგვარი ტიტულის გარეშრ, - როგორც მითხრეს, ცოლი ყოფილხარ ილიკო ორბელიანისა, რომელსაც ვიცნობი და მიყვარდა. ეს კეთილშობილი გულის ვაჟკაც, რომელიც ტყუილს არასოდეს იტყოდა, კარგა ხანს ტყვედ მყავდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ორპირობა თვითონც მძულს. ამიტომ ნუ ეცდები ჩემს მოტყუებას. ბრალსაც დაიდებ და ვერაფერს მიახწევ. რუსის სულთანმა შვილი წამართვა და მისი დაბრუნება მინდა. როგორც ამბობენ, შენ და ნინოსაქართველოს სულთნის შვილიშვილები ხართ. რუსის სულტნს მისწერეთ, რომ ჩემი ჯემალ-ედინი დამუბრუნოს და მეც თქვენ თავს თქვენს ნათესავებსა და მეგობრებს დავუბრუნებ. გარდა ამისა, საჭირო იქნება, ჩვენ ხალხს ფული მისცეთ. პირადად მე ჩემი შვილის მეტს არაფერსა გთხოვთ.

თარჯიმნებმა იმამის სიტყვები გადათრგმნეს. შამილმა დასძინა:

-თქვენთან წერილებია მოსული, მაგრამ ერთი წერილი არ არის არც რუსულად, არც ქართულად, არც თათრულად, ის ისეთი ასოებითაა დაწერილი, რომ აქ არვის ესმის. სრულიად უსარგებლოა წერილები უცხო ენაზე გწერონ. მე ყველაფერს ვატარგმნინებ, ხოლო რასაც ვერ გადავთარგმნი, ის არც წაიკითხება. ალაჰი ადამიანს სიფრთხილეს უარნახებს და მეც ალაჰის კარნახს მივდევ.

ქალბატონმა ბარბალემ უპასუხა:

-შამილ, შენი მოტყუება აზრად არავის ჰქონია. ჩვენ შორის არის ფრანგი ქალი. იგი ეკუთვნის ერს, რომელსაც შენ არ ეომები და რომელიც, პირიქით, რუსეთს ეომება. მე გთხოვ ის გაანთავისუფლო.

-კეთილი ბრძანებაა, - თქვა შამილმა, - თუ მისი სოფელი თბილისთან ახლოსაა, მე ვუბრძანებ, გააცილონ.

-მისი სოფელი ვეებერთელა მშვენიერი ქალაქია ,ილიონ ნახევარი მცხოვრებით, - უპასუხა ქ-მა ბარბალემ, - და იქ მისასვლელად მრავალი ზღვა უნდ გადასერო.

-მაშინ ის თქვენტან ერთად განთავისუფლდება და თავის ქვეყანაში დაბრუნება მაგისი საქმე იყოს.

შემდეგ წამოდგა და დაუმატა:

-ახლა გადმოგცემენ რუსულად დაწერილ წერილებს. მაგრამ გახსოვდეთ, ყოველგვარი ტყუილი ალაჰისა და მისი მსახურის შეურაწყოფად ჩაითვლება. მე ნება მაქვს, დავსაჯო ყველა, ვინც მომატყუებს და ამას უსათუოდ შევასრულებ.

ამ სიტყვების შემდეგ შამილი ადგა და უკიდურესი ღირსების გრძნობით ოთახიდან გავიდა.

თავი XXXIX
ჯემალ-ედინი

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შამილის ვაჯი ჯემალ-ედინი რუსებმა ტყვეᲗდ ჩაიგდეს ახუგოს ალყის დროს. შემდეგ მძევლად გამოაცხადეს. დედამისი ფატიმატა, როგორც გახსოვთ, ჯავრს გადაჰყვა. ყმაწვილი პეტერბურგში წაიყვანეს, წარუდგინეს იმპერატორ ნიკოლოზს, რომელმაც გადაწყვიტა ისე აღეზარდათ, როგორც არისტოკრატს შეეფერებოდა და საუკეტესო განათლება მიეცათ.ჯემალ-ედინი დიდხანს ველური და მფრთახალი იყო მისი მთების ნიამორის მსგავსად, მაგრამ ბოლოს და ბოლოს შეეჩვია გარემოს და რქადგანაც სვიდი წლისა უკვე ჩინებულ მხედრად ითვლებოდა, აქ მისი აღზრდა-განვითარება შეივსო ყოველგვარი ფიზიკური ვარჯიშობის ჩვევებით, რასაც აგრეთვე ინტელექტუალური განვითარება დაემატა. ჯემალ-ედინმა შეისწავლა წერა-კითხვა ევროპულ ენებზე და ისე ლაპარაკობდა ფრანგულად და გერმანულად, როგორც თვითონ რუსები, ესე იგი დედაენასავით.

ახალგაზრდა კავკასიელი, იმპერატორის ადიუტანტი და პოლკოვნიკი, უკვე წმიდა წყლის რუსი იყო, როცა ერთ მშვენიერ დღეს სასახლეში დაუძახეს. იმპერატორი შეფიქრიქნებული და უგუნებო ჩანდა.

-ჯემალ-ედინ, -უთხრა მან ახალგაზრდა კაცს, -თქვენი ნებაა მიიღებთ თუ უარს იტყვით წინადადებაზე, რომელსაც ახლა მოგცმთ. არ მინდა ძალდატანება ვიქონიო თქვენს ნებისყოფაზე, მაგრამ ვფიქრობ, ამ წინადადების მიღება თქვენთვის ღირსეული საქციელი იქნება. ორი ქართველი მანდილოსანი, თავად ჭავჭავაძის და თავად ორბელიანის მეუღლეები მამათქვენს მოუტაცნია და მათ განთავისუფლებას მხოლოდ იმ პირობით თანხმდება, თუ შინ დაბრუნდებით. ნუ მიპასუხებთ პირველი შთაბეჭდილებით, მოსაფიქრებლად სამ დღეს გაძლევთ.

-ხელმწიფევ, -უპასუხა ახალგაზრდა კაცმა სევდიანი ღიმილით, -სამი დღე არ არის საჭირო იმისთვის, რომ შამილის ვაჟმა და იმპერატორ ნიკოლოზის აღზრდილმა მოიფიქროს, როგორ მოიქცეს ასეთ შემთხვევაში. მე მოვკვდები იქ, მთებში, სადაც სრულიად არაფერი ეთანხმება ჩემს მიერ მიღებულ განათლებას, მაგრამ მოვკვდები იმ რწმენით, რომ ვალი შევასრულე. სამი დღე, რომელსაც თქვენი უდიდებულესობა მაძლევს, დასამშვიდობებლად გამომადგება. ამ წუთიდან თქვენი უდიდებულესობის განკარგულებაში ვარ და როგორც კი მიბრძანებთ, მაშინვე წავალ.

თებერვლის დასაწყისში ჯემალ-ედინი თავად დავით ჭავჭავაძეს პეტერბურგიდან კავკასიაში წაჰყვა. იმავე თვის დამლევს ისინი უკვე ჰასავ-იურთში იყვნენ.მაშინვე კავკავიდან ვედენოში შიკრიკი გაგზავნეს თავადის წერილით. ამ ხნის განმავლობაში ჯემალ-ედინი თავად ჭავჭავაძესთან ერთად სრულიად თავისუფლად ცხოვრობდა ჰასავ-იურთში. მას მიცემული ჰქონდა სიტყვა, რომელიც ყველას სწამდა. ის მუდამდღე გენერალ ნიკოლაისთან სადილობდა. თავადის მეუღლეთა გამოსყიდვის აღსანიშნავად გამართულ იქნა მეჯლისი, სადაც ჯემალ-ედინი გმირად იქნა გამოცხადებული. ყმაწვილი კაცი ათ მარტამდე ხასავ-იურთში დარჩა.ეს იყო შამილის მიერ დანიშნული ტყვეთა გაცვლის დღე, მაგრამ ჯემალ-ედინის გადაცემის დროს ერთმა დაბრკოლებამ იჩინა თავ: თავადს შამილისთვის მისი შვილის გარდა უნდა კიდევ გადაეცა ორმოცი ათასი მანეთი. ვერცხლის ფულს გარდა შამილმა მოითხოვა, ამ თანხის ნაწილი მისთვის წვრილი ფულით გადაეხადათ. საჭირო იყო დრო, რომ ორმოცდაათკაპიკიანები, ოცდახუთკაპიკიანები და ათკაპიკიანები შეეგროოვებინათ. ტყვეების გაცვლის წინადღით მხოლოდ ოცდათხუთმეტი ათასი მანეთი შეგროვდა წვრილი ფულით. თავადმა ჯემალ-ედინს სთხოვა,მამასთან ეშუამდგომლა, რათა მას ხუთი ათასი მანეთი ოქროთი მიეღო. ჯემალ-ედინმა მოლაპარაკება ითავა. 10 მარტს გენერალმა ნიკოლაიმ წაიყვანა ერთი ბატალიონი, ორი ქვეითი დივიზია, ცხრაასამდე კაზაკი, ექვსი ზარბაზანი, და მდინარე მიჩიკის, ნაპირზე დადგა, სადაც ტყვეები უნდა გაეცვალათ. მდინარის მარჯვენა ნაპირი, რომელიც რუსებს ეკუთვნის, ტრიალი მინდორია. მარცხენა ნაპირი კი, იმამის სამფლობელო, მთებამდე ხშირი ტყეებითაა დაფარული. მდინარის მიმართულებით ერთი ვერსის სიგრძისა და ხუთასი საჟენის სიგანის მიწასა და ტყეს შორის მდებარე ადგილი მთლიანად ღიაა. შამილმა ბარონ ნიკოლაის შემოუთვალა მიჩიკის მარჯვენა ნაპირიდან ერთ ვერსზე გაჩერებულიყო. თვითონაც მარცხენა ნაპირიდან ამავე მანძილზე შეჩერდებოდა. როცა ბარონი ნიკოლაი დნიშნულ ადგილზე მივიდა, შამილი უკვე იქ იყო. შორიდანვე გამოჩნდა მისი კარავი და კარვის უკან აღმართული შავი დროშა. იმამს ერთი სომეხი გაუგზავნეს, გვარად გრამოვი, რომელსაც თარჯიმნობა უნდა გაეწია და გაეგო, როგორ მოხდებოდა ტყვეთა გაცვლა.

შამილმა ასე გადაწყვიტა: მისი ვაჟი ჰაჯი- მუჰამედი ოცდათორმეტი კაცის თანხლებით მარჯვენა, რუსების ნაპორზე ერთ ხესთან მოიყვანდა მანდილოსნებს. აქ მათ დახვდებოდა ორმოცი ათასი მანეთი, მისი ძმა ასეთივე ამალით და რუსი ოფიცრით, რომელიც ჯემალ-ედინს მანამდე თავს არ დაანებებდა, ვიდრე მამას არ ჩააბარებდნენ. ამგვარად, რუსი ოფიცერი ოცდათორმეტი ჯარისკაცით, ფულით სავსე ზანდუკები, თექვსმეტი ტყვე და ჯემალ-ედინი ბარონ ნიკოლაისა და თავად ჭავჭავაძის თანხლებით ორმოცდაათ ნაბიჯზე გაჰყვებოდნენ მათ. დაიძრნენ მდინარე მიჩიკისაკენ. მათ მისდევდა ეტლი, რომელშიც მანდილოსნები უნდა ჩაესვათ. გაღმა მხრიდან მოდიოდა ჰაჯი-მუჰამედი თავის ოცდათორმეტი კაცითა და ურმებით, რომლებშიც მანდილოსნები ისხდნენ. ჰაჯი-მუჰამედი თვისი ამალით უფრო ადრე მოვიდა და შეუცადა ურმებს, რომლებიც მალე წამოეწივნენ. შემდეგმ ყველამ განაგრძო გზა ხისკენ, რომელსაც რუსები და ლეკები ერთდროულად მიუახლოვდნენ. შამილის ჯგუფს სათავეში ედგა თეთრ ცხენზე მჯდომი. თეთრ ჩერქეზულ ჩოხასა და თეთრ ფაფახში გამოწყოპბილი, ლამაზ-ლამაზი, ფერმკთალი სახის ახალგაზრდა ჰაჯი-მუჰამედი, მას უკან ორ მწკრივად მოსდევდა მდიდრულად ჩაცმული და ჩინებულად შეიარაღებული ოცდათორმეტი ჩერქეზი. ორივე ამალა ერთმანეთისაგან ათ ნაბიჯზე შეჩერდა, მაშინ ჰაჯი-მუჰამედი და ჯემალ-ედინი ცხენებიდან გადმოხტნენ და ერთმანეთს გადაეხვივნენ. ამის დანახვაზე ჰაჯი-მუჰამედის მიურიდებმა შესძახეს: „ალაჰ, ილ ალაჰ!“ ამასობაში მიუახლოვდნენ ბარონი ნიკოლაი და თავადი ჭავჭავაძეც. ჰაჯი-მუჰამედმა ქართველი მანდილოსნები, ახალგაზრდა თავადიშვილები და მათი ამალის ქალები თავად ჭავჭავაძეს გადასცა. ფულით სავსე ზანდუკები კი მიურიდთა ხელში გადავიდა. მაშინ ჯემალ-ედინი თავადის მეუღლეებს წარუდგინეს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს თავის მსხნელს. შემდეგ ახალგაზრდამ კაცი თავადს და ბარონ ნიკოლაის დაემშვიდობა, შეიმშრალა უკანასკნელი ცრემლი, რომელიც თავისი დედობილი რუსეთის მოგონებაზე გადმოსცვივდა და მამისკენ გაემართა იმ ოფიცერთა თანხლებით, რომელთაც შეთანხმების თანახმად ის მამმმმისთვის უნდა ჩაებარებინათ.

შამილის კარავამდე ნახევარი ვერსი რომ ჰქონდათ დარჩენილი, ერთ პატარა კორომში შეჩერდნენ. აქ ჯემალ-ედინმა რუსული სამხედრო ფორმა გაიხადა და შამილის მიერ გამოგზავნილი ჩერქეზული ჩოხა ჩაიცვა. იქვე ორ ნუკერს წითელ ყაჯარგადაფარებულუ შავი ცხენი ეჭირა, ჯემალი, როგორც ჭეშმარიტი მთიელი ცხენოსანი, მას უმალ ზურგზე შემოახტა, და შამილისაკენ დაიძრნენ. რამდენიმი ნაბიჯი რომ ჰქონდათ გავლილი, შამილის ამალიდან ერთი ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი გამოვარდა და ხელგაშლილი, აქოშინებული ჯემალ-ედინს კისერზე შემოეხვია. ეს მისი პატარა ძმა მუჰამედ-შაბე იყო.

შამილს დიდი სურვილი ჰქონდა შვილის შესახვედრად წამოსულიყო. მაგრამ ამის ნება არ მისცა მისმა აღმოსავლურმა ღირსების გრძნობამ და რელიგიურმა აღუშფოთველობამ.უძრავად იჯდა ორ მოხუც მიურიდს შუა და შვილს ელოდა. შამილს ისეთი თავისებური სილამაზე და დიადი შესახედაობა ჰქონდა, რომ რუსი ოფიცრები გაკვირვებისაგან ადგილზე შედგნენ. ჯემალ-ედინს უნდოდა მამისთვის ხელზე ეკოცნა, მაგრამ შამილმა თავი ვეღარ შეიკავა, მკლავები გაშალა, შვილი გულში ჩაიკრა და ქვითინი აღმოხდა. შვილი მამას ხელმარჯვნივ მოუჯდა, მამა კი თვალებში უყურებდა და ხელზე ხელს უცაცუნებდა. იფიქრებდით თვალებითსჭამს, რომ შეივსოს ის დრო, რაც არ უნახავსო. ამ სანახაობის მოწმე ორი ოფიცერი უძრავად იდგნენ და ხმას არ იღებდნენ, იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე ამ ამაღელვებელმა სცენამ. მაგრამ რუსები შიშობდნენ, რომ მათი დაგვიანება გენერალს შეაშფოთებდა და რაკი დავალებაც უკვე შესრულებული იყო, შამილს სთხოვეს , გაგვიშგითო. შამილმა თავი დაუკრა და უთხრა:

დღევანდლამდე არ მჯეროდა, თუ რუსები თავისი სიტყვის პატრონები იყვნენ. ამ წუთიდან აზრი გამოვიცვალე. გადაეცით ჩემი მადლობა ბარონ ნიკოლაის, თავად ჭავჭავაზეს კი უთხარით, რომ მის ცოლსა და ცოლის დას ისე ვეპყრობოდი, როგორც საკუთარ შვილებს.

შემდეგ მან მადლობა გადაუხადა ოფიცრებსაც. უკანასკნელნი ჯემალ-ედინს მიუახლოვდნენ გამოსამშვიდობებლად და ისიც სამივეს გადაეხვია და რუსული წესის მიხედვით თითოს სამ-სამჯერ აკოცა. შამილი კი არამც თუ არ გაჯავრებულა ამ გულისამაყუჩებელ გამოთხოვებაზე, პირიქით, კეთილი თვალითაც კი შეხვდა ყველაფერ ამას. მაშინ ოფიცრებმა შამილს უკანასკნელად თავი დაუკრეს და ცხენებზე შესხდნენ. ორმოცდაათი მიურიდის ბადრაგით ისინი მიჩიკის ნაპირზე მიიყვანეს. აქ შემოესმათ სროლა, მაგრამ ეს მშვიდობიანი სროლა იყო. შამილის კაცები ამით სიხარულს გამოხატავდნენ, რომ ესოდენ ხანგრძლივი განშორების შემდეგ კვლავ იხილეს ჯემალ-ედინი...

* * *

1858 წლის თებერვალში, ხასავ-იურთის ყაბარდოელთა პოლკის უფროს პოლკოვნიკ თავად მირსკის მოახსენეს, თქვენი ნახვა სურს ვიღაც მთიელს, რომელიც შამილის შიკრიკად ასაღებს თავსო. უცნობი შემოიყვანეს, ის მართლაც სამილის შიკრიკი აღმოჩნდა. თურმე შამილის ვაჟი ჯემალ-ედინი თათარ ექიმთათვის უცნობი სნეულებით შეპყრიბილი, სიკვდილის პირას იყო მისული. შამილი ევროპულ მეცნიერებას მოუწოდებდა საშველად. თავადმა მირსკიმ პოლკის საუკეთესო დოსტაქარი პიოტროვსკი გამოიძახა და მთიელს დაუკავშირა, ჩეჩენის მიერ აღწერილი სიმპტომებით ექიმმა ფილტვების ავადმყოფობის ნიშნები შეიცნო. მან დაამზადა წამლები, ყოველ მათგანს ხმარების წესი დააწერა და შიკრიკს გადასცა. შიკრიკს დააბარეს აგრეთვე შამილთან, თუ მოისურვებდა ექიმს პირადად ენახა ავადმყოფი, ტავადი მირსკი ამაზეც დათანხმდებოდა, ოღონდ ზოგიერთი პირობის შესრულებით.

19 ივნისს ისევ ჩამოვიდა შიკრიკი. ჯემალ-ედინის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესებულიყო. შამილი თანახმა იყო ყველა პირობაზე, რომელსაც თავადი მირსკი

წაუყენებდა, ოღონდ კი რაც შეიძლება ჩქარა გაეგზავნათ მათთვის ექიმი. თავადის პირობა იყო, შამილს მძევლად სამი ნაები გამოეგზავნა ექიმის მაგივრად. ეს პირობა დაუყონებლივ იქნა შესრულებული. დაიბარეს პიოტროვსკი, გააცნეს მდგომარეობა და თან დასძინეს, რომ წასვლა მისი ნება იყო. ექიმს ერთი წუთიც არ უყოყმანია. მან თან წაიღო აფთიაქი, რომელიც შეიცვალა ყველა საჭირო წამალს და ორი ნაიბისა და შიკრიკის თანხლებით ხასავ-იურთიდან თორმეტი ივნისის დილის შვიდ საათზე გავიდა.

მოგზაურები თავდაპირველად მდინარე ირაქ-სუს მარჯვენა ნაპირით მიდიოდნენ. როდესაც იუდაბახის მწვერვალები გადალახეს. მდინარე აქ-ჩაის მახლობლად. მის მარცხენა ნაპირზე შენიშნეს ორასამდე დონელი კაზაკი, რომლებიც ციხე ვნეზაპნაიასკენ მ იემართებოდნენ. ისინი ალბათ, ბადრაგობიდან ბრუნდებოდნენ. შუადღისას მათ ერთ პატარა ძეძვია მინდოპრზე შედგეს ფეხი და შეჩერდნენ რომ ცხენეები დაესვენებინათ. ერთმა ნაიბმა ნაბადი შემოიხსნა, მიწაზე გაშალა და ზედ ექიმი დასვა. სხვები ბალახზე დასხდნენ და საუზმეს შეუდგნენ. ექიმმა გამციილებლებს საჭმელი შესთავაზა, მაგრამ მათ არაფერს ახლეს ხელი, გარდა ერთი ნაჭერი პუურისა. ყველზეც კი უარი თქვეს, არ ვიცით, რა არის, არასდროს გვიჭამიაო.

იმ ადგილოდან კარგად ჩანდა ჩეჩენთა პიოკეტები ტყესთან, რომელიც მდინარე აქ-ჩაის ნაპირს დაჰყვებოდა. მთიელებში დიდი მოძრაობა იყო. იარაღ ასხმულები იმ ადგილისკენ გარბოდნენ, საიდანაც ბოლის შავი სვეტი მოჩანდა. ის იყო ექიმმა ჭამა გაათავა, რომ ბუჩქიდან თოფიანი ჩეჩენი გამოძვრა, ორმოცდაათ ნაბიჯზე გაჩერდა და მთიელევბს თათრულად გამოელაპარაკა. გამოირკვა, რომ კაზაკებს, რომლებიც წეღან დაინახეს, ერთი მთიელი მოეკლათ და ორი ცხენი წაეყვანათ. ბოლი, რომელსაც ხედავდნენ, შეკრების ნისანი იყო. მაგრამ დააგვიანდათ. სანამ ჩეჩნები შეიკრიბნენ, კაზაკებმა თავიანთ სიმაგრეს შეაფარეს თავი. სანამ მთიელი და ნაიბები მომხდარ ამბავზე საუბრობდნენ, ექიმი ჟოლოს კრეფამ გაიტაცა და ცოტათი დაშორდა მათ, მაგრამ ნაიბებმა უკან დააბრუნეს და მ,ოაგონეს, რომ მისი მთაში წაყვანა საიდუმლოდ მოხდა, და ტანისამოსზე რომ ეცნოთ, შეიძლებოდა თოფი გავარდნილიყო.

ნაშუადღევის ოთხ საათზე ადგილიდან დაიძრნენ. გადალახეს აქა-ჩაი და უკან მოიტოვეს ორი აული, რომელთაგან ერთს ამ მდინარის სახელი ერქვა, მეორეს კი იუთ-ანკი. უკანასკნელი აულიდან. დაახლოებით ერთ ვერსზე აქ-ჩაის უერთდება სალა-სა და დიდ წრეს აკეთებს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. ამ წრის ცენტრში აღიმართება მთა, რომლის ორთავე ფერდობზე მდებარეობენ აულები არგარ-იურთი და ბელარ-გარგანში. თუ გზა ბელარ-გარგანშამდე ასე თუ ისე ასატანი იყო, ამ აულის შემდეგ სრულიად გაუვალი გახდა. მგზავრებს მოუხდათ მდინარეზე ჩასვლა და მის ნაპირზე სიარული. საღამო ჟამს მათ დატოვეს აქ-ჩაის კალაპოტი და შებიდნენ ტყეში, რომელიც მარცხენა ნაპირზე იყო გადაჭიმული. ცხრა სათზე სიბნელეში აქა-იქ შუქი გამოჩნდა. ეს იყო აული ონიეკა, საითკენაც გაიმართნენ ჩვენი მოგზაურები. მთავარი ქუჩა ხალხით იყო გაჭედილი. მზვერავს ეცნობებინა, ერთი რუსი ორი თათრის თანხლებით აულს უახლოვდებაო და მთელი მოსახლეობა ფეხზე დამდგარიყო. გაისმა ყვირილი: „გიაურ! გიაურ!“ და იგი უკვე საშიშ სახეს იღებდა, რომ ნაიბებმა მოასწრეს ხალხისთვის აეხსნათ, რომ მშვიდობიანი მიზნით მიდიოდა ექიმი მთაში. ექიმი ერთ სახლში შეიყვანეს და იქ ერთ საათს დააცდევინეს. შემდეგ შემოვიდა სახლის პატრონი ნაიბის თანხლებით და ექისმს ანიშნა, უკან გაჰყოლოდა. იფიქრებდით, ეს ადამიანები მხოლოდ მაშინ ლაპარაკობენ, როცა ეს უკიდურეს აუცილებლობას წარმოადგენსო. ექიმი ეზოზე გადაატარეს და შეიყვანეს ერთ ოთახში რომელიც განათებული არ იყო. მასპინძელმა ცეცხლი აანთო და სინათლემ გააშუქა სტუმრისთვის გამზადებული ლოგინი. დაღლილობისაგან არაქათმოლეული ექიმი დაწვა და იმწამსვე ძილში წავიდა.

დილას რომ გაიღვიძა, პიოტროვსკიმ დაინახა, მისი ნაცნობი ნაიბი ერთ უცნობ ნაიბს ესაუბრებოდა. ამ უკანასკნელს შამილის მიერ ნაბოძები ორი ვარსკვლავი ეკეთა. ეს კაცი შამილს გამყოლად გამოეგზავნა დანარჩენ გზაზე. მან ექიმს ურჩია გამოეცვალა ტანისამოსი და

სამხედრო ფორმის მაგივრად ჩერქეზული ჩოხა ჩაეცვა. ამას წინ არაფერი ეღობებოდა, რადგანაც ჩოხა წინდაწინვე მოემზადებინათ. საუზმე შედგებოდა ჩაისა , ყველისა და თათრული ხმიადისაგან. ცხრა საათზე მოიყვანეს ახალი ცხენები გამყოლით. გზა სოფელ ამავამდე ისევ აქ-ჩაის გასწვრივ მიიმართებოდა. ამავში კიდევ გამოცვალეს გამყოლი, რომელიც ახლა ფეხით მისდევდა მგზავრებს.ამავს რომ გასცდნენ, ასე, ნახევარი საათის სიარულის შემდეგ ავიდნენ გუმბეთის ქედზე. გზაზე მათ ხვდებოდათ ცხვრის უზარმაზარი ფარები და ნახირები. გუმბეთის ქედიდან კასპიის ზღვა და კავკასიონის ჯაჭვი მოჩანდა გიორგიევსკამდე. მხოლოდ მოზდოკი იყო ნისლში გახვეული. ისეთი მშვენიერი პანორამა იშლებოდა, რომ ექიმს ერტი წუთით დაავიწყდა დაღლილობა. განაგრძეს ასვლა. ერთი მწვერვალი მეორწეს ცვლიდა და ბოლოს მიაღწიეს ჯაჭვის უმაღლეს წერტილს. ექიმმა უნებურად უკან დაიხია. მთა ორი ათასი ფუტის სიღრმის უფსკრულზე ეკიდა.

-გზა სად არის? -იკითხა შეშინებულმას ექიმმა.

მაშინ მთიელი ისე გადაეკიდა უფსკრულს რომ წელსს ზემოთ თითქმის ცარიელ სივრცეში აღმოჩნდა და თქვა:

-აგერ, გზა, -და მან ხეკლი გაიშვირა ბილიკისაკენ, რომელიც კლდის გასწვრივ მიიკლაკბნებოდა.

ბილიკისთვის თავალის გაყოლება შეუძლებელი იყო, ზოგიერთ ადგილებში იგი სრულიად იკარგებოდა მხედველობიდან. ამ გზის ცხენით გავლაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა ექიმი დაქვეითდა ცხენი ბალახზე მიუშვა, თვითონ კი მთელი თავისი ვაჟკაცობა მოიმარჯვა და უფსკრულში დაეშვა. მაშინაც კი კანკალებდა ექიმი, როცა მოგვიანებით ამ სახიფათო მოგზაურობას მიამბობდა. პირველი გამყოლი მიდიოდა, მას მისდევდა ექიმი, უკან მიდიოდა ნაიბი. ექიმი სულ კლდისკენ იყურებოდა, რომ თავბრუ არ დახვეოდა, მაგრამ მისდა უნებურად ყოველ წუთში თვალი გაურბოდა ვიწრო ბილიკისაკენ, რომელიც წვრილი ღორღით იყო დაფარული. ღორღი ფეხქვეშ გორავდა და ყრუ ხმაურით ცვიოდა უფსკრულში, სადაც თვალის გაყოლებას ვერ ბედავდა ექიმი. მთელ გზაზე ერთი დასაყრდენი წერტილი ან ერთი ისეთი ადგილი არ შეხვედრიათ, სადაც ჩამოჯდომა შესძლებოდეთ. ეს წამები ექვს საათს გაგრძელდა. მთის ძირში რომ ცავიდნენ, ექიმს სახეზე სიმწრის ხვითქი გადასდიოდა და ფეხები ისე უკანკალებდა, როგორც ქარზე მოქანავე ლერწამი. როგორც იყო მივიდნენ იმ ადგილზე, რომელსაც ანდის ჭიშკარი ეწოდება. მთელ გამოვლილ გზაზე ერთი ბუჩქიც კი არ შეხვედრიათ, აქა-იქ მოჩანდნენ რაღაც ყვითელი და თეთრი ყვავილები. ამ თხემის სამხრეთ-აღმოსავლეთის ფერდობი ვერტიკალურია. მის მწვერვალზე აღიმართება ქორაფების ჯგუფი, რომელსაც რუსი ჯარისკაცები „ეშმაკის ქორწილს ეძახიან“. მარცხნივ, ანდის ჭიშკრიდან ერთ ვერსზე მოჩანს აულიფელიკი, იქიდან კიდევ ერთ ვერსზე აული აგა, იმის იქით კიდევ აული უნგი. ორ უკანასკლნელ სოფელში სახლები აშენებულია უდუღაბო ქვით. უნგიდან ნახევარ ვერსზე მოჩანს დიდი დაბა ანდი. ანდის უკან მდებარეოსბ კიდევ ერთი აული, სახელად სულკადი, რომელიც გამყოლმა ექიმს დაანახვა, როგორც მათი მოგზაურობის საბოლოო წერტილი. საცოდავ ექიმს კინაღამ გული შეუღონდა. იგი ჩაჯდა, უფრო სწორად, პირქვე დაემხო მიწაზე, მაგრამ რამდენიმე წუთში წამოდგა და ისევ გზას გაუდგნენ მაგრამ მისდა უნებურად ფეხები უკანკალებდა ღელვისაგან. სულ-კადიაში რომ მივიდნენ, კარგად შეღამებული იყო. ამ აულში სახლები ქვისგა�ა ნაშენები და ყველა ორ-სამ სართულიანია. პირველი სართული განკუთვნილია პირიტყვისათვის. მეორე სართულზე ცხოვრობენ სახლის პატრონები, მესამე სართული გაქირავებულია, როგორც ქალაქებში. შუა აულში აღმართულია მიზგითი.

ჯემალ-ედინის სახლის წინ გუშაგი მიდი-მოდიოდა. სახლის პატრონს ქვის სკამზე ეძინა. ექიმი ვიწრო კიბით მოზრდილ პარმახზე აიყვანეს, რომელიოც ავადმყოფის ოთახში შედიოდა. სახლის პატრონი ექიმს ოთახში შეუძღვა, მხოლოდ ერთი ქონის სანთელი აშუქებდა

ავადმყოფის რკინის საწოლს. ექიმისთვის იატაკზე გაშლილი ლოგინი მოწმობდა, რომ მას ელოდნენ.

ჯემალ-ედინი გააღვიძეს. ეტყობოდა, ძალიან გაეხარდა ექიმის მოსვლა, მაგრამ ჯერ დასვენება შესთავაზა. ექიმმა მოიკითხა, მაგრამ საშინლად იყო დაღლილი და დასაძინებლად დაწვა. ოთახი ღარიბულად იყო მოწყობილი. თითქმის არავითარი ავეჯი არ იდგა და მთელ მის მორთულობას წარმოადგენდა თოფი, დამბაჩა, ვერცხლით მოჭედილი ხმალი და ჩაის ყუთი. გაღვიძების თანავე ბ-მა პიოტროვსკიმ ავადმყოფს ჯამრთელობის მდგომარეობა გამოჰკითხა. ახალგაზრდა კაცის ავადმყოფობა უფრო მორალური იყო ვიდრე ფიზიკური.მას კლავდა ქალაქურ ცხოვრებასთან განშორება. ჭაბუკურ სიამეთა ახკვეთა. ტლანქსა და ველურ მთუიელებს, რომლებიც მამამის ეხვივნენ გარს. არ შეეძლოთ დაეჭირათ მისი პერებურგელიო და ვარშაველი მეგობრების ადგილი. მთელ ქვეყანაზე სილამაზით სახელგანთქმულ ჩერქეზ და ყაბარდოელ ქალიშვილებს ძალა არ შესწევდათ, მისთვის ნევისპირელი და ვისლისპირელი ლამაზმანები დაევიწყებინათ. ჯემალ-ედინი კვდებოდა, რადგან სიკვდილი ერჩივნა ასეთ სიცოცხლეს.

ახალგაზრდა კაცს მთლიანად დაშრეტოდა ფიზიკური ძალები. უკვე ვეღარ დგებოდა ლოგინიდან. თათარი ექიმების წამლებმა არამც თუ არ შეაჩერეს სნეულება, უფრო გაართულეს იგი. გართობას კიდევ შეეძლო ჯემალ-ედინის გამობრუნება, მაგრამ ყოველგვარი გართობა, ყოველშემთხვევაში, რომელიც ოდესმე მას სულიერ საკვებს აძლევდა, აკრძალული ჰქონდა. მას ყოველგვარი რუსული წიგნებისა და ჟურნალების კითხვას უკრძალავდნენ. ყველაფერი ის, რაც რუსული იყო და რუსეთიდან მოდიოდა, ჩეჩნისთვის ხომ ფიზიკურსა და ზნეობრივ საწამლავს წარმოადგენდა.

ექიმი ჯემალ-ედინთან სამდღეს დარჩა. ამ სამი დღის განმავლობაში რაც კი შეეძლო არაფერი დაუკლია, მაგრამ დარწმუნდა, ავადმყოფობა იქმადე იყო მისული, რომ მკურნალობას აზრი აღარ ჰქონდა. წასვლისას ექიმმა ჯემალ-ედინს ურჩია იგივე მკურნალობა გაეგრძელებინა, რომელიც მან დაუწყო. მაგრამ ექიმი ღრმად იყო დარწმუნებული, ავადმყოფს თვითონ არ უნდოდა მორჩენა. არავითარი ჩივილი, არავითარი საყვედური არ ამოსვლია ახალგაზრდა კაცს პირიდან. უდრტვინელი იყო მსხვერპლი, თავდადება-სრული. ჩვიდმეთ ივლის ექიმი ჯემალ-ედინს დაემშვიდობა, სექტემბრის დასაწყისში მისი გარდაცვალების ამბავი მოვიდა. შამილმა ხელახლა მოიპოვა შვილი, რათა იგი ისევ სამუდამოდ დაეკარგა.

თავი XL
თბილისი და ქართველები

სახელწოდება „თბილისი“ ანუ „თბილი ქალაქი“ წარმოსდგება თბილი წყლებისგან, რომელთა წყალობით ეს ქალაქი მოგზაურებს იმ სახელგანთქმულ სპარულ აბანოებს სთავაზობს, ჩვენ რომ ზემოთ გვქონდა საუბარი. საინტერესოა კეთილხმოვნობის ანალოგია ზოგიერთი ქალაქის სახელებს შორის, რომლებიც ცნონილი არიან თავიანთი თბილი წყაროებით. ძველ დროში ნუმიდიაში არსებობდა ქალაქი „ტობილისი“, დღესაც, გარდა ქართული თბილისისა, არსებობს ქალაქი „ტეპლიცი“ ბოჰემიაში, რომლის ფესვი სრულიად შესაძლებელია tepida იყოს.

იმ ეპოქაში, საიდანაც ქრისტიანული ერა იწყება, თბილისი მხოლოდ დაბა იყო, საქართველოს დედაქალაქად კი მცხეთა ითვლებოდა. მაგრამ 469 წელს მეფე ვახტანგ გორგასალმა დაარსა ქალაქი თბილის, დედა ახალი თბილისისა. ხლად დაარსებული ქალაქი ხაზარებმა დაანგრიეს, შემდეგ ის კვლავ აღადგინა ემირმა აგარიანმა და ეს ქალაქი მცხეთის დანგრევის შემდეგ ბაგრატიდთა, დღევანდელი ბაგრატიონების წინაპართა დინასტიის რეზიდენცია გახდა.

მტკვარი ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს, ანდა უფრო სწორად ქალაქს გამოჰყოფს გარე უბნებისაგან, ესენია: ისანი, რიყე და გერმანელთა კოლონია. 1795 წელს ქალაქი ერთიანად დაანგრია აღა-მაჰმად-ჰანმა. კლაპროტის ცნობით, ამ დროს ეს ქალაქი ისეთი მჭიდრო ყოფილა, რომ ყველაზე განიერ ქუჩებზეც კი ძლივს დადიოდა ურემი. მაშინ თბილისში მოსახლეობა თხუთმეტიათას მცხოვრებს აღწევდა. როცა 1820 წელს ჩვენი კონსული კავალერი გამბა თბილისში ჩამოვიდა, ქალაქის ყველა ქუჩა ნანგრევებით იყო სავსე სპარსეთის უკანასკნელი შემოსევის შედეგად. ქუჩაში მოსიარულე უნდა ცდილიყო ისე მიეხწია თავის კარამდე, კისერი არ მოეტეხა. ადგილობრივი მოსახლეობა ცხოვრობდა თითქმის მიწურ სახლებში, რომელთაც ოთხი ფუტი სიმაღლის შესასვლელები ჰქონდათ. ეჭვგარეშეა ვინც თბილისს მხოლოდ კლაპროტისა და გამბას აღწერით იცნობს, ის დღეს ქალაქში, შესვლისას ვერ მიხვდება, თუ ეს ამ მოგზაურთა მიერ ახწერილი ქალაქია. ამჟამად თბილისში სამოციდან სამოცდათხუთმეტ ათასამდე მცხოვრებია. მას აქვს სამოცი ფუტის სიგანის ქუჩები სასახლეები, მოედნები, ქარვასლები, ბაზრები, თიატრი და ეკლესია, რომლებიც თავადი გაგარინის წყალობით ხელოვნების შედევრებს წარმოადგენენ. უნდა ითქვას, მას შემდეგ, რაც თბილის რუსეთის მფარველობის ქვეშ მოხდა და დაცულია სპარსელებისა და თურქების შემოსევვებისაგან, სამმა პიროვნებამ განსაკუთრებით ბევრი გააკეთა მის საკეთილდღეოთ: გენერალმა ერმოლოვმა, გრაფმა ვორონცოვმა და თავადმა ბარიატინსკიმ.

დღეს გენერალ ერმოლოვს სრულიად თავისუფლად შეიძლება ეწოდოს რუსი გენერლების მამასახლისი. იგი ოთხმოცი წლისაა. ეს არის 1812 წლის ერთ-ერთი გმირი. ერმოლოვმა შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მთიელებზე. მაღალი და თვალტანადი, ძლიერი, როგორც ჩრდილოეთის მცხოვრები, მარადი და ყოჩაღი, როგორც სამხრეთელი, ერმოლოვი ხშირად უნახავთ, რომ ხმლის ერთი მოქნევით ხარისთვის წაეცალოს თავი, ერთ წუთში გაეხედნოს ველური ცხენი და ტყვიით გაეხვრიტოს ჰაერში შესროლილი მანეთიანი. ეს ყველაფერი საკმარისი იყო, რათა პრიმიტიული ბუნების მთიელებზე ღრმა შთაბეჭდილება მოეხდინა. ერმოლოვი კავკასიაში ტერორის განსახიერებაა, მაგრამ ეს იმ დროს იყო, როცა ერთადერთი ხსნა კავკასიისთვის ტერორი იყო, რადგანაც წმინდა ომს ჯერ არ შეერთებინა მთიელი ტომები. ერმოლოვი ყველაზე ძლიერი პიროვნებაა მათ შორის, ვინც კავკასიელებს დარჩათ მეხსიერებაში. მაგრამ პორტასთან ომის დასაწყისში დაშვებულმა ერთმა შეცდომამ მას ადგილი დააკარგვინა: იმის მაგივრად, რომ თვითონ ჩადგომოდა სათავეში საზღვარზე მიმავალ რაზმს. მან მეთაურობა გენერალ პასკევიჩს მიანდო და ამგვარად, მისი ბედიერების პირველი ქვა ჩასდო. თვითონ თბილისში დარჩა გაურკვევლობასა და ყოყმანში, და გაუგებარია, რა სისუსტემ შეიბყრო ესოდენ დიდგულოვანი ადამიანი. ერმოლოვი ახლაც ცოცხალია. მისი პორტრეტი თავად ბარიატინსკისთან ვნახე. გრძელი, ხშირი, ჭაღარა თმა ბებერ ლომს ამსგავსებს. ის ოპოზიციას ქმნის, ებღაუჭება თავის პოპულარობას და ვერაფრით შერიგებია, რომ ესოდენ ბრწყინვალე კარიერის შუა გზაზე შეჩერდა. იმპერატორ ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა იმპერატორი ნიკოლოზი და ყოველივე შეიცვალა. ნიკოლოზის ძლიერებისადმი წინააღმდეგობის გაწევა მის თვალში მუდამ მიუტევებელი დანაშაული იყო. ამიტომ ნიკოლოზის დროს მთიელები მტრები კი აღარ იყვენენ, ისინი უკვე მეამბოხენი გახდნენ. იმპერატორმა მთიელებთან მოლაპარაკება დაიწყო, რათა ისინი რუსეთს შეუზღუდავად დამორჩილებოდნენ. დაქვემდებარებას შედეგად მოჰყვა მთიელთა კეთილდღეობა იმ მომენტიდან, როგორცკი იმპერატორ ნიკოლოზის ქვეშევრდომნი გახდებოდნენ. ბევრი დაემორჩილა, მაგრამ კეთილდღეობა არ მოვიდა. პირიქით, უმეცარმა, გაუთლელმა, მექრთამე ჩინონვიკებმა მთიელებს რუსეთი შეაძულეს. ამის შედეგია ჰაჯი-მურატის, დანიელ-ბეგისა და ბევრს სხვათა განდგომა, დიდი და პატარა საჩეჩნიოს, ავარიისა და დაღისტნის ერთი ნაწილის აჯანყებები.

ერმოლოვი შეცვალა პასკევიჩმა, მაგრამ იგი დიდხანს არ დარჩა მართებლად, ისიც შეცვალა გენერალმა როზენმა. უკანასკნელი უეჭველად საუკეთესო ადმინისტრატორი იყო კავკასიაში. ჰოდა შესანიშნავი განზრახვები, მისი მზრუნველობის კვალი ჩანს ყველაფერში, რა ჭეშმარიტად

ბრძნული საქმეც კი წამოიწყო ამ ქვეყნის დასამშვიდებლად. საჭიროა დაიწეროს კავკასიის მთელი ისტორია, ანუ უკეთ რომ ვთქვათ კავკასიის მთავარმართებელთა ისტორია დაწყებული თავად ციციანოვიდან თავად ბარიატინსკამდე, რათა ახსნილ იქნას ის გამანადგურებელი ომი, რომელსაც რუსეთი აგერ უკვე სამოცი წელია უშედეგოდ ეწევა. ამიერ კავკასია დასახლებული იყო ცამეტი ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარი ხალხებით, რაც მისი მოსახლეობის უმცირეს ნაწილს შადგნეს. ქვეყნის დანარჩენი ნაწილი იყოფოთა თათართა სახანოებად: განჯა (ელიზავეტპოლი), შექი (ნუხა), ყარაბაღი, შემახია და ბაქო. თვით თბილისთან მდებარე თათრებით დასახლებული პატარა მიწები, როგორიცა ბორჩალო და შამხადილი, მომთაბარე ცხოვრებასტან ერთად ატარებდნენ ავაზაკურ ჩვევებს, რაც აუტანელი იყო მოწესრიგებული მმართველობისათვის. მთელი ამიერ კავკასია წარმოადგენს ველებსა და მთებს. მტკვრის, არაქსისა და ალაზნის ვრცელი ველები საუკეთესო ნაყოფიერი მიწაა ვაზის, თუთისა და ენდროს მოსაშენებლად და ყოველგვარი ხორბლეუკლის მოსაყვანდ. აქ შესაძლებელი ხდება დიდი მეურნეობის გაშლა. ინდუსტრია კეთილდღეობასთან ერთად შემოიტანდა ცივილიზაციასაც, ხოლო ცივილიზაციის შედეგი იქნებოდა მშვიდობა. პროგრამა ადვილი შესადგენი იყო, მაგრამ იგი ძნელი შესასრულებელი გახდა. უფრო ადვილი იყო ხალხის ხოცვა, ვიდრე მისი აღრდა. ხალხის გასაჟღლეტად საკმარისი მხოლოდ ტყვია და თოფის წამალი, მის გასანათლებლად კი ეგვარი სოციალური ფილოსოფია, რომელიც ყველა მთავრობისთვის მისაწვდომი არ არის. ბარის დაპყრობა მოკლე დროში მოხდა, მაგრამ იგი არ შესულა კავშირში, უბრალოდ უღელი დაიდგა, მოჩვენებითად დამორჩილებული ბარი არსებიტად მტრულ განწყობილებაში დარჩა. მას არ ჰქონდა განსაზღვრული უფლებები და ქონების პირობები. სიძულვილმა უძლურმა ბარში, მთებში ჰპოვა მიუწვდომელი თავშესაფარი. მთის წინააღმდეგობის საიდუმლოება ბარის შევიწროვებაშია, ომი მხოლოდ გამოძახილია ბარის ოხვრისა და დტრვინვისა. იპოვეთ საშუალება რატა მატერიალურ ინტერესებში გაერთიანდეს მუსლიმანური სამყარო და ქრისტიანული მტავრობა. ბედნიერება მიჰგვარეთ ბარს მისი დაკარგული სიმშვიდის დაბრუნებით და მთელი მთა თავისი ფეხით ჩამოვა და დაგმორჩილდებათ. აი, ამ სისტემის გატარება დაიწყო გენერალმა როზენმა. საუბედუროდ იმპარატორ ნიკოლზსა და გენერალ როზენს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რის გამოც როზენმა თავისი ადგილი დაკარგა, მოსკოვში დაბრუნდა და იქ გულნაკლული და გაუგებელი გარდაიცვალა. მისმა წასვლამ დაამტკიცა, თუ რა დიდი იყო დანაკარგი.

გენერალი როზენი გენერალმა ნეიდჰარტმა შეცვალა. ეს იყო პედანტი, ჯიუტი, ფორმალისტი, ყოველგვარი სოციალური პოზიციის გარეშე მდგარი, უქონელი და უნდობელი გერმანელი. მისი მართებლობა მოკლე ვადიანი და დამღუპველი იყო. რუსეთის ჯარებმა მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადეს: საჩეჩნო და ავარია ამბოხდნენ, მთელ ქვეყანას ემუქრებოდა საყოველტაო აჯანყება. მაშინ კიდევ მოაგონდა იმპერატორ ნიკოლოზს გრაფი ვორონცოვი, რომელსაც ჰქონდა ყველაფერი ის, რაც აკლდა გენერალ ნეიდჰარტს: სახელი, სიმდიდრე, გავლენა და არისტოკრატული თავდაჭერილობა.

მოგახსენებთ რამდენიმე სიტყვას ფერდმარშალ, კავკასიის მეფის ნაცვალ, ნოვოროსიის და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორ თავად მიხეილ ვორონცოვზე. ეს იყო ერთადერთი პიროვნება ბარიატინსკისტან ერთად, - თუმცა ამ უკანასკნელის დრო მდგომარეობა არ იყო ისეთი რთული, - და ერთადერთი რუსი სახლემწიფო მოღვაწე, რომელმაც მის მაღალ თანამდებობაზეც-კი შესძლო შეენარჩუნებინა ერთგავრი დამოუკიდებლობა. ეს დამოუკიდებლობა მას მოუტანა ერთმხრივ სიმდიდრემ და განათლებამ, მეორე მხრივ მისმა ხასიათმა. ის იყო შვილი რუსეთის ეჩის სიმონ ვორონცოვისა ინგლისში, ლონდონში აღიზარდა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში შეინარჩუნა ის წვრილმანი ჩვევები ესიერი და სწორი ცხოვრებისა, და ის მზრუნველობა პირად ღირსებაზე, როსგანაც ინგლისელები თავიანთ სიდიადეს იძენენ. დიდი საგვარეულო მამულის ატრონი გრაფი ვორონცოვი მემკვიდრე იყო აგრეთვე თავისი ბიძის, ცნობილი სახლემწიფო მოღვაწის ალექსანდრე ვორონცოვისა. ოცი წლის მიხეილ ვორონცოვი გვარდიის ლეიტენანტი და კამერფერი იყო. ეს ის მომენტია, როცა

საქართველო რუსეთის იმპერიას შეუერთდა. ვორონცოვის ცამოსვლის დროს საქართველოს მმართველი იყო თავადი ციციანოვი. ეს იყო გულფიცხი და ჭირვეული, მაგრამ ჭეშმარიტი სამხედრო და ადმინისტრატიული გენიით დაჯილდოვებული ადამიანი. თავადს არაფრად ეჭაშნიკა, როცა ახალგაზრდა კამერჰერი დაუნიშნეს, რომელსაც იგი სასტუმრო დარბაზების კავალერათ და მოდაში შემოსულ გულთა დამყრობლად სთვლიდა. მის ტავიდან მოსაშორებლად თავადმა ციციანოვმა შეადგინა წერილი, რომელიც შეაფერხებდა ვორონცოვის ჩამოსვლას, მაგრამ როგორც აგამენნონის წერილი შეხვდა გაზაზე კლიტემნესტრას, ისე შეხვდა თავადი ციციანოვის წერილიც გრაფ ვორონცოვს. ჩამოსული კაცის უკან დაბრუნება არარ შეიძლებოდა: ეს მოხდა 1803 წ. ახალმა კაცმა თვისი სამხედრო საქმეები დაიწყო განჯის სახანოს დედაქალაქის, ახლანდელ ელიზავეტპოლის ალყაში მონაწილეობით. და თავი გამოიჩინა იმით რომ ბრძოლის ველიდან მამაცურად გამოიტანა ახალგზარდა კოტლიარევსკი, რომელიც შემდეგში კავკასიის გმირად იქნა აღიარებული.

თავადი ციციანოვი მიხვდა, ახალგაზრდა კამერჰერი ისეთი კაცი იყო, რომ იგი რუსეთისთვის უნდა დაზოგილიყო. მას შეეშინდა, განჯის ბრძოლაში არ დაიღუპოსო. ლეკეთის ხასზე გაგზავნა და ჩააბარა მამაც გენერალ გულიაკოვს, რომელიც რაზმს მეთაურობდა. მაგრამ ახალგაზრდა კაცის იქ მისვლის რამდენიმე დღის შემდეგ ერთ ველზე ზაქათალასტან ლეკებთან შეტაკების დროს მარცხი მოხდა. გულიაკოვი მოკლეს და რუსი ჯარის გვარიანი ნაწილი უფსკრულში გადაჩეხეს. ზაქათალის ბრძოლის შემდეგ, რომელსაც მიხელ ვორონცოვი სასწაულით გადაურჩა, მონაწილეობა მიიღო ერევნის ექსპედიციაში ბრიგადი-მაიორის ჩინით. გარდა ამისა ციციანოვმა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ძალიან შეიყვარა ის, ერთი საჩოთირო დავალება მისცა იმერეთის მეფეს სოლომნთა, რომელიც ხან რუსეთის სასარგებლოდ ამბობდა უარს სამნეფო ტახტზე, ხან კი აშკარად ილაშქრებდა რუსეთის წინააღმდეგ. თვადი ციციანოვი მოკლეს, ვორონცოვი კი რუსეთს დაბრუნდა. აქ კავკასია მათ ჰკარგავს მხედველოვბიდან. ბოროდინის ბრძოლაში ის სარდლობდა დივიზიას, რომელიც განადგურდა, თვითონ კი დაიჭრა და განაპირდა ერთ-ერთ თავის სასახლეში, რომელიც საკუთარი სახსრებით დიდ ჰოსპიტლად გადააკეთა. აქ ვორონცოვს სხვა რუს დაჭრილებთან ერთად მკურნალობდნენ. 1815 წელს ის საფრანგეთში დარჩენილ არმიის კოპრპუსს მეთაურობდა. შემდეგ ცოლად შეირთო სახლგენთქმული პოტიომკინის ძმის შვილის, გრაფის მეუღლის ბრანიცკის ქალიშვილი, რის შედეგადაც რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი მებატონე გახდა. თუ მეხისრება არ მღლატობს, 1826 წელს ვორონცოვი ნოვოროსიიისკის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა და დასახლად იდესაში, რომელიც სავაჭრო ქლაქად გადაიქცა და ისე აყვავდა, როგორც ჩვენ დღეს ვხედავთ. მან აქ შექმნა სამხრეთ-რუსეთის შესანიშნავი მეღვინეობა, განავითარა მევენახეობა და ქალაქი ერთ ვეებერთელა აგრაკებით სავსე ბაღნარად გადააქცია. უფროსების მიერ ადმინისტრაციულ საქმიანობას მოშორებულმა გრაფმა ვორონცოვმა თურქეთთან ომის დროს ვარნასტან დაჭრილი თავადი მენშიკოვის ადგილი დაიკავა, აიღიო ვარნა და თავის პოსტს დაუბრუნდა. ბოლოს, 1845 წელს კავკასიის მეფის ნაცვლა დაინიშნა. ამ ცნობას მთელი რუსეთი მიესალმა. ვორონცოვი გემიდან რედუდკალეში გადმოვიდა და ახფრთოვანებით იქნა მიღებულ;ი შავი ზღვის სანაპიროს მთელი ნაირფეროვანი მოსახლეობის მიერ. უპირველესი მისი დაპირება გზების მოწყობა იყო. ყოველი ახალი მეფისნაცვალივით ისიც ყველაფერს პირდებოდა ხალხს, მაგრამ საუბუროდ ვერც ერთი ასრულებდა დანაპირბეს. არის ორი გარემოება, რომლებიც აფერხენებ გზების გაყვანას კავკასიაში. პირველია ნიადაგის თვისებები მეორე კი უფრო რეალური გახკლვათ, ეს ის არის, რომ კავკასიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამხედრო საკითხს. უნდა ითქვას, რომ მდინარეთა სწრაფი ძალა კავკასიაში საშინელ უბედიურებას წარმოადგენს. ერთი გრანიტის ხიდი,. სდარიალის ხეობაში, რომლის პირველი ქვა ზეიმით ჩადო დიდმა მემკვიდრემ, ახლანდელმა იმპერატორნა, სამი წლის განმავლობაში ააშენეს, ხუთი ათასი მანეთი დაჯად და იდის ამბით გახსნეს. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ნაფოტივით წაიღო წყალმა. კიდევ ორ ხიდს ეწია ასეთი ბედი გორის ახლოს მტკვარზე. ამ ხიდების აგება დავალებული ჰქონდა ერთ ინგლისელ მექანიკოსს, გვარად კეილს, რომელსაც სადურგლო საქმეები უფრო ეხერხებოდა. ჩვენ რომ გორში გავიარეთ, კვალიც არსად ჩანდა იმ ხიდებისა.

უნდა ითქვას, რომ მთავრობამ მიმოსვლის გზებისთვის ძალზე უმნიშვნელო თანხა გასცა სამოცი თუ ოთხმოცი ათასი მანეთის რაოდენობით. ბევრს მუშაობენ, მაგრამ უშედეგოთ. ამიტომაც ამბოპბენ თბილისში: თუ ის ფული შეაგროვეთ, რაც ორმოცდაათი წლის განმავლობაში თბილსისა და ვლადიკავკასიის გზაზე დაიხარჯა, ამ გზის მანეთებით მოკირწყვლა შეიძლებაო. მაგრამ ჩვენ მალე გავემგზავრებით ამ გზაზე და მკითხველები თვითონ განსჯიან, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება იგი. მანამდე კი უნდა მოგახსენოთ, ყოველ წელს სამგვარი ზვავი ატყდება ამ გზას: თოვლისა, ქვისა და წყლისა. ბრში ყოველთვის ერთნაირი წყალდიდობა არ იცის, ზოგი აფხვიერებს ნიადგას და ზოგი მთელ პროვინციებს წალეკავს ხოლმე. სამეგრელოს ტალახებში ჩემი ცხენი ისე ჩაიძირა, რომ კინაღამ მეც შიგ არ დამტოვა. ასეთ ქვეყანაში რომ მიმოსვლის საშუალეები მოეწყოს საჭიროა რომაული შრომა და ციკლოპური ნაგებობები, უზარმაზარი ფონდი, ჭეშმარიტად განათლებული ინჟინრები, ყველაზე მეტად კი უზადო კეთილსინდისიერება. დაპყრობა ყველას უნდოდა, მაგრამ ყველა შორდებოდა დაპყრობის ჭეშმარიტ, ერთადერთ საშუალებას. ომის რუსეთს ას მილიონზე მეტი უღირდა, მიმოსვლის გზებზე კი სამსი ათასი ფრანკი იყო ასიგნებული. ამიტომაც არ არსებობს გზები კავკასიაში.

გრაფი ვორონცოვი გზების გაყვანას პირველსაჭიროებად თვლიდა, ხელისუფლებამ კი ომი უფრო საჭიროდ ჩათვლა, ვიდრე გზები. მან ბრძანება მიიღო „ბუნტოვშიკების“ წინააღმდეგ უფრო დიდი აქტივობით და პეტერბურგში იმპერატორის თვალწინ შედგენილი გეგმის მიხედვით ეწარმოებინა ომი. საქმე ეხებოდა საბოლოო ექსპედიციას, რომელსაც მიზნად ჰქონდა შამილის გარემოცვა, მის რეზიდენციაში შეჭრა, აჯანყების ჩახშობა და დაღისტნის ყველა მთიელთა დამორჩილება. ქაღალდზე ეს იყო ჩინებული გეგმა, მაგრამ სათვალავში არ ჩააგდეს ბუნება. იმპერატორმა მოაწყო საბედისწერო ექსპედიცია, რომელიც ცნობილია დარღოს ექსპედიციის სახლწიოდებით. იგი მით უფრო განუსჯელი იყო, რომ გრაფი ვორონცოვი არასოდეს ყოფილა კავკასიის იმ მხარეში და ის ადილები სადაც ბრძოლა უნდა ეწარმოებინა, სრულიად უცნობი იყო მისთვის. ეს ექსპედიცია ილიადა და მას ეყოლებოდა თავისი ჰომეროსი, პუშკინი და ლერმონტოვი რომ ცოცხლები დარჩენილიყვნენ. გიორგიევსკისა და სალფის იერიშები, ავარიის ველური ტყეების გადალახვა, დარღოს-შამილის რეზიდენციის ხელში ცგდება, ორცხობილასთვის გაგზავნილი სამიათასი კაცისაგან შემდგარი პოლკის ერთიანად გაჟღლეტა, ბოლოს გადარჩენა ჯარისა სწორედ იმ მომენტში, როცა იგი უკანასკნელ ჯარისკაცამდე უნდა დაღუპულიყო, ეს ყველაფერი ტაზებიან ერთი ეპოპეისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს შემაძრწუნებელიცაა და ახტაცების მომგვრელიც. დარღოს ექსპედიციის შედეგი მხოლოდ ის იყო, რომ მან გამიჩინა და შეაფასა თავადი ვორონცოვის ხასიათი. ჯარისკაცები, რომლებიც ვორონცოვს პორტო-ფრანკოს ეძახდნენ მისი ლიბერალური და პროგრესული იდეებისათვის, ენთუზიაზმით იმსჭვალებოდენენ მისადმი, როცა ამ კეთილშობილ მხცოვანს მუდმ მშვიდს თანაბარს, ალერსიანს, ყოველივე გაჭირვების გადამტანს, ხიფათში მუდამ აუღელვებელს დ მოცინარს ხედავდნენ. მთიელები მასა და მის ბადრაგ ერთი ტყის პირად დაესხნენ ტავ და ის, ვინაც მოსკოვთან გაუმაგრად ნაპოლეონ I-ს, იძულებული იყო ხელში ხმალი აეღო და ჩეჩენი ავაზაკები მოეგერიებინა. გრაფი ვორონცოვის სახელი კავკასიაში ყველას პირზე აკერი და ეს გასაგებიც არის.

უნდა გამოვტყდე, როცა თბილისში მოვდიოდი, მეგონა ვნახავდი ნახევარდა ველურ ქალაქს, რაღაც ბაქოსა და ნუხის მსგავს, მაგრამ უფრო დიდს. თურმე ვცდებოდი. ფრანგული კოლონიის წყალობით, რომელიც უმთავრსედა პარიზელი მკერავებისა და მოდისტკებისაგან შედგება, ქართველ მანდილოსნევბს შეუძლიათ იტალიური თიატრისა და განდის ბულვარის მოდას მისდიონ, მხოლოდ ორი კვირის დაგვიანებით. იმ დროს, როცა მე საქართველოს დედაქალაქში ჩავედი, ქალები ძალზე გართული იყვნენ ერთი რამით: თავად გ-ს მეუღლეს ჩამოეტანა პლასტიკური კორსეტი და მის უამისოდაც მშვენიერ წელს იეს მოეგო ამ ახლია გამოგონების წყალობით, რომ ქ-ნ ბლოსთან ტევა აღარ იყო მოთხოვნილებისა. მასაც ქ-ნ ბონვალესთვის მიეწერა, რომ თბილისში ამ კორსეტების მთელი საპალნე გმოეგზავნა. მე, როგორც პარიზელს,

მეკითხებოდნენ ამ საინტერესო გამოგონების შესახებ, რაიცა, მათი აზრით, შეუძლებელი იყო არ მცოდნოდა. ჩემო კარგო მკითხველო, ნუ მკითხავ, როგორ გავიცანი ბონვალეს კორსეტები, რადგანაც ამაზე პასუხს ვერ გაგცემ. მოხდა ისე, რომ იმ საქმიანობაში, რომელიც პარიზიდან წასვლის წინ შემთხვევამ გამიჩინა, პლასტიკური კორსეტებიც ერია. ერთხანს გავიფიქრე, ალბათ, საჯარო ლექციის წაკითხვა დამჭირდება მეთქი, მაგრამ ბოლოს ამ საქმეს გადვურჩი ერთი პატარა ცნობით, რომელიც ჟურნალ „ცისკარში“ მოვათავსე. ამ ცნობაში მე ვხსნიდი, რომ ოტახას-ხუთასი ქალის ნატურიდან ყალიბში ჩამოსხმის საშუალებით მიხწეული იქნა ქალის ტორსის რტვა ტიპის მეთოდიკური კლასიფიკაციის შექმნა, რომელთა მიხედვით ყვეა ქვეყნისა და ყვეა რსის ქალებს შეუძლიათ შეარჩიონ კორსეტი ქანდაკების უმკაცრეს წესებთან შეფარდებით. ზემო ხსენებულ ჟურნალში დაბეჭდილმა ამ ცნობამ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიწვია: მთელი რედაქცია სრული შემადგენლობით მოვიდა და ქართულ სადილზე მიმიპატიჟა. მაგრამ, თუ თბილისში იცნობე პარიზულ კორსეტებს, ვეჭვობ, რომ პარიზში იცოდნენ, რას წარმოადგენს სუფრა თბილისში... რასკვირველია ქართული სუფრა.

ქართულ სუფრაზ ჭამენ ყველაფერს, რაც კი მოხვდებათ საჭმელი აქ ყველაზე უმნიშვნელო ნაწილია სადილისა, რომელიც შედგება განსაკუთრებით ახალი მწვანილისა და მისი ძირებისაგან. რ მწვანილი ან რა ძირებია ეს, წარმოდგენა არა მაქვს. სალათა უზეთოთ და უძმროდ, მწვანე ხახვი, გვერდელა, ტარხუნა და ბოლოკი. ხოლო რაც შეეხება სასმელს ეს უკვე სხვა საქმეა, ამის შესახებ შემიძლია უფრო დაწვრილებითი ცნობები მოგაწოდოთ. ქართულ უფრაზე ჩვეულებრრივი სმელებიხუთ-ექვს ბოთლ ღვინოს სვამენ, უფრო დიდი მსმელები კი თორმეტ-თხუთმეტ ბოთლს. გამოერვიან ისეთებიც, რომლებიც ბოთლებით კი არა ტიკობით სვავენ, ესენი ოც-ოცდახუთ ბოთლამდე ადიან. საქართველოში სასახელოა, თუი შენ მეზობელზე მეტი დალიე ასე რომ, ქართველი საშუალოდ თხუთმეტ ბოთლს სვამს. ღმერთმა, რომელიც ქალის სიმძაფრეს ახლად გაკრეჭილი კრავის ძალას უფარდებს, ქართველ მსმელებს კახური ღვინო მსცა, ესე იგი ის საუცხოო ღვინო რომელიც არ ათრობს, ანუ უფრო სწორად თავში არ უვარდება მსმელს. ამიტომ ქწართველებმა თავის დამცირებად ჩათვალეს ის, რომ ათი-თორმეტი ბოთლის შემდეგ არ თვრებოდნენ. მათ გამოიგონეს სასმისი, რომელიც მათდა უნებურად ათრობს, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, უღვინოდაც ათრობს. ეს არის ერთგვარი ამფორა. რომელსაც კულას ეძახიან. კულა წარმოადგენს განიერ მუცლიან და გრძელ ყელიან ბოთლს, რომელიც ერთბაშად მოიცავს ცხვირსა და პირს, ისე, რომ სმის დროს არ იკარგება არცერთი წვეთი ღვინო და არც იოტისოდენა მისი გაზი. ამის შედეგად, სანამ ღვინო კუჭში ჩავა, გაზი ტვინში მიდის. კულის გარდა ქართველი მსმელები ხმარობენ კიდევ მრვალ ფანტსტიკური ფორმის სასმისებს: გოგრას გრძელი ღეროთი, წვენის ჩამჩამს, რომლის ფსკერზეც არ ვიცი, რატომ გაკეთებულია მოუქრული ირმის თავი მოძრავი რქებით, და ჰქვია ქვაბი, საწვენეების მაგვარ ფართო ჯამებს, როლანდის ბუკის მსგავს მოვარაყეილ რქებს, რომელთა შორის უმცირესში ერთი ბოთლი ღვინო ჩადის და აუცილებლად ერთი გადკვრით, სულისმოუთქმენლად უნდა დასცალო. გარდა ამისა, ქართველ თუ უცხოელ სტუმარს, რომელიც კი არ ჯდება, არამედ უნდა ჩაცუცქდეს ქართულ სუფრასთან, შეუძლია ტავის ნებაზე ჭამოს, სმა კი, ნურას უკაცრავად, თავის ნებაზე არ შეუძლია. ის, ვინც სადღეგრძელოს დალევს, წინდაწინ ხვდება მისი კუჭის შესაძლებლობას. მიმღებმა სასმისი ბოლომდე უნდა დასცალოს. სადღეგრძელოს მთქმელი წარმოთქვამს იდუმალ სიტყვებს, „ალავერდი!“, მიმღები უპასუხებს, „იახშიოლ“! ამ გამოწვევის შემდეგ ან უნდა სვა, ან უნდა მოკვდე. ქართველს დიდ ღირსებად მიაჩნია, თუ იგი საუკეთესო მსმელად ითვლება. როცა იმპერატორი ნიკოლოზი კავკასიაში ჩამოვიდა, გრაფმა ვორონცოვმა მას თავადი ერისტავი წარუდგინა და უთხრა:

-მეფეო, პატივი მაქს წარმოგიდგინოთ საქართველოს უპირველესი მსმელი.

თავადმა მორიდებით, მაგრამ კმაყოფილი სახით დაუკრა თავი. ახლა წარმოიდგინეთ, რა წამებს მიქადდა ქართული სადილი მე, ვისაც წყლის მეტი არაფერი დაულევია ტავის ღეში. მაინც ვაჟკაცურად მივიღე მოპატიჟება და დანიშნულ საათზე სადილად მივედი. ჩემს

პატივსაცემა დაპატიჟებული იყო ორი თუ სამი ცნობილი მსმელი, რომელტა შორის იყვნენ ტავადი ნიკოლოზ ჭავჭავაძე და პოლნელი ჟოზეფ პერენეპსკი. ამათ გარდა ჩვენ გვყავდა ერთი პოეტი და ერთი მემუსიკე. პოეტი იყო ევანგუ ევანგულოვი, მასპინძელი - ივანე კერესელიძე, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი. პირველი, რაც დარბაზში შესვლისტანავე თვალში მეცა, ეს იყო ვეებერთელა კოკა, იმის მსგავსი, ალიბაბას და მის ორმოც ავაზკს რომ უდგიათ. ორმოცი თუ ასი ბოთლი ღვინო, რომელიც ამ კოკაში იდგა, ჩვენი გამოსაცლელი იყო. იატაკზე ეგდო დიდი ხალიჩა ზედ გაშლილი სუფრით, სუფრა, ჩვენთვის, ვინც ფუფუნებას ვიყავით შეჩვეული, გაწყობილი იყო თეფშებით, დანა-ჩანგლითა და კოვზებით. ადგილობრივ სტუმრებს კი ძველი პატრიარქალური ჩვეულების თანახმად, ხელით უნდა ეჭამათ. მე საპატიო ადგილას დამსვეს სუფრის ტავში, ჩემს პირდაპირ მოთავსდა მასპინძელი, მარჯვნივ მომისვეს თავადი ნიკოლოზი, მარცხნივ ბ-ნი პენერეპსკი. მუსიკოსი და პოეტი სუფრის ბოლოში დასხდნენ და სადილიც დაიწყო.

მე ჩვეულებად მაქვს, რამდენადაც ძაა შემწევს, თავი ავარიდო ხიფათს, მაგრამ როცა მასთან პირისპირ აღმოვჩნდები, ძაღლივით ერ ადილზე ვჩერდები, ამ შემთხვევაშიც ასე დამემართა. რასაც მე ახლა ვიტყვი შესაძლებელაი, თავდაპირველად პარადოქსად მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ დავუფიქრდით, ამას უსათუოდ ჭეშმარიტებად ვცნობთ. იმ კაცს, რომელიც არსვამს, ბრძოლის მომენტში დიდი უპერატესობა აქვს მსმელ კაცტან შედარებით. უკანასკნელს ტვინის სიღრმეში უსათუოდ დარჩენილი აქვს წინანდელი სიმთვრალე, რომელსაც იმ დღევანდელი სმაც ემატება. ხოლო ის, ვინც წყლისმეტს არაფერს სვამს მაგარი და საღი თვით მოდის და მიტომ ჯერ საჭიროა ღვინომ სმელების დონეზე დააყენოს. ამგვარად კახურ ღვინოს იოლად ვერ გადაურჩები, თუ ექვსი-შვიდი ბოთლი არ დალიე. მე არ ვიცი სათვალავი ჩემ მიერ დალეული ღვინისა მემუსიკის გამებსა დ პოეტის დუდღუნში, რომლებიც იმპროვიზაციათა შორის საჭმელს გემრიელად შეექცეოდნენ, მაგრამ ეტყობოდა, რაოდენობა საგრძნობი იყო, რადგანაც სადილის დასასრულს წარმოიშვა საკითხი, ჩემთვისმოეცათ მოწმობა, სადაც დადასტურებული იქნებოდა ჩემი არა გონებრივი არამედ ფიზიკური გამძეობა. წნანადება მიღებული იქნა. აიღეს ქაღალდის ნაჭერი და თვითეულმა მათგანმა თავისი ხელმოწერით დაამოწმა სახლის პატრონის მიერ დაწერილი ცნობა:

„ბ-ნი ალექსანდრე დიუმა ეწვია ჩვენს უბადრუკ რედაქციას, სადაც მისთვის გამართულ სადილზე ქართველებზე მეტი ღვინო დალია.

1858 წ. 28 ნოემბერი.

ქართულ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი

ივანე კერესელიძე“.

ამფიტრიონის ხელმოწერას მოსდევდა თავად ნიკოლოზის შემდეგი მონაწერი: „მე ვესწერებოდი სადილს და ვადასტურებ, რომ ბ-მა დიუმამ ნამდვილად ქართველებზე მეტი ღვინო დალია.

თ. ნიკოლოზ ჭავჭავაძე“.

პოეტმა კი ჩემთვის დაწერა არა ცნობა, არამედ შემდეგ მადრიგალი: „სათაყვანებელი პოეტი გვეწვია და ისე შემობრძანდა, როგორც ხელმწიფე, განმანათლებელი გონებისა, იგი სიხარულია საქართველსი“.

ხოლო რაც შეეხება სხვა ცნობებს, მე მკითხველეს ვთავაზობ მათ ორგინალებს, რომელთაც ისე ვინახავ როგორც დაწერილი არიან: ქართულად, რუსულად და პოლონურად.

ჩვნ უკვე ვთვლით, რო ქართველები იმ საუცხოოო ნაკლოვანებათა მხრივ, რომლებიტაც ისინი ბუნებამ داااჯილდოვა, რჩეული არსებანი არიან. ჩვენ აგრეთვე მოგახსენეთ, რომ ქართველები დიდი მფლანგველები არიან. ამის საბუთი მათ ზედ აწერიათ: თითქმის მთელი ქართველბა გაღატაკებულია. ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის მტავრობა დიდად დაეხმარა ამ საქმეში. როგორც ვიცით, ქართველები დედამიწის ზურგზე პირველი ღვინის მსმელები არიან, ხოლო თავაზიანობა, რომლითაც მე ცნობა მომცეს, მათ სახელს ვნებას ვერ მიაყენებს. ასეთი მოწმობა, როგორც მრავალი სხვაც, ალბათ მათი შემწყნარებლობის შედეგია. ზემოთ ისიც ვთქვით, რომ ქართველები უმამაცესი ხალხია. ამაში უკვე არარავის შესდის ეჭვი, თვით ყველაზე მამაც რუსებსაც კი. ისინი გვაიმბიბენ ქართველთა ვაჯკაცური სისადავის შესანიშნავ ფაქტებს.

ვორონცოვის მიერ მოწყობილ ერთ-ერთ ექსპედიციაში ჯარი წაადგა ტყეს, რომელზეც ამბობდნენ, მთიელები იცავენო.

-ტყეს ორი ფინდიხით დატენილი ზარბაზანი დაუმიზნეთ და ესროლეთ, - ბრძანა გრაფმა, - მაშინ ვნახოთ, როგორ იცავენ მას მთიელები.

-რაზე დავკარგოთ დრო და ფინდიხი, თქვენო უგანათლებულესობავ, - უპასუხა იქვე მყოფმა ტავადმა ერისტავმა, - თვითონ წავალ და ვნახავ.

ერისტავმა ცხენი გააჭენა, ტყე მოათვალიერა, დაბრუნდა და ვორონცოვს ანტიკური სისადავით მოახსენა:

-არავინ არის, თქვენო უგანათლებულესობავ.

თავი XLI
გზა თბილისიდან ვლადიკავკავამდე

თბილისში ჩამოსვლისთანავე გადავწყვიტე საქართველოს დედაქალაქში ყოფნით მესარგებლა და ერთი კვირით წავსულიყავი ვლადიკავკავში. დარუბანდის რკინის კარებში გავლა არიყო საკმარისი, მინდოდა დარიალის კარებიც გამეარა. კავკასიის გარს შემოვლაც არ კმაროდა, საჭირო იყო მისი გადაკვეთაც. მიუხედავად იმისა, რომ ავდარი მოახლოვდა, -ნუ გავიწყდებათ, რომ დეკემბერი იყო, -ტარანტასში ჩავსხედით. მუანე თბილისში დავტოვე, მხოლოდ კალინო წავიყვანე თან.

ქალაქიდან გასვლისთანავე იმ გზას დავადექით, რომლითაც მთელი მოგზაურობის დროს უნდა გვევლო. იგი მიემართება სწრაფი და ხმაურა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დაბალი მთების ჯაჭვის გასწვრივ. შემდეგ მკვეთრად უხვევს მარცხნივ იმ ადგილას, სადაც მდინარე ქმნის კუთხეს, რომელსაც „ეშმაკის კუთხეს“ ეძახიან, იმის გამო, რომ მისი ქვემო ნაწილი უზარმაზარ მუხლს წააგავს. აქერდანვე, ესე იგი ქალაქიდან სულ რაღაც ორიოდე ვერსის დაშორებით გზა ოღროჩოღრო გახდა. გზის ამ ნაწილზე ყველაზე დიდ ღირშესანიშნაობას წარმოადგენს მრავალრიცხოვანი მღვიმეები, რომელთაც ოთხკუთხი ხვრელები აქვთ და ვერავითარი კიბით ვერ მიუდგებით. მართალი გითხრათ, ამ გამოქვაბულებმა ჩემში დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ თუ მე ვიჩენდი ცნობისმოყვარეობას, სამაგიეროდ კალინოს არ აინტერესებდა ისინი. ის ალბათ, ბოჰემიის მეფის შვიდი სასახლის წინაც ეს გაივლიდა, რომ არ იკითხავდა, ვინ ააშენაო. მხოლოდ საარაკო შრომის შედეგად ვაღწევდი მისი გონების აყვანას საკითხის იმ სიმაღლეზე, რომელიც მე მაინტერესებდა. მდგომარეობა არ იყო სახარბიელო. ჩვენი მეეტლე ერთადერთი კაცი იყო,რომლისთვისაც შეგვეძლო გვეკითხა რამის ახსნა, მაგრამ იმ დალოცვილს თხუთმეტი წლის განმავლოვაში კვირასი სამჯერ ევლო ამ გზაზე და ჯერაც არ შეენიშნა ის გამოქვაბულები, რამაც მე დამაინტერესა. ამიტომ მარტო საკუთარ ვარაუდს დავჯერდი.

ადამიანის ხელითაა ეს მღვიმეები გამოთხრილი, თუ ბუნებამ შექმნა ისინი? ბუნება ალბათ, ასე წესიერად არ გამოთხრიდა მათ. კრისტალიზაციას, რომელსაც კავკასიაში ვხვდებით, ხანდახან წარმოუდგენლად წესიერი ფორმები აქვს, მაგრამ კრისტალიზაცია ხომ ხვრელები არ არის? ყველაზე უფრო სარწმუნოა, რომ ეს მღვიმეები კავკასიაში მცხოვრებ პირველ ტომთა სადგომები იყოს. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ მუხლი ინდა მოვიყაროთ ამ პირველყოფილი არქიტექტურის ნაშთის წინაშე. მე მგონია ვცდები, როცა ვამბობ, პირველყოფილი-მეთქი. უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანთა პირველი საცხოვრებელი ხშირჩრდილიანი ხეები იყო. ზამთარი მათ აიძულებდა სტუმართმოყვარე ხეების მიტოვებას და სიცივისაგან დასაცავად თავშესაფრის ძებნას. მაშინ მათ ძალაუნებურად თავი უნდა შეეფარებინათ ამ მღვიმეებისთვის, ანდა ისინი გამოეთხარათ, როცა მზად არ დახვდებოდათ. ყოველშემთხვევაში, ეს მღვიმეები, თუ მართლაც მათ ის დანიშნულება ჰქონდათ, რომელიც ჩვენ მივაწერეთ, სამოცდაათი საუკუნის წინანდელი უნდა იყვნენ, რაიცა უკვე მეტად საპატიო სიძველეა და რაიცა მხოლოდ იმას მოწმობს, რომ სულ ცოტა კიდევ შვიდი ათასი წელია საჭირო იმის გასაგებად, რომ ჩვენ არაფერი ვიცით. შესაძლებელია, ეს მღვიმეები აკლდამებია, სადაც ძველი ღებრები თავიანთი მიცვალებულების ფერფლს ყრიდნენ. სპარსეთში, განსაკუთრებით იეზდის პროვინციაში თეირანის ახლოს, მთებში ვხვდებით მღვიმეებს, რომლებისც ძალიან ჰგავს ამ გამოქვაბულებს და ადგილობრივი მცხოვრებნი მათ ზოროასტრას მიმდევართა აკლდამებად სთვლიან. ეს უკანასკნელი აზრი არ არის მაინცდამაინც ძალიან გაბედული, თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ ქრისტიანობის შემოსვლამდე საქართველოში და მეტადრე მის სატახტო ქალაქ მცხეთაში ცეცხლთაყვანისმცემლობა ბატონობდა.

გადმოცემით, ამ გზაზე მიდიოდა მიტრიდატესგან დევნილი პომპეუსი. ჩვენი მასპინძლის მამის მიერ მტკვარზე 1840 წელს აშენებულ ხიდთან არის ნანგრევები აგურის ხიდისა, რომელსაც პონტის მეფის მძლეველს მიაწერენ. ამ ხიდზე გავლის შემდეგ შევდივართ მცხეთაში, საქართველოს ძველ სატახტო ქალაქში. დღეს ეს ერთი საცოდავი დაბაა, რომელიც ძველ ნაქალაქარზე მდებარეობს არაგვისა და მტკვრის შესართავთან. ხალხური გადმოცემით მცხეთა ააშენა მცხეთოსმა, ქართლოსის ვაჟმა, რომელიც მოსეს ექვსი თაობის შემდეგ ცხოვრობდა. მცხეთა მისი შექმნის რამდენიმე საუკუნის შემდეგ მნიშვნელოვანი ქალაქი გახდა და საქართველოს მეფეებმა იგი თავის რეზიდენციად აირჩიეს. ერთმა მისმა მმართველმა, ჩამომავლობით სპარსელმა, სახელად არდამმა, მტკვარზე, ხიდთან მას ზღუდე შემოავლო, ააგო სიმაგრე, რომლის ნანგრევები ახლაც ჩანს. ხოლო მეორე ასეთივე სიმაგრე ჩრდილოეთის მხრიდან აუშენა. ალექსანდრე დიდის მეფობაში ღებრების დევნის დროს მცხეთის ზღუდეები დალეწა არანმა. ხოლო შემდეგ ისევ ააშენა ფარნავაზმა. მეფე მირიანმა, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვით 255-318 წლებში მეფობდა, მცხეთაში ხის ეკლესია ააშენა, სადაც ქრისტეს კვართი ინახებოდა. საქართველოს ოცდამეექვსე მეფემ მირდატმა, რომელიც იმავე საუკუნის დამლევს ბრწყინავდა, ეკლესიის ხის სვეტები ქვის სვეტებით შესცვალა. ამ ეკლესიას დღეს „სამირონე „ ეწოდება. მისგან ჩრდილოეთით იმავე მეფემ ააშენა ეკლესია „ ღვთაებისა სამთავრო“ შემკული მშვენიერი გუმბათით. აქ დაკრძალულია საქართველოს ორმოცდამესამე მეფე მირიანი, რომელიც მეშვიდე საუკუნის დასასრულს ცხოვრობდა. დაახლოებით 1304 წელს მტრისგან განადგურებული ქალაქი აღდგენილი იქნა სამოცდამეთერთმეტე მეფის გიორგის მიერ, მაგრამ იგი ხელახლა დაანგრია თემურ-ლენგმა, რომელსაც ქართველები ლანგ-თემურს უძახიან. მცხეთა ისევ აღზდგა ნანგრევებიდან საქართველოს სამოცდამეჩვიდმეტე მეფის ალექსანდრეს ხელში, რომელმაც აქ გუმბათიანი ქვის ეკლესია ააშენა. ბოლოს, ეს ეკლესია დიდად გაალამაზა ვახტანგ მეფემ დაახლოებით 1722 წელს. აქ დაკრძალულია მრავალი ქართველი მეფე და სხვათა შორის, უკანასკნელი გიორგი, რომელიც, თუ არ ვცდები 1811 წელს გარდაიცვალა.

მცხეთიდან აღმოსავლეთით აღიმართება ზედაზნის მთა, რომლის თავზე ჯვრის ეკლესიაა აშენებული. გადმოცემა გვეუბნება, რომ ამ ეკლესიის გუმბათიდან მცხეთის ტაძრის გუმბათამდე გაჭიმული იყო ჯაჭვი და ორივე ეკლესიის წმიდანები ღამ-ღამობით ამ ჯაჭვის

საშუალებით ერთმანეთთან დადიოდნენ. ერთი ტაძარი ააშენა სახელმოხვეჭილმა ხუროთმოძღვარმა, მეორე კი - მისმა შეგირდმა. მაგრამ როდესაც ოსტატს დაუნახავს, რომ მოწაფეს აჯობა, სასოწარკვეთილს საკუთარი მარჯვენა მოუჭრია.

4609 წელს მცხეთა უკვე აღარ არის საქართველოს მეფეთა სატახტო ქალაქი, ვინაიდან ვახტანგ გორგასალი ააშენებსთბილისს და თავისი რეზიდენცია იქ გადააქვს. როგორც ამბობენ ძველი დედაქალაქი მაშინ გადაჭიმული იყო ექვს ვერსზე ჩრდილოეთიდან სამხრეთით. ამჟამად მცხეთა სახელგანთქმულია მხოლოდ თავისი ვარიებით, რომლებიც, როგორც ამბობენ, თვისუფლად გაუწევენ მეტოქეობას მონსის ვარიებს, და კალმახით, რომელიც არაფერში უთმობს როპშის კალმახს. მცხეთიდან ორი თუ სამი ვერსის მანძილზე ვხვდებით მთას ზადენს, რომელზეც შემორჩენილია მეოთხე ქართველი მეფის ფარნაჯომის მიერ აგებული სიმაგრის ნანგრევები. მან ამ მთაზე დადგა კერპი ზადენი, რის გამოც მთამ ეს სახელწოდება მიიღო.

წინ მივდიოდით, მაგრამ დარი გვაფიქრებდა. სქელი, რუხი, ღრუბლები თანდათან მოიწევდნენ და ალბად თავს დაგვატყდებოდნენ, მაგრამ თითქოს ხელს უშლიდნენ მწვერვალები, რომლებიც ერთგვარ მანძილზე იკავებდნენ მათ. მაინც ვხედავდით, როგორ თანდათან იფარებოდა ეს მწვერვალები თოვლით და როგორ ეფინებოდა გზას თეთრი სუდარა. მცხეთიდან ათუოდე ვერსის მანძილზე მთის ძირს ავცდით და გავყევით არაგვის ველს. ამის შემდეგ, ვიდრე მდინარის მიმართულებით მივდიოდით, გზა შესამჩნევად გაუმჯობესდა, ესე იგი ძალიან ცუდი რომ იყო, ახლა უხეირო გახდა. ის ისევ გაფუჭდა დუშეთამდე სამი ვერსით ადრე. დუშეთში რომ შევედით, ბნელი, უფრო სწორად თეთრი ღამე იყო, რადგანაც თოვლი, რომელიც მთელ დღეს მოდიოდა მთებში, ახლა ბარშიც მოსულიყო. დუშეთს ეძინა, მხოლოდ ერთი დალეული სანთელი ძლივს ბჟუტავდა სადგურში. იმ სანთელზე ჩვენი სანთლები და სამოვარი ავანთეთ, შემდეგ საგზალი ამოვიღეთ და წავივახშმეთ. ნავახშმევს კალინო მისთვის დამახასიათებელი უდარდელობით თავის ტახტზე გაიჭიმა და განცხრომით ჩაიძინა, ისე , რომ სრულიად არ დაფიქრებულა ხვალინდელ დღეზე. მე კი ეს ხვალინდელი დღე ძალიან მაწუხებდა, რადგანაც თოვლი გამალებით ბარდნიდა. მუშაობას ჩაუჯექი და რადგანაც ყველა უსიამოვნებასთან ბრძოლაში მუშაობა ჩემთვის დიდი ნუგეშია, განვაგრძე საკუთარი შთაბეჭდილებები კავკასიაში მოგზაურობისა. ღამის სამი საათი იყო, როცა ჯუბაში გავეხვიე და ტახტზე დავწექი. შვიდ საათზე გამეღვიძა. თენდებოდა, თუ ამას შეიძლება გათენება ვუწოდოთ. ნისლი თითქმის ხელშესახები გახდა. იგი ჰგავდა მოძრავ კედელს, რომელიც მიახლოებისთანავე უკან იწევდა. კალინომ გაიღვიძა და ცხენები მოითხოვა. სადგურის ზედამხედველი გაჯავრდა ასეთ დარში რომ გზის გაგრძელება მოვინდომეთ. ანანურამდე როგორმე მიაღწევთ, მაგრა იმას იქით ვეღარ წახვალთო, -ამბობდა ის. მე ვუპასუხე, რაკი ეს საკითხი მხოლოდ ანანურში უნდა გადაწყდეს, იქამდე მაინც მივიდეთ-მეთქი. ჩაიმ, საუზმემ და სადგურის ზედამხედველის უარმა ათის ნახევრამდე ვერ დაგვძვრა ადგილიდან. ბოლოს გავემგზავრეთ. სამი საათი რომ გავიდა, ესე იგი შუადღისას, უკვე ანანურში ვიყავით. ღრუბლებში გამოჭრილ დღის პატარა შუქზე ნათლად გავარჩიეთ ანანურის ციხე, რომელიც არაგვის მარჯვენა ნაპირზე დგას. უწინ ეს იყო არაგვის ერისთავთა ციხე-სიმაგრე.მაგრამ იგი აღებული იქნა ერთი შემთხვევის შედეგად. ჯერ უნდა გავარკვიოთ შემდეგი: ერისთავი, რაც დღეს საკუტარ სახელს წარმოადგენს, ოდესღაც წოდება იყო და ნიშნავდა ხალხის მეთაურს. ქართველ მეფეთა სახელებს უმეტესობას ასეთი საწყისი აქვს. გვარები დაჩრდილეს წოდებებმა, რომლებიც დღეს ხმარებაში არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამდებობები და წოდებები შთამომავლობით იყო და სახელების მაგივრად თანდათან შეეჩვივნენ დიდებულთა ხსენებას წოდებების მიხედვით.

1727 წლის ერთ დღეს ანანურის ციხის მფლობელ არაგვის ერისტავს ბარძიმს ტავისი ძმებითა და ნათესავებით ლხინი ჰქონდა. ამ დროს ერთი წვეულტაგანი ფანჯარას მიუახლოვდა და შორს გზაზე დაინახა კეთილშობილი მანდილოსანი, რომელიც მაშინდელი ჩვეულებისამებრ (ეს ჩვეულება დღესაცაა) ცხენით მოდიოდა მღვდლისა, ორი ბაზიერისა და მსახურთა მალის

თანხლებით. საკრმელში სხვა სტუმრებმაც გაიხედეს. ერთ-ერთმა, რომელსაც სხვაზე უკეთესათ უჭრიდა თვალი, მოგზაურ ქალში იცნო, არ ვიცი ცოლი, არ ვიცი ქალი ქსნის ეერისთავისა, რომეთანაც ის საჩოთირო დამოკიდებუებაში იყო. გადაწყდა მოეტაცნათ ახალგაზრდა ლამაზი მოგზაური ქალი რაც უფრო ახლოვდებოდა, მით უფრო აშკარად ჩანდა მისი ასაკი და სილამაზე. მოლხინეთ ეს გადაწყვეტილება ფრიად ბუნებრივად ეჩვენათ. მითუმეტეს, რომ უკვე შეზარხოშებულები და გამხაირულები იყვნენ. მოუხმეს მსახურებს, შეკაზმეს ცხენები, ციხიდან გამოცვივდნენ, მღვდელი, ბაზიერები და ამალა აქეთ-იქით გაფანტეს, დატყვევებული ქალი კი ციხეში შეიყვანეს. ერთი საათის შემდეგ ციხის თავზე ბაირაღივით ფრიალებდა საბრალო თავადის ასული შინდისფერი შარვალი. რა დღე დააყენეს ქალს? უნდა ვიფიქროთ, რომ მას არ დაადგა კაერგი დღე, რადგანაც, როცა შინ უშარვლოდ დაბრუნდა, ქნის ერისთავმა, სახელად შანშემ ფიცი დასდო, უკანასკნელ კაცამდე ამოეჟლიტა არაგვის ყველა ერისთავები. ეს ფიცი ადვილი შესასრულებელი როდი იყო. მაგრამ თავადმა შანშემ გააკეთა ის, რაც ჟულიენმა დონა ფლორიდას გაუპატიურების შემდეგ. მან კავშირი დაამყარა ორგულებთან. კავკასიის მტრები ლეკები იყვნენ და მათი დახმარებით ქსნის ერისტავმა ჯერ ხაშმის ციხე აიღო, შემდეგ ანანურისკენ დაიძრა, სადაც ტავის მიუვალ ციხე-სიმაგრეში ჩაკეტილები იყვნენ არაგვის ერისთავი, მისი ძმები და ნათესავები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს თავად შანშეს შეურაცყოფაში. ამ უკანასკნელმა ანანურთან მიახლოებისას შეამჩნია შინდიიდფერი შარვალი რომელიც ციხის თავზე ფრიალებდ. მაშინ მან პირველ ფიცს მეორეც მიუმატა.სირცხვილის სიმბოლო შარვალა არაგვის თავით შეცვალა. ალყამ კარგა ხანს დასტანა. ბოლოს ლეკების წყალობით ციხე აიღეს, ერისთავები უკანასკნელ კაცამდე გაჟღლიტეს, შინდისფერი შარვალი კი თავადი ბარძიმის ტავით შეცვალეს.

ანანურის ციხეში ორი საყდარია, ორივე ღვთისმშობლისა, და საქართველოში დიდი პატივისცემით სარგებლობს. დღეს მათი მხოლოდ ნანგრევებიღაა დარჩენილი. ორივე დაანგრიეს და გაძარცვეს ლეკებმა. მათ ხანჯლებით ამოთხარეს თვალები კედელზე მოხატულ მოციქულებსა და წმინდანებს. აქ მოგვიანებით ლაზარეთი იყო გამართული, სადაც კარანტინში ატარებდნენ უსეთიდან საქართველოში ჩამოსულთ. ჩვენ ერთადერთი სურვილი გვქონდა ღამე გავეთია ფასანაურში, ესე იგი იმ დღეს კიდევ ოცდაორი ვერსი გაგვევლო. ანანურიდან გზა არამცთუ უაესდება სახიფათოც კი ხდება. იგი მიიფოფხება ტყით დაფარული ციცაბო მთის კლდოვან ფერდობზე და ისეთი ვიწროა, რომ ორი ეტლი ძლივს აუხვევს გვერდს ერთმანეთს. ქვემოთ, ხუთასი ნაბიჯის სიღრმეზე, ვიწრო ხეობაში ბობოქრობს არგვი. ანანურიდან თხუთმეტ ვერსზე პატარა მდინარე, თუ არ ვცდები, სახელად მენესაუ, ოცი ფუტის სიმაღლიდან ვარდება და ქმნის საუცხოო ჩანჩქერს. ანანური ახლა უბრალო კასაკთა პოსტია ოთხი ათეული კაცით და იქ ვერაფერს იშოვით. საბედნიეროთ თან იმდენი სანოვაგე გვქონდა, რომ კობამდე მივაღწევდით, და ამის იმედს არ ვკარგავდით. ახლა კი ესეც სათუო გახდა ამინდის გაფუჭების გამო. ანანურს რომ გავცდით, ნამდვილი ზამთარი დაგვიდგა და ტარანტასი ერთ-ნახევარი თუ ორი ფუტის სიმაღლის თოვლში მიგორავდა. თავადმა ბარიატინკიმ გაგვაფრთხილა რა სიძნელეებიშეიძლებოდა შეგვხვედროდა გზაზე და თან ერთი ამბავი გვიამბო, რომელიც თვითონ შჭემთხვა ამ გზაზე. ერთხელ თავადი ვლადიკავკავიდან თბილისში მოდიოდა. ფასანაურიდან რამდენიმე მანძილზე ზვავი ჩამოწოლილიყო და გზა შეეკრა. ვიდრე გზას წმენდნენ მოთმინებადაკარგული თავადი ეტლიდან გადმოვიდა და უბრალო ოფიცრის ფარაჯითა და ჯოხით გაბედულად დაადგა გზას იმ გადაწყვეტილებით, რომ ეარა, ვიდრე ეტლები არ დაეწეოდნენ, და თუ მოუხდებოდა ფეხით მისულიყო შემდეგ სადგურამდე, ესეიგი როგორც უკვე მოგახსენეთ ოცდაორი ვერსი გაეარა. ათი ვერსი ექნებოდა თავადს გავლილი და უკვე უკან იხედებოდა, ხომ არ მეწევიან ეტლებიო, როცა შენიშნა, რომ მთიდან ჩამომავალ ერთ-ერთ ბილიკზე ერთი პატარა, მაგრამ მაგარმ ცხენზე მჯდარი ქართველი მოდიოდა. მას გაწითლებულ ცხვირსა და მხიარულ ღიღიონზე ეტყობოდა, რომ შეზარხოშებული იყო. თავადმა შურის თვალით შეხედა მხედარს, განსაკუთრებით კი ცხენს. არც გასაკვირია, მას არც ცხენი ჰყვადა, საშინელი გათოშილი იყო და თან არ ახლდა მხიარული თანამგზავრი სახელად სიმთვრალე, რომელსაც შეეძლო მისთვის ყურში სიმღერა ჩაეღიღინებინა. სიტყვა სიმთვრალე

იმიტომ ვიხმარეთ, რომ სხვა არ მოგვაგონდა, თორემ ქართველი კაცი არსდროს მთვარალი არ არის. ის სუფრაზე 8-10 ბოთლ ღვინოს დალევს, რისგანაც უფრო მხიარული და გულახდილი ხდება. თავადმა ბარიატინსკიმ მაჩვენა ერთი ძალიან ლამაზი კულა, რომელიც საქართველოს მეფეს-ერეკლე II-ს ეკუთვნოდა. მაში ოთხი ბოთლი ღვინო ჩადის. მეფე ერეკლე თურმე მას სულმოუთქმენლად სვავდა. იმ ჩვენს ქართველს ალბათ, ძალიან გაუჭირდებოდა თქმა, რამდენი კულა ჰქონდა დაცლილი, მაგრამ ერთი რამ კი დაბეჯითებით შეეძლო ეთქვა, იმ წუთში ის ნეტარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როცა ჭეშმარიტი მსმელი სახარების მცნებას მისდევს: გიყვარდეს მოვასი შენი, ვითარცა თავი შენი. ჰოდა, როცა მან თავისი მოყვასი თოვლზე ჯოხით მოსეირნე დაინახა, მიუახლოვდა და, უპირველეს ყოვლისა, „გამარჯობა“ უთხრა, ესე იგი მუდამ თან გახლდეს გამარჯვებაო. თავადმა უპასუხა: „გაგიმარჯოსო“, ესე იგი შენთანაც იყოს გამარჯვებაო. მაგრამ რადგანაც ამ ორი სიტყვის მეტი ქართული არ იცოდა, მხედარს ჰკითხა, რუსული თუ იციო. ცოტაო, - უპასუხა ქართველმა, და გაიბა საუბარი. ქართველი მუდამ გაშლილი გულითა და გაშლილი ხელით დადის, ამიტომ მან თავის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით გადმოულაგა თანამგზავრს. ეს იყო ერთ-ერთი წვრილი მესაკუთრე, რომელიც ასე ბევრია საქართველოში, მას შემდეგ, რაც მსხვილი მესაკუთრენი გაქრნენ. ჰყავდა ერთი ცხენი და შვიდი თუ ექვსი დესეტინა ვენახი. მთაში ქორწილზე ყოფილიყო დაპატიჟებული და ახლა იქიდაბნ ბრუნდებოდა. გმოთხოვებისას ერთი მაგრად შეზარხოშებულიყო და ისე წამოსულიყო თბილისში. როცა სიტყვა დასრულა თავადმა უთხრა:

-მეგობარო, ერთი რამ უნდა გთხოვოთ.

-ბრძანეთ, - მიუგო ქართველმა.

-თქვენი ცხენი ანანურამდე მომაქირავეთ, რვა თუ ათი ვერსია დარჩენილი და თქვენთვის ადვილია, დაღლილი არა ხართ. მე კი ათი-თორმეტი ვერსი გამოვიარე ფეხით და გზის გაგრძელება გამიჭირდება.

-მოქირავება რა სათქმელია! - შესძახა ქართველმა, - მათხოვეო, რომ გეთქვათ, კიდევ ჰო.

და ცხენიდან ჩამოხტა, თან ქართულ სიმღერას ღიღინებდა, რომლის აზრი იყო, ძმა ძმისთვისაო, შავ დღისთვისაო.

-არა, არა, ეგრე არ მინდა! - მიუგო თავადმა და შეეცადა ჯიბიდან ამოღებული თუმნიანი შეეჩეჩებინა.

ქართველმა უარის ნიშნად მეფური სიზვიადით გაიქნია ხელი, თავდს ერთ ხელში აღვირი ჩაუდო, მეორეთი უზანგი დაუჭირა და უთხრა:

-მოწყალება მოიღეთ და აბრძანდით.

თავდმა კარგად იცოდა, ქართველი ტუ რამეს გთავაზობს, ეს უსათუოდ კეთილი გულითაა. ცხენზე შეჯდა და დაქვეითებულ მხედარს ნელი ნაბიჯით გვერდით გაჰყვა.

-რას სჩადიხართ? - ჰკითხა ქართველმა.

-როგორც ხედავთ, ამხანაგობას გიწევთ, - მიუგო თავადმა.

-თქვენი ამხანაგობა მე არაფრად მინდა, თქვენ კი ძალიან გჭირდებათ კარგი ცეცხლი და ერთიჭიქა ღვინო. ამიტომ გასწიეთ ანანურისკენ რომ ჩქარა მხვიდეთ.

-ცხენი?

-ცხენი იქ დატოვეთ საჯინიბოში და დაუბარეთ, ამა და ამ კაცისაა, მე მათხოვა, თვითონ კი უკან მოდის-თქო. მეტი არაფერი.

-მაშ, შეიძლება?..

-შეიძლება კი არა, გთხოვთ უსათუოდ ასე მოიქცეთ.

თავდმა აღარ ალაპარაკა და ცხენი გააჭენა, რამდენადაც ამის საშუალებას გზა აძლევდა. ერთ საათში ანანურში მივიდა. იქ სადილი დაახვედრეს. მთელი გარნიზონი ფეხზე დადგა და საერთოდ ისეთი პატივი სცეს, როგორიც მის რანგს შეეფერებოდა. სადილად რომ დაჯდა, ქართველი კაცის დახვედრა და მისი ცხენისთვის ორმაგი ულუფა თივის მიცემა ბრძანა. მერე, როგორც ნამგზავრმა კაცმა, გემრიელად ისადილა. ჩაროზს რომ შეექცეოდა, კარი წყნარად გაიღო და მისი ნაცნობი მხიარული ქართველის ცხვირმა შემოანათა.

-აა, თქვენც მოსულხართ, მეგობარო, აბა დამეწვიეთ, ვჭამოთ და დავლიოთ.

ქართველმა რაღაც წაიბურდღუნა, სუფრას მიუჯდა და ჭამას შეუდგა. ერთი საათი ჭამა, ორი საათი სვა და ადგომას აღარ ფიქრობდა, მაგრამ თავადი რომ წამოდგა, ისიც ადგა. თავადი დაღლილი იყო და დაწოლას ჩქარობდა, ქართველი კი იდგა და აღარ მიდიოდა. მაშინ თავადმა ხელი ჩამოართვა და მშვიდობის ღამე უსურვა. ქართველი კარისკენ გაემართა, მაგრამ შედგა. ცხადი იყო, რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ გაებედა.

-რაღაც გინდათ და არ მეუბნებით, მითხარით, ნუ გერიდებათ, - უთხრა თავადმა.

-დიახ, თქვენო უგანათებულესობავ. მე ის მინდოდა მეთქვა, რომ როცა შეგხვდით, ერთი საწყალი რუსი ოფიცერი მეგონეთ, ჩემი ტოლი კაცი, და თუმანზე უარი გითხარით. ახლა კი გავიგე, რომ ტავადი ყოფილხართ, დიდი ბატონი, ფადისაჰივით მდიდარი და ვფიქრობ, თავისუფლად შემიძლია გასამრჯელო გამოგართვად.

ტავადმა ეს მოთხოვნა სამართლიანად მიიჩნია და მხიარულ ქართველს ერთის მაგივრად ორი თუმანი მისცა. ეს შემთხვევა იმიტომ გიამბეთ, რომ იგი საუცხოოდ მიგვაჩნია თავისი უბრალოებით, რაც შესანიშნავად გვიხატავს ამ ქვეყნის ზნე-ჩვეულებებს.

მე ვლაპარაკობდი ვლადიკავკავის გზის შესახებ, რომელიც მთელ კავკასიას შუაზე ჰკვეთს და მაგონდებოდა თბილისში გაგონილი: „მის გაყვანაზე დახარჯული მანეთებით მთლიანად შეიძლება მოიკირწყლოს ეს გზა“. ფასანაურიდან ახლა გზა გვერდს უხვევს კაიშაურსა და კობს, ესე იგი იმ ორ სადგურს, რომელთა შორის ხშირად ჩვავი ჩამოდის, და პირდაპირ ყაზბეგისკენ მიიმართება. ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს უნდებიან ამ გზის გაკეთებას, რომელსაც 15-18 ვერსი ექნება სიგრძე. ვიდრე ერთ ბოლოს დაასრულებენ, ალბათ მეორე ბოლო დაინგრევა მთლიანად. თუ ის როდესმე დასრულდა, ფართო, სწორი და კარგი სავალი გზა იქნება. მისი კლაკნილი გაივლის შედარებით დაბალ მთებში, სადაც აღარ გვხვდება ძალიან ციცაბო აღმართები და ამის შედეგად თოვლის ზვავის და კლდის ჩამონგრევის საფრთხე თავიდან იქნება აცილებული. ყაზბეგამდე ხუთ თუ ექვს ვერსზე, ველს, რომელზეც ეს ახალი გზა მიიმართება, მოულოდნელად ჰკვეთს მაღალი ბორცვი და მისი შემოვლა შეუძლებელია. მასზე, როგორც მთა აქსუსზე გზაკლანილად მიიმართება, მაგრამ ისე მოკლე არ არის, მხოლოდ უფრო მოხერხებულია.

ღამით გზის შესახებ ცნობა მივიღეთ: სამი დღე იყო, რაც მთებში თოვდა და გვარწმუნებდნენ, ხუთი-ექვსი ფუტის სიმაღლე თოვლი დევსო. ტარანტასით გზის გაგრძელება შეუძლებელი ხდებოდა. ეჭვი ეპარებოდათ, რომ მარხილიც წასულიყო. ჩვენ მაინც ტარანტასი მარხილით

შევცვალეთ და შიგ ხუთი ცხენი შევაბმევინეთ. აქ გაგვაფრთხილეს, ქვეშეთში, ალბათ, იძულებული იქნებით ეგ ცხენები ხარებით შეცვალოთო. ქვეშეთამდე არაფერი გვიჭირდა. გავიარეთ საკმარისად ვაკე ადგილი არაგვსა და ტყიან მთებს შუა, სწრაფად გადავედით მდინარეზე და თუ უწინ მარჯვნივ მოგვყვებოდა არაგვი, ახლა ის მარცხნივ აღმოჩნდა. ქვეშეთს რომ გავცდით, დაახლოებით ექვსვერსიანი ციცაბო აღმართი დაიწყო. ჩვენს მარხილში ცხენების მაგივრად ახლა თორმეტი ხარი შეაბეს. ხარები ყოველ ნაბიჯზე მუცლამდე თოვლში იფლობოდნენ და ძლივს მიათრევდნენ მარხილს. თოვლი მეტისმეტად ფხვიერი იყო. ოცდაორი ვერსის, ესე იგი უტ-ნახევრაი ლიეს გავლას ექვს საათზე მეტი მოვანდომეთ. ორჯერ სხვა მარხილი შეგვხვდა. გზა იმდენად ვიწრო იყო, რომ გაფრთხილება გვჭირდებოდა, რათა შემხვედრიან თვითონ ჩვენი მარხილი არ გადავარდნილიყო უფსკრულში, რომლის ფერდს თოვლი ფარავდა. საბედნიეროდ, ჩვენი მდგომარეობა ნებას გვაძლევდა მარჯვენა მხრით გვეარა და იმი მაგივრად, რომ ცალი ფეხი უფსკრულში გვქონდა დაკიდული, კლდის ძირს ვეკროდით. ერთხელ, ერთი შემხვედრი მარხილის ორმა წინა ხარმა წამოიბორძიკა და მგზავრები გზაზე გადმოყარა. გამრეკმა როგორღაც შეაკავა ხარები, მაგრამ პირუტყვი დაშინდა და როცა ფხქვეშ მყარი მიწა იგრძნო, კანკალი დააწყებინა, ჩაიმუხლა კიდეც. რაც უფრო მაღლა ავდიოდით, იმდენად უფრო გვჭირდა თოვლი თვალს. ყველა მოგზაურთ, რომლებიც გზაზე გვხვდებოდნენ, თავზე ლამპის აბაჟურებივით ფართო წინაფრები ჰქონდათ გაკეთებული და ძალიან სასაცილოდ გამოიყურებოდნენ. ფინომ წინასწარ გაგვაფრთხილა და მისი რჩევით ჩვენც შევიარაღდით მწვანე ტიულის მოსახვევებით, როგორსაც ჩვენი ამორძალები ტყეში, ხოლო ლონდონელი კომივოიაჟორები ეპსომის დოღზე წასვლისას იკეთებენ. ვინც ამ ზომებს არ მიიღებს, თვალების ანთება ელის.

კაიშაურში რომ მიხვალთ, ძალაუნებურად უნდა შეჩერდეთ და გარემოს მოავლოთ თვალი, მეტადრე უკან უნდა მოიხედოთ. გარშემო მუდმივი თოვლი დევს, უკან საქართველოს ველები გადაჭიმულან. ვერ გეტყვით, როგორ გამოიყურება ეს პეიზაჟი ზაფხულში, მაგრამ ზამთრში იგი სევდიანი და დიდებულია. ყოველივე თეთრად ბრწყინავს, ღრუბლები, ცა, მიწა. ეს ყველაფერი ერთი უზარმაზარი სივრცეა, დაუსრულებელი ერთფეროვნება, ერთი სამარისებური მდუმარება. ერთადერთი სავი ლაქები, ტვალი რომ ძლივს არჩევს, წინ წამოწვდილი ქორაფებია, რომელთა მახვილ თხემებზე თოვლი ფეხს ვერ იკიდებს, ან ფეხმიუდგომელკლდეზეაშენებული რომელიმე განმარტოებული ქოხის კედლები. ეს შავი ლაქებია, მოგზაურს რომ საშუალებას აძლევს მანძილებში გაერკვიოს. თუ ეს არა, ყველივე საშინელ გაურკვევლობაში აირეოდა. როცა ამ ნახევრად თოვლში ჩაფლულ ეულად მდგრა ხუხულებს უყურებ, არავითარი გზა თუ ბილიკი არ ჩანს, მისკენ მიმავალი და გგონია, ისინი მიტოვებულია ადამიანის მიერ. ხოლო თუ რამე საყრდენი იპოვე და ქვემოთ ჩაიხედე, დაინახავ, რომ იქ გველივით მიიკლაკნება არაგვი. ამ დროს ის აღარ არის ვერცხლისფერი ლენტივით შავ მიწაზე გაშლილი, როგორც ზაფხულში, ახლა ის მიიკლაკნება წყლის მრუმე ნაკადად, რომელიც კრიალა ფოლადივით რელიეფურად გამოიყოფა ქათქათა თოვლზე.

კაიშაურის სადგური და ყველა შენობა ერთიანად თოვლით იყო დაფარული. ყორღანებს ჰგავდნენ და ფერით დანარჩენი ლანდშაფტისაგან არ გამოირჩეოდნენ თოვლით დამძიმებული სახურები. ფანჯრებს ნახევარზე თოვლი ჰქონდა შეყრილი და საჭირო იყო მისი გაჭრა, რატა დღის სინათლეს და ჰაერს ფანჯრებისთვის მიეღწია. ციმბირში გვეგონა თავი. კაიშარში გავჩერდით, რადგანაც ასეთ ამინდში გზის გაგრძელებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ჯვრის გადასავალზე ღამით მოვიხდებოდა გადასვლა, მაშინ, როცა ეს დღისით ძნელი იყო. ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა. მარხილს ხარები გამოხსნეს და რაკი ასეთ ამინდში მთებში მოგზაურობას ცოტა ვინმე თუ გაბედავს, ხალხი ცოტა იყო, და ჩვენ საუკეთესო ოტახი გვარგუნეს სადგურში. მეორე დილას ცხრა საათზე გზას გავუდექით. ჩვენს იქ ყოფნაში ორ თუ სამ მარხილს გაევლო, ისე რომ რარაც გაკვალული გზის იმედი გვქონდა. ჩემი „პოდოროჟნისა“ თორმეტი ხარი, ათი ჯარისკაცი და ათი კაზაკი მომცეს. კაიშაურს ჯერ არ გავცდენოდით, რომ წინ შემოგვეყარა ერთი ინგუში თავადიშვილი ოთხი ნუკერის თანხლებით. მათ უკან

მოჰყვებოდა ოთხი ცხენოსანი, რომელთაც საუცხოო დიდრონი მწევრები მოჰყავდათ საბელებზე. თავადს ჩვენი ჯაროსნების მსგავსი ძველი ტანისამოსი ეცვა. თავზე პრტყელი კასკი ეხურა, ჩამოშვებული რკინის ბადით, ტანზე ჯავშანი ემოსა, ხოლო მის აღჭურვილობას ამშვენებდა სწორი სატევარი და ტყავის ფარი. ჩვენ შევედით ოსეთის სოფელ გუდის ფარგლებში.

ჭეშმარიტად კლაპროტისა და დიუბუასთანა მეცნიერი უნდა იყო, რათა ოსები ინგუშებად, მათ დამპყრობელებათ მიიჩნიო. ინგუშები არც მაჰმადიანნი არიან, არც ქრისტიანნი. მათი რელიგია ძალიან მარტივია: ისინი დეისტები არიან: მათ ღმერთს ეწოდება დალი, მაგრამ დალის გარს არ ახვევია არც წმინდანები, არც მოციქულები. ინგუშები კვირაობით ისვენებენ, ინახავენ დიდასა და პატარა მარხვას, მომლოცავობენ წმინდა ადგილებში, სადაც თითქმის ველა საყდრები თამარ მეფის დროინდელია.ჰყავთ მხცოვანი მღვდელი, სახელად ისანინ-სტაგი (სუფთა ადამიანი), იგი უცულოა, შესაწირს სწირავს და ლოცვას კითხულობს. ოსეთის კომისიის რუსი მისიონერები დიდად ეცადნენ თავის სარწმუნოებაზე მოეციათ ისინი, მაგრამ ბევრს ვერაფერს მიაღწიეს. მეორე მხრივ იყო ასეთი შემთხვევაც: ორი ინგუში ძმა გაყიდეს თურქეთში, სადაც მათ მაჰმადიანური სარწმუნოება მიიღეს. შემდეგ ისინი მომლოცავად მექაში წავიდნენ და იქიდან თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ. აქ მათ დახვდათ ცოცხალი დედა, რომელსაც აგრეთვე მიაღებინეს ისლამიზმი, თავის მემამულეებს რომ უქადაგებდნენ. აქ მათ დახვდათ ცოცხალი დედა, რომელსაც აგრეთვე მიაღებინეს ისლამიზმი, თავის მემამულეებს რომ უქადაგებდნენ. მაგრამ ამათ უთხრეს: თქვენ ქადაგებთ ისეთ სარწმუნოებას, რომელიც ტყვეობაში მიიღეთ. ჩვენ იგი არ გვინდა. წადით და აღარ გამოჩნდეთ ამ ქვეყანაშიო. ძმები მართლაც წავიდნენ და ამის შემდეგ აღარ გამოჩენილან. ინგუშები ყალმუხებივით თავიანთ სახელებს ცხოველებისაგან სესხულობენ. ზოგს ჰქვია პოე, ესე იგი ძაღლი, ზოგს უსტ, ესე იგი ხარი, ზოგს კაკა, ესე იგი ღორი და სხვა. ჰყვათ ხუთი, ექვსი და შვიდი ცოლი. ამ მხრივ მათ მეტი ტავისუფლება აქვთ, ვიდრე მაჰმადიანებს, რომელთაც მხოლოდ ოთხი ცოლის ყოლის უფლება აქვთ. ისინი განიყოფებიან დიდ და პატარა ინგუშებად. პირველნი ცხოვრობენ ბარში, მეორენი - მთაში.

რაც შეეხება ოსებს, რომლებიც ჩვენ გაკვრით ვახსენეთ და რომლებიც ისეთსავე ჩაჩებს ატარებსნ, როგორსაც ჩვენი ჯამბაზები, რამაც საშინლად გამაკვირვა, მალე ამათაც გავეცანით. მათ ნაბრძანები ჰქონდათ გაეწმინდათ გზა, რასაც ყვირილით, სიმღერით, კინკლაობითა და ერთმანეთისთვის ნიჩბით თოვლის ყრით აკეთებდნენ. მრავალ ძველსა და თანამედროვე მოგზაურს დაუწერია ოსებზე. დიუბუამ თავისი შრომის ნახევარი ოსების წარმოშობის გამოკვლევას მიუძღვნა, მაგრამ გულახდილად აცხადებს, რომ მათ შესახებ სრულიად ვერაფერი იპოვა, გარდა რუსი ავტორებისა, რომელთაც მასზე მეტი არაფერი იცოდნენ ამ საკითხზე.

წარმოუდგენელია, თუ რა დაუსრულებელ ლაბირინთში ექცევიან წარმოშობის დადგენის მანიით შეპყრობილი მეცნიერები. დიუბუას აზრით, ოსები ანუ ოსეთები არიან ძველი მეოტიელები, რომლებიც ოდესღაც ცნობილი იყვნენ სახელებით ასები, იაზები, ალანები, მოგვიანებით კი კომანები. იგი ცდილობს იპოვოს ერთგვარი ანალოგია ოსებისა და ფინების ენასა და ზნე-ჩვეულებებს შორის. აქედან ის ასკვნის, რომ ესტლანდელები წარმოსდგებიან ოსებისაგან, ანდა ყოველ შემთხვევაში ენათესავებიან მათ. ამ დასკვნის მისაღებად დიუბუა მიმართავს ისტორიულ ციტატებს და, ალბათ, ეტიმოლოგიებსაც, და ბოლოს აცხადებს, რომ ოსები არიან სკვითები, ხოლო მიდიელები წარმოსდგებიან იაფეტის შვილის მიდაისაგან.

ოსები, რომელნიც საქართველოს დიდი სტრატეგიული გზის მახლობლად ცხოვრობენ, ბევრ ფულს აკეთებენ, მაგრამ მფლანგველები, მოთამაშენი და ლოთები არიან და ამიტომ მუდამ ცუდათ აცვიათ, ანუ უფრო სწორედ სულ არ აცვიათ. ისინი ცხოვრობენ მიწურებში, კოშკების ნანგრევებში, ციხეების კუნჭულებში და მთელ თავის მონაგებს თამბაქოსა და არაყში ხარჯავენ. დიდ ყინვებში თბებიან რამდენიმე გალეული მუგუზლით, რომელიც ხჩოლავს, კი არ ანთია.

ძნელია მათ შორი მდიდარი ხარიბისაგან განასხვავო, რადგანაც ყველას ერთნაირად ცუდათ აცვია. ოსები ისევე, როგორც ინგუშები თამარ მეფის დროს ქრისტეს სარწმუნობის მიმდევარნი ყოფილან, მაგრამ თავიანთ გულისთქმას უფარდებდნენ ყველა რელიგიას, რომელთა შესახებაც რამე ჰქონდათ გაგონილი. ხოლო რაც მათ ჟინს ეწინააღმდეგებოდა, ყოველივეს უარყოფდნენ. მთელ დედამიწის ზურგზე, თვით ოკეანიისა და შიდა აფრიკის კერპთაყვანისცემლებში რომ გვეძებნა, ვერ ვიპოვიდით ველურ იდეათა და შეუსაბამო რწმენათა ასეთ ნარევს. ეს ისტორიული მიზეზიდანაც გამომდინარეობს. თამარის მეფობის ასი წლის შემდეგ, ესე იგი ოსების გაქრისტიანების ერთი საუკუნის შემდეგ მონღოლებმა ორ ნაკადად წალეკეს კავკასიისა და ამიერკავკასიის ველები. ოსები გაექცნენ ამ უცნობ ბარბაროსათა ზვირთებს, მთებში გაიხიზნენ და შემდეგშიც აღარ ჩამოსულან იქიდან. ამის შემდეგ მათ დაკარგეს ყოველგვარი დამოუკიდებლობა საქართველოსთან და თანდათან ისევ ძველ უმეცარ მდგომარეობას დაუბრუნდნენ. ქრისტიანული რელიგიიდან მათ შემოინახეს მხოლოდ ზოგიერთი ცერემონიალი, ცნება ღმერთზე და იესო ქრისტეზე, რომელსაც ისინი ანიჭებდნენ მაჰმადს, როგორც წინასწარმეტყველს. ამასთან ერთად მათ სწამთ ანგელოზები, სულები, მაგია, მისდევენ ორცოლიანობას, ორქმრიანობას და მოაქვთ წარმართული შესაწირავი. მაგრამ ქრისტიანიზმის უპირატესობა ისლამიზმთან ყველგან, განსაკუთრებით ქალებშია შესამჩნევი. ოსის ქალები კაცის წინაშე არ იბურავენ თავს, მაშინ როცა ქრისტიანულ საქართველოსა და მეტადრე სომხეთში, რომელიც ოდესღაც სპარსეთის პოლიტიკურსა და ზნეობრივ გავლენას განიცდიდა, ქალები დღესაც ისევე მონურად და კარჩაკეტილად ცხოვრობენ, თითქოს ისინი მაჰმადიანურ სარწმუნოებას მისდევდნენ. მეორე მხრივ, მთებში, სადაც შეიარაღებული მძარცველობაა გაბატონებული, სადაც მცხოვრებლები უფრო ქურდობის იმედით ცხოვრობენ ვიდრე შრომით, ქალებმა უნდა სრულიად უარი თქვან თავიანთ სურვილებზე, ატარონ სახლის მეურნეობის მთელი სიმძიმე, იზრუნონ თავიანთი ქმრების ჭამასა და ჩაცმაზე, რომლებიც ამ დროს თავგადასავლის საძებნელად მთებში დაძრწიან. ამიტომ ოსი ყიდულობს ერთ, ორ, სამ და ოთხ ცოლსაც, თუ სახსრები ამის საშუალებას აძლევს. ის მათში ოხდის ურვათს, ულმობლად ეპყრობა და აკისრებს ოჯახისა თუ მინდვრის ყველა სამუშაოს. თუ უკმაყოფილოა მათი, სახლიდან აგდებს. ქალიშვილებს არავიტარი უფლება არა აქვთ მემკვიდრეობაზე, მათ არ აძლევენ მზითვს, პირიქით, ჰყიდიან, როგორც სახლში გაზრდილ შინაურ პირუტყვს. ამიტომ ფრიად სწყინთ ქალის გაჩენა და უხარიათ, როცა ვაჟი შეეძინებათ. ამის მიზეზია ის, რომ საქორწილო ცერემონიალის დროს ყოველთვის მოჰყავთ ახალდაბადებული ბიჭი, რომლის წინაშე ნეფე-პატარძალი რამდენჯერმე მუხლს იდრეკენ და სთხოვენ თავიანთ ღმერთს, რომელიც არ უნდა იყოს იგი, რომ პირველი შვილი ვაჟი აჩუქოს. ამავე პრინციპით ქალის მოკვლა კაცის მოკვლაზე ნახევარჯერ უფრო ნაკლები დანაშაულია. მხოლოდ ერტადერთი ჩვეულება და ერტადერთი კანონი დარჩა მათში უცვლელად: ეს არის სისხლის აღება. თვალი თვალის წილ, სისხლი სისხლის წილ. ესაა პირველყოფილი საზოგადოების კანონი, ასე ვთქვათ, ბუნბისა, - უკანასკნელი კანონი, რომელსაც ცივილიზაცია ანგრევს. და მართლაც თუ ეს კანონი სასტიკად არ დაიცავი, არავის ექნება მშვიდი ცხოვრება ამ მთიელ ხალხებში, რომლებიც მხოლოდ თავიანთ ვნებათა ღელვას ემორჩილებიან.

ჩვენ შევჩერდით ერთ თუ ორ ვერსზე კაიშაურიდან, რატა თვალი გადაგვევლო მამაცი ოსებისთვის, რომლებიც ხელში წერაქვებითა და ბარებით გზას გვიწმენდნენ. მაგრამ ოსები და ზვავები ფრიად საინტერესო საგნებია და მათთვის ყურადღებს მიქცევა შეიძლება, ოღონდ არა პარიზში, როცა მშვიდობის ქუჩაზე, განდის ბულვარზე ან ელისეს მინდვრებში დასეირნობ, არამედ კავკასიაში კაიშაურიდან კობამდე და ჯვრის უღელტეხილზე გადასვლის დროს. განსაკუთრებით საინტერესოა ზვავები! კავკასიონის ფერდობებიდან, რომელნიც ბევრად უფრო დამრეცია შვეიცარიის ფერდობებზე, ვეებერთელა თოვლის ფენები ეშვება და რამდენიმე ვერსის სიგრძეზე მთელ გზას ფარავს. სხვა შემთხვევაში, როცა ზვავი ტავისი ფუძით მიწას ებჯინება, ქარი მის ზედაპირზე კორიანტელს აყენებს, თოვლს ყვლა მიმართულებით აბნევს, ხევებს ფარავს და ნაპრალებს ავსებს, ისე, რომ გზა მთლიანად იკარგება, მით უმეტეს, რომ იგი სრულიად არ არის აღნიშნული არავითარი ბოძებით.

კავკასიაში დეკემბრიდან მარტამდე თვით ყველაზე გულად მოგზაურსაც კი ყოველ წუთში ორი-სამი ატასი ფუტის სიმაღლიდან ხეობაში ჩავარდნა უქადის, როცა მას თავი უკვე შუა გზაზე ჰგონია. რამდენიმე თოვლიანი დღე და გზა სრულიად იკეტება. ჩვენც სწორედ ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდით და სწორედ ამიტომ იყვნენ საჭირო ოსები, რომელნიც გზაზე შემოგვხვდნენ. მაგრამ ოსები მეტისმეტად კარგ დამოკიდებულებაში არიან თოვლთან, რათა მას სერიოზულ ბრძოლაში შეებნენ. ისინი მაშინ ანძრევენ ხელს, როცა ზედამხედველი უშუალოდ თავზე ადგია. როგორც კი ეს უკანასკნელი გაშორდება, რომ ახლა სხვა მუშებს დახედოს, ოსები იმწამსვე ბარსა და წერაქვს განზე ჰყრიან და დასასვენებლად ჯდებიან.

კაიშაურიდან სამ ვერსზე შეგვხვდა რუსული საფოსტო კარეტი, ანუ ბორბლებიდან მოხსნილი და საბრჯენზე დადგმული ეკიპაჟის უბრალო ძარა. ხანდახან, როცა გზა მარხილისთვისაც ძნელი გასავლელია, რუსული ფოსტა უბრალო მხედრის სახეს ღებულობს, ხოლო მხედარი ხშირად იძულებულია, ქვეით მოგზაურათ გადაიქცეს. მასში სამი ცხენი იყო შებმული ბაწრულად და რადგანაც ჯვრის მთის დაქანებულფერდობზე ჩამოდიოდა, ხუთი თუ ექვსი კაცი უკანიდან იჭერდა, რომ არ დაგორებულიყო. კურიერს შევეკითხე, რა მდგომარეობაშია-მეთქი გზა, ის ისე დაიღრიჯა, რომ იმედი სრულიად წაგვერთვა. ბოლოს რომ არარ მოვეშვით, გამოგვიცხადა, აქედან ხუთიოდე ვერსის მანძილზე საშინელი გრიგალი მომესმა და ეს ალბათ ზვავი ჩამოწვაო. ამ ცნობის შემდეგ მან განაგრძო გზა, ჩვენ კი დაგვტოვა დაფიქრებულები მომავალ მოგზაურობაზე.

მართლაც, კაიშაურიდან ოთხი ვერსი ძლივს გავიარეთ, და ამ მანძილზე ორი საათი დაგვეხარჯა იმ მიზეზით, რომ ექვს ცხენს მეორე ვერსზე უკვე აღარ მივყავდით. მოგვიხდა ოთხი ხარის მიმატება, რომლებიც მარხილსაც მიათრევდნენ და ცხენებსაც. ჩვენი მეეტლეები ფეხდაფეხ მოგვყვებოდნენ გვერდით და რკინის ჯოხებით სინჯავდნენ მიწას. შუადღისას ნახევარი გზაც არ გვქონდა გავლილი, სულ მაღლა-მაღლა კი მივდიოდით. მეეტლეებს ეჭვი ეპარებოდათ, თუ დაღამებამდის კობში მივიდოდით და სულ ამბობდნენ, ნეტავი, როგორმე მივასწროთ კობშიო. ეს „ნეტავი“ ახსნას მოითხოვდა და ჩვენც ჩავაცივდით, რად ნატრობთ ასე ჩქარა მისვლასო. ბოლოს კალინომ ძლივს გამოსტყუა პასუხი, რაც კარგს არაფერს გვიქადდა.

-ორი საათისთვის ნისლი ჩამოწვება და მას ალბათ, ქარბუქი მოჰყვება.

თეორიით ვიცოდი, რა იყო ქარბუქი, მაგრამ ჯერ მას პრაქტიკულად არ ვიცნობდი, რადგანაც თემირ-ხან-შურას ქარბუქი არ შეიძლება ნამდვილ ქარბუქად ჩაითვალოს. ახლა სწორედ ისეთ პირობებში ვიმყოფებოდით, რომ იგი უნდა გამეცნო. ცუდმა აზრმა გამიელვა, მეეტლეები ჩვენ შესაშინებლად ამბობენ ამას-მეთქი და ვუბრძანე წინ წასულიყვნენ. ისინი დამტანხმდნენ, მაგრამ უკანასკნელად დაგვარიგეს, რომ ხმა არ ამოგვეღო. რაკი საერთოდ ყველაფერში ცნობისმოყვარეობას ვიჩენდი, ამის მიზეზიც ვკითხე. აღმოჩნდა, რომ ხმამაღალ ლაპარაკს შეეძლო მოეხდინა ჰაერის შერყევა, რომელიც მოგლეჯდა თოვლის შვავს, მთაზე დააგროვებდა, გადაიქცეოდა ზვავდ და შეუწყალებლად გაგვსრესდა. ერთ წუთს მომეჩვენა, რომ ასეთ ახსნაში მეტი ცრუმორწმუნოება იყო, ვიდრე სინამდვილე, მაგრამ მომაგინდა, რომ ეს შვეიცარიაშიც მიამბეს და როდესაც ქვეყნის საწინააღმდეგო მხარესასეთივე რამ გავიგონე, გავოცდი. გარდა ამისა ცოტად თუ ბევრად ღრმა რწმენა და თვით ცრურწმენაც იმ მდომარეობაზეა დამოკიდებული, რომელშიაც იმყოფები. ოთახში საშინაოდ გამოწყობილმა ბუხრის წინ გაზეთით ხელში მჯდარმა კაცმა შეიძლება არ იწამოს ის, რასაც იწამებს კავკასიის ხეობაში, 45 გრადუსის დამრეც მთაზე უფსკრულის პირად მყოფი ადამიანი, რომელიც თავით ფეხებამდე თოვლში ზის. დავიჯერეთ ჩვენ ეს თუ არა, მაინც ხმას არ ვიღებდით. და აი, ასრულდა ჩვენი მეეტლეების წინასწარმეტყველებაც. ნისლსაც დიდხანს არ დაუყოვნებია და ორი საათის კი არა, ერთი საათის შემდეგ გამოჩნდა. ეს იყო ხუთი წუთის საქმე. ხუთი წუთის შემდეგ არარაფერს ვხედავდით, გარდა ჩვენს მარხილში შებმული ცხენების გავებისა. დანარჩენი ოთხი ცხენი და ოთხი ხარი ბურუსმა შთანთქა. დაბნელდა და აცივდა. ქარი შმაგად გვიქროდა ყურებში და იმ

წყვდიადსა და ქარბუქში მხოლოდ ეჟვნები წკრიალებდნენ სასიამოვნოდ. ერთ წუთს იძულებული გავხდით შევჩერებულიყავით. ჩვენი მეეტლეები არარაფერზე აგებდნენ პასუხს, ვიდრემიწას არ მოსინჯავდნენ ხოლმე. ეჟვნების ჟღარუნი შეწყდა, მაგრამ ახლა ეკლესიის ზარის რეკვა მოისმა, რომელიც ბარიდან მოდიოდა. ერთ-ერთ ჩვენ კაცს ვკითხე, საიდან მოდის ეს სევდიანი, გულსაკლავი და ამავე დროს ასეთი მანუგეშებელი რეკვა ამ თოვლის უდაბნოში-მეთქი. მან მიპასუხა, პატარა მდინარე ბაიდარას ნაპირზე მდებარე ერთ სოფელში რეკავენო. უნდა გამოვტყდე, რომ რაღაც უჩვეულო გრძნობამ შემიპყრო ამ ზარის ხმაზე. იგი ჩვენ მოგვწვდა ამ შემაძრწუნებელ სიცარიელეში, ამ საზარელ უნაპირო სივრცეში, სადაც ისე ვიყავით დაკარგულნი, როგორც ოკეანის ზვირთებში, მაგრამ ადამიანის ამ წყნარსა და სევდიან მოწდებას ღვთაებრივი მოწყალებისადმი ქარი საშინელი მძვინვარებით უპასუხებდა. თოვლის სქელი ღრუბელი ჩამოგვაწვა და ჩვენ აღმოვჩნდით ქარბუქსა და ნამქერში. უკანასკნელი შუქიც გაქრა. გამცილებლები მჭიდროდ შემოერტყნენ ჩვენს მარხილებს, არ ვიცი იმისთვის, რომ ქარბუქისგან დავეცავით, თუ იმიტომ, რომ ფათერაკში ადამიანი ბუნებრივად ადამიანის სიახლოვეს ეძებს. მე ვკითხე, რამდენი ვერსი დაგვრჩა კიდევ კობამდე-მეთქი, მიპასუხეს - ცხრაო. ამან სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო. ქარი საშინლად მძვინვარებდა და თოვლს გვაყრიდა. თხუთმეტ წუთში იმდენი დადო, რომ ცხენებს მუხლამდე წვდებოდა. ცხადი იყო, თუ კიდევ ერთ საათს გავჩერდებოდით, მკერდზე მოგვადგებოდა, ორ საათში კი თავიანათ ჩავიფლებოდით. მეეტლეები იგვიანებდნენ. მიუხედავთ მათი გაფრთხილებისა, ხმამაღლა ვეძახდი, მაგრამ ამაოდ, პასუხი არ ისმოდა. გზა აებნათ, თუ სადმე გადავარდნენ, არ ვიცოდით. ასეთ ჯოჯოხეთში, სადაც ბუნების ყვეკანაირი გოდება ერთმანეთში ირევა, ადამიანის ხმა ყველაზე სუსტია. მე გადავწყვიტე გამესინჯა, რამდენად უფრო ძლიერი აღმოჩნდებოდა ჩემი კარაბინის ხმა, მაგრამ როგორც კი ეს განზრახვა გამოვთქვი, მაშინვე ათი ხელი გამოიწია დასაშლელად. თუ ხმას შეეძლო ზვავის მოწყვეტა, მით უმეტეს თოფის გავარდანა გამოიწვევდა ამას. მე მეეტლეთა დაკარგვას ვწუხდი და ვიკითხე, ხომ არავინ დათანხმდება ბადრაგიდან რამდენიმე მანეთად მათ მოსაძებნად წავიდესმეთქი. ორმა კაცმა თანხმობა გამოთქვა. მე ვირჩიე ერთის მაგივრად ორის გაგზავნა, რადგანაც ფათერაკის შემთხვევაში ერთმანეთს უშველიდნენ. თხუთმეტი წუთის შემდეგ მათ მეეტლეები მოიყვანეს. თურმე ვეებერთელა ზვავს გადაეჭრა გზა. ეს სწორედ ის ხმაური იყო, რომელიც ფოსტალიონს გაეგონა. არავიტარი იმედი არარ იყო გზის გაგრძელებისა. მე და კალინომ მოვაწყეთ თათბირი, რომელიც დიდხანს არ გაგრძელებულა. შესაძლებელს სადაც გინდა იქ გაჰყვები, მაგრამ შეუძლებელს წინაშე ჯიუტობა უგუნურებაა. კაცებს ვუთხარი კაიშაურში დაბრუნებულიყვნენ.

სამი დღის შემდეგ თბილისში ვიყავით. იქ გადაეწყვიტათ, ქარბუქში დაიკარგაო და იმედოვნებდნენ, რომ გაზაფხულზე როგორმე მიპოვიდნენ. თბილისში კი დარი ერთი წუთითაც არ შეცვლილიყო, ოცი გრადუსი სიცხე იდგა, ცა ლაჟვარდისფრად კრიალებდა. ჩემს იქ არყოფნაში იქაური ფრანგული კლონიის სახელით დეპუტაცია მოსულიყო საკითხავად, თუ დავთანხმდებოდი, რომ ჩემს თანამემამულეთ მეჯლისი და სადილი გაემართათ ჩემთვის. მე დიდი მადლობით მივიღე ეს მოპატიჟება. ყოველივე ჩატარდა სტუმრისა და მასპინძელთა დიდად სასიხარულოდ 1859 წლის 2 იანვარს, კვირას ჩვენი სტილით. ვვარაუდობდი მომავალ ხუთშაბათს გავმგზავრებულიყავი, მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ნათქვამია.

თავი XLII
ახალი წლის შეხვედრა. წყალკურთხევა (ნათლისღება)

გადავწყვიტეთ თბილისიდან წავსულიყავით 29 დეკემბერს რუსული სტილით, ესე იგი ჩვენებურ 10 იანვარს. მაგრქამ როცა თავად ბარიატინსკისთან დასამშვიდობებლად მივედი, მისგან ფორმალური განცხადება მივიღე, რომ ის, როგორც კავკასიის მეფის ნაცვალი ნებას არ მაძლევს წავიდე, თუ მასთან ერთად არ შევხვდი ახალ წელს. რუსეთში ახალი წლის შეხვედრა ნიშნავს მეგობრების ერთად შეკრებას 31 დეკემბერს ღამით და ერთმანეთის გვერდით ყოფნას, როცა საათი თორმეტჯერ დარეკავს. მე მოვიმიზეზე ერევანში წასვლა, სადაც ხუთ იანვარს

გენერალი კოლუბაკინი გველოდა, მაგრამ ფინომ მისწერა გენერალს, რომ მე თავადმა ბარიატინსკიმ შემაჩერა. მეც გახარებულმა ასეთი დაჟინებული თხოვნით თავაც დარჩენა აღუთქვი და გამოვეთხოვე. ეს დაგვიანება შეაფერხებდა ჩემს მოგზაურობას ერევანში და მთა არარატის ნახვას, რაც ნავარაუდევი მქონდა. ჩემი თბილისში ყოფნის დროს ისეთი კარგი დარები იდგა, რომ შეუძლებელი იყო, ასე დიდხანს გაგრძელებულიყო წელიწადის ამ დროს და ერთ ორ დღეს რომ თოვლი წამოსულიყო, მოგზაურობა შეუძლებელი გახდებოდა დელიჟანის ხეობისა და ალექსანდროპოლის უხეირო გზის გამო. წინაგრძნობამ არ მომატყუა: 31 დეკენბერს დილით მშვენიერი ლურჯი ცა, რომელიც ხუთი კვირის განმავლობაში გვიღიმოდა, გაიცრიცა და მოიქუფრა. მაგრამ ეს მხოლოდ მუქარა იყო. მას შეეძლო უშედეგოდ გადაეარა.

საღამოს ათ საათზე, როგორც დანიშნული იყო, თავადის კართან გავჩნდით. სადარბაზო კიბის ორსავე მხარეზე ყოველ საფეხურზე თავადის ამალის კაზაკები იდგნენ. ჩემს სიცოცხლეში არაფერი მინახავს ამ ორ წყება მუნდირებზე უფრო ელეგანტური. უნტერ-ოფიცრებს თეთრი ფაფახები ეხურათ და თეთრი ჩერქეზული ჩოხები ეცვათ ოქროსფერი და შინდისფერი სამასრეებით. ქამარში ოქროთი და ვერცხლით მოჭედილი ხანჯლები და დამბაჩები ეკეთათ. გვერდზე ეკიდათ ხმლები წითელ ოქრონაკერ ტარსიკონის ბუდეებში. ეს ბრწყინვალე მწკრივი ფრიად სევდიანსა და უფერულს გახდიდა ჩვენი შავფრაკიანების კრებას. მაგრამ ეს იყოპ მხოლოდ შესანიშნავი წინასიტყვაობა ზღაპრული პოემისა. მეფის ნაცვლის დარბაზები სავსე იყო საუცხოო შეკერილობისა და ფერის კოხტა ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი ქართველებით. ბრწყინვალე კაბებში შემოსილ ქალებს ზურგზე გრაციოზულად ეფინათ თავზე მოხვეული ხავერდის სალტეებიდან ჩამოშვებული ოქრომკერდით ნაქარგი ლეჩაქები. მამაკაცთა სარტყლებში კრიალი გაჰქონდა იარაღს. მანდილოსანთა შუბლებზე ბრწყინავდნენ ალმასები. ყველაფერ ამას მეთექვსმეტე საუკუნეში გადავყავდით. რუს ოფიცერთა მოხდენილი მუნდირები, პარიზიდან მადამ ბლოს შემწეობით შემოსული მანდილოსანთა ტუალეტები ავსებდნენ ამ ბრწყინვალე მთლიანობას. თვალისმომჭრელ სიჭრელეზე მხოლოდ რამდენიმე შავი ფრაკი ქმნიდა ლაქას. ამათგან ორი ლაქა, ბუნებრივია, მე და მუანე ვიყავით.

თავადი ბარიატინსკი თავის პალატებში სტუმრებს წინაპრებისგან შთამომავლობით მიღებული დიდკაცური თავაზიანობით იღებდა. მას ეცვა რუსულუ მუნდირი დიდი ლენტითა, წმ. ალექსანდრე ნეველის ვარსკვლავით და წმ. გიორგის ჯვრით. ყველაზე უბრალოდ მას ეცვა, მაგრამ შემოსვლისთანავე შეამჩნევდით, რომ იგი მეფობდა ამ საზოგადოებაში არა მარტო იმ პატივის მიხედვით, რომელსაც მის მიმართ იჩენდნენ, არამედ იმ იერის მიხედვითაც, რომლითაც თვითონ იღებდა სტუმრებს. ზედმეტია იმის თქმა, რომ აქ იყვნენ ყველაზე ლამაზი და ყველაზე მომხიბლავი თბილისელი მანდილოსნები. გაკვრით უნდა ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ქალების სილამაზე საქვეყნოდაა ცნობილი, აქ იყვნენ ორი თუ სამიევროპელი მანდილოსანი, რომელთა დასახელებას მიშლის გერმანული თავდაჭერილობა და რომლებიც ქართველებს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ, მიუხედავად არახელსაყრელი ახალი ტუალეტებისა. ღამის თერთმეტ საათამდის დარბაზებში ვსეირნობდით და ვბაასობდით. თავადი რამდენიმე ახლობელი სტუმრით სპარსულ კაბინეტში გავიდა, სადაც სტუმრები მისი საუცხოო იარაღისა და ვერცხლის ჭურჭლის დათვალიერებით სტკბებოდნენ. თორმეტ საათს რამდენიმე წუთი აკლდა, როცა დარბაზებში მსახურნი შემოვიდნენ სინებით, რიმლებზეც შამპანიურის ჭიქებში თხიერი ტოპაზივით ელვარებდა ოქროსფერი კახური ღვინო. ახალი წლის შეხვედრაზე სადღეგრძელოების უცხოური ღვინით დალევა, თუნდაც ეს ფრანგულუ ღვინო იყოს, ქართული ღვინის ღირსების შებღალვად ითვლება. შევამჩნიე, რომ ათ კაცზე ერთი ჭიქა ძლივს მოდიოდა. ქართული წესის მიხედვით, ერთ სუფრაზე ათი კაციც რომ იჯდეს, მხოლოდ ერთი ჭიქა, ან ერთი კულა იდგმევა. (?). საერთოდ ღვინოს სვამენ მოზრდილი ვერცხლის ფიალებიდან, ჩვენებური წვენის ჩამჩისმაგვარი გრძელტარიანი მრგვალი კოვზებით, რომლის ფსკერზეც, როგორც უკვე ვთქვით, არ ვიცი, რა მიზნით, მოძრავი ოქროსრქიანი ირმის ტავია გაკეთებული. დაიწყო თუ არა საათმა თორმეტის რეკვა, ბარიატინსკიმ ჭიქა აიღო და რუსულად რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა, რომლებიც, როგორც

მივხვდი, იმპერატორის დღეგრძელობისა და ბედნიერი მეფობის სურვილებს გამოხატავდა. შემდეგ ჭიქას ტუჩებით შეეხო და ყველაზე ახლო მჯდომ ქალს გადასცა. ვინც სინებთან ახლოს იყვნენ, ყველანი ჭიქებს ტუჩებით შეეხენ და შემდეგ მეზობლებს გადასცეს ბედნიერი ახალი წლის სურვილითა და დღეგრძელობით. ამის შემდე3გ მეგობრებმა და ნათესავებმა ერთმანეთი გადაჰკოცნეს. ათი წუთი რომ გავიდა, თავადს შეატყობინეს, სუფრა მზად არისო. სამოცამდე მაგიდა იყო გაშლილი. თავადი თავის სუფრასთან თვითონ იწვევდა მამაკაცებს და ანიშნებდა, ვის რომელი მანდილოსნისთვის მიეცა მკლავი. მე მივიღე მოწვევა თბილისის გუბერნატორის მეუღლის ქ-ნ კაპგერთან ერთად. ეს იყო ერთ-ერთი მანდილოსანი იმ სამი თუ ოთხიდან, რომელთა გვარები წეღან არ ვახსენე შიშით, რომ მათი სათნოება არ შემებღალა. მაგრამ რაკი ახლა სილამაზეზე აღარ ვლაპარაკობთ, მის სახელს ვახსენებ, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ჭკვიანი და მომზიდველი ქალისა დედამიწის ზურგზე. ასეთი მიწვევა მუანემაც მიიღო, მაგრამ ის არ იცნობდა მანდილოსანს, რომელიც წილად ხვდა და მას სუფრასთან სხვა რაინდი გააყოლა, თვითონ კი ერთ კუთხეში ჩვენი ბაქოელი ნაცნობი თავადი უცმიევი შენიშნა და სუფრა მასთან გაინაწილა. ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, როცა დავიშალენით.

თავადი გლოვობდა დედას რომელსაც თაყვანსა სცემდა და ოფიციალური პირების გარდა შინ არავის იღებდა. წასვლისას გამოვეთხოვე, რადგანაც გადაწყვეტილი მქონდა, მეორე დილას გავმგზავრებულიყავი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მთხოვდა დარჩენას ექვს იანვრამდე, ესე იგი ნათლისღებამდე მაგრამ ჩემი გეგმის შესრულებას ორმა მიზეზმა შეუშალა ხელი. ჯერ ერთი, მთელი რამე თოვდა, გარდა ამისა, მუანე დილაადრეანად ამდგარიყო და ხატვა დაეწყო. სურათზე გამოსახული უნდა ყოფილიყო ახალწლის შეხვედრას თავად ბარიატინსკისთან იმ მომენტში, როცა საათმა თორმეტი დაჰკრა და ყველა ერთმანეთის სადღეგრძელოს სვამდა და ერთმანეთს ეხვეოდა. მე ვიფიქრე, სურათი თავადსაც გაახარებს და მუანესაც, როგორც მხატვარს, სიამოვნებას მოჰგვრის მისი თავადისთვის მიძღვნა -მეთქი. ამიტომ პირველმა მე შევთავაზე დარჩენა. თვითონ მუანეს მაინცდამაინც არასოდეს იზიდავდა არარატზე მოგზაურობა. მან წინადადება სიხარულით მიიღო და მუშაობა განაგრძო. აკვარელი იმავე დღეს დასრულდა და ჩარჩოში ჩაკეტილი ორასი კაცი ყველა ტავის ადგილზე აღმოჩნდა.

დილის ათი საათი იქნებოდა, როცა პოლკოვნიკი დავიდოვი შემოვიდა გამოსამშვიდობებლად და ჩვენი გადაწყვეტილება რომ გაიგო, ძალიან გაეხარდა. მუანეს უნდოდა ენახა მთავარ პერსონაჟთა პორტრეტები, რათა თავისი ნახატისთვის უფრო მეტი ინტერესი შეეძინა. დავიდოვი დაჰპირდა, გიშოვიო და თან წაიყვანა მეუღლის დასახატავად. თუ არ ვცდები, უკვე მოგახსენეთ, რომ დავიდოვის მეუღლე არის პაწაწინა მომხიბლავი ორბელიანის ქალი. როცა ამ პატარა, ჰაეროვან, ბრწყინვალე ახალგაზრდა ქალს უყურებ, ფიქრობ, კოლობრის ბუდე ჰქონია აკვნადო.

მუშაობას ჩაუჯექი. მე ვისარგებლე თბილისში ყოფნით, ჩემი სახლის პატრონის ზუბალაშილის შესანიშნავი მასპინძლობით და ჩემს კედელს იქით მცხოვრები ახალგაზრსდა მილანელი ბარიტონის ტორიანის მელოდიების აკომპანიმენტზე მოგზაურობის ერთი ნაწილი დავასრულე. აქვე გავეცანი ორ-სამ კავკასიურ ლეგენდას და ბესტუჟევ-მარლინსკის რამდენიმე, ჩემი აზრით, სრულიად დავიწყებილ ნაშრომს. შევეცდები საფრანგეთში გამოვასწორო რუსეთის ეს გულმავიწყობა, რაც ჩემთვის ერთასა და იმავე დროს ვალდებულების შესრულებაც იქნება და ბედნიერებაც.ასე ვცხოვრობდი და ვმუშაობდი ნათლისღების მოლოდინში. რადგანაც თბილისსა და მის მიდამოებში ყველაფერი დავათვალიერე, ახლა დამშვიდებული ვმუშაობდი და, სხვათაშორის უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს ცხოვრებაში არსად ასეთი სიამოვნებით არ მიმუშავია, როგორც აქ. დრო ბევრი მქონდა იმის გამოც, რომ ბარონ ფინოს მზარეული პაულო ბერგამანსკი ავად გახდა და მას ექიმებმა სრულიად აუკრძალეს ცეცხლთან მიახლოება. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩვენც გვეკრძალებოდა საკონსულო სუფრასთან მიახლოება. ამის შედეგად, თვითონ ფინოც სულ არ იყო შინ ჭამის დროს. ის, მუანე, კალინო და ტურიანი სადილობდნენ ერთ ფრანგთან, რომელსაც თეატრის მოედანზე სასტუმრო და

რესტორანი „კავკასია“ ჰქონდა გახსნილი. ახლა ის ჩვენთან სტუმრად მოდიოდა დილის თერთმეტ საათსა და ნაშუადღევის ოთხ საათზე. როცა ეს ბატონები საჭმელად მიდიოდნენ, მე შინ ვრჩებოდი სამუშაოდ, ისინი კი რამე კერძს მიგზავნიდნენ თავიანთი სადილიდან, რომელსაც მსახური მაგიდის კუთხეთი მიდგამდა. სადილს პური და ერთი ჭიქა ღვინოც ახლდა და მეც, როცა მომესურვებოდა, მაშინ ვსადილობდი. ო, რა სასიამოვნოა მუშაობა, მას შემდეგ, რაც რამდენიმე თვეს მოგზაურობაში მოკლებული იყავი მას! ამ მოგზაურობაში ბევრი რამ მაკლდა, ხშირად პურიც კი, მაგრამ ყველაზე დიდი ნაკლებობა ჩემთვის უმუშევრად ყოფნაა. ამიტომ თბილისში თავით ფეხებამდე მელანში ვიბანავე და იქამდე მივედი, რომ სულ მალე ქაღალდი შემომელია. გამომელია ჩემი დიდი ცისფერი თაბახის ქაღალდი, რომლეზეც აგერ უკვე ოცი წელია ვწერ. ამ ქაღალდს ისე სულელურად შევეჩვიე, როცა დამაკლდება, უსუსურ მდგომარეობაში ვვარდები. მაშინ მე ვგავარ იმ საეჭვო ფილოლოგებს, რომლებიც მიკიტნური კალმით შეუცდომლად ვერ წერენ. თუ ის ჩემი ცისფერი ქაღალდი არა მაქვს, ის ე აზრი არ მომდის თავში.

მთელი თბილისი შემოვირბინე, რომ იმ ზომისა და ფერის ქაღალდი სადმე მეშოვა. მაგრამ თბილისში დიდი ზომის ცისფერი ქაღალდის საჭიროება ჯერჯერობით არ იგრძნობოდა. ქართველებს, ჩემზე ბედნიერ ადამიანებს, ქაღალდი არ სჭირდებათ იმისთვის, რომ ჭკუა გაჩვენონ. ამიტომ, ჩემო მკითხველო, თუ რომანი „ამალათ-ბეგი“და ლეგენდა „შაჰ-დაგი“ არ მოგეწონა, ამას მე ნუ დამაბრალებ, ამაში ბრალი მიუძღვის მოყვითალო ჭირკოდილა ქაღალდს, რომელზეც ისინი დავწერე. გარდა ამისა, ახლა მჯერა, რომ მუშაობა არა მარტო ადგილობრივი ავადმყოფობაა, როგორც ხოლერა, არამედ, ისეთივე გადამდები სენია, როგორც სავი ჭირი. როცა მოსკოვიდან კალინო მომყავდა, იგი მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა, როგორც ბეჯითი სტუდენტი. მაგრამ, გავკასიაში მასაც შეეყარა მუშაობის სენი, ისე, რომ ჭამის საათებში ძლივს ვაშორებდი სამუშაო მაგიდას. დილაადრეანად რომ კალამს აიღებდა, შუაღამემდე ხელიდა არ უშვებდა და გაშმაგებით თარგმნიდა ლერმონტოვს, პუშკინს, მარლინსკის, თარგმნიდა გერმასნელებს , როცა ორგინალს ხელთ მოიგდებდახოლმე. შემთხვევა რომ მისცემოდა, ალბათ, ჩინურიდანაც შეეცდებოდა გადათარგმნას. მხოლოდ ორი რამისთვის იყო მზად კალინო მუშაობისთვის თავი დაენებებინა. ერთი, როცა ვეტყოდი, აბანოში წამოდი-მეთქი, მეორეც, როცა ტორეანის მიჰყავდა სადმე. სად დადიოდნენ? ამაზე რა მოგახსენოთ.

მიდიოდა დღეები. ყოველ დილას თოვდა,შემდეგ შუადღისას 12-20 გრადუს სითბოზე თოვლი დნებოდა, საღამოს ისევ ყინავდა 8-10 გრადუსამდე. ყველა გვირჩევდა ერევანში წასვლაზე უარი თქვითო. მე თვითონაც მეცოდებოდა მუანე, რომელიც მთელი ზამთარი პარიზს მოვაშორე და ჩემი მიზეზით გამოფენას მოსცდა. ამიტომ გადავიფიქრე ერევანში წასვლა და გადავწყვიტე, გავმზავრებულიყავი პირდაპირ სურამისკენ, გამევლო იმერეთი და სამეგრელო, ესე იგი ძველი კოლხეთი, ჩავსულიყავი ფოთში და რუსული სტილით 21 იანვარს გემში ჩავმჯდარიყავი. თბილისიდან ფოთამდე სამასი ვერსი, ესე იგი, სამოცდათხუთმეტი ლიე ძლივს იქნება. ამიტომ ვვარაუდობდი, რომ თუ თერთმეტში გავიდოდი, ათი დღე მექნებოდა წინ სამოცდათხუთმეტი ლიეს გასავლელად და გემსაც ჩაუსწრებდი. გამოდიოდა, რომ დღეში თვიდლიენნახევარი უნდა გაგვევლო. საფრანგეთში კი ამ მანძილს ერთ საათში ვფარავდით. ჩვენ, ფრანგებს ერთი ცუდი ჩვეულება გვაქვს: საზღვარგარეთ სულ იმას გავიძახით, საფრანგეთში ასეა და საფრანგეთში ისეაო, თუმცა რაღა დასამალია, რომ ჩვენზე უფრო მეტად ინგლისელებმა იციან ასეთი ლაპარაკი. ერთი სიტყვით, გამოვიდა, რომ ნათლისღებაზე, რომელიც რამდენიმე თვეში უნდა ყოფილიყო ვრჩებოდით. ბოლოს ექვსი იანვარიც მოვიდა. მან თქან მოიტანა პატარა თხუთმეტგრადუსიანი ყინვა და სუსტი ქარი ყაზბეგიდან, რომელიც სასიამოვნოდ მომაგონებდა იმ ნიავს, ამლეტს რომ ესინორის ბაქანზე სახეში სცემდა.

ჩემი ფაფახი ყურებზე ჩამოვიფხატე, ჩავიცვი სტოროჟენკოს ნაჩუქარი კრაველის ბეწვგამოკრული ქურქი, ზემოდან კიდევ რუსული წამოსასხამი წამოვიხურე და კალინოს და ტორიანის თანხლებით გავწიე ვორონცოვის ხიდისკენ, რომელიც თბილისში ერთადერთი ქვის

, უფრო სწორად, ერთადერთი აგურის ხიდია. არ ვიცი, ასე ეწოდება მას თუ არა, მაგრამ მგონი ასე უნდა ერქვას, რადგანაც თავადი ვორონცოვის აშენებულია.

თბილისში, როგორც ყველა აღმოსავლეთის ქალაქებში განსაკუთრებით სასიამოვნოა ის, რომ რაც უნდა სასაცილოდ და ექსცენტრიულად გეცვათ, არავინ გაქცევთ ყურადღებას. ეს უბრალოდ იმიტომ ხდება, რომ თბილისს, დედამიწის ყველა ხალხთა შეყრის ადგილს, მსგავსად ჭეშმარიტი ზანტი ქართველი ქალისა, იმდენი მოცალეობა არა აქვს, რომ ასი ათასი მოგზაურის ყველა უცნაურ ტანსაცმელს ყურადღება მიაქციოს. თურქები, ჩინელები, ეგვიპტელები, თათრები, ყალმუხები, რუსები, ყაბარდოელები, ფრანგები, ბერძნები, სპარსელები, ინგლისელები თუ გერმანელები ირევიან მის ქუჩებში. სიცივის მიუხედავად მთელი თბილისი ადგილიდან იყო დაძრული, აღმართებიდან ჩამოდიოდა და მტკვრისკენ მიედინებოდა, როგორც ჭრელი ლავა. ქალაქი ტავისი მდინარის ორთავ მხარეზე ამფითეატრივით აღმართული, თითქოს იმ დღესასწაულისთვის იყო აგებული, რომელიც ახლა მზადდებოდა. მდინარის მთელი ნაპირი ხალხით იყო სავსე. ყველა სახურავი დახუნძლული იყო ნაირფეროვან ტანისამოსში გამოწყობილი მაყურებლებით. აბრეშუმი, ატლასი, ხავერდი, თეთრი ოქრომკერდით ნაკერი ლეჩაქები ისე ფრიალებდნენ ქარზე როგორც გაზაფხულის ნიავზე. ყოველი სახლი ყვავილების კალათს ჰგავდა. მხოლოდ მტკვარი უწევდა წინააღმდეგობას ამ გაზაფხულის გაღვიძებას და თავის წყალში ყინულის ლოდებს მოაგორებდა. მიუხედავად ვლადიკავკავიდან მონაბერი ცივი ქარისა, მიუხედავად 10-12 გრადუსი ყინვისა , რამდენიმე უშიშარი ფანატიკოსი მდინარის ნაპირზე ტანთ იხდიდა, რათა, როგორც კი მიტროპოლიტი ჯვარს წყალში ჩაყოფდა, შიგ გადაშვებულიყო და თავისი ცოდვები ყინულოვან წმინდა წყალში განებანა. ზოგს უნდოდა თავისი ცხენისთვისაც მიეღებინებინა მონაწილეობა წყალკურთხევაში, ხელში აღვირი ეჭირა და მზად იყო, დანიშნულ დროზე ცხენზე შემჯდარიყო და წყალში შეეცურა. მთელი თბილისის გარნიზონი ქვეითი ჯარითა თუ არტილერიით მდინარის ნაპირზე იყო ჩამწკრივებული საბრძოლო მზადყოფნაში, რათა წყლის კურთხევის მომენტი თოფისა და ზარბაზნის გასროლით აღენიშნა. უცბად სამხედრო მუსიკა გაისმა და ხიდის სიმაღლიდან დავინახეთ, როგორ გაიარა მთელმა პროცესიამ ხიდის ერთ-ერთ მშრალ თაღში. იგი შედგებოდა სასულიერო პირთა და სამხედრო თუ სამოქალაქო ხელისუფალთაგან. პროცესიას ბალდახინს ქვეშ წინ მიუძღოდა მიტროპოლიტი, რომელსაც ხელში მდინარეში ჩასაყოფად გამზადებული ჯვარი ეჭირა. რუსეთის სამღვდელოება შესანიშნავია თავისი გარეგნობით, მას ამშვენებს ოლარი და ბეწვეული. პროცესია ნელი ნაბიჯით უახლ;ოვდებოდა მდინარის ნაპირს, სადაც ორ ხიდს შუა, წყალზე იდგა ოქროს ვარსკვლავებით მორთული ცისფერი პავილიონი, რომელსაც ნახვრეტებიანი ფიცრის იატაკი ჰქონდა.

მიტროპოლიტმა ჩაუარა ქვეითი ჯარის მწკრივს, რომელმაც ჯვარს სამხედრო სალამი მისცა, პავილიონში შევიდა და წყალთან მოშორებით შეჩერდა. მთელი სამღვდელოება მის გარშემო შედგა. მუსიკა საღმრთო ჰიმნს უკრავდა. საათმა თორმეტი დაჰკრა. ზარის უკანასკნელ რეკვაზე მიტროპოლიტმა ჯვარი წყალში ჩაჰყო. იმავ წუთში იჭექა არტილერიამ, მას მოჰყვა თოფების გრიალი და ჰაერი შესძრა გაბმულმა ვაშამ! მოცურავენი წყალში გადაეშვნენ, მხედრებმა ცხენები მდინარეში შეაგდეს. წყალი უკვე ნაკურთხი იყო და ვინც შესვლა გაბედა, ყველამ განიბანა ცოდვები. პირადად მე წინდაწინვე ვაცხადებ, რომ გადაწყვეტილი მაქვს, ცოდვების მოუნანიებლად წავიდე საიქიოს.

მაშასადამე, ახალ წელს შევხვდით, წყალკურთხევას დავესწარით, მუანემ ტავისი სურათი დაასრულა, მეც დავამტავრე ჩემი რომანი, და ტავადმა ბარიატინსკიმაც სადილზე მოგვიწვია 10 იანვარს. გადაწყვეტილი იყო თბილისიდან წასვლა 11 იანვარს. ვიმეორებ, დარწმუნებული ვიყავით, რომ ათი დღე თავისუფლად, გვეყოფოდა სამოცდათხუთმეტი ლიეს გასავლელად, მაგრამ თურმე გულუბრყვილო ბავშვებივით ვცდებოდით. ჩვენ ვიცნობდით ვოლგის მეჩეჩებს,

კასპიის ზღვის შტორმებს, ნოღაის ქვიშიან სტეპებს, ხასავ-იურტის საფლობებს, დარუბანდის სალ კლდეებს, ბაქოს ნავთის ვულკანებსა და ალაზნის ფონებს, მაგრამ ჩვენ თურმე ჯერ არ ვიცნობდით სურამის მთების თოვლსა და სამეგრელოს ტალახებს. და მათ გასაცნობად გავემართეთ ჩვენდადასაღუპავად.

დილის ექვსი საათი იყო, როცა ირიჟრაჟა, ჩვენც ფეხზე დავდექით. შვიდ საათზე ფოსტის ცხენები მოიყვანეს. თბილისიდან ჯავრი მიმყვებოდა, რადგანაც ჩემს მეზობელ ტორიანის ავად ვტოვებდი. უკვე მეორე დღე იყო, ციებ -ცხელება სჭირდა და ეტყობოდა, მძიმე ფორმაში. როგორც კი ცუდად გახდა, ჩემს დივანზე დაწვა და ოცდაოთხი საათის განმავლობაში დაჟინებით უარს ამბობდა ექიმზე. მეორე შეტევამ საშინლად დააუძლურა ავადმყოფი და გული მეთანაღრებოდა, რომ ასეთ მდგომარეობაში ვტოვებდით იმ საწყალს. კალინო ფოთამდე აპირებდა ჩვენს გაცილებას. ერთ ხანს აზრად მქონდა, ყმაწვილი კაცი საფრანგეთში წამეყვანა, მაგრამ რექტორთან მიწერილ სამ წერილზე პასუხი არ მივიღე, შვებულების გარეშე კი მას უფლება არ ჰქონდა წამოსულიყო. ამიტომ ფოთიდან, სადაც თარჯიმნად მომდევდა, ისევ თბილისში უნდა დაბრუნებულიყო, ხოლო აქედან მოსკოვს წასულიყო. ერთი დავაპირე მიმემართა თავადის ყოვლისშემძლე ხელისუფლებისათვის შვებულების გამოსათხოვნად, მაგრამ თავადმა მიპასუხა, თქვენი ძველი უნივერსიტეტის მსგავსად, რუსეთის უნივერსიტეტსაც თავისი პრივილეგიები აქვს, რომელთაც მე პირველმა უნდა ვცე პატივიო. შუადღისას უკვე მზად ვიყავით, მაგრამ უეცრად მოგვაგონდა, სამგზავრო მზადებას ისე გავერთეთ, რომ პირში ლუკმის ჩადებაც არ მოგვგონებია. გავიქეცით ჩვენი სახლიდან ასიოდე ნაბიჯკზე მდებარე რესტორან „კავკასიაში“ და საჩქაროდ შეუდექით ჭამას. შუა ჭამაში რომ ვიყავით, ოთახში სასტუმროს პატრონი შემოვიდა და მაუწყა, ორ ახალგაზრდა სომეხს უნდა თქვენი ნახვაო. გვერდით ოთახში გავედი და აღმოვჩნდი ორი სრულიად უცნობი ყმაწვილის წინაშე. უფროსმა ოდნავ დარცხვენილი სახითა და აღელვებული ხმით ამიხსნა სტუმრობის მიზეზი. თურმე მის უმცროს ძმას დედ-მამა დაეყოლიებინას საფრანგეთში გაშვებაზე საკომისიო ვაჭრობის შესასწავლად. ახალგაზრდა კაცი ლაპარაკობდა სომხურად, სპარსულად, რუსულად, თურქულად, ქართულად, გერმანულასდ და ფრანგულად. ეს იყო თვრამეტი წლის მაღალ-მაღალი შავგვრემანი, ლამაზი სახის ყმაწვილი. მას გადაეწყვიტა საფრანგეთში წასვლა ერთ-ერთი მეგობრით, რომელსაც წასვლის დღეს მისთვის ეღალატნა და თანამემამულე იოსებივით გამოუცდელი მეგობარი მარტო დაეტოვებინა. ესენი მოსულიყვნენ საკითხავად, შემეძლო თუ არა ყმაწვილი კაცის წაყვანა საფრანგეთში, რასაკვირველია იმ პირობით, რომ გზის ხარჯებში თვითონაც მონაწილეობა მიეღო. მე იმწამსვე გავიფიქრე, რომ ორ კეთილ საქმეს გავაკეთებდი, მის ოჯახსაც ვარგებდი და ჩემს თავსაც, და აი როგორ: ერთი, რომ ამ კაცის წამოსვლით კალინოს ასცდებოდა დამქანცველი მოგზაურობა და უკანა გზის ხარჯები. გარდა ამისა, როგორც თარჯიმანი, ეს კაცი ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა კალინოზე, რომელმაც მხოლოდ რუსული და გერმანული იცოდა, რაკი მომავალში ჩვენ უნდა გვევლო ისეთ ქვეყანაში, სადაც მხოლოდ ქართულზე და მის დიალექტებზე ლაპარაკობდნენ. სომხის წინადადება მივიღე და ჩემს საბრალო კალინოს გულისტკივილით შევატყობინე, ჩვენი განშორების წუთი უფრო ახლოა, ვიდრე ჩვენ ამაზე ვფიქრობთ-მეთქი, და ავუხსენი, რაშიც იყო საქმე. ამგვარად, კალინო ოცი -ოცდახუთი დღით ადრე ჩავიდოდა მოსკოვში და თუ ახალ შვებულებას ადრე მიიღებდა, პარიზშიც უფრო ადრე ჩამოვიდოდა, სადაც ერთანეთს შეხვედრას შევპირდით. გადავეხვიეთ ერთმანეთს და თითო-ოროლა მეგობარული ცრემლიც კი გადმოვღვარეთ, იმდენად ვიყავით ერთმანეთს შეჩვეულნი ამ ოთხთვიანი მოგზაურობის დროს, რაც ყოველთვის უხიფათო როდი იყო. შემდეგ ერთხელ კიდევ ზემოთ ავირბინე, რომ საბრალო ტორიანისთვის დამეხედა, მაგრამ ავადმყოფი ვეღაც მცნობდა. ისიც ვერ იგრძნო, მის ოფლში გაწურულ შუბლს ტუჩები რომ დავადე. ქვემოთ ჩამოვედი, ფინოს ვთხოვე ავადმყოფისთვის მზრუნველობა გაეწია, მაგარმ ეს ზედმეტი იყო: ფინო ტორიანის ჩემზე ადრე იცნობდა და უყვარდა. ფინოს უკანასკნელად ხელი ჩამოვარტვი და ეტლში ჩავსხედით. ახალგაზრდა სომეხიც თვაის დედას გადაეხვია. თვალზე ცრემლმო,მდგარი კალინო კიდევ დიდხანს იდგა ეტლის საფეხურზე, სადაც ვიღაც უცხომ დაიჭირა მისი ამდენი ხნის ადგილი,

მეეტლეები ხუთი საათიდან მოუთმენლად გველოდნენ. და აი, განშორების წუთიც დადგა. ფინო ცრემლს აფრქვევდა თავის ელჩურ ღირსებას. ბოლოს გაისმ,ა შოლტების ტლაშუნი,, ცხენები დაიძრნენ და ეკიპაჟმა რახრახით გაიარა სახლის თაღის ქვეშ. გაწყდა ჯაჭვი ახალ მეგობრებს შორის, რომლებიც თითქოს ბავშობიდანვე ასე ნაზად მეგობრობდნენ. დიდხანს გაისმოდა: „მშვიდობით! მშვიდობით! მშვიდობით“ მაგრამ ქუჩას რომ მოუხვიეთ, ყველა თვალს ოეფარა. ჩვენ ისე გავშორდით ერთმანეთს თითქოს ერთნი უკვე საფარანგეთში ვიყავით, მეორენი კი თბილისში. ჩემი თბილისი! მე მას გულის სიღრმიდან უნაზესი მშვიდობა ვუსურვე, - იქ ხომ ასე კარგად ვიმუშავე!

თავი XLIII
ოთხთვალა, ტარანტასი, მარხილი

კვირას, თერთმეტ იანვარს, ნაშუადღევის ორ საათზე თბილისიდან გავედით. გემში უნდა ჩავმსხდარიყავით ოცდაერთ იანვარს. პირველი ორი სადგური, სულ ოცდათექვსმეტი ვერსი, ესე იგი ცხრა მილი, ადვილი გასავლელი იყო და იმედი გვქონდა, ამ მანძილს დაღამებამდე გავლევდით. პირველსავე სადგურზე აღმოვაჩინე, რომ კალინოს, რომელსაც ჩემი ჩემოდნების გასაღებები ჰქონდა ჩაბარებული, უკან აღარ დაებრუნებინა. მაშინ ბარათი გავუგზავნე, რომ გასაღებები გამოეტანებინა ფოსტალიონისთვის , რომელიც ორშაბათს საღამოს ქუთაისში წამოვიდოდა. თბილისიდან ქუთაისამდე ორას ორმოცი ვერსია და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ფოსტალიონი, რომელსაც ცხენები მუდამ ჰყავს, უსათუოდ დაგვეწეოდა. წერილი ერთ კაზაკს ჩავაბარე, ერთი მანეთი ვაჩუქე და გავუშვი. საათ-ნახევრის შემდეგ კალინოს ერთი ბარათი უნდა მიეღო.

გზა განვაგრძეთ. რაც უფრო ღრმად შევდიოდით მთებში, მით უფრო სქლად გვეფინებოდა თოვლი. შემოგვაღამდა, მაგრამ ჯერ ვაკეზე მივდიოდით და სიბნელე ხელს არ გვიშლიდა, რომ მეორე სადგურზე დროზე მივსულიყავით. ამ სადგურებამდე იმ გზით მივდიოდით, რომლითაც ამას წინათ ვლადიკავკაზში წავედით. თვრამეტი ვერსი რომ გავიარეთ, გადავედით საუცხოო მცხეთის ხიდზე, მარჯვნივ მოვიტოვეთ პომპეუსის ხიდის ნანგრევები და უკან დაგვრჩა მცხეთის ტაძარი, სადაც დაკრძალულნი არიან საქართველოს ორი უკანასკნელი მეფე. მეორე სადგურის შემდეგ უნდა დაგვეტოვებინა ვლადიკავკაზის გზა, რომელიც მარჯვნივ, მთებში გაქრა, ჩვენ კი გადაგვეხვია მარცხნივ და დავდგომოდით ქუთაისის გზას. ეს მოხდა მეორე დილას. სადურის უფროსმა გაგვაფრთხილა, ორ მდინარეზე ფონით მოგიხდებათ გადასვლაო. კავკასიაში ხიდებს ზედმეტ ფუფუნებათ თვლიან, თუ წყალი კაცს თავს ზემოთ არ მოსდის, ცხენს კი ყურებამდის. მან დასძინა, თქვენი ტარანტასი ისეა ყუთებით დატვირთული, რომ ვერ გადავა მდინარეზე, რომლის ნაპირები საერთოდ ყველგან დამრეციაო. ამიტომ ტარანტასის შესამსუბუქებლად თან მარხილიც უნდა წაიყვანოთო. ჩვენც ავიყვანეთ მარხილი და ახლა სამი ეკიპაჟი გვქონდა ცხრა ცხენით. საბედნიეროთ, ცხენი ერთ ვერსზე ორი კაპიკი ღირს. ეს გამოდიოდა სამოცდათორმეტი კაპიკი. ესე იგი სამ ფრანკამდე ერთ ლიეზე. აქ მინდა ხაზი გავუსვა ერთ დეტალს, რომელიც სხვა თავში დამავიწყდა. ის იყო, ეტლში უნდა ჩავმსხდარიყავით, რომ ფოსტის უფროსის ბარათი მივიღეთ, სადაც გვიღჩევდა შეგვეცადა, რადგანაც გორსა და სურამს შორის კავშირი შეწყვეტილი იყო დიდი თოვლცვენის გამო. ჩვენ ამას ყური არ ვათხოვეთ და მე, მუანე და გრიგოლი, - ასე ერქვა ჩვენს თანამგზავრ სომეხს, - წინ წავედით. ჩვენ ეკიპაჟები კი დავუტოვეთ ერთ უნტერ-ოფიცერს, რომელიც ფოსტის ზედამხედველის თხოვნით ქუთაისში უნდა მიგვეყვანა. ამ ჩვენი პატარა სამსახურის სამაგიეროდ (ერთი ზედმეტი ადამიანი ჩვენი გზის ხარჯებს არაფრით გაზრდიდა) მან უკეთესი საქმე გაგვიკეთა: იგივე ოთხთვალა ქუთაისამდე გვათხოვა, რის შედეგადაც ყოველ სადგურზე ბარგის გადაწყობ-გადმწყობა აღარ გვიხდებოდა. გარდა ამისა, იმ უნტერ-ოფიცერს ჩვენთვის მოჯამაგირის მაგივრობა უნდა გაეწია. მას სახელად ტიმოთე ერქვა. ეს ტიმოთე უცნაური აღნაგობის კაცი იყო. ერთ შეხედვაზე ასე, ორმოცდაათი წლის ჩასუქებული კაცი გეგონებოდათ, მაგრამ როცა საღამოს \სადგურზე ორი თუ სამი ფარაჯა და თბილი ქურქი გაიძრო, როცა

ყაბალახი და თბილი ქუდი მოიხადა, დავინახეთ, რომ ეს იყო ოცდაექვსი-ოცდარვა წლის ჩონჩხი. ტიმოთე თავისი ზნით ნამდვილი იდიოტი იყო, და იმის მაგივრად, რომ ჩვენთვის დახმარება გაეწია მთელი გზის განმავლობაში ტვირთად დაგვაწვა თავისი უნიათობის და ქალაჩუნობის გამო. მან მეორე დღიდანვე დაიწყო ნიჭის გამომჟღავნებად და ბოლომდე თავისთვის არ უღალატნია. როგორც მოგახსენეთ ჩვენ წინ წავედით და ეს ტიმოთე სამეთვალყურეოთ დავტოვეთ ტარანტასსა და ოთხთვალას, რომლებიც მარყილზე უფრო დატვირთულები იყვნენ და საკმარისად ნელა მოგვდევნდნენ უკან დიდი თოვლის გამო. ჩვენი მარხილი ქარივით მიქროდა და მიუხედავად გამჭვალავი სიცივისა, რომელიც ძვალსა და რბილში ატანდა, ეს მოგზაურობა წინა დღესთან შედარებით ბევრად სასიამოვნო გვეჩვენებოდა. ორმოცდახუთ წუთში თორმეტი ვერსი გავიარეთ და მივადექით მდინარეს, რომელიც შედარებით პატარა და ადვილად გადასასვლელი იყო. მეეტლე ერთხანს ვერ ბედავდა, მაგრამ შემდეგ ორჯერ თუ სამჯერ ბრძანების კილოთი „პოშოლ!“ დაიყვირა და სამცხენა წყალში შეგდო. მას მიჰყვა მარხილიც, რომელიც ერთი მაგრად შეინჯღრა და მთლიანად ტალახში ამოგვსვარა. წყალი მერხებს ნახევარზე მოადგა, მაგრამ ჩვენს სახელურებს მოვეჭიდეთ და ფეხი მაღლა ავწიეთ. მეეტლე კი იმის მაგივრად, რომ უშიშრად და გაბედულად პირდაპირ გაღმა ნაპირზე აცოცებულიყო, მთის ფერდობზე ირიბად წავიდა. მარხილი მარცხნივ გადაიზნიქა, წონასწორობა დაკარგა და ერთმანეთში აგვრია. საბედნიეროდ, მდინარისგან შორს ვიყავით და იმის მაგივრად, რომ წყალში გადაცვენილიყავით, თოვლში ამოვყავით თავი. სიცილით წამოვდექით, დავიფერთხეთ, ჩვენი ადგილები დავიკავეთ და მეეტლემ ისე სწრაფათ გარეკა მარხილი. ერთ სადგურთან კიდევ შეგვხვდა მდინარე. ეს მდინარე უფრო დიდი იყო და ფეხების აწევით ვეღარ გადავრჩებოდით, რაც არ უნდა მაგრად აგვეწია ფეხი, წყალი მაინც ჩექმაზე მოგვადგებოდა. მაშინ ცხენები შევხსენით, ზედ შემოვასხედით და ისე გავედით მეორე ნაპირზე. შემდეგ ცხენები უკან გავუშვით და მეეტლემ ახლა ცარიელი, მაგრამ ძალზე დასვენებული მარხილი გამოგვიყვანა. სადგურამდე ასი ნაბიჯიღა რჩებოდა და ჩვენც ფეხით მივედით იქამდე.

სადგურის ალაყაფთან უამრავ ოთხთვალას და მარხილს მოეყარა თავი, რაიცა იმას ნიშნნავდა, რომ თოვლმა მათ იგივე უთხრა, რაც ღმერთმა ტალღებს: „ამაზე შორს ვერარ წახვალთო“. ამ უსიცოცხლო ურმევბსა და ტარანტასებს შორის ერთი დატვირთული, შეუბმელი მარხილიც იდგა.

-ცუდი ნიშანია! - ვუთხარი მუანეს.

მართლაც, აღმოჩნდა, რომ სადგურში ცხენები აღარ იყო. თავლაში შევედით, ყოველი კუთხე მოვჩხრიკეთ და ერთი ცხენიც ვერ ვიპოვეთ. სადგურის უფროსმა გვითხრა, ორ საათს ვერაფერს დაგპირდებით, შემდეგ კი უსათუოდ ორსამცხენას მოგცემთო. ეს იყო საკმარისად ღირსეული ქართველი. ჩვენი ორბეჭდიანი „პოდოროჟნის“ დანახვაზე, რაიცა სრულიად განსაკუთრებული რეკომენდაცია იყო სახელწოდებით „სახელმწიფო საჭიროების პოდოროჟნაია“, იგი დაგვპირდა, რომ ყცველაზე ადრე ჩვენ მივიღებდით ცხენებს, გარდა სასწრაფოკურიერებისა. ზემო ხსენნებული დატვირთული მარხილის დანახვამ იძულებული გამხადა, ხაზგასმით დამეცვა ჩვენი უფლებები, ანუ ჩვენი პრივილეგია ცხენებზე. ერთ მხრივ მიხაროდა კიდეც, რომ ვიგვიანებდით: მართალია, მე ჯეროვნად ვაფასებდი სისულელეს, რომლითაც ტიმოთე იყო დაჯილდოვებული, მაინც გადავწყვიტე, დამეცადა ტარანტასისა და ოთხთვალასთვის, სადაც ეწყო ყველაფერი ის, რაც კავკასიიდან მიმქონდა. იარაღი, ქსოვილები თუ ნივთები, ყოველივე მეგობარს მაგონებდა და არ მინდოდა თვალთაგან მომეცილებინა. მათ ცდაში სადგურის ოთახში შევედით. იქ დაგვხვდა დატვირთული მარხილის პატრონი, ვინმე გერმანელი, რომელიც თავის მსახუღტან ერთად მოგზაურობდა. გერმანელი ფრანგულად გაჭირვებით ლაპარაკობდა, მე კი სულ არ ვიცი გერმანული, ამიტომ საუბარი გაძნელდა. შევეცადეთ, ინგლისური გვეხმარა, მაგრამ აქ სხვა უხერხულობამ იჩინა თავი: მე ინგლისურად კარგად

ვკითხულობ, მაგრამ საძაგლად ვლაპარაკობ. მაშინ მან მოისაზრა და მკითხა, იტალიურად ხომ არ ლაპარაკობთო, ვუპაუხე, კი-მეთქი და მან დაიყვირა: პაოლო, პაოლო!

შემოვიდა პაოლო და შევხვდი სიტყვებით venga qui (აქ მოდი), რაზეც მას სიხარულისაგან გული ისე აუჩქროლდა, რომ პირდაპირ ფრენით წამოვიდა ჩემკენ. საწყალი ბიჭი ვენეციელი ყოფილიყო. ის ლაგუნებზე მცხოვრები კაცის ჩლიფინით უჩიოდა ცუდ გზებს, სიცივეს, თოვლს, მდინარეებზე გადასვლის სიძნელეებს და საერთოდ კავკასიაში იანვრის თვეში მოგზაურობის ყველანაირ სიმშვენიერეს. მაგრამ როგორც დანტე ამბობს, მისთვის უკვე დიდ სიხარულს უდრიდა ის, როცა თავისი დალოცვილი სამშობლოს si-ს ჟღერა გაიგონა. გამოტყდა, აქ სრულიად არ მოველოდი ამასო. აგერ ორი თუ სამი წელიწადია, რაც ასეთი რამ არ შემმთხვევიაო. ისინი ბრუნდებოდნენ სპარსეთიდან თავრიზზე, ერევანზე და ალექსანდროპოლზე გავლით. ამ უკანასკნელ ქალაქზე გავლა მოესწროთ, მაგრამ ახლა აქ უხდებოდათ ცდა, რადგანაც გზა სურამის უღელტეხილით დაკეტილი იყო. ჩვენც ამას გვწერდა საფოსტო სადგურების უფროსი. პაოლო კარგი მონადირე ყოფილიყო და ალექსანდროპოლიდან მოყოლებული თავის პატრონს ნანადირევით ჰკვებავდა. მაგრამ ახლა საფანტი შემოჰკლებოდა. საფანტი ჩვენც გამოგველია და თბილისსი მომარაგება დაგვავიწყდა. ისე, რომ ვერაფერი ვუთავაზეთ. საბედნიეროდ, სანოვაგე ბევრი წამოვიღე თბილისიდან და გორამდე გვეყო, გორში კი ისევ მოვიმარაგეთ საჭმელი ქალაქის უფროსთან, რომელიც გრიგოლის ცოლისძმა ყოფილიყო.

ჩვენი ოთხთვალა და ტარანტასი იგვიანებდნენ. მე გავიფიქრე, ალბათ ვერ ავიდნენ მდინარის იმ კლდოვან ნაპირზე, სადაც ჩვენ გადმოვცვივდით-მეთქი. საწირო იყო ვინმე წასულიყო ცხენით მათ შესახვედრად და გაეგო, რაში იყო საქმე. პირველმ გრიგოლმა გადაწყვიტა წასვლა, მუანემ კი, როგორც ცხენოსნობის ფანატიკოსმა, მოინდომა ამ შემთხვევითაც ესრგებლნა და ცოტა გაესეირნა ცხენით. ორივენი წავიდნენ იმ მიმარტულებით, სადაც ვარაუდობდნენ ჩვენი ეტლების შეხვედრას. დაახლოებით საათ-ნახევრის შემდეგ ეჟვნების ხმა შემომესმა. მუანე და გრიგოლი ტრიუმფალურად მიუძღვებოდნენ ტარანტასს და ოთხთვალას. ერთი, თურმე, შუა წყალში ყოფილიყო გაჩერებული, მეორე კი გაღმა ნაპირზე იდგა. ტარანტასის ცხენები ვერ ასულიყვნენ ციცაბო მთის ფერდობზე, ტიმოთესა და მეეტლეს კიმოსაზრება არ ჰყოფნოდათ, ცხენები ჯერ ტარანტასში შეებათ და გადაეყვანათ, შემდეგ კი ოთხთვალაში. მოანეს ასე გაეკეთებინა და მშვიდობიანად გადმოსულიყვნენ მდინარეზე. მეორე მდინარეც ასე გადმოელახათ და ტიმოთეს განსაცვიფრებლად მშვიდობით სდაგვეწიენ სადგურში.

რეინის ამ მეორე გადალახვაზე რომ ვსაუბრობდით, უაეცრად მჟღერი გერმანული ლანძღვა-გინება შემოგვესმა. ეს ჩვენი ტევტონი მიმართავდა ფოსტის უფროს. ქამარში ხანჯალგაყრილ ქწართველს, რომელიც თითო ხელით ააცეკვებდა ყველა ამისთანა გერმანელს, მისთვის მარხილის დაცლა უბრძანებია, რათა ჩვენთვის გადმოეცა იმ საპატიო საბუთით, ვითომდა მარხილი ყოველ სადგურზე უნდა გამოიცვალოსო. ამაზე გერმანელმა, ჩემი აზრით, საკმარისად სამართლიანად უპასუხა, თუ ამათ აქვთ უფლება ჩემს მარხილზე, მეც მაქვს ასეთივე უფლება მათს მარხილზეო./ და რადგანაც ქართველს, უეჭელია, ამაზე აღა ჰქონდა დამაჯერებელი პასუხი, ამიტომ არც არაფერს უპასუხებდა და განაგრძობდა არმინიუსის შთამომავლის ბარგის თოვლზე გადმობარგებას. მე რომ არ ჩავრეულიყავი, საქმე ცუდათ გათავდებოდა.

ფოსტის ზედამხედველი გერმანელს იმიტომ ართმევდა მარხილს, რომ ჩვენს ტარანტასსა და ოთხთვალას გზის გაგრძელება აღარ შეეძლო დიდი თოვლის გამო და ჩვენთვის აუცილებლად საჭირო იყო მეორე მარხილი. მაგრამ თუ ჩვენს ტარანტასს შორს მგზავრობა აღარ შეეძლო, თბილისში დაბრუნება ხომ თავისუფლად შეეძლო. გერმანელი ჩემი ტარანტასით თბილისში წავიდოდა, ეს მისთვის უფრო მოსახერხებელიც იქნებოდა და ყოველ სადგურზე ბარგის გადაღებ-გადმოღებაც აღარ დასჭირდებოდა. ამ წინადადებამ, როგორც მე ვვარაუდობდი,

ტევტონის რისხვაზე ისეთივე გავლენა მოახდინა, როგორც პატარა წვიმამ დიდ ქარზე, ერთი ანდაზისა არ იყოს, ის წამსვე დამშვიდდა, ხელი გამომიწოდა და ისე დავშორდით ერთმანეთს, როგორც საუკეთესო მეგობრები, გერმანელს ეტლი ზუბალაშვილის ეზოში უნდა მიეყვანა. კიდევ უფრო მეტი: კალინოსთან მიწერილი წერილი ამ უკანასკნელს ნებას აძლევდა, ტარანტასისთვის რაც უნდოდა ის ექნა, ცეცხლისთვის შეეკეთებინა მისი ღერძები თუ ცექმა შეეკერა მისი ტყავისაგან. ამ ღირსეულმა ტარანტასმა მოსჭამა თავისი წუთი სოფელი. მან თავისი ვალი კარგად შეასრულა, თითქმის სამი ათასი ვერსი მატარა ისეთ გზებზე, სადაც ფრანგული ეტლი მეათე ნაბიჯზე გადტყდებოდა და თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ერთმა ბორბალმა გაუფრთხილებლად გვიმტყუნა ნუხაში, ერთხელაც არ უღალატნია ჩვენთვის. ღმერთმა იცის რა ასაკისა და რამდენი ხნის ნამსახურები იყო ბებერი ტარანტასი, როცა მე ის ასტრახანში ერთი ფოსტის უფროსისგან ვიყიდე სამოცდათხუთმეტ მანეთად!

ბედნიერად ჩაიყვანა თუ არა ჩვენმა ტარანტასმა ახალი პატრონი თბილისში? იქნებ, იპოლიტეს ცხენებივით შეჩვეული ხელები რომ ვეღარ იგრძნო, იგი გჰზაზე მიატოვა ერთ-ერთი იმ საბუთით, რომლებიც მოჰყავთ, ანუ უფრო სწორად, არ მოჰყავთ ბებერ ეტლებს? მე ეს არ ვიცი, თუმცა სრულიად შესაძლებელია, მან ვაჟკაცურად გაიარა სამი სადგური. ტარანტასები ხომ ტვირთმზიდავი მამონტებია, ოღონდ ისინი ისე მაგრად არიან აგებულნი, რომ წარღვნას გაუძლეს და, ალბათ, უკანასკნელ სამსჯჯავროსაც გაუძლებენ.

ჩვენმა სადურის ზედამხედველმა, რომელიც ნაზი სიყვარულით იყო ჩვენდამი გამსჭვალული, წასვლის წინ ჭკუა დაგვარიგა. ჩვენს მოსვლამ,დე სამი დღით ადრე ორი კაზაკი თავისი ცხენებიანათ ქარბუქში მოხვედრილიყვნენ იმავე გზაზე, რომლითაც ჩვენ მივდიოდით. შემდეგ ისინი ცხენებიდან ათი ვერსის მოშორებით გაყინულები ეპოვათ. თუ ცა მოიქუფრებოდა და საეჭვო ნიშნებს შევამჩნევდით, უნდა თავი შეგვეფარებინა პატარა სამრეკლოსთვის, რომელიც გზის მარცხნივ თხუთმეტ ვერსზე იმყოფებოდა. თუ ქარბუქმა სმრეკლოდან შორს მოგისწროთ, ცხენები გამოუშვით, მარხილებით შემოიღობეთ და ასე შეიცადეთ, მანამ ქარბუქი არ ჩადგებაო. ეს ყველაფერი სასიამოვნოს არაფერს გვეუბნებოდა, მაგრამ უფრო მეტად გვაწუხებდა ის, რომ უკვე ნაშუიადღევის სამი საათი იყო და ჭალაქის სადგურზე დაღამებამდის ვერ მივიდოდით.

მიუხედავათ ბევრი შავი ფიქრისა, ეს გზა მშვიდობიანად გავიარეთ. მეეტლებმა გვიჩვენეს ადგილი, სადაც კაზაკებისა და მათი ცხენების გვამები იყო ნაპოვნი. ეს მოხდა პატარა ველზე, გზის გადაღმა. კაზაკები გზას ასცდენოდნენ, მოხვედრილიყვნენ იმ ველზე, როგორც მახეში და ქარბუქსაც მოესწრო. მგლებს რომ თოვლი არ გადაექექათ, გაზაფხულამდე მათ ალბატ, ვერავინ იპოვიდა.

ჭალაქი პატარა და ლამაზი სადგურია.

-რა გაქვთ ვახშმათ?

-რასაც ინებებთ.

-კარგია. წიწილები თუ არის?

-არა.

-ცხვრის ხორცი?

-არ არის.

-კვერცხები?

-არც კვერცხებია.

ეს დაკითხვა ძალიან გაგრძელდა და პასუხიც სულ ერთი და იგივე იყო. ჩვენი მასპინძლების მთელ სამზარეულოს შეადგენდა შავი პური, რომელიც პირში ვერ ჩავიდეთ და მოიისფრო ღვინო, რომლის გემო არც კი გვინახავს. ისევ ჩვენი სანოვაგე ამოვიღეთ. საბედნიეროდ, კიდევ გვქონდა დარჩენილი რამდენიმე ძხვი და ინდაურის ძვლები, რასაც სხვა დროს იმ ტრამალის მგლებსაც კი არ შევკადრებდით. მაგრამ ახლა ძეხვი კანიანად შევჭამეთ, ინდაურს კი ძვლიანად შევექეცით და თუ ვერ დავნაყრდით, ჭია მაინც დავიოკეთ. ის მომაბეზრებელი ჩაიც დავლიეთ, ასე რომ გულს მიწყალებდა, რადგანაც მას ყველგან ვშოულობდით და რუსებსაც მეტი არაფერი უნდოდათ. ამ დროს შემატყობინეს, ერთ ოფიცერს უნდა თქვენთან ლაპარაკაიო.

-უთხარით, თუ ვახშამზე მეპატიჟება, ვისგანაც არ უნდა იყოს გამოგზავნილი, თავს ტყუილად იწუხებს.

-არა,მას მხოლოდ თქვენი გაცნობა სურს.

-პმ მწირი სადილის მწირი დესერტია!

ოფიცერი შემოვიდა. ეს იყო სანდომიანი გარეგნობის კაცი, როგორც ყველა რუსი ოფიცერი. მას ცემი ჩამოსვლა გაეგო და არ უნდოდა ისე წასულიყო, რომ არ ვენახე. ეს კაცი თბილიოსიდან დღის ორ საათზე გამოსულიყო და როგორც საჩქარო კურიერს და საუცხოო შოლტის პატრონს, ექვსი საათის განმავლობაში იმდენი გაეარა, რამდენიც ჩვენ დღე-ნახევარში გავიარეთ. ესეც არის, რომ მის მარხილს ბარგი არ ამძიმებდა. მას მოულოდნელად ბრძანება მიეღო ქუთისში სასწრაფოდ წასვლაზე და ისე წამოსულიყო, როგორც ეცვა, პატარა ქუდით და სამხედრო ფარაჯით. ასე საშემოდგომოთ ჩაცმული ვარაუდობდა ის სურამის თოვლში გზის გახსნას, როგორც კეისარმა გიკფა გზა ოვერნის მთებში. თავისი ქალიშვილის მკერდზე მისვენებულ ქ-ენ სევინიეს გული უღონდებოდა, მე კი საშინლად შემაცივნა, საბრალო ოფიცერს რომ შევხედე. ჩემი ფაფახი ტავზე ჩამოვაცვი და მხრებზეც ჩემი ქურქი წამოვახურე. ამის ნაცვლად ტავისი სახელი მითხრა: კაპიტანი კუპსკი ყოფილიყო. ქუთაისში ფაფახსა და ქურქს სადგურში დაგიტოვებო, მითხრა, ექვსიოდე ჭიქა არაყი გამოსცალა, მარხილში ჩაჯდა და წავიდა.

ჯერ ისევ კარებში ვიდექით და კაპიტანს ვემშვიდობებოდი, რომ პ[ოსტის ეჟვნების ხმა შემომესმა. ეს იყო ჩვენი ძმა ტიმოთე, რომელიც მუდამ დაგვიანებით შემოგვიერთდებოდა ხოლმე. საშინლად გამიკვირდა, როცა დავინახე, რომ ოთხთვალათი მოდიოდა და არა მარხილით. სადგურიდან ვერაფრით გამოტეულიყო და როცა პუპსკი კვენცენის სადგურზე მივიდა, ტიმოთე მას იქ დახვდა. ოფიცერმა არ იცოდა, ვისტან ჰქონდა საქმე და ის თავისი საკურიერო „პოდოროჟნის“ ძალით ისევე მოქცეულიყო, როგორც ჩვენ მოვექეცით გერმანელს, ესე იგი მისთვის მარხილი გამოურთმევია. ტიმოთეს დიდი გაჭირვებით აეკოჯკოლავებინა ჩემოდნები ოთხთვალაზე და თოვლში ჩაფლობის რისკით უკან გამოგვყოლოდა. საბედნიეროდ, ორი საათით გვიან დაგვეწია, მაგრამ ისე გაგვაკვირვა მისმა მოსვლამ, რომ აღარაფერი უთხარით. ეს იყო, რომ ამ პატარა შემთხვევას დიდი შედეგი მოჰყვა.

თავი XLIV
„იხვებმა იქ მშვიდობიანად გადაცურეს“

მეორე დილის ცხრა საათზე სადგურიდან გავედით. მთელი ღამე ამინდზე ვფიქრობდი. ფანჯრიდან მომეჩვენა, თითქოს თოვდა, მაგრამ გარეთ რომ გავედი, თურმე შევცდი. მართალი გითხრათ, არაფერი მინახავს ამ სადგურზე უფრო სევდიანი შესახედაობისა.მიწა უზარმაზარ სუდარასი გახვეულ მიცვალებულს ჰგავდა. ფერმილეული მთვარე სულთმობრძავად დაცურავდა თოვლის ოკიანეში. არსად ჩამიჩუმი , მხოლოდ შორს, საიდანღაც მოისმოდა წყლის

წკანწკარი. დროდადრო სიჩუმეს არღვევდა ტურის კივილი ან მგლის ღმუილი. შემდეგ ყველაფერს ისევ სამარისებული მდუმარება ეფინებოდა. სახლში შემოვბრუნდი, სხეუზე უფრო გული გამეყინა. დილის ცხრა საათზე, ესე იგი იმ დროისთვის, როცა უნდა გავსულიყავით, ყველაფერმა სხვა სახე მიიღო.ცა მოიწმინდა, კაშკაშა მზე სითბოს გზავნიდა დწედამიწაზე, თოვლზე ალმასებიაბრჭყვიალდნენ. მგლის ღმუილი და ტურის ყივილი წყვდიადს თან გაჰყვა. თითქოს შემოქმედმა ქვეყანას დახედა და ერწი წუთით ცის ლაჟვარდში თავისი სახე გამოაჩინაო.

ორი მარხილის შოვნა შეუძლებელი იყო, ამიტომ ტიმოთე იძულებული გახდა, ოთხთვალათი გამოგვყოლოდა. მაგრამ ეს სრულიად არ აღონებდა, როცა ვერ გვეწეოდა თავისთვის მოჩაქჩაქებდა უკან. ორ დღეში თექვსმეტი ლიე გავიარეთ და კიდევ სამოცი დაგვრჩა გასავლელი, ჩვენ კი რვა დღის მეტი აღარ გვქონდა დარჩენილი. ოფიცერი დაგვპირდა, გავლილ სადგურებში გზის მდგომარეობის შესახებ ჩვენთვის ამბავი დაეტოვებინა, რათა დასბრკოლებების შემთხვევაში წინასწარი ზომები მიგვეღო. შუა დღისას გორში ჩავედით ჩვენმა ახალგაზრდა სომეხმა გულუხვობა გამოიჩინა და მეეტლეებს უბრძანა, პირდაპირ მის ნათესავთან წავეყვანეთ. გზა ისე იყო გაყინული, რომ ოთხთვალაც მალე დაგვეწია. როცა ადამიანს გეჩქარება კარგი დახვედრაც უბედურებაა. როგორც კი შევამჩნიე, გრიგოლის ცოლისძმა კარგ მიღებას გვიპირებდა, მივხვდი, რომ კარგ საუზმეს კი მოვიგებდით, მაგრამ ოცდახუთ ვერსს დავკარგავდით. დაკარგულ საუზმეს მეორე ან მესამე დღეს დაიბრუნებ, გაკარგულ ვერსებს კი ვერასოდეს. გრიგოლს ვუთხარი, ცხენები ახლავე მოითხოვეთ, რომ ნასადილევს მაშინვე გაუდგეთ გზას-მეთქი. ცხენები ერთი საათით გვიან მოითხოვეს, იმისთვის, რომ ერთი საათით დავეტოვებინეთ მასპინძლებს. სადგურის უფროსმა, რასაკვირველია, ცხენები გაიწყვიტა. მე გრიგოლს აუხსენი, ალბათ ჩვენი ორბეჭედიანი „პოდორჟნები“არ აჩვენეს და იმიტომ მივიღეთ ასეთი პასუხი-მეთქი. მან ისერვ გაგზავნა მსახური ქაღალდით და სადგურის უფროსმა უპასუხა, ოთხ საათზე იქნება ცხენებიო. მაშინ მუანე ერთ ხელში „პოდოროჟნით“შეიარაღდა, მეორეში მათრახით, წინ გრიგოლი წარიმძღვარა თარჯიმნად და სადგურისკენ გასწია. როცა დაბრუნდნენ შეგვატყობინეს, თავლაში თხუთმეტი ცხენია და თხუთმეტ წუთში ორ სამ ცხენას გამოგვიგზავნიანო. კავკასიაში უნდა იცოდე, ვის მიმართავ. ამის გაგება ერთ შეხედვაზეც შეიძლება. თუ ზედამხედველს ღია სახე აქვს, სწორი ცხვირი, შავი თმა და თვალ-წარბი, თეთრი კბილები, თავზე შავი წოწოლა დაბალბეწვიანი ფაფახი ახურავს, იგი ქართველია. ხოლო ქართველმა რაც არ უნდა გითხრათ, ყველაფერი სრული სიმართლეა. თუ ის ამბობს, ცხენები არ არისო, მასთან ჩხუბი უსარგებლოა, და არამცთუ უსარგებლო, სახიფათოცაა. მაგრამ თუ სადგურის უფროსი ვინმე სხვაა, ის უსათუოდ ტყუის. მას უნდა, ორმაგად გადაგახდევინოს.

მართლაც, ოც წუთში ცხენები მოგგვარეს. ეწს დრო არ დამიკარგავს და გორის ქუჩებში გავისეირნე. სამწუხაროდ, უქმე დღე იყო და ბაზარი დაკეტილი დაგვხვდა. კავკასიის ქალაქებში, სადაც არ არის ძეგლები, გარდა ბერძნული ეკლესიისა, რომელიც თითქმის ყველგან ერთნაირია, ეკუთვნის იგი ძველსა თუ თანამედროვე არქიტექტურას, მეათე თუ მეცხრამეტე საუკუნეს, და თუ ბაზარიც დახურულია, სანახავი აღარაფერია, გარდა უხეირო ხუხულებისა, რომელთაც მოსახლეობა ხალებს ეძახის, და ერთი ქვის ან აგურისმწვანესახურავინი კირით შელესილი შენობისა, რომელსაც სასახლეს ეძახიან. ამ სახლში ცხოვრობს ქალაქის თავი. მაგრამ მე გორის მიმართ სამართლიანი არ ვიქნები, თუ ვიტყვი, იქ არაფერია-მეთქი. ვიწრო ქჩაბანდებს რომ თვალი გავაყოლე, დავინახე მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნის ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რომელიც საუცხოო მომეჩვენა. ის აღიმართება კლდის წვერზე და იქიდან, საიდანაც მე უყურებდი, გაუგებარი იყო, როგორ ააშენეს იმ ადგილზე ეს ტაძარი. უფრო საფიქრებელი იყო, რომ თვითონ ღმერთმა ჩამოუშვა იგი ციდან და შვეულად დადგა კლდეზე სიტყვებით: „აი, ღვთაებრივი სამართალი“.

ცხენები შეაბეს თუ არა, მარხილებში ჩავსხედით, ტიმოთე კი თავის ოთხთვალაზე მოთავსდა. შუადღის მზემ ოთახი ცოტათი გაალხო ყინული, ცა კი იღუშებოდა. ის იყო, უნდა წავსულიყავით, მეეტლეს მათრახი მოქნეული ჰქონდა, რომ გრიგოლის ცოლისძმას ვიღაც ცხენიანმა კაცმა რამდენიმე სიტყვა უთხრა, ის კი მოგვიბრუნდა და შეწუხებული სახით მოგვმართა:

-ბატონებო, თქვენი წასვლა არ შეიძლება.

-რატომ?

-აი, ეს კაცი მეუბნება, შეუძლებელია ლიახვზე გადასვლაო. წყალი ისე ადიდებულა , რომ კინაღავ ეს კაცი წაუღია თავისი ცხენით.

-მარტო ეგ მიზეზია?

-დიახ.

-მაშ, ჩვენ გადავცურავთ, ბატონო. ტყუილად ხომ არ გვიმღეროდნენ ძიძები აკვანში: „იხვებმა იქ მშვიდობიანად გადაცურესო“.

და ჩვენ გზას გაუდექით სახტად დარჩენილი მასპინძლების ცხვირწინ. რამდენიმე მარდი ქართველი გამოეკიდა ჩვენს მარხილებს. რომ ენახათ, როგორ გადავლახავდით მდინარეს. გორიდან ერთ ვერსზე რომ ვიყავით, მდინარემ გზა გადაგვიღობა. გამძვინვარებული ლიახვი ხმაურით მოაგორებდა ყინულის ლოდებს და ისეთი შესახედავი იყო, თითქოს უსწორმასწორად მოეკირწყლად ყინულის ფილებით. მდინარე ისე მძლავრად მოედინებოდა, რომ არ უნდა გაყინულიყო. ქვემოთ ორ ვერსზე ის უერთდებოდა მტკვარს. ამის დანახვაზე ჩვენი აღმაფრენა ცოტათი განელდა. მეეტლეებმა ხელები ზეცას აღაპყრეს და პირჯვარი გამოისახეს. ამ დროს გაღმა ნაპირს ერთი ცხენიანი კაცი მოადგა, მდინარე შეათვალიერა, დააკვირდა დინებას, ადგილი შეარჩია და ცხენი წყალში შეაგდო. ცხენს იმწამსვე წყალი მუცელზე მოადგა, მაგრამ შუა მდინარეში თითქოს წყალქვეშა ბორცვს წააწყდა და რამდენიმე ნაბიჯი თითქმის ხმელზე იარა. შემდეგ ისევ მუცლამდე წყალში ჩაიძირა და მეორე ნაპირზე უვნებლად გამოვიდა.

ჩვენც ამ მიმართულებით უნდა ვიაროთ, -ვუთხარი გრიგოლს.

მან ეს მეეტლეებს გადასცა, რომლებიც თავდაპირველად უარზე იყვნენ, მაგრამ შემდეგ დაიძრნენ იმ ადგილისკენ, სადაც თოვლს ცხენის ნაფეხურები აჩნდა.

-აი, აქ არის, -უთხარი გრიგოლს,-ცხენებს ბევრი ფიქრის დროს ნუ მივცემთ.

ჩვენს მარხილს სამი ცხენი ება, ორი გვერდით და ერთივც წინ. მეეტლე წინა ცხენზე იჯდა. ის თავის ცხენს მიერეკებოდა, მარხილზე მდგომი გრიგოლი კი ორ ცხენს ურტყავდა. გაისმა მაყურებელთა გამამხნევებელი ყიჟინა და ცხენები წყალში გადაეშვნენ. ჩქარა თითქმის გაუჩინარდით მარხილის გარშემო ამდგარ ზვირთებში. ჯერ პირველმა ცხენმა შედგა ფეხი ბორცვზე, შემდეგ დანარჩენებმა. მაგრამ ზედ ასვლა ისე მოხერხებულად არ მოხდა, როგორც ჩამოქანება. მარხილის წინა ნაწილი ისე მაგრად დაეჯახა ქვას, რომ წინა ცხენის ღვედები გაწყდა და ცხენი თავისი გამრეკიანად წყალში მოექცა, გრიგოლმა კი თავი ნახევარკუნძულს დაჰკრა. ნახევარკუნძულს რომ ვამბობ ეს იმიტომ კი არა, რომ ის ნაპირთან ყოფილიყოს შეერთებული რომელიმე მხრიდან, არამედ იმიტომ, რომ ექვსი გოჯით მაღალი რომ ყოფილიყო, წყალს ზემოთ იქნებოდა ამოჩრილი. საბედნიეროდ, ამ ექვსმა გოჯმა წყალმა შეანელა დაჯახება, თორემ საწყალი გრიგოლი ტვინს დაანთხევდა ქვებს. ჩვენ მერხებს

ვიყავითჩაბღაუჭებული და დავრჩით ურყევნი, როგოც ჰორაციუსის juistum et tenacem მაგრამ უნდა დავსძინო, რომ ასეთ მდგომარეობაში შეუპოვრობა უფრო იყო საჭირო, ვიდრე უჯიათობა. ასეთ შემთხვევებს ის კარგი მხარე აქვთ, რომ პირნი, რომელნიც მათი მსხვერპლნი არიან, ერთმანეთს უწყრებიან, ჯიუტობენ, თავიანთ ენერგიას ამჟღავნებენ და ბოლოს და ბოლოს იმარჯვებენ. მეეტლემ ტავისი ცხენის ღვედები გადააბა და ზედ შეჯდა. გრიგოლი ისევ მარხილზე დადგა, გაისმა შოლტის ტყლაშუნი, შეძახილები, მარხილი მოსწყდა ლოდებს, როგორც კბილის ექიმი მოაძრობს ხოლმე კბილს, და ბორცვზე შეჩერდა. ამ დროს პირველ ცხენს წყალი მუცლამდე სწვდებოდა, დანარჩენებს კი მუხლამდე. მათი დიდხანს წყალში გაჩერება არ შეიძლებოდა და გაისმა ყვირილი „პაშოლ, სკარეი, პაშოლ!“ ცხენებს სეტყვასავით დააყარეს შოლტები. შეწუხებულმა ცხენებმა გაიწიეს, ელვის სისწრაფით გაიარეს მდინარის მეორე მკლავი და გაღმა ნაპირზე გაგვათრიეს. ამგვარად, „იხვებმა გადასცურეს მდინარე“ ანუ უფრო სწორად, ჩვენ გადავცურეთ მდინარე იხვებივით. მთელი იარაღი, თოფები, ბარგი-ბარხანა ნაპირზე იყო დატოვებული. თან არაფერი გვქონდა. ჩვენთან იყვნენ მხოლოდ, როგორც ბავშვები იტყვიან, თოვლზე აღბეჭდილი ჩვენი პორტრეტები და ისინი ლიახვს დაუტოვეთ ჩვენს მოსაგონრად. ახლა ტიმოთეს და მისი ოთხთვალას ჯერი იყო. უნდა გამოვტყდე, რომ მისკენ ცქერას ვერ ვბედავდი. ის ხვთის ნებას მივანდე. მუანე, გრიგოლი დამე მარხილში მოვთავსდით და რაც ძალი დაღონე გვქონდა, დაუწყეთ ყვირილი, „სკარეი! სკარეი!“, თითქოს ვცდილობდით, გვესარგებლნა იმ ატმოსფერული კანონის მადლით, რომელიც ამბობს, სიჩქარე აშრობსო. შემდეგ სწრაფად დავიძარით მრავალრიცხოვან მაყურებელთა აღფრთოვანებულ შეძახილებზე. მაგრამ მე მაინც არ ვუყურებდი ოთხთვალას და გავცქეროდი გორს. ქალაქზე გადმომყურე ძველ ციხეს ძლიერი და მრისხანე გარეგნობა აქვს. წარმოიდგინეთ ხუთასი ფუტის სიმაღლის კლდე კედლებიდა და მაღალი კოშკების უზარმაზარი კიბით, რომელიც შვიდ თანმიმდევრულ ზღუდეს ქმნის. ზღუდეების ყოველ კუთხეში აღმართულია ერთი კოშკი. ბოლოს, მერვე სარტყელზე, ყველაზე ზემოთ აღმართულია მთავარი კოშკი, კედლებს შუა კი ციხის ნანგრევები. მუანეს ძალიან სციოდა, რომ ეს სანახაობა ადგილზევე ჩაეხატა. მაგრამ მან გორისთვის გააკეთა ის, რაც შამხალ ტარკოვსკის ციხისთვის. თავში აღიბეჭდა ციხე და საღამოზე იგი ქაღალდზე გადაიტანა.

ბოლოს ჩემდაუნებურად მზერა ისევ მდინარეზე გადავიტანე და მსწრაფლ თვალებზე ხელები მივიფარე, რომ ჩემს თვალწინ გადაშლილი სამწუხარო სურათი არ დამენახა. ოთხთვალა, ბარგი, ყუთები, სამზარეულო, ტომრები, ყველაფერი ტიმოთიანად წყალში გადაბრუნებულიყო. ჩემი მწუხარება მუანესთვისაც კი არ გამინდვია. ლერმონტოვის „ყაზბეგივით“თვალზე ყაბალახი ჩამოვიფხატე და ყრუ ხმით შევძახე: „სკარეი! სკარეი!სკარეი! მეეტლე დამემორჩილა. ჩვენ გადავლახეთ მეორე მდინარე, რტაც პირველთან შედარებით თამაშობა იყო, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდები, თხუთმეტიოდე ვერსი საკმარისად გვარიან გზაზე ვიარეთ. უცბად, ჩვენ წინ ფერდობი აღიმართა. რასაც ვერ დავარქმევ მთას. ეს იყო სახურავივით დამრეცი ასი ფუტის სიმაღლის კანობი. შესაძლებელია, ჩვენმა ოთხთვალამ წყალს გამოაღწია, მაგრამ ის ამ აღმართზე ვერავითარ შემთხვევაში ვერ ავიდოდა. ჩემი აზრით, სჯობდა ოთხთვალასთვის დაგვეცადა და მის ასაყვანად რაიმე მოგვეფიქრა. დამთანხმდნენ. მარხილიდან გადმოვედით და მანამ მეეტლე ფერდობზე ბარგიან მარხილს მიათრევდა მუანემ, გრიგოლმა და მე ხანჯლებით ტოტები დავჭერით და კოცონი გავაჩაღეთ. ნედლი შეშასავით ორთქლი აგვდიოდა, მაგრამ ვშრებოდით და ეს იყო ჩვენთვის მთავარი. უცებ ფოსტის ეჟვნის წკარუნი შემოგვესმა და გზაზე გამოჩნდა ტიმოთე თავისი ოთხთვალათი. თვითონ ტიმოთე ბარგზე იყო წამომჯდარი და შესანიშნავ სანახაობას წარმოადგენდა: თავით ფეხებამდე დასველებულს გარშემო უამრქავი ყინულის ლოლოები ეკიდა. ეს იყო სტალაქტიდებით დაფარული სვეტი და წააგავდა ზამთრის ქანდაკებას ტიულრის დიდ აუზში. არც კი გვიკითხავს, როგორ გადმოვიდა მდინარეზე: მისი ყინულით დაფარული ტანისამოსი აშკარად მეტყველებდა ამაზე, მაგრამ იმის გამო, რომ ტყაპუჭი და ორი თუ სამი ფარაჯა ეცვა, წყალს ვეღარ შეეღწია ხუთი თუ ექვსი გარსით დაფარულ სხეულამდე. ჩვენი ჩემოდნები და ყუთები კი ერთიანად ყინულით იყო დაფარული.

ჩვენ მარხილიდან გამოვხსენით ცხენები , რომელნიც უტვირთოდ ადვილად ავიდნენ ფერდობზე და ოთხთვალაში შევაბით. მაგრამ ცხენები ტყუილად იკლავდნენ თავს:ოთხთვალა ფერდობის ერთ მესამედზე რომ ავიდა, ნახევრქამდე თოვლში ჩაიძირა და გაჩერდა. დავინახეთ, რომ სიჯიუტე არაფერს გვარგებდა და ტიმოთეს ვუთხარით, იქ დაეცადა, ჩვენ კი უახლოეს სოფელ რუისში წავედით, საიდანაც იმედი გვქონდა, გამოვგზავნიდით ხარებს ან ცხენებს. რუისი, ჩვენი მეეტლის თქმით, ათ ვერსზე უნდა ყოფილიყო და ორი საათის მეტი არ დაგვჭირდებოდა. ტიმოთე თავის ოთხთვალას კენწეროზე დარჩა მსგავსი რთვილის სახელმწიფოს ზამთრის მეფისა.ჩვენ ისევ მარხილში ჩავსხედით და რაც შეიძლებოდა გავრეკეთ. დაღამებამდე ერთი საათი ძლივსღა გვრჩებოდა, წინ კი უხეირო გზა გვქონდა გასავლელი.

თავი XLV

ტიმოთე ქიმიური ასანთის გამოყენების ახალ საშუალებას პოულობს.

თითქმის ერთი ვერსი საკმარისად სწრაფად ვიარეთ ვაკიან ადგილზე მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდით სურამს ფერდობები ერთმანეთს სცვლიდნენ და სულ უფრო ციცაბო ხდებოდნენ. ერთი ბორცვის ძირას რომ მივედით, თითქმის უკვე ღამე იყო. ძნელი წარმოსადგენია ეს ერთიანად თოვლში გახვეული პეიზაჟი, თუ იგი თავისი თვალით არ ნახე. გზას ძლივს აჩნდა ცხენების ნაფეხური, კვალიც კი არასად ჩანდა ეტლისა ან მარხილისა. შორს იშლებოდა სურამის ქედი, როგორც თეთრი ფარდა, რომლის კუწუბები მორუხო ცაში იკარგებოდნენ. ეს მთების ჯაჭვი აერთებს კავკასიონის ერთ შტოს, რომელიც შავი ზღვის გასწვრივ მიიმართება და ანაპაში წყდება, და მეორეს, რომელიც ლაზისტანს სომხეთთან საზღვრავს და სპარსეთში იჭრება. ჩვენ მარცხნივ, შეუმჩნეველი დაქანების უზარმაზარი თოვლის ხალიჩის ქვემოთ ხმაურობდა მტკვარი. მარჯვნივ კი უძრავი ტალღებივით ერთმანეთს უკან აღიმართებოდნენ და ჰორიზონტს ფარავდნენ პატარ-პატარა მთები. აც ერთი სულდგმული, არავითარი ცოცახლი არსება არ ჭაჭანებდა ამ უდაბნოში და მე ჩემს დღეში არსად მენახა ამაზე უფრო სრული სურათი სიკვდილისა. ცა, მიწა, ჰორიზონტი, ყოველივე გადათეთრებული, ცივი, გათოშილი იყო. მარხილიდან გადმოვედით, თოფები მხარზე გადავიკიდეთ და ფეხით შევუდექით ბექობს. ერთი თვის წინათ ამ გზაზე გაევლო ინგლისის ელჩს სპარსეთში ბ-ნ მურეის, რომელიც წერდა, სურამი ვერ გადავლახეთ, სანამ სამ ეკიპაჟში სამოცი ხარი არ შევაბითო. ახლა კი უკვე ერთი თვე იყო, რაც გადაუღებლად თოვდა და ბ-ნი მურეის სიტყვით, ალბათ ჩვენ ორასი ხარი დაგვჭირდებოდა. ყოველ ნაბიჯზე მუხლებამდე თოვლში ვიფლობოდით. გრიგოლმა ოდნავ გადაუხვია გზას და წელამდე ჩაიძირა თოვლში. ძლაინ კარგად გვესმოდა, ასეთ პირობებში რომ ქარბუქი ამოვარდნილიყო, ადამიანებიც და პირუტყვიც ერთიანად დავიღუპებოდით. ძალიან ციოდა, მაგრამ გზამ ისე დაგვღალა, ოფლში ვიწურებოდით. უნდა გვემოძრავა, თორემ ერთ წუთს რომ შევჩერებულიყავით, სახეზე ოფლი შეგვეყინებოდა და ფილტვების ანთებას ვერ გადავრჩებოდით. გათავისუფლებული მარხილი უკან ერთ ვერსზე ძლივს მოგვდევდა და შიგ რომ მჯდარვიყავით, ალბათ სულ ვერ დაიძვროდა ადგილიდან. მაღლა ასვლას ჩემი აზრით, ორმოცდახუთი წუთი მოვანდომეთ. შემდეგ კი გავივაკეთ და ფეხი შევანელეთ, რომ ცოტათი გავგრილებულიყავით. თითქმის სამი ვერსი გვქონდა გავლილი, როცა მარხილი წამოგვეწია. საბედნიეროდ, მკთვარიანი ღამე იყო, თუმცა მთვარე არ ჩანდა ჰაერში დაკიდული თოვლის დიდი მასის გამო, მაგრამ ჩვენამდე მაინც აღწევდა მისი სუსტი, ავადმყოფური, მომაკვდავი შუქი, რომელიც, მაინც საკმარისი იყო, რომ გზა გაგვეგნო. ტყაპუჭებში მაგრად გავეხვიეთ და ისევ მარხილში ჩავსხედით. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ რამდენიმე ვერსიდან ძაღლის ყეფა შემოგვესმა. იგი სოფელი რუისიდან მოდიოდა. მარხილი ნელა მიდიოდა ისე, რომ ამ სამ-ოთხ ვერსს ორმოცდახუთი წუთი მოვუნდით. ჩვენს მეეტლეს გზის აბნევისა ეშინოდა. რადგანაც უკვე ვეღარაფერს ხედავდა. იგი ყოველ წუთში ჩერდებოდა და გზას აკვირდებოდა. საბედნიეროდ, გზას ძაღლ;ის ყეფა გვაჩვენებდა. რაც უფრო ვუახლოვდებოდით სოფელს, მით უფრო ძლიერდებოდა ყეფა

ნახევრად ველური ცხოველების უტყუარმა ალღომ მათ წინასწარ აგრძნობინა ჩვენი მისვლა. ბოლოს გამოჩნდა შავი ხაზები - სოფლის ღობეები, ჩვენ ვაჩქარებდით მეეტლეს, რომელსაც, მართალია, გზის დაკარგა უკვე არარ ეშინოდა, მაგრამ შეიძლებოდა სადმე ხრამში გადავეჩეხეთ. მშვიდობით მივედით. მარხილი შეჩერდა რაღაც სასტუმროს მაგვარ შენობასთან, რომელიც გუშაგივით გადაჭიმულიყო გზის პირათ. მეეტლემ დაიძახა და სახლიდან პატრონი გამოვიდა ხელში ანთებული მგუზალი ეჭირა. საჩქაროდ სახლში შევედით, რადგანაც მიუხედავად ჩვენი ჯუბებისა, საშინლად ვიყავით გათოშილები. ბოდიში უნდა მოვიხადო, რადგანაც სახლი-მეთქი ვთქვი რაღაც ფარდულზე, გომურზე, საკუჭნაოზე რომელიც გარედან შუხედავი, შიგნიდან კი პირდაპირ საძაგელი იყო. შიგნით ანათებდა აგურის ბუხარში მოგიზგიზე დიდი ცეცხლი. ცეცხლის შუქი ციმციმებდა საგნებზე, რომელთა ცნობა ერთი შეხებით შეუძლებელი იყო. ერთ კუთხეში დაეხურათ კამეჩის ტყავები, გამხმარი თევზი. შებოლილი ხორცის ნაჭრები უწესრიგოდ ეკიდა ჭერქვეშ სანთლების შეკრულასთან ერთად. ნახევრად სავსე ტიკები, გამდნარი ქონით პირთამდე მოყვანილი ქოთნები, მეეტლეთა ლოგინად განკუთვნილი დამპალი ჭილობები, გაურეცხავი ჭიქები და კიდევ უამრავი უმსაგავსი და უსახელო საგანი. აი, ასეთ სადგომში უნდა შევსულიყავით, უნდა გაგვევლო ამ ბინძურ იატაკზე, რომელზეც სრულიად ვერ მოქმედებდა ყინვა, გვესუნთქა ამ მყრალიჰაერით, რომელიც გაჟღენთლი იყო უამრავი გულის ამრევი სუნით. უნდა დავმსხდარიყავით ამ თივაზე, უფრო სწორად ამ ფუნაზე, უნდა დაგვეძლია ზიზღი, უნდა უკუგვეგდო გულისამრევი გრძნობა, დაგვეცო ცხვირი, დაგვეხუწა თვალები და ბოლოს, რაღაც ხიფათზე უარესის პირისპირ დავმდგარიყავით. უპირველესყოვლისა ვიკითხეთ, შეიძლებოდა თუ არა ხარების ან ცხენების, შოვნა. მაშინ პატრონი, რომელიც სისხლით დალაქულ ტანისამსში ძალზე წააგავდა ყასაბს, დახლიდან გამოვიდა და რამდენჯერმე ფეხი წაჰკრა იქვე იატაკზე რაღაც მწოლარე უფორმო საგანს. საგანი შეინძრა, დაიწუწუნა და გაყუჩდა. პატრონმა ისე წაჰკრა ფეხი და მაშინ ბნელში გამოიკვეთა ძონძებში გახვეული ადამიანი, რომელიც ფეხზე ადგა თვალები მოიფშნიტა დაქანცული და ნატანჯი ხმ,ით იკითხა, რაგინდათო. სამიკიტნოს პატრონმა, ცხადია, უთხრა, ცხენების შოვნაა საჭიროო. პატარა ბიჭი დახლქვეშ გაძვრა. კართან მივიდა და ცეცხლის შუქზე აღმოჩნდა, ეს იყო ლამაზი ბიჭი, გაფითრებული და ტანჯვისაგან გაძვალტყავებული, განსახიერება ისეთი სიღატაკისა, რომლის შესახებ წარმოდგენაც არა გვაქვს ჩვენს ცივილიზებურ ქვეყნებში, სადაც თუქველმოქმედება არა, პოლიცია მაინც აფარებს თვის წამოსასხამს სიშიშვლეს, როცა იგი მეტისმეტად შემაზრზენი ხდება. ავშვი წუწუნიოთა და კანკალით გავიდა, ეს იყო ცოცხალი ჩივილი.

ამასობაში ცეცხლს მიუახლოვდით და დაუწყეთ ძებნა რაიმე დასაჯდომს, მაფგრამ ამაოდ. გმახსენდა, რომ კართან რაღაც ჯირთს დავეტაკე და გრიგოლსა და მუანეს მოვუხმე. სამივემ ავწიეთ ჯრიკვი, ცეცხლთან მივიტანეთ და ზედ დავსხედით ბიჭი მალე დაბრუნდა, დახლქვეშ შეძვრა, თავის ადგილზე ზღარბივით მოიკუნტა დ დაიძინა. მას ორი კაცი შემოჰყვა. ესენი ცხენების გამქირავებლები იყვნენ. გრიგოლიუ გამოელაპარაკა და მათი პასუხი გადმოგვიტარგმნა. ისინი ოთხთვალაში თხუთმეტ მანეთს თხოულობდნენ. ბოლოს ათ მანეთზე დაგვთანხმდნენ. მაშინ ხუთი მანეთი ბედ მივეცით და დაგვპირდნენ, ორ საათში ოთხთვალას მოვიყვანთო. უკვე ათი საათი იყო. შიმშილი გვაწუხებდა. საუბედუროდ, ჩვენი სანოვაგე ოთხთვალაზე დარჩა. გარშემო უიმედოდ ვიყურებოდუით. ტყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა შემოეტავაზნათ, გულის ამრევი იქნებოდა. მხოლოდ გრიგოლი უწევდა ვაჟკაცურად წინააღმდეგობას ამ ზიზღის გრძნობას.

-ჰკითხეთ მაგ კაცს, კართოფილი თუ აქვს, - ვუთხარი გრიგოლს, - ნაცარში შევწვათ და ვჭამოთ. მაგის მეტს ვერაფერს მივეკარები ამ მყრალ სოროში.

კართოფილი აღმოაჩნდათ.

-მოგვცეს ცოტა, - ვუთხარი გრიგოლს.

გრიგოლმა კაცს ჩვენი თხოვნა გადასცა. იგი ისევ ბავშვს მიუახლოვდა და ფეხი ჰკრა. ბავშვი ზლუქუნით წამოდგა, ისე დახლქვეშ გაძვრა, სიბნელეში გაუჩინარდა, კართოფილით სავსე ფაფახი შემოიტანა, ფეხებთან დაგვიყარა და კვლავ თავის ადგილს დაუბრუნდა. მე კართოფილი ნაცარში ჩავყარე და თვალით დავწყე ადგილის ძებნა, რომ დასაძინებლად მივყრდნობოდი. მუანემ მარხილიდან მოიტანა ძველი ცხვრის ტყავი, ფეხებზე რომ გვეფარა, იატაკზე გაშალა, თავი ჯირყვზე დადო და დაიძინა. გრიგოლიც ერთ მორზე ჩამოჯდა, ზურგი მომადო და ასე ერთმანეთს მიყრდნობილებმა ჩავიძინეთ, არის ერთგვარი მდომარეობა, რაც არ უნდა დაღლილი იყვე, მაინც დიდხანს ვერ დაიძინებ. თხუთმეტ წუთში გამომეღვიძა. მე, როგორც მოგზაურს, ერთი კარგი თვისება მაქვს: ყველა მდგომარეობაში შემიძლია დავიძინო და რაც არ უნდა ცოტა ხანს მეძინოს, მაინც დასვენებულად ვგრძნობ თავს. ნაცრიდან ხანჯლის წვერით ამოვიღე კართოფილი და მარილი მოვითხოვე. კაცმა ბუიჭს წიხლი კრა, ბიჭი ადგა და ღვიძილში კაკლის სისხო მარილის ნაჭერი მომიტანა. ასეთ მარილს ის უპირატესობა მაინც ჰქონდა, რომ შუა გული სუფთა ექნებოდა. მთელ კავკასიაში მარილი ვეებერთელა ლოდებად იყიდებოდა, პირდაპირ ისე, როგორც მაღაროდან ამოაქვთ. მე არ ვიცი, სად მიდის ის ურიცხვი რაოდენობი მარილი, რომელიც მლაშე ტბებიდან ამოაქვთ. გარდა მდიდართა, ოჯახებისა, აქ მე ყველგან ქვამარილს შევხვედრივარ. ოთხი-ხუთი კარტოფილი შევჭამე და მოვიკალი შიმშილი, ბოლოს, ღამის ორ საათზე ეჟვნების წკარუნი შემოგვესმა. მე და გრიგოლმა კარებთან მივირბინეთ. მუანეს ისევ ღრმად ეძინა. ჩვენი დაქირავებული ოთხთვალა მოსულიყო, მეეტლისა და ფოსტის ცხენებისა კი არაფერი ისმოდა. თურმეჩვენს სულელ ტომოთეს მეეტლისთვის ცხენების გამოშვების და წაყვანის უფლება კიეცა, თვითონ კი მარტო დარჩენილიყო. მანამ არ დაღამდა არაფერი უჭირდა, მაგრამ ღამით გაიგონა ღმული, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა. შემდეგ, ბნელში თითქოს ნაპერწკლებმა გაიელვეს. მაშინღა მოვიდა აზრს, რომ სწორედ ძაღლებისა და მგლების დრო იყო. მან იარაღს დაუწყო ძებნა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ სამი თოფი გვქონდა და სამივე თან წავიღეთ. მგლები დიდხანს ვერ ბედავდნენ ოთხთვალასთან მიახლოებას. მათ შინებდა უცნობი ფორმის მასა. ბოლოს ერთმა გაბედა, მიუახლოვდა და ოც ნაბიჯზე ჩაცუცქდა. მაშინ ტიმოთე ოთხთვალას კენწეროზე შეჯდა. ამ მოძრაობაზე მგელი გაიქცა, მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ ხმაური და მოძრაობა შეწყდა, დამშვიდდა და მიუახლოვდა. ახლა ტიმ ოთემ ფაფახი გადაუგდო და კიდევ გააქცია. მაგრამ მგელი შეუპოვარი იყო და ისე მიიტანა იერიში ტომოთეზე. ტიმოთემ არარ იცოდა, რა ესროლა და გადაწყვიტა ჩვენი სამზარეულო მოეხმარა. ჯერ ხუფი ესროლა, მერე ქვაბი, ტაფა, ბოლოს თეფშები. მაგრამ მგელი ისე ბრუნდებოდა და თითქოს თავის მოძმეებსაც იწვევდა: „ხომ ხედავთ, არაფერია საშიში, თქვენც გამომყევითო“. თავიანთი ამხანაგით გამხნევებული მგლებიც უფრო და უფრო მიიწევდნენ წინ. ტიმოთეს კი მხოლოდ ორი სასროლი იარაღიღა ჰქონდა დარჩენილი: მათარა და ჩამჩა. მაგრამ ესენიც რომ ესროლა, აღარაფერი დარჩებოდა და გადაწყვიტა, ერთმანეთისთვის შემოეკრა. ამ ხმაზე მგლები გაიქცნენ, მაგრამ შორიახლოს გაჩერდნენ, თითქოს მხვდნენ, რომ ეს ხმაური იმდენად სახიფათო არ იყო. თხუთმეტი წუთი არ გასულა, რომ მგლები ისე გამოეცხადნენ ტიმოთეს, მაგრამ უფრო მრავალრიცხოვნად და ამჯერად ეტყობოდათ, გადაწყვეტილი ჰქონდათ, საქმე გაეთავებინათ. ტიმოთე მიხვდა რომ თუ სახვა რაიმე საშუალებას არ გამონახავდა, მისი საქმე ცუდად გათავდებოდა. მგლებს შესანიშნავი თვალები აქვთ, მაგრამ მათ ვერ შეამჩნიეს, რომ ტყაპუჭსა და რამდენიმე ფარაჯაში ნამდვილი ჩონჩხი იჯდა, და იერიში გააძლიერეს. მაშინ ტიმოთეს ჩლუნგ გონებაში ერთმა აზრმა გაიელვა. მან მათარა და ჩამჩა მგლებს გადაუგდო, ჯიბიდან კი ერთი ყუთი ასანთი ამოიღო. ასანთს რომ გაჰკრა, სიბნელეს შუქი მოეფინა. მგლებმა ერთი უკან დაიხიეს, მაგრამ მერე ისევ მიუახლოვდნენ. ტიმოთემ ახლა მეორე ასანთს გაჰკრა შემდეგ მესამეს, მეოთხეს. ყოველთვის როცა ამ თამაშს წყვეტდა, მგლები ერთი ნახვით უახლოვდებოდნენ, გაჰკრავდა ასანთს და მგლები შეჩერდებოდნენ. ასე გაგრძელდა ერთ საათს. მეეტლეები რომ მთის წვერზე გამოჩნდნენ, ტიმოთეს ერთი ღერი ასანთიღა ჰქონდა დარჩენილი. პირდაპირ სულზე მიასწრე მეეტლეებმა ტიმოთეს! ეჟვნების წკარუნზე, ცხენების ფეხის ხმაზე და მეეტლეების ყვირილზე მგლები გაიფანტნენ. მეეტლებს ეგონათ რომ ტიმოთე გაყინული დახვდებოდათ, ის კი,

საწყალი, სიმწრის ოფლში ცურავდა. მან კაცებს თავგადასავალი უამბო. შემდეგ დაიწყეს ჩვენი სამზარეულოს საგნების ძებნა და ყველაფერი იპოვეს. ორი შემწვარი წიწილი, რომელზეც იმედებს ვამყარებდი გაქრა. ეჭვგარეშეა რომ ტიმოთე სიჩქარეში ისინი სხვა საგნებთან ერთად მგლებს გადაუგდო. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ზედმეტი იყო ტიმოთეს გაფრთხილება. ნებას ნუ მისცემ მეეტლეებს, ცხენები გამოუშვან და მასთან ერტად წავიდნენო, მაგრამ, როგორც შემდეგში დავინახეთ, თუერმე შევცდით.

თავი XLVI
სურამი

ტიმოთე გადაურჩა მგლებს, საღი და უვნებელი დაგვიბრუნდა, მაგრამ ის ჩვენმა გაგზავნილმა მეეტლეებმა და ცხენებმა მოიყვანეს, ოთხთვალა კი საშინლად დაიმტვრა. მე ვკითხე კაცებს, შემდეგ სადურამდე რამდენად მიგვიყვანთ-მეთქი. რვა მანეთი მოითხოვეს. თუმანი უკვე მიცემული მქონდა, თვრამეტი მანეთი კი, ესე იგი სამოცდათორმეტი ფრანკი მხოლოდ პირველ სადგურამდე მიყვანაში, მეძვირა. ამას გარდა, გორის სადგურის უფროსისთვისაც ოთხი მანეთი მქონდა მიცემული. მეძვირა და უარი ვთქვი. გადავწყვიტე, ტიმოთე იქ დამეტოვებინა თავისი ოთხთვალათი, ვიდრე პირველი სადურიდანვე ცხენებს არ გამოუგზავნიდი. ახლა მასპინძელს უნდა გავსწრებოდი. ჩემს მეგობრებს პირი არაფერისთვის დაუკარებოიათ, მე კი ხუთი კართოფილი შევჭამე. ამაში ხუთი მანეთი მოგვთხოვეს, ესე იგი თითო კართოფილში ოთხი ფრანკი. ეს ბევრად უფრო ძვირი იყო ვიდრე ცეხენები.

-ერთი მანეთი მიეცით, მაგრამ კარტოფილში კი არა, იმაში, რომ ხუთი სააათი გავატარეთ აქ, -ვუთხარი მე გრიგოლს.

პატრონი ჯერ ყოყმანობდა, მაგრამ შემდეგ დაგვთანხმდა ერთმანეთზე. კეთილი კაცი ალმაცერად იყურებოდა და ალბათ, სხვა დროს სხვანაირად გაგვისწორდებოდა, ხელში რომ უიარაღოდ ჩავვარდნოდით. მაგრამ ჩვენ ორ ლულიან თოფებს და ხანჯლებს აგრე ადვილად ვერ მოინელებდა და კრინტიც არ დაუძრავს.

უკვე მარხილში ვისხედით და წასვლას ვაპირებდით რომ ცხენების პატრონებმა გადიფიქრეს და ახლა ხუთ მანეთზე დავიდნენ ვაჭრობის თავი აღარ მქონდა და დავთანხმდი, ოღონდ იმ პირობით, რომ ფულს მაშინ მივცემდით, როცა სადგურზე მიგვიყვანდნენ. ასეთი უნდობლობა, ეტყობოდა, სრულიადაც არ ეწყინათ; ცხენები შეაბეს, გააღვიძეს ცეცხლთან ჩაძინებული ტიმოთე, ოთხთვალაზე დასვეს და გამოუცხადეს, რომ ამ ჯერზე და მომავალშიც ავანგარდში ევლო. ტიმოთეს ამის საწინააღმ,დეგოდ არაფერი უთქვამს. მას მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ჩემი თვალსაზრისით. არ მინდა დანაშაულად ჩაუთვალო ის, რასაც სხვები ალბათ უსაყვედურებდნენ. მეტისმეტად უნდილი იყო ჩვენი ტიმოთე.

დილის ოთხი საათი იყო. გასასვლელი გვქონდა თორმეტი ვერსი. იმდენად გავეჩვიეთ ხიფათესბს, რომ არც კი გვიკითხავს, როგორი იყო გზა. საბედნიეროდ კარგი აღმოჩნდა. დილის შვიდი საათი იქნებოდა სადგურზე რომ მივედით.

-ცხენები არ არის!

წარმოგიდგენიათ, ამის გაგონება დილის შვიდ საათზე, როცა გარშემო ერთი მეტრი თოვლი დევს. მე, ყოველგვარი განმარტების გარეშე, მოვიმარჯვე ჩვენი „პოდოროჟნი“ და თვალის დახამხამებაში ცხენები თითქოს მიწიდან ამოძვრნენ. ათ საათზე უკვე სოფელ სურამში ვიყავით.

-ცხენები!

-არ არის ცხენები.

-ძვირფასო მეგობარო - ყელზე რომელიმე ორდენი ჩამოიკიდეთ, თორემ დანიშნულ ადგილზე ვერასოდეს ვერ მივალთ, - მითხრა მუანემ.

მე გავხსენი ჩემოდანი, სადაც ორდენები მეწყო და ამოვიღე შარლ მესამის ვარსკვლავი, კილოში გავიკეთე და ჩემი თხოვნა გავიმეორე.

-ახლავე, გენერალო! - მიპასუხა ფოსტის უფროსმა.

ნახევარ საათში ცხენები შეგვ იბეს. სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა მარხილი. ერთ მარხილს სახურავზე მოვკარი თვალი, მაგრამ სადგურის უფროსმა დამაჯერებლად მითხრა, კარგი რომ ყოფილიყო, სახურავზე არ ეგდებოდაო. თითქმის ერთ სათში გავიარეთ სოფელი სურამი, რომელსაც როგორც გორს, მშვენიერი ციხის ნანგრევები გადმოჰყურებს, და მივადექით მთისძირს. მხოლოდ ერთ მარხილს გაებედა აქ გავლა. ეს ის ოფიცერი იყო, რომელიც ქუთაისს მიიჩქაროდა დეპეშებით და ჩემი ტყაპუჩი ვათხოვე. მას აქ წინა დილით გაევლო, მაგრამ თოვლს სრულიად დაეფარა მარხილის კვალი. გზას მხოლოდ ცხენის ნაფეხურები აჩნდა. აშკარა იყო, მარხილზე გვიან ცხენოსან ვინმეს გაევლო. ჩვენც ამ კვალს მივყევით. სურამის გადასვლის სიძნელეებზე იმდენი რამ მქონდა გაგონილი, რომ ახლა არამცთუ იოლი სასიამოვნოც კი მეჩვენა. ეს იყო საკმარისად უმნიშვნელო ქანობი, გვერდით არავიტარი ხრამი არ დაჰყვებოდა და მხოლოდ ოთხი ვერსის მანძილზე გრძელდებოდა. ერთი საათი ნამდვილად იოლ აღმართზე ვიარეთ და ავედით მთის წვერზე. მე არ მჯეროდა, თუ ეს იყო სურამის უღელტეხილი.

-მაშ ახლა დაღმართზე ჩავალთ და ამით გათავდება ეს გზა? - ვკითხე მეეტლეს.

-დიახ, ბატონო, - მიპასუხა მან.

მუანეს შევხედე:

-ეს ყოფილა ის ყბადაღებული, ძნელად გადასალახავი სურამი: მომილოცავს ფინოსთვის!

-მოიცათ, ჯერ სადა ხართ!

-ხომ გაიგონეთ, დაღმართიღა დაგვრჩაო.

-დაღმართიც არის და დაღმართიც.

-ეგეც მართალია, არის, მაგალითად, კურტილის დაღმართი.

-ეგეც მართალია, არის, მაგალითად, კურტილის დაღმართი.

-არის ჯოჯოხეთის დაღმართიც.

-ო, ეგ დაღმართი ძნელი არ არის, ვერგილიუსი ამბობს: Fakilis descensns Averni.

თქვენ როგორც გენებოთ, ისე იფიქრეთ, მაგრამ მე მგონია, ფინო მართალი იყო, ვერგილიუსი კი უნდა ცდებოდეს.

-კარგით, ერთი, ნუ ჯიუტობთ, მუანე.

-მოიგონეთ ბატონი მურეი თავისი სამოცი ხარით.

-ე, ჩემო კარგო, ინგლისელების ექსვენტრიულობა თქვენ არ გაგიგონიათ ალბათ, უთხრეს, სურამის უღელტეხილზე ოცდაათი ხარია საჭირო, ოთხსაათში რომ გადახვიდეთ, მან კი ორჯერ მეტი წაიყვანა, რომ ორ საათში გადასულიყო.

პირველი სამი ვერსი თითქოს ჩემს სასარგებლოდ ლაპარაკობდა, მაგრამ შემდეგ მარცხენა მხარეს გამოჩნდა პატარა ხრამი და დაღმართი თანდატან დაქანდა. ხრამი ღრმავდებოდა და ცხენებს ფეხი უსხლტებოდათ. წინ მოჩანდნენ ხის კენწეროები და თითქოს ჩვენ მარხილსმთაზე უნდა გადაეარა. შემდეგ გზამ უცბად მარჯვნივ მოუხვია და დავინახეთ ხევის ფსკერი რომელიც შეუმჩნევლად უფსკურალ გადაიქცა. იქ მიედინებოდა პატარა მდინარე. ერთ-ერთი შენაკადი მდინარე ყვირილასი. ცხადი იყო, დაღმართი მაშინ გათავდებოდა, როცა მდინარეს ერთ დონეზე გაუსწორდებოდით, ის კი ჯერ შორს იყო. ფორეიტორი ძლაინ კარგი გვყავდა, მაგრამ ერთი ცუდი სენი სჭირდა, - ცხენებს შეუბრალებლად ურტყამდა. მის ცხენებსაც ცუდი ზნე სჭირდათ, - დარტყმისას გვერდზე ხტებოდნენ. გამრეკმა თავის ცხენს ყურებ შუა მათრახი მაგრად გადაუჭირა, ცხენი გვერდზე გადახტა და მხედრიანად წელამდე თოვლში აღმოჩნდა. ჭეშმარიტად. რაც არ უნდა თქვას ბ-მა გრამონმა, ღმერთი იმ ფორეიტორებისთვისაც არის, რომლებიც ცხენებს სცემენ. ჯერ მისი თავი გამოჩნდა, შემდეგ მხრები, მერე წელი. ხელში აღვირი ეჭირა. შემდეგ გამოჩნდა ცხენიც. ორივენი უფსკრულის პირას დაეცნენ. „ნიჩევო, ნიჩევო“, - თქვა მან და ცხენს შემოაჯდა.

-უთხარით, გეთაყვა, რომ მაგისთვის ეს შეიძლება არაფერია, ჩვენთვის კი რამეს ნიშნავს, - ვუთხარი გრიგოლს.

მეეტელემ ჩვენ გაფრთხილებას ყურიც რ ათხოვა და უფრო სწრაფად გააქანა ცხენები. მაგრამ ადამიანზე ნაკლებ ჯიუტი იყო. მან ისარგებლა გამოცდილებით. რომელიც არ გამოიყენა ადამიანმა და მიუხედავად ცემისა გვერდზე არ გადახტა. ასეთ სიჩქარეს ერთი კარგი მხარე ჰქონდა,-ზვავი რომ წამოსულიყო, ვერ დაგვეწეოდა. მაგრამ უცნაურად გვეჩვენებოდა, რომ, უფრო ძირს ვეშვებოდით, გზა თითქოს უფრო და უფრო მიწის წიაღის სიღრმეში შედიოდა. თბილისამდე ჩვენი გზა შეუმჩნევლად, მაგრამ სულ მაღლა და მაღლა ადიოდა და როდესაც სურამის უღელტეხილიდან ძიორს დავეშვით, თითქოს ერთიანად ავინაზღაურეთ ის, რაც მანამდე ნაწილ-ნაწილ დავძლიეთ.ორი საათი მოუნდით ჩასვლას, და წინ მხოლოდ ხეების კენწეროებს ვხედავდით. ბოლოს, მდინარის ხმაური შემოგვესმა. ეს იმის ნიშანი იყო,რომ ველს ვუახლოვდებოდით. ჩვენი მარხილი, რომელიც მთელ დაღმართზე თითქოს ვერტიკალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და უმცირეს ბიძგზე წინ გადაყრას გვიქადდა, ახლა გაიმართა და რამდენიმე წუთის განმავლობაში მდინარის პარალელურად მიდიოდა. ძლივს მოვითქვით სული, რომ მოულოდნელად გავარდა ტყვია, რაც ზალიან ჰგავდა ზარბაზანის სროლას.ზღვაზე რომ ვყოფილიყავით, გავიფიქრებდი, რომელიმე ხომალდი თხოულობს შველას-მეთქი. უეცრად რაღაც ტანვარჯიშის დარბაზის მსგავსი შენობა დავინახეთ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ სიცილი შევიკავე. რომელი ეშმაკები, გნომები ან დემონები ერთობოდნენ ამისთანა ადგილას ტანვარჯიშით/ ერთ ბორცვზე რომ გავედით, გამოჩნდა სოფელი, რომელსაც აქამდე ვერ ვხედავდით, სოფელი კი არა, კარებები გამოჩნდა -მეთქი, უნდა მეთქვა, რადგანაც თვით სახლები თოვლში იყვნენ ჩაფლული. ყოველ კართან გაკვალული იყო ბილიკი, რომელიც ქუჩას უერთდებოდა.გულუბრყვილოთ გავიფიქრე, ალბათ სადგურია-მეთქი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს იყო სოფელი წიფა. რომელიც სადგურს ხუთმეტი ვერსიტ იყო დაშორებული. დარმართზე ოთხთვალა ძალიან დაზარალდა.ორჯერ გადაბრუნდა და რაფგანაც მითხრეს, დანატჩენი გზა უარესიაო, მეეტლეებს ვუთხარი, უკან აუჩქარებლად წამოგვყოლოდნენ, ოღონდ კი მეორე დილას დაგვწეოდნენ. ჩვენ წინ წავედით.ამოვარდა ქარი, თოვლი წამოვიდა. არ მჯეროდა, რომ გზის დანარჩენი ნაწილი გავლილზე უარესი ყოფილიყო.და თუ მართლა უარესი გზა დაგვრჩა გასავლელი, გასაკვირი არ იქნებოდა, რომ სადგურამდე სულაც ვერ მიგვეღწია. გზა

განვაგრძეთ. მდინარეს თითქმის მთელი ხეობა ჰქონდა დაკავებული. ერთი მარხილის სიგანეზე გზა კი მას მოგზაურთათვის დაეტოვებინა, რომელნიც, რასაკვირველია, სისწრაფეში მდინარეს ვერ შეედრებოდნენ. ეს კიდევ არაფერი, თუ შესაძლებელი ყოფილიყო გზის გვერდით გადასვლა, მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ მეორე მხარე გზას კლდოვანი ჰქონდა და ამის შედეგად აქლემის კუზივით სულ აღმა-დაღმა მიდიოდა. ახლა ამას მიუმატეთ მთიდან გადმოსული ჩანჩქერები, რომლებიც მდინარეს უერთდებოდნენ.ისინი გზას კვეთდნენ თოვლქვეშ სა ზემოდან არ ჩანდნენ.მე ნინდა დაახლოებით მაინც წარმოგიდგინოთის საშინელი გზა, რომლითაც ჩვენ ღამით მივდიოდით. ისეთი ქარი ქროდა, რომ კამეჩისთვის რქა შეეძლო მოეტეხა. თოვლი გვიშლიდა, ათ ნაბიჯზე რამე გაგვერჩია.როცა წყალზე გადებულ ბოგირებზე გადავდიოდით. თოვლი ღრმავდებოდა და მარხილი ღრანტეში ვარდებოდა. მაშინ ცხენებს დიდი ძალვა სჭიროდათ, რომ მარხილი ამოეთრიათ. მარხილი ვერტიკალურად დგებოდა, ჩვენ კი ისე ოსტსტურად ვებღაუჭებოდით ბარგს, რომ ყველაზე დახელოვნებული ეკვილიბრისტებიც კი შეგვნატრებდნენ. ერთი აღმართი რომ ნახევარზე გავლილი გვქონდა, ჯარისაცებს შევხვდით, რომლებმაც ჩვენს მეეტლეებს რაღაც უთხრეს.

-ეს ჯარისკაცები ამბობენ, იქით გავლა აღარ შეიძლებაო.

-რატომ არ შეიძლება გავლა?

ჩვენ რომ სროლა გავიგონეთ, თოფის ხმა კი არა, აფეთქების ხმა ყოფილა. გზას აფართოვებენ.

-თუ გზა გააფართოვეს, მაშ, ადვილად გავივლით.

-ვერ გავივლით. გზის გაწმენდა არ ხერხდება, რადგანაც ზემოთ დიდი ქარია.

-თქვენ რაღას ფიქრობთ?-ვკითხე ჩემს თანამგზავრებს.

-სჯოპბია სოფელში დავბრუნდეთ და შევიცადოთ, სანამ გზა დაიწმინდება.

გარემოს თვალი მოვავლე.

-უთხარით მეეტლეებს, რომ თანახმა ვარ დავბრუნდე, თუ შემობრუნებას მოახერხებენ.

მაგრამ, მოხდა ის, რასაც მოველოდი, გზა ისეთი ვიწრო და კლდიანი იყო, რომ ცხენები უკან ვერ შემობრუნდებოდნენ.

-აი, ხომ ხედავთ, წინ წასვლის მეტიმ არაფერი დაგვრჩენია,-ვუთხარი გრიგოლს,-მაშ ასე, „პაშოლ! პაშოლ!“

ძალაუნებურად გავნაგრძეთ გზა. ისე ნელა მივდიოდით, რომ ჩვენთან ერთდროულად წიფიდან გამოსული ორი მთიელი მხედარი დაგვეწია და ახლა ჩვენს მარხილს უკან მოსდევდნენ.აღმართზე რომ ავედით, წინ კლდის ჩამონაქცევი გადაგვეღობა. იმ ადგილზე გზა ხევისკენ იყო დაქანებული. დღე და კარგი ამინდი რომ ყოფილიყო, ფეხის დასადგმელს დავინახავდით, მაგრამ, ღამით, იმ საშინელ ქარბუქში, სახეში თოვლი გვცემდა და თავბრუ გვეხვეოდა. უკან რომ მთიელები მოგვდევდნენგზის გასაწმედად იყვნენ გამოგზავნილები, ხელში წერაქვები ეჭირათ.

-მაგ ბიჭებს ჰკითხეთ, ხომ არ შეუძლიათ გზა გაგვიკლვლიაონ- მიუბრუნდი გრგოლს.

მთიელებმა გრიგოლს დასტური მისცეს და მაშინვე საქმეს შეუდგნენ. მე ფეხის წვერებზე წამოვიწიე. ჩაქცეულ კლდეს ათი მეტრის სიგანეზე დაეჭირა გზა.

-ესენი ხვალამდის ვერ გაათავებენ, - ვუთხარი მუანეს, ფეხით გადავიდეთ, ცარიელი მარხილი კი როგორმე გამოივლის.

დაბრკოლებები გადავალახეთ. ხის ფესვებს ვებღაუჭებოდით, რომ ხევში არ გადავცვენილიყავით და ქარბუქს არ გავეტაცნეთ. მას კი თითქოს სანაძლეო ჰქონდა დადებული, გვიძალიანდებოდა. თუ სანაძლეო ჰქონდა, წააგო - გზას გადავედით. ახლა მარხილი უნდა გადმოსულიყო. მთიელები მარხილს ხევის მოწინააღმდეგე მხარეს მიაწვნენ და გადმოიყვანეს.

-რამდენი ვერსი დარჩა კიდევ? - ვკითხე მეეტლეს.

-ათი.

-არა, ჩემ,ო კარგო მუანევ, მარხილში თუ გინდათ, თქვენ ჩაჯექიოთ, მე კი ფეხით ვივლი.

-მე ვერ ვივლი, ძალიან დაღლილი ვარ.

-ჰოდა, ჩაჯექით, მწე კი ფეხეით წავალ. არხეინად იყავით, ვერ გამასწრებთ.

მუანე მარხილში ჩაჯდა, მაგრამ ათი ნაბიჯიც არ გაევლო, რომ ზამბარიანი ეშმაკივით ამოხტა მარხილიდან. თვალი ვეღარ მოვკარი, ერთმა ბიძგმა ის კატაპულტივით ამოისროლა მარხილიდან და ოთხ ფეხზე რუში ჩააგდო. ჯერ ლანძღვა შემომესმა მისი, მერე სიცილი და მეც დავმშვიდდი.

-ჰა, კიდევ ჩაჯდებით მარხილში?

-არა, გმადლობ, საკამარია. ახლა ფეხით გამოვივლი.

ყოველ ნაბიჯზე თოვლში ვიფლობოდით. ორი ვერსი რომ გავიარეთ, მუანე ისე მარხილში ჩაჯდა. მე გრიგოლს ხელი გავუყარე და ერთმანეთზე გადაყრდნობილებმა მტკიცედ განვაგრძეთ გზა. ასე გვეგონა, თითქოს ოთხი ფეხი გვქონდა.

-გრიგოლს აგვუყარეთ მკლავი, - ვუთხარი მუანეს, - მე ერთ მუშას ჩამოვეკიდები. მერე მეორე მუშა მარხილს მიხედავს.

ასე მოვეწყეთ და გავწიეთ წინ.

-რას იტყვით ვერგილიუსზე? - მკითხა მუანემ.

-რასაც ჟანტილი რასინზე ამბობდა, - ავყია კაცია.

-ღმერთო ჩემო, ეს რა არის? - წამოიძახა შეშფოთებულმა მუანემ.

შევდექით: ჩვენ წინ გაიღო უზარმაზარი თაღი, რომელიც წყალს ანთხევდა და ხმაურზე ეტყობოდა, საკმარისად დიდი რაოდენობით მთებში დაღებულ ამ ბუმბერაზულ ხახას ისეთი საზარელი შესახედაობა ჰქონდა, რომ შევჩერდით და ერთმანეთს ვკითხეთ, წინ წავსულიყავით, თუ არა. საბედნიეროდ, ჩვენი მთიელები იმ ადგილს კარგად იცნობდნენ და დაგვამშვიდეს. ერთმა მათგანმა პირველმა გაიარა და მაგალითი გვაჩვენა. ფეხი მხოლოდ მუხლამდე დაგვისველდა. მარხილს უფრო გაუჭირდა გადმოსვლა ამ ერთგვარი არხის დამრეცი ფერდების გამო, მაგრამ მაინც გადმოვიდა. იქიდან გზა დაღმართით წავიდა და ისევ მდინარის დონეზე

აღმოვჩნდით. კიდევ ექვსი ვერსი გვქონდა გასავლელი. დაღლილობისაგან ერთიანად ქანცგაწყვეტილი ვიყავით. ფეხი გაგვეყინა, შუბლზე კი ხვითქი გვდიოდა ქარი გაძლიერდა, თოვლი სქლად ბარდნიდა. სადგურზე რაც შეიძლება ჩქარა უნდა მივსულიყავით. ამ ვიწრო ხეობაში რომ ქარბუქს მოეწრო თავს ვერ გავახწევდით. მე ჩვენებს ისევ მარხილში ჩაჯდომა შევთავაზე. ტყაპუჭებში გავეხვიეთ და ჩვენი ადგილები დავიკავეთ. მთიელებს სწრაფ სიარულში ვშველოდით, ისინი გვეხმარებოდნენ, რომ არ დავბრუინებულიყავით. თვალი დავხუჭე და ბედი შრმთხვევას მივანდე. ვიტყოდი, განგებას მივანდე-მეთქი, ჩემს თავს რომ ისეთი მნიშვნელოვან გვამად ვთვლიდე, რომლის ბედიც განგებას აინტერესებდეს. დრო და დრო თვალს ვახელდი, მაგრამ მაინც ვერაფერს ვხედავდი, გარდა ფართო თეთრი სუდარისა, რომელსაც ქარი თითქოს ჩვენ წინ ბერტყავდა, და მდინარისა, რომელიც ჩვენგან ორიოდე ნაბიჯზე ღრიალებდა. ბოლოს მომეჩვენა, თითქოს შუქი შევნიშნე.

-სადგურია? - ვიკითხე.

-არა, ეს სოფელი მოლითია.

-სადგური სადღაა?

-სამი ვერსის მოშორებით.

იმ ღამეს ყველაფერი ფანტასტიკურად მეჩვენებოდა, მანძილებიც კი. შუადღისას გამოვედით, სამ საათში მთა ავიარეთ, ხუთი საათი დაღმართზე მოვდიოდით და გვეგონა, საათში ოთხ ლიეს ვფარავდით. მაგრამ მაინც ვერ გავიარეთ ოცდაათი ვერსი, ესე იგი შვიდნახევარი ლიე. იმ შუქზე გავემართეთ, რომელიც პატარა სასტუმროდან გამოდიოდა. დაღლილობისაგან დაწყვეტილები ვიყავით, შიმშილისაგან თავბრუ გვესხმოდა. ვიშოვეთ პური და რაღაც შაშხი, რომელსაც სხვა პირობებში არ მივეკარებოდით, მაგრამ ახლა ძალიან გემრიელი გვეჩვენა. მთიელებმაც რა საკვირველია, გაინაწილეს ჩვენი სუფრა. ეს ყველაფერი დავასველეთ რამდენიმე ჭიქა მსუბუქი მეგრული ღვინით რომელიც დაუსრულებლად შეგიძლიათ სვათ. შემდეგ ისევ მარხილში ჩავსხედით. მე ვიკითხე როგორია გზა სოფლიდან სადგურამდე- მეთქი.

-უკეთესი რომ არ შეიძლება! - მიპასუხა სასტუმროს პატრონმა.

ამით დამშვიდებულებმა გზა განვაგრძეთ. ასი ნაბიჯი რომ გავიარეთ, ორი ჩვენგანი თოვლში აღმოჩნდა, ერთიც-წყალში. ამ ჯერზე გადავწყვიტეთ, დანარჩენი გზა ფეხით გაგვევლო. ამ საშინელ ქარბუქში ძლივს მივედით სადგურში. კიდევ ერთი ვერსი რომ გვქონოდა გასავლელი, ღმის გასათევს ვერ მივახწევდით. მთელი მთა თითქოს მიწისძვრისგან ირყეოდა. ორი საათის შემდეგ ტიმოთეს გამოგზავნილი კაცი მოვიდა და გვითხრა, ოთხთვალას მთაზე გადმოსვლაზე ფიქრიც კი არ შეიძლება და თუ ტიმოთეს და თქვენი ბარგის ნახვა კიდევ გინდათ, უნდა მარხილი და ხარები გაუგზავნოთო. ტიმოთეს მაინცდამაინც არ ვეჭიდებოდი, თუმცა მას საკმარისად ვაფასებდი, როგორც იშვიათ ქმნილებას, მაგრამ ბარგის დარდი კი მქონდა. ამიტომ ტიმოთეს შევუთვალე, მანდ წყნარად იჯექი, ხვალ საშველად კაცებს გამოგიგზავნი-მეთქი.

თავი XLVII
მოლითი

ბარგი მარხილიდან სადგურის დარბაზში გადვიტანეთ. დაღლილობისაგან ილაჯგაწყვეტილ მუანესა და გრიგოლს იმის თავიც აღარ ჰქონდათ, ჯუბები მერხზე გაეშალათ და ისე დაწოლილიყვნენ. პირდაპირ ბარგზე დაეყარნენ და ძილს მისცეს თავი. მე აშკარად მათზე უკეთესად ვ ებრძოდი დაღლილობას. როგორღაც მაინც მოვახერხე ლოგინის გაშლა და დაწოლა. მთელი რამე ისე ანჯღრევდა ქარი სადგურის შენობას, თითქოს მოგლეჯა უნდოდა,

მიუხედავად იმისა, რომ საკმარისად მტკიცე ნაგები იყო. ორჯერ ავდექი და კართან მივედი. გადაუღებლად თოვდა.

გათენდა, თუ შეიძლება ამას გათენება ვუწოდოთ. მე ერთი ფხიანი კაზაკი მოვითხოვე, მანეთი ვაჩუქე და დავითანხმე წასულიყო სოფელში, სადაც წინადღით ვივახშმეთ, რომ ცხენები ან ხარები დაექირავებინა. და წიფაში გაეგზავნა.კაზაკი დიდის გულმოდგინებით გამოცხადდა: ამ გულმოდგინებას მათში მუდამ მანეთის მოგების სურვილი იწვევს ხოლმე. მაგრამ ის ერთი საათის შემდეგ უკან დაბრუნდა, რადგანაც ქარმა ერთი ნაბიჯიც ვერ გადაადგმევინა. სამი საათი იქნებოდა, რომ ახლა გრიგოლი შეჯდა ცხენზე. ქარიშხალი ოდნავ დამცხრალიყო. მან მიღწია სოფელს და ინახულა მამასახლისი, რომელიც დაჰპიდებოდა, როგორც შესაძლებელი გახდებება, მარხილსა და ხარებს გამოგიგზავნითო. დაპირების მოლოდინში დაღამდა კიდეც. ასე, ოთხ საათზე მარხილით ჩამოვიდა ერთი იმერელი, რომელსაც თან ორი მსახური ახლდა, როგორც ყველა თვადშვილს, რაოდენ ღაიბიც არ უნდა იყოს იგი. იშვიათად თუ შემხვედრია ასეთი ლამაზი კაცი. თავზე თეთრი ყაბალახი ეკეთა, გრძელსახელოიან ქართულ ჩოხაში ახალუხქვეშ ბეშმეთი მოუჩანდა, თათრულ სარტყელზე ხმალი, ხანჯალი და დამბაჩა ეკიდა, მუხლებზე მომდგარი ლეკური მაუდის ფართო შარვალი წაღებში ჰქონდა ჩატანებული. ეს კაცი გორიდან მოდიოდა და ორი ამბავი გვაცნობა: ფოსტის შიკრიკი, რომელსაც ჩემი გასაღები მოჰქონდა, უკვე გორში ჩამოსულიყო, მაგრამ ლიახვზე გადმოსვლა ვერ გაებედნა. მეორეც ის, რომ სამ ფარაჯაში და ტყაპუჭში გახვეული, მოგიზგიზე ცეცხლთან მჯდარი ტიმოთე თურმე მოთმინებით გვიცდიდა დაპირებული დახმარების მოლოდინში. მას თან აღარც ცხენები ჰყავდა, აღარც მეეტლე. სურამიდან გამოყოლილმა მეეტლემ რა დაინახა ის ცეცხლთან თბილად მოკლათებული, მიატოვა, მალე აღარ დავჭირდებიო. მეეტლის წასვლაზე უენო ტიმოთეს კრინტი არ დაეძრა. იმერელს ორჯერ ვაამბობინე ფოსტალიონის ამბავი. ის თურმე ვერ ბედავდა მდინარეზე გადმოსვლას, ჩვეულებრივი მგზავრები კი, ვისაც სრულიად არ აჩქარებდა სამსახურებრივი მოვალეობა, გაჭირვებით გადმოსულიყვნენ, მაგრამ ხიფათი არაფერი შემთხვეოდათ. ასეთ რამეს მხოოდ რუსეთში შევხვდებით. თქვენ იკითხეთ, როდის მივა დანიშნულების ადგილას წერილები? იმ წერილებს პატრონები მაშინ მიიღებენ, როცა ფოსტალიონს შიში გადაუვლის.

ამჯერზე სამზარეულო თან გვქონდა. ჩვენი ნაცნობი იმერელი ვახშამზე მოვიპატიჟეთ, მაგრამ მარხვის დღე იყო და უარი გვითხრა. თვითონ ცოტაოდენი მარილი თევზი ჰქონდა და ისე ძმურად შემოგვთავაზა, რომ უარი ვერ უთხარით. უცნაური ზმიერება ახასიათებს ამ გაკოტრებულ მემამულეებს. თითქმის ყველანი მაღალ წოდებას უკეთვნიან, და მათ შეხვდებით გზაზე ცხენით მიმავალთ, მახრზე შავადნით. ისისნი ჩონგურზე უკრავენ და ზანტად დაღიღინებენ სევდიან სიმღერას, უკან მოსდევთ ტავით ფეხებამდე ოქრო-ვერცხლსა და საუცხოო იარაღში ჩამჯდარი ორი მსახური, ერთ მსახურს კალათში რამდენმე მარილიანი თევზი უწყვია სამრხო დღეებისთვის, მეორეს-ქთამი, სახსნილო დღეებისთვის. ისინი ჩერდებიან ფოსტის სადგურზე და თხოულობენ ჩაის, - რაც აუცილებელი სასმელია. შემდეგ სამივენი ნახევარ თევზს შეჭამენ ან ნახევარ ქათამს, ზედ დააყოლებენ ღვინოს, და მეორე დღემდე ეს არის მათი საჭმელი. აგერ, დანიშნულების ადილზეც მოვიდნენ. ორ დღეში ოცდაათი-ორმოცი ლიე გაიარეს და ორმოცდაათი კაპიკის მეტი არ დაუხარჯავთ.

ჩვენ ნაცნობ იმერელს არ ჰყვდა შავარდენი, მაგრამ მას ჰქნდა ჩონგური. საღამოზე, ნასადილევს საკრავის ხმა შემოგვესმა და მის ოთხაში შევედით, ვითომ და თევზისთვის მადლობის სათქმელად. იმერელი ოთახის ერთ კუთხეში თურქულ ყაიდაზე ფეხრმორთხმით იჯდა. იქვე წამოწოლილი მისი მსახურები უსმენდნენ. უნდა გავიმეორო, რომ ჩესმ სიცოცხლეში არ მინახავს უფრო ლამაზი, მომზიდველი და პოეტური სცენა. ჩვენ შესვლაზე მასპინძელმა ადგომა დააპირა, მაგრამ ნება არ მივეცით. უნდოდა ჩონგური გადაედო, მაგარმ არც ეს დავანებეთ. პირიქით, ვთხოვეთ დაეკრა და ემღერა, და მანაც შეგვისრულა თხოვნა. ყველა აქაური სიმღერები წარმოადგენენ უბრალო გრძელ და სევდიან მოდულირებას, მაგარმ მათ

შეიძლება საათების განმავლობაში უსმინო და არ მოგწყინდეს. ეს ჰანგები ნანას გიმღერიან, მაგრამ როდი გაძინებენ, მხოლოდ ოცნბაში გხვევენ.

დამავიწყდა მეთქვა, რომ წიფის შემდეგ ჩვენ უკვე იმერეთში ვიყავით. თუმცა იმერეთიც საქართველოა, მაგარმ მისი ენა თითქმის ისევე განსხვავდება ქართული ენისაგან, როგორც, მაგალითად, ჩემი პროანსული განსხვავდება ფრანგული ენისაგან. ძველად იმერეთი კოლხეთის ნაწილი იყო, რომლის ისტორია ხანდახან რომაელთა ისტორიას ერეოდა, ხანადახან სპარსეთა ისტორიას, და თითქმის ყოველთვის ქართველთა ისტორია. შემდეგ იმერეთი კოხეთს მოაცილეს, რათა მიეერთებინათ აკბართა სამეფოსთვის ეს იყო საუფლისწულო მამულები, რაც უფლებით საქართველოს ტახტის მემკვიდრეს ეკუთვნოდა, ისევე როგოც გალიის საჰერცოგო უფლებით უკეთვნის ინგლისის ტახტის მემკვიდრეს. მაგრამ 1240 წლიდან იმერეთი დამოუკიდებელი პროვინცია გახდა და მას თავი მთავრები ჰყვდა. უკანასკნელი იყო სოლომონ მეორე, რომელიც 1819 წელს ტრაპიზონში გარდაიცვლა. იმერეთის გარდა კოლხეთში შედიოდა კიდევ ორუი დამოუკიდებელი სამთავრო: გურია და სამეგრელო. ჩვენი მოგზაურობის დროს პირველს ერთ კუთხეში გადავჭრით, მეორეს კი შუაზე გადავკეთთ. ევროპაში წარმოდგენაც არა აქვთ კოლხეთის ხალხთა სილამაზეზე. განსაკუთრებით ლამაზი ტანადობა და სიარული აქვთ მამაკაცებს. სულ უბრალო მ,სახურსაც კი თვადიშვილის იერი აქვს. იმერეთში ფაფახს ვერსად შეხვდებით, აქ თავზე ყაბალხს ატარებენ. დღეს იმერლები, გურულები და მეგრელები უფრო თურქები არიან, ვიდრე რუსები, მაგრამ თურქები მათთან გამუდმებით ომობენ დღე არ გავ, რომ ლაზები საზღვარზე არ გადმოვიდენენ დ არ მოიტაცონ ქალი ან ბავშვი ტრაპიზობნში გასაწიდად. რამდენიმე თვის წინათ მათ მთელი ოჯახი მოიტაცეს. გურულები ძლაინ გულადი ხალხია და მთელი სოფელი დაედევნა მტაცებლებს. ლაზებმა ტყვეებს პირი შეუკრეს, რომ არ ეყვირათ. ერთი პატარა გოგო დაიხრჩო, მეორემ კი მოახერხა შეკრული პირის გახსნა, მაგრამ წყალშიგადააგდეს. ამ უკანასკნელ ხანებში ბათუმის კონსულმა, რომლის უმნთავრეს მოვალეობას შეადგენს ხელი შეუშალოს ტყვეებით ვაჭრობას, ტყვეობიდან გაათავისუფლა დედა-შვილი, რომლებიც ერთად მოიტაცეს, მაგრამ ცალ-ცალკე გაყიდეს. როცა ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, აღმოჩნდა, რომ ერთმანეთის ენა აღარ ემოდათ. სრულიად საწინააღმდეგოდ ამისა ჩერქეზი ქალები, რომელთაც თვაინთ სახლებში მძიმე ცხოვრება აქვთ, გაყიდვას დიდ ბედნიერებად თვლიან. ქართლელი, იმერელი, გურული და მეგრელი ქალები ამის გაგონებაზე თრთიან, თავს იცავენ, იბრძვიან, რომ ტყვედ არ მოხვდნენ. მაგრამ ეს ქალები ისეთი ლამაზები არიან, რომ ხშირად ფაშები და მდიდარი თურქები მათ ყიდულობენ და სიკვდილამდე მდიდრულად აცხოვრებენ.

კაცებს აცვიათ ქართული ან ჩერქეზული ტანისამოსი. თავზე მათ წოწოვა ქართული ან მრგვალი ჩერქეზული ფაფახის მაგივრად უკეთიათ ყაბალახი, როგორც ჩვენ ნაცნობ იმერელ ლუკას, ანდა პატარა ლამაზი არახჩინი, ჩვენი პრონდის ფორმისა, ოღონდ უფრო მოზრდილი. მდაბიო ხალხს ახურავს შავი ერის ქუდი, შემოკერებული მწვანე ან წითელი სირვით. თავადებსა და საერთოდ მდიდარ მემამულეებს თეთრი, წითელი ან ცისფერი ოქრომკედით ნაქარგი ასეთი ქუდებიც ახურავთ. მე ორი ამისთანა ქუდი მაქვს: ერთი მაჩუქა სამეგრელს მთვრის ვაჟმა, ათი წლის მშვენიერმა ბიჭუნამ, თავადმა ნიკომ,. მეორე კი თავადმა სოლომონ-ინგერაძემ, რომლის შესახებ მალე კიდევ მექნება ლაპარაკი.

ყველა ეს ბუნებით მეომარი ხალხი გამუდმებით ხიფათში იმყოფებიან, ამიტომ სიცოცხლეს ააფრად აგდენებნ და მუდამ მზად არიან საბრძოლველად. ოდესღაც ისინი ბუკის პირველივე დაყვირებაზე იარაღით იკრიბებოდნენ, თუმცა ხშირად არცკი იცოდნენ, რისთვის იბრძოდნენ, ან რისთვის იხოცებოდნენ უცნობი მტრის ხელით. ბუკი არის რქისაგან გაკეთებული დიდი საყვირია. მე მას გულდასმით ვეძებდი და ვიშოვე კიდეც ორი ცალი. ბუკის ხმა ერთ ლიეზე შორს გაისმის, როცა მაში ძლიერი მკერდი უბერავს. საღამო სასიამოვნიოდ გავატარეთ: ჩვენი იმერელი უდარდელად უკრავდა და მღეროდა, მე ვუსმენდი, მუანე კი მის პორტრეტს ხატავდა.

ღამით ქარბუქი ჩადგა და ცა მოიწმინდა. ამ ცვლილებამ მოიტანა პატარა ყინვა, ასე 15 გრადუსამდე და გზა ცოტათი გამოასწორა. მეორე დილას, რაკი დავინახეთ, რომ მიუხედავათ სოფლის თვის დაპირებისა, არავინ ჩანდა, გრიგოლი ცხენზე შეჯდა და გადაწყვიტა, თუ საჭირო იქნებოდა, წიფამდის ეარა. ამასობაში ჩვენ ძვირფას დროს ვკრგავდით გემი 21-ში მიდიოდა, ჩვენ კი ისევ 11-ში გამოსულებს, 17-ში ჯერ ნახევარი გზაც არ გვქონდა გავლილი. ექვს დღეში 35 ლიე გავიარეთ, ეს კი დღეში ექვს ლიემდე გამოდიოდა. შუადღისას დაბრუნდა გრიგოლი. წიფაში ჩასულიყო, სადაც ჭიშკართან ოთხთვალა ენახა, ტიმოთე კი- ცეცხლთან მჯდომარე. მას სამ მანეთად დაექირავებინა მარხილი, ოთხი ხარიო და მათზე შემჯდარი ტიმოთე ისე გამოგვეცხადა, როგორც მცონარა ხელმწიფე. გრიგოლის მისვლით კმაყოფილი იყო თუ უკმაყოფილო, ვერაფერი შევატყვეთ. თვითონ ალბათ, ადგილიდანაც არ დაიძვროდა, რომ არ წამოეთრიათ. რა მომხიბლავი იდიოტი იყო ის ტიმოთე და როგორ ვნანობ ახლა, რომ მუანეს მისი პორტრეტი არ ჩავახატინე! ახლა ჩვენს განკარგულებაში იყო სამი მარხილი და მე გადავწყვიტე ამით მესარგებლა. ესეც არ იყოს, ჩემი ნაცნობი იმერელი გვინდოდა რამით გვესიამოვნებინა და ვინაიდან სადგურის უფროსმა გადჭრით უარი უთხრა ცხენებზე, გადავწყვიტე თავისი ორი მსახურით თან წმეუყვანა. სადგურის უფროსი ხმას არ იღებდა, მანამ ჩვენი განზრახვა არ გაიგო. მაგრამ როგორც მიხვდა, რომ ლუკა თანამგზავრად გავიხადეთ, გამოაცხადა, მარხილი უმისოდაც ძალიან დატვირთულია და ასე წასვლა არ შეიძლებაო. მე გავჯიუტდი, ვინაიდან ჩვენ ორი მარხილით მოვედით და მხოლოდ სამი კაცი მოგვემატა, ხოლო დედამიწის ზურგზე, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა მოვხვდეთ, თუნდაც ეს იმერეთი იყოს, სამ ცხენს სამი კაცის წაყვანა თავისუფლად შეუძლია. ფოსტის უფროსის საუბედუროდ, მე მას თავაზიანად ველაპარაკებოდი, ხოლო თავაზიანობა ცუდი ჩვეულებაა და ხშირად მაიძულა მეეტლებისთვის მათრახი მომეღერა. ტლანქი ადამიანები სხვის თვაზიანობას მის სისუსტეთ თვლიან, მოლითის სადგურის უფროსიც ასე ცდებოდა. მან ხელი გასწია, რომ ჩვენი მეეტლისათვის აღვირი გამოერთმია, მაგრამ ჯერ ხელით არ შეხებოდა, რომ მაგარმა, ოცი წლის წინათ ლეკურთა ნასწავლმა კრივმა, რომელიც მას შემ,დეგ მუდამ კარგად მემსახურებოდა, თოვლში გააგორა იგი. სადურის უფროსი წამოდგა და სახლში შევიდა. რათა თავისთვის სასაყვედურო არაფერი ქონოდა, თავლაში შევედი, სამი ცხენი გამოვიყვანე და თითო მარხილში თითი შევაბმევინე. ცხენებში ფულის გადახდა ლუკამ მოისურვა და თვითონ მიუტანა სადგურის უფროსს, რომელიც მას ძალზე მოთვინიერებული დახვდა. ლუკა რომ მობრუნდა, დავიძარით. მე, რასაკვირველია, ისევ აღელვებული ვიყავი, მარხილი რომ დაიძრა, წონასწორობიოს დასაცავად უკან გადავიზნიქე და თოვლში გადავარდი. მეეტლემ კი გზა ისე განაგრძო, რომ არც შეუმჩნევია რომ უკან მომიტოვა. საბედნიეროდ, ლუკამ , რომელიც ჩემ გვერდით იჯდა და ჩემივე ბედი ეწვოდა, ბარგის თოკს რომ არ შეეჩერებინა, მეეტლე გააჩერა. მარხილს დავეწიე, ჩავჯექი და გზა განვაგრძეთ.

წინ მიდიოდნენ მუანე და გრიგოლი, მერე მე და ლუკა, ჩვენ უკან კი ტიმოთე და ორი მსახური. ჩემი მეეტლე ყოველ წუთში უკან ტრიალებდა და ტიმოთეს მეეტლეს უყურებდა. მე ვიკითხე, რა ცნობისმოყვარეობა ამოძრავებს ისეთი, რაც ჩემ საკუღთარ უშიშროებას ემუქრება-მეთქი. ლუკამ ამიხსნა: ჯავრი აქვს თავისი უმცროსი ძმისა, რომელსაც პირველად მიჰყვას ცხენებიო, ეს განმარტება არ იყო დამამშვიდებელი ტიმოთესა და მისი ორი ამცანაგისთვის. დრო ცუდათ იყო შერჩეული და გზაც საშიში იყო იმისთვის, რომ მეეტლეობაში ევარჯიშნათ. მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო რამ: ჩვენმა მეეტლემ იმდენი იყურა თავისი ძმის გულშემატკივრობით, რომ გზას ასცდა და გადაგვაბრუნა. მე კი, გულაჩუყებულმა იმ კეთილი გრძნობით, რამაც ის ამ მარცხამდე მიიყვან, შევნიშნე, მეც შენი ძმა ვარ, თუმცა ნაკლებად უფრო ახლობელუი, ვიდრე ის, რომელზეც არე ზრუნავ, მაგრამ რაკი ფული მოგეცი, რომ სადგურზე სახსალამათი მიგვიყვანო, ვალდებული ხარ, ეს ზრუნვა ორივეს ერთნაიორად გაგვინაწილო-მეთქი. მან ბოდიში მოიხადა, ისე მიყვარს ძმა, რომ თავს ვერ ვიკავებ, არ მივტრიალდ და არ გავფრთხილოო. სიფრთხილემ შედეგი გამოიღო, ძმა გადარჩა, სამაგიეროდ ჩვენი მარხილი გადაბრუნდა.

განვაგრძეთ გზა. ჩვენი მეეტლე დანტეს იმ მოწმეებს ჰგავდა, რომელთაც სატანამ კისერი მოუგრიხა, რის შედეგადაც თავები ქუსლებისკენა აქვთ მიამრთული. ოღონდ ეაა, რომ დანტეს აზრად არ ჰქონია მეეტლეებად ექცია ეს საუკუნო წამებას მისჯილნი როცა ამას ვფიქრობდი, ჩვენმა მეეტლე კიდევ შენიშნა რარაც საფრთხე, თავი უკან მიაბრუნა ძმის გასაფრთხილებლად და მე და ლუკა ერთხელ კიდევ თოვლში გვისროლა. მაშინ მეეტლეს მიუახლოვდი, ცხენი გავაჩერე, გრიგოლი მოვიხმე და ვთხოვე ამ მეტისმეტად კეთილი ძმისთვის ჩემი მიმართვა სიტყვა-სიტყვით გადაეთარგმნა. სიტყვა ძალზე მოკლე და გამომსახველი იყო:

-გაფრთხილებ, თუ კიდევ უკან მიბრუნდი, შოლტს გადაგიჭერ სახეზე!

და რატა მას არ წარმოედგინა, რომ განზრახვის შესრულებას ვერ მოვახერხებდი, შოლტი მოვუღერე. ყველაფერი დაიფიცა, უფსკრულის პიზეც რომ მივიდეთ, უკან აღარ მივიხედავო. მაგრამ ერთი ვერსიც არ გვქონდა გავლილი, რომ კიდევ მოტრიალდა და მეცა და ლუკამაც ორივემ მიწაზე მოვადინეთ ზღათანი. გაშმაგებული წამოვვარდი, თუმცა არაფერი დამშავებია. ეს კვე ცუდ ხუმრობას ჰგავდა და საშინლად მაღიზიანებდა. ამიტომ სისრულეში მოვიტანე დაპირებული ღონისძიება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სახეში კი არ მოვრტყი მათრახი, როგორც კეისარმა ფარსალს, არამედ მხრებზე გადავუჭირე. შემდეგ ვუბრძანე, წინ უმცროსი ძმა გაეშვა. მაშინ სცენა გამოუცვალა, ესე იგი არა თეატრი, არამედ მსახიობები, და ახლა ჩვენ გავხდით მაყურებლები. ახლა ტიმოთემ, და ნუკერებმა იწყეს კოტრიალი თავინთი მარხილით. რამაც მხატვრული და ნაირსახოვანი შედეგებით ჩვენს გორაობას გადააჭარბა. ჩვენ ამ ხელოვნებაში ძუძუმწოვრები აღმოვჩნდით, ტიმოთე და მისი ამხანაგები მას სრულყოფილად ფლობდნენ იყო ერთი მომენტი, როცა ჩვენმა მეეტლეებმა თითქოს პირი შეკრეს და შვიდივენი თოვლში გადაგვყარეს. ასე არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. იმიტომ კი არა, რომ რამეს ვიშავებდით, არამედ იმიტომ, რომ ბევრს დროს ვკარგავდით. მაშინ თვითეული მარხილიდან ერთი ცხენი გამოუშვით, ჩვენი ჯუბები უნაგირებად გადავკიდეთ და ზედ ლუკა და მისი მსახურები შევსვით. აქიდან მოყოლებული საქმე კარგად წავბიდა და მუანეს გმოკლებით, რომელსაც მდინარეზე გადასვლისა ქვა შეხვდა და წყალში პირქვე გაიშოტა, და ტიმოთესი, რომელიც ხრამში ჩაგორდა, მაგრამ საბედნიეროდ ოასწრო ხეს მობღაუჭებოდა, - ჩვენ საღად მივედით სადგუში. ღამდებოდა, მაგრამ მთები თანდათან დაბლდებოდნენ და ჩვენ შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ყოველი დაღმართი ვაკეზე გატავდებოდა. მაგრამ დაღმართს ისევ აღმართი სცვლიდა და ჩვენი წარმოდგენა ვაკეს ისევ და ისევ შემდეგი დაღმართის ბოლოს გზავნიდა. ასე გაგრძელდა ერთ საათზე მეტს. ბოლოს მივადექით მდინარე ყვირილას, რომლის ნაპირზე ბორანი დაგვხვდა. აქ მარხილებიდან უნდა ჩამოვსულიყავით, რადგანაც მდინარე წყალმარჩხი იყო და დატვირთული მარხილები ვერ გადავიდოდნენ. ამ ადგილას მდინარეს გადმოჰყურებდა ძალიან მაღალი მთა, რომელზეც უნდა ავცოცებულიყვით. მის წვერზე მოჩანდა ძველი ციხის ნანგრევები, რომლის სილუეტები შავი მხვილი კუთხეებით იხატებოდა თოვლზე. მე ლუკას ვუთხარი, მიამბეთ, თუ რამე იცით ამ ციზხის შესახებ-მეთქი. მან გაიცინა და არაფერტი მიპასუხა. რომ ცვაცივდი, ცოტა დაიბნა და როცა აღარ მოვეშვი, მითხრა:

ჩვენ, იმერლები უბრაკლო ხალხი ვართ და ნუ დაგვცინებთ, თუ გაბედულად გავიმეორებ იმას, რაც მამებს ჩვენთვის უამბნიათ.

-რა გიამბეს თქვენმა მამებმა?

-რაღაც ძნელად დასაჯერებელი არაკი.

-მაინც?

-აუცილებლად გინდათ იცოდეთ?

-გთხოვთ მიამბოთ.

-მას კარგი. წინაპრები გადმოგვცემენ, რომ ეს ციხე უხსოვარ დროში აუღია ერთ კაცს, სახელად იაზონს, რომელიც ქვეყნის სულ სხვა ქვეყნიდა მოსულა. მისი მიზანი ყოფილა ხელთ ეგდო ოქროს საწმისი, მოგეხსენებათ, მე ამისა არაფერი მჯერა, მაგრამ იმერეთსი ვისაც არ უნდა ჰკითხო ამ ნანგრევებზე, გეტყვით იაზონის ციხეაო და ამავე არაგსვ გიამბობთ. მაშ სასაცილო არ არის ეს ოქროს საწმისის ზღაპარი?

-სრულიადაც არა, მე ეს ამბავი ბავშობიდან ვიცი.

ლუკამ გაკვირვებით შემოხედა.

-მაშ საფრანგეთშიც გიამბეს ეს ამბავი?

-ის ჩვენს სახელმძღვანელოებშიც შედის.

აქ ლუკამ უკვე ეჭვის თვალით შემომხედა.

-ხომ არ დამცინით? - კითხა მან.

მე ხელი გავუწოდე და მან კარგად დაინახა ჩემს სახეზე, რომ ამგვარი განზრახვისაგან შორს ვიყავი.

-თქვენი აზრით სადამდე ივიდა იაზონი? - ვკითხე მე.

-აქამდე მოსულა. ეს ციხე მისი ლაშქრობის ბოლო წერტილია. გარდა ამისა ის თავისი ლაშქრით მალე იძულებეული გამხდარა, უკან გაბრუნებულიყო, რადგანაც ადგილობრივი მცხოვრებლები აუმხედრდნენ. მაგრამ ისტორია გადმოგვცემს, რომ წასვლისას მანტან წაიღო ოქროს საწმისი და წაიყვანა აქაური მეფის ქალი.

ჩემი მარხილის ბორნით გადატანის ჯერიც დადგა. მე ვფიქრობდი ხალხსი ამ შესანიშნავ მეხსიერებაზე, რომელმაც ჩვენამდე მოიტანა ფაქტი, ისტორუია თუ ზღაპარაი, წარმოშობილი ტორას ომზე ორმოცი წლით ადრე. ჩვენ ავძვერით საშინელ მთაზე, რომლიც წააგეს იმ ხიდს, მე მუჰამედი რომ ამბობს, ხანჯლის პირის სიგანე აქვსო. ერთი საათის შემდეგ მე შევდიოდი იმერეთის დედაქალქ ქუთაისში, ძველ ქუთაისში, ხოლო ზოგიერთის მოწმობით მედეას სამშობლო ძველ ეაში.

თავი XLVIII
ქუთაისი, ქოთისი, ეა

როგორც მკითხველი დაინახავს, ჩვენ ერთ-ორ გვერდზე ვარუდებში დავიბნევით და შევეცდებით ერთი ცუთით მაინც გავაცოხლოთ ის აჩრდილი, რომელიც ასე უნაკლოდ წარმოგვიდგინა ჩვენმა ცნობილმა დრაგიკულმა მსახიობმა ქ-მა რისტორიმ.

ქუთაისია, ქოთისი, ანუ ქუთათისი, დღევანდელი იმერეთისა და ოდესღაც მთელი კოლხეთის დედაქალქი, ცხადია, ძველიძველი დროიდან არსებობს. დანვილი გვარწმუნებს, რომ ეს არის ძველი ეა, მედეას სამშობლო. თუ მის სიტყვას ვერწმუნეთ, ეს ქალაქი დაარსებული ყოფილა პელაქსების მიერ ქრისტეს დაბადებამდე 1200 წლის წინათ და რომის დაარსების ხუთასი წლის წინათ. უსარგებლო იქნებოდა აქ ვეძიოთ ძველი ქალაქის რაიმე ნაგებობანი. ჩვენ მხედველობაში გავქვს წინაქრისტიანული ეპოქის ქალაქი. საშუალოდ საუკუნეებს ქალაქი, რომელმაც ალბათ ძველი ქალაქის ადგილი დაიჭრირა, მდებარეობდა დამრეც მთაზე, ფაროსის

შუქურის მარჯვნივ. დღევადელი ქალაქი მდინარის მარცხნივ გაშლილ ვაკეზეა დაშენებული. მას ძალიან კარგი მდებარეობა აქვს კომერციის თვალსაზრისით, მაგრმ კიდევ უკეთესი ციებ-ცხელებისათვის. ქუთაისი უფრო დიდი სოფელია, ვიდრე ქალაქი. ეს არის თვალწარმტაც დგილზე განსაზღვრული რივხვის სახლების შენაერთი, რომლებიც ისე არიან განლაგებული, როგორც მოეხერხებათ. ყოველ მათგანს მიუზომია ცოტად თუ ბევრად ფართო კარმიდამო, შეუქმნია ფართო ქუჩები და დიდი მოედნები. საზოგადოდ ეს სახლები აშენებულია თიხაში არეული წნულით და გარედან კირითაა შელესილი. თავადებს, მემამულეებს და საერთოდ მდიდართ ხის სახლები აქვთ. არასიმეტრიულობა მ ქალაქს ერთ-ერთ ულამაზეს და თვალწარმტაც ქალაქად ხდის. ზაფხულობით თავისი ჩრდილებითა და ნაკადულებბით ალბათ, ნუხას ექიშპება.

ჩვენ გავჩერდით გერმანულ სასტუმროში, სადაც მოჩვენებითი ევროპული კონფორტი ვპოვეთ. იქ ვივახშმეთ და ღამე გავათიეთ. მეორე დილის ცხრა საათზე გუბერნატორის ადიუტანტი პოლკოვნიკი რომანოვი გამოგვეცხადა. გუბერნატორი კითხულობდა, რით შეგვიძლია გემსახუროთო. იმის შემდეგ, რაც გზაზე ასე საშინლად ვიწვალეთ, მას შეეძლო ყველაფერში გამოგდგომოდა და უპირველეს ყოვლისა, უტყუარი ცნობები მოეცა მარნამდე მისასვლელი გზის შესახებ. პოლკოვნიკ რომანოვის პასუხმა ვერაფრით დაგვამშვიდა. მისი სიტყვით, მარხილით შეუძლებელი იყო გზის გაგრძელება. საჭირო იყო ცხენით წასლა. პირველ შვიდ-რვა ვერსზე გაზს საკმარისად კარგი იყო, შემდეგ სრულიად ფუჭდებოდა და იმ ადგილიდან უმჯობსი იქნებოდა ერთი პატარა მდინარის ხრეშიანი კალაპოტოთ გვევლო. ეს იყო ერთადერთი მოსახერხებლი გზა 12-15 ვერსის მანძილზე. შემდეგ ერთი ტყით, რომელიც ყველაზე დიდი ტყეა იმერეთში, მივდუიოდით გუბის წყალში. ჩვენს მეეტლეებს მშვიდობიანად უნდა გავეყვანეთ ამ ტყიდან, სადაც არ არსებობს ცოტად თუ ბევრად გაკვალული გზა. მაგრამ ისინი ამ გზით კვირაში ორჯერ თუ სამჯერ დადიან და კვალის დაკარგვის შიში არ გვქონდა. მე ამასობაში მინდოდა დამეთვალიერებინა გელათის ტაძარი, სადაც როგორც დაგვარწმუნეს, ქალაქ დარუბანდის ერთ-ერთი ძველი რკინის კარი იკარგება. ამ მომლოცავობაში პ[ოლკოვნიკი რომანოვი თავის სმსახურს გვთავაზობდა. მის ტავლაში იმდენი ცხენი იყო რამდენსაც მოვისურვბდით, თვითონ კი ჩვენს გიდობას კისრულობდა. რათქმაუნდა, დავთანხმდით. სანამ ცხენებს ამზადებდნენ, ჩვენ ქალაქი დავათვალიერეთ. აღმოსავლეთის ყველა ქალაქებში ბაზარი ქალაქის გულია, ესე იგი მისი სასიცოცხლო ცენტრი. ასეა ქუთაისშიც. ბაზრის გარშემო თავს იყრის ყველანაირი მოძრაობა. ქუტაისისს ბაზარი ჩვენ მიერ ნახულ ბაზრებში ერთ-ერთი ყველაზე ღარიბია. მე აქ ვნახე მხოლოდ ორი ღირსშესანიშნავი ნივთი: ალექსანდრეს ოქროს მდალი და ვერცხლში ცასმული ორი შანდალი არწივის ბრჭყალბზე. დანარჩენი ყველაფერი მდარე ხარისხოვანი იყო შედარებით იმ საქონლთან რაც დარუბანდში, ბაქოში, ნუხაში და თბილიში ვანხეთ. ამიტომ ქუტაისის ბაზარმა ჩვენი ქისისაგან ვერაფერი სარფა ნახა. ქისის ხსენებაზე ერთი რამ უნდა ვაცნობო კავკასიაში მოგზაურობის მსურველთ. რუსეთში ოქროსა და ვერცხლის ფულს არ იცნობენ, იგი რსებობს მხოლოდ სახელმწიფო სეიფბში. იქ ტრიალებს ქაღალდის ფული მანეთიან, სამმანეთიან, ხუთმანეტიან, ათმანეთიან, ოცმანეთიან, ორმოცდაათმანეთიან და ასმანეთიან ბილეთებში. რუსეთში ძალზე ჭირს ამ ქაღალდების დახურდავება, რომელთა შესახებაც დადგენილება, რომ პირველსავე მოთხოვნაზე ხაზინა ვალდებულია, ვერცხლის ფულად აქციოს. არავის აქვს მისი ნდობა როცა ქაღალდის მანეთიანზე ორმოცდაათი კაპიკი უნდა დაგიბრუნოო. ყველა გეუბნება, არამაქვს ვერცხლის ფულიო. თავადმა ბარიატინსკიმ დავიდოვის მეშვეობით გადამიხურდავა ათასი მანეთი ქაღალდის ფული ვერცხლის ფულზე. მაგრამ ქუთაისში რომ ჩავედი კიდევ აღმომაჩნდა 250-300 მანეთი ქაღალდის ფული. რუსეთის საზღვარს იქით ეს ფული აღარაფერში გამომადგებოდა, ამიტომ ბატონ რომანოვს ვთხოვე, გუბერნატორთან ეშუამდგომლა, ამ თანხის ნახევარი მაინც გადაეხურდავებინათ ვერცხლის ფულზე. დაიწყო დიდი მოლაპარაკება და ბიოლოს დაგვპირდნენ, როგორც კი ექსკურისიიდან დავბრუნდებოდით, ფული მზად დაგვხვდებოდა.

ცხენები მოამზადეს, შევსხედით და მიუხადავთ იმსა, რომ გზები მოყინული იყო, გაბედულად გავჭენეთ მთებისკენ. შვიდი ვერსი სულ იმის შიში ვიარეთ, ცხენებს ფეხი არ დასცდენოდათ და ერთი წუთითაც არ შეგვიშვია აღვირზე ხელი. ტაძარში რომ მივედით, მხოლოდ მაშინ გადავხედთ გარემოს უშიშრად. ხედი მშვენიერი იყო მიუხედავათ თოვლისა, რომელიც მთელ ლანდშაფტს ერთფეროვანს ხდიდა. ზაფხული რომ ყოფილიყო, ეს იქნებოდა ჩვენი მოგზაურობის ერთ-ერთი საკეთესო სურათი. თვით ტაძარი წარმოადგენს ბიზანტიური ხუროთმიოძღვრების საუკეთესო ნიმუშს. ტაძარი შეიძლება გამოდგეს პროპორციულობის მოდელად. საუბედუროდ, კედლის მხატვრობა თითქმის მთლიანად წაშლილია და აღარც ძველი კანკელია თავის ადგილზე. მის ნაცვლად დაგმულია ერთი ისე უხეიროდ მოხატული შირმა, რომლითაც კავკასიაში ხშირად ამახინჯებენ ულამაზეს ტაძრებს. ეკლესიის შიგნითა ნაწილი საერთოდ უსუფთაოა, სევდიანი და მკვდარია. მაში იგრძნობა დაცემული ქვეყანა. მაგრამ ამ პირველი შთაბეჭდილებით სასოწარკვეთას ნუ მიეცემით. ახლანდელ კანკელში ჩადგმულია ორი თუ სამი ხატი, რომელთაც დიდი ღირებულებბა აქვთ. სამეფო კარიბჭის მარცხნივ პირველი ადგილი უჭირავს გელათის მღვთიშობლის ხატს. ეს ხატი ძველ;ი დროიდანვე სახელგანთქმულია თავისი სასწაულმოქმედებით. მის სახელთან დაკავშირებულია შემდეგი გადმოცემა:

როდესაც ქრისტეს ამაღლების შემდეგ მოციქულებმა ქადაგებისთვის ქვეყანა გაინაწილეს, კავკასია წმინდა ადნდრიას ერგო. მაშინ წმინდა ქალულმა სახეზე სუდარა მიიდო და მისი ნაკვთები ამ სუდარაზე გამოისახ. მან ეს სუდარა, ანუ თავისი ნამდვილი პორტრეტი წმიდა ანდრიას მისცა. მოციქული ჩამოვიდა აწყურში, ბორჯომსა და ახალციხეს შუა. იქ მეფობდა ერთი დედოფალი. რომელსაც სწორედ იმ ხანებში ერთადერთი ვაჟი მოჰკვდომოდა. წმიდა ანდრია მიცვალებულს წმიდა ქალწულის ხატი შეახო და ახალგაზრდა კაცი გაცოცხლდა. როცა წმიდა ანდრიამ ხლხის თვალწინ ასეთი სასწაული მოახინა, მან დიდიწარმატებით დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება. წარმართული ქურუმები დააშინა ქრისტიანობის ასეთმა წინსვლამ და ისინი ამხედრდნენ მოციქულის წინაღმდეგ. უთანხმოების შესაწყვეტად კავკასიურ ხერხს მიმართეს: განიზრახეს მოეწყოთ შეჯიბრება, ანუ უფრო სწორად ბრძოლა კერპებსა და ღვთიშობლის ხატებს შორის, კარავში ერთ მხარეს წმიდა ქაწულის ხატი მოათავსეს, მეოპრე მხარეზე კი კერპები და მთელი ღამე როგორც წმიდა ანდრია, ისე ქურუმებმა ლოცვაში გაატარეს. დილას ნახეს, რომ კერპები დამხობილები იყვნენ, წმიდა ქლწულის ხატს კი შარავანდი ადგა. ასეთმა ციურმა მოვლენამ დედოფალსა და მის ხალხს ჭეშმარიტი სარწმუნოება მიაღებინა. უფრო გვიან, როცა ამ ქვეყანაში ისლამიზმი შემოიჭრა და აწყურის ტაძარი, რომლის კვალი ჯერაც არ გამქრალა, ცეცხლს მისცეს, ერთმა მორწმუნემ ხტი მიწაში დამალა, სადაც ის მრავალი საუკუნი განმავლობაში იმყოფებოდა. ბოლოს იპოვეს და ელათის ტაძარში გადაიტანეს. ეს ხატი იმითარის შესანიშნავი, რომ წინააღმდეგ მიღებული აზრისა, მასზე გამოსახულ წმიდა ქალწულს სავი თვალები აქვს. მოჭედილობა ხატისა, გარდა სახისა და ხელებისა, როგორც ყველა ბერძნულ ხატზე, მთლიანად კეთილშობილი ქვებითაა შესრულებული. ეს არის მეთხუთმეტე საუკუნის ერთ-ერთი ულამაზესი ქმნილება. გარდა ამ ფასდაუდებელი ხატისა, არის კიდევ სხვა საუცხოო ხატები. ერთზე გამოსახულია წმიდა გიორგი და როგორც დაგვარწმუნეს, გაკეთებულია მთლიანად ოქროსაგან. ყოველშემთხვევაში ის ძალიან ძველი უნდა იყოს. უნდა ითქვას, რომ ყველა ეს ნივთი იმ უსუფთაობასა და გაპარტახებაში განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენენ. მაგრამ ეს არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც კიდევ უნდა გვენახ. ჩვენ შეგვიყვანეს სალაროში, რომელიც ტაძარს აკრავს. მისი იატაკი მოფენილი იყო, ჩემი აზრით, ძალიან ძვირფასი ბერძნული შრიფტის ხელნაწერებით. იქ ინახება აგრეთვე საეკლესიო სამოსელი. ძველისძველ ხალში შეხვეული იყო მაგრად ჩაკეტილი ზანდუუკი. სადაც ინახებოდა ძვირფასი ქვებით მოჭედილი ტიარები, მარგალიტით ნაქარგი შესამოსელი, სხვადასხვა სამკაულები და სხვათაშორის, იმერეთის მეფეთა გვირგვინი. ძვირფას სამკაულთა მოყვარულისთვის აქ იყო ყველაფერი, რისგანაც შეიძლება დამიანს გონება დაუბნელდეს. ახსანიშნავია, რომ მთელი ეს სიმდიდრე ძონძებშია გახვეული, გაჩვენებენ ისეთი ადამიანები, რომელთაც ახლოს ვერ მიეკარები და გამოფებნილია

უძველეს ტძარში, სადაც ყოველი კუთხიდან სიღარიბე გამოყურება. ეს იყო სწორეთ ის აღმოსავლური მხარემ რომელიც მე უკვე ავღნიშნე: მდიდარი, მხატვრული და უსუფთაო. ფანატიზმი და დაუდევრობა, აი, მთელი აღმოსავლეთი. კიდევ დაგვრჩა სანახავი ერთი რამ, რაც მე ყველაზე უფრო მაინტერესებდა. ეს იყო დარუბანდის რკინის კარი. ერთი კუთხისკენ წამიყვანეს. საიდნ მოვიდა აქ ეს ვეებერთელა კარი, ეს ერთადერთი კარი? რა მოგახსენოთ. თან არაფერი მმქონდ, რომ გამეზომა, მაგრმ მგონია, სიმაღლით 5-6 მეტრი, სიგანით ორმეტრნახევარი იქნებიოდა. რამდენნადაც მე შემიძლია ვიმსჯელო, ეს არის მუხის კარი შეჭედილი რკინის ფურცლებით და ხუთი რკინის შესაკრავით. ქვემო ნაწილში რკინა გახვრეტილია და ხე მოჩანს. მეორე ნახევარი გაიტაცეს თურქებმა. როგორც ნადავლი. მე შევამჩნიე არაბული წარწერების ნარჩენები, მაგრმ ვერცერთმა ჩვენგანმა ვერ გაარჩია ისინი ძალიან გვეჩქარებოდა, აუცილებლად იმავე დღეს უნდა წაბვსულიყავით, რომ 21-ში ფოთში ვყოფილიყავით. მარტო ორი დღე გვრჩებოდა, ამიტომ გელათის ბერებს შესაწირავი დავუტოვეთ და ქუთაისში დავბრუნდით.

ახლა რამდენიმე სიტყვას მოგახსენებთ ძველ კოლხეთზე, რომელი დღეს დანაწილებულია სმეგრელოდ. იმერეთად და გურიად. მისი მთავარი ქლაქები, რომელტა სახელები მრავალი საუკუნის შემდეგ ჩვენამდე მოვიდა, როგორც მძლავრი გამოძახილი წარულისა, არიან ლაზიკა, პიტუიზა, დანდარი, დიოსკუიაზი, არქეოპოლისი, ეა, ფაზისი, ქიტა, ნექლესუსი, მადია, სირიუმი. დიდად რომ არ დავამახინჯოთ ეტიმოლოია, შეიძლება სურიუმში ვპოვოთ სურამი, ქიტაში კი ქუთაისი,. მაგრამ როგორც ვთქვით, ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ქუტაისი აგებულია ძველი ეას ნანგრევებზე. ეა კი, როგროც ცნობილია, მედეას სამშობლო იყო. აპოლონ როდოსელი ნებას არ გვაძლევს, - ხოლო რატომ, მას უფრო გვიან დავინახავთ, - ვერწმუნოთ ამ მეცნიერთა აზრს. არგონავტების ექსპედიცია ცნობილია და მას არ გავიხსენებდით, მაგრამ ვცდილობთ დავამტკიცოთ, რომ აქ ისტორია თავის დედა-ზღაპისაგან წარმოიშვება. რაულ როშეტს თავის გამოკვლევაში ბერძნულ კოლონიებზე ერთი წუთითაც არ შესდის ეჭვი, რომ იაზონი არსებობდა და არგონავტების ექსპედიციას ადგილი ჰქონდა. საქმე მხოლოდ ისაა, რომ ჭკვიანურად გამოეყოთ ერთმანეთისაგან ზღაპარი და ისტორუია.

იაზონს, ანუ უფრო სწორად დიომედეს, იოლქოსის ტახტის მემკვიდრეს თავისი დედა ალქიმედე მისი ბიძის ელიასის დევნისაგნ მალავს. მას აღზრდის ხირონი. იაზონი ხირონისაგან სწვლობს მედიცინას და თავის სახელს იზონს იღებს ბერძნული ზმნის იასდაი-საგან, რაც „მკურნალობას“ ნიშნავს. იგი სიტყვებს კენტავრს და რჩევის მისღებად ორაკულტან მიდის, რომელიც მას უბრძანებს ჩაიცვას მაგნეზიელთა ტანისამოსი, ეს იგი ავაზს ტყავი, გიკეთოს ორი შუბი და ამგვარად წარსდგეს პელიასის კარზე. დედაბრად ქცეული იუნონას დახმარებით, იაზონი გადადის მდინარე ენიპის, მაგრამ იგი გზაზე კარგავს ერთ-ერთ სანდალს. ეს შემთხვევა მისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია, მაგრამ ხელსაყრელია მისი მოქიშპისათვის, რომელსაც იგივე ორაკულმა უთხრა, ერიდოს იმას, ვინც მის კარზე ცალი სანდლით მივაიზონი პელიასს მამის მეკვიდრეობას სთხოვს. პელუიასი ავალებს მოიპოვოს კოლხეთში ოქროს საწმისი. ეს არის ზღაპარი. მაგრამიაზნო ააგებს ხომალდს, შედის შავ ზღვაში ერთი მუჭა გამბედავი ადამიანებით, და აყვება მდინარე ფაზისს კომერციული მიზნით, ალბათ იმ ოქროს სილის შესასყიდად, რომელსაც კოლხები მდინარე ჰიპუსიდან და ფაზისიდან იღებდნენ. ეს არის სინამდვილე. სტრაბონის დროს კოლხეთშ ჯერ კიდევ არსებობდა ამ ექსპედიციის დამასაბუთებელი ყველა ძეგლი, და ჩვენ უკვე ვთქვით, თუ როგორაა უკვდავყოფილი გადმოცემა ხალხთა მეხსიერებაში სტრაბონის დროს კოლხეთის დაბლობ ჯერ ისევ არგო ეწოდებოდა და ფრიქსუსის ვაჟს არგუსს მიაწერდნენ ლეუკოტეის ტაძრის აგებასა და იდესის დამყარებას. მაგრამ არგონავტების ექსპედიციას სხვა უფრო მაღალი მიზანიც ჰქონდა, თუმცა იგი პირველს ემთხვეოდა: ეს იყო სავ ზღვაზე მოთარეშე მეკობრეთა განადგურბა. ამან იაზონის ექსპედიციას შესძინა არამხოლოდ გმირული, არამედ წმიდა ხასიათი, რითაციასრგებლეს პოტებმა. ორმოცი წლის შემდეგ ეს პირველი კავშირი ნიმუშით გახდა ტროას აღების დროს შემდგარი კავშირისა.

ტაციტი და ტროქ-პომპეუსი არუიფარგლბიან კოლხეთში იაზნის მხოლოდ პირველი მოგზაურობით. ისინი მოგვითხრობენ აგრეთვე მეორე მოგზაურობას, რომლის დროსაც თითქოს იაზონმ თავის თანამოგზეაწეებს დაპყრობილი მიწები გაუნაწილა და დაარსა კოლონიები არმარტო ფაზისში, არამედ ქვეყნის შიგნითაც. ეს დებულება შესანიშნავად ეთანხმება იმ ნანგრევებს, რომელთაც იაზონის ციხეს უწოდებენ და რომლის ისტორია ასე მიმიტად გვიამბო ჩვენმა მეგობარმა ლუკამ. იგივე გადმოცემა არსებობს ლემნოსშიც, პროპონდიდასა და ჰელსპონდის ნაპირებზე, გადმოცემის ტანახმად სინოპი აშენებულია უცხო ქვეყნიდან მოსულტა სახელმოხვეჭილი სარდლის მიერ. დიოსკურია ცხადლივ გვანიშნებს არგონავტთა რიცხვში კასტროისა და პოლუქსის ყოფნას. ანატოლიის კონცხ დღესაც იაზონის კონცხსაც ეძახიან. და ბოლოს, იბერიაში, არმენიაში და მიდიელთა ქვეყანაშიც კი ქალაქები, ტაძრებო და ყოველგვარი ძეგლები ატარებდნენ იაზონის სახელს და თუ მათი კვალი დღეს წაშლილია, ეს იმიტომ, რომ პარმენიომმა, ალექსანდრეს მეგობარმა და მისმა პირმოთმემ, იმის შიშით, რომ გარნიკის, არბელის და ისუს მძლევლის სახელი არგონავტების სახელს არ დაეჩრდილა, ბრძანა, დაენგრიათ ისინი და მოეპოთ იაზონის თაყვანისცემა, რაც იმ თავათვე არსებობდა ბარბაროსებში.

ეს გადმოცემა ახლაც იმდენად ცოცხალია ჩვენ მიერ გავლილ ქვეყნებში, რომ რავალი წარჩინებული პირი იმერეთსა და გურიასა და სამეგრელოში, რომელთაც იასონი ქვიათ, ტავს ანტიკური გმირის ან მისთანამოღვაწეთა შათამომავლათ თვლიან და ტიპით გვანან კიდევაც ბერძნებს, რაც კარგად ამტკიცებს ამ სახლოვნ ნათესაობას. უფრო მტიც: შეხედეთ ფოკიონის ქანდაკებას პარიზის მუზეუმში. მას მანტია აქვს წამოსხმული და ვფიქრობ, ქართული ნაბადი ამ მნტიის თავზე გამოჭრილი. ანდ მაგლიტად, რა არის ყაბალახი, თუ არა ხმელთაშუაზღვისა და არქიპელაგის მეზღვაურთა კაპიუშონი? კოლხეთი ამ იდი სარავადნდის შემდეგ ისე წყვდუიადში ჩაიფლო. ისტორიკოსები ამ პროვინციაში გარდა კოლხებისა ათავსებენკიდევ მელანექლენებს, კორაქსიტბს, ანუ ყვავის მთის მცხოვრებლებს, აფსილიენებს, ნისიმონიენებს და სხვა ხალხებ, რომელტა სახელები თითქმის ასევე უცნობია ჩვენთვის. მაგრამ ყველა ამ ხალხტა ბნელ სახელებში, თუ თვითონ ბნელ ხალხებში გამონაკლისად უნდა ჩავთვალოთ პლტოლომეუსის სუანოკოლხები და სტრბონის და პლინიუსის სუანები. ამ სამი ისტორიკოსოს სიტყვით სუანეთები ჯერ კიდევ არგონავტების დროს დასახლებულნ კოლხეთის მთებში ქალაქ დიოსკურიას ზემოთ. ეს ყოპფილა დიდად შემმღათებელი, მაგრამ ამასთან ძლაინ უსუფთაო ხალხი. ისე, რომ ბერძნები თავიანთ ფერადიოოვან ენაზე მათ უწოდებდნენ პტიროფაგებს, ესე იგი ტილიჭამიებს. მთელი ძველი კოლხეთის ქალები მშვენიერი გარეგნოვბისა არიან. ჩვენ გვინდოდა გვეთქვა, ისინი ფართო ქალებზე უფრო ლამაზები არიანო, მაჭგრამ დროზე გაგვახსენდა, რომ უწინ იმერეთი, გურია და სამეგრელო საქართველოს მხარეები იყვნენ, მაგრამ ღმერთო დიდებულო, როგორი გაჭირვება, როგორი სიღატაკეა! ამ სიღარიბის მიუხედავად ყოველ შემხვედრს კეთილშობილი ერი აქვს, რასაც თვით თავადიშვილიც კი შენატრებს.

ქუთაისში რომ ვბრუნდებოდით ჩერქეზულ ჩოხაში გამოწყობილი ერთი ახალგაზრდა გურული თავადიშვილი შეგვხვდა. მას ტან ახლდა ორი მსახური, რომელთაც კეფაზე ფრონდის ფორმის წითელი პატარა ოქროსსირმა შემოვლებული ქუდები ედო. შევჩერდით და თვალი გავაყოლეთ. ამ ლამაზ ახალგაზრდა კაცს არ სჭირდებოდა ეთქვა, ესა და ეს ვარო. მას შუბლზე ეწერა სიტყვა „თავადიშვილი“. მე პატივი მქონდა პეტერბურგში გამეცნო სამეგრელოს მთავრის დადიანის მეუღლე. ძნელი იქნებოდა სილამაზის ამაზე უფრო მდიდარი ნიმუშის სადმე ნახვა. მას ოთხი ერთმანეთზ ლამაზი შვილი ჰყვას. დედასთან ერთად ისინი ქმნიან ანტიკური სიძველის ღირსეულ ჯგუფს. ჩემი ყურადღება მიიქცია საუცხოო ფორმნის ქუდმა, რომელიც პატარა თავადისშვილ ნიკოს ეხურა. თავადის მეუღლემ ეს შეამჩნია და შვილს უთხრა:

-გვირგვინი ჩამორთეული გაქვს ჩემო ნიკო, ეგ ქუდი რარა დასანანია!

ახალაგზრდა მტავრმა მაშინვე მოიხადა ქუდი და მაჩუქა.

დვბრუნდით ჩვენს გერმანულ სასტუმროში. ქაღალდის ფული გადაცვლილი დამხვდა ვერცხლის ფულზე, ჩვენი ხარჯი ნაანგარიშევი, ცხენები კი გამზადებული. სხვათა შორის, უნდა ვთქვა, რომ ანგარიში ერთი ღამის გათევისა და ერთი ვახშმისთვის 60 ფრანკზე ავიდა. ჩვენ შევდიოდით ცივილიზებულ ქვეყანაში, სადაც დიდი გზებიდან განდევნილ ყველა ქურდს სასტუმროებისთვის შეეფარებინა თავი. ცხენების შებმისას ერთი დიდი დაბრკოლება წარმოიშვა. მე მქონდა ორი ზანდუკი ერთიმეორეზე უფრო მძიმე და არცერთი ცხენი ისეთი ღონიერი არ იყო, რომ ისინი დაეძრათ. სასტუმროს ეზოში ერთ მარხილს მოვკარი თვალი და პატრონს ვთხოვე მოეყიდნა ან მოექირავებინა იგი. პატრონი არც ერთზე თანხმდებოდა არც მეორეზე. დასახმარებლად პოლკოვნიკ რომანოვს მივმართე დ ამართალია, პატრონი გავრწმუნებდა, მარხილით სამეგრელოს ტალახს ვერ მოერევითო, მაინც დაიყოლია და ოთხ მანეთად დვიქირავეთ ის მარხილი.

მუანეს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, ასე რომ ვაგვიანებდით და სამართლიანად ამბობდა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივუსწრებთ გემს 21რიცხვისთვისო. მეც ეჭვი მეპარებოდა, მაგრამ არის ზოგი შეფერხება, როელსაც მხოლოდ დროით შეიძლება აჯობო. აბარგებისას სწორედ ერთი ასეთი დაბრკოლება მქონდა. რატა მუანეს მოუთმენობა დამეცხრო შევთავაზე გრიგოლთნ ერთად წინ წასულიყო ერთი დატვირთული ცხენითა და მისი გამოყოლით. დანარჩენი ცხენებით და მარხილით მე წავიდოდი. სადგურზე ჩასვლისას ისა და გრიგოლი ვახშამზე ზრუნვას დაიწყებდნენ. მე ჩავდიოდი დანარჩენი ბარგით და ქართველი მსახურით, რომელიც პოლკოვნიკმა რომანოვმა თან გამატანა, რათა ქართველ მეეტლეებთან ურთიერთობა შემძლებოდა. ქართველმა ცოტაოდნი ფრნგული იცოდა.

მუანე და გრიგოლი წავიდნენ. მე სანამ მარხილში მოვთვსდებოდი კიდევ ერთი საათი დავკარგე. ბოლოს მაუწყეს, ყვლაფერი მზად არისო. პოლკოვნიკს გდავეხვიე, მარხილში ცაჯექი, ჩემი ცხენი ქართველს ჩავაბარე და დავიძარით.

თავი XLIX
გზა ქუთაისიდან მარნამდე

ერთი ვერსის მანძილზე ორჯერ გადმომიბრუნდა მარხილი. აღარ მინდოდა დღესაც წინა დღის აკრობატული ვარჯიშიც გამეორება და ცხენზე გადავჯექი. თავდაპირველად გზა დიდ მინდორზე მიდიოდა და ორივე მხარეს ხევი მისდევდა. წყალი ადგილ-ადგილ დაფარული იყო თხელი ყინულით, ადგილ სქელი თოვლით. მინდვრის ბოლოში იწყებოდა ყტე, რომელიც ჩვენიგამყოლების თქმით, ოცამდე ლიეზე უნდა ყოფილიყო და მის დროს ამ ტყეს ტურმე სასტიკად იცავდნენ. მას მაღლაკის ტყე ჰქვია. ამჟამად ამ ტყეში ყველას შეუძლია ნადირობა და ამბობენ, რომ აქ მრავლადაა ყოველგვარი ფრინველი. ამ რწმენამ მაინც ვერ შემაცდინა, რომ ჩემი მაგრად ჩაწყობილი თოფები ამომეღო. იმდენი ნანადირევი მინახავს დაწყებული შჩუკოვაიას გნოლებით და დამთავერბული აქსუსის ხოხბებით,რომ ჩემიმონადირული გრძნობები სავსებით დამცხრალი იყვნენ.

შევედით მეფე სოლომონის ტყეში , აქამდე არაფერს გაუმართლებია პოლკოვნიკ რომანოვის პირქუში წინასწარმეტყველება. გზა არცთუ ისეთი ცუდი იყო. ჩემი მარხილიც ჭკვიანად იქცეოდა მას შემდეგ, რაც ჩემგან გაინთავისუფლა თავი. თითქმის ექვსი-რვა ვერსი ვიარეთ ასე ტყით, იმავე ხევებით, რომლებიც ისევ ორთავ მხარეზე მოგვყვებოდნენ. მალე გიჟმაჟ ღელეებს შევხვდით. ზოგი გზას გვიჭრიდა და ხევში ვარდებოდა, ზოგიც რუებად მოგვყვებოდა გზის პირზე. მე გავიფიქრე, ეს ის ცნობილი მდინარე იქნება, პოლკოვნიკი რომ გვეუბნებოდა, ოღონდ ნაკადულად გადქცეული-მეთქი. ნაკადულები ნელ-ნელა გამრავლდნენ და ყველა ეს ძარღვი ერთ არტერიად შეერთდა, მერე თანდათან შემოიჭრა შუა გზაზე და ბოლოს, შეუერთდა ორ

ხევს, რომლის ტყესთან მიბჯენილი ნაპირები მდინარის ნაპირებს ქმნიდნენ. აქამდე მე ეს გზა უფრო ხელასყრელი მეჩვენებოდა. აქ კი წყალი ისე სწრაფად მიედინებოდა, რომ არ იყინებოდა, მიწას თოვლისა და ტალახისაგან სწმენდდა და რჩებოდა ქვიშიანი ნიადაგი, რომელზეც მარხილი მშვენივრად მისრიალებდა. ცხენებიც მაგრად მიაბიჯებდნენ, ამიტომ, პირიქით, კარგ გუნებაზე ვიყავი. ვამყოლებს ვერაფერს ვეკითხებოდი, რადგანაც მათი ენა არ ვიცოდი, ხოლო რაც სეეხება ჩემს ქართველებს, საუბარი სრულიად არ ართობდა და ერთთავად შორს ეჭირა თავი, რომ ჩემი ხმა არ გაეგონა. ესეც არ იყოს, რამდენიმე კითხვაზე ისეთი უვიცი პასუხი გამცა, რომ სრულიად დამეკარგა ხალისი რაიმეს კითხვისა. ამის შემდეგ ისღა დამრჩა, რომ საკუთარი ფიქრი გავიხადე თანამგზავრად და ასე ოცნებაში წასული მივათოხარიკებდი ცხენს. ყოველ წუთში რამე დაბრკოლება გვაკარგვინებდა დროს. უფრო ხშირად ცხენიდან რამე შეკრულა ვარდებოდა ამ ლამაზ მდინარეში, რომელიც თანდათან ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა. ხან კი ჩვენი მარხილი გახდებოდა გადასათრევი რომელიმე ცუდ გზაზე. ისევ ტვირთავდნენ ცხენებს, რამდენიმე კაცი შველოდა მარხილს, ამასობასი კი დრო მიდიოდა. ქუთაისიდან სადგურამდე ოცდაოთხი ვერსი გვქონდა გასავლელი, ჩვენ კი ჯერ ნახევარიც ვერ გავიარეთ, მაშინ, როცა უკვე დღის ოთხი საათი იყო. არავითარი იმედი არ უნდა მქონოდა, რომ იმავე დღეს მარანში მივიდოდით. და უფრო მეტიც, დიდი ბედნიერება იქნებოდა, ტუ დაღამებამდე ბუგისწყალს მივაღწევდით. მდინარე,-რადგანაც ეს უკვე გზა აღარ იყო,-რომლითაც ცხენები, მარხილი და მე მივდიოდით, თანდათან ღრმავდებოდა, მაგრამ მას აკლდებოდა სისწრაფე. ისე, რომ ხანდახან მოისმოდა ყინულის მტვრევის ხმა ჩემი ცხენის ფეხქვეშ. ხშირად წინ მიმავალი მარხილი ამტვრევდა ყინულს, მე კი მივდიოდი პირდაპი წყალში, რომელიც ჯერ მხოლოდ რვა-ათ ფუტს აღწევდა. მალე მდინარე ისე გაღრმავდა და ყინულის ქერქიც იმდენად სქელი გახდა, რომ თუ მანამდე მარხილი ხშირად ტეხდა მას და ნახევრად წყალში იძირებოდა, ახლა ყინული კარგად უძლებდა. ჯერ გავიფიქრე მარხილს მივყოლოდი, მაგრამ ჩემმა ცხენმა რამდენჯერმე წამოიბორძიკა და გადავიფიქრე. ვარჩიე იმადგილებით მევლო, სადაც წყალი უფრო სწრაფად მიედინერბოდა და არ იყინებოდა.ადლი-ადგილ ფერდობებიდან ჩამოზღვავებული თოვლი უკეთესგზას მაჩვენებდა ტყეში. მაგრამ მაშინ ძალიან უნდა გავფრთხილებულიყავი, რომ ხის ტოტებს სახე არ დაეკაწრათ. ამის გამო ისევ მდინარეში შევდიოდი, მაგრამ იქაც ცხენი ფეხებზე წყალს მასხავდა, დასველებული ფეხები კი მეყინებოდა.

გზა თანდათან გაძნელდა, დრო გადიოდა. უკვე დღის ხუთი საათი იქნებოდა, ერთ საათში კი უნდა დაღამებულიყო. ჩვენი გამყოლები უკეთესი გზის ძებნაში ხნდახან ერთ-ერთ ნაპირზე ადიოდნენ და ტყეში ფეხით განაგრძობდნენ გზას. წინ ცხენებს უშვებდნენ გზის გასაკაფავად.მე, მართალია ფეხები მთლიანად მოყინული მქონდა, მაგრამ მაინც ძველი გზით მივდიოდი, რაც ჩემს ცხენს დიდად არელვებდა, რადგანაც , ყოველთვის, რამდენჯერაც ფეხქვეშ ყინული ჩაუტყდებოდა განზე ხტებოდა და ყინულზე ეცემოდა. მაშინ მე მექანიკურად ფეხა განზე ვიწევდი, ცხენი დგებოდა, მე როგორღაც წონასწოროპბას ვინარჩუნებდი და ისევ გზას ვაგრძელებდი. ერთ ასეთ დაცემაზე ფეხი რომ მომეტეხა, ალბათ ვერ ვიგრძნობდი. ეს წამება მთელ ერთ საათს გაგრძელდა. ხანდახან როცა დავინახავდი, რომ მარხილი საკმარისდა სწორად მიდის იქ, სადაც ჩემი ცხენი ძლივს ადგავდა ფეხს, ისევ მარხილში გავიფიქრებდი გადაჯდომას. სწორედ იმ წუნთში, როცა ერთ ამისთანა ცდუნებას უნდა ავყოლოდი, მარხილი გადაბრუნდა და ჩემი მეეტლე, რომელმაც, როგორც ჭეშმარტიმა სიბარიტმა გაბედა ის, რაც მე მქონდა განზრახული, შუა მდინარეში გადაისროლა. ამასოპბაში დაღამდა კიდეც. რა ღათქმა უნდა, სიბნელემ უფრო გაამნელა ჩვენი მოგზაურობა. გზა, ანუ უფრო სწორად, მდინარე, რომლის კალაპოტითაც ჩვენ მივდიოდით, ცხენმა ტანდათან აითვალისწუნა. ამ დროს დავინახე,. რომ მდინარის მარჯვენა ნაპირზე უღრან ტევრში ბარგით დატვირთული ცხენების მწკრივი მიდიოდა მშვიდათ. ალბათ, გზა ეპოვათ, ან თვითონ მიიკვლევდნენ გზას. გავიფიქრე, მარხილი ღვთის ანაბარად მიმეტოვებინა, მე კი იმ ქარავაბნს შევერთებოდი. ცხენი იქითჯკენ მივმართე და საკმარისად დიდი ჭაპანწყვეტის შემდეგ აღმართზე ავფოფხდი. აღმოვჩნდი ტყეში. მართლაც, როგჰორც დავრწმუნდი, აქ გზა უკეთესი იყო ვიდრე ქვემოთ, მაგრამ შევამჩნიე, რომ თანდათან ვშორდებოდი მარხილს. რა მენაღვლებოდა, მარხილი თავისი

ბარგით, ადრე თუ გვიან სადგურზე მივიდოდა, ხოლო მე დანარჩენი ბარგით სხვა გზით მივიდოდი იქ. ამგვარად ჩემს გზას მივყვებოდი და ნაკლებად მაწუხებდა ის, რომ ფოსტის ეჟვნების ჟღარუნი თანდათან მინელდა, ხოლო ბოლოს ვიარე და კმაყოფილმა იმით, რომ ნიადაგი გამოვიცვალე და ახლა აღარაფერი მაწუხებდა, გარდა იმისა, რომ ტოტები მცემდნენ სახეში, ცხენი სადავეზე მივუშვი, თვითონ კი ფიქრს მივეცი თავი. ბოლოს ქართველს შევკადრე, შორსა ვართ კიდევ თუ არა სადგურიდან-მეთქი. არავინ გამცა პასუხი. კითხვა გავიმეორე. ისევ დუმილი. მაშინ ეჭვმა გამიელვა, მიუახლოვდი ჩემთან ყველაზე ახლოს მყოფ კაცს, ყურადღებით შევათვალიერე და დავრწმუნდი, რომ იგი ჩვენი გამყოლებიდან არ იყო. მის ცხენზე ჩემთვის უცნობი ბარგი ეკიდა.

-გუბის წყალია? - ვკითხე და ვაჩვენე გზა რომლითაც მოვდიოდით.

გუბის წყალი იყო სახელი იმ ფოსტის სადგურისა, სადაც ღამე უნფდა გაგვეთია. კაცმა გაიცინა.

-გუბის წყალია? - გავიმეორე მე იგივე ჟესტით.

მაშინ მანაც გაიმეორა ეს სიტყვა და ხელით მიმითითა ჰორიზონტის იმ წერტილზე, რომელიც ჩვენი გზის სრულიად მოპირდაპირე მხარეს იმყოფებოდა. იმ წამსვე ყოველივეს მივხვდი და მართალი გითხრათ, თავით ფეხებამდე ჟრუანტელმა დამ,იარ. შკარა იყო, ჩემს მარხილს ავცდი, სხვა ქარავანს შევუაერთდი და მხარი მექცა. ცხენი შევაჩერე და ყური მივუგდე. იმედი მქონდა, ფოსტის ზარის ხმას გავიგონებდი, მაგრამ იგი ისე იკარგებოდა სივრცეში, რომ ძნელი იყო სდაბეჯითებით თქმა, რომელი მხრიდან ისმოდ. უფრო მეტიც: მხარე, რომელიც იმ კაცმა მაჩვენა, როგორც ვითომ და ოსტის სადგურის მდებარეობის ადგილი, რამდენადაც მე შემეძლო ამის მიხვედრა, დიამეტრიულად მოწინააღმდეგე მხარეზე იყო იმისა, საითკენაც ჩემი აზრით მარხილი წავიდა. მაგრამ ხომ შეიძლებოდა რომ გზას მოეხვია. ერთხანს გაუნძრევლად ვიდექი და ვერ გადამეწყვიტა, რა მექნა. მდგომარეობა სერიოზული იყო. აშკარაა გზა დამებნა ოც ვერსე გადაჭიმულ ტყეში, სადაც არავითარი კვალი არ ჩანდა, მე კი არ მესმოდა ადგილობრივი ენა, რომ ვინმესთვის რამე მეკითხა და, რასაკვირველია, თავს ანგარიშს ვაძლევდი, რომ ყოველი შემხვედრი ჩემთვის უფრო მტერი იქნებიოდა, ვიდრე მხსნელი. ყველა ამ უბედურებასტან ერთად ისეთ ქვეყანაში ვიმყოფებოდი, სადაც სარამოს რვა საათზე რომ საკუთარ სახლს გარს შემოუარო, თოფი უნ და დაიჭირო, მე კი მხოლოდ ერთი ხანჯალი მქონდა ტან. უფრო მეტიც: მთელი ჩემი ფული ჯიბეში მედო. საფრანგეთში ფონტენებლოსა და კომპიენის ტყეში ასეთი მდგომარეობა სახიფათოა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ფრიად არასასიამოვნო იქნებოდა. იმერეთში კი ქუთაისსა და მარანს შორის, ეს ბევრად უფრო სერიოზული მდგომნარეობა იყო. რაიმე გადაწყვეტილება უნდა მიმეღო. ცხენი მოვატრიალე და იმ მიმართულებით გავაჭენე, რომელიც უცნობმა კაცმა მანიშნა. პატარა იმედის ნაპერწკალი კიდევ მიღვივოდა გულში. ვფიქრობდი, მარხილი, რომელსაც ჩამოვშორდი, შორს არ იქნებოდა წასული. ცხენი შევაჩერე და ქართველ გამყოლს რამდენჯერმე დავუძახე. არსაიდან პასუხი. ტყე თავისი ვებერთელა თეთრი საბნით სუდარასი გახვეულ მიცვალებულს ჰგავდა. ახლა სრულიად აღრ მესმოდა, რა მიმართულებით უნდა ყოფილიყო სადგური გუბისწყალი. ჩემი თოფი რომ თან მქონოდა ტავისი ოცდახუთი ვაზნით, ის ჯერ თავსდაცვის საშუალებათ გამომადგებოდა, ხოლო შემდეგ გაგებინებისა. მარხილის გამყოლები ამ ქარავნის კაცები რომ ვეღარ დამინახავდნენ, მიხვდებოდნენ, რომ მხარი მექცა, ზებნას დამიწყებდნენ და სროლის ხმაზე მიპოვნიდნენ. მაგრამ ამ საშუალებას მოკლებული ვიყავი. ცხენი სრულიად უცნობი მიმართულებით გავაჭენე და თუმცა გზის არავითარი ნიშანწყალი არ ჩანდა, იგი დამყვა და ნახევარი საათის განმავლობაში ასე ალალბედზე ვიარე. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს თანდათან ვშორდებოდი მიზანს. გარდა ამისა, ტყე გახშირდა და მალე ალბათ, ერთ ნაბიჯსაც ვეღარ გადავდგამდი წინ. ცხენი მოვაბრუნე, რომ მისი ნაკვალევით უკან წამოვსულიყავი. ასეთ მდგომარეობასი ადამიანს თავგზა ებნევა. მარჯვნივ მოვინდომე მოხვევა, მაგრამ ჩემი ცხენი თითქოს მეურჩებოდა. ასეთ გარემოერბაში ადამიანის გონება ჩიხში ექცევა, იგი თვითონვე

გრძნობს ტავის უსუსურებას. მაშინ მან თავი უნდა მოიხაროს პირუტყვის ინსტიქტის წინაშე. ცხენის გაჯიუტება აშკარა ნიშანი იყო იმისა, რომ მცდარ გზაე ვუპირებდი წაყვანას, შევაჩერე და დავფიქრდი. უცებ ასეთი აზრი დამებადა: ეს ცხენი ფოსტის ცხენია და შეჩვეულია ქუთაისისა და გუბის წყლის გზაზე სიარულს. გუბისწყალში თივას აჭმევენ და ორ საათს ასვენებენ. თავის ნებაზე რომ მიუშვა, აუცილებლად თვითონვე მივა იქ, სადაც ვახშამი და დასვენება ელის. ცხადი იყო, არ ვცდებოდი. აღვირს ხელი შეუშვი და ცხენი თვის ნებაზე მიუშვი. თხუთმეტი წუთის შემდეგ ხეების ორ მწკრივს შორის აღმოვჩნდი, რაც ოდნავ ჰგავდა გზას. საუბედუროდ ისე ბნელოდა, რომ მიუხედავად თოვლისა, ვერავითარ კვალს ვერ ვარჩევდი. ცხენიდან ჩამოვხტი, სადავე ხელზე მაგრად გადავიხვიე და მიწას ყური მივადე. მარტო მხედველობა არ იყო საკმარისი და როგორც ნაცადმა მონადირემ შეხების გრძნობაც მოვიხმარე. მაშინ თოვლზე გარკვევით შევნიშნე ორი კვალი: ცხენის ნაფეხურები და მარხილის კავების ნაკვალევი. მაგრამ ჩემი მარხილის და ცხენების კვალი იყო ეს? ვიდრე ამას ვარკვევდი, ასიოდე ნაბიჯზე მგლის ღმუილი შემომესმა. თითქმის იმავე წუთში ნადირმა გზა გადამიჭრა, შედგა და ჩემი სუნი რომ ეცა, ერთი კიდევ დაიღმუვლა და ჰაქრა. არასოდეს ასე არ მინატრია ჩემი თოფი. ისევ ცხენზე შევჯექი. მარხილის კვალი იქით მიიმართებოდა, საითაც ჩემს ცხენს უნდოდა წასვლა. ისევ შევასუსტე აღვირი და ცხენმა ბეჯითად გასწია წინ. ხეებს ქვეშ ვამჩნევდი ნადირთ, რომლიბიც ლანდებივით მდუმარედ მომდევდნენ უკან. დროდადრო რომელიმე ლანდი ნაპერწკლებს მესროდა: ეს იყო ჩემკენ მომართული მგლის თვალები. მე აინუნშიც არ ვაგდებდი ამას, მაგრამ ჩემი ცხენი ძალიან შფოთავდა. თავს ატრიალებდა და ფრუტუნებდა. შემდეგ ფეხს აუჩქარა. სწრაფად წასვლის სურვილი კარგი ნიშანი იყო, ამტკიცებდა, რომ სადგურს ვუახლოვდებოდით. გარდა ამისა, მე თითქოს უკვე შორეული ზაღლის ყეფა მესმოდა. მალე მარცხენა მხარეს რაღაც ბნელი სენობა შევნიშნე. იმედი მომეცა, სახლია -მეთქი, მას გარშემო ღობე ერტყა. ცხენი ღობეზე გადავიყვანე და შენობას გარს სემოუარე. მიტოვერბული სამრეკლო აღმოჩნდა. სამრეკლოს კარის პირდაპირ კაზაკთა პოსტი იდგა, მასავით მიტოვებული. უკან გადმოვედი ღობეზე, მაგრამ იმ მხარეს თხრილი ყოფილიყო, ვერ დავინახე, რადგანაც თოვლით იყო სავსე. ცხენი დაეცა და თხრილში გადამაგდო. საბედნიეროდ სამრეკლოს მეზობლობამ მგლები მოგვაშორა. ეს რომ ტყეში მომსვლოდა, რასაკვირველია, მგლებთან მექნებოდა საქმე. ისევ შევჯექი უნაგირზე, ისევ მიუშვი აღვირი და ცხენიც ძველი მიმართულებით წავიდა. ასი ნაბიჯიც არ მქონდა გავლილი, რომ წინ მხედარი შემომხვდა. შევჩ ერდი, ხელი ხანჯალს წავივლე, გზა გადავუღობე და რუსულად ვკითხე:

-ვინ მოდის?

-ძმა, -მიპასუხა კაცმა.

მე ახლოს მივედი „ძმასთან“, რომლის შეხვედრა ახლა ყველაფერს მერჩივნა. ეს იყო დონის კაზაკი ბანჯგვლიანი ფაფახითა და ხელში გრძელი შუბით. სადგურში მისულ მუანეს ჩემი დაკარგვის სეშინებოდა და კაზაკი ჩემს მოსაძებნად გამოეგზავნა. კაზაკი წინ წავიდა, მეც უკან მივყევი. ნახევარი საათის შემდეგ ფანჯრის მინებში მუანესა და გრიგოლის სილუეტები დავინახე, ცეცხლზე თბებოდნენ. უნდა გამოვტყდე, რომ ეს სურათი უფრო დამამშვიდებელი იყო, ვიდრე მგლები, რომლებიც ერთი საათის წინ უკან მომდევდნენ. კაზაკს ერთი მანეთი მივეცი და ვუთხარი, ორმაგი ულუფა თივა მიეცათ ჩემი საბრალო ცხენისთვის, რომელმაც ასე ჭკვიანად გამომიყვანა გაჭირვებიდან. დაე, ყველა ამ გარემოებაში ჩავარდნილმა მოგზაურმა ეს იცოდეს. შეხსნილი მარხილი კართან იდგა. ცხენები და ბარგი ორი საათით ჩემზე გვიან მოვიდნენ. მეეტლეებმა დაკარგეს, თუ არ ვიცი, მომპარეს, ორი ჩერქეზული თოფი, რომელთაგან ერთი საუკეთესო იყო, სახელოვანი ქერინის ნიშნით. იგი ღირდა ორ ყარაბაღულ ცხენად და წართმეული ჰქონდა ლეკებიოს ბელადს ერთ კომპანიაში, რომლის დროსაც გენერალი სლებცოვი მოკლეს. საბედნიეროდ ორი თოფი კიდევ დამრჩა. ერთი თავადი ბაგრატიონის ნაჩუქარი, მეორე თავადი თარხნიშვილისა.

ღამე გუბისწყლის სადგურში გავათიეთ და მეორე დილას გავწიეთ ძველი მარნისკენ. როგორც წინა დღით, თან ერთი ცხენი გავიყოლე, თუმცა გადაწყვეტილი მქონდა, სადაც კი სესაძლებელი იქნებოდა, მარხილით მევლო. მუანემ, რომელიც წინა დღით ცხენიდა გადმოვარდნილიყო და ხელები ტოტებზე დაეკაწრა, მთხოვა, მანამ ტქვენ ტვითონვე დაგჭირდებათ მე შევჯდები თქვენს ცხენზეო. როგორც უკვე ზემოთ მოგახსენეთ, ჩემს ცხენს პოლკოვნიკ რომანოვის მოცემული საუცხოო ჰუსარის უნაგირი ედგა. მე თვითონ მარხილში მოვთავსდი და გზას გაუდექით. ღამით გზა გაყინული და იგი მარხილისათვის ადვილი სავალი იყო, ცხენისთვის კი ძნელი. ამიტომაც ჩემს თანამგზავრებზე უფრო სწრაფად მივდიოდი და იმის მაგივრად, რომ გუშინდელივით ქარავნის კუდში ვყოფილიყავი, ახლა წინ მივუძღოდი. დაახლოვებით ერთი საათის შემდეგ უკან მოვიხედე და დავინახე ცხენი, რომელზეც მხედარი არ იჯდა. მაშინვე მარხილი შევაჩერებინე. გზა ისეთი ცუდი იყო, რომ თვით საუკეთესო მხედარი პაუხერიც კი ვერ შეიკავებდა თავს უნაგირზე. ცხენს უკან მოსდევდა კიდევ ერთი ცხენიანი კაცი, რომელიც თითქოს ცდილობდა დასწეოდა. ეს გრიგოლი იყო. მაშასადამე ცხენიდან მუანე გადმოვარდნილიყო. ერთ წუთში ცხენიც და მხედარიც ჩემთან გაჩნდნენ. მეეტლეებიც სეჩერდნენ. თურმე ცხენი თხრილში ჩავარდნილიყო და მუანე წინ გადაესროლა, როგორც მე დამემართა წინადღით. საბედნიეროდ, ამ ჯერზე ტოტები არსად დაენახა მოსაბღაუჭებლად, ისე რომ , არაფერი დაეშავებინა.

მე განვაგრძე გზა, რომ შეძლებისდაგვარად გამესწრო ჩემი თანამგზავრებისთვის და სემდეგ სადგურზე ცხენები შემემზადებინა. ქართველი გამყოლი უნდა დამწეოდა და ტარჯიმნობა გაეწია. დილის ათ საათამდე არაფერი გვიჭირდა, ათ საათზე კი ისევ ის სასწაული დაიწყო, რომელიც ერთხელ უკვე ვნახეთ ბარში. მიუხედავად იმისა, რომ მიწა მთლიანად დაფარული იყო თოვლით, მცხუნვარე მზის სხივებმა ჰაერში სითბო დაატრიალეს, თოვლი თანდათან გადნა და მე პირდაპირ ტალახის ზღვაში აღმოვჩნდი. ჯერ მართალია, შიგ სამეგრელოში არ ვიყავით, მაგრამ მის საზღვარზე ყოველშემთხვევაში უკვე ვიმყოფებოდით და ვისაც სამეგრელოს ტალახიარ უნახავს, მას არაფერი უნახავს ქვეყანაზე. თვალის დახამხამებაში სქელმა, შავმა ლაფმა დამფარა. ქართველ გამყოლს მოუხმე, მარხილის ერთ ცხენზე შევსვი, მე კი მის ცხენზე შევჯექი. ერთ საათში გზა მღელვარე ჭაობად გადაიქცა, რომელშიც ჩემი ცხენი ჯერ კოჭებამდე ჩაიძირა, შემდეგ მუხლამდე, ბოლოს კი მუცლამდე ჩაწვა ტალახში. ამ ჭაობს სწრაფი წყლები ჰკვეთდნენ და ნახევარზე ფარავდნენ მარხილსა და ცხენებს. ერთ წუთს შევჩერდი, რომ კარგად დამენახა, როგორ გადადიოდა წყალზე ქარავანი, მაგრამ, როცა ისევ წასვლა დავაპირე, შევნიშნე, რომ ადგილიდან ვერ ვიძროდი, რადგანაც ჩემს ცხენს მუცელზე მოსდგომოდა წყალი. უზანგები მიწაზე ეთრეოდნენ, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ იმ თხიერსა და ბლანტ ნივთიერებას, რომელში გზა მიდიოდა. რამდენი არ ვეცადე, ვერაფრით ვერ გამოვათრიე ცხენი იმ ტალახიდან, სანამ ზედ ვიჯექი. მაგრამ ჩამოვხტი თუ არა, მუხლამდე ჩავიფალი და ალბათ, ტალახს ტავს ვერ დავაღწევდით, რომ საშინელი მათრახისცემით არ გამომეყვანა ცხენი ამ გაჭირვებიდან. ცხენის შემდეგ ჩემი ჯერი დადგა. მაშინ მ ის კუდს მოვებღაუჭე და სამი-ოთხი ნაბიჯის იქით საკმარისად მყარ ნიადაგზე აღმოვჩნდი, რათა მასზე საყრდენი ადგილი მეპოვა და ისევ ცხენზე შევმჯდარიყავი. ამგვარად გავიარეთ ოთხი ლიე. ფეხზე ყაზანში ნაყიდი ჩექმა მეცვა, ვერ ვიტყვი, ამისთანა გზა გათვალისწინებული მქონდა - მეთქი, მაგრამ ყოველივე შემთხვევისთვის ველოდი, რომ ამ ფოსტის სადგურებად დაყოფილ ქვეყანაში უხეირო გზებზე მომიხდებოდა სიარული. ჩექმა თეძოებამდე მადგა და ბალთებით მქონდა მიმ აგრებული იმავე სარტყელზე, რომელზეც ხანჯალი მეკიდა. სადგურზე რომ მივედით, ჩექმაში იმდენივე ტალახი აღმომაჩნდა, რამდენიც ზედ მეცხო. საგდურს როგორც იყო მივაღწიეთ, თუმცა ორჯერ სა სამჯერ კინაღამ ყელთამდე ჩავიძირეთ ტალახში. მარანში გვითხრეს ასეთი შემთხვევები აქ იშვიათი არისო. მარნამდე ერთი მილით ადრე შევხვდით მდინარე ცხენისწყალს. ძველად ამ მდინარეს უწოდებდნენ ჰიპუსს, რაც ნიშნავს ცხენის მდინარეს, მისი სწრაფი დინების გამო. ჩვენ გავჩერდით ერთი ფუნდუკის კარტან, რომელიც ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ერთ, უფრო მომცრო განყოფილებაში მოეტავსებინათ საწვრილმანო დუქანი და რაღაც ამდაგავარი, ათი კვადრატული ფუთის ფართობით სადაც

ერთმანეთზე ეყარა პირველი აუცილებლობის საქონელი. აქ იყო პური, ყველი, ქონი, სანთელი, ღვინო, ზეთი, და ყველაფერი ეს სრულიად პირველყოფილ მდგომარეობაში ერთმანეთზე დაეხვავებინათ. ორი ბავშვი, რომელთაგან უფროსი ცხრა წლის იქნებოდა ამ მერკურის ტაძარს ემსახურებოდნენ. მეორე ნაწილში მოთავსებული იყო დარბაზი, სასადილო ოთახი და სამზარეულო. შუაში ენთო ცეცხლი, ბოლო კი ჭერში გაკეთებულ ნახვრეტში გადიოდა. ზემოთ მოთავსებული იყო სხვენი დ მას მიბმული ჰქონდა გრძელი დიდი მორი, რომელზეც საფეხურები იყო ამოკვეთილი. აქ მოვთავსდი მე, დაიწყეს ჩვენთვის კვერცხების მოხარშვა, დაქათმის შეწვა შამფურზე. ამასობაში ერთი ბიჭი ტალახს მაფხეკდა ტანისამოსიდან, როგორც თევს ან სტაფილოს ფხეკენ ხოლმე. ხელ-პირი ჰიპუსის წყლით დავბანე, - ნება მიბოძეთ ძველ სახეს უპირატესობა მივცე ახაკლთან და მზეზე გავიშრე. ცხვირსახოცები და ხელსაწმენდები ჩემოდნებში მქონდა, მაგრამ, როგორც ალბათ „გახსოვთ“, მათი გასაღებები თბილისში დამრჩა, ცხრა დღის წინ თბილისიდან გამნოსული ფოსტი შიკრიკი კი ქუთაისში მხოლოდ ორი დღის შემდეგ ჩავიდოდა. მუანე და ბარგი რომ მოვიდნენ კვერცხები მოხარშული იყო, ქათამი შემწვარი, ცხენები კი შეკაზმული.

ახალ მარნამდე შვიდი ვერსიღა გვქონდა დარჩენილი. მე ისევ მარხილში ჩავჯექი იმედით, აქ გზა უკეთესი იქნება-მეთქი. მაგრამ ამ შვიდ ვერსს საათ-ნახევარი მაინც მოვანდომეთ და ვიარეთ თხელ ლაფში, რომელსაც ჩვენი მარხილი ხომალდივით მიაპობდა. მაგრამ ჩვენ ხომ მალე ვიხილავთ ფაზისს, იქიდან კი, გემით წავალთ ფოთში, ესე იგი შავ ზღვაზე. მართალია, ჩვენ იქ მივდიოდით სასტიკი ქარიშხლების დროს, მაგრამ თუ დახჩობა უცილებელია, უმჯობესია წყალში დაიხრჩო, ვიდრე ტალახსა და ლაფში. მე თან მქონდა წერილი თავად გიგიძესთან ახალი მარნის კოლონიის უფროსთან. ამ კოლონიას შეადგენდნენ საჭურისები. ისინი ატარებენ ნავებს რიონზე ზამთრის განმავლობაში, როცა წყალი შრება და პატარა გემი ვეღარ მოძრაობს, პოლკოვნიკმა რომანოვმა წინასწარ გაგვაფრთხილა, თექვსმეტ მანეთზე მეტი არ მისცეთ, რამდენიც არ უნდა მოგთხოვონო, რადგანაც ეს ფასი, თუმცა არც არის ოპფიციალური ტარიფით დაგენილი საკმარისი საზღაურია. მათ ჯერ ოცდახუთი მანეთი მოითხოვეს, მაგრამ ბოლოს დაგვთანხმდნენ თექვსმეტზე. ოღონდ ის კი იყო, რომ ვერაფრით დავიყოლიეთ იმავე დღეს წავსულიყავით. ჩვენ კი ვჩქარობდით, რადგანაც უკვე ოცი რიცხვი იყო. პოლკოვნიკმა დაგვამშვიდა, გემი მხოლოდ ოცდაორს საღამოთი გავაო. ორი საათის შემდეგ პოლკოვნიკმა სადილი გაგვიმართა. სდილობისას ის გარეთ გაიხმეს. პოლკოვნიკი გავიდა და მაშინვე უკან შემობრუნდა. თურმე ერთი იმერელი თავადიშვილი ფოთს მიეჩქარებოდა და ნებას ითხოვდა ჩემი კარჭაპით ესარგებლა, ნახევარი ფასის გადახდას კი თვითონ კისრულობდა. მე ვუპასუხე, ყოველგვარი საფასურის გადაუხდელად კარჭაპი თქვენს განკარგულებაშია-მეთქი. ერთხანს წინააღმდეგობის გაწევა უნდოდა, მაგრამ გავჯიუტდი და იძულებული იყო დაეთმო. საქმე რომ მოგვარდა, შემოვიდა და მადლობა გადამიხადა. ეს იყო ოცდარვა ოცდაათი წლის ლამაზი შეხედულების კაცი, რომელსაც ტანთ ემოსა თოვლივით ქათქათა ჩერქეზული ჩოხა მასრებით და ოქრონაჭედ ქამარზე გაკეთებული იარაღით. ჩოხის ქვემოდან მუჩანდა ვარდისფერი ატლასის ახალუხი, ხოლო ვარდისფერის ქვემოთ კიდევ ერთი სადაფის ფერი ახალუხი ეცვა. თეთრივე ფერის ფართო შარვალი მუხლებამდე მაღალ წაღებში ჰქონდა ჩატანებული. თან ახლდა მსახური, რომელსაც თითქმის ისევე კოხტად ეცვა, როგორც მის ბატონს. ქართველი თავადიშვილი ფოთში მიიჩქაროდა, რადგანაც უნდა დახვედროდა გემს, რომლითაც თავად ბრიატინსკის ძმა უნდა ჩამოსულიყო. ეს უკანასკნელი თბილისში მიდოდა, მაგრამ ფოთამდე იმ გემით უნდა ჩამოსულიყო, რომელსაც ჩვენ მივყვებოდით ტრაპიზონში. იქ კი ფრანგულ გემზე გადავჯდებოდით. ამ ტავადის სახელი და გვარი იყო სოლომონ ინგერაძე.

შევთანხმდით, დილას, რაც შეიძლება ადრე გავსულიყავით, მგრამ პოლკოვნიკი კარგად იცნობდა თავის კაცებს და გვითხრა, რვა საათზე ადრე გასვლის იმედი ნუ გექნებათო. ქართველმა თავადმა ყავა ჩვენთან ერთად დალია და გულმოსული წავიდა, რომ დილის ხუთ საათზე ვერ მოახერხა გასვლა. ინგერაძე სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, როცა

წარმოიდგენდა რომ, ვერ ჩაუსწრებდა თავად ბარიატინსკის. მე ვიკითხე, რატომ წუხდა ასე, აღმოჩნდა, ის ყოფილიყო იმ უბნის უფროსი, რომელზეც უნდა გაევლო მტავარმართებლის ძმა ფოთიდან ქუთაისამდე.

ლოგინი იმ ოთახში გამიშალეს, რომელშიც ვისადილე. დასახურად მომიტანეს ზეწარგამოკერებული პიკის დალიანდაგებული საბანი. მეორე დილის ექვს საათზე უკვე ფხზე ვიყავით, მაგრამ მიუხედავათ ვარდისფერი თავადის დაჟინებისა, - მუანემ თავად ინგერაძისთვის ეს სახელი უფრო იოლს სათქმელად მიიჩნია . - მიუხედავთ მისი დაჟინებისა - მეთქი, ვიმეორებ, - ცხრა საათზე ადრე ვერ დავიძარით ადგილიდან. წასვლის წინ სანოვაგეზე დავიქწყე ზრუნვა მაგრამ გრიგოლმა სიზარმაცის გამო, რასაც მე რომელიმე საჭურისს უფრო ვაპატიებდი, მას კი მაგრამ გავუწყერი, მიპასუხა, გზაზე ბევრი სოფელი შეგხვდება, სადაც საჭმელს ვიშოვითო. ჩვენც გამოვეთხოვეთ მარნის უფროსს და რაკი ვარდისფერი თავადიც გვაჩქარებდა, მით უმეტეს, რომ ერთი საათი უკვე დავაგვიანეთ, კარჭაპში მოვთავსდით, მაგრამ კინაღამ კისერი მოვიტეხეთ რიონის დამრეც ნაპირზე. ნება მიბოძეთ, რიონიც ისევე, როგორც ცხენისწყალი, ძველი სახელით, ფაზისით მოვიხსენიო.

ფაზისი იმ ადგილას სადაც ჩვენ კარჭაპში ცასხედით, თითქმის ისეთივე ფართოა, როგორც სენა აუსტერლიცის ხიდდთან, მაგრამ ის სრულიად არ არის ღრმა. ამიტომაა, რომ მასზე მოსრიალე კარჭაპები გრძელი, ვიწრო და ბრტყელი აგებულებისაა. გარდა ამისა, ჩვენ დავრწმუნდით საჭურისთა სიტყვებში, როცა ისინი ღამით მგზავრობაზე უარს ამბობდნენ.

ყოველ ას ნაბიჯზე მდინარის დინებას აფერხებდა ფესვიანათ ამოძირკვული ხეები. კარჭაპში სამი კაცი იყო: ერთი საჭეს მა\რთავდა, ორნი ნიჩბავდნენ. დრო და დრო ერთი ბოლოდან მეორეში წვრილი ხმით რაღაცას უყვიროდნენ და შემდეგ ისევ ნაღვლიან სიჩუმეს ეძლეოდნენ. მთელი გზის განმავლობაში ერთხელაც არ უმღერიათ. დანტეს ნამდვილათ მხედველობიდან გამორჩა ეს მენავეები თავის „ჯოჯოხეთში“. იმ ადგილიდან სადაც ჩვენ ნავში ჩავსხედით, ნახევარი ვერსით ქვემოთ, ჰიპუსი ფაზისს უერთდება და ატასობით ყინულის ლოდებს აზვინებს ერთმანეთზე. მანამდე კი ერთი ხორგიც არ დაგვინახავს წყლის ზედაპიზე. ჩვენ გვითხრეს, რომ მთელ გზაზე შევხვდებოდით უამრავ წყლის ფრინველს, და მართლაც, იხვთა დიდი გუნდები ავაფრინეთ, თუმცა შორ მანძილზე. ჩვენმა საჭურისებმა დაჟინებული დაკითხვის შემდეგ ძლივს გამოსცრეს, რომ სოფლებისგან მოშორებით ნაკლები ველური ფრინველი შეგვხვდებოდა. ამის ნაცვლად წყლიდან ამოჩრილ ყოველ ჩირკვზე ესკუპა ჩსაყვინთად გამზადებული ჩვამა, რომელიც ხანდახან ყვინთავდა და სევ ჩნდებოდა ნისკარტში თევზით. მაგრამ ჯერ კიდევ ვოლგაზე გავიგეთ, ჩვენი კბილების საზიანოთ, რომ მოკლული ჩვამა იგივეა რაც ცოცხალი აქილევსი, ესე იგი ვერაფერს დავაკლებდით. ფაზისის ჩვამს თავი დავანებეთ, რატა მათ მშვიდათ ეთევზავათ. ჩვენი მენავეების წინასწარმეტყველება ხდება: რაც უდრო ვშორდებოდით კოლონიას, მით უფრო ნაკლებ ველურად იქცეოდნენ იხვები. შიმშილის პირველსავე ნიშნებზე სროლა დაუწყეთ და ავაცდინეთ, რაც წყალზე ხშირად მოსდის თვით მრავალ ნაცად მონადირესაც კი, რომელმაც, როგორც წესი, არ უნდა იანადიროს წყალზე, თუ მისი თვალი არ სწვდება ფრინველს, რომელსაც ესვრის. ბოლოს ზუსტად გავზომეთ მანძილი და დავიწყეთ სროლა. ამან დიდ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო საბრალო თავადი, რომელიც ყოველ მოკლულ იხვს დაგვიანების მიზეზად თვლიდა. ამასობაში მან ჩოხის ჯიბიდან დროშის ნაჭერი ამოიღო, მისმა მსახურმა პატარა ბოხჩიდან პური ამოაძვრინა და როცა ეს მწირი საუზმე ჩვენც შემოგვთავაზეს, შორს დავიჭირეთ უფრო უხვი და ნოყიერი საუზმის მოლოდინში. მაშინ ისინი მადიანად შეექცნენ თავის საუზმეს. ის დღე პარასკევი იყო და ყველა მართმადიდებელი ქრისტიანი ამ დღეს მარხვას ინახავ, თუ სრულს არ, სმაგიეროდ მკაცრს. საცოდავი საცქერი იყო თუ როგორ მუშაობდნენ ეს ღაჟღაჟა ლოყები და თეთრი კბილბი გამხმარი პურისა და დოშის ღეჭვისას, და გვებრალებოდნენ, როცა ვფიქროპბდით გემრიელი ერბო-კვერცხით შეზავებულ შემწვარ იხვებზე, რაც ვითომ და სადილად უნდა დაგხვდროდა. აზრადაც არ გვქონდა, თუ ჩვენ

მათზე უფრო მკაცრი მარხვა გველოდა. და აი, როცა შიმშილმა შეგვაწუხა, ჩვენ მენავეებს ვკითხეთ, კიდევ შორს იყო თუ არა სოფელი.

-რომელი სოფელი? - იკითხეს მათ.

-ის სოფელი, სადაც უნდა ვისაუზმოთ, დალახვროს ეშმაკმა!

მათ ერთმანეთს გადახედეს, - ვერ ვიტყვი ღიმილით-მეთქი, რადგანაც იქ ორი დღის განმავლობაში, რომელიც მათთან გავატერთ, ერთხელაც არ დაგვინახავს მათ სახეზე ღიმილი, - მაგრამ ისეთი ღმეჭით, რაც მათთვის ღიმილს უდრიდა.

-აქ სოფელი არ არის, - გვიპასუხა მესაჭემ.

-როგორ თუ სოფელი არ არის?

-არ არის.

მე და მუანემ ჯერ ერთმანეთს გადავხედეთ, მერე გრიგოლს შევხედეთ. მას სახეზე წამოანათა, რადგანაც თავი დამნაშავეთ იგრძნო.

-საიდან წარმოიდგინეთ, ჩემო კარგო, რომ ამ გზაზე სოფლებია?

-მე მეგონა, რომ შევხვდებოდით სოფლებს.

-როგორ გეგონათ, რომ წინასწარ არაფერი გიკითხავთ?

გრიგოლი სდუმდა. მე საყვედური აღარ ჰამიგრძელებია, რადგანაც მისი თვრამეტი წლის კუჭი ჩემზე უფრო ენერგიულად უსაყვედურებდა მას.

-ამ შეჩვენებულ მენიჩბეეს მაინც ჰკითხეთ, ხომ არაფერი აქვთ საჭმელი, - ვუთხარი მას.

გრიგოლმა მენავეებს ჩემი კითხვა გადასცა. აღმოჩნდა, რომ მათ პურის მეტი არაფერი ჰქონდათ.

-ცოტაოდენი პური დაგვითმონ, რომ შიმშილით მაინც არ დავიხოცოთ, ეშმაკმა წაგიღოთ ყველა თქვენი სოფლები!

-ამბობენ, შავი პურის მეტი არაფერი გვაქვსო, - თქვა გრიგოლმა.

-შავი პური ვერაფერი შვილია, - ვთქვი მე და ჯიბის დანა ამოვიღე, - მაგრამ როცა თეთრი არ არის, რას იზამ... მოიტათ პური, - მივმართე მათ.

რაღაც მიპასუხეს, მაგრამ ვერ გავიგე.

-რას ამბობენ? - ვკითხე გრიგოლს.

-ამბობენ, პური ჩვენი სამყოფიც ძლივსა გვაქვსო.

-ჰაი, მამაძაღლები! ჰითხეთ, გეთაყვათ, რამდენხანში მივალთ ისეთ სოფელში, სადაც შეიძლება ვისადილოთ.

ჩემი კითხვა ზუსტად გადასცეს.

-ექვს ან შვიდ საათზე მივალთ, - გვიპასუხეს მათ მშვიდათ.

ჯერ მხოლოდ თერთმეტი საათი იყო.

თავი L
მარნიდან ფოთამდე

მზად ვიყავი თავადის წეღანდელი წინადადება მიმეღო და მას იმედის თვალით შევხდე, მაგრამ ვაგლახ, საუზმე დასრულებული ჰქონდა, თევზიც და პურიც უკანასკნელ ლუკმამდე გათავებული იყო. მხოლოდღა ჩვენი იხვები იყო დარჩენილი, მაგრამ უმდ ხომ ვერ შევჭამდით, მენავეები კი ნავში ცეცხლის დანთების უფლებას არ გვაძლევდნენ. სიამოვნებით გავაჩერებდით ნავს და ცეცხლს ნაპირზე გავაჩაღებდით, მაგრამ როცა გავიფიქრებდი, რა სასოებაში ჩვარდებოდა ქართველი თვადი დაგვიანები გამო, უარს ვამბობდით ამ განზრახვაზე. სხვა მდონარეზე რომ ვყოფილიყავით, წყალს მაინც დავლევდით და ოდნავ მაინც დავიოკებდით მშიერ კუჭს. მაგრამ ფაზისი წყალი იესეთი მღვრიეა, რომ სამუდამოდ შეგაძულებსმდინარის წყალს. ქურქში გავეხვიე და შევეცადე დამეძინა. მუანე ოთხივე მხარეს თოფს ისროდა და თავს ირთობდა, რომ შიმშილი დაევიწყნა. სამი თუ ოთხი იხვი მოგვემატა. იხვები რომ შეგვეწვა, სამ დღეს გვეყოფოდა საჭმელად. დროდადრო თვალს ვახელდი და ჩემი ქურქის ბეწვს მიღმა ვამჩნევდი, რაოდენ დიადი ხასიათი მიიღო ბუნებამ, ტყეები თითქოს უფრო მაღალი და ხშირი გახდნენ. ხეებს გარს ეხვეოდნენ უზარმაზარი ლიანები, ხშირი მრავალწლოვანი სურო ისე გაფოთლილიყ, რომ მწვანე კედელს ჰგვადა. ყველა ამას შორი გიგანტურ შიშველ ხეებს გადათეთრებული ხმელი ტოტები ჩონჩხის ხელებივით გაეშლათ. მათზე უძრავათ ისხდნენ მდიდრონი არწივები და დრო და დრო სევდიანად და გულგამგმირავად გაჰკიოდნენ. თავადის სიტყვით, ეს ტყეები ზაფხულში თვალწარმტაცი სანახავია, მაგრამ ბევრი დიდი გუბეები, რომლებიც არასდროს შრებიან, რადგანაც მათ მზის სხივები ვერ აღწევენო. ყოველ ნაბიჯზე, ყოველი ბუჩქის ქვეშ იმალებიან ძალან საშიში შავი და მწვანე გველები, დარბიან ირმის, ტახისა და ჯიხვის ჯოგები. მაგრამ მათზე ნადირობას ვერავინ ბედავს, რადგანაც ერთსა და იმავე დროს ციებ-ცხელება და გველი ემუქრებად. ტყუილად კი არ შეარქვა ძველმა ხალხმა მედეას მომწამვლელი. მათ ჰავა და ქვეყანა ერთ მთლიან სიმბოლოდ წარმოიდგინეს. ფაზისის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მისი ციცაბო ნაპირები. წყალი მის ნაპირებს ორივე მხრიდან რეცხავს, მიწას ანგრევს და ორივე მხარეზე ქმნის თხუთმეტი ფუთის სიმაღლის ვერტიკალურ ჭრილს. ზამთრის ყინვებუის დროს მდინარეზე მოგზაურნი პირდაპირ ტყვეები ხდებიან. ყოველ თხუთმეტ წუთში ვკითხულობდი, რამდენი დარჩა კიდევ იმ სოფლამდის სადაც უნდა ვისადილთ მეთქი. ყოველ კითხვაზე ჩვენი მენავეები გვიპასუხებდნენ აღუშფოთველი კილოთი, რაც მე საშინლად მაღიზიანებდა.

-ექვსი ვერსი. ხუთი ვერსი. ოთხი ვერსი. სამი ვერსი.

ბოლოს შვიდის ნახევარი იქნებოდა, რომ ერთი სოფელი დაგვანახვეს, სადაც ვითომ და უნდა გვესადილა. მაგრამ ახლლა სხვა რამემ შეგვაწუხა. როგორ მოვახერხებდით ჩვენ იმ კედელზე ასვლას, ფაზისი რომ ჰყვადაა ჩაკეტილი? თვალს არ ვაშორებდი ნაპირს, მაგრამ ვერსად კიბეს, ვერსად ბილიკს ვერ ვარჩევდი. ჩვენ უკვე კარგად გავიცანით ეს ქვეყანა და ვიცოდით, რომ თუ ბუნება თვითონ არ ეხმარება მოგზაურს, ადმიანი ამაში სრულიად არ იწუხებს თვას.

ერთ ადგილას ჩვენი ერთი კაცი მიწაზე გადახტა და ნავი ბაგირით ნაპირზე გაათრია. თავადი ინგერაძე და მისი მსახური ნაპირზე საფეხურების გამოჭრას შეუდგნენ ხანჯლებით. შემდეგ ზედ დადგნენ, ხელები გადმოგვიწოდეს და მათი წყალობით ციცაბო ნაპირზე აღმოვჩნდით. მდინარისგან ას ნაბიჯზე რაღაც სახლი ანუ უფრო სწორედ საჯინიბო იდგა, ომელზედაც ჩვენმა

მენავეებმა გვითხრეს, აი ეს არის საერთო სასტუმრო მოგზაურთათვისო. გარშემო ერთი ფუტის სიმაღლე თოვლი იდო. მხოლოდ აქა-იქ, სადაც მზე უკეთესად უდგებოდა, შუადღის სხივებს გაელხოთ თოვლი და ტალახის გუბეები გაეჩინა. იმ საჯინიბოსთან მივედით და კარი შევაღეთ. ის, რაც ჩვენს თვალებს წარმოუდგა, ალბათ ყალმუხსაც დააფრთხობდა. შუაში ცეცხლი ენთო, ხოლო მისი ბოლი ისე გადიოდა გარეთ, როგორც შეეძლო. ცეცხლის გარშემო ოცამდე სხავადსხვა რჯულის კაცი იწვა და მოგაგონებდათ კაპიტანი როლანდის მღვიმეს „ჟილ-ბლაზიდან“ . მათ ემსახურებოდა ბებერი ჯადოქარი. იქვე პატრონებთან იწვნენ მათი ძაღლები, ის შიშის მომგვრელი ძაღლები, რომლებიც რარაც საშუალო სახეობას წარმოადგენდნენ მგელსა და მელას შორის და ხშირად გვხვდება თურქეთის საზღვართან. საჯინიბოს გარშემო კედლებზე მიბმული ცხენები ჭიხვინებდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ, ტლინკებს ისროდნენ, პატრონები კი გრძელი მათრახით ამშვიდებდნენ მათ. ამ ადამიანისა და პირუტყვის საზოგადოებას მხოლოდ ღორები აკლდა. გარშემო თვალი მოვავლეთ და ერთი ადგილიც ვერ დავინახეთ თავისუფალი, ვერც ცეცხლთან, ვერც კედლების გასწვრივ. ყველა თავისი საჭმლით იყო გართული. ზოგი ხალიფაფას აკეთებდა და ზედ ზეთს ასხვადა, ზოგიც ქათამს ხარშავდა ქოთანში ზოგი ისეთ თევზსა სჭამდა, რომეკლსაც საფრნგეთში ძაღლიც არ მიეკარება შიმშილით ვკვდებოდით, მაგრამ სახლში რომ შევედით, ხუთ წუთში სავსებით დავნაყრდით. პირველად მე და მუანე შევედით, როგორც უფრო დამშეულები, უკან შემოგვყვა ქართველი თავადი თავისი მსახურით. მის დანახვაზე ცეცხლს გარშემომსხდარ ადამიანთაგან სამი კაცი ფეხზე წამოდგ ესენი თვადის მსახურნი ყოფილიყვნენ და თავის ბატონს ელოდებოდნენ, როგორც ცხენებს ალოდინებენ ხოლმე სადგურზე გამოსაცვლელად. თავადმა გვანიშნა, დასხედით მათ ადგილებზეო, თვითონ კი კაცებს დაუწყო ლაპარაკი. შემდეგ ორნი გავიდნენ და თავიდი კი ისევ იდგა და ეტყობოდა დაგვიანება საშინკლად აწუხებდა. ძალიან ეჩქარებოდა ფოთსი და შიშობდა ვაი თუ ვერ მოესწრო თვადი ბარიატინსკის ძმისათვის. ჩვენ მისი კაცების ადგილზე დიდ გაჭირვებით ერთი კუნძი მოვათრიეთ და ზედ დავსხდით. თავადის კაცები არ მისდვედნე ამ წმინდა ევროპულ კომფორტს, ისინი პირდაპირ მიწაზე ისხდნენ ფეხმორთხმულები. შემდეგ მუანე კუნძის მეპ[ატრონეთ დავტოვე ჩემს ადგილზე ფაფახი დავდე როგორც ამას თიატრში აკეთებენ, როცა სავარძლის დაკავება უნდათ და გრიგოლთან ერთად გარეთ გავედი. საქმე ეხებოდა იხვების მომზადებას. როგორც მოგეხსენებათ შვიდი თუ რვა ფრინველი გვყავდა მოკლული. გრიგოლმა დედაბერს ანიშნა გამოგვყევიო. ის იძულებული იყო, ნიშნებით ელაპარაკა, თუმცა შვიდი თუ რვა ენა იცოდა. ადგილობრივი დიალექტი, რომელზეც სამეგრელოს თუ გურიის ამ მიყრუებულ კუთხეში ლაპარაკობდნენ, მისთვის სრულიად უცნობი იყო. ქალი მიხვდა რასაც სთხოვდნენ და გაპუტა იხვეი. გრიგოლმა სამი ხის ტოტი მოიტანა და მათგან შამფურები გამოთალა. ჩვენი იხვების გაბდღვნას თვალყურს რომ ვადევნებდი, სახე გამრწყინებული თავადი მომიხლოვდა. მას თურმე ცხენები ეშოვნა, და იმედი ჰქონდა, სამ-ოთხ საათში ხმელეთით ჩავიდოდა. მიულოცეთ და დიდი სიამოვნება გამოვთქვით, რომ ჩვენი ბარგის გადამკიდე მასავით ვერ მოვიქცეოდით. თვადი „საჯინიბოში“ შებრუნდა, ჩვენს მომავალ თანამგზავრებს გაგვაცნო, როგორც ადამიანები, რომელთაც, მას სამსახური გაუწიეს, შემდეგ ერთმანეთს გადავეხვიეთ, ცხენს მოხტა და გააჭენა თავისი ოთხკაციანი ამალით, რომელთა შორის სამი ფეხით მისდევდა. თვადს თვალი გავაყოლეთ: ჭეშმარიტად თავდიშვილუური იერი ჰქონდა ამ ჯაგლაგ ცხენზე მჯდარ კაცს, რომელსაც მასავით მდიდრულად ჩაცმული მსახური მიჰყვებოდა, უკან კი სამი დაძონძილი ბიჭი მისდევდა ქვეითად. მაგრამ უეცრად ჩვენი ყურადღება გაფანტა იმ წუთში უფრო მნიშვნელოვანმა საგანმა: დედაბერმა ჩვენი იხვები გაპუტა. ახლა გრიგოლს და მის შამფურებს ვუცდიდით. ბოლოს ისიც მოვიდა, იხვები შამფურზე წამოვაცვით და ჩავაბარეთ პატარა ბიჭებს, რომ ცეცხლზე ეტრიალათ და ხელის შეუხებლად შეეწვათ. გრიგოლმა ერთი რუსულად მოლაპარაკე მეგრელი იპოვა, რომელიც თარჯიმნობას გვიწევდა ადგილობრივ მცხოვრებლეთან. ესეც არ იყოს, შევამჩნიეთ, თავადის რეკომენდაციის წყალობით ფრიად გაიზარდა ჩვენდამი პატივისცემა. მე ჩვენი იხევბის ცქერაში ვიყავი, როცა მდინარის მხრიდან უცნაური ყვირილი შემომესმა ეს არ ჰგვადა არც მწუხარების ხმებს, არც შიშის ყვირილს. ეს რაღაც ნოტებზე გადატანილი გოდება იყო. ჩვენ კარისკენ გავიქეცით და მოწმე გავხდით

მეგრული ტირილისა. გვამი, რომელიც თავის უკანასკნელ სამყოფელს მიემგზავრებოდა ჩვენს „საჯინიბოს“ და მდინარეს შორის შეეჩერებინათ. დაღლილ მზიდავებს კუბე თოვლზე დაედოთ. მღვდელი ამასობაში მიცვალებულის ლოცვას კითხულობდა, ძაძებში ჩაცმული ქვრივი კი საზარლად გაჰკიოდა და სახეს ფრჩხილებით იფხოჭნდა, მიუხედავად გარშემო მყოფთა შეგონებისა. ჩვენ გაგვაკვირვა მისმა სიმაღლემ. ქალი ყველაზე მარალ კაცებზე ერთი თავით მაღალი ჩანდა. როცა მიუახლივდით, ეს საკვირველება ცხადი გახდა. კაცებს ჩექმა ეცვათ და თავისუფლად მიაბიჯებდნენ თოვლში. ქალს კი საშინაო ფლოსტები პირველსავე ნაბიჯზე გასცვივნოდა, მაგრამ ოცდაათსანტიმეტრიან ყოჩა ფეხებზე შემდგარიყო და ამიტომ ჩანდა ასე მაღალი. მეორე ჯგუფის ცენტრში იყვნენ მიცვალებულის ორი ქალიშვილი. მთვრალ პროცესიას უკან სირბილით მისდევდა და ცდილობდა დასწეოდა რამდენიმე ფრიად ფერად ტანისამოსიანი ქალი, რომლებიც ამ სამფგლოვიარო ცერემონილას რარაც სასაცილო იერს აძლევდნენ. მე და მუანე ძალზე გაგვაკვირვა ამან, რაც სრულიად არ იქცევდა სხვათა ყურადღებას. პროცესია ისევ დაიძრა, მაგარმ ნათესავებოსა და მეგობრების დაჟინებული თხოვნის შემდეგ ქვრივმა გადაწყვიტა უკან დაბრუნებულიყო. მან კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა, შემდეგ გაჩერდა, ხელები კუბოსკენ გაასავსავა და გულშეღონებული თანხლებ ხელებში ჩაუვარდა. ცოტა ხნის შემდეგ კი უკან გაბრუნდა. ქლიშვილებმაც ცოტაოდენი მანძილი კიდევ გაიარეს, სემდეგ მობრუნდნე და დედას გაყვნენ უკან. კუბო ხეებში თვალს მიეფარა, ქვივი და მისი ქალები მოპირდაპირე მხარეს გაუჩინარდნენ.

ჩვენ სასტუმროში შევედით და იხვები მოვიკითხეთ. ბიჭს დაჩქარების მიზნით ისინი სიგრძეზე დაესერათ და ამის გამო იხვები საშინლად გამომხმარიყვნენ. ამგვარად კერძი შემწვარი კი არ გამოვიდა, კორპივით გამოშრა და უფრო იმ ქერელს ჰქვდა, სეზოსტრის რომ სამეგრელოში შემოჰქონდა. მას არაფერი ჰქონდა საერთო ამ ცვრიან კერძთან, რომლითაც იმედი გვქონდა დავიოკებდით ჰაერზე კიდევ უფრო გაღვივებულ მადას. დანარჩენი იხვების შამფურზე წამოცვას და თვალყურის დევნებას კიდევ ერთი საათი დასჭირდებოდა, ჩვენი კუჭები კი ამდენს არ იცდიდნენ. მაშინ თეფშები ამოვიღეთ, თითომ თითო იხვი დავიდეთ და შევუდექით მათ განადგურებას, მუანე და გრგოლი შავ პურს ატანდნენ, მე კი უპუროდ შევექცეოდი კერძს, რადგანაც ის სავი პური საშინელი ზიზღს მგვრიდა. შიმშილი რომ მოვიკალით არაფერი დაგვრჩენოდა იმის მეტი რომ დაგვეძინა. მაგრამ ადვილი არ იყო ამ ბუნაგში. სადაც ცხენები ჭიხვინებდნენ, ძაღლები იხვის ძვლებს ახრამუნებდნენ, რწყილები კი თავის გემოზე ვახშმობდნენ. ერთ წუთს გავიფიქრე, მდინარის ნაპირას დავდგავ კარავს მეთქი და ადგილის შესარჩევად გავედი, მაგრამ ნიადაგი ისეთნაირად იყო დაბალი, რომ ტალახში მომიხდებოდა წოლა. ნავში შეიძლებოდა ღამის გათევა, მაგრამ იმ საძაგელ მენავეთა მეზობლობა უფრო გულს მირევდა, ვიდრე ადგილობრივ მცხოვრებთა მეზობლობა ტავიანთი ცხენებითა და ძაღლებით. ამიტომ ტავგანწირვით შევბრუნდი უკან იმ წამებულთა მსგავსად, რომელთაც ველურ მხეცებს უგდებენ შესაჭმელად. შესაძლებელი რომ ყოფილიყო მუშაობა, წერა, კითხა... მაგრამ არც მაგიდა იყო არ საწერ-კალამი, არც მელანი. შუქი მხოლოდ კერის ცეცხლიდან მოდიოდა, ესე იგი ქვემოდან, და შეუძლებელი იყო რამის დანახვა. ჩვენი კუნძი ბალიშად ამოვიდე, ფეხები ცეცხკლისკენ გავჭიმეთ და ყაბალახივით შევიხვიეთ და შევეცადეთ დაგვეძინა. მაგრამ ვიდრე მაგრად ჩამეძინებოდა, მილულუ თვალებში რამდენჯერმე მომხვად ერთი ახალციხელი თათრის წითელი ოქროს ირმიანი ყაბალახი. უნდა გენახათ როგორი წითელი იყო! რომ დავხუწავდი უფრო მეტად მჭრიდა თვალებს. აღარ მახსოვს, ვინა თქვა, წითელი ფერი სხვა ფერთა შორის იგივეა, რაც საყვრი სხვა საკრავთა შორისო, მაგამ ეს კია, რომ იმ კაცს დიდი ჭეშმარიტება უთქვამს. თათრის წითელი ყაბალახი ოქროს ირმით ჩემს თვალებში ნამდვილ ბუქ-ნაღარას სცემდა. ავდექი და მას ჩემი ერთი საბანი შევთავაზე. საბედნიეროდ სიამოვნებით მიიღო. საბანი რუხი ფერისა იყო, თავზე წამოიხუირა და სიბნელეში აირია. ამ დროს ერთი კაცი შემოვიდა, ხელში ქათამი ეჭირა. სხვაგან ეს ეპიზოდი ძალიან უმნიშვნელდ მოგვეჩვენებოდა, მაგრამ აქ მთელო მოვლენა იყო. როგორც კი ქათამმა დაიკაკან ყველამ ტავი წამოყო. იმ უბედურმა ქათამმა დაინტერესა ყველა, ჩვენს, იხვის პატრონებს გარდა. წითელ ყაბალხიანმა კაცმა, რომელიც თვადის წასვლის სემდეგ აქ ყველაზე

მნიშვნელოვან პიოვბნებად ითვლებოდა, რასაკვირველია ყველაზე დიდი საფასური გამოიღო, და ქათამიც მას ერგო. მან ქათამს კისერი კუნძზე დაუდო და ხნჯლის ერთი დაკვრით თავი წააგდებინა. ერთ წუთში გამიელვა, ველურივით ბუმბულიანს ხომ არ შეჭამს-მეთქი, მგრამ შევცდი. თათარი ერთი წუთით თითქოს დაფიქრდა, როგორი საწებლით გაეკეთებინა ქათამი, მაგრამ გადაიფიქრა და გადაწყვიტა შეეწვა. დაუწყო ბუმბულის გაცლა, მაგრამეს არ ისე ადვილი აღმოჩნდა, რადგანაც ეტყოვბოდა, რომ ქათამი არ იყო პატარა ხნისა. მაშინ თათარმა დედაბერს დაუძახა, მაგრამ დედაბერი არარ ჩანდა. საბრალო გარეთ გასულიყო და იქ თოვლზე დაყრილ თივაზე დაგდებულიყო, თავი კი ხის კუნძზე დაედო. გარეთ სასტიკად ყინავდა, მაგრამ ეს დედაბერი სამწუხაროდ ისეთი ბინძური იყო, რომ გამბედაობა არ მეყო მისთვის იგივე გამეკეთებინა, რაც რუს ოფიცერს გავუკეთე: ჩემი ქურქი და ფაფახი მიმეცა. დამავიწყდა მეთქვა, რომ კაპიტანმა კუპსკიმ სიტყვას არ უღალატა და ჩემი ქურქი და ფაფახი ქუთაისის პსტის სადგურში დამირტოვა.

ქათამი როგორც იყო გაპუტეს, გამოშიგნეს და მოხარშეს იმავე წყალში, რომელშიაც ბუმბულის გასაცლელად ჩადსე. ან რა საჭირო იყო წყლის გამოცვლა, როცა თვით ქათამი იგივე იყო. ამაოდ ვეძებდი რაიმე შემთხვევას, რათა რამდენადაც შევძლებდი კიდევ მეფხიზლა. ყველას ეძინა და ზოგიერთის ხვრინვა მოწმობდა, რომ ისინი ამ სასიამოვნო საქმეს კეთილსინდისიერად ასრულებდნენ.

თავი LI
ფაზისის შესართავები

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დამღლელი ღამე მთელ ჩემს მოგზაურობაში. ძნელი წარმოსდაგენია, რაოდენ ზანტათ მიდიან საათები, ნახევარსაათები ცარექსაათები, წუთები და წამებიც ასეთი რამის განმავლობაში. ყველას ეძინა ჩემ გარდა, მაშინ, როცა დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს ვიდექი და ძილისთვის თავი მიკვდებოდ. მგონი ცხრაჯერ მაინც ავდექი და კარში გავიხედ, ხომ არ გათენდა-მეთქი. დედაბერს ისე მაგრად ეძინა თივაზე, როგორც რომელიმე ჰერცოგის მეუღლეს თავის რბილ ლოგინში. ოთხი სათი იქბნებოდა რომ ტათარმა გაიღვიძა, საათი ამიღო და ტავისისამი თანამგზავრიც გააღვიძა. მე კი იმის შესაძლებლობაც არ მქონდა, რომ დროის მსვლელობით მენუგეშებინა თავი: როგორც გახსიოვთ, ჩემი საათი კალინოს გულმოდგინე ძებნის მიუხედავთ, აქსუსის ტყეებში დარჩა. როგორც კი დავინახე, რომ თათარმა გაიღვიძა, მეც გავაღვიძე გრიგოლი და ნავებთან გავგზავნე, რომ ჩვენი კაცებისთვის მეთქვა მომზადებულიყვნენ. ისინი ისე მიწოლილიყვნენ ერთმანეთზე, როგორც ხბოები ბაზარზე. ერთმა თვალი გახილა, ცას შეხედა და უპახა:

ორ საათში წავალთ. მანამდე არ გათენდება, ღამით კი რიონი სახიფათოა. მე კარგად ვიცნობდი მათ, რათა ძალა დამეტანებინა. ორი საათი კიდევ უნდა მევადა. მაგრამ ეტყობოდა, დილის ოთხი საათი იქაურობისთვის გაღვიძევბის დრო იყო. ყველა იფერთხებოდა, იზმორებოდა, ამთქნაებდა და ნამძინარევი თვალებით აქეთ-იქით იყურებოდა. ფეხ მორთხმულმა თათარმა ხელმანდილი გახსნა და სანამ ერთ-ერთი ამხანაგი პურს ანაწილებდა, ისე მოხერხებულად დაუწყო ქათამს ხელით გლეჯა, რომ ეტყობოდა, ნაჩვევი იყო ამ საქმიანობას. როცა ქათამი იმდენ ნაწილად გაყვეს, რამდენი კაციც იყო, შიშით შევნიშნე, რომ ერთ მოზრდილ ნაჭერ პურთან თათარმა ფრთა და ერთი საუკეთესო ნაჭერი გადასდო. გუმანით მივხვდი, ამ ულუფაზე ასეთი განსაკუთრებული ზრუნვა იმით არის გამოწვეული, რომ იგი ჩემთვის არის განკუთვნილი-მეთქი, და ამ აზრმა ჟრუიანტელი მომგვარა. არც შემცდარვარ: თურქმა ხელი გამოსწია და თავაზიანი ღიმილით გამომიწოდა თავისი საუზმის ნაწილი. ლუკა და მისი თევზი მომაგონდა და უზხრდელობად რომ არ ჩამომრთმეოდა საუზმე გამოვართვი, მაგრამ ვცდილობდი დამევიწყა, მომზადების რა პროცესი ჰქონდა გავლილი ამ კერძს. მარდად შეუდექი ჭამას. ჩვენი ევროპელი გულაზიზობის ბრალი იყო, რომ პირველი ლუკმა ძლივს გადავიდა ყელში. მაგრამ შემდეგ ლუკმებს ბევრად უფრო ადვილად ვყლაპავდი. გადჭრით

უნდა ითქვას, რომ გაცილებით მეტი დრო და შრომაა საჭირო, რათა ის ქმნილება, რომელიც თვაის თავს ღვთის მსგავსებას უწოდებს, ცხოველიდან ადამიანად გადაიქცეს, ვიდრე ეს საჭიროა, რატა იგი ადამინიდან ცხოველმდე დაქვეითდეს. ბოლოს იმით გათავდა რომ საშინლად დამშეულს ქათმიც და პურიც ძალიან გემრიელი მეჩვენა.

ამ დროს კიდევ ერთი კაცი შემოვიდა, მაგრამ მას ქათამი არა ჰქონდა ხელში. - ღვინით სავსე ჩაფი ეჭირა. ერთხელ უკვე ვახსენე საუცხოო მსუბუქი მეგრული ღვინო, რომელიც მოლითის სადურზე დავლიე. ახლა თათარს მივბაზძე: კაცს ღვინო ჩამოვართვი, ხოლო შემდეგ მაინც მივსდიე მოცემულ ფილანტროფულ მაგალითს იმ მიზნით. რომ საზოგადოებისათვის სამსახური გამეწია. საუბედუროდ საზოგადოების ნახევარი თათრები იყვნენ და მათ ზრდილობიანთ უარი თქვეს ღვინოზე. საზოგადოების მეორე ნახევარმა კი სიამოვნებით მიიღო სასმელი. შემდეგ მეორე და მესამე ჩაფიც მოვითხოვე. მე საერთოდ ღვინოს არ ვსვა, მაგრამ ამ ჯერად კარგ გამოთრობაზე უარს არ ვიტყოდი. გავიდა ერთი საათი. ჩემი ჩაფი მარტო მე გამოვცვალე, მაგრამ ისე ვიყავი ვითომც წყალი დამელიოს. ოღონდ ეს კია რომ ძალზე გავმხიარულდი. ამ ერთი საათის განმავლობაში ჩვენმა თათარმა, რომელიც ახალციხელი ხორბლის ვაჭარი ყოფილიყო, და მისმა კაცებმა, ცხენები შეკაზმეს და იარაღი აისხეს, რამაც მათ მრისხანე იერი მისცა. განსაკუთრებით მრისხანე სახე ჰქონდა მათ უფროსს, რომელსაც ეკეთა ხანჯალი, ხმალი, დამბაჩა სპილოს ძვლითა და სადაფით ოსტატურად მოჭედილი კონდახით, ზურგზე კი საათის ქანქარის მსგავსად ნამგლის ფორმის რარაც იარაღი ჰქონდა გადაგდებული. საფრანგეთში ის უსათუოდ მაგრამ, აქ, სამეგრელოში, რაკი მას თავდაცვის ჭეშმარიტ გადაწყვეტილებას მიაწერდნენ, ნამდვილად მრისხანე იყო და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ასეთსავე შთაბეჭდილებას დასტობევდა ყვეაზე, ვინ ც თავდასხმას გაუბედავდაა. თათარი ფოთში მიდოდა და იქ ერთმანეთს შეხვედრას დავპირდით. ის თავისი კაცებით ცხენზე შეჯდა და ერთ წუთსი უკვე შორს იყო. ყველლა ჩიტი მიფრინავდა რიგრიგობით, მხოლოდ სამი ჭოტიღა იყო დარჩენილი, რომელთაც ვერაფრით გადაეწყვიტათ გაფერნა. ბოლოს გათენდა კიდეც. როგორც იქნა, ნავში ცავსხედით და კინაღამ კისერი მოვიტეხეთ. ამჯერად, რადგანაც არ ვიცოდი, რომელ საათზე ჩავდიოდით ფოთში, პური და ღვინო ვიყიდე, ასე რომ სურსათით უზრუნველყოფუილი ვიყავით, მაგრამ ერთგვარად მაინც ვღელავდით, რადგანაც მანამდე განზრახული გვქონდა ფოთში 21-ში დილით ჩასვლა, ხოლო უკვე 22 იყო, ჩვენ კი საღამომდე ვერ მოვახერხებდით ჩასვლას. შესაძლებელია თავადი ბარიატინსკი ჯერ არ იყო ჩამოსული, გემი კი ნამდვილად წასული იქნებოდა. ამაზე ფრქრისაც მეშინოდა, როცა წარმოვიდგენდი, როგორ შეწუხდებოდა მუანე, რომელიც ასე ჩქარობდა საფრანგეთში დაბრუუნებას. გზაზე არა ერთხელ გვითხრეს, რომ გემის მისვლა-მოსვლა ზუსტად დანიშნულ ადგილას არ ხდება, და თუმცა გამოცხადებულია 21 რიცხვი, შესაძლებელია გემი 22-ში მოვიდეს 23-ში უკან გაბრუნდესო. ეს ჰიპოთეზა საშუალებას გვაძლევდა გემისთვის მიგვესწრო. მუანე კი ირწმუნებოდა, ჩემს ჯიბრზე სწორედ ახლა მოვა გემი დროზეო. და თუმცა ვცდილობდი ეს აზრი გამექარწყლებინა, სადღაც გულისსიღრმეში მეც ვშიშობდი, რომ ასე მოხდებოდა. ჩვენმა მენავეებმა კი, რომლებიც წინა დღეს გვარწმუნებდნენ, დილის ათ საათზე ფოთში ვიქნებითო, ახლა თითქოს ჩვენდა გამოსაჯავრებლად გამოგვიცხადეს, ქარი არ გვიწყობს ხელს და ალბათ, ორ საათამდე შეგვაგვიანდებაო. უკვე ვიცოდით, რომ მათთვის რამის თქმა ამაო შრომა იყო, რადგანაც კიდევაც რომ გვეთხოვა, ზედმეტად ერთხელც არ მოიქნევდნენ ნიჩაბს ჩვენი გულისთვის. გარდა ამისა, მთელი ღამის უძინარი ვიყავი, ტანში მამტვრევდა და ამოდ ვცდილობდი დილის სუსხში გათბობას. ამიტომ ყველას ტავი მივანებე და გადავწყვირტე, დაე, იბურდღინოს მუანემ, მენავეებმა როგორც უნდათ, ისე წაიყვანონ ნავი, გრიგოლამ კი დაუტენავი თოფით ხოცოს იხვები-მეთქი, - რადგანაც მას უკვე გაუთავდა საფანტი. ამ შეჩვენებულ ფრინველებსაც, რომელიც დედამიწის ქმნილებათა შორის დიდი გონიერებით არ გამოირჩევიან, თითქოს ესმოდათ, რომ ლაპარაკის მეტი არაფერი ძალგვიძს და იმის მაგივრად, რომ გუშინდელივით შორს ეფრინათ ჩვენგან, იქვე ნავღთან ჭყუმპალაობდნენ. ხან ჩამწკრივდებოდნენ და როცა ჩავივლიდით ყელმოღერებული ცნობისმოყვარეობით შეგცქეროდნენ. მშვენიერი თეთრი ყანჩებიც, რომლებიც თავისი ფრთებით ჩვენი ოფიცრებისა

და მანდილოსნების ქუდებს ამარაგებნ, უეჭველია გუმანით მიხვდნენ, რომ სრულიად უვნებელი ვიყავით და ნაპირის გასწვრივ მოსდევდნენ ნავს თავიანთი გრძელი ფეხებით, უსწრებდნენ და თითქოს ნიშნის მოგებით გვეუბნებოდმნენ, რომ მოვინდომოთ, თქვენზე ადრე ჩავალთ ფოთში, ისე, რომ ფრთებიც არ დაგვჭირდებაო.

ნავი ისე აუჩქარებად მიდიოდა, გეგონებიოდათ მენავეებმა გაზრახ შეკრეგს პირობა გემზე აგვაგვიანონო. მითუმეტეს მომდიოდა გული, რომ ასეთ ლამაზ ადგილებში მივდიოდით. მუანე კი უგუნებობის გამო სრულ გულგრილობას იჩენდა. მარცხნივ მოჩანდა მაღალი თოვლიანი მთების თვალწარმტაცი მოხაზულობა და მზის პირველი სხივები მათ ვარდისფრად ღებავდა, როგორც სამყაროს სექმნის პირველ დღეს. გარდა ამისა, ფაზისი ორთავე მხარეს ყეები გახშირდა და გადაიქცა ხშირტევად, სადაც ეტყობოდა, ყველანაირი ჯიშის ფრინველი თუ ცხოველი ირეოდა. სხვა დროს ჩვენი მხატვარი ხელიდან ფანქარს არ გაუშვებდა და ბევრ რამეს ჩაიხატავდა. მე კი სრულიად არ მჭირდებოდა რამის ჩაწერა, ყველაფერს ვხედავდი და ყველაფერი მეხსიერებაში მრჩებოდა. ყოველივე სდუმს რიონის ნაპირებზე, როგორც სდუმს თვითონ ისტორიაც. უკეთესია მას ფაზისი ერქვას, რატა იგი გაანათოს ანტიკურობის სხივმა, რომელიც სამი ათასი წლის წინათ ბრწყინავდა. ბოლოს მზე კარგად ამოიწვერა, ჩვენც წამოვწექით მისი თბილი სხივების ქვეშ და ნელ-ნელა გამოვედით გაბრუებული მდგომარეობიდან. მარნიდან გადმოსვლის შემდეგ ერთადერთი ნავი შეგვხვდა. მაში სხდომ ხალხს ვკითხეთ, რამდენი ვერსი იყო კიდევ ფოტამდე ოცდაათიო, გვითხრეს, ესე იგი შვიდი ლიე. ერთ საათში ერთი ლიე გავიარეთ, ესე იგი შვიდ ლიეს შვიდ საათს მოუნდებოდით. ფოთში ნაშუადღევის სამ-ოთხ საათზე ადრე ვერ ჩავიდოდით. აჰ, როგორ ვნატრობდი ჩემს ტარანტასს, მეეტლეებს, რომლებიც შეგიძლია დასაჯო ნელი სიარულისთვის, იმ ხევებს, ზვავივით რომ ჩავეშვებოდით ხოლმე, იმ ხრეშოვან გიჟმაჟ მდინარეებს, რომლებზეც უვნებლად გადავდიოდით და თვით ნოღაის სტეპების იმ ქვიშის ზღვებს, რომელთაც ნაპირი მაინც ჰქონდათ. აქ კი, ამ პოეტური სახელწოდების მდინარეზე, ასეთი პატარა დინებით, ჩვენ უნდა მივყოლოდით ორი უნდუილი მენავის ნებას, რომლებიც ერთსა და იმავე დროს უძლურების სიმბოლოც და განსახიერებაც იყვნენ. ამასობაში საათები გადიოდა. მზემ, რომლის ამოსვლაც კარგად ვნახეთ, ზენითს მიაღწია და დასავლეთისკენ გადაიწვერა. მაგრამ ის მაინც შუქს ჰფენდა იმავე პეიზაჟს: საუცხოო მთესბ და გაუვალ უდაბურ ტყეებს. მე ახლა უკვე უპირატესობას ვანიჭებდი ვუარას უსწორმასწორო ნაპირებს. ბოლოს, ასე სამი საათისთვის ფაზისის უზარმაზარ შესართავს იქით, , - დილიდან მოყოლებული მდინარე თვალსაჩინოთ ფართოვდებოდა, ფართო ველი, ანუ უფრო სწორად დიდი წაობი შევამჩნიეთ, რომელსაც გარშემო ლერწამი ჰქონდა შემოვლებული. სღვას ჯერ თვალით ვერ ვხედავდით, მაგრამ უკვე იგრძნობოდა მისი სიახლოვე. მარცხნივ მკვეთრად მოუხიეთ და შევედით არხში, რომელიც გარს უხვევდა კუნძულს და აერთებდა ფაზისის ორივე მკლავს. ამ არხზე უფრო ლამაზი არაფერი მინახავს, ზამთარშიც კი. მას ორივე მხარეს ხეივანი დაჰყვება. საუცხოო ფორმის ხეები მასზე მიმავალი ნავების თავზე ერთმანეთს აკვანივით ტოტებით ეხლართებიან. მალე ერთ ტბაში სევედით და წინ, ასე ერთი ვერსის მანძილზე გემის ქანდარები დავინახე. სიხარულისაგან შევყვირეთ: გემი ჯერ არ იყო წასული. მაგრამ რაც უფრო წინ მივიწევდით, მით უფრო გაფაციცებით ვეძებდით ქანდარის ქვეშ მილს და მაშინღა მოვისაზრეთ, რომ ფოთი ხომ ზღვისპირა საპორტო ქალაქი იყო, ხოლო ამისთანა ქალაქში არ შეიძლებოდა მხოლოდ ერთი გემი მდგარიყო. მართლაც, მიახლოვებისას დავრწმუნდით, რომ ქანდარა ეკუთვნოდა არა გემს, არამედ ერთ 250 თუ 300 ტონიან მომცრო სავაჭრო ბრიქს. გემისა კი იმ არემარეში, სადაც თვაი მიგვიწვდებოდა ხსენებაც არსად იყო. ერთი იმედიღა მრჩებოდა: სადღაც წაკითხული მქონდა, მგონი აპოლონიოს როდესელტან რომ ფაზისში ყოფილა მეჩეჩი, რომელიც ზოგიერთი წონის გემებისთვის დაუძლეველია. შესაძლებელია ჩვენი გემი ამ მეჩეჩს იქით დგას და მას რომელიმე სხვა წერტილიდან შევამჩნევთ-მეთქი. ამასობაში მოვიგონოთ, თუ რა სიზუსტით აღწერს „არგონავტების“ ავტორი ფაზისის შესართავს:

„არგონავტები არგუსის წინამძღოლობით, რომელიც იცნობდა ამ ადგილებს, ბოლოს მივიდნენ ევქსინის პონტის ყველაზე უფრო დაშორებულ კიდესთან და ფაზისის შესართავში ჩამოუშვეს აფრები, ჩამოსწიეს ქანდარები, მოხსნეს ანძა და ყველაფერი შიგ ხომალდში ჩაკეტეს. შემდეგ მდინარის არხში შევიდნენ, რომლის ქაფმნორეული ტალღები ჩუხჩუხით ნებდება გაორაგებულ ნიჩბვას. მარცხნივ აღიმართებოდა კავკასიონის მთა და მოჩნადა ქალაქი ეა. მარჯვნივ მდებარეობად მარსისადმი შეწირული ველი, სადაც მუხის ტოტზე ჩამოკიდებულ საწმისს მუდმივ ფხიზელი ურჩხული დარაჯობდა. მაშინ იაზონმა წმინდა ღვინით სავსე ფიალა აიღო, მდინარეს ღვინო შესწორირა და შესთხოვა იმ ქვეყნის მფარველ ღმერთებს მოწყალება მოეღოთ და ნება მიეცათ ნაპირზე ბედნიერების მომასწავებელი ნიშნით მიმდგარიყო. - ჩემო მეგობარნო, - თქვა ანეციუსმა, ჩვენ გამოვცურეთ ფაზისი და აი, კოლხეთში მოვედით. ახლა ყოველმა ჩვენგანმა განსაჯოს. ვცადოთ აიეტის წინაშე მოვიხმაროთ ხმა შეგონებისა, თუ არსებობს კიდევ სხვა საშუალება, რათა ჩვენი ოცნების საგანს მივახწიოთ. ვიდრე ის ლაპარაკობდა, იაზონმა არბუსის რჩევით ბრძანება გასცა, რომ ხომალდი გაეწიათ „მეზობლად მდებარე ჭაობში, რომელიც ხშირი ლერწმით იყო დაფარული“ იქ ღუზა ჩაუშვეს და გმირებმა ღამე ხომალდზე გაათიეს, თან მოუთმენლად მოელოდნენ განთიადს რომელმაც არა დააყოვნა გამოჩენა“.

ქალაქ ეას და მუხაზე ჩამოკიდებულ ოქროს საწმისს გარდა ეს ახწერა დღესაც ზუსტად ემთხევა სინამდვილეს. კავკასიონი იმავე ადგილზეა, მარსის ველი ეს არის ვრცელი მოედანი, რომელზეც დაშენებულია ფოთი. ტყე დღსაც ისეთივე ხშირია, როგორც იაზონის დროს იყო. ჩვენ გავიარეთ არხი და ფაზისის შესართავს რომ მუახლოვდით, ლერწმით დაფარული ჭაობი დავინახეთ, სადაც არგონავტებმა თავიანთი ხომალდი დამალეს. როგორ შეიძლება ეს იყოს ქუთაისი, როცა იგი ფაზისის შესართავს გამოჭყურებდა და იქიდან კარგად ჩანდა. მაგრამ ეს მე არ მეხება ძვირფასო მკითხველნო, მე არავარ მეცნიერი, უბრალოდ ყური მაქვს მოკრული ზოგ რამეზე. ამის შესახებ მიმართედ დანვილს.

ბოლოს ჩვენი კატარღა ნაპირს მიადგა. ერთ-ერთი მენავე მიწაზე გადახტა, ნავი ნაპირზე გაათრია, და როგორც იყო, ფეხი გადავდგი ესოდენ სასურველ ფოთის ნახევარ კუნძულზე, სადაც უპირვლესყოვლისა, მუხლებამდე ლამში ჩავიფალით. მაშინვე გემი მოვიკითხეთ. აღმოჩნდა, რომ იგი მოსულიყო 20-ში და წასულიყო 21-ში ესე იგი ჩვენი ჩამოსვლის წინა დღით. ახლა მხოლოდ მაღალ ღმრთზე იყო დამოკიდებული, როდის დავხწევდით ფოთს თავს. მე თავჩაქინდრულმა გავწიე ქალაქისაკენ, რომლიც შედგებოდა ათი თუ თორმეტი სახლისაგან მუანესთვის სახეში შეხედვას ვერ ვბედავდი.

თავი LII
ფოთი, ზღვისპირა პორტის ქალაქი

მაგრამ თავდახრილი სიარული არ ყოფილა ცუდი, რადგანაც ძალანუნებურად ფეხებში ვიყურებოდი. არ ვიცი, როგორი იყო მარსის ველი იაზონის დროს, მაგრამ ახლა ეს იყო მღელვარე ტალახის ჭაობი, რომელშიაც უსათუოდ ყელთამდის ჩაიძირებოდი, ნახევარი საათი რომ ერთ ადგილზე მდგარიყავი. ერთ თხრილზე გადასახტომად თვალები ავწიე და ჩემნ წინ ვარდისფერი თავადი დავინახე მისი მსახურითა და კაცებით. მაგრამ ღმერთო ჩემო რა მოსვლოდა მის მშვენიერ თეთრ ჩოხას? იგი მთლიანად აჭრელებულიყო ტალახისაგან. ეს უკვე აღარ იყო ჩვენი ლამაზი ვარდისფერი თავადი ფერიების ზღაპრიდან, ახლა ეს იყო თვადი ლეოპარდი. ის ძალზე შეწუხებული იყო, რომ გემზე არ აღმოჩნდა ბარიატინსკი. მაგრამ ერთი რამით მაინც ინუგეშებდა თავს: ბარიატინსკი დანიშნულ დღეს რომ ჩამოსულიყო, ჩემს აქ ჩამოსვლამდე ფოთიდან წავიდოდაო. ჩვენი ნახვა ძალიან გაეხარდა, შემდეგი გემის მოსვლამდე, რასაცკლვირევლია, ყველანი ერთად უნდა ვყოფილიყავით. ვატყობდი, ფოთში დიდი გართობა არ გველოდა. მე ვკითხე მშვიდობიანად იმოგზაურეთ თუ არა, და რომელ

საათზე ჩამოხვედით მეთქი. საღამოს თერთმეტ სათზე ჩამოსულიოყო თვითონ და მისი მსახური ცხენებით, მისი სამი კაცი კი ფეხით.

-ცხენები ვერ იშოვეთ თქვენი კაცებისთვის? - ვკითხე მე.

-არ ვიცი, იყო თუ არა, მაგრამ რომ ყოფილიყო კიდეც მაინც არ მოინდომებდნენ ცხენს.

-რატომ? - ჩავეკითხე მე.

-იმიტომ , რომ ფეხით სიარული მათი ბეგარაა.

მე ვერ მივუხვდი ხეირიანად ამ გამოთქმას და ვთხოვე აეხსნა რას ნიშნავდა ეს ბეგარა.

თავადებს თავის გარშემო განსაზღვრული რიცხვი ჰყავთ ვასალებისა, რომლებიც გარდა საადგილმამულო გამოსაღებისა და გადასახადებისა, ვალდებულნი არიან კიდევ პირადად მოემსახურონ ბატონს. ზოგმა ცხენით უნდა სდიოს თავადს, ეს მათი ბეგარაა, ზოგიც ვალდებიულია ფეხით სდიოს და ესეც მათი ბეგარაა. ზოგმა თითო ფეხის ჩექმა უნდა შეუკეროს, ზოგმაც ბუზები გაურეკოს, ჭამის დროს. ზოგნი ფეხებს ფხანენ ძილის წინ, და ეს ყველაფერი მათი ბეგარაა. ვინც დანიშნულია ცხენით გასაყოლად, მას ფეხით ვერ წაიყვან და ვერაფრით ვერ შესვავ ცხენზე იმას ვინც ვალდებულია ქვეითად მისდევდეს ბატონს ვერავიტარ შემთხვევაში ვერ დააძლაებ მეჩექმეს შეკეროს მარცხენა ფეხის ჩექმა, თუ ის მარჯვენისას კერავს და პირუკუ. ვერც მუქარით, ვერც სასჯელით ვერ აიძულებ ბუზების გამრეკს ფეხების მოფხანას და ვერც ფეხის მომფხანს გაარეკინებ ბუზს. ამ თავადს ბუზების კამრეკის გარდა რადგანაც ზამთარიიყო, - სხვა ყველა თან ჰყვადა წამოყვანილი.

სამეგრელოსა და იმერეთში, სადაც ეტლით სასიარულო გზები არ არსებობს, ქალები მამაკაცებვით ცხენით დადიან ფართო წამოსასხავებით, იმის მიხედვით, თუ რომელ წოდებას ეკუთვნიან. თავად დადიანის წამოსასხამი, რომელიც მე პატივი მქონდა პეტერბურგში მენახა, წითელი იყო. ქალებსაც მამაკაცებივით ჰყავდათ შინაყმებისა, ბაზიერებისა, ცხენოსანთა და ქვეითიმსახურებისაგან შემდგარი საკუთარი ამალა. თავადის მეუღლის ამალაში ჩვეულებრივად შედიან ხუცესი, ორი სეფექალი და ხუთი-ექვსი როგორც ქვეითი, ისე ცხენოსანი კაცი. თუ საჭირო გახდა მღვდელიც თოფს ისვრის. მთავარ დადიანის მეუღლეს ჰყავდა თორმეტი სეფექალი, რომლებიც თითქმის ყოველთვის თან დაჰყვებოდ\ნენ. ამას გარდა მას ჰქონდა ორი რეზიდენცია: ზამთრისა-ზუგდიდი და ზაფხულისა-გორდი. სამეგრელო იყო პატარა სამთავრო, რომელიც შეიცავდა 30. 000 ოჯახს დაახლოებით 120.000 ცხოვრებით. ამას უნდა მიუმატოთ აგრეთვე სვანეთის პატარა ნაწილი, რომელსაც სადადიანო ერქვა. სვანეთის მეორე ნაწილს ეწოდება თავისუფალი სვანეთი, მესამე ნაწილი არის თავად დადეშქელიანის სვანეთი. ერთ ერთი დადეშქელიანი იყო, ამ ორი-სამი წლის წინათ რომ ქუთაის გუბერნატორი თავადი გაგარინი მოკლა. კავკასიის ამ ნაწილში, რომელიც იალბუზს ემიჯნება, სასტიკი ზნე-ჩვეულებები მეფობენ. ერთმა თავადმა დადეშქელიანმა სამაგიერიოს გადახდის მიზნით თავისი ბიძაშვილის სახლს ღამით ცეცხლი წაუკიდა. ხანძრის დროს სახლში დაიწვა ამ უკანასკნელის ბებია. მხოლოდღა მეორე დღეს მოაგონდა თავადს, რომ მისი პტრის ბებია მისი ბებიაც იყო, მაგრამრაღას გააწყობდა, სვანებს მხოლოდ მთებში შეუძლიათ ცხოვრება. რუსებმა სცადეს მათგან მილიცია შეექმნათ, მაგრამ როგორცკი სვანები ბარში ჩამოვიდნენ, დასნეულდნენ და დაიხოცნენ. მათ შემოინახეს ქრისტიანული გადმოცემები. რუსებმა ბევრი მათგანი მონათლეს. ფიქრობენ, რომ თამარ მეფე დაკრძალულია ერთ-ერთ მათ საყდარში. სამეგრელოსა და აფხაზეთს შუა მდებარეობს პატარა თავისუფალი მხარე, სახელად სამურზაყანო რომელიც დაახლოებით ორიათას კომლს შეიცავს. იქ შემონახულია სისხლის აღების ჩვეულება მთელი თავისი სიძლიერით. რამდენიმე წლის წინათ ერთმა იქაურმა ხანში შესულმა თავადმა ახალაგზარდა ქალი შეირთო. მაგრამ მას ჰყვადა თითქმის მისი ცოლის

ტოლი ვაჟიშვილი, რომელსაც დონ-კარლოსივით თავისი დედინაცვალი შეუყვარდა. ამბობენ, რომ არც ქალი იყო გულგრილი გერისადმი. მოხუც თავადს სისხლის აღრევის საშიშროება შეატყობინეს და მან თავისი ცოლი მამის ოჯახში დააბრუნა. ამ შეურაცწყოფამ შურისძიება გამოიწვია. ეს მოხდა დაახლოებით სამი წლის წინათ. მოხუცი თავადი, მისი ცოლი და ვაჟი ახლაც ცოცხლები არიან, მაგრამ ორივე მხრიდან უკვე ოცდათოთხმეტი კაცია დახოცილი. სამეგრელოს მეორე გვერდით მდებარეობს გურია, რომლის ნახევარი რუსებს ეკუთვნის, ნახევარი კი თურქებს. რუსული ნაწილის მცხოვრებნი ატარებენ ყაბალახს და სამხედრო ფარაჯას. ესენი კავკასიის ტიროლელები არიან, ფალსეტით მღერიან და მათი ხმის რაკარაკი შვეიცარულ სიმღერას ჰგავს. თურქული ნაწილი ცხადია, მტრულ დამოკიდებულებაშია მეორე ნაწილთან. ამის შედეგად უახლოეს ნათესავებს ერთმანეთი სძულთ და ერთმანეთს ეომებიან.

სამეგრელოს უკანასკნელი მთვარის თავად დადიანის სიცოცხლეში პასექის დიდ დღესასწაულს სავსებით ფეოდალურ ყაიდაზე უქმობდნენ. მთავარი იწვევდა თავის ფეოდალებს და სამი დღის განმავლობაში ყველა ერთად კლხინობდა ფანჩატურებში თურქული წესით. თვითონ თავადები შუა ადგილებს იჭერდნენ, გარშემო ტალავერში სხდებოდნენ კარის დიდებულნი და სხვა წარჩინებული პირნი ანის შემდეგ მოდიოდა ვასალთა წრე, შემდეგ კი სხვადასხვა კატეგორიის გლეხები. თვითეულს რა რანგისაც არ უნდა ყოფილიყო ის, მოჰქონდა თავისი პური, ღვინო და ხორცი. ლხინი იაფი ჯდებოდა და კარგადაც ატარებდნენ დროს. ეწყობოდა ჭიდაობა, ბრძოლა, სირბილი, დოღი. მთელი სამეგრელო ქ ალი თუ კაცი საუკეთესო ტანისამოსით მოდიოდა დღესასწაულზე. როგორც უკვე ვთქვით, მეგრელი ქამები, მეტადრე ქერა-შავთვალა და შავგრემანი-ცისფერთვალა ქალები ულამაზესი არსებანი არიან დედამიწის ზურგზე.

საუცხოო სანახაობა წარმოადგენს თვადათა დაკრძალვას. თუ კაცი მოკლეს ომში, ანდა იარაღით ხელში, მაშინ მასთან მიდის დეპუტაცია და ულოცავს სახელოვან სიკვდილს. შემდეგ ულოცავენ ჭირისუფალს. დიდხანს გრძელდება ტირილი და გოდება. ქერივები, გარდა თვადებისა და სხვა დიდებულთა, ხანდახან მთელ თავის სიცოცხლეს ძაძებს ატარებენ. როცა უკანასკნელი დადიანი გარდაიცვალა, ყველა ნათესავი და მეგობარი სათითაოდ შედიოდა საყდარში, ტიროდა, მოსთქვამდა, მკერდში ხელს ირტყავდა, ტანისამოსს იხევდა, ერთი სიტყვით, რაც კი შეეძლო ყველა ნიშანს გამოხატავდა მწუხარებისას. მომტირალს ორივე მხრიდან კაცები იჭერენ, რადგანაც იგულისხმნება, რომ ის მწუხარებისაგან ფეხზე ძლივს დგას.

შარდენმა სპარსეთსა და კავკასიაში ორი საუკუნის წინათ იმოგზაურა, მაგრამ დღევანდელი სამეგრელო თითქმის ისეთივეა, როგორც შარდენის აღწერილი. იგი მოგვითხროსბს, რომ მის დროს სამეგრელოს ელჩი კონსტანტინეპოლში ჩავიდა ამალით, რომელშიც ორასი ყმა შედიოდა, და ეს ეჩი თურქეთის სატახტო ქალაქში მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა. სამეგრელოს ელჩი თავისი ამალის კაცებს ყოველ ნაბიჯზე ჰყიდდა იმდენად, რომ უკან დაბრუნებისას სამი თუ ოთხი კაციღა დარჩა ხელზე მოსამსახურედ. შარდენი დასძენს, იგივე მეგრელმა ელჩმა ერთ სათამაშოების მოვაჭრესთან პატარა საყვირი დაინახა, რომლის ხმა სასიამოვნო და საოცარი ეჩვენა, იყიდა და ბაზრიდან სახლში დაკვრით დაბრუნდაო. კავალერმა გამბამ, რომლის და ახლაც ცოცხალი და სამეგრელოში დიდ მამულებს ფლობს, იმავე გზით იმოგზაურა კავკასიაში 1817-1819 წლებში, რომლითაც მე ვიმოგზაურე 1858-1859 წლებში, ოღონდ იგი ფოთიდან ბაქოში და იქიდან ყიზლარში წავიდა, მე კი, პირიქით, ყიზლარიდან ბაქომდე ვიმოგზაურე, იქიდან კი ფოთში მოვედი. ის გვიამბობს, რომ ერთი გურული თვადი ახტაცებაში მოიყვანა გერმანულ მსახიობთა წარმოდგენამ და მათ ასი დესეტინი მიწა და თორმეტი ყმა უბოძა იმ პირობით, რომ კვუირაში სამჰერ მის ეზოში წარმოდგენა გაემართად და თოკზე სიარული შეესწავლათ იმ ყმებისთვის, რომლებიც ამ საქმეში თავს გამოიჩენდნენ.

მე გავერთე ლაქლაქით და სრულიად დამავიწყდა, სად შევჩერდით. ჰო, უკვე მოგახსენეთ, რომ შევხვდით ჩვენს კეთილ ვარდისფერ თვადს, რომელიც ჭრელ თავად გადაქცეულიყო.

თავი LIII
აკობის სასტუმრო

წინა დღით ჩამოსულ თავადს უკვე ეშოვა ოთახი ერთი მეყაზბის დუქანში, -ვერ გეტყვით რომელ ქუჩაზე, რადგანაც ფოთში ქუჩები არ არის, -რომლის ხის ბარაკი ფაზისის ნაპირიდან ასი ნაბიჯის მანძილზე იდგა. მეყაზბეს კიდევ ერთი თავისუფალი ოთახი ჰქონდა, რომელიც მარტო მე მეყოფოდა, რადგანაც მუშაობასვაპირებდი. მუანეს თავადი თავის ოთახში დაიყენებდა, გრიგოლი კი სადმე იშოვიდა ბინას, ის ხომ ტავის ქვეყანაში იყო. ყასაბმა ახალგაზრდა ლამაზმა ვაჟკავმა, რომელიც კარებთან ისე სდარაჯობდა მოგზაურთ, როგორც ობობა ბუზებს თავის ქსელში, დაენახა, რომ ნაპირზე თავადს ველაპარაკებოდით, მოგვიახლოვდა ხელში წოპიანი ფაფახით და გვთხოვა მასთან გავჩერებულიყავით. მე უსათუოდ მინდოდა, რომ გრიგოლი წინასწარვე შესთანხმებოდა მას ფასზე, რადგანაც დიდი შიში მაქვს ასეთი ბარაკებისა. არა მარტო იმიტომ, რომ იქ ჩვეულებრივად ბევრად უარესია, ვიდრე წესიერ სასტუმროში, არამედ იმიტომაც , რომ იქ ცხოვრება ზალიან ძვირია. გრიგოლმა მიპასუხა, ეს ამაო სიფრთხილეა, რადგანაც ქართველი კაცი არ იკადრებს ჩვენი ნდობის ბოროტად გამოყენებასაო. ეს იყო მისი სიზარმაცის მეორე გამოვლინება მარქანს შემდეგ, მაგრამ ამისი შედეგი ბევრად უარესი იყო, ვიდრე პირველისა. ინდა ითქვას, რომ მენავეებიც ძასლიან ჩქარობდნენ უკან დაბრუნებას და გვაჩქარებდნენ აგვერჩია ადგილი ჩვენი ცამეტი სკივრის გადმოსალაგებლად. ხუმრობა საქმე როდი იყო მათი გადმოტვირთვა! და აი, ჩვენი მომავალი ბინისაკენ გავემართეთ თავად სოლომონ ინგერაძის მეთაურობით. შევატყვე, რომ როცა მას ტავად სოლომონს ვეძახდი, გრიგოლი უბრალოდ სოლომონს უწოდებდა. უწინაც შემიმჩნევია ასეთი ფამილარული დამოკიდებულება დაბალსა და მაღალ წოდებას შორის და ყოველთვის მიკვირდა ეს.

ჩვენ მივდიოდით დიდი სიფრთხილით და ვუვლიდით წრეს, როგორც ცხენი, რომელსაც დოღისთვის ამზადებენ, გადავდიოდით ღელეებზე გადებული ბოგირებით და ასეთი კლაკნილებით თითქმის მეოთხედი მილი გავაკეთეთ იმისთვის, რომ პირდაპირი ხაზით ასი ნაბიჯის მანძილი გაგვეარა. ამ უზარმაზარ გუბეში ღორები დაღრუტუნებდნენ. ფოთს, საერთოდ, შეიძლება უწოდოთ ღორების მიწიერი სამოთხე. ყოველ ნაბიჯზე იძულებული ვიყავით, ფეხით ან მათრახით მოგვეგერიებინა ისინი. ღორი ღრუტუნით გვშორდებოდა და თითქოს გვეუბნებოდა, თქვენ აქ რა გინდათ, ხომ ხედავთ, რომ საკუთარ სახლში ვარო. ის , მართლაც, თავის სახლში იყო მთლიანად, ყურებამდის.

ბოლოს მივედით აკოფთან, უფრო სწორად იაკობთან. მისი სახლი ეს არის ხის ბარაკი, რომელშიც პატარა კიბით ადიხართ. კიბე გადის ნაძვისხის უმოაჯირო აივანზე. ალბათ, ოდესმე აქ გამართული იქნება აივანი მთელი ფასადის გასწვრივ. შუაზე არის კარი, აქეთ- იქით ფანჯრები. კარში სესვლისას მარცხენა მხარეზე პირველ პლანზე დაინახავთ საწვრილმანო დუქანს, მეორე მხარეს -სამიკიტნოს. ამ პირველ პლანს მეორისაგან ჰყოფს ბოძი, რომელზეც ხორცის ნაჭრებია ჩამოკიდული. მეორე პლანზე მარცხნივ ფუთები და ტომრები ალაგია, მარჯვნივ ხმელი კაკალი ყრია ჭერამდე აკოკოლავენბული.უფრო იქით მოჩანს დერეფანი ორი კარით, რომელსაც გასაღები არა აქვს და იკეტება რაღაც ბაწრებით და ლურსმნებით. ორი ოთახი კიბით უკანა ეზოში გადის, სადაც ღამით სახლის პატრონისა და მეზობლის ღორები ბინადრობენ. ოთახების მთელ მოწყობილობას შეადგენს ერთი დასაკეცი საწოლი, თუჯის ღუმელი, ერთი კოჭლი მაგიდა და ორი ხის ტაბურეტი. თითო ოთახში დღეში ოცი კაპიკი უნდა მიგვეცა, რაც ძალიან მეძვირა.სახლის მეორე ფასადი, აგრეთვე აივან შემოვლებული, გადის ერთ უსუფთაო ბაქანზე, რომელსაც ეზოს ეძახდნენ. პირველ საფეხურთან სიგრძეზე იდო მორი ფარდულამდე, რომელიც ერთდროულად თავლასა და სამზარეულოს როლს ასრულებდა. აქ

ათავსებდნენ მოგზაურთა ცხენებს და ვიღაც კაცები დილიდან საღამომდე ადნობდნენ ცხვრის ქონს. აი, ასეთ სახლში ინდა გვეცხოვრა ჩვენც.

მე ჩემს ოთახში მოვეწყვე და რადგანაც მიუხედავად დაპირებისა, გემი ორი დღის შემდეგ იქნებაო, მაინც მეშინოდა ერთ კვირას არ დაგვჭირებოდა ცდა, მოვემზადე, რათა შეძლებისდაგვარად წინ წამეწია ჩემი „მოგზაურობა კავკასიაში“ და ამისთვის საწერ -კალამი , მელანი და ქაღალდი მოვიმზადე. შემდეგ გრიგოლს ვთხოვე დაეძახნა ახალგაზრდა იაკობისთვის, ესე იგი ჩვენი ლამაზი სახლის პატრონისთვის, რომელიც ერთხელ უკვე მოვიდა, და თავისი სამსახური შემოგვთავაზა. იგი შემოვიდა ღიმილით. უნდა ვაღიაროთ, რომ საუცხოო ღიმილი ჰქონდა. მე ვკითხე, რა შეგიძლიათ მოგვიტანოთ სადილზე -მეთქი.

-რაც თქვენ სულსა და გულს ნებავს, -მიპასუხა მან.

ჩვენ კარგად ვიცოდით ამ წინადადების მნიშვნელობა. ფოთში ეს ზუსტად იმასვე ნიშნავდა, რასაც ყველგან, სადაც კი ამას გვეუბნებოდნენ, ესე იგი, სულუსა და გულისთვის სრულიად არაფერი იყო, გარდა იმ ხორცის ნაჭრებისა, ძელზე რომ ეკიდა. ეს ნაყარ-ნუყარი ხორცი მარტო ძაღლებვის სალაფავისთვის თუ გამოდგებოდა.

-სახვა ხორცი ხომ არ გნებავთ?- გვკითხა სახლის პატრონმა.

-რასაკვბირველია სხვა ხორცი გვინდა, -ვუპასუხე მე.

-ათწუთში იქნება.

მართლაც ხუთი წუთის შემდეგ ეზოდან რაღაც ფუსფუსი შემომესმა. ფანჯარაში გადავიხედე და დავინახე, რომ ორი კაცი რქებით მოათრევდა ცხვარს, რომელიც გამალებული თავს იცავდა. მართალია, „ცხვრების ქვეყანაში“ ვიმყოფებოდი, მაგრამ ეს არ იყო ცხვარი კრიზომალონი, ესე იგი ოქროსსაწმისიანიო ცხვარი, თუმცა თავისი დიდი რქებითა და ხშირი ბეწვით უფლება ჰქონდა მისი თანამედროვე ყოფილიყო. ცხვარს მიუხედავად მისი პატივსაცემი ხნოვანობისა, ყელი გამოსჭრეს, ტყავი გააძრეს, ნაკუწ-ნაკუწ აკეპეს და მოვიდნენ სათქმელად, ახლა არჩევანი თქვენზეა, რა კერძი გინდათო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივად ზიზღსა გრძნობ იმ ცხოველის მიმართ, რომელიც დაკვლის წინ ვნახე, სუკის ნაჭერი ამოვირჩიე და გრიგოლს ვუთხარი, ხის შამფური გამოეთალა მწვადის სესაწვავად. უკვე საღამოს ექვსი საათი ხდებოდა, ჩვენ კი დილიდად პირში არაფერი ჩაგვედო გარდა ერთი ნაჭერი პურისა და ორი თუ სამი ჭიქა ღვინისა.

შევედი მუანეს ოთახში, სადაც ვარდისფერი თავადი თავის მოჯამაგირესთან ერთად სადილობდა. საინტერესო სანახავი იყო მათი ჭამა. წინ ედგათ ერთი ჯამი მწვადით. თვითონ არ ეწყოთ არც თეფშები, არც დანა-ჩანგალი, ხელით იღებდნენ ნაჭრებს და ხორცს რომ მოაცლიდნენ, მერე ძვლებსა და ხრტილებს უწყებდნენ წუწნას. საღამოზე თავადი ტანთგაუხდელად დაწვა ლოგინზე, მან მხოლოდ ჩექმქა გაიძრო. შემოვიდა მოჯამაგირე და ფეხისგულების ფხანა დაუწყო. ეს ყველაფერი ბარბაროსულიაო, მეტყვით თქვენ. აგრე იყოს, მაგრამ ეს ყველაფერი პირველყოფილია და მას ბარბაროსობის უმაღლეს თვისებათა ბეჭედი აზის. როგორც კი ცივილიზაცია ამ ხალხს ხელს შეახებს, იგი მაშინვე ტავის დონეზე დადგება. მაშინ ისინი ჩაიცვავენ სავ ფრაკებს, გაიკეთებენ თეთრ ყელსახვევს და დაიხურევენ მრგვალ ქუდებს. და მაშინ ისინი დაკარგავენ თავიანთი იარაღის ბრწყინვალებას და თავიანთი გულების ოქროს.

მე მუშაობას შეუდექი. როგროც უკვე მოგახსენეთ, ჩემს ოთახს ათფობდა ბუჯის ღუმელი. ეს დიდ უხერხულობას ქვიქმნიდა. როგორც კი ცოტაოდენ შეშას შეუკეთებდი, ისე გახურდებოდა,

რომ იძულებული ვხვდებოდი ფანჯრები გამეღო. სიცივე მაშინცე შმოდიოდა ოთხაში და ვიყინებოდი. მაგრამ უნდა ამერჩია ან ყინვა, ან გაგუდვ., მე ავიღე ყაზანში ნაყიდი სპილენძის ტაშტი, შიგ წყალი ჩავასხი და ღუმელზე დავდგი. ამ ღონისძიებამ საშუალენა მომცა, უფრო თავისუფლად მესუნთქა. ბოლოს მეც დავწექი, მაგრამ ერთმა გარემოებამ მიიქცია ჩემი ყურადღება: ეს იყო ხმაური, რომელიც იატაქქვეშიდან ისმოდა. უკვე მოგახსნებთ, რომ ჩვენი მასპინძლის სახლი ფეხებზე იდგა, ამიტომ ჩემს იატაკქვეშ დიდი ცარიელი სივრცე იყო, იატაკს კი უამრავი ნახვრეტები ჰქონდა. ამ ცარიელ ადგილას თავი მიოეყარათ მთელი იქაური მიდამოს ღორებს, რომლებიც მგონი იქ ქორწილს იხდიდნენ. დავწექი თუ არა, ღრიანცელი, რომელსაც მუშაობის დროს ყურადღებას არ ვაქცევდი, აუტანელი გახდა. ჩემამდე ახწევდა ღრუტუნი, ჭყივილი, მოულოდნელი უთანაბრო მოძრაობა, რომელიც ცოტახანს წყდებოდა, შემდეგ კი უფრო გაშმაგებით იწყებოდა. სიბრაზისაგან არ ვიცოდი რა მექნა. საშინელი მოქანცული ვიყავი, დაძინება კი არ შემეძლო. ბოლოს ერთმა ნათელმა აზრმა გამიელვა. ჩემს ღუმელზე იდგა მდუღარე წყალი, იატაკი ბევრაგან დახვრეტილი იყო. ავდექი, სპილენძის ტაშტი მოვიმარჯვე, მოვნიშნე ადგილი, სადაც მოლხენილი ღორები მეგულებოდნენ და ნახვრეტიდან მდუღარე წყალი დავასხი. მათ საშინლად დაიჭყივლეს და ყველანი ეზოში გაცვივდნენ. ამგვარად ერვარი სიწყნარე დამყარდა და მევ ჩამეძინა.

თავი LIV
ფოთის სიამოვნებანი

მეორედღეს ჩვენ შევეცადეთ სანაოსნო სააგენტო ზუსტი ცნობები მიგვეღო გემების მისვლა-მოსვლის შესახებ. გვითხრეს, დირექტორი ნადირობაზეა და მხოლოდ საღამოზე თუ დაბრუნდებაო. სარამოს ისევ მივედით მასთან, მაგრამ ძალიან დააღლილი დაბრუნებულიყო და უკვე ეძინა. მეორე დღეს რომ მივაკითხეთ, გამოირკვა, მან არ იცოდა ზუუსტად გემის მოსვლის დღე. შეიძლება ხვალაც მოსულიყო, ან ზეგ, ან შეიძლება მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ. არსებითად საიმედო იყო მხოლოდ 7-ისა 21 რიცხვის გემები. ესეც არ იყოს, ცუდ ამინდში გმები ვერ უახლოვდებოდნენ ნაპირს ორ ვერსზე უფრო ახლოს. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ აქ გაურკვეველი ვადით უნდა გამოვკეტილიყავით. მთელი პორტი შემოვიარეთ რაიმე თურქული ყარჭაპის ძებნაში, რომელიც შეძლებდა ჩვენს წაყვანას ტრაპიზონამდე. მაგრამ ღამით კარგი ქარი ქროდა და ყველა კარჭაპები ზღვაში გასულიყვნენ. ეს კარჭაპები ძალიან არასაიმედო არიან, მაგრამ ისე გვინდოდა ფოთიდან გასვკლა, რომ ყოველგვარ რისკზე მივდიოდით. ხშირად ხდება, თუ ამ კარჭაპების პატრონებმა დაინახეს მგზავრი კარგი გასაძარცვიაო, პირველივე ქარიშხლით ისარგებლებენ, - ქარიშხალი კი იანვარში შავ ზღვაზე არც ისეთი იშვიათი მოვლენაა, - რათა თავთხელზე დადგნენ ლაზისტანის ნაპირებთან, რომლის მცხოვრებნი ტყვეებით ვაჭრობას და ძარცვასეწეწვიან. ისინი ვითომ წინააღმდეგობას უწევენ, მაგრამ ბოლოს საქმე იმით მთავდება, რომ მგზავრებს ანებებნ, ლაზები კი მათ ყიდიან და მონაგებს კარჭაპის პატრონებს უყოფენ. მაგრამ ჩვენ სამივენი სესანიშნავად ვიყავით შეიარაღებულნი და თურქულ კარჭაპს დავიქირავებდით, ადვილად შევძლებდით თვალის ჭერას და წინააღმდეგობის გაწევას ნაპირზე მიახლოვების ცდის შემთხვევაში, მაგრამ ამაზე თვაის ტეხა ზედმეტი იყო, რადგანაც ნაპირზე ერთი კარჭაპიც არ ჩანდა წამლად.

ჩვენა და ფოთის მცხოვრებლებმა უკვე გავათავეთ ერთი ცხვარი, რომელიც სახლის პატრონმა წინა დღეს დაკლა, ახლა მეორე ცხვარი დაკლეს. მე ვკითხე, საკვების ოდნავ გამრავალფეროვნების მიზნით, ხომ არ შეიძლება დაიკლას ერთი ის ღორი, რომელთაც თვაინთი ქორწილის საბაბით ჩემი ფოთში ჩამოსვლის პირველ ღამეს ძილი გამიფრთხეს-მეთქი. ამის საწინააღმდეგოდ იმდენი მიზეზი მოიგონეს, რომ გადავწყვიტე მემოქმედნა ისე, როგორც ალექსანდრე დიდმა, ესე იგი თუ ვერ გამოვხსენიოთ გორდიას კვანძი, პირტდაპირ გამეჭრა იგი. ტყვიით გატენილ კარაბინს ხელი დავავლე და აივანზე გადავდექი. მხოლოდ არჩევანში ვიყავი: ოცდაათზე მეტი შავი, ბურძგლიანი, ტახის მაგვარი ღორი განცხრომით დროს ატარებდა ტალახში, რომელიც ფოთის მიწას წარმოადგენს. ნიადაგი წვიმების წყალობით, რაც ჩვენი

ჩამოსვლის დღიდან არ შემწყდარა, სულ უფრო და უფრო იჟღინთებოდა. ერთი წუთით ისიც კი გავიფიქრე, ისეთ თხილამურებს შეუკვეთავ, კამჩადალები (?) რომ თოვლზე სასიარულოდ ხმარობენ- მეთქი. ამ რიგად ოცდაათი ღორიდან ავირჩიე ერთი, რომელიც სხვებზე უფრო მომივიდა თვალში, თავადთან საუბრის დროს მიზანში ამოვიღე და ტყვი გავუგზავნე. ღორმა დაიჭყივლა და გაგორდა, მე კი ჩემს ოთახში შევბრუნდი მშვიდათ. თუ ღორის პატრონი, - ვფიქრობდი მე, - ვინც არ უნდა იყოს ის, მოვა და საფასურს მოითხოვს, უსათუოდ გადავიხდი უკეთუ ძალიან ძვირი მთხოვა, მაშინ ალბათ, მოსამართლე დაგვჭირდება. პატრონი მართლაც მოვიდა და ოთხი მანეთი მოითხოვა ღორის სანაზღაუროდ. თავადი გამომესარჩლა და სამ მანეთზე, ესე იგი თორმეტ ფრანკზე მოვრიგდით. ღორი ოცდათგივანქას იწონიდა და გირვანქა ხორცს ექვსი-შვიდი სულ უწევდა. საწინააღმდგოდ არაფერი მეთქმოდ.

იაკობის მახლობელნი რომლები მის სახლში ცხოვრობდნენ, როგორც ეს აღმოსალეთის ქვეყნებშია მიღებული, ზოგი ღუმელს ანთებდა, ზოგი დერეფნებს გვიდა, ან სამოვარს დგამდა, ზოგიც ყალიონს წმენდა, ზოგს კი ეძინა. მათ შორის ერთი განსაკუთრებით გამოირჩეოდა მუყაითი საქმიანობით. ეს იყო ოცდაორი-ოცდასამი წლის ლამაზ-ლამაზი ბიჭი, სახელად ბასილა. ჩვენი ღორის გაკეთება მას მივანდე და, მართალი გითხრათ, სულ არ დაბნეულა. ეზოში თივა დააზვინა, ზედ ფრთხილად ღორი დადო, ზემოდანაც თივა გადააფარა და ცეცხლი მოუკიდა. როცა ღორი ამგვარად გატრუსა, ხანჯლით გაფხიკა, მუცელზე გაჭრა და გამოფატრა. შემდეგ კარგად გარეცხა ფეხით ჩამოკიდა ამის შემდეგ თურმე კიდევ გველოდა თავშესაქცევის სანახაობა. ჩვენს ყურამდე ბარაბნის ხმამ მოახწია. ფოთში არც ისე ხშირია გასართობები და მასზე უარის თქმა ცოდვა იყო. ზოს აივნიდან ქუჩის აივანზე გავედით. ერთი ღატაკი კაცი ხელში ბარაბნიოთ ყოველ სახლთან ჩერდებოდა, ბარაბანს ურტყყავდა და კითხულობდა განცხადებას, რომელსაც კარზე გამოსულნი მცხოვრებნი საკმარისად გულგრილად უსმენდნენ. მაგრამ ეს განცხადება არ იყო მათთვის ინტერეს მოკლებული და მას განსაკუთრებით ეამებინა მათი თავმოყვარეობისთვის. მეფის უკაზხის მიხედვით 1859 წლის პირველი იანვრიდან ფოთი ქალაქდ იქნა გამოცხადებული. ასეთივე უკაზით ორი წლის წინათ ფოთი პორტად იქნა გამოცხადებული. თუ რა პორტი იყო ფოთი ჩვენ ეს უკვე ვნახეთ, ახლა ვნახოთ, როგორი ქალაქი დადგება ორი წლის შემდეგ.

რაკი ამიერიდან ფოთი ქალაქად იქნა გამოცხადებული, ჩვენც დავმშვიდდით. ახლა ნება გვქონდა მოგვეთხოვა მისგან ყველაფერი, რაც ქალაქ მოეთხოვება. უპირველეს ყოვლისა, მოვიკითხეთ ზეთი და ძმარი. მათი შოვნა ძნელი გამოდგა. ბოლოს, როგორღაც გვიშოვეს ერთი ქუილა ინგლისური პიკული და ერთი პატარა ბოთლი ლუკის ზეთი. წიწაკაც ვიშოვეთ დიდი გაჭირვებით.

ქალაქის თავზეუამრავი აგერული მტერდი დაფრინავდა და ისმოდა შაშვების გალობა. მუანეს და გრიგოსლ ხელში თოფები მივეცი და შევთავაზე ნავუით კუნძულზე წასულიყვნენ სანადუიროთ. მუანემ იღლიაში ალბომი აოიდო, მხარზე თოფი გადაიდო და კუნძულისკენ გაჰყვა გრიგოლს. უცნაური სურვილი დამებადა: მე დღესასწაულა ფოთის ქალაქად გამოცხადება და თვად ინგერაძისთვის და ჩემი ნაცნობი თათარი ვაჭრისთვის ისეთი სადილი გამემართა, როგორიც ჯერ ფოთში არავის ენახა. გარდა გუშინდელი ცხვრის ხორცისა და ჩემი დღევანდელი ნანადირევი ღორისა, იმედი მქონდა, მუანე და გრიგოლი ათიოდე შაშვს და ორ-სამ გარეულ იხვს მაინც მოიტანდნენ. ერთ-ორ ვარიას და კვერცხებსაც სადმე ვიშოვიდით. გარდა ამისა, ჩემი სამზარეულოს მოჩხრეკლისას ორმაგი ფსკერი აღმოვაჩინე, სადაც მოსკოვიდან წამოსვლისას მეგობრულ ხელს რამდენიმე კოლოფი კონსერვი ჩაედო. როცა გავხსენი, ერთში აღმოჩნდა ბიოსტნეულის საკმაზი წვენისთვის A la julienne, მეორეში კი მწვანე ბარდა და ფასოლი. მენიუ წინსდაწინ შევადგინე იმ ცვლილების გაუთვალისწინებლად, რომელსაც გამოიწვევდნენ მუანე და გრიგოლი, თუ ნადირობიდან ხელცარიელნი დაბრუნდებოდნენ. ასეთ შემთხვევაში შემწვარ ნანადირევს შესცლიდა შემწვარი ღორის ხორცი. ორი საათის შემდეგ დაბრუნდნენ მუანე და გრიგოლი და თორმეტი შაშვი, ორი იხვი და სამი

გარეული მტრედი მოიტანეს. ბასილამაც გვიშოვა და ოცდაოთხი კვერცხი. როგორც ხედავთ, ყოველივე თავსაყრელი მქონდა და აი, მენიუც, შედგენილი ფოთის ქალაქად გამოცხადების პატივსაცემად:

წვენი ჟულივანი (ბოსტნეულით),

ღორის ხორჩი ახალი კომბოსტოთი,

მწვადი გაუმჯობესებული,

ღორის თირკმელები შემწვარი სწრაფ ცეცხლზე (სოტე),

ვარია პროვანსალურად,

ორი შემწვარი იხვი და თორმეტი შემწვარი შაშვი,

ფასოლი ინგლისურად,

კვერცხი თირკმელების წვენში,

სალათი მწვანე ბარდისა,

ჩაროზი: ხმელი ნიგოზი, ჩაი, ყავა, არაყი,

ღვინო: მეგრული, კახური, გურული.

დამეთანხმეთ, რომ სამი დღის ნაშიმშილევ ადამიანებს ამ სადილის დანახვაზე პირწყალი მოადგებოდათ. ყველა კერძი მე თვითონ დავამზადე და ცხადია, თავადმა ინგერაძემაც და თათარმა ვაწარმაც განაცხადეს, თავის დღეში ჩვენ ასეთ სადილს ვერ გავაკეთებდითო. რაც შეეხება მუანესა და გრიგოლს, მათ ჩემგან არაფერი ჰქონდათ სასწავლი სამზარეულო ხელოვნებაში და მუანეს, როგორც ჩემ თანაშემწეს, ეზეიმნა სამი თუ ოთხი გამარჯვება. რომლებიც მე ამ ბრძოლის ველზე მოპვიპოვე პეტერბურგსა , მოსკოვსა და თბილისში.

თავი LV
ნადირობა და თევზაობა შინისაკენ

მუანე გატცებული მონადირე გახდა და მის საამებლად ჩემს მეგობრებს წინადადება მივეცი, ხვალ ნადირობა დაგვენიშნა ზეგ კი თევზაობა.იმ გავლენის წყალობით, რომელსაც თავადი ინგერაძე ფოთის მოსახლეობაზე ახდენდა, ჩვენ შეგვეძლო მოგვეგროვებინა ხვალისათვის თორმეტამდე მონადირე მისივე ამალის ჩათვლით. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენი ძვირფასი ვარდისფერი თავადი ფოთის ტალახის წყალობით თანდათან ჭრელდებოდა. მაინტწერესებდა, რა დაემართებოდა მის ჩოხას, თუ თავად ბარიატინსკის კიდევ რამდენიმე დღე დააგვიანდებოდა. სანადირო ადგილი შორს არ იყო, ფაზისის ერთ-ერთ ტოტზე უნდა გადავსულიყავით და ჩვენ აღმოვჩნდებოდით ერთ ტყესაკაფში.ტყე სამი-ოთხი წლის წინათ გაეკაფათ. ეს იყო საუცხოო ადგილი, განსაკუთრებითფრთოსანზე სანადიროთ. ორი ნავით წავედით, ათი წუთი ვიცურეთ და ტყის განაპირას გამოვედით. მე გრიგოლის მეშვეობით ჩვენს მონადირეებს აუხსენი, როგორ ვნადირობდით ჩვენ. თავადი, მუანე, გრიგოლი და მე, ყველანი ერთ ხაზზე დავდექით, მარჯვენა ფრთაზე დავაყენეთ თავადის მსახური, მარცხენაზე კი დავნიშნეთ ბასილა, რომელიც თანდათან მეტ სიჩაუქეს იჩენდა, და ნადირობაც-დაიწყო. ერთ საათში მოვკალით ორი კურდღელი, ორი ხოხობი და ერთი გარეული თხა. ამრიგად კოლხეთმა სადაც გუშინ ასე ვეწვალეთ მესამეხარისხოვანი სადილის გაკეთებაში, ევროპულ სიმსუნაგეს

ყველაზე პატივსაცემი ნანადირევი და თავისი უგემრიელესი ხილი მიუზღო.იაზონმა იქიდან ხოხობი გამოიყვანა, ლუკულმა კი გადმოიტანა ატამი და ალუბალი. ხოხობი დღესაც გვხვდება კოლხეთში, ხოლო ატმისა და ალუბლის ხე მთელ გზაზე არსად შემხვედრია. ყველა დიდ ადამიანს თავისი ჟინი აქვს და გრაფმა ვორონცოვმაც, რომელმაც შესანიშნავად იცოდა მებაღეობა, საუცხოო ბაღი გააშენა ფოთში. როგორც ამბობენ, განსაკუთრებით კარგად იხარა ფორთოხლის ხემ. მაგრამ უკანასკნელი ომის დროს, როცა გურიასა და სამეგრელოში თურქები შეიჭრენ, ბაღი ერთიანად განადგურდა. მას მერე აღარავის უფიქრია ამ ბაღის აღდგენაზე. საქარტველოსი დღესაც ხარობს ვორონცოვის მიერ გაშენებული ოცდაათამდე ბაღი.

იაკობის სასტუმროში გამარჯვებულები დავბრუნდით და ნანადირევით ცინებულად ვისადილეთ. თავადი და მისი მსახური გაკვირვებას იყვნენ, ათ წელიწადს რომ გვეცხოვრა იაკობთან , ცხვრის ხორცის მეტს ვერაფერს ვნახავდით თვალითო. მე ამასობაში დღეში5-6 საათს ვმუშაობდი და ვზრდიდი ჩემს „მოგზაურობას კავკასიაში“, რომლის სამი მეოთხედი უკვე მზად მქონდა. თავადი მეუბნებოდა, მიკვირს, როგორ ერთნაირად ნიჭიერი ხართ ყველაფერში, კალმის, თოფის და ჩამჩის ხმარებაშიო. ამის შემდეგ მას ექმნებოდა მაღალი აზრი იმ ქვეყნის ცივილიზაციაზე, სადაც ერთი და იგივე ადამიანი შეიძლება იყოს მწერალი, მონადირე და მზარეული.

ფოთის ტბა ჯერ არ მენახა, მაგრამ ვიცოდი, ფაზისის შესართავის მარცხნივ მდებარეობდა დიდი ტბა. როგორც ამბობენ ამ ტბის ადგილზე ძველ დროში ყოფილა ბერძნული ქალაქი ფაზისი, რომელიც მიწისძვრას დაუნგრევია, ხოლო მის ადგილზე წარმოქმნილა ტბა. აქ მისვლისას მე აღმოვჩნდი ზღვის , მდინარისა და ტბის შუა, და ამიტომ პირველად თევზი მოვიკითხე. მიპასუხეს თავზი არ არისო. შემდეგ უკვე გაბედულად ვიკითხე, მეთევზეები თუ არიან-მეთქი, და ძალზე გავოცდი, როცა მითხრეს, არიან მეთევზეებიო. თუ თევზი არ იყო, მეთევზეებს რაღა უნდოდათ?მაშინ, ამიხსნეს რომ პირიქით, მდინარეშიც, ზღვაშიც და ტბაშიც ძალიან ბევრი ტავზია, მაგრამ ფოთში იგი, ყოველშემთხვევაში ცოცხალი, არ იყიდებაო. ფოთის მცხოვრებნი ჭამენ მარილიან თევზს, რომელიც გირვანქა სამი თუ ოთხი სუ ღირს, და მათ არავითარი მოთხოვნილება არა აქვთ ნედლი თევზისა. ეს არის ევროპელთა ფაქიზი გემოვნების საგანი და აზიელებს მასზე არავითარი წარმოდგენა არა აქვთ. ასე რომ აქ თევზს იჭერენ და ბლომადაც. მაგრამ მაშინვე ამარილებენ, ააქვთ რიონით მარანსა და ქუთაისში და იქ ჰყიდიან. მე დაუძახე მეთევზეებს და ასეთი ხელშეკრულება დავუდე; მეორე დღეს ისინი ჩემთვის ითევზავებდნენ და საათში ერთ მანეთს მივცემდი. დაჭერილი თევზიდან, რაც მომეწონებოდა, ავიღებდი, დანარჩენს მათ დავუტოვებდი. შევთანხმდით, რომ დილის თერთმეტ საათზე გავიდოდით. სამუშაოდ მრჩებოდა ღამე და დილა. გემის ბაიბური არ ისმოდა, მას ელოდნენ არაუადრეს პირველი თებერვლისა.

თერთმეტის ნახევარზე სახლიდან გავედით და თხუთმეტი წუთის შემდეგ მივედით არხთან, რომელიც მდინარეს ტბასთან აერთებს. მეთევზეები იქ გვიცდიდნენ. ისინი ორი ნავით მოსულიყვნენ და თითოში 8-10 კაცი იყო. მესამე ნავი ორი მენიჩბით ნაპირთან იდგა, იმ ნავში ჩვენ ჩავსხედით და აღმოსავლეთისკენ გავცურეთ. რაც უფრო წინ მივდიოდით, მით უფრო ფართოვდებოდა არხი და ბოლოს სევედით ტბაში, რომელსაც წრე სამი მილი წქნებოდა. ასე ერთ ვერსზე რომ სევედით სიღრმეში, მეთევზეებმა სეაჩერეს ნავები და დაიწყეს ვებერთელა ბარჯის მზადება.ცოტახნის სემდეგ ერთი ნავი განზე წავიდა და მებადურებმა დაიწყეს ბარჯის ჩაშვება დიდი წრის მოხაზვით.შემდეგ იგი ისევ მიუახლოვდა ადგილზე მდგომ ნავს. მაშინ ორივე ნავის მებადურებმა ერთად დაიწყეს ბარჯის ამოწევა. ამასობაში ერთი საათი გავიდა. მე შემეძლო ამით დავკმაყოფილებულიყავი, ბარჯსი ორმოცდაათგირვანქაზე მეტი ტევზი ამოვიდა. მაგრამ დროს გასატარებლად მოვითხოვე ერთხელ კიდევ გადაეგდოთ ბარჯი. მეორედ პირველზე ორჯერ მეტი თევზი ამოვიდა. ორი საათის თევზაობაში მეთევზეებისთვის ორი მანეთი ინდა მიმეცა და ამ ფასად მათთვის გამომერთმია ასი თუ ასორმოცდაათი გირვანქა თევზი, მაგრამ მე ვიკმარე ერთი ოსდაათგირვანქიანი ჭანარი, ორი საუცხოო ფარგა, და სამი

ბრტყელი თევზი, რომელთაც, თუ არ ვცდები, კარჩხანას ეძახიან. დანარჩენი კი დაუტოვეთ მეთევზეებს, რომელნიც ძალზე კმაყოფილნი დარჩნენ ამ დღით. ჩვენც თევზებს ლაყუჩებში თოკები გაუყარეთ და ისე გამოვაბით ნავებს, რომ შინ ცოცხლად მიგვეყვანა. დღითიდღე უმჯობესდებოდა ჩვენი სადილები. ჩვენი ვარდისფერი თავადი ალბათ ნატრობდა, რომ სამუდამოდ აქ დავრჩენილიყავით, თავადი ბარიატინსკი კი სულ აღარ ჩამოსულიყო. მისი კაცებიც ნეტარებაში იყვნენ, ჭამდნენ და ვერ ძღებოდნენ. თათარ ვაჭარსაც გაუნაწილეთ ჩვენი სადილი. ის ყველაფერს ჭამდა: თევზსს ვერ ამჩნევდა, რომ ღვინის საწებელი ჰქონდა, კომბოსტოს კი ვერ ამჩნევდა, რომ ღორის ქონზე იყო მომზადებული.

მთელი სახლი ბასილას მეთაურობით განცხრობაში იყო ჩვენი ნასუფრალით. ჩვენი იქ ყოფნა რომ გაგრძელებულიყო, ალბათ მთელ ფოთს გავაძღებდით.

ბასილას ზალიან დაუმეგობრდი. ერთხელ გრიგოლს ვუთხარი, ჰკითხე, საფრანგეთში ხომ არ წამომყვება. მან სიხარულისგან შეჰყვირა, ეგ იყო ჩემი ყველაზე დიდი ნატვრა, მაგრამ თქმას ვერ ვუბედავდიო. შევთანხმდით, რომ წმომყვებოდა. მხოლოდ ერთი დაბრკოლება გვაფერხებდა: მისთვის საჭირო იყო პასპორტი, თვითონ გორელი გახლდათ და პასპორტის ასაღებად გორში წასვლა იყო საჭირო. ამაზე კი აქეთ-იქით, სულ ცოტა ათი დღე დასჭირდებოდა. ჩვენ კი მანამდე უნდა წავსულიყავით, ყოველ შემთხვევაში იმედი გვქონდა ამისა. ამ დაბრკოლების ასაცილებლად მან გადაწყვიტა ერთი ამხანაგისთვის გამოერთმია პასპორტი. ის პასპორტი ტრპიზონამდე გამოდგებოდა, იქ კი ფრანგულ გემზე3 დავჯდებოდით და ვინაიდან ჩემს პასპორტში ეწერა „მსახურითურთ“, საქმე უბრალოდ მოეწყობოდა. ახლა წასასვლელად მხოლოდ ერთი რამ გვაკლდა: ეს იყო გემი. ბოლოს, პირველ თებერვალს შორს შეამჩნიეს გემი და ნახევარი საათის შემდეგ შეგვატყობინეს, „დიდმა მთავარმა კონსტანტინემ „ღუზა ჩააგდო ნაპირთან ორ ვერსზე და ნაშუადღევის სამი საათისთვის უკან გაბრუნდებაო. პატარა კატარღა, რომელსაც მგზავრები ზღვის გემებთან მიჰყავდა, თორმეტ საათზე აპირებდა გასვლას და უკვე ბოლავდა. თავადი ბარიატინსკი არც ამ ჯერზე ჩამოვიდა. ეს შეგვატყობინა სოლომენ ინგერაძემ, რომელიც ლამაზად გამოწყობჰილიყო ბარიატინსკის შესახვედრად. ჭრელი ჩოხის ნაცვლად შემოსულიყო შავ, სირმაშემოვლებულ ჩოხასი. ამ მუქ ფონზე მისი ქამარ -ხანჯალი საუცხოო ეფექტს ქმნიდა.

მე გრიგოლს დავავალე იაკობისთვის ანგარიში გამოერთმია. ათი წუთის შემდეგ ის ყურებჩამოყრილი შემოვიდა და ძლივს წაილუღლუღა ანგარიში. პატრონს 80 მანეთი ეანგარიშა, ესე იგი 104 ფრანკი. საოცარი იყო, რაში დაიხარჯა ამდენი, როცა იმ რვა დღის განმავლობაში, რაც ფოთში დავყავით, ექვს დღეს ჩვენი საკუთარი ნანადირევი და თევზი ვჭამეთ. მართალია, 24 მანეთი დაჯდა ჩემი ოთახი, რომელიც ოთხი ფრანკით მეტი ღირდა, ვიდრე ნომერი ლუვრის სასტუმროში. ყველაფერი იმავე პროპორციებში იყო: შესმული გვქონდა, ორმოცი ფრანკის ჩაი და ასი ფრანკის ღვინო.

-აი, ხომ გეუბნებოდით, წინასწარ მოურიგდით-მეთქი?

რაღას გავაწყობდი, გადავიხადე ოთხმოცი მანეთი. ესე რომ, თბილისიდან ფოთამდე ათასორას ფრანკზე მეტი დაგვეხარჯა. ტავადმა გამოგვიცხადა, როგორც კი წახვალთ, მეც დავიძვრი აქედანო, შვიდ თებერვლამდე მარტო ვეღარ მოვიცდიო. ბასილამ იზრუნა, რომ ჩვენი ბარგი სასტუმროდან გემზე გადაეზიდათ, ჩვენ ბარგს გავყევით, თავადიც ჩვენთან ერთად გავიდა ფოთიდან. მე იშვიათად თუ შემხვედრია ასეთი ეშხიანი, მშვენიერი შესახედაობის, მხნე, სიცოცხლით სავსე, მხიარული კაცი, როგორიც ეს ქართველი თავადი იყო. არ ვიცი, თუ ოდესმე კიდევ სადმე შევხვდებით, მაგრამ მთელ ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება იგი. ფოთში უკანასკნელად კიდევ ჩავიყავი ჯიბეში ხელი, რათა ბარგის მზიდავებს გავსწორებოდით, და ცოტა ამოვისუნთქეთ, რადგანაც იმპერატორ ალექსანდრეს ამ ახალ ქალაქში ეს მოძრაობა ძალიან ძვირი გვიჯდებოდა. ბოლოს, როგორც იყო, ჩვენი კატარღა დაიძრა. ეს ის კატარღა იყო,

რომელიც ზაფხულობით, რიონის ადიდებისას, მარანსა და ფოთს შუა მიდი-მოდის. ნახევარ საათში უკვე გემ „დიდთავად კონსტანტინეზე“ ვიყავით. ადგილების ფული წინდაწინ გვქონდა ტრაპიზონამდე გადახდილი. ამ ჯერზე ფასი შედარებით ქრისტიანული იყო: თითოზე სამი მანეთი, ერთი მანეთიც ბასილასთვის ტრაპიზონამდე. გემის უფროსი, რომელიც მოვიდა და გაგვეცნო, ცოტაოდენ ფრანგულს ლაპარაკობდა. ეს იყო 28-30 წლის მეტად სასოამოვნო კაცი. სევასტოპოლში ბასტიონზე მიღებული ჭრილობის შედეგად მას სახის ნერვიული ტიკი ჰქონდა, როს გამოც ხშირად ახახმხამებდა თვალებს. მაგრამ არიან ადამიანები, რომელთაც ყველაფერი უხდებათ. ამ ტიკის გამო კაპიტანს მეტად ჭკვიანური გამოხედვა ჰქონდა.

გემზე პირველის ნახევარზე ავედით, ის კი სამ საათზე უნდა დაძრულიყო, ასე რომ , დრო საკმარისი გვქონდა, რათა ბარგიც დაგველაგებინა და ჩვენც მოვთავსებულიყავით. მაგრამ დიდი დალაგებაც არ გვჭირდებოდა, რასდგანაც ღამით ან მეორე დილას უკვე ტრაპიზონში უნდა ვყოფილიყავით. ერთი საათი გავიდა და დარბაზში კაპიტნის თანაშემწეს ვესაუბრებოდი, როცა შემატყობინეს, რომ გემთან მოსულიყო ნავი თორმეტი ჯარისკაცითა და ოფიცრით, ისინი თხოულობდნენ ბასილას, როგორც რუსეთის ქვეშევრდომს, რ5ომელიც თავის სამშობლოს უპასპორტოდ სტოვებდა. საწყალი ბასილას ბედი სეშურებოდა მის ამხანაგს და დაესმინა. რუსეთის კანონისადმი წინააღმდეგობის გაწევა, მეტადრე რუსულ გემზე, არ შეიძლებოდა. ამიტომ უდრტვინველად ჩავაბარეთ უკან. ნავში ჩაჯდომისას მან ამაღელვებელი სიტყვები მითხრა:

-ოთხ დღეში პასპორტი მექნება და ერთი თვის სემდეგ პარიზში გეახლებით.

ოფიცერს ვთხოვე, ნება დაერთო ჩემთვის, დახმარება გამეწია ამ კარგი ბიჭისთვის მის განზრახვაში. მას იმდენად არ ვიცნობდი, რომ გზისთვის საჭირო ფული დამეტოვებინა. ხუთას-ექვსას ფრანკს სეეძლო შეეცდინა ის და გზიდან გადაეგდო, რადგანაც შემთხვევა ქმნის ავაზაკს. ესეც არ იყოს, იმდენი ფული კი მქონდა, რომ თან წამეყვანა, მაგრამ დასატოვებლად არ მეყოფოდა. ამიტომ უპირველეს ყოვლისა, ბარათი მივეცი პოლკოვნიკ რომანოვთან, რომელსაც მისთვის პასპორტი უნდა ეშოვნა. გარდა ამისა, მივეცი შემდეგი შინაარსის განაცხადი: „რეკომენდაციას ვუწევ ქართველ ბასილას, რომელიც ფოთში მემსახურებოდა და იძულებული გახდა უპასპორტობის გამო ჩამომრჩენოდა, ყველა ადამიანის წინაშე, რომელსაც ის მიმართავს, და უპირატესად ვთხოვ ამას ბ-ებს ფრანგულ გემთა უფროსებს დაბ-ბს საკონსულოთა მდივნებს. რაც სეეხება ხარჯებს, თანახმა ვარ თამასუქების ტრასირება მოხდეს ჩემს სახელზე. პარიზი, ამსტერდამის ქ.,№77 ალექსანდრე დიუმა. ფოთი, 1 თებერვალი“.

ეს ორი ქაღალდი ბასილას ხელში ჩაუდე და უთხარი: გასწი, და თუ ისეთი ყოჩაღი ხარ, როგორიც მე მგონიხარ, აუცილებლად მიპოვი. ამ ქაღალდებსა და თავის მომავალს სრულიად მინდობილი ბასილა რუს ოფიცერსა და ჯარისკაცებს ჩაბარდა. მისი ნავი ჯერ კიდევ მოჩანდა, როცა „დიდმა თავადმა კონსტანტინემ“ ღუზა ასწია და ტრაპიზონისკენ აიღო კურსი. „დიდი თავადი კონსტანტინე“, რომელსაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, მეტად სასიამოვნო კაპიტანი ხელმძღვანელობს, საუცხოო გემია და იგი დიდი სისწრაფით მოძრაობს. გამოირჩევა, არ ვიტყვი ფრანგულით-მეთქი, მაგრამ ჰოლანდიური სისუფთავით კი. კაპიტანს ორი კაიუტა ჰქონდა, ერთი ბოგურაზე, მეორე კიჩოზე, და ეს უკანასკნელი მე დამითმო, როგორც უფრო მოსახერხებელი იმ შემთხვევაში, თუ მუშაობას დავაპირებდი. ოთახში მშვნიერი საწოლი იდგა ლეიბითა და ქათქათა საცვლებით და ეს იყო ფუფუნება, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში სრულიად დამეკარგა მხედველობიდან. ერთ წუთს მომინდა ამ ლოგინის წინაშე მუხლი მომეყარა და მელოცა, როგორც ხატზე. ვიმუშაო? არა, მუშაობას მეორე ღამისთვის გადავდებ, ამაღამ კი საუცხოო სუფთა ლოგინში დავიძინებ.იმწამსვე ჩავძვრებოდი შიგ, ზარს რომ სადილი არ ეუწყებინა. სასადილოში ხუთი თუ ექვსი მგზავრი ვიყავით, სადილი კი ოც კაცს ეყოფოდა. მაგრქამ გულს ახარებდა არა სადილის სიუხვე, არამედ ჭურჭლისა და თეთრეულის სისუფთავე. ფოთის ქალაქად გამოცხადებასთან დაკავშირებით ჩვენ სევძელით გაგვეშალა

უხვი სუფრა, მაგრამ სისუფთავე არაფრით შეგვეძლო დაგვეცვა. ო, სისუფთავევ, შენ, რაც იტალიელებმა მხოლოდ ნახევარსათნოებად გადაგაქციეს, ნება მომეცი, მე სალოცავად გადაგაქციო! არ ვიცი სუფთა სუფრებმა და ხელსაწმენდებმა მომაჩვენეს ეს სადილი საუცხოოდ, თუ რა იყო, ეს კია რომ სადილი „დიდ თავად კონსტანტინეზე“ საუკეთესო იყო ჩემს ცხოვრებაში.

ნასადილევს ბანზე გავედით. მშვენიერი დარი იდგა, მეტისმეტად კარგი იმ დროისათვის.გემი წყნარად და სწრაფად მიდიოდა. ნაპირი თვალწარმტაცად გამოიყურებოდა. კავკასიონის მთაგრეხილს ორი ვეებერთელა კლავი ისე გაეშალა, თითქოს ცდილობდა, შავი ზღვა თავისკენ მიეზიდა. ერთი მკლავი ტამანს სწვდებოდა, მეორე ბოსფორს აღწევდა. ამ ორ მკლავს შორის გაიარეს აზიიდან ევროპაში აღმოსავლეთის ყველა შემოსევებმა. ამ ორ ჯაჭვს შუა მდებარე ადგილი მოჩანდა, როგორც ვაკე თითქმის სრულიად ტყეებუით დაფარული დაბლობი. ტელს სანაპიროზე არსად ჩანდა რაიმე სახლი. ჩვენ მივყვებოდით გურიისა და ლაზისტანის სანაპიროს, რომლებიც რუსეთთან შეერთებული იყვნენ უკანასკნელი ტრაქტატების ძალიათ. ამ იმპერიის საზღვრები ფორტ წმ. ნიკოლოზამდე გასწია, ესე იგი ისე დაუახლოვდა თუქრებს, როგორც არასდროს. გემი თორმეტი საათით ბათუმში უნდა შეჩერებულიყო და იქიდან მგზავრები და ტვირთი წაეღო. აი, რატომ მივედით ჩვენ ტრაპიზონში 36 საათის შემდეგ, იმის მაგივრად, რომ 15-18 საათში მივსულიყავით, პირდაპირი ხაზით რომ გვეარა.

დაღამდა და ყველა დაბალი წერტილები რუხი ფერის ჰოქიზონტში გაიჟღინთა. მაგრამ, მას შემდეგ რაც ბარში ყველაფერი გაუჩინარდა, ცაში კიდევ დიდხანს ბრწყინავდნენ გაქვავებული ღრუბლების მსგავსად კავკასიონის ორმაგი ჯაჭვის მოვერცხლილი მწვერვალები. უკვე დრო იყო ძილისა და კაიუტაში შევედი. როცა გავიღვიძე, გემი იდგა. უკვე ბათუმ ის პორტში ვიყავით. ქალაქს, ანუ უფრო სწორად სოფელ ბათუმს, რომელიც მუანემ, რათქმა უნდა ჩაიხატა, ზერელეთ თვალი გადავავლე და მერე მთელი დღე კაპიტნის კაიუტაში მუშაობში გავატარა. საღამოს რვა საათზე გემი ისევ დაიზრა. კაპიტნის თქმით, დილას, უთენია უკვე ტრაპიზონში უნდა ვყოფილიყავით. გათენდა თუ არა, გემბანზე გავედი. იმ ღამეს, მიუხადავატ სფთა ლოგინისა და რბილი ლეიბისა, თვალი არ მომიხუჭვას. საქმე ის იყო, რომ ფრანგული გემები ჩვეულებრივად ტრაპიზონიდან შაბათობით გადიოდნენ, ჩვენი გემი კი ყირიმის სანაპირიოსთან ამოვარდნილი ქარიშხლის გამო ერთი დღით იგვიანებდა და მხოლოდ კვირას მოვიდოსდა ტრაპიზონში. მაგარმ კაპიტანმა აღელვება რომ შემამჩნია, დამამშვიდა, მისმა გამოცდილმა მეზღვაურის თვალმა ტრაპიზონის პორტში ფრანგული გემიოს ანძა გაარჩია. მას შეეძლო, თითქმის დაბეჯითებით ეთქვა, რომ იმ გემის სახელწოდება იყო „სიული“. მართლაც, არ მოტყუვდა, ერთი საათის შემდე „სიულის“ გვერდი ჩაუარეთ, როცა გემბანიდან ვიკითხეთ, რომელ საათზე გადიხართო, შკიპერის თანაშემწის ფრანგულმა ხმამ გვიპასუხა, ამ საღამოს ოთხ საათზეო. მართალც საღამოს ოთხ საათზე ჩვენს კაპიტანს გამოვეთხოვეთ, ბარგი დიდის ვაივაგლახით „სიულზე“ გადავზიდეთ და კოსტანტინეპოლისკენ ავიღეთ კურსი სამსუუნის, სინოპისა და ინებოლის პორტებში შეჩერებით.

ვიდრე საბოლოოდ გადავბარგდებოდით, გემზე ავედით, რომ ოფიციალურად გამეგო, რომელ საათზე გავიდოდით და რა ეღირებოდა ბილეთი მარსელამდე. შკიპერის თანაშემწემ საკმაოდ უცხვირპიროდ მიმიღო და გამომიცხადა, ეგ წვრილმანები ადმინისტრაციის საქმეა, ამიტომ ხმელეთზე გადაბრძანდით მაგის გასაგებათო. მუანეს მიუბრუნდი და უთხარი:

-ვატყობ, უკვე შევდივარ იმ საუცხოოო ქვეყანაში, რომელსაც საფრანგეთი ეწოდება.

საქმე ის იყო, რომ შკიპერის თანაშემწეს მე რუსი გერმანელი ვგონებოდი, მუანე კი ჩემი ადიუტანტი. ასეთი წარმოდგენა მას შექმნოდა იმის გამო, რომ მე იტალიურად გამოველაპარაკე რუსული გემის ლოცმანს, რომელმაც გამომაცილა და აგრეთვე რამდენიმე ქართული სიტყვით მივმართე გრიგოლს.

-როგორი პოლიგლოტები არიან ეს რუსები!- წარმოთქვა თანაშემწემ. როცა ზურგით მივუბრუნდი, - აი ესეც ისე ლაპარაკობს, ფრანგულად, თითქოს ფრანგი იყოს.

მე ეს ქათინაური ვერ გავიგონე და ამიტომ ჯერ ისევ იმას ვფიქრობდი, რა უკმეხად მიპასუხეს-მეთქი. ჩემსა საკუთარ გემზე, იმ დროს, როცა ახლახან ასე კარგად ვიმოგზაურე სტუმარ-მასპინძლობის მხრივ. მაგრამ სხვა არაფერი დამრჩენოდა და ვისარგებლ;ე რუსული ნავით, რომელიც რუსული გემის კაპიტანმა შემომთავაზა და ნაპირზე გადავედი. ამგვარად, ჩემდაუნებურად მომიხდა ტრაპიზონის ნახვა. ეს ჩემი მოგზაურობის გეგმაში არ შედიოდა. ზღვა ცუდი იყო, ნაპირს ძლივს მივახწიეთ. გადასვლისას ტალღა წამოგვეწია და თავით ფეხებამდე ამოგვწუწა. წყალი დავიფერთხეთ თუ არა ნაპირზე ავცოცდით, გავედით ქალაქში და რამდენიმე მიხვეულ-მოხვეული ქუჩაბამდის შემდეგ, მივედით საფრანგეთის საზღვაოსნო სააგენტოში. აქ მე უაღრესად თავაზიანად, არა მარტო, როგორც თანამემამულე, არამედ, როგორც მეგობარი, მიმიღო გ-მა ბოდუიმ, რასაც ვთხოვდი, ყველაფერს მისრულებდა, უფრო მეტიც, წარმადგინა კაპიტან დაგერთან, გემ „სიულის“ უფროსთან. კაპიტნიოს პასუხი სრულიად არ ჰგავდა მისი თანაშემწის პასუხს. მან რუსი კაპიტნის ნავი გამაშცვებინა და თვითონ წამიყვანა გემზე.

მომდევნო ხუთშაბათს, ნაშუადღევის ოთხ საათზე ღუზა ცაუშვით ოქროს ქასთან, მაგრამ ჩვენი მოგზაურობა კავკასიაში არსებითატ იმ დღეს დასრულდა, როცა ფოთი დავტოვეთ.

* * *

ერთ მშვენიერ დილას ექწვს საათზე ჩემს ოთახში მზარეული ქალი ძშემოვარდა და შეშინებულმა მითხრა:

-ბატონო, ქვემოთ ერთი კაცია, ვერცერთ ენაზე ვერ ლაპარაკობს, მარტო მოსიე დიუმა, მოპსიე დიუმაო, გაიძახუის და მაინცდამაინც შემოსვლა უნდა.

მე მივხვდი, რომ ეს შეიძლებოდა ბასილი ყოფილიყო და სწრაფად ჩავირბინე კიბე. არ შემცდარვარ. ჩვენი ყოჩაღიო ბასილა ქუთაისიდან პარიზში ჩამოსულიყო, ოცდაშვიდ დღეს კოსტანტინეპოლში ეავადმყოფნა, გზაში 61 ფრანკი და 50 სანტიმი დაეხარჯა, - და ეს ყველაერი ისე გადახდომოდა, რომ ფრანგული ერთი სიტყვაც არ იცოდა.

ახლა, ძვირფასო მკითხველო, თქვენთვითონ დარწმუინდებით, თუ რა ფხიანი ბიჭი იყო ჩვენი ბასილა.

შენიშვნები

1. შატ-აბრუზი-იგულისხმება იალბუზი, რომელსაც რუსები ზოგჯერ Шат-гора-ს უწოდებენ (Г. Вейденбаум. Путев. По Кавказу, 888, стр. 233)

2. არაა მართალი, თითქოს მითოლოგიური გადმოცემით პრომეთე მიჯაჭვული იყო მყინვარზე.

3. ტავრისი (ტავრი). - სახელწოდებაა მთის ქედისა მც. აზიაში. რომლის ერთი ტოტი სომხეთით კავკასიონისკენ მიემართება.

4. დემავენდი- ყველაზე მაღალი მთა-მწვერვალი სოარსეთში (5604მ). ჩამქრალი ვულკანი ელბრუსის მთაგრეხილზე.

5. თავრიდა - თამნამედროვე ყირიმი (ტავრები ეწოდება თავრის ხერსონესის (ყირიმის) მცხოვრებთ).

6. პლინიუსი (უფროსი) - რომაელის სწავლული და ისტორიკოსი (28-79), ავტორი მინუმენტური შრომისა „ბუნებრივი ისტორია“.

7. „ალექსანდრეს კარი“ - დიუმა წერს, რომ ამ სახელით დარუბანდის ხეობა იყო ცნობილი გადმოცემითო. მართალაც, ლეგენდის მიხედვით დარუბანდის ამჯერად ითვლება ანტიკური ხანის უდიოდესი მეფე დამპყრობი (356-323).

8. სტრაბონი - ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი (64წ. ძვ. წ. აღრ-ით 22 წ. ახალი ერით). ავტორი „ისტორიული მოგონებებისა“ და (გეოგრაფიისა), რომელიც შეიცავს უხვ ცნობებს ძველი იბერიის შესახებ.

9. „სუანები ანუ მეგრელები“- დიუმას შეცდომა.

10. „ოსეთში ნუზალის ეკლესიაში“... - ნუზალი მდებარეობს ოსეთში, მყოფ. ვლადიკავკაზის ოლქში (პაგირიოვი, 10).

11. ვერგილიუსი - რომაელი პოეტი (70-19), ავტორი განთქმული პოემისა „ენეიდა“. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე „ბუკოლიკები“ და „გეორგიკა“.

12. ჰეროდიტე - ბერძენი ისტორიკოსი (484-425), „ისტორიის მამად“ წოდებული, რომელიც ტავის შრომაში „ისტორია“ ეხება საბერძნეთის შორეულ წარსულს, ხოლო მე-V წიგნიდან საგანგებოდ - ბერძენ-სპარსელთა ომებს.

13. პტოლომეუსი (კლავდიოს პტოლომაიოს, დაახლ. 100-178). -გამოჩენილი ასტრონომი და გეოგრაფოსი ელინისტური ხანისა. მისი „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“ შეიცავს დიდად საყურადღებო ცნობებს კოლხიდისა და იბერიის შესახებ. (ვრცლ. იხ. ს. ყაუხჩიშვილი-ბერძნ. ლიტერატურის ისტორია, თბ, 1949. ტ. 2. გვ. 205-207).

14. „ორბს, ტიფონისა და იქედნეს შვილს“ - ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ჯოჯოხეთში ანუ ტარტარში იმყოფებოდა შემაზრზენი ასთავიანი ურჩხული ტიფონი, ტარტარისა და ქალღმერთ გეას ძე. რომელიც დაამარცხა ზევსმა. მისი თავი ჯერ ფერფლად აქცია, ხოლო ტანი ქვესკნელში ჩააგდო. ტიფონს ნახევარ ქალს და ნახევარ გველ იქედნესაგან ჰყავდა შვილები - რთავიანი ძაღლი ორფო, ჯოჯოხეთის მცველი ნაგაზი ცერბერი, ლარნეის ჰიდრა და ქიმერა.

15. ზარატუსტრა..., არისმანი (არიმანი). ზარატუსტრა (ზარატუშტრა) - ძველი ირანის წინასწარმეტყველი (VI ს. ძვ. ერით.), რომლის რეალურ არსებობაზე უტყუარი ცნობები არ მოგვეპოვება. ტრადიციის მიხედვით მან საბოლოოდ ჩამოაყალიბა ცეცხლის თაყვანისმცემელი ძველი ირანელების რელიგიური შეხედულებანი. ამავე ხანებში სიკეთის საწყისად აღიარებულ იქნა აჰურამაზდა (ბერძ. არმუზდი), ბოროტებისა კი-ანხრა-მაინუ (ბერძნ. არიმანი).

16. მარპეხია (მარპესა) - მითიური ასული ევენისა, ნიმფე. მითის მიხედვით მარპესა მოუტაცნია ლაკონიელგმირს იდასს პოსეიდონის მიერ მიცემული ფრთოსანი ეტლით. აპოლონს უნდოდა მარპესა წაერთმია მისთვის, მაგრამ ზევსს მათ შორის ბრძოლა შეუწყვეტია და მარპესასათვის მიუნდვია თვითონ აერჩია საქმრო. ნიმფეს აურჩევია იდასი. პოეტ ბაკქილიდეს (500-450) ძვ. ერით) ერთ-ერთი დითირამბი მიუძღვნია მარპესისა და იდასის ქორწინებისადმი (ს. ყაუხჩიშვილი. I გვ.226

17. იორნანდესი - რომაელი მწერალი (IV ს. ახ. ერით).

18. სემირამიდა - ბაბილონის ლეგენდარული ბრძენი დედოფალი, გადმოცემიკთ ირანში დაბადებული, რომელსაც მეუღლემ თითქოს ხელოვნურ გორაკებზე გაუშენა ბაღები („დაკიდული ბაღები“), ვინაიდან იგი ტავის ქვეყნის მთის ბაღებს ყოფილა მიჩვეული. ანტიკური ტრადიცია „სემირამიდას ბაღებს“ მსოფლიოს ე.წ. „შვიდ საკვირველებას“ მიეკუთვნებდა. ლეგენდა ამ დედოფალს მიაწერეს ბაბილონის საბოლოო დაპყრობას.

19იუმა არა ერთხელ ჰყვება არგონავტების მითის სხვადასხვა ეპიზოდებს თავის წიგნში. მისი ერთ-ერთი ძირითადი წყაროა აპოლონიოს როდესელის „არგონავტიკა“ (იხ. ქვემოთ).

20. სარდანაპალი - ნახევრად ლეგენდარული მეფე სირიისა (ძვ. წელთაღრ. XIV ს

21. იუსტინე- იუსტინე I (?), ბიზანტიის კეისარი 518-527 წ. წ.

22. ევსევი - ევსევი კესარიელი, საეკლესიო ისტორიკოსი (დაიბა. 260 წ. მახლ. ხანებში - გარდ. 340 წ.). ავტორი „ქრონიკისა“ და „საეკლესიო ისტორიისა“. (მის შესახებ დაწვრ. იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნ. ლიტ. ისტორია. ტ. II გვ 341-342 თბ 1949

23. „ არზენუნები, შვილები სენაქერიბისა“ - სენაქერიბი ანუ სინაქერიბი - ძველი ასირიის უდიდესი მეფე, ბაბილონის დამნგრევი (689 წ. ძვ. ერით). სინაქერიბი დაიღუპა 681 წ. სასახლის გადატრიალების შედეგად, რაშიაც მონაწილეობას იღებდნენ მისი ორი უფროსი შვილი, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ მამის გადაწყვეტილების - ტახტზე დაესვა უმცროსი ძე ასარგადოვი (681-668).

24. სალმანასარი - იგულ. ასირიიის მეფე სალმანასარ V, მემკვიდრე 727 წ. გარდაცვლილ ტიგლატპალასარ III -სა. სალმანასარ V 725 წელს გაილაშქრა ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ ლაშქრობის შედეგი იყო ისრაელთა სახელმწიფოს საბოლოო განადგურება (722 წ. ძვ. წელთაღრ).

25. ტობიუსი (ტობია) („რომლის ვაჟიც ანგელოზ რაფიელის თანხლებით გაბელუსტან მივიდა“) - ლეგენდარ. პერსონაჟი.

26. „დირკან, რომელიც შემდეგ ტიგრანად გადავაკეთეთ“ - ტიგრან, I, სომხეთის მეფე, ძე ერვანდისა, კიროს I თანამედროვე და მოკავშირე მიდიელების წინააღმდეგ ბრძოლაში (VI ს. ძვ. ერით). История армянского народаб ереван, 1951, ч I стр. 26)

27. პომპეუსი (გნეი) - გამოჩენილი რომაელი სახელმწ. მოღვაწე და მხედარმთავარი (106-48 ძვ. ერით). იულიუს კეისართან უთანხმოების შემდეგ და მასტან ბრძოლაში დამარცხებული ფარსალის ველზე, თესალიაში (საბერძნ). 48 წელს გარბის ეგვიპტეში, სადაც ის მოკლულ იქნა. მისი მოკვეთილი თავი უნახავს ეგვიპტეში ჩასულ კეისარს და უტირნია (პლუტარქე, რუს. თარგ. ტ. II, თავი „პომპეუსი“ აგრეთვე Марк Анней Лукан,. Фарсалия. Пер Л.Е. Остроумова 1951).

28. კიროსი (კირუს II, ძვ. სპარს. „კურუშ“) - ძველი ირანის დიდი მეფე, აქემენიდების სახელმწიფოს შექმნილი (VI ს. ძველი ერით): დაიპყრო მთელი მცირე აზია, ტყვედ იგდო ლიდიის უმდიდრესი მეფე კრეზი (546 წ). შეიერთა ბაბილონი, ბაქტრია, სოგდი და ხორეზმი. მოკლულ იქმნა 529 წ. მასაგეტების მიერ (ხორეზმის მონათესავე ტომი, ცხოვრობდნენ შუა აზიაში, მდ. სირ-დარიას ქვედა დინების ადგილებში).

29. „დარიუს II-ის შვილი, არტაქსერსე მნემონი“-დარიოს II (სპარს. „დარაივუშ“) აქემენიდი მეფე (410-358 წ.წ.) 401 წ. 31 დეკემბერს ამარცხებსთავის ძმას კიროს უმცროსს სოფ. კუნაქსთან (ბაბილონიდან 90 კილ.).

30. ქსენოფონტე - ბერძენი ისტორიკოსი (444-354), ავტორი ისრტორიული, ფილოსოფიური, მემუარული და დიდაქტიკური შრომებისა „საბერძნეთის ისტორია“. „ანაბაზისა“. „აგესილაე“, „კიროპედია“, „მოგონებანი სოკრატეზე“, „ჰიპარქიკოსი“ და სხვ. დიუმას მხედველობაში აქვს მისი „ანაბაზისა“, რომელშიაც აღწერუილია სპარსეთის მეფის კიროს უმცროსის ომი მისივე ძმის არტაქსერსე II მნემონის წინააღმდეგ 401 წ. ქსენოფონტე ამ ომში იღებდა მონაწილეობას ბერძენთა ჯარით კიროსის მხარეზე. თავის შრომაში სხვათაშორის ეხება ზოგიერთი ქართველი ტომების ცხოვრებას.

31. სოკრატე - ქსენოფონტეს მხლებელი აქელი (ბერძენი) სარდალი. (იხ. ქსენოფონტე, „ანაბაზისა“, 1,7,15).

32. ქრიზოპოლოსი - ქალაქი ბოსფორზე ბითვინიაში. (ბითვინიელები ცხოვრობდნენ მცირე აზიის ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეში, ბოსფორის აღმოსავლეთით).

33. ჰელესპონტი - დარდანელის სრუტე. იქვე: იადგუგები და მადგუგები (resp. აიჯუჯი და მაჯუჯი) - არაბიზირებული ფორმა ეთნონიმ „გოგი და მაგოგისა“.

34. ფარნავაზი - საქართველოს პირველი მეფე ქართლოსიანთა დინასტიიდან, რომელსაც ძველი მემატიანები ანბანის შექმნას მიაწერენ. ცნობები მის შესახებ. ლეგენდარულია.

35. არტაქსიასი და ზარიადასი (ზარიადრესი). - ძველი ცნობების მიხედვით მათ გაუთავისუფლებიათ სომხეთი ასირიელების ბატონობისაგან (IV ს. ძვ. ერით).

36. ანტიოქე დიდი (ანტიოქოს III დიდი) - ანტიოქიის ცნობილი მეფე (223-187 ძვ. ერით).

37. ჰანიბალი - კართაგენის გამოჩენილი მხედართმთავარი, ე. წ. მეორე „ პუნიური ომის“ (218-201 ძვ. ერით) მტავარი გმირი. რომის დიდი მტერი. დაამარცხა რომაელთა სარდალმა სციპიონმა ქ. ზამის ახლოს (კართაგენის სამხრეთით) 202 წელს. რამდენიმე წლის შემდეგ რომის სენატმა მოსთხოვა მისი ტავი კართაგენს, მაგრამ ჰანიბალი აზიაში გაიქცა და იქ დაიღუპა.

38. კორბულონი - რომაელი მხედართმთავარი ნერონის დროს (58 წ. ახ. ერით), აიღო და დაანგრია არტაშადი - სომხეთის სატახტო ქალაქი, რომელიც 59 წელს ცეცხლს მისცა და შემდეგ დასტოვა (История арм. Народа, 1951. ч. I, 51).

39. ტირიდატი - სომხეთის მეფე ტირიდატ I, რომელიც დაამარცხა კორბულონმა, შემდეგ მან დასდო ზავი (64 წ.). რომთან და ცავიდა იმპერატორ ნერონთან, რომელმაც დაადგა მა სამეფო გვირგვინი ფორუმზე, საზავო მოლაპარაკების დირიდატთან აწაროებდა კორბულონი.

40. მირვან I- - „ნებროთიდების დინასტიის დამაარსებელი“ (დიუმა), (II ს, ძვ. ერით) ქარ. ცხ-ის არქაული ნაწილის მიხედვით ფარნავაზიანთა დინასტიის მესამე წარმომადგენელი.

41. ვაგარშაკი - არშაკიდების დინასტიის პირველი მეფე (149) სომხეთში (?) . დიუმა მას ტიგრან II დიდის მამად მიიჩნევს.

42. ტიგრან II დიდი - ძველი სომხეთის მეფე (95-55 ძვ. ერით), მითრიდიტე ევპატორის სიძე და მოკავშირე, რომელიც დაამარცხა რომაელმა სარდალმა ლუკულუსმა 69 წ. ოქტ. (ძვ. ერით) ტიგრანაკერთან. (დაწვრ. იხ. პლუქარქესთან „ლუკული“ და თ. მომზენის „რომის ისტორია“).

43. ლუკული (ლუციუს ლუკულიუსი) - რომაელი მთავარსარდალი, პონტოელად წოდებული (110-56 წ. წ. ძვ. ერით). ლუკულის ცხოვრ. აღწერა იხ. პლუტარქესთან (Сравнит. Жизнеописания, 1963. т. 2, стр. 171-121).

44თრიდატე VI, ევპატორი (120-63 ძვ. ერით) , - მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სამეფო პონტოს მეფე, რომის დაუძინებელი მტერი. დაამარცხა რომაელმა მხედართმთავარმა ლუკულუსმა 70 წ. (ძვ. ერით), ხოლო მეორედ - პომპეუსმა 66 წ. რის შემდეგ ბოსფორში გაქცეულმა თავი მოიკლა, (დაწვრ. იხ. პლუტარქესთან, აგრეთვე-მომზენი. რომის ისტორია, ტ. I).

45. მარკ ანტონიუსი - რომის ტრიუმვირი და სარდალი, კეისრის მეგობარი. დამარცხდა ოქტავიანესთან ბრძოლაში, აქციუმის კონცხთან 31 წ. ეგვიპტეში მან და მისმა მეუღლემ, ეგვიპტის დედოფალმა კლეოპატრამ თავი მოიკლეს (30 წ. ძვ. ერით).. ანტონიუსი 34 წელს შეესია სომხეთს, დაარვბია და გაძარცვა იგი. ტყვედ წაიყვანა სომხეთის მეფე ართავაზ II ეგვიპტეში და იქ თავი მოჰკვეთა.

46 ტიბერიუსი - ოქტავიანეს გერი და მისი მემკვიდრე, რომის იმპერატორი 14-37 წ. წ.)იხ. სვეტონიუსის „12 კეისრის ცხოვრებაში“).

47. ავგუსტე (ოქტავიანე)-რომის იმპერიის პირველი დიდი გამგებელი მონარქის უფლებებით. მისი მმართველოსბის ხანა (30 წ. ძვ. წელტაღრიცხვით -14 წ. ახალი ერით) რომის იმპერიის აყვავების პერიოდათ ითვლება. ეს იყო ვერგილიუსის, ფორაციუსისას და ოვიდიუსის ეპოქა.

48. კალიგულა (დაი) - რომის იმპერატორი (12-41 ახ. წ. აღრიცხვით), ცნობილი უზომო სისატკითითა და ზნედაცემულობით. მის შესახებ იხ. სეეტონიუს ტარკვნიუსის „12 კეისრის ცხოვრება“ (რუს. თარგ. 1904. თავი „კალიგულა“).

49. კლავდიუს ტაციტი (მარკუს კლავდისუ ტაციტუს)-რომაელი იმერატორი 275-276 წ. წ., ამარცხებს ალანებს კავკსიის მთებთან (268წ.).

50. ნერონი - რომის იმპერატორი (54-68წ.), ცნობილი სისატიკითა და პათოლოგიური ხასიათით (იხ. სვეტონიუსისა და ტაციტუსის შრომები).

51. ვენდექსი-კელტური ტომის გალების მეთაური (1 ს.).

52. გალბა (გალბას სერვი. I ს. ერით)-რომის იმპერატორი. მერონის ტახტის მიმტაცებელი (მისი ბიოგრაფია იხ. სვეტონიუსთან. Жизнь двенадцати цезарей, СПБ, 1504, стр. 300-316. თავი «გალბა“.

53. „ეროვანი, რომელმაც არდაშესს არმენიის ტახტი წაართვა“... ძე. სომხეთის ისტორიის პერსონაჟები (იხ. ტექსტი).

54. ტრაიანე - რომის იმპერატორი 98-117 წ. წ';რომელმაც მოაწყო სამხედრო ექსპედიცია სომხეთის წინააღმდეგ 115 წელს.

55. გიმრის ხეობა - დაღისტანში, ყოისუბუს მხარეში, მდინ. ავარიის ყოისუს გასწვრივ. გიმრი-დიდი აულია ამ მდინარის მარჯვენა ნაპირას, ღრმა ხეობაში. დაღისტნის იმამების ღაზი-მუჰამედისა და შამილის სამშობლო.

56. „ყარანაის მწვერვალები“- იგულისხმება ქედი აულ ყარანაის (დაღისტ). მახლობლად, საიდანაც კარგად მ კჩანს აული გიმრი და მთელი ყოისუბუის მხარე. დიუმა თავისი წიგნის ერთ თავს უძღვნის ამ ქედის აღწერას.

57. ტირიდატ- იგულისხმება სომხეთის მეფე ტირიდატ. III (287-330), რომელმაც დაამრცხა სპარსელები (იხ. Ист. Арм. Народа, 1551, стр. 55)და თავის ასამეფოდან და ალაბანიიდან განდევნა ხაზარები.

58. ბაკურ I -ქართლის მეფე (IVს. რიგით XXI).

59. „XIII საუკ. სომეხი ისტორიკოსი მხიტარ აირივანკი“ - მხითარ აირივანელი, მოძღვარი (XIII ს). ავტორი „ქრონოგრაფიული იოსტორიისა“ (დაწერილია 1289 წ. შემნდეგ), შეიცავს „ქრონოლოგიურ ნუსხებს უძველესი დროპიდან მოყოლევბული 1289 წლამდე“ (ლ. მელიქსედ-ბეგი, საქართვ. ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები კატ, Iგვ. 264).

60. ვაჰან ამატუნი - სომხეთის მთავრად დანიშნული 432 წ., სასანოდების სპარსეთის ბატონობის დროს სომხეთში, როცა მეფობა გააუქმებული იყო (Ист. Арм. Народа, 1551, ст 39).

61. მეფე ვახტანგი (გორგასალი)-საქართველოს შესანიშნავი მეფე (გარდ. 502 წ.) დიუმა იცის, რომ ვახთანგ გორგასალი ერთ-ერთი ინიციატორი იყო სასანიდების წინააღმდეგ მომხდარი აჯანყებისა. რომელმაც მოიცვა ქართლ;ი, სომხეი და ალბანია 483-484 წწ. (მდრ. Дьяковов, Очерки истории древнего Ирана, ст. 277).

62. იმპერატორი ჰერაკლე (ირაკლი) - ბიზანტიის კეისარი 610-641 წ. წ; „თემური მმართველობის“ შემომტანი -რეფორმატორი (იხ. შ. დილა. ბიზანტიის იმპერიის ისტორია. 1948, გვ. 46-55). ჰერაკლეს მიერ თბილისის აღება, რაზედაც დიუმა წერს, მოხდა 627 წ.

63. ფოკა-ბიზანტიის იმპერატორი-მმართველი 602-610 წ. წ. რომელიც ტახტიდან ჩამოაგდო და მოჰკლა ჰერაკლე კეისარმა 610 წ. შ. დილიმას „უხეშ სალდატს უწოდებს (დასახ. წიგნი, 45).

64. ხოსრო II(ხოსროვ II ფარვიზი) სპარსეთის მეფე სასანიდების დინასტიიდან (591-628 წ. წ.). როცა 602 წელს ფოკამ ძალით იგდო ბიზანტიის ტახტი, ხოსროე IIფარვიზმა დაიწყო ახალი ომი ბიზანტიასთან, დაიბრუნა ხელშეკრულებით ბიზანტიისთვის ადრე გადაცემული პროვინციები, აგრეთვე ანტიოქია, ედესი, სირია, პალესტინა, კილიკია და ეგვიპტის ნაწილი. მი\ახწია ბოსფორამდე, განზრახული ჰქონდა, თვით კოსტანტინეპოლის გარემოცვა,

65. ხალიფა აბუ ბექრი - არაბტა ერთ-ერთი ხალიფი პირველ ხალიფთაგან, მუჰამედის (მაჰმადის) შემდეგ (VII ს).

66. ხალიფა ომარი - აგრეთვე ერთი ხალიფტაგანი ომარ II (634-644). მის დროს არაბებმა დაიპყრეს პალესტინა სირია და სპარსეთისა და ეგვიპტის დიდი ნაწილი.

67. სარლმარტელი -იგულ. კარმარტელი - ფრანგი მხედართმთავარი და სახელმ. მოღვაწე (685-741). დაამრცხა არაბები 732 წ. პუატიესთან.

68. სობიესკი - იგულისხმება იან სობესკი- პოლონეთის მეფე (1624-1696). გამოჩენილი მთავარსარდალი, რომელმაც არაერთხელ დაამარცხა თურქები, ხოლო 1683 წელს აიძულა ისინი მოეხსნათ ალყა ქ. ვენისათვის. დიუმა სწორედ ამ ფაქტზე მიუთითებს.

69. იუსტინიანუ II (რინოგმეტი) - ბიზანტიის იმპერატორი 685-695 წ. წ. კონსტანტინე IV-ის მემკვიდრე, რომლის დროს ბიზანტიაში არეულობა იყო. 690წ. ილაშქრა სომხეთში.

70. მურვან ყრუ- არაბთა მთავარსარდალი, გულქვაობის გამო „ყრუს“ მონათლული ქართველების მიერ. ააწიოკა საქართველო 736-738 წ. წ.

71. ლეონ VI (ბერძენი)-ბიზანტიის იმპერატორი 886-912 წ. წ. მაკედონური დინასტიის წარმომადგენელი. შვილი ბასილ I-ისა (877-886) (მ. დილის. სახ. წიგნი. გვ. 73) ... რუსები პირველად კონსატნტინეპოლის კედლებტან გაჩნდნენ 860წელს, იმპერატორ მიხეილ III ლოთის (842-867) მეფობისას.

72. ელიზავეტპოლის ოლქი - ყოფ. განჯა. საგუბ. ქალაქი. დიუმა წერს ამ მხარეში ძველად რუსების მიერ ციხე-სიმაგრე ბარდას აღევბუის შესახებ. ზოგიერთი ძველი წყარო ამ ცნობას ადასტურებს.

73. ზოგი მატიანეს ცნობით 943 წელს რუსებს ხელთ უგდიათ ტაბარისტანი (კასპიის ზღვის სანაპირო და „ნავთის მიწა“ (ახლანდელი აზერბაიჯანი).

74. „აფხაზეთის და ქართლის მეფე ბაგრატ III ქუთაისში ტაძარს აშენებს“ - დიუმა სწორედ მიუთითებს ტაძრის ამშენებლის ვინაობას, აგრეთვე ძეგლის აგებით თარიღს (10000 წ.). ბაგრატის ტაძარი დანგრეული იქნა 1691 წ. ახალციხის ფაშის მიერ (ვახუშტი). ძეგლის მხატვრული ანალიზი იხ. აკად. გ. ჩუბანიშვილის გამოკვლევაში „ქართული ხუროთმოძღვრება საშუალო საუკუნოებში და მისი სამი მთავარი კათედრალი“ (არილი) , 1926, გვ. 107-126).

75. „არსლანი, ძმიშვილი იმ ტოღრულ-ბეგისა“- იგულისხმება სელჯუკიან თურქთა სულტანი არფასლანი, რომელიც პირველად შემოესია საქართველოს 1065 წელს, მეორეთ კი - 1068 წელს, როცა თურქებმა თბილისი აიღეს.

76. ანთეუსი- ბერძ. მითოლოგიის გმირი- ტიტანი, ზღვის ღმერთის პოსეიდონისა და მიწის ღმერთაქალის გეას შვილი. გაჭირვებისას ეხებოდა მიწას, საიდანაც ახალი ძალით ივსებოდა. მხოლოდ ჰერაკლემ (ჰერკულესმა) მოწყვიტა დედამიწას, მაღლა ასწია და ისე დაახჩო.

77. „დავით III, ბრძენად წოდებული“ - დავით აღმაშენებელი (1089-1125).

78. დემეტრე I -დავითის ძე (1125-1156)... დარუბანდის კარი საქართველოში მოიტანა არა დემეტრემ(როგორც დიუმა სწერს) არამედ, მისმა სახელოვანმა მამა.

79. ჩინგის-ყაენი (ტემუჩინი)-ცნობილი მონგოლელი დამპყრობი(1155-1222,) მონგოლტა იმპერიის დამაარსებელი.

80. თემურ-ლენგი - უდიდესი მონგოლელი დამპყრობი (1333-1405). საქართველოს შემოესია ექვსჯერ (1386-1403 წ. წ.).

81. თურქ-ოსმანტა სულტანი (1389-1402). შეეცადა იერიშით აეღო კოსტანტინეპოლი 1397 წელს; 1402 წელს თემურ-ლენფამ იგი დაამარცხა და დაათყვევა ამ გპორასტან ბრძოლაში.

82. „ალექსანდრე I საქართველოს თავის შვილებს უნაწილებს“. იგულ. ალექსანდრე I, საქართველოს მეფე 1412-1443 წ. წ.

83. სეპტიმუს სევერი - რომის იმპერატორი 193-211 წ. წ. იგი ერთ-ერთი პროვინციის მმართველი იყო და იმპერატროს ძალაუფლება ხელთ იგდო ჯარის დამარცხებით. ცდილობსდა სახელმწიფოს განტკიცებას არმიაში დიდი რეფორმებისდა და ჯარისკაცების მდგომარეობის გაუმჯობესების გზით. მისი მემკვიდრე იყო იმეპატროი კარაჯკალლა.

84. მიქაეკ პალეოლოგი - ბიზანტიის „ უკანასკნელი მნიშვნელოვანი იმპერატორი). მეფობდა 1261-1284 წ. უნდოდა აღედგინა იმპერიის ყოფილი მთლიანობა და სიდიადე (შ. დილი. ბიზანტიის ისტორია 1948, გვ. 130-132 წ; შდრ. დიუმას ტექსტი).

85. მუჰამედ II- თურქთა სულთანი, რომელმაც იერიშით აიღო კონსტანტინოპოლი 1453 წელს, რაც ბიზანტიის იმპერიის ახცსასრულს მოასწავბდა.

86. ივანე III- რუსეთის ხელმწიფე (1462-1505).

87. „სეფილდების დინასტია“-იგულისხ. სეფევიდების (სეფიანთა) დინასტია სპარსეთში 1502-1722 წ. წ. ეს დინასტია თავის შორეულ მეთაურად მიიჩნევდა შეიხ სეფი-ედ-დინს(1254-1334), შიიზმის დანგრევას ირანში. აქედან წარმოსდგება დინასტიის სახელწოდებაც. სეფევიდების დასასრულად ითვლება 1722 წელი, როცა ავღანელებმა აიღეს მათი სატახტო ქალაქი ისპაჰანი.

88 . ტარღის ციხე-სიმაგრე“ იგულ. თარღუ (ტარკი), შამხალების რეზიდენცია დაღისტანში, ქ. პეტროვსკის (ახლანდელი მახაჩკალა) ახლოს.

89. კახეთის მეფე ალექწსანდრე II („ეძებს მეგობარობას თეოდორე ივანეს ძესთან“) - ალექსანდრე ლევანუის ძე (1574-1605) განაგრძობდა მამის პოლიტიკას რუსეთის მფარველობის ძიების ხაზით. 15878წ. მან ფიცი დასდო მოსკოვის მეფის ერთგულებისა და სხვა ცვალდებულებათა შესახებ (მ. ბროსე. საქართველოს ისტროია, ნაწ. 2, თბ, 1900, გვ. 84-93 . და საქ. ისტორია, 1943, 291-292).

90. თედორე ივანეს ძე - რუსეთის ხელმწიფე (1594-1598). მის დროს ქვვეყნის ერთპიროვნული გამგებელი იყო. ბოიარონი ბორის გოდუნოვი, რომელიც უშვილო მეფის სიკვდილის შემდეგ დასვეს ხელმწიფედ (მეფობდა 1598-1605 წ. წ.).

91. შაჰ-აბაზ I -ირანის შაჰი 1587-1629 წ. წ. სეფიანთა დინასტიის ყველაზე ცნობუილი მეფე. კახეთის ამაოხრებელი.

92. ისპაჰანი - ირანის სატახტო ქალაქი სეფეიდების ეპოქაში. მდებ. ცენტრ. ირანში. ცნობილია არქიტექტურული ძეგლებით.

93. ბუტურლინი და პლეშჩეევი - იგულისხმებიან რუსის „ოკოლნიოჩები“ - სარდალი ბუტურლინი და ვოევოდა ვასილ ტიმოთეს ძე პლეშჩეევი რომელტაც სხვადასხვა დროს მოაწყვეს საომარი ექსპედიციები კახეთის მტრის სამხალი წინააღმდეგ თედორე ივანეს ძისა და ბორის გოდუნოვის მეფობის წლებში (მ. ბროსე, 11, გვ. 87, 92 და შმდ.). და დაამრცხეს იგი.

94. შამხალის სამფლობელო - ყოფ,. საშამხლო დაღისტანში. ტარღუს (ტარკის) შამხალი დიდი მტერი იყო საქართველოსი, კერძოდ კახტა მეფის ალექსანდრე II-სა (ბროსე, 11, გვ. 85).

95. თემირ-ხან-შურა-ყოფ. საოლქო ქალაქი (დაღ, აგებული იქნა 1832 წ. 1834 წლიდან აქ მოტავსებული იყო აპშერონის პოლჯკის შტაბი. ახლამნდელი ქ. ბუინაკსი („თემირ-ხან“ - თემურ-ლენგი, „შურა“ -ტბა).

96. გიორგი ქართლის მეფე- იგულისხმება ქართლის მეფე გიორგი X სვიმონის ძე (1599-1606), რომელსაც ბორის გოდუნოვთან ჰქონდა კავშირი, მან 1605 წ. ფიციც დასდო რუსთა მეფის ერთგულებისა (ბროსე, 2, გვ. 19-20).

97. თეიმურტაზ I („მიხეილ თედორეს ძეს... დახმარებას სთხოვს“) -კახეთის მეფემ თეიმურაზ I-მა (მეფობდა 1606-1648 წ. წ) მოსკოვის მეფესთან დახმარების სათხოვნად ელჩები გაგზავნა 1615, 1618 და 1628 წლებში (ივ. ჯავახიშვუილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, 1943, გვ. 302-304).

98. იმერეთის მეფე გიორგი III -ძმა როსტომ მეფისა (1510-1605) და უკანონო შვილი ბატონიშვილი კონსტანტინესი. მეფობდა იმერეთში 1605-1639 წ. წ. აღიარა რუშეთის მეფის ქვეშევრდომობა (1621).

99. გურიის მტავარი მამია და სამეგრელოს დადიანი - იგულ. გურიის მთავარი მამია II (გარდ. 1625). და სამეგრელოს მთავარი ლევან II (გარდ. 1657). (ვახუშტი. საქ. ისტორია). ორივე მტავარმა აღიარეს რუსეთის მეფის ქვეშევრდომობა (1639).

100. დიუმას ცნობა იმის შესახებ, თუითქოს რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძე (1629-1676) ქუთაისში ჩამოსულიყოს - სიმართლეს არ შეეფერება. მან მხოლოდ ელჩები გამოგზავნა იმერეთში (ქუთაისს) 1650 წ.

101. მუსიმ -პუშკინი -ასტრახანის ვოევოდამ, რომელიც პეტრე დიდის ბრძანებით 1700 წელს სავაჭრო მოლაპარაკებას აწარმოებდა დარუბანდისა და შემახიის ხანებთან.

102. ყუმუხის შამხალი - იგულისხმება ადილგირეი, რომელმაც 1718 წელს რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, მაგრამ 1725 წელს მაინც უღალატა რუსეთს, რის გამო დაატყვევეს (გარდაიც. ციხეში. არხან. გუბ-ში).

103. ყოისუ - უნდა იგულისხ,ებოდეს ანდის ყოისუ, რომელიც სათავეს იღებს თუშეთის, დედოფლისა და ანკრატლის ქვაბულებიდან მომდინარე წყლების შეერთებიოსგან (Веидеаб. 15).

104. სულაკი და აგარახანი - მდინ. სულაკი (დაღისტ.) ერთვის კასპიის ზღვის (ყოფ. თემირ-ხაშ-შურას ოლქში). აგრახანი - პატარა სრუტეა თერქთან, კასპიის სანაპიროზე. (Вейденбаум. Путевод. По Кавказу, 1888, стр. 30, 37).

105. „გენერალი მატიუშკინი იკავებს ბაქოს“. იგულისხმება გენ. მაიორი მატიუშკინი, პეტრე I-ის მიერ კასპიის განაპირა მხარეების უფროსად დაბნიშნული, რომელმაც 1723 წ. 26 ივლისს დაიჭირა ქ. ბაქო. ამ ხანებში, პეტრე I-ის მეფობისას, სოპარსეთის ზოგიერთი სხვა პროვინციებიც (გილიანი, მაზანდარანი, ასტრბადი...). „შეიერთა“ რუსეთმა.

106. ვახტანგ VI რუსეთს გაემგზავრა დიდი აამლითურთ 1724 წ.

107. იმპერატრიცა ანა ივანეს ასული - რუსეთის დედოფალი 1693-1740)... ყაბარდო რუსეთის ქვეშევრდომობა აღიარა 1732 წ.

108. „ჰუსეინის გადაგდება“...-იგულისხმება ისპაჰანის აღება და ირანის შაჰის სულთან ჰუსეინის (მეფობა 1694-1722 წ. წ.). დატყვევება ავღანელების მიერ 1722 წელს. დიუმა შეცდომით წერს, თითქოს ეს ამბავი ნადირ-შაჰის დროს მოხდა (ისპაჰანი აეღო მუჰამედ ავღანელმა, ცნობილი ნირ-ვეისის შვილმა 1722 წ.) დაწერ. იხ. ჩვენს წერილში „მასალა ვახტანგ Vi-ის ბიოგრაფიისათვის“ (რჩეული ნაწერები, ტ. ი).

109. ნადირ-შაჰი-ირანის ხელმწიფე, დამპყრობი (1688-1747). დაღისტანში ილაშქრა 1741 და 1743 წ.. წ. თუმცა მის საომარ ექსპედიციას წარმატება არ ჰქონია - ცვერ შესძლო დაღისტნის ვერც ერთი ტომის დამორჩილება, რამაც დიდად შებღალა მისი, ეროგორც მხედმთავრის პრესტიჟი.

110. ნადირ-შაჰმა ქ. ყნდარი (ავღანისტანი) ხანგრძლივი გარემოცვის შემდეგ აიღო 1738 წ. მეფის ჯარებმა გაძარცვეს ქალაქი და შემდეგ მთლიანად დაანგრიეს იგი.

11. ყიზლარი - ყიოფ, სამაზრო ქალაქი, მდ. ძველი თერგის მარცხენა ნაპირას, კასპიის ძღვიანმ 60 ვერსის დაშორებით.

112. მოსდოკი- ყოფ. სამაზრო ქალაქი, მდ. თერგის მარცხენა ნაპირას (შედიოდა ყოფ. ნალჩიკის ოლქში).

113. „გენ. ტოტლებნი სამეგრელოსა და გურიაში ... ამარცხებს თურქებს ქუთაისტან:“- გოტლიბ ჰაერიხ ტოტლებენი, გენერალი (1710-1713). კავკასიაში მისი მოღვაწეობის შესახებ იხ. ე. ვეიდენბაუის წერილი Кавказский поход графа Тотлебена (წიგნში Кавказские етюды. Тиф. 1901). 1770 წ.

114. ქუჩუკ-კაინარაჯის ხელსეკრულება დაიდო თურქებსა და რუსებს შორის 1774 წ. რომლის მიხედვით ოსმალეთი ხელს იღებდა იმერრეთსა და გურიაზე.

115. გმელინი (სამუელ გოტლიბ) - აკადემიკოსი, 1774წ. კასპიის მხარეში, მოგზაურობისას დაატყვევა ყაიოთაღის მფლობელმა (უცმი) ემირ-ჰამზამ. გარდაიც. იმავე წლის 17 ივლისს სოფ. კაიაკენტში. 1862 წელს აკად. დორნმა მოძენბნა მისი საფლავი და ძეგლი აუგო.

116. ეკატერინოგრადი - თავდაპირველად იყო სტანცია (თერგის ოლქში). 1786 წ. საგუბ. ქალაქი. ამის შემდეგ ყოფ. სამაზრიო ქალაქი, ბოლოს ისევ სტანცია.

117. ალექსადროვსკი - ყოფ. სამაზრო ქალაქი (ჩრდ. კავკასია).

118. სტავროპოლი - ყოფ. სამაზრო (შემდეგ 1847 წლიდან საგუბერნიო) ქალაქი (ჩღდ. კავკასია). დიუმა სწორეად აღნიშნავს, რომ 1785 წელს დაარსდა კავკასიის მმართველობა, რომელიც აერთებდა ეკატერინოგრადის, ალექსანდროევსკის, ყიზლარის, მოზდიკის და სტავროპოლის მაზრებს.

119. შამილი (დიუმათი „შამუილი“ და „შამუილ-ეფენდი“) - დაღისტანისა და საჩაჩნოს მესამე იმამი (1797- 1871), მთიელთა ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მეთაური. დაიბ. აულ გიმრში. იყო პირველი იმამის ღაზი-მუჰამედის (ყაზი-მოლა) მოწაფე და თანამებრძოლი 1830-1832 წლებში. მეორე იმამის ჰამზად-ბეგის მოკვლის შემდეგ (1834 არჩეული იქნა დაღისტნის იმამად. მისმა ხელისუფლებამ აპოგეას მიაღწია 1843 წელს, დაღისტნისა და საჩაჩნოს დიდი ამბოხების დროს. შამილის მთავარი რეზიდენციები იყო - აშილტა (1835) და ახულგო (1836-1839) დაღისტანში, დარღო (1840-1845) და ვედენო (1846-1859) - საჩაჩნოში. ვედენოს აღების შემდეგ გარბის დაღისტანში და თავს აფარებს მთაგუნიბს, სადაცდატყვევებულ იქნა ბარიატინკის მიერ 1859 წ. 25 აგვისტოს. X წელიწადი ცხოვრობდა რუსეთში (მედწილად ქ. კალუგაში). 1870წ. ნება დართეს მექაში გამგზავრებისა სადაც გარდაიცვალა 1871 წ. (დაწვრ. იხ. გრ. ორბელიანი, წერილები. ტ. IდაII.

120 . აპშერტონის კონცხი - მდებარ. ყოფ. ყუბანის მხარეში.

121. ტამანი-სტანცია ყოფ თემრიუკის მაზრაში, ტამანის ყურის სანაპიროზემ, ყოფ. ეკატერინოდარიდან 187 ვერსის დაშორებით.

122. უდები - მცირე რიცხოვანი კავკასიური ტომი, რომლის ენა ლეზგურ ენატა ჯგუფს (კავკ. იმერიულ ოჯახს) მიეკუთვნება. ცხოვრობენ ყვარლის ახლოს და ვართაშენში (აზერბ).

123. მდ. სუეპი -თუ სუპსა-მდინარე ყუბანში (პაგირ, შდრ. Вейденбаум, Путеводитель по Кавказу, 92).

124. ყაზიმოლა (ყაზი-მუჰამედი)-დაღისტნის პირველი იმამი, რომელმაც ჰაზავათის დროშა ააფრიალა XX-იან წლებში. მოკლეს გიმრში 1832 წელს, გენ. როზენის მიერ მოწყობილი დიდი საომარი ექსპედიციის დროს .

125. მურიდიზმი („ყაზი-მოლამ დაარსა მურიდიზმი“)-რელიგიურ-სოციალური მოძრაობა დაღისტანში, 20-an 60 -ან წლებში, მისი მახვილით გამავრცელებელნი იყვნენ დაღისტნის იმამები. თვითონ რელიგიური მოძრაობა კი დაღისტანში გადავიდა ბუხარიდან და დაამკვიდრეს იქ ნაქშბენდაეს მისტიკური ორდენის მიმდევრებმა (ბაგაუდინ-მუჰამედ-ნაქშბენდი ცხოვრობდა 14 საუკუნეში). მურიდი აარაბული სიტყვაა და ნიშნავს (ჭეშმარიტების მაძიებელს), მსურველს. მურიდების მეთაურნი არიან მურიშიდები.

126. ცნობა იმის შესახებ თითქოს ყიზლარზე ტავდასხმისას იმმა ღაზი მუჯამედმა ტავი მოსჭარ 6000 კაცს-გაზვიადებულია. ამასა დიუმა რამდენჯერმე იმეორებს.

127. რაუბანდის გარემოცვა ღაზი-მუჰამედის (ყაზი-მოლას) მისერ მოხდა 1831 წელს. 1 ნოემბერს. გენ. კახანოვმა დაამრაცხა იგი ციხე-სიმაგრე ბურნაიასათან. ხოლო დარუბანდი გარემ,ოცვისგან გაანთავისუფლა.

128. დიუმას ცნობა შამილის ჭაბუკობის შესახებ (რომ ის დაღისტნის მოედანზე ცეკვავდა) - მუარულია.

129. გენერალი პასკევიჩი (ივანე თედორეს ძე)- გრაფი, ინფანტერიის გენერალი (1782-1856). კავკასიის ჯარების მთავარსარდალი 1827 წლიდან (შესცვალა გენერ. ა. პ. ერმოლოვი). 1831 წელს გაწვეულ იქნა კავკასიიდან პოლონეთის კჯანყების ჩასაქრობად. ებოძა ვარშავის ბრწყინვალე თავადის წოდება. კავკასიაში მისი მოღვაწეობის პერიოდში ახსანიშნავი ერევნი აღება 1827 წელს, რუსეთ-ირანის ომში. ნიკოლოზ I-ის ერთგული სატრაპი. მოკლებული იყო სამხედრო ნიჭს. ჯავან-ბულაკი (ჯევანბულაკ) - ხეობა, სადაც პასკევიჩმა დაამარცხა სპარსელების ჯარი აბას მირზას მეთაურობით. 1827 წ. 5 ივნისს (და არა 1826 წ. როგორც დიუმა წერს).

130. აბას-აბადი-ყოფ. ციხე-სიმაგრე ყოფ. ნახჭევანის მაზრაში. ეპყრა სპარსელებს. აიღო პასკევიჩმა 1827 წ. ივლისს

131. სარდან-აბადი - ციხე-სიმაფგერ ყოფ. ერევნის გუბ-ში. აიღო პასკევიჩმა 1827 წ. 20 სექტემბერს.

132.-134. არდებინი, მარანი, (ე. ი. მარაღი), ურმია - სპარსეთის ქალაქები რომლებიც აიღეს კავკასიის ჯარებმა 1827 წლის იანვარში (მარაღი-გენ. პანკრატიევმა, არდებილი-გენ. სუხტენელმა, ხოლო ურმია-გენ. ლაპტეევმა).

135. თურქმენცაის ზავი- დაიდო რუსეთსა და სპარსეთ შორის თურქმენ ჩაიოში 1828 წლის 19 თებერვალს,. ზავის მიხედვით ყოფ. ერევნისა და ნახჭევანის სახანოები რუსეთს შეუერთდა.

136. ადრიანოპოლი (თურქ. „აირნე“ - ამავე სახელწოდების ვილაიეთის ქალაქი, ძველი თრაკიის ტერიტორიაზე, სტამბოლიდან დაახლ. 240 კილ-ზე. 1829 წ. 2 სექტემბრის ადრიანოპოლის ზავუის მიხედვით რუსეთმა მიიღო ახალციხეის საფაშალიყო (აწყური ფოთი, ანაპა, ყუბანის გარე მხარეები და შავი ზღვის სანაპიროოები ანაპი და მიყოლ. მდ. ჭოროხამდე).

137. ბარონი როზენი -გენერალ-ადიუტანტი ბარონო გ. ვ. როზენი (1788-1841). მართვადა კავასიას 1831-1837 წლებში აღმოჩნდა ცუდი სტრატეგი და სარდალი მთიელებტან ომში, თუმცა

1832 წელს თავი ისახელა გიმრის აღებით (იხ. ზემოთ). 1837 წელს გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან (მის ნაცვლად დაინიშნა გოლოვინი).

138. გიმრის აღებისას (1832 შამილის გადარჩენის ისტორია მოთხრობილია არა ზუსტად. აგრეთვე თხობა იმამ ხაზი-მუჰამედის გვამის პოზის შესახებ ამ უკანასკნელის მოკვლს შემდეგ - ლეგენდარულია (ამ ლეგენდის საფუძველზე შემდეგ სურათიც იქნა დახატული, რომელზედაც გამოსახულია მთიელთა ბელადი წვერში ხელჩავლებული და ტყვიებით დაცზრილული. იხ. წიგნში Ed. Eichwald. Reise auf dem Kaspichen Meer und in den Caucasus unternomen in den Jahren 1825-1826. Stettgart, 1837, B-D Erster,abt. 2. VIII; 732-733.

139. ჰამზად-ბეგი -მეორე იმამი დაღისტანისა, მოჰკლეს ხუნძახში 1834 წელს შეთქმულებმა. იმავე წელს მესამე იმამად არჩეულ იქნა სამილი.

140. ყარადაღი-მთა და ხეობა ავარიაში. აქაა ხიდი მდინ. ავარიის ყოისუზე, აულ ხუნძახისაკენ მიმავალ გაზეზე.

141. აბუ-ნუნცალი, უმახანო ბულაჩხანი-სამი ძმა, ვარიის ხანის სულთან ახმედ-ხანის შვილები. 1834 წელს ხუნისხსში მაჰმად-ბეგმა ვერაგულად მოჰკლა ორი ძმა-აბუ-ნუნცალ-ხანი (დაიბ.1833 წ.) უმან-ხანი (დაიბ. 1818 წ.), ხოლო გადარჩენილი უმცროსი მულაჩ-ხანი (დაიბ. 1820 წ). მოაკვლევინა სამილმა იმავე წელს. ამათი და იყო სულტანეთა, მარლინკის რომანის „ამალად-ბეგის“ გმირი იხ. ქვემოთ შენ №257). (Ал. Еерже, ерже, Материалы для описания нагорного Дагестана. Кавк. Календарь на 1859 г. Стр. 275).

142. ხუნძახი- დიდი აული ავარიაში (დაღისტ); ყოფ. ავარიის ხანებუის რეზიდენცია.

143. ჰამზად-ბეგის მოკვლაში მთავარმონაწილეობას იღებდნენ ხუნძახელი ოსმანი და მისი ძმა ჰაχი-მურატი, შემდეგში განთქმული ნაიბი შამილისა. დაიბადა ავარიაში. 1814 წ. იზრდებოდა ხანების სასახლეში. 1834 წელს, იმამ ჰამზად-ბეგის მოკვლის შემდეგ, დროებით მართავდა ავარიას. რუსებთან უთანხმოების ნიადაგზე 1840 წელს მიემხრო შამილს. კავკასიის ომის ლეგენდარული გმირი. მოკლეს 1852 წ. (იხ. ქვემოთ, შენიშვნა №208).

144. იმამი (არაბ. იმამ) - სასულიერო და სამხედრო - სამოქალაქო მეთაური (წინამძღოლი) მუსულმანებისა, დაღისტანში იმამებად იწოდებოდნენ მოწაფეები და მიმდევრები იმ მისტიკის მუსლიმანებისა, რომლებიც ხაზავათს (წმიდა ომს) და ტარიკატს (ღმერთის შეცვლების გზები) ქადაგებდნენ. ასეთები იყვნენ ღაზი-მუჰამედი, ჰამზად-ბეგი და შამილი (სპეც-იხ. Мирза Александр Казем-Бек. О значении имама, его власть и достоинство. Русское слово, 1860, №3, стр. 274-306).

145. ავარიელი ხანების უკანასკნელი ცამომავლის, ყრმა ვულაჩის ტრაგიკული სიკვდილის ისტორიას დიუმა ძირითადად სწორად გადმოსცემს.

146. მუანე-დიუმას მხლებელი მხატ\ვარი - ჟან-პიერ მუანე, (Jan-Pierre Mounet, 1819 –gard 1874 წ. შემდეგ) მოღვაწეობდა პარიზში. სახელი მოუხვეჭა დიუმასთან ერთად მოგზაურობის დროს დახატუულმა სურათებმა-რუსეთისა და კავკასიის პეიზაჟებმ. მუანეს ნამუშევრები ხშირად ყოფილა გამოფენილი პარიზის სამხატვრო სალონებში და მათ სიამოვნებით ყიდულობდნენ (იხ. С. Дурилин. Александр Дюма и Россия. Лит. Наследство 1537, т. 3. 32, стр. 541-536. აქვეა დაბეჭდილი მუანეს სამი ცანახატი 1. „წისქვილი კავკასიის მთებში“, 2. „ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები კავკასიის მთებში“ და 3. „მტკვრის მიდამოები თბილისში“).

147. კალინო- მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკ-მათემატიკური ფაკულტეტის II კ. სტუდენტი ა. კალინო (დაიბ. 1835), რექტორის მიერ სპეციალურად იოყო რეკომენდირებული თარჯიომნად დიუმასტან მისი მოგზაურობის დროს (დურილინის დარკ. გვ. 536-560).

148. კარლოს III –„წმინდა რომის იმპერიის“ იმპერატორი (1839-გარდ. 888წმ. შმდ.). სნეული მეფე, „სქელად“ წოდებული. უნიათო მართველი.

449. ბარიატინსკი (ალექსანდრე ივანეს ძეს - მეფის ნაცვალი და კავკასიის ჯარების მტავარსარდალი 1856-1862 წ. წ. ცნობილი სამხედრო მოღვაწე, თელდმარშალი (1815-1879). დაატყვევა შამილი 1859წ. გუნიბში. ბარიატინსკის ცოლად ჰყავდა დიმიტრი ორბელიანის ასული ელისაბედი (ლიზა), რომელსაც დიუმა ახსენებს, როცა ეს ქალი პირველ ქმარს დავიდოვს ესვა მეუღლედ.

150. დიუმას კულინარიული მიდრეკილებები საერთოდ ცნობილი ყოფილა ამის შესახებ იხ. წერილი „ალექსანდრე დიუმა-კულინარი“ (გაზ. „თბილისი“, 1963, 26 აპრილი). მწერლის სიკვდილის შემდეგ ალფონს დემერს გამოუცია მისი დიდი „კულინარიის ენციკლოპედია) ანატოლ ფრანსის მონაწილეობით(ანდრე მორუა. სამი დიუმა. რუს. თარგ. 1962, გვ. 408). მწერალს იგი 1869 წელს შეუდგენია.

151. კომენდანტი... ამ დროს (1858) ყიზლარის კომენსდანტი იყო პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე თედორეს ძე პოლნობოკოვი (Кавк. Календарь на 1859 г. Тиф, 1858).

152. მონმირალი - ქალაქი საფრანგეთში (გავარნის დეპ.). 1814წელს. ნაპოლეონმა ამ ქალაქტან დაამარცხა რუსთა ჯარის კორპუსი, რომელსაც საკენი მეთაურობდა.

153. ბუალო- ნიკოლო ბუალო დეპრეო, გამოცენილი პოეტი დ თეორეტიკოსი ფრანგული კასიციზმისა (1636-1711), ავტორი ლექსად დაწერილი ტარქტატისა „პოეტური ხელოვნება“ .

154. ანრი III (იგივე: ჰენრიხ III) რომი - გერმანიის იმპერატორი (გარდ. 1056). ძლიერი ნებისყოფის მქონე მონარქი/

155. ბ-ნ კიუსტინი-მარკიზი ა. კიუსტინი, - ავტორი წიგნისა „რუსეთი 1859წ.“ (პარიზი, 1843. არსებობს რუსული თარგმანი, აგრეთვე ქართულად „ნიკოლოზ I-ის რუსეთი“, ტფ; 1929) რომელიც ნიკოლოზI-ის რუსეთის სასტიკ მხილებას წარმოადგენს. რუსეთში ამ წიგნმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. თვითცნობილი „მესამე განყოფილბის“ შეფს გენ. ბენკერდოფს მოუხსენებია იმპერატორისთვის „ბ-ნმა კიუსტინმა მხოლოდ ჩამოაყალიბა ის შ ეხედულებანი, რაც ყველას აქვს ჩვენს შესახებ და თვით ჩვენშიცო“.

156. სადგური სჩუკოვაია (დიუმათი“Shoukovai” რუსულ ტარგმანში „Суковая“ ადგილის ზუსტი ლიკალიზაცია არ ხერხდება, პაგირიოვის ქარტაზე იგი აღნიშნული არა. დიუმა გულისხმობს „სამხედრო პუნქტს“ ყიზლარ-დარუბანდის გზაზე. იგი წერს, რომ როგორც კი გასცდა „შუკოვაიას“ უკანასკნელ სახლებს, მას გზა გადაუჭრა თერგმა. მაშასადამე-ეს პუნქტი თერგის სანაპიროზე მდებარეობდა.

157. სადგური ნოვოუჩრეჟდენაია-პუნქტი ყიზლარ-დერბენდის გზაზე, თერგის მარჯვენა მხარეს.

158. დევიმი-ფრანგი ოსტატი, იარაღებუის მკეთებელი.

159. „კარგატემსკაია და შჩერბკოვსკაია“ -კარგატემსკაია თუ კარგალინსკაია (?) მდინარეა ყიზლართან, ხოლო შჩერბაკოვსკაია - ყოფ. საფოსტო სადგური ყიზლარის მხარეში (პაგირიოვი).

160. კუპერი (ჯეიმს ფენიმორ)- ცნობილი ამერიკელი მწერალი, ადრინდელი რომანტიული ლეტერატურის შესანიშნავი წარმომადგენელი (1789-1857), ავტორი რომანებისა „უკანასკნელი მოჰიკანი, „პრერია“ და მრ. სხვა.

161. ესქილე-დიდი ბერძენი ტრაგიკოსი (525-456)ძვ. ერით), ავტორი ტრაგედიებისა „მიჯაჭვული პრომეთე, „ „ორესტეა“, „აგამენონი“, „სპარსელები“ და სხვა.

162. სალვატორ როზა (1615-1667) - იტალიელი მხატვარი-ოფორტისტი და პეიზაჟისტი სახელი გაითქვა აბრუცის (შუა იტალია მრისხანე და პირქუში ბუნების სუყრათების ხატვიტ.“.

163. ჩირ-იურთი ყოფ. ციხე-სიმაგრე მდ. სულაკზე, ხასავ-იურთსა და თემირ-ხამნ-შუირას შორის. 50-ან წლებში ნიჟეგოროდის პოლკის შტაბის სადგომი.

164. ჟირო-ცნობილი იყო ორი მხატვრაი ამგვარით: 1. პიერ-ფრანსუა-ეჯენი(1806-1881)-პორტრეტისტი და ჯანრისტი. იგი მოგზაურობდა ალ. დიუმასთან ერტად ესპანეთში 1848 წ. იყო აღმოსავლეთშიაც. აქვს მრავალი სურათი იტალიის და აღმოსავლეთის სცენების ამსახველი. 2. სებასტიეს შარლ (1819-1892)-ძმა და მოწაფე 1 ჟიროსი. დიუმა გულისხმობს პიერ-ფრანსუა-ეჟენს.

165. ჩერვლიონაია -სტანცია ყოფ. თერგის ოლქში, სადგური, რომელტანაც რკინიგზით შეერთბ̆ბულია ქ. ყიზლარი.

166. ავდოტია დოგადინსკაი - პოლკ. ივ. ივანეს ძე დოგადინსკის მეუღლე.

467. „პოლკოვნიკი შატინოვი“ („Shatinof “)-პავლე ნიკ. ძე შატილოვი. ქ. ერევნის კომენდანტი „Кавк. Календарь на 1860. Тиф, 859, V, стр 60).

168. სადგური შჩედრინსკაია - მდებ. ყიზლ;არ-ხასავ-იურთის ხაზზე (პაგირიოვი, 299, ქარტაზე-Ж5).

169. დიუმას წიგნის ამ ადგილის შესახებ (რომელიც კაზაკებისა და ჩეჩნების „შეტაკებას“ ეხება) იხ. შესავალი წერილი, აგრეთვე ნ. ბერძენოვის შენიშვნა-„კავკასიის“ რუსული თარგმანის გვ. 104.

170. ცნობა შამილის მიერ დაწესებული ორდენის შესახებ შესწორებას მოითხოვს: არც ერთ ორდენს არ ჰქონია წარწერა „შამილ-ეფენდი“ („Shamuil, effendu”).არამედ მხოლოდ „შამუილ“.

171. „პოეტი პარნი“ ან კავალერი ბერტინი“... პარნი(ევარისტ დეზირე დე ფორშ)-ფრანგი პოეტი კლასიცისტი (1753-1814), ავტორი სატრფიალო და ანტირელიგიური პოემებისა და ელეგიების. განსაკუთრებით ცნობილია მისი დიდი პოემა „ძველი და ახალი ღმერთების ომი).

172. გრაფი აპრაქსინი (თეოდორემათეს ძე). გენერალ0ადმირალი და სენატორი (1671-1728), პეტრე დიდის თანამებრძოლი და ფავორიტი.

173. ივანე ივანე ძე დოგადინსკი-პოკოვნიკი. მსახურობდა კავკ. ჯარების კორპუსში.

174. ყოფ. ციხე-სიმაგრე (აგებული იქნა 1816 წ.), მდინ. იარიაკსუს მარჯვენა ნაპირზე. 1848 წლიდან ყაბარდოს ქვეითი შტაბის სადგომი. ბოლოს „სლობოდა“.

175. თავადი მირსკი- პდპოლკოვნიკი - დიმიტრი იავნეს ძე სვიატოპოლკმირსკი, ყაბარდოს პოკის უფროსი 1857-1859 წლებში. ცოლად ჰყავდა იაკობ ორბელიანის ასული სოფიო (Зисерман. 25 лет на Кавказе, ч. II . стр. 182).

176 „ნაიბი მელქუმ რაჯა, მოკლული თავად შამისოვის („prinse Chamisot “)მიერ (?) სახელები დამახინჯებულია.

177. გრაფი ვორონცოვი (მიხეილ სიმონის ძე) - მეფის ნაცვალი კავკასიაში გენერალ-ფელდმარშალი (1782-1856). საკმაოდ ცნობილი პიროვნება. (დაწვრ. იხ. გრ. ორბელიანი, წერილები I და II ტ. ტ.).

178. მაზაგრანი. (თუ მასაგან -Mazagan) - ძალზე გამაგრებული ნავსადგური მაროკოში, ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე.

179. გენერალი სუსლოვი (ალექსანდრე ალექსანდრეს ძე) - გენერალ - ლეიტენაბტი, ერევნის რაზმის უფროსი. კავკ. ომის ცნობილი მონაწილე. 1846 წელს იყო გრებენის კაზაკთა პოლკის უფროსი. 1858 წ. გენ-ლეიტენანტი... დიუმა გულისხმობს შემდეგ ისტორიუკლ ფაქტს: 1846 წლის 24 მაისს გრებენის პოლკის კაზაკები სუსლოვის მეთაურობით ერთი საათის განმავლობაში წინააღმდეგობას უწვედნენ 1500 მთიელისაგან შემდგარ ხენოსანს ჩეჩნელთა რაზმს ციხე-სიმაგრე ამირ-აჯი-აურთა\ნ.

180. „სოფელი აკბულატიურთი“ (,d`Acbutakiourth”) - იგულ. აკ-ბულატ-აურ-თი, მდებარეობს ხასავ-იურთის ახლოს საჩაჩნოში.

181. ფრეიტაგი (რობერტ კარლოს ძე ფრეიტაგი 1) -გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის ომის მონაწილე, რომელმაც იხსნა მთიელებისაგან გარემოცული რაზმი მ. ვორონცოვისა ე. წ. „დარღის ექსპედიციის“ დროს, 1845 წელს საჩაჩნოში.

182. გენერალი ერმოლოვი (ალ. პეტრეს ძე)-გამოჩენილი გენერალი (1772-1861), 1812 წლის სამამულო ომის მონაწილე. 1816-1826 წ. წ. -საქართველოს „პროკონსული“ და კავკ. ჯარების მთავარსარდალი. გადაყენებულ იქნა ნიკოლოზ I-ის მიერ (მის ნაცვლად დაინიშნა პასკევიჩი).

183. ფორტი გროზნაია - ციხე-სიმაგრე, აგებული გენ. ა. პ. ერმოლოვის მიერ 1818 წ., მდინარე სუნჯაზე, შემდეგ- ოკრუგის ქალაქი (1870წ. ეწოდა ქ. გროზნი). დღევანდელი გროზნო.

184. ამირ-ადიურთი-იგულისხმება ციხე-სიმაგრე ამირ-აჯი-აურთი საჩაჩნოში (ყოფ. ვედენის ოკრუგი). კავკასიური ომის დროს, კერძოდ 1846წ. მაისში ამ აულს იცავდნენ გრებენის კაზაკები.

185. გენერალი მიდელი-იგულ. გენ მანიდელი, რომელმაც იხსნა ჩეჩნებისაგან გარემოცული პოდპოლკ. სუსლოვის რაზმი. 1846 წელს ამირ-აჯი-იურტთან. ამ წელს მაიდელი პოკოვნიკი იყო (მის შესახ. იხ. Зисерман. Биография. Борятинского. 1, 19, 214.)

186. ცარსკიე კოლოდცი - ახლ. წითელი წყარო (კახეთი).

187. ახულგოს აღება- ახულგო-შამილის რეზიდენცია დაღისტანში 1836-1839 წ. რომელიც იერიშით აიღო კავკასიის ხაზზე მოქმედი ჯარების სარდალმა პავ. ქრისტ-ძე გრაბე I-მა (გენერალ-ლეიტენანტი, 1787-1875)., ამისთვის მას ებოძა გენ-ადიუტანტის ხარისხი. 1842 წელს

კი იჩქერიის ტყეში (საჩაჩნო მთელი რიგი დამარცხების შემდეგ მოხსნილი იქნა თანამდებობიდან .

188. ჯემალ-ედინი - შამილის უფროსი ვაჟი, რომელიც ახულგოს აღების წინ სამილმა ამანათად გაუგზავნა გენ. გრაბეს. რუსეთში იგი ჩარიცხეს ულანის პოკში პორუჩიკის ხარისხით. მამამ თავისი ვაჟი მხოლოდ 1855 წელს დაიბრუნა. გარდაიცვალა 1858 წელს (იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, 11, 320).

არგვანი-მდინ. არღუნი .

189. თავადი ტარხნიშვილი- რამაზ დიმიტრის ძე თარხან-მოურავი პოლკოვნიკი, ნუხის მხარის მართველი. (იხ. Кавк. Календарь на 1860 г. V 15). დიუმა მასთან იყო, ნუხაში, რასაც მწერალი დაწვრილებით და მხატვრულად აგვიწერს (იხ. თავი «თავადი ტარხნიშვილი“). გჰამოჩენილი ფიზიოლოგიის ივ. თარხნიშვილის მამა (შედრ. შენ. № 327).

ლენქორანი-ყოფილი სამაზრო ქალქი, ძველი სახანო ტალიში - ს ნაწილი, კასპიის მხარეში, ზღვის პირას, მდინ. ლეჩქორან-ჩაის შესართავთან (აზერბაიჯ).

190. აული ჰელი (გელი, გილი, „Helly”)-სადგური ფარაულსა და ყარაბულ დაჰკენტს შორის (იხ. ქვემოთ, შენ. №226).

191. თავადი ბაგრატიონიი- იხ. ქვემოთ, შენ. №230.

192. თავადი -დონდუკოვ-კორსაკოვი (ალექს. მიხეილის ძე) (1820-1893) - ნიჟგოროდის პოლკის უფროსი 1858 წლამდე. 1882 წ. - კავკ. ჯარების სარდალი და მთავარმართებელი, გენ-ადიუტანტი. მის ნაცვლად პოლკის უფროსად დანიშნული იყო გრაფი ნოსტიცი (იხ. ქვემოთ).

193. პოლკოვნიკი კონიარი („Coniard”)-„ჩამომავლობით ფრანგი“ (დიუმა). „ეს იყო ერთ-ერთი ჩემი მეგობარიო“ - წერს მის შესახებ „კავკასიის“ ავტორი. ყაბარდოს პოკის ოფიცერი. დიუმას შეხვედრია ხასავ -იურთში.

194. კაპიტანი გრაბე - გენ. გრაბეს შვილი. შეხვედრია დიუმას ხასავ-იურთში (იხ. „კავკასიის“ რუს. თარგმ. გვ. 145. ქართულად ეს ადგილი თარგმნილი არაა).

195. „სკარონის ცნობილი სადილები“ -იგულ. ფრანგი მწერალი პო სკარონი (1610-1660), ავტორი „კომიკური რომანისა“ რიალისტი, რომელიც თავის მოთხრობებში, სხვატა შორის, ახწერდა დუქნების გარემოს.

196. აპოლონ -პითიელი-ხელოვნებისა და სინათლისღმერთის აპოლონის კულტი განსაკუთრებით ძლიერი იყო ფოკიდაში (შუა საბერძნეთი), სახელდობრ პითოს ქალაქ დელფოსში, სადაც მისი ტაძარი იყო აგებული...ამიტომ აპოლონს პითიელიც ეწოდებოდა.

197. ჯანსტრეისი (Jan Struys)- ჰოლანდიელი მეზღვაური და მოგზაური (?) -გარდ. 1694წ.), რომლის „სამი მოგზაურობა სპარსეთში“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ტავის დროზე (იხ. Я. Я. Стрейс. Три путешествия. Пер. Э. Бородиной 1935). დიმას სტრეისის ამ წიგნიდან მოჰყავს ამონაწერები (მდრ. „კავკასიის“რუს. თარგ. 156-157; სტრეისის შეს. იხ. Мполиеввктов. Европеиские путешественники XIII-XVIII в. В. По Кавказу. Тиф., 1935, стр. 177-179.

198. კორნელი-გამოჩენილი ფრანგი დრამატურგი- კლსიცისტი პიერ კორნელი (1606-1684), ავტორი პიესებისა“სიდი, „ „ჰორაციუსები“, „ცინა“, „პოლიევქტი წამებული და სხვ.

199. ვნეზაპნაია - ყოფ. ციხეს-სიამგერ. ააგო გენ. ა. პ. ერმოლოვმა 1819წ . მდ. აქშატის მარცხენა სანაპიროზე (ყოფ. ხასავ-იურთის ოლქი).

200. აქსაი - მდინარე ხაავ-იურთათ.

201. იამან -სუ - მდინარე თერგის მხარეში.

202. ალისულთანი - პოლკოვნიკი, ძმა მეხთულის (დაღ), ყოფილი სახანოს დინასტიური გამგებლის ახმეტ-ხანისა. ალი-სულტანი ავარიის გამგებლის პოსტსაც იჩემებდა.

203. ყუმუხის ველი - აღისტანშია.

204. აქტაში-მდინარე ყოფ. ხასავ-იურთის ოლქში (იხ. შენ. № 174).

205. აული ანდრეი -ანდრეევსკოე, ალი-სულთანის სოფელი (დაღ), ყოფ. ციხე-სიმაგრე , მდებ. მდ. სულაკთან (აგებ. იქნა 841), სოფ. ჭირყეის მახლობლად.

206. გრაფი ნოსტიცი (ივანე გრიგოლის ძე) - ნიჟე-გოროდის პოლკის უფროსი, რომელტანაც იყო დიუმა 1858 წელს. ნოსტიცის დახასიათება იხ. პოტოს მიერ შედგენილ „ნიჟე-გოროდის პოლკის ისტორიაში“.

207. პოლკოვნიკი კლაზარევი. (ივანე დავითის ძე) - გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის ომის მონაწილე (1820-1879). მოლაპარაკებას აწარმოებდა სამილთან გუნიბში 1859 წელს, როცა მთიელთა ბლადი ნანებდა ბარიატინსკი. რაც შეეხება დიუმას შენიშვნას, რომ ლაზარევს პირველად შეუმჩნებია ავარიაში ჰაჯი-მურატის საიდუმლო კავშირი (მოლაპარაკება) შამილთან - ნაწილობრივ მართალია .

208. დიუმას მხედველობაში აქვს ჰაჯი-მურატის უშედეგო თავდასხმა ტაბასარაზე (დაღ) 1851 წელს. რასაც შამილის მკაცრი საყვედური მოჰყვა სხვა მიზეზებთან ერთად ამანაც გამოიწვია უთანხმოება იმამისა და მისი ნაიბისა. 185 1წლის 23 ნოემბერს ჰაჯი-მურატი გამოცხადდა რუსთა ჯარების სარდლობასთან. 1852 წლის აპრილში სცადა ისევ მთებში გაქცევა, რომლის დროსაც მოკლული იქნა სოფ. ბელიაჯიქთან (ყოფ. ნუხის მაზრა, აზერ,).

209. ბელაჯიკი (ბელიაჯიკი და კახი („Kach”) - მდებ. ყოფ. ნუხის მაზრაში, ჰაჯი-მურატის მკვლელობის (1852 წ. 23 აპრილი) ადგილი.

210. დიუმას ცნობა იმის შესახებ, რომ ჰაჯი-მურატის მოკვეთილი ტავი ჩაუდევთ სპირტში და გაუგზავნიათ თბილისში-მართალია.ასე, მაგალ. 1852 წლის 1 მაისს კონსტანტინე თარხნიშვილს ატყობინებდნენ: „ქალაქში“ ჰაჯი - მურატის გაქცევა დიდი ჭორები და მითქმა-მოთქმა ფგაამრავლა. ამ ჭორებს ქონდთ მოკლე დრო; მეორეს დილას მოგვივიდა მბავი იმის სიკვდილისა, აყალმაყალი სრულებით დასწყნარდა, იყვნენ მაინც ჭორები, რომ იქნება არ იყოს მკვდარიო, მაგრამ ამასაც მოკლე დრო ჰქონდა. გუშინ მოიტანეს თავი იმამ ხეცისა კაცისა. ბოლნიცაში ძევს სტოლზედ, კარე ჩასავოები დგანან, რომ ხალხი რიგიანად შევიდეს, მთელი ქალაქი შეინძრა და სანახავად მიდის; გუშინ ასეთი სიმრავლე იყო, რომ მე ვერ შეველი, მაგრამ დღეს განგებ წავალ. ვნახე მისი მშვენიერება. წარმომიდგა ის დრო, როცა თავის ოთახში უცებ დაიძახებდა ლოცვას რასმე არაბულს. მართლად ღირსი დასჯა მიენიჭა და ძაღლი ძაღლურად ჩაკვდა“ (გრ. ბებუთაშვილის წერილი. იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, თ. 1, გვ. 294-295. საერთოდ ჰაჯი-მურატის გაქცევისა და მისი სიკვდილის შეს. იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II გვ. 292). აქვე უნდა შევნიშნოთ , რომ ჰაჯი-მურატის მოჭრილი თავი მოითხოვა თვითონ მთავარმართებელმა ვორონცოვმა. \1852 წ. 28 აპრილს იგი სწერდა ბარიატინსკის თბილისიდან: „... голова Хаджи-Мурата будет прислана сюда, где Андреевский (ექიმი. ა. გ.) хочет его

препорировать и отослть в Академию (А. Зиссерман. Биографиа барятинского, т. л. Стр.) ვორონცოვისავე დღიურში (იხ. Старина и новизна. 1902) აღნიშნულია, რომ 1852 წ. 30 აპრილს თავი ჩამოუტანიათ თბილისში და მეფის ნაცვლის ბრძანებით ჰოსპიტალში მოუთავსებიათ. ჰაჯი-მურატის თავის სურათი გადაუღია მხატვარ კორადინს, რომელიც თბილისში მსახურობდა. ამის შემ,დეგ შმილის ნაიბის თავი გადაგზავნილ იქნა პეტერბურგში, რაც დიუმასთვისაც ცნობილი ყოფილა (იგი წერს: «თავი ახლა პეტერბურგშიაო“).

1959 წელს აღმოჩნდა ჰაჯი-მურატის საფლავი კახის რაიონის (აზერ. სსრ). სოფელ ყიფჩაღის ახლოს საფლავის ახდის შემდეგ იქ ნახეს-- როგორც ეს მოსალოდნელი იყო-განთქმული მთიელის უთავო სხეული. ამ საკითხზე იხ. Справка из классическоий литературы (Лит. Газета, 1959, №120 (4086), от 29 сент.) და სიმონ ქიტიაშვილის წერილი «ჰაჯი-მურატის საფლავი ნაპოვნია“ (გას. „კომუნისტი“, 1959, 14 სექტ). ორივე კორესპონდენციაში ნათქვამია, რომ ლ. ტოლსტოის მიერ ჰაჯი-მურატისთვის თავის მოკვეთის ახწერა ხელი შეუწყო მეცნიერებს, შეემოწმებინათ ისტორიული სნამდვილე, ხოლო საფლავის აღმოჩენამ კი ვარაუდი გაამართლაო. მაგრამ ჰაჯი-მურატს რომ თავი მოჰკვეთეს - ეს ფაქტი არავითარ შემოწმებას არ მოითხოვდა.

ანალოგიური „აღმოჩენაა“ განმეორებული სააგენტო „ახალი ამბების“ კორესპონდენტის გ. იურიევის წერილში. „ჰაჯი-მურატის ტავი“ (გას. „კომუნისტი“, 1963, 19 სექტ., შედრ. Г. Юриев. Голова Хаджи-Мурата. Газ. Заря востока, 1963, от 18 сент.). აქ თქმულია, რომ «დოკუმენტური პორტრეტების აღმდგენმა ცნობილმა სპეციალისტმა, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა მიხეილ გრასიმოვმა გადაწყვიტა აღედგინა ლეგენდარული მეომრის სახეო“. ამ მიზნით მას დიდი ძიების შემნდეგ მიუკვლევია ჰაჯი-მურატის თავისთვის, მიუზომებია გი ნაიბის ჩოჩხისათვის და როცა დარწმუნებულა, რომ „მასიური თავის ქალა მართალცა ჰაჯი-მურატისა იყო-გადუწყვეტია სკულპტურული პორტრეტის შექმნა ლეგენდარული ნაიბის ნამდვილი გარეგნობს აღდგენის მზნით. კორესპონდენციაში შემდეგ აღნიშნულია,თუ როგორ აღადგინა გერასიმოვმა ჰაჯი-მურატის სახე (ანატომიასა და მასტიკის დახმარებით) „არწივისებული ცხვირი, მსხვილი გაპარსული თავის ქალის ამობურცული წიბოები გვიქმნიან სიძლიერის, სიმტკიცის შეგრძნებას., ერთმანეთისაგნა ზომაზე მეტი დაშორებული თვალები მასიური წარბების ქვემოდან მდუმარედ და მშვიდად იცქირებიან“ და ა. შ. საკითხავია: რატომ დასჭირდა ამდენი ჯაფა ექიმ-სკულპტორს, როცა ჰაჯი-მურატის გარეგნობა დოკუმენტალურად ცნობილია? -აკი ჰაჯი-მურატის პორტრეტი შესრულებული აქცვს ჯერ კიდევ ახლად მოკვეთილი თავის თბილისელ მნახველს და ნატურიდან გადამდებ მხატვარ კორადინს? (დაიბეჭდა რამდენჯერმე. იხ. მაგ. А. Толстой. Хаджи-Мурат, ტახოგოდის წინასიტყვაობით, «ისტორ. რომანების სერიაში“, მოსკოვი, 1937, გვ. 141). კორადინის მხატვრული ესტამპი არ ამართლებს გერასიმოვის მიერ შესრულებული სკულპტურულ პორტრეტის ახწერილობას (მაგ. ჰაჯი-მურატს“არწივისებული (ე. ი. კეხიანი) ცხვირი“ არ ჰქონია!) კორადინის მიერ ნატურიდან გადაღებულ პორტრეტს უფრო უახლოვდება 50-ან წლებში შესრულებული სხვა სურათები ჰაჯი-მურატისა: მაგ. I. ტომის ლითოგქაფიული სურათი „ჰაჯიმურატი“. იხ. Тимм. Русск. Худож. Листок СПБ 1850-1857., ორგინალი დაცულია დაღისტნის მუზეუმში, მახაჩ-კალაში: იხ. Дагест. Музей. Каталог худ. Отдела.. Махач-кала, 1925 стр. 16., აგრეთვე წიგნში : Гулла и Казабий Хаджи-Мурат. Мемуары. Махач-Кала, 1927 стр. 5, 2. გაგარინის მიერ 1852 წ. 30 იანვარს. ნატურიდან გადღებული სურათი ჰაჯი-მურატისა. იხ. მის ალბომში Le Caucase pittoresque…Paris, 1847-1855. ეს სურათიც დოკუმენტურია („ Литер. Наследство, 1939, №35-36). 3. ჰაჯი - მურატის სიკვდილის წინ იხ. В. Потто. История 44-го, драгунского Нижегородского полка, Тиф. 1894, т. VIII стр. 27 გადაბეჭდილია გრ. ორბელიანის „წერილების“ II ტომში (გრ. 293). სწორედ ამ სურათის ორგინალი უნდა ჰქონდეს ნახული დიუმას ჩირ-იურთსი, ნიჟე გოროდის დრაგუნთა პოლკის უფროსის გრაფ ნოსტიცის ბუინაში (მდრ. მოგზაურობის ტექსტი). დიუმა ისე გადმოსცემს სურათის სიუჟეტს, რომ იგი სავსებით ეთანხმება პოეტის მიერ შემდეგ დაბეჭდილ სურათის შინაარსს. 4. „Хаджи- Мурат с партией“.

იმავე კორადინის სურათი (В. Потто История,... т, VI 93). ამ რიგად ხაჯი-მურატის გარეგნობას არავიტარი „აღდგენა არ ესაჭიროება! ზემოთ აღნიშნულ კორესპონდენციებში დაშვებული შეცდომები ნაწილობრივ გამოსწორებულია М. М. Герасимов-ის წერილში „Череп Хаджа-мурата“(„Литературная газета“, 1964, 11 февраля).

211. იგულისხმება მხატვარი გიორგი კორადინი., ცხოვრბდა თბილიში გაზ. საუკ. 60-იან წლებში. სხვატა შორის მას ეკუთვნის ალბომი, რომელშიც სეუტანია გ. ერისთავის „გაყრის“ მონაწილეთა ჩანახატები (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1964, 14 იანვარი).

212. კართმატალ-აულის სახელწოდება დამახონჯებულია.

213. ბურთუნაი-ძველი ბურთუნაი (ადგილ. გამოთქმით „ბურთინა“), გამაგრებული აული შამილისა სალათავიაში (დაღისტ.) იერიშით აიღო გრ. ორბელიანმა 1857 წელს. აულის ნანგრევების ახლოს აგებულ იქნა ციხე-სიმაგრე ჯარებისთვის -ახალი ბურთუნაი.

214. უნტერ-კალე-„თათართა აული“ (დიუმა), კასპიის მხარეში (დაღისტ). დიუმა წერს „კონსტანტინას მსგავსად იგი აშენებულია მაღალი, მიუვალი კლდის ქიმზეო“. კონსტანტინა - მდებ. ყოფ. საფრანგეთის კოლონიაში, ალჟირში (მთელ დეპარტამენტსაც ეწოდებოდა).

215. და 216 არიადნას ძაფი. თეზეოსი... მინოტავრი - ბერძნული მითოლოგიით კრიტოსის მეფეე მინოსი ჩვეულებრივ ყოველ ცხრა წელიწადს ათენელებისგან ხარკს იღებდა შვიდი ქალიშვბილისა და შვიდი ვაჟის სახით და უგზავნიდა მათ ჩასანთქმელად ურჩხულ მინოტავრს (მინოსის ხარს), რომელსაც ტანი კაცისა ჰქონდა, თაი კი ხარის და ცხოვრობდა ქვესკნელში, გამოუვალ ლაბირინთში. ბერძენთა გმირმა, მეფის ეგეოსის სვილმა თეზევსმა, რომელიც აფროდიტეს შეგონებით შეუყვარდა მინოსის ასულ არიადნას, ამ უკანასკნელისგან მიიღო ძაფის მორგვი,მ დაამაგრამ მისი ბოლო ლაბირინთის შესავალთან, შეახწია შიგ, მოჰკლა მინოტავრი და შემდეგ მშვიდობიანად დაახწია თავი ლაბირინთს და (ძაფს გმოჰყვა).

217. იეზაბელი -დედოფალი, ისრაელთა მეფის ახავეს ასული (ბიბლია).

218. „ჩვენ თემისტოკლეს მსგავსად ჩვენი მტრების კერასთან მოვედით დასასვნებლად“. თემისტოკლე-ათენის გამოჩენილი სახელმწიფოპ მოღვაწე, „საზღვაო პარტიის“ მეთაური,. რომელიც ათენის ძლიერებისა და სპარსელზე გამარჯვების გარანტიას ძლიერი ფლოტის შექმნასა და ომის დროს მის გამოყენებაში ხედავდა. დაამარხცხა სპარსეთის მეფე დარიოს I-ის ძე ქსერქსე I (მეფობდა 486-465) ცნობილ „სალიმინის ბრძოლაში“, 480 წ. ჩვ. წელთაღრ-დე. სალიმინის ვიწრო სრუტეში სპარსეთის ფლოტის განადგურებამ მას დიდი სახელი მოუხვეჭა თანამემამულეთა შორის (იხ. Плутарх. Сравнительные жизнеописания. М. 1961. თავი „თემისტოკლე და კამილა“, განსაკ. გვ. 155-156). დიუმას მხედველობაში აქვს თემისტოკლეს გაქცევა ელადიდან და მისი მისვლა სამშობლოს მტრებთან (ზოგიერთი ცნობებით თვითონ ქსერქსესთან, თუმცა პუტარქეს ეს დადავოდ მიაჩნდა). სოპასელებმა იგი დიდი პატივით მიიღეს. პლუტარქე აგვიწერს მნის ცხოვრებასა და სიკვდილს სპარსეთში (იქვე, 164-167).

219. დიუმას ცნობით მუანეს გადაუღია შამხალტარკოვსკის სოფელი. იგულისხმნება აული-თარღუ (ტარკი). შდრ. შენ. №88 .

220. აფშერონის პოლკს შტაბის სადგომი იყო ქ. თემირ-ხან-შურა (შდრ. შენიშვნა № 95).

221. თავადი აღუთინსკი (მოსე საქარიას ძე აღთუნსკი-დოლგორუკოვი) - გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის ომის გამოჩენილი მოღვაწე (1797-1855. იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, 11, 248.

222. ბარონი ვრანგელი (ალ. ევსტ. ძე) -გენერალ ადიუტანტი (1804 -1880). 1858 წელს -კასპიის მხარეთა გამგებელი და დაღისტნის ჯარების სარდალი. 1859 წელს იერიშით აიღო შამილის რეზიდენცია საჩეჩნოში-ვედენო .

223. ფარაული-აული სასამხალოში, „უბრალო საფოსტო სადური.

224. გუბდენი („Gaubden”) სოფელი საშამხლოში (დაღისტ).

225. „აბრეკი თაიმას გუმიშ ბურუნი „(„Taumas Goumish Bouron”) -კავ. ანალებში ამ ყაჩაღის სახელი არ გვხვდება. თუ რამდენად სწორად გადმოსცემს მის სახელს ა. დიუმა ვერ შემოწმდა.

226. ყარაბადაკენტი(„Karabadakent”) ყარაბუდაჰკენტი, სადგური თემირ-ხან-შურასა და დეშლაგარს შორის, კასპიის მახერს.

227. მუჰამედ - იმან-გაზალიევი- მილიციის უფროსი.

228. ზილი-კაკა („Zilly- Kaka”) -? (ეგებ: ზილკადარ--მთა ყოფ. ელიზავეტპოლის (განჯის მაზრაში).

229. ბუინაკი (ბუინაღი) ყუმუხების სოფელ საშამხალოში. პირველი რეზიდენცია შამხალების (ყაზიყუმუხ ხანებისა).

230. თავადი ბაგრატიონი (ივანე რომ. ძე). – 1854 წლიდან მაიორი და დაღისტნის ცხენოსანთა ირეგულირებული პოლკის უფროსი. მოჰკლეს 1860 წლის 7 ივნიის (გრ. ორბელიანი, წერილები, 1 , გვ. 307). დიუმა ხშირად და დიდი სიმპატიით იხსენებს მას. ი. ბაგრატიონი საფრანგეთში ყოფილა (დიუმას ცნობა.)

231. იშკარტი -0 სოფელი საშამხალოში, ამჟამად ბუინაკსის (ყოფ. თემირ-ხანშურას) რაიონში შედის.

232. ანდის ყოისუ და ავარიის ყოისუ - მდინარეები დაღისტანში.

233. უნზუკული („Unzukul”) -აული ონსოქოლო (რუს. „უნცუკულ“) შიდა დაღისტნის მხარის ყოისუბუს სოფელი, მდინ. ავარიის ყოისუდან ერთი კილომეტრის მანძილზე. იარაღების ოსტატებით განთქმული. ამ სოფელში ჰყავდათ ლეჯკებს დაპატიმრებული თავით გურამიშვილი.

234. აული კაბადა („Kabada”) -ყობოდა (ყობა-დაღ) მდებარეობს ავრიის ყოისუს სათავვეებთან (ავარიის მახრე , დაღისტ).

235. ვედენო-შამ,ილის რეზიდენცია 1846-1859 წ. წ. საჩაჩნოში. ამჟამად ნანგრევები. მის ახლოს-დიდი სოფელი ახალი ვედენო.

236. რიგიას, ეტნას და გავარლის მწვერვალები -რიგია-მთის მასივი ალპებში, რომლის სიმაღლიდან ვრცელი ჰორიზონტი იშლება. გავარნი-მდებ. სემოპორიინეიშ. (მის მიდამოებში ცნობილი ჩანჩქერია), ხოლო ეტნა-ყველაზე მაღალი მთა-ვულკანი ევროპაში, სიცილიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კატანიის ველზე (3274მ.)

237. ჰირკანის ზღვა-კასპიის ზღვა (ძველი ჰირკანია ეწოდებოდა აზიაში ქვეყანას, რომელსაც კასპიის ზღვა ჩრდილოეთ დასავლეთით ეკროდა.

238. კარაკენტი.- მდინარე ყუბანში (პაგირ., 117).

239. სულთანეთა („Sultanetta”)-ავარიელი ხანების ჩამომავალი, ასული ახმედ-ხან-ავარიელისა. დაიბ. 1818 წ. დაქორწინებული იყო თარღუს გამგებელ (შამხალ აბუ მუსელიმ ხანზე.) გაყრია ქმარს. გარდ. 1845 წ. ბესტუჟევ-მარლინსკი მოთხრობის „ამალათბეგის“ გმირი .

240. ნერესტანი (ოროსმანი, ერესმანი) - იგივე არიმანი. იხ. შენ. №15.

241. ამალად-ბეგი-კავკასიელიმთიელი-მეამბოხე. რუსებისადმი ვერაგულად განწყობილ გენერალ სულთან ახმედ-ხან ავარიელის (გარდ. 1823წ.). კარნახით მოჰკლა ყოფ. საშამხლოს მმართველი პოლკოვნიკი ვერხოვსკი 1823 წელს. თურქეთში გაქცეულა და გარდაც. ანაპაში 1828 წ. (იხ. მარლ. თხზ, 1958, ტ. I , გვ. 625).

242. სენ-ჟერმენის გარეუბანი -პარიზის არისტოკრატიული უბანი. დიუმა იქვე ასახლებს საფრ. დედაქალაქის ქუჩებს-მომბლანსა და ბრედანს.

243. გენერალი ასეევი (დიმიტრი კუზმას ძე).-ყოფ. ბაქოს გუბერნიის მმართველი გუბერნატორი, გენერალ-მაიორი (Кавк. Календарь на 1860 г. Отд. V ср. 16).

244. ხოსრო დიდი - იგულ. ხოსრო I ანუ შირვანი, კობადის (კავადის) ძე სანიდი მეფე - რეფერმატორი (531-579წ. წ.). აწარმოებდა ომს ბიზანტიასთან.

245. იუსტინიანე-იგულ-იუსტინიანე I, ბიზანტიის იმპერატორი 527-562 წ. წ. (გარდ. 565 წ.). დასდო ზავი 562წ. სპარსელებთან. ხოსრო I-თან. დიუმა ამ ფაქტს გულისხმობს.

246. კობადი (კავად) - სპარსეთის მეფე სასანიდების დინასტიიდან (V საუკ. მიწურული-531 წ.). დაწვრ. მის შესახებ იხ. М. М. Дьяконов. Очерк истории древнего Ирана. 1961, стр. 304-310, 312-315, 411-413.

247. „ჩემს მეცნიერ მეგობარ დესასის“. იგულ. გამოჩენილი ორიენტალისტი სილვესტერ დე სასი (1758-1838) , პარიზში „სააზიო საზოგადოების“ დამაარსებელი (1822 წ.), არაბული, სპ[ასული და თურქული ენების დიდი მცოდნე და მკვლევარი.

248. ოლინ ნესტერცოვი - დიუმას წიგნში XIXთავს ეწოდება“Oline nestercof”. ესაა სახელი ოლგა ნესტეროვასი, რომელიც ესტუჟევ-მარლინკის გაუცნია დაღსტანში (დაწვრ. იხ. ქვემოთ).

249. საადი - გამოჩენილი ირანელი პოეტი (1184-1292), ავტორი „გულისტანისა“ და „ბუსტანის“.

250. ბუცეფალი (ბუცეკალი) - ალექსანდრე მაკედონელის ცხენის სახელია. (იხ. პლუტარქე).

251. ბუსტუჟევ-მარლინსკი(ალექსანდრე ალექსანდრეს ძე. მარლინსკი-მისი ფსევდონიმია) - დეკაბრისტი მწერალი (დაიბ.1791). მისჯილი ჰქონდა 25 წლის კატორღა, მაგრამ მალე შეეცვალა იაკუტსკში გადასახლებით. 1829 წელს იგზავნება კავკასიაში უბრალო ჯარისკაცად. მოკლული იქმნა ადლერის კონცხის აღებისას 1839 წ. ავტორი რომანებისა „ამალდ-ბეგი“, „მო-ლა-ნური“ და სხვ.

252. ოლგა ნესტეროვას ნამდვილი თავგადასავალი ასეთია: უნტერ-ოფიცრის ქალიშვილი ოლგა ნესტეროვა დამეგობრებია მარლინსჯკის დარუბანდში და მის ბინაში სრულიად სემთხვევით მოუკლავს თავი. ამ ეპიზოდს დაწვრილებით აგვიწერს მარლინსკი წერილში პ. ა. ბესტუჟევისადმი 1833 წლის 2 მარტის თარიღით დრუბანდიდან (იხ. А. А. Бестужев-Марлинский, Совр. Соч., в2 томах, 1958, т. 2 стр. 644-646). თავის დროზე ნესტეროვას ტრაგიკულ

სიკვდილს მითქმა-მოთქმა და ჭორები გამოუწვევია. ამ ჭორების გამოძახილს ვპოულობთ დიუმას თხრობაშიც.

253. კაპიტანი ალბრანდტი. დრაგუნის ოფიცერი, გენერალ გ. ვ. როზენის კორპუსის შტაბის უფროსი. 1839 წელს ადლერის იერიშის დროს მასთან იმყოფებოდა ბესტუჟევ-მარლინსკი, რომელიც ამ ბრძოლაში დაიღუპა.

254. გენერალი ესპეგო („Espego”) . ყოფილა ბესტუჟევთან ადლერში .

255. XX თავში „კავკასიის დიდი კედელი“ (ქართ. თარგ. XVII)დიუმას შეტანილი აქვს ბესტუჟევუს ვრცელი წერილი დარუბანდის შესახებ, რომელიც ქართულად შემოკლებითაა თარგმნული.

256. დენონი (დომინიკ-ვივანი, ბარონი) - ფრანგი გრავიორი, მხატვარი და მწერალი - დიპლომატი (1747-1825), სამხატვრო აკადემიის წევრი, დაწინაურებული იყო ლუდოვიკო XVI და ნაპოლეონ I დროს. ალექსანდრე I დავალებით იძენდა სურათებსა და სხვადასხვა ნითებს ერმიტაჟისათვის. დენონის კოლექსიის აღწერა, მის მიერ შესრულებული, გამოსცა ბენონის ნათესავმა ა. დიუვალმა 1829 წ.

257. ჯეკალ-კალე (“Kedgale-Kale”) -ციხე-სიმაგრე დარუბანდის ახლოს (მარლინსკი).

258. მსტაგი („Mstagy”) იგულ. სოფელი დარუბანდის ახლოს (იხ. ტექსტი). პაგირიოვთან ის აღნიშნული არაა.

259. შახ-აბასის ქარვასლა - ამ სახელით ბევრი ქარავან-სრაიაა ცნობილი, იარნასა და ამიერ კავკასიაში .

260 „ოლქის უფროსი ბ-ნი პიგულევსკი“ -ლევ ვიქტ. ძე პიგულევსკი, 1858-1859 წ. მსახურობდა შემახიაში, საგუბერნ სამმართველოში.

261. შემახია-ყოფ. საგუბერნიო ქალაქი.

262. ნუხა (ანუ. შეკი) - სამაზრო ქალაქი ყოფ. ბაქოს გუბერნიაში, ოდესღაც-შეკის ხანების რეზიდენცია.

263. თავადი მელიქიშვილი (ლევან ივანეს ძე?) -ცნობილი გენერალი , კავკ. ომის მოღვაწე. 1859 წ. -კასპიის მხარეთა მართველი.

264. გრაფიტოლი („Toll”) -უეჭველია იგულისხმება პოლკოვნიკი გრაფი ნიკოლოზ კარლოს ძე ტოლი, პერეიასლავის დრაგუნთა პოლკის უფროსი (იხ. Кавк. Календарь. на. 1860 г. Тиф., 1859 , V,).

265. გენტის ბულვარი -პარიზში. გენტი-მთავარი ქალაქი ბელგიის პროვინციაში (აღმოს. ფლანდრიაში).

266. ნესტორ როკეპლანი(?) - დიუმა მას „მეგობარს უწიოდებს.

267. სადგური კულაზი („Coulaze”) -პარიზშია.იხ. გვ. 155.

268. სამური (მდინ) -ერთვის კასპიის ზღვას გაივლის კავკ. ქედის ჩრდილოეთ დაქანებაზე, სამურის დაბლობზე (დაღისტ).

269. ყუბი -ყოფ. სამაზრო ქალქი ბაქოს-ში, მდინ. კუდალის (დიუმათი Coudiu-Te hay - კუდიულ - ჩაი) მარჯვენა ნაპირას.

270. ტერაჩინო (იგივე ტარაჩინო) -იტალიაში.

271. ყუბაჩელები (მდიუმა „Koubachis”) -დაღისტნის დიდი აულის ყუბაჩის მცხოვრებნი, განთქმულნი იარაღისა და საოჯახო ნივთების ოსტატობით.

272. ბ-ნი კოცეიოვსკი (დიუმა“Kheziovsky“) (ლეოპ. პეტ-ძე)-ყუბის მაზრის უფროსი, მაიორი (Кавк. Кал. на 1860 г. Тиф, V 16.

273. სუმგაიდ („Soumgaid”)(სუმგაიტ)-სადგური ყოფ. ბაქოს გუბ-ში. (აზერ).

274. კლაპროტი (ჰაინრიხ იული) - გერმანელი ორიენტალისტი და მოგზაური; რუსეთის სამეც. აკადემიის წევრი (1783-1835.) კლაპროტი აღმოსავლეთის ენების პროფესორი იყო შემდეგ პარიზში. ავტორი შრომისა Reise in den Kauvkasus und nach Georgien in den Jahren 1807 und 1808 (1812-1814). (ფრანგულად-1823წ.) თბილისის აღწერა ქართულად დაიბეჭდა 1930 წ. (იხ. პროფ. მ. პოლიექტოვი და პროფ.გ. ნათაძე. ძველი ტბილისი 1930, გვ. 65-72.

275. ყიზილ-ბურუნი-სადგური (შემდეგ-სარკინიგზო) - ყოფ. ყუბის მაზრაში (ბაქოს გუბ). (პაგიროვი, 1031).

276. გენერალი ციციანოვი (პეტრე დავ. ძე) -კავკასიის მთავარმართებელი მუხანათურად მოჰკლეს განჯში 1806წ. 8 თებერვალს. განჯის ხანმა აბასყულიმ მისი თავი ირანის შაჰს გაუგზავნა. პ. ციციშვილის გვამი ბაოდან გადმოასვენა მარკის პაულიჩმა 1812 წ. დაკრძალულია სიონში ტა\ძრის შიდა მარჯვენა კედელთან .

277. ღებრები-ძველი ირანელების ჩამომავლები, ზოროასტრელები. დღევანდელი ღებრების მცირე ნაწილი ცხოვრობს აგრეთვე ინდოეთში ქ. ბომბეის ახლოს.

278. ატეშ-გაგი („Atech-Gagh”) ზოროასტრელთა საკურთხეველი (იხ. ტექსტ). ქართულ თარგმანში რიტუალის აღწერა შეკვეცილია.

279. თავადი ყაზარ-უცმიერი (დიუმა.“Khazar-Outzmief”) ყაითაღის (დაღისტ). მცხოვრები, რომელიც დიუმას გასცნობია. ახლო ნათესავი უნდა ყოფილიყო ყაითაღელ ახმედ-ხან უცმიევისა, რომელიც სამხრეთ ტაბასარანს, (დაღ.. მართავდა) მილიციის შტაბს-კაპიტნის ჩინით (იხ. გრ. ორბელიანის „წერილები“, II, 350).

280. ქ-ნი ფრეიგანგი - კაპიტან ფრეიგანგის (იხ. შენ. 284). მეუღლე. დიუმას იგი პიგულევსკისთან (იხ. შენ. 260 .)გაუცვნია

281. ბენვენტო ჩელინი - გამოცენილი ფროლენციელი ოქროპმჭედელი და მოწანდაკე (1500-1571) აბტორი შესანიშნავი ავტობიოგრაფიისა (იხ. Жизнь Бенвентуто, сына маестро Джовани Челлини флорентийца. Перевод с Итальянского М. Лозинского. Москваб 1958). ალ. დიუმას პიესა „ბენვენუტო ჩელინი“ დაუდგა 1852 წ. 1 აპრილს პორტ-სენ-მარტენის თეატრში (ა. მორუა. სამი დიუმა, 306).

282. ჟუანვილი- ქალაქი საფრანგეთში, მდინ. მარნაზე (ზემო მარნიოს დეპარტამენტში.).

283 ხარონის ნავი- მითის მიხედვით წყვდიადით მოცულ ჰადესში პირქუშ ხარონს ნავით გადაყავდა სულები ბნელ მდინარე აქწერონტზე.

284. კაპიტანი ფრეიგანგი (გ. ა.) -მსახურობდა შემახიაში, პიგულევსკისთან (შდრ.) შენ. 260).

285. გენერალი ზუბოვი - იგულ. ვალერიან ალექსანდრეს ძე ზუბოვი, გენერალ -ანშეფი (1803წ.)., ცნობილი კავკასიაში მოვაწეობით (იხ. ბუტკოვსკის Материалы...I-III), სალიანი მდებარეობს აზერბაიჯანში, მტკვრის შესართვათან. ძველი და ცნობილი ადგილი თევზის სარეწაოებით.

286. მუღანის სტეპები ასერბაიჯანში .

287. პლუტარქე-სახელგანთქმული ბერძენი ისტორიკოსი ელინისტური ხანისა (46-120 შვ. წ. აღრ.), ავტორი „პარალელური ბიოგრაფიებისა“ და სხვა შრომებისა. დიუმას განსაკუთრებით გულმოდგინეთ უკითხავს პლუტარქეს მთავარი თხზულება (იხ. პლუტარქე. ა. კ. ურუშაძის ტარგმანი, თბ, 1957 , აგრეთვე ახალი სრული თარგმანი რუსულად. დაიბეჭდა 2 ტომი).

288. იბისი - ძველი ეგვიპტელების მითოლოგიაში ეწოდება დამწერლობისა და სიბრძნის ღმერთის ტოტ-ის წმინდა ფრინველს (М. Э. Матье. Древнеегипет. Мифы, 1956, стр. 157. სურ. 2).

289. დიუმა შიიტების დღესასწაულს ძირითადად სწორად აგვიწერს.

290. შახ-აბას II-მეფობდა 1642-1666 წ. წ.

291. ყანდაარი ქალაქი ავღანისტანში. 1709 წელს აქ დაიღუპა ქართლის ყოფილი მეფე გიორგი XI, შემდეგში ირანის სპასალარი და ყანდარიის გამგებელი. ყანდაარი მთლიანად დაანგრია ნადირ-შაჰმა 1738წ. (იხ. შენ. №110).

292. შარდენი (ჟან)- ფრანგი იუველირი და მოგზაური (1643-1713), ავტორი წიგნისა „ მოგაზურობა სპარსეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (პირველი გამ. -ლონდონი, 1686 ; მრავალ ტომიანი გამოცემანი 1687, 1711 და სხვა წ. წ.). თბილისში იყო 1673 წელს, ვახტანგV შაჰნავაზის დროს. გვაწვდის უაღრესად საინტერესო ცნობებს საქართველოს სხვა კუთხეების (მაგ. სამეგრელოს) შესახებაც შარდენის „მოგზაურობის“ ნაწილი კი რომელიც საერთო კავკასიას ეხება დაიბეჭდა Кавский вестник-ის დამტების სახით 1900-1901 წლებში (ცალკე გამოც. Путешествие Шардена по Кавказу в 1672-1673 . Тиф. 1902). ნაწილი ტარგმნა ვ. ბარნოვმა. ცალკე გამოიცა 1935 წ. (იხ. შარდენი. მოგზაურობა საქართველოში. თარგ. ვ. ბარნოვისა. ტფ. 1935 ; შდრ. პროფ. ნიხ. პოლიექტოვი და პროფ. გ. ნათაძე. ძველი ტფილისი, 1930, გვ. 14-25).

293. ტავაერნიე (ჟანბატისტ)-ფრანგი კომერსანტი - მოგზაური (დაიბ. 1605 წ. გარდ. 1689 წ. მოსკოვს). მისი ორტომიანი „ექვსი მოგზაურობა“ და იბეჭდა პარიზში პირველად 1676 წ. უფრო სრულიად კი - იქვე 1679 წ. იძლევა ცნობებს კავკასიის, სპარსეთის და აღმოს. სხვა ქვეყნებზე (დაწერ. იხ. М. Полиевктов. Европ. Путеш. XIII-XVII-ев. по Кавказу, стр. 179-182.).

294. მარკო პოლო-XIII-ს . ვენეციელი მოგზაური -სორდაგარი (1254-1324). ტავის წიგნში „მოგზაურობა სათათრეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ ეხება საქართველოს და კერძოდ თბილისს სხვათა ნაამბობის მიხედვით. არსებობს ამ შრომის რამდენიმე რუსული თარგმანი. ნაწყვეტი ქართულ;ად თბილისი შესახებ იხ. პროფ. მ. პოლიევქტოვი და პროფ. გ. ნათაძე. ძველი ტფილისი. 1930, გვ. 5-7.

295. ჯენკინსონი (ანტონ)- ინგლისელი მეზღვაური -მოგზაური (XVI-ს). 1561-1563წ. წ. იყო სპარსეთშიც. შემახიაში მასტან უსაუბრნია საქართველოს (კახეთის?)მეფის წარმომადგენელს რუსეთის ხელმ,წიფესთა ელჩის გაგზავნის თაობაზე (პოლიექტოვის Евро п. Путеш. 131-133).

296. „ორფეუსი კოლხეთში შეჩერდა“. მითში ნათქვამია, რომ მომღერალი ორფეუსი, შვილი აპოლონისა და მუზა კალიოპესი, იმყოფებოდა არგონავტების ხომალდზე. ტავისი სიმღერით მას შეეძლო მხეცების დაშოშმინება და ფრინველებისა და კლდეების შერხევა. როცა არგონაცტები გადადიოდნენ ზღვის ფერიების (ნახევარ ქალაქებისა და ნახევარფრინველების), ტკბილ ხმიან სირინოზების ახლოს, ორფეოსმა თავის დაკვრით ჩააჩუმა და მოაჯადოვა ისინი, რის შემდეგ არგონავტები ადვილად გაუსხლტნენ მათ.

297. ჰომეროსი - ძველი საბერძნეთის უდიდესი პოეტი, ავტორი პოემებისა „ილიადა“ და „ოდისეა“ (IX-VIIIძ.) ერით.

298. აპოლონიოს როოდოსელი - ელინისტური ხანის გამოჩენილი პოეტი (295-215ძვ. ერით). ავტორი პოემისა „არგონავტიკა“, რომელიც კოლხიდაში იაზნონის ლაშქროპბასა და მედის ფსიქოლოგიურ პროტესტს გვიხატავს. ნაწარმოები ავტორის დიდ მწიგნობრულ განსწავლულობაზე მეტყველევბს, დიუმა უმთავრესად მისი პოემის მიხედვით მსჯელობს არგონავტების მითის შესახებ. „არგონავტიკა“ ქართულად „პროზით“ თარგმნა აკ. ურუშაზემ. (თბ)., 1948).

299. ლეფსოსი-ყველაზე დიდი კუნძული ეგეოსის არქიპელაგის კუნძულთა შორის (საბერძნეთი)

300. ჰორაციუსი -დიდი რომაელი პოეტი (65-8ძ. ერით). მის კალამს ეკუთვნის განთქმული „ოდები“, „სატირები“ და „ეპისტოლები“ („წერ ილები“). ღრმა მოაზროვნე ლირიკოსი -პოეტი .

301. მეცენატი- მდიდარი რომაელი მხედართა წრიდან. მის სახლში თავს იყრიდნენ გამოჩენილი პოეტები და წმწერლები და კითხულობდენნ და არჩევდნენ თხზულებებს. ახლო მეგობარი ოქტავიანე-ავგუსტისა, ჰორაციუსის მფარველი და მეგობარი. მეცენატი მხატვრული სიტყვის ოსტატებს უბოძებდა მმულებს, ფულს და ა. შ.

302. ოვიდიუსი - ოვიდიუს ნაზონი (43ძვ. წ. -17 ახ. ერით), ცნობილი რომელი პოეტი, ავტორი კრებულებისა „ტრფობანი“ („ამორეს“), (სიყვარულის ხელოვნება) („არს ამატორია“). „სიყვარულის წაალი“, „ჰეროდები“, „მეტამორფოზები“ და „მწუხარე ლექსები“ („მტრისტია“). ეს უკანასკნელი სამშობლოს (რომის) სიყვარულითაა გამშჭვალული.

303. დანტე (ალიგიევი) - გენიალური იტალიელუი პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე (1265-1321) „ ახალი ცხოვრებისა“ და „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი.

304. ჰარიოსტო (ლოდოვიკო)-გამოცენილი იტალიელი პოეტი (1474-1533) ავტორი ვრცელი სარაინდო პოემისა „შმაგი როლანდი“ ... დიუმას წიგნის ზოგიერთ გამოცემაში წერი Aristote(არისტოტელი), რაც გამომცემლის შეცდომაა.

305. ტასო (ტორკვატო) - იტალიური აღორძინების ეპოქის ლიტერატურის უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი (1544-1595), ავტორი პოემისა „განთავისუფლებულიო იერუსალიმი“, პასტორალური პიესისა „ამინტა“ და სხვა.

306. რონსალი (პიერდე-)შესანიშნავი პოეტი ფგრანგული აღორძინებს ხანისა (1524-1585).

307 რასინი (ჟან-ფრანგული კლასიციზმის) (VII ს). სუკეთესო წარმომადგენელი, დრამატურგი (1639-1699), ავტორი ტრაგედიებისა „ანდრომაქე“, „იფიგენია ავლიდაში“, „ფედრა“, „ გოფოლია“ და სხვ.

308. ბაირონი (ჯორჯ გორდონ) - დიდი ინგლისელი პოეტი რომანტიკსი (1788-1824).

309. შატობრიანი (ფრანსუა რენე დე) - ფრანგული რექც. რომანტიზმის თვალსაცინო წარმომადგენელი (1768-1848), ავტორი პროზაული თხზულებებისა - „რენე“, „ატალა“ და სხვ.

310. ლამარტინი (ალფონსდე)-ფრანგი პოეტი - რომანტიკოსი (1790-1862), ავტორი ლირიკული ლექსებისა „პოეტური და რელიგიური ჰარმონიები“ და სხვ.

311. ჰიუგო(ვიქტორ)-დიდი ფრანგი პოეტი-რომანტიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე (1802-1885).

312. ატილა - ჰუნების წინამძღოლი (V ს); დამარცხდა გალიაში 491წ. მაგრამ, მეორე წეკს მაინც მოახერხა ჩრდილ. იტალია.

313. ვერსალი-ქალაქი საფრანგეთში, პარიზიდან 19 ვერსზე, აღმოსავლეთით. განთქმული ბაღებითა და საფრ. მეფეთა სასახლეებით (მცირე და დიდი ტრიანონი).

314. სუზა, პერსოპოლისი, ბაბილონი, მემფისი, ბალბეკი და პალმირა-სუზა-ქალაქი ელამში, საზამთრო რეზიდენცია აქემენიდებისა. დაიპყრო ასირიის მეფემ შურ ბანი პალმა 645 (ძვ. წელთაღ.) პერსოპოლისი - ძველიირანის აქემინიდი მეფეების რეზიდენცია, დაახლ. 60 კილომეტრზე დღევანდელ შირაზის ჩრდილო აღმ,ოსავლეთით. ხანძარს მისცა ალექსანდრე მაკედონელმა 331 წ. (ძვ. ერით.) ბაბილონი(„ ბაბ-ილი“-ღმერთის კარები)-იყო მთავრი ქალქი ბაბილონიისა, დაახლ. 100 კილომტრზე ნიპულიდან (მესოპოტ). მემფისი -ეგვიპტის სატახტო ქალქი მე-III ათასწლეულში ჩვ. ერამდე. დღევანდელი ქაიროს ახლოს. ბალბეკი - ქალქი; პალმირა-ოდესღაც აწვავებული ქალაქი სირიაში, ცნობილი ბიბლიით. ამჟამად შესანიშნავი ძეგლების ნანგრევებითაა მოფენილი.

315. ვოლტერი (ფრანსუა მარიო არ უე)-სახელგანთქმული ფრანგი პოეტი და მწერალი, დრამატურგი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი (1694-1778), ფრანგული განათლების ეპოქის უდდესი მოღვაწე.

316. „მიდია, რეზიდენცია კუირუსისა“ -იგულისხმება მიდიის დაპყრობა აქამენიდი მეფის კირუს II-ის მიერ (VI ს ძ. ერით) სატახტო ქალქის გადატანა ეგბატანაში (მიდის ცენტრ. ქალაქი იყო ეკბატანა, ახლანდელი ჰამანადი სპარსეთში).

317. კრეზოსი -ლიდიის უმდიდრესი მეფე კრეზი, რომელიც დაატყვევა (ზოგიერთი ცნობით-მოკლა) სპარსეთის მეფემ კირუს II (546წ. ძვ. ერით). მის შესახებ ჰეროდოტეს თავის „ისტორიაში“ შეტანილი აქვს ცნობიილი ნოველა „სლოვონი და კრეზოსი“ .

318. კიაქსარი (ძვ. სპარს. „ხუვახტრა“) - მიდიის მეფე (დაახლ. 625-585წ.) მიდიის სახელმწიფოს დამაარსებელი . ახკვეთა სკვითების ბატონობა მიდიაში, სძლია ასირიელებს (605წ.) დაიქვემდებარა ურარტუ და კაპადოკია.

319. „მასაგეტის დედოფალი ტომირი“-ტომირისი ან ტომირა-სკვეთების ლეგენდა. დედოფალი. (მასაგეტების შესახებ) იხ. შენ. №28).

320. ნემეზიდა-სამნაგიეროს მიზღვევა. ბერძ. მითოლოგიაში - დანაშაულისათვის სამაგიეროს მიზღვევისა და შურისძიების ღმერთქალის სახელი.

321. ოლეარიუსი (ადამ-XVI საუკ.)ცნობილი გერმანელი მეცნიერი-მოგზაური, ავტორი წიგნისა სპარსეთში მოგზაურობის შესახებ (იხ. რუსული თარგმანი Подробное описание путешествия

Гольштинского посольства в Московию и Персию. Пер. П. Барсова. М., 1870-ის შეს. М. Полиевктов Европеиские путешественники... 150-155).

322. შევალიე გამბა-საფრანგეთის კონსული თბილისში 1820-1824 წ. წ. ორჯერ უმოგზაურნია სამხრეთ რუსეთსა და კავკასიის სხვადასხვა ადგილას და 1826 წელს საფრანგეთში ცასვლის შემდეგ გამოუცია მეორე მოგზაურობის აღწერა, რომლის რუსული თარგმანი გამოქვეყნდა ჟ. სევერნი არხივში». 1826-1828 წ. წ. ქრთული ტარგმანი გამბას მოგზაურობის იმ ნაწილისა, რომელიც თბილისს ეხება იხ. წიგნში „ძველი ტფილისი“, 1930, გვ. 75-82 იუმა რამდენჯერმე ასახელებს გამბას შრომას (განსაკ. იხ. თავი „თბილისი“).

323. გურდენშტედტი (იოჰან ანტონ)-მეცნიერი მოგზაური, რუსეთის აკადემიის წევრი (1745-1781). იყო კავკასიაში 1768-1875 წლებში. იხ კრებული „ძველი ტფილისი“. 1930, გვ. 39-43 (დაბეჭდილია ნაწყვეტი ტფილისის ახწერილობისა). ვრცელი გამოცემა: გიუდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი გ.გელაშვილის რედაქციით, თგ. 1962).

324. კომენდანტი ოშიშინსკი (დიუმათი:)“Oshishinsky”) - შემახიის კომენდანტი.

325. „შემახიის ერთ-ერთმა უმდიდრესმა თათარმა მაჰმუდ-ბეგმა“... იგუ. შემახიელი სოვდაგარი მაჰმედ-ბეგი. დიუმას სტუმრობა მასთან კარგათ აქვს ახწერილი თანადამსწრეს იხ. И. Евдахов. Дюма (щтец) в Шемахе. Новое обозрение №1060. გადაბეჭდილია ს. დურილინის წერილში (იხ. Литер. Наследство, ტ. 31-32).

326. დანაი (დანაე)მითის მიხედვით დანაე იყო არგოსის მეფის აკრისიოსის ასული. მეფეს უწინასწარმეტყველეს, რომ მას შვილიშვილი (დანაეს ძე) მოჰკლავდა. ამიტომ დანაე მას მიწის ქვეშ, ქვისა და ბრინჯაოს კოშკში ჰყვდა დაპატიმრებული. ზევსი მაინც შეპარულა მასთან ოქროს წვიმის სახით. დანაეს შეძენია გმირი პერსევსი, რომელსაც შემდეგ კიდევ შემოაკლდა აკრისიოსი.

327. ივანე თარხნიშვილი-ნუხის მართველის პატარა ვაჟი, რომელსაც დიუმა მოუხიბლავს. შემდეგში-გამოჩენილი მეცნიერი - ფიზიოლოგი (1846- 1908). დაწვრ. იხ. მ. სააკაშვილი. გამოჩ. ქართ. მეცნიერი. ივანე ჯავახიშვილი(თარხან-მოურავი) თბ., 1947. (კერძოდ დიუმასთან შეხვ. შეს. გვ. 10-11).

328. შამილის გარეგნობის აღწერისას დიუმა სარგებლობს ლიტერატურული წყაროებით, უმთავრესად დრანსეს წიგნით, თუმცა გვარწმუნებს, რომ იგი ზეპირად მოუსმენია მას.

329. შამილის უფროსი ვაჟის ჯემალ-ედინის დედა ფატიმატი იყო მეორე ცოლი იმამისა . იგი გარდაიცვალა 1845 წელს, ცნობილი „დარღიოს ექსპედიციის“ დროს.

330. ნაპიზეტა-ნაფისატო, შამილის ასული. ცხოვრობდა მამასთან ქ. კალუგაში.

331. ზაიდე, შუანეთა და ამინეთა-შამილის ცოლები... დიუმას ცნობით, უკანასკნელს შამილი გაყრია „უშვილობის გამო“. მართლაც: 1854 წელს შერთული ამინეთა შამილს გაუშვია 1858 წლამდე (გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. 11, 306-307).

332. იგულისხმება ჯემალ-ედინ ყაზიყუმუხელი, მურიდიზმის ერთ-ერთი ცნობილი ქადაგი დაღისტანში. შამილის მასწავლებელი უახლოეს მრჩეველი და ნათესავი. (ჯემალედინის ასული იყო ზაიდეთი რომლისგანაც შამილს ჰყავდა ორი ძე-ღაზი მუჰამედი (1833-19030 და მუჰამედ-შაჰი, აგრეთვე ორი ასული - ნაფისატო და ფატიმატი). დაღისტნის სრული დაპყრობის შემდეგ ჯემალედინ ყაზიყუმუხელი ოსმალეთში გადასახლდა (გრ. ორბლიანი, წერილები, I, 259).

333. შამილის უმცროს ასულს ნაჯავათს მართლაც „მახინჯი“ ფეხები ჰქონდა. კალუგაში მას მკურნალობდა ექიმი კორჟენევსკი, რომელსაც იგი მოურჩენია. შამილის მიერ არაბულად შედგენილი მადლობის ბარათი ექიმ კორზჟენევსკისადმი ჩვენთან ინახება.

334. მოზდოკ თავ დაესხა შამილის ნაიბი ახვერდი - მუხამედი(და არაც თვითონ შამილი) 1840 წელს, იქედან მოიტაცა სომეხი ვაჭრი ულუხანიანის ლამაზი ასული ანა და მოჰგვრა შამილს დარღოში. როცა ანა სრულწლობანი გახდა ის მონათლა სამილმა, უწოდა შუანეთა და მეუღლედ დაისვა. შუანეთას დახასიათება დიუმას მიერ მთლიანად დრანსეს წიგნიდან არის აღებული.

335. ბაკო-შამილის მეორე ცოლის ფატიმატის დედა, ბებია იმამის პირველი ძის ჯემალ-ედინისა.

336. ჯემალ-ედინი გარდ. 1858 წელს (იხ. შენ. № 188). დაკრძალულია აულკარატაში (დაღისტ.)

337. ლუდოვიკო XIV საფრანგეთის მეფე (1638-1715). მისი მეფობა წარმოადგენდა აფსოლუტიზმის აპოგეას საფრანგეთის ისტორიაში.

338. კარნუატა („ Karnuata”) იგულისხმება შამილის რძალი მისი ძის ღზი -მუჰამედის (ყაზი-მაგომას), ცოლი ელისუს ყოფილი სულთნის დანიელ-ბეგის ასული. „კარნუატა“ - დამახინჯებული სახელია კარიმატისა.

339. დანიელ-ბეგი - რუსი გენერალი 1844 წლამდე, ელისუს სულთნობის დროს. შემდეგ მიემხრო შამილს, რომლის ერთ-ერთ უფროს ნაიბად ითვლებოდა იმამის კაპიტულაციამდე (გრ. ორბელიანი, წერილები. I გვ. 250).

340. ჰაჯი-მუჰამედი-შეცდომაა . იგულისხმება სამილის ძე, კარატის ნაიბი ღაზი-მუჰამედი (1833-1903) (რუსულ თარგმანშიაც შეცდომაა: Гаджи Маромет. იხ. გვ. 348, 349, 350).

341. „ამას წინათ სამილმა მთებში ტყვიის წამლის ქარხანა ააგო. „. -თოფის წამალს შამილის დროს დაღისტანში ამზადებდნენ რამდენიმე ადგილას-ონსოქოლოში, გუნიბში და ბიოლოს დიდი რაოდენობით ვედენოში. გუნიბში ქარხანა გადატანილ იქნა ონსოქოლოდან. თოფის წამალს ამზადებდნენ დარღოშიც (ქარანა დანგრეულ იქნა აულის აღებისას 1845 წელს). ვენედოში თოფის წამლის ქარხანს ხელმძღვანელბდა ჯიბრაილ ინსოქოლერი (იხ. Дневник полк. Руковского. Акти . т. XII стр. 390-396.

342. ქართველი თავადი ქალების ტყვეობის ისტორიის შეს. იხ. ქვემოთ შენიშვნა №404.

343. აქსუ („Axous”) სოფელი აგ-სუ (?)

344. ახალი შემახია-იხ. შენიშვნა №261.

345. ტურმანჩაი („Tormanshy”) (-თუ).. ტურჟან-ჩაი (?) -მდინარე ყუბის მაზრაში (ყოფ. ბაქოს გუბ.) (პაგირიოვი, 248).

346. „რაინდ ბუა-გილბერტის მიერ რებეკა კუანიეს მოტაცება ... „ დიუმა ლაპარაკობს ხალიჩაზე, რომელზედაც გამოსახული ყოფილა სიუჟეტი შუა საუკ. ისტორიიდან.

347. ანთინოე ყველაზე წარჩინებული „საქმრო“ პენელოპესი. მოჰკლა ისრით სამშობლოში (ითაკეში) დაბრუნებულმა ოდისევსმა (ჰომეროსის) „ოდისეა“).

348. გიმრის აღებისას (1832, რაზედაც დიუმას უყვება ახლად გაცნობილი, კავკასიის ჯარების უფროსი იყო როზენი და მას რაიმე ნებართვის ნება პასკევიჩისაგან არ სჭირდებოდა. როგორც ეს მწერლის თხრობაშია აღნიშნული. ამ ხანებში პასკევიჩი საეღთოდ კავკასიაში არც იმყოფებოდა.

349. დიუმას ცნობით ეს მოჰამედ-ხანი ცნობილი დანიელ-სულთანის (დანიელ-ბეგის) „ძმისწული“ ყოფილა.

350. დიუმას ცნობით ნუხის ხანების სასახლე 1817 წელს რუსების ხელში გადასულა, რაც სიმართლეს არ შეეფერება.

351. თავრიზი - ქალაქი სპარსეთში.

352. ალექსანდრე-ბატონიშვილი, ერეკლეს მეორე ძე.

353. გიორგი- გიორგი XII , საქართველს უკანასკნელი მეფე.

354. მოსე ხორენაცი (ორენელი)-სომეხი მემატიანე (Vთუ VI-VII ს.?). ავტორი „სომხეათის ისტორიისა“ (ტექსტში მოხსენებულია, როგორც „საქართველოს ისტორიის“ ავტორი).

355. ჩამჩიანცი-მიქაელ ჩამჩიანი, ვენეციელი მხითარისტი (1738-1823), ავტორი შრომისა „სომხეთის ისტორია“, რომელშიაც მოთხრობილია „სომხეთის დამწერლობითი ისტორია უძველესი დროიდან მოყოლებული 1780 წლამდე“. (ლ მელიქსეთ-ბეგი, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბკლიკაციები. კატალოგი 1, 1949 გვ. 290).

356. ვოსტაშინი -ვართაშენი (?) - სოფელი ნუხიდა (აზერბაიჯანი) 18 კილ. დაშორებით. აქ ცხოვრობენ უდები.

357. ტავადი ერისთავი -უნდა იგულისხმებოდეს ინფანტერიის გენერალი გიორგი ევს. ძე ერისთავი (გარდ. 1864წ.) დიუმას ის შემთხვევით შეხვედრია ქუჩაში ამალით. იმ ხანებში თანხლების სამხედრო პირებით სიარული ერისტავთაგან ამ დამსახურებულ გენერალს თუ შეეფერებოდა.

358... რაცკაპუნის სიამოვნებანი ჰანიბალისათვის - კართაგენის მხედართმთავარმა ჰანიბალმა აპულიაში ქ. კანთან საშინლად დაამარცხა რომაელების არმია. 216წ. (ძვ. ერით).

359. „როგორც კლარენციუსი მალვაზიის კასრში „- მალვააზია ცნობილი ლიქიორი-ღვინოა. მზადდებოდა ქ. პალ4ერმოს ახლოს, ბადეირეს კუნძულზე (იტალ), აგრეთვე საფრანგეთში, ავსტრიასა და თურქეთში.

360. ბარაბატლინსკაია -სადგრუი ყოფ. შუშის მაზრაში (ელიზავეტპ. გუბ.).

361. გორუკმეერი - მთა (?).ზუსტი ლოკალიზაცია არ ხერხდება.

362. ბეჟიტ-აული (ბეჟიტა) - მდებ. დაღისტანში,

363 „აულ ქიტულის ხედი -ქიტური („Kitturi”) აულია დიდოეთში.

364. ვრევსკი (იპოლით ალექს. ძე)-გენერალ ლეიტენანტი (1813-1858). სასიკვდილოდ დაიჭრა ილანხევის (დიდოეთი) სოფელ ქიტურზე იერიშით მისვლის დროს 1858 წ. 26 აგვისტოს. გარდ. იმავე წლის 30 აგვისტოს თელავში (გრ. ორბელიანი, წერილები, II 376).

365. პოლკოვნიკი ყორღანოვი (იოსებ)-ერეევსკის სიკვდილის შემდეგ იერიში აიღო აული დიდო (1858) ლეკტა რაზმის („ლეგინსკი ოტრად“) უფროსი ერევსკის შემდეგ (გრ. ორბელიანი, წერ. II 376.

366. დიუმა თბილისში ჩამოვიდა 1858 წლის დეკემბერში, ხოლო მკვლელები ჩამოუხრჩვიათ მაისში, ხოლო მწერალი კი აცხადებს, - ეს ამაბვი „ ჩვენი ჩამოსვლის დროს მოხდაო“ (იხ. დიუმას წიგნის რუს. ქარდ. გვ. 426-427. ნ. ბერძენოვის შენისვნა.

367. თბილისის ახწერას დიუმას წიგნში უჭირავს XXXV თავი.

368. „თავად ჭავჭავაძის მეუღლე“ - იგულისხმება დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის მეუღლე ანა, ილია ბატონიშვილის ასული, შამილთან ტყვედ ნამყოფი 1854-1855 წ. წ. (იხ. ქვემოთ).

369. ივანე ზუბალაშვილი-დიუმა მასთან ყოფილა ბინად (იხ. ქვემოთ თავი XLII: „ჩემი სახლის პატრონი ზუბალაშვილი“). კათოლიკე ზუბალაშვილები ცნობილი კომერსანტები იყვნენ40-60-ან წლების თბილისში (იხ. Славарь. Кавк. Деятелей Тиф., 1890, стр. 39).

370. მონმარტი-ბულვარი პარიზში.

371. „ლომბარდიელები“-ვერდის ოპერი. იდგმებოდა თბილისის ოპერაში 1858-1859 წ. წ. (შ. კაშმაძე, თბილის ოპერისა და ბალეტის თეატრი, ტ. I, (1851-1921). თბ, 1950\, გვ. 55).

372. ტური, ბლუა ქალაქი საფრანგეთში, მდინ. ლუარის მარჯვენა ნაპირზე,

373. კარლოს X (გუსტავ)- შვედეთის მეფე 1654-1660 წ. წ. აწარმოებდა ომებს პოლონეთთან, რუსეთთან, პრუსიასთან...

374. მარშალი სულტი (ნიკოლა ჟან დიე)- დალმაციის ერცოგი(1769-1851), რესპუბლიკის კონსულობისა და იმპერიის (ნაპოლეონ I)პერიოდების ფრანგი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე.

375. „თქვენ აღმოჩნდით პიპელეს მდომარეობაში (თმის გაკრეჭვის გამო)-თუ, პელეასი, იაზონის ბიძა (?). (მითოლ).

376. დიუბუფი. ამ გვარით ცნობილი იყო სამი მხატვარი 1. კლოდ მარი (1789-1864), ავტორი ისტორიულ თემაზე შესრულებული სურათებისა; 2. მისი შვილი ლუი-ედუარდი (1820-1883), კარგი პორტრეტისტი, რომელსაც დიუმა-შვილის სურათი დაუხატავს და 3. ლუის ძე გილომ (1853-?). დიუმა გულისხმობს მეორე დიუბუფს.

377. ოტომედონი („Automedon”). აქ : მითიური პერსონაჟი (?).

378. შტოლცი. -დრამატ. სოპრანო, მღეროდა თბილისის იტალ. თეატრში 1857-1859 წ. წ. (კაშმაძე, 516).

379. მასინი-ტენორი, თბილისის იტალ. თეატრის მომღერალი 1857-1858 (კაშმაძე), 522.

380. ბრიანი - ბარიტონი იმაცვე თეატრისა 1857-1858 წ. წ. (კაშმაძე,) 516).

381. ვილჰელმტელი“ როსინის ოპერა. იდგმებოდა თბილისის იტალ. თეატრში.

382. გაგარინი (გრ. გრ-ძე) - ცნობილი მხატვარი - აკვარელისტი. ლერმონტოვის მეგობარი (1810-1893). 1848 წ.ჩამოვიდა თბილისში, სადაც რამდენიმე წელიწადი გაატარა, სწავლობდა კავკასიის ხალხთა ხელოვნებასა და ყოფაცხოვრებას, შემდეგ პარიზში დაბეჭდა შესანიშნავი ალბომები „კავკასიური კოსტიუმები“ და „მხატვრული კავკასია“, რომელთაც დიდი მხატვრული და ეთნოგრ. მნიშვნელობა აქვთ. 1850 წ. მოხატა სიონის ტაძრის შიდა კედლები, ხოლო მისი პროექტით აგებული იქნა თბილისის თეატრის შენობა (დაიწყო 1874 წ.), რომლის მხატვრობამ და ფარდამ (აგრეთვე გაგარინის ნახელავი) დიუმას დიდი მოწონება დაიმსახურა. შესანიშნავი აკვარელების გარდა გაგარინს ეკუთვნის ბატალური ნახატები, წიგნების ილუსტრაციები და სხვ.

383. დიმიტრი ობელიანი (ვახტანგის ძე) - თბილისის თავად-აზნაურობის წარმომადგენელი - მარშალი. 1856 წლიდან გენერალ-ლეიტენანტი. კავკასიის მთავარმართებელის ა. ი. ბარიატინსკის სიმამრი (ორბელინთა გენიალოგიის შესახებ დიუმას ცნობები ლეგენდარულია და მწერალს, შეიძლება, თბილისში მოუსმენია იგი). დიმიტრი ორბელიანის მეუღლე იყო მარიამ ივანეს ასული არბელიანისა, რომელსაც დიუმა ხოტბას ასხავს.

384. ქ-ნი დავიდოვ-გრამონი („ Davidot-grammnt”) ელისაბეტ (ლიზა)ორბელიან-დავიდოვისა (დაიბ. 1838 წ.) შემდეგში მტავარმართებელ ა. ი. ბარიატინსკის მეუღლე (იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, 249). დიუმა მოუხიბლავს მის სილამაზეს (შდრ. შენიშვნა №475).

385. დიუმას მიერ აქ მოთხრობილი ეპიზოდი ბარიატინსკის ბიოგრაფიისა - ისტორიული ფაქტია.

386. სოლოგუბი (ვლად. ალექს. ძე)-რუსი მწერალი - ბელიტრისტი (1814-1882), რომლის პოპულარული მოთხრობა „ტარანტასი“ კარაგად მიიღო ბელინსკიმ; ნაწარმოების ილუსტრაციები ეკუთვნის გ. გაგარინს.

387. გარფი როსტოფჩინის მეუღლე - ავდოტეა როსტოფჩინა, რომლის წერილი-მოგონება (ფრანგულ ენაზე) ლწერმონტოვის შესახებ თბილისში გადაუციათ დიუმასათვის (იხ. ტექსტი).

388. „სახელგანთქმული გრაფი როსტოფჩინი“ - ა. როსტოფჩინას მამამთილი, თედორე ვასილის ძე როსტოფჩინი (1763-1826), მოსკოვის სმხ. გუბერნატორი 1812 წ.

389. „მუშკეტერი“ - გაზეთი, რომელსაც სცემდა დიუმა (შეწყდა 1957 წ.).

390. ლარა და მამმფრედი-ბაირონის პოემების „ლარას“ და „მანფრედის“ მთავარი გმირები.

391. შარლოტა კორდე (მარია ანა შარლოტა კორდე) - საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქის მოღვაწის-მარატის მკვლევი (1793). სიკვდილით დასაჯეს 1793წ. 17 ივლისს.

392. მარტინოვი - ლერმონტოვის მკვლელი, ოფიცერი.

393. მიუსე (ალფრედ დე) - ფრანგი რომანტიკოსი პოეტი დრამატურგი და რომანისტი (1810-1857).

394. ლექსის თარგმანი ეკუთვნის გივი გაჩეჩილაძეს. გოეტთეს ლექსს, რომელიც ლერმონტოვმა გადმოიღო გერმანულიდან Горные вершины - ის სახელწოდებით, ორგინალში ეწოდება «ღამეული მგზავრის სიმღერა“. („Wanderers Nachtlied”) 1780).

395. ენეოსი (ენეასი) - აფროდიტეს შვილი, რომელიც დედასტან ერთად დასჭრა აქვეველმა გმირმა დიომიდემ, ქალღმერთ ათენას დახმარებით (ჰომეროსის „ილიად“, სიმღერა V). აფროდიტამ იგი თეთრი ქაფით შებურა (ტაეპები 315-317). თბილისის აბანოში ყოფნისას დიუმა „ილიადას“ ამ სცენას იგონებს.

396. „რობერტ ეშმაკი“ - მეირბერის ოპერა. თბილისში პირველად დაიდგა 1852-1853 წ. (კაშმაძის წიგნი 553).

397. არლეკინი და პიერო - იტალიური „კომედია დელარტეს“ („ნიღბების კომედიის“) პერსონჟები).

398. „ნიმფები, ჰილასი რომ მოიტაცეს“ - ჰერეკლეს (ჰერკულესის) აღზრდილი მითიური მშვენიერი ჭაბუკი ჰერა, რომელსაც ძალიან ეჯავრებოდა ჰერაკლე, გაგზავნა ჰილასი ჰომალდ არგოს შეჩერების ერთ ადგილას, სადაც იგი ნიმფებმა წყაროს ბსკერში ჩაიტყუეს და დაღუპეს. ჰილასს მიუძღვნა XIII იდილია თეოკრიტე.

399. „თავადი ორბელიანის მეუღლე“ - ბარბარე ორბელიანი , ილია ბატონიშვუილის ასული, ცოლი ილია ორბელიანისა...

400. ილიკო ორბელიანი (დიმიტრის ძე).-მესამე, უმცროსი ძმა გრიგოლ ორბელანისა, გენერალ-მაიორი (1814-1853). 1842 წელს ტყვედ ჰყვადა შამილს (იხ. შეს. წერილი,) გამოიხსნა გენ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა; 1853 წ. მონაწილეობდა ყიორიმის ომში, სასიკვდილოდ დაიჭრა 1853 წელს ბაშკატიკლარტან (გრ. ორბელიანი, წერილები, I, 222).

401. კუანიეს „უმანკოთა ჟლეტა“ - ჟიურ ლუი-ფილიპე კუანიე-ფრანგი პეიზაჟისტი და აკვარიისტი (1798-1860). იმოგზაურა საფრანგეთსა, იტალიასა და აღმოსავლეთში. დასტოვა ნატურიდან გადაღებული ბევრი ექსკიზი და ბევრი ეტიუდი. დიუმა მის ერთ-ერთ სურათს გულისხმობს.

402. მიქელ-ანჯელოს „განკითხვის დღე“ - იგულისხმება გენიალური იტალიელი მხატვრისა და მოქანდაკის მიქელ-ანჯე,ლო ბუონაროტის (1475-1564) განთქმული ფრესკა სიქსტის კაპელაში (რომი), საკურთხევლის კედელზე, რომლიც მან მოხატა 1535-1541 წ. წ. ფრესკა გადმოსცემს ბიბლიურ სიუჟეტს: ქრისტე განიკითხავს მართალთა და ცოდვილთ-პირველი ისინი მკვდრეთით აღადგენს, ცოდვილთ კი ჯოჯოხეთში აგზავნის.

403 „... მიწაზე ეგდო კასანდრეს მსგავსად“ (ანა ჭავჭავაძის შესახებ). იგულ. ტროელი პრიამის უმშვენიერესი ასული კასანდრე, რომელიც აქაველთა (ბერძენთა მეფეს აგამენონს ერგო ტროას ომში. აგამენნმა იგი ხასათ წაიყვანა საბერძნეთში, მაგრამ დაიღუპა აგანენონის მეუღლის კლიტემნესტრას ვერაგობის წყალობით.

404. ქართველი თავადი ქალების შმილთან ტყვეობის ისტროია. მოკლედა ასეთია: 1854 წლის 4 ივლისს ლეკებმა გადალახეს ალაზანი, შეესივნენ წინანდალს, გაძარცვეს და შემდეგ დასწვეს დავით ჭავჭავაძუის სახლი და ტყვედ წაასხეს ანა ჭავჭავაძისა (დავითის მეუღლე) ბავშვებითუთ, ილია ორბელიანის ქვრივი ბარბარე (ანას და) პატარა ვაჟითურთ და ოჯახის სხვა წევრები, რომელთა შორის იმყოფებოდა ბავშვების აღმზრდელი ფრანგი ქალი დრანსე. ტყვეები მიჰგვარეს შამილს ცვედენოში (შაჩაჩნო) ... 1855 წლის თებერვალ-მარტში შამილთან ტყვეების საქმის ირგვლივ მიწერ-მოწერა ჰქონდათ დ. ჭავჭავძეს, გრ. ორბელიანსა და ბარონ ლეონტი ნიკოლაის. შამილს დაუბრუნეს მისი უფროსი ვაჟი ჯემალ-ედინი (იხ. ზემოთ, შენ. №196). და ჩააბარეს 40. 000 მანეთი ვერცხლის ფული 1855 წ. 10 მარტს მდინარე მიჩიკთან (საჩაჩნო), სადაც

მოხდა ტყვეების გადაცვლა (იხ. გრ. ორბელიანის წერილები, ტ. II, 1854-1855 წლის ბარათები და სათანადო შენიოშვნები).

405 „...როგორც დანტეს ჯოჯოხეთში, ვიდრე ფრანჩესკო ამბავს ჰტყვება, პაოლო-ტირის“- იგულისხმება „ღვთაებრივი კომედიის“ ის ადგილი (ნაწ 1, „ჯოჯოხეთი), როცა ჯოჯოხეთის მეორე წრეში მოთავსებული ფრანჩესკო და რიმინი წარმოსთქვამს შემაძრწუნებელ ახსარებას მაზლ პაოლოსადმი თავისი დანაშაულებრივი სიყვარულის შესახებ. პოეტი თანაუგრძნობს ამ პერსონაჟს.

406. ნაიბი ჰაჯი-კერატი („Hadji-Kerrat”, მეორე ადგილას-ჰაჯი-კერი „Nadji-Kerich”) -უნდა იგულისხმებოდეს შამილთან დაახლოვებული და მისი დივანის (საბჭოს) წევრი, ხანდაზმული ჰაჯიო-კერი, მაგრამ ეს უკანასკნელი ნაიბი არასოდეს ყოფილა.

407. ოხალის ციხისაკენ („Pokhalsky”) -იგულ. ციხე-სიმაგრე ფოხალის მთაზე (ფოხალის შინდისა და ყვარლის მთებშუა მდებარე მწვერვალია) ლეკების წინანდალზე თავდასხმის დღეებში 1854 წ. აქ იყო გაშლილი შამილის ბანაკი.

408. „შამილის ინტენდანტი ჰაჯი-კერი“ - იგივე ჰაჯიო-კერი(?).

409. გიორგი ორბელიანი -ილია და ბარბარე ორბელიანების მცირე წლოვანი ვაჟი.

410. ილიკო ორბელიანი-იხ. შენ. 400. (ამ თავს ორგინალში (XLIV)ეწოდება „Elliko Orbeliani“-აქედან წარმოსდგა რუსული ტარგმანი „ Элико Орбелиани». ი. ორბელიანი შესახებ დიუმა მთლიანად ემყარება დრანსეს მოგონებებს. (იხ. შეს. წერილი).

411. 1840 წლის 20 მარტს ყაზიყუმუხში (დაღისტანი) ილია ორბელიანი და მასტან ორი ოფიცერი პოლკ. სინაქსაროვი და პრაბ. ანანოვი ხელში ჩაუვარდათ შამილის მურიდებს. ტყვეები მიჰგვარეს იმამს დარღოში (შამილის ყოფილი რეზიდენცია 1840 1845 წლებში, საჩაჩნოში). 27 ივლისს, გვიან ღამით ილია ორბელიანმა სცადა გაქცევა, მაგრამ გზაზე სოფ. მეხელტას ახლოს დაიჭირეს და უკანვე მიჰგვარეს იმამს ... ბოლოს შამილმა ის გაცვალა რუსების მიერ გატაცებულ მთიელებზე (დაღისტანში დააბრუნეს ტყვე ნაიბი შაჰმანდარ ჰაჯი დასხვ.) (დაწე. იხ. გრ. ორბელიანი წერ. 1, 244-245 ., Вердереевский. Плен у Шамила. 1856, დამატების გვ. 22-42; დრანსეს წიგნი, 52-56 და სხვ).

412. როგორც ავღნიშნეთ, ილია ორბელიანი ტყვედ იყო შამილის მეორე რეზიდენციაში დარღოში 1842 წელს და არა ვედენოში (რომელიც იმამის მესამე რეზიდენცია იყო 1846 1859წ. წ.), როგორც დიუმას აქვ აღნიშნული.

413. მეფის ნაცვალი აქ : მ. ს. ვორონცოვი.

414. ნიკო ჭავჭავაძე (დავით ჭავჭავძის ბიძაშვილი)-შეიძლება იგულისხმებოდეს ნიკო დიმიტრის ძე ჭავჭავაძე 1858 წ. თბილისის მაზრის მოსამართლე (გრ. ორბელიანი, წერილები, II, გვ. 374) ან ნიკო სურა-ძე ჭავჭავაძე - 1858წ. დარღის (დაღისტ) მართველი. 1860 წ. გენ-მაიორი, 1883 წ. -დაღისტნის გუბერნატორი (იხ. გრ. ორბელიანი, „წერილები“, (1, 307).

415. „ქ-ნ ბარბალეს მაზლი თავადი ორბელიანი „-იგულ. გრიგოლ ორბელიანი, მაშინ (1854) გენ-ლეიტენანტი, კასპიის მხაეთა მართველი და დაღისტნის ჯარების სარდალი. ტყვეების გამოხსნის საქმეში მისი მონაწილეობის შესახებ იხ. „წერილები“, ტ. II(1854-1855 წ. წ. ბარათები და შენიშვნები).

416. შამილის ფარმახანა არასოდეს არ ჰქონია.

417. იმპერატორი იგულ. ნიკოლოზ I.

418. გენერალი ნიკოლაი (ლეონტი პავლეს ძე ბაირონი)-გენერალ-მაიორი (გრ. ორბელიანი, „წერილები“, ტ. II, 342).

419. მდ. მიჩიკი - დიდ საჩაჩნოში, ხასავ-იურთის ახლოს. ამ მდინარესთან მოხდა ქართველი ტყვე ქალების გადაცვლა ჯემალ-ედინზე 1855 წ. (იხ. შენ. №404).

420. გრამოვი-თარჯიმანი ისაი გრამოვი, რომელიც ერთ-ერთი მთავარი შუამავალი იყო შამილისა და კავკ. მმართველობას შორის ქართველი ტყვე ქალების გამოხსნის თაობაზე 1854 წელს. (გრ. ორბელიანი, „წერილები,“ II,).

421. მუჰამედ-შაბე (მუჰამედ-შაბე)-შამილის მესამე ვაჟი, გუნიბის კაპიტულაციის (1859)შემდეგ მამასთან ერთად ცხოვრობდა რუსეთში, - ბოლოს გენერალ-მაიორი.

422. ექიმი პიოტროვსკი-იგულისხმება ს. პიოტროვსკი, რომელიც ყუმიხის ოლქის უფროსმა პოლკ. სვიატოპოლკ-მირსკი გაუგზავნა მტაში შამილს ავადმყოფი ძის ჯემალ-ედინის სამკურნალოდ. მისი მოგონებანი დაიბეჭდა გაზ. „კავკაზში“ 1858წ. (იხ. შესავალი წერილი).

423. მდ. ირაკ-სუ („Jarak-Sou”) -იარაკ -სუ, რომლის ნაპირას მდებ. ხასავ-იურთი. არის კიდევ დამშრ. მდინარე. იარაკ-სუ იქვე (პაგირ. 306). (ს. პიოტროვსკის მოგონებაში „Ярек-су“, იხ. Кавказ, 1856, №70.)

424. იუდა ბახი („ Juidabach”) თუ: იუს-ბულაღ (?) - მთა საჩაჩნოში (ბაგირ. 304).

425. აქ-ჩაი („Akh-Tchay”) - იგულისხმება მდინ. აქტაში, ყოფ. ხასავ იგურთის ოკრუგში (პაკ. 10). დიუმა სარგებლობს ექიმ ს. პიოტროვსკის მოგონებით, სადაც აღნიშნულია „Ак-таш“, იხ. Кавказ, 1859 №70 .

426. იურთ-ანკი („Jurt-Ank”)-დიუმას ლიტერატურულ წყაროში, ს. პიოტროვსკის მოგონებაში, წერია „Юрт-Аух»-აურთი-აუხ („Кавказ“), 1858, 70), სოფელია ყოფ. ხასავ-იურთის ოლქში (პაგირ) 304.

427. სალა-სა („ Sala-sa”) მდინარე სალა-სუ, ყოფ. ხასავ-იურთის ოლქში (პაგირ. 306).

428. არგარ-იურთი („d`Argar-Yurt”)-სოფელი ყოფ ხასავ-იურთის ოლქში (საჩაჩნო).

429. ბელად-ვარგანში („Bellar-Garganche”) იგივე: ბილ-იარ-გირგარ-სოფელი შიდა საჩაჩნოში, მდინ. აქ-ტაშის მარცხენა მხარეს (Берже Чечня и чеченцы Кавкаский Календарь на 1860г. Стр. 33).

430. აული ონიჟკა („De Onieka”). -ს. პიოტროვსკის მოგონებაში წერია Оник კონტექსტიდან ცანს, რომ იგი მდ. აქ-ტაშის ახლო მიდამოებში მდებარეობდა (იხ. Кавказ, 1853, №70 პაგირიოვთან აღნიშნული არაა).

431. სოფელი ამალი („Amavi”). პაგირიოვთა ამ სახელწოდების აული აღნიშნული არაა. დიუმას დმახინჯებულად აქვს გადმოცემული აული ალმაკი (ს. პიოტროვსკი წერს „Алмаки“, რომელიც მართლა ცნობილია და მდებ. ოპ. ხასავ-იურთის ოკლქში ,საჩაჩნოში (პაგირიოვი,13). იგი მდ. აქტაში ახლოს მთის ფერდობზე ყოფილა გაშენებული (ს. პიოტროვსკი).

432. გუმბეთი-მდებ. სალთავიის ქედის სმხრეთით. მისი მოსაზღვრეა ანდი.

433. ანდის ჭიშკარი - ანდი სახელწოდებაა თემისა, რომელიც მდ. ანდის ყოისუს ხეობაში მოსახლეობს. „ანდის ჭიშკარი“ ეწოდება ვიწრო გასასვლელს ბუწრახის ქედში, რომელიც გამოყოფს ანდს გუმბეთისგან (Веиденбаум, Путев. по Кавказу, 187).

434. აულები: აგადა უნგი-სახელწოდებანი დამახინჯებულია. იგულ. ს. პიოტროვსკის მიერ დასახელებული ორი აული -აღათლი და უნხი (იხ. Кавказб 858, №71 : Аратель, унх რომლებიც მდებარეობს ანდში. (პაგირ).

435. აული სულდაკი („Soul-kadi”) -იგულ. აული ზულ-ყადი (ს. პიოტროვსკი წერს „Зул-Кады,“ იხ. Кавка“1858, №7). მდებარ. შუა დაღისტანში მდ. ანდის ყოისუს სათავესთან. აქ ხოვრობდა ავდმყოფი ჯემალ-ედინი (შამილის ვაჟი), რომელიც ს. პიოტროვსკიმ ინახულა 1858 წ. ამ უკანასკნელს დახასიათებული აქვს ზულ-ყადი, როგორც კარგი ჰავით მდიდარი სოფელი (იხ. იქვე).

436. „ერმოლოვი ახლაც ცოცხალია“ - გენ. ა. პ. ერმოლოვი გარდაიცვალა 1861 წ.

437. „ის ქმნის ოპოზიციას“ ...-ერმოლოვის დახასიათებისას დიუმა მართალია: იმპერ. ნიკოლოზ I-ს ა. პ. ერმოლოვი არ უყვარდა.

438. დიუმას უმტავრესად მხედველობაში აქვს დაღესტნისა და საჩაჩნოს დიდი აჯანყება 1843 წელს, როცა შამილის ხელისუფლება მთაში თავის აპოგეას მიხწია.

339. დიუმას წიგნის ეს ადგილი კარგი დახასიათებაა მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმისა კავკასიაში. მიუხედავდ სიფრთხილას, დიუმა არ ერიდება ზოგჯერ ბოლომდე გულახდილი იყოს.

440. როზენის დახასიათებისას დიუმა აზვიადბს მის ღირსებებს.

441. ნეიდ-ჰარტი (ალ. ივ-ძე)-იმფანტერიის გენერალი (1784-1844), კავკასიის ჯარების კორპუსის სარდალი და მტავრამრთებელი 1842-1844 წ. წ. ნეიდჰარტის დახასიათება ზუსტია.

442. „როგორც აგამენონის წერილი შეხვდა გზაზე კლიტემნესტრას“ ...-კლიტემნესტრა მეუღლეა ბერძენთა მეფისა და მთავარსარდლის აგამენონისა ტროას ომში (იხ. „ილიადა“ და „ოდისეა“). მითის მიხედვით, ტროას ილიონის აღების შემდეგ აგამენონი ხომალდით დაბრუნდა სამშობლოში ხოლო კლიტემნესტრას მისი დაღუპვა წინასწარ გადწყვეტილი ჰქონდა მაგრამ მალავდა.

443. კოტლიარევსკი (პეტრე სიმ-ძე) - ინფანტერიის გენერალი (1782-1851). კავკასიის ომის მონაწილე. მძიმედ დაიჭრა ლენქორანიის იერიშის დროს 1813 წ. 1 იანვარს.

444. გულიაკოვი (ვას. სიმ-ძე)-გენერალ-მაიორი, მონაწილეობას იღებდა ლაშქობაში თურქეთში, პოლონეთში და კავკასიში, ლეკების წინააღმდეგ (1800წელს იორთან). მოჰკლეს 1804 წ. 15 იაბვარს ზაქათალასთან.

445. იგულისხმება ელიზავეტა ქსავერის ასული ვორონცოვისა, მთავარმართებლის მეუღლე.

446. „დაღოს ექსპედიაცია“-1845 წ. 31 მაისს-20 ივლისს მ. ს. ვორონცოვის სარდლობით მოეწყო ლაშქრობა დაღისტანსა და იჩქერიაში (საჩაჩნო) შამილის რეზიდენციის დაღოს ასაღებად. ეს ექსპედიცია კავკასიის სარდლობას რამდენიმე ათასი ჯარისკაცის სიცოცხლედ დაუჯდა. თვით

მტავარმართებელი ძლივს გადაურჩა დატყვევებას, იგი იხსნა ფრეიტაგის რაზმმა (დაწვრ. იხ. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1, 283).

447. „სალთის იერიშები“ - აულის სალთი (სამხ. დაღისტანში) იერიშით აიღო გენ-ლეიტენატ მ. ზ. აღუტინსკი-დოლგორუკოვის რაზმა 1847 წლის 14 სექტემბერს.

448. პორტო-ფრანკი-ეწოდება ნავსადგურს, რომელსაც უბეგროდ გააქვს და შემოაქვს საქონელი.

449. დიუმას ცნობის კორსეტების შეხებ ჟ. „ცისკარში“ ჩვენ ვერ წავაწყდით.

450. როლანდის ბუკი-იგულისხმება ფრანგული საგმირო ეპოსის „როლანდის“ სიმღერის მტავარი პერსონაჟის საყვრირი ოლიფანტი (ტირადა 83), რომელსაც დიუმა ქართული რქის ყანწებს ადარებს. როლანდის ბუკი სპილოს ძვლისგან იყო ნეკათები (იხ.“სიმღერის“ტირადა 170).

451. დიუმას ცნობით თავადი ერისთავი ვორონცოვს წარუდგენია ნიკოლოზ I -ისათვის ამ უკანასკნელის საქართველოში ყოფნის დროს. მაგამ იმპერატორი აქ იყო 1837 წელს, როზენის მთავრმართერბლობის დროს, და არა ვორონცოვის გამგებლობის წლებში (1844-1855).

452. ჟოზეფ პენერეფსკი- პოლონელი ემიგრანტი (?).

453. პოეტი ევანგულ ევანგულოვი - იგულისხმება 60-70 ანი წლების თბილისში ცნობილი მომღერალი ევანგულა (პოეტ-აკადემიკოსის . ლეონიძის ცნობა).

454. ივანე კერესელიძე-ქართველი მწერალი და ჟურნალისტი (1829-1892). დიუმა ყოფილა ჟ. „ცისკრის“ რედაქციაში 1858წ., ამ ჟურნალს ი. კერესელიძე სცემდა 1857-1875 წლებში. (ივანე კერესელიძე. ლექსები, 1958, ალ, კალანდაძის წინასიტყვაობით).

455. არდამი („Ardam”) –„ჩამომავლობით სპარსელმა ხიდთან მას (მცხეთას) ზღიდე შემოავლო“(დიუმა). ქ. ცხ-ის მიხედვით ერისთავი სპარსთა წინაპარნავაზულ ხანაში . დაიპყრო ქართლი და აქ იყო მართველად.

456. არანი (ზოგან „Aron”) , - იბერიის მეფე წინაფარნავაზულ ხანისა (ივ. ჯავახ.).

457. საქართველოს 26 მეფე მირდატი („Mirdat”) . - დიოუმა შეიძლება იცნობდა ბროსეს „ადიციონს“, სადაც საქართველოს მე-26 მეფედ დასახელებულია „მირდატ IIIხოსროიდი(364-379)“.

458. „ღვთაებისა სამთავრო“ („Ghtaebissa-Sanstavro”)იგივე „სამთავრო“ Xს. ტაძარი მცეხეთაში.

459. მეფე გიორგი (14 ს.) -იგულ. გიორგი Vბრწყინვალე (1314-1346).

460 დიუმას გაუგონია ლეგენდა სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარ არსუკიძის (XIს. პირველი ნახევარი) შესახებ. დაწვრ. იხ. ვახტანგ ბერიძე. ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები. 1956, გვ. 24-26. ვ. სიდამონიძე, სადაური იყო დიდი ხუროთმოძღვარი? გაზ. „თბილისი“, 1960, 17 სექტ.

461. და 462. მონსი, როპშ, -ფრანგი მეთუქნე-მზარეულნი.

463. ანანური-არაგვის ერისთავთა საზაფხულო რეზიდენცია, 16-17 ს. ს. არქიტექტურული ანსამბლი საქ. სამხედრო გზაზე. მდ. არაგვის მარჯვენა მხარეს. არგვის ერისტავ ბარძიმზე შანშე

ქსნის ერისტავის მიერ შურისძიება 1739 წ. - ისტორიული ფაქტია (პ ზაქარაია. ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი 1953, გვ. 16-17).

464. „თავადმა შანშემ გააკეთა ის, რაც ჟულიემა დონა ფლორიდას გაუპატიურების შემდეგ“- დიუმა გულისხმობს არაგვის ერისთავის თავგადასვლის ანალოგიურ ეპიზოდს საფრ. ისტორიიდან.

465. „ანანურის ციხეში ორი საყდარია, ორივე ღვთისმშობლისა“ (დიუმათი („Khitobe”) ანანურის ციხის შიგნით დიდ გუმბათოვან ეკლესიას მართლაც „ღვთისმშობლის“ სახელწოდება აქვს, მეორე გუმბათოვანს კი „ღვთაება“ (პ. ზაქარია. ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, 34-42, 65-10).

466. მენესაუ-ამ მდინარის („ანანურიდან თხუთმეტ ვერსზე“)სახელწოდების აღდგენა არ ხერხდება.

467. ქვეშეთი („kviezett”)-სოფელი ქვეშეთი არაგვის პირას, სადგ. მლეთის ქვემოთ. 1861 წლამდე ამ სოფელზე გადიოდა თბილის-ვლადიკავკაზის სამხედრო ტრასა (Веиренваумб Путев. по Кавказу 282-283).

468. კაიშაური-სადგური საქ. სამხ. გაზაზე.

469. დიუბუა (ფრედერიკ დიუბუა დემონპერე)-ფრანგი ბუნების მეტყველი და არქეოპლოგი - მოგზაური 1798-1850). სწავლობდა უმტავრესად კავკასიას და ყირიმს, ავტორი მრავალტომიანი შრომისა Voyages autor du Gaucase… I-V t. t. P. 1889-1843.

470. დალი-დიუმას იგი ინგუშთა ქალ-ღვთაებათ მიაჩნია .

471. „პატარა მდინარე ბაიადარა („B,iadara”) -უნდა იგულ. ბაიადარა. მდინ. ყოფ. ზაქატალის ოლქში (პაგირ. 28).

472. კოლუბაკინი (ნიკოლოზ პეტრეს ძე) („Kouloubtakine”) გენერალ-მაიორი, ერევნის გუბერნატორი 1858-1861 წ. წ. (დიუმა წერს: „მე მოვიმიზეზე ერევანში წასვლა, სადაც 5 იანვარს გენერალი კოლუბაკინი გველოდა“). გარდ. 1868წ.

473. თბილისის სამხედრო გუბერნატორი და სამოქალაქო ნაწილის გამგებელი 1858-1859 წ. იყო გენ-მაიორი ალექსანდრე ქრისტიანეს ძე კაპგერი (Кавк колендарь на 1860 г. Отд. V, 35). დიუმა გულისხმობს მის მეუღლეს-ანტონინა ნიკოლ. ასულ კაპგერს, რომელიც წ. ნინოს სახელობის საქველმოქმედო საზოგადოების წევრი იყო (იქვე, V 35).

474. პოლკოვნიკი დავიდოვი - მტარავმართებელ ბარიატინსკის ადუტანტი დავიდოვ-გრამონი.

475. პოლკ. დავიდოვის მეუღლე ელისაბედ (ლიზა) დიმიტრის ასულიმ ორბელიანი დავიდოვისა (იხ. შენ. №364) ქმართან გაყრის შემდეგ გაჰყვა ბარიატინსკის. დიუმას კარგად აქვს დახატული მისი პორტრეტი: „დავიდოვის მეუღლე არის პაწაწინა მომხიბლავი ორბელიანის ქმარი. როცა ამ პატარა, ჰაეროვან, ბრწყინვალე ახალგაზრდა ქალს ვუყურებ, ფიქრობ კოლიბრის (პაწაწინა მფრინველია, ა. გ.). ბუიდე ჰქონია აკვნადო „(მისი სურ. იხ. გრ. ორბელიანი. წერ, II).

476. დიუმა წერს: „უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს ცოვრებაში ასად ასეთი სიამოვნებით არ მიმუშავნია, როგორც აქო“. თბილისში ყოფნის გამო ანალოგიური ახსარება ჩაწერილი აქვს ლ. ტოლსტოის თავის დღიურში.

477. სტარჟენკო („Starachenko”) -სტოროჟენკო (?) . ვინაობა გაურკვეველია.

478. იოსები - ბიბლიური იოსები, რომელიც ძმებმა გაყიდეს ეგვიპტეში.

479 „არმინიუსის შთამომავლია“-არმინიუსი (ანუ ჰერმან)-ხერუსკების(გერმ. ტომი) წინამძღოლი-ბელადი, რომაელების მტერი (17წ. ძვ. ერით. -ცხრამეტი ახლი წელთაღრიცხვით). იბრძოდა სამშობლოს დასახსნელად. შეიტყუა რომაელები ტერტობურგის ტყეში და იქ ამოწყვიტა.

480. „იპოლიტეს ცხენებივით- ბერძნ. მითის მიხედვით ათენის მეფის ჰეზევსის ძეს (პირველი ცოლისგან) იპოლიტეს დედინახცვლამა ფერდრამ შეურაცყოფის მიყენება დასწამა. ამ თემაზე დაწერილი ევრიკიდეს ტრაგედია „იპოლიტე“, სადაც ნათქვამია, რომ როცა სასოწარკვეთილი იპოლიტე ეტლით წასულა ზღვისკენ ჰოსეიდონს დაუფრთხია მისი ცხენები, რომლებსაც გაუთელავთ იგი.

481. ჭალკი („Shalak”, სხვაგან „ჩალოკ“)-დიუმა წერს „პატარა სადგურიაო“. ლოკალიზაცია არ მოხერხდა.

482. „როგორც კეისარმა დაიკაფა გზა ოგერნის მთებნში „-დიუმა გულისხმობს კელტური გალიის დიდი ჯანყების შემდეგ მთავრ მეამბოხეთა მხარეში, მდ. ლუარა და სენას სათავეებთან არვენბისა და კარნუტების ტომთა მთლიან ადგილებში იულიუს კეისრის შეღწევას. სადაც მან სასტიკად დაამარცხა ისინი (იხ. კეისრის „ომი გალებთან“, აგრეთვე, პლუტარქე, ტ. II, 466-467 რუს.). გაი იულიუს კეისარი უდიდესი რომაელი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე-დიქტატორი, შესანიშნავი მწერალი-ისტორიკოსი (100-44), ავტორი შრომებისა „ჩანაწერები გალიის ომის შესახებ“ და „ჩანაწერები სამოქალაქო ომის შესახებ“, რომლებიც სტილის კლასიკური სისადავით, დახვეწილობითა და ლაკონიურობით ხასიათდებიან. კეისრის პიროვნების დახასიათება იხ. პლუტარქესთან. (ტ. II), ლუკიანის პოემა „ფარსალია“, თ. მომზენთან („რომის ისტორია“, ტ. III), და სხვ.

483. კვენსენის სადგური-ზუსტი ლოკალიზაცია არ ხერხდება .

484. „როგორც ჰორაციუსის justus et tenacem”. -ანუ: „სამართლიანი და მრისხნე“.

485. ტიულრის აუზი (ან: ტიულიერი) - საფრანგეთის მეფეების ყოფილი სასახლე პარიზში, დანგრეული (1871წ. კომუნის დღეებში სავსებით დაინგრა მისი ცენტრალური ნაწილი. გადარჩენილია აუზი).

486. კურტილის დაღმართი - საფრანგეთშია.

487. „ვერგილიუსი ამბობს Facilis descensns Averni”. -ანუ „ავერნის იოლი დაღმართი“.

488. ბ-ნი გრამნი-პოლკოვნიკი დავიდოვ-გრამონი (შედრ. შენ. №474).

489. „რასაც ჟანტილი რსინზე ამბობდა“-პიერ პოგიუსტ ჟანტილი. (1708-1775) ფრანგი პოეტი, ავტორი წიგნისა „სიყვარულის ხელოვნება“.

490. „სამეგრელოს მთავრის ვაჟი... თავადი ნიკო“. -იგულ. დავით და ეკატერინე დადიანების ძე -ნიკო.

491. სოლომონ ინდერაძე-მთავრამმართებელ ბარიატინსკის ნაცნობი ქართველი თავადი, რომლის შესახებ ცნობები არ შენახულა.

492. „დანტეს იმ მოწამეებს ჰგავდა, რომელთაც სატანამ კისერი მოუგრიხა“-„ხვთაებრივ კომედიაში“ ასე იტანჯებიან ცრუმორწმენი და პირფერნი, რომლებიც პოეტს ჯოჯოხეთში ჰყვას მოტავსებულნი („ღვ. კომ. „, ნაწ. 1).

493. „როგორც კეისარმა ფარსალს“ - ფასრსალა ადგილია თესლაიაში (საბერძნ). სადაც პომპეუსს, დამარცხება აგემა კეისარმა (შდრ). №27.

494. ფრიად საინტერესოა დიუმას მიერ ადგილობრივ (საქართველოში) მოსმენილი ცნობები იაზონისა და მედეას მითის შესახებ, თუმცა იგი ლიტერატურული წარმოშობისა ჩანს.

495. ქ-ნი რისტორი („ჩვენმა ცნობილმა ტრაგიკულმა მსახიობმა“...) - იგულ. იტალიელი ტრაგიკული მსახიობი ადელაიდა როსტორი (1821-1881).

496. დარუბანდის კარის წარწერები დიდი ხანია შესწავლილია ისტორიკოსებისა და ეპიგრაფიკოსების მიერ .

497. როშეტი (რაული)-ფრანგი არქეოლოგი, მრავალი მეც. გამოკვლევის ავტორი (1789-1854).

498. პელიასი (პელვასი) - თესალიის მეფე, ბიძა იაზონისა, ომელმაც ტახტი წაართვა თავის ძმას (იაზონის მამას). როცა იაზონი წამოიზარდა პელეასმა დაავალა მას კოლხიდაში წასვლა და იქ ოქროს საწმისის ხელში ჩაგდება.

499. ტაციტი-შესანიშნავი რომაელი ისტორიკოსი - მწერალი პუბლიკორნელიუს ტაციტიუსი (დაიბ. დაახლ. 50წ. - გარდ. დახ. 120წ.), ავტორი ისტორიული შრომებისა „აგრიკოლას ცხოვრების აღწერა“ , „ისტორიები“ და „ანალები“ („მატიანები“), აგრეთვე ეთნოგრაფიული ხასიათის წიგნისა „გერმანია“ და „დიალოგისა ორატორების შესახებ“. მისი „ანალები“ შეიცავს ცნობებს II საუკ. იბერიის შესახებ. ღრმა და ბრწყინვალე სტილისტი ანტიკური ეპოქისა.

500. ტრიდ-პომპეუსი-იგულისხმება რომაეილი ისტორიკოსი, წარმოშობით გალი, ლირიუსის თანამედროვე პომპეუს ტროგუს. შეუდგენია მსოფლიოს ვრცელი ისტორია 44წიგნად (ცნობილია იუსტისნის მოკლე გადმოცემით). თავის შრომებში, სხვათაშორის, ეხებოდა ძველი ირანის ისტორიასაც(М. М. Дьяхонов. Очерки истории древнего Ирана. М, 196, стр. 16.)

501. ლემნოსი-კუნძული ეგეოსის ზღვის ჩრდილო ნაწილში. პროპონტიდა - მარმარილოს ზღვა, ფოსფორისა და დარდანელის სრუტეებს შორის.

502. სინოპი (სინოპა) - მილეტის კოლონია. ყველაზე მნიშვნელოვანი ბერძნული ქალაქი მცირე აზიაში; სინოპიდან შეიძლებოდა პირდაპირი მიმართულებით პონტოს ანუ ვექსინის (შავი)ზღვის გადაჭრა ყირიმისაკენ.

503. დიოსკურია-ანტიკური ხანის ქალაქი შავი ზღვის პირას, დღევანდელი სოხუმის ახლოს.

504. კასტორი და პოლუქსი (პოლიდევკე) მითიური დიოსკურები, ტყუპები, რომლებიც ლედას მოკვდავი ქმრის ლაკედემონიის მეფის ტინდარია შბილებად ითვლებოდნენ. კასტორის დაღუპვის შემდეგ პოლუქქსმა სთხოცვა ღმერთებს-ძმასტან ერთად გაეზიარებია უკვდავება. ამათი ნებართვით ძმები ერთ დღეს ოლიმპზე ატარებენ, მეორე დღეს კი, ჰადესში (საიქიოში). კასტორი და პოლუქსი ითვლებოდნენ ქ. სპარტისა და ცხენების შეჯიბრების (მარულის

)მფარველებად. მითის სხვა ვერსიით ისინი ზევსის შვილები იყვნენ და მიტომ ეწოდათ დიოსკურები.

505. პარმენიონი-„ალექსანდრე (მაკედონელის) მეგობარი“ (დიუმა).

506. გრანიკი, არბელი, ისუ-ალექსანდრე მაკედონელის ბრძოლებისა და გამარჯვების ადგილები გრანიკი-მდინარეა, რომელიც უერთდება პროპონტიდას (მარმარილოს ზღვა). ამ მდინარის სანაპიროებთან გაიმარჯვა პირველად ალექსანდრე მაკედონელმა სპარსელებზე. არაბელი (არბელა) ქალაქია სირიაში, ტიგროსის ზემო წელის აღმოსავლეთით, დღევანდელი ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე. აქ მოიგო ომი ალექსანდრემ 331წ. 1 ოქტომბერს; ისუ (ისა) კილიკიის ქალქი სირიის ახლოს, სადაც ალექსანდრე მაკედონელმა 333 წლის ოქტომბერში საშინლად დაამარცხა უკანასკნელი აქემედინი მეფე დარიოს III.

507. „ფოკიონის ქანდაკება პარიზის მუზეუმში“ - ფოკიონი - ათენის სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი, ე. წ. „მაკედონური პარტიის“ მომხრე(დახლ. 402-318 წ. წ. ჩვენს ერამდე).

508. „სამეგრელოს მთავრის დადიანის მეუღლე“ - ეკატერინე ჭავჭავაძე -დადიანისა.

509. „მადლაკის (დიუმათი („Marlak”) ტყე“-იმერეთში.

510 „მეფე სოლონის ტყე „- სოლომონ II-ის ტყე(?).

511. გუბის წყალი „Goubinskaia” -პატარა მდინარე იმერთში.

512. გენერალის სლეპცოვი (ნიკ. ნიკოლ. ძე) - კავკასიური ომის მოღვაწე, გენმაიორი (1815-1851). მოიხვეჭა გმირის სახელი იშვიათი სიმამაცის გამო. მოჰკლეს მთიელებმა 10დეკ. მდინარე გეხთან (საჩაჩნო).

513. ბაუხერ (Baucher) -დიუმა გულისხმობს რომელიღაც მხედარს.

514. სენა, აუსტერლიცის ხიდი...- მდ. სენა, რომლის ორივე მხარსაა გაშენებული ქ. პარიზი.

515. აქილევსი-„ილიადას“ მთავარი გმირი.

516. „მოგაგონებდათ კაპიტან როლანდის მღვიმეს „ჟილ-ბლაზიდა“ - იგულისხმება XVIII ს. გამოჩენილი ფრანგი მწერლის ალენ რენელესაჟის (1688-1747) რომანის „ჟილბლაზის ტავგადასვლის“ იხ. ადგილები სადაც ახწერილია მთავარი გმირის მეჯინიბის შვილის სანტი იანელ ჟილბლაზის მოხვედრა ავაზაკების ღვიმეში, კაპიტან როლანდთან. რომანის პერსონჟი ბოლოს თავს ახწევს ტყვეობას.

517. სეზოსტრისი („იმ ქერელს ჰგავდა, სეზოსტრის რომ სამეგრელოში მოჰქონდა“) - ლეგენდარული ეგვიპტელი მეფე (?). დიუმას ფრაზის შინაარსი ბუნდოვანია.

518. ლუარა-ყველაზე დიდი მდინარე საფრანგეთში.

519. აპოლონიოს როდოსელის ეს ადგილი რომლიც ქვემოთ დიუმას მოჰყავს (იხ. ჩვენი თარგმანის გვ. 444), წარმოადგენს „არგონავტიკის“ მეორე თავის ბოლოს. მისი ზუსტი თარგმანი ეკუთვნის აკ. ურუშაძეს (შდრ. აპოლონიოს რადოსელი, არგონავტიკა. თბ, 1948, გვ. 108).

520. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ა. ი. გაგარინი 1856წ. მოჰკლა სვანეთის მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა, ქუთაისში. ეს უკანასკნელი სიკვდილით დასაჯეს მეორე წელს. (დაწვრ. იხ. ბოროზდინი. სამეგრელო, თ. სახოკიას ტარგმანი. 1934, გვ. 167-225).

521. „დონ კარლოსივით თავისი დედინაცვალი შეუყვარდა“-დონ კარლოსი-ესპანეთის იმფანტი, ფილიპე II-ის ძე (XVIს). შილერის ტრაგედიის გმირი.

522. ცხვარი ქრიზომალონი-ოქროს ვერძი.

523. გორდიას კვანძი -გადმოცემით ალექსანდრე მაკედონელმა ხმლით დასჭრა ფრიგიის მეფის გორდიას კვანძი, რომლის გახსნა მან სხვა გვარად ვერ შესძლო (მისნის წინასწარმეტყველებით, გორდიას კვანძის გამხსნელი მთელი აზიის ბრძანებელი გახდებოდა). გამოთქმა გულისხმობს გადაულახავ სიძნელეთა მოზღვავებას, ხოლო „გორდიას კვანძის კაჭრა „-ერთი დაკვრით და ძალდატანებით მათ დაძლევას.

524. იგულისხმება პალიასტომი.